J. Lyons an English linguist distinguishes two propositions: True/False, and it is connected to two crucial concepts (possibility and necessity) of traditional-modal logic. These two propositions: possibility and necessity are referred to as epistemic modality and deontic modality. Epistemic logic is associated with the logical structure of the statement. According to Lyons, epistemic modality expresses speaker's attitude towards the propositional contents of the utterance. As for the deontic modality, it is expressed with the help of forms of Mood [Lyons 1978, 312].

During the last century logical meaning of "modality" was explained with the help of grammatical category of Mood. Judgment was identified with functions of grammar. Actually, Modality expressed by grammatical forms is firmly connected with logical understanding of Modality, however they are not the adequate. Understanding logic idealistically, means interpretation of judgment modality, so that referring not to the interrelation of the concepts, but attitude input towards objective reality. In contrast with Modality in logic, grammatical Modality has its specific grammatical, morphological and syntactic forms of expression. In some cases Judgment modality and sentence modality don't coincide.

In this respect lingual modality has far more means of expressing modal meaning rather than judgment modality of logic. It reveals not only reality, necessity and possibility but other peculiarities of expressing the attitude towards the objective reality (wish, inevitability, request, aspiration etc.)

Psychological school of Linguistics explains these lingual norms in terms of psychological principles. They identified grammatical categories as pure (complete) psychological concepts, that are used in different ways in different languages. One of the prominent representatives of the psychological school – W. Wundt doesn't note any significant difference between syntactic and modal interrelation; difference in Gender or Mood is outlined only in subjective perception. These grammatical categories exist only in his imagination, Wundt was unable to notice that Gender and Mood are not mixed, that they are simply represented in dialectic unit. Gender and Mood are two separate categories that are used together for expressing certain grammatical phenomenon. Wundt considers that Mood has no relation with objective reality, as a psychologist he is interested only in a person's inner, psychic world [Вундт 1954, 312]. Unlike Wundt, one of the linguists – S. Lerch explains that modality expresses subject's attitude towards objective reality with the help of Sentence. [Lerch 1933, 88].

Some linguists connect psychological concepts to Logic. Consequently certain system has been worked out. For example, *Doichban* system formulated 16 forms of Mood in English on the basis of simple arithmetic calculations – multiplication. Here Mood is defined not as a verb form, but as an expression of the (partition) meaning of the utterance [Доичбан 1947, 526].

The third tendency of defining the category of Modality is explained by Lyons (Lyons own version of Vakemagel's definition). Lyons considers that distinctive feature of Modality is the interrelation between action and reality. Thus, speaker's reliability towards the reality of the situation can be expressed with various forms and can't be limited to three or four forms

#### Reference:

1. Westney, P. *Modals and periphrastics in English: an investigation into the semantic correspondence between certain English modal verbs and their periphrastic equivalents*. Tübingen: Niemeyer, 1995.
2. Palmer, H. E. *Grammar of Spoken English*. London: Heffer, 1939.
3. Palmer, F. R. *The English Verb*. London: Longman, 1974
4. Leech, G. N. *Meaning and the English Verb*. 2<sup>nd</sup> edition. London: Longman, 1987.
5. Руднев Г. Синтаксис осложненного предложения. Москва: Наука, 1959.
6. Frawley, W. (ed.) *The Expression of Modality*. Berlin & New York: Mouton de Gruyter, 2005.

### ნინო ბალანჩივაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი ორი თაობა – ორი მსოფლმხედველობა

ნებისმიერი ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს, ლაიტმოტივად გასდევს რიტორიკული კითხვა: „რა არის ადამიანი?“ თუ ამ პრობლემას განსაზღვრული თვალთახედვით მიმოვიხილავთ, ის თავისთავად ბადებს მორიგ კითხვას: „როგორ იქცევა ადამიანი გარკვეულ გარემოცვაში?“

ადამიანი, შესაძლოა, მცირე როლს ასრულებს მთლიან სამყაროში, მაგრამ თითოეული ინდივიდის არსებობა, მისი მისწრაფებები, საყოველთაო ევოლუციური პროცესის თანაზიარია. სწორედ ამ საკაცობრიო საკითხებს სვამს თავის პიესებში თ. ოუალდერი, რომელსაც სურს ადამიანთა ცხოვრების არსის, ბედისწერის, მამისა და ძის ურთიერთობის რაობის გაგება. მამისა და ძის ურთიერთობა – პიესის „ჩვენივე კბილების კანი“ (“The Skin of Our Teeth”) მაგისტრალური თემაა. ანტროპუსი-მამა საშუალო ფენის ამერიკელია, ადამიანთა მოდემის „მესაქე მამა“. მას ზოგადად გააჩნია ყველა დროის ადამიანური სისუსტეცა და ღირსებაც.

მისი ძირითადი მახასიათებელი თვისებაა, მისი უცვლელობა წლიდან წლამდე, ისტორიის ერთი პერიოდიდან, მეორემდე. მისი პრობლემები ერთი და იგივეა თითქმის ყველა დროში. იგი ყოველთვის უბედურების ზღვარზეა, იმ უბედურებისა, რომელიც გამოწვეულია გარეშე ბუნებრივი ძალებითა თუ შინაგანი კონფლიქტებით. იგი, მიუხედავად ყველაფრისა, გადარჩენას მაინც ახერხებს „ბეწვის ხიდზე“ გავლით.

ბატონი ანტროპუსი ის ადამიანია, რომელმაც იმას მიაღწია, რასაც კი სულიერმა ორგანიზმმა შეიძლება მიაღწიოს, მას უამრავი უბედურების გადატანა მოუწევს. უბედურებებისა, რომელთა გააზრებაც კი ძნელი წარმოსადგენია. უაილდერს აინტერესებს, შეუძლია თუ არა ადამიანს, ასეთ ურთულეს პირობებშიც კი, დარჩეს კულტურის სუბიექტად, თუ ის იმ უზრალო ბიოლოგიურ ინდივიდად გადაიქცევა, რომლისთვისაც ამოსავალი კრედო, მხოლოდ გადარჩენის მოთხოვნილებათაა.

თ. უაილდერი ცდილობდა, გაეაზრებინა ის მიზეზები, რომლებმაც ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნამდე მიიყვანა. ანტროპუსი გვაოცებს იმით, თუ როგორ შეუძლია ადამიანს უღალატოს თავის თავს. თ. უაილდერი დარწმუნებულია, რომ ზოროტების ეპიდემიის უკანასკნელი მიზეზი, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიყვანა თვით ადამიანის შეგნებაშია და შემდეგ-ბუნებრივ, სოციალურ კატაკლიზმებში.

ანტრობუსის ვაჟი ჰენრი საქვეყნოდ ამელაენებს ზიზლს მამისადმი და თავისი უბედური სიჭაბუკისადმი. მას ახსენდება, თუ როგორ სძულდათ თანაკლასელებს და რა სიყარვილეს გრძნობდა ამის გამო. ის ამას ახლაც განიცდის. ჰენრი უარყოფს სიყვარულს, უარყოფს დედას, მამას. მას არ სურს, ვინმეს უყვარდეს. იგი თვლის, რომ მას არც დედ-მამა ჰყავს, არც და-ძმა. და არც სურს ვინმე ჰყავდეს. იგი მარტოსულია და სურს იყოს მარტო.

Henry: ... I have not got any father or any mother, or brothers or sisters. And I do not want any. And whats more I haven't got anybody over me; and I never will have. I am alone, and that's all I want to be: alone. [4, 235].

მაგრამ ჰენრი ერთადერთი მარტოსული არ იყო დედამიწაზე, ეს მთელი რასის პრობლემა გახლდათ. იგი მამას უზიარებს საკუთარ აზრს სამყაროს შესახებ, რომელიც ძალადობასა და ჩაგვრაზე იქნება დამყარებული. ბატონი ანტრობუსი ამის სასტიკი წინააღმდეგია და შვილს ასეთ პასუხს აძლევს: „როგორ შემიძლია მოვერიო სხვებს, როცა შვილს ვერ ვუმკლავდები? დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები: უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეგებრძოლები, სანამ შენს მიერ აკვიატებულ თავისუფლების იდეას, თვით-მპყრობელობის იდეამი შეურევ და განახორციელებ, სრულიად არ გითანაგრძობ და არც შეტოდები. ჩვენ, ორივეს, ერთი მიზანი გვაპოძრავებს, მაგრამ სანამ შენ იფიქრებ იმაზე, რისი მოპოვების უფლებაც ყველას აქვს, მანამ შენი დაუძინებელი მტერი ვიქნები და იცოდე, აუცილებლად გაგანადგურებ.“

ჰენრიმ თავიდან ამოიგდო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არსებული ყველა საუკეთესო მოვლენა. ის სულითხორცამდე ზოროტია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში. იგი შეუბრალებლად ესერის ქვას ადამიანს. პიესაში თითქოს ატლანტიკ-სითი დაირღვა, ყველა ცხოველი უჩინარდება, ისმის ჭექა-ქუსილის ხმა. თ. უაილდერი სცენაზე ხელუხლებლად ტოვებს იმ რეალობას, რომელშიც ნათლად ჩანს ანტრობუსების დამოკიდებულება სამყაროსადმი. ისინი ცდილობენ, თავი დაიხსნან გაქცევით, ეს კი საერთოდ, ადამიანის მორალური და ემოციური გრძნობების კიდევ ერთი გამოვლენებაა. ჰაბერმანის მართებული აღნიშვნით, ეს შიდა სამყარო იდუმალია და არ შეიძლება დაემორჩილოს არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებულ ლოგიკას. იგი აღნიშნავს, რომ სცენაზე წარმოდგენილია შემოიღო მსოფლიოში არსებული, მიმდინარე უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ცრურწმენები [3, 70].

ჰენრის სადისტურ მიდრეკილებასა და გარეგნულ ნიშანს ყოველთვის დედა აფარებს ხელს. სწორედ მან მიიყვანა თავისი ბრმა სიყვარულით შვილი აქამდე, იგი კვლავაც ამ გზაზე დგას და თავისი ამგვარი მიმტყვებლობით, მეუღლესა და შვილებსაც ღუპავს. აქ უადგილო არ იქნება, თუ გავიხსენებთ რამდენიმე ეპიზოდს. პირველ მოქმედებაში, მოსე ქალბატონ ანტრობუსს ახსენებს, რომ მას ორი ვაჟი ჰყავს. მოსეს შეკითხვას თავი რომ აარიდოს, დედა მაცურებელს მიუბრუნდება და დარბაზის მიმართულებით გაიძახის: „აბელ, აბელ, ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო, აბელ!“

Moses: I understood you had two sons, Mrs. Antrobus.

(Mrs. Antrobus is blind suffering; she walks towards the footlights.)

Mrs. Antrobus:

(In a low voice).

Abel, Abel, my son, my son, Abel, my son, Abel, my son. [4, 151]

დედა ოსტატურად არიდებს თავს პასუხს, რათა ჰენრის სადისტობა არ გაამჟღავნოს. ანალოგიური თვალსაზრისი გატარებულია შემდეგ ეპიზოდში, როდესაც ჰენრი სკოლაში მომხდარ ამბავს უყვება. ჰენრი ამბობს, რომ ორ მასწავლებელს დაავიწყდა მისი სახელი და ძველი სახელი დაუძახეს – კენი. ამ სიტყვების წარმოთქმაზე, ქალბატონი ანტრობუსი ხელს პირზე ადებს და სთხოვს ამ ამბის

დავიწყებას, რადგან როდესაც ის კარგი ბიჭი გახდება, მასწავლებლები ამას დავიწყებენ.

Henry: Mama, today at school two teachers forgot and called me by my old name. They forgot, Mama. You'd better write another letter to the principal, so that he'll tell them I've changed my name. Right out in class they called me: Cain.

Mrs. Antrobus: (Putting her hand on his mouth, too late )

Don't say it.

If you're good they'll forget it... [4, 131].

პიესის ერთ-ერთი გმირის აზრით, კაცობრიობის მტერი სამყაროდან უნდა განიდევნოს. ანტრობუსი კი გადაწყვეტს, შეიღოს თვალყური ადევნოს. მას იგი, ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, არა მშობლიური სიბრალულის, არამედ იმის გამო აკეთებს, რომ ჰენრიმ ახალი შეცდომა არ ჩაიდინოს. ანტრობუსი სთხოვს მას, ყველაფერი თავიდან დაიწყოს, პირველ რიგში, საკუთარ თავში ჩაიხედოს. არ შეიძლება, ააშენო სამყარო, რომელშიც ხალხმა უნდა იცხოვროს და იმ ხალხში კი წესრიგი არ სუფევდეს. არ შეიძლება, ყველაფერი შენთვის გინდოდეს. მისი აზრით, კარგ საქმეზე კიდევ უნდა იდგავო, სახლში იქნება ეს თუ გარეთ. ადამიანს არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს ახალი სამყაროს შენებისას. ანტრობუსი – ჰენრის მწვავე ურთიერთობა, ორი თაობის კონფლიქტია, ორი მსოფლმხედველობის ჭიდილია. ეს კონფლიქტი პიესაში იქამდე მიდის, რომ ჰენრის სურს, საკუთარი მამა სიცოცხლეს გამოასალმოს. ახლა იგი პატარა, უზნეო ბიჭი კი არ არის, არამედ შეურიგებელი ბოროტი სულია. ამ ორი სახით ნაჩვენებია სიცოცხლისა და ისტორიის ორი მოწინააღმდეგე – გამანადგურებელი და შემოქმედი ძალა.

მოუხედავად იმისა, რომ ბატონი ანტრობუსი სასოწარკვეთილია, მაინც ცდილობს მსოფლიოს გადასარჩენად (გამყინვარების და წარღვნის შემდეგ), გაისარჯოს. და აქაც, მის შეურიგებელ მტრად ჰენრი გვევლინება. ანტრობუსის აზრით, წიგნები დანგრეული სამყაროს აღდგენაში დაეხმარება კაცობრიობას. ჰენრი კი, წიგნების დაწვას მოითხოვს, რადგან ისინი აუტანელს ხდიან ცხოვრებას. მისი აზრით: პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს ძველი წიგნების დაწვაა, იმიტომ რომ სწორედ ეს ძველი წიგნებია იმის წყარო, რაც დედამიწაზე ცხოვრებას აუტანელს ხდის.

ანტრობუსი ქალბატონ ანტრობუსს უხსნის, რომ მან შეიგნო ის სამი რამ, რომლებიც უერთმანეთოდ ვერ იქნებოდნენ და რომელთა გარჩევაც უკეთესად შეეძლო. სამი რამ... ფიქრი მუუღელზე, შეილებზე, სახლებზე... და წიგნებზე:

„წიგნები აღადგენენ დანგრეულ სამყაროს. არასოდეს მავიწყდება, რომ ცხოვრება ბრძოლაა. ვიცი, რომ ყოველი კარგი და საუკეთესო, დიდი მსხვერპლის ფასად და ოფლისღერით არის მოპოვებული და გარკვეული საფრთხის ქვეშ იმყოფება. ღმერთი ყოველთვის შეგეწევა ომში (გადამლის წიგნს). ის გვაფრთხილებს, ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე. ჩვენ დიდი ხნის ისტორია გვაქვს და სულ სწავლისა და მიეზის პროცესში ვიმყოფებით. ყოველი ჩვენი საქციელის და მოქმედების ახსნაც, სწორედ აქა მოცემული“.

...Oh, I've forgotten for long at a time that living is struggle. I know that every good and excellent thing in the world stands moment by moment on the razoredge of danger and must be fought for - whether it's field, or a home, or a country. All I ask is the chance to build new worlds. God has always given us that. (Opening the book). And has given us voices to guide us; and the memory of our mistakes to warn us. We've come a long ways. We've learned. We're learning. And the steps of our journey are marked for us here. . . [4, 247]

ანტრობუსის აზრით, კაცობრიობის გადარჩენა, შესაძლოა მხოლოდ კულტურისა და განათლების წყალობით. ანტრობუსი, რომელსაც სჯერა მეცნიერულ-ტექნიკური

რევოლუციის, ინტუიციით ხედება, რომ პროგრესი, საბურავის, ან გამრავლების ტახტის გამოგონებამდე არ უნდა დაეყვანათ. პროგრესის არსი კი, პიესის მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანში აღზარდო ადამიანი. აი, ამიტომაც უბრძანებს ანტროპუსი მეუღლეს, აზიაროს ქალიშვილი იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც კაცობრიობამ დააგროვა.

ძველი წიგნები, რომელთა დაწვასაც ჰენრი მოითხოვს, არ შეიძლება განადგურდეს, რადგან, ჩვენი აზრით, ისინი ცხოვრების ნაწილს წარმოადგენენ. ისინი გამსჭვალულნი არიან კაცობრიობის მიერ შექმნილი ცოდნით და ეს ცოდნა და გამოცდილება, საუკუნეების მანძილზე გროვდებოდა. წიგნების მეშვეობით ადამიანი კვლავ იხსენებს, რომ ტყუილუბრალოდ არ უცხოვრია. შექმნილი ცოდნა, კაცობრიობის გზის მაჩვენებელია. წიგნებიდან მიღებული ცოდნა, ადამიანებს გზას უკვალავს წყვიდადიდან სინათლისაკენ. კვლავ ახსენებს მათ, რომ ისინი ტყუილუბრალოდ არ ცხოვრობენ.

დრამატურგი მიიჩნევს, რომ კაცობრიობის წინაშე, სხვა და სხვა პერიოდში, პრობლემების წრე თითქმის ერთნაირია. ეს არის ზუნებრივ სტიქიასთან ბრძოლა, ბრძოლა ზნეობრივ ურთიერთობებს შორის, ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და მრავალი სხვა.

საით მიეყვართ მამისა და ძის ურთიერთმიმართების თემა. ანტროპუსის და ჰენრის კონფლიქტი ორი თაობის კონფლიქტია და იმავდროულად, ორი მსოფლმხედველობის პოზიციაც. ამ საკითხის გადაჭრა, ერთი პიესის ჩარჩოს სცილდება.

შეუძლებელია, ააშენო ქვეყანა, რომელშიც იცხოვრებს ადამიანი, თუკი თვით შენში არ არის არც სიყვარული, არც კანონის გრძობა და არც წესრიგი. ბატონი ანტროპუსი ამას მხოლოდ ბოლოში ხედება, მაგრამ ხედება კი? ასწავლა კი, ამ სასტიკმა გამოცდამ ანზანური, მაგრამ უცილობელი ჭეშმარიტება მილიონ ანტროპუსს?

დრამატურგის კონცეფციის მიხედვით, მას განათლებისაკენ, ხელოვნებისაკენ მიყვარათ.

#### ლიტერატურა:

1. Brown J., *Two on the aisle: Ten years of American Theatre in performance*. N.Y. 1938.
2. Goldstein M., *The American Theatre Today*. N.Y. London. 1967.
3. Haberman D., *The plays of TH. Wilder: A critical study*. Middletown Conn.. 1967.
4. Wilder Th., *Three Plays*. Harper and Row Publishers. 1985.

Nino Balanchivadze

### Two Generation

#### Abstract

The three acts of the play displays the mankind's struggle for saving itself from the troubles it faced in certain periods of life. On the example of this family the author shows men's struggle against catastrophes, their fall, rescue wars.

The conflict of Anthrobus and Henry-Cain is a conflict between two generation and at the same time a position of two world outlooks. Solution of this issue leaves the frames of one play.

**თანამედროვე ქართული პრესის ენა და სალიტერატურო ქართული**

პრესის ენა ლინგვისტა თუ მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტთა ყურადღებისა და კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ - შესამე წიგნი (1980წ.) მთლიანად პრესის ენას მიეძღვნა.

თანამედროვე მკითხველთა დიდი ნაწილისათვის სალიტერატურო ენის შეთვისების ძირითადი წყარო არის პრესა, განსაკუთრებით გაზეთი. გაზეთის ამ მნიშვნელობაზე, რადიოსა და ტელევიზიასთან შედარებით მის უპირატესობაზე წერს თინათინ ღვინაძე სტატიაში „გაზეთის ენა“ [ღვინაძე, 1997:3] „ენის ცვალებადობის პროცესი ყველაზე თვალნათლივ გაზეთის ფურცლებზე აისახება და ფიქსირდება. რადიოსა და ტელევიზიის ენა, როგორც (ზეპირი) სასაუბრო სალიტერატურო ენის ნიმუში, მსმენელზე, მის ენობრივ გემოვნებაზე ისეთ გავლენას ვერ ახდენს... წაკითხული უფრო მყარია და დიდხანს ძლებს, ვიდრე მოსმენილი.“

1963 წელს ცნობილი ენათმეცნიერი ივ. გიგინეიშვილი აღნიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ქართული რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ენა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის თვალსაზრისით საგრძნობლად გაუმჯობესდა, ჯერ კიდევ არა გვაქვს ამ მხრივ სასურველი მდგომარეობა“ [გიგინეიშვილი, 2004:102]. მეცნიერის ეს შენიშვნა ვრცელდება ამჟამინდელი პრესის ენაზეც, რომელშიც მრავლადაა უზუსტობა და შეცდომა. პრესის ენაში სხვა აუტორთა მიერ შენიშნულ და გაანალიზებულ სხვადასხვა ხასიათის შეცდომას (მორფოლოგიურს, სინტაქსურსა და სტილისტიკურს) ჩვენს მოხსენებში განხილული მასალაც ემატება (ძირითადად შემდეგი გაზეთებიდან: „საქართველოს რესპუბლიკა“, „კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „ბათუმელები“, „აქარა“, „ქრონიკა“).

I. მორფოლოგიურ-სინტაქსურ დარღვევათაგან შევხებით მხოლოდ ზოგიერთს.

1. არ არის დაცული სახელთა კუმშვისა და კვეცის წესები.

ერთმანეთს არ ემთხვევა ნაცვალსახელისა და იმ სახელის რიცხვი, რომელიც ამ ნაცვალსახელმა შეცვალა: *ჩვენ უნდა დაფუგდოთ ყური ტალღის რჩევას, მად სურვილის უნდა მივყვით.*

2. ზმნის ფორმაში არ არის შესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი (3,ს): *არ ყოლია (ჰყოლია), ჩამოვილდა (ჩამოსცილდა), ქალაქი გარე სამყაროს მოწყდა (მოსწყდა).*

შეველილია ზმნისწინები: *ზეთისხილის პლანტაციები მომავალში მცხეთათანეთში, ქვემო ქართლსა და კახეთშიც აშენდება (=გაშენდება); კონფერენციის მონაწილენი მათ მიერ გამოთქმავებულ (=შემუშავებულ) დოკუმენტებზე დაყრდნობით იღებენ ვალდებულებას; ...რათა არ განმეორდეს შეცდომები და აღსრულდეს (=შესრულდეს) შემოსხენებული ამოცანები.*

ზოგიერთი ერთი და იმავე ფუძის ზმნის უზმნისწინო და ზმნისწინიან ფორმებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ და ამიტომ ერთმანეთის მაგივრად მათი გამოყენება განურჩევლად ყველა კონტექსტში არ შეიძლება: „დაასრულებს“ და „შეასრულებს“ ზმნების სხვადასხვა მნიშვნელობა უზმნისწინო ფორმაში („ასრულებს“) არ ჩანს.

გაერთიანებული ოპოზიციის სიაში მემარჯვენეების ლიდერთა ჩამონათვალს 22-ე ნომრით მანანა ნაწყებია ასრულებს; თუ როგორ ასრულებენ პოლიტიკაში შესული ოლოგარქები კარიერას, ნათლად გამოჩნდა ბერეზოვსკის მაგალითზე; ფილმის გადაღებას უფულობის გამო ვერ ასრულებს შდრ.: ახლად არჩეული თავმჯდომარე



თავის ფუნქციებს კარგად ასრულებს; მართალია „დასრულება“ და „დამთავრება“ სინონიმური მნიშვნელობის ზნეზნა და ენაეცლებიან კიდევ ხშირად ერთმანეთს, მაგრამ ჯობს, უზნისწინა „ასრულებს“ არ გამოვიყენოთ „ამთავრებს“ ზნის მნიშვნელობით. აქვე შეიძლება დავასახელოთ უზნისწინა „ვრთავ“. ზოგჯერ კონტექსტით არ ჩანს, რას აღნიშნავს იგი - ჩართავს თუ გამოირთავს. სერიოზულად არ ვუყურებდი საქმეს - ტელეფონს ვრთავდ არაგის არ ვერკვავდი. შდრ.: ტელეფონის ვრთავ და რას ვხედავ! პირველ წინადადებაში შინაარსი თითქოს მოგვანიშნებს, რომ „ვრთავდი“ გამოართვას გულისხმობს, მაგრამ ეს მნიშვნელობა გამოკვეთილი არაა. ჯობდა გამოგვეყენებინა გამო-ზნისწინიანი ფორმა „ხოლმე“ ნაწილაკით (აქ ხომ მოქმედების მრავალგზისობაც არის გამოხატული): „ტელეფონს გამოვრთავდი ხოლმე“. კონტექსტისათვის შეუფერებელია გვარისა და მწკრივის ფორმები. ეს უკანასკნელები იძულებული გახდნენ, ჩამომორბეულიყვნენ ნუზარ ბოქორიძეებს. სწორია: „...ჩამომორბეოდნენ“. ის საკითხი განვიხილოთ, რა შეიძლება მომხდარიყო ან არ მომხდარიყო, ჩვენს ქვეყანას სტაბილური კონსტიტუციური სისტემა რომ ჰქონდეს (ჰქონოდა).

3. მევერია თანდებულებთან დაკავშირებული უზუსტობა, ზოგჯერ შეცდომაც. თანდებული ზედმეტია: გაიბოჯნა ერთმანეთისაგან ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობას შორის უფლებამოსილებანი. სწორია: ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის უფლებამოსილებანი.

თანდებული აკლია: ასეთია ელისი (მეერ) დანახული საქართველო; როგორც ჩანს, ჩახედეს პროექტს (პროექტში).

შეველილია თანდებული: მოიხადა ბოდიში უენზურო გამონათქვამებისათვის (გამონათქვამების გამო); ვეროპის ქვეყნებში ასეთი დარღვევისათვის (დარღვევის გამო) ტელეფონის დიდ ჯარიმას უწესებენ. შვაძეს საქმე მინდობილი ჰქონდა არძენაძესა და ვარშანიძეზე (=არძენაძისა და ვარშანიძისათვის).

აღრუულია თანდებულებანი ბრუნვები: ჩემი შეგირდებიდან (=შეგირდთაგან) თავი ისახელეს...; დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში ვრცლად აქვს განხილული ვ. კალანდაძეს [კალანდაძე, 1980:161-240].

II. თანამედროვე პრესის ენაში ხშირია ლექსიკურ ნორმათა დარღვევები, სტილისტიკური უზუსტობანი და შეცდომები.

1. სინტაგმა შედგება სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი ზედმეტი ჩანს: ეს ნაბიჯი სასიკეთოდ წაადგება ნიჭიერ ქართველ ტალანტებს. „ტალანტი“ (ზერძ.) ნიშნავს განსაკუთრებული ნიჭს, ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს. სწორია: „... ნიჭიერ ქართველებს“ ან: „...ქართველ ტალანტებს“. ბოკერიამ განცხადდა, რომ ამ ზეპირ მტკიცებებს არა აქვთ არანაირი დამადასტურებელი საბუთი. „საბუთი“ (არაბ.) რისაზე დამამტკიცებელი, დამადასტურებელი მოწმობაა, ამიტომ უნდა გვეთქვას: არა აქვთ საბუთი ან: „...არა აქვთ დამადასტურებელი მოწმობა“ უკვე ამოცნობილია და გადაეცა ნათესაებს 136 დალუბული ცხედარი; უნდა ეთქვას: „... 136 დალუბული“ ან: „...136 ცხედარი“. ჩვენი მოსახლეობის მაღალი მომსახურების სერვისისათვის ყველაფერს ვაკეთებთ. „სერვისი“ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაა, იგი ზედმეტია. ორივე მედელია უშედეგო ფინალით დასრულდა „ფინალი“ (იტალ.) სპორტულ შეჯიბრებათა დასკვნითი ნაწილია; საერთოდ რისაზე ბოლო, დასასრული. უნდა გვქონდეს: „... უშედეგოდ დასრულდა“. ბელგოვიერდ შუდგა თავისი თანამდებობის მოვალეობის შესრულებას. სწორია: „...მოვალეობის შესრულებას“.

2. გვეხდება მნიშვნელობის მიხედვით შეუსაბამო სიტყვათშეხამებანი. ერთი სიტყვის მნიშვნელობაში მეორის მსაზღვრელის მნიშვნელობაც იგულისხმება: მწუხარებას გამოეთქვამთ ყოზლარში მომხდარი პრადაპიანური ტერორისტული აქტის შედეგად

უდანამულო ადამიანების გარდაცვალების გამო; ყველაზე ცუდი ტერორის პირობებშიც კი არ არის მოსალოდნელი. ტერორისტული აქტი, ტერორი არ შეიძლება იყოს „ადაშიანური“ ან „კარგი“ აქლიერებს თავის დემოკრატიულ ავტორიტეტს 2007 წლის ანტისამთავრობო დემონსტრაციის მკაცრ დარბევის გამო. ყველა დარბევა ალბათ „მკაცრია“. მერამდინედ ცდილობს ხელისუფლება ასეთ უპატივებულო შეტყვებს სვანეთზე. რომელი შეტყვეა „პატივსაცემი“?

შეუსაბამოა ზმნიზედები შემდეგ წინადადებებში: მოკლედ, როგორც ეს მას კარგად ეხერხებოდა, დაასახლა მიმართულებები. ადამიანს „...ეხერხება“ ან „არ ეხერხება“ რაიმე. მაგშეები მხოლოდ ერთ კვირას მყავდა კარგად დანაყრებული. „დანაყრებული“ „დაანაყრა“ ზმნის მიმღობაა. „ანაყრებს“ ნიშნავს: მცირეოდენს აკშევს, რომ შიშნლი მოუკლას, წახემსებს [ყელ1986]. „კარგად“ ამ სიტყვასთან შეუფერებელია.

3.განსაკუთრებით ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სიტყვა სხვა სიტყვის ნაცვლად არის შეედომით გამოყენებული (ჩვენი ვარაუდით, შესაფერ სიტყვას ფრჩხილებში ვსვამთ): ჩამოართვის შესაძლებლობა (უფლება) ქვეყნიდან გასვლისა; თვალში გეცმათ იმამი ხომეინისადმი უდიდესი პატივისცემა... მასზე ლაპარაკობენ როგორც სულიერზე (ცოცხალზე); მნიშვნელოვნად გაულმჯობესებს (გაუადვილებს) მოქალაქებს საჭირო დაკულმენტების მოპოვებას; მემორიალის ასასვლელი თითქმის ასული კიბე (საფეხური) მაინც აიარეს; კრიზისთან დაკავშირებული მოსაზრებები დაყოფილია (განსხვავებულია); ტიბეტური სოკო მაქიანი და უშაქრო დინამეტი მკურნალობის საუკეთესო მეთოდია (საშუალება); ზუგდიდში, ქალაქის ცენტრში, მოძრაობა სამი საათის განმავლობაში ჩაკეტილი (შენევეტილი, შეჩერებული) იყო. ან: „ვ ზა ჩაკეტილი იყო“. პას ხელისუფლების ფუნქციები ათვისებული (მინიჭებული ან: შეთვისებული) ჰქონდა; მიეყენებ სასიცოცხლო (სასიცვდილო) ზიანს; თავის კანონიერებაში (სიმართლეში) დარწმუნებულმა გიგი მავაძემ თქვა.

III. უზუსტობაა ფრაზეოლოგიური ერთეულების სიტყვათა მყარი შეხამებების გამოყენებაში: ჟურნალისტები, რესპოდენტები ცვლიან ქართულ ენაში ისტორიულად შემუშეებულ მყარ გამონათქვამებს.

შეცვლილია კომპონენტი: ხელებს ნუ ჩამოუშვებ და წარმატებები არ მიგატოვებენ. „ხელების ჩამოშება“ გამოყენებულია ცნობილი იდიომის - „ხელის ჩაქევის“ ნაცვლად. „ხელის ჩაქევა“ იგეგვა რაც იმედის დაკარგვა, გულის გატეხა [ონიანი, 1966:192]. ამ იდიომაში შეცვლილია არსებითი სახელის რიცხვიც. ასეთ გამოთქმებში მრავლობითი ზ. ჰუმბურიძეს „უადგილო მრავლობითად“ მიაჩნია [ჰუმბურიძე, 1962:55]. შეიძლება „ხელების ჩამოშება“ იყოს კალკი რუსული გამოთქმისა Опустить руки.

კოსოვოში თუ არ გვიცნობდნენ ქართველებს, ავღანეთში ნამდვილად ემბსოვრებათ გიორგი XI, რომელიც 1500 შეფიციული ქართველით სპარსელთა სასარგებლოდ სისხლს აღავდა.

ერთმანეთში აურეციათ „სული“ და „სისხლი“.

პოლოტიკოსებისათვის ამ რიტორიკულ საკითხთან დაკავშირებით სამხედროები სხვა კომენტარებს აკეთებენ.

აქ ერთმანეთში არეული ჩანს პარონიმები: „საკითხი“ და „კითხვა“, „შეკითხვა“ შეიძლება აქაც რუსულის კალკი გვექონდეს: რუსულად ხომ „საკითხიც“ და „შეკითხვაც“ არს ဆирок. ქვემოთ დამოწმებულ წინადადებებში შეცვლილია ცნობილი გამონათქვამების ხაზგასმული კომპონენტები: ამაგი დასდო; შეუარაღებელი თვალით; მოთმინებიდან გამოსული; თავი გაქონდა; დიდი დავალი დასდო ამის გაკეთებას; შენიღბული თვალითაც დაინახვენი იმ უთანასწორო მაცრობას; ეს ოჯახები ბაღჩელის მოსავლით გვარიაანდ ფულს მოულობდნენ და ცხოვრება გაქონდათ.

ივეიათია იდიომში კომპონენტის დამატების შემთხვევა: რაულ კასტრო კუბის რევოლუციური იდეების ერთგულია და ამერიკაზე ფრთხილად თვალი უჭირავს.

მართალია, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში კომპონენტთა სინონიმური მონაცვლეობა, დამატება, დაკლება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ასეთი შეცვლილი ვარიანტები ენაში უკვე დამკვიდრებულია. ზემოთ განხილული სიტყვათშეხამებები კი არა.

მოსენებაში წარმოდგენილია ქართული პრესის ენაში შენიშნული გრამატიკული და ლექსიკური დარღვევების მხოლოდ მცირე ნაწილი (თითო-ორი მაგალითი სხვადასხვა შემთხვევაზე) უზუსტობა და შეცდომა სხვაგვარაა. ჩვენი მოპოვებული მასალა მკვლევართა მიერ განხილულ მასალას მიემატება.

#### ლიტერატურა:

1. გვიგინიძე ივ.: რესპუბლიკური პრესის ენობრივი ანალიზი // ქსპ. 2004. XII. 102-125.
2. ვანაძე ნ., ზოგიერთი რუსული პრეცედენტი ზმნის ქართულად გადმოცემის საშუალებანი. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ., 1980.
3. კალანდაძე ვ., დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში//ქსპ. III. 1980. 163-240.
4. ნეიშანი ალ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1961.
5. ონიანი ალ. ქართული იდიომები. გამომცემლობა „ნაკადული“. თბ., 1966.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1986. თბილისი.
7. ლინაძე თ. (1997): გაზეთის ენა//„საქართველოს რესპუბლიკა“. 20 ივნისი.
8. ჭუმბურიძე ზ. (1962): ქართული ენის ზუნებრიობის დასაცავად ქართულ თარგმანში//ქართული სალიტერატურო ენა და მწერლობა. 43-83.

Maia Baramidze

### Contemporary Georgian Press language and Literary Georgian

#### Abstract

The present paper classifies and analyses inaccuracies and errors of different character (morphological, syntactic, stylistic) noticed in contemporary Georgian press.

Decrease of verb affixes or their overuse, movement of prefixes, and instances of irrelevant use of grammatical forms for special contexts are described additionally.

Syntax deals with the wrong agreement of nouns, adjectives, numerals and pronouns in case and number; examples of the wrong agreement of a noun and verb; reduction or overuse of prepositions, their erroneous interchange; errors in the use of linkers, inaccuracies in a sentence construction.

The paper discloses broadly collocations that are semantically irrelevant and changes in traditional Georgian phraseological expressions.

ნომადი ბართაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ქართულ-აღმოსავლური ენობრივი ურთიერთობებიდან

ლოლნა, მულამი, სამაია

#### ლოლნა

ქართულ ენაში არის ზმნა ლოლნა, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში ასეა ახსნილი:

ლოლნა სახელი ლოლნის ზმნის მოქმედებისა.

ლოლნის – გაჭირვებით ჭამს საჭმელს (უკბილო ადამიანი ან პირუტყვი). || უმაღლოდ, უბალსოდ ჭამს. მღრ. ილოლნება, ლოლნა [ქ ე გ ლ 1986].

საიდან უნდა მოდიოდეს ლოლნა?

ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ შეტანილია ლექსიკური ერთეული ლოხმა, სადაც ის ასეა განმარტებული: „ლუკმა. ლოხმას უფრო უწოდებენ აქლემის საღებ ლუკმას; დროს გასატარებლად აქლემს ცოშს ჩაუდებენ პირში და აქლემიც ღეჭავს და არ კი ჰყლავს. ხშირად ადამიანი თუ უშნოდ ილუკმება, – ეტყვიან: კაცი, რა აქლემის ლოხმასავით ღეჭავ მაგ პურს, გაათავე და მორჩი რაღაო“ [გრიშაშვილი, 1997].

ი. გრიშაშვილის მიხედვით, ლოხმას ქართულში ორი მნიშვნელობა ჰქონია – ლუკმა და აქლემის საღები ლუკმა.

ეგრე ქართულში ლუკმას სემანტიკური დატვირთვისა და წარმომავლობის შესახებ:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ლუკმას ასე განმარტავს: ლუკმა – საჭმელი, შესაჭმელი; 2. გადატ. საზრდო, საკვები (ადამიანის) [ქ ე გ ლ 1966].

ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში ლუკმა განმარტებულია შემდეგი სახით: ლუკმა – ნატები, ნაჭერი, ულუფა: „ჰნებავს, რათამცა ტახლა გარდაგებული მრავალთაგან კეთილი, ერთ ლუკმადამცა შთაიდევს“ მ. ცხ. 126მ [აბულაძე, 1973].

არაბულში არის ლექსიკური ერთეული ლუქ [lukma] შემდეგი მნიშვნელობებით: 1. პატარა ნაჭერი; ლუქმა; 2. წერი (რადიკის) [ბარანოვი, 1957], რომელიც შესულია სპარსულ ლუქ [loqma:ē] [მოინი, 1375] და თურქულ ენებში [lokma] [თურქ.-რუს. ლექსიკონი 1977].

ასევე ლუქ [lokma], ფორმით ლუკმა (<- ლოკმა), არაბულიდან შემოსულია ქართულ ენაში, რასაც კ [ლუქა] თანხმოვნის ქართულში კ თანხმოვნად გადმოსვლა ადასტურებს.

ახლა კი ლოხმასთან დაკავშირებით:

როგორც „ქალაქურ ლექსიკონში“ ვნახეთ, ლოხმა შინაარსობრივად არის იგივე ლუკმა. მიუხედავად, მათი გარეგნული მსგავსებისა, ლუკმა არ წარმოადგენს ლოხმას ფონეტიკურ ვარიანტს. მისი ფონეტიკური ვარიანტი შეიძლება იყოს ლოყმა.

ლოყმა, რომელსაც ქართული ლექსიკონები არ იცნობს, არაბული ლოკმას სპარსული ფორმაა.

რადგან ქართულში გვაქვს სიტყვა ლოხმა, სავარაუდოა, გვექონოდა არაბული ლოკმას სპარსული ფორმა – ლოყმა. არაბული კ (კ) თანხმოვანი ხომ სპარსულში კ (ყ) თანხმოვნად გადადის.

რაც შეეხება ლოყმადან ლოხმას მიღებას, იგი მოხდებოდა ყრუ ნაპრალოვანთა (ყ/ღ) მონაცვლეობით.

მთლიანი ფონეტიკური პროცესი კი ასეთი იქნებოდა:

ლოყმა → ლოხმა → ლოღმა → ლოღნა.

ამგვარად, ქართულ ზმნა ლოღნა მომდინარე ჩანს არაბული ლოკმა-ს სპარსული ფორმიდან – ლოყმა.

### მულამი

ქართულ ლექსიკონებში ლექსება მულამ-ის მნიშვნელობებია:

მულამი – (იმერ.) საიდუმლოება [დლონტი 1984];

მულამი – საიდუმლოება, [ზერიძე 1986].

მულამა (მუჰამმა) გამოცანა. საიდუმლოება. ჰანგის სახელია სპარსულად [გრიშაშვილი 1997];

საიდან მომდინარეობს მულამი?

არაბულ ენაში არის ლექსემა **عام** [mu'amma]. მისი მნიშვნელობებია: 1. უცნაური, გამოსაცნობი; 2. გამოცანა; თავსატეხი [ზარანოვი 1957];

ანალოგიური ფორმითა და შინაარსით ეს სიტყვა შესულია სპარსულსა (**عام** [mo'mma]) და თურქულ ენებში (muamma).

ჩვენთვის საინტერესო სიტყვას აღმოსავლურ ლიტერატურაში სხვა შინაარსობრივი დატვირთვაც გააჩნია, მაგალითად, სპარსული ლიტერატურათმცოდნეობის ლექსიკონში ვკითხულობთ: ბევრმა პოეტმა მოცამებით ისე გაითქვა სახელი, რომ იგი ლაყბად – მეტსახელადაც კი აულია (ანვარი, ჯამი...) [ფარჰანგანე 1381].

ქართული მულაში მომდინარე ჩანს არაბული სიტყვიდან **عام** [mu'amma].

ვინაიდან ლექსემა მულაში // მუჰამმა არ დასტურდება ქართულ წერილობით ძეგლებში და გვიანდელ ნასესხობას წარმოადგენს, იგი ქართულში სპარსული ან თურქული გზით უნდა შემოსულიყო.

ფონეტიკური გზა ასეთი იქნებოდა: მოცამმა → მოცამა → მუცამა → მუჰამა → მულამა → მულაში.

აღნიშნავთ, რომ მულაში-ს ი. გრიშაშვილისეული განმარტება – „ჰანგის სახელია სპარსულად“ ჩვენ ხელთ არსებულ სპარსულ თუ სხვა ლექსიკონებში ვერ დაეკადსტურეთ. ამდენად, იგი ქართულ ნიდაგზე შეძენილი სემანტიკური დატვირთვა ჩანს.

#### სამაია

ეს სიტყვა ქართულ ლექსიკონებში განმარტებულია ასე:

სამაია – ქალების ფერხული [ქ ე გ ლ];

სამაია –ქალთ ფერხისი, ანუ ფერხული ვაჟთა და სამაია ქალთა [ჩუბინაშვილი 1961];

სამაია „სპარსულად ჰანგის სახელია. სამაია არის აგრეთვე ცეკვა, როკვა: სპარსული ლექსწეობის ერთგვარი ჰანგია 2. სამაია – ცეკვა, ფერხული, შუჰროზა [გრინაშვილი 1997].

სამაია ფორმით სამა, შეტანილია საბას „სიტყვის კონასა“ და ალ. ლლონტის „ქართულ-კილო-თქმათა ლექსიკონში“ შემდეგი განმარტებებით: სამა – როკვა, შუჰარაი [ორბელიანი 1993];

სამა –(ზ. აქარ., იმერხ.) ცეკვა [დლონტი 1984].

ახლა იმის შესახებ, თუ საიდან უნდა მოდიოდეს ტერმინი სამაია // სამა.

არაბულ ენაში არის სიტყვა **عام** [sama], რომლის მნიშვნელობებია: მოსმენა; 2. პარმონია, კეთილბოჟანგება [ზარანოვი 1957].

ანალოგიური ფორმითა და შინაარსით ეს სიტყვა შესულია სპარსულ ენაში, ხოლო მცირე ფონეტიკური ცვლილებით – თურქულში [sema] ხთურქ-რუს. ლექსიკონი 1977].

**عام** [sama'] სუფიური ტერმინია და გარდა ზემოთმოყვანილი განმარტებებისა, ნიშნავს დერვიშთა ლოცვას და ცეკვას მუსიკისა და სიმღერის თანხლებით [მოინი 1382].

რაც შეეხება **عام** [sama]-ს ქართულში შემოსვლის გზას:

რამდენადაც დერვიშული მოძრაობა საქართველოში სპარსულ-მუსლიმურ სამყაროსთან არის დაკავშირებული და, ამავე დროს, ქართული სამა ფონეტიკურად იდენტურია არაბულ-სპარსული ლექსემისა **عام** [sama'], შესაბამისად, აღნიშნული ტერმინიც ქართულში სპარსული გზით შემოსულად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ქართული ლექსიკონებიდან ჩანს, დერვიშთა მისტიკური ცეკვა სამა // სამაია, ქართულში ტრანსფორმირებულა ქალთა ცეკვად.

სავარაუდოა, **عسا** [samaʔ]-ს შემთხვევითმა ფონეტიკურმა თანხვედრამ ქართულ რიცხვით სახელთან სამი განსაზღვრა ქალთა რაოდენობა ეცკვაში და, შესაბამისად, ქართულმა ქორეოგრაფიამ შეიძინა ეცკვა სამაია.

**ლიტერატურა:**

1. აბულაძე 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
2. ბარანოვი 1957 - X. Баранов, Арабско-русский словарь, Москва, 1957.
3. ბერიძე 1986 - ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, თბილისი, 1986.
4. გრიშაშვილი 1997 - ი. გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, გამოსაცემად მოამზადა რ. კუხრაშვილმა, თბილისი, 1997.
5. თურქ.- რუს. ლექსიკონი 1977 - Турецко-русский словарь, Москва, 1977;
6. მოინი - 1375, عمده معین، فرهنگ فارسی، تهران،
7. ორბელიანი 1993 - ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1993.
8. ფარჰანგნაშე 1381 - فرهنگنامه ادبی فارسی، تهران،
9. ქ ე ლ 1986 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.
10. დლონტი 1984 - ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.
11. ჩუბინაშვილი 1961 - ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.

**Nomadi Bartaia**

**From Georgia-Oriental Linguistic Relations**  
**Loyna, muyami, samaia**  
**(Abstract)**

Words existing in Georgian Language: Loyna, muyami and samaia // sama, take their origin from the following Arabic words: لكمة [lokma], أمّی [mu'amma] and عسا [samaʔ], from those it seems that لكمة [lokma] is introduced through Arab but أمّی [mu'amma] and عسا [samaʔ] are introduced through Persian language into Georgian.

**მანანა ბაქრაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტების როლი უცხოენოვანი ტექსტის სრულყოფილი გაგებისათვის**

უცხო ენის შესწავლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ლიტერატურული ტექსტის გაგება წარმოადგენს. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: რას ნიშნავს საერთოდ ლიტერატურული ტექსტის გაგება? რა უნდა იქნას გაგებულის? რა წინაპირობებს საჭიროებს მკითხველი ტექსტის გასაგებად?

ყველა კულტურას განსაზღვრული შინაარსის გადმოსაცემად გამოხატვის საკუთარი ფორმა და სიგნალი გააჩნია: მათ შორის ენობრივი და არაენობრივი. ხშირად ლიტერატურული ტექსტის აღქმისას მისი ესთეტიკურობაცაა ხაზგასასმელი, რაც, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ტექსტის დამახასიათებელი ნიშანია. უცხოენოვანი მკითხველისათვის მნიშვნელოვანია იმ ენობრივი საშუალებებისა და მეთოდების გაანალიზება, თუ რას იყენებს ავტორი ამა თუ იმ ტექსტის გადმოსაცემად: როგორია ისინი აღსაქმელად? მარტივი, რთული, ესთეტიკურად მიმზიდველი? და შესაბამისად, როგორ მოქმედებს ეს ყველაფერი მკითხველზე? გვხვდება თუ არა მსგავსი საშუალებები ჩვენს მშობლიურენოვან ტექსტებში? ამათ განვკუთვნებთ სტილისტური საშუალებები, რომლებიც როგორც რომელიმე ავტორისთვისაა დამახასიათებელი, ასევე ზოგადიცაა:

სიტყვათა არჩევა, წინადადებების წყობა და მეტაფორები, თუ როგორ აღწერენ ისინი გადმოსაცემ ამბავს, როგორია მათი ახსნა-განმარტებები და ფუნქციები თხრობისას.

წერალი შესაბამისი სიტუაციებისა და პერსონაჟების დასახასიათებლად მკითხველისათვის მისაღებ სიგნალებს იყენებს, როგორცაა ცხოვრებისეული წეს-ჩვეულებანი, სალაპარაკო ფორმები და ენა, რაც ხშირ შემთხვევაში უცხოენოვანი მკითხველისათვის კულტურული განსხვავებულობის გამო გაუგებარი და უცხობა.

ამ დროს ტექსტის სრულყოფილი გაგებისათვის აუცილებელია ლინგვისტიკაში ახალი პარადიგმის *ლინგვოკულტუროლოგიის* გამოყენება.

ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა – თუკი მისი ფორმირების პროცესს და კონცეპტუალურ სტრუქტურას ლინგვისტის თვალთ შევხედავთ – უშუალოდ „მოსდევს“ ანთროპოცენტრიკულ-კომუნიკაციურ პარადიგმას და, შეიძლება ითქვას, წარმომობილია კიდევ მის წიაღში. ალბათ, სწორედ ამითაც იხსნება იმ ფუნდამენტურ კითხვათა ხასიათიც, რომლებზეც პასუხი უნდა გასცეს ლინგვოკულტუროლოგიამ. დ. გუდკოვი იძლევა ამ კითხვათა შემდგენარ ფორმულირებას:

1. რა გავლენას ახდენს კულტურის თავისებურებანი ენაზე და მის გამოყენებაზე?
2. და პირიქით: როგორ ავლენს ენა კულტურის პარამეტრებს და როგორ ახდენს მათ ფორმირებას?
3. სად უნდა ვეძებოთ კულტურათმორისი კონტაქტების დროს „დაძაბულობის ზონები“? [Гуаია, 2003].

ამ კითხვებზე პასუხის გაცემის კონცეპტუალურ წინაპირობად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ნოვაციები ლინგვისტურ, უფრო კონკრეტულად ლინგვოკულტუროლოგიურ აზროვნებაში: „კომუნიკაციური კომპეტენციის განუყოფელ მომენტს წარმოადგენს კულტურული კომპეტენცია“ [Гуаია, 2003]. ამიტომ ითვლება, რომ „რომელიმე ენის მატარებელთან წარმატებული ურთიერთობისათვის არ არის საკმარისი საკუთარი ვერბალური კოდის (ე.ი. ენის) ცოდნა, აუცილებელია იმის ათვისებაც, რაც განეკუთვნება კულტურის არავერბალურ ასპექტებს“.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის უეჭველი ფაქტიც, რომ ლინგვისტური აზროვნების ანთროპოცენტრიკულ-კომუნიკაციური პარადიგმა არ წარმოადგენს იზოლირებულ ფაქტს: იგი მეოცე საუკუნის ლინგვისტიკის განუყოფელი ნაწილია და ეს მისი განუყოფლობა გამოიხატება იმაშიც, რომ იგი არ უნდა განვიხილოთ როგორც წინა, ანუ სისტემურ-სემიოტიკური, პარადიგმის უბრალო უარყოფა: „ლინგვისტური აზროვნების ყოველი შემდეგი ეტაპი არ არის წინა პარადიგმის უშუალო უარყოფა, იგი ჩვეულებრივად გულისხმობს მას როგორც თავის წინამძღვარს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კომუნიკაციური პარადიგმა ცდილობს მოახდინოს ყველა წინმძღვარი პარადიგმების სინთეზი“ [ლუზანიძე, 2004, 214-215].

ლინგვოკულტუროლოგიაც თავის ლინგვისტურ განზომილებაში უნდა ატარებდეს სინთეზურ ხასიათს. ამდენად, ამოსავალი და ფუძემდებელი უნდა იყოს შემდეგი მომენტი: ლინგვოკულტუროლოგია თავისი კონცეპტუალურ-პრობლემური სტრუქტურით უნდა პასუხობდეს თვით ამ ტერმინის („ლინგვოკულტუროლოგია“) როგორც კომპოზიტის შიდა ფორმის სტრუქტურას და, შესაბამისად, ერთნაირად უნდა ითვალისწინებდეს როგორც ლინგვისტიკის, ისე კულტუროლოგიის მიღწევებსა და ინტერესებს. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: და მაინც რა არის კულტურა?

მიუხედავად კულტუროლოგიური კვლევის მაღალი სტატუსისა, დღემდე არ არსებობს კულტურის რომელიმე ერთი და ყველასათვის მისაღები განსაზღვრა. საკმარისია ითქვას, რომ კულტუროლოგ პ.გურევიჩის მონაცემებით „დღეისთვის არსებობს კულტურის ოთხასზე მეტი განსაზღვრა“ [Гуаია, 2004:8]. საინტერესოა ისიც,

რომ ავტორი ცდილობს დაასახელოს კიდევ კულტურის განმარტების მცდელობათა ამგვარი მრავალფეროვნება. მისი აზრით, ამ მრავალფეროვნების უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ „კულტურა გამოხატავს ადამიანთა ყოფის სიღრმესა და განუზომლობას...“ იგი თვლის, რომ „ჩვენ არ უნდა დაგვახნიოს კულტურის განსაზღვრის ასეთმა სიმრავლემ. ყოველი მკვლევარი ყურადღებას აქცევს ამ ფენომენის რომელიმე ერთ მხარეს“ (იქვე).

კულტუროლოგ ბ. კონონენკოს აზრით: „კულტურა არის ადამიანური არსებობისა და ადამიანურ ქმედებათა ორგანიზაციისა და განვითარების ისეთი სპეციფიკური მოდუსი, რომელიც წარმოდგენილია მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის პროდუქტებში, სოციალურ ნორმათა და წესებთა სისტემაში, სოციალურ ღირებულებებში და იმ დამოკიდებულებათა ერთობლიობაში, რომლებიც გააჩნიათ ადამიანებს ბუნების მიმართ, ერთი მეორის მიმართ და საკუთარი თავის მიმართ“ [Кохоненко, 2003:26].

ჩვენი სურათი სხვა კულტურული სფეროს შესახებ შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: დრო, რომელიც ყოველდღიურობას ყოფს; ადგილები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ და მოქმედებენ; გზები, რომლებიც აქედან იქით მიემართება; სოციალური ნორმები, რომლებიც გვაწყვებენ, თუ რა არის საზოგადოებაში დაშვებული ან აკრძალული. ასეთ სურათებს განეკუთვნება არა მარტო ადგილების, ადამიანებისა და ტიპური დამოკიდებულებების აღნიშვნა, არამედ ქალაქების სიმბოლოებიც (ციფრის კოდი, კიოლნის ტაძარი), საკუთარი სახელები (სისი, მეფე ლუდვიგი), ლანდშაფტი და პროდუქტები, როგორცაა: ვენა, ან ავტომარკები: ბმე და ტოიოტა. რადგანაც ჩვენ ხშირად არ გვაქვს პირდაპირი და უშუალო კონტაქტი ან გამოცდილება სხვა კულტურის ადამიანებთან ურთიერთობისა და უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მასმედისაგან მიღებული არაზუსტი და ნაწყვეტი ინფორმაციები გაგვაჩნია, ამიტომ ჩვენს თავში „რედუცირებული სურათები“ იკიდებს ფეხს. ეს სურათები კი ადვილად მკვიდრდება სტერეოტიპებად.

ცნება „სტერეოტიპი“ ზუსტად არ არის განსაზღვრული. შემეცნებითი ფსიქოლოგია მას განიხილავს როგორც „განზოგადების პროცესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს და ინფორმაციის გადამუშავების პროცესის გამოხატულებას“ ადამიანებს არ შეუძლიათ ყოველთვის ახლებურად აღიქვან გარე სამყარო; შენარჩუნდება ერთხელ აღმოჩენილი სტრუქტურები. „ჩვენი აღქმისა და განსჯის პროცესები განსაზღვრება სქემატიზებული წარმოდგენების შინაარსით, რომელიც ჩვენ სამყაროში საგნებზე გავაჩნია. იმის დასაწევრებლად და ხელმისაწვდომად გასახდომად, რაც ჩვენ გარს გვაკრავს, აუცილებელია განსაზღვრული კომპლექსების შემცირება, იმისა, რასაც სტერეოტიპებამდე მივყავართ. მათი საშუალებით შესაძლებელია წარმოდგენებისა და შეხედულებების აბსტრაქტიზება, შემცირება, გაადვილება და სისტემატიზაცია. სტერეოტიპები იქმნება არა შესაფასებელ მასალათა ნაკრების საფუძველზე, არამედ იგი ემყარება გენერალიზებას, დამახინჯებულ შეფასებებს, არალოგიკურ აღნიშვნებს, უხემ გამარტივებებს, გადაჭარბებულობებს, ჭორებს, განსჯისა და შეფასებების გაუაზრებელ გადაცემას, ანეკდოტების, ხუმრობებისა და კურიოზების მოყოლას და ა. შ.“ (6,15) სტერეოტიპები არის ის, რაც ადამიანს ეხმარება გარე სამყაროს უკეთ და, რაც მთვარია, მარტივ აღქმაში.

„დღევანდელი მეცნიერების აზრით, ძირითადად და ყოველთვის სტერეოტიპებით ფიქრობენ: სტერეოტიპები ყველას ფიქრის სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს. ვისაც სურს იმის გაგება, თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები და როგორ მოქმედებენ თავიანთი ფიქრების შესაბამისად, უნდა იცნობდნენ, ან უნდა გაეცნონ სტერეოტიპებს.



სტრუქტურების კვლევა ამასთანავე ლინგვისტურ დავალებასაც წარმოადგენს, როცა ისინი ამავდროულად მნიშვნელობებადაც განიხილებიან” [Fehrmann, 2002 363].

ეს ჩვენ გვეხმარება ორიენტირება მოვახდინოთ სხვა ადამიანებსა და მათ კულტურაზე; ისინი მყარია და შესაბამისად გვიხმობენ სხვა კულტურასთან მისასვლელს, რითაც იწვევენ კომუნიკაციისას გაუგებრობებსა და პრობლემებს. ისინი ძლიერი ემოციებითაა შეფერილი და შეიცავენ ნათლად გამოხატულ შეფასებებს. მათი უმრავლესობა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ფუნქციას ატარებს და, რადგანაც მათ ისტორიულ ფუძეში აქვთ ფესვები გადგმული და კულტურულად ვითარდებიან, მათი აღმოფხვრა არც ისე ადვილია.

დიდაქტიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მყარი წარმოდგენების მოდფიცირება და სულ მცირე ცრურწმენების გაენობიერება მაინც, რითაც სხვასთან უკეთესი ურთიერთგაგება დამყარდეს. სხვა კულტურის და მისი ხალხის სურათები ხშირად ლიტერატურის მთავარ თემასაც წარმოადგენს: ისე, რომ სწავლება ლიტერატურული ტექსტების საშუალებით უფრო მგრძობიარე ხდება. იმ ადგილებში, სადაც ტექსტი სპეციფიურ საზოგადოებრივ კონტექსტებზე და მათში გამოილილი განმარტებების ნიშნულებზე და ფასეულობათა ორიენტაციებზე მიუთითებს, იწვევს მკითხველის პოზიციის განსაზღვრას. მკითხველის სამყაროს ახასიათებს. ხშირად იწლება ეს საზღვრები „საკუთრას“ და „უცხოს“ შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლიტერატურაში ისეთ თემებზეა საუბარი, როგორცაა მაგ. სიყვარული, სიკვდილი და ერთგულება. ასევე ეს ეხება ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებასაც, რაც კულტურული განსხვავებულობის მიუხედავად მაინც გასაგებია. მაგრამ კულტურული დისტანციის გამოხატვისას ტექსტი უცხოენოვანი მკითხველისათვის გამოდის როგორც უცხო.

ის, რაც ტექსტში უცხოა, ყოველთვის პირველსავე შეხედვით არ შეიცნობა. უცხოენოვანი ტექსტის გაგების მთავარი მიზანი ისაა, რომ ტექსტის განსხვავებულობა გაიგონ; ეს იწვევს უცხოენოვან მკითხველში მიმდინარე შეხედულებების ცვლას, რომელშიც იგი დისტანციას იცავს თავის თავთან და მის სამყაროსთან, რათა ტექსტის „სხვა“ სამყარო თანდათანობით საკუთარი თვალთახედვიდან გადაამუშაოს. იმისათვის, რომ უცხო ენის შემსწავლელი ტექსტის სიღრმისეული გაგებისაკენ მივმართოთ, უნდა ვიცოდეთ, თუ რა გაიგეს მათ, როგორ გეზულობენ, რას ვერ გეზულობენ, რას ხედავენ, ან რას ვერ ხედავენ. ამ ყველაფრის შემოწმება კი ადვილად შესაძლებელია კითხვების საშუალებით, რომლებიც უზღოვებსა მათი მხრიდან მოდიოდეს, ხოლო ჩვენის მხრივ:

1. იმის დასადგენად, თუ რა გაიგეს უნდა მოხდეს მისი ზეპირი ან წერილობითი გადმოცემა;

2. იმ შემთხვევაში, როცა ვერ გაიგეს ის, რისი გაგება და ცოდნა სასურველია, მათ ნაბიჯ-ნაბიჯ და თანდათანობით უნდა მიეწოდოს ინფორმაციები, რაც მათ ხელს შეუწყობს ტექსტის აღქმაში. მაგრამ, რაც უმნიშვნელოვანესია ენის შემსწავლელთა უნარების განვითარებისათვის: თვალსაზრისის ცვლა, ფიქსირებული განწყობა-დამოკიდებულებების შეცვლა, ახალი ასპექტების გათვალისწინება, მათი შეფასება და ინტეგრირება და უკვე შეფასებული ასპექტების განხილვა ახალი კუთხით.

უცხო კულტურაში შეღწევა შედეგად მოჰყვება წინააღმდეგობა საკუთარ და უცხო სურათებს შორის, რაც ხშირად შეხედულებების შეცვლასაც იწვევს. ამიტომ აუცილებელია დიდი ყურადღება და დრო დაეთმოს ცრურწმენების აღმოფხვრას, განვითარდეს უნა-ჩვევები, რათა მიღებული და განხილული იქნას სხვა ადამიანებისა და მათი კულტურის თვალთახედვა ცრურწმენების გარეშე.

ეს ყველაფერი კი მეტად მოსახერხებელია ლიტერატურული ტექსტების საფუძველზე, რადგან მკითხველის გამოცდილება თავისთავად გამოიხატება კონკრეტული

ისტორიების, სურათებისა და უცხო სფეროს შესახებ. ისინი ქმნიან ბაზის, რათა უკეთესად შეისწავლონ თავიანთი პოზიციებისა და შეხედულებების შეცვლა მას შემდეგ, რაც საკუთარი აქვთ კარგად გააზრებული და შეცნობილი.

### ლიტერატურა:

1. ლუბანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. „ენა და კულტურა“. თბ., 2004.
2. Blei D., Theorie und Praxis interkultureller Landeskunde im Deutschen als Fremdsprache AKS Verlag, Bochum, 1998.
3. Fehrmann G., Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. Romanistischer Verlag, Bonn, 2002.
4. Helmig, B/Wackwitz G. *Literatur im Deutschunterricht am Beispiel von narrativen Texten*. Goethe-Institut, München, 1986
5. Kast B. *Literatur im Unterricht – methodisch-didaktische Vorschläge für Lehrer*. Goethe-Institut, München, 1984.
6. Löschmann, Stroinska., Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. Bonn, 1998.
7. Rauscher K., Kultur im Fremdsprachenunterricht. Wien, 2002.
8. Thomas M., *Bilder im Kopf. Handbuch interkulturelle Germanistik*. Stuttgart, 1998.
9. Гудков Д., Теория и практика межкультурной коммуникации. «Гнозис». Москва, 2003.
10. Гуревич П., *Культурология*. «Гнозис». Москва, 2004
11. Копоненко Б., *Большой толковый словарь по культурологии*. «Гнозис». Москва, 2003.

Manana Bakradze

### *The Role of Lingvo-Culturological Aspects in a Complete Understanding of a Foreign Text*

#### Abstract

Presented article discusses one of the main goals of language study \_ understanding a literary text. However, the questions are posed: What is the exact meaning of *understanding* a literary text? What is to be understood? What are the necessary prerequisites for a reader to understand a text?

We all have imaginary pictures about other cultures and peoples. These pictures often have long histories and are not always conceptualized. Realization of the picture takes place when we feel adequately to the indicated picture.

Every culture has its own forms and signals to express certain contents: linguistic and non-linguistic means. In most cases a foreign reader finds these forms incomprehensible and unfamiliar due to cultural differences. For a complete understanding of a text it is necessary to use a new paradigm \_ *lingvoculturology* in linguistics. According to its conceptual-problematic structure it meets not only the structure of the internal form of the composite but the achievements and interests of culturology as well.

### დალი ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

„მეხსიერება“ როგორც დესკრიფციულ-ანალიზური კატეგორია და მისი საზოგადოებრივ-კულტურული ტრანსფორმაციები

„მეხსიერების“ თეორიულმა კონცეფციამ ბოლო წლებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია, ხოლო პოლიტოლოგიისა და კულტუროლოგიის გადამკვეთ სივრცეში ჰეგემონური ადგილი დაიკავა. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე იგია კულტუროლოგიის წამყვან ცნებად მიიჩნის [Assman, 2002: 27-45] და „მეხსიერების მსოფლიო მასშტაბის კონიუნქტურაზე“. „კონფლიქტებით აღსავსე, მგზნებარე,

ზოგჯერ იძულებით თავსმოხვეულ ეპოქალურ მებსიერებაზე“ დაიწყეს საუბარი. [Nora, 2002: 18]. „მებსიერების“ ზუმი დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საზოგადოების პრაქტიკული მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში (მეცნიერებაში, პოლიტიკაში, კულტურაში და ა.შ.) და იგი თანამედროვე აზროვნების ეროზიის ინდიკატორად გამოცხადდა (აზროვნების ეროზიაში იგულისხმება გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით მებსიერებაში მინაწეული სახეების, ფიგურების, საგნების, მოვლენების მოხმობა-ამოტივტივება). წარსულის ჰერეტა სწორედაც რომ შოაფლობედველობრივი პოზიციის ჩამოყალიბების ძირითადი ინდიკატორია: „მებსიერების“ გამოწვევა უმეტესად სოციალური კოლექტივის კრიტიკულ ან აფირმატიულ (დამადასტურებელი, თანხმობის) პოზიციის გამოსახატავადა ხდება. ძალზე პოპულარულია „მებსიერება“, როგორც პოლიტიკური კატეგორია, მაგრამ ჩვენ მას არ შეეხებით ანგლო-ამერიკულ „კულტურულ შტუდიებში“ მებსიერების კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური საკითხები ერთობლივ განიხილება. გერმანულენოვანი კულტურული კონცეფციები ძირითადად არაპოლიტიკურია.

ჩვენი გვიანტერესებს „მებსიერება“ როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თეორიაში ჩამოყალიბებული დესკრიფციულ-ანალიზური კატეგორია, ენის მებსიერებაში დაუნჯებელი და საზოგადოებრივ-კულტურული ტრანსფორმაციებით განპირობებული, ეს კვლევის ახალი პერსპექტივებია. პოლიტიკური კულტურის „მებსიერებისგან“ განსხვავებით, რომლისთვისაც უპირველესია საზოგადოების მორალურ-ეთიკური ნორმების ჩამოყალიბება, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საკვლევი „მებსიერება“ დაინტერესებულია „მებსიერების“ კულტურული ფორმებით, რომლის საშუალებით ხდება წარსულში აკუმულირებული ცოდნის თაობებზე გადაცემა. საზოგადოების კოლექტიური მებსიერება ინტერაქციული პროცესია და საშუალებას იძლევა თანამედროვეების გადასახედიდან მოგახდინოთ წარსულის რეკონსტრუქცია. ამან განაპირობა „მებსიერების“, როგორც დესკრიფციულ-ანალიზური კატეგორიის ჩამოყალიბება. იგი ისეთი თანამედროვე დისკურსია, სადაც ყოველგვარი მსჯელობა ხალხის მიერ შექმნილ სულიერ საუნჯეზე ლეგიტიმურია და ხელს უწყობს „მებსიერების“ სურათების ნორმალიზებას, გაგება-წედომას, ეროვნულ წარსულთან რეფლექსურ დამოკიდებულებას. მებსიერებას თავისი პარადიგმები აქვს [Gerbeil, 2003:17]. „მებსიერება“ ინტერდისციპლინარული კვლევის საგანია: ისტორიის, ლიტერატურის, კინო-ფოტოხელოვნების, კომუნიკაციური მეცნიერული დარგის, ფილოსოფიის და, რაც მთავარია, ენის – ენობრივი მარაგის (თავისი სისტემებითა და სუბსისტემებით). კვლევის ინტერდისციპლინარული ბადე ორმხრივადაა ყურადსაღები:

– როგორ ხდება სხვადასხვა საზოგადოებაში წარსულის სურათების „ენაში“ ტრანსფორმირება?

– მებსიერებით დისკურსში მიმდინარე ცვლილებები როგორ აღიქმება საზოგადოების მიერ? თანაც მებსიერებითი ნარატივის ცვლილებები ეხება არა მარტო დომინანტურ ცნებებს/საგნებს/მოვლენებს, არამედ ე.წ. „მდუმარე ადგილებს“ – ტაბუს. გერმანული და ქართული ენების დღევანდელი სინამდვილე, მაგალითად, გვიჩვენებს „ტაბუახსნილ დისკურსებს“, აზროვნების შეუზღუდავ გაქანებას, როდესაც საჯაროდ ითქმება და იწერება ყველაფერი, რასაც ადრე ტაბუ ედო ან დუმბილით გვერდს უვლიდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ქართული ენის დინამიკური პროცესი. თუ გერმანულ ენაში მოჭარბებული ტაბუახსნილი ანგლიციზმები ზეობს, ქართულში სკაბრუზული ლექსიკა ბატონობს. თუ გერმანული ლინგვოკულტურული „მებსიერება“ ევროპის არეალს მოიცავს, იგივე

ქართული „მეხსიერება“ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის არეალშია დავანებული. ორივე ხალხის მეხსიერება დიაქრონული სტრუქტურისაა, მაგრამ სინქრონულად ყოველ წუთს შესაძლებელია მისი აქტუალიზება, წარსულის აზროვნებითი კონსტრუირება. ამ პროცესში არ გამოირჩევა ვარიანტები, გადახვევები, მუტაციები და ზოგჯერ მარცხივ კი. ერთი რამ ცხადია, „მეხსიერება“ ისტორიულ მასალათა ქვევრი როდია, რომელშიც ისტორიული რეალობაა დაკონსერვებული: ჩაყოფ მივ ხელს და რომელი მოვლენაც გინდა, იმას ამოიღებ. „მეხსიერებასთან“ დამოკიდებულება, საზოგადოების სინქრონული ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი კომპლექსური სტრატეგიებით კონსტრუქციული უნდა იყოს, და არა ბიპოლარული დიქოტომია „მოგონება“ – „დავიწყებისა“. ეს უნდა იყოს სოციალურ საზოგადოებაში პერმანენტულად მიმდინარე წარსულის ახლებურად დაწერის ან გადაწერის პროცესი, წარსულის გენერირება და ტრანსფორმირება.

მეხსიერებითი ტექსტი სამგანზომილებიანია. იგი მოიცავს: თავისი ეპოქის ინტრაკულტურულ მდგომარეობას (1), ინტერკულტურულ მიმამართებებს (2) და პრაგმატიკულ სისტემას (3). ეს არის კულტურული ტექსტის სინქრონული ხედვა, რომლის დესკრიფციაც ტექსტის კულტურული კომპეტენციის ასახსნელად, საკმარისი უნდა იყოს. მაგრამ მეხსიერებაში თავმოყრილი ცოდნის დიაქრონული სისტემა ისეთ ინტრაკულტურულ ზადეს ქსოვს, რომელშიც კულტურათა დიფერენცირებული ნიშნები და ამ ნიშანთა მნიშვნელობები ენის პრაგმატიკულ პრიზმაში გარდაისახება [Coulmiss, 1991:1-45]. ტექსტის ლინგვისტიკურ რეფლექსიაში მოცემულია ენის კულტურა, მისი ინტენსიონალური და ექსტენსიონალური საზღვრები, ვერბალური და კომუნიკაციური ქმედების ლინგვისტიკური გაგება და ა.შ. [Warnke, 2001:243]. ტექსტში ენობრივი ქმედების პრაგმატიკული ახსნისათვის ჩვენ დავეყრდნობთ ბარბარა ზანდიგისა და იოხენ რებანის კონცეფციებს, რომლებიც ტექსტის ლინგვისტიკაში პოპულარულია [Sandig, 1986:173; Rehbein, 1977: 182] და ტექსტის სტადიალურ ენობრივ შემოქმედებით პროცესს ასახავს: ეს საფეხურებია:

1) უშუალო წინაპირობა, პრეისტორია, რამაც განაპირობა მეხსიერებითი ფაქტების აქტუალიზაცია. ეს მეხსიერებითი ფაქტები შემდგომი მოქმედების კონტექსტია. 2) სიტუაციის შეფასება; 3) მოტივაცია; 4) მიზანი; 5) სამოქმედო გეგმა; 6) შესრულების საფეხური; 7) ქმედების შედეგი; 8) საბოლოო სახე.

პირველი ოთხი საფეხური გარეენობრივი სისტემის სფეროა. მეხუთე საფეხურზე ჩნდება ინდივიდი, მოქმედი პირი, რომელიც ირჩევს ენობრივ საშუალებებს, ტექსტის სახეობებსა და მათ სტილისტიკურ ორგანიზაციას. VI-VIII საფეხურები შემოქმედებითი პროცესია. პრაგმატიკული სისტემის კულტურული საციფიკა ტექსტის გეგმის შედგენასა და კომუნიკაციურ საშუალებათა შერჩევაში ჩნდება. ენობრივი ქმედების კულტურული თავისებურებები და ტექსტის კულტურული დეტერმინაცია აყალიბებს ტექსტურ კულტურას.

ინტერკულტურული კომუნიკაცია ენობრივი კონტაქტების ერთ-ერთი ფორმაა, კერძოდ პრაგმატიკულ სისტემათა კონტაქტია. პრაგმატიკული სისტემა კულტურაში არ შედის. არსებობს ენობრივი ქმედების უნივერსალური სტრუქტურები. რებანი ამბობს, რომ ყოველი კონკრეტული ქმედება დაკავშირებულია კონტექსტის განმპირობებელ საციფიკურ სიტუაციასთან და შერწყმულია მიზანთან და მოტივაციასთან. ყოველივე ზემოთქმული არც პრაგმატიკის და არც ინტერკულტურული ტრანსფერის საგანი არ არის.

თანამედროვე ეპოქის მრავალმხრივი კონტაქტები სხვათა კულტურის ღრმა ცოდნას მოითხოვს. კულტურის შესწავლის ჩვენთვის საინტერესო სიბრტყე უცხო

ენასთანაა დაკავშირებული. უცხო ენა ინტერკულტურული კომუნიკაციის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმია [Erhardt, 2003 :139]. ცხადია, ინტერკულტურული კომუნიკაცია შესაძლებელია უცხო ენის გარეშე (მაგ.: პორტუგალიელი და ბრაზილიელი ორი სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენელია, მაგრამ ერთ ენაზე საუბრობენ). ინტერკულტურულ კომუნიკაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენობრივი კომპეტენცია. დედაენაზე მოსაუბრის ენობრივი ცოდნა ფარ-თოა და საკომუნიკაციო სიტუაციაში წამყვანი პოზიცია უჭირავს. ორი ენის ენობ-რივი კომპეტენციის ტოლფარდობა 1:1 არ უდრის. ხდება ისეც, რომ ზოგიერთი კულტურისათვის განსაკუთრებით რელევანტურ კატეგორიებს მეორე კულტურაში არაერთი მნიშვნელობა არ ენიჭება ან სულაც ენობრივი სახელდებაც კი არ მოეძებნება. სეპირ-უორფის ენობრივი რელატიურობის თეორიაში განხილულია ენობრივ და კულტურულ ურთიერთობათა სხვაობები ინდივიდის მიერ აღქმული სამყაროსთან კავშირში. გარესამყაროს აღქმა და კატეგორიზაცია გაუცნობიერებლად მიმდინარობს დედაენის (პირველი ენის) შესწავლის პროცესში. იგი საზოგადოებასთან სოციალურად და კულტურულად თანშეზრდილია, ე.წ. ენკულტურაცია (Enkulturation): ინდივიდი გაუცნობიერებლად ითვისებს იმ კულტურას, მის დამახასიათებელ სტილებს, რომელშიც იზრდება. ამიტომაც აღინიშნება, რომ ენა უდიდეს ზეგავლენას ახდენს ინდივიდის მსოფლმხედველობაზე [Gymnich, 2007:81]. უცხო ენასთან, უცხო კულტურასთან შეხება, მათი კონკრეტულ ინტერაქციაში გამოყენება. ეს ინტერკულტურული კომპეტენცია სამი ელემენტისაგან შედგება: კოგნიტიური კომპეტენცია (1), აფექტური კომპეტენცია (2) და პრაგმატიკულ-კომუნიკაციური კომპეტენცია (3). კოგნიტური კომპეტენცია უცხო კულტურის ცოდნაა: კულტურის თეორიის, კულტურათა ფუნქციების, კულტურათა სხვაობის. ამ კომპეტენციაში ასევე შედის: საკუთარი კულტურის რეფლექსურობის უნარი: საკუთარი სინამდვილის, მდგომარეობის, ქცევის, პოზიციების გაცნობიერების უნარი, მაშასადამე, ამაში შედის:

- სხვა კულტურის ცოდნა (სხვა ქვეყნის სპეციფიკური კულტურის ცოდნა);
- კულტურის თეორიული ცოდნა ზოგადად;
- საკუთარი ცოდნის რეფლექსია.

აფექტურ კომპეტენციაში იგულისხმება სხვისი კულტურისადმი ინტერესი, სხვისი კულტურისადმი ღიაობა, სხვისი მდგომარეობისა და პოზიციის ცოდნა, ამ სხვისის შესწავლა, შეგრძნება (ემფატია), სხვის არაერთგვაროვნობისადმი ტოლერანტობა, საკუთარი და სხვისი წინააღმდეგობრივი ფასეულობებისა და ნორმათა ურთიერთშეხედრისას სწორად ორიენტირების უნარი და სხვ., ანუ აფექტური კომპეტენცია მოიცავს:

- სხვა კულტურისადმი ინტერესსა და გახსნილობას,
- ემფატიას (უცხო გაცნობიერების, შეგრძნების, გაგების უნარი),
- არაერთგვაროვნობისადმი ტოლერანტობა (Ambiguitätstoleranz).

პრაგმატიკულ-კომუნიკაციური კომპეტენცია. ძირითადია კულტურათაშორის კომპეტენციაში. იგი სხვა კულტურასთან კომუნ-კაციის უნარია და მასთან შექმნილი პრობლემების გადაჭრის სტრატეგიებია, ანუ ეს არის:

- შესაფერისი საკომუნიკაციო ნიშნულების გამოყენება,
- კონფლიქტის გადაჭრისათვის ქმედითი სტრატეგიების გამოყენება.

ყველა ამ პროცესში უცხო ენას აკისრია პოზიტიური როლი.

ამრიგად, კულტურული კომპეტენცია ასე შეიძლება შეგამდეს:

ა) მენტალური მხარე (1): კულტურული სტანდარტების შემცველი: საციფიკური კულტურული კოდებით, აზროვნების, გრძნობების, ქცევის ნიმუშებით, რაც თვალთუხილავი პროცესია.

ბ) სოციალური მხარე (2): სოციალური ინტერქაცია, სტრუქტურები, დაწესებულებები და სხვა შესაბამისი ფაქტორები, რაც რეალურ დაკვირვებას ექვემდებარება, ასე ვთქვათ, თვალთ დასანახია.

გ) მატერიალური მხარე (3): მედიები და სხვა კულტურული თუ ხელოვნურად შექმნილი საშუალებები. მაგ.: ტექსტები, სურათები, არქიტექტურული ნიმუშები და სხვ.

კულტურა სწორედ ამ სამი განზომილების/მხარის სინთეზით არსებობს, თაობათა-თაობებს გადაეცემა და კოლექტივის მემსიერებაში ილექება. ყოველი ადამიანი საზოგადოებაში „სოციალიზაციისა“ და „ენკულტრაციის“ პროცესში, ანუ სოციალურ გარემოსთან და კულტურასთან შეზრდის პირობებში იძენს ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ აზროვნების, მოქმედების, შეგრძნების, ღირებულებების, ნორმების სპეციფიკურ ფორმებსა და საშუალებებს. სწორედ ეს იგულისხმება კოლექტიურ მემსიერებაში, საუკუნეებზე გადმოტარებული და დღევანდლამდე მოტანილი (მაგ.: ათასწლეულების დამთვლელი რელიგიური კულტურა).

გერმანულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ანთოლოგიის სახით გამოცემულია საკუთარი და უცხო კულტურის კვლევის დაწერილობითი მიმოხილვა, შესაბამისი მეცნიერული ტექსტების ღრმა ანალიზით, საუნივერსიტეტო დისციპლინებში უცხო და საკუთარის ანთრიპოლოგიური განხილვით, მისი კვალიფიკაციებითა და სისტემატიზაციით, როგორცაა მაგალითად:

უცხოურთან შეხების გამოცდილება (Fremderfahrung). უცხო და გაუცხოება (Fremdheit und Entfremdung), ეთნოცენტრიზმი – საკუთარისა და უცხოს სურნელი (Ethnozentrismus oder: der Geschmack von Heimat und Fremde), *uxos aRiareba* (Anerkennung des Fremden), *uxo mzero, anu uxos epistemuri funqcia* (Der fremde Blick oder die epistemische Funktion des Fremden), *uxouris konstruqiebi* (Fremdheitskonstruktionen), *uxo da tolerantoba* (Fremdheit und Toleranz) *da sxv.* (Wierlacher, A./Albrecht, 1995).

მაგალითად, ჰ. ჰაინეს „გერმანია. ზამთრის ზღაპარ“-ში. (Deutschland. Ein Wintermärchen. Caput. IX) არა გერმანული (deutsch), არამედ გერმანიკული (germanisch) სურნელი ტრიალებს. საფრანგეთისა და გერმანიის ინტერკულტურულ ფონზე პოეტი ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებით ახასიათებს მშობლიური და უცხო სამზარეულოს გემოს. დილით საუზმობის დროს საფრანგეთიდან გამოსულმა, სადილობისას გერმანიას მიაღწია. ჰაინეში მას დახვდა:

Der Tisch war gedeckt. Hier fand ich ganz

Die altgermanische Küche.

Sei mie gegrüßt, mein Sauerkraut

Holdselig sind deine Gerüche!

Gestovte Kastanien im grünen Kohl!

So ab ich sie bei der Mutter!

Ihr heimische Stockfische, seid mir gegrüßt!

Wie schwimmt ihr klug in der Butter...

[Heine, H. 1961: *Werke und Briefe*, Aufbauverlag Berlin. S. 45.]

ძველი გერმანიკული სამზარეულო: კომბოსტოს მწნილითა და მისი საუცხოო სურნელით, მწვანე კომბოსტოში გახვეული მომუშული წაბლით, ზეთში აცურებული მზეზე გამხმარი მშობლიური ვირთევზით, ყავისფრად ჩამუშული შებოლილი ქაშაყითა და კვრცხით, შეფეხიან ზეთში აცეკვებული ძეხვით,

ბოლომაც-ჩიტი და შემწვარი ანგელოზაჩიტი ვაშლის მუსით, მრავალმნიშვნელოვნად მოზირალი ბატით, კალის ლანგარზე დადებული ღორის თავით, რომლის დინგი ჩვენში დაფნის ფოთლებითაა მორთული და სხვ. ტექსტის მესხიერებაში დევს ასევე ძველი გერმანული ენობრივი ფორმა ოპტატივისა, რომელიც მომდევნო პერიოდის გერმანულ ენაში უკვე დაკარგულია: Sei mir gegn̄mt – სიყვარულით მოგესალმები.

უცხოობის განცდისა და გაუცხოების ელემენტები გვხვდება ფრანც კაფკას „Heimkehr“-ში („შინ დაბრუნება“):

მამის, სოფლის ფერმერის ძველ კარმიდამოში უცხოეთიდან დაბრუნებულ შეილს აბოლებული საკვამურიანი საშარეულოს კართან მდგომს, ირგვლივ ყოველი ნივთი ცივად და უცხოდ ეჩვენება და თავის თავს ეკითხება: „Ist dir heimlich? Fühlst du dich zu Hause?“ (გრძობ, რომ შინ ხარ? – შინ დაბრუნების სიტბოს გრძობ?) Ich weiß es nicht, ich bin sehr unsicher. Meines Vaters Haus ist es, aber kalt steht Stück neben Stück, als wäre jedes mit seinen eigenen Angelegenheiten beschäftigt, die ich teils vergessen habe, teils niemals kannte (ზოგი რამ აქაური დამავიწყდა, ზოგსაც საერთოდ არ ვიცნობდი). Was kann ich ihnen nützen, was bin ich ihnen und sei ich auch des Vaters, des alten Landwirts Sohn (რა სარგებლობის მოტანა შემიძლია აქაურებისთვის, რა ვარ მე მათთვის?) Und ich wage nicht an der Kuchentür zu klopfen, nur von der Ferne horche ich stehend... Je länger man von der Tür zögert, desto fremder wird man.. (მოსულისთვის ცხადია: რაც უფრო დიდხანს დგახარ კარების წინ და ყოყმანობ კარის შეღებას, მით უფრო მეტად გაუცხოებული ხარ მშობლიურისაგან [Wierlacher/Albrecht, S. 44].

უცხოს აღიარების/შეცნობის და ამ აღიარებაზე დაფუძნებული ინიციატივების შემუშავების ფაქტები გვხვდება გოეთეს „იფიგენია თაურიზში“. ტექსტის კულტურამ თავის მესხიერებაში შემოინახა უცხოს აღიარების შეზღუდული ნორმები:

„Orest:... Wähl einen aus den Edlen deines Heers  
und stelle mir den Besten gegenüber.  
So weit die Erde Heldensöhne näht  
Ist keinem Fremdling dies Gesicht verweigert.  
Thoas: Dies Vorrecht hat die alte Sitte nie  
Dem Fremden hier gestaltet.“

*[J.W.v. Goethe. Iphigenie auf Tauris. Fünfter Aufzug, sechster Auftritt]*

უცხო რომ სხვის მიწაზე ძნელად ჰპოვებს აღიარებას, კარგად ჩანს ქართველთა მესხიერებაში შემონახულ ტკივილიან მამლუქების ისტორიაში, რომელსაც რეზო ამამუკელი ასე აგვიჩერს თავის ლექსში „მამლუქების სასაფლაო“:

„...დადივარ ჩუმად  
მამლუქების სასაფლაოზე,  
თაკარა შუბი,  
გადაბუგულ მკედართა ქალაქში,  
აქ ერთი ასოც არსად გდია  
თქვენდა ხსენებად,  
ერთი პატარა ტვიფარი ან  
მოკლე წარწერა...  
ნუ დასახლდები სხვის მიწაზე,  
რადგანაც მიწა  
არ მიიკარებს შორით მოსულს  
არც მკვდარს, არც ცოცხალს...“

ძებნი გრიმების ზღაპრებში, გამორჩენილ მოღვაწეთა აფორიზმებში მოცემულია უცხოს ეპისტემური ფუნქციები, შემეცნებით-თეორიული ქვეტექსტები (მაგ.:

გრიზების „Das Ratsel“). ნიგმე ამბობს: „Vor dem, was du erkennen und messen willst, mußst du Abschied nehmen, wenigstens auf eine Zeit. Erst wenn du die Stadt verlassen hast, siehst du, wie hoch sich ihre Türme über die Häuser erheben“ „ცოტა ხნით მაინც უნდა დაემშვიდობო იმას, რისი შეცნობა ან განსაზღვრა გსურს. მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქს დატოვებ, შეამჩნევ სახლებზე რამდენად მაღლა აღმართულან კოშკის ქონგურები“.

უცხოს აღქმის ნეგატიური ფსიქოლოგიური განცდებია გადმოცემული ნელი ზაქსის ლექსში „Kommt einer“. ვიღაც უცხოს, გადამთიელის ენა ცხენის ჭიხინად, ჩიტის ჭყვილად, ხერხის ღრჭიალად ეჩვენება, სიარულს კი მაღლის ან ვირთხის მოძრაობებს ადარებს: „Kommt einer von ferne mit Bewegung des Hundes oder vielleicht der Ratte... დაბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს:

„Ein Fremder hat immer  
Seine Heimat im Aim  
wie eine Waise  
für die er vielleicht nichts  
als ein Grab sucht-

*[Nelly Sachs. „Kommt einer“. Wierlacher/Albrecht, S. 69-71] ლექსი სასვენი ნიშნების გარეშეა.*

უცხოს სხვაგვარობაზე, მასთან ურთიერთობით გამოწვეულ ცვლილებებსა და გამოცდილებებს, არცთუ დადებითი ემოციებით გადმოცემულს, ვხვდებით ასევე ელიზაბეტ ალექსანდრეს ლექსში ლისაბეტკ ლეხანდერ „იე ნდერენ“, რომელშიც გერმანიის ყოველდღიური ყოფაა აღწერილი მომრავლებული უცხოელებით, უცხო საუბრებით, უცხო სახეებით საქალაქო ტრანსპორტსა თუ სუპერმარკეტის საღაროებთან. მათთვის მე ვარო უცხო – ფიქრობს ავტორი და დასძენს: სიამოვნებთ კი ასეთი ხალხი ამ ქვეყანაში, ან ესენი რას ფიქრობენ, როცა აქაურ ბიომოხილვას ან პოლიტიკოსებს უსმენენ? ერთი რამ ზუსტად ვიცი:

„...aber eigentlich weiß ich  
beinahe sicher  
daß keiner von und  
Sie vermüßte  
bleiben sie weg  
eines Tages  
aus dem Stadtbild  
meines Wohnortes  
Und dem der anderen  
Deutschen“

*[ლექსი სასვენი ნიშნების გარეშეა. Wierlacher/Albrecht. S. 32]*

დავასრულებთ იან პაულ ფლეგელიარეს (Jean Paul Flegeljahre) სიტყვებით: *er Mensch hat zwei Herzkammern: in der einen sein Ich, in der anderen das Fremde.* კულტურულ ტექსტში ეს უცხო ქმნის ე.წ. „უცხო გამოცდილების კულტურულ მოდელს“, ასევე ე.წ. „კულტურულ შოკს“, რომლის ახსნას ცდილობს ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, (სოციალური) ფსიქოლოგია, უცხო ენის დიდაქტიკა. „მეხსიერებამ“ კი უმტკივნეულოდ შემოინახა ხალხის ან ინდივიდის ფსიქიკური რექციები, უცხო კულტურასთან ახლო კონტაქტით გამოწვეული განცდები, ქმედები, ქმედებები, შესაბამის დისკურსში, ტექსტში ან მათ მეხსიერებაში დალექილი.

#### ლიტერატურა:

1. Assman, Aleida 2002: Gedächtnis als Leitbegriff der Kulturwissenschaften./Lutz Massner, Gouthart Wunberg (Hg.): Kulturwissenschaften. Forschung – Praxis – Position. – Wien: Wuv. Universitätsverlag Edition Parabesen. S. 27-45.



2. Coulmas, Florian 1991: *European Integration and the Idea of the National Language. Ideological Roots and Economic Consequences*.//F. Coulmas (Hg.) 1991: *A Language Policy for the European Community*. Berlin/New York. S. 1-45.
3. Erhardt, Claus 2003: *Diplomatie und Alltag, Anmerkungen zur Linguistik der interkulturellen Kommunikationen*.//Jürgen Bolten und Claus Erhardt (Hg.): *Interkulturelle Kommunikation: Texte und Übungen zum interkulturellem Handeln*. Sternenfels: Verlag Wissenschaft&Praxis. 2003. S. 135-166, hier
4. Erl, Astrid/Gymnich, Marion 2007: *Interkulturelle Kompetenzen – Erfolgreich kommunizieren zwischen den Kulturen*. Klett Lernen und Wissen. Stuttgart. S. 81.
5. Christian Gerbel, Manfred Lechner, Dagmar C.G. Lorenz, Oliver Marchart, Vráth Öhner, Ines Steiner, Andrea Stutz, Heidemarie Uhl 2003: *Transformationen gesellschaftlicher Erinnerungen/Luter, Christina/Mussner, Lutz (Hg.) 2003: Kulturstudien in Österreich*. Löcker. Wien. S. 13, 29, hier 17.
6. Nora, Pierre 2002: *Gedächtniskonjunktur//Das Gedächtnis des Jahrhunderts*. Transit 22, S. 8-31, hier 18.
7. Rehbein, Jochen 1977: *Komplexes Handeln. Elemente zur Handlungstheorie der Sprache*. Stuttgart: Metzler.
8. Sandig, Barbara 1986: *Stilistik der deutschen Sprache*. Walter de Gruyter. Berlin. New York. S. 173.
9. *Философский словарь под редакцией М.М. Розенталя и П.Ф. Юдина 1963: изд. политич. лит. М.*
10. Wahrig 2002: *Deutsches Wörterbuch*. Bertelsmann Lexikon Institut. S. 523.
11. Warnke, Ingo 2001: *Intrakulturell vs. interkulturell – zur kulturellen Bedingtheit von Textmustern*.//Ulla Fix, Stephan Habschkeid, Joseph Klein (Hg.) 2001: *Zur Kulturspezifität von Textsorten*. Schaufenburgverlag. Berlin. S. 242-253, hier 243.
12. Wierlacher, Alois/Albrecht, Corinna 1995: *Fremdgänge. Eine anthropologische Fremdwortslehre für den Unterricht*. Def. Verlag Inter Nationes. Berlin.

ნაირა ბეპიევი

### ოვ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი ცამცუმისა და ცარციათების იდენტობისათვის

ოსური ხალხური ეპოსი მდიდარია ეპიკური ხასიათის თქმულებებით. ოსი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა ეპოსის სახელით რჩებოდა შთამომავლობას.

“ოსურ საგმირო მოთხრობებს შორის საგანგებოდ გამოირჩევა ორი ციკლის ნაწარმოებები. ესენია – თქმულებები ნართებისა და დარუჯანების შესახებ... ნართები და დარუჯანები ძველთაძველი გადმოცემების მიხედვით, ბუმბერაზული ძალის მქონე ადამიანები იყვნენ, მათი სიტყვა და საქმე განუყოფელი იყო... ნართებსა და დარუჯანებს მითოლოგიური გადმოცემით, ღმერთები სწყალობდნენ, აჯილდოვდნენ არაჩვეულებრივი ძალითა და ნიჭით, რასაც ისინი ხალხის სასარგებლოდ იყენებდნენ და არაიშვიათად თვით ღვთაებათა შესამუსრავადაც აღმართავდნენ თავიანთ მძლავრ ხელს“ [ჩიჭუფანი, 1965:134].

უნდა ითქვას, რომ ოსურ ზეპირსიტყვიერებაში რამდენიმე ეპოსია. ნართების, დარუჯანებისა და ცარციათების. მათზე არსებულ თქმულებებში ეს ხალხი დომინანტობს და ერთმანეთის შემავსებელი გმირები არიან ერთი საერთო მახასიათებლით: ესენი ზოგადკავკასიონი, მაგრამ კონკრეტულ ოსურ გარემოში შექმნილი გმირები არიან, რომელთაც საერთოც ბევრი აქვთ სხვა კავკასიელ ხალხებთან და განმასხვავებელიც. ეს საკმაოდ დიდი და მრავლისმომცველი თემაა, რომელსაც შემდგომი კვლევა სჭირდება და ამ პატარა სამეცნიერო ნაშრომში ვერაფრით ამოვწურავთ სრულყოფილად. ოდენ ვიტყვი, რომ ნართების ეპოსიც, დარუჯანისათა თქმულებებიც და ცარციათების თქმულებებიც ოსი ხალხის გენიის ერთი მთლიანი შემოქმედებითი ნაყოფია, სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე შექმნილი.

მიხეილ ჩიქოვანი "ქართულ ეპოსში" წერდა: "ოსურ დარეჯანიანთა ეპოსში გაკვირით ნახსენებია უცხო ხალხი ცარცებისა ("დარეჯანიანთ ზოლათგურდი"). როგორც პირადად მომისმენია, ცარცების შესახებ დამოუკიდებელი ხასიათის თქმულებები არსებობს ოსეთში. ასოციაციურად კითხვა გვებადება: ხომ არ აქვს კავშირი გამცემს ცარცებთან, ან პირიქით, ქართულ ეპოსში დაკარგულ გამცემიადას ცარცების თქმულებები ხომ არ განასახიერებენ?" [ჩიქოვანი, 1965:167].

უნდა ითქვას, რომ ცარციათებს გამცემთან არანაირი კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამას მრავალი მიზეზი აქვს და ერთი მთავართაგანი ის გახლავთ, რომ ცამცემი ანუ გამცემი იყო, რომელსაც მ. ჩიქოვანი ახსენებს, დარეჯანის ბეთა თქმულებების ციკლის ერთ-ერთი შენაკადია. ცარციათების თქმულებები ცალკე დამოუკიდებელი მითური თქმულებებია, რომელიც ოსი ხალხის წიაღში შეიქმნა, რომელშიც ამკარად იკვეთება უამრავი საერთო ნართიადსთან, მაგრამ მასთან გაიგივებაც კი არამც და არამც არ შეიძლება, რადგან ამ მითურ თქმულებებს უამრავი ინდივიდუალური და განმასხვავებელი აქვს სხვა ეპოსისაგან და იმდენად ინდივიდუალურია და იმდენად ცხადად წარმოგვიდგენს ამ ხალხებს, რომ საკმარისია გაიცნოთ ამ ხალხის ყოფა-ცხოვრება, რომ ისინი აღარასოდეს აგერევთ სხვა ხალხებში, ისევე როგორც მათ სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ოსი ხალხის მეხსიერებაში, ანდაზებში, ანდაზურ გამოთქმებსა თუ სხვა თქმულებებში. თვითონ ცარციათებს მიაჩნდათ, რომ ამ სამყაროს შექმნასთან ერთად ღმერთმა ისინი ყველაზე უწინ შექმნა და ეს მოხდა შუის დაქინებული თხოვნით. ხოლო როგორ წარიმართა შემდეგ მათი ცხოვრება და რა ბედი ერგოთ მათ, ამაზე უკვე თვით ცარციათების შთამომავლები მოგვითხრობენ ზოგჯერ სიმებთან საკრავზე სიმღერით, პოეტურად, ხოლო ზოგჯერ პროზაულად. ერთგანაც და მეორეგანაც იკითხება ის თავისთავადობა, რაც მათ თვით თავიანთივე მოძმეებისაგან, ნართებისაგან განარჩევს. თუმცა კი ის მედიდურობა და შეუდრეკელობა, რაც სამივე სამყაროს ბინადართ (ნართებს, ცარციათებსა და დარეჯანიანებს) ასასიათებთ, საბოლოოდ ერთნაირი აღსასრულით ამთავრებინებს სიცოცხლეს. ისინი უზუნაესთან ბრძოლაში მარცხდებიან, იბრძვიან სახელის დასარჩენად და ფიზიკური გადარჩენა მათთვის უმნიშვნელო ხდება.

ღმერთმა მერცხალი გაგზავნა ნართებთან, დააბარა, მთლიანად ამოწყვეტა ერჩიათ თუ ცუდი ნაშიერის დატოვება. ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა ნართები, იმ-ჯელეს და გადაწყვიტეს, ცუდი ნაშიერის დატოვებას, გადაშენება ერჩიენათ. ასეთი-ვეა ცარციათების არჩევანიც. მათთვისაც უმთავრესია კარგი სახელის დარჩენა.

მაინც ვინ იყვნენ ცარციათები და რას წარმოადგენდა ეს ხალხი? ცარციათების თხზულებათა გამომცემელი თაყაზთი ხარუმი აღნიშნავდა: "ოსი ხალხის საგანბურიდან ყველასათვის ცნობილია ნართების თქმულებები, დარეჯანიანთა ამბები. ნართებსა და დარეჯანიანთ მკითხველი კარგად იცნობს, მაგრამ მათზე უადრესი ეპოსი რომ გვაქვს, ეს ბევრმა არ იცის და ეს არის ცარციათების თქმულებები.

ცარციათები თქმულებების სახით შემორჩნენ ოსური კულტურის ისტორიას. მათ შესახებ ბევრი ფრთიანი გამოთქმა არსებობს. ხშირად გაიგონებთ ფრაზებს: "აი, ცარციათების საოცრებები!" "ცარციათების საკვირველებანი", რომ იტყოდნენ: "ცარციათები მოდიანო", ნიშნავდა ქვეყანა აყრილაო. ცარციათები ფრაზე-ოლოგიზებში, ანდაზებშიც დაარქინილან: "ციბირთბივით ჩაფრფვლა" (მთლიანად ამოწყვეტა). არსებობს გამოთქმა "ცარციათებისა და ხვირიმთების ომივით გაგრძელდა მათი საუბარი" და ა. შ.

თვითონ ტერმინის შესახებაც აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს მოდის ძირიდან: ცარდძე, ცარცო, ცარცი. ოსურად ცარდ – ცხოვრებას ნიშნავს. სიტყვისაგან ცარდძე წარმოქმნილია მისი მნიშვნელობა – მოარული (მომთაბარე) მაცხოვრებელი. მაგრამ თქმულებების მიხედვით ეს მნიშვნელობა არ დასტურდება. რამდენადაც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა მხოლოდ ცარციათების პირველი წინაპარი – ცარძი, ისიც მანამდე, სანამ ბონეარნონს შეირთავდა. შემდეგ კი ის ერთ ადგილას დამკვიდრდა. მელიქსეთ-ზეგის აზრით, ცარციათები ცარცასათების (ცარგას –არწივი) გვარიდან წარმოშობილი ხალხია, ან შეიძლება, რომელიმე კავკასიელ ხალხს სარსიათები ერქვათ და აქედან წარმოდგა მათი გვარიც. შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ ცარციათა-სარსიათა სახელის უკან ალანები იგულისხმებიანო. ზოგიერთი ამ ტერმინს "ბევრის" მნიშვნელობით ხსნის. (კოკიევი), ზოგიერთს (რ. ძატიათი) კი მიაჩნია, რომ ეს ტერმინი მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან "ჩარჩი", რაც ნიშნავს წვრილ შეწარმეს.

ცარციათების თქმულებათა გამომცემელს თაყაუთი ფიდარს მიაჩნია, რომ "მართალია, ცარციათების თქმულებები უფრო ძველია, ვიდრე ეს სპარსული სიტყვა, მაგრამ ამ თქმულებათა მიხედვით, ცარციათები მდიდარი ხალხი იყო, მათ მიწებზე უამრავი მყიდველი მოდიოდა სხვადასხვა მხრიდან. თვითონაც ალბათ დაიწყეს ყიდვა-ყიდა, და ამიტომ დაერქვათ ასეთი სახელი".

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინ ცარციათების ასეთი განმარტება არასწორად მიგვაჩნია. თვით ტერმინთან დაკავშირებული მნიშვნელობა უფრო ასახავს და წარმოაჩენს მათ. თქმულება ასე მთავრდება (პროზაულიც და პოეტურიც, მათ შორის მცირე ვარიანტული სხვაობაა): "ის კაცი მიდი-მოდიოდა, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, მუდმივად მოძრაობდა, აქედან წარმოიშვა ცარციათების გვარი. კაცი ცარძი, ცარდაგურაგ, ცარდგანაგ". რაც შესაბამისად, ნიშნავს: ცხოვრებაში მოტრიალეს, ცხოვრების მუბზნელს (სიტყვისიტყვით), ცხოვრების განმგებელს."

სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ტერმინ ცარციათების განმარტებაც. ხოლო ის, რომ დაოჯახების შემდეგ იგი ერთ ფუტეზე მკვიდრდება, ეს მისი ცხოვრების მეორე ეტაპია. მას კი სახელი (გვარი) მიეცა შექმნისთანავე თავისი ცხოვრების თავისებურების გათვალისწინებით.

ცარციათების თქმულებები ძირითადად ჩაუწერიათ და შეუწარმოებიათ ბეჯიზათი დუდარს და ვ. ცაბათის. ვ. ცაბათის მიერ შეგროვილ თქმულებებზე ვ. ახავეს წაუწერია: "ვ. გ. ცაბავეის მიერ შეგროვილი მასალები ლეგენდარული ცარციათების ტომის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია ფოლკლორული თვალსაზრისით და, როგორც მე ფიქრობ, იმსახურებს გამოქვეყნებას. 23. V. 1966 წ. საწესბაროდ, მაშინ ამ თქმულებების გამოცემა ვერ მოხერხდა.

თქმულებები ცარციათებზე ეურნალ "ფიდუაგში" იბეჭდებოდა წლების განმავლობაში. კრებულის სახით მოგვიანებით, 2007 წელს გამოიცა ოსურ ენაზე ვლადიკავკაზში. ამ თქმულებების უმეტესობა ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე ჩვენ მიერ 2009 წელს.

ცარციათების ეპოსი ცალკე დამოუკიდებელი ეპოსია, მაგრამ ნართოლოგიასთან ერთად ერთ მითოლოგიურ სისტემაშია განსაზღვრული. მათ არა აქვთ მსგავსი სიუჟეტები. ის კი არა, თვით ცარციათების თქმულებებიც სხვადასხვაობას ამჟღავნებენ. სახელიც ზოგან ცარცო, ზოგან ცარძი, ზოგან ცარცი. ასევეა ნაღვიც, ნაღვი. დამოუკიდებელი, თავისთავადი ამ ორ ეპოსში ბევრი რამაა, მაგალითად: ცარციათები ხუთნი ძმანი არიან (სუა, ფარნაგი, ედისა, ხათგარი, ვადაგი [669-70]).

ხუთი ძმისაგან ხუთი ტომია წარმოშობილი (ხუთი გვარი წარმოიშვა), ნართებისა - სამი (სამ ნართებად იწოდებიან: ახსართაგათა, ალაგათა, ზორათა); ნართების სიუყუეტები ოთხ ბირითად ციკლს მოიცავს ( ახსარი და ახსართაგი, ურუზმაგი და სათანა, სოსლანი, ბათრაძი). მეორე მხრივ, მათ შორის ბევრი რამ საერთოა. მართალია, მათი სიუყუეტები მთლად იდენტური არ არის, მაგრამ ეარციათებისა და ნართების აღსასრული თითქმის ერთნაირია (მეორე ვარიანტული სხვაობაა მათ შორის). ნართებს სირდონი ჰყავთ, ეარციათების უბედურება მამია. ამ ორი ეპოსის გმირები ერთმანეთს ხედებიან, იცნობენ, პატივს სცემენ. ისინი განსხვავებულად ცხოვრობენ, განსხვავებული ცხოვრების ისტორია აქვთ (წესი კი ერთნაირი, ეაყავობა, გმირობა, პირველობა, ადამიანური შეცდომები და სხვა), მათი აღსასრული კი თითქმის ერთნაირია. ისინი თავიანთივე ცოდვის გამო ისჯებიან და მარადიულ სახელს ტოვებენ, სახელს, რომელმაც მართლაც გაუძლო საუკუნეებს და საუკუნეთა მიღმიდან დღესაც გვახსენებს თავს.

საინტერესოა, რომ ამ თქმულებებში გადმოცემულია თუ როგორ ჩაუვარდა ხელთ კაცს ზეციური ქვა, რომლისაგანაც ცეცხლი ჩნდებოდა. ხოლო შემდეგ უკვე ვხედავთ, ადამიანი, კაცი როგორ ხედება მეორე ნახევარს, მთავარის შვილსა და ღმერთის დისშვილიშვილს ბონვარნონს (ციცკრის ვარსკვლავს). ანუ იგი ისე ზეცას უკავშირდება.

მაშასადამე, წინაპარი ოსისა, მშვიდობიანი, უწყინარი და ბუნებასთან ჰარმონიულია. ამ ჰარმონიას, მთქმელთა აზრით, არღვევს არა ადამიანი, არამედ ზეციური ძალები, ისინი ართმევენ ცეცხლს და უპირისპირდებიან კიდეც ადამიანს. განვითარების შემდეგ საფეხურზე უკვე. ადამიანი ლაშქრობს, ებრძვის უკეთურებს (ბოროტ ძალებს). მაგრამ ყველაფერი ეს უკვე მისი მარცხით მთავრდება. ის იღუპება, რადგან მან გაზედა და ღმერთს დაუპირისპირდა.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ვარიანტი ეარციათების თქმულებებისა სრულდებოდა ყისინ ფანდირზე, მას მომღერალი სიმღერით ყვებოდა, ზოგიც პროზაულია, მაგრამ მათ ერთი რამ აქვთ საერთო: ამ თქმულებებში გადმოცემულია მათი შექმნა-დაბადების ისტორია, რომელიც სამყაროს შექმნის თანადროული პროცესია, ვიდრე მათ აღსასრულამდე. ხოლო ამ დროის შიგა სივრცეში ვეცნობით ამ ხალხის ცხოვრებას, მათ მისწრაფებას, მაღალზნეობრივი იდეალებისათვის და უმთავრესის. ღირსეული ადამიანური სახელის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ეპოპეას.

ასე რომ, ეარცების თქმულებები არ განასახიერებენ ქართულ ეპოსში დაკარგულ ეამეუმიადას და მას სრულიად თავისთავადი, დამუკიდებელი ეპოსის სახე გააჩნია, რომლის ცენტრშიც დგას ეარცო, ეარძოი, იმ ხალხის წარმომადგენელი, რომელმაც შექმნა უმდიდრესი ეპოსი ნართებისა.

#### ლიტერატურა:

1. შ. ჩიქვანი, ქართული ეპოსი, წიგნი მეორე, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1965.
2. ზ. კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი, თბ., 2006.
3. ქ. ხიზარულიძე, კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006.
4. ოსური თქმულებები, თარგმნა ნ. ბუაიევმა, თბ., 2009.
5. Нарты владыкты, фышыг чиниг, Орджоникидзе, 1989. 220-223.
6. Царшаты таурегыт, Иром алдым эпос, Дреуджыхаеу, 2007.

Nalra Bepievi

### Carcum and Identity of the Carciats Abstract

For centuries Ossetian people created samples of folklore, which altogether made a system of Ossetian epos, which than was left to their descendants. Until recently it was believed, that Ossetians had only two types of national epos. Famous scholars, like M. Chikovani remarked: „ Among Ossetian heroic legends we can separate two cycles of production. These are the legends about the Narts and about the Darejans.”

It must be said, that in Ossetian folklore there is a variety of epos: The Narts, The Darejans and The Carciats. In the legends about them we come across these people, they somehow dominate in these legends and despite their characteristics they somehow fill each other, because they have one thing in common, that matters most: They are common to all Caucasus, but created in a specific area, who have as many similarities to Caucasian people as differences. Highlighting this fact, we argue that the legends of Narts, Darejanians (which deprived from Georgian) and Carciats is a clear example of Ossetian genius, which was made on different stage of historic evolution.

There are many reasons for it. The main is that Camcum or Camcumiada, which M. Chikovani talks about, is one of the streams of the cycle about Darejan and her sons. The Carciats on the contrary is an independent epos, which was created in the Ossetian sphere, because of which it has much in common with the Narts, but even these two cannot be mixed up, because they separately create there own epos, with their individuality and differences.

**Nana Bluashvili**

ილიას საბუღალის საბუღალის უნივერსიტეტი, თბილისი  
**Major Dialects of American English**


Every language that has spread geographically has produced varieties called dialects. There are many big countries where people who are said to speak the same language can not understand each other. It is caused from many reasons. For example, regional background, social status, ethnicity, and so on.

The modern development of communications technology may possibly slow down the evolution of dialects and languages. For the first time in history, a single dialect (sometimes called Network Standard) can be broadcast over an entire country, so very few people are actually living in geographic isolation anymore. However, the existence of racism, poverty, and class distinctions cause some groups to remain socially isolated from the mainstream of a culture, giving rise to social dialects like Black English (Ebonics) spoken by some African American in urban areas. Also, teenagers enjoy creating their own dialects that they can use to quickly determine who is or is not part of the “in crowd” and as a “secret language” in front of their parents.

These dialects tend to go in and out of fashion very quickly; by the time an expression has filtered up to the mainstream dialect adults understand, the teenagers have moved on to something else. Even the Internet has given birth to what might be called a new social dialects(derived from hacker jargon) containing words like IMOHO, IIRC, and ROTFLMAO.

Contrary to what your teachers probably tried to tell you, there is no such thing as “correct English”. Any manner of speaking that is following the rules of a dialect is equally “correct”. Words like ain’t “real” words in some dialects and perfectly acceptable to use. However, people are judged by the way they speak, and dialects carry different levels of social prestige with based on the prejudices within a society. Generally, the southern dialects of American English carry a lower prestige, at least among northern who will assume that a person speaking a southern dialect is less intelligent and less educated than they are. Some educated southerners even feel this way and will “correct” their speech to meet northern standards. The New York City dialect carries the lowest prestige of all (Received Standard, a dialect of British English used by the BBC and the royal family, carries the highest prestige-even among Americans.) For this reason, schools try to rid children of the local dialects they learned from their family and friends in favour a more prestigious one.

American dialects come in many flavours. The map and list below show the major(and a few minor) geographic dialects and sub-dialects of English spoken in the USA. Many of these may be further subdivided into local sub-dialects that are not shown here.



### General Northern

This is sometimes also referred to as General American and is used in almost two-thirds of the country. It breaks down into the dialect regions below.

#### Northern, New England

Many of the Northern dialects can trace their roots to this dialect which was spread westward by the New England settlers as they migrated west. It carries a high prestige due to Boston's early economic and cultural importance and the presence of Harvard University. A famous speaker is Katherine Hepburn. They sometimes call doughnuts cymbals, simballs, and boil cakes.

#### New England, Eastern

This is one of the most distinctive of all the American dialects. R's are often dropped, but an extra R is added to words that end with a vowel. A is pronounced AH so that we get "Pahk the cah in Hahvahd yahd" and "Pepperidge Fahm remembruhs."

#### Boston Urban

Like many big cities, Boston has its own dialects that are governed more by social factors class and ethnicity than by geographic location. Greater Boston Area is the most widely spoken and is very similar Eastern New England. Brahmin is spoken by the upper aristocratic class like Mr. Howell on Gilligan's Island. Central city Area is what most of us think of as being the "Boston Accent". In the last few years, Saturday Night Live has featured this dialect among a group of rowdy teenagers who like to videotape themselves. Also think of Cliff on Cheers, the only character on this Boston-based show to actually speak a Boston dialect.

#### New England, Western

Less distinctive than Eastern, but more influential on the other Northern dialects.

#### Hudson Valley

New York was originally a Dutch colony, and that language influenced this dialect's development. Some original Hudson Valley words are stoop (small porch) and teen-totter. They call doughnuts (which were invented by the Dutch) crullers and olycooks.

#### New York City

Unlike Boston and other urban dialects, New York City stands by itself and bears little resemblance to the other dialects in this region. It is also the most disliked and parodied of any American dialect (even among New Yorkers), possibly because many Americans tend to dislike large cities. When an R comes after a vowel, it is often dropped. IR becomes OI, but OI becomes IR, and TH becomes D as in "Day sell tirllets on doity-doid street" and fuge-daboudit (forget about it). This pronunciation is particularly associated with Brooklyn but exists to some extent throughout the city.

The thickness of a speaker's dialect is directly related to their social class, but these features have been fading within all classes over recent decades. Famous speakers are Roise Perez, Joe Persci and Marisa Tomei in My Cousin Vinnie Bunker, Bugs Bunny, and (If you are old enough to remember) the Bowery Boys.

#### Bonac


Named for Accabonac Creek in eastern Island, this dialect is rapidly dying out due to the influx of people from other areas. Back when New York City belonged to the Dutch, this area was part of New England, and Bonac shows elements of both dialects.

#### Inland Northern

Combines elements of Western New England and Upper Midwestern. Marry, merry, and Mary are pronounced the same. They call doughnuts fried cakes.

#### San Francisco Urban

Unlike the rest of California, which in the early twentieth century saw an influx of people from the South and other parts of the West, San Francisco continued to be settled by people from the Northeast and Northern Midwest, and elements of their dialects (North Midland, Upper Midwestern, Inland Northern) can be found. Mission dialect, spoken by Irish Catholics in a part of the city is very much like the New York City dialect.



#### Chicago Urban

Influenced by the Midland and Southern dialects. Often spoken by the late John Belushi (Chicago's Second City comedy theatre supplied many Saturday Night Live actors). SNL used to spoof it in the "Da Bears, Da Bulls" sketches. They call any sweet roll doughnuts.

#### North Midland

Created as the people in Pennsylvania migrated westward and influenced by Scotch-Irish, German, and English Quaker settlers. This and the South Midland dialect can actually be considered a separate Midland Dialect region that serves as a transition zone between the north and south. They call doughnuts belly sinkers, doorknobs, dunkers, and fatcakes.

We can name the other dialects existed on the territory of the USA. They are the following: Pennsylvania German-English, Western, Rocky Mountain, Pacific Northwest, Alaska, Pacific Southwest, Southwestern, Hawaii, General Southern, South Midland, Ozark, Southern Appalachian, Smokey Mountain English, Southern, Virginia Piedmont, Coastal Southern, Gullah, Gulf Southern, Louisiana, Ocracoke, Cajun French, Cajun English, Provincial French, Louisiana French Creole.

The notion of a so-called "standard" dialects is an important one but that is not always easy to define in a precise way for English. Formal Standard English, or Prescriptive Standard English, tends to be based on the written language of established writes and is typically codified in English

grammar texts. It is perpetuates to a large extent in formal institutions such as schools, by those responsible for English Language education. It is also very conservative-that is, it is very resistant to changes taking place within the language. For some features, the usage will border on obsolescence. Without an official agency responsible for the maintenance of uniform formal standard English in the USA, there will be some disagreement among prescriptive grammarians, but in most cases, there is fairly strong agreement among authorities. As set forth, formal standard English is most likely to be exemplified in impersonal written language and the most formal kinds of spoken language occasions, especially where spoken language has been written first. If we took a sample of every day conversational speech, we would find that there are virtually no speakers who consistently speak formal standard English as prescribed in the grammar books. In fact, it is not unusual for the same person who prescribes a formal standard English from to violate standard usage. For example, one of the prescribed formal standard English rules prohibits the use of a pronoun following a subject noun, as in My mother, she took me to the show, and many teachers will correct children who use this form.

As we see, the popular uses of the term dialect strongly reflect the attitudes about dialect differences which have developed in the United States over the centuries. For this reason, some groups of educators and language scientists prefer to avoid the use of the term dialect, using terms such as LANGUAGE DIFFERENCE, LANGUAGE VARIETY, or LANGUAGE VARIATION instead. Whether we prefer to use a euphemism for dialect or use it in the technical, neutral sense, we still have to confront the significant discrepancy between the public perception of linguistic diversity and the linguistic reality. In fact, given popular attitudes about dialect diversity, there is a good chance that whatever euphemism we use for the term dialect will eventually just take on the kind of pejorative connotations that are associated with the current popular uses of the term dialect.

**References:**

1. Arbara J. F. (1978) "Connecting school and home literacy experiences through cross-age reading"
2. De corte, E. Verschaffel L. (2000) "High-powered learning communities": design experiments as a lever to bridge the theory/practice divide. Vol.32, no.4, December.
3. Mittelstrass,J.(2001) "New challenges to educational and research in a global economy", Prospects, vol. 31, September
4. Temple C. (1979) "Reading Around the world"

**ნანა ხლუაშვილი**

**ამერიკული ინგლისურის მთავარი დიალექტები**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ა.შ.შ.-ს ტერიტორიაზე არსებული ინგლისური ენის სხვადასხვა მხრივადი დიალექტები და მათი წარმოშობის ისტორია (პირველი ემიგრანტების ამერიკის მიწაზე ჩამოსვლით დაწყებული). კერძოდ: ჩრდილოეთური მხრითადი ვარიანტი, ჩრდილოეთური ახალი ინგლისური, ახალი აღმოსავლური ინგლისური, ბოსტონის ურბანული ვარიანტი, ახალი დასავლური ინგლისური, ჰადსონის ველის ვარიანტი, ნიუ იორკული ვარიანტი, სამ ფრანკისკოს ვარიანტი, ჩიკაგოს ვარიანტი და სხვა. სტატიაში კონკრეტულად არის წარმოდგენილი თითოეული დიალექტის თავისებურება, წარმოშობისა და შემდგომში მათი განვითარების გზები.

**მამუკა ზუცხრიკიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

**ბიზნოური „ქებათა ქება“ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ინტერტექსტი**

პირველმა რუსთველოლოგმა ვახტანგ მეექვსემ თავის „თარგმანში“ სამართლიანად მიუთითა „ქებათა ქებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებით მსგავსებაზე.



ორივე ნაწარმოებში ღმერთის მიმართ სიყვარული ადამიანური სიყვარულის ალგორითთაა წარმოდგენილი.

„ქებათა-ქება“ და „ვეფხისტყაოსანიც“ პოეტური ენით, პოეტური სახეებით გადმოსცემს ადამიანის სულში მიმდინარე პროცესებს: წინააღმდეგობებს, ბრძოლას, მარცხსა და გამარჯვებას, შევებასა და „სულთქმას“ ბიბლიის შემდგენელი რაბი აკიბა აცხადებდა, რომ ისრაელისათვის „ქებათა-ქების“ ბოძება მთელი სამყაროს გადაცემას აღემატება, ბიბლიის ყველა წერილი წმინდაა, მაგრამ „ქებათა-ქება“ უწმინდესია მათ შორის. რატომ დასჭირდა რაბი აკიბას ამგვარი იმპერატული ტონი, რატომ აფრთხილებდა ისრაელის მომავალ თაობებს, ღმერთი არ გაგიწყრეთ. ეჭვი არ შეგეპაროთ „ქებათა-ქების“ სიწმინდეშიო. რაბი აკიბამ გამოარჩია „ქებათა-ქება“ ბიბლიის დანარჩენი წიგნებისაგან, რადგან გამორჩევის აქტი. ეს ღვთაებრივი ქმედებაა. იუდაიზმის თანახმად, ღმერთმა ორი უნარის მიხედვით დაიმსგავსა ადამიანი: მეტყველებითა და გამორჩევით [კოპენი, 2007]. გავიხსენოთ, როგორ გამოარჩია ღმერთმა მეშვიდე დღე - შაბათი და წმინდაპყო იგი, აგრეთვე სელუქციის ოჯახში აბრამის შთამომავლობაში, ვიდრე მთელი ერის გამორჩევა არ მოხდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იუდაიზმში „რჩეული ერის“ - „ისრაელის“ იდეა არ გულისხმობს საერთო ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა ერთობას. „ისრაელი“ იგივეა რაც „იამარ-ელ“ ანუ პირდაპირ ღმერთისაკენ მავალნი, რაც საერთო იდეურ პლატფორმაზე დამყარებულ საზოგადოებას ნიშნავს. ცენტრალური იდეა გამოიხატება მონოთეისტური ფორმულით „ადონაი ებად“ („უფალი ერთია“). ცნობილია, რომ ზოგიერთი მეცნიერი, როგორც არაებრაელი, ისე ებრაელი, თვლის, რომ, საგარეოდ, თვით ბიბლიურ პატრიარქთა შორისაც კი არ არსებობდა ნათესაური კავშირი. რეალურად, საქმე გვაქვს საერთო მსოფლმხედველობის ადამიანთა შეკავშირებასთან, უფრო ზუსტად, რელიგიური საზოგადოების ჩამოყალიბებასთან [Hope].

ამრიგად, რაბი აკიბამ აღნიშნული გამორჩევით დაზი გაუსვა „ქებათა ქების“ წიგნის განსაკუთრებულ სიწმინდეს. ტექსტის მარტივი თხრობა, ისტორიულ-ყოფითი პლანი, შეიცავს მძლავრ ეროტიკულ ნაკადს: „გოლი მოსწევთს შენს ბაგეებს / თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ“ და ა.შ. ყმაწვილთა გულეებში დანთებული ენების ცეცხლი, ურთიერთლტოლვა ყველა დაბრკოლებას გადალახავს, თვით სოლომონის დიდებული სასახლის გალავანს გაარღვევს. სენსუალური სიყვარულის გზება იმდენად ძლიერია, იმდენად მძაფრია წყურვილი, მეტრფესთან შეყრის ნდომა, რომ საბოლოოდ ეს ძალა წვავს და ანადგურებს იმ ხორციელ გარსს, რომელშიც თავადაა მოქცეული. წიგნის მარტივი სახე „ვარგ კაცს“ აპოკალიფს ფარულ გასასვლელს, საიდანაც თვალნათლივ იკითხება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის იგავის ქვეტექსტი.

ცნობილია, რომ ბიბლიურ ხანაშიც ყველაზე დიდი და მხიარული ზეიმი ებრაული ოჯახის ცხოვრებაში იყო ქორწილი. ოჯახის ამ ღონინში მთელი სოფელი მონაწილეობდა. მომღერლები და მუსიკოსები მღეროდნენ, უკრავდნენ და ეცეკვავდნენ ნეფე-პატარძლის წინაშე. განსაკუთრებით ხშირად სრულდებოდა პატარძლის სახობტო სიმღერები და მისადმი მიძღვნილი ეცეკვები. ქორწილი, საერთოდ, ღონინის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. იერემიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „გავაუქმებ იუდას ქალაქებში... ხმას სიძისას და ხმას პატარძლისას“ [იერ.,7,24], ანუ სიმღერებს სიმე-პატარძლის პატივსაცემად. როგორც ჩანს, „ქებათა ქების“ ლექსებიც ოდესღაც იუდეის სოფლებსა თუ ქალაქებში ქორწილის დროს სრულდებოდა [გორდოში]. ბერემით რაბაში ნათქვამია: ერთმა ქალმა რაბი აიკობ ბენ ხალიფთას ჰკითხა, რამდენ დღეში შექმნა უფალმა ქვეწიერიებაო. „ექვს დღეში“, მიუგო რაბიმ, როგორც წერია: „ექვს დღეში შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“. მას აქეთ რასა იქმს უფალი? - იკითხა ქალმა. - მას აქეთ უფალი ზის და წყვილებს აერთებს: ამა და ამ კაცის ქალიშვილს ამ მამაკაცთან“, - იყო პასუხი.

მოკლედ, მიდრამი ამბობს, რომ ოჯახის შექმნაში ღმერთის ხელი ურევია. ჩნდება კითხვა: თუ თვით უფალი აწყვილებს ადამიანებს, რატომ შორდებიან ერთმანეთს? და, საერთოდ, რატომ არის ამდენი ცოდვა-უბედურება ღვთისგან ქმნილ სამყაროში? იცნავ ლურია უპასუხებს: „ღმერთმა პარმონიული შექმნა სამყარო, მაგრამ მან ვერ შეინარჩუნა ეს პარმონიულობა, ჭურჭელმა ვერ გაუძლო ღვთიური ნათლით სივაცეს და დაიშხვრა. ჩვენ დაქუცმაცებულ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ყველგან და ყველგან ბზარი გადის, ბზარი გადის ადამიანურ ურთიერთობებშიც“ [Pisov]. როგორც ჩანს, პირველი ადამიანის (შადამ შაკადმონ) ცოდვითდაცემისა და აღდგომის ბიბლიური კონცეფცია უდევს საფუძვლად ყველა არსის, ყველა მოვლენის იდეურ-თემატურ ერთიანობას.

ბიბლიის ტრადიციული კრიტიკა წმინდა წერილის განმარტების ოთხ მეთოდს აღიარებს და მათ გამოხატავს ერთი სიტყვა-მემოკლებით „ფარდეს“ (მ-რ-ბ). აბრევიატურის პირველი ასო-ნიშანი ა ნიშნავს მ-რ (მარტივი აზრი, ლოგიკური განმარტება) ანუ ტექსტის ისტორიულ-ყოფითი პლანი; მეორე ასო-ნიშანი რ ნიშნავს მ-რ („ნიშანი, მიწინააღმდეგე“) ანუ ტიპოლოგიური მითითება, ნიშნავს, რომელიც შეიცავს სამოდერო-ზნეობრივ დატვირთვას; მესამე ასო-ნიშანი ტ ნიშნავს მ-რ („ალეგორიული განმარტება, ტექსტის საგანგებო აზრით დატვირთვა“); მეოთხე ასო-ნიშანი ბ ნიშნავს მ-რ („საიდუმლო“) ანუ დაფარული აზრი (5), მოვლენათა შინაგანი კანონზომიერებანი, მიზნუ-შედეგთა ტრანსცედენტული ერთობლიობა.

რაბი აკიბასათვის, ცხადია, ოთხივე ზემოთ წარმოდგენილი მეთოდი აქტუალურია „ქებათა ქების“ წიგნის განმარტებასთან მიმართებაში. პირველი მარტივი მეთოდი ქალ-ვაჟის სენსუალურ სიყვარულს აღწერს, რასაც თანამედროვე ბიბლიოლოგიის მონაცემებიც ეთანხმება - საყოველთაოდ გავრცელებული მეცნიერული აზრით, „ქებათა ქება“ სხვადასხვა დროს შექმნილი, ჩვეულებრივი სატრფიალო-საქორწინო სიმღერების კრებულაა, რომელთაც მრავლად დაეძებნება ანალოგიები ძველგეგმატურ სიმღერებსა თუ მუმერულ-აქადურ საგალობლებში. აქ განსაკუთრებული არაფერია. თანამედროვე ადამიანიც ხომ ერთთავად სიყვარულს მივლტვის. ნახულობს უამრავ ფილმს ბედნიერი თუ უიღბლო სიყვარულის შესახებ, ისმენს ასობით იაფფასიან სიმღერას სიყვარულზე, ბრჭყვიალა ინტერნეტ-პორტალები ვირტუალური სიყვარულისკენ იწვევს ვიზიტორს, ზელეტრისტიკის ყველაზე გავრცელებული თემაც კვლავ სიყვარულია. ადამიანი თავადაც კვლევობს, სხვადასხვა საშუალებით ცდილობს მიშვიდველი იყოს. „სიყვარულზე ადვილი არაფერია“, - ამგვარი დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ დღემდე საყოველთაოდაა გავრცელებული, თუმცა ფაქტები სრულიად სხვაზე მეტყველებს. მწელად თუ მოიძებნება ისეთი მოქმედება ან წამოწყება, რომელსაც ესოდენ დიდი სასიოება და სასიამოვნო მოლოდინი ახლდეს თან, - როგორც სიყვარულს და რომელიც, ამასთან, ესოდენ სისტემატურად მთავრდებოდეს მარცხით (4). სიყვარული უწმინდესია, მაგრამ პროფანაციის ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ მას ეშუქება. სწორედ სიყვარულის სიწმინდის დაცვას ემსახურება რაბი-აკიბას მიერ მოხმობილი ზემოხსენებული „ფარდესის“ მეორე მეთოდი, რომელსაც სამოდერო-ზნეობრივი დატვირთვა აქვს - ღმერთი არ გაიჩყრეთ, ეჭვი არ შეგეპაროთ „ქებათა ქების“ სიწმინდემო.

რაბი აკიბა და შემდგომი თაობის ყველა კომენტატორი, იუდეველი თუ ქრისტიანი, „ქებათა ქების“ ტექსტს ალეგორიულად განმარტავს და წარმოადგენს, როგორც ადამიანის ლტოლვას ღმერთისაკენ. მწყემსი ვაჟი უფალია, - იუდეველებთან ისრაელის ღმერთი, ქრისტიანებთან - ქრისტე, - რომელსაც მწყემსი ქალწული ანუ მისი სამწყემსო, - იუდეველებთან ისრაელი, ქრისტიანებთან ეკლესია, - ეძიებს.

„ფარდესის“ მეოთხე მეთოდი „სოდ“ („საიდუმლო“) შემოქმედისა და მისი ქმნილების ეზოთერულ მთლიანობას ემყარება. სამყარო მხოლოდ ორი ელემენტითაა წარმოდგენილი შემოქმედი და ქმნილება. ქმნილება გაივლის ინიციაციის გზას და შემოქმედის წიაღს უბრუნდება. ყველა სხვა მოვლენა, ყველა სხვა არსი სხვა არაფერია, თუ არა ამ ორი ელემენტის ნაწილი.

„ვეფხისტყაოსნის“ მარტივი გაგება („ფემატ“) ორიგინალობითა და ბუნებრივობით „ქებათა ქების“ ბადალია. მისი ფიქცია იმდენად დამაჯერებელია, ეროვნული სულით გამსჭვალული ამბავი იმდენად უტყუარია, რომ თანამედროვე მეკლდეებსაც კი უჭირთ ირწმუნონ მისი ალევორიული ხასიათი. თუმცა თავისივე თხზულების პირველ კომენტატორად პოემის პროლოგსა და ეპილოგში თავად პოემის ავტორი გვევლინება. თავადვე ხდის ფარდას შეფარვით ნათქვამს:

„მას ერთსა მოჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხედებიათ,  
ენა დაფერების, მსმენლისა ყურნიცა დაჟაღდებიათ;  
ეთქვენ ბელობანი ქენანი, რომელნი ხორცთა ჰხედებიათ;  
მართ მასვე ჰბაბენ, თუ ოდენ არ სიბენ, შორით ბნდებიათ“.

პოეტს მიზნად დაუსახავს ამსოფლიოური სიყვარულის ალევორიის მეშვეობით საღვთო სიყვარულის დრამა ასახოს.

„ვეფხისტყაოსნის“ ალევორიული ინტერპრეტაციის იდეას სრულად იზიარებს „დავითიანის“ ავტორიც:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან, შოთამ რკო იგავთ ხუთა,  
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,  
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოორხეოდა,  
ლექსი რუსთელისებრ ნათქვამი, მე სხვისა ვერ ვნახეო და“.

პირველი ნაყოფი გურამიშვილისათვის ალბათ „საღრმთო საღრმთოდ გასაგონია“, ის სიბრძნეა, რომლის წედომაც დიდ სარგებელს მოუტანს მსმენელს, საზეო საქმეებს აზიარებს და საბოლოოდ „ზუსთ მწყობრთა წყობს“ ანუ სამყაროს უზენაეს წესრიგს შერთავს. მაგრამ ეს ნაყოფი მხოლოდ ღვთიკურთხეულ ადვანტს შეუძლია იგემოს, თუმცა იგავთ ხე არც ჩვეულებრივ მოკვდავთ ტოვებს უნუგემოდ. მეორე ნაყოფი შეუძლია ყოველდღიურობაში მოფუსფუსე „კაცმა ვარგმა“ მოიწიოს და ბევრი სიკეთე შეირგოს მისგან. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ზნეობრივი გმირები არიან, ეაყაყობის, რაინდობის, ერთგულების, პატიოსნების, უშურველობის იდეას წარმოადგენენ და ამ ყველაფერის პირად მაგალითს აძლევენ მკითხველს. ამასთან ერთად, შოთა რუსთაველი ისეთივე კატეგორიულობით იცავს მიჯნურობის სიწმინდეს, როგორც რაბი აკიბა:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნულად მწელი გვარი;  
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიბვისა დასადარი;  
იგი სხვაა, სიბვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,  
წუთნ გაპრვეთ ერთმანეთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!“

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ფართოდაა გამლილი დროსა და სივრცეში, მისი გმირები მუდმივად მოგზაურობენ ზღვით თუ ხმელეთით, ამბავში უთვალავი ფერი ელვარებს, უამრავი სახე, სიმბოლო, ბატი და ენიგმა იჩენს თავს, ხოლო საბოლოოდ ყველა და ყველაფერი ადამიანის სულის ფაქიზ რხევებამდე დაიყვანება. ყურადღების ფოკუსში რჩება ადამიანი, ინიციაციის გზაზე შემდგარი ადვანტი, რომელმაც ღვთაებრივი სიყვარულის ზიარებით უნდა დაამარცხოს ბნელი, ქტონური ძალები, უნდა დათრგუნოს სიკვდილი (მდრ. ქრისტეს გალობა: „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“), რადგან „სიკვდილივით ძლიერია სიყვარული“ (ქება მერვე). ესე იგი სიკვდილის ძლევა მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი ანუ მხოლოდ განდმრთობით, რადგან „ღმერთი არის სიყვარული“. მოვლენები ამ ადამიანშივე ვითარდება, ის განიიდის სულიერ მეტამორფოზებს. ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის

დახოცვა ნიშნავს, რომ იგი სძლევს თავის თავში მხეცს, პირუტყვს, მიწიერ ვნებებს. ამ კათარზისის შემდეგ იგი მზადაა ჩაებას წმინდა ომში ქაჯთა მიერ დატყვევებული სულის - ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად. ქაჯებთან ბრძოლაც თვით ამ ადამიანის, ადვანის სულში მიმდინარე პერიპეტივია. იგი ებრძვის საკუთარ ეგოს, ეგოცენტრულ მისწრაფებებს, დაუფლების მუდმივ ღინსა და წყურვილს, საბოლოოდ ის მთლიანად სწირავს საკუთარ „მე“-ს თავის სიყვარულს, ეგოს ანუ მიღებას გაეცმად აქცევს (შდრ.: „უხვად გასცემდი! ზღვათაცა შესდის და გაედინების“), ძლევამოსილი მეფე აბსოლუტურ სიკეთედ გარდაიქმნება, და იგი (აბსოლუტური სიკეთე, მამაკაცური საწყისი) სრულად ერწყმის აბსოლუტურ გონს, უზუნაეს სიბრძნეს (ქალურ საწყისს), რომელსაც ნესტან-დარეჯანი განასახიერებს. ამ აქტით სრულდება შეწყვილების, ერთ არსად გამოლიანების კოსმოური მისტერია.

ზვიად გამსახურდია თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ სწორად შენიშნავს, რომ ტარიელი არ არის ინდივიდუალური პერსონაჟი ან ისტორიული პიროვნება. ეს არის კრებითი სახე ადამიანობისა, ვაჟაგობისა, მეფობისა, გმირობისა, იდეალური კაცი, იდეალური მეფე, ამავე დროს განასახიერება სამეფო ინიციაციის გზისა. ზ. გამსახურდია როდესაც ტარიელის სახელის ეტიმოლოგიას განიხილავს, აცხადებს, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს *თარ ფუბეს*, საკრალურს სასწკრიტსა და ჰინდუში, პირველში იგი მაცხოვარს ნიშნავს, ხოლო მეორეში - მზეს. სახელის დაბოლოება *ელ-ი*, როგორც ცნობილია, ძველ ენებში ღვთაებას აღნიშნავს (1). მოსაზრება საყურადღებოა, მაგრამ ტარიელი თავისი მორფოლოგიითა და ფონეტიკით უფრო ებრაულ ანთროპონიმს წააგავს, მსგავსად სახელებისა: რაფიელი, გაბრიელი, დანიელი და მისთ. კომპოზიტის პირველი ელემენტი, ვფიქრობთ არის ებრაული *თარ* (תָר), რაც „მოგზაურს“ აღნიშნავს, ხოლო „ელ“, როგორც ზემოთ ითქვა, ღმერთს, ღვთაებას გამოხატავს. ტარიელის სახელის ამგვარი გაგება კიდევ უფრო განამტკიცებს მის კავშირს წმინდა გიორგის სიმბოლოსთან, რომლის შესახებაც საუბრობს ზ. გამსახურდია აღნიშნულ ნაშრომში, იგი ხაზს უსვამს, რომ წმინდა გიორგი მგზავრთა მფარველია, მოგზაურია, რაც ანტიკური ეპოქის მზიურ გმირებსაც ახასიათებს (იაზონი, ოდისეუსი, ენკასი და სხვ.). მოგზაურობა მათ ამსგავსებს მზეს, რომელიც ცის კაბადონზე მოგზაურობს. ზ. გამსახურდია იქვე დასძენს, რომ ქართულ ფოლკლორში წმინდა გიორგის ეწოდება „მგზავრ-ანგელოზი“, „გიორგი მგზავრი“ და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ფარდესის“ მეთოდები, რომელიც ოთხ დონეზე განმარტავს ბიბლიის ტექსტს (ჩვენს შემთხვევაში -ქებათა ქებას“), რელევანტურია „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებაშიც:1) ქართული ეპოსი ექვემდებარება მარტივ გააზრებას, ლოგიკურ წაკითხვას („ფშატ“ - ისტორიულ-ყოფითი პლანი); 2) პოემას აქვს სამოდერო-ზნეობრივი დატვირთვა („რემეზ“ - მითითება, შეგონება); 3) მისი სიღრმისეული წვდომა მოითხოვს ალეგორიულ ინტერპრეტაციას („დერუმ“ ალეგორიული განმარტება); 4) პოემა შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც მკაფიოდ გამოხატული ეზოთერული, „სადრმთოდ გასაგონი“ შინაარსის ქმნილება („სოდ“ - საიდუმლო, ქმნილების დაფარული მხარე).

### ლიტერატურა

1. გამსახურდია ზ.კ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი.1991.
2. გორდონ შ.ლ. ხუთი გრაფილი, გამომცემლობა „პაუოლ ჰაიარ“, თელ-ავივი19541.
3. კოპენ ზამირ, კოდი, გამომცემლობა „პიდანბრუთ იეპუდით“. იერუსალიმი 2007.
4. ფრომი ერის.სიყვარულის ხელოვნება (ინგლისურიდან თარგმნა ია ელვაშვილმა) // „ლიტერატურა და ხელოვნება“, №2. 1990. 240-251.
5. შოშან ვენ. ვენ შოშანის ლექსიკონი, ისრაელი. 2004 (ებრაულ ენაზე).

Mamuka Butskhrikidze

## Biblical "The Song of Songs" as an Intertext of "The Night in the Panther's Skin"

### Abstract

The first Rusvelolog Vakhtang the Sixth rightly pointed out the similarity of expression of face of "The Song of Songs" and "The Night in the Panther's Skin". The both works are the allegory of God's love for human's love. In this work, we tried to be underlined archetype pedestal of "The Song of Songs" where the magnificent creature of "The Night in the Panther's Skin" has been established. It is impossible that the declaration about "The Song of Songs" made by one of the authors of the Bible, Rabbi Akiba: "all the writings are holy and "The Song of Songs" is holy of holies", hasn't been recognized deeply by the author of "The Night in the Panther's Skin". Construction of "The Night in the Panther's Skin" is based on the principle of biblical structure with its ideal-conceptual plan.

Methods of "Pardes" that determines the text of the Bible to the fourth level ("The Song of Songs" in our case), is relevant towards the "Night in the Panther's Skin" as well: 1) Georgian epos is subjected to the simple interpretation, logical reading ("Pehat" – historic-essential plan); 2) The poem has teaching-moral meaning ("Remez"-indication, suggestion); 3) Its deeply recognition needs allegoric interpretation ("Derush" – allegoric explanation); 4) The poem may be discussed as a distinctly expressed esoteric creature with the content of "Divine Cognition" ("Sod" – secret, covered side of the creature).

Natia Gabashvili

ი.ვოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

## Communicative Approach in English as a Foreign Language Teaching

The primary motive for learning a language is that it provides a means of communication [Littlewood, W. 1996.: 53]. The ever-growing need for good communication skills in English has created a huge demand of English teaching around the world. Millions of people today want to improve their skills in English. Opportunities to learn English are provided in many different ways such as through formal instruction, study abroad, as well as through the media and the internet. The world-wide need for English has created an enormous demand for quality language teaching materials and resources. Learners want to be able to master English to a high level of accuracy and fluency. Employers too insist that their employees have good English language skills, and fluency in English is a prerequisite for success and advancement in many fields of employment in today's world. The demand for an appropriate teaching methodology is therefore as strong as ever.

The full name of the Communicative Approach is "The Communicative-Adaptive approach." This highlights the two most distinctive features of the CA: first, that it is a new way to understand human emotionally-laden communications and second, that it has shown that the primary function of the emotion-processing mind is to cope with - adapt to - immediate emotionally-charged triggering events.

The communicative approach could be said to be the product of educators and linguists who had grown dissatisfied with the audio lingual and grammar-translation methods of foreign language instruction. They felt that students were not learning enough realistic, whole language. They did not know how to communicate using appropriate social language, gestures, or expressions; in brief, they were at a loss to communicate in the culture of the language studied. Interest in and development of communicative-style teaching dates in the 1970s; authentic language use and classroom exchanges where students engaged in real communication with one another became quite popular.

"Communication involves enabling someone else to understand what we want to tell them, what is often referred to as our message." [T. Lynch, 2001:3].

The communicative approach (CA) was developed by Robert Langs, in the early 1970's. It is a new theory or paradigm of emotional life and psychoanalysis that is centered on human

adaptations to emotionally-charged events—with full appreciation that such adaptations take place both within awareness (consciously) and outside of awareness (unconsciously).

Communicative language teaching makes use of real-life situations that necessitate communication. The teacher sets up a situation that students are likely to encounter in real life. Unlike the audio lingual method of language teaching, which relies on repetition and drills, the communicative approach can leave students in suspense as to the outcome of a class exercise, which will vary according to their reactions and responses. The real-life simulations change from day to day. Students' motivation to learn comes from their desire to communicate in meaningful ways about meaningful topics.

Margie S. Bems, an expert in the field of communicative language teaching, writes that "language is interaction; it is interpersonal activity and has a clear relationship with society. In this light, language study has to look at the use (function) of language in context, both its linguistic context (what is uttered before and after a given piece of discourse) and its social, or situational, context (who is speaking, what their social roles are, why they have come together to speak)" (Bems, 1984 : 5).

CLT is usually characterized as a broad *approach* to teaching, rather than as a teaching *method* with a clearly defined set of classroom practices. As such, it is most often defined as a list of general principles or features. One of the most recognized of these lists is David Nunan's five features of communicative language teaching:

1. An emphasis on learning to communicate through interaction in the target language.
2. The introduction of authentic texts into the learning situation.
3. The provision of opportunities for learners to focus, not only on language but also on the Learning management process.
4. An enhancement of the learner's own personal experiences as important contributing elements to classroom learning.
5. An attempt to link classroom language learning with language activities outside the classroom.

These five features are claimed by practitioners of CLT to show that they are very interested in the needs and desires of their learners as well as the connection between the language as it is taught in their class and as it used outside the classroom. Under this broad umbrella definition, any teaching practice that helps students develop their communicative competence in an authentic context is deemed an acceptable and beneficial form of instruction. Thus, in the classroom CLT often takes the form of pair and group work requiring negotiation and cooperation between learners, fluency-based activities that encourage learners to develop their confidence, role-plays in which students practice and develop language functions, as well as judicious use of grammar and pronunciation focused activities.

There are the steps to follow in planning a lesson using the communicative approach to foreign language teaching:

1. Presentation of a situation or context through a brief dialogue or several mini-dialogues, preceded by a motivational activity relating the dialogue to learners' experiences and interest. This includes a discussion of the function and situation: People, roles, setting, topic and the level of formality or informality the function and situation demand.
2. Brainstorming or discussion to establish the vocabulary and expressions to be used to accomplish the communicative intent. Includes a framework or means of structuring a conversation or exchange to achieve the purpose of the speakers.
3. Questions and answers based on the dialogue topic and situation: Inverted, wh- questions, yes/no, either/or and open-ended questions.
4. Study of the basic communicative expressions in the dialogue or one of the structures that exemplifies the function, using pictures, real objects, or dramatization to clarify the meaning.
5. Learner discovery of generalizations or rules underlying the functional expression or structure, with model examples on the chalkboard, underlining the important features, using arrows or referents where feasible.

6. Oral recognition and interpretative activities including oral production proceeding from guided to freer communication activities.
7. Reading and/or copying of the dialogues with variations for reading/writing practice.
8. Oral evaluation of learning with guided use of language and questions/answers,
9. Homework and extension activities such as learners' creation of new dialogues around the same situation.
10. To complete the lesson cycle, provide opportunities to apply the language learned the day before in novel situations for the same or a related purpose.

The type of classroom activities proposed in CLT also implies new roles in the classroom for teachers and learners. Learners now have to participate in classroom activities that are based on a cooperative rather than individualistic approach to learning. Students have to become comfortable with listening to their peers in group work or in pair work tasks, rather than relying on the teacher for a model. They are expected to take on a greater degree of responsibility for their own learning. And teachers have to assume the role of facilitator and monitor, rather than being a model for correct speech and writing. Teachers have to develop a different view of learners' errors. Teachers in communicative classrooms will find themselves talking less and listening more. The teacher sets up the exercise, but because the students' performance is the goal, the teacher must step back and observe, sometimes acting as referee or monitor. A classroom during a communicative activity is far from quiet, however. The students do most of the speaking, and frequently the scene of a classroom during a communicative exercise is active, with students leaving their seats to complete a task. Because of the increased responsibility to participate, students may find they gain confidence in using the target language in general. Students are more responsible managers of their own learning.

Fundamentally it is important to establish an appropriate physical and psychological atmosphere in the classroom. Instructors must be dedicated to the belief that oral communication is an important for learning and be willing to arrange classroom furniture so that talk between students in large and small groups is convenient. The psychological atmosphere should be one in which students feel comfortable and take increasing responsibility for their own learning. Coakley and Wolvin in their book named a 'Listening in the educational environment' (1991) have suggested specific ways in which teachers effectively model listening in the classroom. So that they should follow communicative approach. These include the following :

- a) Providing a wait time for students to answer.
- (b) Engaging in attending behaviors such as eye contact and responsive facial expression.
- (c) Giving students undivided attention when they are speaking.
- (d) Providing a supportive climate by being approachable.
- (e) Not interrupting students.
- (f) Withholding Judgments until students have finished speaking and
- (g) Giving prompt and thoughtful responses to students questions.

The teacher must understand the nature of communication, of learning in general, of language learning in particular, and of the learner's own contribution to his or her development as a learner and communicator in the classroom where learning is both individually acquired and socially shared. The teacher needs a variety of specific skills to apply this knowledge to the learning experiences of the classroom, including a high degree of language knowledge; a critical, flexible, and experimental approach to teaching; an understanding of the interplay of process and product in language learning; and the ability to apply this awareness in classroom procedures and techniques. The goal of CLT is communicative competence. In order to foster communicative competence the teacher has two main roles: the first being to facilitate the communication process in the classroom and the second, to act as an independent participant within the learning-teaching group. The teacher is also expected to act as a resource, an organizer of resources, a motivator, a counselor, a guide, an analyst, and a researcher. This list is not exhaustive: there are many other minor roles expected of a teacher. Further examples include being an actor and an entertainer. If you find this a little strange, it isn't! A good lesson must be interesting for the students, or they will 'switch off' and learn nothing.

The Communicative Approach emphasizes that the ability to use language appropriately is another essential aspect of communicative competence. The principle applied here is that grammatical competence and lexical knowledge are not enough to enable students to operate efficiently in the target language. They must be able to use the language appropriate to the speech event they find themselves in and the ability to use language appropriately helps to distinguish skilled communicators from unskilled ones.

The Communicative Approach views language as a vehicle for communication the process of negotiating meaning receives much attention. Engaged in oral communication, speakers not only have to make them understood but also have to interpret the listener's intention correctly.

It can be concluded that the concept of communicative competence as defined by the communicative approach is very broad indeed. CLT is an innovation of foreign language teaching, aiming at improving students' communicative competence.

#### References:

1. Berns, S.(1984). Communicative Language.p.5.
2. Coakley and Wolvin. (1991).Listening in the educational environment. P.21-53
3. Littlewood,W.(2007)Communicative Language Teaching. p. 6-35.
3. Littlewood,W.(1996).Foreign and Second Language Learning. Cambridge University Press.P.53-88.
4. Lynch, T.(2001). Communication in the Language Classroom. Oxford University Press.p.3-15.
- 5.Richards,J. Renandya,W.(2001) Methodology in Language Teaching.

### თამარ გაბუნია, ქეთევან ქაცანაშვილი ოვ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი ვირტუალური ინტერაქცია – მითი თუ რეალობა?

ტექნოლოგიების გამოყენება უცხო ენის შესასწავლად ათწლეულებს ითვლის. მანუენოს [2002] თქმით, "უცხო ენები მეცნიერების იმ დარგთაგანია, რომლისთვისაც ყველაზე ხშირად და ყველაზე ადრე მიმართავენ ინფორმატიკულ წყაროებს"[გვ. 129].

ბერტენი [2001] პედაგოგიკაში ინფორმატიკის გამოყენების ისტორიაზე საუბრისას, ევოლუციის სამ ეტაპს გამოყოფს. თავდაპირველად, იგი 1960 წლით დათარიღებულ პროგრამულ სწავლებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც სკინერის ბეავი-ორისტულ თეორიებს მოჰყვა. ევოლუციის მეორე ეტაპი 1970 წელს, სეიმურ პაპერის მიერ განხორციელებულ ექსპერიმენტს უკავშირდება, როცა კომპიუტერი კარგავს ტიუტორის როლს და აქცენტი მონაწილის სურვილებსა და შესაძლებლობებზე გადადის. მესამე ეტაპი საკომუნიკაციო მეთოდების პოპულარიზაციას უკავშირდება, როდესაც მეცნიერებმა განიზრახეს დაეახლოვებინათ პროგრამისა და სალაპარაკო ენა, რისთვისაც კომპიუტერს უნდა გაეზიფრა ამა თუ იმ ენის სემანტიკური ასპექტები და კონკრეტული შვიტხვებისთვის ადეკვატური პასუხები გაეცა.

უკვე 1990 წლიდან, ანუ ნამდვილი მულტიმედიის დაბადებიდან, იწყება მსჯელობა მის მთავარ ღირსებაზე – ინტერაქციულობაზე.

შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ ნამდვილ ინტერაქციაზე ენის შესასწავლ პროგრამებში? მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, ზოგიერთი ტერმინის განმარტების შემდეგ, გავაანალიზოთ ფრანგული ენის შესასწავლ სხვადასხვა პროგრამაში შემოთავაზებული სიმულაციები.

კერზარ-ორეჟიონის (1990:28) თქმით, "ინტერაქცია შეიძლება განიმარტოს, როგორც ადგილი კოლექტიური აქტივობისა რაიმე აზრის ჩამოსაყალიბებლად,



აქტივობისა, რომელიც მიზნად ისახავს დასრულებულ ან შეწყვეტილ ექსპლიციტურ თუ იმპლიციტურ ურთიერთობას”.

სიმულაცია პედაგოგიკური ხერხია, რომელსაც უცხო ენის შესწავლისას განსაკუთრებით საკომუნიკაციო მეთოდების დაწინაურების შემდგომ მიმართავენ და რომლის ძირითადი მიზანია მოწაფეს შეაძენინოს საკომუნიკაციო კომპეტენციები [Dejean, 2001].

კარეს განმარტებით, “სიმულაცია სტატიკური და უძრავია, მასში იმპროვიზაცია თითქმის უკუდგებულია, წინადადებები კი მყარად სტერეოტიპული და სპეციალური ტერმინებით დატვირთული” [Care, 1983: 138].

ფრანგული ენის შესასწავლ სავარჯიშოებზე დაკვირვებისას, ორი ტიპის სიმულაციას ვხვდებით: I ტიპი, ანუ ე.წ. “ღია” სიმულაციები (Les simulations ouvertes), ითვალისწინებს კომპიუტერის ერთ რეპლიკაზე მოწაფის ერთ პასუხს, როდესაც ამ უკანასკნელს ეძლევა როლი და ზეპირად პასუხობს ეკრანზე გამოჩენილი ვირტუალური პერსონაჟის შევითხვებს. მოცემული ტიპის სიმულაცია მოწაფეს ავალდებულებს. კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციისთვის ადაპტირებული ფრაზები ააგოს. დიალოგის სქემა სწორხაზოვანია და მოწაფე უძლურია შეცვალოს იგი.

სიმულაციათა II ტიპს შერჩევითი, ანუ “დახურული” სიმულაციები წარმოადგენს (Les simulations à choix multiples). ამგვარი სიმულაციები მოწაფეს სთავაზობს არჩევანს რამოდენიმე (ძირითად სამ) რეპლიკას შორის. მოცემული სიმულაციების ორი ქვე-ტიპი გამოიყოფა:

- a) ისეთი სიმულაციები, რომლებიც მოცემული სიტუაციისთვის მაქსიმალურად ადაპტირებული პასუხის მოძიებას გულისხმობს;
- b) სიმულაციები, რომელთა მიზანია ინფორმაციის მაქსიმუმის მოძიება.

1. Je vous ai compris 2 (JVC 2) (ავტორები: ივ შვეალიე, დომინიკ პერენი, ბეტინა დერვილი; უნივერსიტეტი – ლილი 3).

ფრანგული ენის შესასწავლ მოცემულ პროგრამაში, კონკრეტულად კი რუბრიკაში სახელწოდებით “ინტერაქციული თავგადასავლები” მომხმარებელს ეძლევა როლი და ხდება მონაწილე სხვადასხვა ინტერაქციისა. თითოეული დიალოგი ითვალისწინებს სისტემის მიერ ჩაწერილ ხუთ რეპლიკას და მომხმარებლის მიერ გაცემულ ხუთ პასუხს, რომელიც იწერება მიკროფონის საშუალებით. მაგალითად, ერთ-ერთ ინტერაქციაში სახელწოდებით “აეროპორტი” მოწაფემ უნდა შეასრულოს როლი პერსონაჟისა, რომელიც დაპატიყებულია ტულუზაში მეგობრებთან. პარიზში, გარ დე ნორში მისული, იგი უნდა ჩაჯდეს საზოგადოებრივ ტრანსპორტში და მივიდეს რუასიმდე, შემდეგ კი გაფრინდეს თვითმფრინავით. მატარებლისა და თვითმფრინავის ბილეთის ყიდვისა თუ მეგობრებთან საუბრის პროცესში, მოწაფე ეხმარება ეკრანზე გამოჩენილი ვირტუალური პერსონაჟის რეპლიკებს. დიალოგები ეძღვნება ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ყოფით სცენებს. საუბრის დასასრულს, მოწაფეს შეუძლია მოესმინოს საკუთარ დიალოგსა და ნახოს ეტალონი დიალოგის ტრანსკრიპცია.

JVC 2-ში შემოთავაზებული ინტერაქციები ღია სიმულაციათა კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც მომხმარებლის ინტერვენცია ვერ შეცვლის მის სქემას თუ პრაგმატულ ორიენტაციას და ნებისმიერ შემთხვევაში აპოვინებს იმ რეპლიკას, რომელიც წინასწარ ჩაწერილი დიალოგის ნაწილია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისტემა უძლურია შეაფასოს მომხმარებლის მიერ გამოგონილი რეპლიკები და შესთავაზოს მას დაშვებული შეცდომების გასწორების ხერხები.

ინტერაქციაში “აეროპორტი” შემოთავაზებულ დიალოგებზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია ვისაუბროთ მათ ტიპოლოგიაზე. სირთულის თვალსაზრისით,

მოცემული ე.წ. "ზელოვნური" (გამოგონილი) დიალოგები ხუთ კრიტერიუმს ითვალისწინებს. ესენია:

1. სცენარების წინასწარი განჭვრეტისა და მოქნილობის ხარისხი;
2. მოწაფის მიერ განსახორციელებელი ინტერვენციის ტიპი (რეაქციული ან რეაქციულ-ინტერვენციული);
3. აქტივობის პირობის სირთულის ხარისხი;
4. მოწაფის მიერ გამოსაგონებელი ენობრივი აქტების რაოდენობა და ტიპი;
5. იმპლიციტურობის ხარისხი თითოეულ კრიტერიუმს თუ შევესაბამებთ ორ ან სამ დონეს (სირთულის მიხედვით), რომელთაც შემდგომ დაეუკავშირებთ პროგრამის დიალოგებს, აღმოვაჩინოთ, რომ შემოთავაზებული დიალოგები ორი ტიპისაა:

1. პირველ ტიპს მიეკუთვნება დიალოგები, სადაც მომხმარებელთა ინტერვენცია მხოლოდ რეაქციულია

მაგალითი 1<sup>4</sup>

*Maintenant faites votre déclaration de vol au commissariat.*

1L2 : Bon, je vais prendre votre déclaration. Ça s'est passé où?

2L1 : Dans le RER, à la gare du Nord, j'ai été bousculé, je pense que c'est là qu'on m'a volé.

3L2 : Et qu'est-ce que vous avez perdu comme papiers?

4L1 : Ma carte d'identité et mon permis de conduire.

2. II ტიპის დიალოგების ინტერვენციები კი რეაქციულ-ინიციატიური ხასიათისაა პრაგმატულ-ცნებითი თვალსაზრისით, ისინი უფრო რთულია და, შესაბამისად, მათი წინასწარ განჭვრეტა ნაკლებად შესაძლებელია (დააკვირდით შემდეგი მაგალითის დახრილ ფრაზებს):

მაგალითი 2

1L2 : Bonjour!

2L1 Bonjour! Je voudrais un billet pour l'aéroport d'Orly, s'il vous plaît. Est-ce que c'est direct?

3L2 : Ça dépend, vous prenez Orlyval ou Pont de Rungis?

4L1 : Quelle est la solution la plus rapide?

მოცემული მაგალითის მეოთხე ფრაზის პასუხი შეიძლება ყოფილიყო "Orlyval" ან "Pont de Rungis", მაგრამ სავარჯიშოს პირობა მოწაფეს ავალდებულებს ახალი შეკითხვის გამოგონებას.

რეალური ინტერაქცია ისეთი საკომუნიკაციო კონსტრუქციების აგებას გულისხმობს, რომელში მონაწილე თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ვირტუალურ ინტერაქციაში მონაწილე ადამიანი (მოცემულ შემთხვევაში, ენის შემწავლეელი) იბულებულია, გაითვალისწინოს წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოები, როგორც თავად JVC2-ის ავტორები განმარტავენ, "მოწაფე უნდა მოერგოს პროგრამას და არა პირიქით" [Derville et Perrin, 1998:67-68]. სწორედ "არსებული ზღვრების გათვალისწინება განაპირობებს სეკვენსის თანამიმდევრულობას" [Moeschler et Reboul, 1994:468].

3. *A la recherche d'un emploi* (ავტორები: მაგი პოტიე, ტიერი შანიე, უნივერსიტეტი კლერმონ-ფერანი).

პროგრამის პირველი ნაწილი გეთავაზობს ორ სიმულაციას. პირველი სიმულაციის თემა გასაუბრება სამსახურში მისაღებად, ხოლო მეორისა – ტელეფონზე საუბარი შეხვედრის დასანიშნად. მოცემული სიმულაციები პროგრამის ძირითადი თემის

<sup>4</sup> ტრანსკრიპციის გაჩვენება:  
დახრილი შრიფტი: მოხრობის მიერ წარმოთქმული ფრაზები და მიმოიხილეთ.  
L1: ენის შემსწავლეელი.  
L2: ვირტუალური პერსონაჟი.

(ღერბული თემის) კონკრეტული ნაწილებია. JVC2-ის დიალოგებისაგან განსხვავებით, ამ პროგრამაში შემოთავაზებული დიალოგების სიმულაციები შერჩევითია, ანუ მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ეკრანის მარცხენა ნაწილზე გამოჩენილ რამდენიმე რეპლიკას შორის. პასუხზე ლილაკის დაჭერით პროგრამა იძლევა რეპლიკათა მომდევნო შეკვრებს. მოწაფის პასუხი ავტომატურად იწერება სისტემაში, რაც მას საშუალებას აძლევს მოისმინოს როგორც საკუთარი მონაწილეობით აგებული, ასევე სისტემის მიერ შემოთავაზებული დიალოგები და შეადაროს ისინი ერთმანეთს. აქტუოზები ეფუძნება ვიდეოჩანაწერებს, რითაც შესაძლებელი ხდება თანამოსაუბრის მიმოიკება და ესტეზზე დაკვირვება. თუ დავაკვირდებით პროგრამის ნებისმიერ დიალოგს, აღმოვაჩენთ, რომ ისინი ძირითადად სწორხაზოვანია, მხოლოდ რამოდენიმე რეპლიკა თუ ცვლის მათ სტრუქტურას. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად არჩევანისა, მომხმარებელი აუცილებლად მოისმენს სისტემაში დაფიქსირებულ, დამსაქმებლის მიერ წარმოთქმულ ათივე რეპლიკას:


**მაგალითი 3<sup>1</sup>**

პირველი და მეორე ინტერვენცია დამსაქმებლის ერთსა და იმავე რეაქციას იწვევს და გადაედივართ შეკითხვაზე ხელფასის შესახებ. მესამე ინტერვენციაში სამსახურის მაძიებელი ითხოვს დაწვრილებით ინფორმაციას სამუშაო პირობების შესახებ, რასაც დამსაქმებლის სხვაგვარი რეაქცია მოყვება, მაგრამ როგორც კი ეს უკანასკნელი გასცემს პასუხს მოცემულ შეკითხვას, დიალოგი უბრუნდება ძველ შეკითხვას ხელფასთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, A la recherche d'un emploi-ის პირველი ნაწილის სიმულაციების სტრუქტურა ძირითადად სწორხაზოვანია, პროგრამის მეორე ნაწილის, კონკრეტულად - სიმულაციის "L'acte de vente"-ისა კი საკმაოდ განტოტვილია და მოწაფის არჩევანიც სხვადასხვა ალტერნატივას გულისხმობს, ანუ თანამოსაუბრის რეაქციები დიალოგს განსხვავებულ პრაგმატულ ორიენტაციას სძენს. ამგვარ სიმულაციებს მანყენო (1998:84) "პრაგმატულ სიმულაციებს" უწოდებს.

მოცემული დახურული სიმულაციების მიზანია კონკრეტული სიტუაციისათვის მაქსიმალურად ადეკვატური პასუხების მოძიება. თუ რა კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ პასუხის ადეკვატურობა? პროგრამაში შემოთავაზებული რეპლიკების ანალიზმა დაგვანახა, რომ არ არსებობს "სწორი" ან "მცდარი" პასუხი. უბრალოდ, სწორად ითვლება ის რეაქცია, რომელიც ყველაზე გამართლებულია რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც მენგენო (1996:61) აღნიშნავს, "რელევანტურია ცნება, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება თავის კონტექსტს". აქედან გამომდინარე, შერჩევითი სიმულაცია კონტექსტისთვის ზედმინიმუმით მორგებული პასუხის პოვნას გულისხმობს.

3. Qui est donc Oscar Lake? (ინგლისურ ენაზე შექმნილი პროგრამა, რომელიც შემდგომ ოთხ ენაზე ითარგმნა).



პროგრამაში მოწაფე ასრულებს მთავარ როლს. მან უნდა იპოვოს დაკარგული ბრილიანტი და მისი სავარაუდო ქურდი, სახელად Oscar Lake. ზემოთ განხილული პროგრამებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ინტერაქციები საერთო აქტივობათა გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს, Qui est donc Oscar Lake არის პროგრამა, რომელიც მთლიანად სიმულაციებზეა აგებული. ლილაკზე დაქვრით ხორციელდება სისტემის მიერ შემოთავაზებული და მოწაფის მიერ მოგონილი რეპლიკების მოსმენა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ წარმოთქმული რეპლიკების უმრავლესობა წარმოადგენს ერთი და იგივე სამეტყველო აქტის განსხვავებულ ფორმულირებას:

**მაგალითი 5**

*Cécile Caprice: Est-ce votre métier?*

- Qui, je suis marchand de diamants.
- Qui, J'achète et je vends des diamants.

**მაგალითი 6**

*Un collaborateur de Madame Valcourt: Oui?*

- Je voudrais voir Madame Valcourt.
- Bonjour. Je suis un ami de Madame Valcourt.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ყველა რეპლიკა კორექტულია ლინგვისტურად, სემანტიკურად და პრაგმატულად. მოცემული სიმულაციების მიზანი არ არის მოწაფემ ამოაჩიოს სწორი პასუხი მცდარ პასუხებს შორის, უბრალოდ Versailles-ს მსგავსად, საკირია, დააგროვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. დიალოგთა სტრუქტურა ძირითადად სწორხაზოვანია, მოწაფის მიერ შერჩეული რამოდენიმე რეპლიკა თუ იწვევს მის განტოტვას.

**მაგალითი 7**

*Le commissaire de police: Reconnaissez. Êtes-vous Oscar Lake?*

- Qui est Oscar Lake?	- Est-ce que je ressemble à Oscar Lake?
<i>Le commissaire: Oscar Lake est un voleur international.</i>	<i>Le commissaire: Oscar Lake est un maître dans l'art du déguisement. Personne ne sait à quoi ressemble Oscar.</i>
- Comment est Oscar Lake?	- Pourquoi pensez-vous que je suis Oscar Lake?
- Est-ce que je ressemble à Oscar Lake?	- Qui vous dit que je suis Oscar Lake?

მაგალითიდან ჩანს, რომ მოწაფის არჩევანი თავდაპირველად ახდენს გავლენას დიალოგის სტრუქტურაზე. მაგრამ მომდევნო რეპლიკებზე დაკვირვებისას ვხვდებით, რომ სისტემა ისევ უბრუნდება დიალოგის ძველ სქემას.

ამრიგად, ზემოთ განხილული ენის შესასწავლ პროგრამებსა და CD ROM-ზე დაკვირვებისას, აშკარად იკვეთება ვირტუალური ინტერაქციის სისუსტე სხვადასხვა კონსტრუქციის აგების, არავერბალური დიალოგების, ამა თუ იმ სამეტყველო აქტის წინასწარ განჭვრეტის პროცესში.

განხილულ აქტივობებს ვერ დავარკვევთ ნამდვილ ინტერაქციას, რადგან სიმულაციათა აგება მთლიანად მოწაფის მიერ სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით ხერხდება. ლანსიენის [1998:59] თქმით, "არ შეიძლება ვისაუბროთ ენობრივ ინტერაქციაზე, როდესაც ენის შემსწავლელი იმყოფება პროგრამაში". ჰემმარიტი ინტერაქცია მხოლოდ რეალურ სამყაროს უკავშირდება. განხილული აქტივობები უფრო რეპროდუქციულია, ვიდრე ინტერაქციული.

ინტერესი ამგვარი აქტივობების მიმართ მზარდია, რადგან ისინი დადებითად მოქმედებს მოწაფეთა მოტივაციაზე. ეფექტურია ზეპირმეტყველებისა და მართლწერის დასამუშავებლად, ანვითარებს მეტალინგვისტურ შემეცნებას, მოწაფის დისკურსიულ მგრძნობელობას. ამასთან, ვირტუალურ ინტერაქციაზე მსჯელობისას, ისევ ძალაში რჩება ბველი, მაგრამ კვლავ აქტუალური შეკითხვა: შეძლებენ კი მკვლევარები პროგრამული ენის დახვეწას ისე, რომ მან შეძლოს დიალოგური ინტერვენციისას მოწაფის იმპროვიზაციის გათვალისწინება?

#### ლიტერატურა:

1. Bertin, J-C. *Des outils pour des langues*. Paris: Ellipses. 2001.
2. Dejean, Ch. Intérêt et limites des "simulations d'interactions". In R. Bouchard & F. Mangenot (Ed.), *Interactivité, Interactions et multimédia* (Vol. 5). Lyon : 2001. ENS Editions.
3. Derville, D. et Perrin, D. "Je vous ai compris : un outil multimédia pour l'autonomie", *Les Cahiers de l'Asdifle*, 9. 1998.
4. Caré, J-M. "Jeux de rôles", *Le français dans le monde*, 1983. 176.
5. Kerbrat-Orecchioni, C. *Les interactions verbales*, t. 1, Paris, Armand Colin.1990.
6. Lancien, Th. *Le multimédia*. Paris : CLE international. 1998.
7. Maingueneau, D. *Les Termes clés de l'analyse du discours*, Paris, Seuil. 1996.
8. Mangenot, F. "Synthèse de trios cours de FLE sur cdrom", *Les Cahiers de l'Asdifle, Multimédia et français langue étrangère*, 9. 1998.
9. Mangenot, F. L'apprentissage des langues. In D. Legros & J. Crinon (Ed.), *Psychologie des apprentissages et multimédia*. Paris : Armand Colin. 2002.

#### Ketevan Gabunia, Tamar Katsanashvili

##### L'interaction virtuelle – mythe ou réalité ?

Il y a assez longtemps que l'emploi des outils technologiques n'est pas étrange pour la didactique des langues. Selon Mangenot (2002) " l'apprentissage des langues vivantes est l'un des domaines auquel on a le plus – et le plus tôt – cherché à appliquer l'outil informatique ".

Bertin (2001), en parlant de l'histoire de l'informatique pédagogique, a relevé " trois moments qui ont marqué son évolution et dont chacun a illustré une vision particulière de l'apprentissage des langues ".

D'abord Bertin parlait sur l'enseignement programmé, apparu dans les années 1960, issu des théories béhavioristes de Skinner et repris par Crowder (ce dernier a offert des programmes d'enseignement susceptibles de limiter les erreurs des apprenants en leur proposant une certaine liberté dans l'apprentissage).

Le deuxième moment évolutif des outils informatiques est lié aux années 1970 et notamment à l'expérience réalisée par Seymour Papert : Logo. C'était le cas, quand l'ordinateur perdait son rôle de tuteur pour laisser une place aux capacités des apprenants, à leurs désirs d'être responsables.

#### ნანა გამყრელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

#### სამყაროს ვერბალური გააზრება და ლინგვოკრეაციული აზროვნება

ფრაზეოლოგიზმი და იდიომი სუბიექტის ენობრივი ენობიერების პროდუქტია და ყველაზე რაციონალურად ასახავს ობიექტურ სინამდვილეს კომუნიკაციის პროცესში. ეს ფაქტი დაფიქსირებულია ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების შინაფორმაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი შინაფორმა არის ასოციაციურ-ხატოვან საფუძველზე მოტივირებული კომპლექსი, რომელიც შინაარსის ფორმირებაზეა ორიენტირებული.

იდიომი ჩნდება მაშინ, როდესაც აღმნიშვნელი კარგავს პირდაპირ კავშირს აღსანიშნთან და გამოიყენება ახალი აღსამიშნის ნომინაციის მიზნით. იდიომის ეტიმოლოგია უცნობია. ასე მაგ. რთულია თქმა, თუ რა ენობრივ-ასოციაციური ბა-

ტი უღვეს საფუძვლად ქართულ იდიომს: "კიპი აქეს მოკრილი" და მის რუსულ და გერმანულ ანალოგებს "Он собою съел на этом деле" "er versteht sich darauf" "er ist ein Meister in diesem Fach" თუმცა, ნათელია, რომ სამივე შემთხვევაში ლაპარაკია 1.პროფესიული საქმიანობის რომელიმე კონკრეტულ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანზე ან 2. ადამიანზე, რომელსაც აქვს რაიმე კონკრეტულ ჩვევაში გადაზრდილი, თვისება. საყურადღებოა, რომ ამ კონკრეტული იდიომის მნიშვნელობას სწორად აღიქვამს, როგორც ქართული, ისე გერმანული და რუსული ენების მატარებელი სუბიექტი.

აღნიშნული მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ იდიომის შინაფორმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე.წ. "რეალური ფაქტისაგან" დამოუკიდებლად. იგი ასრულებს "კვაზისიტუაციის" სიმბოლოს როლს, რომელიც დამკვიდრებულია მის შინაფორმაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ იდიომი აღნიშნავს არა მარტო იმას, რაც დამკვიდრებულია მის შინაფორმაში, არამედ მის გარეთ არსებულ ხატოვან-სიმბოლური დატვირთვის მქონე ცნებით-კონცეპტუალურ სუბსტანციასაც [2]. იდიომის მეშვეობით ობიექტური სინამდვილის კონცეპტუალიზაციისა და ვერბალიზაციის სხვადასხვა გზა არსებობს. იდიომის შინაფორმა მეტაფორიზაციის შედეგად ახდენს სუბიექტის ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ხატოვნად ასახვას. იგი მის ცნობიერებაში აირეკლება, როგორც ენობრივ მოცემულობაში დამკვიდრებული სამყაროს შესაძლო "ხატი", "რეალია", რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლინგვოკრეაციული აზროვნება გულისხმობს საგნობრივ სამყაროს რეალურ კავშირებსა და დამოკიდებულებებს სამყაროს სურათის ფრაგმენტების, მისი მოდელების შექმნაში. შეიძლება ვთქვათ, ამ პროცესში ხდება სამყაროს ვერბალური გააზრება სუბიექტისეულ ფანტაზიაზე დაყრდნობით, რაც ენობრივი ცნობიერების შემოქმედებითი ხასიათის უცილობელი დადასტურებაა.

პირველადი ნომინაციისაგან განსხვავებით, რომელიც ობიექტური სინამდვილის ვერბალიზაციას გულისხმობს, იდიომის შექმნა წარმოადგენს მეორადი ნომინაციის პროცესის ერთგვარ პროდუქტსაც. რაც გულისხმობს იმას, რომ ენობრივი ცნობიერების ფრაგმენტი უკვე პირველადი ნომინაციისას დაკავშირებულია არსებულ ენობრივ ერთეულთან, შერჩეულია ენობრივი ნიშანი, რომლის პრიზმაშიც მიმდინარეობს მეორადი ნომინაციის პროცესი.

სამყაროს ენობრივ სურათში ლინგვოკრეაციული აზროვნება ერთ სიბრტყეზე აყენებს ადამიანს მის გარემომცველ საგნებთან და მოვლენებთან, ფლორისა თუ ფაუნის წარმომადგენლებთან და ამასთან იყენებს ერთი და იგივე ლექსიკურ საშუალებებს ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი ქცევის, ექსპრესიული ხასიათის და სხვა სუბიექტებთან ურთიერთმიმართების აღწერის მიზნით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი და იგივე ლექსიკური საშუალებების გამოყენება ამ შემთხვევაში ინტერსუბიექტურობის გამოხატვის მიზნით შემთხვევითი არ არის. ეს პროცესი ორ მიზანს ემსახურება: 1.ენობრივი საშუალებების ეკონომია და 2.ექსპრესიული ფუნქციის შესრულება სამეტყველო ენის მეშვეობით. მეტი თვალსაჩინოებისათვის ინტერსუბიექტურობის გამომხატველი ენობრივი მასალის ანალიზისას მართებულად ჩავთვალოთ "არქილექსემისა" და "დიფერენციალური სემის" გამოყოფა. მაგ.:

1. Der Apfel faellt nicht weit vom Stamm

არქისემა - „der Apfel“- ბილი, კურკოვანი ნაყოფი, რომელიც იზრდება ხეზე. დიფერენციალური სემა - შეილი, რომელიც დედას ჰგავს და მის თვისებებს ატარებს.

არქისემა - "der Stamm"- ხის ან მცენარის ძირითადი ტანი

დიფერენციალური სემა - ოჯახი

2. Wie der Baum, so die Frucht

არქისემა - „der Baum“- ხის ან მცენარის ძირითადი ტანი

დიფერენციალური სემა - ოჯახი

არქისემა - „die Frucht“- ხილი, ნაყოფი, რომელიც იზრდება ხეზე.

დიფერენციალური სემა- შვილი, რომელიც დედას ჰგავს და მის თვისებებს ატარებს.

3. Von Eulen kommen keine Sperber

არქისემა - ბუ

დიფერენციალური სემა- ოჯახი, მშობლები, წინაპრები

არქისემა - „Sperber“- მტაცებელი ფრინველი „მიმინო“

დიფერენციალური სემა - შთამომავლობა, შვილი, შედეგი, რეზულტატი, ნაყოფი

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლინგვოკრეაციულ აზროვნებას, რომლის დასაყრდენი

ბაზა ეროვნული ენაა, ენობრივ ინვენტარში შეაქვს ეროვნულ-კულტუროლოგიური მსოფლხედვა, რომლის შეუზღუდავი ბუნება სუბიექტს აძლევს ენობრივი ერთეულის ნეიტრალური სემანტიკიდან ე.წ. ემოციური სემანტიკისაკენ გადასვლის წინაპირობას, რაც თავის მხრივ ყოველთვის მიუთითებს შეფასებით-ემოციურ დამოკიდებულებაზე.

ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიური სისტემა მოიცავს ისეთ სიტყვებს, სიტყვათშეთანხმებებს და სტრუქტურებს, რომლებიც მკვლევარს საინტერესო მასალას აწვდიან ენის სისტემის დინამიკაში განვითარების გზების, მეთოდების და ტენდენციების შესახებ. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეტაფორის ფრაზეოლოგიასთან კავშირის კვლევის პროცესს, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ მეტაფორა წარმოადგენს იდიომის წარმოშობის წინაპირობას. საყურადღებოა, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მეტაფორა, რომელიც ახალი იდიომის წარმოქმნის საწინდარია, ე.წ. „ხატოვანი“, „თავისუფალი“ მეტაფორისაგან. მეტაფორა, რომელიც იდიომის წარმოქმნას უდევს საფუძვლად მოკლებულია ინდივიდუალურობას და მას ერთგვარი „სტანდარტული“ სახე აქვს. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად ამ ტიპის მეტაფორა გარკვეულწილად ინაჩუნებს საკუთარ ხატოვანებას და „ოჯაურ ბუნებას“ [3]. შეიძლება ვთქვათ, რომ იგი უნივერსალური ენობრივი მოვლენაა, რაც ვლინდება, როგორც სივრცესა და დროში, ასევე ენის სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში. იგი დამახასიათებელია ყველა ენისათვის დროის ნებისმიერ ისტორიულ პერიოდში, მოიცავს ენის სხვადასხვა ასპექტებს და ვლინდება მის ფუნქციურ სახესხვაობებში [4].

ცხადია მეტაფორიზაციის პროცესს საფუძვლად ენების ბუნდოვანება უდევს. სუბიექტი შეიძლება ვთქვათ „სარგებლობს“ ამგვარი ბუნდოვანებით. იგი საკუთარ ენობრივებაში ვერბალურად გაიზრებს სამყაროს, მის მუდმივად ცვალებად ექსტრალინგვისტურ მომენტებს და კომუნიკაციის პროცესში ინდივიდუალურ ენობრივ ენობრივებაზე დაყრდნობით გამოხატავს საკუთარ კონკრეტულ კომუნიკაციურ ინტენციას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები და იდიომები წარმოადგენენ სამყაროს ვერბალური გააზრებისა და სუბიექტის ლინგვოკრეციული აზროვნების ერთ-ერთ გამორჩეულ საშუალებას. მათი შინაფორმა, რომელიც ყოველთვის ენობრივ ენობრივებაზეა აღმოცენებული იდიომატიზაციისა და მეტაფორიზაციის შედეგია. აღნიშნული უნდა განვიხილოთ, როგორც სამყაროს რაციონალური, ინტუიციური-გრძობადი, ასოციაციურ მეტაფორული და ანთროპომორფული ასახვის ერთგვარი კომპლექსი კომუნიკაციის როცესში.

## ლიტერატურა:

1. Губольдт В. Ф. О различий строения человеческих языков и его влияния на духовное развитие человечества. Избранные труды по языкознанию. Москва Прогресс 1984 стр.100
2. Шахнарович А.М., Графова Т.А. Человеческий фактор в языке. Языковые механизмы экспрессивности. Москва Наука 1991, стр 140
3. Lyons J. Semantique. Linguistique, Paris. 1980. P. 200-202
4. Гак В.Г. Метафора универсальное и специфическое. Москва, Наука, 1988, стр.11-12

Nana Gamkrelidze

### Verbal judgement of the World and linguistic creative thinking

#### Abstract

The resume: The idiom is the best way of the rational and compressed display of the validity. It economically displays characteristic attributes of different situations, which is submitted in consciousness of concrete language collective as "a language icon of the world". The degree of reduction idioms is various. It depends on that as the subject perceives the internal form of an idiom: as alive, or already erased language icon.

In case of an alive language icon, in consciousness of the person displayed the small picture of the world, one of variants of a fragment of a language icon. As to an idiom from with erased language icon in consciousness of the subject, it only specifies the purpose of nominations and abstracts of not essential communications.

## ეკატერინე გაჩეჩილაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

### სიმეტრია თანამედროვე ფრანგული ენის სინტაქსში

ახალი სინტაქსური პარადიგმის გაჩენამ, რომელსაც დღეს სულ უფრო ხშირად უწოდებენ ახალ სინტაქსს, შესაძლებელი გახადა სისტემების შემადგენელ ნაწილთა გაერთიანება და ვრცელ სისტემათა აგება-ანალიზი. წინადადების სინტაქსური ანალიზისათვის ძლიერ ეფექტური აღმოჩნდა ახალი სინტაქსური თეორია, რომელიც მიმართებათა ქსელს სისტემის შემადგენელ ნაწილთა, მოდულთა ურთიერთმიმართებაში ასახავს.

თანამედროვე ფრანგული ენის სინტაქსი არ შეიძლება ჩაითვალოს სრულიად სიმეტრიულად. ყოველ ენობრივ სისტემაში კანონიკურ ფორმათა და მათ მოდიფიკაციათა შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს მარეგულირებელი წესები აწესრიგებს.

ფრანგულ ენაში ზრუნვის გაუქმებასთან ერთად თანდათანობით ჩამოყალიბდა წინადადებაში სიტყვათა განლაგების ბუნებრივი და ლოგიკური რიგი: ქვემდებარე+ზმნა+დამატება, ანუ, ჩვეულებრივ, ქვემდებარე წინ უსწრებს ზმნას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამწერლობო ფრანგულში ქვემდებარის ინვერსია სულ უფრო და უფრო ხშირია. მაგ. ქვემდებარე ზმნის შემდეგ თავსდება:

1. კითხვითი წინადადებაში, თუკი იგი გადმოცემულია პირის ნაცვალსახელით ან ce თუ on ნაცვალსახელით: As-TU compris?—გაიგე?

2. კავშირებითი კილოს საშუალებით გადმოცემულ ზოგიერთ წინადადებაში, რომელიც გამოხატავს სურვილს, ვარაუდს: Vive LE ROI! მეფეს გაუმარჯოს!

3. ჩართულ წინადადებათა უმეტესობაში:

— "Ton épée!" s'écria-t-IL; "je veux le tuer!"

{Flaubert, *Salammbô*, p. 53}

4. წინადადებაში, სადაც გვაქვს განსაზღვრება-ზედსართავის ინვერსია: Vierge est CETTE FORÊT! ეს ტყე უსიერია!



5. ძახილის წინადადებებში, რომლებშიც არა გვაქვს ზმნიზედა თუ ძახილის ზედსართავი და სადაც ქვემდებარე არის პირის ნაცვალსახელი, ან კიდევ ჩვენებითი ce თუ განუსაზღვრელი on ნაცვალსახელი:

Est-IL aimable! რა თავაზიანია!

ასევე ქვემდებარის მდებარეობის შემცვლელი ტრანსფორმაციებია: პასივიზაცია (ვნებითი წინადადების დერივაცია), უპირო ტრანსფორმაცია, განკერძოება (ექსტრაპოზიცია) [მაკოლი, 1988: 75].

პასივის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა უკუქცევითი ნაცვალსახელი ვნებითი გვარის მნიშვნელობით:

Se vendent peu de journaux en Italie.

ცოტა გაზეთი იყიდება იტალიაში.

შევევილ პასივში არ არის PPNP (par, de —NP) ფრაზა; აქ სიღრმის სტრუქტურაში დაიმუშავა განუსაზღვრელი ქვემდებარე, რომელიც შემდეგ ტრანსფორმაციით იკვეცება.

Quelqu'un a attaqué Jean – Jean a été attaqué par qn.

(ვიღაც თავს დაესხა ჟანს)

Jean a été attaqué – ჟანს თავს დაესხნენ.

ვინაიდან განუსაზღვრელი ნაცვალსახელი მრავალ სემანტიკურ პრობლემას წარმოშობს, ამიტომ შევევილი პასივის მიმართ სიღრმის სტრუქტურაში უპირატესობა არასპეციფიურ სუბიექტს ენიჭება.

“არასპეციფიური” გეზღუდვა ნიშნავს, რომ ასეთი სუბიექტი არ უნდა ჩანდეს ზედაპირულ სტრუქტურაში, ე.ი. მისი ხმარება თავიდან უნდა იქნას აცილებული დერივაციის ყოველ საფეხურზე, რის შედეგადაც მიიღება სწორად აგებული სტრუქტურა.

ფრანგულ ენაში პირდაპირი ობიექტი არ თხოულობს ხილულ წინდებულს და მანიფესტირდება უმახვილო ნაცვალსახელებით (კლიტიკებით). კლიტიზაციის (განაცვალსახელების, პირის უმახვილო ნაცვალსახელთა განაწილების) საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სინტაქსურ თეორიაში.

დამატება-ობიექტები, ჩვეულებრივ, ზმნის შემდეგ არის მოთავსებული, თუმცა ზოგჯერ ირდევია ლოგიკური და გრამატიკული რიგი [გრეისი, 1993:47].

1. დამატება-ობიექტი ზმნის წინ თავსდება ზოგიერთ კითხვით თუ ძახილის წინადადებაში და მყარ გამოთქმაში: A QUOI pensez-vous? რაზე ფიქრობთ?

2. ზოგჯერ ზმნის შემდგომ მოთავსებული პირდაპირი დამატების ხაზგასმის მიზნით, ზმნის წინ თავსდება შესაბამისი პირის ნაცვალსახელი:

— Je ne LE mangerai pas, VOTRE ENFANT! [Emile Zola, *Au Bonheur des Dames*, p.202].

3. გაძლიერების მიზნით პირდაპირი დამატება თავსდება ფრაზის თავში და ზმნის გვერდით თავსდება შესაბამისი პირის ნაცვალსახელი:

Le bien, nous LE faisons – ჩვენ სიკეთეს ვაკეთებთ.

4. ირიბი დამატება-ობიექტი ასევე შეიძლება მოთავსდეს ფრაზის დასაწყისში; ზოგჯერ იგი იცვლება en და y ნაცვალსახელებით:

À CELA non plus, on ne s'attendait pas.

არც ამას არ მოელოდნენ.

დამატებათა მიმართ განიხილება ძირითადად წაშლის (effacement) და ამაღლების (raising – montée) ტრანსფორმაციები. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება სხვადასხვა სახელადი ფრაზების (ეკვივალენტური, სუბიექტი, ობიექტი) გადაადგილებას.

დამატება წარმოადგენს s-ს ან უფრო ზუსტად que s-ს, რომელიც გრამატიკულ მიმართებაშია რომელიმე (VP-ს) სუბიექტთან და (PPNP ან NP) ობიექტებთან;

"ობიექტი" ფართო მნიშვნელობით მოიცავს ჩართულ Ss-ს. შეკვეცილი დამატებანი [ant, à, de+Inf] – ის დამატებანია, რომლებშიც უპირო VP-ს არამართო უჭირავს სრული დამატებითი წინადადებების ადგილი, არამედ გააჩნია ისეთი ფორმა, როგორც სრული დამატებითი წინადადების VP-ს.

Georges attend d'être nommé président.

ჟორჟი ელოდება პრეზიდენტად დანიშვნას.

შესაბამისად, მრავალი ლინგვისტი მიიჩნევს ასეთ VPs დამატების შეკვეცილ ფორმად, რომელიც მიიღება S-ის დამატების NP სუბიექტის წაშლით ან განკერძოებით.

სავარაუდო ჩართული წინადადების S-ის ნაკლებ NP-ს ძირითადად მიიჩნევენ პირის ნაცვალსახელად, რომლის ანტეცედენტს წარმოადგენს მთავარი წინადადების ქვემდებარე (ანუ წაშლას მისი ანტეცედენტი აკონტროლებს).

წაშლის შეუძლებლობა მყვანდება სხვადასხვა ტრანსფორმაციათა გამოყენებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამაღლების (raising-montée) ტრანსფორმაცია. იგი არღვევს ჩართულ S-ს, მის ქვემდებარეს აქცევს მთავარი ზმნის (paraitre-sembler) წარმოებულ ქვემდებარედ, ხოლო დანარჩენ ნაწილს გადაიტანს VP-ში.

ამ ტრანსფორმაციას შეიძლება განსხვავებული ეფექტიც გააჩნდეს იმის მიხედვით, თუ რომელი ზმნა მთავარი I – paraitre [forcer, persuader, presser] თუ II – attendre [croire, attendre, montrer].

I ჯგუფის ზმნების შემთხვევაში, სიღრმის სტრუქტურაში NP მთავარი წინადადების კონსტიტუენტია, იგი აკონტროლებს სუბიექტის წაშლას დამატებ-წინადადებაში.

II ჯგუფის ზმნების შემთხვევაში შესაბამისი NP დამატებითი წინადადების სიღრმისეული კონსტიტუენტია და მთავარ წინადადებაში გადადის დამატებითი წინადადებიდან.

როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი დერივაციული საფეხურების შესაბამისი ტრანსფორმაციები ცნობილია Raising-ის (montée) და E qui-NP-deletion-ის (E qui NP éffacement) სახელწოდებით. მათ შორის განსხვავებანი ლინგვისტთა დავის საგანს წარმოადგენს. კამათი ეხება მოცემულ ტრანსფორმაციათა იდენტური ბუნების არსებობას თუ არარსებობას. ყველაზე მართებულად მიჩნეულია ის დებულება, რომლის თანახმადაც S-ის დასახელებული ზმნები მართავს წაშლისა და ამაღლების ტრანსფორმაციებს. ასეთ ტრანსფორმაციებს (ე. ი. ისეთებს, რომელთაც განაპირობებს პრედიკატის ლექსიკური მნიშვნელობა) მართული ტრანსფორმაციები ეწოდება.

კონტროლის პროცედურა გულისხმობს იმ NP-ს დადგენას, რომელიც აკონტროლებს (მართავს, განსაზღვრავს) E qui-NP-deletion-ის ტრანსფორმაციაში ეკვივალენტური სახელადი ჯგუფის (სუბიექტის ან ობიექტის) წაშლას. ეს წინასწარ უნდა განისაზღვროს პრედიკატის (V) მნიშვნელობაზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია გავიგოთ თუ [NP[V(P)NPs] სტრუქტურიდან რომელი NP შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც S-ის სუბიექტის წაშლის კონტროლიორი; ეს შეიძლება იყოს მთავარი წინადადებების სუბიექტი ან ობიექტი, იმყოფებოდეს მთავარ, დამოკიდებულ ან ზეთანწყობილ კონსტიტუენტში, ან სულაც არ ჩანდეს კონტროლის მმართველი (არაკონტროლირებადი წაშლა). მაგ:

[Recevoir un grade inférieur] n'ennuyait pas Jean.

[დაბალი ჩინის მიღება] ეანს არ წყინდა.

არაკონტროლირებადი წაშლა დამახასიათებელია უპირო ფორმაში მყოფი უქვემდებარე VPs-სთვის. ასეთ შემთხვევაში არასაკუთრებული ქვემდებარე, უპირველეს ყოვლისა, თი (il) ნაცვალსახელია ან მეორე პირის ნაცვალსახელი tu- vous — სალაპარაკო ენაში.

კონტროლის შედეგად შესაძლებელია ზოგიერთი ზმნიზედური გამოთქმის სუბიექტის წაშლა ძირითადად ქვემდებარის კონტროლის ქვეშ: (აქ მრავალმნიშვნელობა იჩენს ხოლმე თავს). მაგ:

[Avant 0: de quitter le bureau] Jean appela Marie.

[ვიდრე ოფისს დატოვებდა] ჯანმა მარის დაუძახა.

ქვემდებარესა და დამატების მდებარეობის შემცვლელ ტრანსფორმაციათაგან აღსანიშნავია ასევე ექსტრაპოზიცია (extraposition). ოგი მოიცავს ისეთ გადაადგილებებს, როდესაც სუბიექტის (NPs) გრამატიკული როლი შეიძლება შეასრულოს S ჩართულმა წინადადებამ და დამატებამ, რომელიც que კავშირით შემოდის.

Que Jean quitte (abandonne) son travail, m'étonne.

მიკვირს, რომ ვანი სამსახურს თავს ანებებს.

Il (cela) m'a étonné que Jean abandonne son travail.

ის გამიკვირდა, რომ ვანი სამსახურს თავს ანებებს.

ან Pour Jean d'abandonner son travail est impensable.

ჯანის მიერ სამსახურის მიტოვება წარმოუდგენელია.

დასაშვებია ქვემდებარის, პირდაპირი და ირიბი დამატებების, აგრეთვე მიმართებით დამოკიდებული წინადადების ექსტრაპოზირება; საერთოდ, ექსტრაპოზიცია არ უნდა გამოვიყენოთ იმ შემთხვევებში, როდესაც შიილება გაუმართავი სტრუქტურები.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ფრანგულ ენაში ასიმეტრიულობა ხშირად იჩენს თავს ფრაზის აგებისას. იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ გრამატიკულად არასწორი ფრაზების წარმოქმნა და მივიღოთ სწორად აგებული სტრუქტურა, ვიყენებთ მარეგულირებელ წესებს, რომლებიც აწესრიგებს ენობრივი სისტემის კანონიკურ ფორმებსა და მათ სახეცვლილებებს შორის არსებულ ასიმეტრიულ მიმართებებს.

#### ლიტერატურა:

1. ენუქიძე ლ., ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. „მეცნიერება“. თბ., 1987.
2. Burzio L. (1986): Italian Syntax. D.Reidel Publishing Company. Dordrecht / Boston / Lancaster / Tokyo.
3. Grevisse M., Le bon usage. Grammaire française. Paris. 1993.
4. McCawley J. D., The Syntactic Phenomena of English. The University of Chicago Press. Chicago and London. 1987.

Ekaterine Gachechiladze

### Symmetry in the syntax of the modern French Language

#### Abstract

The syntax of the modern French Language, besides its regulated rules, can't be considered as fully perfect i.e. symmetrical. In every language infintude between the canonical forms and its modifications are regulated with rules. In the French Language there is the natural and logical word order of the sentence: subject + verb - object, i. e. subject precedes the verb; there are also the cases of inversion. The object usually follows the verb, but sometimes the logical and grammatical order is not preserved. The process of cliticization (distribution of the unstressed personal pronoun) is an important one in the theory of syntax. In the French Language asymmetric property is often used in building the phrases. To avoid the misuse of the grammatically incorrect phrases and to build the correct structure, regulating rules are used. They regulate the canonical forms of the language system and asymmetrical relation between them.

**Наталья Гаряева**  
Московский Государственный Университет Печаты, Россия

**Реминисценции как языковое явление в текстах средств массовой информации**

В современном русском языке реминисценции (это буквальное или близкое к буквальному воспроизведение какого-либо фрагмента одного текста в другом) составляют основной арсенал средств повышения выразительности и экспрессии не только в устной речи (что вполне естественно и закономерно), но и в книжно-письменном варианте русского литературного языка. Особенно активно реминисценции функционируют в художественном и публицистическом стилях. Если в художественном произведении использование реминисценций часто обусловлено особенностями языковой личности персонажа и в известном смысле свободно от языковых предпочтений самого писателя, то в публицистическом стиле употребление реминисценций – это проявление речевого вкуса и осмысленного выбора языковых средств самого автора публицистического текста.

Язык средств массовой информации (далее СМИ) всегда был «озабочен» поиском информативно емких и новых, для читателя, средств изложения материала, современное его состояние характеризуется теми же тенденциями.

При современном разнообразии всеобъемлющих материалов, с одной стороны, и известной свободой их языкового оформления, – с другой, авторы публицистических материалов поставлены перед необходимостью поиска ярких, привлекающих внимание читателя, образных средств передачи своей информации. Одним из таких средств и оказываются реминисценции – носители обобщенного содержания, которые используются для изображения, как конкретных фактов, так и общественных и культурных событий. Авторов текстов СМИ привлекает в реминисценциях двуплановость их содержания и возможность создания комического эффекта, поскольку они не только известны, но и прочно закреплены в сознании носителей русского языка. К тому же «коммуникация на новый современный манер требует от ее участников большого количества историко-культурных знаний и навыков, умения эти знания облекать в слово и воспринимать в слове» [Бурякова Н.Д., Костомаров В.Г., 2003, 428]. А употребление в текстах СМИ стереотипного, понятного для адресата устойчивого выражения является сигналом принадлежности к данному социуму, сигналом связи с его культурой и традициями, так как реминисценции составляют «расхожий инвентарь массового искусства и осознаются обществом как неотъемлемая часть его социального бытия» [Винокур Т.Г., 1980, 177].

Как правило, реминисценции обслуживают потребности «алобы дня». Например, *за что власть так «мочит» Ходорковского? ...Ну скажите, какому президенту понравится, когда он прикладывает титанические усилия для того, чтобы отстоять одну внешнеполитическую линию..., а крупнейший бизнесмен в его стране выступает в роли пятой колонны, пропагандируя линию прямо противоположную...* [КП. № 203, 2003].

*...Это связано с ответственностью. Просто так «мочить» власть – это не мое дело. Вообще СМИ – это такой сторожевой пес, который все время лает, напоминая власти о проблемах и об ошибках, которые она совершает (АиФ. № 1-2, 2007). Ср.: Мы будем преследовать террористов везде. В аэропорту – в аэропорту. Значит, вы уж меня извините, в туалете поймаем – и в сортире замочим, в конце концов! (В.В.Путин).*

*«Дайте мне точку опоры, и я переверну Землю!», – сказал примерно 200 лет назад на начала нашей эры древнегреческий ученый Архимед, свято веривший в безграничные возможности науки. В XXI веке, уверен руководитель Центра национальной экономики ОРП «Русь» Сергей Сибирков, есть основания считать такой точкой опоры технологические инновации... [КП. № 203, 2003].*

*Дело Литвиненко: между законом и паранойей (заголовок). ...В ожидании результатов следствия оказались «перемыты косточки» всем версиям. Но самой близкой*

для публики, которм помнит «холодную войну», вновь оказался «кремлевский заговор»... [АиФ. № 52, 2006].

Неожиданно для всех, а в первую очередь для России, Польша взяла и наложила вето на начало переговоров о заключении соглашения России с Евросоюзом. Причина – ...в запрете импорта польского мяса, овощей в Россию, из-за которых Польша теряет до одного миллиона евро. Найти бы чиновника по фамилии Сусанин для улаживания этого конфликта [АиФ. № 52, 2006].

Выражение театр начинается с вешалки устарело. Современный театр начинается с металлоискателя... (ОРТ. «Время». 26.10.2003) – о мерах предосторожности в местах большого скопления людей.

Как видно, тексты-источники реминисценций разные, но все они используются как «типовые, стандартные средства для описания и оценки определенных событий, явлений, фактов, ситуаций современной действительности» [Карузов Ю.Н., 1987, 241]. Их употребление предполагает активное сотворчество читателя, его готовность к интерпретационной речевой деятельности.

Следует отметить, что реминисценции, с одной стороны, пополняют корпус выразительных средств языка СМИ, с другой, – они свидетельствуют о характере выбора языковых средств авторами текстов, который устремлен в сферу массовой речевой культуры общества. В известной мере они отвечают и требованиям речевой моды современного разговорного языка, потому можно согласиться с О.П.Семенец в том, что «анализирую корпус наиболее популярных цитат, способы их введения в текст, можно определить динамические изменения ценностных ориентаций современного общества» [Семенец О.П., 2001, 287].

К сожалению, очень мало в текстах СМИ реминисценций, апеллирующих к образам русской литературы. Например: *А вот на склоне оврага в странном крисмовато-синем наряде застыли дикие груши, вот темно-бордовый цвет листьев чернопозидной рябины, плюща. Тут к золоту и багрянцу явно примешан и синий цвет. Разновеликое присутствие трех пигментов в листе творит цветную симфонию, о которой написано: «Лес, точно терем расписной, / Лиловый, золотой, багряный / Веселой пестрою стеной / Стоишь над светлою поляной»... (КП. № 183, 2003) – фрагмент стихотворения И.Бунина «Листопад».*

В текстах СМИ в большей степени присутствуют трансформированные или ошибочно искаженные реминисценции. Например, *В России две беды... (заголовок). Еще Некрасов подметил: «В России две беды – дураки и дороги». В Старом Осколе в последнее время уделяют повышенное внимание дорогам, это замечают все. Но думается, что некоторое количество вторых героев некрасовского высказывания в Осколе еще осталось... (Житье-Бытье. № 37, 2001).*

*Писал Гоголь, в России две беды: дураки и дороги. Так хочется добавить и власть, мешающая нам вырастить добрых, умных, отзывчивых детей, способных сострадать (КП. № 64, 2007).*

В газетных материалах мы наблюдаем разнообразие имен, кому приписывается фраза *в России две беды: дураки и дороги*... Обычно разным русским писателям, чаще всего А.С.Пушкину, Н.В.Гоголю, Н.А.Некрасову, П.А.Вяземскому, Н.М.Карамзину. Вряд ли авторы знают, что это апокрифическая фраза, т.е. с неустановленным автором.

Прагматические цели автора высказывание реализует, а фактическая точность авторства этой крылатой фразы журналистов не заботит. Современный журналист не знает даже реминисценций, которые еще не так давно наизусть заучивались в школе, фраз из очень популярных произведений в недалеком прошлом. Например, *Лето дается человеку один раз. В году. И прожить его надо так, чтобы потом не было мучительно больно за бесцельно прожитые месяцы. Это сказал кто-то из классиков. Ну, может, он сказал не так или имел в виду что-то другое, но позволим себе этот вольный пересказ... [КП. № 170, 2006].*

При таком использовании реминисценций, возможно под влиянием СМИ, трудно предположить в каком виде они дойдут до следующего поколения и что останется в

наследство от культурного и языкового богатства реминисценций. Журналисты должны помнить, что реминисценция – это не только часть культуры, но один из способов ее усвоения. Ведь реминисценции являются той частью российской системы ценностей, которая может «выполнять роль эталонов, стереотипов культурно-национального мировидения, или указывать на их символичный характер и в этом качестве выступать как языковые экспоненты (носители) культурных знаков» [Телин В.Н., 1996, 9].

Более того, в текстах СМИ наблюдается активное вторжение нелитературной лексики в речевое поведение. Использование таких языковых единиц, на наш взгляд, связано с несколькими причинами: во-первых, с тем, что большая часть текстов СМИ ориентированы на массовую аудиторию. А так называемые интеллектуальные, элитные темы и материалы, противопоставляемые массовой культуре, занимают не столь заметное место. Это приводит к употреблению общепонятных, доступных для массовой аудитории языковых средств, происходит усреднение текстов СМИ, рассчитанных на массовую, а не элитарную языковую компетенцию. «Наши СМИ говорят тем языком, каким говорит наше общество» [Кожыков В.И., 2002, 54].

Во-вторых, причина вовлечения нелитературной лексики в СМИ кроется в специфике понимания «свободы языка», то есть понимание «свободы» как вседозволенности [Костомаров В.Г. 1999; Грачев М.А., 2001; Стернин И.А., 2003 и др.].

В-третьих, с помощью жанра речевой инвективы проявляется агрессивность в речевом поведении адресата. Л.П.Крысин пишет: «В наши дни чрезвычайно высок уровень речевой агрессивности в поведении людей. Необыкновенно активизировался жанр речевой инвективы, использующий многообразные средства негативной оценки поведения людей и личности адресата – от экспрессивных слов и оборотов, находящихся в пределах литературного словоупотребления, до грубо просторечной и обценной лексики» [Крысин Л.П., 2000, 385-386].

Например: «А вот с нашего толчка площадь Красная видна!» (заголовок) (КП. № 165, 2005) – о немецкой фирме Gtоhe, выпускающей более 30 моделей сантехники.

«За детство счастлиное наше спасибо шию и параша!» (заголовок) (КП. № 162, 2004) но – о белорусском городе Бобруйске, в котором уже 12 лет борются с подростковой преступностью, давая выездные «уроки жизни», привозя детей на экскурсии в колонию для несовершеннолетних преступников.

Жаргонизмы обычно поясняются в текстах заметок, лишь иногда заключаются в кавычки. В СМИ жаргон выполняет функцию сигнала-обозначения по принципу «я – свой», или употребляется в погоне за эффектом, для экспрессии, воздействия на читателя. Следует отметить, что обилие подобной лексики способно не только оттолкнуть часть читателей от газетной публицистики, но и вызвать агрессивное настроение адресата по отношению к событиям, предметам, явлениям, ситуациям нашей действительности, а также может создать ситуацию языкового дискомфорта адресата.

Такое небрежное обращение с национальным культурным фондом (в данном случае с реминисценциями) не расширяет культурного пространства носителей языка, а способствует снижению культурных ценностей. Авторы СМИ должны стремиться создавать тексты, повышающие уровень образованности читателей, укрепляющие ценностные ориентиры в жизни, так как на современном этапе СМИ представляют наиболее доступный источник информации для носителей языка.

Итак, на данном этапе СМИ создают и поддерживают реминисцентные стереотипы современного носителя русского языка. Стереотипы массовой и популярной культуры, тиражируемые в СМИ в виде реминисценций, оказывают влияние на формирование предпочтений, вкусов повседневного дискурса. Поскольку «СМИ – это средства массовой коммуникации, поэтому речевые стандарты активного коммуниканта (органы печати, теле- и радиостанции) немедленно берутся на вооружение определенной частью адресатов массовой коммуникации» [Клюбов Е.В., 2002, 92]. Реминисценции, функционирующие в текстах СМИ, с одной стороны, отражают ценностные ориентации носителей языка, а с другой, – во многом формируют и определяют эти ориентации.

## ლიტერატურა:

1. Бурвикова Н.Д., Костомаров В.Г. Единичи лингвокультурного пространства (в аспекте толерантности) // Философские и лингвокультурологические проблемы толерантности. – Екатеринбург, 2003. – С. 426-440.
2. Винокур Т.Г. Закономерности стилистического использования языковых единиц. – М., 1980.
3. Грачев М.А. В погоне за эффектом. Блатные слова на газетной полосе // Русская речь – 2001 – № 5 – С. 67-72.
4. Карвулов Ю.Н. Русский язык и языковая личность. – М., 1987.
5. Клубуков Е.В. Русский литературный язык на современном этапе развития: несколько оценочных суждений // Вестник Московского ун-та. Серия 9. Филология. – 2002. – № 2. – С. 81-108.
6. Коньков В.И. Круглый стол: «Русский язык в СМИ» // Мир русского слова. – 2002. – № 5 (13). – С. 54-55.
7. Костомаров В.Г. Языковой вкус эпохи. Из наблюдений над речевой практикой масс-медиа. – СПб, 1999.
8. Крысин Л.П. Эвфемизмы в современной русской речи // Русский язык конца XX столетия (1985-1995). – М., 2000. – С. 384-408.
9. Семенец О.П. Прещеденный текст в газетном заголовке и современная текстовая картина мира // Русский язык: исторические судьбы и современность. Междунар. конгресс. – М., 2001. – С. 287-288.
10. Телия В.Н. Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты. – М., 1996.

Garlaeva Natalia

### "Reminiscences as a language phenomenon in mass media texts"

The article explores the practice of using reminiscences in journalistic writing as one of the key means to increase expressiveness of publicistic discourse. The author comes to the conclusion that, on the one hand, reminiscences in mass media texts reflect the value orientations of language speakers and, on the other hand, to a large extent shape and define these orientations.

## ნუნუ გელდიაშვილი, მანანა დარიბაშვილი

ი. გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

### ფერთა ლექსიკის ტიპოლოგიური ურთიერთშეკერებისათვის

ენათმეცნიერულ კვლევათა ის მიმართულება, რომელიც ძირითადად საენათაშორისო კონტრასტულ ანალიზს ეფუძნება, დღითიდღე აქტუალური და ფართო მასშტაბის მქონე ხდება. გლობალიზაციის პროცესი ითხოვს ლინგვისტური კვლევები წარმართოს არა მხოლოდ მონათესავე, არამედ არამონათესავე ენათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ძიებებით. „საენათშორისო კონტრასტული ანალიზი ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდაენობრივი, რადგან იძლევა საშუალებას, აღმოვაჩინოთ ამა თუ იმ ენის ისეთი თავისებურებანი, რომელთა დადგენა ძნელი იქნებოდა მხოლოდ ერთი ენის კვლევისას“ [შვარცილიძე, 2009]. ჩვენი მიზანია, ქართული და ინგლისური ენების ფერთა ამსახველი ლექსიკის სტრუქტურისა და სემანტიკის შეპირისპირებითი ტიპოლოგია.

ენობილია, რომ ფერთა სისტემის შესწავლა უძველესი დროიდან წარმოადგენდა მეცნიერების არაერთი დარგის ინტერესის სფეროს. საზოგადოების განვითარება თანდათან ქმნიდა სპექტრთა ენობრივი რეალიზაციის მრავალფეროვნების საფუძველს. ხელოვანნი, ფილოსოფოსები, პოეტები, მწერლები თუ ლინგვისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფერის პრობლემატიკას. ამიტომაც ამ მხრივ ორი ენის მონაცემთა ანალიზი, ვფიქრობთ, მეტად საინტერესო იქნება უნივერსალიების დასადგენად და სპეციფიკურობის გამოსავლენად.

ქართული და ინგლისური ენების საანალიზო მასალა, უპირველეს ყოვლისა, ცხადყოფს, რომ ორივე ენა საოკრად მდიდარია როგორც აქრომატულ (თეთრი- white, შავი-black, რუხი-gray), ისე ქრომატულ ფერთა (წითელი-red, მწვანე-green, ლურჯი-blue) აღმნიშვნელი ლექსიკით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ფერის სემანტიკურ ველში შემავალ სინონიმურ ერთეულებზე დაკვირვება (ე.ი. სინონიმია, როგორც ფერის გამოხატვის შესაძლებლობა). ამ მხრივ ქართული ენა უბე საილუსტრაციო მასალას წარმოგვიდგენს. თითოეულ სიტყვას გააჩნია სინონიმები, რომლებიც საერთო ჯამში ერთი ფერია. მაგალითად, ყვითელი: ოქროსფერი, სანთლისფერი, ქარვისფერი, ჩალისფერი, მთვარისფერი, თაფლისფერი, კვერცხის გულისფერი; წითელი: ალისფერი, ლალისფერი, ჭარბლისფერი, შინდისფერი, ვარდისფერი; თეთრი: რძისფერი, ძვლისფერი, ბამბისფერი, ყველისფერი, თოვლისფერი, (ქათქათა, ფითქინა, ნათელი), თრთვილისფერი, ვერცხლისფერი; შავი: ნახშირის, გიშრის, მურის, მაცყლის, ჭვარტლის ფერი; რუხი: ნაცრისფერი, კვამლის, მიწის, ქვიშის, თავის, ნისლის, ფოლადის, მგლის, ქუქყისფერი; მწვანე: ბალახის, ფოთლის, ზოთლის, მდელოს, ხავსის, შაბიამნის, ზურმუხტისფერი; ლურჯი: ლილის, ზღვის, ფირუზის, ცისფერი, შაბიამნისფერი.

ასეთი ერთი ფერის (მსგავსი ფერის) გამოხატველი სინონიმური ჯგუფები ინგლისურ ენაშიც დასტურდება, თუმცა არა ისეთი პროდუქტიულობით, როგორც ქართულში. მაგ. Yellow: golden, blonde, flaxen, fair; red: scarlet, vermillion, ruby, cherry; white: chalky, silvery; black: pitchblack, jet-black, ebony, inky; grey: gunmetal, slate, charcoal, smoky; green: olive green, pea green, emerald, bottle green, sea green, verdant, grassy; blue: sky blue, azure, cobalt, sapphire, navy, ultramarine, aquamarine, cyan.

არის შემთხვევები, როცა სინონიმები ფერის გამოხატველი ლექსების ატრიბუტს წარმოადგენენ და შესაბამისად, მათ გააჩნიათ როგორც ექსპრესიული, ისე ესთეტიკური ფუნქცია: მწვანე ბალახისფერი თვალები/grassy green eyes.

ფერთამეტყველების ნაირგვარობაზე მიუთითებს ნიმუშები, როცა ფერის მინიშნება ხდება ჩამოთვლით: „ისინი არც წითლები იყო, არც ალისფრები, არც მთის ნარიჯისფერისა, შეურიე ეს მთის ნარიჯის და კიდევ მწიფე უნახისფერი ერთმანეთს და თუ არ ვცდები უნდა გამოვიდეს ჩიტყვამლას მიახლოებული ფერი“. ...the ardent hue of his face, the flush on her cheek changed to a lesser hue, her countenance had deepened its tinge, her complexion grew richer in hue.

ორივე საანალიზო ენისათვის ჩვეულებრივია სხვა საგანთან მსგავსებით სასურველი ფერის მიღება: „ყვითლად ციმციმებენ ნათურებივით“; „ანული ზომასავით შავი იყო“; „...მაცვალავით შავ თვალებს“; „დაესვეიან ჭარბალივით გაწითლებულ ცხვირ-პირზე“; „ცისფერი ყაჭვივით წაღებული იორი“./cheek red as roses ; brown as a gypsy; scarlet as blood; a head as ruddy as rising sun/moon;

ქართული და ინგლისური ენების ფერთა ამსახველ ლექსიკაში იდენტურობა შეინიშნება მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით. გამოიყოფა: ა) მარტივფუძიანები: მწვანე, წითელი, ლურჯი... / green, red, blue.... ბ) წარმოქმნილფუძიანები: თეთრქილებიანი, თეტრტაიჭოსანი, მწვანიაწვე... /grassy, chalky, inky... გ) ქართული: წითელ-ყვითელი, შავყვითელი, ღვინისფერი... /pitch-black, jet-black, red-blooded დ) ორკომპონენტიანი სინტაგმები: ჩახჩახა ყვითელი, ყვითლად კამკამა, მუქი ჩრდილისფერი, სველი სიწითლე/sea green, bottle green, pea green, olive green.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორივე ენაში ფერთა აღმნიშვნელი ლექსებით შესაძლებელია სიტყვათ წარმოება: ა) აბსტრაქტული სახელები: სიშავე, სითეთრე,



სიღაღაჟე, სიყვითლე/sallowness, brownness, redness, pinkness ბ) ყოლა-ქონების გამოხატველი სახელები: ყვითელგულა, შავტარა, შვინდისფერსეიტრიანი, ყვითელფოთლებიანი, / red-haired, rosy-cheeked, pink-eyes, ruddy-haired გ) სახელზმნები: გამაგება, ამომწვანებელი, შავადათავაგებული, lanned, embrowned დ) ნასახლარი ზმნები: ლურჯდებოდა, თეთრდებოდნენ, გაწითლდა, შეყვითლდნენ/blackened, whitened, reddened

კვლევა გვიჩვენებს, რომ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში ფერის აღმნიშვნელი ლექსემები შეგვიძლია ხარისხის სხვადასხვა ფორმით გამოვიყენოთ. რა თქმა უნდა, დადებითი ხარისხია ამოსავალი დანარჩენი ერთეულებისათვის. ორივე ენისათვის მსგავსია ხარისხის გამოხატვის საშუალება - აფიქსაცია, თუმცა ქართული ენა ამ მხრივ გაცილებით მრავალფეროვანია: „იმ სილურჯეში მოცისფროდ ჩაჩაჩებდა ცისკრის ვარსკვლავი“; „მტკვარი ცივი იყო, ნელი, მორუხო“; „პოვე ვარდი მოყვითალო...“; „ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლალისა“/ reddish hair; the paper had a yellowish tinge because it was so old.

საკითხის კვლევა ნიშანდობლივს ხდის იმ ფაქტს, რომ როგორც ქართული, ისე ინგლისური ენისათვის არსებითი ის კი არაა, რა ფორმითაა წარმოდგენილი ფერი, არამედ უშუალოდ მათი სემანტიკური დატვირთვაა. ამ კუთხით ორივე ენის მასალა ზღვარდაუღებლობით გამოირჩევა. ფერთა ნაირგვაროვნებით იქმნება ე.წ. თემატური რკალები, რომლებიც ასახავენ 1. ადამიანს (თვალებს, თმას, კანს): კოჭებამდე დასთრევედა ოქროსფერი თმა; წაბლისფერი რბილი ნაწნავის ბოლო წიგნის ქვეშ მოექცა; სანთლისფრად უბრწყინავდა თვალები და ცრემლით სველი დაწვები; სიცილის დროს წყლისფერი გახარებული თვალები ეხუკებოდა;.....თავით ფეხებამდე რაღაც ჟანგისფერი ქალი; სპილენძისფერ სახეზე იშვიათად თუ გადაუვლიდა დიმილი; ექსიოდე წლის გალურჯებული ბიჭი; / clay-colored hand; rosy cheeks; copper-colored nose; rosy lips; sallow skin; hazel eyes; 2. ტანსაცმელს: მერცხლისფერი ბერეტი; ქვიშისფერი ჩოხა; ნაცრისფერი მოსასხამი; მწიფე შინდისფერი ჭაკეტი; ზადრიჯნისფერი ხავერდის პალტო; ეცვა მწიფე შინდისფერი, თეთრქილებიანი ჩერქეზული ჩოხა, პირისპერი ახალუხი / crimson clothes; peach-coloured dress; gloves of a vermilion color; cherry-coloured coat; 3. ცხოველებსა და ფრინველებს: მამალ ამაყ იხვეს სოსანისფრად უბრწინავთ მყერდი, ყვითელი ფეხები აქვთ, ჭრელი, ჭრელი ფრთები; ღია კარში, პრიალა სინათლეში, იდგა დიდი წითელი მამალი; შეითრია ვეება რუხმა მგელმა მალალ ბალახებში კუდი; /crimson horse; cream-coloured horse; sorrel horse; verdant parrot 4. ხუნებას, რეალურ თუ ირეალურ სამყაროს (მცენარე, ხალახი, ფოთოლი, მთა, მზე, ცა): ... დაგლიჯა ყვითელი ფოთლები; ვერცხლისფერი ნაძვი; მწვანე ფოთლებს შორის მთლად უდროოდ ყვითელი ფოთლები თრთიან; ისარივით იჭრებოდა იასამნისფერ მთებში; ცა აღმოსავლეთით ვირუზისფერი იყო; კვიპაროსები აჰკეროდნენ შახამნისფერ მოცახცახე ცას; სულ ნარიჯისფრად გამოიყურებოდა იმოდენა ჭალა; ლალისფერი კომბოსტო; ტყვიისფერი ქარი; ფოლადისფერი ცა; აწითლებული მზე; ლიცილივით გამოდიოდნენ იასამნისფერი ბურუსიდან / tawny leaves; golden/amber leaves; ruddy apples/ rose/sun; purple hills/mountains;

ქართულ და ინგლისურ ენათა შესაძლებლობების უსასრულოებაზე, მოქნილობასა და სიმდიდრეზე მეტყველებს ის ნიუანსი, რომ თითოეული ფერით გამოიხატება შესაზამისი მოვლენა ან თვისება: სიღამაზე, სევდა, მწუხარება, გულსიტყვილი და სხვა. ...ამ ოთახს ცისფერი ჭალი ანათებდა და ამ ჭალის ქვეს პატარა ლამაზი სუფრა იყო გაწყობილი; დიდი ცისფერი თაყლები ამოანათა და გაწითლა; ბანაობდნენ და შემოდგომის სასიამოვნოდ ქარვისფერ მზეს უყურდებოდნენ; სანწვადის თეთრ

კედელთან თავმავ მაყალზე თეთრწინსაფრიანი ქალი აწყობს ვარდისფრად განათებულ მწვადებს...დანაღვლიანდნენ, ნაცრისფერი დაედოთ, სცვიოდათ და სცვიოდათ დაქიანებული, უმწიფარი ნაყოფი; მზე ის-ის იყო ჩასულიყო, სასაფალოს თაღბიფერი ედო; ნაღვლიანი კვიპაროსები აკკროდნენ შაბიანისფერ ცას/ peachy cheeks; red-lipped; cherry-cheeked; deathly face; crimson gleam; rose-red sky; lips scarlet as ripe cherries; a ghostly figure; saffron sky.

ამდენად, ქართული და ინგლისური ენების ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის შეპირისპირებითა ანალოზმა ცხადყო, რომ:

1. ფერთა ამსახველი ლექსიკით მდიდარია როგორც ქართული, ისე ინგლისური ენა.
2. 2.ორივე ენაში ფერის გამოხატვის შესაძლებლობა თითქმის იდენტურია: სინონიმია (ფერის სემანტიკური ველის არსებობა), ჩამოთვლა, სხვა საგანთან მიმსგავსება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქართული ენა უფრო მრავალფეროვანია და ნიუანსურად მეტი ფერის გამოხატველ ლექსებებს გვთავაზობს.
3. ერთნაირია ფერთა მორფოლოგიური სტრუქტურა. დასტურდება: მარტივფუძიანი, წარმოქმნილფუძიანი, რთული და ორკომპონენტიანი სინტაგმები.
- 4.ორივე ენაში შესაძლებელია ფერის აღმნიშვნელი ლექსებებით სიტყვათ წარმოება.
5. უმთავრესი იდენტურობა ორივე ენისათვის ისაა, რომ არსებითი ფერთაწარმოება კი არა, მათი სემანტიკური დატვირთვაა.
6. ფერთი გამოხატულია შესაბამისი მოვლენა ან თვისება (სილამაზე, ბედნიერება, სედა, მწუხარება...).

#### ლიტერატურა:

1. მეგრელიშვილი, მ. კონტრასტივია-კერძო ტიპოლოგიის დარგი//„ენა და კულტურა“, 2009№1.52-56.
2. ჩარკვიანი, ნ., ბაზუხაძია,მ. ზმნის ერთაქტიანი და მრავალაქტიანი მოქედების გამოხატვის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ და ინგლისურ ენებში/საენათმეცნიერო მიგბანი, XVIII. 331-337.
3. [http://publib.upol.cz/~obd/fulltext/Anglica-2/Anglica-2\\_02.pdf](http://publib.upol.cz/~obd/fulltext/Anglica-2/Anglica-2_02.pdf)
4. Oxford Advanced Learner's Dictionary

Nunu Geldiasvili, Manana Garibashvili

### For the Typological Revision of Lexical Items Denoting Color

#### Abstract

The article deals with the typological analyses (structural, semantic) of lexical items indicating color in Georgian and English languages. The research proves that both languages of radically different system and origin are rich with language units denoting colors. The most interesting appeared to be the synonymic units joined under the mutual semantic area; thematic groups (person, animals, birds, nature, etc.); features, feelings and traits expressed by colors.

The research revealed the morphological and structural diversity of words denoting colors. Thus we identify root words, derived, composed and words with two components. Words denoting color carry the word-building ability as well.

The rich linguistic sources prove to be newsworthy for promoting intercultural communications.

**ზეინაზ გვარიშვილი**  
**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი**  
**ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ტრანსფორმაცია**  
**არამონათესავე ენებში**

თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებულმა მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებმა ნაციონალური, მონოკულტურული კომუნიკაციიდან საერთაშორისო ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე გადასვლის აუცილებლობა გამოიწვია. კომუნიკაცია ერთი ერისა და კულტურის წარმომადგენლებს შორის დამყარებულია საერთო ცოდნაზე, გარკვეულ სტერეოტიპებზე, რომლებიც გარე სინამდვილის ფრაგმენტის ერთგვარ ფიქსირებულ, მენტალურ სურათს წარმოადგენს. ხოლო კომუნიკაცია ორი სხვადასხვა კულტურისა და ენის მატარებელ კომუნიკანტთა შორის, წარმატებული საკომუნიკაციო აქტის წარმართვისათვის, მოითხოვს გარკვეული კულტურული ბარიერების გადალახვას, რომლებიც ენობრივ ერთეულებში ვლინდება.

წარმატებული ინტერ-კულტურული კომუნიკაციის და თარგმანის ერთ ერთ პრობლემას არამონათესავე ენებს შორის არსებული შეფარდებითი სინონიმები, ომონიმები და პარონიმები წარმოადგენენ. ჩამოთვლილ, სემანტიკურად განსხვავებულ ლინგვისტურ ერთეულებს აერთიანებს ერთი საერთო თვისება – ორი ასოციაციურად ან ორთოგრაფიულად მსგავსი ლექსიკური ერთეული შეიძლება სრულიად ან ნაწილობრივ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან თავისი შინაარსითა და გამოხატვის საშუალებებით, რაც მათი ადექვატური თარგმანის პრობლემას ქმნის არამართო უცხოური ენის დამწყვე შემსწავლელითათვის, არამედ შეიძლება გახდეს წარუმატებელი კომუნიკაციის მიზეზი ორ სხვადასხვა ენის მატარებელ კომუნიკანტს შორის. ტერმინი კოგნატი" (ლათ. *Cognati* "მონათესავე") ლინგვისტიკაში ისეთ მონათესავე ენებს შორის არსებულ სიტყვებს მოიცავს, რომელთაც საერთო წარმომავლობა აქვთ, მაგრამ ამასთან თითოეული ენის თვითმყოფადობისა და ისტორიული განვითარების გამო სემანტიკურად, ნაწილობრივ ან სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ქართულ-ინგლისური კოგნატების მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ისეთი ლექსიკური წყვილები, როგორებიცაა: ქართული "დეკადა" და ინგლისური "Decade", (10 წლიანი პერიოდი), ქართული: "მარმელადი" და ინგლისური "marmalade" (ფორთოხლის ჯემი), ქართული "პათეტიკური" და ინგლისური "Pathetic" (საგოდავი); "რეპეტიცია"- "Repetition" (გამეორება). მოცემულ წყვილები მართალია არაპირდაპირ და არა მკაფიო, მაგრამ ლოგიკურ აზრობრივ კავშირში არიან ერთმანეთთან თუმცა ერთმანეთის მიმართ სინონიმურ მიმართებაში მყოფ ლექსიკურ ერთეულებად ვერ ჩაითვლებიან და შესაბამისად ქართულიდან ინგლისურზე თარგმანის დროს ისინი შესატყვის, განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს მოითხოვენ. ასე მაგალითად, ქართულ "რეპეტიცია"-ს ინგლისური "rehearsal"-ი შეესაბამება; ქართულ მარმელადს – ინგლისური "fruit jelly/fruit –past sweets" ქართულ დეკადას – "ten day period", ხოლო ქართულ პათეტიკას კი – "passionate, ecstatic".

რაც შეეხება ცრუ კოგნატებს, მათი მაგალითები ინგლისურსა და ქართულს შორის გაცილებით ცოტაა. ცრუ კოგნატები ისეთ ლექსიკურ წყვილებს მოიცავს, რომელთაც ერთსა და იმავე, ან განსხვავებულ ენებში მსგავსი ორთოგრაფიული, ფონეტიკური და სემანტიკური მარჯვენებლები გააჩნიათ, მაგრამ არ განეკუთ-

ენებთან ერთსა და იმავე ძირს. ასეთის მაგალითებია: ქართული "ბოთლი" და ინგლისური "bottle" ქართული "ველი" და ინგლისური "valley";

განსაკუთრებულ სირთულეს დამწყებ ენის შემსწავლელთათვის ე.წ. თარჯიმნის ცრუ მეგობრები" წარმოადგენენ (ფრანგულიდან "faux amis du traducteur") (Kessler, Deroussin 1981) აღნიშნული წყვილები ხშირად ენათა ურთიერთზეგავლენის შედეგად წარმოიქმნებიან, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ლექსიკური ერთეულების ფონეტიკური და ორთოგრაფიული დამთხვევის შედეგად შეიძლება იყვნენ. ქართულ-ინგლისური "ცრუ მეგობრები" მესამე, საერთო ენიდან (ხშირად ინტერნაციონალიზმებიდან) პირდაპირ ან ირიბ ნასესხობებს წარმოადგენენ. ისინი ხშირად ერთმანეთთან მხოლოდ ფონეტიკურ და/ან ორთოგრაფიულ მსგავსებას ამჟღავნებენ, რითაც უფრო მეტად ართულებენ უცხოური ენის შესწავლის პროცესს იმდენად, რამდენადაც მშობლიური ენის ინფერენციის გამო ადგილი აქვს სიტყვის არასწორ თარგმანს და ინტერპრეტირებას. ინგლისურ-ქართული "ცრუ მეგობრები" ს მაგალითებია ისეთი წყვილები როგორებიცაა: ქართული "ფაბრიკა" და ინგლისური "Fabric" (ნაჭერი); ქართული "ტალონი" და ინგლისური "Talon" (ზრკყალი); ქართული "ორდერი" და ინგლისური "Order" (წესრიგი, თანმიმდევრობა) ქართული "რეპლიკა" და ინგლისური "Replica" (ზუსტი კოპია, რეპროდუქცია); ქართული "კონკურენტი" და ინგლისური "concurrent" (განუყოფელი ნაწილი, ფაქტორი; თანამდევი გარემოება), ქართული "პარტიკულარი" (1.კერძო, არაოფიციალური; 2.სამოქალაქო ტანისამოსი) და ინგლისური "Particular" (განსაკუთრებული, იმეიათი, სპეციფიკური) "გენიალური" და ინგლისური "Genial" (მხიარული, კეთილგანწყობილი); "ვირტუოზი" და "virtuous" (კეთილისმყოფელი);

თარგმანის ერთ-ერთ სირთულეს ინგლისურსა და ქართულ ენებში ის ფაქტორიც ართულებს, რომ ინგლისური ენის პოლისემანტურობის გამო, ინგლისური აღმნიშვნელი, რამოდენიმე აღსანიშნს მოიცავს, რაც ქართული ენისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი. ამდენად ქართული სიტყვა ინგლისურ სიტყვასთან მსგავსებას მხოლოდ იმ ერთ მნიშვნელობაში ამჟღავნებს, რა მნიშვნელობითაც შემოვიდა, ასიმილირდა და დაფიქსირდა იგი ქართულ ენასა და ცნობიერებაში. დანარჩენ მნიშვნელობებს კი თარგმანის დროს შესაბამისი ქართული ლექსიკური ერთეული უნდა შევუსაზამოთ. მაგალითად სიტყვა "აუტსა-იდერი" "Outsider", რომელიც ინგლისურ ენაში განიმარტება როგორც: "1. One, who is excluded from a party, association, or set. 2. One who is isolated or detached from the activities or concerns of his or her own community. 3. A contestant given little chance of winning; a long shot" [Merriam-Webster Dictionary : 816] ქართულ განმარტებში ლექსიკონში ვხვდებით მხოლოდ სპორტული მნიშვნელობით 1. რაიმე შეჯიბრებაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი ან სპორტსმენი. 2. დოღმი-ცხენი, რომელსაც გამარჯვების შანსები არა აქვს. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი გვ.62) (თუმცა ზეპირ დისკურსში უკვე ფიქსირდება ამ სიტყვის კონოტაციური მნიშვნელობაც - ადამიანი, რომელიც გარკვეული პირობების გამო "თამაგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა. ამ მნიშვნელობით აღნიშნული სიტყვა, როგორც ვხედავთ მეტნაკლებად ინგლისურ "outsider"-ის მეორე მნიშვნელობას უახლოვდება). სიტყვა "ზლისტერი"- "blister", რომელიც ქართულ განმარტებით ლექსიკონში გვხვდება მხოლოდ ტექნიკური მნიშვნელობით: 1. ავიაც. თვითმფრინავის კორპუსის გუმბათისებური ხუფი გამკვირვალე პლასტმასისა, რომელშიც მოთავსებულია შეიარაღება, სამიზნე მოწყობილობა. 2. ზღვ. ხომალდის კორპუსის ნაღმსაწინააღმდეგო გამსხვილება (უცხო სიტყვათა ლექსიკონი გვ.85). ინგლისურ

ენაში დამატებით ხუთ, აბსოლუტურად გამსხვავებულ მნიშვნელობას მოიცავს: 1. A local swelling of the skin that contains watery fluid and is caused by burning or irritation. 2. A similar swelling on a plant. 3. A raised bubble, as on a painted or laminated surface. 4. A rounded, bulging usually, of transparent structure, such as one used for observation on certain aircraft or for display and protection of packaged products. 5. Relatively large bubble occurring in glass during blowing. 6. A dome or skylight on a building. [Merriam-Webster Dictionary : 119] ქართულ ენაში სიტყვა "აგონია" სულთმობრძავის მდგომარეობას ნიშნავს, მაშინ, როდესაც ინგლისური "Agony" დამატებით ოთხ, განსხვავებულ მნიშვნელობას მოიცავს (1. ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. 2. უეცარი ძლიერი ემოცია. 3. დაპირისპირება. 4. ზრბოლა) აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს ორ სხვადასხვა კულტურაში - ინგლისურსა და ქართულში, შეიძლება ჰქონდეს ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებითი მნიშვნელობა.

ამდენად ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი უდაოდ გასათვალისწინებელია ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის დროს. ასე მაგალითად: ქართულ ენაში სიტყვა "ვამილიარული" აბსოლუტურად ნეგატიური დენოტაციისა და კონოტაციის მქონე ლექსიკური ერთეულია მაშინ, როცა ინგლისური "Familiar" ძირითადად პოზიტიურ ერთეულად მოიაზრება. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში იტვირთება უარყოფითი შეფასებითი მნიშვნელობით, როდესაც ისეთი გამაძლიერებელი ზედსართავი უძღვის წინ როგორებიცაა: "over"/"too"/"rather" და "გადაჭარბების" შინაარს სძენს ხსენებულ ლექსიკურ ერთეულს. იგივე შეიძლება ითქვას წყვილებზე ქართული "პედაგოგი" და ინგლისური "Pedagogue" (პედანტური, დოგმატური ადამიანი); ქართული "ამბიციური" და ინგლისური "Ambitious" (მიზანდასახული); ქართული "კომპილიცია" განსაკუთრებით სამეცნიერო, აკადემიურ წრეებში უარყოფით ასოციაციას იწვევს იმდენად, რამდენადაც გულისხმობს ნაშრომს რომელიც არ შეიცავს დამოუკიდებელ კვლევებს და აგებულია უკვე არსებულ, ნაშრომებზე. იგივე სიტყვა ინგლისურში აბსოლუტურად თავისუფალია უარყოფითი კონოტაციისაგან, აღნიშნავს რა მოგროვებასა და შეკრებას. ამიტომ, ქართული შეფასებითი შინაარსის ზუსტად გადასატანად ინგლისურ ენაში ვფიქრობთ უპრიანია ზემოთხსენებული ლექსიკური ერთეულები ჩავანაცვლოდ ისეთი შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ინგლისური სიტყვებით რომლებიც ზუსტად შეესაბამებიან ქართულ მნიშვნელობას ასე მაგალითად: "ვამილიარულისთვის"- "frivolous"; "unceremonious"; "ამბიციისთვის"- "vanity"; "კომპილიციისათვის"- "plagiarism"; პედაგოგის ნაცვლად გამოვიყენოთ ნეიტრალური ინგლისური სიტყვა "teacher".

ინგლისური ენის ზეგავლენით, მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქართულ დისკურსში შეინიშნება ინოვაციის, არსებული სიტყვების ახალი მნიშვნელობით დატვირთვის ტენდენცია. ქართულ ენაში არსებული ზოგიერთი ნასესხობა, რომელიც თავდაპირველად ქართულში განსხვავებული მნიშვნელობით შემოვიდა, თავისი მნიშვნელობის პარალელურად ახალი, დამატებითი მნიშვნელობითაც დაიტვირთა. ასე მაგალითად, სიტყვამ "აპლიკაცია" თავისი საწყისი მნიშვნელობის პარალელურად ინგლისურენოვანი "Application"-ის (An official request for something, usually in written form) [Merriam-Webster Dictionary : 55] მნიშვნელობა მიიღო. შესაბამისად გაჩნდა შესატყვისობებიც: აპლიკაციის შევსება, აპლიკაციის ფორმა. იგივე შეიძლება ითქვას ნეგატიური დენოტაციის მქონე სიტყვა "ამბიციაცზე", ხშირად ისმის თანამედროვე მასმედიაში დადებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი კოლოკაციები როგორიცაა: ამბიციური პროექტი; მაქვს ამბიცია; სიტყვა "საკუთრდება" საბჭოურ პერიოდში ატარებდა ნეგატიურ დენოტაციას (მოგების მიზნით

საქონლის უკანონო შესყიდვა და უფრო ძვირად გაყიდვა). დღესდღეობით ფინანსურ სფეროებში იგი ნეიტრალური მნიშვნელობით იხმარება იმდენად, რამდენადაც ნიშნავს საფინანსო ოპერაციას, რომელიც ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების კურსის აწევას და დაწევას აკლებული. უცხო სიტყვათა ლექსიკონში რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს გამოიცა, სიტყვა "რუტინა" განიშარტება როგორც: უძრაობა, შიში სიახლისა და ცვლილების წინაშე [უცხო სიტყვათა ლექსიკონი: 447]. აღნიშნული სიტყვა დღესდღეობით თავისუფალია უარყოფითი დენოტაციისაგან და ინგლისური ენის ზეგავლენით შეიძინა ინგლისურ ენაში არსებული, (1. A prescribed, detailed course of action to be followed regularly; a standard procedure. 2. A set of customary and often mechanically performed procedures or activities). [Merriam-Webster Dictionary: 1009] ნეიტრალური შეფერილობის მქონე სემანტიკური დატვირთვა და "ყოველდღიურობა"-ის მნიშვნელობით იხმარება. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვა "nationalism"-ზეც; ზემოთაღნიშნულ ლექსიკონში მოცემული სიტყვა განიშარტება, როგორც 1. რეაქციული ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება და ერთი ეროვნების წაკიდება სხვა ეროვნებასთან [უცხო სიტყვათა ლექსიკონი:332] დღესდღეობით ამ სიტყვამ დადებითი კონოტაცია შეიძინა და მსგავსად სხვა ევროპული ენებისა ნიშნავს - საკუთარი ერის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ინტერესების მიმართ ერთგულებას (Devotion to the interests or culture of one's nation). [Merriam-Webster Dictionary : 765].

ამდენად, ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს სხვადასხვა ენაში თავისი განვითარების, ასიმილაციის და ენაში დამკვიდრების ისტორია გააჩნია. ამ პროცესებში და თავად ლექსიკურ ერთეულებშიც ხშირად ერის კულტურისა და განვითარების ისტორიაც იკითხება იმდენად, რამდენადაც სიტყვამ შეიძლება მოგვითხროს იმ დროსა და გარემოზე, რომელშიც იგი მყოფობს, ხოლო მთელი სემანტიკური სიღრმით სიტყვის აღქმა ნათელს ჰყენს ერის ცხოვრებას, ისტორიას და ადვილებს მოცემული ერის მენტალური და სულიერი სიღრმის აღქმას.

#### ლიტერატურა:

1. Акуленко В.В. О «Ложных друзьях переводчика» издательство «РОССИЯ» Москва.1995.
2. Coeasler M, Deroquigny J. "English-French false friends" Clarendon Press. Oxford.1981.
3. Lado R. "Linguistics across cultures" Blackwell Publishing. UK 2001.
4. Merriam-Webster Dictionary Webster new collegiate dictionary C. Merriam Company Springfield, Massachusetts, USA 1997
5. ჭანაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. "განათლება". თბილისი, 1997.
6. <http://dic.academic.ru>
7. <http://linguistic.ru>.

Zeinab Gvarishvili

#### Semantic transformation of lexical units in different languages

##### Abstract

Worldwide integration process in different spheres of present-day life resulted in the functional shift from national monoculture communication to international and intercultural communication the communication outside the nation requires overcoming language and cultural barriers. Lingo-conceptual system of a foreign language is perceived through that of the native language. If some parts of the primary (native) and secondary (foreign) system coincide, it makes understanding and interpreting much easier and vice versa differences of these systems may become the cause of unsuccessful communication.

Present paper deals with the analyses of some peculiarities of Georgian - English "interpreter's false friends" that should be taken in account not just in the process of translation, but during the communication process between representatives of two different languages and correspondingly two different cultures.

გურანდა გობიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**ინდივიდუალური და კოლექტიური კულტურული ტიპები**  
**ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ ტექსტებში**  
(გერცელ ბააზოვის შემოქმედების ფონზე)

ეთონიმ ქართველი ებრაელის შემოტანა აქტიურ ლექსიკაში და ფართოდ დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში ორი ერის, ორი ხალხის მულტიკულტურული და მრავალკონფესიური საზოგადოების ისტორიული დინამიკის თანამედროვე შედეგია, ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ჯანსაღი ურთიერთობის ნათელი გამოვლინება, რაც თითქმის უნიკალურ მოვლენად შეიძლება იქნას მიჩნეული მსოფლიო ისტორიაში. ქართველთა და ებრაელთა კულტურული კომუნიკაცია, რომელიც კულტურული ურთიერთობის დიფუზურ ფორმას გულისხმობს პირველ რიგში, ძალზე აქტიური და ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო, თუმცა რეალობა, სამწუხაროდ, სავსებით განსხვავებული აღმოჩნდა...

26 საუკუნოვანი კეთილგანწყობილი და სავსებით უკონფლიქტო ურთიერთობის მიუხედავად, ქართველმა ებრაელებმა, საქართველოში, მათ მეორე ისტორიულ სამშობლოდ მიჩნეულ ქვეყანაში, გაურკვეველი თუ გარკვეული მიზეზების გამო, ფაქტობრივად, ვერ შეძლეს თავიანთი დიდი შინაგანი პოტენციის გამოვლენა და, შეიძლება ითქვას, ვერავითარი წვლილი ვერ შეიტანეს არათუ ქართული, არამედ საერთო ებრაული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. სწორედ ამ ისტორიული პარადოქსისა და ებრაულ დიასპორაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაჩენილი კულტურულ-ინტელექტუალური ვაკუუმის ფონზე, ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველ ბედნიერ გამოწაკლისად სამოდევანო ასპარეზზე მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველი ებრაელი მწერლის, გერცელ ბააზოვის გამოჩენა იქნა მიჩნეული, რომლის მსგავსი „ძალისა და გაქანების ებრაული შემოქმედი არც მანამდე და არც მას შემდეგ ქართულ ლიტერატურას არ ჰყოლია“ (დ. ხაბანაშვილი, გ.ზ. „ქუთაისი“, 198წ. 30ოქტომბერი).

მწერალი, თითქმის ყველა ნაწარმოების დაწყებისთანავე, პირველივე ფრაზებიდან, ცდილობს მომენტალურად შეგვიყვანოს ებრაელთა ცხოვრების წიადში. ასე, მაგალითად: გახმაურებული პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“ იწყება ერთ-ერთი პერსონაჟის \_ იშაიას მონოლოგით ( ზოგადად ავტორი ძალიან ხშირად მიმართავს მონოლოგის ფორმას), რომელშიც სამი საკუთრივ ებრაული და ორი ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვაა ჩართული: „ყარბათი“ \_ საღამოს ლოცვა, „მანალი“ \_ ბედი, „ყოლამ ჰაბა“ \_ საიქიო, „ლოცვა“ \_ იგულისხმება სინაგოგა, „ჯამათი“ \_ მორწმუნე ებრაელი თემი. ამ ხერხით მწერალი კარგად ახერხებს მეყსეულად მოგვაქციოს თავის თანამომემთა სამყაროს ცენტრში და თვალნათლივ დაგვანახოს არსებული რეალობა, ყოველგვარი ეროვნული იდეალიზაციის გარეშე. მწერალი თავის ლიტერატურულ პროდუქციაში ხშირად იმ ფაქტსაც აფიქსირებს, რომ ქართველ ებრაელთა შორის ქართულ საუბარში ებრაული სიტყვების ჩართვა და ხშირი ხმარება რაზინებისა და მდიდრების ერთგვარი პრივილეგიაა. სწორედ ამ ნიუანსის ილუსტრირებაა დანიელისა და იეხისკიელის დიალოგი („მუნჯები ალაპარაკდნენ“), სადაც აშკარად

იკვეთება მათი სოციალური იერარქია სწორედ ებრაული სიტყვების გამოყენების რაოდენობის გათვალისწინებით.

მწერალი პერსონაჟის ინდივიდუალიზაციის მიზნით ინტენსიურად მიმართავს აკვიატებული ფრაზებისა და სიტყვების გამოყენებას, რაც ეხმარება ავტორს კარგად გამოკვეთოს გმირის მორალურ-ეთიკური პრინციპები, შექმნას ქართველი ებრაელის ლიტერატურული ტიპი და ღრმად აღბეჭდოს მკითხველის მეხსიერებაში. ასე მაგალითად: პიესაში „ზუნჯები ალაპარაკდნენ“ დანიელ შათერიშვილს აკვიატებული აქვს სიტყვა „იანგარიშე“, რაც კიდევ უფრო ამჟღავნებს პერსონაჟის შინაგან სამყაროს, მის ანგარებთან ზუნებას. დანიელისათვის ყველაფრის საფუძველი და საზომი ცხოვრებაში არის სწორედ ანგარიში – თავად არსად არ უნდა შეცდეს, სხვა უნდა შეაცდინოს. ეს არის მთელი მისი ფილოსოფია. დანიელი ასე შთააგონებს თავის ბედოვლათ შეილს: „იანგარიშე ყაზარია, იანგარიშე, კარგად იანგარიშე, მერამდენე ცოლი მოგყავს ახლა?... იანგარიშე ყაზარია... ახლა ღარიბებთან შეუღლება სამრახისი არაა... ვისაც დღეს ღარიბის პატენტი აქვს, ის წითელი თავადიშვილია, მეტი რა გინდა?... ერთიც უნდა იანგარიშო ყაზარია“ [ბაზოვის პიესები, 1962: 25]. პერსონაჟის ამ სპეციფიკური მეტყველებით დრამატურგმა გამოკვეთა როგორც მისი ხასიათის მთავარი შტრიხები, ასევე იმ პერიოდის, კერძოდ, მე-20 საუკუნის 30-იანი წლების, სოციალ-პოლიტიკური ვითარების ნათელი, ცოცხალი სურათი.

ასეთივე სიმკვეთრითა და შთამბეჭდაობით ცდილობს მწერალი, ანალოგიური სტილისტური ხერხით, გამოკვეთოს ებრაელი რევოლუციონერის, იცკა რიყინაშვილის პიროვნული სახე და მისი ინდივიდუალური ადამიანური ზუნება პიესაში – „იცკა რიყინაშვილი“. მთავარი გმირი საუბრისას ხშირად იმეორებს ფრაზას – „დედას ვფიცავ“, რაც ცდება ტიპიური დაფიგების შინაარს და უფრო ღრმა სემანტიკურ დატვირთვას იძენს. მასში ერთდროულად გაერთიანებულია, როგორც იცკას დედისადმი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა, მისი ფაქიზი სულიერი სამყარო, ასევე მომავლის ურყევი რწმენა და მებრძოლი სულისკვეთება: „იცი შენ, დედა? ვკვდები, დედა... მაგრამ ყველას ვერ მოკლავენ... დედას ვფიცავ... დარჩებიან ამხანაგები... დედას ვფიცავ“ [მ. წიწუაშვილი].

პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის საკითხი, მიუხედავად გარკვეული შედეგობებისა, ქართველი ებრაელი მწერლის შემოქმედებაში ძალზე სქემატური და ცალსახაა, ისევე როგორც, ზოგადად, 20-30-იანი წლების პროლეტარულ მწერლობაში, რომლის ტიპური წარმომადგენელიც გახლდათ, ფაქტობრივად, გერცელ ბააზოვი. საზოგადოებაში, სადაც არსებობის გადასარჩენად სინდის-ნამუსის დათმობა გიწევს, სადაც ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებებზე მაღლა გაურკვეველი, აკვიატებული იდეოლოგიური დოქტრინები დგას და მორალურ-ეთიკური პრინციპების დაცვა გმირობის ტოლფასია, სადაც სიტყვაკაზმული მწერლობა პარტიული და კლასობრივი პროპაგანდის უსახურ დანამატად, აგიტპუნქტად და პროლეტკულტად არის მიჩნეული, რომლის იდეალადაც უსიციოცხლო, გრმობებისა და ემოციებისაგან დაშრეტლი მექანიკური ადამიანია დასახული, ინტერკულტურულ-ლიტერატურულ სახე-სიმბოლოების პერსონიფიკირების ხარისხზე ზრუნვა და ზოგადად ინდივიდუალიზმი, ზუნებრივია, წინააგმდეგობაში მოდიოდა კომპარტიის იდეოლოგიურ დოქტრინასთან. აუცილებელი იყო, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „გადახარშვა პროლეტარულ სამზარეულოში“ და ერთიანი, კოლექტიური გამომეტყველების მიღება, რაც ძირშივე სპობდა ინდივიდუალური კულტურული ტიპის ფორმირების საკითხს. ამიტომაც არის, რომ ბააზოვის პერსონაჟები ზუსტად ისევე აზროვნებენ, მსჯელობენ და მოქმედებენ, როგორც არაერთი ლიტერატურული „გმირი“ პროლეტარული მწერლობისა, ამიტომაც გვანან ამ პერიოდის სხვა და სხვა მწერლის გმირთა სახე-ხასიათები ასე მკვეთრად



ერთმანეთს, იქამდე, რომ მათი გარჩევა ხშირად კიდევ კირს: ერთნაირი ლოზუნგური საუბარი, მსგელობები, შეხედულებები და აბსოლუტურად იდენტური ქმედებები.

გ.ბააზოვი აშკარად გამოკვეთილი სოციალური თვალთახედვის მწერალია, მისთვის არსებობს მხოლოდ მკვეთრად განსხვავებული ორი ფერი – თეთრი და შავი, სამყაროს სხვაგვარად აღქმის უნარი იდეოლოგიური მარწუხებით აქვს შთანთქმული, ისევე როგორც პროლეტარული მწერლობის უმრავლესობას. ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული მათი გმირები ვერ ხედავენ და არც უნდათ დაინახონ ე. წ. მესამე გზა, ალტერნატივა არ არსებობს – ან ბურჟუაზიასთან ან პროლეტარიატთან, ან მდიდრებთან ან ღარიბებთან. ისინი ყოველგვარ საკითხს კონტრასტული სწორბაზოვნებით სჯიან და წყვეტენ. ლევან ხარაბაძე ასე მოძღვრავს „ჭეშმარიტების“ გზაზე შემდგარ ლევი კაკიაშვილს: „ან ბურჟუაზიასთან, ან პროლეტარიატთან. არ არსებობს მესამე გზა, და ისინი, ვინც ეძებს ან ეპოტინება მესამე გზას – ებრძვის პროლეტარიატს“ [ბააზოვი, 1961: 30]. „კლასი ებრძვის კლასს. სხვაგვარი დაყოფა არ არსებობს“ [ბააზოვი, 1961: 74] – ასეთია ამ მოთხრობის („გელათის ქუჩის დასასრული“ 1929 წ.) რევოლუციურ-კლასობრივი რადიკალიზმი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კ. ლორთქიფანიძის მოთხრობის – „სიტყვა იყო ღმერთი“ (1980 წ.) – ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ვანო მურადაშვილის პარტიულ რადიკალიზმთან. სიღნაღის მაზრის ბოლიციის უფროსი დღედაღამ ჩასწირინებს თანამშრომლებს: „სამყარო ორად არის გაყოფილი, წითლების მხარეზე არა ხართ? – მაშ, – თუთრების ყოფილხარ და ტყვია მუბღში, სხვა ვერაფერი გაგასწორებს. – ვინც ჩვენთან არ არის იგი ჩვენი მტერია, მორჩა და გათავად! მონანიებამ ქვეყანა დაანგრია: მეზიზღება ის ხალხი, რაღაც მესამე გზას რომ ეძებს.“

ეს დაუნდობელი კლასობრივ-პარტიული ბრძოლა ყველა ზნეობრივ-ეთიკურ, საზღვრებს სცილდება, როდესაც ფართო ასპარეზიდან კონკრეტულ ოჯახებში ინაცვლებს და მოსისხლე მტრებად უკვე ღვიძლ ძმებს, დედა-შვილს, მამა-შვილს აქცევს. ასეთი შემზარავი ფაქტის ილუსტრირების უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თუნდაც რად ღირს კალე ფეოდოსიშვილის ცნობილი ლექსიდან ამონარდი: „მე მამას მოვკლავ, და-ეახრჩობ დედას, რემოლუციამ თუკი მიბრძანა“, ანდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის – „მე ზოლმევიკის გარდა სხვა ვინმე არც მიმამჩნია ადამიანად“, რომლის პერიფრაზირების ნიმუშები უხვად მოიძებნება სოციალისტურ რეალიზმს დაქვემდებარებულ საბჭოთა პროლეტარულ მწერლობაში, რომელმაც უპირველეს მიზნად სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ბუმა-ენტუზიასტების გაწვევა და ხელოვნებაში საწარმოო შრომითი ენთუზიზმის მექანიკური გადატანა დაისახა და ეთიკურ-ესთეტიკური ვაკუუმი შექმნა.

კლასთა ბრძოლისა და რევოლუციური გარდაქმნების შემანფოთებელი შედეგები კარგადაა ნაჩვენები გ. ბააზოვის მოთხრობაში „გელათი ქუჩის დასასრული“, კაკიაშვილების ოჯახის დეგრადირების ფონზე.

რეუბენ კაკიაშვილის „მეტისმეტად ცნობისმოყვარე“ და პროგრესული იდეებით გატაცებული უმცროსი შვილი ლევი „პროლეტარულ საშარეულოში გადახარშვის“ და რევოლუციური წრთობის მიღების მერე სრულიად გაკერპებული, ყოველგვარი ადამიანური ემოციებისა და განცდებისაგან დაცლილი ბრუნდება საქართველოში, წყვეტს კავშირს „ბურჟუაზიულ-კლერიკალური“ წარსულის მქონე საკუთარ ოჯახთან და ზედის ირონიით მის წინაშე მდგარ ცხოვრების ლაფში ჩაფლულ ღვიძლ ძმას – ისაკს, პარტიული პრინციპებით გაზემირებულ ლოზუნგს აფარებს სახეში და წარბმუხურელად ციმბირში უკრავს თავს: „მე გული მკვდარი მაქვს, გესმის ისაკ? მე აღარ ვცხოვრობ დღეს ოჯახისათვის, მე ვცხოვრობ მშრომელი ხალხისათვის... პროლეტარიტის დიქტა-

ტურული კანონები უღმობელია: ნათესაური გრძობა უნდა დემორჩილოს კლასობრივ ინტერესს" [გ. ბააზოვი 1961: 61].

კოლექტივიზაციის თემას არა ერთი ნაწარმოები მიეძღვნა იმ ხანად საქართველოში, რომელთა უმრავლესობა საკოლმეურნეო მშენებლობის, „ხალხთა ორგანიზებული ყვლეფის, ჩაგვრა-შევიწროებისა და სოციალური დაბეჭავების" [ნიკოლეიშვილი, 2003: 113] აგიტაცია-პროპაგანდასა და იდეალიზაციას უფრო შეიცავდა, ვიდრე ნამდვილი, რეალური სურათის მხატვრულ ხორცმესხმას. თუმცა, საბედნიეროდ, 30-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღნიშნული თემის ირგვლივ შემოგვიანხა ისეთი შესანიშნავი ქმნილებები, რომლებიც დღემდე ამდიდრებენ ქართული მწერლობის საგანძურს. ამ კუთხით, ალბათ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლ. ქიაჩელის - „გვადი ბიგვა“ (1937 წ.), კ. ლორთქიფანიძის - „კოლხეთის ცისკარი“ (1963 წ.), პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ (1937 წ.) და გ. ბააზოვის „შემარასა უკანასკნელი სიტყვა“ (1931 წ.) და განსაკუთრებით „მუნჯები ალაპარაკდნენ“ (1932 წ.).

განსაკუთრებით კუროსოვლი, თუმცა საბჭოთა ლიტერატურისათვის ტიპიური მოსჩანს გ. ბააზოვის „ახალი ადამიანების“ გალერიიდან პოლიგრაფიული საწარმოს დირექტორის მოადგილის კორნელი შანიძის სახე, რომელსაც ძალიან ბევრი ორეული ჰყავს 20-30-იანი წლების პროლეტარულ მწერლობაში. კუროსოვლი და აბსტრაქტულია უშუალოდ ამ, ფაქტობრივად, უფუნქციო საწარმოს არსებობაც, რითაც ის შ. დადიანის პიესაში - „აკაკი გულში“ (1928 წ.) - აღწერილ გაურკვეველი საქმიანობის საწარმოს მოგვაგონებს. გაუგებარი და ყოვლად მიუღებელია მასში მომუშავე პირველი პირების ზნეობრივ-ეთიკური თუ მორალური პრინციპები. საწარმოს „წითელ დირექტორს“, ყოფილ რევოლუციონერ ზურაბ მაღლაკლიძეს საყვარლად თავისივე მოადგილის, კორნელი შანიძის, ცოლი გაუხდია. მოუხედავად იმისა, რომ კორნელი თავად გახდებოდა ცოლისა და „წითელი დირექტორის“ ინტიმური სცენის თვითმხილველი, ოლიმპიურ სიმშვიდეს იხარჩუნებს და როგორც „ნამდვილი“ პარტიული მუშაკი ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს. მთავარია ყოფილი რევოლუციონერი „გამოაფხიზლოს“ და სწორ გზაზე დააყენოს, თორემ ცოლის დალატი ადვილად გადასატანი პრობლემაა სოციალიზმის პირობებში, როგორც უახლოესი მეგობარი, პარტორგი კანტორი ამბობს. სასამართლოზე, როცა კორნელის ჰკითხავენ იქნებ ექვიანობა გალაპარაკებსო, იგი ამაყად და დაუფიქრებლად პასუხობს: „ეს იქნებოდა ბოლშევიკისათვის უმართებულო საქციელი“. ზუსტად ასე იქცევა პროლეტმწერლის ი. ლისაშვილის მოთხრობის მთავარი გმირი ლევან ქვაკირელი („ვარდნილი“ - 1933 წ.) - ჯერ კანხალის მშენებლობა, მერე მოდალატე ცოლის დაპატიმრება... ყველაზე ნათლად კორნელი შანიძის ტიპს საკუთარი ცოლი ამბავს: “- შენ არავინ გიყვარს, შენ მხოლოდ სტამბა გიყვარს, ლინოტიპები და მანქანები.” ქალის პროტესტი მიმართულია არა მხოლოდ კონკრეტულად შანიძისადმი, არამედ მიმართულია ზოგადად ვოლკოვებისადმი (პ. ჩხეიძის „ფერო“ - 1932 წ.), ფრიდონებისადმი (შ. დადიანის „შვი ქვა“ - 1932 წ.), აპოლონ რაპოლიძებისადმი (მ. ჯავახიშვილის „დამდნარი ჯაჭვი“ - 1988 წ.), კაცი - იდეად ქცეული უსიციოცხლო, უსახურ, „ჩაკლული სულუბისადმი“ (გრ. რობაქიძე), რომლებიც, როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, დრომ და ჰუმანიზმმა სასტიკად დაამარცხათ.

გ. ბააზოვმა, მკაცრად განსაზღვრული სტერეოტიპებისა და მწერლობაში დამკვიდრებული დოგმატური იდეოლოგიური დოქტრინების მიუხედავად, მაინც შექმნა ქართული ეზრავლის როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური კულტურულ-ლიტერატურული ტიპი, რის სერიოზულ დეფიციტსაც განიცდიდა ქართული ლიტერატურა. თუმცა ისიც უდავოა, რომ ინდივიდუალიზმისა და სახე-სიმბოლოთა პერსონიფიკირების ხარისხი გერცელ ბააზოვის შემოქმედებაში ძალზე დაბალია.

### ლიტერატურა:

1. ბააზოვი გ. გ. *ფეთხაინი, შემარას უკანასკნელი სიტყვა*. 1960. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
2. ბააზოვი გ. გ. *გელათის ქუჩის დადსარსული „საბჭოთა მწერალი“*. 1961. თბილისი.
3. მათიაშვილი გ. (1980): ქართველები, ებრაელები და სოციალური პრობლემები// გ. „მნათობი“, '10, 137-145.
4. მაქრაძე ა. გ. *მწერლობის მოთვინიერება. გამოშვებულმა „სარანგი“*. 1962. თბილისი.
5. *გერცელ მააზოვის პოეზიები*. (1962): გამოშვებულმა „ხელოვნება“. თბილისი.
6. *შიშველაძე რ. გ. „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“*. თსუ. 1998. თბილისი.
7. ნიკოლეიშვილი ა. გ. *დავით და გერცელ მააზოვები. 1998*, გამ-ა ქსუ. თბილისი.
8. ნიკოლეიშვილი ა. გ. (2003): *ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-სემბოლიკურ მოღვაწეობის ისტორიიდან*, წიგნი I. გამ-ა ქსუ. ქუთაისი.
9. ნიკოლეიშვილი ა. გ. (1994): *XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები*, წიგნი I. გამოშვებულმა „მონაშეთა“. ქუთაისი.
10. ქარელიშვილი ე. გ. (1964): *მართალი სახეები და ხასიათები// გ. „მნათობი“*, '12, 129-134.
11. წიწუაშვილი შ. გ. (1988): *მხატვრულ სახის გახსნისა და სიტუაციის გაშლის ხერხები გ. ბააზოვის დრამატურგიაში// გ. „მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია)“*, '4.

Guranda Gobiani

### Individual and Collective Cultural Types in Georgian-Jewish Literary Texts (Against the Background of Gertzel Baazov's Creative Work)

The paper discusses the importance of Georgian-Jewish cultural communication and cultural-literary types according to the creative work of Georgian writer of Jewish origin Gertzel Baazov.

Since G. Baazov's literary production as well as Georgian proletarian writing of that period (namely, the 20-30s of the 20<sup>th</sup> century) gives such opportunity particular attention is drawn to collective cultural type. Gertzel Baazov can be considered to be a typical representative of that time. His characters are not different from each other. Moreover, according to photographic precision they are identical to so called stereotypical models of 'a new Soviet man' and have general collective expression in accordance with the requirements of party-related revolutionary principles.

Finally, as a conclusion, the article states that G. Baazov in spite of strictly determined stereotypes and dogmatic ideological doctrines established in writing managed to create such Georgian Jew as an individual and collective cultural-literary type the deficit of which was present in the Georgian literature of that period.

მირანდა გობიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
დისკურსის ლინგვოკულტურული ასპექტები

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის გაგება სხვადასხვაგვარია, ამას გარკვეულწილად განაპირობებს კვლევის სფეროები, სადაც ოგი კვლევის საგანია (იზაია, 2009, 18). განმარტებათა ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ლექსიკონში მოცემული განმარტებებიდან პირველი, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკასა და დისკურს-ანალიზშია გამოყენებული, დისკურსს განსაზღვრავს როგორც თემატურად, კულტურულად ან კიდევ რაიმე სხვა ნიშნით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობას, რომლის განვითარება და შევსება შესაძლებელია დამატებითი ტექსტებით. მეორე განმარტებით, რომელიც სოციოლოგიასა და სოციალურ სემიოტიკაშია მიღებული, დისკურსი არის ურთიერთობა, რომელიც განიხილება როგორც გარკვეული დისკურსული "პრაქტიკების" განხორციელება. მესამე დეფინიციაც სოციოლოგიაში გამოიყენება, მაგრამ აგრეთვე ლო-

გეკასა და ფილოსოფიაში. აქ დისკურსი განსაზღვრულია როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების ღირებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია ურთიერთგაგების მიღწევა [ზარანაფი, 2001:111].

დისკურსის ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური განსაზღვრისათვის საჭიროა რამოდენიმე ფაქტორის გათვალისწინება: კონვერსაციული ანალიზის ინტერესების სფეროა სოციალური აქტივობის ინტერაქციული ორგანიზება. კონვერსაციული ანალიზის ფუძემდებლის ჰერვერ ზაკის კონვენციები ეფუძნება 3. გარჟინკელის სოციალურად მოქმედი პირების (ადამიანების) ყოველდღიური ცხოვრების ეთნომეთოდოლოგიურ კვლევებს, რომლის მიხედვით საზოგადოების წევრთა ქმედება ამ საზოგადოების სხვა წევრების მიერაა ინტერპრეტირებული. საზოგადოების წევრთა კომუნიკაცია ინდექსური ფენომენია, ის არსებობს კონტექსტში და მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი მისი უპრობლემო გაგება [კოტხოფი, 2008:1]. შესაბამისად, ვერბალური ინტერაქციის კვლევით დასტურდება, რომ კონვერსაციულ ანალიზს სოციალური წარმოშობის კონტექსტი აქვს, საუბრის ანალიზს კი ლინგვისტური კონტექსტი უდევს საფუძვლად. დისკურსის ანალიზში თითქმის შეუძლებელია გამოყოფა დომინანტური დისციპლინა. ამ ტერმინით თანამედროვე ლინგვისტიკაში მოცემულია კონვერსაციული ანალიზის და საუბრის ანალიზის კრებითი ცნება [ჰაუზენდორფი, 2008:404]. ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა საჭიროებს ორივე კონტექსტს, სოციალურსა და ლინგვისტიკურს, ამიტომ ვიყენებთ ტერმინს „დისკურს-ანალიზი“.

დისკურს-ანალიზი, როგორც მეცნიერებათაშორისი ურთიერთობის სფერო, ენათმეცნიერული ცოდნის გვერდით, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, სტილისტიკის, კულტუროლოგიისა და ფილოსოფიის მონაცემთა და ცნებათა გათვალისწინებასაც მოითხოვს.

დისკურსის თეორიის ზოგადი იდეაა ის, რომ დისკურსში ასახული სოციალური მოვლენა არასოდეს არაა დამთავრებული და სრული. არასოდეს არაა საბოლოოდ ფიქსირებული მნიშვნელობა. დასახელებული თეორიის მიხედვით არტიკულაციური პრაქტიკის შედეგად წარმოდგენილი მთელი სტრუქტურული ერთიანობა არის დისკურსი. „არტიკულაციას“ ვუწოდებთ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ისე ადგენს მიმართებას ელემენტთა შორის, რომ არტიკულაციის შედეგად იცვლება ნიშანთა იდენტურობა [ლაკლოზუჟე 1985:105].

კრიტიკული დისკურსის ანალიზისას მიმართავენ ტექსტის დეტალურ ანალიზს, რათა დადგინდეს, თუ როგორ მიმდინარეობს დისკურსული პროცესები ცალკეულ ტექსტებში. ტექსტის ანალიზი არაა საკმარისი დისკურს-ანალიზისათვის, იგი ვერ ჰყენს ნათელს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ტექსტებს, სოციალურ და კულტურულ პროცესებსა და სტრუქტურებს შორის. აუცილებელია არსებობდეს დისციპლინათშორისი თვალსაზრისი, რომელიც გააერთიანებს ტექსტობრივსა და სოციალურ ანალიზს [ფილაში, ორგენსენი 2004:107].

ა) ინტერაქციის ინდექსურობა (პირობითობა) და კონტექსტურობა გვიჩვენებს ტექსტსა და კონტექსტს შორის ურთიერთდამოკიდებულების რეფლექსურობას. ეთნომეთოდოლოგიასა და ლინგვისტურ პრაგმატიკაში დადასტურებულია, რომ ადამიანი ჯერ გაიაზრებს, შემდეგ აზრობს. შესაბამისად, „თქმა/ნათქვამთან“ ერთად სხვა სოციალური აქტივობაც იბენს ინტერესს, კერძოდ. რა გაიაზრა ადამიანმა, რა ქვეტექსტი უდევს ნათქვამს საფუძვლად.

ეთნომეთოდოლოგიისათვის ენობრივი ქმედების ამოსავალია დიალოგი და ინტერსუბიექტურობა. ინდივიდი ენასთან ერთად ითვისებს იმ სოციალური და ბუნებრივი სინამდვილის არსს, რომელიც ენაში ასახება. ენათმეცნიერებაში ენობრივ სისტემას უკავშირდება დიალოგზე ორიენტირებულ დისკურსის ანალიზი. დისკურსის კვლევის სფეროს განსაზღვრავენ ეთნომეთოდოლოგიური კონვერსაციის ანალიზი, საუბრის დიალოგიური და პრაგმატიკული მიმართულება, კომუნიკაციის ეთნოგრაფიული კვლევა [კოტაფი, 2006:164].

გ) დისკურსის ანალიზი იკვლევს ზეპირი ენის თავისებურებებს. ზეპირი ენის ემპირიული ანალიზისათვის საჭიროა საუბრის ტრანსკრიფიცია. ენა შესწავლილი უნდა იქნას ბუნებრივ მდგომარეობაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ კულტურულ სივრცეზე, რომელსაც ასახავს და რომელშიც მოქმედებს საკვლევი ენა, როგორც გარკვეული ლინგვოკულტურული ერთობა.

დ) დისკურსის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ყურადღებას ამახვილებს საუბრის კავშირზე ყოველდღიურ ინტერაქციასთან: როგორ იწყებს ინდივიდი რაიმეს თხრობას? როგორაა განაწილებული ინტერაქტანტებს შორის საუბრის უფლება, საუბრის დრო?

ე) დისკურსის ლინგვოკულტურული ანალიზისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან გაემიჯნოს საუბრის შიდა და გარე სტრუქტურები. საუბრის შიდა სტრუქტურა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: პროსოდიული თავისებურებები, ხმის ხარისხის ასპექტები, ფესტიკულაცია, მიმიკა, ფონეტიკური ვარიაციები, ლექსიკურ-სემანტიკური და მორფო-სინტაქსური ფენომენები, ვარიანტულობების ცვლა, სტილისტიკური და რიტორიკული ფიგურები, შინაარსობრივი მხარე, თემები.

საუბრის გარე სტრუქტურა საუბრის შიდა სტრუქტურის კავშირია სოციალურ გარემოსთან. აქ იგულისხმება ეთნიკური ან კულტურული ოჯახების კომუნიკაცია, სხვადასხვა სოციალური სქესის წარმომადგენელთა ვერბალური და არავერბალური ურთიერთობა, საუბარზე ინსტიტუციონალური ზეგავლენა, მოქმედების ადგილი, მოსაუბრეთა სტატუსი [ჯუნთური, 2007:378].

სოციოლინგვისტიკაში ვარიაციების კვლევა იწყება სტილის კვლევით: მაგ. ჩაცმა, ვარცხნილობა, მოძრაობა, საუბრის სტილი. საუბრის სტილი ლექსიკის, პროსოდიის, სემანტიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, დისკურსის ერთობა [კოტაფი, 2008:249]. სოციალურ სტილს აქვს მოსაუბრის სოციალური პოზიციის ჩვენების ექსპრესიული ფუნქცია იგი სოციალური აქტივობებისა და საუბრის სტილის ერთობაა.

ვ) დისკურსის, როგორც სოციო-კულტურული ფენომენის, კვლევის ძირითადი პრობლემა ეთნოსოციალური საზღვრების გადაკვეთაა ენაში, რაც ლინგვისტიკაში ენობრივი ნაჯვარის სახელითაა ცნობილი. ენობრივი ნაჯვარი საუბრის დროს ორი ან მეტი სხვადასხვა ენისა და ენობრივი ვარიანტულობების ფრაგმენტული, არანორმირებული და მოულოდნელი გადაკვეთაა.

სოციოლინგვისტიკაში გამოიყოფა ენობრივი ნაჯვარის შემდეგი ფენომენები: ვარიანტულობების შერევა, საუბარში მედიალური რესურსების გამოყენება (მაგ: ციტატები სარეკლამო ტექსტებიდან), უცხო ენის ფუნქციური გამოყენება.

საინტერესოა, რა ენობრივ რესურსებს საჭიროებს ენობრივი ნაჯვარი. აქ გრამატიკული ნიშნები იშვიათად იჩენს თავს. მისთვის საეციფიკური ნიშნების შემჩნევა შესაძლებელია შემდეგ ლექსიკო-გრამატიკულ ფორმებში

- მისაღმება, მიმართვის ფორმები

- ცალკეული ენობრივი ქმედებები (მაგ. დამუქრება, სიყვარულის ახსნა და ა.შ.)
- ვულგარული გამოხატულებები (მაგ. ლანძღვა-გინება)
- განცვიფრების, დათანხმების, უარყოფის გამოხატველი სიტყვები ე.წ. ინტერაქციონები
- დისკურსის ნაწილაკები (მინიმალური რეაქციები, მაგ. ჰმ, აჰა)
- სიტყვათა მარაგი გარკვეული სემანტიკური სფეროებიდან
- სიტყვათა მარაგი სოციალური კატეგორიებიდან (მაგ. სექსუალურობა, სხეულის ნაწილები და ფუნქციები, ფული და სხვა).

ზემოაღნიშნულიდან დისკურსისათვის ღირებულია: სოციალური აქტივობის ორგანიზება, ურთიერთდამოკიდებულება ტექსტსა და ყოველდღიურ ინერაციას შორის, ურთიერთდამოკიდებულება ტექსტსა და კონტექსტს შორის, ურთიერთდამოკიდებულება საუბრის შიდა და გარე სტრუქტურებს შორის, ეთნოსოციალური საზღვრების გადაკვეთა ენაში, ენობრივი ნაგევარი. შესაბამისად თანამედროვე ენათმეცნიერებაში დისკურსი სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც კონკრეტული კულტურის და სოციუმისათვის სპეციფიკური რეალიზაცია. დისკურსი არის ერთიანი ორგანიზმი, რომელშიც ერთდროულად ხორციელდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების ყველაზე მრავალგვარი ასპექტები.

#### ლიტერატურა:

1. ანდროუსპოპოუსი (2008) Androusoopoulos Jannis (2008): Sprachliche Kreuzungen im Alltagsleben. ph.freiburg.dokumente.de
2. ბარანოვი... (2001) – Баранов А.М. / Добровольский М.Н. (2001): Англо-русский словарь по лингвистике и семантике. Москва
3. ბერგერ/ლუკმანი (2000) – Berger Peter L./Luckmann Thomas (2000): Die gesellschaftliche Konstruktion der Wirklichkeit. Frankfurt: Fischer.
4. ბუსმანი (2002) – Busmann H. (2002): Lexikon der Sprachwissenschaft. Stuttgart
5. გუნთერი (2007) – Günther Susanne (2007): In: Jürgen Straub: Handbuch Interkult. Kommunikation und Kompetenz, Stuttgart, Metzler, 374-384
6. კოტხოფი (2006) – Koithoff Helga (2006 a): Sprache und Sprechen. In: Albert Scherr (Hrsg): Soziologische Basics. Opladen: Verlag für Sozialwissenschaften
7. კოტხოფი (2006) – Koithoff Helga (2006): Angewandte linguistische Gender-Forschung. In: Soziolinguistik. Internationales Handbuch zur Wissenschaft von Sprache und Gesellschaft. Herausgegeben von Ulrich Ammon, Norbert Dittmar, Klaus J. Mattheier, Peter Trudgill. 3. Teilband. Sonderdruck. Walter de Gruyter, Berlin, New York. 2493-2524.
8. ოზიძე ხ. (2009): ქართული დისკურსის კულტურელოგიური პარადიგმა. უკავშირდება. თბილისი
9. ჯაუზენდორფი, 2008 – Hausendorf Heiko (2009): Gesprächs-/Konversationsanalyse. [www.ph-freiburg-dokumente.de](http://www.ph-freiburg-dokumente.de)
10. ლაკლო/მუფე 1985 – Laclau E. and Mouffe C. (1985): Hegemony and Socialist Strategy. Towards a Radical Democratic Politics. London: Verso
11. ფილას/იორგენსენი (2004) – Филипп / Иоргенсен М. Б. (2004) Дискурсанализ. Теория и метод. Харьков

Miranda Gobiani

### Lingvo-cultural Aspects of Discourse

#### Abstract

Discourse is a speech act, interactive process in socio-cultural context. In order to define a discourse phenomenon in a lingvo-culturological sense it is necessary to take into consideration several factors:

a) An interactive organization of social activities represents a field of interest of conversation analysis. Communication among the members of the society is an index phenomenon. It exists in the contexts and only through context is possible to correctly understand it. b) Indexing the interaction and contextivity show the reflexivity of interrelation between the text and context. In Ethno-methodology and linguistic pragmatics it is confirmed that a man

thinks first and then says. Consequently, together with 'say/said' other social activities acquire a new interest, namely, what the man thought over, what sub-text is taken as a ground. c) Lingvo-culturological analysis of discourse focuses attention on the link between speech and interaction: how does a person start the narration? How is the right and time of speaking divided among interactants? d) For lingvo-culturological analysis of discourse it is necessary to demarcate internal and external structures of speech. Internal structure of speech consists of the following elements: prosodic characteristics, aspects of volume pitch, gesticulation, mimics, phonetic variations, stylistic and rhetoric figures, contentual aspects, themes. e) The main problem of researching discourse as a lingvo-culturological phenomenon is the crossing ethno-sociological borders of the language known as a language cross-bred in linguistics.

**ნანა გონჯილაშვილი**  
 ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
**საქართველოს ეკლესიის პირველი წმინდანი**  
**(ერთი საკითხის ისტორიისთვის)**

“წმ. ნინოს ცხოვრების” რედაქციების კვლევისას ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ \_ ელიოზის მიერ მცხეთაში ჩატანილი უფლის კვართის მიმრქმელი ქალის, ელიოზის დის, სახელი არაა წარმოჩენილი. შევეცადეთ, დაგვებუნა წყარო, რომელიც ელიოზის დის სახელს “სიდონიას” გააცხადებდა.

“წმ. ნინოს ცხოვრების” შატბერდულ-ქელიმური რედაქცია ვრცლად მოგვითხრობს უფლის კვართის ისტორიას. აზიათარ მღვდლის ასული, სიდონია, გადმოგვცემს მამამისის მონათხრობს და წიგნებიდანაც უწყებულს, რომ “ესუა მას დედაა ტომისაგან ელი მღვდელისა, და ესუა ერთი ხოლო დაა ელიოზს” (“შოქევაა ქართლისაა” 1963: წ. 128). მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს შეეგება ტკივილით აღვსილი და: “ხოლო დაა მისი მიეგებოდა შესუარული ცრემლითა, ვითარცა სისხლითა, და მოეხუა ყელსა მმისა თუხისასა. სიდონიას თხრობა გადმოგვცემს კვართთან დაკავშირებულ მომდევნო ამბებსაც: “და იხილა მეფემან ამაზაურ სამოსელი იგი იესუსი და უნდა წარლებამ მისი, ხოლო ზარსა მას ზედა დედაკაცისასა მკუდრისა ქელთ-გდებასა, შემინდა და ვერ იკადრა” (“შოქევაა ქართლისაა” 1963: წ. 129). ამ მონაკვეთს მოსდევს ფრაზა, “ხოლო ელიოზ დაჰმარხა დაა იგი თუხი, და ქელთა მისთა აქუნდა სამოსელი იგი” (“შოქევაა ქართლისაა” 1963: წ. 129).

ძველი ქართული ტექსტების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ “წმ. ნინოს ცხოვრების” სინურ ხელნაწერში (N/Sin-50 \_ LX-Xსს.), შატბერდულ-ქელიმურ (X-XII სს.), ლეონტი მროველის (XI ს.), არსენ ბერის (XII ს.) და უცნობი ავტორის (XIII ს.) რედაქციებში კვართის მიმრქმელი ქალი ელიოზის დაა - “დაა ელიოზისი”, რომელიც ზოგჯერ “დედაკაად” ან “მკუდრად” (გარდაცვალების შემდგომ) მოიხსენება. არსენ ბერი, რომელიც მეტაფრასტიკის კვალობაზე განაწევრობს ტექსტს, ელიოზის დას ხაზგასმით “ქალწულს” და “სათნოებითა და ღვთის-მოშიშობით” შემკულს უწოდებს. ავტორებისთვის, როგორც ჩანს, უცნობია ელიოზის დის სახელი, არც ერთ რედაქციაში მას “სიდონია” არ ეწოდება.

ნიკოლოზ გულაბერისძის (XII ს.) თხზულების \_ “საკითხავი სუეტისა ცხოველისაა, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისაა”, ერთ თავში: “მოთხრობა აზიათარ მღვდელისაგან კუართისათუხ საუფლოისა, თუ ვითარ მოგუენიკა”, კვართის მიმრქმელი ელიოზის “დაა” და “დედაკაად” იწოდება. ამდენად, XII ს-ის მეორე ნახევრში საქართველოს კათოლიკოსისთვისაც უცნობია ელიოზის დის სახელი “სიდონია”. ელიოზის დის სახელი არ ჩანს არც “ქართლის ცხოვრების” მარიამ დედოფლის ვარიანტში და არც “ქართლის ცხოვრების” ძველ სომხურ თარგმანში.

ვახუშტი ბატონიშვილი თხზულებაში "საქართველოს ისტორია", შესაბამის მონაკვეთში ზედმიწევნით მიჰყევბა "წმ. ნინოს ცხოვრების" რედაქციის ტექსტს. იგი არ იცნობს ელიოზის დის სახელს. მისი მეორე ნაშრომიც "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" (ერთი თავის სახელწოდებაა - "აზიათარის ამბავი"), ელიოზის და სახელის გარეშე იხსენება. მ. ბროსეს მიერ თარგმნილ და გამოცემულ წიგნში - "ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთათხრამეტე საუკუნემდის" (1849 წ.)- რომელიც "სრულიქმნა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ქალაქსა სამეფოსა მოსკოვს პრესნას", მოყვანილი ტექსტი "წმ. ნინოს ცხოვრების" არცერთი რედაქციის ციტირებას არ წარმოადგენს. აქაც ელიოზის და "სიდონიად" არ იწოდება.

ანტონ I-ის "წყობილისტყვაობის" ერთი ქვეთავი ეძღვნება "თეს საღმრთოს კუართისა". აქ არაფერია ნათქვამი ელიოზზე, მის დედასა და დაზე, არც უფლის კვართთან დაკავშირებულ სასწაულებზე.

საინტერესოა ერთი ფაქტი, XIX ს-ის დასაწყისში სვეტიცხოვლის ტაძარში სვეტთან მირიონის ამოსვლის ადგილას დატოვებული ღიობი საგანგებო კარით იხურებოდა, კერძოდ, XVIII საუკუნის ვერცხლით მოჭედული ხატი (დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). მასზე ცენტრალური ადგილი უჭირავს ელიოზის დის კვართმირქმულ ცხედრის კომპოზიციას. შუაში აღმართულია ცხოველყოფილი სვეტი, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ წმ. ნინოსა და მირიან მეფის გამოსახულებებია მოთავსებული სათანადო წარწერებით. უნდა აღინიშნოს, რომ ელიოზის დას არანაირი წარწერა არ აქვს. ამდენად, XVIII ს-შიც ქართულ სინამდვილეში ცნობილი არაა ელიოზის დის სახელი "სიდონია".

თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებაში, "ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა" (1848 წ.), ცალკე თავად შეტანილია "წმ. ნინოს ცხოვრება", რომელიც უცვლელადაა გადმოტანილი "ქართლის ცხოვრებიდან". ელიოზის დის სახელი აქაც არ გვხვდება.

იოანე ბატონიშვილი "კალმასობაში" (1813-1828) უფლის კვართს ორგან და მხოლოდ ერთი წინადადებით ახსენებს: "გამოჩნდა კვართი იესო ქრისტესი". ელიოზის დაზე არაფერია თქმული.

როგორც ირკვევა, IX ს.-დან დაწყებული XVIII საუკუნეების შუა წლებამდე არც ერთ ქართულ წყაროში ელიოზის დის სახელი "სიდონია" მოხსენებული არაა.

წიგნში - "მასალები ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიის მიხედვით" (1615-1640), მოყვანილია საბუთი, რომლის მიხედვით, მიხეილ თეოდორეს ძის მეფობისას რუსეთის პატრიარქ ფილარეთის ბრძანებით მდივანმა ივან გრამოტინმა ახალი მონასტრის მესვენაკეს იოანეიკეს გამოჰკითხა, თუ რა იცოდა ქრისტეს კვართის შესახებ. იგი თხოობისას კვართის საბოლოო მფლობელს ხან მეომრის "დას", ხან "ქალწულს" უწოდებს (მასალები განსხვავდება ქართული ტექსტებიდან).

რუსი ბერი და მოღვაწე არსენ სუხანოვი XVII ს-ის ოცდაათიანი წლების ბოლოს გაეცნო საქართველოს. ა. სუხანოვისთვის უაშბიათ უფლის კვართის ისტორია. კვართის ჩამომტანად აქ ლონგინია დასახელებული, ხოლო უფლის კვართის მიმრქმელი ლონგინის "დად" ან "ქალწულად" იწოდება.

ს. ზრაილოვსკი ნაშრომში - "ახალი ვარიანტი მოთხრობისა უფალი ჩვენი იესო ქრისტეს კვართზე" (1889 წ.) მოყვანილია ტექსტი XVII ს.-ის ერთი მოთხრობისა - "სიტყვა უფალი ჩვენი იესო ქრისტეს კვართის შესახებ". რუსულ მოთხრობაში არც იერუსალიმში წასული და კვართის საქართველოში ჩამომტანის სახელი და არც კვართის გამომთხოვი, მისი შემნახავი და მასთან ერთად დაკრძალული დის სახელი არაა მოყვანილი.



შეიძლება ითქვას, რომ XVII ს.-ში რუსეთშიც, ისევე როგორც საქართველოში, არ იცოდნენ კვართის მიმრქმელი ქალწულის სახელი.

1868 წელს თბილისში გამოიქცა იროდიონ ელიოზიძის, "სამკედროს მღუდლის", მიერ ლექსად თქმული "აღწერა ცხოვრებისა წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინასი, ქართულთა განმანათლებლისა". ავტორი უფლის კვართთან დაკავშირებულ მოვლენებს მგებთაში საერთოდ არ ახსენებს. ასეთივე ვითარებაა 1899 წელს თბილისში დაბეჭდილ თხზულებასა, "ცხოვრება ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოსი", ქართულიდანვე მდაბიურად გადმოღებული მ. შარაძის მიერ" და 1895 წელს ქუთაისში გამოცემულ თხზულებაში "ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინა".

1878 წელს თბილისში დ. ლაზარევმა და ივ. არაქელოვმა გამოსცეს თხზულება "დღეასწავლი უფლისა კვართისა და ცხოვრება წმიდისა ნინოსი, ქართველთა განმანათლებლისა". აქ ელიოზის და "სიდონიად" იწოდება, როგორც ყველასათვის ცნობილი ფაქტი. ასეთივე ვითარებაა 1887 წელს ქუთაისში "მწყემსის" რედაქციის მიერ გამოცემულ თხზულებაში "მგებთის სობორო და წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი", აგრეთვე 1890 წელს ქუთაისში ამავე ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობაში, "წმიდა ნინა ქართველთა განმანათლებელი".

ამდენად, XIX ს.-ში გამოცემულ "წმ. ნინოს ცხოვრების" მოთხრობებში, ძირითადად, ელიოზის და სახელით "სიდონია" იხსენება, როგორც ქართველთათვის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კვართის მიმრქმელი ელიოზის დის სახელი "სიდონია" XIX საუკუნეში ჩნდება და ამდენად, შემდგომი კვლევაც ამ პერიოდის მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვით გაგრძელდა; შევისწავლეთ XIX-XX ს.ს-ში ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომები, რომლებშიც ქართლის მოქცევის საკითხებია განხილული, წარმოჩენილია უფლის კვართის ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები. ირკვევა, რომ მეცნიერები და მწერლები კვართის მიმრქმელი ელიოზის დის სახელს ან საერთოდ არ ახსენებენ (მ. ბროსე, ნ. მარი, დ. ზაქრაძე, ე. თაყაიშვილი, პ. იოსელიანი, ს. კაკაბაძე, ა. ხახანაშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი, კირიონ II, ევ. ნიკოლაძე, ს. ბარათაშვილი, მ. თამარაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი), ან "სიდონიას" უწოდებენ (მ. სელუზნიოვი, ა. მურავიოვი, თ. ყორდანია, პ. ხუროშვილი, ა. ნატროვი, ზ. ჭიჭინაძე), როგორც ყველასათვის ცნობილი ფაქტს. მკვლევართა ერთმა ნაწილმა (მ. ბროსე, ნ. მარი) იგის სახელი "სიდონია", მაგრამ თავად არ ახსენებენ, იმუწმებენ სხვისი ციტირების (კერძოდ, თ. ყორდანიას) გზით. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში (XIX-XX სს.-ში) არ დაინტერესებულან ელიოზის დის სახელი "სიდონიას" წარმოშობის კვლევით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მეცნიერი (რუს მეცნიერთა ნაწილს თუ არ ჩავთვლით) კარგად იცნობს "წმ. ნინოს ცხოვრების" თუ ყველა რედაქციას არა, ნაწილს მაინც.

ჩვენ საგანგებოდ თავის ადგილას არ განვიხილეთ თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულება \_ "ისტორია დაწყებითგან ივერიისა" (1848 წ.). თხზულებაში ცალკე თავად შეტანილია "წმ. ნინოს ცხოვრება", რომელიც თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი "ქართლის ცხოვრებიდან" მაგრამ საინტერესოა ერთი გარემოება თეიმურაზ ბატონიშვილი თავისი "ისტორიის" დასაწყისში, როდესაც "მეათერთმეტე" მეფის, ადერკის, მეფობის პერიოდზე საუბრობს, სწორედ აქ ურთავს უფლის კვართის მცხეთაში ჩატანის ისტორიას. თხზულების ამ მონაკვეთში თეიმურაზმა ძველი ქართული თხზულებებისაგან საკმაოდ განსხვავებული ვარიანტი შემოგვთავაზა. მასში "წმ. ნინოს ცხოვრების" ძირითადი ეპიზოდები დაცულია, მაგრამ თეიმურაზი მათი გადმოცემისას ახალ

პასაჟებს უმატებს. აქვე დამოწმებულია წყარო – "საღმრთონი წერილნი საქართველოჲსა ეკლესიისანი მოუთხორობენ ესრეთ" [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848: 136], მაგრამ კონკრეტულ წყაროს იგი არ ასახელებს. თეიმურაზი პირველი ავტორია, ვინც ელიოზის დას "სიდონიას" უწოდებს და რაც უფრო გასაკვირია, ელიოზის დედის სახელსაც იმომწმებს: "ხოლო დედაჲ ამა ელიოზ ურიისა სარაჲ და დაჲ ელიოზისა ქალწული სიდონია..." [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848:136]. უნდა აღინიშნოს, რომ ელიოზის დედის სახელი "სარაჲ" არათუ ძველ წყაროებში, XIX-XX საუკუნეთა სამეცნიერო ლიტერატურაში (ერთის გამოკლებით) არ შეგვხვდრია. თეიმურაზი კიდევ უფრო სცილდება "წმ. ნინოს ცხოვრების" რედაქციათა თხრობას და ელიოზის დედის, სარასა და დის, სიდონიას, თავისებურ სახე-ხასიათებს ხატავს, რომ ისინი საღვთო წერილის მცოდნენი, ღვთისმსახურნი და უფლის გზაზე "სიმაართლით მავალნი" იყვნენ, კითხულობდნენ წინასწარმეტყველთა წიგნებს და იესო ქრისტეს სასწაულთა აღსრულების შეტყობის შემდეგ, ირწმუნეს უფალი, მესია და სიტყვა ღვთისა. თეიმურაზ ბატონიშვილი ამით არ იფარგლება და რათა მეტი დამაჯერებლობით წარმოაჩინოს ელიოზის დედისა და დის ღვთისმოსაობა, დასძენს: "ხოლო იგინი ევედრნენ ქმერთსა მრავლისა მარხვითა, მოღვაწეებითა და ლოცვითა, რათა გამოუცხადოს მათ ქმერთმან, უკუეთუ იგი არს თუთ მესია მსხნელი კაცთა, მოსრული სოფლად" [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848: 136]. მართლაც, ჯერჯერ მათ ქრისტე, "არწმუნა მესია ყოფა თჳსი" და ელიოზის ოჯახის ამ წევრებმაღ ღმერთი ირწმუნეს.

თეიმურაზი განსხვავებულ პასაჟებს ისე წარმოადგენს, რომ თხრობის მთავარ ხაზს ხშირად არ სცილდება. მისი ნააზრობი მკითხველის დასაინტერესებლად არის მოწოდებული; თხრობისას დეტალების გამოკვეთა ჰემმარიტების აღწერის პრინციპის შექმნისთვისაა გამიზნული.

თეიმურაზის მონათხრობში კვლავაც ბევრი განსხვავებული პასაჟი წარმოაჩინდება, თუმცა იგი წყაროს აქვე ზოგადად ასახელებს: "ეკლესიისა ჩვენისა მომთხორობელნი კვართისა საუფლოსათვის სწერენ კვალად" [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848:138]. მოთხორობილია, რომ სიდონიამ დედის გარდაცვალება იგლოვა და ელოდა ძმის დაბრუნებას, რომელიც რამე "ნიშანსა მესიასსა" ჩამოუტანდა. თეიმურაზი ამ შემთხვევაშიც წარმოსახვით თხრობას გეთავაზობს, აღწერს ისე, როგორც შესაძლოა რომ ყოფილიყო, მაშინ როდესაც "წმ. ნინოს ცხოვრების" უბველესი რედაქციები მხოლოდ ორიოდ წინადადებით შემოიფარგლებიან.

თხზულებაში თხრობა გრძელდება მცხეთაში ჩასული ელიოზისა და სიდონიას შეხვედრის აღწერით და აქვე თეიმურაზი სრულიად უცნობ ამბავს ყვება: "ხოლო გზაჲ იგი, სადა მიეგებოდა სიდონია განვლიდა საშუალ სამოთხისა (ესე იგი წალკოტისა) მეფისა; ხოლო საშუალ ბაღსა მის ხიდსა მას გამოვიდა რა ელიოზ შევემთხვა მუნ წინა სიდონია და მოეხვია ქედსა მისსა და ეტყოდა ცრემლით მიზუნსა სიკუდილისა დედისა მათისასა და ჰკითხვიდა, თუ რაჲ მოიღო ნიშანი ქრისტესი ნიკაჲდ მისსა" [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848: 139].

თეიმურაზ ბატონიშვილი მიუთითებს იმ გზას, რომელიც გაიარა სიდონიამ ძმასთან შესახვედრად და ეს გზა მეფის "სამოთხე"-წალკოტზე გადიოდა. საფიქრებელია, რომ თეიმურაზმა ამ გზის აღნიშვნით, ერთგვარად, წინასწარ გამოკვეთა მეფის სამოთხის მნიშვნელოვნება, რომელზედაც შემდგომ ღვთაებრივი მაღლი გადმოვიდოდა და სასწაული აღესრულებოდა. ამ მიზნით დაუკავშირა მან ერთმანეთს კვართი, სიდონია, "სამოთხე".

თეიმურაზ ბატონიშვილი თხზულებაში კიდევ ერთ ჩანართს გეთავაზობს, კერძოდ, მას შემდეგ რაც ელიოზმა უფლის კვართი, რომელიც ჰქონდა დაცული

“ტავარჯუსა შინა”, გადასცა დას და სიდონიამ მკლავები მოხვია და შეიტკბო, ძმას ასე მიმართა: “ჟი საყვარელო ძმაო, კმა არს ნიკი ესე ჩემდა ქვეყნისაცა ამისთვის, ვინაჲთგან სათნო იჩინა უფალმან ხსნა ერისა ამის კელისაგან ემბაკისა და ამით ქსნილთა თვისთა მონანიკებს ცხოვრებასა საუკუნესა” [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848: 139]. ელიოზის დის ეს მიმართვა არცერთ სხვა ძველ წყაროში არაა მოყვანილი. თეიმურაზი ამ ეპიზოდით კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მცხეთის, მეორე იერუსალიმის, მომავალ დიდებას და პატივს.

თხრობა გრძელდება და კვართით ხელში გარდაცვლილი სიდონია დიდი გოდებით დაიტირა ელიოზმა. ამ ეპიზოდსაც თეიმურაზ ბატონიშვილი ახალი ცნობებით ავსებს, კერძოდ, ელიოზს სურდა უფლის კვართის გამოღება “გულისაგან დისა თვისისა”, მაგრამ ვერც თავად შეძლო და ვერც სხვათა დახმარებით. ელიოზს სურდა სახლში გადაესვენებინა გარდაცვლილი დის ცხედარი. ამ შემთხვევაშიც “ერის სიმრავლემ” “მკედარი” მცირედიტაც კი ვერ დაძრა ადგილიდან (ესეც განსხვავებული პასუხია და აქ გვახსენდება წმ. ნინოს ცხედრის ადგილიდან ვერმეპერის ეპიზოდი). ეს საკვირველება აცნობეს რა მეფე ადერეს, მანაც ისურვა კვართის ხელთ გდება, მაგრამ ამაოდ, ყოველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მეფემ გადაწყვიტა, რომ დაეტოვებინათ ის ადგილი და დალოდებოდნენ ღვთის ნებას, მხოლოდ რამდენიმე მცველი და ელიოზი მოყვასითურთ დატოვა, რათა უწყებინათ მისთვის, თუ რამე მოხდებოდა. ელიოზი და მისი მოყვასანი მსურველად ლოცულობდნენ ღვთის მიმართ, რათა უფალს “წინდი ესე” (კვართი), როგორც მისი განგებულების სახსოვარი, დაეცვა საუნჯედ ქართლის ერისათვის და ისინი ბოროტისაგან დაეხსნა. “რათა იქმნენ ესენიცა მონად შუნდა, აღმსაარებლად, მოქმედ ნებისა და ბრძანებისა შუნისა” [თეიმურაზ ბატონიშვილი 1848: 140].

თეიმურაზ ბატონიშვილის შემდგომი თხრობა კვართთან დაკავშირებულ სასწაულს ეხება: ელიოზისა და მის მოყვასთა ლოცვის დასრულებისთანავე მოხდა დიდი ძვრა, “განიპო ადგილი იგი, სადა იდგა ქალწული იგი სიდონია კვართითურთ უფლისა და შეიწყნარა შორის გულსა თვისსა მიწამან და წამსვე შინა თვალისასა დაჰფარა და შეკრა პირი მიწამან და იქმნა ვერეთვე ვითარცა იყო პირველ, რომელ არცალათუ მცირედი სჩნდა ადგილსა მის განგებულსინი მცირედიცა ბრძელ” [თეიმურაზ ბატონიშვილი 1848: 140]. მეფე ადერეკი, რომელსაც აუწყეს მომხდარი სასწაული, მივიდა და თავად იხილა ის ადგილი, მცველნი მიუჩინა და ბრძანა, რომ “სამოთხის” ამ ადგილს არანაირი ბიწიერება (არც ადამიანი, არც ცხოველი და არც რამე “შეგინებული” ნივთი) არ მიახლებოდა და შეხებოდა. დასასრულს აღნიშნულია, რომ შემდგომად ამისა იმ ადგილას კვიპაროზის ხე აღმოცენდა. უფლის კვართის შემდგომი სასწაულები, თეიმურაზ ბატონიშვილის უწყებით, სრულიად საქართველოს მოქცევის მაუწყებელ საეკლესიო მოთხრობებშია მოხსენებული. ალბათ, თეიმურაზ ბატონიშვილი “მოქცევაჲ ქართლისაჲს”, “წმ. ნინოს ცხოვრების” რედაქციებას და ნიკოლოზ გულაბერისძის “საკითხავს” გულისხმობს.

ჩვენ არ ვიცით, თეიმურაზ ბატონიშვილს კონკრეტულად, საიდან მოაქვს ელიოზის დედისა და დის სახელები, ან “წმ. ნინოს ცხოვრების” რედაქციებიდან ის განსხვავებული ეპიზოდები, ერთი შეხედვით ზღაპრული თხრობის ხასიათს რომ ატარებენ (თუმცა თ. ბატონიშვილი წყაროს ასახელებს – “სადმართო წერილნი საქართველოსსა ეკლესიისანი”) [თეიმურაზ ბატონიშვილი 1848: 136]. თეიმურაზი თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: “უბველესთა ისტორიისათვის ჩვენთა, ე. ი. ივერიელთა მოთხრობისათვის, რაიდეცა შევეუღლე მოვნად მეელთა და უბველესთა შინა გამოძიებათა სრულიად შემოვკრიბენ იგინი და არა დაუტყვენ იგინი არცა ერთი: არამედ მოვეუთხრობდე მათთვის, რომელნიცა რომელთაგანმე მომთხრობელთა შეწყნარებულცა არიან” [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848: 1-2]. ამასთანავე, თეიმურაზ ბატონიშვილის პასუხისმგებ-

ლომა "საქართველოს ისტორიის" მიმართ კარგადაა წარმოჩენილი მისი წერილებიდან მარი ბროსესადმი. მის ერთ-ერთ წერილში ბროსესადმი ვკითხულობთ: "ღმერთს ერწმუნე, ჩემთვის ასეთი შრომა არის ესე, რომ ასამდის სხვადასხვას წიგნში გამოვეძიებ. ამ დღით წიგნები გარემო მაყრია და ისე ვკრებ. ჩემთვის და ჩემის სახელის წოდებისათვის სირცხვილი არს, ვგრეთვე შენც ცუდს რაზედმე როგორ მიგაღებინო შრომადა... მე მრავალი მატერია მაქვს ამისთვის, რომელიც, დიდის გამოძიებით, რა მე შენ გაგიგან, მასუკან ვიწყებ შეკრება და ასეთი რამ უნდა წარმოვადგინო მაგ დიდებულს საზოგადოებაში ("სააზიო საზოგადოება", დაარსდა პარიზში 1821 წელს - ნ. გ.), რომ შეურაცხად არ შეიქმნეს ჩემი ღვაწლი. ასეთი საქმე არის ცხოვრების აღწერა, რომ არც ერთს სხვის კვლევნებას არა ჰგავს და ამაზედ დიდი სიფრთხილე უნდა ისტორიის დაწერას... ეს წიგნი, ღმერთს ერწმუნე, ღამე და დღე კვლში მიჭირავს, ჩემის კვლითა ვერ. არ შეიძლება რომ სხვას დავაწერიხო, ნამიხდენენ როგორც რომ გათავდება, ეს პირველი შემოკლებული ქრისტესშობასთვის გასვლამდის და თუ მეორეს თვემდის, მაშინვე გამოგვრავენ" [თეიმურაზ ბაგრატიონი, 1964:62]. ეს წერილი იმდენად გულწრფელობითაა დაწერილი და მასში იმხელა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, სინდისიერება ვლინდება, ძნელია არ ვერწმუნოთ. თეიმურაზი ნაშრომს "ისტორია დაწყებითგან ივერიისა" ოცი წლის მანძილზე წერდა. მას ხელი მიუწვდებოდა ბევრ წყაროზე, შესაძლოა, ჩვენთვის უცნობზეც და იქ მოიძია მანამდე უცნობი დეტალები. "ივერიის ისტორიის წინასიტყვეობის" შენიშვნაში იგი წერს: "ძველს ქართლის ცხოვრებიდამ გამოწერილი, მე თვით გამოვწერე კათალიკოზის ანტონის შეკრებულის მოთხრობებიდან, რომელიცა მრავალთა წერილთაგან გამოვეკრება და ნებავდა თურმე ისტორიისა სრულია აღწერა და აღარ დასცალდა და ის გამოწერილები ისე უქმად დარჩა და მე უწმინდესიიდან კათალიკოზმან მამის ძმამან ჩემმან, ვინაიდგან მიეყვარდა მე ისტორია მრავალი რამ საისტორიო საქართველოსათვის გამომანწერინა თავის წიგნებიდამ. ანტონი კათალიკოზი, ბიძა ჩემი (ე. ი. მეორე ანტონი ნ. გ.) სანკტ პეტერბურგს ზრძანდებოდა წელსა 1820 და შემდგომს წელიწადებშიაიცა და მაშინ გამოვწერე" [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848:177-178]. შესაძლოა, სწორედ ანტონ II-ის "მოთხრობებიდამ" აქვს თეიმურაზს "გამოწერილი" ელიოზის დედისა და დის სახელები, სარა და სიდონია, და სხვა ცნობები. რამდენად სანდოა ეს წყარო, ვერ ვიტყვით. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თეიმურაზი, როგორც თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში შენიშნავს, წყაროდ იყენებდა "რომელნიმე ზეპირიეა სმენილნი", "ზღაპარ სიტყვაობანიცა", რადგან ყოველივე ეს, მისი თქმით, "არა უგულუბელს ვყვენ აღწერად ნივთთა გამრავლებისათვის ამბავთა შინა" [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848:1-2]. მართლაც, როგორც უფლის კვართის ისტორიის შემცველი ზემოგანხილული მოთხრობა მოწიობს, თეიმურაზ ბატონიშვილი "ზეპირად სმენილს" და "ზღაპარ სიტყვაობასაც" ხშირად იყენებს, შესაძლოა, ელიოზის დედისა და დის სახელები ამგვარი გზით იყოს გაჩენილიც, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებაში, "ისტორია დაწყებითგან ივერიისა...", თვრამეტი საუკუნის მანძილზე პირველად ვხვდებით კვართის მიმრქმელი ელიოზის დის სახელს, "სიდონიას". ქართველთა ცნობიერებაში დღემდე მტკიცედაა გამჯდარი და ტრადიციულ ცნობადაა აღიარებული ელიოზის დის სახელი "სიდონია", ელიოზის, ხალხისა და მეფის მოწადინება გარდაცვლილი ელიოზის დის ადგილიდან ვერშეპერის უშედეგო მცდელობანი, თუმცე კი თითქმის არავინ იცის, რომ ეს თეიმურაზ ბატონიშვილის დამსახურებაა და არა "წმ. ნინოს ცხოვრების" უძველესი რედაქციების მოწმობა.

ზემოგანხილული მოთხრობა მოწმობს, თეიმურაზ ბატონიშვილი "ზეპირად სმენილს" და "ზღაპარ სიტყვაობასაც" ხშირად იყენებს, შესაძლოა, ელიოზის დედისა და დის სახელები ამგვარი გზით იყოს გაჩენილიც, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებაში, "ისტორია დაწყებითგან ივერიისა...", თვრამეტი საუკუნის მანძილზე პირველად ვხვდებით კვართის მიმრჩეველი ელიოზის დის სახელს, "სიდონიას" ქართველთა ენობიერებაში დღემდე მტკიცედაა გამჯდარი და ტრადიციულ ცნობადაა აღიარებული ელიოზის დის სახელი "სიდონია". ელიოზის, ხალხისა და მეფის მოწადინება გარდაცვლილი ელიოზის დის ადგილიდან ვერშეძერის უმედგეო მცდელობანი, თუმცე კი თითქმის არავინ იცის, რომ ეს თეიმურაზ ბატონიშვილის დამსახურებაა და არა "წმ. ნინოს ცხოვრების" უბეველესი რედაქციების მოწმობა.

მ. საბინინის თხზულებები – "საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ლუაწლთა და ვნებათა საქართუშლოს წმინდათა", "ახსნა სურათისა – საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის დიდება" და "ივერიის (ქართული) ეკლესია VI საუკუნის დასასრულამდე" უფლის კვართის ამბების გადმოცემისას ძირითადად თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებას ეყრდნობა (ამ შემთხვევაში იგი სამჯერ იმორწმებს თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებას). მ. საბინინის თხრობაში მოხმობილი პასაჟები, რომლებიც ყველა წყაროსაგან განსხვავებულია, თეიმურაზის "საქართველოს ისტორიას" თანხვდება.

მ. საბინინის "საქართველოს სამოთხეში" მოთავსებულ ნიკოლოზ გულაბერიძის "საკითხავში" ელიოზის დის სახელთან ფრჩხილებში მოთავსებულმა "სიდონიამ", აგრეთვე "საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის დიდებაში" ელიოზის დის სახელის აღნიშვნამ უდიდესი როლი ითამაშა ელიოზის დის "სიდონიას" სახელის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებაში, შეიძლება ითქვას, ეს მოვლენა ერთგვარ ტრადიციად აქცია ქართულ სინამდვილეში. იმხანად იმდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ორი საუნჯის არსებობა და სიდიადე ქართველებისათვის, რომ არცაა გასაკვირი ზემოაღნიშნული ცნობების დამკვიდრებაში მათ გადამწყვეტი როლი ეთამაშათ.

#### ლიტერატურა:

1. თეიმურაზ ბატონიშვილი. (1848): "ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა", სამეც. აკად. სტამბის გამოცემლობა. სანკუპეტერბურგი.
2. თეიმურაზ ბაგრატიონი. (1964): თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. (1964). ტექსტი გამოასვენად მოაზრდა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა. გამოცემლობა "შენიერება". თბილისი.
3. "მეტყვევა ქართლისა". ძეგლები. I. (1963). რედ. ი. აბულაძე. გამოცემლობა საქ. სსრ მეც. აკადემია. თბილისი.

Nana Gonjilashvili

### The First Saint of Georgian Church (For one Issue history)

As a result of the study of old Georgian texts it becomes clear that in the Sinai manuscript of *The Life of St. Nino* (N/Sin-50 – 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cc.), Shatberdi-Chelishi (10<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc.) redaction, redactions of Leonti Mroveli (11<sup>th</sup> c.), Arsen the Monk (12<sup>th</sup> c.) and an anonymous author (13<sup>th</sup> c.) the person embracing the tunic is the sister of Eliaz, who is referred to sometimes as a "woman" or the "dead woman" (after her death). Arsen the Monk, who extends the text in accordance with metaphorical translation, pronouncedly calls Eliaz's sister a "maiden", adorned with "virtue and piety". Obviously, her name is unknown to the authors, as she is not referred to as Sidonia in any of these redactions. It turns out that from the 9<sup>th</sup> c. to the middle of the 18<sup>th</sup> c. the name of Eliaz's sister Sidonia is not mentioned in any Georgian source. In stories of *The Life of St. Nino*, published in the 19<sup>th</sup> c., the sister of Eliaz is mostly referred to as Sidonia, which is deemed as fact generally known to all the Georgians.

In work of Teimuraz Batonishvili – "History from the initial Iberia" eighteen centuries from the first time we meet the name of Eliaz sister who embracing the tunic – "Sidonia" and the name of Eliaz mother "Sara". Teimuraz

Batonishvili adds new episodes and information with Lord's tunic narrated in the related without named of sources. The name of Elioz sister "Sidonia" and some of it related to the passage in Georgians consciousness acknowledged as a traditional note. Almost nobody knows that this is the merit of Teimuraz Batonishvili and not "The life of saint Nino" editions of ancient data.

During the rendering narratives of M. Sabinini Lord's tunic based on work of Teimuraz Batonishvili. Mark the name of Elioz sister "In Georgian Paradise" presented "In reading" of Nikoloz Gulaberidze by M. Sabinini, "Sidonia" the name of Elioz sister which was bracketed, also "In Fame of Georgian saint orthodox church" played the greatest role in the popularization and establishment of the name "Sidonia" who is Elioz's sister.

## ორინე გომწეთელიანი ზოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხათუმი „ბედის“ კონცეპტი ქართულ და ინგლისურ ანდაზებში

ანდაზების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მათ სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ ლინგვისტები და ფოლკლორისტები. თუმცა ისინი ისევ რჩებიან პარემიოლოგების, ეთნოლინგვისტების და ლინგვოკულტუროლოგების კვლევის საგნად. არსებობს ანდაზის ბევრი განმარტება, მაგალითად, ცნობილი პარემიოლოგი ვ. მიუდერი იძლევა ანდაზის 55 განმარტებას.

ანდაზა ეს არის მოკლე ფიგურალური წინადადება, რომელიც ასახავს ეროვნულ კულტურას, ხალხურ სიბრძნეს, მორალს და ტრადიციებს და რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ის აღწერს ადამიანის მოქმედებას მეტაფორულად, ის უნივერსალურია, რადგან ექსპრესიულად ასახავს რეალობას, შეგონებას და საზოგადოების მორალურ ღირებულებებს. მიუხედავად „სიბველისა“ ის აქტიურად გამოიყენება მეტყველებაში აზრის ლაკონურად გამოსახატავად. მას ახასიათებს არქეტიპული ოპოზიციები, რომლებიც მას გამოარჩევს სხვა ფიგურალური გამონათქვამებისაგან. ანდაზა გამოხატავს ადამიანის მიერ არა მარტო სამყაროს გაცნობიერების პროცესში დაგროვილ ზოგად ცოდნას, არამედ სწორედ სამყაროსა და მისი ცალკეული სფეროების კანონზომიერების სიღრმისეულ, არქეტიპულ ცოდნას. ანდაზა არის ის ერთადერთი ვერბალური ფორმა, რომელიც გამოხატავს ისეთ დაკვირვებას, რომელსაც საფუძვლად უდევს არქეტიპული დაპირისპირება“ [8. რუსიოვილი, 1999 :12].

ანდაზების ღრმა არქეტიპული სტრუქტურის მთავარი ნიშანი არის ღირებულებები და მათი შეფასება. მათში კარგად ჩანს ადამიანის დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის, ისე მის ირგვლივ არსებული სამყაროს მიმართაც. ის აფასებს მათ და შემდეგ გადმოსცემს ლაკონურად ერთ წინადადებაში, რომელსაც ანდაზა ეწოდება. შეგვიძლია თუ არა ანდაზა ჩავთვალოთ ჭეშმარიტებად, თუ ის ეფუძვნება ადამიანთა შეფასებებს, ე.ი. შეიძლება ის სუბიექტური იყოს? ანდაზაში ხდება ორი სამყაროს ასახვა, სამყაროს ენობრივი ხატისა, რომელიც ეფუძვნება ზოგად ენობრივ ჭეშმარიტებებს და მეორე ნაციონალურის, რომელშიც ასახვას ჰპოვებს საუკუნოვანი გამოცდილება და ხედავს საკუთარი კულტურის, სამყაროს და კაცობრიობის შესახებ. ანდაზებმა გაუძლეს საუკუნეებს, ზოგიერთი მათგანი, რომელიც მოძველდა და არ პასუხობს თანამედროვე ღირებულებებს, იქცა სალექსიკონო სტატუსებად. თუმცა თანამედროვე პირობებში არის მცდელობა მათი გათანამედროვეებისა. მაგალითად,

ინტერნეტში გაჩნდა ანდაზები, რომლებიც მორგებულია ინტერნეტის მომხმარებლის ინტერესებზე:

*A bug in the hand is better than one as yet undetected. Too many clicks spoil the browse. A journey of a thousand sites begins with a single click. One man's constant is another man's variable. The future is bright in affairs of the heart. The luck that is ordained for you will be coveted by others.*

ინდივიდუალური ღირებულებები (პიროვნული, საეკონომიკო) უპირისპირდება ჯგუფურს (ოჯახი, კოლექტივი, მეგობრები), სოციალურს, ეთნიკურს და ზოგადსაკაცობრიოს. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანის ქმედება განპირობებულია მისი სოციალური და კულტურული ღირებულებებით, მიგვაჩინა, რომ განსამზღვრელი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ის ერთდროულად გვევლინება კულტურის და ცივილიზაციის პროდუქტად. ადამიანი, როგორც ნაციონალური კულტურის მატარებელი ცდილობს გადმოსცეს მისი კულტურის ღირებულებები მშობლიურ ენაში, ე.ი. ასახავს წინაპართა მიერ დაგროვილ გამოცდილებას და მათ უმატებს მისი თაობისათვის ღირებულ ჭეშმარიტებებს. კულტურა აისახება ენაში, და პირიქით, ენა აისახება კულტურაში. იმისათვის, რომ ადამიანი არ ჩაიკეტოს თავის კულტურაში მან უნდა გაიზიაროს ცივილიზაციის გამოცდილება, მან უნდა გაიცნოს სხვადასხვა ერების კულტურა. ამ ურთიერთობების შედეგად კიდევ ერთი ღირებულება ემატება სხვა უკვე არსებულს, ეს არის კულტურათაშორის ღირებულებები, ამ დროს ხდება სხვა ერის კულტურული ღირებულებების გაზიარება. ეს პროცესი აისახება ენაში და ჩნდება ნასესხები ლექსიკური ფონდი. მათი ასიმილაცია იმდენად შეუმჩველად ხდება ენაში, რომ ზოგჯერ შეუძლებელია მათი პირველწყაროს დადგენა, განსაკუთრებით ეს პროცესი შეიმჩნევა ენის ფრაზეოლოგიაში და პარემიოლოგიაში.

კონცეპტი ეს არის სემანტიკურად აბსტრაქტული ცნება, რომელსაც აქვს ინფორმაციული შრე, მაგრამ ამავე დროს შინაარსობრივად ზოგადია. ის შეიძლება ჩავთვალოთ ფრაზეოლოგიზმების, ანდაზების, აფორიზმების, გამოცანების და მაქსიმების სემანტიკურ ბირთვად, რომელშიც იმპლიცირებულია არქეტაპული ოპოზიციები და რომლებსაც აქვს კულტურული ღირებულება. კონცეპტი ასახავს რა ღირებულებებს ის წარმოადგენს კულტურულ ცნებათა სისტემას. ერთი ერისათვის დამახასიათებელია მათი კულტურული ცნებები, ხოლო მეორესთვის სხვა. ერთი და იგივე კონცეპტები ზოგჯერ განსხვავებული სემანტიკით გვხვდებიან სხვადასხვა ენაში.

„ბედი“ ქართულ ცნობიერებაში დიდ როლს თამაშობს. ის ხშირად გაიგივებულია ზებუნებრივთან, ღმერთთან, რაც ბედმა/ღმერთმა, განუსაზღვრა ადამიანს, ის მას ვერ აცდებდა. ქართულში, განსხვავებით ინგლისურისაგან, რომელშიც fate ხშირად გულისხმობს „შემთხვევითობას“, „დამთხვევას“, „რისკს“, „შანსს“, ბედი დაკავშირებულია ბედისწერასთან, ანუ რაც მას დაზადებიდან დაჰყვა, „დაეწერა.“ ქართულში ბედთან ბევრი შესიტყვებაა დაკავშირებული: *ქუდბედიანი, ბედის ვარსკლავი, ბედნერი, უბედური, საბედისწერო შეცდომა/ნაბოჯი, შავი ბედი, უბედო, ბედისანამბარი, ბედიღალი, ბედმა გაუღიმა, ბედმა არგუნა, მუხთალი ბედი, ბედის უკუღმართობა* და ა.შ. ქართულ ენაში ბედი არ აძლევს ადამიანს არჩევანის საშუალებას, ის მას ემორჩილება. მაშინ როცა ინგლისურში თავისი ბედის შემომქმედი თვით ადამიანია. ბედის კონცეპტში შედის ადამიანის ცხოვრება, რომელიც მას „გამოცდას“ უტარებს, ამიტომ ზოგჯერ ადამიანი ცდილობს თავისი ქცევა ბედის უკუღმართობით გაამართლოს.

კონცეპტი „ბედი“ ბევრ ქართულ ანდაზაში გვხვდება. თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, გასაგები იქნება ამ კონცეპტის მნიშვნელობა ქართველებისათვის, რომლებიც მუდამ ებრძოდნენ მტერს თავისი სამშობლოს

დასაცავად. „ბედი/უბედურება,“ „იღბალი/ უიღბლობა“ სხვადასხვა თემასთანაა დაკავშირებული- ცხოვრებასთან, ოჯახთან, ქორწილთან და სხვ. მაგალითად,

ბედი მომეც და სანებებზე გადამაგდე/მომეც ბედი და გინდ სანაგვეზე გადამაგდეო; ბედნიერს უწვიმდეს უბედურს-უჭროდესო; ზოგი ცხოვრობს ბედითა, ზოგი ვერც გაჭირვებითა; კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდაო,

ბედის კონცეპტის განხილვისა ჩვენ გამოვყავით ის არქეტეპული ოპოზიციები რაც იმპლიცირებულია ანდაზებში. ქართული ანდაზებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ბედი, როგორც ღვთის ნება, ბედის გარდაუვალობა, ბედის ცვალებადობა, ბედნიერება/უბედურება, სამართლიანობა/უსამართლობა, ბედის მორჩილება/ბედისწერა, ოპტიმისტური/პესიმიისტური დამოკიდებულება, იღბალი/უიღბლობა, წარმატება/ წარუმატებლობა.

**წერა სვე-ბედი განსაკუთრებით ვარსკლავი**

**ბედ-იღბალი ბედი ბედისწერა იღბალი**

**ხედერი ყისმათი ბედნიერება უბედურება**

**საწუთრო სოფელი წუთისოფელი**

ინგლისურ ანდაზებში *fortune* (*სინ luck, fate, chance*) განიხილება თემებთან: ცხოვრების პირობები, წარმატება, შრომისმოყვარეობა, მოულოდნელობა, შესაძლებლობა, სურვილი და სხვ. მაგალითად, *Luck is a mirror of hard work; Success is a matter of luck; They say luck is a lady; Every man is the architect of his own fortune;* ინგლისურში *Fortune /Fate* ადამიანის თავისუფალ ნებას *free will*-ს უფრო გამოხატავს, ვიდრე მის მიმართ მორჩილებას. ეს დასავლური აზროვნების და მენტალიტეტისათვის დამახასიათებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს. ისევე როგორც ქართულში, ინგლისურშიც ასევეა ჩანს არქეტეპული ოპოზიცია „ბედი/უბედობა.“

*Misfortunes never come alone; Misfortunes tell us what fortune is; Fortune is easily found, but hard to be kept; Fortune favors the well-prepared; Good fortune and bad fortune travel in the same sledge; Man's best fortune or his worst is a wife; As fortune is sought, so it is found;*

„იღბალი“ და „შესაძლებლობა,“ ინგლისელების ოპტიმისტურ ხასიათზე მიგვითითებს *When one door shuts, another opens; Fortune knocks once at every man's door; თუმცა გაფრთხილებაც უნდა გაითვალისწინოთ: Opportunity only knocks once/Opportunity seldom knocks twice;* ბედი თუ გაგიღიმებს ხელიდან არ უნდა გაუშვა ეს შესაძლებლობა/შანსი. *He who hesitates is lost*-ის ვინც ორჭოფობს და დიდხანს იცდის, თავის შანს/შესაძლებლობას ხელიდან უშვებს. ბედი ცვალებადია ის ქალს ჰგავს *They say luck is a lady.*

ანდაზები გვიჩვენებენ რომ ინგლისელები ბედს არ აიცილებენ ღვთიურ ძალასთან, რომლის ნების შეველა შეუძლებელია. ისინი პრაგმატულად უყურებენ ცხოვრებას. ადამიანის ცხოვრება და შესაბამისად ბედი თუ უბედობა, თვით ადამიანზე არის დამოკიდებული, ამიტომ მან ერთხელ მოცემული შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს.

ბედს ისინი წარმატებასა და მატერიალურ კეთილდღეობასთანაც აკავშირებენ (*Success is a matter of luck*), *Fortune* მათთვის არამარტო ბედია, არამედ სიმდიდრეც. ინგლისური ანდაზების ბედის კონცეპტი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

fortune-hunter opportunity achievement favorable outcome

benefit prosperity advance

attainment luck Fortune fate progress

prosperous issue chance wealth profit

misfortune fortuneless



defeat loss disaster failure disappointment

ინგლისურში ბევრი ანდაზა ბედის კონცეპტით სხვადასხვა წყაროებიდან არის შემოსული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს ის, რომელ ქვეყანაში და რომელ საუკუნეში, ყოველთვის მის ცხოვრებაში ბედი იყო მთავარი. ადამიანი ან პასიურია ან აქტიური თავისი ბედის განსაზღვრაში, ის ზრძენია და ეს სიზრძნე მოდის ცხოვრებისეული გამოცდილებით, რომელსაც ის ანდაზებში გადმოსცემს და თაობიდან თაობას გადასცემს.

**ლიტერატურა:**

1. გარეკლაძე ი. მველიშვილი ჯ. (1968): *English Proverbs and Sayings*. „მერანი.“ თბილისი.
2. მიედერი ვ. Mieder, Wolfgang and Alan Dundes. 1994. *The wisdom of many: essays on the proverb*. (Originally published in 1981 by Garland.) Madison: University of Wisconsin Press.
3. ოზიძე ს. (2009): ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა. თბილისი.
4. რუსთაველი მ. (1999): ანდაზა სემანტიკური სტრუქტურა, პრაგმატული პარამეტრები, ფუნქციური არსი (ინგლისურ და ქართულ მასალაზე). ავტორეფერატი. თბილისი.
5. ოქსფორდის ლექსიკონი (1970): *Oxford Dictionary of English Proverbs* (3rd edn., ed. F. P. Wilson.)
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (2008): ტომი 1.

**Irine Goshkhetliani**

**Concept of “Fortune” in English and Georgian Proverbs**

**Abstract**

Linguists and folklorists have been analyzing proverbs from different points of views. There are many definitions of proverbs. Distinguished linguist and paremiologist W. Mieder names 55 definitions of proverbs in his article “Popular Views of the proverb.” We accept proverb as a short figurative sentence reflecting national culture, which contains folk wisdom, morals and traditions that are transmitted through generations in verbal and non-verbal communication metaphorically describing human activities. They are verbal expressions in their sense that makes the speech emotively charged and expressive; proverbs are universal as they reflect reality. At the same time, they are national and are used in everyday discourse both by teenagers and adults. They have become the common property of the nation and are the basis of the morality for given society. Proverbs have communicative function and sometimes they are didactic.

“Fortune/luck” is often met as a main concept of Georgian proverbs. If we trace back to Georgian history we understand the importance of fortune to Georgian people who fought enemies for many centuries. They are abstract in idea and are bound to the significant or to the semantic kernel. “Fortune” is connected with different topics, like life, family, wedding, etc.

Proverbs with lingvo-cultural concept of “Fortune” reflect human life, hopes and failures, centuries-old experience, traditions and culture that are implied in these figurative expressions.

**შუქუნა გუმბარიძე**

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი**

**დისკურსი და არავერბალური სემიოტიკა: მათი ურთიერთმიმართება  
კულტურის განსხვავებულ ტიპებში**

სამეტყველო აქტი კომუნიკაციური პროცესის დროს არა მარტო ცნობიერ, არამედ ქვეცნობიერ დონეზეც მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ქვეცნობიერად გადაეცემა ინფორმაციის უმეტესი ნაწილი. ამიტომ დისკურსის ეფექტურად წარმართვისათვის საჭიროა, რომ კომუნიკანტებს ესოდეთ სხეულის ენა – კინესიკა: ვესტი, მიმიკა, მეტყველების შემადგენელი მახასიათებლები: ხმის ტემბრი, სიმაღლე, ტონალობა, სისწრაფე და სხვ. დისკურსის პროცესში დიდ როლს თამაშობს პარალინგვისტური ნიშნები აზრებისა და გრძობების ნაირფეროვნების გამოსახატავად. ხოლო ვესტი და მიმიკა მუდამ თან სდევს ხოლმე ჩვენს მეტყველებას. რაც იმის დასტურია, რომ დისკურსსა

და არავერბალურ სემიოტიკას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მეტყველების თანმხლები პარალინგვისტური ელემენტები არსებით და მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ადეკვატური ურთიერთობის დასამყარებლად.

ბ.მალინოვსკი წერდა, რომ „ოკეანის ერთათვის მეტყველება უშუალო და პირდაპირი სახით არის დაკავშირებული არასამეტყველო ქმედებასთან. მათთვის (ისე, როგორც „პრიმიტიული“ ენებისათვის) დამახასიათებელია ისეთი მოვლენა, როგორცაა „მეტყველება მოქმედებაში“ (speech in action), რაც იმას ნიშნავს, რომ გამონათქვამის მნიშვნელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის თანმხლებ არავერბალურ ქმედებებთან. მთელი გამონათქვამის სტრუქტურა კი დამოკიდებულია იმ კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელშიც წარმოიქმნება გამონათქვამი“ [Malinowski]. ვ.კრასნიხის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ რთულია იტალიური ენა მივაკუთვნოთ „პრიმიტიული ენების“ რიგებს, მსგავსი მოვლენა ამ ენაშიც შეინიშნება და მას დასტურად მოჰყავს იტალიაში მომუშავე რუსი ჟურნალისტის მაგალითი. ავტორი წერს: „რამდენიმე წლის წინ ჩემი ყურადღება მიიპყრო ნეაპოლში მომუშავე რუსი ჟურნალისტის სტატიაზე. ჟურნალისტი წერდა, რომ ის ხშირად ვარდებოდა უხერხულ და გაურკვეველ მდგომარეობაში. მასზე ხან რესტორნის მეპატრონე, ხან კიდევ იტალიელი ნაცნობები განაწყენდებოდნენ. განაწყენების მიზეზს კი რუსი ჟურნალისტი მანამ ვერ მიხვდა, ვიდრე ერთ დღეს ნაცნობმა ნეაპოლელმა არ აუხსნა, რომ სიტყვებს მუდმივ თან უნდა ახლდეს ვესტები. გამოდის, რომ თუ გასურს ვინმეს კერძი შეუქო, აუცილებელია ვერბალურ ფორმასთან ერთად საჩვენებელი თითით წრიული მოძრაობა შეასრულო ლოყაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელი თქვენს სიტყვებს თავაზიანობისა და ფორმალურობის ეტიკეტად მიიჩნევსო. ეს გახლდათ რესტორნის მეპატრონის განაწყენების მიზეზიც. თუ თქვენ არ იყენებთ შესაბამის ვესტებს, იტალიელი თანამოსაუბრე თქვენს ფრაზებს სერიოზულად არ აღიქვამს“ [Красный]. ფრანგული ენა კი, როგორც კრასნიხი აღნიშნავს, „განსხვავდება იტალიური ენისაგან არა მარტო ვესტების რეპერტუარით, არამედ ფუნქციებითაც. ფრანგულ საკომუნიკაციო აქტში ვესტები მეტყველების თანმხლები აუცილებელი ელემენტებია. მათი საშუალებით გამონათქვამს უფრო ცოცხალი ელფერი ეძლევა და მოსაუბრე თავის ემოციებს უკეთ გადმოსცემს. იტალიურში კი ვესტები გარკვეულწილად აზრის „კორექტირებას“ ახდენენ, აფიქსირებენ მოსაუბრის გულწრფელობა/-არაგულწრფელობას, მის ჭეშმარიტ მოტივებსა და ინტენციებს“ [Красный].

კულტურის განსხვავებულ ტიპებში ვესტების როლისა და დანიშნულების განსაზღვრისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ვესტმა "O'key" ერთი შეხედვით, ამ ვესტის მნიშვნელობა ყველა ენაში ანალოგიური უნდა ყოფილიყო. ანუ, ჩვენი ვარაუდით, კულტურიდან კულტურაში ამ ვესტის მნიშვნელობა და მისი ფუნქცია თითქოსდა ერთნაირი იქნებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. პორტუგალიურსა და არაბულ ენებში ეს ვესტი საკმაოდ სხვა დატვირთვის მატარებელი ყოფილა. თუ რუსებისათვის, ისე როგორც ამერიკელებისა და ევროპელებისათვის ეს ვესტი იმის აღმნიშვნელია, რომ ყველაფერი რიგზეა, სპარსულ კულტურაში იგი სექსუალურ სფეროს უკავშირდება და აღმოსავლური კულტურის ტრადიციებიდან გამომდინარე, მისი სახალხოდ გამოყენება საკმაოდ შეურაცხყოფელია. მას გამოყენების ვიწრო სპექტრი აქვს და მხოლოდ ინდივიდუალური ურთიერთობების დროს არის შესაძლებელი ამ ვესტის დემონსტრირება. ეს ვესტი დამამცირებელი ყოფილა ბრაზილიელი ხალხისათვისაც. ამიტომაც იყო, რომ ერთხელ ბრაზილიელები გააოცა იმ ფაქტმა, როცა პრეზიდენტმა ნიქსონმა საუბრისას უნებლიედ გამოიყენა ვესტი "O'key", რითაც უნებლიედ შეურაცხყო ბრაზილიელი ხალხი.

ვესტების გამოყენებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რამეთუ ერთი და იგივე ვესტი შესაძლებელია სხვადასხვა ინტერპრეტაციის მქონე იყოს კულტურათა განსხვავებულ ტიპებში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არავერბალურ სემიოტიკაში ე.წ. ვესტების უნივერსალიზმის პრობლემასთან. ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა ვესტების მრავალფეროვნებისა და მათი დანიშნულების შესწავლას, რამეთუ ვესტების ინტერპრეტაცია ცვალებადია კულტურიდან კულტურაში. მართალია, არსებობს ვესტები რომლებიც უნივერსალურ ხასიათს ატარებენ ყველა კულტურაში, მაგრამ არსებობს ისეთებიც, რომლებიც უნიკალურია მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ენისათვის. კინესიკური ტექსტის ინტერპრეტაციისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები: ერთი და იგივე ვესტს შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს კულტურიდან კულტურაში ან კიდევ, ერთი და იგივე აზრი შესაძლებელია განსხვავებულად განიცდიდეს კოდირებას კულტურიდან კულტურაში.

დისკურსისა და არავერბალური სემიოტიკის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას ინტერესს იწვევს სტეფანენკოს შეხედულება. სტეფანენკო მიიჩნევს, რომ არსებობს მაღალკონტექსტური და დაბალკონტექსტური კულტურები (Стефаненко). კრასნიხი ასე ხსნის ამ მოვლენას: ამ დროს მოიაზრება შემდეგი: რას ექცევა უფრო მეტი ყურადღება – ინფორმაციის შინაარსს ანუ რა ითქვა თუ შეტყობინების "კონტექსტს" ანუ როგორ ითქვა, ვის და რა სიტუაციაში უთხრეს. გამოდის, რომ მაღალკონტექსტური კულტურა ყურადღების კონცენტრაციას შეტყობინების კონტექსტზე და არა მის შინაარსზე ახდენს. კრასნიხი იზიარებს სტეფანენკოს შეხედულებას, თუმცა აღნიშნავს, რომ "ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკისა და ეთნოფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისით უფრო კორექტული იქნებოდა სხვა ტერმინების შერჩევა, შესაბამისად საუბარი მაქვს ერთის მხრივ, სიტუაციურად განპირობებულ და კონტექსტზე ორიენტირებულ ურთიერთობაზე და მეორეს მხრივ, სიტუაციურად დამოუკიდებელ და კონტექსტურად თავისუფალ ურთიერთობაზე. სწორედ ამ საფუძველზე იქნებოდა მართებული კულტურათა განსხვავებულ ტიპების გამოყოფა" [Красных]. როგორც კრასნიხი წერს, სიტუაციურად განპირობებული და კონტექსტზე ორიენტირებული კულტურებისთვის დამახასიათებელია არაკონკრეტულობა დისკურსის პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრე თავს არიდებს მეტყველების პროცესში კატეგორიულობის მომენტს. მას მაგალითისათვის მოჰყავს იაპონური კულტურა, რომლისთვისაც მიუღებელია პირდაპირი შეკითხვებისა და პასუხების გამოყენება დისკურსის პროცესში.

ანალოგიური სიტუაცია გვაქვს ქართულ ენაშიც, თუ კრასნიხის მიერ შემოთავაზებულ ტერმინს გამოვიყენებთ ქართული კულტურა "სიტუაციურად განპირობებულ და კონტექსტზე ორიენტირებულ" კულტურათა ტიპს უნდა მივაკუთვნოთ.

აქვე, გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ შემდეგ ფაქტორზე: *Her eyes waited on him for an answer, a smile, a little nod, but he made no sign.* ბოძ არ ითვალისწინებს მოცემული სიტუაცია იმ გარემოებას, რომ ქალებს უკეთ ეხერხებათ "სხეულის ენის" ამოკითხვა ვიდრე მამაკაცებს? სხვა მაგალითებზეც ამ კუთხით დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალებს მართლაც უკეთ შეუძლიათ არავერბალურ ნიშნებზე თვალის მიდევნება და მათი მყისიერი დაფიქსირება და შესაბამისად სწორი დეკოდირება. ჩნდება საინტერესო კითხვა: რით აიხსნება ეს გარემოება? ჩვენივე ვარაუდით აქ საქმე უნდა გვქონდეს გენდერულ დისკრიმინაციასთან. სათანადო ლიტერატურის გაცნობის შედეგად, ვიზიარებთ ამ სფეროში მომუშავე კანზას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის დევიდ პროქტერის მოსაზრებას, რომელიც ასე ხსნის ამ ფაქტორს:

1. ისტორიულად ცნობილია, რომ ქალებს ოდითგანვე ჰქონდათ დაკისრებული ზრუნვა ბავშვზე, ავადმყოფზე თუ ხანდაზმულებთან მიმართებაში. შესაძლებელია, რომ ადამიანთა მოვლის პროცესში ქალებმა კარგად გამოიმუშავეს არავერბალური კომუნიკაციის ხელოვნება.

2. მეორე მიზეზად კი შეგვიძლია ის ფაქტი დავასახელოთ, რომ ისტორიის მანძილზე, კაცებს ჰქონდათ მორგებული მოსაუბრის როლი, მაშინ როცა ქალებს ლაპარაკის უფლება შეზღუდული ჰქონდათ ან კიდევ, საერთოდ ეკრძალებოდათ გარკვეულ ვითარებებში, და აქედან გამომდინარე, ისინი პასიური მსმენელის როლში გამოდიოდნენ. მოსმენისა და დაკვირვების პროცესში კი მათ შესაძლებელია უკეთ განავითარეს არავერბალური ნიშნების აღქმის ხელოვნება და უნარი.

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებებს, რომ მდებარეობითი სექსი მართლაც უკეთ აფიქსირებს, დეკოდირებას უკეთებს და იყენებს არავერბალურ ნიშნებს, ანუ ქალებს უკეთ ესმით სხულის ენა ვიდრე მამაკაცებს.

ნათელია, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობა არამარტო სიტყვების გადართმობის დონეზე, არამედ თვით სხულის მოძრაობის უშუალო მონაწილეობით ხორციელდება. სხულის თითოეული ატრიბუტი, ფორმა იქნება ეს თუ ზომა, მდგომარეობა თუ პოზა გარკვეული მნიშვნელობის გადმომცემია. საინტერესოა ისიც, რომ ხშირად ადამიანები არგუმენტირებას ცდილობენ სახეზე დაკვირვების მეთოდით. ამიტომაც არის, რომ არა ერთხელ გვითქვამს – „სახეზე არაფერი ეჩინეოდა ან ეტყობოდაო“. ჩნდება კითხვა – რას ნიშნავს ეს? გამოდის, რომ ფესტის მუსურულელობასაც კი თავისი ახსნა და ინტერპრტირება მოეებნება? დიახ, რა თქმა უნდა, ასეა. სწორედ ფესტ-მიმიკა თუ სხულის მოძრაობა არის ერთერთი მთავარი გასაღები, რომელსაც გამონათქვამის გულწრფელობისა და ჰუმანიტეტის დადგენამდე მივყავართ.

ამრიგად, კულტურათა შორის არსებობს როგორც მსგავსების, ისე განსხვავებების ნიშნები, რასაც შემთხვევითი ხასიათი როდი აქვს. ოგი განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთაგან უმთავრესი ერის კულტურის სპეციფიკაა.

#### ლიტერატურა:

1. Крысько В.В., 2002 Этнополилингвистика и Лингвокультурология. Лекционный курс. Москва.
2. Крейдлин Г.Е., 2002 Невербальная семиотика. Москва. Новое литературное обозрение.
3. Malinowski, B. 1980. The Problem of Meaning in Primitive Languages. London.
4. Маслова В.А., 2004 Лингвокультурология. Москва.
5. Стефаненко Т.Г., 2000 Этнопсихология. М.,

**Zhuzhuna Gumbaridze**

#### **Discourse and Nonverbal Semiotics: their interaction in Different Cultures**

##### **Abstract**

In the article our attention is directed toward the connection between discourse and nonverbal semiotics: in particular, we discuss the characteristic features of a nonverbal dimension of discourse in different cultures.

It is evident that if we try to participate in discourse without involving a body language we will probably find communication almost impossible rather soon. There appears to be no language in which speakers do not make use of gestures. Although we should not forget that while some gestures are universal to all cultures, others can be unique to one. However, gestures can be misunderstood in cross-cultural situations. A body language certainly differs across cultures. Thus, a great attention has to be paid when choosing gestures in discourse. It should be borne in mind that one and the same gesture can have different interpretations across cultures.

აკაკო წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
 ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოს ამსახველი ტოპონიმები  
 ვანის რაიონში

ლინგვისტური გეოგრაფია, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა, მჭიდრო კავშირს ამყარებს როგორც დიალექტოლოგიასთან, ისე ტოპონომიკასთან. მართუ-  
 ზულადაა აღნიშნული, „გეოგრაფიულ სახელთა ანალოზით ირკვევა ზევრი სიტყვის  
 ეტიმოლოგია და ენის სიტყვაწარმოებითი საშუალებანი“, რის გამოც ტოპონომიკის ერთ-  
 ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ტოპონიმების შესწავლა „ენათა და დიალექტთა  
 გამოსარკვევად“ [ვ. თოფურია].

დღევანდელი ვანის რაიონი იმერეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია. რაი-  
 ონული ცენტრი განთავსებულია შუაგულ იმერეთში. მდინარე სულორის (რიონის მარ-  
 ცხენა შენაკადის) ულამაზეს ხეობაში.

ვანის რაიონის გეოგრაფიული მდებარეობისა და საზღვრების შესახებ ცნობები  
 პირველად მოჰყავს ცნობილ ქართველ გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის  
 ცნობით, ამ მხარეს ძველად „საჩინო“ ეწოდებოდა. საკვლევი რეგიონის ტოპონიმისა,  
 მათი დასახელების პირველი ცდა მოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში „აღწერა  
 სამეფოსა საქართველოსა“. აქ მოხსენიებულია რაიონის უძველესი ტოპონიმები:  
 სალომინაო/სალომინაოს ჳევი, საჩინოს ჳევი, სუბეკა, ამაღლების ჳევი (მდ. კვინის  
 წყალი), ნოდის ჳევი (მდ. კორის წყალი), ვაკე, ციხე, საჩიჯავაძო, რიონი, ამაღლების  
 მონასტერი...

ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოს აღმინშვნელ ტოპონიმებში რამდენიმე  
 ქვეჯგუფი გამოიყოფა. ზევრი ტოპონიმი საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ენობრივი  
 ფაქტი და ლექსიკური ერთეული, არამედ როგორც ისტორიული მოვლენის მოწმე. საკუ-  
 თრივ ტოპონიმები ე.ი. დასახლებული პუნქტების (ქალაქები, სოფლები)  
 სახელწოდებანი, ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმუალო  
 მონაწილენი არიან... მდინარეთა სახელწოდებანი კი უმეტესწილად თაობიდან თაობას  
 უცვლელი სახით გადაეცემიან (ფ. მაკალათია) ჰიდრონიმები რამდენიმე ჯგუფად  
 ნაწილდება: პოტამონიმებად, ლიმონიმებად, პელაგონიმებად (პ. ცხადაია).

ვანის რაიონის ჰიდრონიმიში საერთო ქართველურის მსგავსად გამოიყოფა:  
 მარტივი, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთების გზით მიღებული ჰიდრონიმები.

ვანის რაიონში უაფიქსო, მარტივი ჰიდრონიმები შეიძლება დაეყოს იმის  
 მიხედვით, ჰიდრონიმის ფუძედ აღებულია არსებითი თუ ზედსართავი სახელი. მაგ.:  
 მერე - დეღე (ტყელვანი), რიონი - მდ. (ვანი), კაპრა - დეღე (ისრითი), დურგემა - დეღე  
 (იმერუხუთი), წყარო - წყ. (ზუნობანი), ლაშე - წყ. (ზუნობანი), სადაც არსებითი სახელი  
 ამკარად სჭარბობს ზედსართავს. ბირული ჰიდრონიმები საკვლევ რეგიონში  
 შედარებით ნაკლებია ვიდრე წარმოქმნილი.

ვანის რაიონში დადსტურდა სხვადასხვა სუფიქსებით ნაწარმოები ჰიდრონიმები.  
 პროდუქტიულია -ურ//ულ სუფიქსი, რომელიც წარმოდგენილია როგორც  
 დამოუკიდებლად ისე ა-ს დართვით (-ურ-ა//ულ-ა).

-ურ//ულ: კაფ-ურ-ი - დეღე (იმერუხუთი), გომახ-ურ-ი - საბანაო ადგილი (დინახუბო),  
 ხუი-ურ-ი - დეღე (ბულუხი), ცხენათ-ურ-ი - დეღე (ბულუხი), თაკარა-ულ-ი - დეღე (ბულუხი).

-ურ-ა/-ულ-ა: ყაზ-ურ-ა დელე (რომანეთი), დელასკ-ურ-ა/დელასყ-ურ-ა დელე (გადიდი, სულორი), ჭიმ-ურ-ა მდ. (ტყელვანი), ძრუხ-ულ-ა მდ. (ზ. ზზვანი, ისრითი, რომანეთი, სულორი, ბელუხი), სამდდ-ულ-ა - დელე (კვიმი).

საეციალო რეპერტუარში ასახელებენ -ურ სუფიქსის რამდენიმე ფუნქციას. მაგალითად, ა. შანიძე - ურ სუფიქსს თელის წარმოშობის და თვისების აღმნიშვნელად. ხოლო ალ. მანჯგალაძე წერს: წარმომავლობის ფუნქცია ურ სუფიქსისათვის მეორეულია" (ალ. მანჯგალაძე), მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ არაფერია ნათქვამი მის პირვანდელ ფუნქციაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება რეგიონული ტოპონიმის საკითხებს, აღნიშნულია: -ურ, სუფიქსი შეიძლება გვარ-სახელთა მწარმოებელი ყოფილიყო. -ურ სუფიქსით მარტო ანთროპონიმები არ არის ნაწარმოები, გვხვდება ორონიმებშიც, რომლებისგანაც იწარმოება ახალი ტოპონიმები. მიმართებითი ტოპონიმები, სადაც კიდევ უფრო ნათლად ჩანს - ურ სუფიქსის კუთვნილებითობის ფუნქცია. -ურ ფორმანტის უბეკლეს ფუნქციად მიიჩნევენ აგრეთვე კუთვნილების აღნიშვნას.

-ურ სუფიქსის კუთვნილებითობის დამადასტურებელ ფაქტად იმომხებენ იმ-რული დიალექტის ერთ-ერთ თვისებურებას, კერძოდ: „ყურადღებას იქცევს გათხოვილ ქალთა გათხოვებამდე (შობილების) გვართ მოსახსენებელი სახელების წარმოება -ურ (-ულ) სუფიქსით: კვინიკაძე - კვინიკოური (კვინიკა-ურ-ი) აქ კვინიკაური ნიშნავს - კვინიკაძეების ქალს [გ. ხორაული]. აქედან გამომდინარე სავარაუდოდ ვანის ტოპონიმშია დადასტურებული ჰიდრონიმი კვინისწყალი თუკი „ურ სუფიქსიან ტოპონიმთა უმეტესობა ადამიანთა სახელებიდან არის მიღებული, ანთროპონიმულია,

მაგრამ ორი სამი თაობის შემდეგ ასეთი ანთროპონიმები უკვე გაუგებარი ხდება იქნებ, სწორედ ეს დასტური იქნება იმისა, რომ -ურ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია კუთვნილებისა იქნებოდა, რომელმაც წარმომავლობისა და სადაურობის დატვირთვა შეიძინა.

საკვლევ რეგიონში დადასტურდა -ურ ფორმანტით ნაწარმოები ჰიდრონიმი: მდინარე ყუმ-ური (საერთო რაოდენობა -ურ სუფიქსით ნაწარმოები მდინარეებისა დასავლეთ საქართველოში 34 ერთეული დასტურდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი - 10).

რაც შეეხება -ურ-ა/-ულ-ა-ზე დაბოლოებულ ჰიდრონიმებს, ფ. მაკალათიას აზრით, უპირატესად ჰიდრონიმებში გამოიყენება და მას ჰიდრონიმთა მწარმოებელი უწოდა. პ. ცხადაია თვლის, რომ „-ურ-ა ორიდან ერთ-ერთი ძირითადი ტოპონიმ-წარმოებელია, რომელიც ტოპონიმისაგან აწარმოებს იმ მდინარის სახელწოდებას, რომელიც ამ ტოპონიმით აღნიშნულ ობიექტს ჩაუდის ან იქვე იწყება. -ურ სუფიქსს შეიძლება ახლდეს -ა ხმოვანი, -ურა მდინარეთა სახელებში გვაქვს და იქნებ სულაც ქართულ ტოპონიმშია გავრცელებული -ურა ჰიდროფორმანტი იყოს [პ. ცხადაია].

-ურ სუფიქსზე დართულ ზოლო ა-ს (-ურ-ა) შესახებ, მკვლევართა სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ს. ჯანაშია მას მასუბსტანტივებელ სუფიქსად მიიჩნევდა ისეთ ტოპონიმებში, როგორც არის თელოვნა, თხილოვნა [ს. ჯანაშია; ალ. დლონტი მაკინებელ ა-ს უწოდებს, კნინობითისად მიიჩნევს [ალ. დლონტი] თ. ზურაბიშვილის აზრით, ტოპონიმების ზოლოს დართული - ა ქონებისა უნდა იყოს. გ. ხორაული კი მას არა მარტო ტოპონიმებთან, ჰიდრონიმებთანაც ქონების გამომხატველად თვლის. ჩანს, -ურ სუფიქსის კუთვნილებითობის ფუნქციის შესუსტებამ მოითხოვა მეორე სუფიქსის დართვა.

ვანის რაიონში დადასტურებული -ურ//ულ, -ურ-ა//ულ-ა სუფიქსებით ნაწარმოები ჰიდრონიმები ზემოთ აღნიშნული ფუნქციით მეტ-ნაკლები ოდენობით დატვირთულია (კუთვნილება, თვისება და წარმომავლობა-სადაურობა).

საინტერესოა -ეთ ფორმანტი თავისი ვარიანტებით (-ათ, -ით, -ოთ, -უთ) როგორც საგეოგრაფო სახელთა მანარმოებელი მეტ-ნაკლებად მოიცავს საქართველოს რეგიონებს.

-ეთ ქართველური ტოპონიმის მძრითადი მანარმოებელია. იგი ჰიდრონიმებსა და ორონიმებს, როგორც წესი, არ გვხვდება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ ალგეთ ჰიდრონიმს, რომელშიც მართალია გამოიყოფა ფუძის საწარმოებელი -ეთ სუფიქსი, მაგრამ ჰიდრონიმი შემოკლებული ჩანს: უნდა გვქონოდა „ალგეთის მდინარე“, რასაც მდინარე ჩამოშორებია და დაგვრჩენია „ალგეთი“.

მოუხედავად იმისა, რომ ტოპონიმთა წარმოქმნელი -ეთ სუფიქსი ფუნქციურად დატვირთულია, ქართულ ჰიდრონიმებში იგი შეზღუდულად გამოიყენება. მთელი საქართველოს ტოპონიმიაში მხოლოდ 18 მდინარის სახელია გაფორმებული ამ დაბოლოებით. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როცა - ეთ ფორმანტი კიდევ ერთ ა-ს დაირთავს. და სწორედ ეს შემთხვევაა დადასტურებული ვანის რაიონის ჰიდრონიმებში, მდინარე ფერ-ეთ-ა, რომელიც ნაწარმოებია ტოპონიმის საკუთარი მანარმოებით -ეთ სუფიქსით. ამ შემთხვევაში ჰიდრონიმი არის ოიკონიმიც. სოფლის ტერიტორიაზე მოედინება ორი მდინარე (ისინი ერთდებიან სოფლის დასაწყისში). ერთს ჰქვია დიდი ფერეთა, მეორეს - პატარა ფერეთა. „იმ შემთხვევაში, როცა ჰიდრონიმი იმავდროულად არის ოიკონიმიც, ლაპარაკობენ ბუნებრივი ობიექტის ამ შემთხვევაში ჰიდროგრაფიული ობიექტის - სახელის მნიშვნელობის გადატანა-გაფართოებაზე: ხელოვნური ობიექტი, ჩვეულებრივ, ბუნებრივი ობიექტისგან სესხულობს სახელს, ამ შემთხვევაში - წყლის სახელი უნდა დაჩქმეოდა დასახლებულ პუნქტს“. სწორედ რომ, სოფელი ფერეთა გამოეყო ს. სალომინაოს „ბარიტის“ სახელწოდებით (მაშინ ბარიტის ამოღება წარმოებდა ამ სოფლის ტერიტორიაზე), მაგრამ კვლავ იცვლის სახელს და ბუნებრივი ობიექტისგან მდ. ფერეთასაგან სესხულობს სახელწოდებას და ფერეთას სახელით მკვიდრდება საკვლევი მხარის ისტორიაში.

საკვლევ ტერიტორიაზე დასაბამიდან დღემდე ამ ორ პატარა მდინარეს ფერეთას სახელით იცნობენ. ამის გამო, საფიქრებელია, ფერეთა ისეთივე ჰიდრონიმი იყოს, როგორიცაა ალგეთი.

ჰიდრონიმთა დიდი ნაწილი მიღებულია სიტყვათმეერთების გზით, რომელიც გრამატიკულად შეთანხმებული და მართული მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან მიიღება. ორივე მოდელი პროადექტიული ყოფილა ისტორიულად. ჰიდრონიმთა ახლანდელ ნომენკლატურაში გამოიყოფა ორი ფენა: უძველესი და გვიანდელი.

უძველესად უნდა იქნეს მიჩნეული პოსტპოზიციური წყობა საზღვრულ-მსაზღვრელი. ეს წარმოება ძველად უფრო ყოფილა გავრცელებული, ვიდრე დღესაა. შეთანხმებული და მართული მსაზღველ-საზღვრული უფრო გვიანდელი მოდელი უნდა იყოს.

მრავალსიტყვიან კომპონენტებში მოვიძიებთ რამდენიმე პოსტპოზიციური წყობის ჰიდრონიმი მაგ.: წყალთბილი - ლეღე, (იმერუხუთი), ლობეშავას წყარო - წყ. (რომანეთი), წყალშავა წყ. (მაგინეთი). სიტყვათმეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მართულმსაზღვრელიან სინტაგმებს. მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ყველაზე პროადექტიულია. მაგ.: მეფის წყარო - წყ.(ბუვანი, ზეინდარი), დიაკვნის წყალი წყ. (იმერუხუთი)... რასაც ვერ ვიტყვით ატრიბუტული მსაზღვრელით ნაწარმოებ

ჰიდრონიმებზე: საღალატო დეღე დეღე (სალომინაო), სათებზე დეღე დეღე (ზენინდარი), საშხაპი დეღე - დეღე (ბულუხი).

წიაღისეულიდან საკვლევე რეგიონში მოპოვება: ცარცული კირქვები, ანდეზიტები, ბაზალტები, კერამიკული თიხები, ქვიშები და სხვა. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მინერალური და თერმული წყაროები, რომელთა ნაწილს სამკურნალო მნიშვნელობა აქვს.

ბუნებრივ სიმდიდრეთა მოპოვებაზე მეტყველებს ისიც, რომ ახლანდელ სოფელ ფერეთას ეწოდებოდა „ბარიტი“, რადგან მაშინ ბარიტის ამოღება წარმოებდა ამ სოფლის ტერიტორიაზე.

საზადობთან დაკავშირებული ტოპონიმებია: საკირე, სანახშირე, სანახშირის გორი, სატალახი, სილუბი, თიხნარი, სააგურე, თეთრქვა, კეცის მიწა...

ვანის რაიონის ტოპონიმიში აისახა დასახლების სახელწოდებები: სოფელი, ნასოფლარი, უბანი.

ტოპონიმი აღნიშნავს საცხოვრებელ ადგილებს, ახასიათებს მას რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგ: ყლაპიები, ყინვარა//ყინვარა, შუაგორი, შუამთა...

ზოგიერთ ტოპონიმიში ასახულია ადგილმდებარეობა ამა თუ იმ მთავარი ობიექტის მიმართ. ნაჩვენებია, თუ სად, რომელ მხარეს მდებარეობს ოგი. ობიექტის დაქვემდებარება სახელწოდებებშიც აისახა. მაგ.: ქვედა ციხესულორი, ქვედა ბზევანი, ზედა ვანი, ზედა ბაძგი, გამოღმა შუამთა, გაღმა ამაღლება...

აღამიანთა გვარსახელებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები კონკრეტულად მიუთითებენ რომელიმე ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე, უბანზე: საკანდელიძეების უბანი, ქარციძეების უბანი, საჩიჯავამო...

ტოპონიმი აღნიშნავს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობას. მაგ.: სახერხი ხის, ქვისსატები, ოქროსსახადი, ქარხნები, სამარჯნო.

ზოგ ტოპონიმში გამოხატულია კუთვნილება: გოგაიას ვაკე, ერთაოზის ყანა, ელაიტის ნაეზვარი, ათანასეს დუქანი, ალექსანდრეს ტბა...

ყოფილ ნაგებობაზე მიუთითებენ შემდეგი ტოპონიმები: ნაქარხნები, ნამოსახლარები, ნაბაკები, ნამოსლები, ნამარნები, ნადარბაზევი//ნადარბაზები, ნაფარეხები, ნალაგირები, ნაჭიმკრები, ნაფიცვარი, ნასახლი, ნაწისქვილები...

ტოპონიმა ერთი ნაწილი ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ახასიათებს ობიექტს: გულჩაბოული//გულჩაბეულა, ახალი ფართები, დაკიბულე//დაკიბულა, დამპალა, თავმეყრილი კეკინარი//კენჭნარი.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება ხშირად რელიეფისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისების მიხედვით ხდება. აქ შევხებით ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, რომლებიც ხშირად გამოიყენებიან რელიეფის აღსანიშნავად და ზოგჯერ რამდენიმე თავისებურად იხმარებიან: ყვაპე, ყორაია, შვიი მიწა, შვავისძირი, ჩაქვეულა, ჰენჭყო, ჰყორე, ჰურა, ვაკე, ველი, ქედი, გორა, ეწერი, უყი...

რაც შეეხება ანთროპონიმებს საკვლევე რეგიონში იგი ჭარბადაა. ტოპონიმა და ანთროპონიმა ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა. საზოგადო სახელები ხდებოდნენ ტოპონიმებად გადაქცევის მიზეზები, რადგან აღნიშნავდნენ ბუნებრივ ობიექტებს. ხოლო ეს ობიექტები დაკავშირებული იყო მფლობელთან, მეპატრონესთან. რამაც გამოიწვია ანთროპონიმულ-ფუმიანი გეოგრაფიული სახელების სიმრავლე. სწორედ პიროვნებათა გვარ-სახელებთანაა დაკავშირებული მიკროტოპონიმა ნაწილი, რაც ვანის რაიონშიც საგრძობლად შეიმჩნევა.

ქართული გვარი მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის და ბუნებრივია, ამ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გვარებს წარმოების მრავალფეროვანი და დახვეწილი



საშუალებები ჰქონოდა. საკვლევ რეგიონში ფიქსირებული მიკროტოპონიმი დაკავშირებულია პიროვნებათა გვარ-სახელებთან. ყანების, ტყეების, მთების, საცხოვრებელი ადგილებისა თუ წყაროთა სახელები ანთროპონიმიულია.

ადამიანთა გვარებისაგან წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები შედგენილობის მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფს შეადგენენ სახელწოდებანი, რომლებშიც ადამიანთა გვარები უცვლელი სახით (აფიქსების გარეშე) არის წარმოდგენილი; მეორე ჯგუფს განეკუთვნება სათანადო ბოლოსართების დართვით წარმოქმნილი სახელები (ოდენ-სუფიქსური წარმოება), მესამე ჯგუფს ქმნიან სხვადასხვა თავსართ-ბოლოსართის შემცველი სახელწოდებანი.

საკვლევ რეგიონში ანთროპონიმები უცვლელი სახით და სხვადასხვა თავსართ-ბოლოსართით მიკროტოპონიმებად არ გვხვდება, საკმაოდ გავრცელებულია ოდენ-სუფიქსური წარმოება, მრავლადაა წარმოდგენილი სიტყვათშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

ანთროპონიმთა საწაროებლად გამოყენებულია შემდეგი სუფიქსები: -სოულ, ოურ, -ოულ.

-სოულ:—ნათეს, ბრუნვის (ი)-ს-ე (ე)-ულ-ი

გვარებისაგან ხარაბადისოული, ჯაფარიძისოული, ჩხობადისოული, ჩიხლადისოული, ნაკვაძისოული, მესხისოული, მიქელაძისოული, ორბელაძისოული, ტოფაძისოული, ბექელაძისოული.

სახელებისაგან: ივანესოული, სიმონისოული, სერაპიონისოული, ნიკოიასოული, სიპიტოსოული, პაატასოული, ოტიასოული, ფილიპისოული, ფატიისოული, ნანისოული.

ანთროპონიმებად მცირე რაოდენობით გვხვდება ქალთა საკუთარი სახელები. ამის მიზეზი უთუოდ ის არის, რომ „რაგორც წესი, ნასახლარს, ნაყანებს და სხვა ობიექტებს მამინ შვერქმევა ხოლმე ქალის სახელი, როცა ამ ობიექტის მფლობელ მამაკაცთაგან არაყინ რჩება ცოცხალი. ქალები, რომელთა გვარ-სახელები გამოყენებულია ადგილთა სახელებისათვის, ან ღრმად მოხუცებული ქერიები არიან, ან მარტოხელა შინაბერები.

-იურ//ოულ-ა -სიმონოურ-ი, ნიკორ-ოულ-ა.

სიტყვათშეერთებით წარმოქმნილი ანთროპონიმები

მართულ მსაზღვრელად ხშირად გამოიყენება ანთროპონიმი. მსაზღვრელად გამოყენებულია საკუთარი სახელი. მაგალითად: ტატოს წყალი, უჩას მორევი, ფარსიის ნაკლაფი, ოლიფანტეს ნამოსახლი, მოსეს გორი, სიმონის ნაეზარი, სინოს მორევი, სიმონის წყარო, სალომეს წყალი, სოფიელას მინდორი, სოფრომეს დლევი, სილიბისტროს გორა, აკაკის ნამოსახლი, კალისტრატეს სასაფლაო, ალექსანდრეს ტბა...

გვარებისაგან მიღებული ტოპონიმებია: ლილუაშვილის წისქვილი, მგალობლიშვილის გორი, ციხელაშვილის ნამოსახლი, თომეშვილის წყარო, თუთაშვილის წისქვილი, გრიგალაშვილის ტბა, ლიპარიშვილების უბანი, ახვლედიანების გორა...

განსაკუთრებით გავრცელებულია მოდელი - ანთროპონიმი + უბანი: ე.ი. ანთროპონიმი ნათესაობით ბრუნვაში + უბანი.

ფუტკარაძეების უბანი, ქართველიშვილების უბანი, ქარჩხაძეების უბანი, ქარციძეების უბანი, ასათიანების უბანი, ხარაბაძეების უბანი, ავალიანების უბანი, მიგვაშვილების უბანი, წერეთლების უბანი, ძაგნიძეების უბანი, ცხადაშვილების უბანი, ლომაშვილების უბანი, ცაგარეიშვილების უბანი, ცინცაძეების უბანი, ჟღენტების უბანი, პაკიძეების უბანი და ა.შ.

## ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე შ. მაკალათია ფ. (1980), ტოპონიმოკა II. ქართული ოიკონიმები. თბილისი.
2. ზაგრატიონი ვ. (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. თბილისი.
3. ზურაბიშვილი თ. (1961), ტოპონიმოკის შესწავლისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. ტ. II. გვერდი 151.
4. თოფურია ვ. (1963), ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. ტ. III.
5. მაკალათია ფ. (1976), ტოპონიმოკა I. ფშავის ტოპონიმოკა. თბილისი.
6. მალრაძე ვ. (2004), ქართველური პიდრონიმები. გამომცემლობა ქართული ენა. თბილისი.
7. ხორნალუი გ. (1983), მთები და სახელები. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
8. ჯანაშია ს. (1937) თუბალ-თახალი. ტიზარენი, იბერი. ენოქის მოამბე. I. გვ.218

Maka Gutidze

## Toponym research of region Vani

### Abstract

Toponym research time is very important dialects data. The more or less completely reflected dialects almost all language features. Geographical names analysis revealed a lot of name etymology and language word mean. Research part natural geographic environment toponymic production in terms of repeating the language means that the western toponyms are relevant and placed in general characteristic of georgian toponym production of the mold.

## წინა დემეტრაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
საკომუნიკაციო აქტის ინტერსუბიექტურობა და ნაცვალსახელის  
როგორც ენობრივი კატეგორიის ახლებური ხედვა  
ანთროპოგენტიკულად ორიენტირებულ ლინგვისტიკაში

პერსონალურობის როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და ნაცვალსახელის როგორც მასთან უშუალოდ დაკავშირებული ენობრივი ელემენტის ხედვისა და ინტერპრეტაციის ძირითად ნაკლად სისტემურ-სემიოტიკური ლინგვისტიკის ფარგლებში უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ეს ხედვა და ინტერპრეტაცია არ ეფუძნებოდა პრაგმატიკას.

სწორედ ხსენებული მომენტი გვიქმნის იმის საფუძველს, რომ მიემართოთ დ. შტელინგის ნაზრევს. მისთვის დამახასიათებელია კომუნიკაციური აქტის და, აქედან გამომდინარე, მთელი ენობრივი სისტემის ისეთი გაგება, რომელიც სცილდება ფუნქციური ლინგვისტიკის საზღვრებს და ატარებს უკვე ხაზგასმით ანთროპოგენტიკულ ხასიათს: მისი ეს პოზიციის ნათლად არის გამოხატული შემდეგ სიტყვებში: "ენა არ არის უბრალოდ ადამიანის ენობრიუებაში სინამდვილის ანარეკლი; იგი, პირველ რიგში, წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალებას. სწორედ ამას უკავშირდება ენის ძირითადი ასპექტი: ეს არის ადამიანის ენა... ეს არის ისეთი სოციალური ფენომენი, რომელიც გულისხმობს როგორც მეტყველს, ისე მსმენელს, ე.ი. იგი ორმხრივია" [Нощина, 2004:5]. სწორედ ენის ეს ორმხრივობა ხაზგასმულია იგივე ავტორის შემდეგ გამონათქვამშიც: "ჩვენ ვმეტყველებთ არა იმისთვის, რომ ჩვენი გამონათქვამი დავუკავშიროთ სინამდვილეს, არამედ იმისათვის, რომ ვილაგას რაღაცა შევატყობინოთ" [Израил, 1996: 203]. მიგვაჩნია, რომ ის კრიტიკული შენიშვნა, რომელსაც შტელინგი აკეთებს კილოს კატეგორიის თანამედროვე კონცეფციის მიმართ, მთლიანად მიესადაგება

პირის კატეგორიის ბონდარკოსულ კონცეფციასაც: "ლინგვისტიკისათვის ცნობილია კილოზ ბევრი ისეთი განსაზღვრა, სადაც არაერთხელ მოიხსენიება მეტყველი პირი, მაგრამ მთლიანად იგნორირებულია ადრესატი, ანუ სწორედ ის ვისთვისაც არის ხოლმე რეალიზებული გამონათქვამის სინამდვილესთან დაკავშირება"[იქვე]. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირის კატეგორიის შიდა სტრუქტურის განსაზღვრისას ისევე აუცილებელია ადრესატის როლის ხაზგასმა, როგორც ადრესანტისა, ე.ი. აუცილებელია ანთროპოცენტრისტული პოზიციის ისეთი რეალიზაცია, რომელიც ექსპლიციტურად და თანმიმდევრულად დაეფუძნება ინტერსუბიექტურობის ჩვენს მიერ ზემოთ ხაზგასმულ პრინციპს.

ცნობილია, რომ მხატვრული ტექსტის პერსონალური სტრუქტურის კვლევა აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს როგორც ერთ-ერთ თავის "სასტარტო" მომენტს პერსონალურობის ველის ცნებას, ხოლო ამგვარი ველის ცენტრად კი აუცილებლად უნდა იქნას მიჩნეული პირის ნაცვალსახელთა სისტემა. გვსურს ხაზი გავუსვათ პირის ნაცვალსახელთა შტელინგისული ხედვის ისეთ ორ მომენტს, რომლებსაც ფუძემდებელი მნიშვნელობა მიენიჭება ტექსტის პერსონალური სტრუქტურის შემდგომი ანალიზისათვის. როგორც ვიცით, პერსონალური სტრუქტურის ცნება განისაზღვრება სწორედ ნაცვალსახელის ცნებაზე დაყრდნობით, რადგან, პირველ რიგში, აუცილებელია გაგვიჩნოთ ერთმანეთისაგან თხრობის ორი ფორმა თხრობა პირველ და თხრობა მესამე პირში.

აუცილებელია მივითითოს პირის კატეგორიის იმ სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომელსაც ხაზს უსვამს შტელინგი. მისი აზრით: ნაცვალსახელები წარმოადგენენ "სიტყვათა ცენტრალურ კლასს"[Штееман, 1996:16]. ავტორის აზრით, სწორედ "პირის კატეგორია არის ერთ-ერთი ისეთ უნივერსალური-სალიათაგანი, რომლებიც აუცილებლად არსებობენ ყველა ენაში" [იქვე], მაგრამ, ამავე დროს, შტელინგი მიიჩნევს, რომ "ენათმეცნიერებაში ბოლომდე არ არის გაგებული პირის კატეგორიის ასეთი მნიშვნელობა".

შტელინგი ეყრდნობა ფრანგი ლინგვისტის ე. ბენვენისტის ნააზრევს და კრიტიკულად განიხილავს ნაცვალსახელთა სისტემის საყოველთაოდ მიღებულ ხედვას. მისი აზრით, "ილუზიად უნდა მივიჩნიოთ ის აზრი, რომ სამივე პირი მიეკუთვნება ერთი და იგივე პარადიგმას "მე, შენ, ის". ფაქტობრივად, ეს წმინდა ფორმალური ანალოგია". ამასთან დაკავშირებით ავტორი, ეყრდნობა რა ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ ე. ბენვენისტს, ამბობს: "ამიტომ ბენვენისტი პრინციპულად გამიჯნავს "მესამე პირს" პირველი და მეორე პირისაგან და მიიჩნევს, რომ დაუშვებელია სამი პირის განხილვა "პირის ნაცვალსახელთა" ერთიანი პარადიგმის ფარგლებში". საბოლოო დასკვნა ჟღერს შემდეგნაირად: "მესამე პირის" ნაცვალსახელებს არსებით სახელთან აერთიანებს ერთი და იგივე სინტაქსური საფუძველი. რაც შეეხება "პირველ" და "მეორე" პირებს, ისინი არაფრის სუბსტიტუციას არ ახდენენ, ე.ი. არ იხმარებიან არავითარი არსებითი სახელის მაგივრად".

პერსონალური სტრუქტურა როგორც კონცეპტი ეფუძნება იმის გათვალისწინებას, თუ რომელ პირში ხდება თხრობა და ჩვენ უკვე ვიცით, რომ თხრობის თანამედროვე ტიპოლოგიის მიხედვით თხრობა "პირველ პირში" უპირისპირდება თხრობას "მესამე პირში". მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ ფუნდამენტურ განსხვავებას, რომლის შესახებაც ე. ბენვენისტზე დაყრდნობით ლაპარაკობს შტელინგი, ე.ი. იმას, რომ არავითარ შემთხვევაში ის ენობრივი ელემენტი, რომელიც იწოდება "მესამე პირის" ნაცვალსახელად და ის ენობრივი ელემენტები, რომლებიც იწოდებიან "პირ-

ველი" და "მეორე პირის" ნაცვალსახელებად, არ უნდა ჩავთვალოთ ენის ერთი და იგივე ენობრივი ქვესისტემის ელემენტებად.

სწორედ ამას ამტკიცებს შტელინგი შემდეგი სიტყვებით: „ინდოევროპულ ენებში, როგორც წესი, სამივე პირი იღებს რეგულარულ გაფორმებას და ეს ქმნის იმის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ "მესამე პირი" პირველი ორი პირის ანალოგიურია" ("მე, შენ, ის" სინამდვილეში კი საქმე გვაქვს წმინდა ფორმალურ ანალოგიასთან... უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ისეთ ნაცვალსახელთა ფუნქციას, როგორიცაა "он, она, оно" წარმოადგენს სრულმნიშვნელოვან სიტყვათა (არსებით სახელთა) ჩანაცვლება" [ШТЕЛИНГ :18]. "მესამე პირის" ნაცვალსახელები ხასიათდებიან იგივე სინტაქსური თავისებურებებით, რაც აქვს არსებით სახელს იმ დროს, როცა როგორც ზემოთ ითქვა, "პირველი" და "მეორე" პირები არაფრის ჩანაცვლებას არ ახდენენ" [იქვე].

რატომ მოგვიხდა ამ ექსკურსის გაკეთება ნაცვალსახელთა თანამედროვე თეორიაში? იმიტომ რომ, ნაცვალსახელთა პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ტექსტის პერსონალური სტრუქტურის პრობლემას. უნდა დაისვას კითხვა: არის თუ არა საერთოდ მართებული გავმიჯნოთ - ისე, როგორც ეს ხდება თხრობის თანამედროვე თეორიაში - ერთმანეთისაგან "თხრობა პირველ" და "თხრობა მესამე" პირში, თუ უკვე ვიცით, რომ ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ორ ნაცვალსახელთან, არამედ ორ თვისობრივად განსხვავებულ ელემენტთან. "მე" არის ელემენტი, რომელიც კი არ ჩანაცვლება ამა თუ იმ არსებით სახელს, არამედ აღნიშნავს კომუნიკაციის აქტის ერთ-ერთ მონაწილეს, სახელდობრ, მეტყველ პირს (ადრესატს) და უშუალოდ შეუფარდება მსმენელ პირს (ადრესატს). ზუნებრივია, რომ თხრობის ის ტიპი, რომელიც იწოდება "თხრობად მესამე პირში", პრინციპულად განსხვავდება თხრობის ზემოთხსენებული ტიპისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს ეს განსხვავება ძნელია ჩავთვალოთ დაპირისპირებად "პირველ" და "მესამე" პირს შორის.

ჩვენი მიზანია, მხატვრული ტექსტის პერსონალური სტრუქტურის ისეთი კონცეფციის შეზღუდვა, რომელიც დაყრდნობა კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ მეთოდოლოგიას; მაგრამ ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის ინტერპარადიგმულ ხასიათს. ჩვენის აზრით, ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა უნდა ითვალისწინებდეს წინა პარადიგმათა ყველა მონაცემებს და უფრო მეტიც - იგი უნდა ახდენდეს ამ მონაცემთა სინთეზს. რა თქმა უნდა, ამგვარი სინთეზის ჭეშმარიტი რეალიზაციის მცდელობას ჩვენ მოვახდენთ ჩვენი ნაშრომის შემდგომ თავებში, მაგრამ აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ მოცემულ თავში და განსაკუთრებით კი მოცემულ პარაგრაფში ჩვენ გავიარეთ ხსენებული სინთეზის გარკვეული ეტაპი: ნაცვალსახელის როგორც ენობრივი კატეგორიის ის კონცეფცია, რომელიც თავის დროზე განავითარა ე. ბენვენისტა და რომლის მნიშვნელობაც ხაზგასმულია შტელინგის მიერ, თავისი შინაარსობრივი არსით, რა თქმა უნდა, უკვე კეთუნის ლინგვისტური აზროვნების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმას, თუმცა ხსენებული გარემოება არ არის ექსპლიციტური ფორმით "გაუღრმებელი" შტელინგის მიერაც კი მიუხედავად იმისა, რომ მისი მონოგრაფია ქრონოლოგიურად მიეკუთვნება სწორედ ამ პარადიგმის დომინირების პერიოდს.

ამდენად, ხსენებულ კატეგორიათა ფუნქციურ-სემანტიკური ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს მთელი იმ კონცეპტუალური პოტენციის გამოყენებით, რომელიც დღეისთვის აქვს ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ლინგვისტიკას. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ აღნიშნა ინტერპარადიგმული მეთოდ-

დოლოგიის შესახებ, აუცილებელია ითქვას შემდეგი: პერსონალურობისა და ნაცვალსახელის ფუნქციური არსის თანმიმდევრულად ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ინტერპრეტაცია ჩვენთვის წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ პერსონალურობის როგორც მბატკრული ნარატივის არსებითი ასპექტის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის წინაპირობას.

#### ლიტერატურა:

1. Л. Ноздрин, "Поэтика грамматических категорий", М., 2004.
2. ზ. ლეზანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ენა და კულტურა, თბ., 2004.
3. И. Арутюнова, Введение, in: "Логический анализ языка" (Образ человека в культуре и языке), М., 1999.
4. Д.А. Штелинг, "Грамматическая семантика Английского языка" (Фактор человек в языке), М., 1996.
5. А. Домашнев, И. Шлитина, Е. Гончарова, "Интерпретация художественного текста", М., 1989.

Nino Demetradze

### Intersubjectivity of the communicative act and the functional aspect of pronoun in modern anthropocentrically oriented linguistics

#### Abstract

The article deals with the kind of interdisciplinary approach which is founded on a synthesis of the linguistic and literary versions of anthropocentrism.

Personal structure of a narrative text is conceived as a personal net, this last concept being interpreted as an actualization of the linguistic category of personality. As for the study of this personal net, it should be based on the principles of the modern narratology, according to which any creative phenomenon must be understood as a communicative process. As for the application of the above mentioned principles, it should, first of all, imply dichotomization of narrative structure, that is distinguishing of narrating in the first and in the third person. As for the first narrative type, it should be understood as the type in which the author (addresser) is directly related to the reader (addressee), both being representatives of the same cultural sphere. The first narrative type can't have such a direct character of communication between the author and the reader, as it has in the second type.

ნინო დვალიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

### სიტყვის პოლისემიის ლექსიკოლოგიური პრობლემები და თარგმანში მათი ადექვატური ტრანსპოზიციის სირთულეები

სიტყვა პოლისემია ბერძნული სიტყვებიდან polys "მრავალი" და semn ანუ "მნიშვნელობა" წარმოიშვა ენაში იმ მოვლენის დასაფიქსირებლად, რომ თითოეული ცნების აღსანიშნავად დამკვიდრებული სიტყვა, თავდაპირველად, უმეტესწილად, ერთმნიშვნელოვნები არიან: „каждое из слов при рождении в подавляющем числе случаев является однозначным, т. е. попадает тем или иным способом в язык для обозначения какого-то одного, относительно нового, весьма специфического для данного коммуникативного коллектива класса смыслов, чаще всего-того или иного класса предметов "второй" искусственной природы."

პოლისემანტური სიტყვების მნიშვნელობათა გარკვეული წილი გაცილებით ხშირადაა აქტივიზებული, ვიდრე პოლისემანტური სიტყვის დანარჩენი სალექსიკონო მნიშვნელობები. მაგ: „horse" როგორც ცხენს, ასევე სავარჯიშო დარბაზის დანადგარს აღნიშნავს, ისევე როგორც საბერძნო მოწყობილობას, ხოლო სლენგზე, პეროინს, თუმცა, ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ „horse" ზუსტად 100-ჯერ მეტადაა აქტივიზებული ცხოველის აღსანიშნავად, ვიდრე სხვა დანარჩენი ცნებების.

პოლისემია მსოფლიოს მრავალ ენაში აღინიშნება, თუმცა, სხვადასხვა ენაში მისი ტიპები განსხვავებულია. რაც უფრო ხშირადაა სიტყვა აქტივიზებული, მით უფრო მაღალია მისი სემანტიკური სტრუქტურის ვარიანტულობა. სტატისტიკური მონაცემებით, ვარიანტულობის ფარდობითი ალბათობა, თითოეულ სიტყვას 25-მდე აქვს.

ენაში ყველა მნიშვნელობა და ყოველი განსხვავება მნიშვნელობაში, კონტექსტში აისახება, ანუ სამეტყველო გაკვეთი სიტყვის სინტაგმატური ფორმაა წარმოდგენილი; ენობრივ ნიშანში ორწახანაგოვების ერთიანობა, მისი ფორმისა და შინაარსის მთლიანობა პოლისემანტურ სიტყვაში მის ლექსიკო-გრამატიკულ ფორმებშია დაცული.

სიტყვის ლექსიკო-გრამატიკული ფორმები/ვარიანტები პარადიგმატული, ანუ მორფოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება; მაგ: სხვადასხვა ვალენტობითა და სინტაქსური ფუნქციით; ძალიან ხშირად, ისინი ერთი და იმავე მეტყველების ნაწილს სხვადასხვა ლექსიკო-გრამატიკულ კავშირებს მიეკუთვნებიან. მაგ.:

1. I manage this office.

2. I managed going home early.

სიტყვის ერთად აღებულ ყველა ლექსიკურ და ლექსიკო-გრამატიკულ ფორმებს სემანტიკური სტრუქტურა, ანუ სემანტიკური პარადიგმა ეწოდება.

ა. სმირნიცი სიტყვის ცალკეულ შემადგენელ სტრუქტურებს ლექსიკო-სემანტიკურ ვარიანტებს უწოდებდა, ხოლო ლ. შჩერბა გამოჰყოფდა სიტყვებს და სიტყვა-ცნებებს, რაც სიტყვის მხოლოდ ერთ ნიშნელობას მოიცავს. შჩერბას ამ კონცეფციის მიხედვით, ენის ლექსიკონში გამოიყოფა სიტყვა-ცნებები, ანუ კონცეპტები და ლექსემები, რაც კონცეპტის ერთიანობაში შედის.

ვინაიდან რეალიები საგნობრივ სამყაროს მიეკუთვნება, კონცეპტები შეგნობის სფეროს, სიტყვის მნიშვნელობები, ანუ სემანტემები კი ენობრივი სისტემის სემანტიკურ კომპონენტს, შეიძლება ავაგოთ სქემა: რეალია-დენოტატი-კონცეპტი-სემანტემა.

სიტყვა, როგორც ცალკეული მნიშვნელობის მატარებელი, ანუ მონოსემური, ქვემოთ წოდებული იქნება კონცეპტემად, ხოლო სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული, მიუხედავად მის მიერ გამოხატული სხვადასხვა მნიშვნელობისა, - ლექსემად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვას, არამარტო ლექსიკო-სემანტიკური, არამედ კონტექსტუალური მნიშვნელობაც გააჩნია, რომელიც წარმოიშვება ლაპარაკის მომენტში და განპირობებულია გარემოებით, ანუ ე.წ. ფიზიკური კონტექსტით. საზოგადო ნებისმიერი სიტყვის მნიშვნელობა გაიაზრება ვიწრო, ფართო და ექსტრალინგვისტური კონტექსტის საშუალებით. გამოყენების სიხშირის ხარისხით განვასხვავებით ჩვეულებრივ (განმეორებად) და იშვიათ (ინდივიდუალურ) კონტექსტუალურ მნიშვნელობებს. პროფ. კასარესს მიაჩნია, რომ „იშვიათი“ სიტყვების ხშირად გამოყენება და მათი ტრანსფორმაციები გახდება შემდგომ პოლისემიის ნაყოფიერი საშუალება. იგი ასახელებს მთელ რიგ მიზეზებს, რის გამოც მოსაუბრე თავს არიდებს ჩვეულებრივ, ხშირად გამოყენებად სიტყვებს და ჩანაცვლებს ხოლმე მათ უჩვეულო სიტყვებით. ეს ხდება უცაბედი ასოციაციებით, ნერვული, ემოციური დაზნეულობით, საქმეთა გარემოებების გამო; ან ის გამოწვეულია ავტორის სურვილით გახადოს თავისი ნაშრომი ძალზე მთაბეჭდავი, ექსპრესიული და მოახდინოს ეფექტი, რათა მიიზიდოს მკითხველისა თუ მსმენელის ყურადღება.

სწორედ ასეთი უჩვეულო, იშვიათი მნიშვნელობები და მათი გამოყენების მიზეზები უნდა გაითვალისწინონ მთარგმნელებმა, თუკი მათ სურთ ადეკვატური თარგმანის შესრულება. ამაში კი მათ უნდა დაეხმაროს ლექსიკონი.

ყველა ლექსიკონი როდი იძლევა სიტყვის კონტექსტუალურ განმარტებას. უამრავ ლექსიკონს გადავაკლეთ თვალი ამ თვალსაზრისით და ცოტა მათგანს თუ ჰქონდა ამა

თუ იმ სიტყვის სრულყოფილი განსაზღვრა მოცემული: მაგალითად ავიღეთ მოუღერის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი სადაც სიტყვას: "academic"-ს აქვს ასეთი დეფინიცია: აკადემიური, საუნივერსიტეტო, აკადემიისა.

დიდი ინგლისურ-რუსული ლექსიკონი კი გვაძლევს ამ სიტყვის დამატებით კონტექსტუალურ მნიშვნელობებს: academic year-სასწავლო წელი; academic failure-აკადემიური ჩამორჩენილობა; academic argument - წმინდა თეორიული დასაბუთება. აქვე მოველოდი, რომ იქნებოდა academic question-თეორიული საკითხი, მაგრამ ასეთი განმარტება ვერ მოვიპოვე თითქმის ვერცერთ ლექსიკონში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ცალკეული ასოებით გამოცემული ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (გამომცემელი თ.მარგალიტაძე), რომელიც გვაძლევს ზემოაღნიშნული სიტყვით-შეთანხმების თითქმის ამოწურავ განსაზღვრას; მათ შორის კანონიკური და ფილოსოფიური მიდგომით სიტყვა academic -ის განმარტებას.

ჩვენ ოდნავადაც არ ვამცირებთ რომელიმე ლექსიკონის ღირსებას, მითუმეტეს, რომ პოლისემია არის ენის ფუნქციონირების და არა მეტყველების და სიტყვა-ლექსების ლექსიკონი მნიშვნელობის ცვალებადობა კონტექსტზე დაამოკიდებული. ლექსების კონტექსტუალური ცვალებადობის შესახებ ცნობილი ლექსიკოლოგი სტივენ ულმენი შემდეგს წერდა: „ In everyday life one is often asked: "what does this or that mean? And while in some cases it's different or even impossible to answer (when depending on context), in others one can do so without a moment's hesitation (while not depending on that context).

ვერბალური, ექსტრალინგვისტური კონტექსტის გარდა, ანუ სიტყვასიტყვით კონტექსტის გარდა ენათმეცნიერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. context of situations-ს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ სიტყვის პოლისემიის არა მხოლოდ ლექსიკოლოგიური პრობლემები, არამედ მხატვრულ თარგმანში მათი ტრანსპოზიციის პრობლემატური ასპექტები.

ჩემ მიერ წარმოებული კვლევის ობიექტის, პოლისემანტური სიტყვების თარგმანის პრობლემებთან მიმართებაში, თანამედროვე თარგმანის თეორეტიკოსების, კომისაროვის, რეცკერისა და ლევიცაიას თეორიულ კონცეფციას მივმართავ; კერძოდ, ლექსიკური ტრანსფორმაციის აუცილებლობას თარგმანში პოლისემანტური სიტყვების ადეკვატური ტრანსპონირებისათვის.

პოლისემანტური სიტყვების ვალენტურობისა და ლექსიკური ტრანსფორმაციის მეთოდით მათი ტრანსპოზიციის საანალიზოდ შევარჩიე ჯ. გოლზუორთის „The man of property“-ის ელგუჯა მალრამისეული თარგმანი-სათაურით "შესაკუთრე".

ქვემოთ მოყვანილია თარგმანის ანალოგიური პასაჟების შეპირისპირება ორიგინალთან, რათა წყარო და სამიზნე ენებზე არსებული საანალიზო პოლისემანტური ერთეულების კონტექსტუალური მნიშვნელობების ცვალებადობას დავაკვირდეთ. საილუსტრაციო ლექსებებად შერჩეულია სიტყვები: „conduct“, „resentment“ და „brooding“.

როუჯეტისა და უებსტერის საგანძურები სიტყვა conduct-ის შემდეგ განსაზღვრას იძლევიან:

- Conduct - 1. [behaviour] – department, demeanor, manner.  
2. [management] – supervision, plan, organization.  
3. [to guide] – escort, convey, attend.  
4. [to manage] – administer, handles, carry on.  
5. [conduct oneself] – comport oneself, act properly, acquit oneself well.

აქვე გვინდა დავამატოთ ინგლისურ-ქართული ლექსიკონის (გამომც. თ. მარგალიტაძე) ძალზე სრულყოფილი განსაზღვრა სიტყვა Conduct-ის:

Conduct - n. 1) ქცევა (good/bad, exemplary, unseemly) - კარგი/ცუდი, სამაგალითო, უწყესო).

infamous - 1) პროფესიული ეთიკის დარღვევა. (განსაკუთრებით ექიმის მიერ). The rules of ~ ქცევის წესები, ეთიკა.

2) ხელმძღვანელობა, გაძღოლა, წარმოება ~ საქმის გაძღოლა; ~ of war - ომის გაძღოლა. ~ of fair ~ სამხედრო ცეცხლის დაშენა.

3) მოძვ. თანხლება, ექსკორტირება.

Conduct - v 1) წაყვანა (მიჰყავს, ტარება, თანხლება the guide ~ the party round the museum ~ გიდმა ჯგუფს მუზეუმი დაათვალიერებინა. he was ~ to a seat - ადგილთან მიყვანა. (მაგ. თეატრში).

2) დირიჟორობა.

3) გატარება copper ~ electricity - სპილენძი ატარებს ელექტროობას, ელექტროგამტარია.

Conduct - n. მღვდელი (იტონის კოლეჯში).

ამაზე მეტად სრულყოფილი განმარტება როგორც ინჰერენტული, ისე კონტექსტუალური, ერთი სიტყვისა, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მხატვრულ თარგმანში თავს იჩენს მხოლოდ თავისუფალი კონტექსტიდან გამომდინარე ამა თუ იმ სიტყვის ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ზოგჯერ ლექსიკონებში ვერ იქნებოდა მოცემული.

განვიხილოთ ლექსემები: Conduct, რომელიც „მესაკუთრის“ ელ. მალრადისეულ თარგმანში ემთხვევა ლექსიკონისეულ განმარტებებს:

„In the unostentatious conduct of their own affairs, the neglect of everything else, they typified the essential individualism, born in the Britain from the natural isolation of his country's life.“

“The Man of Property”

(p. 100)

„ყველა და ყველაფრის გადავიწყება პირადი საქმეების დამშვიდებით მოგვარებისა და წარმართვის დროს ამ ხალხის ბუნებიდან მომდინარე ინდივიდუალიზმის არსებითი, ტიპური ნიშანი გახლდათ.“

ელ. მალრადის თარგმანი „მესაკუთრე“ გვ.84

განვიხილოთ შემდეგი ლექსემები: resentment, როგეტის საერთაშორისო საგანძურ გეტავაზობს ამ სიტყვის 11 მნიშვნელობას:

- 1) resentfulness, displeasure, vexation, irritation, annoyance, exasperation;
- 2) offence, umbrage, pique;
- 3) bitterness, bitter resentment, rancor;
- 4) indignation, indignant, displeasure;
- 5) anger, wrath, ire, madness (coll);
- 6) temper, badtemper, dander (coll);
- 7) budgeom hulf, fame, miff. (coll);
- 8) fit of anger, tandrums (call), conniption;
- 9) outburst, exposition, flare-up. (call) storm;
- 10) rage, passion, fury, furor, vehemence;
- 11) provocatoin, affrant, offense.

ზემოაღნიშნული განსაზღვრიდან ქვემოთმოყვანილ მაგალითებში სამი ემთხვევა ლექსიკონურ განმარტებას, ერთი კი კონტექსტიდან გამომდინარე სხვა შეფერილობას იძენს. კურძოდ:

“They took precautions against it, the instinctive precautions of highly vitalised persons, who resent encroa-

“ეს იყო ინსტიქტური სიფრთხილე სიცოცხლისუნარიანი ადამიანებისა, რომლებიც ვერ იტანენ და ძალიან ჯავ-



chments on their property".(p.30)

ღმუნჯროვა მათ საკუთრებას წასარ-  
თმევად ემუქრება ვინმე ან რაზე" (გვ.8)

„The Forsytes were resentful of some-  
thing, not individually, but as a family.  
This resentment expressed itself in a  
added perfection of rainment"...  
(p.30)

"ფორსაიტების ოჯახის ყველა წევრი  
ერთად აღშფოთდებოდა რაღაცას, ამ  
აღშფოთებას ისინი თავიანთი უნაკ-  
ლო სამოსით, გაზვიადებული გული-  
თაღობით, ოჯახის მნიშვნელობის  
გაზვიადებით გამოხატავდნენ." (გვ.5)

„When warmed by champagne, he had  
her all himself, he umbosomed himself  
of his wrongs of his smothered resentment  
against the new chef at the club" (p.145)

"აირენი რომ შოლოდ თავისთან  
დაიგულა, ღვინისგან შეხურბუ-  
ლმა სულითინმა გული გადაუმალა  
და მთელი თავისი გაქირება შეს-  
ჩიულა, უამბო როგორ აღშფოთდა  
კლუბის ახალი უფროსის დანიშე-  
ნამ." (გვ. 132)

ამგვარად ფართო კონტექსტიდან გამომდინარე სიტყვა resentment გადაითარგმნა,  
როგორც გლოვობდა, რომელიც უფრო შეესაბამება სიტყვას mourning, ვიდრე resentment-  
ს. ლექსემა „brooding"-ის თარგმანში ტრანსპოზიციაც გარკვეულ ინტერესს იჩვენებს. ამ  
შემთხვევაში თარგმანი არ გამოიყენებს ლექსიკონური განმარტებებიდან შესაძლო  
ადექვატურ შესატყვისს და ერთგან საერთოდ გამოტოვებს მას.

"But in the face of these exhortations,  
Irene had kept a brooding silence, as  
though she found terrible the thought  
of this struggle carried through in cold  
blood." (p.72)

„გვიწოდებდა აირენმა ჩაფიქრე-  
ხიდა და მდუმარებით უპასუხა, თი-  
თქოს ამ ცივი შებმისა და ბრძოლის  
ეზინოდა გაყრას რომ უნდა მოჰყო-  
ლოდა" (გვ.54)

"The brooding look darkened on her  
face". (p.98)

"აირენს კიდევ უფრო დაუნაღლიან-  
და ისედაც სვედიანდ თვალები."  
(გვ.81)

"A brooding look came instantly one  
Irene's face...(p.97)

"აირენს წამსვე შეეცვალა სახე..."  
(გვ.81)

ბოლო წინადადებების თარგმანი, ვფიქრობთ, არ შეესაბამება ზუსტად ორიგინალს  
და ლექსემა „brooding look" არ არის ტრანსპონირებული ქართულ ვარიანტში- რადგან  
„შეეცვალა სახე" ვერ გამოხატავს იმას, რაც ავტორს უნდოდა გადმოეცა. ალბათ  
შეიძლებოდა ზემომოყვანილი წინადადება ასე გადათარგმნილიყო: „ნაღლიანი  
ჩაფიქრება დაეტყო წამიერად აირენის სახეს"- ან კიდევ: „ისეთი სვედანარევი ჩაფიქრება  
დაეტყო აირენის მზერას, რომ წამიერად სახეც კი შეეცვალა".(ნ.დ.)

არანაკლებ საინტერესოა სიტყვა "brooding"-ის შემდეგი თარგმანის ადექვატურობის  
საკითხი.

"Irene hung back, but again changed her  
mind, and went out to the carriage. James  
brooding ever her closely, to make quite  
sure..." (p.239)

„აირენს, ეტყობა, ახლაც უარის თქმა  
უნდოდა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა,  
სახლიდან გამოვიდა და ეტლისკენ  
გაემართა. გვიმსივ ნული ცუხცუხით  
გაჰყვა უკან." (გვ.305)

მიმაჩნია, რომ ზემომოცვანილ შემთხვევაში ლექსება brooding არაადექვატურადაა ტრანსპოზიციონებული თარგმანში, რადგანაც სიტუაციური კონტექსტიდან გამომდინარე „brooding over her“ აღგვიწერს გვიმისის მდგომარეობას, მის წერეიულ დაძაბულობას და სულაც არ ნიშნავს მისი უკან მიდევნების ფეხის სიჩქარეს თუ მანერას, რაც „ეუხეუხით“ გამოხატა მთარგმნელმა. ვფიქრობ, უფრო უპრობანი იქნებოდა აქ ლექსება „brooding“-ი მთელი თავისი შინაარსობრივი დატვირთვით წარმოჩენილიყო და იგი შემდეგნაირად გადმოეცა თარგმანს:

საგონებელში ჩავარდნილი გვიმისი ფეხდაფეხ მიედევნა აირენს. მას თითქოს ეწინოდა ვვლავ არ გადაიფიქროსო“... (ნ.დ.)

ამგეარად, ვფიქრობთ, რამდენადმე შევძელით წარმოგვეჩინა სიტყვის პოლისემიის ლექსიკოლოგიური სირთულეები და მათი მხატვრულ თარგმანში ადექვატური ტრანსპოზიციის პრობლემატური ასპექტები.

Ann Dzybenko

Педагогический институт ЮФУ, Россия

## THE EMOTIVE SPACE OF CONTEMPORARY FEMALE PROSE

The modern European women prose is the unique fictional world, constituted by the phenomena of two kinds or, in other words, by the facts that belong to two conceptual layers. The first layer is that of the narrator, which is overloaded by the personal feelings of a female author, of her emotional experience and background, peculiar world perception, that is determined by her gender and mentality. The second layer is that of the female character, which in most cases becomes the protagonist of the work of fiction, created by the female author. It is the female character that is in the center of the up-to-date narration, being the driving force of the whole work. Thus, the contemporary female prose is the complex of two gender-dependent layers of narration, made under the influence of female view of life and conceptualized through the image of female protagonist.

Among the most vivid mechanisms thanks to which the plots of women prose develop we should name the tendency of making the image of female protagonist the center of the whole narration, whose utmost aim is to meditate over emotional sufferings and spiritual Odyssey of hers and, of course, to impart them to the readers in the form of the first person singular. This form of narration can't but make the storyline more intimate and dramatic. This is the fictional method to represent the peculiarities of female psychology, of female world perception, the predominant feature of which is the emotionality: first a woman is impulsive when facing something unexpected, new and obscure, but then this emotion is changed and the character finds out the sensible ways of solving the problems thanks to women's natural inner ability to suppress the original sentiments. Such characters and psychological types are found in the works by Sophie Kinsella (who also writes under the name of Madeleine Wickham), Elizabeth Gilbert, Helen Fielding and others.

There are two independent trends in the Russian and European philology that disclose the notion of women prose. The first is characterized by the acknowledgment of the priority that the philosophy and axiological content has in the structure of the literary work (N.Leiderman, L.Anninskiy, P.Basinskiy). The latter is represented by the papers disclosing the fictional specifics of the image form when studying it from the chronotope, compositional and narrative points of view (M.Epshtein, I.Skoropanova). However, there's the third one the representatives of which tend to combine two previously mentioned methods [I.Popova, H.Lyubeznaya, 2008: 1020-1024].

However, a woman-writer acts in two ways being the subject of the creative work. First of all, she communicates her ideas and emotions and deliberately bases the narration on the gender principle. What is of utmost importance here is that she tends to change the image of a female that

has been mythologized by the society: a woman of our times is eager to get self-fulfillment and psychological freedom by giving vent to the emotions of all kinds, she isn't embarrassed to be either fragile or strong, determined or irresolute. No doubt, such independence attracts the reader and makes the female protagonist of this emotionally autonomous kind an example to follow. Secondly, a woman-writer depicts the objects of the world around her as she sees or imagines them. Thus, a female author is at the same time a creator of the fictional space and the one who establishes new contemporary myth about a woman (let it be first fictional, but there's always a chance of bringing that image to life) – a woman deprived of all possible fears of being emotionally ruined and abandoned.

E.Gilbert and S.Kinsella, who undoubtedly have different life experience, style of writing, identification in literature, are both apt to describe and try to find the solving of the most acute problems that the modern female faces. In fact, these problems create the emotional background of a woman and this is her female way of learning the life. These authors promote the image of a woman overwhelmed by affections, of a woman striving to interpret the notions of objective reality, time, space and belief.

There's the psychological and emotional logic in their works, the very logic that can be seen while adapting to different events of reality and meditating over them (in Gilbert's «Eat. Pray. Love» we find the searches for the purpose of life, for faith and truth; in Kinsella's works – self-identification of the female character, the quest for her own ego, for harmony, trust and happiness). Here we are to cite T.A.Rovenskaya: «The phenomena that are traditionally classified by the public opinion as the excessive emotionality, the absence of logic, female whims, in other words, everything that makes a woman different from the standards set by men, from the norm of male cultural universals, are either understood in the female prose as the subconscious weakness and vulnerability or as the way to embody the peculiarities of the feminine world...The keynote of such prose is overcoming the obstacles, it becomes the ultimate priority of a person on the way to gain independence» [Rovenskaya. 2002].

Stylistic appropriacy (formal or semi-formal, depending on the type of the writing)	10	8-9	6-7
Structure (enough)	10	8-9	6-7



but not too many paragraphs: each new idea in a new paragraph)			
Logical order (coherence and cohesion-	10	8-9	6-7
Using italics, bold letters and/or underlining efficiently	8	6-7	4-5
Choosing adequate key words helping to bring the meaning to the reader and persuade him/her	10	8-9	6-7
Observing business etiquette	12	9-11	-
Succeeding in the posed goal (can be judged by the reply)	15	12-14	-

We believe that a passing grade should be 80, on condition that not more than two issues obtain a "hardly appropriate" assessment (last two items shouldn't get this assessment at all).

In "Personalizing Instruction" [1976, p. 3-4] authors make a distinction between individualized and personalized instruction (both are viewed as principles of teaching business). Individualized instruction means that student "A" and student "B" are using the same course books, but different methods of learning. One has to write a report on what she/he has read, the other has to make up a statistics table based on the read materials. Personalized instruction deals with the student's personal background: his/her interests, needs and abilities. Television series (if they contain useful information), on-the-job experiences, even hobbies can be used as learning tasks or materials.

Business English and even Business Writing course books today stress a lot the first item on our rubric, but they, unfortunately, practically do not deal with the last two. Neither teacher's books nor theoretical publications offer a rating scale/ratio how these items should be "weighed" compared to each other (we chose this ration intuitively). Thus, our rubric, we hope, should be a contribution to efficient management of business writing skills.

Gaertner -Johnson (2010) discusses writing an agenda as a sort of business writing and offers the following role play:

Let's say the Spanish language committee at a company wants to hire a new Spanish instructor. One item on their meeting agenda might be:

- Discuss interview questions.

How would the group know they were successful in their discussion?

If the agenda included just one additional sentence, they would know when they had reached their goal:

- Outcome: Agree on behavioral interview questions.

When the meeting attendees agreed on the interview questions, they would know they had accomplished something.

Here's an example from a planning meeting:

- Agenda item: Discuss plans for trade show.
- Outcomes: (1) Confirm list of activities. (2) Identify who will coordinate each activity. (3)

Decide on essential action items for this month.

The words *outcomes* and *results* guarantee better meetings. When you add them to your agenda, it's much easier to keep the meeting on task, especially when you review the outcomes or results you want at the start of your meeting. An agenda item like "discuss" can take a group anywhere, but "Confirm a list" and "Decide on actions" give everyone a focus. And they make it easy to leave a meeting smiling.

Reh (2010) recommends learners of business writing to follow these steps:

1. organize your material
2. consider your audience

3. write
4. proofread
5. and edit your text.

He also recommends: "You are writing for business, not writing the "great American novel".

Your writing should be as descriptive as necessary, but it does not need to paint vivid word pictures using lots of big words and figures of speech. If you mean "glass houses", don't write "vitreous domiciles"."

One common problem with Georgian students' business writing management is lack of proofreading. What most of them do is just write a letter/application/report, etc. and send it. If they proofread it – it may be done for spelling and grammar mistakes at best. Tasks for working out proofreading strategies are necessary in the process of teaching business writing. We would like to give some recommendations for students for managing their writing skills:

1) After teacher checks you writing, pay attention, what errors/problems are repeated. Check for such problems first of all.

2) Start checking with contents and structure, move to language then.

3) Pay attention to automatic spell check on your computer.

4) Check separately grammar – spelling – vocabulary – style (do several readings)

Thus, when teaching either GE or BE language skills management should be carried out, primarily taking into consideration the effect which the written document has on its reader and then its linguistic accuracy. Using a reasonable rubric for assessment and teaching via real communication or at least role play will enable language teachers and learners to cooperate effectively in providing business communication.

According to Dyrud, Worley and Jameson (2006), it is necessary to teach students to:

(1) analyze which technical terms, concepts, and abbreviations are appropriate given a document's purpose, genre, context, and intended readers;

(2) make the sequence of ideas logical and signal the relationships among the parts to readers;

(3) alternate between claims and support;

(4) reduce the density of ideas;

(5) use parallel construction in sentences or phrases that compare data; and

(6) use design elements to make the text physically easier to read and to signal hierarchical relationships. Together, these six guidelines, illustrated by technical documents from the students' own fields of study, provide a way for management communication courses to address one of the biggest challenges graduates face: writing clearly and convincingly about technical subject topics.

#### References:

1. Barras, R. (.). *Writing at Work: A Guide to Better Writing in Administration, Business and Management.*
2. Beare, K. Teaching Writing Skills. Retrieved May 14, 2009 from <http://esl.about.com/cs/teachingtechnique/a/write.htm>
3. Business Writing Webinars Focusing on Crisp, Clear Communications. (n./d.) Retrieved May 14, 2009 from [http://www.businesswritingthatcounts.com/index.asp?pageID=page\\_112.htm](http://www.businesswritingthatcounts.com/index.asp?pageID=page_112.htm)
4. Eckhouse, B. (1999). *Competitive Communication: a Rhetoric for modern business.*
5. McGarry, R.G. (1998). *"Professional Writing for Business Administration: An Adjunct, Content-Based Course"*. Dissertation.
6. Rentz, K., Arduser, L., Meloncon, L., Debs, M.B. (2009). Designing a Successful Group-Report Experience. *Business Communication Quarterly*, v72 n1 p79-84.
7. Rivers, W.E. (1980). The Place of Business Writing in English Departments: A Justification. *ADE Bulletin*, September 1980, p. 27-31

მედეა დიასამიძე

ეფექტური საკმინარი წერა და მისი მახასიათებლები

რეზიუმე

საკმინარი წერის მიზანია გარკვეული ინფორმაციის გადაცემა, ან მიღება. ეფექტური საკმინარი წერა აუცილებელია იყოს მკაფიო, ზუსტი, ლაკონური და სრული. მკითხველმა ზუსტად უნდა

გაგოს, თუ რას გულისხმობს ავტორი. ამ შემთხვევაში, ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია ენობრივი უნარების მართვა. ინგლისური ენის ზოგადი კურსის შესწავლისას, ისევე როგორც საქმიანი წერის სწავლებისას აუცილებელია ვიყოფეთ კონკრეტული დროისათვის მიღწეული შედეგები.

**თამარ დოლიძე**  
**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი**

**საგაზეთო სათაური – როგორც ლინგვოკულტურული ფენომენი**

საგაზეთო სტილი ინგლისური ლიტერატურის სამწერლობო სტილებს შორის ყველაზე უახლესია, რომელიც გამოირჩევა სხვა ფორმებისგან განყენებული სპეციფიური წერილობითი ფორმით, რაც იმით აიხსნება, რომ გაზეთი ინფორმაციის გავრცელების საშუალებას წარმოადგენს.

ინგლისურ გაზეთს ერთ საუკუნეზე მეტი დასჭირდა, რომ თავისი საკუთარი სტილი და სტანდარტები დაეფუძნებინა, და შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ XIX საუკუნეში განავრცო საკუთარი სტილი, რომელიც ცალკე საგაზეთო-საინფორმაციო სტილად ჩამოყალიბდა.

საგაზეთი სათაური ე.წ. ჰედლაინი საგაზეთო ინფორმაციის ყველაზე მეკუმშული ფორმაა, რომელსაც ინფორმაციული დატვირთვა გააჩნია. მისი ძირითადი ფუნქცია არის მკითხველის მოკლედ ინფორმირება მისი თანმდევი სტატიის შესახებ. ინგლისური საგაზეთო სათაური ლაკონურობით გამოირჩევა, რომლის უკან ზღვა მასალა იმალება.

სათაურები გაზეთის მკითხველზე გაცილებით ფართო აუდიტორიას მოიცავს, ვინაიდან გაზეთის მკითხველი გაკერით მაინც გადააგლებს სათაურებს თვალს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მისი შემენის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სათაურის ზეგავლენა მკითხველზე უზომოდ დიდია – მისი ძირითადი ფუნქცია ხომ მკითხველის ინტერესის სტიმულირებაა მოცემული სტატიის გასაცნობად. ზოგჯერ საგაზეთო სათაური მოიცავს ისეთი მნიშვნელობის მქონე ერთეულებს, რომელიც მკითხველის შესაბამის ლინგვო-კულტურულ ფონურ ცოდნას მოითხოვს. საგაზეთო სათაური შესაძლებელია მივიჩნიოთ არამხოლოდ ლინგვის-ტურ, არამედ კულტურულ ფენომენად და განვიხილოთ იგი ლინგვოკულტურ-როლოგიურ ჭრილში.

ლინგვოკულტუროლოგია ენათმეცნიერების ახალი დარგია. არნ. ჩიქობავა 1967 წელს წერდა: „ძირითად ამოცანად რჩება – ენის შესწავლა სათანადო ისტორიულ სინამდვილესთან, კერძოდ კულტურის ისტორიასთან კავშირში, ერთი მხრივ, აზრის კატეგორიასთან და აზროვნების ისტორიასთან მიმართებაში, მეორე მხრივ“ [ჩიქობავა, 1967:6].

ჰუმანიტარულ მეცნიერებაში დღეს უაღრესად აქტუალურია აზროვნების ისტორიის კულტურის ისტორიასთან დაკავშირება, ასევე ენის წამყვანი როლი ორივეგან აღიარებულია. ენა ერთსავე და მეორესავე თავის თავში იკრებს, ამასთანავე, ენის მეშვეობით ხორციელდება ძირითადად სოციალური ურთიერთქმედება საზოგადოებაში. ასე რომ, სწორედ ენის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გავიგოთ ადამიანთა აზროვნება და ქცევა.

ენას ეთნოსოციოკულტურულ კონტექსტში ორი მეცნიერული მიმართულება იკვლევს: ეთნოფსიქოლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია. პირველი ფსიქო-ლინგვისტიკის განშტოებაა, რომელიც დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებას ცდილობს, ხოლო მეორე – ლინგვოკულტუროლოგია – ეთნოფსიქოლინგვისტურ კვლევათა წიაღში იშვა. არც ეს მიმართულება ქვეულა ჯერ ცალკე მეცნიერულ სფეროდ

და მისთვის „დისციპლინის“ წოდებას უფრო დეკლარაციული ხასიათი აქვს. აღნიშნულ მიმართულებებს საერთო ზოგადთეორიული დებულებები უდევთ სა-ფუძვლად. ერთ-ერთი პოსტულატი, რომელსაც ისინი ეყრდნობიან, საყოველთაოდ ცნობილი სეპირუორფის ჰიპოთეზაა ენის ფარდობითობის შესახებ. ამ ჰიპოთეზის არსებით დებულებები მოკლედ შეიძლება ასე გავიხსენოთ: *ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს, სამყაროს აღქმის ხერხი დამოკიდებულია ენაზე, რომ-ლითაც აზროვნება ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ყოველი ბაღის მსოფ-ლებედვის და მსოფლაგაგების საფუძვლია საგნობრივ მნიშვნელობათა საკუთარი სის-ტემა, სოციალური სტრუქტურები, კონკრეტური სტრუქტურები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადა-მანის ცნობიერება ყოველთვის განაპირობებულია ეთნიკურად* [კუბრაიკოვა, 1997:21].

ლინგვო-კონკრეტური მიდგომა, რომელიც ვარაუდობს კომუნიკაციის არა მარტო საკუთრივ ენობრივი მხარის, არამედ კომუნიკაციური ასპექტების ანალიზსაც, გვებზარება გამოვლენასა და კვლევაში, ასევე იმ ფაქტორების შესწავლაში, რომლებიც ურთო-ერთობის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას განაპირობებენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ენისა და ცოდნის ურთიერთმიმართებაზე ყურადღების გამახვილება: ენა ცოდნათა დისკრეტიზაციის, მათი ობიექტივაციისა და, ბოლოს, ინტერპრეტაციის საშუალებაა [ზევიგინცი, 1996:195]. ეს სამი ფუნქცია, რო-მელსაც ენა ასრულებს ცოდნასთან მიმართებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძებს დისკურსის ანალიზისას, როცა ანალიზის მიზანია დისკურსის ეროვნულ-კულ-ტურულ შემადგენელთა გამოვლენა და აღწერა.

ლინგვოკულტურულ ფენომენს ძალზედ დიდი ზეგავლენა აქვს ინფორმაციის გაზარებისას. ინფორმირების ყველაზე ძლიერ წყაროს კი სწორედ საგაზეთო სათაური წარმოადგენს, რომელსაც იმ ტექსტის წაკითხვამდე ეცნობა მკითხველი რომელიც მას მოსდევს და თუ ის ვერ ჩაწვდა საგაზეთო სათაურის არსს, მისთვის შეიძლება სრუ-ლიად უინტერესო აღმოჩნდეს არსებული გაზეთი. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის იმ ლინგვოკულტურულ ელემენტებს რომელიც შეიძლება სრულიად ბუნდოვანი დარჩეს მკითხველისთვისათვის.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი საგაზეთო სათაური, სადაც აღუზია არის გამოყენებული: *"JACQUES SAYS: LET THEM EAT YELLOWCAKE"*

ბრიტანულ ეთნოკულტურაში სახელი *Jacque/Jack* აღიქმება სერიოზულად და შესაბამისად იგი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია ინგლისში არსებული სლენგური გამონათქვამის - *"I am all right Jack"* - ის გამო, რომელიც მეტონომიურად გამოიყენება დაბალი სოციალური წარმომობის მამაკაცის გამოსახატავად. აღნიშნული ფონური ცოდნის საფუძველზე მკითხველი ახდენს ინფერენციას იმასთან დაკავშირე-ბით, რომ პრეზიდენტის მხოლოდ სახელით მოხსენიება ფამილარულია და მას გარ-კვეულ წილად უკნინებს თავის უფლებამოსილებას.

ამავე სათაურში გამოყენებული ფრაზა *"Yellowcake"*, რომელიც გამოიყენა მარე ანტონეტმა, და ინგლისის ისტორიაში შევიდა როგორც სიმბოლო ძალაუფლების განსხვავებისა, ღარიბთა მიმე მდგომარეობისა და ლატაკთა და გაკირვებულთა მიმართ სამეფო კარის ინდიფერენტულობის გამოსახატავად.

ამრიგად ამჟარაა, რომ ლინგვოკულტურული ფონური ცოდნა რა დიდ როლს ასრულებს საგაზეთო სათაურში, რადგან იმ შემთხვევაში თუ არ მოვახდენთ მოცემული სათაურის ლინგვოკულტურულ ანალიზს, მაშინ ჩვენთვის სულ არ გახდებოდა ცნობილი, რომ აღნიშნული სათაური ძალაუფლების გამოვლენაზე, მუქარაზე მიგვითითებს, რომ ის პოლიტიკური დატვირთვისაა. უფრო მეტიც, ჩვენთვის საერთოდ

ბუნდოვანი დარჩება მისი რეალური არსი, და ის შეიძლება მივიჩნიოთ უბრალოდ სახუმარო, გასართობ სტატიად.

ლინგვო-კულტურულ ფენომენს რომ განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს საგაზეთო სათაურის სწორად აღქმაში, ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს შემდეგი მაგალითი: **"MR BROWN NAMES NEW APARTMENTS FOR RENT. 200\$"**

ამ მაგალითის ინტერპრეტაცია ერთი შეხედვით ძალიან მარტივი გვეჩვენება. რა თქმა უნდა, მარტივია იმის გაგება რომ ქირაედება ბინა, რომლის გასაგებად არანაირი ლინგვოკულტურული ცოდნა არ გვჭირდება, რადგან ბინა ყველა ადამიანისთვის არის ადგილი, სადაც ვცხოვრობთ, კერძოდ კი სამზარეულო, საძინებელი და ა.შ. თუმცა იმის გაგება, რომ მოცემული თანხა ყოველკვირულ თუ ერთი თვის გადასახადს გულისხმობს უკვე სწორედ ამ კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე ადამიანის ფონურ ცოდნას საჭიროებს. ფონური ცოდნა კი სხვა არაფერია, თუ არა მოცემულ ენაზე მოსაუბრის ის ცნობიერება, რომელიც მას უყალიბდება წლების განმავლობაში, და რომელსაც კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული კულტურული და ლინგვისტური ფენომენი ქმნის. მაგალითად, ქართველ ენაზე მოსაუბრე ადამიანი 200\$ მომენტალურად თვითურ გადასახადად აღიქვამს სწორედ ქართული რეალობიდან გამომდინარე, რომელიც მის ფონურ ცოდნაში დევს და სწორედ აღნიშნულ ინტერპრეტაციას შეჰყავს ის შეცდომაში. რადგან MR Brown-ი არის ინგლისელი ადამიანი და ინგლისში ბინის ქირის თანხის გადახდა ხდება ყოველ კვირაში და არა თვეში ერთხელ.

ინგლისურ სათაურებში ხშირად გამოყენებული კალამბურების ადექვატურად აღქმას ასევე რთლ მენტალურ აქტივობას და მკითხველის შესაბამის სოციო-კულტურულ ფონურ ცოდნას მოითხოვს, განსაკუთრებით კი მაშინ როცა სიტყვათა თამაში კულტურული ან ლიტერატურული ხასიათის ფაქტებს ეფუძნება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საინფორმაციო მეტყობინების სათაურს ავსტრალიური გაზეთიდან: **WINE MERCHANTS BRACE FOR THE GRAPES OF WRATH**

ამ სათაურში ჩადებული მესიჯის რეცეფცია მთლიანად არის დამოკიდებული მკითხველი ლინგვოკულტურულ ფონურ ცოდნაზე. კერძოდ, თუ ადრესატი არ იცნობს ჯონ სტაინბეკის ცნობილ რომანს „მრისხანების მტვერები“ ან მის ეკრანიზებულ ვერსიას იგი ვერ შეძლებს მოყვანილი სათაურის აღქმა-დეკოდირებას. როგორც ცნობილია, სახელადი ფრაზა "Grapes of Wrath" თანამედროვე ინგლისურ ენაში ორი მნიშვნელობით გხვდება: ყოველდღიურ მეტყველებაში იგი ღვინის აღსანიშნავად გამოიყენება (მაგალითად, გამონათქვამი „მან ზომაზე მეტი ღვინო დალია“). მაშინ როცა სტაინბეკი აღნიშნულ ფრაზას მეტაფორული მნიშვნელობით იყენებს „დიდი მრისხანების“ აღსანიშნავად. აქრდან გამომდინარე, აღნიშნული სათაურის თარგმანი ქართულ ენაზე იქნება – „ღვინით მოვებრენი ძალენს იკრებენ უკმაყოფილების გამოსახატავად“.

ემპირიული მასალის კვლევამ გვიჩვენა, რომ საგაზეთო-საინფორმაციო მეტყობინების მეტაფორული სათაურის აღქმა უშუალოდ არის დაკავშირებული მასში ნომინირებული რეფერენტული ექსტრალინგვისტური მოვლენის სოციო-კულტურული კონტექსტის ცოდნასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი ვერ შეძლებს სათაურში მოცემული ინფორმაციის სწორ ინტერპრეტაციას. მაგალითად, საინტერესოა მეტაფორული სათაური, რომელშიც მზნის 'to die' გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებით ემოციურად და ხატოვნად არის რეალიზებული ინფორმაცია შეერთებული შტატების კონგრესში სასოფლო-სამეურნეო კანონის ჩავარდნის შესახებ: **FARMER BILL DIES IN HOUSE.**

საკმაოდ რთულ სოციო-კულტურულ ანალიზს საჭიროებს საგაზეთო სათაური, რომელიც აშშ საბანკო კრიზისის ასახავს კონდენსირებული ფორმით ისეთი სტილის–

ტური გამოშახველობითი საშუალებების გამოყენებით, როგორც არის მეტონიმი და მეტაფორა: WALL ST. LAYS AN EGG. ამ სათაურში ჩადებული ავტორისეული მესი-ჯის აღქმა მოითხოვს მის ლინგვოკულტურულ ინტერპრეტაციას. მკითხველი უნდა ფლობდეს პრაგმატიკულ ფონურ ცოდნას იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩის დასახელება 'Wall Street' გამოიყენება მეტონიმიურად საფონდო ბირჟის აღსანიშნავად; ხოლო სიტყვათშეხამება 'to lay an egg' („კვერცხის დადება“) მეტაფორულად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით იმის აღსანიშნავად, რომ საფონდო ბირჟამ დიდი ხმაურის შემდეგ მიიღო სენსაციური გადაწყვეტილება.

მეტონიმიური სათაურის მაგალითებს ხშირას ვხვდებით ქართულ პრესაშიც, რომლის აღქმა-დეკოდირება უშუალოდ არის დაკავშირებული ქართული ლინგვოკულტურულ და სოციალურ ფონურ ცოდნასთან. ასე მაგალითად, „ვეულა ადამიანში ხომ ლუარსაბია“.

აღნიშნული სათაური ლინგვოკულტურულ ფენომენს წარმოადგენს, რომლის გაგებაც სრულიად შეუძლებელია სხვა კულტურის წარმომადგენლისათვის, თუ ის ძალიან ღრმად არ იცნობს ქართულ კულტურას. ილია ჭავჭავაძის ცნობილი მოთხრობის „კაცია-ადამიანი“ გმირი ლუარსაბი ქართულ ლინგვო-კულტურულ რეალობაში ზარმაცი და უქნარ ადამიანის მნიშვნელობით დამკვიდრდა. ინგლისელისა თუ სხვა ერის წარმომადგენლისათვის კი აღნიშნული სათაური ზუნდოვანი დარჩება მისი წაკითხვის შემდეგაც, ვინაიდან ლინგვო-კულტურული ფონური ცოდნის გარეშე ვერ დაკავშირებს ერთმანეთს სათაურსა და სტატყას, რადგან მას წარმოდგენაც კი არ აქვს თუ ვინ არის ლუარსაბი. ის სტატყას უყურებს არა ქართული, არამედ თავისი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე.

მოცემული მაგალითებიდან კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტორის უდაოდ დიდი მნიშვნელობა საგაზეთო სათაურის სწორად აღქმა-დეკოდირებისათვის. აქამდე შესაძლოა არც კი გვქონდა წარმოდგენა თუ რა სირთულეები შეიძლება მოყვეს სათაურის გაგებას ლინგვო-კულტურული ფონური ცოდნის გარეშე და რამდენად დიდი დატვირთვა აქვს ლინგვოკულტურულ ასპექტს.

ამდენად, წარმოდგენილი საგაზეთო სათაურების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგაზეთო სათაურის სწორად გასაგებად საკმარისი არ არის მხოლოდ მისი ლინგვისტური თავისებურებების ცოდნა, არამედ საჭიროა მის გარშემო არსებული სოცია-კულტურული რეალობის ფლობა და აქედან გამომდინარე სათაურის, როგორც ლინგვოკულტურული ფენომენის ჭრილში განხილვა.

#### ლიტერატურა:

1. ლებანიძე გ. (1998): ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლიგვისტიკა, თბილისი.
2. ნუბიერაძე გ. (1999): ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.
3. ჩიქობავა ა. (1951): Вопросы языкознания. Стенограмма публ. лекции. Тбилиси, 1951.
4. სელურსი ლ. (1990) L. Sellers, Journalism, New York.
5. ზეგინცვი ვ. ა. (1996) Мысли о лингвистике. М.: Изд. МГУ.
6. კუბრაიკოვა ე. ს. (1997). Части речи с когнитивной точкой зрения //Изв.РАН.Серия литературы и языка. – М.
7. ლიტვანი ი. მ. (2004). «Коммуникативные аспекты современной лингвистики». Волгоград.
8. გაზეთები: Telegraph, The Australian, SHM, კვირის პალოტრა

## Newspaper Headline – Lingvo–Cultural Phenomenon

## Abstract

Presented Paper is dedicated to highlighting Newspaper Headline, i.e. Forerunning text, being one of the contracted forms of Newspaper Information which has an informative function. Newspaper headline aims at informing the reader in short about the coming Article. English Newspaper Headline is distinguished by its laconic nature, beyond which much more information is hidden.

It includes a system of interrelated lexical, phraseological and grammatical means serving the purpose of informing, instructing and, in addition, of entertaining the reader. Not all the printed matter found in newspapers comes under newspaper style. The modern newspaper carries material of an extremely diverse character. On the pages of a newspaper one finds not only news and comments on it, but also stories and poems, crossword puzzles, and the like. Since these serve the purpose of entertaining the reader, they cannot be considered specimens of newspaper style. Nor can articles in special fields, such as science and technology, art, literature, etc. be classed as belonging to newspaper style.

Since the primary function of a newspaper is to impart information, only printed matter serving this purpose comes under newspaper language variety. Mostly Newspaper Headlines include such Linguistic Units which require relevant Lingvo–Cultural Knowledge of the reader to correctly perceive and understand it. Thus, Newspaper Headline can be analyzed not only as a pure linguistic as well as Cultural Phenomenon which must be viewed from Lingvo–Cultural point.

Presented Paper once again emphasized the utmost importance of Lingvo–Cultural Factor for correct perception and decoding of Newspaper Headline. Hence it is necessary to have relevant socio-cultural knowledge around the subject provided within the Headline as well as analyzing from Lingvo–Cultural viewpoint.

## ნინო უჯიბაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
მუსტაფა მუშარაფას ერთადერთი რომანისა და მისი ქართული  
თარგმანის შესახებ

ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი ალი მუსტაფა მუშარაფა დაიბადა 1898 წლის 31 ივლისს. განათლება დიდ ბრიტანეთში, ლონდონში დაასრულა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1936 წელს, დაინიშნა და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ეგვიპტის უნივერსიტეტის რექტორად.

მუსტაფა მუშარაფა ცნობილი გერმანელი მეცნიერის, ალბერტ აინშტაინის უახლოესი მეგობარი და კოლეგა იყო. აინშტაინის შეთავაზებით, XX საუკუნის 40-იან წლებში, ისინი აწარმოებდნენ ატომის სტრუქტურასთან დაკავშირებულ კვლევებს, მაგრამ ეს თანამშრომლობა შეწყდა მუშაფარას სურვილით, რადგან, ეგვიპტელი მეცნიერის თქმით, სამშობლოს ის უფრო სჭირდებოდა და მოვალე იყო მის სამსახურში მდგარიყო.

მუსტაფა მუშარაფა ეგვიპტის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. 1936 წელს დააარსა ეგვიპტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კავშირი. ჩამოაყალიბა ეგვიპტეში დასავლური მუსიკის მოყვარულთა საზოგადოება და თვითონვე უწყვედა ადმინისტრირებას სამუსიკო სეზონთა მსვლელობას. არის ზევრი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. მათი დიდი ნაწილი თარგმნილია ევროპულ ენებზე.

მუსტაფა მუშარაფა 1950 წლის 16 იანვარს გარდაიცვალა. არის ვარაუდი, რომ ის მოწამლეს. აინშტაინის სიტყვებია: "ვერ ვიკერებ, რომ გარდაიცვალა, იგი კვლავაც ცოცხალია თავის ნაშრომებში. ჩვენ გერაც გვჭირდება მისი ტალანტი. ეს შეუვსებელი დანაკლისია; ის ეგვიპტელი გენიოსი იყო. მე გაცდები მისი კვლევების გზას ატომური ენერჯის საკითხში. ცალსაზოვანად, ის ერთ-ერთი საუკეთესო ფიზიკოსია."

საინტერესოა, რომ ეგვიპტის ისტორიაში ფრიად მნიშვნელოვანმა ფიგურამ, თავი ერთადერთხელ სცადა მხატვრულ ლიტერატურაში, როდესაც შექმნა რომანი სათაურით "კინტარა, რომელმაც შესვოდა". ეს რომანი საინტერესოა არა მხოლოდ ავტორის გამორჩეულობის გამო. ის ერთგვარი გარდამავალი საფეხურიცაა ეგვიპტურდიალექტოვან ლიტერატურაში.

ეგვიპტურდიალექტოვანი ლიტერატურის ისტორია XV საუკუნიდან იწყება და "კინტარამდე..." იგი მოიცავდა პოეზიასა და პროზაში მხოლოდ იუ-მორისტულ, სატირულ ან სასცენო დანიშნულების ნაწარმოებებს. მუსტაფა მუშარაფას რომანი იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც სერიოზული, დრამატული, მეტიე, ტრაგიკული თხზულება დაიწერა მთლიანად ეგვიპტურ დიალექტზე. რაც, თავისთავად, სალიტერატურო არაბულისა და არაბული დიალექტების ურთიერთობის ისტორიაში ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია. სალიტერატურო არა-ბული - არაბული სამყაროს ეს ლიგვისტური ფორმალური ეტალონი, დღეისთვის, არაბთა ერთიანობის ერთ-ერთი უბლიერესი ჯაჭვი - ყოველთვის იყო რელიგიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ენა. მუსტაფა მუშარაფა, თითქოს შეიჭრა სალიტერატურო არაბულის ფუნდამენტურ პეროგატივაში და რამდენადმე "შამოართვა" იგი. ამ პირველი პრეცედენტის შემდეგ ეგვიპტეში იქმნება სულ უფრო მეტი მხატვრული ნაწარმოები დიალექტზე.

მუშარაფა ფრიად ერუდირებული ადამიანი იყო, იგი აქტიურად ეწეოდა ეგვიპტელ და უცხოელ სტუდენტებში არაბული (სალიტერატურო არაბულზე შექმნილი) კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის თავისი საგანგებო ლექციების საშუალებით. ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რატომ გადაწყვიტა სწორედ ასეთმა ადამიანმა თავისი პირველი (და ერთადერთი) რომანი დიალექტზე დაეწერა. თვით ავტორი ამის შესახებ გვამცნობს:

"საჭიროდ ჩავთვალე, რომ ეს რომანი თავის დედაენაზე, ანუ დიალექტზე დაეწერა, რადგან იგი მკითხველს საშუალებას მისცემს, წიგნი ასახული მოვლენებით იცხოვროს და მათ შესანიშნავას აჩვენოს მოკლებს, რაც აუცილებლად მოხდებოდა, რომანი ნებისმიერ სხვა ენაზე რომ დაეწერა."

ეს ციტატა, რამდენიმე საინტერესო დეტალს შეიცავს. ავტორი ამბობს, "საჭიროდ ჩავთვალე...", რაც ალბათ, იმას გულისხმობს, რომ მას ამ საკითხზე უფიქრია, და რომ რომანის ენად დიალექტის შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. ხოლო რაკი "გენიოსმა" ჩათვალა საჭიროდ, ე.ი. მართლაც საჭირო იყო. საჭირო იყო, ალბათ, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ დიალექტზე შესრულებული რომანი უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა ეგვიპტელებისათვის, რომელთა საკმაოდ სოლი-დურმა ნაწილმა უზრალოდ არ იცოდა სალიტერატურო არაბული. ხოლო მხატვრულ ლიტერატურას ხომ საჯარო დანიშნულება აქვს. მეორე მხრივ, ის გაუგებარი იქნებოდა სხვა არაბებისთვის. თუმცა, როგორც ჩანს ის, რომ დიალექტი უფრო ცხოვლად, ნამვილად ასახავდა რომანის მოვლენებს ამ შემთხვევაში მეტად ღირებული ფაქტორი აღმოჩნდა.

მეორე მნიშვნელოვანი დეტალი ზემოთ მოტანილ ციტატაში არის ის, რომ მუშარაფა ეგვიპტურ დიალექტს "ენას" უწოდებს. ცხადია, მას ეცოდინებოდა ენა-სა და დიალექტს შორის განხვავება და არ ყოფილა შემთხვევითი, რომ მან ამ ლინგვისტურ ფორმას სწორედ "ენა" უწოდა. ნებისმიერი არაბისთვის მშობლიური ენა - ენა, რომელსაც ბავშვობიდან, ბუნებრივი წესით შეისწავლის - არის თავისი ტერიტორიული დიალექტი. ხოლო ზღვარი ენასა და დიალექტს შორის ფრიად მყიფეა და არაა მხოლოდ ლინგვისტურ მახასიათებლებზე დამოკიდებული.



ყურადსაღებია ისიც, რამდენად მთავრად ეგვიპტურმა დიალექტმა ამ ლიტერატურული ფუნქციის შესრულება, შეძლო თუ არა მან ღარიბი ეგვიპტელების ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების სისხლსავსედ გადმოცემა. ხომ არ აღმოჩნდა იგი უძლური ამ მისიის შესრულებისთვის. ცნობილია, რომ დიალექტს, როგორც ენის ნებისმიერ სასაუბრო ფორმას, სალიტერატურო არაბულთან შედარებით ღარიბი სინონიმთა ახასიათებს. ხომ არ აისახა ეს და სასაუბრო ლინგვისტური ფორმებისთვის დამახასიათებელი სხვა თავისებურებები რომანზე უარყოფითად? არაბული დიალექტების ყველაზე აშკარა ტენდენცია გამარტივებაა, ხომ არ იქცა ეს ნაკლად სერიოზული ლიტერატურისთვის. თუ შევთანხმდებით, რომ ყოველივე გენიალური მარტივიცაა, მაშინ "ეგვიპტელი გენიოსის" ამ ქმნილებასაც გენიალურობის ელფერი დაჰკრავს. მან შეძლო "მარტივი", "სინონიმებით ღარიბი" "ენით" გადმოეცა უაღრესად რთული მომენტები ცხოვრებისა, რომელსაც ადამიანები ვერ უძლებენ: თავს იკლავენ ან სხვისი ხელით იხოვებიან. ამ რომანში ბევრია ადგილი, სადაც გმირები ფიქრობენ. ადამიანის ბუნების მთელი სიღამაზე და სიბინძურე მთელი თავისი სიმდიდრით გადმოსცა დიალექტმა. და მკითხველს სულაც არ უჩნდება შთაბეჭდილება, რომ რომანს რაღაც აკლია.

1919 წლის რევოლუციის ფონზე გადამლილი ეს წიგნი არის, თითქოს ამოძახილი ადამიანური ტკივილისა. სრულიად ცალბაზუნად, ეს ადამიანის სულის ტრაგიკული სცენაა, სადაც სპექტაკლის უსასტიკესი რეჟისორები თვით ბედკრული მსახიობები არიან.

ბოლო დროს, ეს რომანი ქართულად ითარგმნა. თარგმანში მაქსიმალურად გათვალისწინებულია ეგვიპტელთა იმ სოციალური ფენის ყოველი დამახასიათებელი წერილმანი, ვიზუალურ მოგვიტხრობს ნაწარმოები. ავტორისეული ტექსტისა თუ დიალოგების თარგმნისას, მაქსიმალურად ვეცადეთ, გაგვეთვალისწინებინა, რომ თარგმანი ისეთივე "ნამდვილი", სისადავით მომხიბვლელი ყოფილიყო, როგორც თვით ორიგინალია. ზოგ შემთხვევაში მოცემულია არა სიტყვასიტყვით თარგმანი, არამედ, შერჩეულია ისეთი ფრაზა, რომელიც ქართულ ყურს უფრო ბუნებრივად ჩაესმის, ქართველისთვის იმ ეგვიპტური ფრაზის ექვივალენტურია, რომელსაც იტყოდა იმ კონკრეტული პერსონაჟის მსგავსი სოციალური კუთვნილების ქართველი იმგვარსავე სიტუაციაში. ვიმედოვნებთ, ამით თარგმანმა მხოლოდ მოიგო, რადგან ზოგ შემთხვევაში სიტყვასიტყვით თარგმანი სულაც არ ნიშნავს სწორს.

Nino Ejjbadze

About Mustafa Musharraf's only Novel and its Georgian translation

Abstract

Doctor of physics and mathematics Ali Mustafa Musharraf was born in 1989, 31 July. He got his Ph.D in London. In 1936, he returned to his homeland and the whole life worked as a Dean at Egyptian University.

The history of Egyptian Dialectal Literature begins from the XV Century and up to "Qintara..." it consisted of Poetry and Prose with only humorous, satire or scenic works. Mustafa Musharraf's novel was the first precedent, when serious, dramatic or even more, tragic work was written in Egyptian dialect, which in itself is a very important fact in the relations of Literary Arabic and Arabic Dialects. Literary Arabic is a linguistic formal etalon of Arabic World, one of the strongest chains which had always been the language of religion and literary heritage. Mustafa Musharraf, kind of penetrated into fundamental prerogative of Arabic and deprived it somehow.

**ზაირა ვადაკვირია**  
ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორია

**იოსებ კეკეყამაძის საგუნდო ნაწარმოებები და გალაკტიონის ლირიკა**

იოსებ კეკეყამაძის საგუნდო შემოქმედებას განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ქართული კულტურის სრულყოფილი გააზრებისათვის. ამასთან, იგი ამომწურავად წარმოგვიდგენს კომპოზიტორის ინდივიდუალურ სახეს, რომელიც ეროვნული საგუნდო მუსიკის კლასიკოსის ნიკო სულხანიშვილის ტრადიციის გამგრძელებელი და ახალი ქართული საგუნდო სტილის შემქმნელია, რაც სრულად გამოიხატა მის საგუნდო შემოქმედებაში.

კომპოზიტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტურ სიტყვას, მიმართავს ქართული კლასიკური პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს, სადაც პოეტის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი კომპოზიტორის ყველა ნაწარმოებში ინტონაციურ გამოხატულებას პოულობს და საგუნდო ნაწარმოებში ფორმისა და შინაარსის სრულ ჰარმონიას აღწევს.

ი. კეკეყამაძის გუნდები ინსტრუმენტული თანხლების გარეშე, მათ შინააზრებული აქვთ a cappella სიმღერის ტრადიცია, ტემბრული და რეგისტრული კონტრასტები. მისი ნაწარმოებები, საგუნდო ციკლები, საეკლესიო საგალობლები ქართული მუსიკის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. კომპოზიტორი ამჟღავნებს ბრწყინვალე საგუნდო ტექნიკას, დახვეწილ გემოვნებასა და დიდ არტისტიზმს. რასაც იგი თავისი მუსიკით ამბობს, ჩვენი დროის კულტურული ტრადიციებისა და იმ პრობლემების გამოძახილია, რაც საქართველოს თვითმყოფად კულტურულ-ისტორიულ სიტუაციას განაპირობებს.

იოსებ (სოსო) ილიას-ბე კეკეყამაძე (27. 03. 1939, ოზურგეთი) ქართველი კომპოზიტორი, პროფესორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი (1981), ზ. ფალიაშვილის სახელობის (1976), რუსთაველის სახელმწიფო (1995) და საქართველოს სახელმწიფო (2004) პრემიების ლაურეატი. 2009 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. 1968 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია კომპოზიციის სპეციალობით (ხელმძღვანელი ი. ტუსკია და დ. თორაძე). 1962-1966 წწ. მუშაობდა კონცერტმასიტრად საგუნდო-სადირიჟორო კათედრაზე. 1968 წლიდან თბილისის კონსერვატორიის პედაგოგია (1985 წლიდან პროფესორი), 1980-2007 წლებში - საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგე, 1972 წლიდან - საქართველოს კულტურის სამინისტროს მუსიკალური დაწესებულებების სამმართველოს უფროსი.

კომპოზიტორს პირველი წარმატება მოუტანა ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილმა საგუნდო ციკლმა - „ფშაური იდილიები“, რომელიც პირველად მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებულმა კამერულმა გუნდმა 1973 წლის მარტში კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე შეასრულა (დირიჟორი ლია ლომიაშვილი). ამას მოჰყვა ხუთი პარაფრაზა „ძველი თბილისის სიმღერები“, რომელზეც გამოქმნილი ქართველი მუსიკისმცოდნე გივი ორჯონიკიძე წერდა: „ძველი თბილისის სიმღერები“ ხელოვნების იმ ბედნიერ ნიმუშთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ფართო აუდიტორიის სიყვარული მასთან პირველი შეხვედრისთანავე უმკვიდრდებათ, განურჩევლად იმისა, ეს აუდიტორია მუსიკის სპეციალისტებისაგან შედგება, თუ მხოლოდ მუსიკის მოყვარულთაგან“ [ორჯონიკიძე 1978: 236].

იოსებ კეკელიძემ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო გალაკტიონის ლირიკას, რომლითაც თანამედროვე ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაში ემოციის უნაზესი სიმები ააუღერა.

გალაკტიონის პოეზია – პოეზია ყოველი დროისა, მისი წმინდა ქართული, წერია ლექსები ციდან მონასპენი ზარის რეკვამ, ას წელიწადში ერთხელ რომ გაისმის მწერლობაში.. მას წილად ზედა იშვიათი ბედნიერება –სიცოცხლეშივე შე-რაცხეს პოეზიის მეფედ. გალაკტიონი უაღრესად ტრაგიკული პოეტი იყო. მისი გარეგნული სიმშვიდე უზომო წუბილსა და უბედურებას – საზოგადოებრივსა თუ პირადულს – ფარავდა.

გალაკტიონის არქივში თავისი ხელით დაწერილ წერილებსა და დღიურებში საკუთარ თავს ებაასება, იგონებს სხვადასხვა შეხვედრას, მათ შორის კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილთან. როცა გალაკტიონს გადაუწყვეტია, შეემოწმებია საკუთარი ხმა და, თუ დადებით შეფასებას მიიღებდა, იგი სულხანიშვილის მომღერალთა გუნდის წევრი გახდებოდა, მართლაც, ამ შემთხვევას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამიტომაც გალაკტიონის პოეზია მღერადი, ჟერადი და ფაქიზი გრძნობების გამოხატულია.

“გალაკტიონის ლექსები მუსიკაში” დიდი და ფართო თემაა. მის ლექსებზე უამრავი მუსიკალური ნაწარმოებია შექმნილი, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის მძაფრი სულიერი განწყობილება, მაღალი მხატვრულობა და ქართული მუსიკალური გენიალურობა. ამ თვალსაზრისით მთელი სიღრმით უნდა იქნეს განალიზებული თითოეული ამგვარი ნაწარმოები, მათ შორის დიდად საყურადღებოა ი. კეკელიძის შემოქმედება.

წინამდებარე სტატიის მიზანია, განვიხილოთ სწორედ გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი იოსებ კეკელიძის საგუნდო ნაწარმოებები. ვოკალურ-საგუნდო და საშემსრულებლო ასპექტით გავანალიზოთ ისინი. ყურადღება გავამახვილოთ დიქციურ-ორთოეპიულ სიბნელებსა და ლიტერატურული ტექსტის ვოკალიზაციაზე.

„ლავეარდ ვაზე დღვა თეთრი კრავების“. გალაკტიონის ამ ლექსში უაღრესად ორიგინალურ მხატვრული სახეებით აღწერილია ზეცის დიდებული სურათი, დღის ლავეარდოვანი ცა თანდათანობით როგორ იბინდება და რა განწყობას უქმნის პოეტს. ღრუბლების ქულები საოცარი მეტაფორით „თეთრ კრავებად“ არის წარმოდგენილი, რომლებიც მოსაღამოებისკენ „ციდან მთებზე ეშვებიან“. ავტორი ერთ ადგილას „მთაწმინდას“ ახსენებს, „რომ შრის გადასულამ სიერგეები დაწმინდა“ და „იბინდება მთაწმინდა“. აქედან ჩანს, გალაკტიონი თბილისის ზეცას შეჰყურებს. მეორე ადგილას პოეტი წერს: „იყო ომი, იყო ცეცხლის დროება,“ და „უნაზესი ისმის ბმა საკრავების“. აქედან ვგებულობთ, ლექსი დაწერილია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რაც ყოველმხრივ სიმხნევს, სიხარულსა და ამალეებულობას იწვევს.

საგუნდო ნაწარმოების ტექსტი შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად. პირველი (1-24 ტექტი) და მეორე ნაწილი რეპრიზით (25-დან ბოლომდე). პირველ ნაწილში აღწერილია ზეცის დიდებული, ბოლო მეორეში შემზარევი ომის სურათები, როლებიც მთლიანად უცვლის ხასიათს ამ ნაწილს. ინტერესს იწვევს როგორი აგებულებით უდევს ეს ლექსი მუსიკას.

ლექსი დაწერილია 11-მარცვლოვანი საზომით და შედგება 12 სტრიქონისაგან. პირველი ოთხი სტრიქონი უკვარდინად არის გართიმული: *კრავების-საკრავების, ზმორებით-გადამორებით. დანარჩენი ნაწილი მოსაზღვრე რითმებისაგან შედგება,*

დროება მყუდროება, კრავები საკრავების შევადართო ლექსის პირველი სტროფი მუსიკას, სადაც ბუნების არაჩვეულებრივი პეიზაჟია გადმოცემული. რიტმულად პირველი და მეორე წინადადება ერთნაირია, 12-ე ტაქტიდან ინტერვალი სეკუნდით იწევს ზემოთ. კომპოზიტორმა სწორად გაუგო და შეიგრძნო პოეტი, ფერებში დაგვიხატა ლაჟვარდოვანი ცის პეიზაჟი და ის განწყობილება, რომელიც დინამიკის ზრდის ფონზე შეიცვალა ციფრი 6-დან სიტყვებზე: „აჰ, ეგ თმები ჩემს სახეს რომ ეხება, შუქმა კარგი მოგონებით შეღება“, ი.ყო ომი, იყო ცეცხლის დროება,“ და „უნაზესი ისმის ხმა საკრავების.“

ნაწარმოების შუა ნაწილი *piu - mosso* მოძრავი ეპიზოდია, მგლოდია ინაცვლებს შუა ხმებში T და S –ში და მოუმზადებლად გადადის რეპრიზაში მოკუმული პირით სიმღერით. აქ მუსიკალური მასალის ზუსტი გამეორებაა, მაგრამ არ შევცდებით, თუ ამ ეპიზოდის შესრულებისას გავითვალისწინებთ შინაარსის სიღრმესა და კომპოზიტორის მიერ მითითებული ერთით ნაკლებ ნიუანსს. ეს ეპიზოდი შესრულდება შედარებით მშვიდად და ნაღვლიანად მოკუმულ პირზე სიმღერით.

კომპოზიტორი გვთავაზობს ამ ეპიზოდის ნიუანს p-ზე დაწყებას და დადგავალი აკორდული მოძრაობით ნიუანს pp-ზე გადასვლას, ხოლო სიტყვებზე: „იყო ომი, იყო ცეცხლის დროება, ლოდინია ებლა და მყუდროება“ ნიუანს pp-ზე მგლოდიას ვაძლევთ ტალღისებურ განვითარებას. ქალთა გუნდში ხაზგასმულია სიტყვა „მყუდროება“, ჟღერადობის გასაგრძელებლად ამავე ტაქტში მამაკაცთა გუნდში არის ფერმატო A-ის *dl*-და *esl* ბგერების გახაზვით. დირიჟორმა მხატვრული სახის გახსნისთვის ყველა ტაქნიკური საშუალება უნდა გამოიყენოს. ნაწარმოების პირველი ნაწილი სრულდება რბილი ბგერით, მღერადად, ოდნავ მოძრაობით და თავშეკავებულად. მგლოდია და ლექსი თანდათან დაძაბულად იკითხება და იზრდება ბგერის ძალა. შასურველია, ამ ნაწილის დაწყება *mf* - და მისვლა ნიუანს *f*- მდე.

საგუნდო ნაწარმოები „ლაჟვარდ ცაზე“ დაწერილია შერეული ოთხხმიანი გუნდისათვის *a cappella*, B- dur (*dolce, Andante - sostenuto* - რბილად, დინჯი მოძრაობით. ზომაცვალებადი (3/4, 2/4) კომპოზიტორის მიერ შერჩეული ტონალობა ზუსტად მიესადაგება ნაწარმოების შინაარსსა და გუნდის საერთო ჟღერადობას. ნაწარმოების აკორდული წყობითა და საგუნდო პარტიათა ბუნებრივი შერთებით პარტიებს შორის ადვილად ვამყარებთ ბუნებრივ ანსამბლს. ზემოთაღნიშნული ნაწარმოების შესრულებისას მნიშვნელოვანია ცალკეულ საგუნდო პარტიათა გაანალიზება, მათი ფუნქციები და რა დატვირთვა აქვს აღნიშნული ნაწარმოების მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში.

მთავარი მგლოდია ტარდება ქალთა გუნდში, მორგებულ რეგისტრში, არის მსუბუქი და ნათელი ტემბრით. გარდა ძირითადი ტემპისა (*Andante*), კომპოზიტორი გვთავაზობს დამატებით აღნიშვნას (*dolce, Andante - sostenuto*) მგლოდის რბილი და დინჯი მოძრაობით შესრულებას ნიუანსი p-ზე. მეორე წინადადება ტარდება ინტერვალი სეკუნდით ზემოთ მამაკაცთა გუნდის მეტი აქტიური მოძრაობითა და დიდი შინაგანი ემოციით. ქალთა გუნდის ინტერვალი სექსტით მოძრაობა 25-ე ტაქტიდან ინაცვლებს სოპრანოსა და ტენორში სიტყვებზე: „აჰ, ეგ თმები ჩემს სახეს რომ ეხება, შუქმა კარგი მოგონებით შეღება“, ამ ეპიზოდიდან აქტიური ხდება ტენორის პარტია. როცა შერეულ გუნდში ტენორის პარტია გამორჩეულია, გუნდის ჟღერადობა ცოცხლდება და სხვა ელფერს იძენს. ასეთივე ეფექტს ქმნის კონტრასტულ ეპიზოდებში (ციფრი 4 - 5).

ლექსის მეტრი მუსიკალური მეტრისგან განსხვავდება. თუ ლექსში იგი ორწი-  
ლადია, კომპოზიტორი მას სიმღერაში საშილადად აქცევს. „*ლავარდ ცაზე, ლა-  
ვარდ ცაზე*“ და „*აჰ, ეგ თამები ჩემს სახეს რომ ეხება, შუქმა კარგი მოგონებით  
შეღება*“: მუსიკალური მეტრი გრძლიობის მომატებით ცვლის ლექსის რიტმს.  
კომპოზიტორი ლექსიდან გამოყოფს (გახაზავს) ცალკულ ზეგრებს სიტყვაზე  
„მყუდროება“ (ტაქტი 36), როგორც მხატვრული სახის, ასევე მუსიკალური აზრის  
სრულყოფისათვის. მუსიკალურ ტექსტში მახვილი კანონზომიერადაა დასმული.  
„*ლავარდ ცაზე-ე-ე ლავარდ ცაზე-ე-ე დღეა თეთრი-ი კრავების, დასავლეთის  
კარი ჩატყდა ზმორებით, უნაზესი ისმის ხმა საკრავების, ბაღებს იქით, სადღაც  
გადამორებით*“.

გუნდის ხმოვანების სიდიადეს ავტორი აღწევს სრულყოფილი საგუნდო წერის  
ათვისებით, რეგისტრებისა და ტემპების მრავალფეროვნებით, როგორც მთლიანად  
გუნდში, ასევე ინდივიდუალურად პარტიებში. კომპოზიტორი დიდ  
თავშეკავებულობას ავლენს პარტიათა დიაპაზონის გამოყენების დროს კიდურა  
ზეგრების მიმართ. ზემოთ გაანალიზებულ საგუნდო ნაწარმოებში არ ჩანს ისეთი  
ზეგრები, რომლებიც სცდება საგუნდო პარტიათა დიაპაზონის ჩარჩოებს. მას არ  
ახასიათებს ედერადობის ხელოვნური დამატულობა, ზეგრის ფორსირება.

საგუნდო პარტიათა დიაპაზონია: S – as(1) – f(2) A – c(1) – as(1)  
T – f – as(1)  
B – F – f

„დადამდება ტყეში ოდეს“ გალაკტიონის ლექსზე შექმნილი ეს ნაწარმოები  
იოსებ კეჭყაძის ქალთა გუნდებს შორის განსხვავებულია. ლექსში საღამოს ტყის  
ორიგინალური და თვალწარმტაცი პეიზაჟია დახატული: „ქარი ფოთლებს როგორ  
„აოქროებს“, როგორ „წვეთწვეთობით წყალს აგროვებს“, რათა „როგორც ქარით  
გადაზნექილი ნაყოფით დატვირთული ხეხილი“ „ზევითგად“ და „ნიადურად“  
გაუშვას. აქ პოეტი ერთ შეგონებასაც იძლევა: „*იმ მდინარის გემინოდეს, რომელიც  
არ ხმაურობს.*“ ლექსი სამსტროფიანი, რვა მარცვლოვანი ჯვარედინრითმიანი  
კატრენებისაგან შედგება. რითმები მდიდარი და მუსიკალურია: „*ტყეში ოდეს-  
გემინოდეს,*“ „*აოქროვებს-აგროვებს,*“ „*ნაოშებს-გაუშვებს,*“ „*ზევითულო-  
გადატვირთული,*“ „*მბიძე ხეხილი- გადაზნექილი*“. მხოლოდ პირველ სტროფშია  
ერთი დისონანსური რითმა: „*აუროვებს-ხმაურობს*“. ლიტერატურულ ტექსტზე  
მუშაობა ფრაზებად დაყოფით ხდება, თანხმობანთა გამოყოფით და გახაზვით  
(„*და-და-მდე-მა*“, „*ქ-რ-ი-ფო-თლებს*“, „*ი-მდი-ნა-რის*“, „*რო-მე-ლი-ვარ*“, „*მა-სვოთ-  
ლე-ბი*“, „*ა-ო-ქრო-ვებს*“, „*ე-ი-თ ვვა-ვი-ლი*“, „*წვე-თწვე-თო-ბით*“, „*წყა-ლსა-გრო-ვებს*“) და სხვა. აწარმოები დაწერილია ქალთა ექვსხმიანი გუნდისათვის. a cappella (S1,  
S2, S3, A1, A2, A3.). ტონალობა cis-moll ზომა 3/4, ტემპი Lento assai. ფორმა  
სამნაწილიანი კონტრასტული. სოპრანოები და ალტები დივიზით იყოფიან სამად,  
ხმები მოქცეულია შუა და დაბალ რეგისტრში. ხოლო ხმათა ტესიტურა არის  
საშუალო. გუნდის აკორდული წყობით და ხმათა სიმრავლით იმღება ულამაზესი  
ხუნების სურათი, პარტიათა დივიზით მიღწეულია ტემბრული ფერადოვნება.

ნაწარმოები სამი განსხვავებული ჩაწილისაგან შედგება, სადაც არ არის  
გამოკვეთილი ერთ რომელიმე საგუნდო პარტიაში მელიოდური ხაზის გატარება,  
მეორე ნაწილში მელიოდია ტერციებით მოძრაობს, დანარჩენი ხმები კი მოკუმული  
პირით სიმღერით ქმნიან ფონს ალტის პარტიის საორღანო პუნქტზე, მელიოდია კი  
რბილად და ნაზად მიჰყავს მაღალ ხმებს. ციფრი 3–დან დინამიკის ზრდასთან  
ერთად საგუნდო პარტიებს ეძლევა მეტი მოძრაობის საშუალება, ფართოვდება

კიდურა ბერების საზღვრები, სიტყვებზე: „*წეთწეთობით წყალს აგროვებს, ნიაღვარად გაუშვებს*“; ამ ეპიზოდში ყველა საგუნდო პარტია მოძრაობს მისაღებ რეგისტრში, საგუნდო პარტიებში არსებული სირთულეები – ქრომატული სვლები, შუა ხმებში გადიდებული და შემცირებული აკორდიკა მოქვეყნოა ხმათა კომპლექსში. აქ უნდა გამოიყოფს ტემბრული და რეგისტრული კონტრასტები.

მეორე ნაწილში უნდა გამოიკვეთოს და ეფექტურად შესასრულებელია ალტის პარტიის სოლო ეპიზოდი. გუნდის ფაქტურა აკორდულია, წყობა პარმონიული, ხმათა შორის შეზავებული სეკუნდებით მოძრაობა, ქრომატული სვლები ითხოვს ზუსტ ინტონირებას. ნაწარმოების მრავალხმიანი ფაქტურა ართულებს საგუნდო ანსამბლის დამყარებას, უპირველესად ანსამბლი უნდა დამყარდეს ცალკეულ პარტიათა შორის, შემდეგ ცალკეულ ხმათა ჯგუფებში, ხოლო საერთო ანსამბლის მისაღწევად კი ცალკეულ ხმათა ტესიტურისა და ხმათა იმიტაციური მოძრაობების გათვალისწინებით.

საგუნდო პარტიები აგებულია ერთ ბერაზე შემომღერებით, ტერციული და სეკუნდური ინტონაციებით. აქ ბერა ითხოვს „წყნარად“, „მოფერებით“ შესრულებას, ხოლო სიტყვებზე: „*წეთწეთობით წყალს აგროვებს, ნიაღვარად გაუშვებს*“ საგუნდო ქსოვილი ხდება კომპაქტური და ძლიერი. ლექსისა და მუსიკის კითხვის ტემპი ერთ ტონალობისაა. მდორე ტემპის გამო თავისუფალი მეტრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ითხოვს სიმსუბუქეს. ნაწარმოების შესრულებისას ყურადღების ცენტრშია ტემბრულ-ბერიოთი პალიტრა. ნაწარმოების დასაწყისში პარტიათა დაბალ რეგისტრში გატარება მოითხოვს ხელოვნური ანსამბლის დამყარებას. ქალთა გუნდით გამოხატული მრავალხმიანობა ეფექტურია. პარტიათა ტალღა აღმელობისაკენ ისწრაფვის. დინამიკის ზრდის ფონზე ხდება დაბალი რეგისტრიდან მაღალში გადასვლა. არსებულ ოთხხმიანობაში ძირითადი მელოდიის მასალა გაბნეულია სხვადასხვა ხმებში, ცეზურებიც სხვადასხვა დროს ხდება (არაგრამატიკული წესით), ცეზურაც ცალკეულ საგუნდო პარტიებში სხვა-დასხვა დროს დაისმის.

ციფრი 2-დან მელოდიის გატარება ხდება ტერციებით, გუნდი კი მოკუმბული პირით სიმღერით ქმნის ფონს. ციფრი 3-დან აგოგიური ნიუანსით ხმოვანება ფართოვდება და იზრდება ნიუანს f- მდე და pp-თი გადადის ქორალურ წყობაზე. ბერის წარმართვა ხდება ზოგჯერ „ნათელი“, „ღია ბერით“: „*დადამდებ ტყეში ოდეს, ქარი ფოთლებს აურევს*“; ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა ხდება ფრანგულად დაყოფით, თანხმოვანთა გამოყოფით და გახანვით.

გუნდში ხმათა გათანაბრება ხდება ცალკეულ საგუნდო პარტიათა ვერტიკალური აწყობით, ხმათა „დაფენა“ აადვილებს მისი შესრულების სირთულეს. გუნდის აბსოლუტური წყობის მისაღწევად, განსაკუთრებით მრავალხმიანობის დროს, აუცილებელია ცალკეულ პარტიათა ჯგუფებში კერძო ანსამბლის დამყარება, ხოლო საერთო ანსამბლისა კი ხმათა ტესიტურის გათვალისწინებით. დასაწყისში მაჟორული სამხმოვანების აკორდი თანდათან ივსება და ნიუანს p-ზე იზღვება ღამის ტყის სურათის შთაბეჭდილება. საგუნდო ქსოვილში შესრულებისას ვეძებთ მთავარ მარცვალს, რომელიც გაბნეულია მთელ გუნდში. დირიჟორი ეძებს ძირითადი მხატვრული აზრის განვითარების საშუალებებს. მელოდიის გატარება ხდება სხვადასხვა სახით სიტყვებზე: „*და იშვრება ვხა ზვირთული*“; თემას ასრულებს ალტის პარტია, შემდეგ ისევ შეზავებულია საერთო ხმოვანებაში, ფინალურ ნაწილში კი მეორე სოპრანოს ფორშლაგებით გადადის ხმათა თანდათანობით გამორთვიით *morendo*-ზე.

აღნიშნული საგუნდო ნაწარმოები საპატიო ადგილს იკავებს ქალთა გუნდების რეპერტუარში. საგუნდო პარტიტურა იმდენად მოხერხებულია, რომ მომღერალს სერიოზული სირთულეების გადალახვის დროსაც კი ცალკეულ ხმათა მელოდიური ხაზი ინარჩუნებს სიმყარეს და პლასტიურობას. კომპოზიტორის საგუნდო სტილი გამოირჩევა დახვეწილი და გამომსახველობითი ხერხებით, ფორმის ზუსტი შეგრძნებით და გამოკვეთილი შემოქმედებითი ინდივიდუალობით. უხვად ვხვდებით ფონურ ეფექტებს, ხოლო ტექნიკურად რთული ფაქტურა მიგვანიშნებს კომპოზიტორის აზროვნების მაღალ დონეზე.

**ლიტერატურა**

1. ტაბიძე გალაკტიონი - *რჩეული. გამოშვებულა „საჭოთა საქართველო“* - (1977). შეადგინა და რედაქცია გაუკეთა რევაზ თვარაძემ.
2. ორჯონიკიძე გივი (1978), *ალმელაობის გზის პრობლემები „ხელოვნება“, თბილისი*
3. ჭილაია ანდრო, ჭილაია რამაზ - *ლიტერატურისმცოდნეობის ცნებები*, თსუ. (1984).
4. ორჯონიკიძე გივი (1978), *ალმელაობის გზის პრობლემები „ხელოვნება“, თბილისი*
5. Егоров А., *Теория и практика Работы с хором* Л.- М. (1951) (13- 16-107)
6. Дмитриевски - *Вопросы и управление хором* (45)
7. Соколов В. Г. *Работа с хором* Москва „ Советская Россия ~ (1959)
8. Пигров К. *Руководство с хором* . Москва. „ Музыка„ (1974)
9. Краснощекоев Виктор - *Вопросы хороведения* Издательство „Музыка„ (1969)
10. Чесноков Павел *Хор и управление им. Пособие для хоровых дирижеров.* Издание третье Государственное музыкальное издательство Москва (1961) (9)

**Zaira Vadachkoria**

**Choral compositions in Iosef Kechakmadze and lyrics of Galaktioni**

**Abstract**

The given article is about the issues of interpretation of choral songs based on poems of Galaktion Tabidze. In the given article the song is discussed in the aspect of problems of ensemble, intoning, chorus part range, vocal technique specification - breath, tone peculiarities, diction and orthoepic difficulties, vocalization of literary text. We are discussing the way of poem and music comparison, whether it is on the level of beat and rhythm or pitch.

The article analyses the features of expressiveness of the Iosef Kechakmadze's part songs which define the peculiarities of their performing interpretation, the ways of realization of the composer's intention by the interpreter. It is noted, that the individual, subjective opinion and experience of the composer, development of the own methods and ways during working with the chorus is valuable for the creative work.

**რუსუდან ზეკალაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი*

**მადლიერების გამოხატვის ლინგვისტური საშუალებები და სემანტიკურ-პრაგმატული ასპექტები ქართულში**

თანამედროვე ლინგვისტიკაში წინა პლანზე წამოიწია ენობრივი პიროვნების, ადამიანის ფაქტორმა და მეტი ყურადღება დაეთმო ვერბალური კომუნიკაციის სემანტიკურ-პრაგმატიკულ და კოგნიტიურ ანალიზს.

თუკი მანამდე ლინგვისტური კვლევა ემყარებოდა წინადადებას, ახლა ერთ-ერთ მთავარ საკვლევ ობიექტად იქცა გამონათქვამი, რომელიც მიემართება როგორც პრაგმატულ სიტუაციას, ასევე კომუნიკანტთა მენტალურ პროცესებს *[არუთიონია 1990:137; ბატინი 1979]*. გაკის აზრით, გამონათქვამი არის სიტუაციასთან უშუალოდ დაკავშირებული სამეტყველო ერთეული *[გაკი 1990:90]*. კვლევაში ანთროპოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება განაპირობა პრაგმატიკული და კოგნიტიური ხასიათის

ფაქტორებმა. სწორედ ენობრივი პიროვნების ცნება აერთიანებს პრაგმატიკასა და კოგნიტივისტიკას.

ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯ. ოსტინმა საფუძველი ჩაუყარა სამეტყველო აქტების თეორიას, ხოლო მისი იდეები განავითარა ჯ. სიორლმა, რომლის შეხედულებები მალე იქცა თანამედროვე ლინგვისტიკის ბევრი უახლესი მიმართულების საფუძვლად სიორლი ეყრდნობოდა არა მარტო ილოკუციურ და გრამატიკულ ნიშნებს, არამედ, „სიტყვის“ და „სამყაროს“ განსხვავებულად თემატიზებულ მიმართებას სამეტყველო აქტის მეშვეობით. მან სამეტყველო აქტებში გამოყო ილოკუციურ სამეტყველო ქმედებათა 5 კლასი და ერთ-ერთ ჯგუფად მიიჩნია ე. წ. ექსპრესივები, ანუ ეტიკეტური სამეტყველო აქტები, რომლებშიც გამოხატულია მოუბარი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება გარკვეული პროპოზიციის საქმის ვითარებასთან. აქ გაერთიანებულია მოსაუბრე პირის ემოციური მდგომარეობის გამოხატველო გამონათქვამები, მათ შორის: მილოცვა, თანაგრძნობა, ზოდინი, მადლობა (*ზუსტნი*).

თავაზიანობა საფუძვლად უდევს სამეტყველო ეტიკეტს, ანუ „საზოგადოების მიერ დადგენილი ურთიერთობის მყარ ფორმულებს თანამოსაუბრესთან კონტაქტის დასამყარებლად“. ის ფართო მნიშვნელობით დაკავშირებულია ეტიკეტის სემიოტიკურ და სოციალურ გაგებასთან და მარეგულირებელი როლი აკისრია ურთიერთობის ამა თუ იმ რეგისტრის შერჩევისას [*ფორმანუსკაია 1990:413*]. სტერეოტიპული ენობრივი ფორმულები არ მატებს კომუნიკაციას ახალ ლოგიკურ შინაარსს, არამედ მხოლოდ სოციალურად ფასეულია: კონტაქტის დამამყარებელი (ფატიკური) და ადრესატზე ორიენტირებული (კონატიური). მისთვის დამახასიათებელია ერთგვარი სოციალური სიმბოლიზმი და ენობრივი ფორმების მკვეთრი ეროვნული შეფერილობა [*იქვე 413*]. ფატიკური კომუნიკაციის მრავალ ერთეულს შორისაა: მისალმება-გამომშვიდობება, მადლობა, ზოდინი, მოკითხვა, მილოცვა, დალოცვა და სხვ.

ჩვენთვის საინტერესოა მადლიერების, როგორც რიტუალური სამეტყველო აქტის, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები, მისი კოგნიტიური და სემანტიკურ-პრაგმატიკული ასპექტები.

მადლობა სოციუმის წევრთა ურთიერთობის აუცილებელი ატრიბუტია, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც დიალოგური მთლიანობის შემადგენელი რეალიტით, ასევე მისი შესაბამისი ქცევით. მადლიერება თავაზიანი ქცევის სტრატეგიის ნაწილია და მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნიკანტთა „სახესთან“. სამეტყველო ეტიკეტი მოითხოვს, რომ ადამიანმა მადლიერება გამოხატოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, როგორც მის სასარგებლოდ ადრესატის მიერ ჩადენილი ქცევის პასუხი.

მადლიერების სემანტიკის მქონე გამონათქვამი შედის დიალოგურ მთლიანობაში, რომელშიც მადლობის გამოხატვა წარმოადგენს რეაქციას ვერბალურ ან ქცევით სტიმულზე [*გრინიკოვა 2005:11*]. მადლობის გადახდით მოუბარი ადასტურებს საკუთარ კეთილგანწყობას ადრესატისადმი, თუმცა სხვადასხვა ენობრივ გარემოში მისი გამოხატვის საშუალებები სპეციფიკურია, ტრადიციებითა და კულტურით განპირობებული, რადგან ემყარება კომუნიკანტთა ფონურ ცოდნას.

მადლობას აქვს მრავალი წახნაგი: სოციალური, ეთიკური, რელიგიური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, კულტუროლოგიური. მართალია, უმადურობის გამო იურიდიულად არ ისჯებიან, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით.

მადლიერების გამოხატვის ქართული ტრადიცია ემყარება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვითაც, ადამიანი მუდამ უნდა მადლობდეს უფალს – ლხინის, ბედნიერების, წარმატების, გაჭირვებისა თუ უბედურების დროს. ღვთისადმი



მადლობის უამრავი მაგალითია დასახელებული არა მარტო ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, არამედ საერო ლიტერატურულ ძეგლებშიც: უფლისადმი მადლის მოხსენება, მადლის მიცემა, მადლის გადახდა, მადლის კადრება და სხვ.:

„მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა მადლისა გარდაქდად და წარვიდა სახიდ თვსა სიხარულით განმრთილებული“ (ქართ. მწერლ. 1981, შუშ. წამ. 19).

„რომლისათვისცა აღპყრობითა ჳელთა ჩემთათა მადლი შეწირა უღირსებამან ჩემმან ყოვლადმლიერისა და ჳველის მოქმედისა ჳრისტჳს ღმრთისა ჩუენისა“ (ქართ. მწერლ. 1981, აბ. წამ. 117)

„ყმა შევიდა, თაყვანის-სცა, მადლი რამე მოახსენა:

„ხელმწიფეო, მიჳვირს, ჳება რად იკადრეთ ჩემი თჳვენა?!“ (რუსთ. 1966:35).

„ვეთანდილს უთხრა დაღრეჯით, პირითა გამჳჳებითა:

ჳრისტიანული მრწამსი ქადაგებს: „ჳჳმადლობთ ღმერთსა მარადის თჳვენ ყოველთათჳს, ჳსენებასა თჳქუნსა ვჳყოფთ ლოცვათა შინა ჩუენთა“ (ახ. აღთქ. 1963:1 თეს. 1:2); ღირსი ისაჳ ასური წერს: „მადლიერება მიძღების აგულიანებს გამცემს, რომ უწინდელზე მეტი ძღვენი გაიღოს“ ([www.orthodoxy.ge/tserilebi](http://www.orthodoxy.ge/tserilebi)).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მადლი – „ესე არს, რომელმან არეა ნაცვლის გებისათჳს, არეა მოყურობისათჳს, არეა შინისათჳს, არეა სიყუარულისათჳს კეთილი და ჳველის საქმე ჳნას“; ხოლო მადლის გარდახდა – „ესე არს, რომელმანეა კეთილი გვიყოს, ნაცვალი ვეგოთ, ანუ სიტყვოთ, ანუ საქმით, ანუ თაყვანის ცემით“. მადლის ძირითადი მნიშვნელობა საღვთისმეტყველოა: „ჳვალად მადლი არს ყოველივე კეთილი და რამეცა ცოდვა არა არას, მადლი არს“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1991:427).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მადლ-ის ოთხი მნიშვნელობა გამოყოფილი და ბოლო მადლობის სინონიმურია:

1. სიკეთე, ჳველობა, მოწყალება; კეთილი საქმე (საპირისპ. ცოდვა). 2. ძე. რელიგ. ზეგარდმო ძალა, წყალობა. 3. ზეგარდმო ზოდებული ნიჳი. 4. იგივეა, რაც მადლობა. (ჯეგლ, 5, 1958:12). ამალღებულ მეტყველებაში ახალ ქართულშიც შენარჩუნებულია ეს მნიშვნელობა მყარი ენობრივ კლიშეებში: მადლი უფალს! მადლი ღმერთს!

მადლობა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ღვთის მიმართ აღვლენილი სიხარულით აღსავსე სამადლობელია: „ესე არს რაყამს მოვიჳსენებდეთ ჳველის მოქმედებასა ღვთისასა, ჩვენდა ზოდებულსა, და სიხარულით აღვარებდეთ“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1991:427). ჳველ-ის მიხედვით: სიტყვით ან საქმით დაფასება სხვის მიერ გაწეული სიკეთისა (ჯეგლ, 5, 1958:14).

სიტყვა მადლობა გვხვდება უჳვე მეხუთე საუკუნიდანვე:

„მონაწილე იყვენს და თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარჳზაყენიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ჳრისტჳსისა“ (ქართ. მწერლ. 1981, შუშ. წამ. 24).

„შეწირეთ მადლობა, და მტკიცემეცა არიან გულნი თჳქენნი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა“ (ქართ. მწერლ. 1981, ვახტ. გორგ. ცხ. 528).

„აკურთხეს მადლობით და იწყეს ჳამად მარადის-მეტყუელთა სულისა საზრდელსა მას სიტყუა“ (ქართ. მწერლ. 1981, გრ. ბანძთ. ცხ. 223).

ქართულში მადლობის ლექსიკურ-სემანტიკური ველის სიტყვათა ამოსავალი არის მადლ-ი, რაც, ცხადია, შემთხვევითი არაა (შდრ. რუს. благодарю → благодарю, ხოლო спаси бог → спаси(н)о), თუმცა ენობრივი საშუალებები მორფოლოგიურ-სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე არც ისე მრავალფეროვანია. გვხვდება: მადლობა → გმადლობთ → მადლობელი, მადლიერი → მადლიერება → ემადლიერება.

ყველაზე გავრცელებულია ლექსემა მადლობა, რომელსაც შეიძლება ახლდეს სხვადასხვა ინტენსივობის ან დადებითი ემოციის აღმნიშვნელი მსაზღვრელი: დიდი,

უზარმაზარი, უღრმესი, მზურვალე, გულითადი, გულწრფელი, მოკრძალებული, გადაჭარბებული, თავმდაბალი...

ზოგჯერ უპირატესობა ენიჭება ზმნურ ფორმას გმადლობთ ანდა საწყისთან გამოყენებულა ზმნები: თქმა, გადახდა, მოხსენება, გამოხატვა, მოძღვნა, შეწირვა. მაგ., მადლობას გეტყვით, გულითად მადლობას გიხდით, დიდ მადლობას მოგახსენებთ, მიწადა უღრმესი მადლობა გამოვხატო, დიდ მადლობას გიძღვნით... ადამიანი თავს გრძნობს დავალებულად, თითქოს რაღაც ტვირთი უნდა მოიხსნას და საპასუხოდ მადლობას იხდის.

გამონათქვამებში შეიძლება დასახელებული იყოს მიზეზიც, რომელმაც განაპირობა მადლიერების გამოხატვის აუცილებლობა: დიდი მადლობა საქუქრისთვის (წიგნი-სთვის, დახმარებისთვის, ყურადღების გამოვლენისთვის...); არ ვიცი, რა სიტყვებით გამოვხატო მადლობა... ზოგჯერ სამადლობელი მიზეზი დამოკიდებული წინადადების სახით არის გადმოცემული: გმადლობთ, რომ დაგვეხმარეთ (გახსოვართ, გვესტუმრეთ, მოგვინახულეთ, არ გვივიწყებთ, გვიპასუხეთ და ა. შ.).

მადლობა შეიძლება განკუთვნილი იყოს სხვისთვის გადასაცემად: გთხოვთ უღრმესი მადლობა მოახსენოთ (გადასცეთ), მიწადა გულითადი მადლობა უთხრათ...

მადლ- ბირისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელებია: მადლიერი და მადლობელი: მადლიერი [იონე მის მიმართ სიკეთეს არ იფიწყებს, მადლობის გრძნობის მქონე, კმაყოფილი, მადლობელი, *ქგლ, 5, 1958-13*]: „რომელმან დაინახსოვროს კეთილი მოქმედება მის ზედა“ [სულხან-საბა ორბელიანი, 1991], მადლობელი ვარ (რამისთვის); ძალიან მადლიერი ვარ; როგორი მადლიერი ვარ თქვენი...

მადლიერისაგან ნაწარმოები არსებითი სახელია მადლიერება (მადლობის გრძნობა, *ქგლ, 5, 1958-13*): მიწადა მადლიერება გამოვხატო (ვინმეს მიმართ რამისთვის), მადლიერების გრძნობით მიწადა აღვნიშნო... გეხვედება ზმნა ემადლიერება: მე ძალიან გემადლიერებთ... სულხან-საბა დამადლებასა და მიმადლებას ხსნის, როგორც მადლის მიცემას, მომადლებას კი – როგორც მომადრიელებას. ემადლობ – მადრიელ ვარ [სულხან-საბა ორბელიანი, 1991], მადლობ-ს – ვისიმე მიმართ მადლობას გამოხატავს, მადლობას უბნება. გმადლობ[თ]! მადლობას მოგახსენებ[თ] [*ქგლ, 5, 1958-14*]. მადლობელი-ი – ვისაც მადლობის გრძნობა აქვს, – მადლიერი [*ქგლ, 5, 1958-14*].

ყველა ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეული მადლობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის კომპონენტია, ე. წ. სიტყვა-მარკერი. მათი მეშვეობით იქმნება პირდაპირი და ირიბი სამეტყველო აქტები. ბირითადი ენობრივი ფორმულები შეიცავს სიტყვა „მადლობას“, მაგრამ ზოგჯერ იმავე ინტენციით ხასიათდება დალოცვა, ქება, სიხარულის, აღფრთოვანების, აღტაცების, კმაყოფილების ემოციების ენობრივი ფორმულები: შენ გაიხარე! იხარე! აშენდა შენი ოჯახი! შენ დაილოცე! დაგლოცოს ღმერთმა! ღმერთმა გაგახაროს! ღმერთმა გადაგახადოს! ძალიან გამახარე რა ადამიანი ხარ, ვინ იცის! ოქრო კაცი ხარ!.. (მაგვისადმი ნათქვამი) გაიხარდე (დიდი ბიჭი)! შენ გაეზარდე შენს მშობელს!.. მოუბარი ხაზს უსვამს, რომ ადრესატის ქმედება სამაგიეროს პატივისცემას მოითხოვს და ის მოვალეა, გადაიხადოს: ძალიან დამავალე, დავალებული ვარ; არ ვიცი, როგორ გადაგახადოთ ეს სიკეთე; თქვენ საუკუნოდ დამავალეთ, თქვენ მსახურად მიგულეთ, მიმსახურეთ, როგორც გინდათ; მარად ვალში ვიქნები თქვენ წინაშე; აჰა, ჩემი ხმალი და თქვენი კისერი და სხე.

ჩამოთვლილი ენობრივი ფორმულების არჩევანი დამოკიდებულია სამეტყველო სიტუაციაზე (ოფიციალურია თუ შინაურული), კომუნკანტთა სოციალურ სტატუსზე, როლზე და მათს ურთიერთობაზე... მაგალითად, მხოლოდ ახლობელთან, მეგობართან გამოიყენება სასაუბრო და წარგონიერი გამოთქმები: ჯიგარი ხარ! მაგარი ხარ! დაგლოცე!

მაგრად გაასწორო; ახალგაზრდებში მომრავლდა არაქართული სიტყვებიც: სასახბა! სენკო! (იშვიათად - მერსი!).

მადლიერების სამეტყველო აქტის სახეები შეიძლება გავარჩიოთ რამდენიმე პარამეტრის მიხედვით: ა) გამოხატვის ფორმის (ვერბალური, პარა- და არავერბალური. მაგალითად, მადლობა თავის დაქვეით, ღიმილით, ჰეროვანი კონცით, ხელის ჩამორთმევით და სხვ.); ბ) საკომუნიკაციო სიტუაციის (რიტუალური და ემოციური); გ) გამოიწვევი მიზეზის (მოტივირებული და არამოტივირებული); დ) ადრესატის მიხედვით (პირდაპირი/ირიბი მადლობა რეალური ადრესატისადმი ან ზეციური ძალებისადმი).

არარეალური ადრესატი (ღმერთი, ზეციური ძალები...) გვხვდება ენობრივ მყარ ფორმულებში დაფიციების დროს, რაც დაკავშირებულია რწმენასთან, რომ ყველაფრისთვის ღმერთს უნდა გადაუხადოთ მადლობა (მადლობა ღმერთს! მადლობა უფალს! მადლი ღმერთსა!) და გამოვხატოთ კმაყოფილება, მოწიწება, მადლიერება ღვთისადმი. ამავე რიგისაა უფლის ქება-დიდება: დიდება უფალს! დიდება ღმერთს! იდიდოს ღმერთმა!

ქართველის ეროვნულ ცნობიერებაში ზოგიერთი შეხედულება აისახა ანდაზებშიც. მაგალითად, როცა შესაფერისი ადამიანები ერთმანეთს შეხვდებიან, ღმერთს მადლობა ეკუთვნის, რადგან ყველაფერი მისი ნებაა და უფალმა იყის, ვინ ვის შეახვედროს: „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო“ (ამ ანდაზის მეორე ვარიანტშიც ღვთის ნებას ესმება ხაზი: „ხელი ხელსა, მადლი ღმერთსა“). ზოგ ანდაზაში იმ აზრსაც ამოვიკითხავთ, რომ ხშირად ადამიანები ცოცხალს, გვერდით მყოფს, ნაკლებ პატივს სცემენ და გარდაცვლილზე პირფერულად ზრუნავენ სხვების თვალის ასახმელად: „კაცი ცოცხალს ემდუროდა, მკვდარს იმადლიდაო“. ქართველს არ გამოჰპარვია, რომ ხანდახან უმართებულოდ ეჩვენებათ, რომ რაღაც სასარგებლო საქმეს აკეთებენ და სხვები ამის გამო ემადლიერებიან: „ბუხსა ჰკითხეს: რათა ბზუიო? - იმიტომ, რომ როცა ჩუმად ვარ - მადლიერი არავინ არისო“ [ქართ. ანდ. 1998].

ინტერნეტფორუმებზე დაკვირვებამ წარმოაჩინა ტენდენცია, რომ ეტიკეტური თავაზიანობა ახალგაზრდობის დაცინვის ობიექტი გამდარა და უხამსობამაც კი ჩანაცვლა: „აქ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ საქართველოში მადლობა, ბოდიში, არაფრის, უცხო ხილია, არ დაუჯერო, უცხო ქვეყნების მოტრფიალეთა აზრია ეს მარტო და არ დაეჯერებათ მათ ამ საკითხში ისევე, როგორც სხვა ბევრ რამეში“ ([forum.ge/?showtopic](http://forum.ge/?showtopic)); „ისე გაიკვირვე, ვითომ ეხლა საქართველო შენთვის უცხო იყოს, რა, დიდი ხანია აქაურობა დატოვე? საერთოდ, უცხო ადამიანის მიმართ თავაზიანი ქცევა ვერ არი გაბეჯდარი მასაში. ტეხავს“ (*ფორუმი, იქვე*); „სიკეთის კეთება იშვიათობად იქცა დღეს, მადლიერება - მით უფრო. ის კი არა და ჩვეულებრივი ადამიანური მოვალეობის მოხდა დიდ კეთილშობილებად ითვლება ჩვენში“ ([forum.ge/?s=7](http://forum.ge/?s=7)), საზოგადოება წუხს, რომ ქართული თავაზიანობა ავიწყდებათ და გული შესტკივა ამაზე. ასეთი ლექსიც კი შეგხვდებათ: „ორ მივიწყებულ სიტყვას დაეძებ/ დავებრდი ბედის ბეზნა-ლოდინში/ თავის ადგილზე მინდა დაბრუნდეს/ სიტყვა - „მადლობა“, სიტყვა - „ბოდიში““ [[www.ambebi.ge/./16236](http://www.ambebi.ge/./16236)].

მადლიერების გამოხატველი სამეტყველო აქტის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია ისიც, თუ რომელი ქვეყნის საპასუხოდ მიიჩნევა ქართულ სინამდვილეში აუცილებლად მადლობის გადახდა. მადლობა, როგორც საპასუხო სამეტყველო ქმედება, გამოხატავს დადებით ემოციას-განწყობილებას, რომელიც ვერბალური თუ არავერბალური ქვეყნის მოწონება-აღიარებას. მთქმელის ინტენცია მრავალფეროვანია და ხშირად კომუნიკაციაში კომბინირებულია წარმოდგენილი:

1. ეტიკეტის ნორმების დაცვა ანუ „სახის“ დაკარგვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ზრუნვა - ამ დროს მადლობა ფორმალური, რიტუალურ-ეტიკეტურია (ტრანსპორტში ადგილის დათმობის, შესასვლელში გატარების, უცნობის მიერ დახმარების, სასიკეთო საქმის გაწვევის, თხოვნის შესრულების, რამის შეთავაზების, დაპატივების, კლიენტის მომსახურების დროს);

2. სტანდარტულ სიტუაციებში - პასუხი მისალმებაზე (გულწრფელი სიხარულის გამოხატვა ვინმესთან შეხვედრის გამო), რაიმე წარმატების ან თარიღის მილოცვაზე თანაგრძობაზე და სხვ.;

3. ემოციური მდგომარეობის (კმაყოფილება, სიხარული, აღფრთოვანება, აღტაცება, მოწიწება...) გამოხატვა ნაენობის მიმართ. ეს მადლობა პირდაპირი მნიშვნელობისაა, გულწრფელი და ნაკლებად სტანდარტული;

4. ადრესატის ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე ზემოქმედება (კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გულწრფელი შექება, ქათინაურისა და სასიამოვნო რამის თქმა...);

5. სიტუაციის, ადრესატის ან მისი ქცევის შეფასება;

6. სამაგიერო პატივის მიცემა, წაქეზება, წახალისება, მორალური მხარდაჭერა, გამოკმაგება, შექება.

ოფიციალურ სიტუაციებში (მომსახურების სფერო, ტრანსპორტში, აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლისას, სამეცნიერო კონფერენციებზე და დისერტაციის დაცვაზე, დიპლომატიურ ურთიერთობებში...) მადლობა კონვენციურ სფეროს განეკუთვნება და ეტიკეტის ნორმები არეგულირებს. დიპლომატიურ და პოლიტიკურ სფეროებში სიტყვიერად დროულად გამოთქმული მადლობა შეიძლება გაცილებით დიდ მიზნებსაც ემსახურებოდეს: ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაძაბულობისა და კონფლიქტის შერბილებას, ურთიერთობის გაუმჯობესებას.

რიტუალურ-ეტიკეტური მადლობის ნიშნად მოვიყვანთ ნაწყვეტს მოთხრობიდან „სოლომან მორბელაძე“:

• - ხომ მშვიდობით ბრძანდებით, ბატონო? - მოიკითხა სოლომანმა პელაგია.

- გახლავართ, შენი ჳირიმე!.. - უპასუხა მან: - თქვენ, ბატონო?

- გმადლობთ... გახლავართ, ისე!..

- კაი დაგემართოსთ! - წაილაპარაკა პელაგიამ (კლდ. 1965:9) ანდა სუფრაზე მოღებენის გამო მასპინძლის განსაკუთრებული მადლობა პლატონისადმი კარგი მოღებენის გამო (კლდ. 1965:61).

ეტიკეტური მადლობის ქვესახეობად მივიჩნევთ მადლობას, როგორც დადებით ან უარყოფით პასუხს რაიმე შეთავაზებისას:

- ყავას მიირთმევთ?

- გმადლობთ, არა, უკვე გეახელით. ანდა: - დიახ, გმადლობთ, დიდი სიამოვნებით.

უარის ნიშნად მადლობის ერთი მაგალითი (სტუმარი სახლში შეპატივებაზე უარს ეუბნება მასპინძელს): - - მოითმინეთ, ბატონო! - შეეპატივა ეფროსინეც.

- მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო... მეტად მადლობელი ვარ, მარა ნურას

უკაცრავად... სწორედ რომ არ შემიძლია... მომიტყეეთ, ნუ მიძრახავთ ჩემს

უზრდელობას... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“ (კლდ. 1965:5)

ასეთ შემთხვევებში დასაკონკრეტებელია, მთქმელი დადებით პასუხს გულისხმობს თუ უარყოფითს და კონტექსტი იძლევა საშუალებას, რომ დასკვნა სწორად გაკეთდეს.

მადლობა დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს როგორც მთქმელზე, ისე ადრესატზე. გურამ დოჩანაშვილი მოთხრობა „ნაბიჯის“ ერთ პერსონაჟზე წერს:

„მადლიერებისაგან გული აუჩუყდა, არადა, ლაპარაკი უჭირდა, ისე იყო ღონემბიდილი, მინც მოახერხა ხმის ამოღება: \_ მადლობა, დიდი მადლობა“ (დოჩ. [www.lib.ge](http://www.lib.ge)).

კომუნიკანტთა ახლო ურთიერთობისას შეიძლება ფორმალური მადლობა ირონიის საგნადაც კი იქცეს:

- \_ რავა ხარ, გოგია?
- \_ გმადლობთ.
- \_ შენი მადლობა რად მინდა, რავა ხარ ისე?
- \_ კარგად“ (დოჩ. [www.lib.ge](http://www.lib.ge)).

სულხან-საბა ორბელიანი იგაგში „ორმოში ჩავდებული მეფე“ დასცინის ადამიანს, რომელიც ჩადენილ სიკეთეს აყვედრის და თავს აბუზრებს მეორეს (ორბ. 1986:76). ქართველის აზრით, მადლობა თვით მთქმელის ინიციატივა უნდა იყოს, თან გულწრფელი. ქართველს სწამს, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ერთმანეთისაგან გააჩრევს ცოდვა-მადლს. ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ ნათქვამია: „აგე, მადლობის მთქმელი სად არის, \_ მანიშნა ცისკენ, \_ ის ეხლა იქიდან ორივეს დაგვეყურებს“ (ჭავჭ., 1977:298), მაგრამ ოთარაანთ ქვრივის „პილპილ-მოყრილი მადლი“, ტბილი სიტყვის მოძულება („რას მიქვიან ტბილი სიტყვა?“) (ჭავჭ., 1977:469-471) ჩვენი ყოფისთვის უჩვეულოა. ქვრივი არც სხვისგან იწონებდა გრძნობების გადაჭარბებით გამოხატვას, ზედმეტ მადლობას და გაჭირვებულ დედაკაცს პირში მიახლიდა: „მადლობა!.. შენთვის მაგრად შეიანხე, მონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია \_ მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...“ (ჭავჭ. 1977: 471-472). ამ შეხედულებას ვერ განვაზოგადებთ ქართულ ზუნებაზე, პირიქით, აშკარაა მადლიერების გამოხატვის აუცილებლობის აღქმა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მადლობის გამოყენება საპირისპირო მნიშვნელობით (დაცინვის, ვინმეს აბუზად აგდების, გამახსრების ანდა გახუმრების მიზნით), როცა კომუნიკაციური კონტექსტის მიხედვით ის ირონიულია:

- კიდევ რამე ხომ არ გინდა?
- არა, დიდი მადლობა, ყელამდე ვარ შენი პატივისცემით!; ანდა: უღრმესი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ!

მსგავსი სიტუაციის ინტერპრეტაცია და სწორად გაგება გულისხმობს ქვევთა მთელი კომპლექსის გაანალიზებასა და იმის ცოდნასაც, რა მოხდა ამ ინიციატამდე.

მადლიერების საპირისპირო გრძნობაა უმადურობა, რომელიც თითქმის ყველა სოციალურ დამგომბილია და კომუნიკანტის „სახეს“ დეკავით ემუქრება. უმადლო: ვინც ვისიმე მადლს, სიკეთეს არ აფასებს, ვინც ვისიმე (რისაზე) მადლიერი არ არის; უცმაყოფილო, მომდურავი. ზნა უმადურობა-ს კი აღნიშნავს, რომ ვინმე უმადურია, უმადურობას იჩენს. უმადურობა - უმადურის თვისება; უმადურად ყოფნა. ამიტომაც გამოიყენება ასეთი ადამიანის მიმართ შემფასებლური ლექსიკა: გაუგებარი, უზრდელი, ხეპრე, რეგენი, თავხედი და სხვ.

როგორც ვხედავთ, მადლობა, როგორც დიალოგური მთლიანობის კომპონენტი, ფატიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ერთეული და თავაზიანი ქვევის სტრატეგიის ნაწილია. მადლობის შემცველი გამონათქვამები სხვა ეტიკეტურ ფორმულებთან ერთად განეკუთვნება ექსპრესიულ სამეტყველო აქტებს.

მადლიერების გამოხატველ ენობრივ-არაენობრივ საშუალებათა არჩევანზე გავლენას ახსენს საკომუნიკაციო სიტუაცია, კომუნიკანტთა სოციალური სტატუსი და

როლი, ანუ ე. წ. საკომუნიკაციო კონტექსტი. ქართულში მადლობის სამეტყველო აქტებში გამოვყავით როგორც პირდაპირი, ისე ირიბი (უშუალოდ „მადლობა“ ლექსემის შემცველი ან დალოცვის, ქების, მოწონების ფორმულებით ჩანაცვლებული), რიტუალური, ემოციური, მოტივირებული, არამოტივირებული და ირონიული, მიმართვის ობიექტის მიხედვით კი – რეალური ან წარმოსახვითი ადრესატისადმი განკუთვნილი.

მადლობის მასტიმულირებლად შეიძლება იქცეს გარკვეული ვერბალური თუ არავერბალური ქცევა, ხოლო ამ სამეტყველო აქტის სწორი ინტერპრეტაცია დაფუძნებულია როგორც ადრესატის ფონურ ცოდნაზე, ასევე ფაქტორთა მთელ კომპლექსზე.

**ლიტერატურა:**

1. არუთხოვა ნ. დ. (1990): Дискурс. Речевой акт//Лингвистический энциклопедический словарь (гл. ред. В.Н. Ярцева). Советская Энциклопедия. Москва. 137-138. 412-413.
2. ბახტინ მ. მ. (1979): Высказывание как единица речевого общения// в его кн.: Эстетика словесного творчества. Москва.
3. ბერდიკოვა ა. გ. (2005): Речевой жанр благодарности: Когнитивный и семантико-прагматический аспекты: АКД. Новосибирск.
4. გაკიჯ. ვ. (1990): Высказывание// Лингвистический энциклопедический словарь (гл. ред. В.Н. Ярцева). Советская Энциклопедия. Москва.
5. სათ (1986): სამეტყველო აქტების თეორია, Теория речевых актов// Новое в Зарубежной Лингвистике. вып. XVII. Москва.
6. ფრმანოვსკაია ნ. ი. (1990): Речевой этикет// Лингвистический энциклопедический словарь (гл. ред. В.Н. Ярцева). Советская Энциклопедия. Москва. 413-414.

**ლექსიკონები**

ბუსმანი (1990): H. Bußmann, Lexikon der Sprachwissenschaft, 2. völlig neu bearb. Aufl., Stuttgart: Alfred Kröner = Kröners Taschenausgabe. B. 452.

სულხან-საბა ორბელიანი (1991): ლექსიკონი ქართულ. ტ. I (მომზადა ი. ახულაშვილმა, რედ.: ელ. მებერველი. გ. ქურციკიძე). საქ. მეცნ.-აკად., ხელმწიფართა ინსტიტუტი. მერანი. თბილისი. [www.lib.ge/dictionary.php?moq=1](http://www.lib.ge/dictionary.php?moq=1)

ქეგელ 5 (1958): ქართულ ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. ა. რ. ჩიქობავას ხაერთ რედაქციით). ტ. VIII. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

**წყაროები**

ახ. აღუქ. (1963): ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესს, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა. თბილისი.

დოქ. : გურამ დოჩანაშვილი, ნაბიჯი: [www.lib.ge](http://www.lib.ge)

კლდ. (1965): დავით კლდიაშვილი, მოთხრობები. განათლება. თბილისი.

ორბ. (1986): სულხან-საბა ორბელიანი, სიხრძე სიგრუნისა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

რუსთ. (1966): მოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. საბჭოთა საქართველო. თბილისი.

ქართ. ანდ. (1998): ქართული ანდაზები, შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემ. გაბრილიძის მიერ. ჯიხიაი. თბილისი (1935 წლის გამოცემის მიხედვით).

ქართ. მწერლ. (1981): ქართული მწერლობა, წიგნი I (V-XI საუკუნეების მწერლობა). საბჭოთა საქართველო. თბილისი.

ჭავჭ. (1977): ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად. ტომი I. საბჭოთა საქართველო. თბილისი.

[www.orthodoxy.ge/tserlebi/ena\\_mter/madliereba.htm](http://www.orthodoxy.ge/tserlebi/ena_mter/madliereba.htm)

[ucnauri.com/10/06/2010/მისალმება-და-მადლობის-თქ](http://ucnauri.com/10/06/2010/მისალმება-და-მადლობის-თქ)

[forum.ge/?showtopic=34003952&f=&st=45&](http://forum.ge/?showtopic=34003952&f=&st=45&)

[forum.ge/?s=7bbc86ef3b2241ad4fe67f1e9f9e0e4e...2177](http://forum.ge/?s=7bbc86ef3b2241ad4fe67f1e9f9e0e4e...2177)

[www.ambbeli.ge/.../16236-chemi-tsvajbith-dzallan-bevri-adamianj-moevliina-am-gveyanas.html](http://www.ambbeli.ge/.../16236-chemi-tsvajbith-dzallan-bevri-adamianj-moevliina-am-gveyanas.html)

## Linguistic Means of Expression of Gratitude and Semantic-pragmatic Aspects in Georgian

### Abstract

Gratitude, as the component of dialogue unity, is one of the basic units of phatic communication and part of strategy of polite behavior, necessary attribute of relation of society members. The phrase expressing gratitude, alongside with other etiquette formulas refer to the expressive communication acts.

The power of illocution power of the intonation and gratitude-containing expression of the speaker must be explained on the basis of "face" theory, as the use (or omission) and form of gratitude conditions maintenance or loss of "face".

The choice of gratitude-expressing linguistic-non-linguistic means is influenced by the communication situation, social status and rose of the communicants, i.e. the communication context. In Georgian gratitude-expressing communication acts we have pointed out direct, as well as indirect (containing directly "thanks" lexeme or substituted by blessing, praise, approval formulas), ritual, emotional, motivated, non-motivated and ironic, and according to the addressed object – intended for the real or imaginary addressee.

Specific verbal or non-verbal behavior can serve as a stimulator for thanks, and the correct interpretation of this communication act is based on the addressee's background knowledge as well as the whole complex of factors.

თამილა ზეკალაშვილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

### ლექსიკურ ერთეულთა დაჯგუფების ზოგი პრინციპი მწერლის ენაზე მუშაობისას

მხატვრული ლიტერატურის ენა საერთო ეროვნული სალიტერატურო ენის ორგანული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამავე დროს მასზე მეტია, რადგან შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის. მწერლის ენის თავისებურათა შესწავლისას გასათვალისწინებელია მისი თანამედროვე სალიტერატურო ენის ყველა ნიშან-თვისება და ამ ენის ადგილი ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარებაში.

მწერლის მიერ შერჩეული ყველა სიტყვა ვერ იქცევა სალიტერატურო ენის კუთვნილებად, თუმცადა მწერლობის ღირსება სწორედ იმ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის წარმოჩენაა, რომელსაც მეტი უნარი აქვს საერთო სახალხო ენის კუთვნილებად იქცეს. სოციუმის ენობრივი ხატი საუკეთესოდ სწორედ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში აკუმულირდება.

ოტია იოსელიანი სწორედ ის მწერალია, რომლის შემოქმედებაც მდიდარ მასალას იძლევა ენაში დაუნჯებელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის წარმოსაჩენად. დიალექტში შემონახული, მწერლის მიერ მოპოვებული და მხატვრული ტექსტის მეშვეობით სალიტერატურო ენაში შემოტანილი სიტყვები ფაქტობრივად ენის სარეზერვო ფონდს წარმოადგენს. ოტია იოსელიანის მხატვრულ თხზულებებში წარმოჩენილი ორიგინალური სიტყვა-თქმების საფუძველი სწორედ დიალექტური ლექსიკაა, ზოგჯერ – ქართველური ენობრივი მასალა.

მწერლის ენაზე მუშაობისას ლექსიკურ ერთეულთა დაჯგუფებას სწორედ ამ პრინციპით ვახდენთ. გამოვყოფთ დიალექტიზმებად გააზრებულ არქაულ ფორმებს, რომელთაც შესაბამისად დავიმოწმებთ ბევრი ქართული ტექსტებიდან და ბევრი ქართული ენის ლექსიკონებიდან.

ქართველური ენობრივი მასალა წარმოდგენილი იქნება სათანადო შესატყვისებით, ხოლო საკუთრივ დიალექტური ლექსიკიდან გამოიყოფა ის სიტყვები, რომლებიც სხვა დიალექტებშიც გვხვდება და, რა თქმა უნდა, ის ფორმები, რომელიც მხოლოდ

იმერულისათვის არის დამახასიათებელი. ყველა სიტყვის განმარტების შემდეგ ეურყენებთ საილუსტრაციო მასალას, რომლის გარეშე, ცხადია, ვერ შეიქმნება ლექსებთან კონტექსტური გამოყენების რეალური სურათი.

1. დიალექტურად გააზრებული არქაული სიტყვები:

არქაიზმი, როგორც ცნობილია, არის მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა, გამოთქმა ან გრამატიკული ფორმა. არქაიზმები გამოიყენება მხატვრულ ნაწარმოებში და მას გარკვეული სტილისტიკური ფუნქცია აქვს – წარმოაჩენს იმ გარემოს, რომელიც ასახვის საგანს წარმოადგენს.

ოწინარი – ძელი შემზადებული ადვილად დიდთა ქვათა ასაღებლად და

მაღლა ოსტატისა თანამოსატანულად (საბა, 1991, 611);

ზღრ: ო-ჰინ- არ-ი – საკიდელი (საბა, 1991, 84);

ქეგლის მიხედვით, ოწინარი არის ჰიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა – მაღალი ბოძი, რომლის თავშიაც გაყრილია მოძრავი ასაწევ-დასაწევი ძელი [ძვლ. ერთობილი, 1990, 729];

ოტია იოსელიანი სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს მას: „ხის გვიძი, ოწინარი, ჰიშკარი და ღობე-ყორე მათი გული იყო, ყველაფერი გესალბუნებოდა“ (1965, 41);

გვიძი – ჯურღმულის თონე წყალთათვის [საბა, 1991, 180]; ქეგლის მიხედვით გვიძი არის საკვამლე მილის ის ნაწილი, რომელიც სახურავის ზევეითაა // ჰის თავზე დადგმული თიხის, ფიცრის ან წნელისაგან გაკეთებული ცილინდრული დანადგარი, გვირგვინი (II, 1442);

ვბერიძე მას ღრუდოს უწოდებს, რასაც განმარტავს როგორც ხეს, კოდს. ღრუდოს სახასთან სხვა მნიშვნელობა აქვს: „ესე არს ორმო ამოთხრილი და გამოხერეტილი წყალთოვინისათვის ურწყულთა ადგილთა. ღრუდოს უწოდებენ მდინარის კიდეთა წყაროსა, გამომდინარესა კლდის ხერულთაგან, ზამთარ თევზთა საბუნაგოსა“ [საბა, 1993, 257];

ქვემოიმერულში გვიძი არის ჰის ამოშენებული ნაწილი ქვისა (შეიძლება იყოს ხისაც): „ხის გვიძია ჩანგრეული, ცხრა საყენიან ჰიდან წყალს რომ იღებ, სათლი ეხეთქება კედლეს.“ (I, 204); „ვედრო კი ისევე ქვის გვიძს მიეხალა“ [1965, 433];

ზუჯერი – ჰურჭელთა წალო (ზურეწი) – საბა, 1991, 124;

ქართული ენის კოლონში დღეს გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. გურულში აღნიშნავს ცომის მოსაზელ დიდ გომს (ვბერიძე), ლეჩხუმურში სახლის კუთხეში დატანებულ თაროს [მაღაჩიძე], შინაურ ფრინველთა ზუდის სახელიცაა [შნიფარძე]. ქეგლში განმარტებულია როგორც ჰურჭელულობის დასაწყობი თარო საშხარელო სახლში.

ქ. მოწინიძის მიხედვით, ზუჯერი არის საშხარელოში ჰურჭლის და ნაშხადის შესანახავი [1974, 63]; ქვემოიმერულშიც ამავე მნიშვნელობით გამოიყენება: „არა, ზებია, - ვთქვი მე და საშხადისში შევირბინე, ზუჯერში საჭმელი მოვიძებნე.“ [1965, 369];

ლაგაზი – ტალახი ძნელად გამოსარეცხელი, ტალახი მიმკრავი, მიძნები, [საბა, 1991, 403] იმერულში ლაგაზი მიწა თიხამერეული, ოდნავ ნესტიანი შავი მიწაა.

ლაგაზდება – ერთმანეთს ეკვრის, იტკეპნება [მოწინიძე, 1974, 213], „რა ჩადგება ახლა მუხლამდე და იდაყვებამდე ლაგაზ ტლაპოში“ [I, 32];

ნაოში – გაზაფხულზე ხელმეორედ გადახნული, გაფხვიერებული მიწა.(იმერ.) [ლონტი, 1987, 408];



საბასთან არის ომეა - მეორედ ხნა [1991, 610]; ომეა - ხნულის მეორედ გარდახნვა, მეორედ სახნველით გარდათხრა, მეორედ მოხვნა [1991, 5];

„პირველი ხნულის მერე გზას უკან ადგებიან და ნაოშს შუაში იქცევენ“ [1,95];

ხვიშირი - მარცვლეულის საწყავი ჭურჭელი [საბ., 1993, 441]; „არაეინ ადანთის სათელი და შედგის იგი ქვეშე ხვიშირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგან, რაითა ნათობდეს ყოველთა.“ („აბ. წამ.“);

ქეგლში ეს სიტყვა ასე განმარტებული: „წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებული ვიწრო ფიცრის ყუთი, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის.“ [VIII, 1442]; ქ. ძოწენიძის მიხედვით, ეს არის დასაფქვავე მარცვლეულის ჩასაყრელი ოთკუთხა წაკვეთილი პირამიდისებული ხის ჭურჭელი, რომელიც ვიწრო ბოლოთი (ყელით) მაცვლეულს აწედის კრიჭას [1974, 511]; ამავე მნიშვნელობით გამოიყენებს მას ო. იოსელიანიც: „ახლა მაინც არ ამევსო ხვიშირა - სინანულით თქვა და უკვე შეგუბებული წყალი ღარში გაუშვა“ [1965, 91];

„ხვიშირას უკვირდა, რომ უძრავად იდგა დოლაბები და დუმდა მოუსვენარი სარეკელა“ [1965, 179];

სოხანე - დატყეპნილი მიწის იატაკი [ზ. სარჯველაძე];

„სოხანესა ზედა განმსუენებელი სხეულისა და წყაროსა თანა დამგრილებელი მისი.“ (A = 52, 26 - 3. ვ - IV); ქართული ენის ცილოებში (რაჭ., იმერ., ) დღეს ამავე მნიშვნელობით გვხვდება [ალ. ლლოტი, 1984, 499];

„კარის ზღურბლიდან ახლა ფეხი სახლში ჩავაბიჯე სოხანეზე“ [1965, 111];

ლოხი - ა) მძორ - მძიმე ცხოველი; ბ) ორაგულის მსგავსი დიდი თევზი, მკლე და უგემური (საბა, 1991, 423); ქეგლის მიხედვით, ლოხი არის ზანტი, ზარმადი ცხოველი // უღონო, უჯანო ადამიანი, დონდლო, უგერგილო [IV, 1585]; ო. იოსელიანი ძველი მნიშვნელობათ გამოიყენებს ამ სიტყვას:

„როგორი დიდი, ლოხი ტანისაც არ უნდა იყვნენ, მაინც ცეტ, ცქაჟ ფინიებად გადაიქცევიან“ [II, 170];

კოკობზიკა - დუბჭირი ვინმე ცდილობდეს შეენიერად გამოჩნდეს [საბა, 1991, 380];

უმნო და ულამაზო, ცდილობს მოხდენილი გამოჩნდეს [ქველ. IV, 1262]; იმერულში ნაწილობრივ შეცვლილი აქვს მნიშვნელობა. ო. იოსელიანი მას პრანჭიას, მეტიჩარას სინონიმად მოიაზრებს:

„რა სახელია ლიანა, ყოველ კოკობზიკას ჰქვია!“ [1965, 133];

ჭალიკონი - სასტიკი ქარი, ზღვათა აღმამფოთებელი [საბა, 1993, 397];

სამზრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი გურია-სამეგრელოში [ქველ. VIII, 1227];

იმერულში დასტურდება ძველი მნიშვნელობით: „ამოვარდა, მაგრამ რა ამოვარდა... ჭალიკონზე უარესი ქარტეხილი“ [!, 214];

მანჭვალი - ჩასაყარი ლურსმანი [საბა, 1991, 437]; დიდი ლურსმანი, სამჭვალი (დ. ჩუბუნ.); შდრ. მანჭვი - პატარა ხრახნილი [პ. გაჩეილაძე, 1976, 91]; ქართული ენის დიალექტებში მანჭვალი სხვა მნიშვნელობით დასტურდება. იგი აღნიშნავს ხის პალოს. (რაჭ.-ლეჩხ). ამავე მნიშვნელობით გამოიყენებს ო. იოსელიანიც:

„ღუმელთან გადააბრუნებ რაღაც მანჭვალს, გაკრავ ასანთს და აბრიალდება ცეცხლი“ [II, 170];

წირთხლი - კარის ანყოლი [საბა, 1991, 380];

„იქვე, კარის წირთხლთან მიდგმულ სკამზე მუხლებმოსავეებული ეშვება“ (I, 107).

სიტყვა სხვა მნიშვნელობითაც იხმარება, კერძოდ, აღნიშნავს ა) კარის ან ფანჯრის ერთ გვერდს [ქველ. 7, 1038]; ბ) ალაყაყის კარის – ეზოს დიდი ჰიშკრის სვეტს (ლეჩხ) [ალ. ლლონტი, 1984, 275]. ილია აბულაძე ამ სიტყვას განმარტავს, როგორც ზღურბლს: „წირთხლთა თანა კარისა შენისათა დასდევ სახსენებელი შენი“ [ი. გ. 57ა, 549];

კარაპანი – ძველი კალოს სახლი [საბა, 1991, 353]; კარაპანს უწოდებენ კალოს პირას ნაგებ სახლს. კარაპანი სომხურია, ქართულად არდგმული ჰქვია [1991, 61].

კარაპანი // კარაპი – ზღურბლი [ილია აბულაძე];

„გარდმოვიდა მეფემ ნავისაგან კარაპად.“ (192)

კარაპანი // კარაპანი – წინკარი (ა. გაჩ.)

ოტია იოსელიანი სიტყვას თავადვე განმარტავს:

„კარისაკენ წავედი, მაღალ კარაპანზე (ზღურბლზე) გადავალაგე და აივნის სოხანეზე დავდექი“ [ი, 155].

წყრთა – ხელის ნაწილი იდაყვიდან თითის წვერამდე, სიგრძის საზომი [საბა, 1993, 395]; დამონებული აქვს ილია აბულაძეს: „არა შორს იყენეს ქუეყანასა, არამედ ორას წყრთასა ოდენ“ - ი. 21, 8; „ვხედავ მე ცელსა მფრინვალესა სიგძით ოც წყრთასა და სივრცით ათ წყრთასა“—0, ზაქ. 5,2;

იმერულში დღესაც გამოიყენება ძველი მნიშვნელობით:

„წაჰყარა წყრთა წყვილ-წყვილი ტაროები“ [ი, 208];

გოროხი – მიწა, გასატყორცნი ქვასავით [საბა 1991, 167]; გამხმარი, გამაგრებული მიწა, ბელტი [ქველ. IV, 1475];

„ნაუცბათევად მოგაყრიან გოროხებს, ნატეხა ქვასაც საფლავზე არაივნ დაგადებს“ [ი, 108].

კზოდე – საბას განმარტებით ესაა ზღვისა და წყლის პირი, კლდოვან-ფლატინი / [1991, 363]; ასევე განმარტავს ილია აბულაძეც: „შეკრბეს ტუალნი იგი წმიდათანი მათ კზოდესა ერთსა ქუეშე მის წყლისასა“ [სახტ 142, 21]; კზდოვანი—კლდოვანი (ზ. სარჯველაძე): „ვითარცა იგი ებიებდეს კზდოვანსა მას, პოეს ლომი საშინელი“ (ლურ-391, ვ-2-33);

იმერულში კზოდე ციყაზო, დამრცე და მიუდგომელ ადგილს აღნიშნავს: „გადმიდან მაღალია, კზოდეა, დიდი ხნის დამკლავულ ფესვებს ამოვეყვებით და ამოვდივართ“ (I, 103); „ბებური აკაციის ძირში, კზოდეზე რომ ალაგე გვაქვს, იქით მიდის“ (I, 159); „იქით ცხოვრობს, ღობის გადაღმა, თვალეზგადმოცევილი ამომერა ჰიშკრის პირდაპირ, კზოდეზე“.

ტრიზა – ცხენის ფერმა რომ კაცს ტალახი შესახას [საბა, 1993, 141];

გატრიზავემა – კარგი სიტყვა რომ წაუხდინოს მტერობით საბა, 1991, 150];

იმერულში გატრიზავემა შერცხვენას, მასხრად აგდებას, დადინვას ნიშნავს:

„შე ქალო, გამძიპვემა ქე გვაქვს გაგონილი...– გაუტრიზავეზია რძალი“ (1,21);

ლიზლი – კადნიერად ხუმრობის ურიდალი. ლიზლობა – რა კაცი უაღრესსა და უპატიოსნესსა თვისსა კადნიერად და ხუმრობით იტყოდეს და წყენას არ ელოდეს. (I, 415);

„ასეთები მარტო ურცხვად, უნამუსოდ, უსკვირად კი არ შემოგვიცინებენ, გელიზღობიან.“ (I, 170).

ლარტყა – ბრტყელი ლატანი (ძელი) [საბა, I, 407]; ოთკუთხა და ბრტყელი ძელი სხვადასხვა დანიშნულებისა [ქველ. IV, 1486]; საწოლზე გადებული თხელი ფიცარი, ლეიბის დასაფენი (იმერ);

„ეს ჩვენი ლეიბის ქვეშა თამაშები და ლარტყები ორი თითის სიფართოა. (I, 102).

ხვინჭკა – წერილი კენჭი. გამმარტებულია სულხან-საბასთან: ხვინჭა - წყალთ კენჭი. (1993, 485). ღუნჭა – წურილოვანი ქვა, კენჭი (ი. ახლაძე); „შთაგდის ზუღესა მას შინა ღუნჭამ ერთი მცირე.“ (ბ. კეს-ექუს.დდ. 99, 28);

ოტია უოსელიანი ძველი მნიშვნელობით გამოიყენებს:

„თავმომწონე ზაბუაშენს ფსკერგავარდნილ ქალანებში ხვინჭკა და ხრემი ფებისგულეებში უხიციანება.“ (II, 264);

ზემოიმერულში დასტურდება ხვინჭკარო – ხვინჭკიანი: „ხვინჭკარო მიწაზე კარგათ ივარგა ზოსტანმა.“ [მოწინიძე, 1974, 51];

## 2. დიალექტურად გააზრებული ზანიზმები:

ქვემოიმერულში ყურადღებას იქცევს ზანურის კვალი, როგორც ფონეტიკა – მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებში, ისე ლექსიკაში. ზანიზმები აქ დიალექტიზმებად არის გააზრებული და ამავე ფუნქციით ეხედებით ოტია იოსელიანის თხზულებებშიც:

ქვიფია – „თიხის, ხის, მინის... ღრმა თეფში, რომელიც გამოიყენება შინაური ფრინველებისათვის წყლის ჭურჭლად.“ ეს სიტყვა ლექსიკონებში შეტანილი არ არის. ოტია იოსელიანი აღნიშნული მნიშვნელობით გამოიყენებს:

„ნაყარას მე და ჩემი ძმა ხშირად ხელით ვაჭმევდით... წყლიან ქვიფიასთან რომ დავესვამდით და წყურვილს იკლავდა, გვეგონა, მადლობას ღმერთს კი არა, ჩვენ გვიხდიდა“ (I, 58);

აღნიშნული სიტყვისათვის ამოსავალი უნდა იყოს მერულში დადასტურებული ხვიპი // ხვიპია – ღრმა თეფში. (ხვიპი კობიტა – ხის ღრმა თეფში).

ხვიპუა – (ხვიპუას) სახელი ხვიპუნს ზმნისა წყვეტ-წყვეტით, ხმაურით სმა, ხერეპა. (ო. ქაჯაია).

ბ/ქ, პ/ფ მონაცვლეობა ქართველური ჯგუფის წევრებისათვის უცხო არ არის.

ხვიპი – საინი – *рынокная тарелка* [ყოშიძე, 1994, 403].

ვარაუდობენ, რომ ხაპი/ზოპი აღნიშნავდა ღრმულის მქონე საგნებს [ბ. სუხივილი]. მათ შორის – გარკვეულ ჭურჭელსაც.

ზოპ-ი (რაჭ.) – ხის პატარა ნიჩაბი [ღლონტი, 1984].

ზოპე (ლეჩხ.) – ფართოპირიანი ხელსაწყო. ხმარობენ ხილის მოსაკრეფად, ქვევრში წარეცხი წყლის ამოსარეცხად [ღლონტი, 1984].

ზოპო (იმ) – ღრმა საინი, მათლაფა [ხეროზაშვილი, 1981].

ზოპინტურა (რაჭ.) – ბევრის მჭამელი, ღორმუცელა. [ღლონტი, 1984].

სახეუქელი – ზადეა ერთგვარი [საბა, 1991].

დამარწველებული – გასუფთავებული გაკრიალეული, მზინეარე: „გუბისწყლიდან რომ ამოხვალ ამ შაბათ-კვირას და დახნული, დათესილი და დამარწველებული დაგხვდება ეზო-გარემო, დალოცავ“ (I, 97);

მერულში არის ზმნა *რწკინუნს* – ზზინავს, ბრწყინავს, ბრწყყვილებს, ელვარებს: „ვარჩილიცალო რწკინუნს, ვერცხლივით ბრწყინავს.“ რწკინა, რწკინაფა – ზზინევა, ბრწყყვილი [ქაჯაია];

აქედან მიღებულია მარწკინია (ციცინათელა) რაც ბრწყინავს. შდრ. ტოპ. ორწკინაია – ბრწყყვილა [ცხადაია];

**დაფუნჩხული** - დაფხვნილი, დაფშვნილი: „ყოველი ბელტი უნდა ამოტრიალდეს და ზედაპირი ქვეშ მოექცეს, გაქაროს, გაშრეს, აწვიმოს, ათოვოს, წაყინოს და დამუშავდეს, **დაფუნჩხულდეს**“ (I, 208);

**მერ:** ფუჩხა (ფუ ნ ჩხას) - ნამცეცი, ნაფშვნი, ნაფხვნი:

**ფუჩხოლუნს** - დამტკრევა, დამსხვრევა, დანამცეცება, დაფშვნა: „ხეშა ქუსით ქიდოთანსინი, ირფელს დოფუნჩხოლუნს“- ხელში რასაც ჩაიგდებს, ყველაფერს დაფშვნის (დაამტკრევეს) - [ჭაჯაია].

**შდრ.:** ფინჩხა (გურ., იმერ.): გამომცხვარი პურულის ან ღობის ნაფშვნი, ფხვნილი, ნამცეცი (ალ. ღლონტი). „მღვდელმა რომ სეფისკვერი მომცა და ფინჩხა არ დაგივარდეს, ისე შეჭამეო, რაეა არ გემახსოვრება?“ (I, 44); ფინჩხა იმერულში რაოდენობის (ცოტას) აღსანიშნავადაც გამოიყენება: ერთი ფინჩხა ყველი, ორი ფინჩხა მჭადი;

ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით, ფუნჩხ // ფინჩხ ფუძე მეგრულში ნასესხებია აფხაზური ენიდან.

**ბარჩხალა** - კამკამა: „აგერ, ამ სააგურის ფარდულეებიდან უცქერი, მართალია, ბარჩხალა მზეა და ჰაერი... სუფთაა და კამკამა“ (I, 79);

„ბარჩხალი“ მეგრულში აღნიშნავს ბზინვას, ელვარებას, სხივების ფრქვევას: „სქანი თოლუფიმი ჩხორია გვალო ბეამი ბარჩხალი რე“ - შენი თვალუბის სხივები მთლად მზის ელვარებაა.

**ბარჩხალა** - რასაც კაშკაში, ჩახჩახი გააქეს - ჩახჩახა [ჭაჯაია].

აღნიშნული ლექსემა იმერულში იხმარება აგრეთვე სუფთას, გაკრიალებულის მნიშვნელობით: „ისე გაუკრიალებია, სულ ბარჩხალი გააქეს“.

**წყისე** - ბუბუს ავადმყოფობა (მეგრ.);

ძროხა ხზოს რომ მოიგებს, ზოგჯერ თან დაჰყვება ბუბუს ტკივილი. ამიტომ, ხზოს არ იკარებს, შემდეგ უზურდება ბუბუ და ეწყება ანთება. მკურნალობენ ბალახით და უმარილო ღორის ქონის მალამოთი.

**წყლისე-ე** // **წყისე** (იმერ.) „ეკიმბამობს, ძროხის წყისეს წამალს აკეთებს.“ (I, 174);

სავარაუდებელია, რომ ეს სიტყვა იმერულიდან შევიდა მეგრულში.

**მოჩოთი** - წამოზრდილი. **შდრ.** მოჩოთილი, იგივეა, რაც მოჩიტირილი მოჩიტებული, წამოზრდილი (მეგრ.) [ჭაჯაია];

„ნაგარას ვარიობაე არ ეთქმის, მოჩოთია - დასაკლავად გაუმეტებელი.“ (I, 56).

**ბარჯგი** - ბომი, ბურჯი, სვეტი (ქველ. I, 986); **შდრ.:** ბარჯგი ქეთულდი - ბომად შეუწყენე (მეგრ.);

„ჩვენი ოთხი ქვის ბარჯგზე შეყუდებული ნალია გადაეწვია თავისი მოვალეობის შესრულებას.“ (I, 210);

**ჩხოტვა** - ხის ფოთლის კრეფა, ხისათვის ფოთლების გაცლა (ქველ. VI, 563) **შდრ.:**

**ჩხოტორი** - გაკაწრული, გახლეჩილი.

**ცხოტ** - ცხონტუა - ტოტების ჩამოჭრა, კაფვა (მეგრ.);

„ნალის გვერდით, ტყელოს მირში, აზრეშუმის ჭიის საკვები ბოლის ნაჩხოტი წენელებია.“ (I, 93);

„გზადაგზა წაჩხოტე ეს ტყის ხილი, შეიყარე პირში.“ (I, 217).

**ოჯინჯალი** - შუა ცეცხლის ზემოთ ხის მოწყობილობა, რომელზედაც ჰკიდია ჯაჭვი [ქველ. VI, 102].

ო-ჯინ-ჯალი ზანური ფუბეა, რომელშიც გამოიყოფა „ძირის“ აღმნიშვნელი ჯინ, ჯინჯი და „ძელის“ (ხის) აღმნიშვნელი ჯალ ფუბეები, ე.ი. ოჯინჯალი არის „საყრდენი ხე“ ანუ ძირი ხე [ჭერაძე, 2006, 54].

„ვითომ წამოკიზინდება ცეხლი... კვამლიც ნოტიო ნისლის ხუთრივით ოჯინჯალამდე თუ აღწევს“ [4, 153].

3. სიტყვები, რომლებიც ძირითადად ქვემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი აქედან

ა) ნაწილი შესულია ლექსიკონებში:

კიზინი, დაკიზინება - ცეხლის ნელ-ნელა გაღვივება, დანთება. (აღ. ლლონტი); შდრ. კიზილი—ნელი ცეხლი [ლუხ];

კიზინობელა - მოკიაფე, ანთებული: „მერე ვაკიზინეთ ცეხლი, მესერისა და ცერადმულის მაგიერ წგნელის ღობე ვლობეთ.“ (I, 41); „კიზინობელა ლამპიდან... ნახევარ ჳიქამდე ნავთი საურმე ჳრატში გადაწურე.“ (1965, 447);

ძიბგვაბი - ეკლნარი, მიუდგომელი ადგილი [ლონტი, 688]; იმისთანა ძიბგვაბს მიმაყნა, ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანს.“ (I, 207);

კორტოხი - გორაკი, ბექი, მალღობი [ჭელ, IV, 146]; „ასი კილომეტრი ფეხით რომ გაიარო შაე ზღვამდე, ბორცვი და კორტოხიც კი არ შეგხვდება.“ (I, 40);

მაკვარანები - ანცი, ეშმაკი [ლონტი, 340];

მაკვიტი - კვიმატი, უკუღმართი [ლონტი, 340]; „ჩვენ ობლები ვართ, არც მაკვიტი და მაკვარანები, უმატონოდ ხმას არავინ გაგვექმს.“ (I, 46);

ყვანი - საზოგადოდ პატარა. (პატარა საზამთრო, ნესვი, კვახი; გადატან. სულელოზე იტყვიან - აღ. ლლონტი);

„ორ-სამ მუჳის ტოლა ყვას გამოიბამდა და არც ფერი უფარგოდა, არც-გემო.“ (I, 40);

ბოკონი - ძველებური ოდა-სახლის გამოშენებული ადგილი ბალავარსა და სამირკველს შორის [ლონტი, 79];

„სოფლის განაპირა მოსახლეს... ბოკონზე გამობმული მაკე თხა აუხსნენს“ [1965, 459];

ქილუქი - ფიცრების ნასკვი სახლის კუთხისა [აღ. ლლონტი, 570];..

„თოხები სამივე იქ ეწყო, სამზადისის უკან, ქილუქზე მიყუდებული“ [1965, 49];

ძრავლი - ძელა, დიდი ხე კერაზე- [ჭელ, VII, 778. დამოწმებულია ო. ოსელიანი];

„ჯირკი შემოიტანე, ცეცხლს ძრავლი უნდა, ბებია, რავარე უკაცო ოჯახი არ ვარგა, ისე უძრავლო ცეცხლი.“ (1965, 405). და სხვ.

ბ) სიტყვები, რომლებიც არ დასტურდება არსებულ ლექსიკონებში:

ხსტე - ეკლიანი ღობე: „ნაკაფები ძიგენარებით, ხსტეებით და ძეძვებით დაიფარა (I, 131);

ყეყერა - გამზმარი ღერი: „მმას სტუმრის ხათრით ბოგის საპირეში თავმოკრული ძროხისათვის ჩალის ყეყერე ამოუღია.“ (I, 156).

ჭვიჯანა - იტყვიან დაბალ, მსუქან ადამიანზე: „აგერ ვარ - წინ წამოდგა ჳვიჯანა გოგო.“ (1965, 438 ).

მეცეცხური - კარის მეზობელი: „მეცეცხური მეზობელი დალაქია, ჩვენი კი არა, თავისი ეზო არ დაუხნავს.“ (I, 89);

განძელი - ლიანდაგის რკინა (პურისტების მიერ ხელოვნურად შექმნილი სიტყვა): „რამდენზე შეეძლებ, უნდა დავდო მათუთგამომშრალ განძელზე.“ (I, 51);

მუხური - საგანგებო კრამიტი, ორი სიბრტყის შემაერთებული, რომელიც ხელს უშლის წყლის გაყონვას)

„ქარმა კრამიტანი სახლებიდან ჩამოყარა პირველ-მეორე მწერეები და დაკირული მუხურები.“ (I, 214);

მიამგუნებს – მიაჩვევს:

„ერთდროულად ორ კრუხს დასვამდა და მერე წიწილებს ერთ დედას მიამგუნებდა.“ (I, 57);

დაგენმდეს – დახვედეს, გამდიდრდეს: „შეიყაროს ბოლოს და ბოლოს იმ გამოცარიელებულ ნალიაში ჰირნახული და დაგენმდეს ოჯახი.“ (I, 205);

წვიტინა – უსიამოვნოდ სისინა: „გათელილი ქამენიე ბალახის წვიტინა, გამჟოლი სურნელი ცხვირის დაგემინებას მოგანდომებს“ (I, 92);

სილაღი – იმერხეულში იარაღს, თოფ-იარაღს აღნიშნავს [ლლონტი, 48]; იმერულში იტყვიან კარგად ჩავბულ, მოკაზმულ ადამიანზე, კაცზე: „რავალი კი ჩასილაღებული კაცი ყოფილა აგერ... და რავე მომივიდა, ვერ დავინახე.“ (II, 545);

ფინდიკი – მზატე, მსუბუქი: „ჩემს ფინდიკ წონას ფასი დაედო, დამბიძა.“ (I, 104);

აფორაჯება – აწითლება, აქარხალება, სახეზე წითლად დაწინწეკლა: „სახე აფორაჯებია, ტალეზად აყრია სიწითლე.“ (I, 106) და სხვ.

სტატიაში მხოლოდ მასალის ნაწილია წარმოდგენილი, თუმცა, ალბათ, ესეც საკმარისია, მიუხედავად, რამდენად მდიდარია და საინტერესო ოტია იოსელიანის ენობრივი სამყარო.

ენობილია, რომ სალიტერატურო ენის გამდიდრებასა თუ სრულყოფაში დიდია როლი მწერლებისა, რომლებიც თავიანთი თხზულებებით მივიწყებულ სიტყვებს აცოცხლებენ, ლექსიკონის მარაგს ააქტიურებენ და ამით ხალხის წიაღიდან შეთვისებულ – შესისხლბორცებულ ლექსიკას, მის მნიშვნელობას წარმოაჩენენ სალიტერატურო ენისათვის. სწორედ ერთერთი მათგანი გახლავთ ოტია იოსელიანი, რომელიც დიალექტური ლექსიკური ერთეულების გამოყენებით ქმნის ეთნოკოლორიტს, წარმოაჩენს ადგილობრივ რეალიებს, რაც უდიდეს მხატვრულ ფუძეს იძლევა და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.

#### ლიტერატურა:

1. ახულაძე ი. (1973): ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
2. იოსელიანი ო. (1965): „ვარსკვლავთიკვანა“. გამომცემლობა „საქართველო“. თბილისი.
3. იოსელიანი ო. (1989–1991): რჩული თხზ. ორ ტომად. I-II. გამომცემლობა „საქართველო“. თბ.
4. ორბელიანი ს. ს. (1991–1993): ლექსიკონი ქართული. ტ. I-II. გამომცემლობა „მერანი“. თბ.
5. სარჯელაძე ზ. (1995): ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თსუ გამომცემლობა. თბ.
6. ქაჯაია ო. (2001–2002): მეგრულ-ქართული ლექსიკონი. I-II–III. გამომცემლობა „ნეკერი“. თბ.
7. ქერქაძე ი. (2006): „ეტიმოლოგიური შენიშვნები“. არნ. ჩიქობავას საკითხები“. გამომცემლობა „ქართული ენა“. თბილისი
8. ქეცელ (1950–1964): ტ. I-VIII. საქართველოს სსრ სსა გამომცემლობა. თბ.
9. მონენიძე ქ. (1974): „ზემოიმერული ლექსიკონი, აჟნათლება“, თბ.

Tamta Zviadadze

### Some Principles of grouping of Lexical Units in the process of working on the Writer's Language

#### Abstract

Imeretian is the widely used dialect of Georgian language (together with Kartlian).

Imeretian has determined the main tendencies of development of Georgian literary language.

The writers from the west Georgian region of Imerety widely use wealthy treasure of Imeretian dialect.

Otia Ioseliani is one of the most impressive representatives of writers from Imereti region. He establishes his reputation as a short-story writer, dramatist.

The influence of dialecticisms left profound impression on the works of O. Ioseliani.

There is double meaning of dialecticisms: they create ethnic colour and show fine psychological studies of the life of Georgian province.

All of Otia Ioseliani's works demonstrate the writer's mastery of form: an economical and exact rendition of a keen sense of form (place), often an interest for provincial region, depth of the country, equally economical skill in character through dialectic speech.

The dialecticisms are shown through unusual vocabulary and phraseology.

There are a lot of unusual syntagmas in the stories of Otia Ioseliani. There are not shown at dictionaries. Their semantical meanings are not usual.

There are some groups of dialecticisms:

1. Usual Imeretian dialecticisms;
2. Zanizms as dialecticisms;
3. The dialecticisms usual in other regions of Georgia;
4. The dialecticisms we cannot find at dictionaries.

Otia Ioseliani has published many volumes drawing his imagery from Imeretian dialect.

He has contributed a great deal to the Georgian prose.

**Natia Zviadadze**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

## The role of the "sender" and the "receiver" in the process of communication

While discussing the communicative function of language, first of all, we have to make a distinction between intentional and unintentional communication. All our behavior is in some measure communicative, in the sense that the "receiver" learns something he didn't know before, even though the "sender" has no specific intention of informing him of anything. It is useful, following Marshall (1970) to refer to this aspect of behavior as informative, keeping the term communicative for behavior which is used with the term communicative for behavior which is used with the intention of informing. Everyone has something individual about his voice or way of speaking. It is true that a quality of voice or an accent can, to some extent, be deliberately disguised, or a person can deliberately adopt the characteristics of someone else's voice. This is the skill mimics have. In such cases these "indexical" characteristics as have been called, are being used for intentional communication. Similarly we can tell when a person is angry; excited or tired by the "tone" of his voice, as we can by the manner of his walking or many other aspects of his behavior. All our behavior is, then, potentially informative and may also be used for communication.

This does not however mean that the "receiver" can always "read the signs". To be informed or communicated to we obviously need a certain amount of general or particular knowledge, amongst which may be a knowledge of certain conventions. The distinction between intentional and non-intentional communication lies in the "sender's" head. The distinction between being informed or not being informed, or communicated to or not being communicated to, lies in the "receiver's" head.

The second distinction we have to make is between linguistic and non-linguistic communication. When I wave to someone in order to attract his attention. I am communicating intentionally with him; I do this as part of some deliberate plan of action, as a prelude, for example, to telling him something or borrowing something from him.

My gesture must be of such a sort that he interprets it as a call and not just as a greeting or a farewell or a warning. In other words he must understand it for communication to be successful. In any society, how-" a wave or other gesture is interpreted is a matter of a shared convention of behavior between sender and receiver.

Communicative behavior is essentially a matter of convention. A wave is, however, not a bit of linguistic communication. If I called out to him. "Hey, Bill, come here a moment". my intentions would be exactly the same, only this time my communication would be generally regarded as linguistic. If on the other hand I simply shouted some ill articulated noise, it might be difficult to decide whether this was a truly linguistic or non-linguistic communication. The line is difficult to draw. Where it is drawn ultimately depends on the linguist: what phenomena his theories are meant to explain. What is quite clear is that it is not just a question of whether or not we use our organs of

speech to communicate. After all we can use coughs, shouts, yawns, sighs and a large range of "vocal signals" as intentional communicative acts, which few would regard as "linguistic". And of course, we can communicate linguistically through the visual channel, through writing, and this does not involve the use of the vocal organs at all.

The line between linguistic and non-linguistic communication is not a hard and fast one. It ultimately depends on the theoretical decisions of the linguist as to what falls within his field of study. Different linguists will draw the line in different places, but most linguists would agree that the central characteristic of linguistic behavior is that it is made-up of a large but conventional signal differences in meaning; linguistic behavior is typically verbal. The distinction between vocal and non-vocal behavior on the other hand, whether communicative or informative, is merely a matter of whether the vocal organs are involved. The fact that linguistic communication is typically associated in people's minds with vocal behavior is, in a sense, a "historical accident" often called "the primacy of speech", by this we mean that linguistic communicative behavior normally develops first in a vocal form both in the development of the individual and in human societies.

We must make a distinction then, between behavior, whether vocal or not, which is potentially informative and that which is intentionally communicative. We can also make various distinctions within communicative behavior (whether linguistic or not) according to the nature of what is being communicated.

It is useful to make a preliminary distinction between the attitudinal and cognitive functions of linguistic behavior. The attitudinal function of linguistic behavior is the use of this behavior to express our state of mind and emotions, to establish rapport with our hearers and to promote feelings of solidarity, confidence and goodwill; The cognitive function of communication is to express our perceptions, imaginings and beliefs about "states of affairs". Analyzed in this way it appears that animal signaling behavior has exclusively the first function. Returning now to the cognitive function of linguistic behavior, it appears that animal signaling systems, whether intentional or not, do not have a cognitive function. Similarly, human communicative behavior has a cognitive function. We may communicate fear, goodwill or pleasure linguistically or non-linguistically, but we cannot assert that something is dangerous or pleasant except linguistically.

#### Reference:

1. Biber D. *Variation Across Speech and Writing* Cambridge, UK: Cambridge University Press. 1988
2. Brooks N. *Language and Language Learning, Theory and Practice* New York: Harcourt, Brace and World 1960
3. Chomsky N. *Reflections on Language*. New York: Pantheon 1975
4. Grabe W. Kaplan R., *Introduction to Applied Linguistics*. Addison - Wesley Publishing Company. 1991.

ნათია ზუბინაძე

თანამოუბართა როლი კომუნიკაციის პროცესში  
რეზიუმე

სტატიის მიზანია გამოკვეთოს კომუნიკაციის პროცესში თანამოუბართა როლები. გამოკვეთილია კომუნიკაციამი ინფორმაციის გამცემისა და ინფორმაციის მიმღების უუნქეიები.

IRINA ZYUBINA

Педагогический институт ЮФУ, Россия

### STEREOTYPED SPEECH BEHAVIOR OF ENGLISH-SPEAKING AND RUSSIAN-SPEAKING SENDERS

The aim of this article is to study peculiarities of English-speaking and Russian-speaking senders' stereotyped speech behavior on the grounds of the pragmalinguistic experimental results made by the scientists of the school «Implicit Pragmalinguistics» leading by Professor Matveeva [1, 2, 3, 5, 7].



In this article, the focus will be on speech behavior which is considered to be automatic stereotyped speech manifestation without any conscious motivation due to typical repeated situation of speech [6, c. 28], and individual speech manifestation. We must distinguish speech behavior and speech activity as speech activity is motivated, depended on targets speech manifestation [4, c. 14].

Stereotyped speech behavior is closely connected to habitual considerations of an individual and to his habitual attitude to definite events. Such an attitude is forming as a result of social circumstances and previous experience of a definite social group all members of which have the same attitude or take it in the process of personal socialization. Special significance belongs to social characteristics in description of stereotyped speech behavior of different lingua-cultural communities' representatives. The article gives a collection of dissertations' results inspired by the work of a scientific advisor Professor Matveeva. A good number of academic works have been undertaken in the aspect of stereotyped speech behavior of different professional groups (among them journalists, psychotherapists, artists, barristers, public prosecutors, etc.) as representatives of English-speaking and Russian-speaking lingua-cultural communities.

Thus, comparative analysis of stereotyped speech behavior of English-speaking and Russian-speaking journalists let distinguish their specific traits which are the result of their belonging to different lingua-cultural communities. Russian-speaking journalists are more active, self-confident, emotional, talkative and impressive. As for English-speaking representatives of this professional group they are more patient, constant, objective, cautious, calm, restrained and reserved [5, c. 150].

The results of the theses devoted to the speech behavior in the texts of English-speaking and Russian-speaking psychotherapists made by T. Bagdasaryan let us see a number of peculiarities in their speech behavior. The author comes to the conclusion that English-speaking psychotherapists have such a common trait as objectivity in depicting the processes of our surrounding reality. As for Russian-speaking representatives of this professional group these psychotherapists often display features of a leader, an authoritarian individual [1, c. 130].

Concerning national-cultural specific features of Russian-speaking artists their speech behavior is notable for collectivism, responsiveness and confidentiality. But as regards English-speaking artists they are characterized by more cautious manifestation of their opinions, feelings and emotions. And we would like to notice that English representatives of this professional group are eager to objective display of information [7, c. 133].

Comparative-contrastive research method of studying English-speaking and Russian-speaking barristers' speech behavior lets us distinguish and describe personal characteristics of representatives of this professional group according to national belonging. The main features of Russian-speaking barristers are seeking for collectivism and looking for cooperation. As for English-speaking barristers their speeches are full of individual manifestation and neutral attitude [2, c. 114].

Stereotyped speech behavior of Russian-speaking public prosecutors comparing to the one of English-speaking prosecutors is characterized by more often individual actualization, more confident speech behavior and more often actualization of forming negative attitude [3, c. 143].

We cannot but come to the conclusion that in all professional groups of Russian-speaking authors tend to authoritarian type of speech behavior. This peculiarity can be explained. Russian communicative consciousness has got its national idea of limited communicative sovereignty of a person: Russian consciousness considers permissible communicative invasion in a private sphere of any personality, in all conditions. Russian everyday consciousness doesn't find obstacles to begin talking to an unknown person. It is not forbidden to criticize a totally stranger, to give him an advice, to interfere in a talk of chatting people to ask a question, to share own problems, to ask for helping, to give your opinion on words of unknown people – to correct them, to explain their mistakes. And moreover, one can come up to a person too close, can touch an interlocutor and so on.

But English speech senders are less oriented to personality. We can say that for the Western communicative consciousness categories of communicative inviolability and tolerance are more

typical. And the categories of politeness and communicative ideal are based on the concept of privacy – someone's right to keep their personal matters and relationships secret or the state of being alone. An English-speaking orator always follows an ideology of correctness and reasonableness. For all that English-speaking senders as opposed to Russian-speaking ones are also eager to transfer factual information as exactly, precisely and objective as it is possible.

As for Russian-speaking authors more often they show cooperative type of speech behavior. They do it unconsciously taking into account our mentality and traditions. The predominance of social level in the speeches of Russian senders lets us establish a definite personal dependence on group norms as manifestation of national peculiarity of Russian patriarchal character of the society which exists according to the principle of strict hierarchy. Russian-speaking authors live and work in the society and for the society constantly connecting themselves to it. But English-speaking people don't display a definite social interest in their speeches. Moreover, they don't like to be in contact very often and don't manifest a specific interest to an addressee. A Russian person is more talkative and open, he shows an interest in his interlocutors and neighborhood more often than an Englishman. We see Englishmen more seldom have a need to share their thoughts and feelings and they appreciate their independence too much.

Social interest and social orientation are specific traits of Russian-speaking senders, these social features help Russian people to unite for the sake of achievement their mutual aims. In Russian character we can find such traits as sympathy, social activity, complaisance, helpfulness. They feel responsibility not only for themselves but also for their friends, colleagues, dearest and nearest.

As for categoricity it isn't characteristic for the speeches of English-speaking senders as it is considered to be encroachment on personal communicative privacy which is unacceptable for British people. Categoricity calls up associations with such a conception as «argument» which has mainly a disapproving character and can be considered a manifestation of aggression. That is why Englishmen are more cautious in displaying their thoughts, feelings and emotions. They aren't inclined to categoricity and seek to be circumspect in estimating events and foreseeing situations.

In the course of comparison we also noticed more optimistic mood of an English-speaking sender. To our mind, it is due to social-economic situation in Great Britain which is for ages notable for its relative calmness and high living standards.

All above-mentioned results let us make a conclusion that irrespective of individual professional belonging in the speech behavior of a person there are definite traits which are typical for all representatives of the lingua-cultural community this person is living in.

So, Russian-speaking people's speech behavior in all above-mentioned professional groups is characterized by the following manifestations: masterfulness, activity, leadership, commutability, team spirit, collectivism, sympathy, confidentiality, confidence, impressionability, emotionality. As for Englishmen in all these professional groups we can see such national features as reasonableness, restraint, even reticence, loyalty, self-control, caution, non-categoricity, tranquility, objectivity and great optimistic spirit.

#### Литература:

1. Багдасарян Т. М.(2004): Речевое поведение врачей-психотерапевтов (на материале английского и русского языков): дисс. ... кандидата филол. наук. Ростов-на-Дону.
2. Варнавская Н.В.(2004): Типологические черты речевого поведения русско и англоговорящих адвокатов (прагматингвистический подход): дисс. ... кандидата филол. наук. Ростов-на-Дону.
3. Зюбина И. А.(2005): Прагматингвистический аспект речевого поведения русскоговорящего и англоговорящего государственного обвинителя: дисс. ... канд. филол. наук. Ростов-на-Дону.
4. Матвеева Г.Г.(1999): Диагностирование личностных свойств автора по его речевому поведению. Издательство Донского юридического института. Ростов-на-Дону.
5. Мкртчян Т.Ю.(2004): Речевое поведение журналистов в политическом теле – и радиointервью (на материале русского и английского языков): дисс. ... кандидата филол. наук. Ростов-на-Дону.
6. Формановская Н.И.(1989): Речевой этикет и культура общения. Издательство «Высшая школа». Москва.

ირინა ზოიბინა

## რუსულენოვან და ინგლისურენოვან მოლაპარაკეთა თავისებურებანი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინგლისურ და ინგლისურენოვან მოლაპარაკეთა სპეციფიკურობანი, რასაც იწვევს პრაგმალინგვისტური თავისებურებანი. ძირითადად დავეყრდენით პროფესორ გალინა მატვეევას მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებს.

### ლალი თავებზე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

## დეიქსისის პრობლემა ენათმეცნიერებაში და მისი

## ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პრობლემა

დეიქსისი (ბერძნ.-მითითება) – ენობრივი გამოთქმებისა და სხვა ნიშნების გამოყენებაა, რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციური აქტის ფიზიკურ კოორდინატთა საშუალებით – მათ მონაწილეებთან, ადგილსა და დროსთან მიმართებაში. ჩვეულებრივ დეიქსისის სამ ძირითად სახეს განასხვავებენ – პერსონალურს, სივრცისას და დროისას. ძირითადი ენობრივი ერთეულები, რომლებშიც ამ სამ ტიპს შეესაბამება I და II პირის (I, You), ადგილისა (here) და დროის (now) ნაცვალსახელებია.

დეიქსისი – გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც გამონათქვამის დონეზე შეიცავს სიტუაციის დამახასიათებელ პირდაპირ მითითებას. დეიქსური გამონათქვამის მნიშვნელობა იმ სიტუაციას შეესაბამება, რომელშიც იგი გამოიყენება. მაგალითად, ნაცვალსახელთა (I, You) ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარია, იმის მიხედვით, ვის მიყავს საუბარი და ვინ არის ადრესატი. მოსაუბრეთა განლაგება დროსა და სივრცეში მართავს დროსა და სივრცის ზმნიზედების today, tomorrow, here and there ინტერპრეტაციას [Crystal, 1992].

დეიქსისის დროს მნიშვნების განხორციელება დეიქსურ ცენტრზე დაყრდნობით ხდება – „მოსაუბრე, აქ, ახლა“. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ გასულ საუკუნეებში მეცნიერები შეისწავლიდნენ ენას ცალკე, ბოლო დროს კი მნიშვნელოვანი გახდა შემდეგი საკითხები: როგორ უკავშირდება ენა ადამიანს, რამდენადაა ადამიანი დამოკიდებული ენაზე, როგორ განსაზღვრავს კომუნიკაციური სიტუაცია ენობრივი საშუალებების არჩევანს. „მოსაუბრე, აქ, ახლა“ მიცვავართ ანტიროაოცენტრისტულ პარადიგმასთან, რომელშიც უმთავრესია პიროვნება და მისი ადგილი კულტურაში. ხაზგასმულია ისიც, რომ პიროვნება ენის გარეშე არ არსებობს. ჩვენ ვედილობთ, დეიქსისის პრობლემა დავაკავშიროთ ლინგვოკულტუროლოგიასთან, ანუ მოვახდინოთ არა ცალკეული ნიშნების კვლევა, არამედ შევისწავლოთ პიროვნება კულტურაში და ხაზი გავეუსვათ იმ ფაქტს, თუ როგორ იყენებს პიროვნება ენას. დისკურსში შეიძლება წარმოიქმნას ალტერნატიული დეიქსური ცენტრები, სადაც ვირტუალურად თავსდება აზრობრივი სუბიექტი და დეიქსისის მოვლენაც მხოლოდ მაშინ წარმოიჩინდება. განვიხილოთ გამონათქვამი – Seeing the astonished faces of the hosts, he understood, that he wasn't expected there. დამოკიდებულ წინადადებაში, – that he wasn't expected there, რომელიც ირიბ მეტყველებას გადმოცემს,

სამი დეიქსური ელემენტი შედის: he, there და წარსული დრო. ეს მოვლენა აზრობრივ დეიქსურ ცენტრზეა დაფუძნებული. პირველი პირის ნაცვალსახელი – მე, ასეთ დროს იცვლება მესამე პირის ნაცვალსახელით, ხოლო სივრცისა და დროის დეიქსური ელემენტები შესაძლებელია უცვლელი დარჩეს. ასეთ მოვლენებს ე. პადურვეა „ინტერპრეტაციის თხრობით რეჟიმს“ უწოდებს [Падурева, 1996].

ფორმალური საშუალებების უმეტესობა, რომლებიც დეიქსური თვალსაზრისით გამოიყენება, შეიძლება ანაფორულადაც ვიხიპართ. მესამე პირის ნაცვალსახელთა ანაფორული გამოყენებისას მოსაუბრე ხშირად ეყრდნობა იმას, რომ შესაბამისი რეფერენტი წინამავალ დისკურსში ახლახან იყო ნახსენები. დეიქსურ ელემენტთა მეორადი ანაფორული გამოყენება ეფუძნება მეტაფორას, თუმცა ანაფორის გაგება პირველყოვლისა სახელადი ჯგუფების გამოყენებას უკავშირდება. სინამდვილეში ენობრივი ერთეულების ანალოგიური გადატანა იმ სხვა ტიპებთანაც გვხვდება, რომლებიც შიფტურულ კომპონენტებს შეიცავენ, მაგალითად, ზმნიზუდებთან. შევადაროთ წინადადებები: I feel the treasure is somewhere here (ახლოს მოსაუბრესთან) და Young men felt, that the treasure was somewhere near (ახლოს აქტივიზებულ რეფერენტთან Young men).

კიდევ ერთი კონვენციონალური მეტაფორა ამსგავსებს წერილობით (ზოგჯერ ზეპირ) ტექსტს კომუნიკაციური აქტის ფიზიკურ სივრცესა ან დროს. ამ მეტაფორას ეფუძნება ისეთი გამოთქმები, როგორცაა: it was shown (stated) above, in the last case, in the following passage, etc. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დისკურსულ დეიქსისთან. ხოლო დეიქსურ ცენტრს წარმოადგენს ტექსტის ის ნაწილი, სადაც მოცემულ მომენტში ტექსტის ავტორი და მისი ადრესატი მდებარეობს.

არსებობს აგრეთვე ტერმინი – სოციალური დეიქსისი, რომელიც სხვადასხვა ენებში ზრდილობიანი კატეგორიების გამოსაკვლევად გამოიყენება. მაგალითად, რუსულ ენაში მზობობითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელთა (ты, вы) არჩევა იმის მიხედვითაა, თუ რა სოციალური სტატუსი აქვთ მოსაუბრესა და ადრესატს. ეს შემთხვევა უშუალოდ დეიქსისს არ უკავშირდება და ტერმინი „სოციალური დეიქსისი“ მხოლოდ იმიტომ გამოიყენება, რომ ზრდილობიანი კატეგორიების დადგენა დეიქსური ელემენტების, კერძოდ, პირის ნაცვალსახელებით ხდება.

პერსონალური დეიქსისი უფრო ფართო მოვლენის – საგნობრივი დეიქსისის სახეს წარმოადგენს. საგნობრივი დეიქსისის არამარკირებული გამოთქმები – მესამე პირის ნაცვალსახელები, ეესტიკულაციით (ხელით, თავით, თვალებით) ხასიათდება.

ბ.მალინოვსკი აღნიშნავდა, ზოგიერთი ენისათვის დამახასიათებელია მეტყველების მკიდრო კავშირი არასამეტყველო მოქმედებებთან. ეს იმას გულისხმობს, რომ სიტყვის მნიშვნელობა მკიდროდ არის დაკავშირებული არავერბალურ მოქმედებასთან, ხოლო მთელი გამონათქვამის სტრუქტურა დამოკიდებულია იმ კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელშიც ის წარმოთქვა [Малиновский]

ე. ბენვენისტმა აღნიშნა, პირის კატეგორია (ნაცვალსახელებთან, ზმნასთან) არაერთგვაროვანია. კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა აღმნიშვნელი I და II პირი უპირისპირდება III პირს, რომელიც ე. ბენვენისტმა დაახასიათა, როგორც „არა-პირი“ [Бенвенист, 1974]. ამ დაპირისპირებას ენებში ბევრი კონკრეტული გამოხატულება გააჩნია. სხვადასხვა კულტურის ენებში (მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის), მე-3 პირისაგან განსხვავებით I და II პირის კოდირება სხვადასხვაგვარად ხდება. ზოგ ენაში (მაგალითად, თურქმენულში) III პირის ნაცვალსახელები ჩვენებითისგან არაფრით განსხვავდება. ზოგიერთ ენაში I და II პირის ნაცვალსახელთა გარჩევა საერთოდ არ ხდება. და ბოლოს, ბევრ ენაში ე.წ. პირის, ანუ დეიქსური

იერარქიული სახე „1,2>3“ ვლინდება, ე.ი. I და II პირი ამა თუ იმ გრამატიკულ გამოვლენასთან კავშირში III პირთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს. იაპონურ ენაში დღემდე შენარჩუნდა მხოლოდითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელების უამრავი ფორმა, რომელთა ნაწილი გამოიყენება ბავშვებთან, ნაწილი მოსწავლეებთან, ნაწილი კი მოსამსახურეებთან ურთიერთობისას. ცხადია ეს მათ კულტურას უკავშირდება, რომლის გაანალიზებასაც ჩვენ კონკრეტულ კონტექსტზე დაყრდნობით ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ვედილობთ.

ნებისმიერ კულტურაში ადამიანის არსებობის განმსაზღვრელია დრო. ენებში სივრცის და დროის დეიქსისის რეალიზება ორი ძირითადი ფორმალური ტიპის ელემენტების საშუალებით ხდება: სახელადი ჯგუფებით, რომლებიც შეიცავენ ჩვენებით ნაცვალსახელებს ან მათ ანალოგებს (ამ ტყეში, ამ წელს, ა.შ.) და ზმნიზებებით (აქ, დღეს, ახლა, ა.შ.). ბევრ ენაში დროის გამოსახატავად არსებობს გრამატიკული კატეგორია. ვთქვათ, გამოთქმაში – I'm writing the article , ზმნა ახლანდელი დროით არის გამოხატული და ნათლად მიუთითებს დროის იმ შუალედზე, რომელიც საუბრის მომენტს მოიცავს.

დეიქსისის ტრადიციულ კატეგორიებს მიეკუთვნება პირის ადგილისა და დროის დეიქსისი. ამ კატეგორიების მოკლე განმარტება ასეთია: პირის დეიქსისი ეხება მეტყველებაში მონაწილეთა როლის კოდირებას: I პირის კატეგორია წარმოადგენს მოსაუბრის საკუთარ თავზე მითითებას, II პირი კოდირებას უწევს მოსაუბრის მითითებას ერთი ან მეტი ადრესატისადმი, ხოლო III პირი წარმოადგენს მითითების გაშიფრვას იმ პიროვნებებისადმი, რომლებიც გამონათქვამში არც მოსაუბრეთა და არც ადრესატთა რიცხვს არ განეკუთვნებიან. მონაწილეთა ასეთი როლები ენაში ნაცვალსახელებისა და მათთან დაკავშირებული პრედიკატული შეთანხმებების სახით გვხვდება. ადგილის დეიქსისი ეხება სივრცითი ადგილმდებარეობის კოდირებას მეტყველებაში მონაწილეთა ადგილმდებარეობასთან მიმართებით. უმეტეს ენებში არის განსხვავება პროქსიმალურსა (ახლოს მოსაუბრესთან) და დისტანტურს (ან არაპროქსიმალური, ზოგჯერ ადრესატთან ახლო) შორის; მსგავსი სახის კოდირება ხდება ჩვენებითი ნაცვალსახელების (როგორცაა ინგლისურში this/that) და აგრეთვე დეიქსური სახის ადგილის გარემოების საშუალებით (როგორცაა here/there). დროის დეიქსისი ეხება დროის კოდირებას იმ დროსთან მიმართებაში, როდესაც გამონათქვამი წარმოთქვა (ან ტექსტი ჩაიწერა). ამას, ფილმორის მიხედვით, კოდირების დრო ეწოდება (Coding time or CT), რომელიც განსხვავდება მიღების დროისაგან (Receiving time, RT) [Fillmore 1971]. ისე, როგორც ადგილის დეიქსისი სივრცითი ადგილმდებარეობის კოდირებას ახდენს იმ კოორდინატებით, რომლებიც წარმოთქმის ადგილზეა დაფუძნებული, ასევე დროის დეიქსისი დროის კოდირებას ახდენს წარმოთქმის დროსთან დაკავშირებული კოორდინატების საშუალებით. დროის დეიქსისი ჩვეულებრივ დეიქსური სახის დროის ზმნიზებებითაა გამოხატული (როგორცაა, now and then, yesterday, this year), მაგრამ, ძირითადად, ის დროის მიხედვით ვლინდება.

ამ ტრადიციულ კატეგორიებს შეიძლება დავუმატოთ დისკურსის (ტექსტური) დეიქსისი და სოციალური დეიქსისი. დისკურსის დეიქსისი ეხება მიმდინარე დისკურსში იმ მითითებების კოდირებას, რომელშიც მოთავსებულია გამონათქვამი. უუქცევის ნიშანი, ამგვარად, არის დისკურსის დეიქსისის კრძო შემთხვევა. მაგალითად: Puff puff puff: that is what it sounded like.

This is what phoneticians call creaky voice.

ორივე სიტყვა – that და this არის დისკურს დეიქსური, მაგრამ მხოლოდ მეორეა ნიშნით უკუქცევითი. That-ისა და this-ის გამოყენება ზემოთ აღნიშნულ წინადადებებში დისკურსის დეიქსისის გამოყენების მაგალითებს წარმოადგენს.

და ბოლოს, სოციალური დეიქსისი მონაწილეთა როლებთან მიმართებაში ადგენს სოციალურ სხვაობას, კერძოდ, იმ სოციალურ ურთიერთობას, რომელიც მოსაუბრესა და ადრესატს (ან ადრესატებს) შორისაა დამყარებული. სხვადასხვა კულტურაში, მოსაუბრესა და ადრესატს შორის წოდებრივი სხვაობა პატივისცემის გამოხატველი სიტყვებითაა გადმოცემული, მაგრამ ამასთანავე შესაძლებელია გამოვიყენოთ ნაცვალსახელები, მოწოდების ფორმები ან ვოკატივები და ა.შ.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ დეიქსისი ეგოცენტრული სახითაა ორგანიზებული. ის შეიცავს დეიქსურ ცენტრს და შემდეგნაირად გამოიხატება: (I) ცენტრალური პირი არის მოსაუბრე; (II) ცენტრალური დრო არის ის დრო, როდესაც მოსაუბრე წარმოთქვამს წინადადებას; (III) ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს მოსაუბრის ადგილმდებარეობა წინადადების წარმოთქმის დროს ან კოდი-რებისას; (IV) დისკურსულ ცენტრად ითვლება წერტილი, რომელშიც მოსაუბრე იმყოფება გამონათქვამის წარმოთქმის დროს და (V) სოციალურ ცენტრს წარმოადგენს მოსაუბრის სოციალური სტატუსი და წოდება, ადრესატის/ადრესატების სტატუსისა და წოდების გათვალისწინებით. მაგრამ არსებობს გამონაკლისიც. მაგალითად, ზოგიერთ ენაში ჩვენებითი ნაცვალსახელები ნაწილობრივ ორგანიზებულია არა იმდენად მოსაუბრის, არამედ სხვა მონაწილეთა ადგილმდებარეობის მიმართ (Levinson, 1983).

და მაინც, უნდა მოხდეს სემანტიკური სხვაობის დადგენა აღწერასა და ინდექსურ ნიშნებს შორის, იმ ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც მათი მნიშვნელობა ასრულებს ინტერპრეტაციაში. ინდექსური ნიშნები აღნიშნის, მითითების ფუნქციით ხასიათდება: მათი მნიშვნელობა გამონათქვამის კონტექსტში კი არ შედის, არამედ ირჩევს იმ ელემენტებს, რომლებიც ინტერპრეტაციაზე მითითების როლს ასრულებს.

აღამიანი შეისწავლის რა საკუთარ ენას და ენასთან ერთად თავისი ერის კულტურას, ერის კულტურის ყველა ნიუანსი ირეკლება მის ენაში, რომელიც სპეციფიური და უნიკალურია, რადგან სხვადასხვაგვარად ასახავს სამყაროს და მასში მყოფ პიროვნებას. მაგალითად, შეუძლებელია ჩებურ ენაზე გადაითარგმნოს B. პასტერნაკის წიგნი “Сестра моя жизнь”, იმდენად, რამდენადაც ჩებურ ენაში სიტყვა “жизнь” მამრობითი სქესისაა (Маслова, 2004).

დეიქსისის სპეციფიკა განპირობებულია სამეტყველო სიტუაციასთან, კომუნიკაციურ აქტთან მჭიდრო კავშირით. სიტყვის სემანტიკაში დეიქსური კომპონენტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ მოცემული სიტყვის მნიშვნელობა „განი-საზღვრება“ სამეტყველო სიტუაციით. დეიქსური ერთეულების სემანტიკური თავისებურებანი გამოხატულებას პოულობს განსაზღვრულ, კერძო კონტექსტში ფუნქციონირებისას.

#### ლიტერატურა:

1. Красных, В.В., Этнопсихоллингвистика и лингвокультурология, М., 2002
2. Маслова, В.А., Лингвокультурология, М., 2004
3. Падучева Е.В., Семантические исследования. Семантика времени и вида в русском языке. Семантика нарратива. М., 1996
4. Crystal, D. Encyclopedia, Oxford, 1992
5. Fillmore, C.J. Topics in lexical semantics. In R. W. Cole (ed.) *Current Issues in Linguistic Theory*. Bloomington: Indiana University Press. 273-90. 1977
6. Levinson, Stephen. *Pragmatics*, Cambridge University Press, Cambridge, England. 1983

## Problem of deixis in linguistics

## Abstract

The article deals with the problem of deixis in linguistics, that is discussed through linguo-cultural phenomenon. The deictic component in the semantics of the word means that the meaning of the given word is "defined" by the context of the utterance. The semantic features of the deictic elements are thoroughly shown through their functions in the specific, exact context.

Deixis makes the reference on the basis of the deictic centre "I, here, now". It is worth noting that if before scientists studied language separately, now the first and the most important thing is to find out how the language is connected with the person, what is the role of the language and in what ways the act of communication determines the choice of language means. "I, here, now" leads to the paradigm, which makes the person and his place in the culture the most important one. It is underlined as well that the person can not exist without the language. We try to connect the problem of deixis with linguo-culturology, that implies the research and study of the person in the culture itself and explain the means of language used by the person.

თეონა თედორაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

## ტელიკური და ატელიკური ზმნები

ტელიკურობა/ატელიკურობა ინგლისურ ენაში უნივერსალური კატეგორიაა, რომელსაც ფორმალური გამოხატულება არა აქვს და ზმნის სემანტიკაში გადმოიცემა.

ტელიკური სიტუაციები ისეთი მოქმედებებია, რომლებსაც გააჩნია კარგად გამოხატული მიღწევითობა. ასეთი სიტუაციები ქმნის პროცესის კომბინაციას, რომელსაც მოჰყვება მოვლენა, რომელიც პროცესის დასასრულია. ტელიკურ აღწერილობაში არსებობს დროის სპეციფიკური მონაკვეთი, რომლის მიღმა აღწერილი სიტუაცია სტატუსს იცვლის. ზოგადად კულმინაციის ეს მომენტი სიტუაციის დასასრულს აღნიშნავს. კულმინაცია ამ ტელიკურ ზმნებში ხაზს უსვამს სიტუაციის დასასრულს. ხოლო რაც შეეხება სიტუაციას, რომელიც ატელიკური შემასმენლით არის აღწერილი, მას დროში რელევანტური წერტილი არა აქვს. ამგვარად, წინადადებაში John swam - ჯონს შეუძლია შეასრულოს ეს მოქმედება იმდენ ხანს, რამდენი ხანიც მას სურს. სხვა სურათს იძლევა ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში შემასმენელი:

- John read a book
- Mary ran a mile
- Peter entered the house

ბევრ სიტუაციას ტემპორალური მონაკვეთი გააჩნია, მაგრამ იმისდა მიხედვით, როგორ აღწერთ მას, იგი არის ან არ არის გამოხატული. ამგვარად, მილის გარბენას ექნება ტერმინალური მონაკვეთი, თუ იგი ისეთი, ტელიკური ზმნით გადმოიცემა, როგორც John ran a mile, და არა ისეთით, როგორც John ran.

ტელიკურობას შემდეგი გავრცელებული ტესტით იკვლევდნენ: თუ V+ing გულისხმობს, რომ x-ს აქვს V+ed, მაშინ V ატელიკურია, სხვა შემთხვევაში - ტელიკური. მეორე ტესტი in/for სხვაობას ეფუძნება [Dowty 1976:56]. მეორე მხრივ, თუ წინადადებას შევვიძლია დავემატოთ გამოვრება for, იგი ატელიკურია, ხოლო როცა დავემატებთ გარემოებას in, მაშინ იგი ტელიკურია. მაგალითად:

- a. John ran hours
- b. \* John ran in twenty minutes
- c. John ran a mile in five minutes
- d. \* John ran a mile for an hour

აღსანიშნავია, რომ მაგალითები b და d სინამდვილეში არაგრამატიკული სრულიად არ არის. ისინი სწორია, თუ მათ ინტერპრეტაციას ოდნავ შევცვლით. წინადადება d სწორია, თუ ჯონმა გაირბინა მილი რამდენჯერმე ერთი საათის განმავლობაში, როგორც ათლექტმა, მოვლენა იტერატიულია. ზოგადად ნებისმიერი ტელიკური წინადადება მეორდება, თუ იგი for გარემოებით განისაზღვრება (თუ ეს შესაძლებელია). 3. ვერკილის თანახმად, წინადადება b სწორია, თუ სირბილით გარკვეულ მიზანს ვაღწევთ, მაგალითად: ვასუბროხთ კონკრეტულ მართონულ რბენაზე და გვსურს აღვნიშნოთ, რომ იგი ჯონისათვის 20 წუთს გაგრძელდა და მაინც განხილულ ორ მაგალითში მნიშვნელობის გარკვეული შეცვლა არის საჭირო [Verkuyl, 1998].

ტელიკურობის ცნება ერთგვარ პრობლემას ქმნის. მაგალითად ზმნა to die, რომელსაც ზ. ვენდლერი მიღწევის ზმნათა კლასს მიაკუთვნებს, პუნქტუალურ თვისებას გულისხმობს, მაგრამ ის ფაქტი, რომ შეგვიძლია ვთქვათ Harry is dying, - მიუთითებს, რომ სიტუაცია არის დიურატიული და ტელიკური; ასე რომ ზ. ვენდლერის კლასიფიკაცია პრობლემატურია, მაგრამ მეორე მხრივ, თუ მივიჩნევთ, რომ dying - ტელიკური შედგება პროცესისაგან და შემდეგ - მოვლენისაგან, მაშინ შეგვეძლო გვეთქვა Harry was dying, but recovered. თუმცა ბევრი მოსაუბრისათვის ეს წინადადება უცნაურად ჟღერს და მიუთითებს სიტუაციის ახალ კლასზე, სადაც dying არის სპეციალური ტელიკური პრედიკატი, რომელიც არ იძლევა მოვლენის თავიდან აცილებით მისი დასრულების საშუალებას [Vendler 1967].

ასპექტუალურ საშუალებათა შორის ყველაზე უფრო ზოგად აბსტრაქციად ტელიკურობა / ატელიკურობის (ზღვრადობა / უზღვრადობა; ტერმინატიუობა / ატერმინატიუობა; ლიმიტატურობა/ალიმიტატურობა) კატეგორიაა მიჩნეული. მას თითქმის შუალედური ადგილი უჭირავს ასპექტსა და მოქმედებათა სახეებს შორის და აერთიანებს ისეთ ზმნათა ჯგუფებს, რომელთა მიმართში იგულისხმება ან გამოირიცხება საბოლოო მიზნის მიღწევა, მოქმედებისათვის საზღვრის დადება. ზოგი მოქმედება მომენტალურია, დაწყებისთანავე მთავრდება კიდევ, ზოგი კი შორეულ პერსპექტივაში მაინც გულისხმობს დასრულებას, ან გარკვეულ ზღვრამდე მისვლას. ასეთია ზღვრადი მნიშვნელობის მწონე ზმნები: to arrive, to become, to catch, ect.

ტელიკურ და ატელიკურ ზმნებს გარდა კიდევ არის ჯგუფი, რომლებიც კონტექსტისაგან დამოუკიდებლად ტელიკური ან ატელიკური მნიშვნელობით გვხვდება. ასეთებს ორმაგი ხასიათის ზმნებს უწოდებენ.

„ზღვრადი ეწოდება ისეთ ზმნებს, რომლებიც გამოხატავენ მოქმედებას, რომელიც მიმართულია ამ მოქმედების „ზუნებიდან“ გამომდინარე წინასწარ განსაზღვრული ზღვარის მიღწევისაკენ. უზღვრადი ზმნა კი გვიჩვენებს მოქმედებას (ან მდგომარეობას), რომელიც არ არის მიმართული ზღვარის მიღწევისაკენ, არ შეიცავს მისი დასრულების არავითარ წინაპირობას“ [მერგლიშვილი 1986: 59].

ტელიკური შეიძლება იყოს არა მხოლოდ გაცნობიერებული წინასწარ დაგეგმილი მოქმედება, რომელიც გარკვეული მიზნის მიღწევისკენაა მიმართული, არამედ პროცესი, რომელიც სუბიექტის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ყველა ამ შემთხვევაში არსებითია დასრულებულობის პერსპექტივა - მოქმედების ახალ მდგომარეობაში გადასვლა, ბუნებრივი მიზანმიმართულება მის მიხედვით, ანუ „ზუნების“ მიერ განსაზღვრულ ზღვარზე, რომლის მიღწევასთან ერთად ის ამოიწურება და მისი გაგრძელება შეუძლებელია. მაგალითად:

Gillian bursts into the room, throwing her music case down and sprawling in an armchair, revealing her navy blue knickers (KA).



ტელიკურობა/ატელიკურობის ოპოზიცია ჩვეულებრივ ენაში როგორც სხვადასხვა ზმნების, ისე ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა მნიშვნელობის დაპირისპირებით გადმოიყვება. შესაბამისად ლაპარაკობენ ტელიკურ, ატელიკურ და ორმაგი ზუნების ზმნებზე, რომლებიც სემანტიკას იცვლიან და გვხვდებიან როგორც ტელიკური, ისე ატელიკური მნიშვნელობით [ქოთაძე 1978: 13].

საინტერესო კუთხით ამუშავებს ი.პ. ივანოვა ტელიკურობა/ატელიკურობის პრობლემას. მისი განმარტებით ატელიკური ზმნები მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან. ამ შემთხვევაში მოქმედების შესრულებას ზღვარი არა აქვს და იგი მის ლექსიკურ მნიშვნელობაზეა დაკავშირებული [Ив1961:65]. შესაბამისად ორი ძირითადი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

პირველ ჯგუფში ერთიანდება ის ზმნები, რომლებიც დროში განგრძობითობას გვიჩვენებს და ის ზმნებიც, რომლებიც გამოხატავენ ურთიერთობას, რომელიც ობიექტურად სუბიექტსა და სხვა საგნებს შორის არსებობს. ასეთი ზმნებია: to belong, to consist, to have, to possess, etc. მაგალითად:

She belonged in Oxford, not in Hennacombe, and yet she did not realize (PC)

The room he was in had a high ceiling, three large windows facing the street, a fireplace, massive oak furniture that actually had presence (AN)

The trunk contained a pair of gloves, some letters from Mrs Burrows, an envelope containing certain cards depicting Cossacks (PC)

The diary continued and she read somewhat breathlessly (AW)

ზემოთხსენებულ ქვეჯგუფში გაერთიანებულია ის ზმნებიც, რომლებიც სუბიექტურ დამოკიდებულებას ანუ მის ემოციურ პოზიციას გამოხატავენ ობიექტისადმი. ამ ქვეჯგუფში შეიძლება მრავალი ზმნა გაერთიანდეს: To love, to hate, to dislike, to admire, to enjoy, to detest, etc. მაგალითად:

She hated the way they looked, so pale and raw and wet (AN)

She dislike their drugs, always so carelessly displayed (ibid)

He admired his own slim body in the mirror that ran along the wall beside the bed (ibid)

ამ ზმნათა განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ისინი ტელიკურ ზმნებად არასოდეს გვხვდებიან. საერთოდ კი, როგორც ამას შემდგომ განვიხილავთ, ტელიკურობა/ატელიკურსობას შორის ზღვარი გადაულახავი არ არის. მათ მიერ გამოხატული ურთიერთობა სტატიკურია. ამ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ზმნათა თავისებურება ისაა, რომ ისინი განგრძობით ფორმებშიც გამოიყენებიან.

ამავე ქვეჯგუფში ერთიანდება ყოფიერების აღმნიშვნელი ზმნები (to be, to exist, to live), რომლებიც შეიძლება გარგრძობით ფორმებშიც შეგვხვდეს.

მეორე ქვეჯგუფში წარმოდგენილია ის ზმნები, რომლებიც გამოხატავენ:

- არაფიზიკური მიმართების მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტურ შეფასებასთან (to blame, to annoy, to defend, to exact, to enjoy, etc.)

- მეტყველებას (to argue, to talk, to speak, etc)

- მდგომარეობას სივრცეში ან სტატიკური ხასიათის მოქმედებას (to hold, to lie, to sit, to stand, to sleep, etc.)

ამ ტიპის ზმნები ზოგჯერ ტელიკურ მნიშვნელობას დებულობენ.

მოქმედების, პროცესისა და წამიერი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები ტელიკურია და მათი ჯგუფი გაცილებით მრავალრიცხოვანია ვიდრე ატელიკურის, ტელიკური ზმნებია: to achieve, to add, to admit, to answer, to arise, to arrive, to ask, to assume, to attach, to become, to begin, to break, to bow, to bring, to catch, to case, to close, to commit, to confide, to convey, to disappear, to dissolve, to discover, to explain, to settle, to stop, to throw, etc.

მწელია კონტექსტის იმ გრამატიკული საშუალებების ზუსტად დადგენა, როცა ატელიკურ ზმნებში ტელიკური სემანტიკა ვლინდება. ზემოთ უკვე განვიხილეთ აზგარი ტიპის ორი კონტექსტი, კერძოდ 1) ტელიკურობა გამოწვეულია მდგომარეობის გარკვეული ტიპით 2) ტელიკური ზმნები იმავე სინტაქსურ ფუნქციაში გვხვდება, როგორც ატელიკური. თუმცა გარკვეულ გარემოებათა გამო ტელიკური მნიშვნელობა ლექსიკური მინაარსითაა გამოწვეული და იგი ატელიკური ზმნის ხასიათის შეცვლას ყოველთვის არ იწვევს.

სინტაქსური კონტექსტი, რომელიც ხელს უწყობს ატელიკურ ზმნებში ტელიკური მნიშვნელობის წარმოქმნას იმითაა გამოწვეული, რომ ამ ზმნებში ტელიკურობა ლექსიკურ მნიშვნელობაში არ დევს, რადგან ტელიკური და ატელიკური მნიშვნელობები ზმნის ლექსიკური მნიშვნელობისაგან უშუალოდ გამომდინარეობს. ტელიკურობა შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის შეცვლით. ასეთებია ოკაზიონალური ზმნები. ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ ვილაპარაკებთ მათი ამ სახით გამოყენებაზე, ვიდრე ტელიკურ მნიშვნელობაზე [Иванова 1961, 67].

ორმაგი ხასიათის ზმნები ქმნის რთულ ჯგუფს როგორც შემადგენლობით, ისე გრამატიკულად. მათში შერწყმულია ტელიკური და ატელიკური მნიშვნელობა. ამ ჯგუფს განეკუთვნება ზმნები, რომლებიც ერთიანი ლექსიკური სემანტიკის პირობებში როგორც მოქმედების ისე პროცესის მნიშვნელობას გადმოიცემენ. ეს ზმნებია: to feel, to follow, to laugh, to remember, etc. მათგან შედარებით განსხვავებულია: to read, to write, to go, to move, to walk, etc. ეს ჯგუფი თავის მხრივ იყოფა ორ ქვეჯგუფად - პირველ ჯგუფში გაერთიანებული ის ზმნებია, რომელთა მნიშვნელობები ერთგზის მოქმედებისა და პროცესის თანაფარდია, ხოლო მეორეში კი ის ზმნებია, რომელთა ტელიკური მნიშვნელობები მხოლოდ გარკვეულ სინტაქსურ პირობებში ვლინდება.

ამ ჯგუფის ზმნებში ტელიკური და ატელიკური მნიშვნელობები კონტექსტში ვლინდება. ორივე მნიშვნელობა ზმნაში თანაარსებობს და ამა თუ იმ სინტაქსურ პირობებში ორიდან ერთი რომელიმე წარმოჩინდება. იმ სინტაქსურ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს ტელიკური ხასიათის გამოვლენას ი. ივანოვა „შემზლუდველების“ როლში შეიძლება შეგვხდეს:

1. შემასწავლებელი (ერთგზისი), რომელთაგან ერთ-ერთი ტელიკური ზმნითაა გამოხატული
2. დამატება (პირდაპირი), რომელიც მოქმედების შეზღუდვას იწვევს
3. გარემოება, რომელიც ტელიკურობის მნიშვნელობას წარმოქმნის (დროის გარემოება, რომელიც მოქმედების თანამიმდევრობაზე, ერთგზისობაზე მიუთითებს; ვითარების გარემოება, რომელიც მოქმედების ერთგზისობას გვიჩვენებს; ადგილის გარემოება მიმართულების მნიშვნელობით; მიზნის გარემოება).

„შემზლუდველთა“ ზემოთ ჩამოთვლილი ტიპები ემთხვევა სინტაქსურ პირობებს, როცა ატელიკურ ზმნებს შეუძლიათ ტელიკური მნიშვნელობა მიიღონ, რაც ტელიკურ, ატელიკურ და ორმაგი ხასიათის ზმნებს შორის მკაფიო ზღვარის არარსებობაზე მიუთითებს [Ibid, 69].

ერთსა და იმავე ზმნაში არაერთგზისობაზე ზმნის პოლისემანტიკურობის შედეგად შეიძლება იქნეს მიღებული. ინგლისურ ენაში ბევრ ზმნას ორი და მეტი ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, ზმნის 'to know' ერთი მნიშვნელობაა „ეოდნა“, ე.ი. ატელიკურია, მეორე კი - „გაგება“ ტელიკურია. ამავე ტიპს განეკუთვნება ზმნები: to believe, to mean, etc.

ამრიგად, ტელიკურობა/ატელიკურობის კატეგორია მუალედურია ზმნის გრამატიკულ ასპექტსა და მოქმედებათა სახეებს შორის. ინგლისურ ენაში ტელიკურობა/ატელიკურობა უნივერსალური კატეგორიაა, რომელსაც ფორმალური

გამოხატულობა არა აქვს და ზმნის სემანტიკაში გამოიყენება და იგი დიდ ზეგავლენას ახდენს ასპექტის ფორმების მნიშვნელობასა და ფუნქციონირებაზე.

### ლიტერატურა:

1. მეგრული ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბ, 1986
2. Dowty D. 1976 – Dowty David R. Word Meaning and Montague Grammar: the Semantics of Verbs and Times in Generative Semantics and in Montague's PTQ. Synthese Language Library 7. Reidel: Dordrecht and Boston and London
3. Vendler Z. 1967 – Vendler Zeno. Verbs and Times in Linguistics in Philosophy (Ithaca, Cornell University)
4. Verkuyl, 1998 Verkuyl, Henk J 1998. Events as Individuals: Aspectual Composition and Event Semantics. In Speaking of Events, ed. Fabio Pianesi, Jim Higginbotham, and Achille Varzi. 191-227 Oxford. Trento Conference on Event semantics 1995

**Teona Todoradze**

### Telic and Atelic Verbs

#### Abstract

Aspect is one of the basic categories of the verb and the problem of aspect has been intensively studied. It is not only a grammatical category but functional – semantic category as well and it has its own concrete expression with morphological, lexico-semantic, syntactical and contextual means.

The distinction between telic and atelic verbs is very important for the meaning and use of certain tense and aspect forms. A telic verb denotes an action with a certain temporal limit in its development implied (to finish, to leave, to stop). An atelic verb denotes an action with no limit implied (to feel, to love). The majority of English verbs are of double semantic character, they may be used both as telic and atelic verbs. But in a context their character is easily determined on the basis of their distribution.

**თამარ თვალაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**ემოცია ლექსიკური სემანტიკის სტრუქტურაში**

ემოციურობას იკვლევს ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, მედიცინა, სოციოლოგია, ლინგვისტიკა, უფრო ზუსტად კი მისი დარგები: ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ფსიქო-ლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა და სოციოლინგვისტიკა, რაც თავისთავად მიუთითებს ამ პრობლემის მრავალმხრივობაზე. სემასიოლოგია (სემანტიკა) ლექსიკოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას (საგნობრივ მიმართებას), მის აგებულებას და დროში ცვალებადობას. ფართო გაგებით, იგი სიტყვის შინაარსული მხარის შემსწავლელი მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის სიტყვის გრძნობით ელფერს, სტილისტურ ღირებულებას. სემასიოლოგია, როგორც ისტორიული ენათმეცნიერების დარგი, შეიქმნა XIX საუკუნეში, როდესაც კ. რაიზიგმა მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ მოათავსა გრამატიკულ დისციპლინათა შორის. ამჟამად სემანტიკა შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის ცვლას, მნიშვნელობათა კლასიფიკაციას, სიტყვის შინაარსობრივი მხარის აგებულებას, ენობრივი ნიშნის ზუნებას და მისი კვლევის მეთოდებს. თანამედროვე სემასიოლოგიური კვლევის უმთავრესი მიმართულებებია კომპონენტური ანალიზი (ი. ელმსლვეი), დისტრიბუციული ანალიზი (ვ. ზვიაგინცევი), სემანტიკური ველების თეორია (ტრიბი, ვაისბერგი, პორციეგი), ლექსიკურ-სემანტიკური ვარიირება (ვ. ვინოგრადოვი) და სხვა.

ლინგვისტიკას აინტერესებს, როგორ, რა გზით, რისთვის, რა მიზნით და ა.შ. გამოხატავს მეტყველების ესა თუ ის ერთეული ემოციას, მაგრამ ამაზე მსჯელობა შესაძლებელი რომ იყოს, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რას გულისხმობს ემოციის ცნება ლექსიკური სემანტიკის სტრუქტურაში, რასაც ეძღვნება ჩვენი სტატია. ადამიანის ემოცია განისაზღვრება როგორც „რეაქცია შინაგან და გარეგან გაღიზიანებაზე, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფერილობა [7:57]. ეს არის ადამიანის მიერ სამყაროს არა პირდაპირი, რაციონალური აღქმა, არამედ ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა მის მიმართ. აქედან გამომდინარე, ემოცია განიხილება როგორც შინაგანი „მეს“ მდგომარეობის გამოვლენა. „ენის კომუნიკაციურ ფუნქციაში ჩართულია როგორც ლოგიკურ-ინტელექტუალური, ისე ემოციური ფუნქცია. თვით ემოციური ფუნქცია არაერთგვაროვანია, რამდენადაც როგორც გამოვხატოთ გრძნობა, ეს არის იგივე, როგორც აღაგზნო ისინი. გარდა ამისა, არსებობს უდიდესი განსხვავება გრძნობებსა და ემოციურ დამოკიდებულებას შორის [11:55].

ზოგიერთი ლინგვისტიკი გამოირიგბავს ემოციურ ფაქტორს ლინგვისტიკური კვლევის სფეროდან (მაგალითად ფერდინანდ დე სოსიური, ხოლმსკი). მაგრამ არის რიგი მეცნიერებისა, მათ შორის შ. ბალი და კ. ბიულერი, რომლებიც არ უარყოფენ ემოციური ფაქტორის არსებობას ენაში. მათი აზრით ენა არის ადამიანის აღქმაში გარდატეხილი სამყაროს შესახებ ინფორმაციის აღნიშვნისა და მიწოდების საშუალება, თავისთავად აღქმა, შესაბამისად კი ინფორმაცია, არის როგორც პირდაპირი, ანუ რაციონალური (როდესაც რეგერენტული სიტუაციის შემეცნება ხდება მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით), ასევე ემოციური, რომელიც სამყაროს სუბიექტურ-პოეტურ შემეცნებას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, ენის ფუნქციითა შორის ემოციურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სიტყვის ემოციური მნიშვნელობა რეალიზაციას უკეთებს გრძნობიერების ცნებას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საგანმა, მოვლენამ, ან ფაქტმა ჩვენს გარემომცველი მატერიალური სამყაროდან. ეს მეტყველებს მასზე, რომ ემოციური მნიშვნელობის სიტყვა გამოხატავს სუბიექტურ-შეფასებით დამოკიდებულებას ობიექტური სინამდვილის ფაქტებთან [6:114].

ემოცია ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაა, გარე სინამდვილესა და თავისი თავისადმი ინდივიდის დამოკიდებულების განცდაა (შიში, რისხვა, სიხარული, სიყვარული და სხვა). ემოციას უპირისპირებენ გრძნობას (ვიწრო მნიშვნელობით), რომლისგანაც იგი მუტი სუბიექტურობით განსხვავდება. გრძნობა, სუბიექტის ემოციური ხასიათის განცდაა. შემეცნებითი ბუნების განცდებისაგან (აღქმა, წარმოდგენა, აზრი) განსხვავებით, გრძნობა თვით ობიექტური სინამდვილის მოვლენებს კი არ ასახავს, არამედ უშუალოდ განცდის სახით გამოხატავს მათ მიმართ სუბიექტის დამოკიდებულებას: სიამოვნებას, უსიამოვნებას, სიხარულს, მწუხარებას, შიშს, რისხვას, სიყვარულს, ზიზღს და ა.შ. გრძნობის აღმოცენება და ხასიათი არსებითად დაკავშირებულია სუბიექტის მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან. გრძნობათა შორის განასხვავებენ „საგნობრივ გრძნობებს“ და ემოციებს ვიწრო მნიშვნელობით. პირველი განიცდება ობიექტში გადატანილად ისე, თითქოს ობიექტის თვისებას წარმოადგენდეს. „მაგ. ობიექტის სილამაზით გამოწვეული გრძნობა განიცდება, როგორც ამ ობიექტის სილამაზე“. ამ სახის გრძნობებს უპირისპირებენ ემოციებს, როგორც თვით სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის განცდებს „მე მიყვარს, მე მიხარია, მე ვმინია“. ემოციას მჭიდრო კავშირი აქვს გამომსახველ მოძრაობებთან. ემოციის როლი ინდივიდის ქცევის სტრუქტურაში არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული. ზოგი მკვლევარი ხაზს უსვამს მის მარეგულირებელ და ქცევის მამოძრავებელ ფუნქციას, ზო-

გი კი ქვეყნის დეზორგანიზაციის გამოშვევ გავლენას. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ემოციას ხშირად ინფორმაციის დანაკლისის ცნებას უკავშირებენ.

„ემოციები“ და „ემოციურობა“ ეს ფსიქოლოგიური კატეგორიებია. ენობრივ დონეზე ისინი პოულობენ თავის ანარეკლს ემოციურობის კატეგორიაში, რომელიც წარმოადგენს ენისათვის ემანტეტურად ნიშანდობლივ თვისებას თავისი საშუალებების სისტემით გამოხატოს ემოციურობა როგორც ფსიქიკის ფაქტი, ასახული ენის ერთეულების სემანტიკაში სოციალური და ინდივიდუალური ემოციებით. ამ კატეგორიას აქვს ორი მხარე: შინაარსიანობის მხარე, რომელთა მემკვიდრით მანიფესტირდება მოსაუბრეთა ემოციური დამოკიდებულება/მდგომარეობა [13: 24].

ლინგვისტები აღნიშნავენ, რომ წინადადების/გამოთქმის სემანტიკური და სინტაქსური წყობა განისაზღვრება არა მარტო ასახული სიტუაციის ხასიათით, არამედ მოსაუბრის ფსიქიკური მდგომარეობითაც, იმით, თუ როგორ ხედავს მოსაუბრე სიტუაციას, როგორ რეაგირებს მასზე, ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერი წინადადებისთვის (გამონათქვამისათვის) დამახასიათებელია ნეიტრალური ან მარკირებული ემოციური მნიშვნელობა. არსებობს ემოციური მნიშვნელობების გამოხატვის ორი მეთოდი: იმპლიციტური და ექსპლიციტური. მეტყველურ წარმონაქმნებს იმპლიციტური ემოციური მნიშვნელობით, მიეკუთვნებიან ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც არ არსებობენ ამა თუ იმ ემოციის ნომინატივები. ამ შემთხვევაში მოსაუბრის ემოციური რეაქცია არ ნიშანდობლივდება როგორც ფაქტი არალინგვისტური რეალობისა, დაქვემდებარებული დანაწერებით გამოთქმებზე, არამედ იგი აღიქმება მოსაუბრის მიერ და გამოიხატება ენობრივი საშუალებებით, მომავალში შეენოხილი მოვლენის აღქმით. იმპლიციტური ემოციური მნიშვნელობა გამოისახება ცვალებადობით, რომლებიც მიმდინარეობს გამოთქმების წარმოქმნის ყველა ეტაპზე: გამოთქმის ჩანაფიქრის პროგრამირებისა და მისი საყრდენი აზრობრივი წვერების შერჩევის ეტაპზე, გამოთქმის ლექსიკო-გრამატიკული დახასიათების ეტაპზე და მისი მოტორული რეალიზაციის ეტაპზე. ემოციური დაძაბულობის მდგომარეობაში წარმოიშებიან არსებული ძვრები იმ მეტყველური ოპერაციების განხორციელებისათვის, რომლებიც მოითხოვენ კონტროლს მათი რეალიზაციის ხარისხზე, რასაც მიყვავართ სინტაქსურად და ლოგიკურად დაუმთავრებელი ფრაზების რაოდენობის გაზრდაზე, წინადადებებში სინტაქსურად დაუკავშირებელი ელემენტების არსებობაზე. წინადადების ემოციური მნიშვნელობა იმპლიციტურად გამოიხატება აგრეთვე ენობრივი ერთეულების დახმარებით, რომლებიც განპირობებულია სინტაქსური კავშირებით წინადადების სისტემის წევრებთან (შორისდებული, ძახილითი ნაწილები, მიმართვები ზეცისადმი, ღმერთისადმი, სალანძღავი სიტყვები, სიტყვა-„პარაზიტები“, სტანდარტული გამოთქმები), რომლებიც არ შეიცავენ რეალურ აზრობრივ დატვირთვას [10:35]. მოსაუბრის ემოციურ განცდაზე მიანიშნებს გამოთქმებისას სიტყვების წარმოშობა, რომლებიც დამაგრებულია მოცემულ ენაში მეტყველების ემოციური ფუნქციის მომსახურებისათვის. რამდენადაც ემოციური ფუნქცია წარმოადგენს ენის ერთ-ერთ ფუნქციას, მასში ფორმირდება განსაზღვრული ემოციური კოდი, როგორც ლინგვისტური უნივერსალი თავისი საშუალებების ნაერთით, მათ ყველა დონეზე ფონოლოგიურიდან სტრუქტურულამდე.

ვადიარებთ სემანტიკის წამყვან როლს ემოციურ-შეფასებითი ერთეულების კომუნიკაციურ-პრაგმატული ორიენტაციის ფორმირებაში. ვთვლით, რომ კომუნიკაციურ-პრაგმატული ორიენტაცია პირდაპირ დამოკიდებულია სიტყვის მნიშვნელობაში ემოციური შეფასების კომპონენტის „მდგომარეობაზე“. ემოციურ-შეფასებითი ენობ-რივი ერთეულების სემანტიკაზე დაკვირვებანი გვარწმუნებს, რომ ამ

სიტყვების სემანტიკური სტრუქტურა სრულად სხვადასხვაგვარია. თავისთავად ემოციური შეფასების კომპონენტები, ანუ მისი სტატუსი, ადგილი და როლი ამა თუ იმ ემოციურ-შეფასებითი ენობრივი ერთეულების მნიშვნელობაში ასევე იქნება განსხვავებული. ჩვენი აზრით, გამონათქვამის (მეტყველებაში აქტუალიზირებული წინადადების) სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურა განპირობებულია არა მარტო რეფერენტული ექსტრალინგვისტური სიტუაციის თავისებურებებით, არამედ მასში გამოხატულებას ჰპოვებს მოუზარის ემოციური და სუბიექტურ-შეფასებითი დამოკიდებულება ამ სიტუაციის მიმართ.

წინადადებაში „მე მიხარია, რომ შენ მოხვედი“ ჩვენ გვაქვს არა ემოციის გამოხატვა, არამედ მისი აღნიშვნა. ისიც ატარებს ინფორმაციას ემოციური დამოკიდებულების ან მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მასში არ არსებობს ემოციის გამოშსახველობითი კომპონენტი და ამიტომ სიტყვა „მიხარია“ არ არის ემოციური, არამედ ემოციის აღმწერი, მისი დასახელების აღმნიშვნელი სიტყვაა, ანუ ნეიტრალური სიტყვაა [13: 9], ასეთ გამონათქვამებში მოსაუბრის ემოციური რეაქცია ხდება ამ რეაქციის გამომწვევი სიტუაციის ასახვის დანაწერებელი გამოთქმის ობიექტი. ამ შემთხვევაში ემოციის ხასიათი წარმოჩნდება ლექსიკური ერთეულების დახმარებით. ემოციური მნიშვნელობის გაშსახვის ასეთ მეთოდს ეწოდება ექსპლიციტური. მას ახასიათებს კონკრეტულობა გამოხატული ემოციების ხასიათის გადაცემაში და გამოხატვის ცალკეული საშუალებების დამატება ემოციის სხვა ცალკეულ სახეებთან.

ამდენად, ემოციები მიჩნეულია ადამიანის სულიერი, ფსიქოლოგიური მდგომარეობის განმსაზღვრელ გარემოებად, ანუ ადამიანის გარემოებლობად ემოციური სიტუაციებისადმი. ადამიანის ემოციები და მათი ენობრივი გამოხატვის მექანიზმი მუდამ იყო და იქნება მეცნიერული კვლევების ერთერთი საგანი.

#### ლიტერატურა:

1. Арнольд И.В. Стилистика современного английского языка. Москва Иностр язык Изд. 2 1981
2. Ахманова О.С. Экстралингвистические и внутри лингвистические факторы в функционировании и развитии языков Наука Москва
3. Балли Ш. Общая Лингвистика. Москва 1955
4. Винокур Т. Г. Закономерности стилистического использования языковых единиц Москва Наука 1980
5. Галкина-Федорова Е. М. Об экспрессивности и эмоциональности в языке. Москва. Изд. МГУ 1958
6. Гальперин И.Р. Текст как объект лингвистического исследования. Москва. 1981
7. Доготов Г.И. Эмоция как ценность. Москва. Наука 1978
8. Израд К. Эмоции человека. Москва 1980
9. Каплунович А.М. Опыт анализа динамического аспекта фраз номинации . Сб. науч. трудов М., 1998
10. Конопелько Е.В. Эмоциональный перлокутивный эффект и его интерпретация участниками коммуникации. Ленинград изд-во Ленингр. ун-та 1991
11. Разинкина Н.М. Развитие языка английской научной литературы. Москва. Наука 1982
12. Соссюр Ф. Де. Курс общей лингвистики. Москва 1956
13. Шалковский В. И. Категоризация эмоций в лексико-семантической системе. Воронеж Изд-во Воронеж. ун-та 1987

Tamar Tvaladze

#### Emotion in lexico-semantic structure

#### Abstract

The aim of the article is the definition of emotion in Linguistic literature. The article highlights that "emotion" and "emotionality" are psychological features. The article deals with the emotions and the means of emotional expressions in lexico-semantic structure. The article highlights that emotions are considered to be senses of definitions of human's spiritual psychological conditions, in other words emotional words describe human's sensitivity towards emotional situations.

The article highlights that syntactic and semantic structures of sentences and expressions depend not only on situation but also on the psychological condition of the speaker, on how the speaker react upon the situation. The article

emphasizes that as emotional function is considered to be one of the language functions, certain emotional code is formed which is linguistic universal on all levels.

Also the article describes emotives, as the words denoting emotions are considered to call emotives. The article emphasizes that emotives are lexical units in semantic structure which are used to express speaker's emotional dependence towards the situation.

**Ekaterine Topuria**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

## **The Textual and Interpersonal metadiscourse Markers in the Persuasion of the Discourse**

The role of textual and interpersonal metadiscourse markers in the persuasion of the discourse ingredients' are found to play the essential role for the further fulfillment of the speaker's or the writer's ideas. Using a contrastive corpus of newspaper articles (Guardian and Georgian Times) written in English seeks to identify which metadiscourse markers characterize newspaper discourse, specifically opinion columns, and which of these markers are found to function more persuasively. The living language of press is the best purifier of the language on-going changes in the authentic English texts.

According to the evaluation of a group of informants the notion of metadiscourse will be adopted as an analytical framework since it has proved to be useful for textual analysis, agglutinating some of the explicit items that writers use to guide or direct readers through a text so both the text and the writer's approach is understood. Although the presence and function of metadiscourse markers has been examined in a number of different contexts, including textbooks [Hyland, 1999, 2000], student writing [Crismore et al., 1993], science popularizations, advertisements and research articles [Williams, J. W. 1981], surprisingly little attention has been given to the genre of newspaper discourse and no study so far has contrasted metadiscourse. (Enma Dafouz-Milne 2007).

Newspaper discourse, and opinion columns in particular, can be considered "some of the most adequate examples of persuasive writing in all countries, setting standards for written persuasion"

Moreover, and given the wide audience they target and the fact that they are among the most widely read genres [Williams, 1981], opinion columns serve to acquire and reinforce much of the readers' knowledge and beliefs. These texts, like editorials, deal with topics that are "considered to be of particular societal importance at the time of publication". However, unlike editorials, they are texts signed by a subject expert and may not reflect the official stance of the newspaper. Despite these texts' convincing nature, the automatic acceptance of the ideas presented does not always occur. In order to persuade, columnists have to present the propositional material in a form that the potential audience will find most convincing and attractive. Furthermore, to succeed, writers need to create a credible textual persona or ethos and develop an appropriate attitude towards their readers and the claims they present. In the construction of this textual persona, metadiscourse plays a vital role. However, whilst the persuasive function of metadiscourse in a text has been sufficiently discussed and proved [Hyland, 1998], the persuasive effect on an actual audience is not so evident. The present study, then, goes on to explore, using a questionnaire, whether metadiscourse markers actually attain persuasion on a group of selected informants and, if so, how such persuasion is metadiscursively articulated.

The general findings regarding the number of metadiscourse markers are presented and similar in the number and use of metadiscourse markers from a cross-linguistic perspective, whereas section discusses their persuasive effects; finally, the section includes some comments from the informants involved in the research.

The role of metadiscourse markers in opinion columns: a textual and interpersonal taxonomy. Although more than two decades have passed since the publication of some of the first works on metadiscourse [Williams, 1981], interest in this notion from both a theoretical and practical

perspective is still lively. Proof of this is the wealth of studies that have adopted a metadiscourse approach [Crismore, 1989], as well as the recent publication of [Hyland 2005], which synthesises different conceptions, reviews the most relevant studies and aims to "offer a more robust, explicit and useful model of metadiscourse"

საბერძნეთში ბროწეულთან იყო დაკავშირებული წარმოდგენა სიუხვეზე, ხოლო ყვავილს მგზნებარე სიყვარულის სიმბოლოდ აღიარებდნენ. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ბროწეულის ნაყოფი ცოლქმრული კავშირის ურღვევობის გამომხატველია. არგოსში იდგა ჰერას ქანდაკება. ქალღმერთი იჯდა ოქროს ტახტზე, ცალ ხელში ეჭირა ნახევარი ბროწეული, როგორც ზევსთან ურღვევი კავშირის სიმბოლო და მეორეში კვერთხი ფრთოსანი გუგულის გამოსახულებით. ასევე, ქვესწელის ღმერთმა ჰადესმა პერსეფონეს საიქიოდან სააქაოს წამოსვლისას ბროწეული შეაჭამა, როგორც ქორწინების ნიშანი, რომ ქალღმერთმა მარადიულად დაბრუნებულიყო მასთან [4].

არსებობს მითი ბაბუხსზე, რომელმაც მეოცნებე შეყვარებული თავის გვირგვინზე ბროწეულად აქცია. ამით გულის სწორს სურვილი აუსრულა. ვარაუდობენ, რომ მეფის გვირგვინის ფორმაც ბროწეულის ყვავილისგან არის ნასესხები. პომპეის ნაგებობათა ფრესკებზე დღემდე შემორჩა ამ მცენარის ნაყოფის გამოსახულება. ძველ რომში ბროწეულის ტოტებისაგან გაკეთებული გვირგვინი მეგობრობისა და თანხმობის სიმბოლოა წარმოადგენდა [5].

ბროწეულს სიმბოლური დატვირთვა აქვს ბიბლიაშიც, ის გამოსახული იყო მღვდელმთავრის ეფოდის კალთების ნაქარგობაზე („ამოქარგე მის კალთებზე (საუბარია აარონის ეფოდზე – ზ.კ.) ირგვლივ ბროწეულები ლურჯი, მოწითალო და ჭიაფერი ძაფებით და ოქროს ვენები ჩამოჰკიდე ირგვლივ“. გამოსვლათა, 28-33), ასევე სოლომონის ტაძრის სვეტთა ჩუქურთმებზე [2].

ბიბლიის მიხედვით შემოქმედმა ადამიანებს 613 მიცვა, ანუ ღვთის განკარგულება მისცა. მიცვების შემსრულებელს იუდაიზმში განუდნენ (სამოთხის ბაღს) ან ოლამ ჰაზანს

(მომავალ სამყაროს, ე.ი. მესიის მოსვლისას მკვდრეთით აღდგომას ) ჰპირდება [7].

ხალხში გავრეცელებული შეხედულებების თანახმად კი ბროწეული არის სიმბოლო 613 მცნებისა, რომლებიც ღმერთმა ებრაელებს მისცა. ისიც საგულისხმოა, რომ მარცვალთა ერთობლიობა ეწინა ბროწეულის სიმრგვალებს, სფერულობას, რაც ნიშნეულია როგორც დედამიწისათვის, ასევე ხელმწიფის ერთ-ერთი რეგალიის სამეფო სფეროსათვის. ბიბლიური ტრადიციით ხელმწიფობა უფლის მიერ ებოძა ადამიანს. მიცვეების ერთობლიობა თავისთავად მიანიშნებს სამყაროს ერთიანობასა და ადამიანისათვის უფლის სამყოფლის დამკვიდრების აუცილებლობას.

სოლომონის ქებათა-ქებაში (თავი 7-8) მეფე მიმართავს თავის სატრფოს: „ავდგებოდით დილით სისხაზზე ვენახთა მოსახილვად, ვნახავდით, როგორ ყვავის ვაზი, თუ იზღუბა ვაზის კვირტები, თუ ყვავის ბროწეული, ჩემს ალერსს იქ მოგვემდი... წაგიძღვებოდი და, ვინც გამზარდა, დედაშემის სახლში შეგიყვანდი. სურნელოვან ღვინოს – ჩემი ბროწეულის წვენს შეგასმევი“ ბროწეულის სიმბოლოს ცოლქმრული ერთგულების გამოხატვის ფუნქცია ფიქსირებულია ბიბლიაშიც. ასევე, მასში კოდირებულია ნაყოფიერების თვისებრიობაც.

ბროწეული არა მხოლოდ მსოფლიო კულტურულ სივრცეში, არამედ ქართულ წარმოდგენებშიც ერთ-ერთი საინტერესო სიმბოლოა. აქაც უფრო მეტად მისი ფუნქცია ელინდება ზარაქიანობისა და სიუხვის გამოხატვამი.

ცნობილია, რომ სახალწლო ჩიჩილაკის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ბროწეული. „ჩიჩილაკის თავზე დამაგრებულია 4-6 გოჯის სიგრძე ხის ოჯარი, რომლის ორ წვერზე ჩამოამეცდნენ ბურთულის ფორმის კვერს, თითო წვერზე თითოს და დანარჩენ ორ წვერზე წყილ ბროწეულს, ან ვამლს“ [1].

ჩიჩილაკზე ბროწეულის დამაგრება უძველესი დროიდან უნდა მოდიოდეს და ადრინდელი რწმენა-წარმოდგენის სიმბოლოური გამოხედვით უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს ერთ ქართულ ზღაპარში „გაუცინარი ხელმწიფე“, მითოლოგიურ-ეთნოგრაფიული დანაშთის გამოხატვული დეტალები. კერძოდ, ზღაპრის მიხედვით, მეფე მუდმივად დაღონებულია, მისი გაუცინარობის მიზეზის გასაგებად უფლისწულმა მამას მისი თავისტოლა ბროწეულები უნდა მოუტანოს. ვაჟი წარმატებით ასრულებს დავალებას და ხსნის მამის საიდუმლოსაც – მისი გაუცინარობის მიზეზს. ასევე, ის ამარცხებს დევს. ქართული ფოლკლორისათვის უწმინდურ ძალას და ათავისუფლებს საკუთარ დედას. ბროწეულის ნაყოფის მოპოვებით უმცროსი ვაჟი ასრულებს ინიციაციის ერთ საფეხურს, რომლიდანაც გამომდინარეობს მეორე, მან უნდა დაუმკვიდროს მამას დაკარგული უფლება, ფლობდეს დედოფალს, როგორც ნათლისა და სიციცხლის ემანაციას.

ქალი მიუწვდომელ კომპში იმყოფება, ხოლო კომპი, სვეტი, მთა... ზოგადად ერთიანდება საკრალური ხის დეტერმინაციაში. ამ ზღაპრის მიხედვით დედოფალი და ხელმწიფის თავისოდენა ბროწეულების ხე ერთ საკრალურ სივრცეში ერთიანდება. ამიტომ ბროწეულის მოპოვება და დედის დახსნა იდენტურ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საზოგადოდ ქალი ფოლკლორულ ნარატივში ხშირად მოიაზრება, როგორც ცხოვრების ხის სიმბოლო. ბიბლიური ევას სახელი სიციცხლის ხის არქეტიპა ძველებრულად ევა(Eve) სიციცხლეს ნიშნავს, მეტადაა გავრცელებული სიმბოლო, სადაც სიციცხლის ხესთან დგას დედური ფუნქციების მატარებელი ქალ-ღვთაება.

იბერიულ-კავკასიურ მითოლოგიურ გადმოცემებში ხშირად გვხვდება სასიციცხლო სუბსტანციის სხვა მატარებლებში, მაგალითად, ბროწეული (მოგვიანებით იგი ვამლამ შეცვალა), რომელიც უცდავებისა და ხელდასხმის სიმბოლოდ აღიქმება მკვდრეთით აღდგომის შემდეგ [5].



ამიტომაცაა, რომ ვაჟმა საკუთარი ხელდასმისა და მამისეული ტახტის დამკვიდრებისათვის იგივეობრივი ქმედება უნდა გააკეთოს. იმისათვის, რომ მეფემ უმცროს შვილს დაულოცოს ხელმწიფობა, აუცილებელია დედოფლის გათავისუფლება და სასახლეში დაბრუნება ასევე, ვეება ბროწეულების, ამ შემთხვევაში სიცოცხლისა და ხელისუფლების გამომბატეელი სიმბოლოს მოპოვება. საგულისხმოა, რომ ხუთი ბროწეულიდან ვაჟი ერთს იქვე შეჭამს, ერთს ხეზე ტოვებს სამი კი მამისათვის მოაქვს. რიცხვი სამი ქართული კოსმოგონიური განფენის მაჩვენებელია და ორგანულად ერწყმის იმ სიმბოლოს რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართული მიტოსური მსოფლ-აღქმისათვის.

ქართულ ზღაპრებში შესაძლებელია შეგვხვდეს ამბის ასეთი დაბოლოება-ფორმულა: „სამი ვაშლი, სამი ბროწეული ღმერთმა ნუ მოგაკლავ, თქვენი ხელით მოწეული.“ როგორც ჩანს, ქართული ზღაპარი იმარბავს ვაშლისა და ბროწეულის იდენტური ფუნქციის მითოსურ საფუძველს. როგორც ბროწეული, მით უფრო ვაშლი ძალიან ბევრ შემთხვევაში ნაყოფიერებისა და სიცოცხლის სიმბოლოდ მოიაზრება.

ამკარაა, რომ ბროწეულის სიმბოლოს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს ზიზღისაში, მითოლოგიასა და ფოლკლორულ ნარატივში. მისი გააზრება აჩვენს რამდენიმე ფუნქციურ პარალელს ერთის მხრივ ზიზღისა და ქართულ სინამდვილეს შორის, მეორე მხრივ, მსოფლიო მითოლოგიასა და ქართულ ფოლკლორს შორის. რის შედეგადაც შეიძლება სიმბოლოს რამდენიმე ნიშანი დაფიქსირდეს.

ბროწეული შეიძლება იყოს:

მსოფლიო ხის ერთ-ერთი სახე, რომელიც ქვეყნიერების დასალიერს ხარობს და კაცთაგან მიუღწეველია. მისი ნაყოფის მოპოვება მხოლოდ განსაკუთრებული შესაძლებლობების პიროვნებას შეუძლია; ის აუცილებლად უნდა იყოს უმცროსი ძე. შედეგად მითოსურ-ფოლკლორული გმირი წილხვდომილობას იღებს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბროწეული და ვაშლი საკრალური წარმოდგენების მიხედვით იგივეობრივი სიმბოლური ფუნქციის შემცველია. მსოფლიო ხის ნაყოფის მოპოვება დაკავშირებულია ქალურ საწყისთან, ან მას ძალაუფლების მქონე პირები (ხელმწიფენი) იყენებენ იმისათვის, რომ მოიპოვონ ქალის ერთგულება, ამით კი ხელი შეუწყონ ნაყოფიერებას.

ბროწეული წარმოიდგინება ღვთაებრივი მცნებების დამტვე მთლიანობად, დედამიწის ე. წ. მიკრომოდელად, რომელსაც მართავს უზუნაესი ძალა, ან მართვის უფლება ეძლევა ღვთისაგან ხელდასმულ ადამიანს, აქ თავს იჩენს ხელმწიფობის დამადასტურებელი ნიშანი. სამეფო სფეროსა და გვირგვინის ფორმა ბროწეულის გამოსახულებიდან იღებს სათავეს (პარალელები ზიზღიდან 613 მცნება; არონის ეფოდი, სოლომონის ბაღი. ჰერას სფერო ბერძნული მითოლოგიიდან; ზღაპარი „გაუციინარ ხელმწიფეზე“ ქართული ფოლკლორიდან).

ასევე, ბროწეული არის ქორწინების საიდუმლოს აუცილებელი ატრიბუტი, რომელიც გარანტირებულ ერთგულებას მოუტანს წყვილს. ეს ნიშანიც ფიქსირდება ზიზღისაში (სოლომონის ქება), ბერძნულ მითოლოგიასა (პერსეფონეს მიერ ბროწეულის ჭამა) და ქართულ ზღაპარშიც.

ეთნო-ყოფითი ესთეტიკური დამოკიდებულება ბროწეულის მიმართ გრძელდება დღევანდელთაშიც, ის კვლავ რჩება ქართული მენტალობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ გამოკვეთილ სიმბოლოდ. კერძოდ, თბილისის სიმბოლური გასაღების დამზადებისას გრაფიკოსმა ემირ ბურჯანაძემ გასაღების ერთ-ერთ დეტალად გამოიყენა ბროწეულის ფორმა-გასაღების ტარი ბროწეულის ყვავილშია ჩასმული [9].

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ არმაზის გათხრების დროს, სარკოვაგის გახსნიას აღმოაჩინეს, რომ ბროწეულის ხის ფესვს საფლავის ქვა გაერღვია და სერაფიტას სამა-

ჯურში გამბერალი აღმოცენებულიყო. ამ საოცრად სიმბოლური ფაქტით შეძრულმა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა ისურვა სიკვდილის შემდეგ მის საფლავზე ბროწეულის ხე დაერგოთ. სიციხელისა და პოეზიის მარადიულობის ამ ლამაზ ფაქტებს თავისებური გაგრძელება მოუზენა პოეტურმა ორდენმა „სამკაულმა,“ რომლის წევრებმაც ჩაატარეს აქცია „სტიქია მიწა“. სამების ტაძართან გამოყოფილ მიწის ნაწილზე ახალგაზრდა პოეტებმა დარგეს ბროწეულის ხე და მის ფესვებში თავიანთი ლექსები ჩადეს.

ბროწეულის სიმბოლო თანამედროვე ხელოვნებაში დამუშავებულია ყველა ეპონიმური ფუნქციითა და ნიშნით. მბატერულ ლიტერატურაში ტროპების მნიშვნელობა შეიძლება აიხსნას ნარატივის საფუძველზე გამოვლენილი სიმბოლოს ფუნქციური ნიშნებით, რომელთაც ორგანულად ერწყმის ქართული მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება ამ მცენარის მიმართ.

შეიძლება ითქვას, რომ ბროწეულის სიმბოლოს ვარიანტული სახესხვაობები ერთად იკვრება, ცალკეული ფუნქციური თვისებები კვეთენ ერთმანეთს და საბოლოოდ მანც ქალურ საწყისს უკავშირდებიან, როგორც სინათლის, ნაყოფიერების, სიციხელისა და სიყვარულის მარადიულ ემანაციას.

#### ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ვ.(1941): ქართველთა უბველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლუთება ბარბარ-ხახარ), საქსსრ მა გამომცემლობა, თბ., გვ.72.
2. მიხლიის ენციკლოპედია(2003) გაერთიანებული მიხლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა. თბ., გვ.17.
3. გაუცინარი ხელმწიფე.<http://www.kartli-zgaprebi.narod.ru/>.
4. ველოვანი ა.(1983) მითოლოგიური ლექსიკონი.გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., გვ.407.
5. ვერულაშვილი თ.ფლორა და ფაუნა// <http://ge.lem.net.8080/lemi.content>.
6. ზორიასტროზი <http://www.400.ge/lead/>
7. იუდაიზმი <http://wikipedia.org/wiki>.
8. <http://lingvistuss.wordpress.com>.
9. <http://www.Tbilisi.gov.ge/>.
10. ქართული მითოლოგია <http://wikipedia.org/wiki>.

**Zeinab Kikvidze**

### **Pomegranate as an Image and a Symbol: Narrative and Contemporaneity**

#### **Abstract**

Pomegranate has been one of the most noteworthy symbols not only in the Georgian, but also in the world's cultural space. It has a peculiar function in the Bible, in mythology, and in folklore narrative. The conceptualization of the symbol of pomegranate leads to the detection of some functional parallels between the Bible and Georgian data, and between world mythology and Georgian folklore, on the other. Georgian ethnographic rituals create a sense of identical features by means of specific things and details. As a result, several features of the symbol can be identified.

**მედეა კინწურაშვილი**

**ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
ინტერტექსტუალობის პრეზუმცია და სტრატეგია**

ინტერტექსტების შესწავლა შესაძლებელია სხვადასხვა ასპექტში. მაგალითად, მათი შესწავლა ცალკეული მწერლის შემოქმედებაში - ეს არის ტრადიციულად, ლიტერატურათმცოდნეობის კლავის ძირითადი ობიექტი, მათი გამოყენებისა და ფუნქციონირების შესწავლა რომელიც კონკრეტული ენის, კულტურის მატა-

რებელთა გარკვეულ ისტორიულ მომენტში (სინქრონული ჭრილი, რ. იაკობსონის ტერმინოლოგიით), ან კიდევ ინტერტექსტების გადაადგილების დინამიკის შესწავლა კულტურული მეხსიერების ცენტრიდან პერიფერიისკენ და, პირიქით, დროის ხანგრძლივ მონაკვეთში (დიაქრონული ჭრილი), და ყალიბდება ინტერტექსტუალობის სტრატეგია.

წინამდებარე სტატიაში შემოთავაზებულია ინტერტექსტუალობის, როგორც ლინგვოკულტურული ცნობიერების ფენომენის, სტრატეგიის და პრეზუმპციის როლი ინტერტექსტუალობის საკითხის კვლევაში. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ორი სემიოტიკური სისტემის – ენისა და კულტურის – ურთიერთქმედების ინტერაქციურ პროცესებს ლინგვო-კულტურული კომპეტენციის პოზიციებიდან.

ტერმინი „ენობრივი ცნობიერება“ ჩამოყალიბდა და აქტური ანალიზის ობიექტად იქცა ფსიქო-ლინგვისტური ორიენტაციის ნაშრომებში, უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. ჩვეულებრივ, „ენობრივ ცნობიერებაში“ იგულისხმება ხატები, რომელთა ჩამოყალიბება ხდება ფონური (გაენობიერებული თუ/ან გაუენობიერებელი) ცოდნის ზეგავლენით და რომლებიც აქტუალიზაციას ჰპოვებს ენობრივი საშუალებებით სიტყვებით, თავისუფალი და მყარი შესიტყვებით, წინადადებებით, ტექსტებითა და ასოციაციური კვლებით. ცნობიერების პირველადი ხატები ყალიბდება ადამიანის შექცევითი საქმიანობაში, მეორადი კი პირველადი ხატების დამუშავებისა და კონტამინაციის პროცესში, რაც ენობრივი შემოქმედების ცნობიერების გამოვლენის დინამიკურ ფორმაზე ცხად-ყოფს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტერმინი „ენობრივი“ უნდა იწვევდეს ასოციაციებს გამოხატვის ვერბალურ საშუალებებთან („მეტყველების“ შესატყვისი), რაც ერთობ ზღუდავს თვით ცნების მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებული ტრადიციისგან განსხვავებით, ჩვენ ვისარგებლებთ სინონიმური ტერმინით „ლინგვოკულტურული ცნობიერება“, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო კარგად ხსნის კულტურასთან ენობრივი და მენტალური კომპლექსების კავშირს და ამავე დროს, მეტყველების ცნობიერების გამოვლენის დინამიკურ ფორმაზე.

ლინგვოკულტურული ცნობიერების მოქმედება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „სამყაროს სურათის“ ფორმირების პროცესი, რომელიც გაშუალებულია სიტყვით და მიმდინარეობს ინდივიდის ფსიქიკის შესაბამისი, მაგრამ სოციალურად გამომუშავებული ნორმების, მნიშვნელობებისა და შეფასებების სისტემების მეშვეობით; ანუ ენობრივი შექცევა წარმოადგენს ადამიანის ყოფიერების პროექციას, რომელსაც იგი ინარჩუნებს მთელი ცხოვრების განმავლობაში, ეხმარება მას მოახდინოს ორიენტირება გარემოცვლელ სინამდვილეში და ქმნის მისი ენობრივი სამყაროს საფუძველს. მიუხედავად ტერმინ „სამყაროს სურათის“ ფართოდ გამოყენებისა (სხვაგანაირად „სამყაროს გულუბრყვილო სურათი“), მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ცნება შედარებითია, რადგანაც მეცნიერება გერჯერობით არ ფლობს საკმარისად დამუშავებულ თეორიას იმისთვის, რომ გამოიწიოს აზროვნების საერთო კანონზომიერებები იმ თავისებურებებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ენასთან, მასში დაუნჯებული „სამყაროს სურათებით“.

ლოტმანი განიხილავდა რა კულტურას, როგორც ერთგვარ ენას და ამ ენაზე არსებული ყველა ტექსტის ერთობლიობას, შემთხვევით არ აღნიშნავს, რომ ზაქსენის მიერ ენის ათვისებისას მის გონებაში ხდება არა წესების, არამედ ტექსტების შეყვანა, რომლებსაც იგი იმახსოვრებს და რომელთა საფუძველზე სწავლობს მათ დამოუკიდებლად შექმნას [Lotman]. ფაქტურად, ენის მატარებლისათვის ტექსტი იქცევა რაღაც პირველადად და მას ეკისრება „საზოგადოების საერთო მეხსიერების“

უზრუნველყოფის ფუნქცია, თვით ენა კი გამოიყვანება ტექსტიდან და იქცევა მეორად აბსტრაქციად.

ენის მატარებელთა მიერ უშუალოდ გააზრებული და გაცნობიერებულად გამოყენებულ ნიშანთა სისტემებიდან გაუცნობიერებელ სისტემაზე გადასვლის შესწავლის პირველი ცდა კონოტატიურ სემიოლოგიაში ეკუთვნის რ. ბარტს. მისი აზრით ენა, გარკვეულწილად, წინ უსწრებს ინდივიდს, მის გარეშე და მის უნებურად ახდენს სინამდვილის მზა ფორმულების საშუალებით ორგანიზებას (ფონეტიკური და ლექსიკური დონეებიდან დაწყებული დისკურსის სხვადასხვა ტიპების ჩათვლით), რომლებშიც გარდაუვალად ყალიბდება ნებისმიერი ინდივიდუალობა.

60-იან წლებში ბარტი, როგორც ჩანს, ე. დერიდას და ე. კრისტევას გავლენით, გადადის „ნაწარმოების“ შესწავლიდან „ტექსტზე“ და ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციიდან ინტერტექსტურალურ „წერა-კითხვაზე“. ბარტის მიხედვით, კულტურული კოდი იქცევა მრავალგვარი ციტაციის პერსპექტივად, ხოლო ამ კოდით წარმოქმნილი ერთეულები სხვა არაფერია, თუ არა „სხვისი სიტყვის“ გამოძახილი. მრავალი თანაბარუფლებიანი კოდისაგან მოქსოვილი ტექსტი, თავის მხრივ, თვითონავე ჩაქსოვილია კულტურის „მეხსიერებაში“ და წარმოადგენს არა მყარ ნიშანს, არამედ მისი წარმოქმნის პირობებსა და გარემოს, რომელშიც არც ერთი არაა მთავარი“.

რ. ბარტის აზრით, „ნაწარმოები არის ნივთიერი ფრაგმენტი, რომელსაც უკავია წიგნის სივრცის გარკვეული ნაწილი (მაგ. ბიბლიოთეკაში), ტექსტი კი - მეთოდოლოგიური ოპერაციების ველია, ანუ სხვაგვარად, ტექსტი აღიქმება მხოლოდ მისი შექმნის პროცესში. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იგი უნდა მოძრაობდეს რადიუს გველით, მაგალითად, ნაწარმოების ან მთელი რიგი ნაწარმოებების გველით“ [Barthes R.]

გამოდის, რომ ტექსტი - ესაა ინტერტექსტი, რომელიც შედგება ერთმანეთთან თანაწორუფლებიანი კულტურული ხმებისგან, კოდებისგან, სადაც არსებობს მხოლოდ „პოლილოგის“ ძალაუფლება, როცა ნაწარმოები, რომლის წყალობითაც ჩვენ გაუცნობიერებლად ვითვისებთ „კულტურის წესრიგს“ წარმოადგენს გარკვეული კულტურის ენაში კოდირებულ სტერეოტიპების დანერგვის ყველაზე უფრო ეფექტურ მექანიზმს, რომლებიც კოდირებულია გარკვეული კულტურის ენაში, სჭირდება ამ კულტურას და ამ ენის მატარებელთა ქცევის რეგულირებას ენა-ხურება [Barthes R.]. ე.ბენვენისტის აზრით: „ენა ეს არის, ის, რაც ადამიანებს ერთ მთლიანობად აერთიანებს, ესაა ყოველგვარი იმ ურთიერთობების საფუძველი, რომლებიც თავის მხრივ, საფუძვლად უდევს საზოგადოებას“ და დასძენს, რომ ლოგიკის მიხედვით, ყველა სემიოტიკური ქვესისტემა, რომელიც საზოგადოების შიგნით არსებობს, არის სისტემა, რომლის ინტერპრეტაციას ახდენს ენა, რადგანაც საზოგადოების ინტერპრეტაცია წარმოებს მხოლოდ ენის საშუალებით [Benveniste].

ჯერ კიდევ ათვისების სტადიაში მყოფ ტექსტებს მივყავართ ლინგვო-კულტურული ცნობიერების კოლექტიური მითების წარმოქმნამდე, რომლებიც ახდენენ სინამდვილის თავისებურად დეფორმირებასა და მოდელირებას; ისინი მოიცავენ ცხოვრების ყველა სფეროს: მორალს, ესთეტიკას, განათლებას, ლიტერატურას, ხელოვნებას და ყოველდღიურ ცხოვრებას. თავის წერილში „მითი დღეს“ რ. ბარტი მკვიდროდ უკავშირებს მითს, ენას და ინფორმაციას. იგი მითოლოგიას განიხილავს, როგორც სემიოტიკის ნაწილს, რომელიც შეისწავლის მნიშვნელობებს მათი შინაარსისგან დამოუკიდებლად. ის, რაც ენაში ნიშანია, მითში იქცევა აღნიშვნელად. მითები წარმოადგენენ ლინგვოკულტურული ცნობიერების

არქტივებს. რ. ბარტი განასხვავებს ძლიერ და სუსტ მითებს, რომელთაც შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ძლიერ მითებში პოლიტიკური მუხტი უშუალოდაა მოცემული და მისი დეპოლიტიზირება დიდ ძალისხმევას მოითხოვს; სუსტ მითებში საგნის პოლიტიკური ხარისხი გაუფერულებულია, როგორც ძველი საღებავი, მაგრამ საკმარისია მცირე ძალისხმევა, რომ იგი აღდგეს“ [Barthes].

როგორც მითოლოგიური ობიექტები, რომლებიც გარკვეული ხნის მანძილზე თითქოს მიძინებულია, ამგვარადვე არსებობენ „სუსტი“ ტექსტებიც. ცნებები „ძლიერი ტექსტი“ / „სუსტი ტექსტი“ ინტერტექსტუალობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ხშირად გამოიყენება, როგორც თავისთავად ცხადი, თუმცა ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება ჯერ კიდევ არ არის გამოშუქებული და ამიტომ სხვადასხვა მკვლევარების ნაშრომებში ისინი შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობის იყვნენ. ჩვენი გაგებით ცნებები „ძლიერი ტექსტი“ / „სუსტი ტექსტი“ განუყოფელია გარკვეული ენისა და კულტურის მატარებლის ლინგვოკომენტალური კომპლექსისაგან. მამასადამე მათი განხილვისას არ შეიძლება იგნორირებულ იქნეს ენის მატარებლის პიროვნების სტრუქტურა [კინწურაშვილი].

„ნგრევა, რომელსაც იგი (მითი) ახდენს კოლექტიურ ენაში, აბსოლუტურია; სწორედ ნგრევამდე დაიყვანება მისი ამოცანა“ [Barthes]. დაწყებისთანავე რ. ბარტი გადაუხვევს კ. ლევის - სტროსის კონცეფციას, რადგან თანამედროვე მითოსში იგი ხედავს არა პირველყოფილი ნატოვანი აზროვნების ინსტრუმენტს, არამედ „სუფთა“ სახის პოლიტიკური დემაგოგიის იარაღს, რომელთა საზრდოლველადვე, იგი ხელოვნური მითის შექმნას გეთავაზობს, შესამე რიგის სემიოტიკური სისტემის სახით. ბარტის მსჯელობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენობრივი საქციელის გარკვეულ პირობებში, მითოსად შეიძლება იქცეს ნებისმიერი ცნება: არა მხოლოდ ზეპირი და წერილობითი მიმართვა, ფილმი. სტატია ან რეკლამაც შეიძლება გახდეს „მითოლოგიური“ ცნების მატარებელი (მეორადი მითოლოგიური სისტემა შეიძლება აიგოს ნებისმიერი აზრის მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო შემთხვევაშიც. ენის მატარებელი კი ენის ათვისების პროცესში თითქოს „ქირაობს“ წარმოქმნილ მითებს და იწყებს სინამდვილის აღქმას მათი საშუალებით.

მ. ლოტმანი და რ. ა. უსპენსკი აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა სახის ტექსტები მართლაც შეიძლება ჩაითვალოს მითებად და მათგან არც კი განსხვავდებოდეს, მაგრამ მხოლოდ არამითოლოგიური ცნობიერების პოზიციიდან. ამიტომ საჭიროა გამორჩეულ იქნეს „სპონტანურად წარმოშობილი მითოლოგიური შრეები და მონაკვეთები ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ამა თუ იმ ისტორიული მიზეზებით განპირობებული გაცნობიერებული ცდელიობებისგან, მოხდეს მითოლოგიური ცნობიერების იმიტაცია, არამითოლოგიური აზროვნების ხერხებით“ (Лотман Ю.М., Успенский Б.А.) მითები ენის, საზოგადოების ანუ კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში აღწევს ტექსტების მეშვეობით, მკვიდრდება და ახდენს „მოლოდინის ჰორიზონტის“ ფორმირებას. ენის მატარებელთა „მოლოდინი“ ხელს უწყობს მეტყველებითი სტერეოტიპების შექმნას, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეულ ზეტექსტს თავისი გენეზისით, სტრუქტურით, ოსტატობითა და ენობრივი კოდირების ხერხებით. ასე მაგალითად, ფრანგული ლინგვოკულტურულ ცნობიერებაში დამკვიდრებული წარმოდგენა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე, რომელიც ჰიუგოს აღწერაზეა დაფუძნებული და არა გეოგრაფიულ მდებარეობაზე. მდინარე დნეპრის ხსენება კი გოგოლთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ საინტერესოა ქართული ტოტალიტარული ეპოქის ენა, რომელზეც გავლენას ახდენდა რუსული ტოტალიტარული ენა („ნოვოიზმი“) და რომელიც წარმოადგენს მთლიან სისტემას

სხვადასხვა ფუნქციური სტილითა და საკუთარი ყოფითი ვერსიით. «ნოვოიაზი» გამოხატავდა მასობრივი შეგნების დონეს თავისი ლექსიკონის - იდეოლოგიზმების ბლოკის საშუალებით, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებოდა მკაცრი სტრუქტურული ურთიერთობებით და საზრდოობდა პრეცედენტული ტექსტებით (პარტიის პროგრამული დოკუმენტებით, პოლიტიკურ მოღვაწეთა სიტყვებით, საბჭოთა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებით), რომლებშიც აისახებოდა და მკვიდრდებოდა ტოტალიტარული ეპოქის მითები.

ამგვარად, ენითა და ისტორიით გაერთიანებულ ადამიანთა აზროვნებაში არსებობს ტექსტების გარკვეული ნაკრები, კულტურული კლიშეების, წარმოდგენებისა და სტანდარტული სიმბოლოების სახით, რომელთა უკან დგას გარკვეული შინაარსი. ისინი შეადგენენ ამა თუ იმ ენისა და კულტურის მატარებელთა კულტურულ მემსიერებას („სამყაროს ინვარიანტულ სახეებს“). სამყაროს ინვარიანტული სახეები სოციალურადაა შემუშავებული და არ შეესაბამება ინდივიდუალურ-აზრობრივ წარმონაქმნებს როგორც ასეთს. ინტერტექსტუალობის რაკურსით ეს ნიშნავს, რომ ლინგვომენტალურ კომპლექსში ჩადებულია ინტერტექსტუალობის პრეზუმფცია, ანუ ამა თუ იმ ენის მატარებლის წინასამეტყველო მზადყოფნა, მისი ტექსტური პოტენციალი, რომელიც არსებობს არაენობიერის დონეზე, აქტიურდება კომუნიკაციის პრაგმატიკული პირობების შესაბამისად და ყალიბდება ინტერტექსტუალობის სტრატეგიად.

ზემოთქმულის საფუძველზე შევეცადეთ განგვესაზღვრა ინტერტექსტუალობის პრეზუმფციის და სტრატეგიის არსი: ინტერტექსტუალობის პრეზუმფცია განსაზღვრავს ნაწარმოების სიღრმისეულ ფაკულტატიურ-სემანტიკურ შრეს, რომელიც შეიძლება აქტუალიზებულ იქნეს მკითხველის მიერ აღქმის კოგნიტიურ-პრაგმატიკული პირობების შესაბამისად. მკითხველი, რომელსაც დიდი იმპლიციტური ენერგია გააჩნია, რეზონანსში შედის ავტორთან და მხატვრული ტექსტის ცალკეულ ნიშნებს აღიქვამს როგორც ანაგრამებს („გასაღები“, კოდები, პროტოტექსტის ინდიკატორები), რომლითაც იგი აღადგენს ნაწარმოების ინტერტექსტუალურ აზრს. ინტერტექსტუალობის კოგნიტიური სტრატეგია – ესაა ავტორისეული კოგნიტიური გეგმა, რომლის მიხედვითაც ყოველი მხატვრული ტექსტის ინტერტექსტუალური ცვლილება აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს მხატვრული ინფორმაციის მენტალურ გადამუშავებაში. ინტერტექსტუალობის სემანტიკური სტრატეგია მიმართულია მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციის სიღრმისეული შრის ფორმირებისკენ, ტექსტთაშორისი ურთიერთობების დამყარებისა და უნიკალური მხატვრული ნაწარმოების საერთო ინტერტექსტში ჩართვის ხარჯზე. ინტერტექსტუალურობის პრაგმატიკული სტრატეგია ემსახურება იმ პირობების შექმნას, რომელთა საშუალებითაც ხდება რეზონანსის უზრუნველყოფა ავტორსა და მკითხველს შორის და ამის შედეგად, ტექსტის ინტერტექსტუალური ბუნების აღქმა.

#### ლიტერატურა:

1. Barthes R. (1953) : Le degré zéro de l'écriture. Seuil. Paris
2. Barthes R. (1970) : S/Z. Seuil. Paris
3. Barthes R. (1971) : De l'œuvre au texte // Revue d'esthétique. #3. pp. 225-232.
4. Barthes R. (1973) : Texte (théorie du)/Encyclopædia Universalis. Paris
5. Benveniste E. (1974) : Problèmes de linguistique générale. Gallimard. Paris
6. Derrida J. (1967) : De la grammatologie. Minuit. Paris
7. Kristeva J. (1969) : Sémiotiké: Recherche pour une sémanalyse. Seuil. Paris

8. Lotman I. (1967) : Problèmes de la typologie des cultures // Information sur les sciences sociales. Vol. 6. № 2/3. P. 29-38
9. Караулов Ю.Н. (2000): Активная грамматика и ассоциативно-вербальная сеть. РАН. Москва
10. Лотман Ю.М. (1992) : Культура и взрыв. Текст в тексте. СПб: Искусство- СПб. Москва
11. Лотман Ю.М. (1991) : Текст в тексте // Труды по знаковым системам. Тарту. Вып. XIV. ст.567.
12. Лотман Ю.М. (1973) : Успенский Б.А. Миф - имя - культура // Труды по знаковым системам. Тарту. Вып. 308.
13. Руднев В.П. (1997) : Интертекст // Руднев В.П. Словарь культуры XX века: Ключевые понятия и тексты. Москва. ст. 113-118.
14. კონჭერაძეილი მ. (2008) პრევედენტული ტექსტები როგორც ლინგვოკულტურული სივრცის ერთეულები // "საენათმეცნიერო ძიებანი", №28, 157-163, თბილისი

Medea Kintsurashvili

## Presumption and Strategie of intertextuality

### Abstract

The paper is dedicated to lingvo –cultural studying of presumption and strategie of intertextuality. Linguistic-cultural concept as a base of synthesis research of the culture, perception and discourse is examined and observed here or the pre-speech readiness and textual potentiel of as native speaker of any language that exists as unconscious level and is activated to the pragmatic conditions of communication and is formed as intertextual strategie. Intertextual presumption is an authors cognitive plan, according to which intertextual changes of a literary text should participate in cognitive reconstruction of literary information. The pragmatial strategie of intertextuality implies creation of those conditions under which resonance occurs between the author and the reader a writer that provides intertextual perception of the text

ნინო კირვალიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

## მეტაფორული ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი როლი მხატვრული ტექსტის კონცეპტუალიზაციაში (ინგლისური ენის მასალაზე)

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს საენობრივ-ხდომილბრივი აღქმა, რასაც იგი ორი სახით ახორციელებს. პირველია რაციონალური ანუ ლოგიკური აღქმა, რომელიც სამყაროს რეალურ ასახვას გულისხმობს ობიექტურად არსებული ნიშან-თვისებების საფუძველზე; მეორე კი სამყაროს მეტაფორული ანუ მიფოლოგიური აღქმაა, რომელიც ადამიანის სუბიექტურ ასოციაციებს ემყარება. მეტაფორიზაცია შედეგია ადამიანის უნარისა, შენიშნოს და დააფიქსიროს მსგავსება ონტოლოგიურად განსხვავებული კლასის საგნებსა თუ მოვლენებს შორის და გააიგივოს ან შეაპირისპიროს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეაპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მეტაფორიზაცია არის აზროვნების სტილი, რომელიც სამყაროს სუბიექტურ-პოეტურ ხედვასა და ადამიანის ინდივიდუალურ შეფასებით კონცეპტუალიზაციას დაამყარებელი («Теория Метафоры» 1990).

ტერმინი „მეტაფორა“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძ. *metaphora* – „გადატანა“) და გულისხმობს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. შესაბამისად, მეტაფორული ნომინაცია სემიოტიკური კონსტრუქტია, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს მსგელობის საგნის სუბიექტურ-პოეტური დეტერმინაცია ან იდენტიფიკაცია

მისი შეპირისპირება-გაიგივებით მეტყველი სუბიექტის ცნობიერებაში ხატის სახით არსებული სამყაროს ამა თუ იმ ობიექტთან (საგნობრივთან თუ არასაგნობრივთან) მათი საერთო იმ ნიშან-თვისების ან თვისებების საფუძველზე, რომლებიც მეტაფორიზაციის მოტივიცადა გვევლინება. ეს ნიშნავს იმას, რომ განსხვავება ვერბალურ ჩვეულებრივ ნიშანსა და მეტაფორულ ნიშანს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივ ნიშანს აქვს ერთი აღმნიშვნელი და ერთი აღსანიშნი, ხოლო მეტაფორას კი ერთი აღმნიშვნელი და ორი აღსანიშნი, რის გამოც იგი სემანტიკური პარალელიზმის შემცველ ფორმად გვევლინება. მეტაფორაში რეალიზებული ორი მნიშვნელობის აღსანიშნად სპეციალურ ლიტერატურაში უამრავ სხვადასხვა ტერმინს გამოიყენებენ: საგანი და ხატი (რომელსაც მეტაფორის ასოციაციურ შინაარსსაც უწოდებენ), თემა და კონ-ტეინერი, რეფერენტი და კორელატი, და ა.შ. [Арутюнова 1990: 5-32].

მეტაფორული ნომინაცია ადამიანის წარმოსახვის ნაყოფია, რის შედეგადაც იქმნება აღქმის ობიექტის ახალი განსხვავებული ხატი, რომელიც, ობიექტურ თვისებებთან ერთად, ავტორისეული ესთეტურ-კოგნიტური და სუბიექტური შეფასებითი მოდალობის მატარებელია. მაგრამ არ შეიძლება მეტაფორული ნომინაცია ინტერპრეტირებულ იყოს მთლიანად მხოლოდ როგორც ინდივიდუალურ-კოგნიტური ფენომენი, რადგანაც იგი ამავედროულად განპირობებულია ენის მატარებელთა კულტურით და სოციალური გარემოთი. ერების ენობრივ ცნობიერებაში კოგნიტური მეტაფორების აღმოჩენა, რომელთა კონკრეტული შინაარსიც მათი შემქმნელი კულტურის თავისებურებების გამოხატველია [Лакотф: Джонсон 1990: 387-415]. კოგნიტური მეტაფორის არსს მკვლევარები ვ. ფონ ჰუმბოლდტის ლინგვოლოგოსოფიურ კონცეფციას უკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ კოგნიტური მეტაფორა წარმოადგენს ენაში გამოხატული ერის გონის გამოვლინებას. ეროვნული გონის თავისებურება კი სხვა ფაქტორებთან ერთად ენის „შიდა ფორმაში“ ელვინდება. ეს უკანასკნელი კი იქმნება იმ „შინაარსების“ და მათი მიმართებებისაგან, რომლებიც ერის სულიერ სამყაროს, მის გონს და ამ გონით ნაკარნახევ „სამყაროს სურათს“ შეადგენენ [გროგლამელი 2005: 3]. ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანებს ახასიათებთ სამყაროს მეტაფორული აღქმა, რაშიც ასახვას ჰპოვებს მათი ეთნოკულტურა, ეროვნული ფსიქოლოგია და მსოფლხედვის სპეციფიკა.

მეტაფორული ნომინაციის მიმართება კულტურასთან, ეთნოკულტურასთან და ეპოქასთან სიღრმისეულადაა განხილული მაია და გიორგი ნათაძეების ნაშრომში „რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების ცვლა“ (1988). ავტორები მეტაფორას განიხილავენ როგორც აზროვნების ფორმას, რომელიც ვლინდება ყველგან, სადაც არსებობს ნიშანთა სისტემა, კერძოდ – ენასა და ხელოვნებაში. ისინი მეტაფორად მოიაზრებენ ყველა სახის ტროპს, რომლის არსიც სიტყვის მნიშვნელობის გადატანაზეა დაფუძნებული. მდიდარი და მრავალფეროვანი ემპირიული მასალის ანალიზით, მკვლევარები თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ მეტაფორის სტრუქტურულ-სემანტიკურ განპირობებულობას ეპოქალური და ეროვნული ფაქტორებით. მეტაფორიზაციის შედეგად ფორმირებული ხატების ეპოქალურ და ეროვნულ ხატებად დიფერენცირების საფუძველზე, ისინი აკეთებენ მეცნიერული თვალსაზრისით ღირებულ თეორიულ განზოგადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სიმბოლისტთა და რომანტიკოსთა ტროპები არ შეიგნეს ყოფით და კონკრეტული გარემოს არანაირ რეალიტებს – იქნება ეს ეპოქალური, პირადული თუ ეროვნული. მათი ტროპები გასულია ემპირიული სამყაროს გარეთ, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია ზოგადადამიანური სულიერი ღირებულებები, რის გამოც ემპირიული ყოფა და მისი ელემენტები მათი ყურადღების მიღმა რჩება. შესაბამისად, წარმოდგენები, რომლებიც სიმბოლისტთა და რომანტიკოსთა ტროპების ასოციაციურ შინაარსს ქმნის, არჩეულია ადამიანის შინაგანი სამყაროს, საერთო ქრისტიანული



რწმენის და მისი აბსტრაქტულ-იდეალური მშვენიერების სფეროებიდან. მათგან განსხვავებით, რეალიზმის და კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა ტროპებში სულიერი მდგომარეობის, თვისებების, განცდებისა და განწყობილების დაზუსტება ყოველთვის ემპირიული სამყაროს გრძნობადი ხატების საშუალებით ხდება (ნათაძე, ნათაძე 1988: 194-259).

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ, თუ როგორ ხდება სიყვარულის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია რეალისტი მწერლის ჯონ გოლზუორთის რომანში „მესაკუთრე“, რომლის ძირითად იდეოლოგიურ კონცეპტს „ფორსაიტები“ წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელი მესაკუთრული ინსტიტუტი. კვლევის ანთროპოცენტრისტული ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (კონკრეტულად კი - ტექსტის ანალიზის ლინგვოკულტუროლოგიური, სოციოლინგვისტური, კონტექსტურ-სემანტიკური და კომპონენტური ანალიზის მეთოდების გამოყენებით) შევეცდებით წარმოვაჩინოთ, როგორ არის სიყვარულის გოლზუორთისეული მხატვრული ესთეტიკა ვერბალურ-მეტაფორულად რეალიზებული საკუთრების ცნების გარშემო ვიქტორიანული და პოსტ-ვიქტორიანული ეპოქის იდეოლოგიის ფონზე, რომლის კლასიკურ მატარებელსაც ფორსაიტების ოჯახი წარმოადგენს. გოლზუორთისთვის ფორსაიტია არა მხოლოდ ის, ვინც ამ გვარს ატარებს, არამედ ყველა ის პიროვნება, რომელიც ხასიათდება მესაკუთრული ფსიქოლოგიით და რომელიც ცხოვრობს მესაკუთრის კანონებით. და როგორც საგნის ერთ-ერთი პერსონაჟი, ახალგაზრდა ჯოლიონი აღნიშნავს რომანის მთავარ გმირთან ბოსინისთან საუბარში, ნამდვილმა ფორსაიტმა იცის, რა სჭირდება მას; და ის, თუ როგორ ებღალტება ის საკუთრების ნებისმიერ ფორმას - იქნება ეს ცოლი, სახლი, ფული თუ რეპუტაცია, შეიძლება მიჩნეულ იქნას ფორსაიტის საიდენტიფიკაციო ნიშნად [J. Galsworthy 1978: 212].

საკუთრება გვევლინება იმ ცენტრალურ განზომილებად და ათევის წერტილად, რომელზეც არის ორიენტირებული ფორსაიტების ფასეულობების შკალა. შესაბამისად, იგი შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის ძირითად კონცეპტად და მისი კოპერენტულობის ლოგიკურ-სემანტიკურ საფუძვლად, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს ტექსტის თემატურ განვითარებაში და მის ცნებით სისტემაში, სადაც ცენტრალური ადგილი სიყვარულს უკავია. მთლიანი ტექსტის განზოგადების საფუძველზე ჩვენ მივიჩნით, რომ სიყვარულის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ეპოქისათვის დამახასიათებელი სოციო-კულტურული სიღრმით მოცემულია შემდეგ ტექსტობრივ ფრაგმენტში:

“It had been forgotten that Love is not a hot-house flower, but a wild plant, born of a wet night, born of an hour of sunshine; sprung from wild seed, blown along the road by a wild wind. A wild plant that, when it blooms by chance within the hedge of our own gardens, we call a flower; and when it blooms outside we call a weed; but flower or weed, whose scent and colour are always wild! And where this wild plant springs, men and women are but moths around the flame-like [J. Galsworthy, “The Man of Property”, p.143].

როგორც ავტორი აღნიშნავს, დაიწყებულია, რომ სიყვარული სათბურის ნაზი ყვავილი არ არის, ის ველური მცენარეა, რომელიც ერთ წვიმიან ღამეს, ან შეიძლება კამკამა მზიან დღეს, აღმოცენდება გზაზე ველური ქარისგან მოტანილი ველური თესლიდან. თუ შემთხვევით ჩვენს საკუთარ ბაღში გაიხარებს, ყვავილს ვუბახთ; ხოლო თუ მის გარეთ - სარეველას. მაგრამ ყვავილია თუ სარეველა, მისი სურნელი და ფერი ყოველთვის ველურია. და სადაც ეს ველური მცენარე აღმოცენდება, ქალები და კაცები სხვა არ არიან, თუ არა მისი ცეცხლის ალივით ყვავილის ირგვლივ მოფარფატე ფარვანები.

ამ გავრცობილ მეტაფორაში სიყვარულის მეტაფორულ კონცეპტუალიზაციას ავტორი თავდაპირველად ახორციელებს, ერთი მხრივ, ზღვარის გაკლებით სიყვარულსა

და სათბურის ნაზ ყვავილს შორის; ხოლო მეორე მხრივ კი, მისი გაიგივებით ველურ მცენარესთან: "Love is not a hot-house flower, but a wild plant". ეს მეტაფორული გამონათქვამი ხატოვან და უაღრესად ტევად ქვეტექსტს წარმოქმნის, რაც განპირობებულია მასში მოცემული ისეთი სიტყვების სემანტიკით, როგორც არის: "hot-house" და "wild". ლონგმენის ლექსიკონი ამ სიტყვების შემდეგ განმარტებებს გეთავაზობს [Longman New Universal Dictionary 2001: 482]:

hot-house - n. a heated glassed enclosure for the cultivation or protection of tender plants.

adj. delicate, overprotected.

მოცემული განმარტება გეთავაზობს ინგლისური სიტყვის "hot-house" ინტერპრეტაციას არსებითისა და ზედსართავის რანგში. მათგან, არსებითი სახელი "სათბური" ტერმინოლოგიური ხასიათის ცნებას აღნიშნავს, რომელიც შესაბამისად განმარტებულია როგორც შეზღუდული და გამობარი დახურული სივრცე ნაზი მცენარეების გამოსაყვანად და დასაცავად. ზედსართავი სახელის სემანტიკა კი ("საოუთი", "ნალოლიავეები") ასოციაციურ კავშირებს ეფუძნება, რის გამოც იგი უკვე მეორადი ანუ მეტაფორულია. ილუსტრირებულ ტექსტობრივ ფრაგმენტში ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობა არის რეალიზებული, რასაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. რაც შეეხება ლექსემას "wild", მისი სემანტიკა უფრო ტევადია და იგი შემდგენიერად არის განმარტებული [Longman New Universal Dictionary 2001: 1121]:

wild - adj. 1. a. (of organisms) living in a natural state and not ordinarily tamed, domesticated or cultivated (ველური, მოუთვინიერებელი, მოუშინაურებელი)

b. growing or produced without the aid and care of humans; related to or resembling a corresponding cultivated or domesticated organism.

(არაკულტივირებული)

2. not inhabited or cultivated. (უკაცრიელი, უდაბური)

3. a. free from restraint or regulation; uncontrolled

(თავისუფალი, ლალი, ურჩი; არაკონტროლირებადი);

b. emotionally overcome; passionately eager or enthusiastic; marked by great agitation; (მგზნებარე)

c. going beyond reasonable or conventional bounds (თავაწყვეტილი);

d. indicative of strong passion or emotion ( შმაგი, გადარეული);

4. random (შემთხვევითი, ანაზღვეული);

5. uncivilized, barbaric (ველური).

მოცემული განმარტებები ენის მატარებელთა ცნობიერებაში დაღვივებული და ამდენად მათი კულტურის და ეროვნული ფსიქოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს კი შესაძლებლობას აძლევს გარკვეული ინტელექტუალური დონის მკითხველს, მოახდინოს ავტორის მიერ ამ გამონათქვამში ("Love is not a hot-house flower, but a wild plant") ჩადებული მხატვრული ქვეტექსტის ესთეტიკური აღქმა, რეცეფცია. ცივილიზებული ერების კულტურასა და ცნობიერებაში, სიყვარული ყოველთვის ასოცირდება ყვავილთან, მის მშვენიერებასა და სურნელებასთან. ამავდროულად, ისიც ცნობილია, რომ სათბურის ყვავილი მთლიანად არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე - ადამიანი რგავს მას და უფლოს, მაგრამ ნებისმიერ დროს ისიც ხელუწიფება, რომ ეს ნალოლიავეები ყვავილი ამოძირკვოს და გაანადგუროს. ამიტომ ავტორი სიყვარულს ველურ მცენარეს ადარებს, რომელიც თავისუფალია და არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე - მას ხომ შეუძლია ნებისმიერ ადგილას აღმოცენდეს და გაიხაროს! სიყვარულიც ასეთივე ველურია, რადგანაც იგი გონებას არ ექვემდებარება იგი მგზნებარე, შმაგი და გადარეულია და მხოლოდ გრძობიერებაზე აღმოცენდება. და როგორც

სათბურის პირობებში ველური მცენარე ვერ ხარობს, სიყვარული შეიძლება დაჰყენეს და ჩაყდეს ოჯახის მარწმუნებში.

საინტერესოა ამ გავრცობილი მეტაფორის შუა ნაწილი ("A wild plant that, when it blooms by chance within the hedge of our gardens, we call a flower; and when it blooms outside we call a weed; but flower or weed, whose scent and colour are always wild!"), რომელშიც ავტორი გამოხატავს ფორსაიტების, როგორც ეპოქალური საზოგადოების ბურჯის მესაკუთრულ დამოკიდებულებას სიყვარულის მიმართ: რომ საკუთარ ოჯახში აღმოცენებული სიყვარული მათთვის ყვავილივით ლამაზი და სურნელოვანია; ოჯახს გარეთ კი იგი არასასურველ უფარგის სარეველად გადაიქცევა, რომელიც უნდა ამოიბრკვოს და მოისპოს როგორც გარემოსათვის მავნე და საშიში. ქვეტექსტის სახით მოცემული ეს ესთეტიკურ-ხატოვანი ინფორმაცია განპირობებულია ლექსიკური ერთეულის "weed" („სარეველა“) სემანტიკით და იგი შეიძლება თვალსაჩინოდ წარმოვანიროთ ამ სიტყვის სალექსიკონო დეფინიციის მოშველიებით:

**weed** – n. a useless or characteristically unwanted plant.

v. to remove weeds or something harmful and undesirable (LNUD 2001: 1109).

სიყვარულის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია მთავრდება ახალი ხატების შემოტანით: "And where this wild plant springs, men and women are but moths around the pale flame-like blossom." ეს გამონათქვამიც საინტერესო ქვეტექსტს წარმოქმნის. პირველ როგში, ამ ქვეტექსტს ქმნის ავტორის მიერ სიყვარულის სინთეზური გაიგივება ველური მცენარის უცვარე გაფურჩქნასთან და ცეცხლის ალთან სიყვარულოვ ხომ ცეცხლის მსგავსად ხან ააღდება და ხან მიიწვლება; და როგორც ცეცხლის ალი იზიდავს ფარვანებს, ისე სიყვარულიც ანდამატივით მოქმედებს ადამიანებზე, განურჩევლად სქესისა. სიყვარულის ეს მეტაფორული კონცეპტუალიზაცია სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ნაწარმოებში, რადგანაც ბოსინი ისევე იწევა და ილუპება აირინის სიყვარულისგან, როგორც ფარვანა იწევა და იფერფლება ცეცხლის ალთან მიახლოებისას.

მოვლენებისა და ცნებების მეტაფორული კონცეპტუალიზაცია, განპირობებულია ზოგადკულტურული და ეთნოკულტურული ცნობიერებით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება ამა თუ იმ კულტურის მატარებელ ერში და ამდენად, მისი ფსიქიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამის პარალელურად, ნებისმიერი განათლებული ადამიანი ფლობს ინდივიდუალურ სოციო-კულტურულ ფონურ ცოდნას, რომელსაც იგი მხატვრული, სამეცნიერო თუ სხვა ტიპის ლიტერატურის კითხვის შედეგად იძენს. სწორედ ამ ტიპის კულტურული ფონური ცოდნა აძლევს შესაძლებლობას ადამიანს, ერთი მხრივ, მეტაფორიზაციის პროცესში ჩართოს ანთროპომიტი - ბიბლიური, მითოლოგიური, ლიტერატურული თუ ისტორიული პიროვნებების საკუთარი სახელები (ადრესანტის პოზიცია); ხოლო მეორე მხრივ, მოახდინოს ავტორისეული ჩანაფიქრის სწორი ინფერენცია (ადრესატის პოზიცია).

ანთროპომიტი (ბერძ. *anthroponym* – „სახელი“) მოკლებულნი არიან კონცეპტუალურ მნიშვნელობას, რის გამოც მათ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს პიროვნებათა იდენტიფიცირება და დიფერენცირება მათი უზრალო სახელებით, რაიმე თვისობრივი დახასიათების გარეშე. ანთროპომიტთა ნომინაციური ფუნქცია კოდს მოგვაგონებს, რადგან მათ იდენტიფიკაციის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ კომუნიკანტთა სოციო-კულტურული ფონური ცოდნის ან კონტექსტური ინფორმაციის საფუძველზე. ამის გამო ლინგვისტურ ლიტერატურაში მათ მოუქნელ დესიგნატორებად („rigid designators“) განიხილავენ (С. Крике 1982).

ანთროპონიმთა მეტაფორიზაციას თან სდევს მათი ნიშნობრივი სტატუსის შეცვლა, რის შედეგადაც ისინი საკუთარი სახელის რანგიდან საზოგადო სახელის რანგში გადადიან. კაცობრიობის ისტორიაში ბევრი იყო ისეთი პიროვნება ბიბლიური, მითოლოგიური თუ რეალურად არსებული, რომელთა სახელიც სამუდამოდ შემორჩა მუხსიერებას როგორც სიბრძნის, სილამაზის, სიძლიერის და ა.შ. სიმბოლო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ანთროპონიმთა მიერ სახელდებული ამა თუ იმ პიროვნების ინდივიდუალური თვისებების განზოგადებასთან, რის შედეგადაც შესაბამისი საკუთარი სახელები იძენენ კონცეპტუალურ მნიშვნელობას და მასთან ერთად ზოგადი სახელის ისეთ თვისობრივ მახასიათებლებს, როგორიც არის ინფორმატულობა და კონოტაციური დატვირთულობა [N. Kirvalidze, N. Inauri 1999].

ანთროპონიმთა მეტაფორიზაცია ალუზიის ლინგვისტიკოსტრუქტურულ ფენომენთან არის დაკავშირებული, რაც ლინგვისტიკაში ინტერტექსტუალურობის ფონზე განიხილება, რამდენადაც იგი უშუალოდ უკავშირებს ერთმანეთს მიმდინარე ტექსტსა და მასში ირიბი სახით რეფერირებულ წყარო ტექსტს. ლინგვისტურ ლიტერატურაში ალუზიას განიხილავენ სამი შრისგან შემდგარ ენობრივ კონფიგურაციად, რომელშიც, ინფორმაციის კონტექსტური და ასოციაციური პლანების თანადროული რეალიზების შედეგად, ფაქტობრივი ინფორმაცია მდიდრდება ავტორის სუბიექტური მოდალობის, მისი ინდივიდუალური ხედვის გამომატყველი ესთეტურ-კონცეპტუალური ინფორმაციით [I. Galperin 1987: 187]. მეტაფორიზებული ანთროპონიმების ინფორმატულობა ქვეტექსტის სახით არის ჩადებული ტექსტში, რის გამოც მისი სწორი ინფერენცია რთულ აზრობრივ პროცესს წარმოადგენს, რომელიც ადრე-სატის მიერ ალუზირებული წყარო ტექსტის ცოდნას მოითხოვს. განვიხილოთ კიდევ ერთი ტექსტობრივი ფრაგმენტი ჯ. გოლზუორთის რომანიდან:

"Irene began to play Chopin again. This time the resemblance between her and 'Chopin' struck Old Jolyon. The swaying, he had noticed in her walk, was in her playing too. Seductive, yes; but nothing of Dalilah in her or in that music."

[Galsworthy J., „The Man of Property,” p. 332]

საილუსტრაციოდ მოყვანილ მიკროტექსტში ორი მეტაფორიზებული ანთროპონიმი გვხვდება: მათგან პირველი „შოპენი“ მეტონიმურად არის გამოყენებული ამ გვართი ენობილი კომპოზიტორის მიერ შექმნილი ნაწარმოების აღსანიშნად; მეორე ანთროპონიმი „დალილა“ კი უკვე მეტაფორიზებულ ალუზიას წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ავტორი ემოციურ-ექსპრესიულ ფერებში გვიხატავს მოხუცი ჯოლიონის მიერ აირინის მომაჯადოებელი სილამაზის სუბიექტურ-პოეტურ აღქმას. ბიბლიის თანახმად დალილა ფილისტინელი კურტიზანი ქალია, რომელმაც სამსონი აედუნა. შემდგომში ამ ანთროპონიმმა განზოგადებული მნიშვნელობა შეიძინა და იგი გამოიყენება მეტაფორულად მცდური ქალის ხატონად დასახასიათებლად ან მის სიმბოლურად აღსანიშნად. საინტერესოა ამ სახელის სალექსიკონო დეფინიცია, რომელშიც, ბიბლიური ხასიათის ანთროპოლოგიურ მონაცემებთან ერთად, დაფიქსირებულია მისი მეტა-ფორიზებული მნიშვნელობაც. მაგალითად, Chamber's 20-th Century Dictionary (1983) ლექსემას „დალილა“ შემდეგნაირად განმარტავს:

Dalilah - the Philistine woman who befooled Samson; hence a courtesan, a temptress, an alluring object (ფილისტინელი ქალი, რომელმაც სამსონი გააბრიადა, აედუნა; აქედან კურტიზანი, მაცდური, მაცდუნებელი ობიექტი).

გოლზუორთის რომანიდან აღებული ზემოთაღნიშნული ნაწყვეტში ეს ინფორმაცია ქვეტექსტის სახით არის ჩადებული და მისი ინფერენცია (ამოკითხვა) ადრესატის მიერ ალუზირებული წყაროს ცოდნას ითვალისწინებს. შეიძლება ამით აიხსნება ის ფაქტი,

რომ ამ ნაწარმოების ქართულ თარგმანში, რომელიც ელგუჯა მალრაძეს ეკუთვნის, უკვე ესპლიციერებულია ორიგინალში "დალილას" ალუზიურ-მეტაფორული გამოყენებით წარმოქმნილი ქვეტექსტი:

"ისევ დაუკრა აირინმა შოპენი. ახლა მოხუცი ჯოლიონი აირინსა და შოპენის მუსიკას შორის მსგავსებამ შესძრა. მსუბუქი რხევა, რომელიც სიარულის დროს შენიშნა აირინს, იგრძნობოდა აგრეთვე მის დაკვრაში. დიახაც რომ მომაჯადოებელი იყო, მაგრამ არც მუსიკასა და არც თვითონ აირინში დალილას მაცდური სული არ გამოსჭვიოდა."

[ჯ. გოლზორთი, «მესაკუთრე», გვ. 444]

განსაკუთრებით დიდ ქვეტექსტურ დატვირთვას იძენს ალუზირებული ანთროპონიმის გამოყენება მხატვრული ტექსტის სათაურში ან ფინალურ ნაწილში, როდესაც იგი ახდენს მთლიანი ტექსტის მეტაფორულ კონცეპტუალიზაციას. ნათქვამის საილუსტრაციოდ გვახანალიზოთ ალუზია-ფინალის მაგალითი ფ. სკოტ ფიცჯერალდის ცნობილი მოთხრობიდან "The Diamond As Big As The Ritz", რომელშიც ავტორი ახდენს მთავარი მოქმედი პირის ესთეტურ-ხატოვნურ განზოგადება-დახასიათებას მითოლოგიურ ტექსტზე ალუზირების გზით (ნაწყვეტი მოგვეყავს მცირედი შემოკლებით - 6. კ.):

"It was long after four when John became aware of footsteps along the path and he waited in breathless silence until the persons to whom they belonged had passed the vantage point he occupied. Then he lifted his head. His curiosity was rewarded; this was what he saw:

Braddock Washington was standing there motionless without sound or sign of life. After a while he lifted his head and slowly raised his arms in a gesture of attention, as one who would call a great crowd to hear - but there was no crowd, only the vast silence of the mountain and the sky, broken by faint bird voices down among the trees. Then the white man began to speak ponderously and with inextinguishable pride. ... Could Washington be praying? John listened breathlessly, catching a phrase here and there. Then a realization crept over him. Braddock Washington was offering a bribe to God! That was it - there was no doubt. The diamond in the arms of his slaves was some advance sample, a promise of more to follow.

That, John perceived after a time, was the thread running through his sentences. Prometheus Enriched was calling to witness forgotten sacrifices, forgotten rituals, prayers obsolete before the birth of Christ, reminding God of this gift or that which Divinity had deigned to accept from men. ... And now he, Braddock Washington, Emperor of Diamonds, would offer up a treasure, the greatest diamond in the world." (F. Scott Fitzgerald,

"The Diamond As Big As The Ritz", pp.65-66)

მოცემულ ტექსტობრივ ფრაგმენტში აღწერილია, თუ როგორ სთავაზობს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ბრედოკ ვაშინგტონი, ღმერთს ქრთამის სახით ალმასის დიდ ლოდს. ბოლო აზნავეში ავტორი ახდენს ამ მოქმედი პირის იდენტიფიკაცია-კონცეპტუალიზაციას მეტაფორიზებული ალუზიური ანთროპონიმით „პრომეთე“, რომლის მიღმაც უარესად ტყვადი, აქსიოლოგიური ხასიათის ესთეტურ-შემეცნებითი და გამომხატველობითი ქვეტექსტია ჩადებული. მისი ინფერენცია შეუძლებელია კონტექსტური ინფორმაციის და ალუზირებული წყარო-ტექსტის ცოდნის გარეშე. მკითხველისთვის კონტექსტიდან უკვე ცნობილია, რომ ბრედოკ ვაშინგტონი შეერთებული შტატების უშიდირესი და ყოვლისშემძლე ადამიანია, რადგან იგი ფარულად ფლობს ალმასის მთას, რომელსაც დღედაღამ სდარაჯობს. სწორედ ამ მთის გამო ასოცირდება იგი ავტორის ცნობიერებაში კლდეზე მიჯაჭვულ მითოლოგიურ გმირ პრომეთესთან, რომელმაც ზევსს ციდან ცეცხლი მოსტაცა ხალხის

საკეთილდღეოდ (ჯელოვანი 1983: 425). პრომეთეს სახელის მეტაფორიზაციით, ავტორი ახდენს ბრედოკ ვაშინგტონის ექსპრესიულ-ემოციურ შეფასებას და ამავედროულად ხატოვან იდენტიფიკაციას, რის შედეგადაც იქმნება ამ უკანასკნელის მიფოპოეტური სახე, რომელშიც ავტორისეული დამოკიდებულების ირონიული მოდუსი გამოსჭვივის. ბრედოკ ვაშინგტონის გმირ პრომეთესთან გაიგივების ირონიულობა კონტრასტზეა დამყარებული: პრომეთესგან განსხვავებით, რომელიც ზევსმა კეთილი ქმედებისთვის დასაჯა და მთაზე მიაჯაკვია, ბრედოკ ვაშინგტონი, ალმასის მთის საკუთარ მფლობელობაში შენარჩუნების მიზნით, სასიკვდილოდ იმეტებს ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის საკუთარი შვილების მეგობრებსაც კი. ირონიას კიდევ უფრო ამძაფრებს პრომეთეს ძირითადი ატრიბუტის „მიჯაკვეული“ (*“Prometheus Bound”*) შეცვლა უარყოფით-აქსიოლოგიური კონტაქტის მქონე ეპითეტით „გამდიდრებული“ (*“Prometheus Enriched”*), რითაც კიდევ ერთხელ ესმება ხაზი კონტრესტისა და კულტუროლოგიური ხასიათის ფონური ცოდნის ფაქტორს მეტაფორიზაციის პროცესში.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღმოქმეული მოსაზრებებითა და ემპირიული მასალის ანალიზით ჩვენ შევძლებით არგუმენტირებულად წარმოგვეჩინა როგორც მეტაფორიზაციის ფენომენის (უფრო ზუსტად კი მეტაფორული ნომინაციის) ენობრივ-კულტურული და პრაგმატიკული არსი, ასევე მისი როლი მზატურული ტექსტის კონცეპტუალიზაციაში.

#### ლიტერატურა:

1. ჯელოვანი აკ. (1983): მთიოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: „სხელოვნება“.
2. ვრიგალაშვილი თ. (2005): კონკრეტული მეტაფორა ინგლისურ და ქართულ ენებში. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეზიუმე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. წათაბე შ., წათაბე გ. (1988): რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების სვლა. // დასავლეთ ევროპის ლიტერატურა: XX საუკუნე. თსუ გამომცემლობა, გვ. 194-259.
4. Chamber's 20-th Century Dictionary (1983), London: The Chaucer Press.
5. Galworthy J. (1974): *The Man of Property*. Moscow: "Progress Publishers".
6. Kirvalidze N., N. Iasuri (1999): Semiological Typology of Anthroponyms in Modern English. // *Bulletin of the Georgian Academy of Sciences*, Volume 160, # 3, November - December, Tbilisi, pp. 586 - 591.
7. Longman New Universal Dictionary (2001), UK: Longman Group Limited.
8. Арутюнова Н.Д. (1990), *Метафора и дискурс*. // «Теория Метафоры». Москва: «Прогресс», с. 5-32.
9. Крипке С. (1982), *Тождество и необходимость*. // *Новое в зарубежной лингвистике*, вып. XIII, Москва: «Радуга», с. 340-375.
10. Лакофф Д., Джарисон М. (1990): *Метафоры, которыми мы живем*. // «Теория Метафоры». Москва: «Прогресс», с. 387-415

Nino Kirvalidze

### Metaphorical Nomination as a Linguo-Cultural Phenomenon and Its Role in the Conceptualization of a Literary Text (on the material of the English language)

#### Abstract

One of the universal ways of the world perception is the identification of one object (a thing or an event) with another on the basis of their common properties, leading to a further penetration into the essence of the target object which results in creating its new, subjective image, different from its origin. Such an associative cognition of the object world is predetermined by a man's ability of metaphorical thinking and his/her individual, subjective-evaluative vision of things, as well as by cultural consciousness of people which forms part of their background knowledge. Metaphorical cognition of the world finds its verbal explication through metaphors and similes that are mainly treated as synonymous constructs expressing the speaker's thoughts in a most aesthetic way.

The aim of our paper is to reveal the role of metaphorical nomination in the conceptualization of the text. We focus on the metaphorical conceptualization of the notion of LOVE in "The Man of Property" by John Galsworthy. Having employed linguo-stylistic, contextual-semantic, componential and content analyses, we have come to the conclusion that the conceptualization of LOVE in the novel is carried out by the author through direct or indirect metaphorization via the key-concept of "The Forsyte Saga" – PROPERTY. In the second part of the article we concentrate on the metaphorization of anthroponyms which causes the change of their sign status. As a result of metaphorization, proper names of many Biblical, mythological, literary or historic characters acquire a generalized meaning and informativeness that of lexical (content) words, the inference of which is based on the cultural background knowledge of the reader.

ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**აკაკი წერეთლის ლიტერატურული ზღაპარი, როგორც  
მეტატექსტი მისსავე დრამატურგიაში**

გალაკტიონ ტაბიძემ ერთ თავის საარქივო ჩანაწერში აკაკი წერეთელს ეროვნული სიამაყე უწოდა. ამგვარ შეფასებას უდავოდ იმსახურებდა შემოქმედი, რომელიც მიიჩნევდა, რომ "ციური ნიკი ქვეყნის სამსახურად და არა საპირადო რამდ ეძლევა კაცს". მწერლობისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო მისი ყოველდღიური სატკივრით ძალზე გაკერებული ნაწერებიც კი ყავლ-გაუსვლელია და დღევანდელი მკითხველის ინტერესს იწვევს როგორც ოსტატის მიერ შექმნილი ეპოქის შთამბეჭდავი დოკუმენტი. XIX საუკუნის საქართველოს რთულ, წინააღმდეგობრივ და მშფოთვარე საზოგადოებრივ და კულტურულ ყოფას თითქმის სრულყოფილად ასახავს აკაკის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამჟამად ჩვენ ამ მემკვიდრეობის მხოლოდ ერთ ასპექტზე შევჩერდებით. იგი შეეხება აკაკი წერეთლის ლიტერატურულ ზღაპარს, რომელიც ავტორმა ჩართო თავისავე დრამატურგიულ ნაწარმოებში, როგორც მეტატექსტი.

სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ XIX საუკუნის II ნახევარში განსაკუთრებით გააქტიურებული ფოლკლორისტული საქმიანობა უშუალოდ დაუკავშირდა ილიასა და აკაკის სახელს. ამ თვალსაზრისით სრულიად გამორჩეულია აკაკი წერეთლის წვლილი, "აკაკის კრებულის" გამოსაცემად მის მიერ გაწეული შემკრებლობითი და რედაქტორული საქმიანობა, კვლევითი მუშაობა, რომელიც ცნობილმა ფოლკლორისტმა თ. ჯაგოდნიშვილმა შემდეგნაირად შეაფასა: "ქართული ფოლკლორისტიკისადმი გამოვლენილი ინტერესების ასეთი მრავალმხრივობითა და მიზანმიმართულობით აკაკის ბევრი მისი თანამედროვე მოღვაწე ვერ შეედრება" [ჯაგოდნიშვილი, 2004:394]. "აკაკის კრებულის" დახურვით, მეცნიერის თქმით, XX საუკუნის დასაწყისში გადაიკეცა ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის ფურცელი" [იქვე, 417].

აკაკის მიერ თავის შემოქმედებაში ქართული ფოლკლორის ნიმუშებისა და, ასევე, სხვადასხვა ფოლკლორული ეანრის დამოუკიდებელი თემის მხატვრული ინტერპრეტაციისათვის გამოყენების შესახებ ცნობილია (ქს. სიხარულიძე, თ. ქურდოვანიძე, ფ. ზანდუკელი, თ. ჯაგოდნიშვილი, ნ. ფრუიძე), მაგრამ ნაკლებად არის შესწავლილი აკაკის წვლილი ქართული ლიტერატურული ზღაპრის დამკვიდ-

რებასა და განვითარებაში. რამდენადაც თავად ქართული ლიტერატურული ზღაპარი მოითხოვს საგანგებო კვლევა-ძიებასა და მონოგრაფიულ ანალიზს, ქართველ მწერალთა შემოქმედების ამ თვალსაზრისით შესწავლაც სამომავლო ამოცანად რჩება.

აკაკი წერეთელი ქართული ლიტერატურული ზღაპრის ერთ-ერთი პირველი ავტორია და, ვფიქრობთ, მისი წვლილი ჩვენი მწერლობის წინაშე ამითაც განსაკუთრებულია. მწერალი ლიტერატურული ზღაპრის ფანრს იყენებს და-მოუკიდებელი სახითაც და, ასევე, როგორც სხვა ნაწარმოების მეტატექსტს.

ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა 1913 წელს დაწერილი "სიყვარული", რომელიც აკაკი წერეთლის უკანასკნელი პიესაა. იგი 1914 და 1915 წლებშიც დაუდგამთ და 1953 წელსაც იდგმებოდა საქართველოს ერთ-ერთ რაიონში, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია, რადგან პიესა სხვა თემებთან ერთად გარუსების წინააღმდეგაა მიმართული. მიუხედავად ამისა, იგი არ სარგებლობდა დიდი წარმატებით და მსოფლიო პოეტის ახალგაზრდობის ნამუშევრებს აშკარად ჩამოუვარდებოდა. პიესა უფრო დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათისაა და იგი ნამდვილად არ გამოირჩევა არც პრობლემატიკისა (გარკვეული თვალსაზრისით, იგი მოგვაგონებს აკაკისავე "საზღვარ სიყვარულს") და არც სიუჟეტის აგების მხრივ.

ნაწარმოებში მთავარი სათქმელის ალეგორიულად გადმოცემის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაკისრებული აქვს ზღაპარს, რომელიც პიესის სტრუქტურის რელევანტური ელემენტია. ნაწარმოების სტრუქტურაში ზღაპრის ასეთი ორგანული ჩართვის მიუხედავად, იგი დამოუკიდებელი ნაწარმოებია და ტექსტის დისკურსის გარეშეც სრულყოფილად აღიქმება მისი როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური პლანი. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ამგვარ პრაქტიკას შეგნებულად მიმართავს დრამატურგიაში, მხატვრულ პროზასა თუ პუბლიცისტიკაში.

ზღაპარში ასეთი ამბავია გადმოცემული: სამი მხრით მიუვალი ციხე-დარბაზის უშშვენიერესი პატრონი იყო მზეთუნახავი თამარი. ციხე-დარბაზის შოთხე კარის გაღება კი მხოლოდ მზეთუნახავის ნებართვით იყო შესაძლებელი. რაკი ვერც ერთმა უფლისწულმა ვერ მოახერხა თამარის გულის მოგება, მათ გაერთიანება და ციხის გადაწვა მოინდომეს. მაშინ თამარმა ასეთი გამოსავალი მოიფიქრა: გამოაცხადა, რომ მათ შორის გამარჯვებულს მისთხოვდებოდა. გამარჯვებული, ცხადია, გაირკვა, მაგრამ ამ ბრძოლაში ისე დასუსტდა, რომ მზეთუნახავის მცირე ჯარმა იოლად დაამარცხა.

ერთხანს ცხოვრობდა მზეთუნახავი თავის კომპში მშვიდად, მაგრამ გურგელდა ხმა, რომ ხელმწიფეები კომპის აღებას აპყურად შეერთებული ძალით აპირებდნენ, მზეთუნახავს კი წილისყრით მიისაკუთრებდა ერთ-ერთი. დაღონებული თამარი ყოველ დილით კომპიდან იყურებოდა, რომ ჯარის მოსვლა არ გამოაპროვოდა. ერთხელ შეამჩნია კომპის კარებთან დაჩოქილი და ხელეზაპყრობილი "კრომანი" ახალგაზრდა კაცი. იგი ქარბუქეთის მეფის შვილი აღმოჩნდა, თანაც იმავე ღმერთს ემსახურებოდა, რომელსაც მზეთუნახავი. გაეგო, რომ ურჯულოები აპირებდნენ მის მოტაცებას და განსაცდელისაგან მის დასაფარავად წამოსულიყო. უფლისწული, მართლაც, დაეხმარა თამარს მტრის დამარცხებაში, მაგრამ ითხოვეს ცოტა ხნით კიდევ ესტუმრა ისინი. მადლიერი მზეთუნახავიც დათანხმდა. მათ კი "გაჩხრიკეს ციხე. ჩუმათ თავის ნება-სურვილზე მიაწყვე-მოაწყვეს იქაურობა. მიიბირეს ზოგიერთი შინაყმები და მერე თვითონ მოინდომეს გაბატონება. ეს რომ დაინახა მასპინძელმა, ავარდა-დავარდა და მოინდომა წინააღმდეგობა, მაგრამ რაღას გააწყობდა? ციხე-დარბაზი ქარბუქელების ხელში იყო. სტაცეს ხელი



მზეთუნახავს და ურჩობისათვის ცხრა კლიტულში ჩასვეს და დღესაც იქ ზის" [პ. წერეთელი, 1959, 117].

პიესაში ჩართული ზღაპარი დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია თავისი კარგად ჩამოყალიბებული მხატვრული სტრუქტურით. ვიდრე უშუალოდ ამ სტრუქტურის ანალიზზე გადავიდოდეთ, გვინდა შეგვიხსენებოდეთ მზეთუნახავის სახელზე. პიესაში მის ალტერნატივად ჩნდება ეთერი, რომელსაც ვარაუდობს ბავშვი ზღაპრის მოსმენისას. ეთერი მისთვის და მკითხველისთვისაც კარგად ცნობილი ზღაპრის გმირია, მაგრამ ავტორი მას არ ირჩევს და, ვფიქრობთ, საესეხით შეგნებულად მიმართავს ალუზირებას. მზეთუნახავის სახელი, შეიძლება, გვახსენებდეს, ასევე, ულამაზეს მეფე თამარსაც, რომელ-მაც ერთხელ უკვე შეძლო ხელმწიფის შვილის იძულებითი ქორწინებიდან თავის დახსნა და რომლის დროსაც საქართველო თავისუფალი იყო. ქარბუქეთიც სიმბოლურად იმ ქვეყანას მინიშნებს, საიდანაც ეს უფლისწული იყო მოსული.

ბუნებრივია, ტექსტი კომპიში გამოკვეთილ მზეთუნახავზე (პირობითად ჩვენ მას ასე ვუწოდებთ), ტიპური ლიტერატურული ზღაპარია, ვყვრდნობით რა ცნობილი სკანდინავიელი მეცნიერის ბრალდებს მიერ მოცემულ ლიტერატურული ზღაპრის, ჩვენი აზრით, საკმაოდ ზუსტ განმარტებას: "ლიტერატურული ზღაპარი არის ავტორისმიერი მხატვრული პროზაული ან პოეტური ნაწარმოები, რომელიც დაფუძნებულია ფოლკლორულ წყაროზე ან თავად ავტორის გამონაგონზე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ემორჩილება მის ნება-სურვილს; ეს არის ნაწარმოები, უმეტესწილად, ფანტასტიკური, რომელშიც აღწერილია გამოგონილი ან ტრადიციული ზღაპრული გმირების საოცარი თავგადასავალი და ზოგიერთ შემთხვევაში ორიენტირებულია ბავშვებზე; ნაწარმოები, რომელშიც საოცრება, ჯადო ასრულებს სიუჟეტის წარმოქმნელი ფაქტორის როლს, გვებმარება პერსონაჟების დახასიათებაში [... რაუფი, 1979, 7].

იმის საჩვენებლად, თუ როგორ მისდევს ლიტერატურული ზღაპარი ფოლკლორულ ზღაპარსა და როგორ იცვლება ზღაპრის საკმაოდ მყარი ფუნქციები ავტორის ნება-სურვილის მიხედვით, ვფიქრობთ, გამართლებულია ჯადოსნური ზღაპრის ცნობილი მკვლევრის პროპის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურული ანალიზის მეთოდი გამოვიყენოთ. როგორც ცნობილია, პროპმა ჯადოსნური ზღაპარი შეისწავლა გმირებისათვის დამახასიათებელი ფუნქციების მიხედვით. მეცნიერმა ჯადოსნურ ზღაპარში 32 ფუნქცია გამოყო. იქვე ისიც აღნიშნა, რომ სავალდებულო არ არის ერთ ნაწარმოებში შეგვხვდეს ყველა ფუნქცია, მაგრამ თანმიმდევრობა არასდროს ირღვევა.

აკაკის საანალიზო ზღაპარში რეალიზებულია გმირის შემდეგი ფუნქციები:

გმირს მიმართავენ აკრძალვით (აკრძალვა) - მზეთუნახავი ცოლად არ მიჰყვება არავის;

ანტაგონისტი ცდილობს მოახდინოს დაზვერვა (გამოკითხვა) უფლისწულები ცდილობენ კომპიში შეღწეას;

ანტაგონისტი ცდილობს მოატყუოს თავისი მსხვერპლი, რომ ის ან მისი ქონება ხელთ იგდოს (ვერაგობა) - ქარბუქეთის მეფის შვილი ჰპირდება, რომ ურჯულყოფილ უფლისწულებსაგან დაიფარავს;

მსხვერპლი ტყუვდება და ამით უნებლიეთ ეხმარება მტერს (ხელის შეწყობა) მზეთუნახავი დაოჯერებს ქარბუქეთის უფლისწულის ფიცს და გაულებს კომპის კარებს;

ანტაგონისტი ოჯახის ერთ-ერთ წევრს აყენებს ვნებას ან ზიანს (ვნება)

ქარბუქეთის უფლისწული მზეთუნახავს ცხრაკლიტულში გამოაწყვედევს.

აკაკი წერეთლის ზღაპარი აქ მთავრდება. ამდენად, ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდის შესაბამისად, გვაქვს აკრძალვის, დაზვერვის, ვერაგობის, ხელის შეწყობისა და ვნების ფუნქციები. გამოყენებულ ფუნქციათა თანმიმდევრობა დაცულია. აკაკის ზღაპარმა, რომ გაიშეოროს ხალხური ზღაპრის სტრუქტურა, აუცილებელია გვკონდეს შემდეგი ორი ფუნქცია მაინც, ესენია: მტრის დასჯა და გმირის ქორწინება და გამეფება, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ნაწარმოებში აღარ არის ყველა ხალხური ზღაპრისათვის სავალდებულო ე. წ. “ჰეი ენდი”, არც ეს ფუნქციებია რეალიზებული, რასაც თავისი ახსნა აქვს.

გარდა ამ ფუნქციებისა, პრობმა გამოყო გმირთა ფუნქციების განაწილების შვიდი წრე: 1. ანტაგონისტის (მაგნეს); 2. მჩუქებლის; 3. შემწის; 4. საძებარი პერსონაჟის; 5. გამგზავნის; 6. გმირის (რასაც შედეგად ქორწილი ან დაჯილდოება (გამეფება) მოჰყვება) და 7. ცრუ გმირის მოქმედებათა წრეები.

აკაკის მიერ პიესაში ჩართულ ზღაპარში მოცემულია, მხოლოდ ანტაგონისტის (მაგნის) მოქმედების წრე. სხვა გმირები და მათი მოქმედების წრეები, ცხადია, ვერ გვექვება, რადგან ზღაპარი, ფაქტობრივად, დასრულდა ხალხური ზღაპრის ექსპოზიციურ ნაწილშივე, მაგრამ მკითხველის (მსმენელის) წარმოსახვაში ალუზიებით იოლია გაჩნდეს გმირი, რომელიც დაიწყებს მოქმედებას, მაშინ, ბუნებრივია, ნაწარმოებში შემოვლენ სხვა პერსონაჟები და მათი მოქმედების არეალიც გამოიკვეთება დასახული ამოცანის კვალდაკვალ.

ვეფიქრობთ, სწორედ ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის ტიპოლოგიური სტრუქტურული ანალიზი აჩვენებს იმ უნივერსალიას, რომელსაც ზოგადად ემორჩილება ზღაპარი, როგორც ყანრი. ამასთან ლიტერატურული ზღაპრის სპეციფიკაც უკეთ იკვეთება, თვალნათლივ ჩანს, როგორ იყენებს მას ავტორი თავისი მიზნის მისაღწევად.

მაგრამ სტრუქტურულთან ერთად ზღაპარს იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს. მიჩნეულია, რომ სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს ჯადოსნური ზღაპრის სიციცხლისუნარიანობას. როგორც, ზურაბ კიკნაძე სტატიაში “ჯადოსნური ზღაპრის ესქატოლოგია” აღნიშნავს: “უნდა ვიფიქროთ, რომ ზღაპრის საიდუმლო მის დასასრულში არის გაცხადებული. მთავარი გმირის ხასიათი, მისი ძიების საგანი, ზღაპრის ფუნქციათა არსი და თანამიმდევრობა - მთელი ეთოსი ზღაპრისა გვაფიქრებინებს, რომ ზღაპარი თავისი ბუნებით ესქატოლოგიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დროჟამი საბოლოო დასასრულისკენ არის მიმართული”.

ამ მოსაზრების გათვალისწინებით, თუ გავაანალიზებთ მზეთუნახავის ზღაპრის ესქატოლოგიურ პლასტს, საინტერესო სურათს მივიღებთ. ნაწარმოებში არ გვყავს გმირი და არ არის გაცხადებული დასასრული, მაგრამ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ დატყვევებული ასული არ შეიძლება დაუსრულებლად დარჩეს ამ მდგომარეობაში. რადგან “არც ერთი ზღაპარი არ გულისხმობს ისეთ დასასრულს, რომლის იქით კვლავ იგივე წითისოფელი განაგრძობს არსებობას თავისი ბოროტებით. ზღაპრის გმირმა განვლო წუთისოფელი და სძლია მას ამ ერთი განვლით” (იქვე), ამდენად ამ შემთხვევაშიც მოცემული ბოროტება ოდესმე უნდა დამთავრდეს, მანამდე კი გაცხადდეს მაინც. მაგრამ, რადგანაც აკაკის ხედვის კუთხე რეალურ ვითარებაზეა მიმართული, იგი მხოლოდ ფაქტის კონსტანტაციით იფარგლება. რა თქმა უნდა, აკაკისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა გმირის შემოყვანა და მსხვერპლის გამოხსნა და, შესაბამისად, ცრუგმირის გამოაშკარავება, მაგრამ იგი ამ გზით არ წავიდა, თუმცა მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტი სწორედ ამაზეა ორიენტირებული, ოღონდ ამ

ბოლოდინის რეალურად განმზოვრელებლად თავად უნდა იქცეს. პრობლემა უნდა დასრულდეს რეალურ ისტორიულ დროში. მაგრამ, რამდენადაც ზეციური ცხოვრება მიწიერი არსებობის განმაპირობებელიცაა, აუცილებელია, აქ და ამ ვითარებაში მოხდეს ბოროტების დამარცხება. ამდენად დატყვევებული, ცხრაკლიტულში გამოკეტილი, ასულის გამოხსნა ონტოლოგიური თვალსაზრისით, სწორედ, ბოროტების დამარცხების ტოლფასია და იმ პრობლემის დასრულებასაც გულისხმობს, რასაც სიმბოლურად ასახავს. მაგრამ, რადგან პიესაში ჩართული ზღაპრის მხატვრული დრო კონკრეტულ ვითარებას, ისტორიულ დროს მიემართება, აკაკი ზღაპარს ასრულებს (და არა წყვეტს), ფაქტობრივად, ისტორიული ვითარების ადეკვატურად. რადგან ალუზიური პლანით ფოლკლორულ ზღაპარში მოქმედების განვითარებაც და დასასრულიც ყველასათვის ცნობილია, ამდენად სამომავლოდ რეალურადაც ამგვარად უნდა დასრულდეს მეტატექსტის ამბავი.

“მთავარი გმირის ესქატოლოგიური, ანუ დასასრულისკენ მიმართული ქორწინება, ვლინდება ერთ ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციაში, რომელიც ზღაპრული ქორწილის წინაპირობას ქმნის და, ამდენად, მისი არსებითი საფუძურია, თუმცა კი სცილდება, სიტყვიერი შემოქმედების, როგორც გამოწვევის, სფეროს და სხვა მოტივებთან ერთად ონტოლოგიურ ღირებულებას იძენს. ეს არის გამოხსნა დატყვევებული ასულისა. ამ აქტში მთელი ზღაპრული სამყაროს ანუ წუთისოფლის კეთილი ძალა სოლიდურია უფლისწულთან, რომელიც ვლინება ქვეყანას”, დასძენს ზურაბ კიკნაძე (იქვე). მართალია, მეცნიერის ეს დასკვნა ფოლკლორულ ზღაპარს მიემართება მაგრამ, ლოგიკურია, რომ ამ კონკრეტული ალევორიული პლანის შემთხვევაშიც აღნიშნული კანონზომიერება ძალაში რჩება.

მხოლოდ ამგვარი შინაარსით და სტრუქტურით უნდა გააგრძელოს ზღაპარი ყრამბ, რომელსაც პაპის ნამბობობა სურვილი უნდა აღუძრას თავად იყოს დატყვევებული თამარის გამოუმხსნელი გმირი. ბუნებრივია, ისიც, რომ ნაწარმოებში მოცემულ კონტექსტში მთელი სამყარო ბოროტებასთან მებრძოლი ზღაპრული გმირის სოლიდური აღარ არის (დედა წინააღმდეგია შეილს მსგავსს ზღაპარს უამბობდნენ).

მაგრამ რაკი სიცრუე არ შეიძლება მუდმივად გაგრძელდეს, აკაკი აცხადებს, რომ თამარის ქვეყანა ცხრაკლიტულშია. ვფიქრობ, ნათელია მწერლის მიზანი, მკითხველმა იცოდეს, რომ მისი ქვეყნის რეალური მდგომარეობა დროებითაა და სიმართლე აუცილებლად გამოამჟღავნებდა, მაგრამ მწერლისთვის მნიშვნელოვანია, ქართველებმა არ დაივიწყონ ამის შესახებ, დროულად გაამეფავნონ ცრუ გმირი და გაათავისუფლონ მისგან საკუთარი ქვეყანა.

ამ ზღაპარს პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი ესტატე ჭიპბრიშვილი უყვება შეილიშვილს. რძალი თვლის, რომ პაპის მიერ მოთხოვნილი ამგვარი ზღაპრები ბავშვს ძილს უტეხს, ფუჭი ოცნებებს აჩვევს და რეალური საქმისაგან აშორებს. პაპა კი მიიჩნევს, რომ “ეგ სულ დღევანდელი ზღაპრების “სერინკი კოზლიკების” ბრალია, თვარა ჩვენი ზღაპრები გმირებთა სწვრთნიდნენ ჩვენს შეილებს” [აკ. წერეთელი, 1959, 118]. ამდენად ლოგიკურია, რომ, მიუხედავად თავად პიესის ბედნიერი დასასრულისა, მასში ჩართული ზღაპარი ტრადიციულად ვერ დასრულდება, რადგან ალევორიულად ასახავს საქართველოს რეალურ ვითარებას და ემსახურება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის საჭირო სულისკვთების აღზრდას. აკაკის აზრით, ამ ტიპის ზღაპრები წრთვნიდნენ წარსულში გმირებსა და მომავალი გმირებიც მათ უნდა აღზარდონ.

ცხადია, ხალხური ზღაპრის კვალდაკვალ ამ კომპი დამწყვედული მზეთუნახავის ლიადბოლოებიანი ამბის გაგრძელება და ბედნიერად დასრულება მკითხველისთვის რთული არასდროს იქნებოდა, მით უფრო დღეს, როცა თხზულების ალეგორიული პლასტი რეალურად არის ბორცმესხმული, მაგრამ, აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რთული ისტორიული ვითარების ამგვარი ტრანსფორმაციის საშუალებას, აკაკის ვერც ერთი ჟანრი ისე წარმატებით ვერ მისცემდა, როგორც ლიტერატურული ზღაპარი.

ჩვენი მოსაზრება დაადასტურა ერთ-ერთმა უდიდესმა ქართველმა მწერალმა. გრიგოლ რომაქიძე აღნიშნავდა, რომ აკაკი შმოხლის დაფერფლილი სხეულისგან იწვევს ლანდს მისი სულისას. "ეს ლანდი ზღაპარია, ან ლეგენდა, მაგრამ მგოსნისთვის უნამდვილესი, ვიდრე წერილმანი და ფიზიკური დღევანდლობა", "შეიძლება იგი ნინოსი, ქეთევანისა და თამარის ლანდიც იყოს" (სამრეკლო, 1990, 59).

მართლაც, ზღაპარი მწერალმა გამოყენა საზოგადოებრივად აქტუალური, პოლიტიკური თემის მხატვრული ინტერპრეტაციისათვის. ზოგადად ეს პლანზე სამეცნიერო გამოკვლევებში ლიტერატურული ზღაპრისათვის ნიშანდობლივ მოვლენად მიიჩნევა. აკაკიმ ამ შემთხვევაში ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელ სტრუქტურასა და გმირთა ფუნქციებს მიმართა და ამ გზით, ფაქტობრივად მეტატექსტის საშუალებით გამოხატა თავის მსოფლმხედველობა, ეროვნულ შეხედულებები და ასახა ეპოქა, როცა ის შეიქმნა.

#### ლიტერატურა:

1. Л. Брауде 1979: Брауде Л., Сивилизационная Литературная Сказка, Москва, Издательство «Наука», 1979.
2. ვ. პრობი 1984: პრობი ვ., ზღაპრის მორფოლოგია, თბილისი, გამომცემლობა, "მეცნიერება", 1984.
3. სამრეკლო 1990: გრიგოლ რომაქიძე, აკაკი, წიგნში, აკაკის სამრეკლო, თბილისი, გამომცემლობა "განათლება", 1990.
4. აკ. წერეთელი 1959: წერეთელი აკ., თბზ. სრული კრებული 15 ტომად, X, თბილისი, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", 1958.
5. თ. გაგოდინიშვილი, 2004: ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი., 2004.

Nestan Kutivadze

### Akaki Tsereteli's Literary Fairy Tale as a Metatext in His Dramaturgy

#### Abstract

A rich literary heritage of Akaki Tsereteli depicts a difficult, conflicting and tumultuous social and cultural life of Georgia in the XIX century in an almost complete manner. The paper discusses only one aspect of the heritage. It refers to Akaki's literary fairy tale. The writer uses the genre of the fairy tale not only in its independent form but as a metatext of other works.

From this point of view 'Love' written in 1913 is of note. It is Akaki's last play. In the work a fairy tale is assigned the significant role of expressing the main theme in an allegorical way simultaneously representing the relevant element of the play structure. Despite such original involvement of the fairy tale in the structure it is an independent work and can be completely perceived without a text discourse. It should be noted that Akaki uses it with a definite intention in dramaturgy, artistic prose and in publicism as well.

The analysis of typological structure of folk and literary fairy tale shows those general universalities a fairy tale follows as a genre. In addition, the specific features of the tale are clearly observed. It is obvious how the author uses it in order to achieve his aim.

Despite the happy end of the play, the fairy tale does not have its traditional ending, since it allegorically depicts a real situation of Georgia and serves to create a spirit necessary for the national-liberation struggle.

According to Akaki's viewpoint, such type of fairy tales trained heroes in the past and future heroes should be brought up using them. None of the genres could enable Akaki to transform a difficult historical situation in such a successful way as a literary fairy tale did.

In this case, Akaki addressed the structure characteristic to magical fairy tales and functions of the heroes. In fact, through metatext he expressed his world view, his national approach and depicted the epoch when it was created.

## მარინე კუხალაშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი ორთოგრაფიული უმართებულობისათვის საერთაშორისო სიტყვებში

დიდა სურვილი, ვუშველით ქართულ ენას, გასწორდეს გაზეთებში არსებული შეცდომები: ორთოგრაფიული, სტილისტური, ყოველგვარი სახის გრამატიკული შეცდომა; ყველა გაზეთს ჰყავდეს ქართული ენის მეოდნე სტილისტი; გაიწმინდოს, მოქნილი და მეტყველი გახდეს ენა, მოშორდეს ზედმეტი, შემოსული უცხოური ტერმინები, კალკები და მკითხველისათვის ძნელად გასაგები გამოთქმები, გაუმართავი წინადადებები, რაც ამახინჯებს და გადაგვარებას უქადის „ღმერთების“ ენას.

ენის დაბნაგვიანებელი და გადამგვარებელი გამოთქმები და წინადადებები მარტო ქუთაისური მოვლენა და უბედურება არ არის ოგი მთელი საქართველოსთვის არის დამახასიათებელი.

ამ სამიშროებას, ვფიქრობ, ვეღარ გრძნობს ქართველი მკითხველი - ლაპარაკობს და ქართული ჰგონია, წერს და არხეინად არის. ზოგი იმასაც ფიქრობს, უცხო სიტყვებითა და კალკებით ენა მდიდრდება და ვითარდება...

დაიხ, ქართული ენა ლამის სხვა ენად არის ქცეული. ამ მხრივ, უზარმაზარი გავლენა იქონია რუსულმა ენამ დღეს კი საკმაოდ „ლაღი“ ასპარეზი გაუჩნდა ინგლისურს, რაც ქართულს კიდევ უფრო სხვა ენად აქცევს. სხვებს ნუ დაველოდებით ქართველის გასაკეთებელი მხოლოდ ქართველმა უნდა გააკეთოს, დავიცვათ ენა ჩვენი ყველამ ერთად ვიბრძოლოთ!

ქართულში ამჟამად ზლომად გვაქვს საერთაშორისო, ანუ ინტერნაციონალური სიტყვები, რომლებიც შემოსულია წიგნური გზით უმთავრესად მეცნიერული, ტექნიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ტერმინების სახით და ძირითადად მომდინარეობენ ევროპული ენებიდან, უმთავრესად კი - ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან. ასეთი სიტყვებია: პროტოკოლი (ბერძნ.) - ოქმი

- მაგია (ბერძნ.) - ჯადოქრობა, მისნობა
- ოფთალმოლოგი (ბერძნ.) - თვალის ექიმი
- პოზიცია (ლათ.) - განლაგების ადგილი
- პარიტეტი (ლათ.) - თანასწორობა
- ორდინარული (ლათ.) - ჩვეულებრივი
- აფერა (ფრანგ.) - ყალთაზანდობა
- არანჭირება (ფრანგ.) - მოწესრიგება
- შპიონი (ფრანგ.) - ჯამბუმი
- მალარია (იტალ.) - ციება, ციებ-ცხელება

კაზინო (ფრანგ.) – სამორინე  
პედანტი (იტალ.) – კირკიტა  
ბანკნოტი (ინგ.) – საბანკო ბილეთი  
ბლეფი (ინგ.) – უსაფუძველო ტრახახი  
ბროკერი (ინგ.) – მაკლერი, შუამავალი

გვაქვს ნასესხები აფიქსები: დან (ჩაიდან), ხანა (ყავახანა), იზმ (იმერიზმი), ისტ (არაბისტი).. მაგრამ ქართულ სიტყვებთან ისინი იშვიათად იხმარება: ანტი-მეცნიერული, ანტიედაგოგიური, ძირითადად იხმარება უცხო სიტყვებთან: სპეციალისტი, პუბლიცისტი, ცივილიზაცია, ორგანიზაცია, ანტითეზა, ანტიციკლონი...

ბევრი სიტყვა ფუძეთა შეერთებითაა მიღებული: ტელეფონი, ტელევიზორი, თერმომეტრი, მიკროფონი, ელექტრონიკა, კილომეტრი, აეროფლოტი და ა.შ.

ნასესხებ სიტყვათა შორის, ერთი მხრივ, ძალიან გავრცელებულია საერთო სამეცნიერო ლექსიკა, მეორე მხრივ, სპეციალური ტერმინები მეცნიერებათა დარგების მიხედვით.

შევეხებით საერთაშორისო სიტყვების უმართებულო წარმოთქმასა და დაწერილობას. ამ სიტყვების ერთ წყებაში აღრეულია ხმოვნები, ზოგში კი თანხმოვნები.

შედომების უმეტესობა ნ თანხმოვნის არასწორ ხმარებას უკავშირდება. სიტყვებში: კონტი(ნ)გენტი, ინსტი(ნ)ქტი, კორესპო(ნ)დენტი, კონსენ(ნ) სუსი... და სხვა აკლია „ნ“; ზოგ სიტყვაში კი „ნ“ ზედმეტია. მაგ. სტიპენდია(ნ)ტი, ინვე(ნ)სტიცია...

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა „ნ“ თანხმოვანს ფ-ს წინ მ ცვლის: კომფერენცია, იმფორმაცია, იმფარქტი, იმფლაცია

მსგავსი შემთხვევები არც ისე ბევრია.. ე.ი. სწორი ფორმებია: ინსტინქტი, კონსენსუსი, კონტინგენტი, პრეტენდენტი, კომენდანტი, რესპონდენტი, ინციდენტი, სტიპენდიატი.

საერთაშორისო სიტყვების დანიშნულებისამებრ ხმარება მომხმარებლის განათლების სათანადო დონეზე მეტყველებს. მაგრამ, როცა უცხო სიტყვათა ხმარებისას შეცდომები მოგვდის – მათ სხვა მნიშვნელობით ვიხმართ ან დამახინჯებით წარმოვითქვამთ. ეს ნებისმიერის განათლებას მოჩვენებითს ხდის და მდაბიური მეტყველების შთაბეჭდილებას ახდენს. წარმოვადგენთ ხმოვნების დამახინჯებულ ხმარების ყველაზე ტიპობრივ შეცდომებს. მაგ. სიტყვა აბსოლუტური მომდინარეობს აბსოლუტ-ისაგან —ურ ბოლოსართის დართვით ვიღებთ ზედსართვის ფორმას. სწორია „აბსოლუტური“, „აბსოლიტური“ კი შეცდომაა.

შეცდომა მართებული „ბიულეტენის“ ნაცვლად უმართებულო „ბიულეტინის“ ხმარება. ფართოდაა ფეხმოკიდებული სტეპენდია ნაცვლად სწორი სტიპენდიისა. ინტელიგენტისა და ინტელიგენციის ნაცვლად ძალიან ხშირად ისმის ინტილიგენტი და ინტილიგენცია. დარღვეულია ე და ი ხმოვნების გამოყენების შემთხვევები. მაგ.: გენიალოგიის ნაცვლად გენალოგიის...

ანალოგიური შეცდომაა აბონიშენტის ხმარება ნაცვლად სწორი აბონემენტისა. („მენტ“ დაბოლოების წინ, ჩვეულებრივ ე ხმოვანია). მ.შ. საერთაშორისო სიტყვების ორთოგრაფიულად სწორი ფორმებია: ამნისტია, შამპანური, ლატარია, აბონემენტი, აკომპანემენტი მაგრამ აკომპანიტორი და სხვ. ე.ი. საერთაშორისო თქმები და ფორმები რომ მიზანშეწონილად გამოვიყენოთ, ამისათვის საჭიროა არა მარტო მათი

ზუსტი მნიშვნელობით გამოყენება, არამედ ზომიერების დაცვაც, რომ სათქმელი ადვილგასაგები იყოს საზოგადოებისათვის.

ლექსიკური სტილისტიკის მთავარი საკითხი სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვაა.

#### ლიტერატურა:

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970.
2. თოფურია ვ., გიგინეისვილი ივ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, I გამოცემა, 1968; II გამოცემა 1998.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I- VIII, 1950-1964.
4. მანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
5. ჭაბაშვილის მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989.

Marina Kukhalashvili

### Orfographical mistakes in the International words

#### Abstract

At present unfortunately, we often use international words inproper. The vowels and consonants are put out in these words. There are many mistakes as in written speech as in oral.

მარიამ ლოლაძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

### კომპიუტერული ლექსიკოლოგიის განვითარების პროცესი და ანგლიციზმების დამკვიდრების შემთხვევები ქართულ თარგმანებში

კომპიუტერული ლექსიკოგრაფია არის მეცნიერება კომპიუტერისა და ელექტრონული ლექსიკონის გამოყენების, სიტყვათა ფორმების, მნიშვნელობების და სიტყვათა ქცევის შესახებ. 1960-იან წლებში მანქანური ლექსიკონები მიიჩნეოდა როგორც მოკლე ინფორმაციის მფლობელი ბუნებრივი ენის მართებული გამოყენებისათვის. ის იყო ერთგვარი ნიმუში მოკლედ გადმოცემათ სიტყვათა სემანტიკური მიმართებები, განვითარებინათ მათი სემანტიკური და განმარტებათა ქსელი. ისეთი ენობრივი ტექნიკის გამოყენება, როგორცაა სიტყვათა გაშიფვრა, ინფორმაციის მოკლედ გადმოცემა, კითხვებზე პასუხი და ტექსტის შეჯამება განაპირობებს თანამედროვე კომპიუტერული ლექსიკონის განვითარებას. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ამ სფეროში არის სემანტიკური ბრძანებები, რომელთა დროსაც უნდა წარმოვადგინოთ განსხვავებული სიტყვაწარმოების ეკვივალენტური გამოხატულებები.

კომპიუტერული ლექსიკონი შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რასაც მოვიპოვებთ ჩვეულებრივ ლექსიკონებში: გადატანითი და ვარიანტული ფორმები, სიტყვის წარმოთქმის ფორმები, მეტყველების ნაწილები, განმარტებები, გრამატიკული კატეგორიები, სახელობითი დახარისხება, გამოყენების ნიმუშები, ეტიმოლოგია. უფრო სპეციალიზებული ლექსიკონები შეიცავენ დამატებითი სახის ინფორმაციასაც. სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი შეიცავს სინონიმებს, ანტონიმებს ან იმ სიტყვებს, რომელნიც სხვა ძირისაგან შედგებიან. ორენოვანი ლექსიკონი შეიცავს სიტყვათა თარგმანს სხვა

ენაზე. ანთოლოგია (სიტყვათა უფრო ფართო განმარტებები) მოიცავს იერარქიულად დალაგებულ ცნებებს, ხშირად სხვა სახის მიმართებებსაც.

ტერმინი „კომპიუტერული“ გულისხმობს რამდენიმე გაგებას: ა) ის არის ელექტრონული ფორმის; ბ) ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება შეისწავლიდეს ნიმუშებს, ჩვეულებრივ მასალის გასამდიდრებლად; გ) გამოიყენებოდა კომპიუტერულად მრავალმხრივი მიდგომით; დ) ჩამოყალიბდეს როგორც ერთ-ერთი საფუძველი გრამატიკის ლინგვისტური თეორიისა; ე) დაწერილი ან წარმოთქმული ტექსტი შეიძლება შესწავლილი იყოს როგორც ლექსიკონის შესაქმნელი ან გასამდიდრებელი წყარო. უფრო ფართოდ რომ აღვნიშნოთ, ეს ქმედებები შეიცავს სფეროს, რომელიც ცნობილია როგორც კომპიუტერული ლექსიკოლოგია, ანუ სიტყვათა ფორმების, მნიშვნელობებისა და მათი ხმარების კომპიუტერულად შესწავლა.

კომპიუტერული ლექსიკონის შესწავლა ან გამოყენება საჭიროებს ისეთი პროცედურების განვითარებას, როგორიცაა შემადგენელი მასალის მანიპულაცია იმისათვის, რომ შემადგენელი მასალა გახდეს მოსახერხებელი მომხმარებლისათვის. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს შემადგენელი მასალის ძირის შესწავლით ან მთლიანი მასალის ერთ ფორმატში მოქცევით.

ისმება კითხვა: რა შეიძლება შემოკლდეს მანქანური ლექსიკონის ფორმატში?

ლექსიკური სემანტიკის შესახებ მკვლევარ ონლუის (1968) აქვს ნაშრომი მანქანური ლექსიკონის საკითხების კვლევის ასპექტში აფიქსების შესასწავლად, სემანტიკურ მონაცემთა და სემანტიკურ პრიმიტივთა კლასიფიკაციისათვის. ის აგრეთვე იკვლევს ისეთ პროდუქტიულ ლექსიკურ პროცესებს როგორიცაა ზედსართავებზე -ly ბოლოსართის დართვით ზმნიზედის წარმოება. ამსლერი და ლიტკოვსკი - ორივე სწავლობდა არსებითებისა და ზმნების ტაქსონომიურ სტრუქტურას ლექსიკონებში, რის მიხედვითაც დაადგინეს, რომ ლექსიკონი სრულად ვერ მოიცავს ტაქსონომიებს, რადგან ის მოიცავს განსაზღვრულ გადამუშავებულ ელემენტებს.

საინტერესო მასალას გვაძლევს ლონგმენის თანამედროვე ინგლისურის ლექსიკონის (LDOCE) კვლევა. 1980-იანი წლების დასაწყისში ლონგმენის ლექსიკონი გახდა პირველადი ობიექტი შეკვლევართა შორის. თავდაპირველად LDOCE დიზაინირებული იყო ინგლისურის როგორც მეორე ენის შემსწავლელთათვის. ლექსიკონი იყენებს მხოლოდ 110 სინტაქტიკურ კატეგორიას მონაცემთა დახასიათებისათვის. ელექტრონული ვერსია მოიცავს ისეთ ნიშნებს, რომლებზე უზრუნველყოფენ მონაცემთა აბსტრაქტიზაციასა და ანიმაციას, ის აგრეთვე მოიცავს შესაბამის სპეციალიზებულ მონაცემებს.

საინტერესოა როგორ ხდება ლექსიკონის გამოყენება.

ენის ინჟინერია: კომპიუტერული ლექსიკონის კვლევა, ფართოდ მოცემული დამატებითი ინფორმაციის პირობებშიც კი, საკმაოდ შეზღუდულია. იმ დროს, როდესაც წიგნის სახის ლექსიკონის გამომცემელი წყვეტს, თუ რაზე უნდა იყოს ლექსიკონი დაფუძნებული მისი მარკეტინგული მოსაზრებების გამო, კომპიუტერული ლექსიკონის დიზაინი და შემადგენლობა არ იქმნება მსგავსი გზით. ბოლო წლებში ენის ინჟინერიის ეს ახალი სფერო ცდილობს შეავსოს ეს სივარითლე. ამ მხრივ საინტერესოა ლექსიკონის როლის შესწავლა სიტყვათა მკაფიო გაგებისათვის, ინფორმაციული ელსტრატის გადმოცემისათვის, ტექსტის შეჯამებისათვის.

სიტყვათა მკაფიო გადმოცემა (WSD): ზევრ ლექსიკურ ერთეულს აქვს მრავალგვარი გაგება. სიტყვათა მკაფიო გადმოცემა (Word-sense disambiguation (WSD) არის ავტომატური პროცესი, როდესაც უნდა გადმოიცეს სიტყვის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში. WSD-ში ივარაუდება სიტყვის გაგების მოგება, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს იმას,



რასაც ეფუძნება მისი პირვანდელი გაგება და იგი კონტექსტური გაგებისაგან მკაფიოდ განსხვავდებოდეს .

ინფორმაციული ექსტრაქტი (IE): ეს არის ავტომატური იდენტიფიკაცია ტექსტის არსის, კავშირების ან მოვლენების შესახებ. ინფორმაციული ექსტრაქტის ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის ამოღება ტექსტიდან და მისი ჩასმა განმარტებების ხაზში. განმარტებათა ხაზი არ მოითხოვს სრულ გრამატიკულ ანალიზს, არამედ იგი მოიცავს, მაგალითად, ადამიანთა სახელების, ორგანიზაციების, გეოგრაფიული სახელების, ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციას .

კითხვა- პასუხი: ამ ტიპის კვლევა სათავეს იღებს 1960 წლიდან, ხოლო ეს სფერო დაწინაურდა 1998 წლის დასაწყისიდან. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის ლექსიკონებში აღწერილი უნდა ყოფილიყო სემანტიკური პროცესები და უნდა უზრუნველყოფო მნიშვნელობათა უფრო ღრმა შესწავლა და მათი წარმოდგენა. ეს ზოგადად მოიცავს ისეთ ნიუანსებს, რომლებიც პასუხობენ სხვადასხვა ტიპის კითხვებს.

WordNet-ი ანუ იერარქიული ელექტრონული ლექსიკონი არის ერთგვარი გასაღები ვირტუალური კითხვა-პასუხის სისტემაში. კითხვები იმგვარად არის გაანალიზებული, რომ განსაზღვროს, თუ რა ტიპის პასუხს მოითხოვს იგი. მაგალითად: კითხვა „რა სიგრძისაა...?“ მოითხოვს პასუხს რიცხვის ან ზომის სახით. პასუხებისათვის ამ ტიპის ლექსიკონი გამოიყენება იმგვარად, რომ განსაზღვროს თუ რა სახის აღმნიშვნელი ტერმინი არის წარმოდგენილი და რომელი მათგანი სჭირდება მოცემულ მომენტში.

ბევრ კითხვას პასუხი შეიძლება გაეცეს მანქანური ტექნიკის საშუალებით. უმრავლესობა კითხვებისა პირდაპირ ტექსტიდან არის წამოსული ისე, რომ პასუხებზე მიღებულია კითხვის შემცველ ტექსტთან შეფარდებით. IE ე.წ. ინფორმაციული ექსტრაქტის ტექნიკა არის საკმაოდ ეფექტური კითხვებზე საპასუხოდ. ზოგიერთი შეკითხვა შეიძლება ადვილად გადაიქცეს საკვლევ ნიმუშად რაიმე დამატებითი ლექსიკური ინფორმაციის გარეშე.

ტექსტის შეჯამება: ტექსტის ავტომატური შეჯამების სფერო განვითარებულია ისეთი შეფასებითი სავარჯიშოებიდან, რომლებიც ცნობილია როგორც „სამსჯელო ტიპის დოკუმენტი“.

ექსტრაქტული შეჯამება არ მოითხოვს კომპიუტერული ლექსიკონის მნიშვნელოვან გამოყენებას. ექსტრაქტული შეჯამება იკვლევს ტექსტის უფრო ღრმა მახასიათებლებს.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული კომპიუტერულ ლექსიკონთა გამოყენების შესაძლებლობების ფონზე ქართულ წერასა და მეტყველებაში შემოსულია და მკვიდრდება ისეთი ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც უმეტესად მონოსემიურია და აქვს ერთი რეფერენტი. ეს არის მარტივი გზა ერთ ან სხვადასხვა სფეროში მომუშავე მეცნიერებების მოსახერხებელი ურთიერთობისათვის, სათარგმნ ტექსტთა სწრაფი და კონტრასტის შესაბამისი შინაარსის გადატანისათვის მეორე ენაზე და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ენობრივი კონტაქტები იწვევს სხვადასხვაგვარი სახის სიტყვათსესხებას, როგორცაა პირდაპირი სესხება (ფორმა-შინაარსით), სესხება-თარგმნა და სემანტიკური სესხება... სესხება-თარგმნის შემთხვევაში ანუ კალკირებისას ინგლისური სიტყვისაგან არის შედგენილი ქართული ნეოლოგიზმი. მათ რიცხვშია ისეთი ჰიბრიდები რომელნიც ნაწილობრივ სესხებითაა შექმნილი. მაგალითად, „ვებ-გვერდი“, „ესემეს-მდივანი“ და სხვ. სემანტიკური სესხების შემთხვევაში ნასესხები მნიშვნელობა ემატება ადრე არსებულ ძირეულ სიტყვას, ახალმა სიტყვამ შეიძლება ხელი შეუწყოს სემანტიკურ ცვლილებას ძირეულ სიტყვაში. საინტერესო მაგალითია სიტყვა „პობი“, რომლის შემოსვლა ენაში განაპირობა რამდენიმე ერთმანეთის მსგავსი სიტყვის გაერთიანებამ, როგორცაა გართობა-საქმე-აზარტი, მათმა ერთ მთლიანობაში

წარმოდგენა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალი სემანტიკური დატვირთვის ტერმინთან, რომელმაც ქართულ აზროვნებაში ადაპტაცია წარმატებით გაიარა.

როდესაც კომპიუტერული ლექსიკონის გამოყენებით ხდება ამა თუ იმ თემატიკის ტექსტის გადატანა მეორე ენაზე, ხშირ შემთხვევაში განმარტებები არის ისეთი ინგლისური აფიქსების შემცველი, რომ ისინი ადვილად ერგება სემანტიკურ მოთხოვნას და შესაბამისად იმპეიდრებს ადგილს. ასეთია, მაგალითად, -able სუფიქსი, რომელიც მორფემას თან ახლავს და თავისივე მნიშვნელობით გადმოდის ქართულ ენაში. მსგავსი ნასესხები სიტყვებია: ფემინებელური, კომფორტებელური. -age სუფიქსის შემცველი ნეოლოგიზმებია: კოტეჯი, კოლეჯი და სხვ., ან -ment, -ing, -ism, -ist, -men -tion, -ry, -oid სუფიქსების შემთხვევები ისეთი სიტყვებისთვის, როგორცაა: პარლამენტი, მიტინგი, ტურიზმი, ლიბოროსტი, ჯენტლმენი, კორპორაცია, ორდინარია, ასტროიდი და ა.შ.

თვითონ კომპიუტერული ტერმინოლოგია, რომელსაც კომპიუტერის თითქმის ყველა მომხმარებელი იყენებს, უკვე ისე დამკვიდრდა მეტყველებაში, რომ სხვაგვარი, უფრო ქართული გამოხატვის ფორმა აღარც კი მოიაზრება. ასეთი ტერმინებია: დასკანერება (ინგლისური სიტყვიდან scan), დაქსეროქსება (ინგლისური სიტყვიდან xerox), ანობრინტერება (ინგლისური სიტყვიდან print) და ა.შ.

ანგლიციზმების საინტერესო კლასიფიკაციაა კობა ლომიძის სადისერტაციო ნაშრომში, სადაც ნიმუშები თემატურ ჯგუფებად არის დალაგებული და ცხრილის სახითაა წარმოდგენილი. იქ ცალკეულად არის მოცემული საკვების, სპორტის, სასმელის, ტანსაცმლის, ეკონომიკის, ჟურნალისტიკის, პოლიტიკის სფეროში დამკვიდრებული ანგლიციზმები. საინტერესოა ავტორის შედარებითი მიმოხილვა მე-20 და 21-ე საუკუნის პრესაში გავრცელებული ტერმინოლოგიების გამოყენების სემანტიკური დატვირთვისა და ფორმის თვალსაზრისით, მათი რაოდენობრივი ზრდა დიაქრონულ პრილშია გაანალიზებული. დასკვნის სახით ნაშრომში ვკითხულობთ, რომ 1986 წლის საგაზეთო სტატია არ გამოირჩევა ანგლიციზმების სიმრავლით, როცა 2006 წლის გაზეთ „რეზონანსში“ უხვადაა მათი ნიმუშები. 1986 წლის გაზეთში სიტყვა „გამოთვლითი ცენტრი“ ნახმარია დღევანდელი „კომპიუტერული ცენტრის“ მნიშვნელობით, ალბათ უფრო მაშინდელი რუსული ენის დომინანტობის წყალობით (რადგან რუსულში არის вычислительный центр). „ტექსტში გვხვდება თანამედროვე კომპიუტერული სფეროსთვის საკმაოდ უცხო სიტყვათმზებამებიც: *საკონტრალო მაკორექტირებელი კურსები, ავტომატიზებული მასწავლებელი კურსები*. ასევე უცხოდ ვღერს ტელევიზორის ეკრანიანი გამომთვლელი მანქანა. ეს თავის დროზე ოთხსიტყვიანი საგანი დღეს იწოდება ერთი სიტყვით *კომპიუტერი*“ [ლომიძე, 2008. : 77].

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში კომპიუტერული ტექნოლოგიების სფერო და ამის წყალობით სამეტყველო და სამუშაო ენა ანგლიციზმების ყველაზე ინტენსიური მიმღებია. ინტერნეტის ქსელმა უზრუნველყო ახალი სიტყვების შემოსვლა და არსებულის ცნებათა გაფართოება.

### ლიტერატურა

1. ფოხუა ნ., ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1974
2. ფანჯიკიძე დ., თარგმნის თეორია და პრაქტიკა, თბ., გამათლბა, 1988
3. ხეიურიანი ნ., ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ენათა შეპირისპირებითი ანალიზი. თბილისი: ენა და კულტურა, 2000
4. ჭყონია ლ., ფრაზეოლოგიზმები და მათი უნივერსალიზების საკითხი არამონათესავე ენებში თარგმნის საფუძველზე. დისერტაცია, შათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, 2008
5. ლომიძე კ., „ანგლიციზმების ადაპტიაციის თავისებურებები და გავრცელების სფეროები“, დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2008

6. გვარჯალაძე თ., გვარჯალაძე ი., ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. თბ.: საქართველოს მაცნე, 1975
7. საყვარელიძე ნ., „ულისე“ ქართულად. ლიტერატურული საქართველო, 1984, №18
8. Allan K. Linguistic Meaning (2 volumes) Routledge, 1986.
9. Antila R., Historical and comparative Linguistics(2- nd edition) Jhon Benjamins, 1989.
10. Boden M.A.,computer Models of Mind. Cambridge University Press, 1988
11. Kenneth C.,Litkowski, Computational Lexicons and Dictionaries, Encyclopedia of Language and Linguistics(2 nd ed), Elsevier Publishers, Oxford(forthcoming).
12. Sally Wehmeier, Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, Oxford University press,1948.

Mariam Loladze

### Developing of Computation lexicology Abstract

In this proces main place is taken by Computarial lexicology, which includes theory of translation, lexicography, linguistics and computer science. Computer technology is the main sector of our fast developing life, where the technical, scientific and speaking terminologies are broadly used and thay serve keeping of style , though there are many problems also in translation caused by them. In such situation there are advantages to learn international terminologies and also disadvantages to develope specific language. Although settling of neologisms is inevitable process in a language.

Anglo-American neologisms are often come in language because of the fact that many new terminologies are translated with English transliteration for more precise. Settling the anglicisms and neologisms is conditioned by specialization of meaning, also by the role of technology and internet including English language.

თამარ ლომთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
სმ 5-ების ენა

თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა ქართულ ენაზე დღითიდღე იზრდება. მობილურ ტელეფონებთან, ინფორმატიკასა და უახლეს კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლექსიკა საქართველოში XX საუკუნის ბოლოდან იწყებს განვითარებას და ჩვენს დროში თითქმის ყველა თაობისა და სოციალური მდგომარეობის წარმომადგენელთა მეტყველებაში გავრცელდა. ძნელი წარმოსადგენია მუშაობა ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროში კომპიუტერის გარეშე. ამიტომ კაცობრიობამ, ინფორმაციული ტექნოლოგიის რევოლუციური პროდუქტი – გლობალური კომპიუტერული ქსელი, ინტერნეტი, მობილური ტელეფონი და სხვა თავის სამსახურში ჩააყენა.

ინტერნეტ-ურთიერთობები განსხვავებულია ტრადიციული კომუნიკაციებისაგან. სწორედ ამან წარმოშვა ლინგვისტიკაში თანამედროვე პრობლემა “ენა და კომპიუტერი”, სადაც ხელოვნური ენებისა და ინტელექტის საკითხი საფუძვლიან კვლევას საჭიროებს, დაწყებული ორთაგრაფიიდან, დამთავრებული ლექსიკით.

სმ 5-ებს, იგივე *მესიკებს*, იყენებენ როგორც მოზარდები, ასევე – ზრდასრული ადამიანები. საქართველოს მოსახლეობა სმ 5-ტექსტებისათვის, ძირითადად, ინგლისურ ანბანს იყენებს (იშვიათად რუსულს). მაგალითად, *gam არხბა, chem o kargო* (გამარჯობა, ჩემო ვარგო). წ-ს, ბ-ს, ც-ს, ძ-ს, ჟ-ს ჩ-ს შ-სა და ისეთ ასოებს, რომლებიც ინგლისურში ასოთმეთანხმებით გადმოიკვება (წ-ts, ბ-kh, ც- ts,ძ-dz, შ- sh, ჩ-ch.), ქართულში ცვლის w, x, c, რადგან კომპიუტერთან მუშაობისას, ქართული პრიფტით წერისას წ-ს w, ბ-ს x, ხოლო ც-ს c შეესაბამება (თუმცა, ზოგჯერ ts და

kh, ts ასოთშეხამებებიც გვხვდება). თუმცა პირველი ვარიანტი უფრო გავრცელებულია ეკონომიურობის გამო.

ახალგაზრდები, საშუალო და უფროსი თაობისაგან განსხვავებით, მესიყების წერისას სიტყვათა შემოკლებულ ვარიანტებს ანიჭებენ უპირატესობას და ინგლისურ მისალმების ფორმებსაც ხშირად იყენებენ. თუ ადრესატი ასაკოვანია, მაშინ, ჩვეულებრივ, სრულ ვარიანტს გამოიყენებენ და მისალმების ფორმაც ქართულია.

მაგალითად, *hi, dz mom enatre* (ჰაი, ძალიან მომენტარე), ე.ი. მესიყი განკუთვნილია თანატოლისათვის. მაგრამ, *gam arjba, rogor brdzandebit*, (გამარჯობა, როგორ ბრძანდებით), ფორმა მიგვანიშნებს, რომ უფროს, საპატივეცემულო ადამიანს მიემართება მესიყი.

განსაკუთრებით გავრცელებული სიტყვათა შემოკლებული ვარიანტებია: *dz* - ძალიან, *pk* - პაკა, *uni* - უნივერსიტეტი, *gk* - გკოენი, *resti* - რესტორანი, *six* - სიხარული. ეს შემოკლებები ყველასათვის გასაგებია.

არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდების ერთი ჯგუფი იყენებს ამა თუ იმ შემოკლებას, მაგრამ სხვა ინდივიდისათვის შეიძლება გაუგებარი იყოს.

მაგალითად, *korp. shes. gelodebi*, ანუ კორპუსის შესასვლელთან გელოდები.

შა ს-ების ენას ახასიათებს გრამატიკული თავისებურებებიც. ძირითადად, გამოიყენება მხოლობითი რიცხვის მეორე პირის ბრძანებითის ფორმები: *გახსენი, შეინახე, მოდი, წადი...*

გავრცელებული მოვლენაა ასოების გამეორება ძლიერი ემოციის გამოსახატავად. მაგალითად, *kiii, m iyvaxaaar, gibcavttt...*

შა ს-ების ენა გამოირჩევა მარტივი და სახელდებითი წინადადებების გამოყენებით, აქ ეკონომიურობას ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრება.

მაგალითად, *hi, rogor xar? m odxar unish?* (ჰაი, როგორ ხარ? მოდიხარ უნივერსიტეტში?); *m apatie, ver gwer. tathiri. Shexvedra. rest* (მაპატიე, ვერ გწერ. თათბირი. შეხვედრა. რესტორანი), *ici, datom ra m om wera?* (იცი, დათომ რა მომწერა?) პასუხი *gam oush v* (გამოუშეი), რაც იმას ნიშნავს, რომ მომწერე, რაც მოგწერაო.

დღეისათვის შა ს-ების ენა მდიდრდება ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულებით. აქ სიტყვაწარმოებას ფართო გასაქანი ეძლევა. განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ სასაუბრო ენაში გავრცელებულ მორფემებს.

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია აზრების გამოხატვის არაენობრივი სიმბოლოები, რაც ჩვენს მოსწავლეებისათვის (და საერთოდ, ახალგაზრდებისათვის) ძალიან მიღებული და გავრცელებული მოვლენა აღმოჩნდა. მაგალითად, ტელეფონებისა და ინტერნეტის საშუალებით, ისინი აგზავნიან სპეციალურ სიმბოლოებს (ზოგჯერ ტექსტთან ერთად, ზოგჯერ მხოლოდ სიმბოლოს), რომლებიც მათ გრძნობებს და ემოციებს უსიტყვოდაც გამოხატავს. მაგალითად:

- ))) - სასაცილო რაზე და საერთოდ გაღიშებული სახე;
- (((მოწყენილი სახე;
- ) კმაყოფილი ვარ;
- p შეძრწუნებული ვარ;
- o გაკვირვებული ვარ;
- )) ძალიან მიხარია და ა.შ. თუმცა აქაც, როგორც მოსალოდნელია, ევროპაში

უფრო მეტი სიმბოლოს გამოყენება გავრცელებული. მაგალითად, ვ. ვაითის „სოციოლინგვისტიკაში“ მოცემულია ცხრილი, რომელსაც აქტიურად იყენებენ გერმანიაში.

ეს განსაკუთრებული ენა არის საკომუნიკაციო ენა, რომელიც შეესაბამება (გამოხატავს) ახალგაზრდის ფანტაზიასა და ექსპერიმენტებს [მდრ. მლოზინსკი, 1993]. ალფავიტი შედგება სულ 23 ნიშნისაგან ( ) [ ] < > / \ ` \* - = 8 9 @ P O X C D I.

ეს ნიშნები დამახასიათებელია ელექტრონული მეტყველებისათვის, გამოიყენება ვირტუალურ მიმოწერაში, ემოციებისა და გრძნობების გამოსახატავად, ამიტომ მათ აქვთ ძირითადად, ექსპრესიული, მიმართებითი, თავაზიანობის, ან იუმორისა და ირონიის გამოხატვის ფუნქცია.

ამ სპეციალურ, პიქტოგრაფიულ ნიშნებს – ე. წ. სმაილიკებს, რომელთა მეშვეობით გამოხატავენ სხვადასხვა გრძნობას, სახის მიმიკას და სხვას, საქართველოში ზოგჯერ ხატულებს უწოდებენ. დღეისათვის ხატულების სამი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: პუნქტუაციური (“:-”), გრაფიკული (☺) და ვერბალური (“:::გახარებული სმაილიკი:”) ხატულები [ამაღლობელი, ფუტკარაძე, 2009, 13]. ფართო გამოყენებისაა აგრეთვე ინგლისური აბრევიატურები.

sm s-ების წერისას ყველაზე გავრცელებულია პუნქტუაციური ხატულების გამოყენება. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული, დასავლური ნიშნებია ძირითადად, საქართველოში გამოყენებული. იშვიათად, ორიგინალურობის გამოსახატავად, შეიძლება გამოიყენონ აღმოსავლური სტილიც.

“პუნქტუაციური ხატულის სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სინტაგმატურ ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფი გრაფემებისაგან შემდგარი გარკვეული აზრისა და ფუნქციის მქონე ერთეული. შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი გრაფემა პირის, თვალებისა და ცხვირის ადგილისგამოსახატავად. აღნიშნული გრაფემები თითქმის იმგვარადვე ფუნქციონირებს, როგორც მორფემები ჩვეულებრივ სიტყვაში. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ გრაფემა/მორფემის სემანტიკური დატვირთვა, ხშირია მისი გაორმაგება, აბრევიაცია თუ რედუქცია” [ამაღლობელი, ფუტკარაძე, 2009, 13].

ამ ნიშნების მიხედვით ხდება ექსპრესიის უნიფიცირება, მაგალითად, გახარებული, ან მოწყენილი სახე და ა. შ. თითქმის ყველასთან ერთნაირი სიმბოლოთი გადმოიცემა, მაგრამ ზოგჯერ, აქვთ ინდივიდუალური ნიშნებიც, რომლებითაც მხოლოდ გარკვეულ ადამიანებთან სარგებლობენ და რომელთა მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილი არ არის.

ხშირი გამოყენებისაა გრაფიკული ხატულები. მათი მნიშვნელობებიც თითქმის ყველასთვის ცნობილია და აქაც უნიფიცირებასთან გვაქვს საქმე.

ვერბალურ ხატულებს არც მოზარდები და არც მოზარდილები sms-ების წერისას თითქმის არ იყენებენ.

#### ლიტერატურა:

1. ა. ამაღლობელი, ნ. ფუტკარაძე, არავერბალური და ვერბალური ხატულების მორფო-სემანტიკური ანალიზი, საერთაშორისო კონფერენცია “ქართულ ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები”, თბ., 2009.
2. Werner H/Velth, Soziolexikon, 2002.

Tamar Lomtadze

#### Language of SMS

##### Abstract

Nowadays the influence of modern technologies on Georgian Language has been increased. Lexics of mobile phones, informatics and modern computer technologies has developed in Georgia since the end of XX century.

Nowadays it has overspread in all generation speech. Sms (messages) are used by teenagers as well as adults. Georgian population uses English Alphabet to write messages (rarely Russian).

To make short forms in writing messages simple and nominative clauses are used.

In modern world using non-lingual symbols for expressing one's thoughts is widespread. With the help of such pictographic symbols – such as "smiles" people can express their senses, mimics, etc. We can define three types of "smiles": Punctuation (":-"), graphic (☺) and verbal, that is used in sms with different frequency.

## მარიამ მანუგალაძე, ქეთევან გოჩიტაშვილი არნ. ჩიქიბავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი ენის ელექტრონული სწავლების რესურსები

ელექტრონულ სწავლებაში (eLearning) იკვლიან საგანმანათლებლო მეთოდები, რომელთა დამკვიდრებისა და დანერგვისათვის კომპიუტერი გამოყენებულია, როგორც შუამავალი შემსწავლელსა და მასწავლებელს შორის. სწავლება და სწავლა ხდება IT ტექნოლოგიებით. მულტიმედია საშუალებები და ინტერნეტი ხელმისაწვდომს ხდის მომსახურებასა და რესურსებს, აადვილებს გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთთანამშრომლობას (Patricia Sierra, Humanising Language Teaching Magazine for Teachers and Teacher Trainers; www.hltmag.co.uk).

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების არც ერთ ფორმას არ დაუმსახურებია განათლების სპეციალისტთა ისეთი ყურადღება, როგორც ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას (განათლებას) ხედა წილად. სწავლების ამ მეთოდს (ფორმას) იმთავითვე გამოუწინდენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის განათლება ვერ გახდებოდა ტრადიციული (Face to Face) განათლების ალტერნატივა. ელექტრონულ განათლების კრიტიკოსების აზრით, განსაკუთრებით მისი განვითარების პირველ საფეხურზე, ამ ტიპის განათლება ვერ ჩვენს ელემენტებს ტრადიციულ განათლებას. ამის ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ სწავლის პროცესი შორდებოდა სტუდენტისათვის სოციალური კომუნიკაციის შესაძლებლობის მიცემას. თუმცა, მოხდა პირიქით. ელექტრონული განათლება არ დაპირისპირებია ტრადიციულ განათლებას, ის ერთგვარი საფუძველი გახდა მისთვის. ელექტრონული განათლების შინაარსი (სასწავლო მასალები) მთლიანად დაემყარა არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლებსაც ტრადიციული განათლება სთავაზობდა სტუდენტს (შემსწავლელს), ოღონდ, მოახდინა მისი შევსება ვიზუალური სახეებით და აუდიო/ვიდეოფიქსაციის საშუალებით, რამაც, ერთი მხრივ, გააძლიერა ადამიანის ინტელექტის რეაქცია (ლინგვისტიკურ/ენობრივ; ლოგიკურ-მათემატიკურ; სივრცულ; მუსიკალურ; ფიზიკურ-კინესთეტიკურ; ინტერპერსონალურ; ინტრაპერსონალურ) ტიპს, რომლებიც ჰოვარდ გარდნერს აქვს გამოყოფილი (განვითარებისა და სწავლის თეორიები; თბილისი, 2009, გვ.134-143). ამასთანავე, ახალი ტიპის განათლებამ შექმნა სათანადო შესაძლებლობები სოციალური ინტერაქციისათვის. სტუდენტი გახდა აქტიური წევრი საგანმანათლებლო პროცესისა, შეძლო დაკავშირებოდა თანამოაზრებს, ასევე ადამიანებს, რომლებთანაც იდეური შეუთანხმებლობა ჰქონდა და, რომლებთან კამათიც საინტერესო იყო, როგორც მისი პიროვნული ინტერესებისა და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ისე შემეცნებითი თვალსაზრისით

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში(კამათი და დისკუსია, როგორც შემეცნების ერთ-ერთი გზა აღიარებულია როგორც ტრადიციულ, ისე ინოვაციურ საგანმანათლებლო მეთოდებში), რაც ტრადიციული განათლების პირობებში თითქმის შეუძლებელი იყო.

ელექტრონული განათლების მომხრე მეორე, მაქსიმალისტური, მიდგომა მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო სივრცის ხვალისდელი დღე მთლიანად დისტანციურ (ელექტრონულ) განათლებას ეკუთვნის.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი მიდგომა არ არის გამართლებული, რადგან ელექტრონული სწავლება არის განათლების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს სასწავლო პროცესის მაქსიმალურად ეფექტურად წარმართვაში და აიოლებს საბოლოო მიზნის მიღწევასა და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას.

ელექტრონული სწავლების მიმართ შხარდი ინტერესი გამოიწვია ინტერნეტის მომხმარებელთა ინტენსიურმა ზრდამ და მაღალი ტექნოლოგიების არნახულმა პროგრესმა. ელექტრონულმა განათლებამ მომხმარებელს შესთავაზა მნიშვნელოვანი სიახლეები. ეს არის სასწავლო პროცესის დაგეგმვა მათი სურვილისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით: დროისა და სივრცის თავისუფალი არჩევანი, მოქნილობა, იოლად ხელმისაწვდომობა და რესურსების მრავალფეროვნება, სიახლე. ამიტომაცაა, რომ ელექტრონული განათლების მიღების მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და, შესაბამისად, იზრდება ელექტრონული კურსების შექმნის აუცილებლობაც.

წარმოვადგენთ რესურსებს, რომლებიც ენის ელექტრონული სწავლებისას გამოიყენება.

ცნობილია, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზებისას საგანგებო ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორებიცაა:

1. ვინ ასწავლის (განათლება; დარგობრივი კომპეტენცია; კვალიფიკაცია; გამოცდილება; ზოგადი კომპეტენციები);

2. რას ასწავლის (ასწავლო მასალა; მოცულობა; შინაარსი; მიზანთა შესაბამისობა);

3. როგორ ასწავლის (რომელ მეთოდებს იყენებს; რომელ ტექნოლოგიურ საშუალებებს იყენებს; ორგანიზებისა და დაგეგმვის საკითხი);

4. ვის ასწავლის (ასაკი; კულტურულ-ისტორიული ბექგრაუნდი; სოციალური როლი; განათლების ცენზი; მიზანი; ამოცანები; საჭიროებები).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანია როგორც ადამიანური რესურსები(მასწავლებელი, ტუტორი, ინსტრუქტორი, მენეჯერი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მოსწავლე/სტუდენტი), ისე ინტელექტუალური (ვგულისხმობთ მასალებს, მეთოდოლოგიებს, ტექნოლოგიებს, მიროთადად, კომპიუტერზე დაფუძნებულს). სწორედ ამ კომპონენტების ერთიანობა იძლევა საბოლოოდ ოპტიმალურ შედეგს, რომელიც გულისხმობს სტუდენტის/შემსწავლელის ინტერესების გათვალისწინებით მის მიერვე დასახული მიზნის მიღწევას. ნათელია, რომ ზემოთ დასახელებული პირველი სამი კომპონენტი, ვინ ასწავლის, რას ასწავლის და როგორ ასწავლის – ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებლის, სტუდენტის საჭიროებებზე.

არსებობს პაულ რიდისა და კარენ ფილის განმარტება, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს კვალიფიციური ელექტრონული კურსი. ფაქტობრივად, ეს არის ხარისხის შეფასების ინდიკატორები, რომელთა გათვალისწინება მოეთხოვება კურსის შექმნასა და საბოლოო პროდუქტის მომხმარებელამდე მიტანაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ნებისმიერ წევრს:

1. მიღებული ცოდნა უნდა იყოს მიზნის (საკურობის) შესაბამისი; ტრანსფერული; კონკრეტული;

2. შეძენილი აუცილებელი უნარები საკურობა: კურსის დასასრულდებად; უწყვეტი განათლებისათვის;

3. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა მიიღოს კრედიტი ან სერტიფიკატი, რომელიც: აღიარებული იქნება საკრედიტაციო სამსახურის ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;

4. სტუდენტის მიერ დაბარებული დრო, ფინანსები და ენერჯია მისი მოლოდინის შესაბამისი უნდა იყოს: ეფექტური; მიიღოს კონკრეტული სარგებელი; დაკმაყოფილოს მიღებულმა ცოდნამ (P.Riddy, K.Fill, Evaluating the quality of eLearning resources ([www.leeds.ac.uk/educol/documents](http://www.leeds.ac.uk/educol/documents))).

რაც შეეხება ელექტრონულ კურსებს ენის სწავლებისას, ჩვენი აზრით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორთან ერთად, აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. კურსი უნდა შეიცავდეს გზამკვლევს, რომელიც მომზადებული იქნება შინაარსზე პასუხისმგებელი პირების, მენეჯერებისა და სწავლებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ერთობლივად. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ იგი:

- იყოს ადვილად ხელმისაწვდომი;
- შესრულებული იყოს როგორც შესასწავლ, ისე რამდენიმე საერთაშორისო, ფართოდ გავრცელებულ ენაზე;
- უნდა იყოს მუდმივად განახლებადი;
- შეიცავდეს კითხვა-პასუხის განყოფილებას; იძლეოდეს ამომწურავ ინფორმაციას კურსის შინაარსისა და გამოყენების წესების შესახებ.

2. კურსი უნდა ითვალისწინებდეს დიაგნოსტიკურ ტესტს, რომელიც განსაზღვრავს პროტენციური სტუდენტის შესასწავლი ენის ფლობის დონეს.

რესურსი: პროტენციური მომხმარებლის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა სხვადასხვა საშუალებით: ონლაინ-გამოკითხვა, ონლაინ-ტესტირება, თვითშეფასების ტესტი, ონლაინ-გასაუბრება, ფორუმი.

3. შეაფიოდ უნდა განსაზღვროს, ენის ფლობის რომელი დონე მიიღწევა კურსის გავლის შემდეგ და ეს ინფორმაცია ხელმწიასწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის.

რესურსი: კურსის ელექტრონული გზამკვლევი (guide), რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია და შექმნილია როგორც შესასწავლ ენაზე, ისე რამდენიმე საერთაშორისო, ფართოდ გავრცელებულ ენაზე.

4. თუ ერთი კურსი ფარავს ენის ფლობის ყველა დონეს - დაწყებული A1-დან ბოლო -C2 დონემდე, თითოეული საფეხურის გავლის შემდეგ სტუდენტი უნდა იღებდეს შემდეგ საფეხურზე ხელმისაწვდომობის დაშვებას/ნუბართვას.

რესურსი: ონლაინ-ტესტირება; ონლაინ-გამოკითხვა (სინქრონულ რეჟიმში).

5. კურსი ორიენტირებული უნდა იყოს ენის ფლობის ოთხივე ასპექტზე (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი). სასწავლო მასალის ორგანიზებისას კურსის ავტორებმა უნდა მოახერხონ, რომ შემსწავლელი პარალელურად დაეუფლოს ოთხივე კომპეტენციას და შემდეგ მოახდინონ მათი ინტეგრირება.

მოსმენის და ლაპარაკის განვითარება შესაძლებელია როგორც ასინქრონული კომუნიკაციით (ინტერნეტკომუნიკაციის სახეობა, როცა პიროვნებათაშორისი კომუნიკაციისათვის არ არის აუცილებელი კომუნიკაციის მონაწილეები ერთდროულად იყვნენ ინტერნეტში (ელექტრონული წერილით, ინტერნეტფორუმში),



ისე სინქრონული (ჩათი, ვიდუოკონფერენცია). მოსმენისა და კითხვის უნარის განვითარებისას რესურსები (სასწავლო მასალები) უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მოსწავლეს საშუალება ჰქონდეს, მოისმინოს როგორც საგანგებოდ სასწავლო მიზნებისათვის შექმნილი, ისე ბუნებრივი, ავთენტური ტექსტები, რომლებიც ცოცხლად წარმოადგენს ქართული ზეპირმეტყველების სპეციფიკას. მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ვიდეო ან აუდიომასალის სახით, სავარჯიშოებითა და ტესტებით. რაც უფრო მაღლდება შემსწავლელის ენობრივი კომპეტენცია, მით უფრო იკლებს ხელოვნური, სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ტექსტების აუდიო ან ვიდეორესურსების ხვედრითი წილი და უპირატესობა სხვადასხვა სიტუაციურ, ბუნებრივ ტექსტს ეფუძნება (ტელეპროგრამებიდან, ყოფითი ცხოვრებიდან, კინოფილმებიდან, სპექტაკლებიდან და ა. შ.). აუდიოლექსიკონი; ვიდეოლექსიკონი, ინტერნეტლექსიკონი (კურსში ინტეგრირებული).

კითხვისა და წერის უნარის განვითარებისას ვიდეო და აუდიომასალების რაოდენობა იკლებს და აქცენტი გადადის სავარჯიშოებისა და ტექსტულურ მასალაზე. ვიზუალიზაცია, გარკვეულ ეტაპზე (განსაკუთრებით, მცირეწლოვან შემსწავლეებთან) დასაშვებია, მაგრამ საჭიროა შესაბამისი ბალანსის განსაზღვრა.

რესურსი: კითხვის უნარის გასავითარებლად ტექსტის შერჩევისას საჭიროა მაქსიმალური მრავალფეროვნების შეთავაზება. უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუკი კურსის ფარგლებში არ არსებობს შემსწავლელთა ასაკობრივი შეზღუდვა, ტექსტი უნდა მოერგოს ნებისმიერი ასაკის სტუდენტის ინტერესს, ოღონდ წარმოდგენილი უნდა იყოს გაუფხვად და არჩევანის საშუალება ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ტექსტი უნდა ფარავდეს ყველა სამეტყველო სტილს. სასურველი არ არის ვრცელი გაბმული ტექსტის (ე. წ. „ზეწრის“) შეთავაზება. ამ ტიპის ტექსტების ლოგიკური და ვიზუალური სუბმენტირება შინაარსსა და დიზაინზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მოახდინონ; კითხვისა და წერის უნარის გასავითარებლად საჭიროა აუდიოლექსიკონი; ვიდეოლექსიკონი, ინტერნეტლექსიკონი(კურსში ინტეგრირებული).

წერის კომპეტენციის გასავითარებლად სტუდენტი იოლი სავარჯიშოებიდან ტექსტის შექმნამდე მიგვყავს. ტექსტის შექმნას იწყებენ მარტივი ინსტრუქციების, რეცეპტების შექმნიდან აკადემიური მიზნებისათვის საჭირო ტექსტებამდე. თავდაპირველად ისინი ტექსტის გამოტოვებულ ნაწილებს ავსებენ, ასწორებენ, ცვლიან, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებელ მუშაობაზე გადადიან.

რესურსი: კურსის შინაარსზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული სავარჯიშოები; გასასწორებელი ტექსტები; აუდიოლექსიკონი; ვიდეოლექსიკონი, ინტერნეტლექსიკონი(კურსში ინტეგრირებული).

კურსის ფარგლებში ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პირველ ეტაპზე აქტივობები მიმართონ რეპროდუცირებაზე, ხოლო პროდუცირება ეტაპობრივად დაეგეგმონ. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ აღნიშნული პროცესი შესაძლოა მოცემული იქნეს ერთი თემის მსვლელობისას, მაგრამ ენობილი საგანმამათლებლო პრინციპის \_ მარტივიდან რთულისაკენ \_ და რეპროდუცირებიდან პროდუცირებისაკენ მკაცრი დაცვით.

ლექსიკისა და გრამატიკის სწავლება ან ენის ასპექტების შესწავლასთან არის ინტეგრირებული, ან ცალკე ნაწილად არის მოცემული მოცემული. შეიქმნის ყველა გრამატიკული ერთეული, რომელიც მოცემულ დონეზე შედის ინტეგრირებულად გაკეთილებში. შესაძლებელია გრამატიკული ნაწილი კურსში იყოს ინტეგრირებული ცალკეული ჩამოყალიბებული გრამატიკული ელემენტრული სახელმძღვანელოს სახე და ითვალისწინებს მარტივიდან რთულისკენ სვლის პრინციპს. ენის

შემსწავლელებს გრამატიკული კატეგორიები მიეწოდებათ კომუნიკაციური გრამატიკის პრინციპებიდან ამოსვლით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს აკადემიური გრამატიკის შესწავლის საჭიროება).

ლექსიკის განყოფილებაში შემოდის ლექსიკოლოგიური საკითხები, რომელიც გახსნილია გაკეთილებში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წამყვან როლს გაკეთილების აგებისას თამაშობს თემატიკა, ე. წ. „ტოპიკები“, მას მიკვება დანარჩენი განყოფილებები (ლექსიკა, ფრაზეოლოგია, სინონიმია, ანტონიმია).

რესურსი: ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოები, ენობრივი კროსვორდები, თამაშები, აუდიოლექსიკონი; ვიდეოლექსიკონი, ინტერნეტლექსიკონი(კურსში ინტეგრირებული).

### შეფასების რესურსი

1. მოსმენის შეფასება: სტუდენტს ვთავაზობთ 15-წუთიან ტექსტს ვიდეო ან აუდიოფაილის სახით (სტუდენტის ენის ფლობის დონის მიხედვით), რომელსაც ახლავს დახურული ტიპის ტესტი, რომელსაც ავსებს სტუდენტი.

2. ლაპარაკის შეფასება: ზეპირი პრეზენტაცია: კურსის სტუდენტები შეთავაზებულ თემაზე აწყობენ ინტერნეტპრეზენტაციას, მონაწილეობენ სინქრონულ ინტერნეტ-ვიდეო დისკუსიაში, ვიდეოკონფერენციაში.

3. წერა/კითხვა: სტუდენტები ქმნიან წერილობით ტექსტებს შეთავაზებულ საკითხზე; დავალების შესრულების დრო განსაზღვრულია; ფაქტობრივად, სტუდენტები წაკითხულ ტექსტებში მიუჩნევენ ძირითად და დამხმარე ინფორმაციას, გამოყოფენ მთავარ სათქმელს, წერითი და კითხვის დავალებების შინაარსი და შეფასების კრიტერიუმები ემთხვევა ტრადიციული საგანმანათლებლო მეთოდის ანალოგიურ დავალებებს. განსხვავება არის ის, რომ შემსწავლელი ამას აკეთებს ონ/ოფლაინრეჟიმში და მასწავლებელს აწვდის პირდაპირი კონტაქტის გარეშე.

### ადამიანური რესურსი

მასწავლებლის ფაქტორი, ისევე, როგორც ნებისმიერ საგანმანათლებლო პროცესში, უმნიშვნელოვანესია; თუმცა, აქ გვხვდება ერთი პრინციპული სხვაობა: მასწავლებელი არის სასწავლო პროცესის არა რეჟისორი, არამედ დამხმარე(ინსტრუქტორი). ის უფრო ტუტორია, ვიდრე მენტორი. 2010 წლის ივნისის ვორკშოპზე მომზადებული მასალების გათვალისწინებით (თბილისი, Inwent-ის მიერ ორგანიზებული რეგიონალური შეხვედრა), ვფიქრობთ, რომ კურსის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შემდეგი კვალიფიკაცია და კომპეტენციები:

- საგნობრივი ცოდნის მაღალ დონეზე ფლობა;
- ძალიან მაღალი ენობრივი კომპეტენცია;
- შესაბამისი კომუნიკაციური უნარი (შეძლოს აუდიტორიის (სტუდენტის) საჭიროების მიხედვით განსაზღვროს საკომუნიკაციო კოდი);
- IT უნარები;
- სწარფი რეაგირების უნარი;
- პრობლემის სწარაჟად გადაჭრის უნარი;
- შეეძლოს სტუდენტების მოტივაციის ამაღლება.

ენის მასწავლებლების წინაშე მდგარი ამოცანები გაცილებით უფრო რთულია. ენის შესწავლა არ გულისხმობს მხოლოდ შესასწავლი ობიექტის ათვისებას, არამედ გულისხმობს სოციოკულტურული კომპეტენციების ათვისებასაც ენის სწავლის პროცესში. მასწავლებელი, რომელიც ელექტრონული კურსის სწავლებაზეა პასუხისმგებელი, უნდა ფლობდეს სათანადო სოციოკულტურულ კომპეტენციებს და

შეძლოს ბალანსირებულად მიაწოდოს ის შემსწავლელს, ხოლო ამ ყველაფრისათვის გამოიყენოს სათანადო შინაარსი(ტექსტი,სადისკუსიო თემა, ამასთან, შეირჩეს ისეთი თემა, რომელიც მისადები იქნება პოლიკულტურული საზოგადოებისთვის).

ტექნიკური საშუალებები: ვიდეოკონფერენცია, ვიდეოდისკუსია, ვიდეოდებატები, ჩატი, ფორუმი. ყველა შემთხვევაში მასწავლებელი იღებს პასუხისმგებლობას სიტუაციის კონტროლზე და ითავსებს მოდერატორის ფუნქციას..

სწავლისა და სწავლების პროცესი გულისხმობს არამხოლოდ რომელიმე კონკრეტული საგნის ათვისებას, არამედ სტუდენტის ემოციური, კოგნიტური, სოციალური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ელექტრონული კურსი საშუალებას უნდა აძლევდეს შემსწავლელს, რომ ის იქცეს არა ინფორმაციის უბრალო მიმღებად, არსებული ცოდნის რეციფინტად, არამედ შემოქმედებით-კოგნიტური პროცესის გარკვეულ თანამონაწილედ.

რესურსი: სტუდენტს მზა ინფორმაციასთან ერთად უნდა მიეცეთ საშუალება, ჩაერთოს „ცოდნის შექმნის“ პროცესში – მოახდინოს შეთავაზებული ტექსტის ინტერპრეტირება (შეცვალოს დასაწყისი და, შესაბამისად, განსაზღვროს, როგორ შეიცვლება მთლიანად ტექსტი, ფინალი; ტექსტის პერსონაჟის (არა მხოლოდ ლიტერატურულის) ესა თუ ის ქმედება); ფონური ცოდნის გათვალისწინებით, შექმნას მარტივი დავალებები და გაცვალოს ის კურსის სხვა სტუდენტებთან, მოიძიოს და გამრავალფეროვნოს კურსის შინაარსი ახალი მასალებით). ამ ყველაფრისთვის მას სჭირდება სტიმულირება მასწავლებლის მხრიდან (შეფასებაში ასახული ან ვერბალური გზით გამოხატული).

რასაკვირველია, ერთი სტატია ვერ მოიცავს ყველა იმ რესურსს, რომლებიც ენის ელექტრონული სწავლებისას გამოიყენება, თუმცა, შევცადეთ, ყურადღება გავგვამხვილებინა ძირითად პოსტულატებზე, რომლებიც დაეხმარება კურსის აუტორებსა და მასწავლებლებს რეალისტური და ეფექტური კურსის შექმნასა და სწავლებაში.

#### ლიტერატურა:

1. Patricia Sierra, Humanising Language Teaching Magazine for Teachers and Teacher Trainers: [www.hltmag.co.uk](http://www.hltmag.co.uk) (უკანასკნელად შემოწმებულია 5.07.2010).
2. P.Riddy,K.Fill, Evaluating the quality of eLearning resources [www.leeds.ac.uk/educa/documents](http://www.leeds.ac.uk/educa/documents) (უკანასკნელად შემოწმებულია 2.07.2010).
3. განვითარებისა და სწავლის თეორიები: თბილისი, 2009, გვ.134-143

### Ketevan Gochitashvili, Mariam Manjgaladze Resources for eLearning Language Courses

#### Abstract

In this paper we are discussing the question and resources for creating eLearning language courses. We share the idea that eLearning is one of the parts of the learning process which has taken Face to Face learning resources and experiences as a basis and modified it with modern visual materials. We are trying to define advantages of eLearning and students' benefits in these conditions.

In this paper we have described human and learning resources used in eLearning language teaching process. We offer eLearning teachers and content developers proper tools and resources for creating high quality, interesting and useful eLearning language courses, which consists all aspects of language knowledge and meet needs of learners with different interests and expectations.

ნათელა მადლაკელიძე  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
უფროსკლასელთა წერითი მეტყველების ფორმირების  
ერთი აქტუალური საკითხი

წერითი მეტყველების ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია პუნქტუაციური ჩვენების ფორმირება, რომელზეც მუშაობა სკოლაში მშობლიური ენის სწავლების ადრეული ეტაპიდან იწყება. პუნქტუაციის შესწავლით მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ სასვენი ნიშნის ხმარების წესებს, არამედ ენობა ენის სინტაქსურ და სტილისტიკურ ბუნებას; პუნქტუაციური ანალიზის პროცესში იგი ნათლად ხედავს – ენაში რა სინტაქსური კონსტრუქციებია შესაძლებელი, როგორ შეიძლება მარტივი შინაარსის გადმოცემა რთული კონსტრუქციებით, რთულისა – მარტივით (ინასარიძე, ნაჭყელია: გვ. 73.).

სასვენი ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში უამრავი შეცდომა გვხვდება, რაც ართულებს აზრის სწორად, გასაგებად გამოხატვას, ხოლო შეითხველს კი ხელს უშლის მის სწორად აღქმამში. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა დიდი ხვედრითი წილი სწორედ სასვენი ნიშნების არასწორ გამოყენებაზე მოდის.

სტატიის მიზანია პრაქტიკული მასალის საფუძველზე გაამუქოს, თუ რა უნარ-ჩვევებს ფლობენ უფროს კლასებში (X-XI) მოსწავლეები პუნქტუაციის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით; კერძოდ, გააანალიზოს:

ა) სასწავლო რესურსები, რომელთაც პუნქტუაციაზე მუშაობისას მიმართავს მასწავლებელი (*სწავლების მეთოდოლოგია, სავარჯიშოთა სისტემა, სახელმძღვანელო...*),

ბ) მოსწავლეთა მიერ ცალკეული სასვენი ნიშნების დანიშნულების ცოდნა,

გ) სხვადასხვა სახის წერილობით ტექსტებში სასვენი ნიშნების ადეკვატურად გამოყენება,

დ) დასაბუთება-არგუმენტირების უნარი (*რატომ გამოიყენა მოსწავლემ მოცემულ შემთხვევაში ეს სასვენი ნიშანი*),

ე) ამ მიზნით მოსწავლეთა მოტივაციის ამალღების სტრატეგიები...

*სასწავლო რესურსები* – მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში დიდხანს იყო დავა იმის შესახებ, თუ პუნქტუაციის ჩვევებს რა ფაქტორები ედო საფუძველად და რომელ მათგანს ენიჭება უპირატესობა.

დღეს არავისათვის აღარ არის სადავო, რომ პუნქტუაციის საფუძველი სინტაქსია [რამიშვილი, 1966:410]. მის მოქმედებას განსაზღვრავს ენის სინტაქსური კონსტრუქციები და სემანტიკურ-სტილური თავისებურებანი. სწორედ ამიტომ პუნქტუაციის წესების ბრმად გადატანა ერთი ენიდან მეორეში არ შეიძლება, რადგანაც თითოეულ ენას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები. აქედან გამომდინარე, სასვენი ნიშნების დანიშნულებაც ამ ენებში რამდენადმე განსხვავებულია [Jeremy Harmer, 2005: 32].

ამ მხრივ ქართული ენა საკმაო თავისებურებებით გამოირჩევა, სინტაქსური კონსტრუქციების მრავალფეროვნება, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სიკარბე მას განასხვავებს ინდოევროპული ენებისაგან და ბუნებრივია, პუნქტუაციასაც აქ სულ სხვა დატვირთვა აქვს, რაც თავისთავად ასახავს პულობს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებშიც.

თავის დროზე პუნქტუაციის სწავლებისას საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწედა ქართველ მეცნიერ-მეთოდისტთა (ლ. კვაჭაძე, ნ. ბასილაია, მ. თალაკვაძე, ვ. რამიშვილი, რ. მამულაშვილი, ნ. უსტიაშვილი, ლ. წულაძე, ვ. კვიციანიშვილი...) სათანადო კვლევები. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით თავის დროზე პირველი სიტყვა ენობილმა ენათმეცნიერმა არნ. ჩიქობავამ თქვა [ჩიქობავა, 1934:12]. მაგრამ მათი ნაშრომების გამოცემის შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა ქართული ენის პროგრამები და სახელმძღვანელოები; შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ნაცვლად ტრადიციული სწავლებისა (ცოდნაზე ორიენტირება), სიახლეს სთავაზობს სკოლას – ის უნარ-ჩვევებზეა ორიენტირებული. ამიტომაც „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტებშიც“ ნაცვლად იმ საკითხების ჩამონათვალისა, რომელიც უნდა იყოფეს მოსწავლემ, ვხვდებით იმ ინდიკატორების ნუსხას, რომლებიც ამა თუ იმ უნარ-ჩვევის (უნდა შეეძლოს) ფორმირებაზე მიგვიითებებს. ასეა პუნქტუაციის შემთხვევაშიც.

VII-DX კლასების „საგნობრივი სტანდარტების“ მიხედვით, საბაზო სკოლის დასრულების შემდეგ ამ კუთხით მოსწავლე უნდა ფლობდეს შემდეგ ჩვევებს:

ა) შეეძლოს სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა სახის ტექსტების გამართულად წერა და კორექტირება;

ბ) სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად;

საბაზო კლასებში პუნქტუაციის საკითხთა სწავლება ძირითადად VII კლასშია გათვალისწინებული: „პუნქტუაცია და აზრი, პუნქტუაცია და ინტონაცია, პუნქტუაციის ნიშნების სტილისტური შესაძლებლობები“ [ესგ, 2008:68]. მომდევნო კლასებში ამ საკითხებზე ყურადღება აღარ მახვილდება, იგი განიხილება როგორც წერის საერთო სტრატეგიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მათი გამოყენების მხრივ საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს. ძირითადად გამოიყენება ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით აგებული სხვადასხვა ავტორთა შედგენილი სახელმძღვანელოები. ესგ მიხედვით ლიტერატურული და ენობრივი მასალა ინტეგრირებულად იწავლება. ამ პრინციპით არის შედგენილი სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები საბაზო კლასებისათვის (მაგ. ლ. თუშურისა და მ. შარაშენიძის „ქართული ენა და ლიტერატურა“, VII კლასის სახელმძღვანელო, 2008 წ.). ენის კურსი ცალკეა წარმოდგენილი X კლასში (ა. არაბულიძის... „ქართული ენა“, X კლ. 2008 წ.); თუმცა მასწავლებელთა ერთი ნაწილი პუნქტუაციის საკითხებზე მუშაობისას უპირატესობას კვლავ ენის ძველ, ტრადიციულ, არაგრიფირებულ სახელმძღვანელოს ანიჭებს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე ქართული ენა, VIII-IX).

რადგან პუნქტუაციის საფუძველი სინტაქსია, პუნქტუაციაც სინტაქსთან ერთად შეისწავლება. პუნქტუაციურ უნარ-ჩვევათა ფორმირებაც ძირითადად სინტაქსის ცალკეული საკითხების შესწავლის პარალელურად მიმდინარეობს. მხოლოდ სინტაქსური ანალიზის საფუძველზე ხდება გასაგები ამა თუ იმ სასვენი ნიშნის ხმარება.

სწორედ ამიტომ სასკოლო პრაქტიკაში პუნქტუაციურ ჩვევათა ფორმირებისათვის ფართოდაა გამოყენებული პუნქტუაციური გარჩევა. პუნქტუაციურია გარჩევა, როცა ტექსტის ანალიზი იმის მიხედვით ხდება, თუ სად რა სასვენი ნიშნი იწერება და რატომ. იგი სინტაქსურ გარჩევას ეყრდნობა. წინადადების სტრუქტურის გარკვევასთან ერთად მისი მიზანია სასვენი ნიშნების ხმარების წესთა გაე-

ნობიერება, სასვენ ნიშნათა ხმარების ჩვევის გამოუმუშავება. სწორედ პუნქტუაციური გარჩევისას ხდება არგუმენტირება-დასაბუთება: სად რა სასვენი ნიშანი უნდა დავსვათ და რატომ [თალაყაძე, 1975: 21].

პუნქტუაციურ შეცდომათა ტიპები, მათი გამომწვევი მიზეზები - შეცდომათა ტიპებისა და მათი გამომწვევი კონკრეტული მიზეზების დადგენამდე მოსწავლეებს წინასწარ ჩაუტარეთ ანკეტირება, რომლებიც ძირითადად შემდეგ კითხვებს მოიცავდა (ანკეტირებამ და ჩვენ მიერ შემუშავებული სეარჯიშების პოლოტირებამ ჩატარდა 2008-2009 და 2009-2010 სასწ. წლებში ქ. თბილისის წმ. ილია მართლის საბელოზის საპატრიარქოს სკოლისა და ნიკო ბურის საბ. სათავადაზნაურო კერძო სკოლის უფროს კლასებში. გაანალიზდა 60-მდე მოსწავლის წერიითი ნაბუშევარი):

- ა) რომელ სასვენ ნიშნებს იყენებთ ყველაზე ხშირად წერისას;
- ბ) თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება სასვენი ნიშნების ხმარება;
- გ) რა განაპირობებს ამ სასვენი ნიშნების ხმარებას.

განალიზდა 60 მოსწავლის პასუხი. გამოირკვა, რომ მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა (58 მოსწავლე, ანუ 96.6%) წერისას ყველაზე ხშირად იყენებს მძიმეს, წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს; შედარებით მცირე ნაწილი (36 მოსწავლე - 60%) აღნიშნავს, რომ წერისას იყენებს აგრეთვე ორწერტილს; კიდევ უფრო მცირე ნაწილმა (18-მა მოსწავლემ - 30%) აღნიშნა, რომ იყენებენ ტირეს (თუმცა, როგორც წესი, იგი ხშირად ერევათ დეფისში), გამოკითხულთა დიდი ნაწილი (49 - 81.6%) საერთოდ არ იყენებს ისეთ სასვენ ნიშნებს, როგორცაა: ბრჭყალები, ფრჩხილები, წერტილ-მძიმე, მრავალწერტილი...

გამოკითხულთა აბსოლუტურმა (48 - 80%) უმრავლესობამ იცის, რომ სასვენი ნიშნები საჭიროა იმისთვის, რომ აზრი გასაგები იყოს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს მათ მართებულად გამოყენებას; რაც შეეხება სასვენი ნიშნების გამოყენების მიზეზს, უმრავლესობის აზრით (32 მოსწავლე - 19.2%), მათი გამოყენება საჭიროა იმიტომ, რომ ასე მოითხოვს ზეპირმეტყველება - პაუზა, ინტონაცია; მხოლოდ 26 მოსწავლის აზრით (15.6%), ამას მოითხოვს წინადადების აგებულება; 4-მა ( 2.4%) პასუხი ვერ გაგვცა ამ კითხვაზე.

მიღებული სტატისტიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, მოსწავლეთა ნაწერებში უმთავრესად გვხვდება შემდეგი სახის პუნქტუაციური შეცდომები:

1. სასვენი ნიშანი არ არის დასმული იქ, სადაც საჭიროა,
2. სასვენი ნიშანი უადგილოდ არის გამოყენებული,
3. ერთი სასვენი ნიშანი შეცვლილია მეორით.

X-XI კლ. მოსწავლეთა წერიითი ნაბუშევრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეული სასვენი ნიშნების ხმარებისას ყველაზე გავრცელებული შეცდომებია:

- ა) მძიმის არასწორად დასმა,
- ბ) მძიმის არდასმა,
- გ) ორწერტილის არასწორად გამოყენება,
- დ) ტირეს არდასმა ან არასწორად გამოყენება (ტირე და დეფისი მოსწავლეებს, როგორც წესი, ერთმანეთში ერევათ).

შენიშნულია, რომ მოსწავლეები წერის დროს განსაკუთრებით გაურზიან მრავალწერტილის, წერტილ-მძიმისა და კითხვა-ძახილის ნიშნების დასმას. ეს იმით აიხსნება, რომ ამ სასვენი ნიშნების ხმარებას სათანადოდ არ ასწავლიან.

რაც შეეხება წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, წინადადების ბოლოს მათი გამოყენების ჩვევა X-XI-კლასელებს აქვთ.

„თუ ერთმანეთს შევადარებთ მოსწავლეთა მიერ წერისას დაშვებულ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობას, ვნახავთ, რომ ორთოგრაფიული შეცდომების რიცხვი კლასების მიხედვით კლებულობს; რაც შეეხება პუნქტუაციურ შეცდომებს, მათი რიცხვი არ კლებულობს, პირიქით, ზოგჯერ იზრდება კიდევ.“ [ვ. რამიშვილი, 1966: 426].

რით აიხსნება ეს მოვლენა?

ა) პუნქტუაცია მხოლოდ სინტაქსის კურსთან დაკავშირებით ისწავლება სულ რაღაც 1-2 წლის მანძილზე. არადა, პუნქტუაციურ ჩვევებზე მუშაობა არც ერთ ეტაპზე არ უნდა შეწყდეს.

ბ) პუნქტუაციურ ჩვევათა დაუფლება უფრო მეტად მოითხოვს ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარს, ვიდრე ორთოგრაფიის.

გ) მასწავლებლები ხშირად ჩქარობენ პუნქტუაციური წესების გაეცნობისას. ერთსა და იმავე გაკვეთილზე ზოგჯერ რამდენიმე წესსაც კი აცნობენ და შემდეგ აღარ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამ მიმართულებით, კმაყოფილდებიან მხოლოდ წესების დაზეპირებით.

დ) რაც მთავარია, მოსწავლეები ვერ ფლობენ სინტაქსის სასკოლო კურსს, კარგად არ აქვთ წარმოდგენილი ენაში შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, აზრისა და გრძნობის წერილობით გამოხატვის ენობრივი საშუალებანი, რასთანაც შეიძლება არის დაკავშირებული სასვენი ნიშნების შესწავლა. კერძოდ:

1) ნათელი წარმოდგენა არა აქვთ წინადადებათა სახეებზე რაგვარობისა და აგებულების მიხედვით;

2) შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს ვერ განასხვავებენ არა-ერთგვარი წევრებისაგან;

3) არ იციან განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;

4) ვერ ახერხებენ აზრის გადმოცემას სხვადასხვა კონსტრუქციის წინადადებით;

5) სასვენ ნიშნებს ვერ უკავშირებენ წინადადების შინაარსსა და კონსტრუქციას...

პუნქტუაციური შეცდომების კლასიფიკაციისათვის ამოსავლად უნდა მივიღოთ ის, თუ რისი ცოდნა ევალება მოწაფეს პროგრამის (ამჟამად - ეროვნული სასწავლო გეგმის) ფარგლებში და რისი - არა. ის შეცდომა, რომელიც დაშვებულია იმის გამო, რომ მოწაფემ არ გამოავლინა ნასწავლი, გავლილი პუნქტუაციის წესის ცოდნა, უხეშად ჩაითვლება; ის შეცდომა კი, რომელიც დაშვებულია იმის გამო, რომ სათანადო წესი არ შეუსწავლია მოწაფეს და არც ევალებოდა მისი ცოდნა პროგრამის მიხედვით, არაუხეშად ჩაითვლება. მაგ.: უხეშად არ ჩაითვლება V კლასის მოსწავლეს რთულ წინადადებაში დაშვებული პუნქტუაციური შეცდომები, რადგან მას ჯერ ნასწავლი არა აქვს სათანადო პუნქტუაციური წესები. მაგრამ ასეთი შეცდომები უხეშად ჩაითვლება VIII, IX, X კლასის მოსწავლეებს ყველა სახის წერით ნამუშევარში.

სხვადასხვა სახის წერილობით ტექსტებში სასვენი ნიშნების ადეკვატურად გამოყენება - ჩვენ ვიკვლევით X-XI-კლასელთა წერით მეტყველებაში სასვენ ნიშნების გამოყენების შემდეგ შემთხვევებს

1. სასვენი ნიშნების ხმარება ერთგვარ წევრებსა და გამოთქმებთან;

2. სასვენი ნიშნების ხმარება შერწყმულ წინადადებაში;

3. სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან;

4. სასვენი ნიშნების ხმარება როდესაც ქვეყნობილ და თანწყობილ წინადადებებში (უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეები უკვე იცნობენ სათანადო სასვენ ნიშნებსა და პუნქტუაციურ წესებს წინა კლასებიდან).

ა) სასვენი ნიშნების ხმარება ერთგვარ წევრებთან:

1) მაცალკეებულკავშირიანი შერწყმული წინადადება

1. ან ღვინო გვასვი ან წყალი ან თოვლი შემთავიტანო;
2. ან გამოვიანებს ვამზობდით ან სხვებზე როგორმე ვიქცევდით თავს;
3. მზე ბან გამოაშუქებს ბან თვალს ხუკავს;
4. ბუღბული ბან დაკენის ვარდის ბუჩქებს ბან უგალობს სასვე მთვარეს ბან ყურს უგდებს მოქანცული წყაროს ლურჯად მომქეფარეს;
5. თუნდ შვი იყოს თუნდ თეთრი თუნდაც წითელი.

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 8 სასვენი ნიშანი (,) მძიმე ერთგვარ წევრებსა და გამოთქმებთან. აქედან:

- მძიმე არასწორად დასვეს 4 შემთხვევაში;
- გამოტოვეს 3 შემთხვევაში.

2) მაპირისპირებულკავშირიანი შერწყმული წინადადება:

1. მფრინავი წაბარბაცდა მაგრამ არ წაქეველა;
2. ნადირის ბორცით ძაღლებს ასუქებენ ბოლო ტყავს ამარილებენ და ინახავენ;

3. ეს ხმა სიჩუმეს კი არ არღვევს არამედ რატომღაც ამძაფრებს კიდევაც.

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 3 სასვენი ნიშანი (,) მძიმე შერწყმულ წინადადებაში. აქედან:

- მძიმე სწორად დასვეს ყველა შემთხვევაში.

ბ) სასვენი ნიშნები განმარტობდებულ სიტყვასთან:

1. პატარა ჩიორები კამენ მხოლოდ პატარა სულდგმულებს ბუზებს მატლებს პეპლებს ომობებსა და სხვა მწერებს;
2. ყველაფერი მღვმარებს ხე ქვა ტყე მთა და მინდორი;
3. დამკენარი დივი შუაყა შამში არვი და ურდანი ყველანი ერთად შვოთავდნენ;

4. გარეშენიე ბევრი ჰყავდა ტურა მელა კატა მგლები;
5. უზარმაზარ წიფელას ამყ მუხას ახალ ნორჩ შიშელას და პატარა ბუჩქებს ყველას ნაკადულისაკენ გაეწრა ფესვები.

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 19 სასვენი ნიშანი: მძიმე – 14, ორწერტილი – 3, ტირე – 2. აქედან:

- მძიმე არასწორად არის დასმული 7 შემთხვევაში;
- გამოტოვებულია 9 შემთხვევაში;
- ერთი სასვენი ნიშანი (:) ორწერტილი შეცვლილია მეორე სასვენი ნიშნით (,) მძიმით. ასეთი შემთხვევა 2 იყო.

გ) სასვენი ნიშნების ხმარება განკერძობულ სიტყვებსა და გამოთქმებთან:

1. ორმოც წელს მიღწეული მეფე ერეკლე გერ კიდევ მზენ და გულადი ლომოვით იბრძოდა;
2. შორს მთებს გადაღმა დიდბანს ელაყდა;
3. ბროლია ბროლია მოდი შენის ღმერთის კირიზე აქ არის კვალი;
4. ჰო მართლა შენს კნეინასთან ბოდიში მომბადე.



მოსწავლეებს უნდა დაესვათ 10 სასვენი ნიშანი: მძიმე (7), ძაბილოს ნიშანი

-3. აქედან:

- მძიმე არასწორად არის დასმული 1 შემთხვევაში;
- გამოტოვებულია 4 შემთხვევაში.
- ერთი სასვენი ნიშანი (!) ძაბილოს ნიშანი შეცვლილია მეორე

სასვენი ნიშნით (.) წერტილით. ასეთი შემთხვევა მე-4 წინადადებაში იყო.

დ) სასვენი ნიშნები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში:

1. ისეთი კაცია რწყილს კამეზად მოგაჩვენებსო ;
2. აქ ისეთი სიჩუმე იდგა კოდალას ნისკარტის ჩქამიე კი არსაიდან ისმოდა ;
3. მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი როცა ბატონმა საბლს მომასორა ;
4. ისეთი ხიდი გადუ რომ შენმა შეილიშვილმაე ზედ გაააროს ;
5. მე ჩონგური მისთვის მინდა რომ სიმართლეს მსახურობდეს.

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 5 სასვენი ნიშანი - (,) მძიმე.

ნამუშევრების ანალიზისას გაირკვა, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

მოსწავლეებს არც ერთ წინადადებაში არ დაუშვიათ შეცდომა.

ე) სასვენი ნიშნები რთულ თანწყობილ წინადადებაში:

1. ჩხიკვი დაეშუა თავქუე არწიმაე შემოიკეცა ფრთები;
2. ვახშმის დრო გადსული იყო მაგრამ ტარიელისას უვახშმონი იყენენ;
3. ღამეს ნახევარი სოფელი კალოზე ატარებს ხოლო მოზრდილი მამაკაცები

კულაე ძნას ეზიდებთან;

4. ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგვლიჯოს ან გველმა არ დაგკბინოს;
5. მის შორიახლოს ან შეგარდენი გამოინაგარდებდა ბან ქორი


გამოქროლებდა.

მოსწავლეებს უნდა დაესვათ 5 სასვენი ნიშანი (,) მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში. აქედან:

- არასწორად (უადგილოდ) დასვეს 3 შემთხვევაში;
- 1 შემთხვევაში კი გამოტოვეს.

მოსწავლეს აქვს პუნქტუაციური უნარ-ჩვევები. მთავარია, როგორ იყენებს ის მათ ტექსტების აგებისას. ტექსტის შექმნისას კი მოსწავლის მთელი ყურადღება ორიენტირებულია არა მართლწერაზე ან პუნქტუაციაზე, არამედ შინაარსზე, მკითხველთან წერის საშუალებით კომუნიკაციაზე. ამ დროს მოსწავლე ნაკლებად ფიქრობს სასვენ ნიშნებზე. პუნქტუაციის ესა თუ ის წესი კი შესწავლილად შეგვიძლია ჩავთვალოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცოდნის ავტომატიზაცია, ანუ მოსწავლე სასვენ ნიშნებს იყენებს პრაქტიკულად ასეთი ტექსტების აგების პროცესში.

წერილობითი ტექსტი პირობითად შეიძლება წარმოვიდგინოთ სამკუთხედის სახით: წერილობითი ტექსტის სამკუთხედი



[ნინო ღამბაშიძე, 2008: 26].

ჩვენ ვეცადეთ ამ მიმართებითაც გაგვეანალიზებინა უფროსკლასელთა წერითი ნამუშევრები. სასვენ სასვენ ნიშანთა ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად შემოწმდა მოსწავლეთა 20 ნამუშევარი. წერითი სამუშაოს თემად წარმოდგენილი იყო „ღირსეული პიროვნების სახე აკაკი წერეთელის „განზარდელის“ მიხედვით.“ აქ მოსწავლეები არ იყვნენ გაფთხილებულნი, რომ საგანგებო ყურადღება მიექცეოდა მათ მიერ სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენების ჩვევას. მათი ყურადღება ამჯერად გადატანილი იყო წერილობითი ტექსტის აგების ძირითად მომენტებზე (ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა, ფაქტებისა და მოვლენების ანალოზი, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება...); თუმცა წერის დამთავრების შემდეგ მათ მასწავლებელმა ტრადიციულად შეახსენა, რომ გადავითხათ ნაწერი და ჩავსწორებინათ შემწეული შეცდომები (მათ შორის პუნქტუაციურიც).

ნამუშევრების დასრულებისას შედეგი ასეთი იყო:

საერთო მონაცემების მიხედვით სასვენი ნიშნები უადგილოდ იყო დასმული 12 შემთხვევაში; გამოტოვებული იყო 14 სასვენი ნიშანი (მძიმე, ტირე, ორწერტილი, ძაბილის ნიშანი); ერთი სასვენი ნიშანი შეცვლილი იყო მეორე სასვენი ნიშანით 8 შემთხვევაში. ასე, მაგ: ხშირ შემთხვევაში მძიმე (,) შეცვლილი იყო წერტილით (.); ორწერტილი (:) და ძაბილის ნიშანი – წერტილით (.).

როგორც ვხედავთ, პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობა აქ უფრო მეტია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს უფროსკლასელებს უკირთ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება ტექსტების აგების პროცესში მაშინ, როცა შედარებით ნაკლებად უშვებენ ამ ტიპის შეცდომებს სპეციალურად ამ მიზნით შედგენილ სავარჯიშოებში. ეს ფაქტორი მიგვითითებს, რომ მათ პუნქტუაციური ჩვევები არ აქვთ გამომუშავებული და ამ მიმართებით კვლავაც სჭირდებათ მუშაობა.

უფროსკლასელთა წერილობითი ნამუშევრების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათ უმრავლესობას (დაახლოებით 50-55%-ს) არა აქვს ფორმირებული პუნქტუაციური ჩვევები, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ მიმართებით უნდა გაძლიერდეს მუშაობა სწავლების ქვედა საფეხურებზე – მხედველობაში გვაქვს დაწყებითი და საბაზისო კლასები.

#### ლიტერატურა:

1. ა. არახლო, ქ. რეზიაშვილი, ნ. შარაშენიძე, ნ. შაყულაშვილი, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო, წყაროსთვალი, 2008.
2. ნ. მახილაძე, პუნქტუაცია, განათლება, 1973.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2008 – 09 წ.წ.
4. მ. თალავაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, განათლება, 1975.
5. ლ. თუმური, ნ. შარაშენიძე, ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასის სახელმძღვანელო, დიოგენე, 2008.
6. ინასარიძე, მ. ნაჭყვია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბილისი, 1009.
7. ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1950.
8. ლ. კვაჭაძე, ქართული ენის ხინტაქში, ცოდნა, 1973.
9. ვ. კვიციანიშვილი, პუნქტუაციის სწავლების საკითხთათვის, ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შრომები, 27-ე ტომი, 1975.
10. ნ. მალაყლოძე, მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, მოწამეთა, 1997.
11. ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბილისი 1966.
12. ნ. უსტიაშვილი, ინტონაციის მნიშვნელობა და ადგილი წინადადების ტიპების სწავლებისას, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, ჟურნ. №2, 1967, გვ. 25-31.

13. ნ. ღამბაშიძე, წერის სწავლება, ამერიკული აკადემია თბილისში, 2008.
14. ალ. ღლონტი, ქართული წინადადება, საერჯიშოთა მასლა სინტაქსში, ცოდნა, 1961.
15. რ. შაშლაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სკოლაში, თბილისი, 1958.
16. აკ. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, VIII კლასის სახელმძღვანელო, გამათლება, 1999.
17. აკ. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, IX კლასის სახელმძღვანელო, გამათლება, 2006.
18. არნ. ჩიქობავა, ტიპიურ შეცდომათა ანალიზი საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისთვის“, №11-12, 1934, გვ. 5-12.
19. Jeremi Harmer, The Practice of English Language Teaching, Longman, Third Edition, 2005.

Nataia Maglakelidze

### Some problems of Building the Writing Habit Abstract

Using punctuation correctly is an important skill. Many people judge the quality of what is written on their use of punctuation. If we want our students to be good writers in Georgian, we need to teach them how to use punctuation conventions correctly. If commas, full stops, etc. are not used correctly, this can make a negative impression but can, of course, also make a text difficult to understand. This means teaching aspects of the system from the very beginning. Students of X-XI forms have to do a revision exercises. They also can be asked to identify what is used and why. Teachers can also emphasize punctuation by these activities: a) copying, b) making notes, d) whisper writing, e) sentence production, f) free text construction...

მერი მახარაძე

### შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი მოდალობა ინგლისურ ენაში და მისი გამოხატვის საშუალებები

მოდალობა არ არის მხოლოდ ლინგვისტური ცნება. მოდალობა ფართო ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ზოგადად გამოხატავს გამოხატულების და მოკიდებულებას რეალობისადმი (resp. ნიშნის დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი). მოდალობათა ლოგიკურ სისტემაში ერთიანდება შემდეგი ოჯგუფები:

1. ალეთიკური, ანუ კუმპარიტების მოდალობა აუცილებელი, შესაძლებელი, შემთხვევითი, შეუძლებელი;
2. ეპისტემიკური, ანუ ცოდნის მოდალობა განსაზღვრული (გადაწყვეტილი), განუსაზღვრელი (გადაუწყვეტელი), ყალბი;
3. დეონტიკური, ანუ ვალდებულების მოდალობა ვალდებული, დასაშვები, ინდიფერენტული, აკრძალული;
4. ეგზისტენციალური, ანუ არსებობის მოდალობა უნივერსალური, არსებული, ცარიელი.

ენათმეცნიერებაში მოდალობის კატეგორია ფართო განხილვის საგანია, მაგრამ იგი ოღერ კიდევ არ არის საბოლოოდ განსაზღვრული.

ზოგადი დეფინიცია, რომელსაც შეუძლია მოიცვას მოდალობის მთელი შინაარსი, არ არსებობს. სხვადასხვა ავტორი განსხვავებული პოზიციებიდან და მიზნებიდან ამო სვლით ყურადღებას ამახვილებს მოდალობის სხვადასხვა მხარეზე. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორია ძირითადად გაგებულია როგორც მიმართება: მოქმედების სუბიექტისა შესრულებულ მოქმედებასთან (გამოიხატება მოდალური ზმნეებით); მოლაპარაკისა გამოხატულების შინაარსთან (გამოიხატება მოდალური სიტყვებით); გამოხატულების შინაარსისა სინამდვილესთან მოქმედების რეალობა-რეალობის თვალსაზრისით (გამოიხატება კილოს ფორმებით).

ინგლისურ ენაში ძირითადად განსხვავებულია მოდალობის გამოხატვის შემდეგი საშუალებები: ლექსიკურ-გრამატიკული მოდალური ზმნები, ლექსიკური მოდალური სიტყვები, გრამატიკული კილოს კატეგორია, წინადადების სახეები, გარკვეული დროის ფორმები და სხვ.

სინამდვილესთან მოქმედების დამოკიდებულების თვალსაზრისით გარჩეულია: რეალური მოდალობა, როდესაც მოქმედება აღიქმება როგორც რეალური ფაქტი (გამოიხატება თხრობითი კილოს ფორმებით); ირეალური მოდალობა, როდესაც მოქმედება აღიქმება როგორც არარეალური ფაქტი (გამოიხატება კავშირებითი კილოს ფორმებითა და მოდალური ზმნებით ან მოდალური სიტყვებით); მოდალობის კატეგორია გამოხატულობას პოულობს აგრეთვე როგორც ბრძანებითი კილოს ფორმებში, რომლებიც გამოხატავენ ბრძანებას ან თხოვნას, ისე უარყოფით და კითხვით ფორმებში.

მოდალური მინაარსის გამოხატვა ძირითადად ეკისრებათ მოდალურ ზმნებს.

აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ჩვეულებრივ, ზმნურ ფრაზებში, რომლებიც არ შეიცავენ მოდალურ ზმნებს, ლაპარაკია მხოლოდ წინადადების სუბიექტზე (მაგ., "ჯონი ცხოვრობს ლონდონში"). მოდალური ზმნის შემცველი ფრაზა ეხება ორ პირს სუბიექტს და მოლაპარაკეს ან მსმენელს (მდრ., "ჯონი შეიძლება ხვალ ჩამოვიდეს", სადაც სუბიექტთან ერთად გამოხატულია მოლაპარაკის თვალსაზრისიც). აქედან გამომდინარე, ასეთი ფრაზებისათვის დამახასიათებლად მიჩნეულია სამი თავისებურება:

1. მათში ლაპარაკია არა მხოლოდ ფაქტებზე;
2. მათში გამოხატულია მოლაპარაკის/მსმენელის აზრი ლაპარაკის მომენტში;
3. მათში აუცილებლად ნაგულისხმევია ორი პირი – სუბიექტი და მოლაპარაკე/მსმენელი [Lewis].

არსებობს მოსაზრება, რომ მოდალური ზმნების საერთო სურათი ინგლისურში საკმაოდ მოუწესრიგებელია, რაც სერიოზულად აძნელებს მოდალების ბაზისური მნიშვნელობის დადგენას, როგორც ამას თვლის ფ. პალმერი. მაგრამ ავტორი საბოლოოდ მაინც უშვებს, რომ შესაძლებელია ყოველი მოდალობისთვის საერთო მნიშვნელობის ან მკიდროდ დაკავშირებული მნიშვნელობების დადგენა (Palmer). პალმერის ამ მოსაზრების თაობაზე გამოთქმულია ვარაუდი, თუ დაეუშვებთ მნიშვნელობათა მთელი რიგის არსებობას, მაშინ მსმენელს გაუძნელდება ბუნებრივი მეტყველებისათვის საჭირო სწრაფი დეკოდირება. საუკეთესო გამოსავალი იქნება დადგინდეს ცალკეული ცენტრალური მნიშვნელობა, რომელიც ამავე დროს გულისხმობს მარგინალური შემთხვევების ამოცნობასაც [Lewis].

მოდალური ზმნები გამოხატავენ არა მოქმედებას, არამედ მოქმედებისადმი დამოკიდებულებას. ისინი ქმნიან დეფექტური ზმნების ქვეჯგუფს ("ჩაკეტილ კლასს"). მათ მიეწერებათ სხვა, სრულმნიშვნელობიანი ზმნებისაგან განსხვავებული შემდეგი თავისებურებები:

- არ შეუძლიათ თანაარსებობა;
- არა აქვთ ფინიტური ფორმები;
- არა აქვთ იმპერატივის ფორმები;
- არა აქვთ მორფოლოგიურად გამოხატული წარსულის ფორმები;
- არა აქვთ აწმყოში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი s, ინფინიტისებრი და მიმდებარეობები;
- არა აქვთ be და have დამხმარე ზმნებით გაფორმებული დროები;
- კითხვით ფორმებს აწარმოებენ ინვერსიით, ხოლო უარყოფითს - not ან

n't ნაწილაკების დართვით; არ არსებობს ფორმალური განსხვავება მოდალური ზმნების შიგნით უარყოფისა და დროის ტერმინებში ეპისტემიკური და დეონტიკური მოდალობის თვალსაზრისით;

- გამოიყენებიან როგორც დამხმარე ზმნები დამოუკიდებელ ზმნებთან (Palmer, Lewis, Quirk).
- აქვთ მსგავსი სემანტიკა.

წინადადების სტრუქტურასთან მიმართებით აღნიშნავენ, აგრეთვე, მოდალური ზმნების შემდეგ თავისებურებებსაც:

- ზმნურ ფრაზაში მათ უკავიათ პირველი ადგილი;
- ერთსა და იმავე ფრაზაში გამოირიგავენ ერთმანეთს;
- ავლენენ მნიშვნელოვან სემანტიკურ მსგავსებას (Lewis).

მოდალური ზმნები ქმნიან დეფექტური ზმნების პატარა ჯგუფს და თავიანთი შინაარსით გამოხატავენ არა მოქმედებას, არამედ მოქმედებისადმი დამოკიდებულებას ვარაუდს, ეჭვს, შესაძლებლობას, აუცილებლობას. მათი დიდი ნაწილი ისტორიულად მიეკუთვნებოდა Preterit-present (ანუ past-present) ზმნათა ჯგუფს. ამჟამად მოდალური ზმნები დამოუკიდებლად არ იხმარებიან. წინადადებაში ისინი გვევლინებიან ე.წ. "შიშველ" ინფინიტივთან კავშირში და მასთან ერთად ქმნიან შედგენილ ზმნურ მოდალურ შემასბენელს (compound verbal modal predicate), სადაც ინფინიტივი გამოხატავს მოქმედებას, რომლის შესრულებაც შესაძლებელია, აუცილებელია ან სავარაუდო მოსაუბრის თვალსაზრისით.

მოდალური ზმნის შემცველი კონსტრუქცია შეიძლება იყოს: მოდალური ზმნა+simple infinitive; მოდალური ზმნა+perfect infinitive.

თანამედროვე ინგლისურში გამოყოფილია მოდალური ზმნების შემდეგი ჯგუფები:

ცენტრალური მოდალური ზმნებია can /could/, may /might/, must, will /shall, should/would; ისინი გარკვეულ შემთხვევებში განასხვავებენ დროს, თუმცა დროის თვალსაზრისით ფორმალურად მარკირებული არ არიან. ამიტომ შესაძლებელია მათი დალაგება (must-ის გამოკლებით) წყვილებად, რომლის წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან წარსული და არაწარსული დროის აღსანიშნავად. ასე, ერთი მხრივ იქმნება არაწარსული დროის ფორმები can, may, will, shall და მეორე მხრივ, წარსული დროის ფორმები could, might, would, should.

შდრ. I think we can beat Glenavon – He thought he could help his brother in his illness.

არის სხვა მნიშვნელობებიც, რომლებიც გამოხატულია აღნიშნულ წყვილითა წევრებით. მაგ., ნამყო დროის მოდალებს უკავშირდება ჰიპოთეტური სიტუაციის, თავაზიანობის და ა. შ. გამოხატვა. ამიტომ მოდალური ზმნები შეიძლება მივიჩნიოთ დროის თვალსაზრისით არამარკირებულ ზმნებად (Biber).

მარგინალური მოდალური ზმნებია dare (to), need (to), ought (to), used (to);

უარყოფით ფორმებს აწარმოებენ მოდალების მსგავსად needn't, dare not და ა.შ. ასეთი კონსტრუქციები შედარებით იშვიათია (Biber, Quirk).

ნახევარ-მოდალურია have to, be about to, be able to, be going to, be supposed to;

ნახევარ-მოდალურის (სხვა ტერმინებით კვაზი-მოდალურის, პერიფრაზული მოდალურის) კლასში შემოდიან მარგინალური მოდალებიც, dare-ს გამოკლებით. ცენტრალურისაგან განსხვავებით მათი უმრავლესობა შეიძლება იყოს მარკირებული დროისა და პირის თვალსაზრისით. ისინი ზოგჯერ თანაარსებობენ ცენტრალურ

მოდალეობთან ან სხვა ნახევარმოდალეობთან: He had to call the police; You have to protect. (Biber, Quirk).

მოდალური იდიომები had better მიზანშეწონილება, სურვილი; would rather უპირატესობის მინიკება; be to გამოხატავს მომავალს განსხვავებული კონტაქტებით როგორცაა: იძულება, განწირულობა (Quirk), have got to ვალდებულება, ლოგიკური აუცილებლობა.

მათ არა აქვთ არა-ფინიტური ფორმები, ამიტომ მათ არ შეუძლიათ დაიკავონ ადგილი სხვა ზმნის შემდეგ. ამით ისინი განსხვავებიან სრულმნიშვნელობიანი ზმნებისაგან, მაგრამ არც მთლიანად ემსგავებიან დამხმარე ზმნებს. ეს არის მოდალების ფუნქციით გამოყენებული ფიქსირებული იდიომატური გამოთქმები (Biber).

კატენატივებია appear to, happen to, seem to

კატენატიური ერთეული განისაზღვრება როგორც ზმნის არა-ფინიტური ფორმის კომბინაცია ფინიტურთან. ზმნა შეიძლება იყოს ან არ იყოს კატენატიური იმის მიხედვით, თუ რა მოსდევს ზმნას, არა-ფინიტური ფორმა, თუ სახელობითი ელემენტი (ინფინიტივი თუ გერუნდივი ან მიმღეობა) ასეთი კომბინაცია ქმნის რთულ კატენატიურ შემასმენელს (the compound - verbal catenative predicate) (Quirk)

მინაარსობრივად მოდალური ზმნები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად, რომელთა მეშვეობით გამოხატულია: უნარი/შესაძლებლობა/ზნების დართვა; ვალდებულება/აუცილებლობა; ვარაუდი/წება-სურვილი/ნდობა. მოდალური ზმნების უმეტესობა პოლისემანტიკურია: კონტექსტის მიხედვით თითოეულს აქვს ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა, რომელთაც მოდალობის კატეგორია აერთიანებს. ობიექტურად ძნელია ამ მნიშვნელობათა ზუსტი დადგენა, მაგრამ შესაძლებელია მათი დაჯგუფება ფართო სემანტიკურ კატეგორიებში, როგორცაა ეპისტემიკური და დეონტიკური მოდალობები. გამოყოფენ, აგრეთვე, მოდალობათა მესამე კატეგორიას დინამიკურ მოდალობას. მოდალური ზმნების სემანტიკა ამ კატეგორიათა მიხედვით იკვეთება. ინგლისურში გარჩეულია სამი კილო: თხრობითი (Indicative) არამარკირებული კილო, რომლის მიხედვით მოსაუბრე ზმნით გამოხატულ მოქმედებას მიიჩნევს როგორც რეალურ ფაქტს; კავშირებითი (Subjunctive) - გამოხატავს მოქმედებას, რომელიც მოსაუბრის მიხედვით ირეალურია: შესაძლებელი, სავარაუდო; ბრძანებითი (Imperative) - გადმოსცემს მოსაუბრის თვალსაზრისით აუცილებელ მოქმედებას ბრძანების, თხოვნის, რჩევის სახით.

აღნიშნულია, რომ მოდალობის გამოხატვა დაკავშირებულია, აგრეთვე, უარყოფით ფორმებთან. კერძოდ, ეპისტემიკურსა და დეონტიკურ მოდალობას შორის ფორმალური განსხვავება სწორედ უარყოფის შემთხვევაში ვლინდება. ასე, მაგალითად წინადადებაში: He mustn't be in his office "ის არ უნდა იყოს თავის ოფისში" mustn't გამოხატავს დეონტიკურ მოდალობას, მაგრამ must-ის ეპისტემიკური მოდალობის გამოსახატავად გამოყენებულია მხოლოდ can't ფორმა: He can't be in his office "ის, ალბათ, არ არის თავის ოფისში" (Palmer).

მოდალობასთან დაკავშირებით განიხილება კითხვითი ფორმებიც. მაგ., ჯ. ლაიონზის მიხედვით, თუ თხრობით კილოს მოდალობის თვალსაზრისით ჩავთვლით არა-მარკირებულ, ნეიტრალურ კილოდ, მაშინ აღნიშნული თვალსაზრისით, გარდა არა-თხრობითი კილოებისა, ყურადღებას იქცევს კითხვითი ფორმებიც. მათ შეიძლება მიეწერათ დამატებითი მოდალური მნიშვნელობა, რამდენადაც საქმე ეხება მოლაპარაკის მოლოდინს და არა ფაქტს. ასე მაგალითად, ინგლისურში "ღია" ტიპის

კითხვაზე \_ Is he here? "ის აქ არის?" და კითხვებზე \_ He's here, isn't he? "ის აქ არის, ასე არა?" ან He isn't here, is he? "ის აქ არ არის, ასე არა?" შესაძლებელია (და არა აუცილებელი) პასუხი "კი" ან "არა" [Lyons].

ითვლება, რომ თანამედროვე ინგლისურში კილოს კატეგორია ნელ-ნელა რდევას განიცდის. კავშირებითი კილოს ადგილს მოდალური ზმნები იკავებენ. არსებობს თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით: "უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ კავშირებითის ნაცვლად იხმარება მისი ეკვივალენტური ფორმები" [Biber].

კილოს კატეგორიის მოშლის დასაწყისად ასახელებენ დროისა და კილოს კატეგორიების გადაკვეთას. ლაიონში ნიშნულად ასახელებს შემთხვევებს, როდესაც მოდალური დაპირისპირება სახეზეა ერთ რომელიმე დროში, მაგრამ ნეიტრალიზდება სხვა დროში. მაგ., ინგლ. must ზმნა აწყვობს გამოხატავს ორ განსხვავებულ მნიშვნელობას \_ აუცილებლობასა და ვარაუდს ("გამომდინარეობას"): წინადადება He must come regularly შეიძლება ნიშნავდეს ან იმას, რომ "ის ვალდებულია მოვიდეს რეგულარულად" ან იმას, რომ "მე ვფიქრობ, ის მოდის რეგულარულად". ნამყოფი დროის ფორმებში ეს დაპირისპირება ფორმალურად არის გამოხატული: He had to come regularly "ის უნდა მოსულიყო რეგულარულად" და He must have come regularly "ის მოდიოდა, ალბათ, რეგულარულად". ასეთ სიტუაციას ვაწყდებით მომავალი დროის ფორმებშიც. სახელდობრ, will და shall-ის შემცველი წინადადებები ყოველთვის მომავალ დროს როდი გადმოსცემენ. ისინი ითავსებენ მოდალობის მნიშვნელობასაც. მაგ., He will be quite a big boy now ნიშნავს "ის, საფიქრებელია, ახლა სულ დიდი ბიჭია". მიზეზი ასეთი სემანტიკური გადასვლისა იმ ფაქტის "ბუნებრივი" მოდელია, რომ მომავლის შესახებ მსჯელობა აუცილებლად ემყარება მოლაპარაკის რწმენას, წინასწარ განზრახვას და არა ცოდნას [Lyons].

მოდალური სიტყვები. მოდალურს უწოდებენ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ მოსაზრის და მოკიდებულებას წინადადებაში გადმოცემულ ფაქტსა და რეალობას შორის. მოდალური სიტყვები მეტყველების უცვლელი ნაწილებია, ისინი არ შედიან ფრაზაში, დგანან განყენებულად და სინტაქსურად ჩართულის ფუნქციას ასრულებენ. სემანტიკურად მოდალური სიტყვები იყოფა სამ ჯგუფად და ძირითადად გამოხატავენ: დარწმუნებულობას (certainty) – certainly, of course, sure, no doubt, really, indeed...; სურვილს (desirability) – lucky, fortunately, happily, unfortunately...;

ვარაუდს (supposition) – perhaps, maybe, probably, obviously...

მოდლობის ცნება ფართო სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს განონათქვამის და მოკიდებულებას რეალობისადმი. ინგლისურ ენაში განსხვავებულია მოდალობის გამოხატვის შემდეგი საშუალებები: ლექსიკურ-გრამატიკული, მოდალური ზმნები, ლექსიკური \_ მოდალური სიტყვები და გრამატიკული კილოს კატეგორია..

#### ლიტერატურა:

1. Biber D. Johansson, S. Leech, G. Conrad, S. Finegan, E., Grammar of Spoken and written English Longman, 1999.
2. Lewis M., The English Verb. An Exploration of Structure and Meaning. 1986.
3. Lyons, J., Semantics. Cambridge University Press. 1977.
4. Palmer F. R., Mood and Modality. 1995.
5. Quirk R., Greenbaum S., Leech G., Svartvik J., A Comprehensive Grammar of the English Language. London and New York. 1985.

## Modality in English Language

## Abstract

Modality is not only the linguistic notion but logical-semantic category as well, it is an enormously complex system that directly expresses speakers' beliefs and evaluative attitudes. Although the central concern of historical studies of modality in English has been the system of auxiliary verbs, the emergence of other kinds of modal expression has not been ignored. The article deals with the ways of expressing modality. English differentiates the following ways of expressing modality: lexical-grammatical with the help of modal verbs, lexical with the help of modal words and grammatical with the help of mood.

## მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
დავრიყევი ქართველი დედოფლის შესახებ

წმინდანად შერაცხული ქეთევან დედოფალი დაიბადა 1572 წელს ამოთან ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის ოჯახში. 1588 წელს იგი ცოლად შერთეს კახეთის მეფის, ალექსანდრე მეორის ძეს – დავითს. მეუღლა დავითს ეკუთვნოდა, მაგრამ მამა მაინც უმცროსს, გიორგის აცხადებდა ტახტის მემკვიდრედ. თუმცა დავითმა შეძლო, მამა იძულებული გაეხადა, რათა ალავერდის ტაძარში ზერად აღკვეცილიყო. თვითონ კი გამეფდა. მან ოთხი თვეც ვერ იმეფა, მოულოდნელად გარდაიცვალა.

ქეთევანს, ქვრივ დედოფალს, დარჩა ქალ-ვაჟი: თეიმურაზი და ელენე. მართალია, თეიმურაზი 13 წლის იყო და შეიძლებოდა მისი გამეფება, ასე მაინც არ მოხდა. ბერობიდან დაბრუნდა ალექსანდრე და გიორგი გაამეფა. მალე თეიმურაზი და ელენე სპარსეთში წაიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა კონსტანტინე-მირზა, ალექსანდრე მეფის გათათრებული ძე. მან დახოცა ალექსანდრე და გიორგი. მისმა არნახულმა სისასტიკემ მთელი კახეთი შეძრა. კონსტანტინე მიხვდა, რომ კახეთი ქეთევან დედოფლის ირგვლივ ირანზემოდა. ამიტომ ქეთევანის დაუფლება გადაწყვიტა და ცოლობა სთხოვა, მუსულმანთა საოჯახო სამართალი დაქვრივებული რძლისა და მზლის ქორწინებას „დიდ სამადლო საქმედ“ მიიჩნევდა.

ქეთევანი უსაზღვრო ზიზღმა და აღშფოთებამ მოიცვა. მან შეჰყარა კახეთის დიდკაცობა და აუწყა კონსტანტინეს შეურაცხმყოფელი წინადადება. კონსტანტინემ იგრძნო საშიშროება და რამდენჯერმე სცადა თავისი ერთგულება შაჰისათვის დაემტკიცებინა. ბოლოს იგი შაჰის წყალობას აღარ დაელოდა და ახალი ჯარებით საქართველოსაკენ წამოემართა. ქეთევან დედოფალმა შეძლო კონსტანტინე დაემარცხებინა, იგი ზრბოლაში მოკლეს. ტახტზე თეიმურაზი ავიდა. შაჰი ერთი წლის შემდეგ აზერბაიჯანში შევიდა და იქ მოუხმო თეიმურაზს, რაზეც უარი მიიღო. აღშფოთებულმა შაჰ-აბასმა თავისთან იხმო ქეთევან დედოფალი თეიმურაზის შვილებთან ერთად. თეიმურაზის ზრბოლამ შვილებისა და დედის გადასარჩენად ამოდ ჩაიარა. არავისთვის აღარ წარმოადგენდა საიდუმლოს აბასის განზრახვა, ჯერ მეფის ოჯახი ამოეწყვიტა, შემდეგ კახეთი აეოხრებინა, რაც განახორციელა კიდევ. კახეთი დაიქცა, თეიმურაზი გაიქცა. შაჰ-აბასმა ქეთევან დედოფალი შვილიშვილებით შირაზს გაგზავნა იმამყული-ხანთან. იმამყული ხანი სახელგანთქმული ირანელი სარდლის, წარმოშობით ქართველის, ალავერ-



დიხან უნდილაძის ძეა. უნდილაძე ირანის „ვიცე-კო-როლი“ იყო. იმამყული-ხანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1622 წელს იმამყული-ხანის მეთაურობით, სპარსეთის ლაშქარმა ინგლისის ფლოტის დახმარებით კუნძულ ჯორჯიიდან (ორმუზიდან) განდევნა პორტუგალიელები. ამის შედეგად ნავსადგური და სავაჭრო ოპერაციები კუნძულიდან ხმელეთზე იქნა გადატანილი. ახალ ქალაქს ბენდერაბასი (აბასის ნავსადგური) ეწოდა. იმამყული ხანი შაჰ-სეფმა 1631 წელს სიკვდილით დასაჯა. ამის მიზეზი იყო იმამყული-ხანის ძმის, დაუდხან უნდილაძის, პოლიტიკური კავშირი ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან. 1631 წელს განჯა-ყარაბადი დაარბია ქართველთა ლაშქარმა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „განჯა-ყარაბადის დარბევა და აოხრება, დაუდხანის ტყვედ წაყვანა, ყველაფერი ერთად შაჰ-სეფი ყაენს მოახსენეს. განრისხდა შაჰი, იმამყული-ხანი, დაუდ ხანის ძმა, შირაზის ბატონი თავისი ოჯახით, შვილებით მოასხმევეინა და ზოგი დახოცა, ზოგსაც თვალები დაწვა“ [გორგიჯანიძე, 1925: 238].

კვლავ გრძელდებოდა კახეთის აოხრება, ნგრევა, იავარყოფა. ათი წელი იყო ქეთევან დედოფალი შირაზში, მას ენატრებოდა საშობლოს მიწა, წყალი, ცა. მას მკერდზე მაცხოვრის ხატთან ერთად ერთი მუჰა ქართული მიწა ეკიდა.

მას უნდილაძის სასახლეში ემსახურებოდა ოცამდე ქართველი ქალი და კაცი. სპარსელების მიერ დატყვევებული სხვა დიდგვაროვანი ქართველი მანდილოსნები იყვნენ სპარსეთში. მათი შვილებიც სპარსელთა ტყვეები იყვნენ და შაჰ-აბას I-ის მსახურებად იყვნენ განწესებულნი. ისინი თავიანთი დიდგვაროვნების გამო შაჰს ემსახურებოდნენ. ერთ დღეს შაჰმა ამ მსახურებთან საუბარში, გამოსაცდელად ასე მიმართა მათ: „რატომ აძლევთ თქვენ დედებს უფლებას, დარჩნენ ქრისტიანები, რისი დასასრულიც წარწყმედაა, რატომ არ მიაღებინებთ მამამადის რჯულს და სარწმუნოებას, რომლის ბოლო სასუ-ფეველის მშენებაა?“

მსახურებმა უპასუხეს: „ხშირად ვეუბნებით, მაგრამ მამამადის რჯულს არ იღებენ“.

ხელმწიფემ იკითხა: „რატომ არ იღებენ?“

მსახურები შიშისაგან დაიბნენ და აღარ იცოდნენ რა მიზეზი მოეგონებინათ, ან როგორი პასუხი გაეცათ. მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა უპასუხა: „ეოდნით კი არა, უმეცრებით არ იღებენ მამამადიანობას. როდესაც ვეუბნებით ჩვენს დედებს გამამადიანდეთო, ისინი გეპასუხობენ, თუ თეიმურაზის დედა ქრისტიანია, ჩვენ რატომღა ვაგამამადიანდეთო?“ [დაერეყვი, 1974].

გბიერმა შაჰ-აბასმა მამინ გულში დაიმარხა ეს სიტყვები. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთ დიდებულს დაავალა, წასულიყო შირაზში, თეიმურაზის დედისათვის ან სარწმუნოება გამოეცვლევივნებინა, ან სიკვდილით დაესაჯა იგი.

ქეთევანმა არ იცოდა, როგორ დაიბოცნენ მისი შვილიშვილები. მოხდა ისე, მან თავისი შვილიშვილების დალუპვის ამბავი მამინ გაიგო, როცა ცოლობა მამამ სთხოვა.

მგლოვიარე დედოფალი მტარვლი ხელმწიფის უსაზღვრო ზიზღმა შეიპყრო და გაბედულად უარყო შაჰის წინადადება, რამაც მხამითა და გესლით აავსო შაჰ-აბასი. მან დედოფალს გაათათრება მოსთხოვა. ვერაუთარმა ძალამ ვერ შეძლო ქეთევან დედოფალს ქრისტიანობა უარეყო. მამინ ბრძანა შაჰ-აბასმა წამება ქეთევანისა.

წამების ხელოვნების დიდი გამოცდილება ჰქონდათ სპარსეთში და ეს „გამოცდილება“ უნაკლოდ შეასრულეს ქეთევან დედოფლის მიმართ.

1624 წლის 11 სექტემბერს ცეცხლი ააგიზგიზეს „მეიდანზე“, ცეცხლში ჩალაგებული იყო რკინის მარწყუბები, შამფურები, ლურსმნით სავსე ქვაბები, ბარები ვარვარებდნენ.

„მეიდანი“ ხალხით იყო გაჭედილი. აქ იყვნენ სპარსელები, ქართველები, სომხები, ჩერქეზები, იტალიელი და პორტუგალიელი კათოლიკე მისიონერები, გამოვიდა ქეთევან დედოფალი. იგი იყო თეთრი, ქათქათა კაბით შემოსილი, ცეცხლის პირას მიიყვანეს

ჯალათებმა დედოფალი და მისი ამაღლა. ქეთევანს კიდევ ერთხელ აუწყეს კრძალვით, ელიარზბინა მაჰმადის რეჟული და დასთანხმებოდა შაჰს ცოლობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა უსასტიკესი წამება. დედოფალმა სრული სიმშვიდითა და სიმტკიცით არჩია სიკვდილი ქრისტესა და საქართველოსთვის.

სიკვდილის წინ უკანასკნელად ილოცა დედოფალმა. ჯალათმა სისხლისფრად აეარჯარებული მარწუხებით დააგლიჯა დედოფალს ტუბუები, მთელ ტანზე ცხელი ლურსმნის „საბანი“ დაჰხურეს. ესეც არ აკმარეს, თავზე დასცეს ნაცეცხლარი ზარი. დედოფალმა კი მაინც შეძლო ზოლო სიტყვები წარმოეთქვა: „საქართველო“, „შვილო“.

ქეთევან დედოფლის დამწვარი, დასახიჩრებული და დარღვეული სხეული ჯალათებმა დაუსაფლავებელი დააგდეს.

წამებული ქალის ცხედარი ღამით ამზროზის დოს ანეოსმა და გროგორი ორსინიმ მოიპარეს, საკმელოთა და მურით გაუღენთილ ქსოვილში გაახვიეს, ისფაჰანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, როგორც ქრისტიანი და ქრისტესთვის წამებული დედოფლის უწმინდესი ნეშტი. ორი წლის შემდეგ კათოლიკე ბერებმა დედოფლის ნეშტის ნაწილი საქართველოში ჩამოუტანეს მეფე თეიმურაზს, ნაწილი კი წაიღეს ინდოეთში ქალაქ გოამი და იქ დაკრძალეს, და-გრასას მონასტერში.

არაქელ დავრიევი ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც ისტორიული სიზუსტითა და მეცნიერული პატიოსნებით აღწერა ქეთევან დედოფლის ცხოვრება შაჰ-აბასის კარზე და მის წამებასთან დაკავშირებული დეტალები წიგნში „ისტორიათა წიგნი“, ანუ უბრალოდ ისტორია. არაქელ დავრიევი დაიბადა XVI საუკუნის დამლევს სამხრეთ აზერბაიჯანის სატახტო ქალაქ თავრიზში, რომელსაც სომხები „დავრეთს“ უწოდებდნენ (შევადართო ძველ ქართულ „თავრეთ“-ს). აქედან წარმოდგა არაქელის ზედსახელი „დავრიევი“, რაც თავრიზელს ნიშნავს.

იგი სომხური ეკლესიის საკათალიკოსო ცენტრში ეზმიაწინში იზრდებოდა, აქვე მიიღო მან ვარდაპეტის (მოძღვრის) წოდება. იგი გამოუსვლელად ცხოვრობდა ეზმიაწინში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგებდა 1645 წელი, როდესაც იგი სხვა ვარდაპეტებთან ერთად სომხური ეკლესიის საქმეების მოსაგვარებლად გაემგზავრა ახლოაღმოსავლეთში, ამ მგზავრობისას მან თავრიზიცი მოინახულა.

არაქელ დავრიევი გარდაიცვალა 1670 წელს და ეზმიაძინშია დასაფლავებული.

არაქელს საისტორიო ნაწარმოების შედგენა დაუწყია 1651 წელს კათალიკოს ფილიპოს ალიბაევის (1633–1655) ბრძანებით. მაგრამ ფილიპოს გარდაცვალებისთანავე შეუწყვეტია და გააგრძელა 1658 წელს ახალი კათალიკოსის ჰაკოფ ჯუღაევის (1655–1680) ბრძანებით და დაასრულა 1662 წელს.

არაქელ დავრიევის „ისტორიაში“ უზვადაა მოტანილი ცნობები საქართველოს, კონკრეტულად ქართლისა და კახეთის სამეფოების შესახებ. IX–XII თავები საგანგებოდ ეთმობა საქართველოს და ვრცლად აღწერს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ქართლ–კახეთში შაჰ-აბასის დაპყრობითი ომების შედეგად.

არაქელ დავრიევის „ისტორიაში“ მოტანილი ცნობები, უეჭველად, ნდობას იმსახურებენ, რადგანაც ისინი დასტურს პოულობენ როგორც ქართულ (ბერი ივანტაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, თეიმურაზ I-ის „წამება ქეთევან დედოფლისა“, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრება“), ისე სპარსულ (ისტანდერ მუნშის „ქვეყნის დამამშვენებლის აბასის ისტორია“) წყაროებში.

ახალმა მედიამ საკუთარი ცალკე სპეციალობა კი არ უნდა შექმნას, არამედ საერთო სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში) და ამით სასკოლო პროგრამაში უნდა იყოს ინტეგრირებული. სასწავლო გარემოც, რომელიც უნდა შეიქმნას, უნდა იყოს არა საგანზე, არამედ თემებზე ორიენტირებული. გერმანულის გაკვეთილისთვის ასეთი რეგულირება ნიშნავს, რომ უცხო ენა შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ამ საგნის სწავლების ფარგლებს გარეთაც. ბავშვები აცნობიერებენ, რომ გერმანული ენა სხვადასხვა სფეროებში გვხვდება და მისი ცოდნა ძალიან სასარგებლოა. აუთენტური მასალის საშუალებით იზრდება მოტივაცია და გაუცხოებერებად ყალიბდება გერმანული ენის გაკვეთილისადმი დადებითი დამოკიდებულება. მართალია, სახელმძღვანელოებით მუშაობისას მოცემულია საკომუნიკაციო მიზნები, მაგრამ ხდება ამ კომუნიკაციის სიმულირება, რადგან არ არსებობს რეალური გერმანულენოვანი საკომუნიკაციო პარტნიორი, რომელიც, მაგალითად, არსებობს იმილ-პროექტებში. ენის შესწავლასთან ერთად მოსწავლეები ეცნობიან ბევრ ფაქტს იმ ქვეყნის შესახებ, რომლის ენის შესწავლაც მათ სურთ. მათ შეუძლიათ ესაუბრონ უცხოელ ბავშვებს და იპოვონ ორ კულტურას შორის როგორც განსხვავებები, ასევე მსგავსებები.

არსებობს ელექტრონული მედიის გაკვეთილზე გამოყენების მრავალი გზა. ამ შესაძლებლობებს განსაზღვრავს ბევრი სხვადასხვა ფაქტორი, როგორცაა მაგ. დიდაქტიკური მიზნები, სასწავლო პროგრამები, სწავლების მეთოდები. მასწავლებელთა შუადყოფნა, გამოიყენონ ელ. მედია გაკვეთილზე, ტექნიკური ცოდნა, მოსწავლეების ინტერესი და სკოლის ტექნიკური აღჭურვილობა ასევე განსაზღვრავს ამ არჩევანს.

ახალი მედიის/მულტიმედიის გაკვეთილზე გამოყენების მიზნები შეიძლება იყოს შემდეგი კომპეტენციების გადაცემა:

1. მედიის გაცნობიერებული აღქმა. ე.ი. არა ზედაპირული ანალიზი

2. ტექნიკური კომპეტენცია, ე.ი. მედიის სწორად გამოყენების ცოდნა
3. სემანტიკური კომპეტენცია, უნარი, შეგძლოს ფორმის და სურათის სიმბოლიკის ახსნა და კრიტიკულად შეფასება
4. პრაგმატული კომპეტენცია, უნარი, მედიით აწარმოო კომუნიკაცია და აქტიურად გამოიყენო იგი [Maier 2001: 47].

იდეალურ შემთხვევაში ამ მიზნების შედეგია მასწავლებელზე ორიენტირებული გაკვეთილი შეიცვალოს მოსწავლეზე ორიენტირებულ გაკვეთილად.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული მედიის ფუნქცია უცხო ენის გაკვეთილზე ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ადრე უცხო ენის გაკვეთილზე რთული იყო სატელევიზიო გადაცემების, ფილმების და ვიდეოების გამოყენება. აპარატურა, ჩვენების ხარისხი და არ იყო საკმარისად კარგი, რომ მათ უცხო ენის გაკვეთილზე სამუშაოდ განსაკუთრებული მოტივაცია შეექმნათ. თანამედროვე საზოგადოებაში CD/DVD-ფლერები გამოსახულებასა და ხმოვან ინფორმაციებთან კომბინირებით საუკეთესო საშუალებებია უცხო ენის გაკვეთილის ჩასატარებლად.

ელექტრონული მედია ხელს უწყობს უცხო ენის გაკვეთილის თანამედროვედ წარმართვას, იგი უფრო მრავალფეროვანს ხდის სწავლას, მაგრამ უცხო ენის მასწავლებელი აუცილებლად უნდა ფლობდეს არა მხოლოდ საჭირო ტექნიკურ კომპეტენციას, არამედ მეთოდურ-დიდაქტიკურ კომპეტენციასაც.

არსებობს მონაცემთა ბაზები ინტერნეტში, რომლებიც მასწავლებლებს გაკვეთილისა და სასწავლო მასალების შედგენაში ეხმარება. DVD ტექნიკა და გამოსახულების დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა ახალ შესაძლებლობებს იძლევა უცხო ენის გაკვეთილისთვის, მაგრამ ელექტრონული მედიის გამოყენების პირობებშიც კი ჩვენ უარს კერ ვიტყვით სახელმძღვანელოებზე, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ასევე ახალი მედიის და ისი მუშეობით გადმოცემული ინფორმაციების კრიტიკულად შეფასება. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს თავის მოსწავლეებს განასხევაონ კარგი და სასარგებლო მედია/ინფორმაციები უსარგებლო ან თუნდაც საზიანოსაგან. სასარგებლო მასალები გონივრულად უნდა იქნას გამოყენებული.

#### ლიტერატურა:

1. Bimmel Peter/Kast Bernd/Neuner Gerd (2003): Deutschunterricht planen. Arbeit mit Lehrwerkslektionen. Langenscheidt. Goethe-Institut München.
2. Biechele Markus (2005): Lust auf Internet. // "Fremdsprache Deutsch", Heft 33. 5-7.
3. Busé Anne-Katrin (2008): Lernen mit neuen Medien: Interneteinsatz im Englischunterricht. GRIN Verlag.
4. Kohn Martin (2003): Leitfaden Moderne Medien: PC-Einsatz im Englischunterricht. Verlag Schroedel; Klinckschardt.
5. Kron Friedrich W./Sofos Alivisos (2003): Mediendidaktik. Ernst Reinhardt Verlag. München.
6. Kerres Michael (2001): Multimediale und telamediale Lernumgebungen: Konzeption und Entwicklung. 2. vollst. überarb. Aufl. München: Oldenbourg.
7. Maier Wolfgang (2001): Mit Medien motivierten: Beispiele für den Unterricht. 1. Auflage. Universum Verlagsanstalt GmbH KG. Wiesbaden.
8. Reinmann-Rothmeier Gabi/Mandl Heinz (1996): Lernumgebungen mit Neuen Medien gestalten. // "Bildung im Netz. Auf dem Weg zum virtuellen Lernen", S. 65-74.
9. [http://de.wikipedia.org/wiki/Neue\\_Medien](http://de.wikipedia.org/wiki/Neue_Medien)

## Teaching by the new mass media – applying the electronic media at the lessons, where the German language is a foreign one

### Abstract

The increasing world technical progress effects the process of teaching the foreign language and gives way to its modernization. Electronic media, as one of the ways of communication and getting information, is acquiring greater importance in our modern society. Little by little it strengthens its role in methods of teaching and helps to conduct lessons in a new way. There are different means of applying electronic media at the lessons and these means are conditioned by several factors, e.g. didactic goals, syllabuses and methods of teaching. The choice depends on how well a teacher is prepared to use the electronic media, his or her technical skills, students' enthusiasm and the technical equipment available at schools. Modern media makes the process of teaching more diverse and interesting, however, it shouldn't replace common, traditional methods of teaching and the material the teachers generally use at the lesson. We should teach our students to estimate the new media and the available information from the critical point of view. Teachers must help their students to differentiate between the good and useful information, useless and harmful, and how to use the useful one properly.

### მადონა მეგრელიშვილი, ევგენია კობეშვიძე, რუსუდან გვილავა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ექსკლუზიური და ინკლუზიური მნიშვნელობები – პერფექტულ ფორმათა ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტები


ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ენას უმეტესად იკვლევდნენ, როგორც სტატიკურ ერთეულთა სისტემას, როგორც ნიშანთა უძრავ ერთობლიობას, რომელთა გადასვლა ერთმანეთში და, მითუმეტეს მათი დიალექტიკური თანაარსებობა ერთი და იგივე ერთეულის ფარგლებში მეცნიერებს საეჭვოდ მიაჩნდათ. თანამედროვე ენათმეცნიერებაში კი, ძირითადად შეისწავლება. ენის დინამიკური ასპექტი (ენა როგორც წარმოშობი მექანიზმი, როგორც ინვარიანტი, რომელშიც ვარიანტების მუდმივი ცვლაა, მუდმივი მოძრაობა და გარდასახვა ერთი მოვლენისა მეორეში).

ამ გარემოებითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ მრავალი ლინგვისტური მოვლენა, რომელიც ადრე შესწავლილი იყო ენათმეცნიერების რომელიმე დარგში, ახლა კვლავ დაზადებას ზეიმობს, ახალ დინამიკურ ასპექტში შეისწავლება და კვლავ აქტუალურ საკითხად გვევლინება თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

დროის კატეგორიისა და დროთა მიმართების კატეგორიის ფორმათა დიფერენციაციაში შეიძლება დაგვეხმაროს კონცეპტუალური დროის ცნება [1:5]. დროის კატეგორიის წევრები გადმოცემს ერთდროულობას ვექტორულ ნულთან ორიენტაციის განსაზღვრულ ღერძზე. დროთა მიმართების კატეგორიის წევრები კი გამოხატავს წინამავლობას ამა თუ იმ საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ და მასთან მიმართებას. ამ წევრების აღწერა ხდება უარყოფითი ვექტორის დახმარებით. ერთდროულობა მარკირებულია ნიშნით „0“, წინამავლობა (ვექტორის უარყოფითი მიმართულება) – ნიშნით „-“, ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძი მარკირებულია ნიშნით „V1“ წარსულისა კი – „V2“. მაშინ სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

სქემა №1.

ინგლისური ენის დროისა და დროთა მიმართების კატეგორიათა ფორმების დიფერენციაცია ახლანდელ და წარსულ დროთა საორიენტაციო ღერძზე



ახლანდელი პერფექტი, რომელიც ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული წულის წინამავლობასა და მასთან მიმართებას გამოხატავს, მოთავსებულია ამ ღერძზე. ის ქმნის ჰორიზონტალურ რიგს და უპირისპირდება მარტივი ახლანდელის ფორმას, რომელიც ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ წულთან ერთდროულობას გვიჩვენებს.

წარსული პერფექტის ფორმა, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული წულის მიმართ წინამავლობასა და მასთან მიმართებას გამოხატავს, ორიენტაციის მეორე ღერძზე – წარსული დროის საორიენტაციო ღერძზე იდებარეობს. იგი ქმნის ჰორიზონტალურ რიგს მარტივი წარსულის ფორმასთან, რომელიც წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული წულისადმი ერთდროულობას აღნიშნავს.

პერფექტულ ფორმათა სინტაგმური მნიშვნელობა ლინგვისტურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული. კონტექსტის სემანტიკიდან გამომდინარე საზღვარგარეთელ ენათმეცნიერთა შრომებში პერფექტის ინკლუზიური, ექსკლუზიური, მრავალჯისი და რეზულტატური მნიშვნელობები გამოიყოფა.

დროთა მიმართების კატეგორიის ცალკე გამოყოფამ, რომელიც დროისა და ასპექტის გრამატიკულ კატეგორიებთან მჭიდრო კავშირშია, საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ზმნის სისტემა როგორც მთლიანი მექანიზმი და უფრო თანმიმდევრულად აგვეხსნა პერფექტის ფორმათა მრავალმნიშვნელობიანობა [2:217].

წარმოდგენილ შრომამი განვიხილავთ პერფექტულ ფორმათა ორ მნიშვნელობას: ექსკლუზიურსა და ინკლუზიურს.

ენახოთ, როგორ გადმოვიცემა ექსკლუზიური მნიშვნელობა ახლანდელი დროისათვის: 1. 'That depends upon how much studying you have already done. You have never attended high school? Of course not.' (J. London, martin Eden)

2. 'It has now been a month since Monsieur has been with us. Doubtless he would like to pay his account!  
'A month? You don't say. Have I really been here that long.' (I. Stone, The Passionate Journey).

3. 'I've been, my dear,' she went on, 'to the British Museum – which, you know, I always adore. And I've been to the National Gallery, and to a dozen old

booksellers, coming across treasures, and I've lunched on some strange nastiness at a cookshop in Holborn. I wanted to go to Tower, but it was too far.' (H. James, The Golden Bowl).

4. 'I've been doing some trading lately', his uncle said. 'I'll know soon whether I did so bad at it or not. I'm going to make another trade with you' (W. Faulkner, Knight's Gambit)
5. 'She's been laying here all night without a wink of sleep.' (J. Salinger, The Catcher in the Rye)
6. Zimmerman apparently has been waiting for him. The hall is all but empty; Zimmerman sidles from the stage entrance to the auditorium. (J. Updike, The Centaur)

ექსკლუზიურ ახლანდელ პერფექტი შემდეგი სემბია რეალიზებული: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ მოქმედების კონტაქტური რეტროსპექტულობა, 3) მოქმედების დასრულებულობა ან აღკვეთა, 4) მოქმედების ერთგვისობა, 5) მოქმედების დროში ლოკალიზება, 6) მოქმედების არალოკალიზება.

ამ მნიშვნელობაში მნიშვნელოვანი არა მხოლოდ პირველი სემა - „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა“, არამედ მეორეც „ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან აუცილებელი კონტაქტურობა.“ კონტაქტურობა კი გამოიხატება დროის პერსპექტივასთან გაუთიშველობაში – მოქმედება უარყოფით ვექტორზეა მოთავსებული, იგი ათვლის წერტილიდან მარცხნივ მიემართება. კონტაქტურობა გამოიხატება, აგრეთვე, მიზეზ-შედეგობრივ, რეზულტატურ და ა.შ. კავშირებში. როგორც ეხედავთ, გრამატიკული დროის ზუნების სწორად გაგებას დიდად ეხმარება კონცეპტუალური დრო.

ექსკლუზიურ ახლანდელ პერფექტთან ხშირად გამოიყენება შემდეგი ტიპის ზმნიზებები: already, before, long before, before now, lately, yet ა.შ., მიუხედავად იმისა, რომ ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად სასურველი კონსტრუქტი არაა საჭირო. იგი ხორციელდება როგორც ზღვრადი, ისე უზღვრადი ასპექტური მნიშვნელობის ზმნებში.

მესამე მაგალითში ახლანდელი პერფექტი და წარსული მარტივია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთსა და იმავე ფაქტს აღნიშნავენ, ორივე ფორმა თავის ინვარიანტულ მნიშვნელობას ინარჩუნებს: მარტივი წარსულის წარსულში მომხდარ ფაქტს აღნიშნავს, ახდენს მის ლოკალიზაციას წარსულში, რომელიც ათვლის წერტილთან გათიშულია, ახლანდელი პერფექტი კი მას ათვლის წერტილთან კავშირში წარმოადგენს. მოქმედების შესრულებისა და ათვლის წერტილს შორის არსებული ინტერვალი შეიძლება რამდენიმე წუთიდან დროის უფრო დიდ მონაკვეთამდე (დღე, თვე, წელი) მერყეობდეს. აქ მთავარი ათვლის წერტილთან მისი კონტაქტურობაა. რაც შეეხება ახლანდელ პერფექტ-განგრძობითს – იგივე სემბია რეალიზებული, განსხვავებულია სემა 3.

სემა 3 „მოქმედების პროცესუალობა“ – მოქმედების განფენილობის (პროცესუალობის) გამომხატველ ლექსიკურ საშუალებებს – for a long time, for hours, for an hour, for three days და ა.შ. ეხამება, ხოლო სემა 5 „მოქმედების ერთგვისობა“ – მოქმედების განმეორების ლექსიკურ საშუალებებს ვერ ითავსებს. რაც შეეხება სემა 6, იგი კონტექსტზეა დამოკიდებული. ფორმა ახლანდელი პერფექტ-

განგრძობითი ექსკლუზიური მნიშვნელობით ვექტორულ ნულთან აუცილებელ კონტაქტურობას გადმოსცემს, ამიტომ იგი დროში ლოკალიზებულია.

განგრძობითი ფორმები საერთოდ დროის კონტინუუმში ლოკალიზებულ მოქმედებას გამოხატავს.

სემა 4 - „მოქმედების აღკვეთა“ - უთავსდება სემა 3-ს „მოქმედების პროცესუალობას“, (მოქმედების აღკვეთა მოქმედების დასრულებულობის ტოლფასი არაა). ეს უკანასკნელი ასპექტური მნიშვნელობაა, პირველი კი დროისაა, რომელსაც პროცესუალობის ასპექტურ მნიშვნელობას შეუძლია შეუთავსდეს.

ექსკლუზიურობა ახლანდელი პერფექტისთვის და ახლანდელი პერფექტ-განგრძობითისთვის პირველად, ძირითად მნიშვნელობად ითვლება. მისი რეალიზაციისთვის არ არის საჭირო ხელსაყრელი პირობები (კონტექსტი). იგი ხორციელდება როგორც ზღვრადი, ისე უზღვრადი ასპექტური მნიშვნელობის ზმნებში.

წარსულ დროში ექსკლუზიური მნიშვნელობის გადმოსაცემად განვიხილოთ საილუსტრაციო მასალა.

7. It was too bad that so intelligent a man had made such a fatal error in judgment so late in life. (M. Puzo, The Godfather)
8. I must say I really did not think anything had happened. I mean, what after all, could have happened. (J. Jones, The Merry Month of May)
9. It had already been a pretty rough day, according to my transistor radio. The day had been full of demonstrations in cities all over France (ibid.)
10. Michael reluctantly explained what had happened the night Sonny was killed. (M. Puzo, The Godfather).
11. So I was glad she called. Besides, I had been waiting to ask her, what she thought about what was going on (J. Jones, The Merry Month of May)
12. Just as this happened the priest, who had been saying his Mass, came out of the church and seeing the accident hurried up to see if he could be of help. (W.S. Maugham, Catalina)...

ექსკლუზიური წარსული პერფექტისათვის შემდეგი სემებია რელევანტური:

- 1) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ მოქმედების კონტაქტური რეტროსპექტულობა. 3) მოქმედების დასრულება ან აღკვეთა, 4) მოქმედების ერთგზისობა. 5) მოქმედების დროში ლოკალიზება/არალოკალიზება.

პირველი ოთხი სემის რეალიზება ნეიტრალურ კონტექსტში ხდება, ხოლო მეხუთე სემა - „მოქმედების დროში ლოკალიზება/არალოკალიზება“ განისაზღვრება კონტექსტით.

ამ მნიშვნელობით წარსული პერფექტის ფუნქციონის მეტი სიცხადის განსახილველად საჭიროა, შევჩერდეთ მის სინტაქსურ დისტრიბუციაზე. ექსკლუზიური წარსული პერფექტისათვის დამახასიათებელია სინტაქსური რეალიზაციის სიფართოვე. განსახილველი ფორმა თანამედროვე ინგლისურ ენაში უფრო ხშირად გვხვდება დამოკიდებულ წინადადებებში, თუმცა იგი მთავარშიცაა.

წარსული პერფექტ-განგრძობითი ისე, როგორც წარსული პერფექტი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის უარყოფით ვექტორზე მდებარეობს.

ძირითადი კატეგორიული ნიშანი წარსული პერფექტ-განგრძობითისათვის წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობა და მასთან მიმართებაა. წინამავლობას თვით ზმნის გრამატიკული ფორმა გად-

მსცემს. ეს ფორმა წარსული პერფექტისაგან განსხვავებით პროცესუალობის მნიშვნელობის მატარებელია. იგი მოქმედებას განფენილობაში წარმოადგენს.

როგორც სემათა სია გვიჩვენებს, წარსული პერფექტ-განგრძობითი წარსული წარსული პერფექტისაგან განსხვავდება სემით „მოქმედების პროცესუალობა“, რომელიც შემდეგი სახის ლექსიკურ საშუალებებს ეხამება: long, for days, for weeks, for months, for years, for three days, for six months, for two years, for an hour და ა.შ.

ეს ოპოზიცია ფუნქციონისას შეიძლება განეიტრალდეს. ნეიტრალიზაცია წარმოებს მაშინ, როცა ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობაში „მოქმედების შინაგანი ზღვრადობის“ სემა არაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში პირველ პლანზე წარსული პერფექტ-განგრძობითის კონტაქტური მნიშვნელობა – მოქმედების აქტუალიზაცია გამოდის. წარსულ პერფექტს სემა „მოქმედების ხანგრძლივობა“ მხოლოდ მაშინ შეიძლება ექნეს, თუ წინადადებაში წარმოდგენილი იქნება ლექსიკური აქტუალიზატორები – განგრძობითობის აღმნიშვნელი დეტერმინატები.

განვიხილოთ მაგალითები, რომლებშიც ინკლუზიური მნიშვნელობის რეალიზების ილუსტრირება ხდება ახლანდელ დროში.

13. 'I thought prices were still pretty good', Roy said  
'They've been good since the war, but what's the use of good prices if everything else goes up with it.' (J. Aldridge, the Hunter)
14. We have known one another all our lives. I am ashamed that you should address me with such ceremony. It is many years since. I have heard a friend call me Blasco.'  
(W.S. Maugham, Catalina)
15. 'Oh, Mr. Craddock, let me come near you,' cried Mrs. Blanderton. 'I've been trying to get at you for twenty minutes.' (W.S. Maugham, Mrs. Craddock)
16. 'Sooner or later, like I've been telling'em thirty years, alcohol is going to destroy The Human race.' (W. Saroyan, The Beautiful People)

ინკლუზიური ახლანდელი პერფექტისთვის შემდეგი სემებია რელევანტური: 1) ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინაშეობა, 2) ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 3) ვექტორული ნულის მიმართ კონტაქტური რეტროსპექტულობა, 4) მოქმედების ერთგზისობა, 5) დროში მოქმედების ლოკალიზება.

სემა 5 განპირობებულია სემა 2-ით, მის რეალიზაციას ხელს უწყობს გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მოქმედების საწყის ფაზაზე მოუთითებენ – since the war (მაგალითი 13), გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების ან მდგომარეობის განფენილობაზე მოუთითებენ – all our lives. საერთოდ კი, ამ მნიშვნელობის რეალიზაციისათვის ინგლისური ენა ლექსიკურ აქტუალიზატორებს საჭიროებს: დროის განუსაზღვრელი პერიოდის გამოხატველ გარემოებებს წინდებულით for: for some days (weeks, months, years), წინდებულით since ან გარემოებებს for a long time, so long და ა.შ.

ინკლუზიური ახლანდელი პერფექტის გამოყენების სამეტყველო პირობებია გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების განფენილობას ან მოქმედების საწყის ფაზას მოუთითებს, 2) ზმნის უზღვრადი ან ორმაგი ასპექტური ხასიათი, 3) მარტივი ახლანდელის მეზობლობა.

ახლანდელი პერფექტისაგან განსხვავებით ახლანდელ პერფექტ-განგრძობითს აქვს დამატებითი სემა „მოქმედების პროცესუალობა.“ დროში მოქმედების ლოკალიზება ათვლის წერტილის მოქმედების განფენილობაში ჩართვითაა დეტერმინირებული და გამოყენების სამეტყველო პირობებითაა შენარჩუნებული.

ინკლუზიური ფორმის ბირთადი, პარადიგმული მნიშვნელობა არ არის. მოქმედებას ამ დროს შეიძლება ჰქონდეს გავრცობილი ახლანდელის ელფერი. ეს მნიშვნელობა ბირციელდება მიკროკონტექსტის საშუალებით, რომელიც ლექსიკურ დეტერმინანტებს – long, long enough, for hours, since და ა.შ. მოითხოვს.

ახლანდელი პერფექტი ინკლუზიური მნიშვნელობით შედარებით შეზღუდულად გამოიყენება. საუბრის მომენტთან კონტაქტი იმდენად მჭიდროა, რომ ახლანდელ პერფექტს შეუძლია გადმოსცეს მოქმედება, რომელიც საუბრის მომენტამდე დაიწყო და საუბრის მომენტსაც მოიცავს. ამ შემთხვევაში ნიშნები „საუბრის მომენტისადმი წინამავლობა“ და „დასრულებულობა“ გარკვეულად იხშობა და სხვა ნიშანი წამოიწვევს წინ.

საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით განვიხილოთ ინკლუზიური მნიშვნელობის გადმოცემის საშუალებები წარსულში.

17. For the first time since she had come to know him, she saw Michael angry. (M. Puzo, The Godfather)
18. He had had for a long time now the habit of hanging around in the barracks until the last minute before falling out for fatigue. (J. Jones, From Here to Eternity)
19. Of course by now McKenna had long since been put to bed. But Louisa had not answered my last remark. (J. Jones, The Merry Month of May)
20. Since Friday things had not changed so much on the St-Louis perhaps. (ibid)
21. I had been worrying about my marvelous little Goddaughter ever since I had learned for sure what had happened to Harry in Cannes. (J. Jones, The Merry Month of May).
22. They had been expecting him since before Angelo had gone in the Hotel. (J. Jones, From Here to Eternity)

ინკლუზიური წარსული პერფექტი შემდეგი სემებით ხასიათდება: 1) მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულისადმი წინამავლობა, 2) წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში, 3) მოქმედების ერთგვისობა, 4) მოქმედების წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტური რეტროსპექტულობა, 5) მოქმედების დროში ლოკალიზება

როგორც ჩანს, ინკლუზიური წარსული პერფექტი ექსკლუზიური წარსული პერფექტისაგან ორი სემით განსხვავდება: „წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის ჩართვა მოქმედების განფენილობაში“ და „მოქმედების დროში ლოკალიზება.“

როგორც ლინგვისტური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ინკლუზიური წარსული პერფექტის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი კონტექსტია საჭირო: ა) უზღვრადი ან ორმაგი ასპექტური ბუნების ზმნები, ბ) გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების საწყის ფაზაზე მიუთითებს: for the first time since, since Friday და ა.შ., ან გარემოებითი სიტყვები, რომლებიც მოქმედების ან მდგომარეობის ხანგრძლივობას გადმოცემს: for a long time, long since და ა.შ

ამ მნიშვნელობის რეალიზაციისათვის წარსული პერფექტ-განგრძობითი საჭიროებს სასურველ კონტექსტს: 1) უზღვრადი და ორმაგი ასპექტური ხასიათის ზმნებს, 2) საშუალებებს, რომლებიც ვექტორული ნულის მოქმედების განფენილობაში ჩართვაზე მიუთითებენ. ექსკლუზიური წარსული პერფექტ-განგრძობითისაგან ინკლუზიური პერფექტ-განგრძობითი მხოლოდ იმით განსხვავდება,




რომ ამ უკანასკნელს შეუძლია ვექტორული ნული ჩართოს მოქმედების განფენილობაში [3:17].

წარსული პერფექტი და წარსული პერფექტ-განგრძობითი ინკლუზიური მნიშვნელობით შედარებით იშვიათად გვხვდება. წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორულ ნულთან კონტაქტურობა ამ ფორმაში ისე ვლინდება, რომ მას შეუძლია აღნიშნოს მოქმედება, რომელიც ჯერ კიდევ წარსულის მომენტამდეა დაწყებული და წარსულის მომენტსაც მოიცავს. ამ შემთხვევაში ნიშანი „წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის წინამავლობა“ იხმობა.

ყოველივე ზემოთ განხილული თვალსაჩინოებისათვის შეიძლება წარმოვადგინოთ სქემის სახით:

სქემა 2

ექსკლუზიურ და ინკლუზიურ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებები



დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ტრადიციული და კარგად აპრობირებულია აღწერა: ფორმა → ფუნქცია → მნიშვნელობა. ასეთი კვლევის დროს ამოსავალია გრამატიკული კატეგორიები, მორფოლოგიური ფორმები, სინტაქსური კონსტრუქციები, რაც ითვალისწინებს მათ მიერ გამოხატულ მნიშვნელობათა დიაპაზონის დადგენასა და ენის სისტემაში ან რომელიმე ქვესისტემაში მათი ადგილის კვლევას.

ფორმალობის თავიდან აცილების მიზნით უფრო სწორია კვლევა შინაარსიდან ფორმისაკენ ვაწარმოოთ, რომელიც, მართალია, დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ უტყუარია. ძირითადი სიძნელე, რომელიც ასეთი კვლევისას წარმოდგება იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის დამუშავებული რაციონალური და ემპირიულად დასაბუთებული სემანტიკა.

#### ლიტერატურა:

1. James Pustejovski. Time and Tense in Language. Brandeis University, LING 130, Fall, 2005. [www.cs.brandeis.edu/~jamesp/classes/LING130/TA.pdf](http://www.cs.brandeis.edu/~jamesp/classes/LING130/TA.pdf)
2. Geoffrey N. Leech, Jan Svartvik. A Communicative grammar of English. Longman, 2002. <http://books.google.com/books?id=CHL8Z7Yhu>
3. Linguistics and Semantics. <http://www.suite101.com/lesson.cfm/18612/19424>

**Madonna Megrelishvili, Evgenia Kobeshavidze, Rusudan Gvilava**  
**Exclusive and Inclusive Meanings— Temporal and Aspective Variants of**  
**Perfect Forms**

**Abstract**

The present article aims at reviewing exclusive and inclusive meanings and the means of their expression in English. Although quite a few studies have been devoted to the problem, the approach to solving it from this point of views has just started. It is the first endeavor to gain an insight into the processes that make for the nature of the phenomenon, its heuristic potential, and represent language as a creative mechanism. This approach echoes functional and semantic theories of modern linguistics.

The research proved that the two variant meanings- exclusive and inclusive are expressed in English by the four tenses: Present Perfect, Present Perfect Continuous, Past Perfect and Past Perfect Continuous. In order to modify the grammatical meaning of the form, the lexical character of the verb, contextual means and situations are used.

**ეისანა მოდებამე**  
**ი.გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი**  
**უცხოური ენის სწავლა თეატრის დახმარებით**

ბოლო ხანებში სულ უფრო ნაკლები მოსწავლე ინტერესდება გერმანული ენის შესწავლით. მოსაძებნია გზები პრობლემის გადასაჭრელად. საყოველთაოდ გავრცელებული აზრია, რომ გერმანული რთული ენაა. ამიტომ გონივრული იქნება, იუ შეცადინებობას მეტ ხალისს შევმატებთ. მდგომარეობის გამოსასწორებლად მნიშვნელოვანია მოტივაციის გაზრდა. ამისათვის მრავალი გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია მეცადინეობის პროცესში თეატრის ელემენტების ჩართვა. ამას ადასტურებს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევა. გამოვიკითხეთ ასი გერმანული ენის მასწავლებელი და ასი მოსწავლე. მასწავლებლების მხოლოდ 46% იყენებს თეატრს მეცადინეობაზე. მათი უმეტესობა შემოიფარგლება მხოლოდ ზღაპრების ინსცენირებით. ყველა მათგანი ადასტურებს, რომ მეცადინეობაზე თეატრის შეტანით გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. მასწავლებელთა დარჩენილი 54%-ის უმრავლესობა კი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ არ აქვთ მეცადინეობაზე თეატრის გამოყენების პირობები. ამიტომ ვფიქრობთ, საინტერესო იქნება რეკომენდაციები, რომლებსაც სტატიაში განვიხილავთ. ამ რეკომენდაციების დახმარებით, მასწავლებლებს შეუძლიათ ნებისმიერ გაკვეთილზე, ყოველგვარი პირობებისა და წინასწარი მომზადების გარეშე, შეიტანონ თეატრის ელემენტები. ეს ვფიქრობთ დადებითად იმოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე, რადგან გამოკითხული მოსწავლეების მხოლოდ 15% ამბობს, რომ გაკვეთილზე თეატრს იყენებს, 85% კი სინანულს გამოთქვამს, იმის გამო, რომ მათ ამის შესაძლებლობა არ აქვთ. მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც გვაძლევს ეჭვის საბაზს, რომ უფრო ნაკლები მასწავლებელი იყენებს თეატრს გაკვეთილზე, ვიდრე ეს გამოკითხვამ აჩვენა.

ხელოვნების დახმარებით ადამიანის აღზრდა ისევე ძველი მეთოდია, როგორც კაცობრიობის ისტორია. ჯერ კიდევ ანტიკურ თუ რენესანსის ეპოქაში თეატრი წარმოადგენდა სწავლების ერთ-ერთ საშუალებას. თეატრის დახმარებით სწავლების დროს მოსწავლეების კრეატიულობას საზღვარი არ აქვს. ჩვენ უცხოური ენის გაკვეთილზე თეატრს ვიყენებთ როგორც მედიას და არავითარი პრეტენზია არა გვაქვს ხელოვნებაზე. თეატრი საშუალებას გვაძლევს კრეატიულად და თამაშით ვასწავლოთ უცხოური ენა. ამისათვის თეატრის პედაგოგიკაში არსებობს მრავა-

ლვარი სავარჯიშოები, რომლებიც შეგვიძლია უცხოური ენის გაკვეთილზე გამოვიყენოთ. ასეთი სწავლების მიზანია, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ ხალისით, სიაზონებით და არა იძულებით. თეატრში გრძნობა მეტია. ამიტომ როდესაც თეატრის საშუალებით ვასწავლით უცხოურ ენას უცხოისთან და უცნობთან კონტაქტსაც უფრო ვუიოლებთ მოსწავლეებს

როდესაც უცხოური ენის სწავლებაში თეატრის გამოყენებაზე ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში საქმე ნაკლებად ეხება კლასიკურ პიესებს. აქ უფრო ვგულისხმობთ თეატრალური პრაქტიკის სავარჯიშოებს და მეთოდებს, რომლებიც ნამდვილ თეატრში წარმოდგენის მომზადებას და დამუშავებას ემსახურება. უცხოური ენის სწავლების დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ მოძრაობითი და მეგნობელობითი სავარჯიშოები, ვავარჯიშოთ წარმოთქმაში, გავაკეთებინოთ იმპროვიზაცია სცენური თამაშით თეატრში მონაწილეობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს. მოსწავლეებმა თვითონ უნდა გამოთქვან სურვილი. მასწავლებელს შეუძლია შესავალი საუბარი ჩაუტაროს იმის შესახებ, რომ უცხოური ენის სწავლებისას თეატრის გამოყენებაც შეიძლება.

უცხოური ენის სწავლების პროცესში თეატრის გამოყენებისას მოსწავლეებს ვწვდით ენის კულტურულ ასპექტებსაც და ვუადვილებთ მათ სხვადასხვა კულტურებთან ურთიერთობებს და გაგებას, ვაუმჯობესებთ სოციალურ კლიმატს ჯგუფში და ვახედებთ შესასწავლი ენის კულტურაში.

უცხოური ენის მეცადინეობაზე ფარული არის დანერგილი როლებში თამაში, რომლის დროსაც მოსწავლეებს ვაძლევთ თემას, ტექსტი საჭირო არ არის. მაგალითად, ავიღოთ თემა „ენის კურსი“. ამ დროს შეგვიძლია დავამუშავოთ ადამიანების ერთმანეთთან წარდგენა, მოკითხვა და ა. შ. კარგ შედეგს იძლევა სამინაო დავალების მიცემა: კვირის დღეების, თვეების და წელიწადის დროების ინსცენირება. ერთ-ერთი მოსწავლე შეიძლება იყოს ორშაბათი, რომელიც ყველა რა კეთდება ორშაბათს. სხვა შეიძლება იყოს მაისი, ზაფხული და ა. შ.

როლის თამაში უცხოურ ენაზე უფრო ადვილია, ვიდრე მშობლიურ ენაზე. რადგან მშობლიურ ენაზე თამაშისას ადამიანი თავისდაუნებურად ფიქრობს მოსალოდნელ შეცდომებზე. უცხოურ ენაზე თამაშისას კი მოსწავლეს ამაზე ფიქრისთვის დრო არ რჩება. ის თამაშზე ნაკლებად ფიქრობს. მისი ყურადღება ენობრივ ასპექტზე გადატანილი.

გაკვეთილზე თეატრის შეტანა შეიძლება დასაწყისშივე, რადგან:

-არ გვჭირდება განსაზღვრული უნარ-ჩვევები და საგნები.

-შეიძლება ცარიელ ოთახში ცარიელი ხელებით ვათამაშოთ მოსწავლეები.

-ენას სწავლობს ადამიანი მაშინ, როცა ის ლაპარაკობს.

მანგრედ შევე განიხილავს როლებში თამაშის სხვადასხვა ტიპებს. მისი აზრით, უცხოური ენის ხელშეწყობა შესაძლებელია თავით, გულით, ხელით, ფეხით. ეს არის უცხოური ენის მოქმედებაზე ორიენტირებული და დრამატულ-პედაგოგიური სწავლების ლაიტმოტივი. ასეთი სწავლების დროს მასწავლებელი და მოსწავლე როგორც ენობრივად, ასევე არაენობრივად ინტენსიურად მოქმედებენ. ისინი საკუთარ თავზე იღებენ დრამატურგის, რეჟისორის და მსახიობების ფუნქციებს, აკეთებენ სცენების მონახაზს, მართავენ ჯგუფური შედეგების პრეზენტაციას, ასახიერებენ სხვადასხვა როლს.

#### ქანდაკებების თეატრი

ქანდაკებების თეატრი არის ერთ-ერთი სავარჯიშო ფორმა მსახიობების დაოსტატებაში. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს მსახიობები მოქმედებენ როგორც ქანდაკებები. ისინი შეშდებიან, იყინებიან ერთ რაიმე პოზაში ან სურათის ფორმას

იღებენ. ამ შემთხვევაში ცენტრალური როლი უკავია სხეულის ენას სხეულის ენას შეუძლია მოგვარდოს ინფორმაცია, რომლის მოწოდება ზეპირმეტყველებას არ შეუძლია.

უცხოური ენის გაკვეთილზე შეგვიძლია გამოვიყენოთ ქანდაკებების თეატრი. მისი დახმარებით შეიძლება კონკრეტული თემების დამუშავება, აღნაგობის აღწერა, იმპროვიზაციების გაკეთება, პიესების და ტექსტების შექმნა, როლების გადამუშავება და გაღრმავება.

ქანდაკებების თეატრი კარგად შეიძლება იქნას ჩართული ენობრივ მუშაობაში: ქანდაკებების აღწერა, დამთვლიერებლების კომენტარები. შეგვიძლია დამთვლიერებლების და მოქანდაკების ჯგუფი შევექმნათ და მათ შორის მოვაწყოთ დისკუსია. ქანდაკებების თეატრი შეგვიძლია შევიტანოთ როგორც მეცადინეობის შესავალ ნაწილში, აგრეთვე კონკრეტული მუშაობის პროცესში. ქანდაკებები შეიძლება იყოს მდგომარე, მკდომარე და მწოლარე პოზაში. შეგვიძლია კლასში მოვაწყოთ მუხუმი ან გამოფენა. ჯგუფი გავყოთ სამ ნაწილად: მოქანდაკებად, ქანდაკებად და დამთვლიერებლად. მოქანდაკეები აქანდაკებენ ქანდაკებებს. ქანდაკებებს ექნება სხვადასხვა ფორმა. დამთვლიერებლები ათვლიერებენ ქანდაკებებს და მოსაზრებებს გამოთქვამენ მათ შესახებ, თუ რას გამოხატავენ ისინი, რისი თქმა უნდოდა მოქანდაკეს თავისი ნაწარმოებით. ბოლოს ხდება თვითონ ქანდაკებების გამოკითხვა. ქანდაკებები აკეთებენ მონოლოგს საკუთარი ეინაობის შესახებ. შესაძლებელია მოქანდაკეებს გავაკეთებინოთ საკუთარი ქნილობების პრეზენტაცია.

#### იმპროვიზაციის თეატრი

იმპროვიზაციისათვის დამახასიათებელია სპონტანურობა და კრეატიულობა. სპონტანურობა არის უნარი, უცხად შინაგანი იმპულსით, ხანგრძლივი ფიქრის გარეშე მოქმედება და რეაგირება. სპონტანურობა ნიშნავს პირველად რაც თავში მოგვივა იმის გაკეთებას და თქმას. არ უნდა შევეცადოთ გენიალური, ორიგინალური ვიყოთ ან რაიმე სწორი ვიპოვოთ. სპონტანურობა ნიშნავს, რომ არ უნდა ვიფიქროთ მომავალზე. თამაშში უნდა მოვდუნდეთ და არ დავიძაბოთ, თავი ცარიელი უნდა გვქონდეს და არა თავი ვიმტერიოთ. განტვირთვის თამაშები თუ საეარჯიშოები შეგვიძლია მოსწავლეების გადაღლის დროს გამოვიყენოთ. განტვირთვა არ ნიშნავს არაფრის კეთებას.

სპონტანურობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კრეატიულობა. კრეატიულობა არის უნარი რაიმე ახლის შექმნისა. მოქმედებები, რომლებსაც მოთამაშეები შემოგვთავაზებენ, არ უნდა დავბლოკოთ. მოთამაშეების მოთხოვნები და კითხვები უნდა გავითვალისწინოთ. არ შეიძლება მხოლოდ „დიახ“ ან „არ“ ვუპასუხოთ თანამოთამაშეს. მაგალითად:

„Guten Tag, verkaufen Sie Schäferhunde?“

„Ja, aber man muss fünf auf einmal kaufen.“ ან

„Ja, aber die sind momentan ausverkauft, wie wäre es mit einem kleinen Aligator?“ ამ შეკითხვაზე მოთამაშეს რომ ეპასუხა: „Nein, ich habe keine Schäferhunde,“ ამით მოქმედება დაიბლოკებოდა და პარტნიორს სხვა რაიმე ახალი უნდა მოეგონებინა ან საერთოდ მოქმედება დამთავრებოდა. დასახელებული პასუხები კი იმპროვიზაციის უნარს უღვივებს პარტნიორს.

#### ფორუმ-თეატრი

ფორუმ-თეატრით ხდება მსახიობების მიერ საზოგადოებრივი კონფლიქტის მაყურებლის წინაშე წარმოდგენა. ჩვეულებისამებრ უცხოური ენის გაკვეთილზე

გაკეთებული თეატრი არ არის საჯაროდ საზოგადოებისთვის განკუთვნილი. ჩვენს მიზანი სულ სხვაა, თეატრის დახმარებით ვასწავლოთ მოსწავლეებს უცხოური ენა და არა წარმოვადგინოთ მათი მსახიობური ნიჭი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ დამუშავებული კრეატიული დრამა არ შეიძლება მაყურებლის წინაშე წარედგინოთ, რა თქმა უნდა, თუ ხელოვნების მიზნითაც სასიამოვნო საყურებელია, შეგვიძლია მაყურებელსაც შევთავაზოთ. მაყურებლის წინაშე თამაში მოტივაციას ამაღლებს. რა თქმა უნდა, ყველას არ შეუძლია მსახიობის როლში გამოვიდეს. მსახიობის გარდა არსებობს სხვა ფუნქციებიც: რეჟისორი, მხატვარი, მუსიკოსი, სინათლის მარეგულირებელი.

თეატრი რომ კარგი გამოვიდეს, მოსწავლეები როლებს არა მარტო კონსტიტურად უნდა ფლობდნენ, არამედ ქცევა, სიარული. სიტუაციები უნდა შეისწავლონ, მოქმედებებში უნდა ჩართონ გრძნობები.

თეატრის დამუშავების ერთ-ერთი ტექნიკა არის როლის სიმულაცია. ყველა ერთდროულად აკეთებს მონოლოგს თავისი როლიდან გამომდინარე. ისინი შეიძლება ამ დროს იდგნენ ან ოთახში მოძრაობდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ამყარებენ მოთამაშეები ერთმანეთთან კონტაქტს. თეატრის დასადგმელად საჭიროა ტექსტის სიუჟეტის ცოდნა. ეს მიიღწევა რეპეტიციებით, გამეორებით. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს დაწერილი როლი. ტექსტის სწავლა შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად:

-მოსწავლეები ოთახში დასეირნობენ და მონოლოგის სტილში ამბობენ თავიანთ როლებს. ერთმანეთთან შეხვედრისას გამოელაპარაკებიან. რა თქმა უნდა, სცენარის როლის მიხედვით.

-ო-ო-ო-ო ოთახში დახეტიალობენ და დიალოგს აკეთებენ.

-ტექსტს ყვებიან წრეში ამბის სახით.

-ტექსტს სწავლობენ სიარულის ან ფიზიკური ვარჯიშის დროსაც.

-ტექსტს ამბობენ სხვადასხვა განწყობით და გრძნობით.

თავდაპირველად სცენარს უნდა მივცეთ სათაური. შემდეგ მოთამაშეებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი თავი როლის მიხედვით. თამაში უნდა დაეიწყოს მაყურებლის რიტუალის თანხლებით. (მაგალითად რიტმული ტამი). ბოლოს რევერანსები და თავის დაკვრა მაყურებლის წინაშე და მაღლა აწეული აბრა „დასასრული“.

ამრიგად, უცხოური ენის სწავლება შესაძლებელია თეატრის დახმარებითაც. ოგი ემსახურება სიამოვნების მინიჭებას, ემოციებით სწავლებას. მარტივი ქეშმარიტებაა, მოსწავლეები როდესაც სიამოვნებით აკეთებენ რაიმეს, იქ მოტივაციაც მეტია და, რა თქმა უნდა, შედეგიც სასურველია.

### ლიტერატურა:

1. Bakuradze, A., Theater an Schulen; „Fremdsprache inszenieren“ M/G, Zeitschrift für Deutschlehrerinnen in Georgien in , Hef 4, 2008.
2. Frey, Karl; Projektmethode; Der Weg zum bildenden Tun. Beltz Verlag, Weinheim und Basel, 2007.
3. Gugel, G. Methoden-Manuel; Neues Lernen. Beltz Verlag, Weinheim und Basel, 2006.
4. Gugel, G., 1000 neue Methoden. Praxismaterial für kreativen und aktivierenden Unterricht. Beltz Verlag, Weinheim und Basel 2001.
5. Jung, L., 99 Stichwörter zum Unterricht Deutsch als Fremdsprache. Max Huber Verlag. Ismaning, 2003.
6. Rampillon U., Lernen leichter machen; Deutsch als Fremdsprache; Max Hueber Verlag. Ismaning, 1999.
7. Wicke, R. E. Aktive Schüler lernen besser. Klett Edicion Deutsch. München. 1993.
8. Wicke-E., Aktiv und kreativ lernen. Max Huber Verlag. Ismaning, 2008.

## Teaching the foreign language with the support of the theatre Abstract

The article describes how to teach the foreign language, especially German language with the support of the theatre. The practice showed that the material taught with the method oriented to the action, longer stays in mind. The theatre gives us the possibility to teach the foreign language creatively and with playing. For this, many kinds of exercises existed in the pedagogy of the theatre, which we can use at the lesson of foreign language. During teaching, with support of the theatre we also give the pupils the cultural aspects of the language and make easy for them the relationship with other cultures, in addition we improve the social climate in the group.

The methodic recommendations how is possible the usage of the statue of the theatre at the lesson of foreign language, supporting with it is possible to process the concrete themes, description of structure, creation of improvisations, plays and texts, recycling the roles, have been given in the article. The results of the research have been attached to the article.

### თანათინ მშვიდლობაჲ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ დისციპლინებში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენენ განათლების არსებობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ატრიბუტს, რომელიც განსაზღვრავს მის ფორმას, სტრუქტურას, მართვას.

წარმოიშვა და სწრაფად ვითარდება ქსელური განათლება არა მარტო დისტანციური ან თვითგანათლების სახით, არამედ აქტიურად ინერგება ტრადიციულ სტრუქტურებშიც.

ახალი მაღალტექნოლოგიური გარემოს შექმნა უნდა ეფუძნებოდეს რამოდენიმე ძირითად პრინციპს:

- მართვადობის პრინციპი - გულისხმობს საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ზუსტად განსაზღვრულ ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ და კონტროლის დონისძიებებს.
- პროდუქტიულობის პრინციპი - თანამედროვე პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ და კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება ცხოვრების ყველა ასპარეზზე.

ქსელური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები ახდენენ ცოდნის გლობალიზაციას, ქმნიან უნივერსალურ კონტაქტს.

სწავლების ვირტუალური სივრცის ტექნოლოგიურობა მოითხოვს სასწავლო ცოდნის და სახელმძღვანელოს ფორმატის სტანდარტიზებას. ამიტომ, ინფორმაციული ტექნოლოგიების განათლების სტრუქტურა უნდა მოიცავდეს მულტიმედიაურ დისტანციური სწავლების პროგრამულ უზრუნველყოფას, რათა თვით შინაარსის გარდა შესაძლებელი იყოს ტექსტის მარტივი და მოხერხებული დამუშავება, ჰიპერტექსტური კავშირების შექმნა, ანალიზი, შესწავლა.

განვიხილოთ სასწავლო ქსელური საზოგადოების მონაწილეთა ცალკეული ტექნოლოგიებისა და საქმიანობის სახეობების მოკლე ანოტაცია:

ელექტრონული ფოსტა - ინტერნეტის სტანდარტული სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს, შეტყობინების გადაცემას და გამოყენებას მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის კონტაქტის დამყარებისათვის.

ფორუმი - დისტანციური სწავლების დროს ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც ეძღვნება რაიმე პრობლემას ან ათემას. ფორუმის მოდერატორი (ქსელის მასწავლებელი) არეგულირებს დისკუსიასა და მსჯელობას შევითხვებისა და შეტყობინებების მეშვეობით.

ჩატი - ადამიანთა ოპერატიული საუბრის საშუალება ინტერნეტის მეშვეობით, რაც უცხო ენის დისტანციურ ფორმატში შესწავლისას არის მნიშვნელოვანი მომენტი.

ვიდეოკონფერენცია - რეალური დროის კონფერენცია „ონლაინ რეჟიმში“. საშუალებას გაძლევს ჩავატაროთ მეცადინეობები და დისკუსიები „დამორბეულ მანძილზე არსებულ აუდიტორიებში“.

ბლოგი - ფორუმი, რომელშიც პუბლიკაციის უფლება აქვს ერთ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს.

ტექნოლოგია WikiWiki - უზრუნველყოფს კოლექტიურ მუშაობას დოკუმენტბთან.

Web-კვესტი - სტუდენტის მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება ინტერნეტში.

ელექტრონულ სახელმძღვანელოებს - გააჩნიათ დიდი შესაძლებლობა ჰუმანიტარული დისციპლინების დამოუკიდებლად შესწავლისა.


სასწავლო პროცესში მულტიმედიალი მეთოდების მოდერნიზაცია ტრადიციული სასწავლო მეთოდების პოტენციით სარგებლობას იძლევა. Hackett consulting inc. (HCl)-ის განმარტებით: „ადამიანი იმახსოვრებს 70%-ს იმისას, რასაც ხედავს, ისმენს და აკეთებს.“ აქედან გამომდინარე, ეფექტური სწავლების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მუდმივი ვარჯიში, რომელიც ტექნოლოგიური ტრენაჟორების საშუალებით შეიძლება შევასრულოთ.

დისტანციური განათლების სისტემებში ტრენაჟორების გამოყენებისას მომხმარებელს შეუძლია თავად გაუკეთოს ორგანიზაცია თავის სასწავლო პროცესს და დაუკავშირდეს საგნის მასწავლებელს მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალებებით. ანიმაციური ფაილები, რომელიც შესრულებულია 3DSTUDIO MAX-ში, საკმაოდ ეფექტური და ადვილი მოსახმარია. პროგრამა იწერება MAXSCRIPT-ში და სტუდენტს საშუალება აქვს თავად ცვალოს პროგრამაში შემავალი პარამეტრები, სანამ ოპტიმალურ შედეგს არ მიიღებს.

უცხო ენაში ლექსიკურ უნარ-ჩვევათა განმავითარებელი გაკვეთილების შესადგენად გამოიყენება Win Calis პროგრამული უზრუნველყოფა Win Calis Author, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერული გაკვეთილების შედგენის ინსტრუქციითა სისტემას. დავალებები მომზადებული უნდა იყოს იმ მოდელების საფუძველზე, რომლებიც ჩადებულია მოცემულ პროგრამულ უზრუნველყოფაში.

Win Calis-ი საშუალებას იძლევა ფართოდ ჩავართოთ მულტიმედია, ვიდეო- და აუდიო ჩანაწერები, გრაფიკული სქემები, ნახაზები, ფოტოსურათები და სხვა. ამ გაკვეთილებზე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ წარმოაჩინონ მიღებული ცოდნა, გააკეთონ ანალიზი ცოდნის საკმარისობა-არასაკმარისობის შესახებ და დიალოგურ პროცესში საფუძვლიანად გააღრმავონ იგი.

ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ცოდნას, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიის ინტეგრაციისათვის.



მასწავლებლის ცოდნის დიზაინი.

დიაგრამის საფუძველს წარმოადგენს ცოდნის სამი ძირითადი ფორმა:

**Pedagogical Content Knowledge (PCK)** – საგნის პედაგოგიური ცოდნა ანუ ისეთი პედაგოგიური მეთოდებისა და სტრატეგიების ცოდნა, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული საგნის სწავლებისას;

**Technological Content Knowledge (TCK)** – საგნის ტექნოლოგიური ცოდნა ანუ იმის ცოდნა, თუ რამდენად შესაძლებელია ტექნოლოგიების გამოყენება კონკრეტული საგნის სწავლებისას;

**Technological Pedagogical Knowledge (TPK)** – ტექნოლოგიური პედაგოგიური ცოდნა ანუ იმის ცოდნა, თუ როგორ აძლიერებს ტექნოლოგია კონკრეტულ პედაგოგიურ მეთოდებსა და სტრატეგიებს.

დიაგრამის ცენტრში, სამივე წრეს გადაკვეთაზე, ვიღებთ ცოდნის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას: **Technological Pedagogical Content Knowledge (TPCK)** – საგნის ტექნოლოგიური და პედაგოგიური ცოდნა. ეს არის კომპლექსური ცოდნა, რომელიც საწინდარია ტექნოლოგიების წარმატებული ინტეგრაციისა კონკრეტული საგნის სწავლაში.

ამგვარად, საინფორმაციო ტექნოლოგიები იწვევენ პერსპექტიულ ცვლილებებს, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანი და ყოვლის მომცველია, რომ შეუძლებელი ან არასასურველი ხდება უმაღლესი სასწავლებლისათვის მოწყობის საკუთარი სტრატეგიული გეგმები, მიზნები და მოღვაწეობის მიმართულებები ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში ინიციატივების, რესურსებისა და მართვისაგან.

#### ლიტერატურა:

1. Human Development Report 2001 (UNDP). 2001– New York: Oxford University Press.
2. Лисицын Л.С. Теория и практика компетентного обучения и аттестация на основе сетевых информационных систем. 147 с.- 2006. СПб: СПбГУ ИТМО.
4. Gugushvili A.S.H. The Symmetry Principle in the identification of Non-linear Objects of Control. 1998 Tbilisi: Tsartkela.
5. Andrea B.T. Teaching Materials on the Web, 13, no. 2, Feb. 1996 Newsletter, vol.
6. [www.jemalishvili.blogspot.com](http://www.jemalishvili.blogspot.com)



In my work is discussed the main principles how to make high technologic methods in the education process.

It's explained educationally how to make part networking society in technologies and working varieties, their importance in independent learning of humanitarian disciplines.

It's shown the effect of multimedia trainings in the educational process.

It's explained program maintenance-which is used to rise lexical abilities in the learning of foreign languages.

It's shown the diagram of this student's knowledge. It's complex knowledge which is guarantee how to make successful integration in the teaching of concrete subject.

## მანანა ნაპირელი

ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

### ლექსიკაზე მუშაობის დიდაქტიკურ-მეთოდური

### ხერხები ტერციული ენის სწავლებისას

თანამედროვე მსოფლიოში ამჟამად არსებულმა გლობალიზაციის პროცესმა საგრძობლად გაზარდა ინფორმაციის ნაკადი, რომლის მიღება, გადამუშავება და შედეგად, ადამიანთა საზოგადოების ფუნქციონირება მხოლოდ ენების საშუალებითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სულ უფრო მეტად ყურადღების ცენტრში ექცევა მრავალენოვნების საკითხები. ევროსაბჭოს პროექტებში ყოველთვის იყო ყურადღება გამახვილებული წარმატებულ საკომუნიკაციო უნარებზე, რაც მოტივირებული იყო ევროპაში მობილურობის ზრდითა და ინტერაქციით. ეს უნარები მნიშვნელოვანია ახლაც, რამე თუ გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია სოციალური ინტეგრაციის ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. ენობრივი უნარები არსებითად მოქალაქეებისთვის იმითაც, რომ ამ უნარების ფლობით მათ სამუშაოზე მიღების უფრო ხელსაყრელი პირობები ექმნებათ. შესაბამისად, აუცილებელია მათი აქტიურად ჩართვა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში, რაც დემოკრატიული მოქალაქეობის განუყოფელი ნაწილია ევროსაბჭოს მრავალენოვან საზოგადოებაში. ევროსაბჭოს პოლიტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მრავალენოვნების განვითარებას – მთელი სიცოცხლის მანძილზე პიროვნების მრავალენოვანი რეპერტუარის გამდიდრებას. ეს რეპერტუარი შედგება ენობრივი გამოცდილებისგან სხვადასხვა დონეზე და მოიცავს სხვადასხვა ტიპის კომპეტენციებს. იგი დინამიურია და მთლიანად ცვლის პიროვნების ცხოვრებას. პიროვნების მრავალენოვანი კომპეტენციის განვითარება და გამოყენება შესაძლებელია, რამდენადაც სხვადასხვა ენა არ ისწავლება იზოლაციაში და შეიძლება ორივე ენის სწავლის პროცესმა და საკომუნიკაციო გამოყენებამ გავლენა მოახდინოს ერთმანეთზე. საგანმანათლებლო სისტემები საჭიროებენ უზრუნველყოფნა შემსწავლელის ჰარმონიული განვითარება ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით ერთიანი და ინტეგრაციული მიდგომების ფონზე.

2001 ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ ორგანიზებული იყო ენების ევროპული წელი. მასში ჩართული იყო 45 ქვეყანა, რომელთა მიზანი იყო ენობრივი

მრავალფეროვნების ხელშეწყობა და ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ენობრივი განათლების პოლიტიკის ხელშეწყობა არა მხოლოდ ეკონომიკური წარმატების საწინდარია, იგი აგრეთვე აუმჯობესებს მოქალაქეთა სოციალურ ჩართულობას და კულტურათამორის ურთიერთგაგებას.

მულტიკულტურულ და მულტილინგვალურ საზოგადოებაში ცხოვრება მოითხოვს ერთდროულად რამდენიმე ენის ფლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი ენა კი არ უნდა იქნეს შეთავაზებული ყველასთვის, არამედ მრავალი ენა უნდა იყოს არჩევითი, რათა ცოდნა შეძლებისდაგვარად მრავალ ენაზე იქნეს შეთვისებული. უდავოა, რომ ინგლისური ზერეგიონული ინტერნაციონალური კომუნიკაციის ენაა. ინგლისური ენისთვის შორეულ პერსპექტივაშიც კი რეალური ალტერნატივა არ არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინგლისური ერთადერთი და მხოლოდ რიგით პირველი უცხო ენა უნდა იყოს, რომელიც თუნდაც საყოველთაო სასკოლო სისტემაში უნდა ისწავლებოდეს.

საქართველოში, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული ბოლონიის პროცესში, უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა და სტუდენტთა უცხოენოვანი კომპეტენციის გაუმჯობესებას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა სკოლაში სავალდებულო გახდა 2 უცხოური ენის სწავლება. რამაც განაპირობა უცხოური ენების სწავლებისადმი ახალი მიდგომების შეზუმავება, სადაც გათვალისწინებულია მრავალენოვნების დიდაქტიკა, რომელიც კომუნიკაციური და ინტერკულტურული სწავლების კონცეფციის ძირითადი ღერძია.

გერმანული ენა საქართველოში ძირითადად ისწავლება ინგლისური ენის შემდეგ, როგორც მეორე უცხოური ენა, ამიტომ მნიშვნელოვნად გვეჩვენება ამ მიზნით სპეციალური მეთოდიკის შეზუმავება.

ჩვენს ნაშრომში შევხებით გერმანული ლექსიკის სწავლების საკითხებს ინგლისურის, როგორც პირველი უცხოური ენის შემდეგ; განვიხილავთ, თუ როგორ უნდა იყოს რაციონალურად გამოყენებული ის შეხების წერტილები, რომლებიც არსებობს ინგლისურ და გერმანულ ლექსიკას შორის და წარმოვადგენთ სავარჯიშოებს, რომლებზე ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ახალი სიტყვების უფრო სწრაფ გაგებას, მათ გრძელვადიან მეხსიერებაში შენახვასა და კომუნიკაციის პროცესში გამოყენებას.

მეთოდიკა და სავარჯიშოები შეზუმავებულია სწავლების დაწყებითი საფეხურისათვის, ვფიქრობთ, სწორედ მეორე უცხოური ენის შესწავლის დაწყებისას აუცილებელია მისი სწავლის მოტივაციისა და ინტერესის გაძლიერება და უკვე ნასწავლ ენასთან შეხების წერტილების მოძებნა, მათი ეფექტურად გამოყენება.

მეორე უცხოური ენის სწავლებისას სიტყვების ხანგრძლივადიან მეხსიერებაში დამახსოვრებისთვის აუცილებელია დავეყრდნოთ უკვე არსებულ ენობრივ გამოცდილებას. ეი საჭიროა მათი უკვე ნასწავლ ენაზე არსებულ სტრუქტურებთან და კონტექსტთან დაკავშირება. რამდენიმე ენის შესწავლის დროს შესწავლელებს უყალიბდებათ და უფითარდებათ სპეციფიკურად სტრუქტურირებული მენტალური ლექსიკონი რომელიც შედგება არა ცალკეული სემანტემისაგან სხვადასხვა ენისათვის, არამედ ერთიანი ინტეგრირებული ჟსელისაგან შემსწავლელის გონებაში, სადაც დედაენისა და სხვა შესწავლილი ენების ლექსიკა ერთმანეთშია გადახლართული ერთიანი, ზეენობრივი უნარის (სტრუქტურები და კონტექსტები) წყალობით (Namer, 2009: 50).

ჩვენ ექსპერიმენტის სახით შევიზუმავეთ და შევიტანეთ სპეციალური ლექსიკური სავარჯიშოები V კლასის მოსწავლეებთან, რომლებიც გერმანულ ენას

ინგლისურის შემდეგ მეორე უცხოურ ენად სწავლობენ. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება გამახვილებული იყო არა სტრუქტურულ (არტიკლი, წინდებული, ნაცვალსახელი და ა.შ.), არამედ შინაარსობრივ სიტყვათმარაგზე. მაგ.: ლექსიკაზე შემდეგ თემებზე: დრო, სივრცე, ხარისხი, რაოდენობა, საბუშაო, ცხოვრება, მოგზაურობა და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება გადავიტანეთ ისეთ სიტყვებზე, რომელთა გაგება შესაძლებელია ენობრივ მიხვედრილობაზე (დედა-ენა ან პირველი უცხოური ენა) დაყრდნობით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველ გაკვეთილებზე. რადგან იძლევა საშუალებას უკვე ნაცნობის წყალობით უმტკივნეულო გადასვლის უცნობსა და ახალზე, რაც მოტივაციის ერთ-ერთი საშუალებაა.

საეარჯიშოებში პირველ რიგში გამოვიყენეთ ის საერთო ლექსიკა, რომელიც არსებობს ინგლისურსა და გერმანულ ენებში მათი ენობრივი ნათესაობის გამო. ეს ის სიტყვებია, რომელთა მნიშვნელობა მსგავსი წარმოთქმისა და დაწერის გამო ინგლისურში იოლი გასაგებია გერმანულადაც.

მაგ:

**Schreiben Sie daneben entsprechende deutsche Wörter:**

hair	Haar
frish	
young	
apple	
frog	
sister	
nose	
king	
ripe	
paper	
book	
bed	
school	
bread	
wash	
father	

ფრჩხილებში მოცემული ხაზგასმული ინგლისური სიტყვები

შეცვალეთ შესატყვისი გერმანული სიტყვებით:

1. Maria hat (brown) (hair) und (blue) Augen.
2. Sie hat eine hübsche (nose).
3. Dieser (man) mit seinem (hat) ist sehr gross.
4. In der (family) haben alle (hunger).
5. Ich interessiere mich dafür, wie deine genaue (address) lautet.
6. Meine (mother) bringt den Krug mit der (milk).
7. Zum Frühstück kann man (tea) trinken.
8. Die Oma bringt den Krug mit der (milk).
9. Die (sun) geht auf.
10. Am Morgen scheint die (sun).
11. Der Himnel ist (blue).
12. Im Schwimmbad kann man (swim), springen und tauchen.
13. Ich warte seit einer (half) Stunde auf meinen (friend).
14. Der (man) (can) die Tür nicht (open).
15. (mother) bringt ihren (son) zum Kinder(garden).

შემდეგი გზაუვის სავარჯიშოები შევეცადეთ ავევო ინტერნაციონალიზმებზე, რომელთაც ბერძნულ-ლათინური წარმომავლობა აქვთ და ბევრ ევროპულ ენაში თითქმის იდენტურია.

სავარჯიშოებში აგრეთვე ეფექტურად გამოვიყენეთ ის ნასესხები სიტყვები, რომლებიც შემოსულ ინგლისურიდან და ამერიკულიდან და უკანასკნელ ათწლეულებში დამკვიდრდა გერმანულში.

მაგ.: თარგმნეთ ინგლისურად:

Ich treibe gern Sport. In einem Discountshop habe ich Jeans, T-Shirt, und Pullover gekauft. Am nächsten Tag bin ich zum Jogging und danach zum Fitness gegangen. Mein Trainer war mit mir sehr zufrieden. Am Abend habe ich mich ans Computer gesetzt und lage im Internet gesurft.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ისეთი შესიტყვებების შეტანას, რომელთაც ერთი და იგივე ან მსგავსი ენობრივი ხატი უდევთ საფუძვლად.

მაგ.: შეუსაბამეთ ერთმანეთს:

- |                                       |  |
|---------------------------------------|--|
| 1. Spring comes before summer.        | a. Von Anfang bis Ende.                          |
| 2. He speaks several languages.       | b. Es macht mir Spass.                           |
| 3. That's too expensive.              | c. Der Frühling kommt vor dem Sommer.            |
| 4. From start to finish.              | d. Er ist noch nicht zurück                      |
| 5. I am sorry, we have no rooms free. | e. Darf ich Ihnen etwas zu trinken anbieten?     |
| 6. Do I pay for the room in advance?  | f. Du kannst stolz auf ihn sein.                 |
| 7. I like it a lot.                   | g. Das ist zu teuer.                             |
| 3. May I offer you a drink?           | h. Muss ich das Zimmer im voraus bezahlen?       |
| 9. He hasn't come back yet.           | i. Er kann mehrere Sprachen.                     |
| 10. You should be proud of him.       | j. Es tut mir leid, wir haben keine Zimmer frei. |

ლექსიკაზე მუშაობის დროს ცვილობდით მოსწავლეთა წახალისებას, იმის ხაზგასმას თუ როგორ ეხმარება მათ ინგლისური ენის ცოდნა გერმანული სიტყვების გაგებისას, რაც მოსწავლეებს უჭენდა თვითდაჯერებულობის გრძობას, ზრდიდა მათ მოტივაციას და ინტერესს გერმანული ენის შესწავლისადმი.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ენას აქვს არსებობისა და განვითარების უფლება წარმატებული და აყვავებული ევროპის ფარგლებში.

ევროპა მრავალენოვანია მისი სახელმწიფოების სიმრავლის შესაბამისად. ევროპა ცდილობს, გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება. ევროპელებს ესაჭიროებთ ცნონ და დააფასონ ენობრივი რეპერტუარი და გააფართოვონ ის მრავალენოვანი განათლებით. მრავალენოვნება არის უნარი გამოიყენო ენები კომუნიკაციის მიზნით და მონაწილეობა მიიღო კულტურათმშორის დიალოგში, მრავალენოვნება (მისი ფართო გაგებით) მოიცავს კულტურათმშორის კომპეტენციას; ის აგრეთვე გულისხმობს მრავალფეროვნებისა და ცოდნის აღიარებას. ყველა ევროპელი და მათ შორის საქართველოს მოქალაქეები უფლებამოსილი არიან მაღალ დონეზე განავითარონ ეს ინტეგრირებული კომუნიკაციური უნარი მთელი ცხოვრების მანძილზე მათი მოთხოვნილებების მიხედვით. ენობრივი განათლება არის და უნდა იყოს სოციალური პოლიტიკის ნაწილი. მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივ გაერთიანებას მრავალენოვნებისა კონტექსტში.

მრავალენოვნება საქართველოში სწავლების ერთ-ერთი მიზანი უნდა გახდეს, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სწავლა-სწავლების სტრატეგიებისა და ტექნიკის შეთვისებას, რათა გაძლიერდეს მეტაკომპონენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ

იქნეს ტერციული ენების შესწავლისას. საჭიროა ვებზეთ ახალი დიდაქტიკური გზები, რადგან ენისა და მისი სწავლების პროცესების ცოდნა გერ კიდევ არ არის სკმარის დონეზე გორე და შემდგომი უცხოური ენების ეფექტური დაუფლებისათვის.

### ლიტერატურა:

1. Neuner Gerhard, Hufeisen Britta, Kursiſa Anita, Marx Nicole, Koithan Ute, Erlenwein Sabine (2009): Deutsch als zweite Fremdsprache. Goethe-Institut, Mũnchen
2. Neuner, Gerhard (1999): "Deutsch nach Englisch". Űbungen und Aufgaben fũr den Anfangsunterricht. In: Fremdsprache Deutsch, H. 1/1999, S. 15-21.
3. Weskamp, Ralf (1995): Űber und Űbungen. Zur Notwendigkeit eines Paradigmenwechsels in Fremdsprachenunterricht. In: Praxis des neusprachlichen Unterrichts, H. 2/1995, S. 121-126.

Manana Napireli

## Forms of teaching English language

### Abstract

In Georgia, which is actively switched in the Bologna process, very big attention is paid to the foreign language competence of students as well as the school pupils. According to the national educational framework of teaching the two foreign languages became the obligatory. Abovementioned condition became the basis to work out the new approach to the foreign language teaching. In this approach is foreseen the multilingual didactics, which is the main axis of intercultural and communicative teaching concept.

The German language is taught mainly after the English language as the second foreign language. That's why it is very important to work out the specific methodology. In the work is underlined the issues of German Language lexis after the English language as the first foreign language. We'll discuss the rational usage of all possible similarities and crossing points which exist between English and German lexis and we'll present the exercises, which, in our mind, will assist the quick and effective understanding of new words, their long term memory and usage in the communication process.

მანა ნაპირელი

## „სელექციური შეზღუდვების პრობლემა ინგლისურ და ქართულ ენებში“

სინტაქსური კავშირი ყოველ ზმნასა და ყოველ სახელს, ყოველ მსაზღვრელსა და ყოველ საზღვრულს შორის შეიძლება არსებობდეს. საკუთრივ სინტაქსური თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, „ცხენის კაკანი“ ისევეა დასაშვები, როგორც „ცხენის ჭიბვინი“ ან „ქათმის კაკანი“ [ლოხოვა 1974: 287].

სხვა ვითარებაა, როდესაც საკითხი აზრობრივ კავშირს ეხება: ძალიან ბევრია შესაძლებელი წითელი – სიტყვის მონაწილეობით იმგვარი შესიტყვებები, როგორიცაა „წითელი კაბა“. მნიშვნელოვნად შეზღუდული რაოდენობით გვხვდება „წითელი ღვინო“ მსგავსი შესიტყვებები. ერთადერთი შესიტყვებაა „წითელი ქარი“.

სემანტიკური თვალსაზრისით პირველი ტიპის შესიტყვება არსებითად განსხვავდება შესაბამე ტიპისაგან. წითელი კაბა – შესიტყვების მნიშვნელობა უდრის მასში შემავალი სიტყვების (კაბა, წითელი) მნიშვნელობათა ჯამს; შესიტყვებაში შემავალი სიტყვები სემანტიკურად მაქსიმალურად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან.

ამიტომ შესაძლებელია თითოეული მათგანის შეცვლა სხვადასხვაგვარი სიტყვებით: წითელი კაბა, წითელი კედელი, წითელი შუქი, წითელი ვაშლი, წითელი ყდა... წითელი კაბა, შავი კაბა, ლურჯი კაბა, მწვანე კაბა, მოცუე კაბა, ახალი კაბა...

იმავე გზებითაა შესაძლებელი შესიტყვება – წითელი კაბა შევაჯსოთ სხვა სიტყვებით ისე, რომ „წითელი“ და „კაბა“ – სიტყვების ურთიერთობა არ შეიცვალოს: სისხლივით წითელი კაბა, ახლადშეკერილი წითელი კაბა...

რაც შეეხება გამოთქმას – *წითელი ქარი* – აქ ამგვარი ცვლილებები შეუძლებელია: ამ შესიტყვების ვერც ერთ წევრს, ვერც სიტყვას „წითელი“ და ვერც სიტყვას „ქარი“ – ვერ დავაზუსტებთ დამატებითი სიტყვებით.

შეუძლებელია ვთქვათ \**სისხლივით წითელი ქარი*\* (ან სხვა რაიმე დამაზუსტებელი „წითელი“ – სიტყვისა), ასევე შეუძლებელია „ქარი“ – სიტყვისთვის დამატებითი მსაზღვრელის მიწერა, დავუშვათ, \**ვეცხსაღიანი წითელი ქარი*\*.

საქმე იმაშია, რომ ყოველი ენის ლექსიკაში გამოიყოფა თავისუფალი და მყარი შესიტყვებები.

ფრაზების აგება ენაში ხდება ლექსმათა და სიტყვაფორმათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგადი კანონზომიერებების – მათ შორის სემანტიკური წესების მიხედვით [გაბრელოძე 2003: 374]. მაგრამ ზოგადი სემანტიკური წესებით ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა მასში შემავალ ლექსმათა მნიშვნელობებზე (მათ სალექსიკონო განმარტებებზე) არ დაიყვანება. ასეთი ფრაზების კომპონენტებს შორის მჭიდრო კავშირია, ამიტომ მათ მყარ შესიტყვებებს, ანუ ფრაზოლოგიზმებს (ფრაზემებს, ლექსოკალიზებულ შესიტყვებებს, ფრაზოლოგიურ ერთეულებს) უწოდებენ. თავისუფალი შესიტყვებების საპირისპიროდ მყარი შესიტყვებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა. ისინი ლექსიკონებში უმეტესწილად სახელდების „შპა“ ერთეულების სახით არის შეტანილი.

ზემოთმოყვანილ მაგალითებში *„წითელი ქარი“* სწორედ მყარი შესიტყვების მაგალითია: *„წითელი კაბა“* კი – თავისუფალი შესიტყვების. ამიტომაცაა შეუძლებელი პირველის ჩანაცვლება სხვადასხვა კომპონენტებით, მეორისა კი – სავსებით შესაძლებელია.

მყარი შესიტყვებების სხვა მაგალითებია, ქართულში: *გულის გაწყალება, არამკითხე მრამბე, დროის მოკლეა, ჩხირი კედელს! კოვზი ნაგარში ჩაუვარდა* და სხვ.

ინგლისურში: *swan song, white monkey, silver spoon (born with the silver spoon in the mouth), to toll a bell, to catch fire, free pardon, white elephant*. ისინი მყარი შესიტყვებებია, ამიტომ მათ ვერ ჩავანაცვლებთ დამატებითი ელემენტებით, როგორც, მაგალითად, *\*beautiful white elephant, \*huge white elephant*, მაგრამ რაც შეეხება შესიტყვებას *white hill*, სავსებით ნორმალურია მისი დაკონკრეტება დამატებითი კომპონენტებით. მაგ.: *beautiful white hills, high white hills, the farthest white hills*, რადგან იგი (*white hills*) თავისუფალი შესიტყვებაა.

მყარი შესიტყვებები შეიძლება დაიყოს დისტრიბუციული (გრამატიკული) და ლექსიკური თვალსაზრისით.

დისტრიბუციული (გრამატიკული) კლასიფიკაცია ითვალისწინებს წინადადებაში მათ სინტაქსურ როლს – გამოყოფენ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ეკვივალენტურ ფრაზებს. მაგალითად, ფრაზა *„კალმით ნახატი“* ზედსართავი სახელის ეკვივალენტია (მაგ.: *გოგონა კალმით ნახატი იყო*), *„ღეთის ანაბარა“* – ზმნიზედაა (მაგ.: *ის უცხო ქვეყანაში ღეთის ანაბარა დარჩა*) და ა.შ. ცალკე ჯგუფს ქმნის წინადადების ეკვივალენტური ფრაზემები.

ინგლისურშიც, ესა თუ ის მყარი შესიტყვება შეიძლება სხვადასხვა სინტაქსურ როლს ასრულებდეს. მაგ.: წინადადებაში *'England with the silver spoon in her mouth and no longer the teeth to hold it there, or the will to part with it'* (Galsworth 1976: 10) – *silver spoon* განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს; ხოლო წინადადებაში *The police gave him a free pardon – free pardon* სინტაქსური დამატებაა.

ლექსიკური კლასიფიკაციის მიხედვით, მყარ შესიტყვებათა სიმრავლე იყოფა შემდეგ არაერთგვაროვან ჯგუფებად: იდიომები, ფრაზოლოგიური შესიტყვებები,

სამეტყველო შტამები, ფრაზოუსკემები და ე.წ. „ფრთიანი გამოთქმები“ (ანდაზები, აფორიზმები და მისთ.).

სიტყვათა შეხამების მეტ-ნაკლები შეზღუდულობა შეიმჩნევა სახელისა და ზმნის შეხამების დროსაც.

ასე, მაგალითად, ყოველ სახელთან შეიძლება იხმარებოდეს „არის“ (იყო, იქნება) ზნა: „ცხენი არის (იყო)“, „წიგნი არის“, „მაღალი არის“, „შემინებელი არის“, „კრება არის“, „გასაკეთებელი არის“...

ხევა ზმნები უფრო ნაკლები რაოდენობის სახელებს შეესაბამება და აქ შეზღუდვას, პირველ ყოვლისა, ისევ სემანტიკური კომპონენტი განსაზღვრავს. წევს (იწეა...) ზმნას ყოველ სახელთან ვერ ვიხმართ.

ჩვეულებრივია, „კამეჩი წევს და ივობნის, თავის ამინდი ჰკონია“ (ხალხური).

„გად როდი ვარ, როდი ვწევარ, ისე, ფეხზე ვკეცები (ჰ. ლომთათიძე). „მე, ქართული ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვწევარ“ (ი. აბაშიძე), „წევბარ ცივ სამარეში“ (გ. ტაბიძე)... მაგრამ „წევს“ ზმნასთან ვერ ვიხმართ „კრება“- სიტყვას: „კრება წევს“ შეუძლებელი შესიტყვებაა ჩვეულებრივ მეტყველებაში, თუმცა, ეს შესიტყვება გრამატიკულად სავსებით გამართულია...

ამ შეუთავსებლობის გასაღები შეიძლება ლოგიკურ სტრუქტურებში ვიპოვოთ. კერძოდ კი, არგუმენტისა და პრედიკატის ლოგიკურ შემადგენლობაში [Van Valin 1997: 113]. თუ ზმნას „წევს“ ლოგიკურ სტრუქტურას მივაწერთ, იგი შემდეგ სახეს მიიღებს: „წევს“ – predicate(x) [‘წევს’]. როგორც ვხედავთ, ზმნის „წევს“ შემადგენლობაში არის ‘predicate’ (პრედიკატი, ზმნური ნაწილი), რომელიც სუბიექტის აღმნიშვნელ არგუმენტს მოითხოვს ნიშნით [+animate] (+სულიერი). არსებითი სახელი „კრება“ არ ხასიათდება ამ ნიშნით, იგი უსულა [-animate]. ამიტომ „წევს“ ზმნასთან კომბინაციაში ვერ შევა.

ხევა მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ესა თუ ის ზმნა შედარებისათვის გამოიყენება ისეთ ობიექტებთან, რომლებთანაც ჩვეულებრივ მეტყველებაში მათი ხმარება ურვეულო იქნება. ენობრივი ერთეულების ასეთ გამოყენებას ხშირად ვხედავთ მხატვრულ ლიტერატურაში, პოეზიაში, რაც სტილისტურ ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, ცალკე აღებული „მთვარე წევს“ ქართულისთვის ურვეულო შესიტყვებაა, მაგრამ დასაშვებია ასეთ გამოთქმაში: „ღრუბელთა შორის ისე წევს მთვარე, როგორც ცხეღარი ვერცხლის კუბოში“ (გ. ტაბიძე). ასევე, „გუდები წვანან“ ქართულისათვის ურვეულოა, მაგრამ ყურს არ ეხამებება „ყელგაბოჭრილი ტახტივით წვანან გუდები“ (ლ. ასათიანი).

ზოგჯერ კონტექსტში უკველად იგულისხმება შედარება, თუმცა მის გამოსახატავად გამოყენებული არ არის შესადარებელი სიტყვები (როგორცაა -ვით, ებრ, -ვით თანდებულები...). „დაბავსებელი ლოდი განა იძიტომ მიფვარს, უძრავად რომ წევს და განისვენებს“ (თ. რაზიკაშვილი). „განისვენებს“ სიტყვიდან ჩანს, რომ უსულო ლოდი აქ სულიერ საგნად არის წარმოდგენილი და მხოლოდ ამიტომ შეესაბამება მას სულიერთათვის განკუთვნილი ზმნა „წევს“ [ფოჩხა 1974: 229].

თუმცა ის შესიტყვება, რაც შეუფერებელია ერთ ენაში, შეიძლება სავსებით ნორმალური იყოს მეორეში. ინგლისურში იგივე „წევს“ და „დევს“ ერთი სიტყვით გადმოიციმა ‘lies’, ამიტომ სავსებით ნორმალურია შესიტყვება – ‘the clouds are lying’ („ღრუბლები წვანან“); შდრ. ‘He is lying on the sofa’ („ის დევანზე წევს“) და ‘A book is lying on the table’ („წიგნი მაგიდაზე დევს“).

უფრო ნაკლები რაოდენობის სიტყვები შეესაბამება ზმნას – „აკანებს“ (ინგ. ‘cackles’).

ეს სიტყვა, პირველ ყოვლისა, ქათამთან და მისი ჯიშის ზოგიერთი გარეული ფრინველის სახელთან (კაკაბი, როქო) იხმარება. ენობრივ მეტაფორასთან გვაქვს საქმე ამ გამოთქმაში: „ტყვიაზმურქვევი კაკანებს“ (და, უფრო იშვიათად, „ავტომატი კაკანებს“), დანარჩენი შემთხვევები – სტერიი კაკანებს, ბულბულმა ჩაკაკანა, კაკანებმა პელაგია – ინდოიდულალორ სიტყვახმარებას წარმოადგენენ.

იგივე პრინციპი მოქმედებს ინგლისურშიც: *A hen is cackling* – სავესებით ნორმალურია, მაშინ როცა *\*A dog is cackling* დაუშვებელია. თუმცა შეიძლება იგივე ზმნა მეტაფორულად იქნეს გამოყენებული: *She was cackling like a hen*.

სემანტიკური შეთავსებადობის პრინციპი არამარტო ფრაზების შედგენაში, არამედ მთელი წინადადებების აგებაში მოქმედებს. განვიხილოთ შემდეგი ინგლისური მაგალითები:

(1) *The keyboard designed some clothes.*

(2) *The stapler took a break.*

(3) *My colleague broke his feelings.*

ყველა, ვინც კი ინგლისურ ენაში მეტ-ნაკლებად ერკვევა, შეამჩნევს, რომ ეს წინადადებები უცნაურად ედერს: *keyboards* („კლავიატურა“), ჩვეულებრივ, ტანსაცმლის დიზაინისთვის არ გამოიყენება, *staplers* („სამაგრი“) არ ღებულობს შევებულებას (დასვენებას), ხოლო *feelings* („გრძობები“) არ ტყდება ხოლმე (შდრ. ფრაზეოლოგიური გამოთქმა ქართულში „გული გამოტყდა“). პრედიკატები წინადადებაში გარკვეულ შეზღუდვებს უწესებენ თავიანთ არგუმენტებს, რომელსაც სელექციურ შეზღუდვებს უწოდებენ [Aaris 2001: 98]. ლინგვისტები სელექციური შეზღუდვების პრობლემის გადასაწყვეტად პრედიკატებისა და მათი არგუმენტებისთვის ნიშანთვისებების მიწერის მეთოდს მიმართავენ. მაგალითად, შეიძლება ვთქვათ, რომ ზმნას *'design'* მიწერება ნიშანი [+animate], ამიტომ მისი სუბიექტიც უნდა ატარებდეს ამ ნიშან-თვისებას. თუ მას ეს ნიშანი არ აქვს, მიღებული წინადადება აზრობრივად გაუმართავი იქნება. (1) წინადადებაში სუბიექტი *the keyboard* არ არის სულიერი საგანი, ამიტომ წინადადებაც უცნაურია; (2) წინადადებაც იმავე მიზეზითაა მოუღებელი; (3) წინადადება შეიძლება ისეც ნიშნათა მიწერით გადაწყვიტოთ: შეიძლება ვთქვათ, რომ ზმნა *'break'* ატარებს ნიშანს [+concrete], ამიტომ მისი შესატყვისი პირდაპირი დამატებაც იმავე ნიშანს უნდა ატარებდეს. მაგრამ (3) წინადადებაში პირდაპირი დამატება აბსტრაქტული არსებითი სახელია, რაც განაპირობებს მოცემული წინადადების თავისებურ (უცნაურ) ხასიათს. სელექციური შეზღუდვების გადაჭრის ამგვარი ხერხი სინტაქსური ხასიათისაა.

ხოლო დროს სელექციური შეზღუდვებისადმი მიდგომა შეიცვალა. მიიჩნევა, რომ მისი გადაწყვეტა შეიძლება სხვა მეთოდით, რომელიც არ მოითხოვს ნიშანთვისებათა მრავალმხრივ სისტემას. სელექციურ შეზღუდვებს დღეს როგორც სემანტიკურ მოვლენას, ისე უყურებენ და არა როგორც სინტაქსურს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოცემული წინადადებები (1) (3) სინტაქსურად სავესებით ჩამოყალიბებულია, რასაც ვერ ვიტყვით მის აზრობრივ მხარეზე. შეიძლება განვაცხადოთ, რომ სელექციური შეზღუდვების გადაჭრა თემატური როლების საშუალებით შეიძლება [Van Valin 1997: 224]. ყოველი პრედიკატი თავის არგუმენტებს გარკვეულ როლებს აკისრებს (აგენტი (agent), პაციენტი (patient), თემა (theme), განმცდელი (experienter), მიზანი (goal), ბენეფიციანტი (benefactive), წყარო (source), რეციპიენტი (recipient), ინსტრუმენტი (instrument), ადგილმდებარეობა (location), ძალა (force)). თუ არგუმენტთა თემატური როლებს გავიაზრებთ, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ (predict) თუ რა სელექციური შეზღუდვებია მოსალოდნელი მოცემული



შემასწავლებელიდან. მიუხედავად იმისა, რომ (1) წინადადებას ჩვენ ვნახეთ, რომ 'design' მოითხოვს სუბიექტს აგენტის როლში. თუ განვაზოგადებთ, რომ აგენტები, ჩვეულებრივად, სულიერი არსებებია, აღარ დაგვიკვირდება თითოეულ მაგალითში განვიხილოთ, თუ რა ნიშან-თვისებებს ატარებს მოცემული ზმნა. აქედან (1) მაგალითი შესაბამისად, მარტივად რომ ვთქვათ, იმიტომ, რომ მისი სუბიექტი სულიერი არსებითი სახელით არაა გამოხატული. ამგვარი მიდგომით უფრო იოლი ხდება სექციური შეზღუდვების პრობლემის გადაწყვეტა. შეიძლება დავასკვნათ, რომ სექციური შეზღუდვები ესაა შეზღუდვები თემატურ როლებზე.

**ლიტერატურა:**

1. გაბაშვილი კ. (1974): *სემანტიკური კლასების ზოგიერთი საკითხი*. (ენისა და ლიტერატურის სერია), გამომცემლობა „მანუა“. თბილისი.
2. გაბაშვილი თ., კვიციანი ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003): *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
3. ფოჩხუა ზ. (1974): *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
4. Aarts Bas (2001): *English Syntax and Argumentation*.
5. Givon T. (1979): *Syntax and Semantics*. Academic Press. New York.
6. Leech G.H. (1981): *Semantics*. Penguin Books. London.
7. Van Valin Robert D., Lapolla Randy S. (1997): *Syntax*. Cambridge University Press. Cambridge.

Maia Nachkepia

**On the Problem of Selectional Restrictions  
in the Georgian and English Languages  
Abstract**

There are some restrictions in combining a verb and a noun, either. For example, in Georgian, the verb 'tsola' ('to lie') cannot be used with every noun, unlike English, where the same verb may be combined with both an animate and inanimate noun. Comp.: 'katsi divanze tsevs' (a man is lying on the sofa) and 'tsigni magidaze devs' (a book is lying on the table). In Georgian the same sense of being on a certain surface is transferred with different verbs ('tsevs', 'devs') for an animate and inanimate noun, but in English it may be expressed with one and the same verb ('is lying').

If we return to the above mentioned example, in Georgian, the verb 'tsola' (to lie) is attributed with the quality of being animate (+animate), hence, its argument must always have this quality too, in other case, it will be semantically improper.

Selectional restrictions may also be solved by thematic roles. If we recall what thematic roles arguments play in a sentence, we may predict what kind of restrictions are feasible. For example, the verb 'design' demands the subject in the role of an agent. As agents are generally animate nouns, it would be inappropriate if we use an inanimate noun as the subject of the verb 'design'; comp.: 'an architect designed some buildings' and 'a window designed some buildings'.

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „მძლავრის მარწმუნებში“ როგორც ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოები**

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის (1857-1927 წწ.) ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის განსუჯა-შეფასება ახლად წამოჭრილი პრობლემა არ არის და მისი გარკვევა რუსული თეატრალური ხელოვნების ამ უდიდესი წარმომადგენლის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში იყო ქართველთა შორის ქცეული მწვავე განხილვის საგნად. აღნიშნული საკითხისადმი ინტერესს განსაკუთრებულ სიმძაფრესა და აქტუალობას სძენდა ის ფაქტი, რომ თავისი ეროვნული წარმომადგენლობით და

ცხოვრება-მოღვაწეობის გარკვეული ეტაპებითაც იგი, მართალია, განუყოფელად იყო დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან, მაგრამ მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმომჩენ უმთავრეს ასპარეზს, პირველ ყოვლისა, მაინც რუსული თეატრალური ხელოვნება და დრამატურგია წარმოადგენდა.

იმის გამო, რომ ალ. სუმბათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ძალზე რეზონანსულ მოვლენას წარმოადგენდა XIX საუკუნის ბოლო ორი ათწლეულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის არა მარტო რუსული, არამედ მთელი იმპაზინდელი ევროპული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, მისი ეროვნული თვითშეგნების გარკვევასთან დაკავშირებით იმხანად გამართულ პოლემიკაში ფაქტობრივად ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა მეტ-ნაკლები აქტიურობით ჩართული.

მაშინდელი ქართული ინტელიგენციის უმეტესობის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ალ. სუმბათაშვილის, როგორც თეატრალური მოღვაწისა და დრამატურგის, მთელი შეგნებული ცხოვრება რუსულენოვან სამყაროში წარიმართა, იგი მაინც ქართულ საქმეთა სამსახურში ჩამდგარ მამულიშვილს წარმოადგენდა და არა მარტო რუსული კულტურის განვითარებაში შეიტანა მეტად ფასეული წვლილი, არამედ საქართველოსთვისაც ძალზე ბევრი რამ გააკეთა უაღრესად მნიშვნელოვანი.

ქართველი საზოგადოების მეორე, რადიკალურად განწყობილი, ნაწილი კი თვლიდა, რომ ალ. სუმბათაშვილს ფაქტობრივად მხოლოდ ეროვნული წარმომავლობა აკავშირებდა საქართველოსთან და მშობლიურ ენობრივ წიაღსა და სულიერ სამყაროს სიწყვეტილ ამ პიროვნებას არა მარტო სამშობლოსადმი გულგრილ დამოკიდებულებაში სდებდნენ ბრალს, არამედ მშობელი ქვეყნის მოღალატედაც კი აცხადებდნენ.

ალ. სუმბათაშვილის მიმართ წაყენებული უმძიმესი ბრალდების გამქარწყლებელ I კვლევაზე მნიშვნელოვან ფაქტად 1903 წელს მის მიერ დაწერილი და მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე ტროუმფალური წარმატებით განხორციელებული პიესა „ღალატი“ [ქცა. მასში ჰეროიკული ფორმიტაა მოთხრობილი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასაცავად ქართველი ხალხის ბრძოლის ამბავი.

ალ. სუმბათაშვილის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის მასშტაბებზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ქვემოთ მკითხველის ყურადღება საგანგებოდ მიწვევა 1919 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ მის ვრცელ პუბლიცისტურ ნარკვევს „მძღაერის მარწუხებში“ [თარგმნა მაყალა ოზიამე. „ქართული მწერლობა“, ტ. 22, 2004 წ. გვ. 394-354]. სამწუხაროდ, მძაფრი პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ეს ნაწარმოები, რომელშიც ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ვლინდება ავტორის ეროვნული თვალთახედვა, თითქმის მთლიანად დარჩა არა თუ ფართო საზოგადოების, არამედ ალ. სუმბათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა ყურადღების მიღმა კი.

ამ მოვლენის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ქართველ მკითხველს რუსულად დაწერილი ამ ნარკვევის მშობლიურ ენაზე გაცნობის შესაძლებლობა პირველად მხოლოდ ზემოთ ხსენებულ წიგნში გამოქვეყნებული მისი თარგმანის მეშვეობით მიეცა. მანანა კაკაბაძის მართებული ხაზგასმით, ეს გარემოება პირველ ყოვლისა მკვეთრად და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოვლენილმა იმ „პატრიოტულმა ტონალობამ განსაზღვრა,“ რითაც „პოლიტიკურად არასასურველი ტენდენციის მქონე ეს თხზულება“ ხასიათდება. „რუს მკვლევარებს ნაკლებად აინტერესებდათ ის საკითხი, რაც თხზულების დედააზრს შეადგენდა, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, ხოლო ქართველები ემორჩილებოდნენ სახელმწიფოს იმპერიულ ზრახვებს და ყოველგვარი არაუმენტაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ დუმილით იფარებოდა“ [კაკაბაძე, 2004].

საზღვაროდ, ვითარება არც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ცენტურულ-იდეოლოგიურ შეზღუდვათა მოხსნის შემდეგ შეცვლილა არსებითად და ალ. სუმბათაშვილის ხსენებული ნარკვევი დღემდე არ ქვეულა საფუძვლიანი განხილვის საგნად. არადა, „მძლავრის მარწყვებში“ არა მარტო მისი ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის შესაცნობად და გასაზრებლად წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან თხზულებას, არამედ რუსეთ-საქართველოს გარდასულ და სამომავლო ურთიერთობათა არსში სიღრმისეულად და ობიექტურად გასარკვევად.

აღნიშნული პრობლემის ალ. სუმბათაშვილისეული ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომაც იძენს, რომ ხსენებული ნარკვევის ავტორი რუსულ სინამდვილესთან სისხლბორცეულად შეზრდილ პიროვნებას წარმოადგენს.

რუსულ სამყაროსთან მწერლის ამგვარი სიახლოვე რეალურად ქმნიდა იმის საფუძველს, ხსენებული ნარკვევის განსჯა-ანალიზის უმთავრეს თემად ქვეული ქართულ-რუსულ ურთიერთობათა პრობლემური საკითხები ავტორს რამდენადმე ტენდენციურად და პრორუსული თვალთახედვით გაეაზრებინა და შეეფასებინა. მაგრამ, სახედონეროდ, ეს არა თუ ასე არ მოხდა, არამედ პირიქით – ალ. სუმბათაშვილის ნარკვევი ფაქტობრივად იმ საბრალდებო დასკვნადაც კი მოგვევლინა, რომელშიც კონკრეტულ ფაქტებსა და არგუმენტებს დაყრდნობითაა წარმორჩენილი ის ნეგატიური მხარეები, რაც რუსეთთან საქართველოს შეერთების მოჰყვა შედეგად.

ქართველი საზოგადოების მიერ დაუცხრომელი ინტერესის საგნად ქვეული ამ ტრაგიკული მოვლენის ალ. სუმბათაშვილისეული შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომაც იძენს, რომ ამას თავისი ქვეყნისაგან ფიზიკურად შორს მდგარი ის ადამიანი აკეთებდა, რომელიც „დასკვნების გამოტანისას არც არავის დაცვას ცდილობდა და არც არავის დადანაშაულებას.“ უმთავრესი და არსებითი, რაც მან, მისივე თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემური საკითხების შეფასებას დაუდო მკვიდრ საფუძვლად, მოვლენებისადმი ობიექტური მიდგომა იყო და არა მათი გაანალიზება „მოჭარბებული პატრიოტიზმის ელფერით.“

აღნიშნული მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ალ. სუმბათაშვილის ნარკვევში საფუძვლიანადაა განხილული „ქართველი ტომის მიერ რუსეთის სახელმწიფოსთან ერთობლივად განვლილი ცხოვრება და ამ ისტორიული გზის მთავარი ეტაპები შეერთების დღიდან გამოყოფის დღემდე“ [სტატია თარიღდება 1919 წლის 1 იანვრით].

მოვლენათა ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასების სურვილი სუმბათაშვილს ავაღლებულეზბდა, მკითხველისთვის მისული თვალთახედვით დაენახვებინა რუსეთთან საქართველოს შეერთების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. ქვემოთ შევეცდები, მოკლედ წარმოვაჩინო აღნიშნული მოვლენის ავტორისეული შეფასების ორივე მხარე. თავდაპირველად ყურადღება მივნიდა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ საქართველოში განვითარებულ უარყოფით მოვლენათა ალ. სუმბათაშვილისეულ ანალიზს მივაპყრო.

რუსეთთან საქართველოს მიერთების მეორე წელსვე კახელ თავადაზნაურთა მიერ რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილ საპროტესტო წერილზე დაყრდნობით, ალ. სუმბათაშვილი დაბეჯითებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერია ჩვენი ქვეყნის მანამდე აღრესორებზე გაცილებით უფრო უღობიერ და დაუნდობელ მტერს წარმოადგენდა. ავტორი ხსენებული დოკუმენტიდან აღნიშნული დებულების დამადასტურებელ ციტატებსაც იმორწმნის. მაგალითად: „ქართველებს გვეომებოდა დიდი ხელომწიფე – სულთანი, გვეომებოდა შაჰი და მას ხელქვეით ვყავდით; გვეომებოდა დაღესტანიც... არც ერთ მათგანს ჩვენ, ქრისტიანი ერი, საბოლოოდ არ დავმორჩილებივართ... მათ არც დაპყრობისას და არც დაპყრობის შემდეგ ჩვენთვის მიფის წოდება არ გაუ-

უქმებით, არც მღვდელმთავრობა, თავადიშვილობა და გლეხობა მოუშლიათ" [გვ. 306. ციტატები დამოწმებულია ზემოთ დასახელებული წიგნიდან].

ხსენებული დოკუმენტიდან ამ და მსგავსი შინაარსის მქონე სხვა ფრაგმენტების ციტირებას ალ. სუმბათაშვილი იმისთვის ახდენს, ნიღაბხადილი სახით რომ წარმოაჩინოს ქართველ მამულომწივლთა დიდი ნაწილის მიერ გარეშე მტრების მიერ აკლებულ-აწიოკებული საქართველოს მფარველად დასახული ქვეყნის დამპყრობლური პოლიტიკის ნამდვილი ბუნება. ალ. სუმბათაშვილის ნარკვევში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ, ჩვენი ქვეყნის ადრინდელი აგრესორებისაგან განსხვავებით, რუსეთის საიმპერატორო კარმა 1801 წლის მანიფესტით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გაუუქმა და იგი რუსეთის იმპერიის გუბერნიად აქცია.

ალ. სუმბათაშვილის მტკიცებით, რუსეთთან შეერთება საქართველოს, მართალია, „ახალ დარბევათა საფრთხისაგან დაეცის სრულ გარანტიას აძლევდა და მის ზედს მამონდელი ევროპის უძლიერესი სახელმწიფოს ბედს უკავშირებდა, მაგრამ ისტორიული იერსახის დაკარგვას ესეც ვერ უნაზღაურებდა.“ 1801 წლის მანიფესტის შეფასების დროს მწერალი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდა, რომ საქართველოს სამეფოს გაუქმებით რუსეთმა ქართველ ერს ყველაზე დიდი ტკივილი მიაყენა. რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში ამ სამეფოს კვლავაც აღდგინებაზე ყოველგვარ ფიქრსაც კი ალ. სუმბათაშვილი „რეალური სინამდვილისაგან სრულად მოწყვეტილ და წმინდა ფანტასტიკური შეფერილობის“ იმ ოცნებად მიიჩნევდა, რომელსაც „მატერიალიზაცია არ ეწერა“ [გვ. 517]. მწერლის აზრით, ქართველი ხალხი საკუთარი ნებით შეუერთდა რუსეთს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი საბოლოოდ „იღებდა ხელს იმაზე, რისი გულისთვისაც ცხოვრობდა.“ რუსეთის მფარველობა და ქვეშევრდომობა ჩვენს ხალხს საკუთარი სამეფოს შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად სჭირდებოდა და არა მის გასაუქმებლად.

მართალია, რუსეთთან საქართველოს შეერთებას ალ. სუმბათაშვილი ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორებით განპირობებულ აუცილებლობად და გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევდა, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის შეერთების შემდეგ აქ გატარებული მანკიერი პოლიტიკა არსებითად ეწინააღმდეგებოდა იმ შეთანხმებას, რის საფუძველზეც ქართველმა ხალხმა ეს გადაწყვეტილება მიიღო. მწერლის აზრით, რუსეთი „მამინვე ცხიერი გულქვაობით მიუდგა საქართველოს და მის საუკუნოვან სიწმინდეთაც შეეხო.“ ქართველები მიხვდნენ, რომ „მოტყუებულები იყვნენ... საქართველო აფორიადა, საგონებელში ჩავარდა, დარდმა და წუხილმა მოიცვა. აღურსიანი სიტყვების შემდეგ იგი ყველაზე ნაკლებად ელოდა თავისი მხსნელისაგან ასეთ გენერალურ გაკრევა-შეკვეცას რუსული დაფდაფების თანხლებით“ [გვ. 524-525].

ალ. სუმბათაშვილი მხოლოდ ზოგადი მსჯელობით არ იფარგლება და კონკრეტულ არგუმენტებსაც მრავლად იმველიებს. მაგალითად, შეერთების დღიდან მოყოლებული, რუსეთმა საქართველოს „დაუყოვნებლივ დაუწყო საერთო იმპერიულ არტახებში მოქცევა – არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ადგილობრივ პირობებს, წარსულს, ყოფას, რწმენას, მსოფლმხედველობას, ენას, ნაციონალურ გრძნობას... ყველაზე უხამსი შოლტები უმრავლეს შემთხვევაში საქართველოსკენ იყო მიმართული“ [გვ. 401].

ალ. სუმბათაშვილის შეფასებით, რუსულ ხელისუფლებას საქართველო ამ გზით „...განუხრელად მიჰყავდა რუსიფიკაციისაკენ... მეტი და მეტი სისასტიკითა და დაყინებით ახორციელებდა ეროვნულ თვისებათა ყოველმხრივი ამოძირკვის, მეტროპოლიასთან ასიმილაციის, სრული გაუპიროვნების პოლიტიკას“ [გვ. 456].

მართალია, რუსეთთან შეერთების შემდეგ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებით დაღლილ ქართველ ხალხს იმის შესაძლებლობა კი მიეცა, რუსეთის წყალობით „ვეროპულ,

ოლნდ რუსულ ბიუროკრატიულ საეერში გაეროლ აზრს მიახლოებოდა,“ მაგრამ მან ისიც თვალნათლივ დანინაზა, რომ „ეს უდავო წყალოზანი მას ნაციონალური საზის თანდათანობით დაკარგვის ფასად ეძლეოდა; რომ მისი ენა, ეკლესია, ზნე-ჩვეულებანი და მსოფლმხედველობა, მთელი სულიერი საგანტური, რისთვისაც იბრძოდა ოცი საუკუნე და რისი დაცვაც ტანჯვითა და სისხლით შეძლო, მარჯვე და გამოცდილი ხელით ნელნელა, მაგრამ აშკარად ნადგურდებოდა და სისტემატურად ქრებოდა ცხოვრებიდან... ასე რომ, რაც ვერ გაანადგურა ისლამის ძლიერმა მახვილმა, შესაძლებელი იყო საუკუნოდ წარხოცილიყო და საბუდამოდ, ძირფესვიანად ამოძირკველიყო“ [გვ. 404].

აღ. სუმზათაშვილის გულისწყრომას იწვევდა ის ფაქტიც, რომ საქართველოში არსებული ყველა ტიპის სასწავლებლებიდან თითქმის მთლიანად განიდევენა მშობლიური ქართული ენა. მაგალითად, მისი ინფორმაციით, თბილისის ერთადერთ გიმნაზიაში ქართულ ენას კვირაში მხოლოდ 1 საათი ჰქონდა დათმობილი, ლათინურს - 6, ბერძნულს კი - 4. მწერალი ასევე მკაცრად აკრიტიკებდა დაწყებით სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის მიზნით იანოვსკისა და ზავადსკის მიერ შემოღებულ ე. წ. „თვალსაჩინო სწავლების“ მეთოდს, რომლის მიხედვითაც მასწავლებელს რუსული სიტყვების ახსნის დროს მათი ქართული შესატყვისობების დასახელების უფლება არ ჰქონდა.

აღ. სუმზათაშვილის შეფასებით, შეუძლებელი იყო, სხვა ერებისადმი სიბუღილი ამ „სასწავლო ფარსზე“ შორს რომ წასულიყო [გვ. 408]. მშობლიური ენის ქომაგის როლში მწერლის ამგვარი გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ამას ამ ენობრივ სამყაროს მოწყვეტილი კაცი აკეთებდა, ადამიანი, რომელსაც არაერთხელ გამოუხატავს სინანული და გულისწყვეტა ქართული ენის სათანადოდ არცოდნის გამო.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილების დროს აღ. სუმზათაშვილი აღმუთებით აღნიშნავდა იმ ფაქტსაც, რომ „საქართველომ, როგორც იმპერიის შემადგენელმა ნაწილმა და არა თავისთავადმა ერმა, ასწილ იწვინა სამოქალაქო წეს-ცხოვრების ის ჭირი და უბედურება, რაც მიძიმედ აწვა მთელ რუსეთს“ [გვ. 419]. კერძოდ, ქართველების უმეტესობას ადგილობრივი მმართველობის ყველა სფეროდან ამევებდნენ, მათ ნაცვლად კი იმ რუს ჩინოვნიკებს ნიშნავდნენ, რომელთაც „საქართველოსთან არავითარი საერთო არ ჰქონდათ, აქ მხოლოდ შედნიერებისა და ჩინების ხელში მოსაგდებად“ იყვნენ ჩამოსულნი და „ყოველგვარი უფლებით აღჭურვილნი, თავიანთი სურვილისამებრ ექცეოდნენ „არარუსებსა“ და „ადგილობრივებს“ [გვ. 420].

აღ. სუმზათაშვილის ამ ნარკვევში იმ დიდმნიშვნელოვანი როლის წარმოჩენასაც აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიქციული, რომელიც ქართველებმა შეასრულეს რუსეთის ისტორიაში. მწერლის ხაზგასმით, „მიუხედავად იმისა, რომ ქართველები რიცხოზრივად რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომთა დაახლოებით ერთ მეოთხმოცედს შეადგენდნენ, საერთო-რუსული ინტელიგენციის საზოგადოებრივ, სალიტერატურო, სამეცნიერო, სამხატვრო, პროფესიულ თუ სხვა სფეროებში მოღვაწე ქართველთა პროცენტული შეფარდება ზევრად აღემატებოდა ყოფილი იმპერიის მთელი მოსახლეობის ერთ მეოთხმოცედს“ [გვ. 429].

1914-1917 წლების პირველ მსოფლიო ომში რუსულ ჯარში მყოფი ქართველების რაოდენობრივი სიმრავლისა და გმირობის ხაზგასმით აღ. სუმზათაშვილი მკითხველს იქვე იმ ერთგულებაშიც არწმუნებს არგუმენტირებულად, რასაც ჩვენნი თანამემამულეები იჩენდნენ „რუსულ საომარ მოქმედებათა ყველა პერიპეტიაში.“ მწერალი ეროვნული სიამაყით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ იმ ურთულეს ვითარებაში, როცა რუსული არმიის უდიდესი ნაწილი დემორალიზებული და პარალიზებული იყო, „დეზერტირობას ჯარის ქართულ ელემენტში საერთოდ არ ჰქონია ადგილი“ [გვ. 464].

მართალია, ალ. სუმბათაშვილი ქართველთა ამგვარ საქციელს მათი „უდრეკი მეომრული ფსიქიკით“ ხსნის, მაგრამ ობიექტურად სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ უპატრონოდ მიტოვებული ოჯახებისა და სამშობლოს მისამველებლად წამოსულობიდან და მათ დამცველებად ქვეულოყვნენ, რუსულ არმიამი მყოფი ქართველი მებრძოლები, მწერლის ინფორმაციით, დანგრევის პირას მისული იმპერიის გადასარჩენად წირავდნენ თავს. მეტი სიციხადისათვის გავიხსენოთ შესაბამისი ფრაგმენტი ნარკვევიდან.

ავტორის თქმით, მოუხედავად იმისა, რომ „სამშობლო მხარის საზღვრების დამცველი ჯარის სტიქიურად დაშლის გამო დღეს თუ არა ხვალ ბათუმსა და ახალციხეში, გორსა და თბილისში ქურთები და თურქები შეიკრებოდნენ, შენს ქვეყანას დაარბევდნენ და შენს ცოლ-შვილს გააუპატოურებდნენ და ააწიოკებდნენ.“ რუსულ ჯარში მებრძოლი ქართველები, თვით რუსებისგან განსხვავებითაც კი, „მანინგ ფეხმოუცვლელად იდგნენ ფსკოვთან და კიევთან და იქიდან ფეხს არ იცვლიდნენ“ [გვ. 464].

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ალ. სუმბათაშვილს ჯარისკაცული მოვალეობისადმი ქართველი კაცის ამგვარი ერთგულება ჩვენს ეროვნულ ღირსებად მიაჩნია. მისი თქმით, „ყოველივე ამან, მართლაც, არ შეიძლება პატივისცემა არ გაგიღვივოს იმ ეროვნული თავისებურებისადმი, რომელნიც, შესაძლოა, სასაცილო დონ-კიხოტოზადაც კი მოეჩვენოს კაცს“ (იქვე).

სამწუხაროდ, ალ. სუმბათაშვილის მიერ ჩვენს ეროვნულ ღირსებად მიჩნეული ეს თვისება ეროვნული უპასუხისმგებლობისა თუ დევრადირების რეალურ გამოვლინებად უფრო უნდა მივიჩნიოთ და ამგვარი ერთგულება და თავგანწირვა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა ესოდენი თავგანწირვით შენი ქვეყნის დამპყრობ-დამმონებლის დასაცავად და გასაძლიერებლად კი არ იზრბვი, არამედ საკუთარ სამშობლოსთვის წირავ სიცოცხლეს. რაოდენ გულსატკეცილიც არ უნდა იყოს, საქართველოს ისტორიიდან ცნობილ ასეთ გზაკვალარულ ქართველთა რაოდენობა რუსული მმართველობის პერიოდში საკმაოდ გაიზარდა. გარდა იმისა, რომ ამ ადამიანთა ერთი ნაწილი ყველაფერ ამას ანგარებითა და კარიერისტული მისწრაფებებით აკეთებდა, მათ შორის მშობლიურ ეროვნულ ფესვებს თითქმის მთლიანად მოწყვეტილი და „ახალი სამშობლოს“ სამსახურში ჩამდგარი ნაქართველარებიც საკმაოდ იყვნენ.

მათგან რუსეთში გადასახლებულ ქართველ არისტოკრატთა ის წარმომადგენლები მინდა გავიხსენო, რომელთაც ეს ქვეყანა თავიანთ ახალ სამშობლოდ აღიარეს და მისთვის თავდადება სიცოცხლის უმთავრეს მიზანსწრაფვად აქციეს. ამ თვალსაზრისით მეტად დამაფიქრებელია ის სიტყვები, რომლებიც ზაგრატიონთა სამეფო გვარის ერთ-ერთ სახელგანთქმულ წარმომადგენელს – პეტრე ზაგრატიონს წარმოუთქვამს 1812 წელს, მოსკოვის დაცვის დროს, ნაოლეონის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაქრის შემდეგ: „მშვიდობით, ჩემო მეგობარო. მე ველარ მნახავ. ვკვდები არა ჭრილობისაგან, არამედ მოსკოვის დარდისაგან!“

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გეჩვენოს, ზაგრატიონთა გვარის ამ შამაც წარმომადგენელს, რომელმაც მთელი თავისი ძალა, ენერჯია და მხედართმთავრული ნიჭი რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერების განმტკიცებას შეაღია, დამოწმებული სიტყვები მშობელი ქვეყნის ტრაგიკულმა ბედმა კი არ წარმოათქმევინა, არამედ ახლად შეძენილი „დიდი სამშობლოს“ სიყვარულმა და მისთვის ერთგულების გრძნობამ.

იგივე უნდა ითქვას მეფე-პოეტ არჩილის მემკვიდრის – ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებაც. რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველის მიერ მისი არმიის გენერალ-ფელდცეიზმაისტერად დანიშნული ეს უმაზაცესი არტილერისტი 1700 წელს ნარვასთან გამართულ ომში შევდებმა ტყვედ ჩაიგდეს. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ალექსანდრეს

განთავისუფლების სანაცვლოდ შევდებს ათი ტონა (კასრი) ოქრო მოუთხოვიათ. ამ მოთხოვნის პასუხად ქართველ უფლისწულს პეტრე პირველისათვის ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია. „არა თუ სათქმელად, ფიქრადე კი არ მომსვლია, რამე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს არა თუ ჩემი განთავისუფლებისა, არამედ იმათი განთავისუფლებისათვისაც კი, რომლებიც ჩემზე ათასკეცად მეტი არიან. ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებული: ვითმინოთ და მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულის ინტერესებისათვის“ [ტატიფილი, 1959 : 215].

სამწუხაროდ, ბაგრატიონთა სამეფო გვარის ეს უნიჭიერესი წარმომადგენელი, რომლის ცხოვრების უმთავრეს მიზნად დამონებული სამშობლოს განთავისუფლებისა და აღორძინების გზათა ძიება უნდა ქვეულიყო, ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულმა ისტორიულმა ბედისწერამ იმდენად მოწყვიტა მშობლიურ ფესვებს, რომ იგი თავისი ცხოვრების უმთავრეს აზრად ახლად შეძენილი მამულის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის სიკვდილს მიიჩნევდა და არა მტრების საჯიჯგნად მიტოვებული თავისი ნამდვილი სამშობლოსათვის თავგანწირვას.

ალ. სუმბათაშვილის სარეცენზიო პუბლიცისტური ნარკვევი 1918 წელს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დაიწერა. მოუხედავად იმისა, რომ ამ ისტორიულმა მოვლენამ რუსეთში მცხოვრები მწერალი მის სამშობლოს უკვე სახელმწიფოებრივად დაამორა და ფორმალურად იგი სხვა ქვეყნის მოქალაქეს წარმოადგენდა, ნარკვევის უმთავრეს პათოსსა და სულისკვეთებას ქართველი ხალხის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების მართებულობისთვის აშკარა და დაუქცეველი მხარდაჭერა განსაზღვრავს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან მომეკლიებულ არგუმენტებზე დაყრდნობითა და თავად რუსეთის იმპერიაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, რასაც შედეგად ამ იმპერიის რღვევა მოჰყვა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ალ. სუმბათაშვილს აუცილებელ მოვლენად მიაჩნდა. მისი აზრით, „ჩვენი ქვეყნის ჩამოშორება ჯერაც ღონიერი, მაგრამ დაქუცმაცებული, სისხლიან შინაომებში ჩაბმულ ნაწილებად დაშლილი რუსეთისაგან *აუცილებელი იყო თავად საქართველოსათვის*“ [გვ. 536. ბაზგამა ავტორისა - ა. 6.].

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ალ. სუმბათაშვილი სრულიად კანონზომიერ და ისტორიული აუცილებლობით განპირობებულ ფაქტად რომ მიიჩნევდა, ამის დასტურად სარეცენზიო ნარკვევიდან სხვა ციტატები მრავლად შეგვიძლია დავიმოწმოთ. მაგალითად: „საქართველოს სრული უფლება და საფუძველი აქვს, იყოს დამოუკიდებელი და ნეიტრალური“ [გვ. 547]. ან კიდევ: „რა ძალუბნაც უნდა გაიმარჯვოს მსოფლიოს ბედ-იბღლის გადაწყვეტ მოახლოებულ ხალხთა კონგრესში, რა კუთხითაც უნდა გაამუქონ ნაციონალური უფლების საკითხი, საქართველოს სრული საფუძველი აქვს, თავისი სრული დამოუკიდებლობა დაეინებოთ დაიცვას“ [გვ. 552].

მწერლის აზრით, საქართველოს ცალკე, დამოუკიდებელ, სახელმწიფოდ არსებობა რუსეთისაგან მის სრულად ჩამოშორებას სულაც არ ნიშნავდა. ალ. სუმბათაშვილის პუბლიცისტურ ნარკვევში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ცალკე სახელმწიფოდ არსებობის მოუხედავად, საქართველო არა თუ საბოლოოდ ჩამოშორდებოდა რუსეთს და მასთან ყოველგვარ კავშირს გაწყვეტდა, არამედ „უფრო მეტადაც დაუახლოვდებოდა მას, როგორც მოკავშირეს“ [გვ. 552]. მართალია, სარეცენზიო ნარკვევში ამ დაახლოების კონკრეტულ ფორმებსა და სახეებზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ მწერალი არაერთგზის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ეს ამბავი გარდაუვალ მოვლენას წარმოადგენდა და „რუსეთთან უმჭიდროეს ურთიერთობას საქართველო ვერ ასცდებოდა.“ მისი აზრ-

ით, ამ გარემოებას განაპირობებდა ის ვითარება, რომ მათ შორის „მეტისმეტად ზევრი ცხოვრებისეული მათი იყო გაბმული, მატერიალურითა და სულიერით“ [გვ. 545].

ქართველი ხალხის დაუცხრომელ სწრაფვას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისაკენ ალ. სუმბათაშვილი ჩვენი ქვეყნის ისტორიით მყარად განპირობებულ იმ მოვლენად მიიჩნევდა, რისთვისაც ჩვენს ხალხს საუკუნეების განმავლობაში უამრავი სისხლი დაუღვრია. მწერლის შეფასებით, 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტი არა მარტო იმჟამინდელი ვითარებით იყო განპირობებული, არამედ ჩვენი ისტორიის ლოგიკურ შედეგსაც წარმოადგენდა.

მისი აზრით, ქართველი ხალხის მიერ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა ფაქტობრივად ყოველივე იმის ნებაყოფლობით უარყოფას ნიშნავდა, „რითაც და რისთვისაც იგი ცხოვრობდა უხსოვარი დროიდან მოყოლებული, რაც თავი ახსოვდა... არც მეფეს, არც ელჩებს, არც ხალხს მთლიანად – არავის მთელ საქართველოში – არ შეეძლო დაეთმო ის, რასაც საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე ამ „პატარა ქვეყნისთვის“ უთვალავეკერ მიუცია მალა“ [გვ. 527-528].

დამოწმებულ მოსაზრებებს, რომლებშიც პრინციპულად ახალი არაფერია ნათქვამი, ესოდენი ყურადღების საგნად მხოლოდ ორი გარემოების გათვალისწინებით ვაქცევ: პირველი, იმიტომ, ამ შეხედულებების ავტორი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში რუსეთში მცხოვრები და მშობლიურ ქართულ გარემოს მოწყვეტილი ჩვენი თვისტო იყო და მეორეც, იმიტომ, რომ იმჟამად საქართველოშიცა და, საერთოდ, მთელი რუსეთის იმპერიაშიც ფართოდ პოპულარულ სოციალისტურ პარტიათა ზევრი ქართველი ლიდერითა და რიგითი წარმომადგენელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის დაშლასა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

როგორც ალექსანდრე სუმბათაშვილის მოღვაწეობისა და შემოქმედების წინამდებარე განხილვამაც ცხადყო, მკაფიოდ გამოხატული თავისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსით მშობლიურ ქართულ გარემოს მოწყვეტილი ხელოვანი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა საკუთარი სამშობლოს დიდ პატრიოტად და ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილთა მამულიშვილური იდეალების უღალატოდ ერთგულ პიროვნებად.

#### ლიტერატურა:

1. ნიკოლეიშვილი ა. ქართული ემიგრანტული მწერლობა, ანსუ გამომცემლობა, 2007 წ.
2. ტატიშვილი ვლ. ქართველები მოსკოვში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1959 წ.
3. ქართული მწერლობა, ტ. 22-ე, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 2004 წ.

Avandil Nikoleishvili

### Aleksandr Sumbatashvili Jujin's in Tyrant's Claw a Work Expressing the Author's national political Creed

#### Abstract

The issue of Alexandre Sumbatashvili-Jujin's attitude towards Georgia and Georgian people is not a new topic (1857-1927) and its determination has been the question of discussion during the creative activity of the greatest representative of Russian theatrical art among Georgian people. Due to the fact, that Al. Sumbatashvili's life and creative work was a very resonant in the last decades of the XIX century and in the first quarter of the XX century in Russian as well as in the history of theatrical art of the whole Europe considerable part of our society became more or less involved in the discussions around the elucidation of his national self-awareness.

According to the view point of the majority of Georgian intelligentsia of those days Al. Sumbatashvili contributed not only to the development of Russian culture, but did a lot for Georgia as well. The second part of Georgian society believed that Al. Sumbatashvili was connected to Georgia only by his origin.



სინტაქსური კონსტრუქციის მნიშვნელობა და სემანტიკური როლები

სინტაქსური კონსტრუქციების მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით სინტაქსურ სემანტიკაში შემოტანილია პროპოზიციის ცნება. ენათმეცნიერებაში პროპოზიციის ცნებას ორი მიმართულებით განიხილავენ: გარე სამყაროსთან მიმართებაში და საკუთრივ ლინგვისტურ კონტექსტში. პირველი კრიტერიუმის მიხედვით, პროპოზიცია წარმოადგენს ექსტრალინგვისტური ხდომილების ან სიტუაციის იკონისტურ ასახვას ადამიანის ცნობიერებაში. ხოლო თუ პროპოზიციას განვიხილავთ ლინგვისტურ კონტექსტში, მაშინ იგი უნდა გავიგოთ, როგორც რეფერენტული სიტუაციის ამსახველი აბსტრაქტიზებული, აზრობრივი სტრუქტურა, რომელიც სემანტიკურ კონსტანტას ანუ ინვარიანტს წარმოადგენს, რამდენადაც იგი დამოუკიდებელია როგორც მოდალური, შეფასებითი და ემოციური ასპექტებისაგან, ასევე წინადადების თვით ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნისაგან, როგორსაც წარმოადგენს ნომინალიზაცია [კირვალიძე, 2008].

პროპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის საფუძვლად თანამედროვე ანგლისტიკაში განიხილავენ სიმბოლური ლოგიკის პრედიკატულ-არგუმენტულ მიდგომას, რომლის თანახმადაც პროპოზიცია შედგება პრედიკატული ბირთვისა და მისი არგუმენტებისგან. თითოეული არგუმენტი ხასიათდება მისი აზრობრივი, სემანტიკური როლით პრედიკატთან მიმართებაში ანუ მისი "სიღრმისეული ბრუნვის" მიხედვით, ხოლო პრედიკატის მნიშვნელობა კი განისაზღვრება მისი სემური შედგენილობითა და ვალენტობით, რაც გულისხმობს მის უნარს, მიერთოს გარკვეული არგუმენტები [Fillmore, 1968].

სინტაქსური კონსტრუქციის სემანტიკური სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ექსტრალინგვისტური რეალობის მოვლენათა ამსახველი კონცეპტუალური კატეგორიების მანიფესტაცია ენობრივ დონეზე. ეს თვალსაზრისი ეფუძნება ასევე უ. ლ. ჩეივის მიერ შემოთავაზებულ ცნებებს სემანტიკური და პოსტსემანტიკური სტრუქტურისა. იგი მიიჩნევს, რომ სინონიმია წარმოიქმნება „ფაკულტატიური პოსტ-სემანტიკური და ფონოლოგიური პროცესების გამოყენების ან არგამოყენების შედეგად“ [Чейв 1975: 73]. ინგლისურ ენაში სემანტიკური სტრუქტურის დონეზე გვაქვს აგენსი, პაციენსი, ბენეფიციანტი და ა.შ. პოსტსემანტიკურ დონეზე ისინი გვევლინება სუბიექტის, პირდაპირი ან ირიბი ობიექტის ფუნქციით, რაც სემანტიკურ ერთეულთა გრამატიკალიზაციის პროცესს წარმოადგენს.

სემანტიკური როლი, რაც ხშირად მოიხსენიება როგორც თემატური როლი, აღნიშნავს პრედიკატით გამოხატულ მოვლენაში მონაწილეთა მიმართებას თავად აღნიშნულ მოვლენასთან. სხვადასხვა ტიპის ენათა ანალიზი ადასტურებს, რომ ერთი და იგივე როლები ყველა მათგანში გვხვდება. ლინგვისტურ თეორიაში ამ საკითხის კვლევას უკერ კიდევ უ. გრუბერის [Gruber, 1976] ნაშრომმა ჩაუყარა საფუძველი. შემდგომ პერიოდში ჩ. ფილმორის [Fillmore, 1968], რ. ჯეკენდოფის [Jackendoff, 1972] ფუძემდებლური გამოკვლევების გავლენით თემატური როლების კვლევა სემანტიკური თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად იქცა.

სემანტიკური როლების თეორიის მთავარი მიზანია, შეიქმნას როლების იმგვარი სისტემა, რომელიც რელევანტური იქნება ნებისმიერი ზმნის ნებისმიერი არგუმენტისათვის. იგი ძირითადად გამოიყენება ანგლისტიკაში, რითაც ხდება ბრუნვის

მორფოლოგიური კატეგორიის სიმწირის კომპენსირება. როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი პირველი ამგვარი ტაქსონომია შემოთავაზებულ იქნა ფილმორის მიერ. ჩვენ მიზანშეწონილად მოგვარჩნია მისი მოკლედ მიმოხილვა. ეს ჩამონათვალი [Fillmore, 1968: 24-25] მოიცავს შემდეგ როლებს:

1. აგენტური [agentive], ჩვეულებრივ სულიერი არსება, რომელიც აღიქმება, როგორც ზმნით გამოხატული მოქმედების ინიციატორი, მაგ.: *Mary kicked the cat*;
2. ინსტრუმენტური [instrumental], უსულო საგნისა ან ძალის როლი, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების გამომწვევად გვევლინება, მაგალითად:  
*John used the hammer to break the window. The hammer broke the window.*;
3. დატივი [dative], სულიერი არსება, რომელიც განიცდის ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის ზეგავლენას, მაგ.: *Mary heard the nightingale. The nightingale enchanted Mary.*
4. ფაქტიცი/კაუზალური [factitive], საგანი ან არსება, რომელიც წარმოადგენს ზმნით გამოხატული მოქმედების შედეგს ან მოიაზრება, როგორც ზმნის მნიშვნელობის ნაწილი, მაგ.: *John cooked a delicious meal.*
5. ლოკატივი [locative], როლი, რომელიც აღნიშნავს ზმნით გამოხატულ მოქმედების ან მდგომარეობის მდებარეობას ან სივრცით ორიენტაციას, მაგ.: *Mary vaulted the wall. John put his finger on the button.*
6. ობიექტური [objective] სემანტიკურად ყველაზე ნეიტრალური როლია. ამ როლში გვევლინება საგნები, რომლებიც განიცდიან ზმნით გამოხატულ მოქმედებას ან მდგომარეობას, მაგ.: *Mary opened the door. The door opened.*

მოუხედავად მოჩვენებითი სიმარტივისა, სემანტიკური როლების ეს ჩამონათვალი ბევრ სადავო მომენტს მოიცავს. განვიხილოთ რამდენიმე განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი მოსაზრება.

- თუ გავითვალისწინებთ, რომ აგენტური (აგენსი) ტრადიციულ განსაზღვრებებში განიხილება, როგორც სულიერი არსება, რომელიც წინასწარგანზრახვით ახორციელებს ან იწვევს მოქმედებას, გაურკვეველი რჩება ზოგიერთი ისეთი არგუმენტის როლი, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს აგენსს. მაგალითად, *The wind rattled the windows.*

- აქ სუბიექტი გამოხატულია უსულო არსებითი სახელით, მამასადამე ფილმორი მას მიაკუთვნებდა ინსტრუმენტალურ როლს, თუმცა კრუზი [Cruse, 2000] ამ გადაწყვეტილებას არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. იგი საუბრობს ახალ როლზე, ძალაზე [force], რომელიც შეიძლება გამოეყოს აგენსს.

- ზოგ შემთხვევაში არგუმენტი შეიძლება იწვევდეს ზმნით გამოხატულ მოქმედებას საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. შეიძლება ამ შემთხვევაში ვისაუბროთ მის აგენტურობაზე? მაგ.: *John accidentally knocked the vase on to the floor.*

მეორეს მხრივ, შესაძლებელია, მოქმედებას იწვევდეს რომელიმე არგუმენტის ნება, მაგრამ იგი თავად არ იყოს ფიზიკურად ჩართული ამ მოქმედების განხორციელებაში. მაგ.: *The sergeant-major marched the recruits round the parade ground.* ამ შემთხვევაში სუბიექტის როლი განსხვავდება ტიპური აგენსისაგან და ამდენად ეჭვქვეშ დგება მისი აგენტურობა. ამასთან, საკამათო ხდება არგუმენტის *the recruits* როლის საკითხიც. ყველა ამგვარ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი ახლი როლის გამოყოფაზე [Cruse, 2000].

- ინსტრუმენტალური როლი ტრადიციულად გულისხმობს უსულო ობიექტს. თუმცა კვლავ არსებობს შუალედური შემთხვევები, როცა არგუმენტის როლი

ძალიან ჰგავს ინსტრუმენტალურს, მაგრამ წარმოადგენს სულიერ არსებას. მაგ., *sniffer dogs* შემდეგ წინადადებაში: The police used sniffer dogs to locate the drugs.

• დატივიც, რომელიც უფრო ხშირად მოიხსენიება, როგორც ექსპერიენსერი, შეიძლება გარკვეული ბუნდოვანების წყარო გახდეს. მაგ., განვიხილოთ ორი წინადადება: Mary threw John out of the window. Mary threw John's trousers out of the window. თუ პირველ მათგანში John აკმაყოფილებს დატივის აღწერილობას, John's trousers მეორე წინადადებაში, ჩვეულებრივ ამ როლში არ განიხილება. აქ გადაწყვეტი კრიტერიუმის როლს ასრულებს ის, რომ დატივიექსპერიენსერი აუცილებლად სულიერი არსებაა. მეორეს მხრივ აშკარაა, რომ ამ ორ წინადადებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეიმჩნევა. ამასთან, მათი მერთებელი კავშირით შეერთება (სტილისტური ეფექტის გარეშე) სრულებით მისაღებია. მაგ.: Mary threw John and his trousers out of the window. ეს კი ხშირად იმავე როლის არსებობის ტესტად გამოიყენება.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვამ აჩვენა, სემანტიკურ როლთა ფილმორისული კლასიფიკაცია ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. სემანტიკური როლების თეორიის მთავარი მიზანი კი უნივერსალურობის მიღწევაა, მკვლევართა მოსაზრებები მკვეთრად განსხვავდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლები უნდა გამოიყოს, ან რამდენი როლის გამოყოფაა შესაძლებელი. როგორც კროფტი აღნიშნავს, სემანტიკური როლების თეორიათა დიდი ნაწილი ეფუძნება ვარაუდს, რომ არსებობს ამგვარი როლების სასრული და საკმაოდ მცირე რაოდენობა [Croft, 1991:156], თუმცა კონსენსუსი მათ რაოდენობასთან და რაობასთან დაკავშირებით ჯერ არა არის მიღწეული. ერთის მხრივ, ანდერსონი გვთავაზობს მხოლოდ სამი სემანტიკური როლისაგან შემდგარ ჩამონათვალს - წყარო, ლოკაცია და მიზანი, ხოლო ყველა სხვა ერთეული ამ სამი ძირითადი როლისგანაა ნაწარმოები [Anderson, 1971]. მეორეს მხრივ, მაგალითად, პოლარდი და საგი ყველა ზმნას მიაწერენ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სემანტიკურ როლებს, რომლებიც ყველა სხვა ზმნისთვის დამახასიათებელი სემანტიკური როლებისაგან განსხვავდება [Pollard and Sag 1994]. მაგალითად, ზმნა *love* თავისი არგუმენტებისაგან მოითხოვს ორ სემანტიკურ როლს *lover* და *lovee*. ამ შემთხვევაში განუზომლად იზრდება სემანტიკური როლების რიცხვი და ამასთან იკარგება განზოგადებული სემანტიკური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა, რაც აკნინებს ამ ცნების ლინგვისტურ ღირებულებას.

სემანტიკური როლების არსებულ ტაქსონომიებს უკავშირდება აგრეთვე კიდევ ერთი პრობლემა, რასაც დაუთი [Dowty, 1991:553] უწოდებს „როლთა ფრაგმენტაციას“. ეს პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად „ვიწრო“ მნიშვნელობისთვის შეიძლება ამა თუ იმ როლის გამოყოფა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგენტის როლის მაგალითის განხილვა. ამ როლში ორგანიზმი გამოყოფს აგენტს და მოქმედს [Actor] [Jackendoff, 1983], ვან ვალინი გამოიჯანს აგენტს და ზემოქმედს [effector] [Van Valin, 1990], კრუზი საუბრობს ნებელობით [volitive], ზემოქმედებით [effective], ინიციატორულ [initiative] და აგენტურ [agentive] როლებზე [Cuse, 1973], ლაკოფი კი თითხმეტ სხვადასხვა ელემენტს განიხილავს [Lakoff, 1977]. არანაკლებ პრობლემურია თემის როლიც, რომელშიც დაუთი სამ ტიპს გამოყოფს: მზარდ [Incremental], არამზარდ [Non-incremental] და პოლისტურ [Holistic] თემებს [Dowty 1991].

უდავოა, რომ არსებობს გარკვეული სირთულეები სემანტიკურ როლებს შორის საზღვრების დადგენისას. ქვემოთ გთავაზობთ ტაქსონომიას, რომელსაც ხშირად ვხვდებით თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში, რადგან მასში შემავალი სემანტიკური როლების არსებობას ლინგვისტთა დიდი ნაწილი აღიარებს.

1. აგენსი - პრედიკატიტ გამოხატული მოქმედების ჩამდენი, აქტიური მონაწილე ან გამომწვევი. ამ როლთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულე ჩვენ ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ.
2. პაციენსი - პრედიკატიტ გამოხატული მოქმედების განმცდელი ან პასიური მონაწილე. ზოგ ჩამონათვალში ერთმანეთისგან გამოყოფენ პაციენსსა და თემას. კრუზის [Cruse, 2000] აზრით, ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რამდენად ცვლის პროცესი ან მოქმედება მოცემულ ერთეულს. უცვლელი უსულო არსებითი ჩვეულებრივ მოიხსენება, როგორ თემა, ხოლო ის, რაც თავად განიცდის ცვლილებას პრედიკატიტ გამოხატული მოქმედების შედეგად, პაციენსია. მაგალითად, წინადადებაში *John put on his hat. - hat* - თემა, მაგრამ *Mary minced meat - meat* პაციენსია. ხშირ შემთხვევაში ეს გამოიყენა ბუნდოვანია და, ამდენად, ჩვენი მიზნებისთვის დასაშვებად მიგვაჩნია დავეთანხმით იმ ლინგვისტებს, ვინც ამ ორი როლის გაერთიანებას უჭერს მხარს [Radford, 1997: 326].
3. ექსპერიენსერი - ცოცხალი არსება, რომელიც განიცდის, აღიქვამს პრედიკატიტ გამოხატულ მოქმედებას ან მოვლენას. მაგალითად, *John წინადადებაში John heard the noise.*
4. მიზანი - ადგილი ან ერთეული, რომლის მიმართულებითაც ხორციელდება მოძრაობა. მაგალითად, *onto the sofa* მიზანია წინადადებაში *Frank threw himself onto the sofa.*
5. ბენეფიციარი - პრედიკატიტ აღნიშნული მოქმედების ან მოვლენის შედეგად სარგებლობის მიღები, მაგალითად, *Mary წინადადებაში John got Mary a present.*
6. წყარო - ადგილი ან ერთეული; რომელიც მოძრაობის საწყის წერტილს წარმოადგენს. მაგალითად, წინადადებაში *Greg comes from Wales, „from Wales“* მკვეთრად გამოხატული წყაროა.
7. ინსტრუმენტი - საშუალება, რომლითაც ხორციელდება პრედიკატიტ აღნიშნული მოქმედება ან მოვლენა. ასეთია მაგალითად, *knife წინადადებაში John cut the meat with a knife.*
8. ლოკატივი - პრედიკატიტ გამოხატული მოქმედების ან მოვლენის განხორციელების კონკრეტული ადგილი, მაგალითად, *This tribe inhabits a remote island in the Pacific.*

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ეს არის განსხვავება მონაწილეთა ანუ თემატურ როლებსა და გარემოებით როლებს (circumstantial roles) შორის [Cruse, 2000]. პირველი მათგანი შეიძრო კავშირშია ზმნასთან, იგი წინადადების შინაგანი სტრუქტურის უშუალო შემადგენელია, ხოლო მეორე ერთგვარ დამატებით როლს ასრულებს; იგი არ დევს ზმნის შინაგან სტრუქტურაში. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება: *John put his bicycle in the garage.*

*John repaired his bicycle in the garage.*

პირველში *in the garage* თემატურ როლში გვევლინება, ხოლო მეორეში იგი გარემოებით როლს ასრულებს, რადგან მისი არსებობა წინადადების კონსტრუქციაში არაა აუცილებელი, მისი გამოტოვება არ არღვევს წინადადების გრამატიკულობას.

სემანტიკურ როლებთან დაკავშირებული წინადადებებების გადაწყვეტის თვალსაზრისით უადრესად საინტერესო გვეჩვენება დაუთის მიერ შემოთავაზებული მიდგომა, რომელიც ორი ძირითადი პროტოტიპული როლის, პროტოაგენსის და

პროტოპაციენსის შემოტანას ეფუძნება [Dowry 1991]. ავტორის აზრით, თითოეულს ამ ორი როლისაგან იმპლიკაციათა გარკვეული ჩამონათვალი აქვს.

აგენსის პროტო-როლი გულისხმობს შემდეგ თვისებებს;

- ა) მოვლენასა თუ მდგომარეობაში ნებელობითი ჩართულობა (volitional involvement);
- ბ) აღქმისა და შეგრძნების უნარი;
- გ) მეორე მონაწილეში რამე ქმედების ან მდგომარეობის ცვლილების გამოწვევის უნარი;
- დ) მოძრაობა (მეორე მონაწილის პოზიციასთან მიმართებაში);
- ე) ზმნით გამოხატული მოვლენისაგან დამოუკიდებელი არსებობა.

პაციენსის პროტო-როლი გულისხმობს შემდეგ მახასიათებლებს:

- ა) განიციდის მდგომარეობის ცვლილებას;
- ბ) ახასიათებს შუარდი თემატურობა (incremental theme);
- გ) განიციდის მეორე მონაწილის კაუზატორ გავლენას;
- დ) სტაბილურია/უძრავია მეორე მონაწილის მოძრაობასთან მიმართებაში;
- ე) არ ახასიათებს ზმნით გამოხატული მოვლენისაგან დამოუკიდებელი არსებობა.

ზმნის არგუმენტებს მეტად ან ნაკლებად ახასიათებთ „აგენტურობა“ ან „პაციენტურობა“ იმის მიხედვით, თუ პროტო-აგენსის ან პროტო-პაციენსის რამდენ თვისებას ავლენენ. ჩვეულებრივ, პროტო-აგენსის თვისებათა ყველაზე მეტი ოდენობის მატარებელი არგუმენტი სუბიექტად გვევლინება, ხოლო მეორე არგუმენტი – ობიექტად. იმ შემთხვევაში, თუ ორივე არგუმენტი პროტო-აგენსის იმპლიკაციების თანაბარ რაოდენობას ახორციელებს, ნებისმიერი მათგანი შეიძლება გახდეს სუბიექტი. ეს თეორია ხსნის განსხვავებას ექსპერიენსერ-სუბიექტსა (მაგ., ზმნებთან *like, admire, detest, fear, despise, enjoy, hate, honor, love, esteem*) და ექსპერიენსერ-ობიექტს (მაგ., ზმნებთან *please, scare, frighten, amuse, bore, astonish, surprise, terrify, thrill*) შორის. ამ ზმნათა ორ არგუმენტს, ექსპერიენსერსა და სტიმულს პროტო-აგენსის მახასიათებელთა თანაბარი რაოდენობა აქვთ. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ზოგი ზმნა სუბიექტად ექსპერიენსერს მოითხოვს, ზოგი კი სტიმულს, რამაც გამოიწვია ესა თუ ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამითვე აიხსნება ვარიაცია დიქტონიული თვალსაზრისითაც. მაგალითად, ზმნების *like* და *think* სუბიექტი ინგლისური ენის ისტორიის ადრეულ ეტაპზე სტიმული იყო და არა ექსპერიენსერი.

დაუთის ამ თეორიაზე დაყრდნობით შეიძლება მოვახდინოთ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითების შეფასება მათში აგენტურობის და პაციენტურობის გამოვლინების ხარისხის მიხედვით.

*Mary kicked the cat.* Mary – ატარებს პროტო-აგენსის ხუთივე თვისებას.

*John accidentally knocked the vase on to the floor.* - აქ ვერ ვისაუბრებთ აგენსის John ნებელობით ჩართულობაზე მოქმედებაში, თუმცა მას აქვს პროტო-აგენსის დანარჩენი ოთხი მახასიათებელი.

*The wind rattled the windows.* ამ წინადადებაში კი უკვე არ შეიძლება საუბარი არც ნებელობით ჩართულობაზე და არც აღქმის უნარზე. შესაბამისად, პროტო-აგენსის თვისებათა კლების პარალელურად ექვეყემ დგება საკითხი, თუ რამდენად შეიძლება ამ არგუმენტს აგენსი ეწოდოს.

უადრესად საინტერესოა სემანტიკური როლების და კონკრეტულად პროტო-როლების საკითხის განხილვა გვარის კატეგორიასთან მიმართებაში. მ. სარაენი სტატიამი, რომელიც განიხილავს კავშირს გარდამავლობასა და წინასწარ-

განზრახულობას შორის, ამტკიცებს, რომ აქტივისა და პასივის მონაცვლეობა საშუალებას აძლევს მეტყველ სუბიექტს კონკრეტული ფაქტების რეპრეზენტაცია მოახდინოს მისთვის სასურველი კუთხით [Saraceni, 2008]. მოქმედებითი გვარის გამოყენება წინასწარგანზრახული ქმედების ელფერს სძენს წინადადებაში გამოხატულ მოქმედებას და ძალიან ნათლად გადმოსცემს მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას წინადადებაში. სწორედ ეს განსხვავებს ერთმანეთისგან ავტორის აზრით ისეთ წინადადებებს, როგორცაა *The police shot the demonstartors. The demonstrators were shot by the police.* მეორე წინადადებაში აგენტის წინადადების ბოლოში გადატანა ასუსტებს კავშირს მოვლენასა და პოლიციის ქმედებას შორის.

ეს თვალსაზრისი უშუალო კავშირშია დაუთის [Dowty, 1991] მიერ შემოთავაზებულ პროტაგენსის მახასიათებლებთან, რომლებსაც ჩვენ ზემოთ შევეხეთ. ამ ჩამონათვალში მოვლენასა თუ მდგომარეობაში ნებელობითი ჩართულობა აგენტის როლის უმნიშვნელოვანესი თვისებაა. როგორც ჩანს, თავისი ტრადიციული სინტაქსური ფუნქციის, სუბიექტისაგან მოწყვეტილ აგენტში ამ მახასიათებლის გამოვლინება შედარებით სუსტდება. და პირიქით, სუბიექტის ფუნქციით წარმოდგენილი პაციენტი იძენს აგენტის ზოგიერთ მახასიათებელს.

ამ დაკვირვებას ადასტურებს ჩვენს მიერ მოძიებული სხვა მაგალითებიც:  
*I'm haunted. I'm haunted by something – that rather takes the light out of things, that fills me with longing. (H.Wells "The Door in the Wall")*  
*You aren't bound by anyone. You come and go as you please. Something always turns up for you. You're free. (M. Spark "The Portobello Road")*

ორივე ამ შემთხვევაში მოუბარი იყენებს ვნებითს, რადგან არ მიაჩნია მნიშვნელოვანად აგენტის ნებელობა, აქტიური ჩართულობა მოქმედების განხორციელებაში.

მაშასადამე, სემანტიკური როლების საკითხი რჩება ლინგვისტიკის ერთერთ ყველაზე სადავო და ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვან თემად, რადგან იგი უშუალოდაა დაკავშირებული წინადადების და ზოგადად სინტაქსური კონსტრუქციის ონიშვნელობის კვლევასთან.

#### ლიტერატურა:

1. კორვალიძე ნ. (2008): *გრამატიკის თანამედროვე თეორიები*. ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
2. Anderson J. M. (1971): *The Grammar of Case: Towards a Localistic Theory*. Cambridge University Press. Cambridge.
3. Croft W. (1991): *Syntactic Categories and Grammatical Relations*. The University of Chicago Press. Chicago.
4. Cruse A. (2000): *Meaning in Language: An Introduction to Semantics and Pragmatics*. Oxford: Oxford University Press.
5. Cruse, D. A. (1973): *Some Thoughts on Agentivity*.// *Journal of Linguistics* 9.
6. Dowty, D. R. (1991): *Thematic Proto-Roles and Argument Selection*.// *Language* 67.
7. Fillmore C. J. (1968): *The Case for Case*.// In Bach E. and Harms R.T. (eds.) *Universals in Linguistic Theory*. Holt, Rinehart and Winston. New York.
8. Gruber J. S. (1976): *Lexical Structures in Syntax and Semantics*. North Holland. Amsterdam.
9. Jackendoff, R. S. (1972): *Semantic Interpretation in Generative Grammar*. The MIT Press. Cambridge, MA.
10. Jackendoff, R. S. (1983): *Semantics and cognition*. MIT Press. Cambridge, Mass.
11. Pollard and Sag (1994): *Pollard, C., Sag, I. Head-Driven Phrase Structure Grammar. Center for the Study of Language and Information*. Stanford.
12. Radford, A. (1997): *Syntactic Theory and the Structure of English: A Minimalist Approach*. Cambridge University Press. Cambridge.
13. Saraceni M. (2008): *Meaningful form: transitivity and intentionality*.// *ELT J* 62:164-172.
14. Van Valin R. D. (1990): *Semantic Parameters of Split Transitivity*. // *Language* 66: 221-60.
15. Чёрный В. Л. (1975): *Значение и структура языка русск. пер Г.С. Шлыр. «Литература»*. Москва.

## The Meaning of Syntactic Constructions and Semantic Roles

## Abstract

The article discusses the difficulties of identifying the meaning of syntactic constructions. For this purpose it relies on the concept of proposition as composed of predicate nucleus and its arguments, each characterized by a semantic role in relation to the predicate. Providing a brief review of the taxonomy of deep cases developed by Fillmore and some of its alternatives suggested by other prominent linguists, the article goes on to discuss some of the problems with these systems. It focuses in particular on Dowty's approach to semantic roles that is most influential nowadays. It is based on two basic prototypical role types Proto-Agent and Proto-Patient characterized by a list of entailments. Discussion of the examples provided in the article supports the view that in spite of certain criticisms of Dowty's theory approaching semantic roles in terms of prototypical concepts rather than discrete categories seems justified.

რუსუდან ნიშნიანიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
ლიტერატურული ტექსტის მხატვრული კონცეფცია და  
გეოგრაფიული სივრცე

კულტურათა გზაჯვარედინი...

1956 წელს ამერიკაში გამოიცა ცნობილი მწერლის, გიორგი პაპაშვილის წიგნი სათაურით: „მადლობა ნოეს“ – „Thanks to Noah“. სათაურთან დაკავშირებით საყურადღებო იქნება გივი კობახიძის ღიმილიანი განმარტება: „– ძვირფასნო, ნოე ჟორდანია არ გეგონოთ, აქ ბიბლიური ნოე იგულისხმება“ [კობახიძე გივი, 1993]: ბუნების მეტრეფე// გაზ. „თბილისი“ №20 (11721). თბილისი) ერთი შეხედვით, ნათქვამი შესაძლოა, იუმორის თემადაც კი მივიჩნიოთ. ქართველი ემიგრანტისგან ამგვარი ქილიკი ანკი რა გასაკვირი იქნებოდა. ჯერ კიდევ „იმ წლებში“ ამგვარი თანამიმდევრობით ჩამოთვლილი გვარები: ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანია, ნოე ხოშერიკი, ნოე ცინცაძე... გონებამახვილ ქართველს სწორედ ამ კონტექსტს გაახსენებდა და ხუმრობით ასეც მოიხსენიებდა კიდევ: „ნოეს კიდობანი“.

„Thanks To Noah“ ქართულ ენაზე ითარგმნა 1971 წელს. ინგლისურიდან ითარგმნა ანდრეაფარ ჭეიშვილმა. ქართულად დასათაურებულა ამგვარად: „დღესაც მელოდება“. თვალსაჩინოა მთარგმნელის პროფესიონალიზმი, როცა თხრობის დინამიკას და გმირის ლექსიკონს ძალიან ფრთხილად, ოსტატურად არჩევს. ეს ღრსება ნაწარმოების კითხვისას ხაზგასმით იგრძნობა.

ამერიკული ლიტერატურისთვის ცნობილი იყო ნიკ (ნიკოლოზ) ჩხოტუას, პავლე ჭავჭავაძის, სანდრო ნებლოს (იგივე ალექსანდრე პაპუაშვილის) პროზაული ნაწარმოებები; გიორგი პაპაშვილიც გაიცნო, მაგრამ მანამდე მას, როგორც ნიჭიერ მოქანდაკეს ასე იცნობდა, ეხლა როგორც მწერალი წარსდგა. ეს კულტურათა კონტექსტია, რომელიც მუდმივ ფასეულობათა „გადარჩენას“, მათზე მკითხველთან ხმამაღალ საუბარს გულისხმობს.

„თუ ცხოველები არ გიყვარს, თუ არასოდეს გაგიღია მათთვის გულის კარები, ეს წიგნი გვერდზე გადადევ და სხვა წაიკითხე“, (პაპაშვილები გიორგი და ელენე, (1971): დღესაც მელოდება. გამომც. ნაკადული. თბილისი)-ამ სიტყვებით იწყება ნაწარმოები და ერთი შეხედვით, თითქოს არჩევანის უფლებას გიტოვებს, არადა,

იზდნად საინტერესოდ და მხატვრული ოსტატობით გთავაზობს, რომ „გვერდზე გადადე“ არ ხერხდება“.

პაპაშვილის ერთი ნამუშევრის, ამჯერად ქანდაკების შესახებ: „სიევასტოპოლი“-ასე დასათაურებული იგი. ალყაში მოქცეულთა შორის შიმშილობა რომ ჩამოვარდა, წმ. ბერნარის ძაღლი ჩვილ ბავშვსაც კვებავდა და თავის ლეკვებსაც. ასე მან ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა. ხელოვნებათმცოდნის (ჩარლზ ჰ. მულენბერგი უმცროსი) თვალსაზრისით, „კომპოზიციური თვალსაზრისით, სიმბოლური თემა სწორკუთხა სამკუთხედის ფორმაშია შესრულებული. ძაღლი მუდომარე პოზიციაშია, ერთ მხარეს ჩვილი ბავშვი ჰყავს, მეორე მხარეს კი - ლეკვი. ძაღლს თავი აწეული აქვს და ყბუის. ეს ყბუილი კაცობრიობის არაადამიანურობის პროტესტის ნიშანია. ქანდაკება კუპერსბურგის გრანიტით არის შესრულებული. პირველად აქ გამოიყენა გ. პაპაშვილმა შუალედური ესკიზი - კონტრასტი გამრიალებულ და ტექსტურირებულ ქვას შორის“ (თარგმ. ლ. ეამურაშვილისა) (Papashvili George, Sculptor, (1979): A Retrospective catalogue with an introduction by Charles H. Muhlenberg and notes by Helen Papashvili)

კიდევ ერთი კონტრასტი - მშვიდობისა და ომის კონტრასტი! როგორი სურათი უნდა შეთავაზოს მწერალმა მკითხველს რომ არ გააუბრალოს, ამასთან, შთაბეჭდავი გახადოს სათქმელი. ერთი სურათი: ცხენები - „თავადერილები, ამაყად რომ მიწავერდობდნენ;“ მეორე - ბრძოლის ველზე „მეორე წუთში დაგლეჯილები და დასისხლიანებულები ეყარნენ მიწაზე“.

„მე რომ დავიბადე, ოჯახში დედაჩემისა და მამაჩემის გარდა, ცხვრის ძაღლიც დამხვდა, სახელად ბუცა. როცა თავს უბედურება დაგვატყდა და დედა გარდამეცვალა (მე სახეც კი აღარ მახსოვს მისი), ბუცამ დედის მაგივრობა გამიწია. ძილის დროს გვერდით მეჯდა და მდარაჯობდა. რომ გავიღვიძებდი და ტირილს მხოვრთავდი, მინდორში გაეარდებოდა და მამაჩემს მოიყვანდა ხოლმე. ფეხი რომ ავიდგი, ტყეში და ტბაზე არ მიშვებდა, მიცავდა ცხენის წიხლისაგან, ფუტკრის ნესტრისაგან და საერთოდ, ყველა იმ საფრთხისაგან, უპატრონოდ დარჩენილ ბავშვს რომ ეშუქრება“. ასე ვეცნობით გმირს; უფრო სწორად, მისი ბავშვობის დღეებს. რაა ეს? ნატურალიზმი - თხრობის ფორმა, რეალობა - რაც ნამდვილობის განცდას ტოვებს თუ ფაქტი - ესაა მისი ცხოვრება. ხაზს გავუსვამ, ესაა მისი გარემო. ვებ, უმთავრესი ამ ნაწარმოებში სწორედაც ეს იყოს: საკუთარი თავის პოვნა ამ სამყაროში! ბუნების იდილია, ოჯახური ჰარმონია, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო... მხატვრული შესაძლებლობები: სივრცის მოდიფიცირება, ანუ არ აქვს მნიშვნელობა, სად ხდება მოქმედება: „აქ“ (სამშობლოში), თუ „იქ“ (ახალ ქვეყანაში). ეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ე.ი. არც დროს აქვს გადაშეწყვეტი მნიშვნელობა. აქ მოთხრობილია, როგორ ცხოვრობენ ადამიანები ჰარმონიულად სამყაროში და არა - „ცხოველთა სამყაროს“ ჩვენება.

როცა პატარა ხარ, შენს გარშემო ყველაფერი დიდი გეჩვენება: გოლიათია ბუცაც, თავისი გრძელი კუდით, უძირო და ღრმაა მდინარე, თვალუწყვედნად ვრცელია მინდორი... მერე ყველაფერი დაპატარავდება; არა, კი არ დაპატარავდება, ჩვეულებრივი, „თავისი“ ზომისა ხდება. მხატვრულ ქარგაშია მოქცეული სათქმელი: დასაწყისში ლეკვებად, ბელეებად, კვიცებად დაბატული პერსონაჟები ძაღლებად, დათვებად, ცხენებად იქცევიან; ადამიანების უახლოეს მეგობრებად ან ისეთ ყოველდღიურ თანამხლებლებად, რომ მათი სიკვდილი ლამის ოჯახის წევრის დაკარგვას უტოლდება. მოზრდილებისთვის ეს გასაგებია, მაგრამ როცა ყმაწვილებისთვის ხდება ასახსნელი, მწერალი მშვიდად განმარტავს:



.. ჩვენდენს... ვერც ერთი ცხოველი ვერა ცოცხლობს.

- რატომ?

- რა ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ მივხვდეთ, რა მოკლეა ეს წუთისოფელი”.

შხატვრულ ნაწარმოებში ყოველ სიმბოლოს თავისი დატვირთვა გააჩნია. პოლიტიკური სიმბოლოა კანონიერების, შემართული მუშტი - პროტესტისა და დაუმორჩილებლობის, ფუტკარი - ნაყოფიერი შრომისა... აქ ძია გიორგის „დახილზე ჩიტები ხეებიდან წამოიშლებოდნენ ხოლმე, მულა სოროდან გამოძვრებოდა, ფურ-ირქს თავისი ნუკრი მიჰყავდა მასთან, ესამოვნება; ბებერი ქაროყლაპა ბორცვის ფსკერიდან ამოყვინთავდა და ძია გიორგიც თავისი ხელით აჰმევედა ხოლმე ყველს... გარეული ტახებიც კი პატივს სცემდნენ; ისე ჩაუვლიდნენ გვერდით, ვითომ ვერც დაინახესო... ასეთი კაცი იყო ზიძაჩემი“; და პარალელი, თავად პატარა გმირი? მას როგორ „ესმის“ დედაბუნების: „მთელ ტყეს ეღვიძა - გუგულები რაღაცა გაიძახოდნენ, ოფოფები ჭორაობდნენ, კურდღლები კი ერთი ბუჩქიდან მეორეში გადაბზოდნენ და ახალ ამბავს ავრცელებდნენ. მაღალ კლდეებზე ჯიხვები გადმობდგარიყვნენ და გვიყურებდნენ. მე კი ამაყად მივაბიჯებდი და გვერდით ჩემი პატარა დათვის ხელი მომდედა“. სიმბოლოებზე და იგავურ ენაზე ვსაუბრობდი. სრული ჰარმონია რეალურ ცხოვრებაში ბნელად მისაღწევია, მაგრამ დასაწყურად (მკითხველისათვის დამაჯერებლად), უთუოდ სერიოზული სათქმელი./

ზიქუნას საყვარელი ლექვი (ბასარა) მოუკვდება. ინაღლებს, მარტოდაჩენილია, მაგრამ ერთგულ მეგობარს ვერავის ჩაანაცვლებს, მის ადგილს ასე იოლად სხვა ვერავინ დაიჭერს, მაგრამ... და აი, ეს „მაგრაშა“ საინტერესო... „მაგრამ სახლში სულიერი ხომ უნდა ყოფილიყო. სიკარიელე კედლებს ეხეთქებოდა და სიჩუმე იქაურობას იკლებდა“; ანუ, მხოლოდ ადამიანების ყოფნა არაა საკმარისი, მაპირისპირებული კავშირის („მაგრამ“) გამოყენებით, ავტორი კონტრასტის ეფექტს ქმნის.. უზომი კამეჩებიცაა, კვიცი-შალა, ბებერი ღერდები ბატი და მანის, მეგობარია საჭირო. ზიძია გიორგის საადდგომო საჩუქარი ისევეა „ჩაწერილი“ ბუნებაში, როგორც ნახატში - ყველას თავისი ადგილი რომ აქვს მიჩენილი. ამონარიდი: „ძია გიორგიმ ნაჩუქარი ცხოველი ხელეში ჩამიწვინა. მისი გულის ცემა ვიგრძენი, მრგვალ შავ დრუნჩასა და პაწაწა ყურებზე მოვეფერე. შემდეგ კი ბანჯგელიან ტანზე გადავუსვი ხელი. მან ლურჯად დანისლული თვალები გაახილა, დაამთქნარა, საზამთროს გულივით წითელი ენა გამოგვიყო, დააცემინა და კვლავ დაიძინა“.

გზა შინისაკენ. გზა დათვის ბელთან ერთად... სოფელ კომიანთკარში კი დრო ჩვეულებრივად მიდის. ამას ოკუნანს იქით მყოფი მკითხველი „ჩვეულებრივად“ კითხულობს. კარგად დაწერილ ლიტერატურულ ტექსტს, თუნდაც განსხვავებული სოციალური თუ ე.წ. ტრადიციული მოცემულობებით განპირობებულს, საერთო სიერცის განსაზღვრა შეუძლია.

„ომი რომ დამთავრდა, ნიუ-იორკში ჩამოვედი“.- ამ სიტყვებით დაიწყება ნაწარმოების ერთ-ერთი თავი. როგორც იტყვიან, აქედან უკვე უცხოეთია. სხვა ქვეყანაში დაიწყო ცხოვრება, ცოლიც მოიყვანა, ოჯახი შექმნა. „ათასგვარი ფათერაკი გადამხდაო თავს“-კი იტყვის გმირი, მაგრამ ამ ფათერაკებზე არაფერს მოყვება. განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდება: დიდი ქალაქები მაღალსართულიანი სახლებით და პაწაწინა სკვერებით ცხოველებს ვერ იგულებდა. ისეთი ადგილის შერჩევა გახდა საჭირო, სადაც „სამყაროს იდილია“ აღდგებოდა. ნაწარმოებში კიდევ ერთი პერსონაჟი, გიორგი პაპაშვილის ნაწარმოებების „უცვლელი პერსონაჟი“ ჩნდება-ელენე: ცოლი და მეგობარი. რა ამბავსაც არ უნდა ჰყვებოდეს, მას ყოველთვის თავისი შხატვრული ფუნქცია აქვს. ნაწარმოების გარკვეულ

ეპიზოდებში თავად ავტორის მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული დეტალები აღდგება. ასე მაგალითად, გმირი ჰყვება, თუ როგორ უამბობდა თავის მეუღლეს თავსგადამხდარ ფათერაკებს და ეს ქალბატონი როგორ იწერდა ამ ყველაფერს. მოთხრობილი ამბები წიგნად შეიკრა. „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ წიგნს დიდი წარმატება ექნებოდა,“-შეაფასებს თავად. მართალია, ოდნავ ირონიზირებულიც კია მიზეზი: „წიგნში მოხსენიებული ყოველი ჩემი მეგობარიც იყიდა თითო ცალს, რომ თავისი სახელი ქალაქზე დაბეჭდილი ენახა და სახსოვრად შეენახა“. ეს იმ გრანდიოზული წარმატების ე.წ. „შესასულბუქებლად“ სჭირდება, რის თქმასაც აპირებს: „ყოველთვიური წიგნის კლუბი“ მათ წიგნს მიიღებს. იქვე დამატებითი განმარტებაც: „ყოველთვიური წიგნი“ დიდი ამერიკული კლუბია“. ეს კონკრეტული ფაქტი და შემდეგ დღის ის განრიგი, რომელიც ძალიან ჰგავს მწერალ გიორგი პაპაშვილის ლიტერატურულ თავგადასავალს: „მომდევნო კვირებში ცხოვრება მთლად შეიცვალა... ტელეფონი შეუსვენებლოვ წყრიალბდა. საფოსტო ყუთში წერილები აღარ ეტეოდა. მე ყველაფერი მიხაროდა... ხან უამრავი ქალბატონი მოდიოდა და ინტერვიუს იღებდა ჩვენგან, ხან ჩვენ მოვდიოდით სხვაგან, წიგნებზე ავტოგრაფებს ვაწერდით...“ ამას მოგზაურობა და ლექციების კითხვა მოჰყვა და ერთი საინტერესო შტრიხი შეემატა წიგნის გმირების სახეს – ისინი ინტელექტუალები არიან.

მათი ნააზრევი უზარმაზარი ქვეყნის მკითხველებისთვის ისეთივე საინტერესოა, როგორც მათი ყოველდღიური, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული ცხოვრება. ვფიქრობ, სწორედ ესაა „კონტექსტი“.

„პაპაშვილების ოჯახი პენსილვანიამი ცხოვრობდა. ეზო ჰქონდათ მაგათ: უკან-ბაღი, რაღაცეები. ქვები, დიდი ქვები. გამოხატულებით ზედა: დათვი, სელაპი... სპეციალურ ქვას ნახულობდა, ყიდულობდა და მოჰქონდა. მაგან (პაპაშვილმა-რ.წ.) ბერე გააკეთა დიდი გამოფენა,“- ამას მ-ნი ალექსანდრე ფუტკარაძე ჩემთან საუბარში გაიხსენებს (ის ამერიკაში მცხოვრები ერთ-ერთი უზუტუცი ემიგრანტი ქართველია, რომელსაც პაპაშვილის ოჯახთან და ჰოლივუდთანაც საინტერესო ურთიერთობა ჰქონდა) [ნიშნაძე, 2008].

არ ვიცი, რამდენად ზუსტად მიეუხედი, მაგრამ სწორედაც „Thanks To Noah“ – „მადლობა ნოეს“ – ამ მოაზროვნე და სიყვარულით სავსე სამყაროს (კაცობრიობის) გადარჩენისთვის! ეს წიგნი „უნებურად“ ასწავლის მკითხველს სიკეთეს – ნათელ, ლამაზ სიცივლესაც. აჩვენებს და ამ „ჩვენებისას“ ასწავლის კიდევ.

კაცობრიობისათვის ბიბლიური ნოე სხვა კულტურული კონტექსტია. ისევ ნაწარმოებს დავუბრუნდეთ. რომანში დახატულ გარემოს „შემო-ემატებიან“ცხოველებიც, თავიანთი საკუთარი სახელებითა და თავგადასავლებით. ისინი პატრონებს არც „გასართობად“ სჭირდებათ და არც იმისთვის, რომ ადამი-ანებს დაამსგავსონ. ერთი კომენტარი: „არ მიყვარს ფაქტიანი, საწვიმრიანი და სვი-ტრიანი ძაღლები... წარმოიდგინე, კალოშებიან ძაღლებსაც შევხვედრივარ“. ამ ურთიერთობებში მოვალეობაც იგულისხმება და ვალდებულებაც. ძაღლი სახლს დარაჯობს, მტერს აფრთხობს, საქონელს თვალყურს ადევნებს; ადამიანი – პატრონობს: აკმუვს, უფლის და როცა ამის საჭიროება დგება, ზეითალთანაც მიჰყავს და წამლებს ყიდულობს. სოფელში ცხოვრობენ ე.ი. სოფლის მეურნეობაშიც უნდა ჩაერთონ. აი, ეს „მეურნეობა დიდი ხათაბალა რამაა,“- ფიქრობს გმირი. მინდვრების წყლისაგან დაწრეტა, წყლის მიღების გაყვანა, იონჯას დათესვა, თივის მწების დადგმა... ეს ყოველდღიური ცხოვრებაა.

როგორ გგონიათ, ცხოველებს ფიქრი შეუძლიათ? მათ მეხსიერება (და არა დამახსოვრების უნარი) აქვთ? მოგონების შენახვა შეუძლიათ? „გაუმხელელი საიდუმლო“ ასე ჰქვია თავს, რომელიც ერთ უჩვეულო ამბავს გვიამბობს. ძაღლისა და ბატონის მეგობრობა წლების შემდეგაც ადამიანებისთვის უენაურად, მაგრამ მწერლისთვის სწორედაც ლოგიკურად რომ შედგება: „ღობის ზოლოს, სადაც ჩემი მიწა მეზობლისას ემიჯნებოდა, ჩვენი ბატონი დავინახეთ. იგი ცოტაზე ჩამორჩენოდა ფარას და ბალახობდა. მელაკუდა – ძაღლმა ერთხელ დაიყვია. ცხვარმა ზევით აიხედა, ღობეს მოადგა და თავი შემოჰკყო. მათ ცხვირი ცხვირზე მიადეს ერთმანეთს და რამდენიმე წუთს უხმოდ იდგნენ. შემდეგ ცხვარი კვლავ სამყურას მიუბრუნდა, მელა-ძაღლი კი მე გამომყვა.“ გმირი დაფიქრდება და მასთან ერთად, მკითხველიც: „ნეტა იმ დროს რა იგრძნეს... იქნებ ის სუსხიანი რიყრაყები გაიხსენეს, მკვირცხლი ფეხებით დათრთვილულ ბალახებს რომ თვლავდნენ; ან იქნებ იმ ბედნიერ დღეებს იგონებდნენ, ბაღში მწიფე ვაშლებს რომ სტაცებდნენ ერთმანეთს და ზურთბივით აგორავებდნენ. ან, ვინ იცის, კვლავ განიცადეს ახალ თივანში თვლებისა და გამოღვიძების სიტკბო და ნეტარება...“ ამგვარი განცდების უნარი მხოლოდ ადამიანებს აქვთ და ვგონებ, არა ყოველ სულიერს; მაშ, რის თქმა სურს დამწერს? შორიულად: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო, უასაკოთაც და უსულთ შორის“ [ზარათაშვილი, 1978]. ეგებ, ხელოვნური პარალელია, რა ვიცი, კითხვისას სწორედ ის გამახსენდა... აკი თავსაც ასე ჰქვია: „გაუმხელელი საიდუმლო.“

ბარ-ირემი, შემთხვევით შემოხეტებული ენოტი, „საჩუქარი“ – სპილო, ცნობისმოყვარე ლეკვები, როცა „რძიან ვარცლს ოცი აპრეხილი კუდი უვლიდა ირგვლივ, ოცი ვარდისფერი ენა... ხმამაღლა სვლუბდა რძეს;“ მომეღელმა მათი ჯიშისა და ჯილაგის ყველა დამახასიათებელი ქცევა, თვისება უნდა იცოდეს: როდის აიყვანოს გასაზრდელად, ვისგან უნდა მოისმინოს პირველი ბრძანება, პირველი შექება, თავისი პატრონის „სუნსა და ხელს უნდა შეეჩვიოს“. ცხოველის (ძაღლის) გაწვრთნა რომ ჩვეულებრივი ამბავია, ეს ყველამ იცის, მაგრამ მწერალი იმგვარი კუთხით, იუმორით და სიღალით „დაასაბუთებს“ სრულიად საპირისპიროს, რომ თვალეზში ღიმილჩამდგარი მკითხველი ეგებ, დაეთანხმოს კიდევ. –ადექი, დაჯექი, ჯოხი მოიტანე – საწვრთნელი სკოლის ერთი აუცილებელი გაკვეთილთაგანი, მაგრამ სწორედ ეს არ მოსწონს. დირექტორის გაკვირვებას იწვევს, რატომ არ უნდა უნდოდეს პატრონს „დამჯერი ძაღლი“?!

ფრაგმენტი რომანიდან:

კი მაგრამ, არ გინდათ, რომ თქვენი ძაღლი გიჯერებდეთ?

გააჩნია, როდის. ვთქვათ, მან დაამთავრა თქვენი სკოლა და ჩვენ, ჩემმა ძაღლმა და მე, ტყეში გავისიერნეთ. უცებ ბურქებიდან ფაჩუნი მოგვესმა. ძაღლმა ყურები დაცქვიტა და ბურქისაკენ გაიწია.

მოიცა! –ვეუბნები მე, –ეს ხომ ციყვია, დაჯექი! –ძაღლს თავისი დიპლომი ახსენდება და ჯდება. მე კი შემჰამენ.

შეგჰამენ?!

დიახ! ბურქებში განა მართლა ციყვი ფაჩუნებდა, მგელი იყო ჩასაფრებული. მგელი?!

- დიახ, მგელი! მე ახლა შეკდარი ვარ და ახია ჩემზე, რადგან ძაღლის საქმეში ჩაეყავი ცხვირი. ძაღლმა არ უნდა მკითხოს, ვის ვირჩევ პრეზიდენტად, მე კი არ უნდა ვასწავლო ციყვისა და მგლის გარჩევა. კაცს სხვანაირი ტვინი აქვს, ძაღლს სხვანაირი და ერთმაც თავისი საქმე უნდა იცოდეს და მეორეცა.“

გიორგი პაპაშვილის პერსონაჟებს ქართული სახელები ჰქვიათ: ქედანა, მურა, კიტრა... ბავშვობაში, იქ, საქართველოში გაგონილი და მახსოვრებაში ზღაპრის გმირებთან ერთად დამახსოვრებული საკუთარი სახელები „აქ“ გადმოიტანა. ხაზი არ წყდება წარსულსა და აწმყოს შორის; არც „იქ“ და „აქ“ არის გამიჯნული. თავადაც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს: „ქარგი სახელის შერჩევა ადვილი საქმე არ არის. ისეთი უნდა იყოს, რომ რაღაცას ნიშნავდეს, ლეკვს უხდებოდეს და დასამახებლადაც კარგი იყოს.“ ამიტომაცაა, როცა ძალის ლეკვებს ახალ პატრონებს აძლევს, მას სთხოვენ: „რაიმე ქართული სახელი შეგვირჩიო.“ ნუ დაგვაიწყებდა, ამერიკელი მკითხველისათვის მუდმივად (სხვადასხვა კონტექსტში) ქართულის (საქართველოს) შეხსენება ვეიქრობ, სრულიადაც არაა შემთხვევითი. ერთი მაგალითი: „მძინარე ლეკვები ხელში ავიყვანე. ორივე დედასავით ოქროსფერი იყო, მაგრამ გოგონას ქედანას ხალები გამოჰყოლოდა, თითქოს ტრაფარეტით გადმოუტანიათო, ბიჭუნა კი ალი-კვალი მურა იყო სახით.

„არ დამივიწყო“,- გადაეწყვიტე ბოლოს, ტუ ლეკვს შემოკლებით არდას დავარქმეე, ამ პატარა აბეზარას კი, ფარდაგების საგლეჯად და ძილის დასაფრთხობად რომ ვიტოვებთ, „აქავარ“ დაეუძახოთ.

ელენემ ორივე სახელი გაიმეორა. ორივე შესანიშნავად ქლერდა. მერე მნიშვნელობა მკითხა და ეუთარგმნე.“

რასაკვირველია, უსარგებლო საქმეა ყველაფერში სიმბოლოებისა და ქვეტექსტების ძებნა; მაგრამ გიორგი პაპაშვილის ნაწარმოების მთავარ გმირს დასასრულ, ორი საქმე აქვს მოსაგვარებელი: პირველი – ლეკვის გაჩუქება (ფრანკენფილდებისათვის) და მეორე – ქანდაკების გაკეთება („ხედნიერი დედის“ – ამ ლამაზი, ბუთხუზა ლეკვების დედის დიდი ლოდისაგან გამოთლა).

მშვენიერი დასასრული მარადიულ დროზე – სიმშვიდის, ჰარმონიის, ბედნიერების, გამრავლების ნიშანი; ასევე, გაჩერებული დროც (ქანდაკება).

#### ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ნიკოლოზ. 1978. ლექსები. გამომც. „მერანი“. თბილისი
2. კობახიძე გივი. 1993. ბუნების მეტრფე. გაზ. „თბილისი“ №20 (11721) თბილისი
3. ნიშნიანიძე რუსუდანი. 2008. შეხვედრები. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი
4. პაპაშვილები გიორგი და ელენე. 1971. დღესაც მელოდება. გამომც. „ნაკადული“ თბილისი
5. Papashvili George, Sculptor. 1979. A retrospective catalogue with an introduction by Charles H. Muhlenberg and notes by Helen Papashvili

**Rusudan Nishnianidze**

#### **Concept Art of literary Text and geographical space**

#### **Abstract**

The author of the American bestseller „Anything Can Happen“ was a famous Georgian -American writer (and sculptor) George (Giorgi) Papashvili. This book was co-selected for the Book of the Month Club and was a best-seller, selling more than 600.000 copies in the USA and 1.5 million worldwide. It was translated into 15 foreign languages. In 1952 the American director George Sinton made a film based on this book.

The novel was published in Georgia in 1966 with a slightly different title “The Country, Where Anything Can Happen”. It was translated from English by Andukapar Cheishvili. The space is defined to one country in the translation. The assumption gives the possibility of several suppositions: a man, born in Kobiantkari, Georgia, might found himself in a foreign country and make his future good. The action happens in America. The book is an unusual way of contact on the one hand with your own self and on the other with the outside world. The main character tells his own adventure in an interest way and with a sense of humor. He do not need to invent an antagonist, he composes as he

sexes. The chapters were often written with such mood as „Calling of the Earth” (here’s the parallel with Mikheil Javakhisvili’s “Calling of the Earth”).

Papashvili co-wrote with his wife also „Yes and No Stories” – A book of Georgian Folk Tales (1946), „Dogs and People” (1954), „Thanks to Noah” (1956), „Home and Home Again” (1973) and others.

The first work of his group of sculpture expressing social concern is entitled Sevastopol. The subject is the St. Bernard bitch who, during the siege when starvation was rife, nursed a baby and her own pups, saving the baby’s life.

A great many significant reviews were published about the books and works Papashvili in the American literary and art criticism. The important literary fact keeps the possibility of large-scale view and comprehension of the certain context.

**ТАТЬЯНА ОВСИЕНКО**

Педагогический институт ЮФУ, Россия

## **НАЦИОНАЛЬНО-КУЛЬТУРНЫЕ ОСОБЕННОСТИ РЕЧЕВОГО ПОВЕДЕНИЯ АВТОРОВ ДЕТЕКТИВОВ**

Изучению отражения национальной специфики в языке, речевой деятельности и речевого поведении уделяется в настоящее время значительное внимание.

Язык как один из признаков национальной общности отражает национальную культуру того или иного народа, т.е. обладает национально-культурной спецификой.

*Цель настоящей статьи* – рассмотреть национально-культурные особенности речевого поведения авторов детективов.

Вне всяких сомнений в структуре национального языка и в речевом поведении его носителей проявляется своеобразие мышления, психики и национальной культуры. Национальная культура, социальное поведение и мышление, как известно, не существуют без языка и вне языка. Являясь средством человеческой коммуникации и потому социальным и национальным по своей природе, язык несёт на себе отпечатки особенностей мировоззрения, этических и культурных ценностей, а также норм поведения, характерных для данного языкового сообщества.

Всё, что окружает человека с его рождения, не просто отражается в языке, а формирует лингвокультуру его носителя и определяет национально-культурную специфику его речевого поведения, потому что каждый язык представляет свой собственный способ мышления и восприятия [Гумбольдт, 1985: 349].

У каждого народа, у каждой нации есть свой национальный дух, и у разных народов сила их национальных духов различна. Разница в степени силы национального духа наций объясняет различие национальных языков и культур. Совокупность таких качеств, как духовная и интеллектуальная самобытность народа, его душевная настроенность и мирозерцание придают языку специфичную окраску и определяют его национальный характер [Гумбольдт: там же]. Одним из основных признаков нации, ее национального характера, наряду с экономическим, территориальным, этническим, психологическим признаками, является языковой признак [Швейцер, Никольский, 1978: 29].

Национальный характер и национальная культура выражены в языке посредством особого видения мира [Маслова, 2004: 59; Смотров, 2003: 32]. Поэтому о каждой нации существуют определенные представления, относящиеся к национальному характеру. Эти национальные черты обнаруживаются в ключевых словах, которые существуют в каждой культуре [Теслец, 2001: 503]. Для того чтобы признать то или иное слово ключевым словом культуры, нужно, чтобы оно было общеупотребительным, частотным, входило в состав фразеологизмов, пословиц, поговорок.

Отсюда следует, что по языку можно делать вывод о внутреннем мире людей, принадлежащих к какой-либо нации. Так, например, особенности русского национального характера раскрываются и отражаются в таких понятиях русской культуры, как «душа»,

«судьба», «тоска» [Вембишова, 1997:33], и проявляются в таких признаках русского национального характера, как: эмоциональность, иррациональность, склонность к фатализму и категоричность по отношению к моральным суждениям [там же: 35]. Ключевыми словами для немцев являются – «внимание, порядок, точность», для русских – «коллективизм, открытость, эмоциональность» [Маслова, 2004:63]. Коммуникабельность, искренности в общении, эмоциональность общения, приоритетность «разговора по душам» перед другими видами общения – типичные черты, отличающие русское коммуникативное поведение от западноевропейского [Стернин, 1994: 27]. По набору ключевых слов можно судить об особенностях речевого поведения представителей определенной нации.

Принадлежность отправителя текста к определенной национальной культуре проявляется в национально-культурной специфике его речевого поведения. Особенности речевого поведения материализуются в лексике и в грамматике, а также выражаются в некоторых особенностях нормативно-стилистического уклада языка. Один и тот же объект реальности имеет разное понятийное содержание и формальное выражение в разных языках [Мечковская, 2000:59]. Речевое поведение человека в той или иной роли определено культурными традициями общества.

Существует много примеров национальной специфики речевого поведения разных народов в коммуникативных ситуациях. Эта специфика выявляется в том, что стилистические средства, имеющие стилистическую маркированность, в разных культурах могут быть связаны с нетождественными коммуникативными ситуациями, с различными стереотипами поведения.

Национальные стереотипы речевого поведения актуализируются в выборе грамматических средств и обусловлены существованием национальных семантических форм мышления. Национальные особенности могут быть выявлены при сопоставлении текстов, одинаковых по содержанию, но разных по грамматическому оформлению, соответствующему национальному языку.

Носители одного языка неосознанно выбирают определенные грамматические категории, присущие большинству представителей данной нации в определенных условиях общения, а представители другой нации при тех же условиях общения и для выражения того же смыслового содержания могут неосознанно выбирать другие или такие же грамматические категории, в связи с различием в социальном речевом опыте разных культур. Следовательно, по частоте выбора различных или схожих грамматических элементов в речевом поведении авторов разных национальных культур можно говорить о различном речевом опыте соответствующих национальных сообществ, что отражает национально-культурную специфику речевого поведения представителей национальных языков.

Современный литературный мир характеризуется большим количеством детективных произведений. На сегодняшний день «детектив» – один из популярных литературных жанров. Причина популярности детектива заключается в том, что человеку свойственно любопытство, сильное стремление к разгадке тайны, которая является основой сюжета детективного произведения.

Детектив дает психологическую разрядку, интеллектуальный отдых. Читатель, становясь на место героя, проникается его уверенностью в своих силах, его способностью в одиночку отстоять справедливость, раскрывает всевозможные тайны, распутывает сложнейшие преступления. Основное достоинство детективного романа заключается в присутствии в нём новой, достаточно сложной и увлекательной загадки, раскрытие которой и является главной движущей силой развития детективного сюжета.

Стиль группы писателей, представляющих жанр детектива, индивидуален, так как в нем осуществляется индивидуальный выбор существующих средств языка, индивидуальный отбор разных единиц и стилей языка, индивидуальные приемы функционального преобразования языковых единиц. На индивидуальный стиль накладывают отпечаток черты людей, особенности в развитии, связанные с течением их жизни, и конечно, национальность.

В рамках скрытой прагмалингвистики нами был проведен объективный прагмалингвистический эксперимент по обнаружению и количественному подсчету выбора речевых сигналов речевых стратегий скрытого воздействия отправителя текста на получателя. Методика проведения эксперимента разработана и совершенствуется научной школой проф. Г.Г. Матвеевой (1993). Привычный выбор автором текста речевых сигналов прагматических категорий обладает диагностирующей силой и позволяет описать некоторые индивидуальные качества личности автора.

Для проведения эксперимента нами были подобраны тексты детективов немецкоговорящих и русскоговорящих авторов. Методом сплошной выборки рассматривались монологи авторов, являющихся нашими современниками и относящихся к одной возрастной группе.

Исследование текстов русскоговорящих и немецкоговорящих авторов детективных произведений показало зависимость речевого поведения представителей данной профессиональной группы от национально-культурной принадлежности. Русские авторы предпочитают выбор сигналов плана категорического утверждения (49,3%). Частое использование сигналов плана категорического утверждения указывает на уверенность и связанные с ней такие качества, как: убежденность, оптимизм, решительность и др. Немецкие авторы чаще выбирают сигналы плана некатегорического утверждения (63,6%). Речевой план категорического утверждения соотносится с уверенным речевым поведением отправителя текста, а речевой план некатегорического утверждения – с неуверенным речевым поведением. Неуверенное речевое поведение авторов связано, прежде всего, с осторожными высказываниями, характеризующимися сдержанностью при написании детективов. Причинами использования авторами некатегорического высказывания могут являться раздумье, размышление, сдержанность, умеренность в суждении.

Национальная специфика речевого поведения авторов детективов проявилась в разной степени в эмоциональной направленности речи. Русские авторы в текстах детективов демонстрируют проявление высокой эмоциональности в речевом поведении, а немецкоговорящие авторы данного жанра склонны к спокойным и сдержанным высказываниям.

Сравнительный анализ речевого поведения разных языковых групп свидетельствует о различии черт, присущих представителям той или национальной общности. Описанные результаты исследования позволяют говорить о том, что русским авторам детективов свойственны уверенность, категоричность, активность, эмоциональность, общительность. Немцев-авторов детективов можно характеризовать как сдержанных, осторожных, объективных, спокойных людей.

#### Литература:

1. Большая Российская Энциклопедия – [Электронный ресурс]. Режим доступа: [http://slovari.vander.ru/dicv/ol\\_social/article/2051205\\_1286.htm](http://slovari.vander.ru/dicv/ol_social/article/2051205_1286.htm)
2. Вежицкая А.(1997): Русский язык. // Язык. Культура. Познание. Русские словари. Москва. С. 33-88.
3. Гумбольдт В.(1985): Язык и философия культуры. Прогресс. Москва.
4. Маслова В.А.(2004): Лингвокультурология. ИЦ «Академия». Москва.
5. Матвеева Г.Г.(1993): Скрытые грамматические значения и идентификация социального лица («портрета») говорящего. Дис. ... докт. филол. наук. Санкт-Петербург.
6. Мечковская Н.Б.(2000): Социальная лингвистика. Аспект Пресс. Москва.
7. Недосугова А.Б.(2003): Лингвокультурологическое описание национальной личности в русском и японском языках. Автореф. дис. ... канд. филол. наук. Москва.
8. Смотрова Т.Г.(2003): Языковая картина мира и текст // Текст в системе высшего профессионального образования: материалы I международной конференции. Изд-во Таганрог. гос. пед. ин-та. Таганрог. С. 31-33.
9. Стернин И.А.(1994): О некоторых особенностях русского общения// Культура общения и ее формирование. Вып.1. Изд-во ВГТУ. Воронеж. С. 27
10. Тесляк Я.Г.(2001): Введение в общий синтаксис. Издательство Росийск. гос. гуманит. ун-та. Москва.
11. Фирсова Е.В.(2003): Национально-культурная специфика речевого поведения русских и немецких авторов: синтактико-прагматический аспект. Дис. ... канд. филол. наук. Ростов-на-Дону.
12. Швейцер А.Я., Никольский Л.Б.(1978): Введение в социалингвистику. Высш. Школа. Москва.

**ნიკო ოთინაშვილი, ირმა გურასპაშვილი**  
**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ზემო ქართლის ტოპონიმური ლექსიკა**

ტოპონიმური ლექსიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორია-არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ჩვენი ისტორიის სრულყოფილად შესაგნობად.

ზემო ქართლი, ისტორიული „ზენა სოფელი“, მდარან-დეალეთი, დღევანდელი ჯავის რაიონი, ახალგორისა და ცხინვალის რაიონების მთისწინეთი, რომელიც ზემოხსენებულ რეგიონში შედიოდა, ყოველთვის იქცევადა ყურადღებას მკვლევართა შორის.

დეალეთისა და დიდგორის მხარეს ასეთნაირად აგვიწერს ვახუშტი ბატონიშვილი: „კაცი ჰგონე ვითარცა არაგვისსანი, არამედ ისინი უმჯობესნი, ხოლო რაოდენ ოესნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბართა შინა კაცი შემცირებულან“. იგი კვლავ აღნიშნავს: „არამედ ხევი რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა არს დუალეთისავე, გარნა ვინაითგან მტკიცედ დიპყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ხევად, ვინაითგან არს ხევი შუენიერი, არამე თრუსო კულადა არს დუალეთისავე და ეგრეთ საცნობი ესეცა“ [ზაგრატიონი ვ. 1973:363-369].

რაც შეეხება დიგორის ხეობას, ისიც დეალეთში შედიოდა და მეთვრამეტე საუკუნეში რაჭის საერისთაოს ეკუთვნოდა, რაზეც იოანე ზაგრატიონი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ აღნიშნავს, რომ „რაჭას მიეწერება: დიგორი, ფუმნარა, ოზდანო, ყარაზულაშვილი, აზისალაშვილი, ნარაშვილი, შავიშვილი, თულუნისშვილი და სხვა წერილი სოფლები, რომელიც ამასვე მიეწერებინან“ [ზაგრატიონი ი., 1986:77].

მხარეში მოპოვებული ტოპონიმური ლექსიკა მრავალგვარი წარმოშობისაა, ერთმანეთისაგან არა მარტო შინაარსით, სტრუქტურითაც განსხვავებულია. მთავარი ის არის, რომ ტოპონიმები ქართული წარმოშობისაა და დიდად არ განსხვავდება საერთო ქართველური ყალიბისაგან. ტოპონიმების გარდა ამისი დასტურია ისტორიული წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეპიგრაფია და თვით ხალხური ტრადიცია.

მეთვრამეტე საუკუნის ვითარების ამსახველია იოჰან გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები, რომელიც დიდი და პატარა ლიახვის სათავეებს ქართლის პროვინციებს უწოდებს და აგვიწერს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. იგი წერს: „ჩელიათი დიდი ლიახვის აყოლებით ქართულია. აქ სულ რამდენიმე სოფელია და დაახლოებით 300 ოჯახს შეიცავს. დიდ ლიახვზე ზემოდან ქვემოთ არის: ქართულ-ოსური მხარე სბა, დიდ ლიახვს ზემოთ ქართულ-ოსური მხარე ჯომალი, ქართული მხარე მდარან-დეალეთი [გიულდენშტედტი. 1964:67].

დეალეთისა და დეალების ეთნიკური ვინაობის საკითხი ბევრი დარგის სპეციალისტთა ყურადღებას იწვევს. ზოგი დეალებს ოსებთან აიგივებს, ნაწილი კი მათ ქართველებად თვლის. წყაროებში დეალები და ოსები სხვადასხვა ხალხად იხსენიება და ამიტომ მათი გაიგივება შეუძლებელია. ვახუშტი წერს: „ფაქომის დასავლით არს კასრის ხეობა, რომელი იწოდების აწვა დეალეთად, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა, არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდი კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული რათა არა ვიდოდნენ თვინიერ ოესნი, და არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი“ [ვახუშტი, 1973:114].



როგორც წყაროები გვაუწყებს, ქართველების ბარად ჩამოსახლება თავადების მიერ მოხდა. ამ ტალღას მოჰყვნენ დევლები, ხოლო მათ ადგილზე დამკვიდრებულმა ოსებმა მთისწინეთსა და ბარში გადმოინაცვლეს. ეს პროცესი ბირითადად დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში და ოსები კომპაქტურად ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსულები და ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ მოსულებმა ვერ შეძლეს ტაპონიშთა თავიანთ ყაიდაზე შეცვლა.

ეთნოტაპონიმური დანაშრევი: დვალთა, სადვალო მთა, დვალთა გორა და სხვების წარმომავლობა არ უნდა იწვევდეს დაეჭვების საფუძველს, რადგან დვალები ენობრივად, კულტურულად ქართიზებული იყვნენ. სხვა შემთხვევაში ასეთი გამჭვირვალე ტაპონიმური ლექსიკა, რომელსაც წარმოვადგენთ, ასე მარტივად არ შეიქმნებოდა. ეთნიკურმა პროცესებმა დვალები გადააშენა, მაგრამ დარჩა ენის მაგალითი ტაპონიმები. მაგრამ მოსული უკულტურო ტომი ცდილობს მითვისოს ადგილობრივი დამხედური ტომის სახელწოდება, რამაც შექმნა განსხვავებული ილუზია. ოსთა საქართველოში არსებობა ტაპონიმებით არ დასტურდება და თვით ოსეთის ტაპონიმებიც ვერ ისახება ოსური ენით, თუნდაც იმიტომ, რომ კავკასიონის მთის იქითა ტერიტორიები ქართველთა სამკვიდრო იყო საუკუნეების განმავლობაში.

კომპოზიტ მაღრან-დვალეთის პირველი ნაწილი მაღრანი იგივეა, რაც მაღნარი, ე.ი. მაღალი, მაღლა, ზემოთ მდებარე ადგილი. წერილობით წყაროებში გვხვდება როგორც მაღალი ისე მაღრანი, შედგენილი სახელებში „მოქცევაი ქართლისაში“ არის ასეთი სტრიქონები: „და იყო დღესა ერთსა, ჟამსა ზაფხულისასა, თუესსა ივლისსა კ დღესა მასათსა. აღხდა მეფე და განვიდა ნადირობად მუხრანით კერძო და მოელო სანახაები მუხრანისა და განვიდა მთათა ზედა თხოთისათა მაღნართა რათამცა მოეხილნა ციხეთა დიდთა ასჰად და კასჰად და უფლოსციხედ და განვიდა თხემსა მის მთისასა. და ოდეს დაზნულდა მის ზედა მზე და იქმნა ღამე უკუნი, დაფარნა ბნელჰან არენი და ადგილნი იგინი და დარჩა მეფე მარტო და იარებოდა მთათაზედა მაღნართა შინა შემინებული და შემწრუნებული“ [ძველი ქართული... 1964:135] აქ მაღნარი მაღალი ტყით შემოსილი ადგილია, რომელსაც ანალოგი სხვა მხარეებშიც მოეპოვება. ის გვხვდება ასეთი ფორმითაც – მაღლარი და მაწარმოებელი -არ სუფიქსი იგი ქართული -ელ სუფიქსის მეგრული შესატყვისია. ქართულ წყაროებში დასტურდება -ელ და -არ სუფიქსების ხმარება გვერდი-გვერდ. მაგალითად ტბეთი და მტბევარი. მეათე საუკუნის ცნობილი მოღვაწე დავით ტბელი მოხსენიებულია ტბელადაც და მტბევარადც [კვავლიძე, 1951:159].

როგორც ჩანს, -არ ფორმატიანმა სახელებმა ასახვა ჰპოვა ტაპონიმებშიც.

მხარის ტაპონიმური ლექსიკის გამოვლენა-შესწავლისათვის აუცილებელია ძველი და ახალი ვითარების შედარება, რაც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ მთელი რიგი ფაქტები ისტორიული და ენობრივი თვალსაზრისით.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ დიდი ლიახვის ზემო წელზე ასახელებს: მუგუთს, ჯავას, დვალთა გორას, ქემელთას, როკას, ხოლო რუკაზე დატანილი აქვს: ითრაფისი, გუფთა, ფაწა, ხწვე, პატარა ჯავა, მუგუთი, კომჯა, როკა, მშხლები, ჟბა; (6. 122) [ვახუშტი 1895:122].

ტაპონიშთა წარმოშობა დამოკიდებულია მოსახლეობის მდგომარეობასა და მათი ლექსიკის მრავალფეროვნებაზე. ხსენებული რეგიონის ტაპონიმებში მოცემულია კონკრეტული შინაარსი, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, სადაც აზრი დაკარგულია. ეს გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობით შეცვლით. ჰიდრონიმებსა და ოიკონიმებში ცვლილება თითქმის არ შეიმჩნევა, ისინი ბირითადად მიკროტაპონიმებში გვხვდება. მიუხედავად ამისა, ოსური მიკროტაპონიშთა დარბია და მათი ეტიმოლოგიის ახსნა ადვილია. ისინი ერთფუძიანი სახელებია, ხშირია ამ სახელების გვერდით ქართული შესატყვისების ხმარება. მაგალითად: ბრუტსაბძელი ოსურად გამოითქმის, როგორც

ბურსამეკელი, ზეკარი - ზიკარა, ხევე - ხეწე, როკი - რუკი, მიხანთური - ჩიხანთურა, ელბაქეთი - ელბაჩითა.

გვერდს ვერ ავუვლით მხარის ტოპონიმური ლექსიკის ხალხურ ეტიმოლოგიას, რომელიც მეცნიერულთან მიახლოებულია. მაგალითად: სახელწოდება ჯავა განიზარტება, როგორც მჟავე, რადგან აქ არის მჟავე წყლის სახადო. დაბაში ჩრდილოეთიდან ჩამომავალ პატარა მდინარეს უწოდებენ კადას, რომელიც ნაკადიდან წარმოდგება. იქვე სოფელი მსხლები, სადაც ნამყენი მსხლის დიდი კორომები ყოფილა.

სოფელი კომუკები იმიტომ დაერქვა, რომ ამ ნასოფლარში ათამდე ციხე-კოშკია და სახელიც აქედან წარმოდგა.

ედისის სახელი წარმომდგარა ვეპისიდან. ვეპა ამ მიდამოებში სამკურნალო წყალია და შეცვლილი ფორმით ედისი მიიღება. ოსები ეძახიან ქალაქსაც, რადგან ბევლა დიდი დასახლებული პუნქტი ყოფილა.

ზიკარა ნიშნავს ზემო კარს, რომელიც ჩრდილო კავკასიაში არდონის ხეობაში გასასვლელი უღელტეხილია.

სოფელ წოისში შირი წვიმები იცის და ამიტომ ქართულად ასე დაერქვა.

წყაროებში დასახლებული ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაცია ფაშთა სიავის გამო გამძლეებულია. საველე ძიებამ მაინც გამოიღო მცირე შედეგი.

სოფელი გვერწერი, რომელსაც გიულდენშტედტი აღნიშნავს, მდებარეობდა სოფელ მსხლების ჩრდილოეთით ვაკე ადგილზე, ახლა იქ მხოლოდ საბურეხებია.

დეეის ნამუხლი, მდებარეობდა დიდი ლიახვის სათავეში სოფლების ხომსა და ერმანს შუა, სამხრეთის მხარეზე.

დამწვარა მდებარეობდა ჯავის თავზე ჩრდილოეთის მხარეს.

იბა, სოფელი და მდინარე, სოფელი როკის აღმოსავლეთით. იგი დატანილია 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე.

ამავე რუკაზე დატანილია სოფელი ლიოზიო, რომელიც მდინარე ფაწის აუზში მდებარეობდა.

სოხო და სოხოს ხევი მდებარეობდა მდინარე ფაწის მარჯვენა შენაკადზე. აქვე საკულტო ბეგლი ასომთავრული წარწერებით. ამ სოფელს აწ უკვე ნასოფლარს წყაროების მიხედვით სოხთაც ეწოდება.

სოფელი ბუზალა, მდებარეობს ჯავის პირდაპირ მდინარე ლიახვის მარცხენა მხარეს. სახელი დარქმულია ბუზალაძეების გვარის მიხედვით, რომლებიც გადასახლდნენ ფრონეს ხეობის სოფელ ახალშენში.

დიდი გუფთა, მდებარეობდა ლიახვის მარცხენა მხარეს სადაც არს ციხე-სიმაგრის ნაშთი. ცხოვრობდნენ ტლაშაძეები და საღორაშვილები. გადასახლდნენ გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში და ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისში.

თხელა, ნასოფლარი ცხოვრობდნენ სიმონიშვილები, გადასახლდნენ ფრონეს ხეობის სოფელ ნულში. ამჟამად იწერებიან გამერაშვილებად.

ასეთი ნასოფლარები სამოცე მეტია და მათ ირგვლივ კვლევა გრძელდება.

საინტერესო სურათს იძლევა მხარის ტოპონიმთა სტრუქტურა. მანარმოებლები ქმნიან ქართველურ სისტემას და ბევლ დროშივე გამოუყენებიათ ჩვენს წინაპრებს გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად.

ტოპონიმური ლექსიკის საწარმოებლად გამოყენებულია -ეთ მანარმოებელი: ზამთარ-ეთ-ი, ყორე-ეთ-ი, კობ-ეთ-ი, ტონტომ-ეთ-ი, ტბ-ეთ-ი, მარმაზ-ეთ-ი, უდან-ეთ-ი, მამზი-ეთ-ი, ქაშუ-ეთ-ი, მარალ-ეთ-ი.

-ეთ მაწარმოებელი თავისი ვარიანტებით (თა, ათ, ით) რამდენიმე ტოპონიმის საწარმოებლად გვხვდება: ჩელი-ათ-ი, წ-ით-ი, ქველა-თა, სობ-თა, ჯაეხ-თა, ზოსელ-თა, გულან-თა, ზზი-თა, გუფ-თა, სობ-თა, სია-თა.

-ის სუფიქსიანი: ლეიდ-ის-ი, ითრაფ-ის-ი, ზორგნ-ის-ი, ანძ-ის-ი, გუდ-ის-ი.

-ევ სუფიქსით: ნადარბაზ-ევ-ი, ყორს-ევ-ი, ნაქალაქ-ევ-ი, ორტ-ევ-ი.

-ურ სუფიქსს რამდენიმე ფუნქცია გააჩნია დიალექტში, მაგრამ მხარის ტოპონიმიკურ ლექსიკაში აღნიშნავს კუთვნილებას, მაგალითად: ჟამ-ურ-ი, ინა-ურ-ი, გნას-ურ-ი, ელია-ურ-ი, შიხანთ-ურ-ი, ზაგა-ურ-ი, თედელ-ურ-ი, კახა-ურ-ი.

ზემო ქართლის ტოპონიმიური ლექსიკა, რომელიც აქ წარმოვადგინეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია მოპოვებული მასალიდან, მაგრამ ჩანს, რომ ისინი მაინც ქმნიან ტოპონიმურ სისტემას.

დეალები კომპაქტურად ცხოვრობდნენ როგორც ორი ლიახვის, ისე ლეხურის, თერგის, არაგვის სათავეებში. ტერმინი „დეალი“, ოსურად „თუალი“ ასიმილირებული ფორმით, გაოსებულ დეალთა შემდეგ კი ოს-ირონთა ეთნოსტორიული გჯუფის აღმნიშვნელ ეთნონიმად იქცა დროთა განმავლობაში. დეალთა ვინაობის კვლევის სფეროში ბევრი გაუგებრობაა ოსების შემოსვლის დაძველების ტრადიცია ხელოვნურა და ეს უნდა აღმოიფხვრას.

ეს ზურგს უმაგრებს ოსთა ხანგრძლივი ეტაპობრივი გადმოსახლების ყალბ კონცეფციას. დეალები თითქოსდა ოსთა პირველი ტალღაა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიწა-წყალზე, რაც არასოდეს არსებობდა საქართველოში. დეალების ეთნიკური კუთვნილების საკითხს ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემები ადასტურებს.

დეალეთის ტერიტორიის ტოპონიმიური ლექსიკა, ვიშეორებთ, მხოლოდ ქართული ლექსიკის ნორმებს ექვემდებარება და ოსურთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. ტოპონიმების ფონეტიკური ტრანსფორმაცია შეინიშნება მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან, როცა მოხდა დეალთა ასიმილაცია. ამას სდევდა მიწის მისაკუთრებისათვის ბრძლა და ყაჩაღობაც (ოსიანობა). შექმნილი ვითარება რეალურად შეაფასა გიორგი ბრწყინვალემ და ოსები საქართველოდან მთლიანად გარეკა.

#### ლიტერატურა:

1. ზაგრატიონი იოანე, *ქართლ-კახეთის აღწერა*, „მეცნიერება“ თბ., 1986;
2. ზაგრატიონი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, „მეცნიერება“, თბ., 1973.
3. ზაგრატიონი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, თბილისი, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ. 1941;
4. ვახუშტი ბატონიშვილი, *საქართველოს გეოგრაფია*, წ. II, „ქართლი“, ტფილისი, 1895;
5. ვიულდენბტედტი იოჰან, *მოგზაურობა საქართველოში*, სმპ ჯამ-ი, თბ., 1964.
6. კვეციმიძე კორნელი, *ძველი ქართული მწერლობის ისტორია*, ტ. I, თბ., 1951;
7. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. I, თბილისი, დასაბუქდად შიამადაძეს ილ. ახულაძემ, ნ. ათაბეგოვიძემ., 1964...

Niko Otinashvili, Irma Guraspaashvili

Toponyms of ZemoKartli

Abstract

In the article is analyzed the names of geographical places, called as toponyms. We have selected 300 word and in the article is given its linguistic analyze.

სალომე ოშიაძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
„ქართული ხასიათის“ კონცეპტისათვის  
(20-იანი წლების ესეთა დისკურსის მასალაზე)

პიროვნულ ცნობიერებაში აქსიოლოგიური თვალსაზრისით უმთავრესია ადამიანის დამოკიდებულება ეროვნული იდენტობისა და ნაციონალური ხასიათისადმი. ეროვნული ხასიათის თვითშემეცნება ყოველი ხალხის კულტურული აღმავლობის აუცილებელი პირობაა. საინტერესო და ინფორმაციულია ამ პროცესზე დაკვირვება ქართული მწერლობის საშუალებით, რომლის უდიდესი ნაწილი ეროვნული და პირადი ინტერესების თანხვედრის გამოხატულებას წარმოადგენს. ქართული მწერლობა ყოველთვის სულიერებაზე იყო ორიენტირებული, ქართველი მწერლები ყოველთვის ეროვნული მენტალიტეტის მატარებელ ენობრივ პიროვნებებს წარმოადგენდნენ. სწორედ ამგვარ პიროვნებებზეა დამოკიდებული ცალკეულ სემანტიკურ ერთეულთა ეთნოკულტურული ავტორიზაცია, მათი ლინგვოკულტურულ კონცეპტებად ქცევა.

კონცეპტოლოგთა აზრით, ლინგვოკულტურული კონცეპტი, როგორც კოლექტიური ცოდნისა და ცნობიერების ერთეული, უმაღლეს სულიერ ღირებულებებთან უნდა გვეზავნიდეს. მას უნდა ჰქონდეს ენობრივი გამოხატულება და ეთნოკულტურული სპეციფიკით უნდა იყოს ნიშანდებული. ყოველივეს გათვალისწინებით, „ქართულ ხასიათს“ ლინგვოკულტურული კონცეპტის სტატუსი უკუთვნის, რასაც მისი ტოპოლოგიაც ადასტურებს: იგი არაერთი დისკურსის მნიშვნელოვან შემადგენლად გვევლინება, იქნება ეს ისტორიული, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, მხატვრული თუ სხვა.

გასული საუკუნის 20-იანი წლების ქართველ მწერალთა ცნობილი პოლემიკა ქართული ხასიათის გამო მათს ესეებში აისახა, რომლებშიც ნათლად ჩანს როგორც შესაბამისი ეპოქის სულისკვეთება, ისე ქართველ მწერალთა სულიერი სამყაროს არსი, ხასიათი, თვისებები. საკუთარი თავის, პიროვნების შემეცნება ქართული ხასიათის, ეროვნული თვითშემეცნების პრობლემის ნაწილია.

კვლევის ამ ეტაპზე კონცეპტ „ქართული ხასიათის“ ტოპოლოგიას მეტად შემოვსაზღვრავთ და მას ესეისტური დისკურსის მასალაზე განვიხილავთ. ეს ნაბიჯი გვიკარნახა მანანა ხელაიას მიერ შედგენილმა წიგნმა „ქართული ლიტერატურული ესე“, რომელშიც XX საუკუნის 20-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული 96 ესეა თავმოყრილი.

ვიდრე კონცეპტ „ქართული ხასიათის“ სემანტიკის ბაზისურ კომპონენტებსა და მათ შორის არსებულ კავშირებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას რთული სემანტიკური სტრუქტურა აქვს და ამბივალენტური ნიშნებით ხასიათდება. შემფასებლური ფაქტორი, რაც კონცეპტის განმსაზღვრელი მახასიათებელია, გულისხმობს მის მიმართ სიმპათიის ან ანტიპათიის ემოციური მიმართების გამოვლენას. სწორედ აქსიოლოგიური შეფერილობის ქონა აყალიბებს ჩვენს განსაზღვრულ კონცეპტს ამბივალენტურ – დადებითი და უარყოფითი კონოტაციების მქონე – ერთეულად.

ამ კონცეპტის უმთავრეს ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული თვითშემეცნების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ფიქრი. დასახელებული კონცეპ-

ტური ნიშნის პრეზენტაცია ქართულ დისკურსში საუკუნეებს ითვლის. XX საუკუნის დასაწყისში ამ კუთხით აღსანიშნავია აკაკი წერეთლისა და იპოლიტე ვართაგავას პოზიციები ყველაფერი ქართულის ზედმიწევნით ცოდნასა და მოვლასთან მიმართებით. ერთგვარ გაფრთხილებად, მოწოდებადაც კი გაისმოდა მათი სიტყვები თვითგნობიერების გაძლიერებასა და გაღრმავებასთან დაკავშირებით, რათა უცხოური კულტურის გავლენას არ დაერღვია და არ შთაენთქა ქართული კულტურის თავისთავადობა. ერთი შეხედვით პარადოქსულია, თუმცა განსახილველი კონცეპტური ნიშნის აქტუალურობას მოწმობს ქართული სიმბოლოზიმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ტიციან ტაბიძის, სიტყვები: „ვეროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დაეხვედეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორავი, რომელზედაც მოეხვევა ახალი იდეები“ [ხელაია 1986:180]. პარადოქსულობა ვახსენეთ, რადგან ეს სიტყვები ამონარიდია ტიციანის ესეიდან „ცისფერი ყანწებით“, რომელიც ქართული სიმბოლოზიმის მანიფესტად არის ცნობილი, სიმბოლოზიმისა, რომელიც ხელოვნებას ეროვნულობისა და მოქალაქეობრივი გრძნობებისაგან თავისუფალს განიხილავს.

ოდნავ მოგვიანებით, 1922-23 წლებში, საზოგადოება აღზფოთებას ვერ მალავდა ეროვნული ტრადიციებისა და ავტორიტეტების მიმართ ცისფერყანწელთა თამაში დამოკიდებულების გამო. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა რამდენიმე ესეის შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია დემნა შენგელაიას „მშობელ მიწაზე“, რომელშიც იგი ხელოვანის სიძლიერეს მშობლიურ ნიადაგზე მყარად დგომში ხედავს: „ ყველაზე დიდი გენიოსები ყველაზე უფრო დამოკიდებულნი არიან თავის ერისგან. ენა, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ, სახეები, რომლითაც ფიქრობენ, იდეები, რომელნიც მხატვარს აწუხებენ, ყველაფერი ეს მშობლიური ნიადაგიდან ეძლევათ ... რა იქნებოდა „კუფხისტყაოსანი“, იგი რომ ესაქრანტოს ენაზე დაწერილიყო! ეს უნდა ახსოვდეს ყოველ ქართველ ხელოვანს!“ [ხელაია 1986 254-255]. „მას არ აკმაყოფილებს ქართველ სიმბოლოსტთა თეზისი, რომლის მიხედვითაც ქართველი პოეტი „მარტო თავის შობის ფაქტით არის პატრიოტი“...[გაზ...ზაროკადი“,1922, # 4]. მშობლიური ლიტერატურის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას ესესიტი ზერელედ, არასერიოზულად მიიჩნევს“ [ხელაია 1986: 356]. დასახელებული ესეისაგან განსხვავებით, რომლის ავტორიც ძალზედ გაწონასწორებულია, უკიდურესი სიმძაფრით გამოირჩევა კონსტანტინე გამსახურდიას წერილი „J' accuse (მე ზრალსა ვეძებ)“, რომელიც ამავე პოლემიკის ნაწილია და რომელშიც ავტორი ქართველ სიმბოლოსტებს „უცხო კულტურათა აგენტებს“ უწოდებს. ამჟვარად კონსტანტინე გამსახურდიას უკანასკნელი წერილითაა მთავონებული შალვა აფხაიძის ესეი „პატრიოტიზმის სახელით“, რომელშიც ავტორი ცისფერყანწელთა დამცველად გვევლინება და მათს „უწინარეს ყოვლისა ქართველობას“ ამტკიცებს. მართალია, ყველა პოლემისტის მოსაზრებებს აქ ვერ ვიმოწმებთ შეზღუდული ფორმატის გამო, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ნებისმიერი მათგანის პოლემიკაში ჩაბმის მოტივი პატრიოტიზმია, პატრიოტიზმია ისიც, რომ თავად ცისფერყანწელები, რომლებიც საკუთარი მისამართით ყოველგვარ უარყოფით დამოკიდებულებას მშვიდად ხედებოდნენ, „ეროვნული უნადაგობის“ ზრალდებას მძაფრად განიცდიდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ მის უარყოფას. ამ მსჯელობამ „ქართული ხასიათის“ კონცეპტის კიდევ ერთ ბაზისურ-სემანტიკურ, სხვა ნიშანთა (მათ შორის ჩვენ მიერ უკვე განხილულის) მომცველ და განმაზოგადებელ კომპონენტთან – პატრიოტიზმთან – მიეციყვანა. პატრიოტიზმი, თავის მხრივ, რთული ნიშანია საკუთარი ეროვნულ-მენტალური სქემებით, თუმცა

ის ყველაზე მეტად შესწავლილი ნიშანიცაა, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია მომავალში აღნიშნული კონცეპტის სრული აღწერისას.

„ქართული ხასიათის“ კონცეპტ-სინონიმი „ქართული სული“, რომლის ენობრივ რეალიზაციათა მრავალ მაგალითს ვხვდებით ქართულ ყოფითსა თუ ლიტერატურულ დისკურსში. ვ. კოტეტიშვილს თავის ესეიში „ალექსანდრე ყაზბეგი“ „ქართული სულის გამძლეობის“ საინტერესო გაგება შემოაქვს. მისი სიტყვით, „ზროვნების სიმბდალესთან“ ერთად, რაც „ქართულ მოკრძალებას“ კვებავს, ჩვენს მწერლობას, საბედნიეროდ, ვაყაასა და ყაზბეგისებური სიმლევის ზღაპარსმიტანებული სიმამაცე ახასიათებს. გიორგი ლეონიძე კი ქართული სულის გამძლეობას თავისებური ასაქებით განიხილავს. მისი თქმით, მრავალმა განსაცდელმა ელასტიკური, დინგი, დარბაისლური გახადა ქართული ხასიათი. იგი პლატონ იოსელიანის სიტყვებს იგონებს: „ქართველთა, მრავალ საუკუნეებითა გამოცდილთა და ვითარცა პური გამომცხვართა, ვერა ერეოდა ვერც შინაგანი და ვერც გარეგანი მწუხარება (ხელაია, 1986:78). გიორგი ლეონიძე სიქველედ მიიჩნევს ქარცეცხლით გამოწრთობილ სიღინჯესა და სიბრძნეს. კონსტანტინე გამსახურდასათვის კი ამგვარი გამძლეობა, ე. ი. თვისება ქართველი ერისა, ხასიათის სიძლიერეს კი არა, ერის უძლეურებასა და უნიათობას უფრო მოასწავებდა. პაოლო იაშვილი წერდა: „ჩვენში არ არის არც ღრმა სიძულვილი, არც ღრმა სიყვარული“ (ხელაია, 1986:203). ტიციან ტაბიძე საგანგებოდ აღნიშნავდა თავისი ერის ხასიათში აქტიორული სულის არსებობას. იგი წერს: „ქართველს უნდა სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების“ (ხელაია, 1986:178). პაოლო იაშვილი მკაცრად ილაშქრებს ამ თვისების წინააღმდეგ. მისი რწმენით, ის, რომ ქართველი მუდამ ესწრაფვის თავისი ნამდვილი სახის შელამაზებას, გაკეთილშობილებას, უდიდესი ფუქსავატობის მიმანიშნებელია. ქართველ კაცს ვერ დაენდობი ვერც ღრმა სიყვარულსა და ვერც ღრმა სიძულვილში. „პირველიცა და მეორეც მასში თეატრალური“ (ხელაია, 1986:203), – აცხადებს პაოლო იაშვილი.

ბევრი თქმულა ქართული უდარდებლობის (დამხოზობის გამსაც) შესახებ, ეპიკურეიზმზე, თათქარიძეობაზე, ყვარყვარეობაზე, სიკვდილთან გაშინაურებაზე, თუნდაც ავთანდილის სიტყვები რად ღირს ამ მიმართებით: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჭკრეფ კიტრად ზერად, / ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაზად და მიჩანს მღერად“. ქართულ ხასიათში ოპტიმიზმის სიძლიერეზეც, აგრეთვე, არაერთხელ დაწერია. ალი არსენიშვილი კოტე მარჯანიშვილის წარმატების გასაღებს იმაში ხედავს, რომ რუსულ თეატრში მოღვაწეობისას იგი არ კარგავდა ქართული ხასიათისათვის ზუნებრივ თვისებებს: „გოგოლში იგი კომმარამა კი არა – უკრაინის ალუბლის ფერადებმა და ფიროსმანის წმინდა პრიმიტივმა მოხიზლა... სევდა მან არ იცის – ის ვერ შევეთვისება ჩეხოვის თეატრს. ის ქალდეას ცეცხლის სვეტია. მასში კახეთის სისხლია ამბობებული“ (ხელაია, 1986:217).

როგორც ვხედავთ, ქართული ეროვნული ხასიათის ნიშნები მრავალი და ხშირად სრულიად საპირისპიროც კია. იმისთვის, რომ ერთი რომელიმე ერის ხასიათზე ვილაპარაკოთ, უფრო სწორად, ამ ხასიათის თავისებურება აღნიშნოთ და კონცეპტურ მახასიათებლად გამოვყოთ, ალბათ, სხვა ერების ხასიათიც უნდა ვიცოდეთ. აუცილებელია აგრეთვე კონცეპტურ ნიშანთა კლასიფიკაცია ფაქულტატიურ, ძირითად და დომინანტურ მახასიათებლებად. გადაჭარბებული ქეფი და ლბინის-მოყვარეობა ქართველების თვისებად რომ მივიჩნიოთ, მაშინ როგორღა შევფასოთ ფლორენციელები, რომლებმაც წარმართების ლბინი უკან მოიტოვეს [„მეფე ალფონსო ნეაპოლიტანელის ოჯახში ერთ-ერთ ქორწილზე გაიშალა სუფრა ზღვის პირად

30 000 კაცზე. როგორც საერთოდ მიღებული იყო ნეაპოლსა, რომსა და ფლორენციაში – ასეთი საზღვრები შემთხვევებისათვის საზოგადოებრივი მოედნები სალბინო დარბაზებად ექციათ” – [გოგუაძე, 1980:164]. თუ ეპიკურეიზმს მივიჩნევთ ქართული ხასიათისათვის განმსაზღვრელად, მაშინ საქართველოსათვის არაბუნებრივად უნდა ვენათ გრიგოლ ხანძთელი, მთელი მისი სამბო და სხვა მრავალნი, ვინც ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდნენ; თუ გვეყვებით აზრს „უკვდავი აქტიორული სულის“ არსებობის შესახებ ქართულ ხასიათში, რითდა დავასაბუთებთ ეროვნული ხუროთმოძღვრების სისადავესა და გენიალურ უზრალეობას და ა. შ.

დასასრულ, ქართველთა ბუნების დასახასიათებლად გვსურს დავიმოწმოთ გიორგი მეფის აღსარება „დიდოსტატის მარჯვენიდან“: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და შმიშარაც, კეისარსაც ვებროდი, მეშინოდა ხეიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია“. ამ სიტყვებიდან ხასიათის გაზარვას, გაორებას ვგრძნობთ, მაგრამ ამავე დროს – გამთლიანებასაც – ჩემი ხალხისათვის ე. ი. სამშობლოსათვის არასოდეს მიღალატნიაო. სწორედ სამშობლოს სიყვარულია ის დომინანტური თვისება, რომელიც ქართული ხასიათის ამბივალენტურ ნიშნებს აერთიანებს და კონცეპტად კრავს.

#### ლიტერატურა:

1. გოგუაძე ვ. ადამიანი როგორც ესტეტიკური ფენომენი. თსუ გამომცემლობა. თბ. 1988.
2. ხელაია მ. ქართული ლიტერატურული ესესე (XX საუკუნის 20-იანი წლები). გამომცემლობა „მერანი“. თბ. 1986.

Salome Omiadze

### On the Concept of the “Georgian Character” (On the material of the discourse of essays of the 1920)

The self-consciousness of the national character is a necessary condition for the cultural upsurge of every nation. Polemics of Georgian writers of the 1920s concerning the Georgian character was reflected in their essays, in which, on the one hand, the spirit of the relevant period, and on the other one, the essence, character, peculiarities of the inner world of Georgian writers are clearly demonstrated.

The discourse of these essays confirms that the “Georgian character” (as well as the “Georgian language”) has the status of a linguocultural concept. This concept is characterized by ambivalent features, it has a complex semantic structure, which will be discussed in greater detail in the paper.

ლელა ონიანი

### აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი რეფერენციისა და კოჰერენტულობის კატეგორიათა ურთიერთმიმართება

რამდენიმე წლის წინ ტერმინი რეფერენცია არ გვხვდებოდა ლინგვისტურ ლიტერატურაში და იგი დიდი ხნის განმავლობაში ფილოსოფიის კვლევის საგანს წარმოადგენდა, მას უკავშირდებდნენ ლოგიკის სფეროს. ტერმინი რეფერენცია (ინგლ. Reference) თავის მხრივ ეფუძნება ინგლისური ენაში ზმნას to refer (შეეხო ან

მხედველობაში გქონდეს რომელიმე ობიექტი). რადგან სიტყვებს—to refer და reference არ ჰქონდათ ტერმინოლოგიური ხასიათი, ისინი აღნიშნებოდნენ ისეთი ანალოგიებით, როგორც არის – to denote, to designate, designation and denotation საგანზე მითითება. რეფერენცია განისაზღვრება როგორც სახელთა ან მათ ეკვივალენტთა მიმართება სინამდვილის ობიექტებთან (რეფერენტებთან, დენოტატებთან) [Махлава 2004:411]. ავტორის აზრით, რეფერენცია განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით: სინტაქსურით, ლოგიკურ სემანტიკურითა და პრაგმატიკულით. რაც შეეხება პრაგმატიკულ ასპექტს, იგი უკავშირებს სახელს მოსაუბრეთა ცოდნის ფონს. შეიძლება ლამაზაკი იყოს ისეთ საგანზე, რომელიც ცნობილია მხოლოდ მეტყველი პირისათვის (ინტრადუქციული რეფერენცია....), ისეთ საგანზე, რომელიც ერთნაირად ცნობილია როგორც მეტყველი პირისათვის, ისე ადრესატისათვის (მაიდენტიფიცირებელი რეფერენცია), ან თუნდაც ისეთზე, რომელიც არცერთი მათგანისათვის არ არის ცნობილი (განუსაზღვრელი რეფერენცია). ავტორს მიაჩნია, რომ რეფერენციის პრაგმატიკული ფაქტორი მოქმედებს ძირითადად კონკრეტული რეფერენციის სფეროში [იქვე, 115].

იმისათვის, რომ მოსაუბრემ განსაზღვრული რეფერენციის აქტი განახორციელოს საჭიროა შემდეგი პირობები:

1. უნდა არსებობდეს ერთი, და მხოლოდ ერთადერთი ობიექტი, რომლისთვისაც მოსაუბრე იყენებს გამონათქვამს.
2. მოსაუბრის მიერ გამოყენებული გამონათქვამი უნდა წარმოადგენდეს მსმენელისათვის საკმარის საშუალებას, რათა მოახდინოს ობიექტის იდენტიფიკაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, როგორ ვითარდება ადამიანის მიმართება სხვა ადამიანებთან: რა სურს მას, რომ გადასცეს მეორეს, რა მიზნით და როგორ სურს მას დაიყვანოს ინფორმაცია მოსაუბრემდე, როგორც—რადაც პირველად დანახული, გაგონილი, თუ როგორც უკვე ნაცნობი, განზოგადებულად ან „კონკრეტულად“. საკითხისადმი ასეთი მიდგომით, წინა პლანზე გადმოიწევენ ისეთი კატეგორიები, რომლებიც იძლევიან ჩვენს ირგვლივ არსებულ საგანთა იდენტიფიკაციის საშუალებას, რათა მოვახდინოთ მათი კონკრეტიზაცია, ინდივიდუალიზაცია, ან პირიქით, ვაცნობოთ და დაუკავშიროთ მოსაუბრისათვის უკვე ნაცნობ მოვლენას. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება პირველ რიგში რეფერენციის და განსაზღვრულობა/განუსაზღვრულობის კატეგორია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს რეფერენციის დადგენაში [Холдрина, 2004 :118].

ნებისმიერი წარის მხატვრული ტექსტის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს განსაზღვრულობა/ განუსაზღვრულობის კატეგორია, მისი აზრობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით. მხოლოდ ეს კატეგორიაა ერთ-ერთი ენობრივი საშუალება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება რეფერენციის—როგორც მნიშვნელოვან ტექსტობრივ მოვლენას. როგორც უკვე ითქვა, რეფერენციის თეორიას უკავშირებდნენ ლოგიკის სფეროს. ლოგიკიდან ლინგვისტიკაში გადასვლით რეფერენციის ცნებამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. დღესდღეობით რეფერენციის ცნება დაკავშირებულია ტექსტთან, სადაც ის მთელი სისავსით ვლინდება. რეფერენცია განისაზღვრება როგორც აქტუალიზირებულ სახელთა დამოკიდებულება, სახელობით ჯგუფებთან, ან მათ ეკვივალენტებთან, სინამდვილის ობიექტებთან (რეფერენტებთან).

ასევე აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ტექსტობრივ რეფერენტებად ვლინდება, ან გადაიქცევა მხოლოდ ისეთი საგნები, პიროვნება, ან მოვლენა, რომელიც რამდენიმეჯერ სახელდება ტექსტში ერთიდაიგივე არსებითი სახელის გამეორებით, ან მისი მონაცვლე სიტყვებით ( სინონიმებით, ნაცვალსახელებით). განმეორების შემთხვევაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, რეკურენციის შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ ტექსტობრივ რეფერენტზე. ისეთი საგნები, ან მოვლენები, რომლებიც მხოლოდ ერთხელ გამოე-



ლინდება ტექსტში არ შეიძლება ჩაითვალოს ტექსტობრივ რეფერენტად [Носапуна: 2004:120]. ტექსტობრივი რეფერენტი ვლინდება განუსაზღვრელი არტიკლის, განუსაზღვრელი ნაცვალსახელისა, ან რიცხვითი სახელის დახმარებით. შემდეგ იგი მორდება ტექსტში განსაზღვრული არტიკლით, ან ჩვენებითი ნაცვალსახელით. ტექსტზე შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე რეფერენტი, ეს შეიძლება იყოს მთავარი, ან მორეზარისხოვანი, გამოვლენილი სხვადასხვა ტექსტობრივი პოზიციით. არსებითი სახელი, რომელიც იწოდება ტექსტობრივ რეფერენტად, შესაძლებელია გამოჩნდეს ტექსტში სხვა რაღაცასთან ერთად, რომელსაც იწოდება „რეფერენტული სიგნალი“. ამ როლს შეიძლება ასრულებდეს ჩვენებითი, კითხვითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელი, ან რომელიმე ზედსართავი სახელი, რომლებიც მიუთითებენ რეფერენტის სხვადასხვა სახეობაზე. თუ არტიკლი, ან ნაცვალსახელი მიუთითებს რომელიმე ობიექტზე, რომელიც უნიკალურია მოცემულ სიტუაციაში, ამ შემთხვევაში საუბარია ინდივიდუალიზაციაზე და ინდივიდუალურ რეფერენციაზე.

მოსაუბრე, რომელიც ახორციელებს განსაზღვრული რეფერენტის აქტს იყენებს არტიკლს ფუნქციით განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა.

რეფერენტის ფენომენტთან უშუალო კავშირში იმყოფება არტიკლი. ამაზე მეტყველებს არტიკლის ის განსაზღვრა, რომელსაც გვაწვდის ლინგვისტური ენციკლოპედია, რომლის თანახმად არტიკლი არის ის გრამატიკული ელემენტი, რომელიც ენაში ფუნქციობს როგორც დამხმარე სიტყვა, ან აფიქსი და, რომელიც გამოხატავს სახელის კატეგორიას განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობას, ე.ი. გამოხატავს რეფერენტის სახეობას [Арютинова, 1990:45]. რეფერენტია როგორც ფენომენი არსებითად უკავშირდება არსებით სახელს, არსებითი სახელი კი წარმოუდგენელია არტიკლის გარეშე. დღეისათვის, ბუნებრივია სავეებით ცხადია, როგორია არტიკლის კავშირი შიდა ტექსტურ კოპეზიასთან, იგი „ემსახურება“ ტექსტში ანაფორიკულ და კატაფორიკულ მიმართებათა რეალიზაციას.

იმისათვის, რომ უკეთესად გავარკვიოთ, რა ფუნქციას ასრულებს ენობრივი ნიშნის ტიპოლოგია ჩვენ მიერ დასმულ ამოცანასთან, ანუ რეფერენტის ფენომენტთან უშუალო კავშირში მაგალითად მოვიყვანთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ენათმეცნიერება ენობრივი ნიშნის კონცეპტის გააზრების მომენტიდან დღემდე ცდილობს ააგოს ენობრივი ნიშნის მოდელები. ბუნებრივია, რომ ყოველი ასეთი მოდელი შეესაბამება ნიშნის კონცეპტუალური გააზრების ამა თუ იმ ეტაპს. ძირითადად შეიძლება გამოიყოს ენობრივი ნიშანთა ტიპოლოგიის აგების სამი თვალსაზრისი:

პირველი კრიტერიუმი ატარებს ისტორიულ-დიაქრონულ ხასიათს. თანამედროვე ენათმეცნიერება არსებობს არა სტატიკურად, არამედ დინამიურად. იგი წარმოიშვა, ვითარდებოდა, დღესაც იმყოფება ამ განვითარების პროცესში; იცვლებოდა კონსტრუქტული წარმოდგენა ენობრივი ნიშნის სტრუქტურაზე, ანუ იგებოდა ენობრივი ნიშნის სხვადასხვა მოდელი. ენობრივი ნიშნის ზოგადი კონცეფცია ძირითადად იგივე რჩებოდა, მაგრამ ამ კონცეფციის ფარგლებში ადგილი ქონდა ნიშნის სტრუქტურის აღქმისა და გაგების ცვალებადობას. ბუნებრივია, რომ ენობრივი ნიშნის ტიპოლოგიას ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით ექნება დინამიური ხასიათი აქტს.

მეორე კრიტერიუმი ითვალისწინებს არა თანამედროვე ლინგვისტური აზრის განვითარებას, არამედ თვით ლინგვისტიკის საგნის, ანუ ენის როგორც ნიშანთა სისტემის აღნაგობას (სტრუქტურას). ეს სტრუქტურა ატარებს დონეებრივ და იერარქიულ ხასიათს; ყოველი დონე წარმოდგენილია სპეციფიკური ძირითადი ერთეულით, რომელიც, როგორც წესი, ნიშნობრივი ბუნებისაა. მაგრამ ეს ნიშნობრივი ერთეულები (სიტყვა, წინადადება, ტექსტი) ერთმანეთთან დაკავშირებულია

იერარქიულად: ყოველი უფრო „დაბალი“ დონის ნიშნობრივი ერთეული ექვემდებარება უფრო მაღალი დონის ერთეულს და წარმოადგენს მის სტრუქტურულ კომპონენტს ე. ი. ეს მეორე ერთეული ატარებს სისტემურ, დონეებრივ ხასიათს.

მესამე კრიტერიუმი – ენობრივი ნიშნის ისე, როგორც ყოველი ნიშნის ფუნქცია, მდგომარეობს რომელიმე მისგან განსხვავებული რეალობის პირობითად მითითებაში. ის რეალობა, რომელზეც ენობრივი ნიშანი პირობითად მიუთითებს, არის ამ ენობრივი ნიშნის რეფერენტი. თანამედროვე ლინგვისემიოტიკის მიხედვით ენობრივი ნიშანი ასახელებს თავის რეფერენტს, ანუ ახდენს მის ნომინაციას, ხოლო ეს უკანასკნელი მუდამ გულისხმობს ენობრივ სტრუქტურაში რეფერენტის სტრუქტურის ამა თუ იმ სახით ასახვას. რომელი ენობრივი ნიშანიც არ უნდა ავიღოთ, იგი ასახელებს რეფერენტს, რომელიც ასახება მის სტრუქტურაში. „იმისდა მიხედვით, როგორ ხდება ენობრივი ნიშნის სტრუქტურაში დასახელებული (ნომინირებული) რეალობის ასახვა, განასხვავებენ ენობრივი ნიშნის ორ ტიპს: ენობრივი ნიშანი, რომელიც ასრულებს პირდაპირი ნომინაციის ფუნქციას, და ენობრივი ნიშანი, რომელიც ასრულებს ირიბი ნომინაციის ფუნქციას“ [ლუბანოძე 2004: 26–27].

არსებობს მინაგანი კავშირი რეფერენციისა და კოჰერენციის ფენომენს შორის, რადგან ორივე მათგანი კონკრეტულ საგანზე მიუთითებს. არ არსებობს ენის რომელიმე დონის, რომელიმე ქვესისტემის ერთეული, რომელიც არ მონაწილეობს კოჰერენტულობის რეალიზაციაში. შევეცდებით წარმოგიდგინოთ ყველაზე უფრო შესწავლილი საშუალებები:

1. ენის მორფოლოგიური კატეგორიები: როგორც სახელის, ისე ზმნის. ჩვენთვის ცნობილია, როგორ ხდება თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ისეთი სახელადი მორფოლოგიური კატეგორიების ფუნქციური გადააზრება, როგორცაა არსებითი სახელის განსაზღვრულობა–განუსაზღვრელობის კატეგორია (კატეგორია, რომელსაც რომანულ და გერმანიკულ ენებში გამოხატავენ არტიკლი). არტიკლის მიერ შესრულებული ანაფორული და კატაფორული ფუნქციები მთლიანობაში წარმოადგენს სწორედ კიჰერენტულობის რეალიზაციის ფუნქციას. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ზუსტად ამავე ფუნქციას ასრულებს ზმნური კატეგორიები, თუმცა ისინი ამ თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი. საერთოდ კი კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა მორფოლოგიურ კატეგორიათა სრულ ფუნქციურ გადააზრებას ახდენს და ამ კატეგორიათა ის გაგება და განსაზღვრა, რომელიც ქონდა ტრადიციულ გრამატიკას, დღეს ფუნქციური თვალსაზრისით უკვე ვეღარ ჩაითვლება ადეკვატურად.

2. ენობრივი კოჰერენტულობის მარეალიზირებელ ენობრივ საშუალებად უნდა დავასახელოთ ლექსიკური და გრამატიკული საშუალებები. სახელდობრ პირის ნაცვალსახელთა მთელი სისტემა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ პირის ჰემმარიტ ნაცვალსახელად თანამედროვე ლინგვისტიკას მიაჩნია მხოლოდ ის ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები, რომელსაც ტრადიციული გრამატიკა მე-3 პირის ნაცვალსახელად თვლიდა. ამავე ფუნქციას ასრულებს სუბტიტულტა მთელი სისტემაც.

3. ლექსიკური საშუალებები: არსებითი სახელი, რომელთანაც „არის დაკავშირებული კოჰერენტულობის გამოხატველი ისეთი ცნება, როგორცაა ნომინაციური, ტოპიკალური ანუ იზოტოპიური ჯაჭვის ცნება. ეს ცნებები გამოხატავენ კოჰერენტული შეკავშირების იმ ასპექტს, რომლის რეალიზაცია ეკისრება ძირითადად სახელს“ [ლუბანოძე 2004:304–305].

კოჰერენტულობა ახდენს ყველა დანარჩენი კატეგორიის ინტეგრირებას, ცალკეული კატეგორიები კი კოჰერენტულობის დიფერენციალია. თამამად შეიძლება

ითქვას, რომ ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია – იგივე კიპერენტულობაა, დაკონკრეტებული გარკვეული ასპექტით. თვით ტერმინის სემანტიკა გვიჩვენებს, რომ ეს კატეგორია არ შეიძლება ცენტრალური არ იყოს. ვიცით, რომ ტექსტის რომელი დონეც არ უნდა ავიღოთ, იგი მუდამ წარმოადგენს ისეთ წინადადებათა თანამიმდევრობას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი თემით: ტექსტს ქმნის თემატური ერთიანობა და ტექსტში მთავარია წინადადებათა შორის შინაგანი კავშირი. ასე მაგალითად, მ. მეგრელიშვილი წერს: „არტიკლის არჩევანი შეიძლება განპირობებული იყოს წინადადების სტრუქტურით, როგორც წესი, წინადადება იყოფა ორ ნაწილად: თემა (ცნობილი) და რემა (ახალი)“ [მეგრულიშვილი 2005: 43]. ავტორის სიტყვით „ის რასაც უწოდებენ ცნობილს, შეიცავს ძველ ინფორმაციას, რომელსაც ფლობენ როგორც მეტყველი პირი, ისე მსმენელი, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში მეტყველ პირს მიაჩნია, რომ ეს ასეა.“ (იქვე). კოპერენტულობის რეალიზებას ხელს უწყობს არტიკლის ფენომენი თავისი ფუნქციით განსაზღვრულობა/ განუსაზღვრულობა და ამის წყალობით იქმნება თემა-რემატული ჯაჭვი, ანუ ხორციელდება ტექსტის შეკავშირებულობა-კოპერენტულობა.

ტექსტში კოპერენტულობის განხორციელების საშუალებად გვევლინება არსებითი სახელი, რომლითაც ხორციელდება ერთი და იმავე თემის განვითარება და ამ განვითარების საფუძველზე მიმდინარეობს ტექსტის შინაგანი შეკავშირება. არსებითი სახელის როლი მნიშვნელოვანია კიპერენტულობის რეალიზაციასა და რეფერენციასთან მიმართებაში, რადგან იგი იძლევა არსებითი სახელის, როგორც მეტყველების ნაწილის მთლიანი ფუნქციური გადააზრების საშუალებას. მინდა ავღნიშნო, რომ არსებობს შინაგანი კავშირი რეფერენციის კატეგორიასა და კოპერენტულობის შორის, რადგანაც ორივე მათგანი ურთიერთმიმართებაშია არსებითი სახელთან. თუ რეფერენციის განხორციელების შემთხვევაში ადგილი აქვს არსებითი სახელით საგანზე მითითებას, კოპერენტულობის დროს სწორედ არსებითი სახელი გვევლინება ტექსტის შეკავშირების ცენტრალურ საშუალებად. რეფერენციისა და კოპერენტულობის კატეგორიათა კიდევ ერთ დამაკავშირებელ საშუალებად გვევლინება არტიკლის ფენომენი თავისი ფუნქციით განსაზღვრულობა/განუსაზღვრულობა მაშინ, როცა იგივე არტიკლის საშუალებით ხდება ტექსტში კოპერენტულობის რეალიზაცია.

ტექსტს, როგორც ვიცით, აქვს ლინეარული ხასიათი – მისი კომპონენტები ერთმანეთს მისდევენ. ტექსტი ფუნქციონირდება დროში, მისი ლინეარული ხასიათი ქმნის იმის წინაპირობას, რომ კოპერენტულობა ლინეარული თვალსაზრისით განხორციელდეს. მაგალითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინამდებარე უკვე რეალიზებული წინადადება შეიცავს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც გულისხმობენ შემდგომ წინადადებაებს, ან მოუთითებენ მათზე, მაგალითად:

The librarian found a book with his biography and a photograph. Though the photograph was bad, we decided that our new acquaintance was Lautisse all right. The book said he suddenly stopped painting at 53 and lived in villa in Rivera (H.A. Smith).

მაგალითად, განუსაზღვრელი არტიკლი, თუ იგი იხმარება ტექსტის პირველსავე წინადადებაში, გულისხმობს, რომ რომელიმე შემდგომ წინადადებაში იგივე ლექსემა შეიძლება ვიხმაროთ განსაზღვრული არტიკლით (აქ გვაქვს მითითება ახლანდელიდან მომავლისაკენ). ტექსტში რომ ასეთი სინტაქსური კავშირი გვქონდეს, მაშინ საჭმე გვეწებობდა ამ მითითების ცალმხრივობასთან. ორი არტიკლი განსაზღვრული და განუსაზღვრელი – არის ორმხრივ მიმართული ურთიერთგადაჯერდინებული კავშირის კლასიკური მაგალითი. თუ ამ სახის კავშირს ვუწოდებთ „ტექსტის ფორიკას“, მაშინ ურთიერთგადაჯერდინებულ ორი ტიპის კავშირს უნდა ვუწოდოთ „ანაფორიკა“

და „კატაფორიკა“ ფორიკა კი არის ანაფორიკისა და კატაფორიკის გადაჯვარედინება. ტექსტი არ არსებობს ფორიკის გარეშე, ამიტომ იგი არის კოჰერენტულობის ზოგადი კატეგორიის რეალიზაცია სინტაქტიკურ პლანში. როგორც ტექსტის სხვა დანარჩენი კატეგორია ფორიკაც მისი რეალიზაციისთვის საჭირო საშუალებათა მთელ სისტემას – ანაფორულ და კატაფორულ ტექსტობრივ საშუალებათა სისტემას საჭიროებს. ენის რომელი ერთეულიც არ უნდა ავიდოთ – გრამატიკული, თუ ლექსიკური, იგი შეიძლება გამოვიდეს ფორიკული ფუნქციით. შეიძლება გამოვყოთ ის ერთეულები, ენის სამეტყველო ფენომენები, რომელთა ფუნქციაც პირველადფორიკულია – ე. ი. რომელთა ფუნქციაც შეიძლება ასეთად ჩაითვალოს ენის სიტემში (პარადიგმატიკაში), ესენია: არტიკლის სისტემა, ნაცვალსახელთა სისტემა დროისა და ადგილის ზმნიზედები. ფორიკულ სისტემას ასრულებს აგრეთვე სამეტყველო ფენომენებიც, რომლებიც ენის სისტემაში შედიან. ასეთია მაგალითად, ყოველი ლექსიკური გამოვლია. ტექსტის ლინგვისტიკამ გამოავლინა ისეთი ლექსიკური კლასების ფორიკული ბუნება, როგორიცაა სინონიმები და ანტონიმები. მაგალითად: For in the pure loftness of the rector's heart still bloomed the pure white snow-flower of his young bride. This white snow-flower did not wither. That other creature, who had gone off with that despicable young man, was non of his affair (D.G. Lawrence).

როდესაც ტექსტში ერთი და იმავე ობიექტის დასახელებლად ვიყენებთ სინონიმური ხასიათის ლექსემებს, საქმე გვაქვს ფორიკის ფენომენტთან. იგივე შეიძლება ითქვას ანტონიმებზეც. თუ ტექსტში გვხვდება ანტონიმური წყვილის ორივე წევრი, ისინი ერთმანეთზე მოუთითებენ და უკავშირებენ წინადადებებს. ყველა ასეთ შემთხვევას შეიძლება ვუწოდოთ „განმეორებული ნომინაცია“.

ფიქრობთ, ჩვენ მიერ დასახელებული ურთიერთკავშირი რეფერენციისა და კოჰერენტულობის კატეგორიათა შორის ნათელია, რადგან ორივე კატეგორიის რეალიზება ერთიდაიგივე ენობრივი საშუალებებით ხდება. დასარულს მსურს ავღნიშნო, რომ რეფერენცია როგორც სემიოტიკურ-სემანტიკური ფენომენი შესაძლებელია ტექსტის გარეშე და მუდამ გვაქვს ნიშნის ფუნქციონისას როგორც სემიოზისის მომენტ. ხილო კოჰერენტულობა როგორც ფენომენი მთლიანად განეკუთვნება ტექსტს და მისი რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის ფარგლებში.

**ლიტერატურა:**

1. Арютинова Н., Логический анализ Языка. Образ человека в культуре и языке, М.,1980.
2. ლეხანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბ.,2004
3. Маслова В.А., Лингвокультурология. М., 2004.
4. მეგრელიძე მ., A course in Theoretical English Grammer. ქუთაისი, 2004
5. Ноздрина Л.А., Поэтика Грамматических Категорий. М., 2004.

**Lela Oniani**

**Interrelationships between the categories of Referentiality and Cohesion**

**Abstract**

This article deals with the problem of interrelationships between the categories of Referentiality and Cohesion. In the given paper attempt is made to define the textual means which have a great importance in the process of realization of these categories..

Above mentioned categories use one and same textual means for realization the categories of Referentiality and Cohesion. It is considered that such textual means are: nouns, pronouns (demonstrative, possessive, indefinite), article with its function of definiteness/ indefiniteness, adjectives, and synonyms. In the case of repeating a noun speaker has an intention, indicates to this one expressing his attitude and by this way the referent is represented in the text. The category of Cohesion is also realized in the text by repeating one and the same noun or pronoun. Accordingly we should speak about interrelationships between the categories of Referentiality and Cohesion.

წარსული დროის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტების  
შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში  
(ცალკეული მოქმედების, თანაფარდობითი და მრავალგზისი)

ენათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური შესწავლის მეთოდი სიახლეს აღარ წარმოადგენს ენათმეცნიერებაში, მაგრამ კვლავ დიდია მისი თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებში. შეპირისპირებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოავლინოთ შესასწავლი ენების თავისებურებანი, რადგან დედაენაში არაფერია შესაძენვეი, მასში ყველაფერი მარტივი და ცხადია, და არავითარ ეჭვს არ იწვევს. უცხო ენა კი, რომელიც შეპირისპირებით კლანში შეისწავლება, შესაძლებლობას იძლევა გადმოვცეთ იგივე აზრები სხვა საშუალებით, გარდა ამისა, იგი გვეხმარება გამოვამყლავნოთ გამოხატვის სხვადასხვა საშუალება დედაენაშიც.

კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია საკვლევ ენათა შესაპირისპირებელი ობიექტების დადგენა. ასეთად კი ჩვენ წარსული დრო მივიჩნიეთ და შევეცადეთ დაგვედგინა ის მსგავსება-განსხვავებები, რაც წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის საშუალებებს შორის არსებობს ორ მოცემულ ენაში.

წარსული დროის ინვარიანტული მნიშვნელობა ორივე ენაში საუბრის მომენტთან წინამდებლობაა, მასთან არ მიმართება. წარსული დროის გრამატიკული კატეგორია ინგლისურსა და ქართულ ენებში ვარიანტული მნიშვნელობებით ხასიათდება. ერთი რომელიმე მნიშვნელობის რეალიზება მისი შესაბამისი კონკრეტული მწკრივით ხორციელდება. მოცემულ სტატიაში მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავ.

მარტივი წარსულის ტემპორალურ-ასპექტური ვარიანტებიდან ცალკეული მოქმედების მნიშვნელობა ერთ-ერთია, რომელიც მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ნიშანს ემყარება. მისი როლი წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ჩართვაა მოქმედების განფენილობაში. მაგალითად:

"I had dinner with Gorwin and Hunt last night; They feel that the sooner I get to work the better." (H. Robbins, Where Love Has Gone)

"You didn't tell me anything yesterday... You didn't tell me where you were meeting him, and you didn't tell me where he was." (J. Jones, From Here to Eternity)

პერსონაჟთა მეტყველებაში, უშუალო ურთიერთობისას (გამონათქვამის დონე) წარსული განუსაზღვრელის კორელატი რეალურად არსებულ სამყაროშია.

ცალკეული მოქმედების მარტივ წარსულს ქართულ ენაში აღნიშნული მნიშვნელობით შემდეგი მწკრივები შეესატყვისება:

"He took out a cigarette from his gold case and used his lighter. In its light his hair looked grey, his face deeply lined with shadows. "Did your sister tell you I asked her to marry me?" (I. Shaw, Rich Man, Poor Man)

სამბატვრო აკადემიაში შესვლის განცხადებაზე ხელი მოაწერა და შეიტანა. კონკურსშიც გავიდა და მამის ნაცნობებმაც ხელი მოუმართეს. სწავლასაც კარგად დაეწყო, ნიჭიც ხელს უწყობდა და ყურადღებაც მიჰქცია." (ლ. გოთუა, ლეკვი ლომისა)

„ხარათა კი მიმოდიოდა, მადლსა და სიკეთეს აფრქვედა. ხან ბოზოწერას და აბედს შეაციოდა ხეს, ხან მრუდე ნახარდს შეასწორებდა. გაამველებდა გრებილად ნაყართ, ბუტბუტით შემოსწყურებოდა კიდეც.“ (იქვე)

შემიწდეუ ნატონოი ხმალი კარგა ხანია არ გამოიჭრია, ქარქაშიანად ვეროდებოდი მომდღერებს. ახა დახედუ და ქარქაშუ მრავალი ნაკდევი აჩვენა.“ (იქვე)

ცალკეული მოქმედების წარსული განგრძობითი (Past Continuous) ფორმის ვარიანტული მნიშვნელობაა. იგი დროის ლოკალიზების ტემპორალურ-ასპექტურ და მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ტემპორალურ ნიშანზეა დაფუძნებული. მაგალითად:

"He was sitting on the grass with Melanie Hamilton, talking quietly and smiling the slow, lazy smile that Scarlett loved. Melanie had dark hair and a heart-shaped face. She was small, but seemed older than her seventeen years." (M. Mitchell, *Gone with the Wind*)

"We were talking softly out on the balcony. The moon was supposed to rise but there was a missy over the town and it did not come up and a little while it started to drizzle and we came in." (E. Hemingway, *A Farewell to Arms*)

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, მოქმედებები, რომლებიც წარსული განგრძობითის ფორმით გადმოიციემა, კონკრეტულ, ცალკეულ პროცესებს გადმოგვიცემს წარსულში. „მათი გამოცალკავებული ხასიათი მოქმედების დროში ლოკალიზებით, კონკრეტულ სიტუაციასთან მისი მჭიდრო კავშირითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ ამ ფუნქციით წარსული განგრძობითი მხოლოდ ტემპორალურად და ასპექტურად ღირებულ ისეთ ელემენტს ეწყობა, რომელიც კონკრეტულობის ნიშანს არ ეწინააღმდეგება“ [8. ბეგელიძე, 1986: 198].

წარსული განგრძობითის ფუნქციონის პირობები ამ მნიშვნელობით განსხვავებულია და ქართულში მას შეესატყვისება სამი მწკრივი: წყვეტილი (უსრული ასპექტი), უწყვეტილი და I თურმობითი. ამრიგად, ინგლისური ენის ერთ ფორმას ქართულში შეესატყვისება სამი მწკრივი: უწყვეტილი, წყვეტილი (უსრული ასპექტი) და I თურმობითი.

ყველა ამ ფორმას ქართულში შეუძლია გადმოცეს სხვადასხვა ხანგრძლივობის პროცესი, რომელიც ინგლისურ ენაში წარსული განგრძობითით (Past Continuous) გადმოიციემა. მაგალითად:

„დიდხანს დაეყვებოდი ტყის აღმდგენებს და თითქოს მის დაღლილ თვალთა და ჩაშხმარ ხელთა შუა ნახატარის ახალი ტყე იზრდებოდა, მაღლდებოდა, უღრან ტევრად იქცეოდა.“ (ლ. გოთუა, *ნისლი ნახატარის ტყეში*)

„თოფი საფანტით გავტენე და მშრალ ხეეს აყვევი, ნეტავ, მტყუანი და ფუჭ-ვკვიანი გამოვმდგარიყავ... ხმა ჩაკვარვა ზარათას, მიწა მოჩიქენა და დიდხანს ახველა.“ (იქვე)

„ერთ დილას ზამთარაძე თურქეთში მცხოვრებ ქართველი ტომების ამბავს შეკითხებოდა, ესაუბრობდით. თუთაშხია გარეთ იყო გასული. დიდ პალატაში ავადმყოფები საუზმეს აპირებდნენ.“ (კ. ამირეჯიბი, *დათა თუთაშხია*)

თანაფარდობითი მარტივი წარსულის ფორმა თხრობისას გამოიყენება. მხატვრულ ტექსტში იგი ერთ-ერთი წამყვანი ფორმათაგანია. მაგალითად:

"The strange thing was that when she looked into her heart it was not Julia Lambert the woman who resented the affront, she didn't care for herself, it was the affront to Julia Lambert the actress that stung her. She felt that her talent, genius the critics called it, was not really herself, not even part of her, but something outside that used her, Julia Lambert the woman, in order to express itself. It was a strange, immaterial personality that seemed to descend upon her and it did things through her that she did not know she was capable of doing. She was an ordinary, prettyish, ageing woman. Her gift had neither age nor form. It was a spirit that played on her body as the violinist plays on his violin." (W. S. Maugham, *Theatre*)

"She went out of the store and sat down on a bench in front of it o drink her Coke. The Coke was icy and sweet and stung the back of her mouth in little tart explosions. She drank slowly. She was in no hurry. She saw the graveled road leading away from the highway to the river. The shadow of a little cloud raced down it, like an animal running. It was silent from one coast to the other. The wood of the bench under her warm. No cars passed. She finished her Coke and put the bottle down under the bench.

She heard the ticking of the watch on her wrist. She banded back, to catch the weight of the sun of her forehead." (I. Shaw, Rich Man, Poor man)

თანაფარდობითი წარსული განუსაზღვრელისათვის დამახასიათებელია ახლანდელი დროის საორიენტაციო ღერძთან გათიშულობა, ერთდროული ან ერთმანეთის მომდევნო მოქმედებათა ერთობლიობის გამოხატვა და მოქმედების ერთგვისობა-მრავალგვისობა.

ინგლისური ენის თანაფარდობით წარსულს ქართულში შემდეგი მწკრივები შეესაბამება: წყვეტილი (სრული ასპექტის და იშვიათად უსრული ასპექტისაც), უწყვეტელი და I თურმეობითი. მაგალითად:

„გამოვზრუნდი, ჩანთა ჩამომხრჩვალავით ეკიდა კაკლის ტოტზე. შეძრულ ხელით ჩაწაწვე ჩემი ხარგი, შიგ კაკალივ იყო, მაგრამ აღარ ჩხრიალებდა ჩემი კაკალი! ზურგზე რომ მოვიდებ ჩანთას კუზის სიმძიმე ჰქონდა. ფესვებს ველარ შევახე ხელი. ტყის ბილიკს ქურდულად ჩავეყვი. წყაროსთან მაინც შევდექი, შიგ ჩავიხედე – წყაროს სარკე, თვალზე გადაკრულ ლობჩივით უსიღრმე და უანარეკლო იყო. დაღმართს მგლური ბუნებლით ჩავეყვი.“ (ლ. გითუა, ნისლი ნახატარის ტყეში)

„ერთმანეთს ჰყოცნიდნენ აბარბაცებული სტუმრები, ყველა მღეროდა თითქმის ვისაც როგორ შეეძლო და გალიის კედლებს აწყდებოდნენ მამიდა არიანდას დამფრთხალი ჩიტები.“ (გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი)

„თქვენ ალბათ გაგიგონიათ, მე ყოფილი გენერალი ვარ, სპეციალურად ინგლისური შემოსწავლა ამისათვის. მე თავად მქონდა ცხენსაშენი, უფირფრასისი ჯიშები მყავდა.“ (კ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება)

ამგვარად, ინგლისური ენის ერთ ფორმას – მარტივ წარსულს, ქართულში ასპექტ-დროის სამი მწკრივი შეესაბამება.

მარტივი წარსულის შემდეგი ვარიანტული მნიშვნელობაა ჩვეულებრივი მრავალგვისი, ციკლური მოქმედების გამოხატვა. თავად მნიშვნელობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში. მაგალითად:

“As for shirts, today the red seemed the one. I nearly wore it because, its bright shoulders pointed up the white specks that showed from my scalp, like a show of dandruff.” (J. Updike, The Centaur)

“He stayed. He drank eleven cups of tea. Night was falling. He rose again.” (ibid)

“Whenever the matter came before the legislature, it was quickly brushed aside on the grounds, “We need them”. They were needed, but they were not wanted.” (ibid)

მრავალგვისი მარტივი წარსულის რეალიზაციისათვის საჭიროა მრავალგვისობის გამოხატვითი ლექსიკური საშუალებები, რომლებიც მოქმედების მრავალგვის ხასიათს განსაზღვრავენ.

ინგლისურ მრავალგვის მარტივ წარსულს ქართულში შემდეგი მწკრივები შეესაბამება: უწყვეტელი, წყვეტილი, ხოლმეობითი და I თურმეობითი აღნიშნული მნიშვნელობით. უწყვეტელი, წყვეტილი და I თურმეობითი ამ მნიშვნელობას მხოლოდ ლექსიკური საშუალებების დახმარებით გადმოცემენ. რაც შეეხება ხოლმეობითს, ამ მნიშვნელობას იგი დამხმარე საშუალებების გარეშე გადმოცემს.

“During his stay in Jail Triunfador was frequently visited by Father Vigil, and to his surprise he found the Catholic priest to be a man of profound vision.” (J. A. Michener, Centennial)

„ხშირად დათა თუთაშხიას რომელიმე საქციელის მაგალითზე მიმართავდა ადამიანის აე-კარეს და ხანდახან ალბათ, ჩემს გასაგონად, თავის თავს ესაუბრებოდა ამ თემაზე“ (კ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია)

„რამდენჯერ ვყოფილვარ მიპატოებული, ან საქმეზე მისვლა დამპირებია. იმდენჯერ – სტერეოტიპის ძალით და მისგან გამომდინარე – საგანგებოდ მიფიქრია, თუ რისთვის უნდა მიმეცია ყველაზე მეტი ყურადღება ჩემსულობაში“ (იქვე)

„სიცილობ ისევ იფეთქა სუფრაზე, მაგრამ ბესიკი კვლავ წარბეკრული იჯდა და ოდნავ ღიმილითაც კი არ გაუხსნია სახე. ის ხანდახან გადახედავდა ხოლმე მასპინძელს და უნებურად გრწოხდა, რომ ბრმა მოხუცი, მისანივით, რომ წინასწარმეტყველებდა, მართალი იყო ააპუნას მიმართ“ (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

ინგლისურ ენაში კი ზმნის ფორმა ლექსიკური საშუალებების გარეშე ვერ გამოხატავს მოქმედების მრავალგზის ხასიათს. ეს მნიშვნელობა წარმოადგება ძირითადად კონტექსტის დახმარებით.

ინგლისურ ენას მრავალგზისობის გამსახატავად მოეპოვება სპეციალური კონსტრუქციები “used to + ინფინიტივი” და “would + ინფინიტივი” (G. Leech 1971, 49-50). ქართულშიც მოიპოვება მათი შესატყვისი სპეციალური გრამატიკული ფორმა – ხოლმეობითის მწკრივი და აგრეთვე კონსტრუქცია „ხოლმე + უწყვეტელი“. მაგალითად:

“Pete, I often think of what your Dad used to tell me about teaching. It’s rough, he’d say, “but you can’t beat it for the satisfaction you get.” (J. Updike, The Centaur)

„ხეობიდან წამოსული დილის სიო კაკლებს ჩამოუქროლებდა ხოლმე, ფოთლებს ააშრილებდა, ააფუსფუსებდა.“ (იქვე)

„შეეყოფი ხოლმე ხელს ჯიღებში, ქვებში და, თუ შევხვდებოდი თევზს, დავიკერდი და გამოვიყვანდი.“ (ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი)

მრავალგზისი წარსული განგრძობითის ვარიანტული მნიშვნელობა ემყარება დროში არალოკალიზებისა და მოქმედების წარსულზე განკუთვნიების ნიშანთა შეხამებას. მრავალგზისობის მნიშვნელობას წარსული განგრძობითი სხვადასხვა ლექსიკური საშუალებებით გადმოცემს. მაგალითად:

“It was still many days had passed that the Princess began to accept the idea of having done, a little, something she was not always doing, or indeed that of having listened to my inward voice that spoke in a new tone.” (H. James, The Golden Bowl)

მრავალგზისი წარსულ განგრძობითის ქართულში შეესატყვისება შემდეგი ფორმები: უწყვეტელი, ხოლმეობითი და I თურმეობითი. მაგალითად:

„მუშნი ზარანდია საინტერესო თანამოსაუბრე იყო ყოველთვის, მაგრამ ახლა, ათას ცხრაას ცხრა წელს იგი უკვე ისეთი მუშნი ზარანდია გახლდათ, როგორსაც, შეიძლება ითქვას, პირდაღებული უქსენდი.“ (ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშინა)

„ხანდახან ქარისა მოუკაკუნებდათ ხოლმე, რა გაქვთ ამდენი სალაპარაკო. შემოსვლით კი არ შემოვიდოდა.“ (ო. კელიძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

„ჩვეულებრივ დღის ამ ნახევარში არასოდეს მიმუშავია და მიმიძის ამაზე შეგუება – განაცხადა გოგია ახამიძემ.“ (აკ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

წარსული განგრძობითის ფორმა ინგლისურში ქართული უწყვეტლისაგან განსხვავებით გადმოცემს რეგულარულად განმეორებად მოქმედებას ზუსტი დროის მითითების გარეშე.

წარსულ პერფექტს მრავალგზისი მოქმედება ლექსიკური აქტუალიზატორების საშუალებით შეუძლია გადმოცეს. ესენია: seldom, always, sometimes და ა.შ. მაგალითად:

“She had already written three or four times, first to tell him, that she was married, well and happy.” (W. S. Maugham, Theatre)

“As for George Willard he had many times wanted to ask about hands. At times an almost overwhelming curiosity had taken hold of him.” (Sh. Anderson, Hands)

მრავალგზისი წარსულ პერფექტს ქართულ ენაში შეესატყვისება: II თურმეობითი, წყვეტილი, უწყვეტელი და ხოლმეობითი. როგორც ინგლისურში, ისე ქართულში მრავალგზისობის მნიშვნელობას ზმნის ფორმა კი არ გამოხატავს, არამედ სხვა კომპონენტები – განმეორებადი მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკური საშუალებები, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და წინადადების სტრუქტურა. მაგალითად:



"The thought of many father-in-law, whom I had not seen eight times in my marriage life, but knew well enough to fear profoundly, was a subject so vast, however, I put it away from me altogether." (N. Mailer, *An American Dream*)

„ჯიხვზე, მშველზე, ხოხობზე ნადირობის სეზონში ხშირად ჩავდიოდი ხოლმე მასთან, ამიტომაც განსაკუთრებით მაინტერესებდა მისი ზედი.“ (ვ. გამსახურდია, ვაზის ფევილოზა)

„კურკამ სამხერხაოს ეზოში ათიოდეუკერ შვყო თავი. მერე დაქირავებულ აგილზე ორსართულიანი ფიცრული ქოხი წამოვიძა. თითო სართული სიმაღლით, სიგრძით და სიგანით ორ-ორი ადგილი ძლივს იქნებოდა.“ (მ. ჯავახიშვილი, კურკას ქორწილი)

„ორივენი დელავდნენ, ერთ სათუქელს საშუკერ იმოკრებდნენ, კვლავ ერთმანეთს არიგებდნენ და გულის ფანცვლილად წასასვლელად ეზაადებოდნენ.“ (მ. ჯავახიშვილი, ზურის მამიბლები)

„ადრედვეც გაგონილი ჰქონდა, რომ სოლომონი იშვიათად იცვამდა ფარჩისა და სტავრის საშფო ტანსაცმელს, თავისი მეფობის მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე სულ ორჯერ თუ საშუკერ მორთულაფი ამ სამოსელში.“ (ავ. ბელიაშვილი, ოქროს ჩარდახი)

წარსულ პერფექტ-განგრძობით მრავალგზისობის მნიშვნელობა მხოლოდ ლექსიკური ინდიკატორების დახმარებით შეუძლია გადმოცეს. მაგალითად:

"He remembered how often he had been waiting for a minute or two on the landing to get his breath after the ascent, and how absurdly his impatience to see her had taken it away again." (W.S. Maugham, *Catalina*)

ამ ფორმას ქართულ ენაში შეესატყვისება II თურმეობითისა და უწყვეტლის შუკრივები. მაგალითად:

„კაროლინას არაერთხელ ენახა ეს საოცარი გაცხენება ლუკაისი“ (ვ. გამსახურდია, მთვარის მოტაცება)

„მიჰქოდადნენ მათ გვერდით სერები, კორდები, ნაკები, ნაჩები ტყეები. ლასლასით გარბოდნენ სივრცეში ცამდის ალანშული მთები, შევანბადიან რაინდებივით ამპარტაჯანნი და ამ სოფლის ჭრიამულს გარნიდებულნი“ (იქვე)

ამრიგად, ორივე ენაში წარსული დროის კატეგორიული ფორმა მიუხედავად რაოდენობრივი განსხვავებისა მაღალი სემანტიკური პოტენციალის მქონეა. წარსული დროის სემანტიკაში ძირითადი განსხვავება ამ ორ მოცემულ შესაპირისპირებელ ენაში ვლინდება მრავალგზისობის გამოხატულების პლანში. ქართულ ენაში მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად ენას მოეპოვება სპეციალური გრამატიკული ფორმა – ხოლმეობითის შუკრივი, ინგლისურში კი არ არის ზმნის გრამატიკული ფორმა, რომელიც ლექსიკური აქტუალიზატორების გარეშე გამოხატავდა მრავალგზის მოქმედებას. ინგლისურში განმეორებადი მოქმედების გადმოსაცემად არსებობს სპეციალური კონსტრუქციები *used + ინფინიტივი* და *would + ინფინიტივი*. ამგვარად, კონტრასტული ანალიზის საშუალებით განვიხილეთ ის მსგავსება-განსხვავებები რაც შესაპირისპირებელ ენებში არსებობს წარსული დროის კომპოზიციურ-სტილისტური შინაარსის გადმოცემის საშუალებებს შორის.

#### ლიტერატურა:

1. მეგრელიშვილი, მ. ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ინგლისურ ენაში. თბილისი, 1986.
2. ფიქრიშვილი, ფ. მესამე სერიის შუკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში, თბილისი, 2007.
3. შანიძე, ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
4. Тураев З.Я. Категории времени. Время грамматическое и время художественное. М. Высшая школа, 1979.
5. Blokh, M.Y. A Course in Theoretical English Grammar, 1983.
6. Bull, W.E. Time, Tense and the Verb. A Study in Theoretical Linguistics with particular attention to Spanish. Los Angeles: University of California Press, vol.19, 1960.
7. Leech, G. Meaning and the English Verb. London, Longman Group Limited, 1971

The Contrastive Analysis of the Temporal-Aspect Variants of the Past Tense in English and Georgian Languages (Separate Action, Correlative and Iterative)

Abstract

The article is about the contrastive analysis of the compositional-stylistic means of expressing past tense in English and Georgian languages. The main temporal-aspect variants which are characteristic features of the past tense in both languages are also analyzed. Contrastive analysis is very important to define the main similarities and differences between the languages.

The invariant meaning of the past tense is – priority to the moment of speaking. In English Past tense is realized by four aspect-tense forms: Simple Past, Past Continuous, Past Perfect and Past Perfect-Continuous. In Georgian Past Tense is realized by five tense-forms: Preterite, Imperfect, Iterative, Unseen Action I and Unseen Action II.

The grammatical category of the past tense has variant meanings. Each meaning is realized by the proper tense-form. Only some of them are discussed in the article. They are: past tense of separate action, correlative past and iterative. From the temporal-aspect variants of the Simple Past tense, the meaning of separate action is one of them which denotes the action belonging to the past. Its aim is to involve the axes of orientation into the action. The relevant tense forms in Georgian are: Preterite, Unseen Action I and Imperfect. As for the iterative past action, there are special constructions in English to express it. "Used + Infinitive" and "Would + Infinitive." In Georgian we have the relevant construction expressing iterative action in the past "Iterative + Imperfect."

Галина Поленова

Педагогический институт ЮФУ, Россия

КАТЕГОРИЯ ВЕРСИИ – СВИДЕТЕЛЬСТВО БЫЛОГО СОСТОЯНИЯ ЯЗЫКА

«В изменениях языка находят отражение изменения жизни народа, его культуры: язык – правдивый свидетель истории»  
(Чикобава 1983: 442).

Версия (от ср.-лат. *versio* – видоизменение, поворот) – грамматическая категория глагола, обозначающая отношение действия к его субъекту или косвенному объекту (преимущественно предназначенность действия). Встречается в кавказских, семитских, в отдельных индоевропейских и в некоторых других языках (Тестелец 1990: 83). Версия проявляется в том, что диатеза глагола изменяется в зависимости от наличия или отсутствия косвенного дополнения. Косвенное дополнение выступает в роли бенефактива / малефактива или посессора одного из объектов, представленных в том же предложении (там же).

На синтаксическом уровне различают нейтральную версию, когда косвенное дополнение отсутствует; объективную (центробежную) версию при наличии косвенного дополнения и субъективную (исцентробежную, центростремительную) версию, когда косвенное дополнение кореферентно подлежащему.

Целью данной статьи является рассмотрение пути развития категории версии на материале кетского языка.

Кеты - носители очень древнего языка. За время исследования енисейских языков и их внешних связей установлены типологические сближения с языками самых различных ареалов и типов, например: с языками Центральной Азии; с индоевропейскими и урало-алтайскими; языком бурушаски; северо-кавказскими, дравидийскими, шумерским и ностратическими языками и др.

Кетский язык на синхронном уровне относят к номинативно-аккузативному строю, причём кетский глагол имеет весьма сложную систему актантных аффиксов, подразделённых К. Боудой на группы В и D.

Таблица 1. Кетские субъектно-объектные аффиксы В

Число	Лицо	Класс	1-ый ряд	2-ой ряд	3-ий ряд	4-ый ряд
Единств. число	1.		ba-	bo-	ba-	bo-
	2.		ku-	ku-	ku-	ku-
	3.	м.	a-	o-	bu-	bu-
	3.	ж.	i-	u-	bu-	bu-
Множ. число	3.	неодуш.	iʔ-	u-	o-	o-
	1.		daŋ-	daŋ-	daŋ-	daŋ-
	2.		kaŋ-	kaŋ-	kaŋ-	kaŋ-
	3.	одуш.	aŋ-	oŋ-	bu-	bu-
3.	неодуш.	iʔ-	u-	o-	o-	

Таблица 2. Кетские субъектно-объектные аффиксы D

Число	Лицо	Класс	1 ряд	2 ряду	3 ряду	4 ряд
Единств. число	1.		di-/d-/t-	di:-	-di-/d-/t-	-di-/d-/t-
	2.		ki-/g-/k-	ku:-	-ku-/gu-/k-	-ku-/gu-/k-
	3.	М.	di-/d-/t-	du:-	-a-/o-	-ja/-a
	3.	Ж.	da-	da-	-i-/u-	-ja/-a
Множ. число	3.	Вещн.	b-a/da-	bi/ʔ	-b-/m-	-ja/-a
	1.		di-/d-/t-	di:-	-daŋ-	-daŋ-
	2.		ki-/g-/k-	ku:-	-kaŋ/ -gaŋ-	-kaŋ/ -gaŋ-
	3.	Одуш.	di-/d-/t-	du:-	-aŋ/-oŋ-	-jaŋ/-oŋ-
3.	Неодуш.	b-a/da-	bi/ʔ	-b-/m-	-ja/-a	

Такое обилие рядов показателей субъекта и объекта в структуре кетского глагола объясняется разными этапами их утверждения.

В кетском языке следует различать скорее переходные и непереходные парадигмы спряжения глаголов, а не *verba transitiva/intransitiva*, как таковые. Одна из типологических особенностей кетской падежной системы состоит в том, что падежи субъекта и прямого объекта на уровне выражения совпадают в форме абсолютива, но на синтаксическом уровне они четко противопоставят друг другу, ср.: *de?ŋ ass'en deŋaŋol'betin* 'люди убивали зверей', но: *ass'en de?ŋ deŋaŋol'betin* 'звери убивали людей'. Разница заключается, таким образом, в порядке слов: S-O-V, который соответствует, как правило, порядку следования аффиксов субъекта и объекта в формах глагола, например: *d-in'-gu-tet* 'я тебя побил', но: *k-in'-di-tet* 'ты меня побил' (*d/di* и *k/gu* – показатели соответственно 1-го и 2-го лица).

Исторически устанавливается отсутствие противопоставления глагольных лексем по признаку переходности/непереходности. Личные субъектно-объектные показатели восходят к классным (Поленова 2002: 41-46).

При классном спряжении 'непереходные' глаголы изменялись по классам субъекта, а 'переходные' - лишь по классам объекта.

Отмечено три функции показателей группы В: объектная, притяжательная и субъектная.

Показатели группы В в своей притяжательной функции совпадают с аффиксами родительного падежа личных местоимений и имени, а также с именными притяжательными приставками. Ср.:

<i>b-op</i> 'мой отец'	<i>b-i:t</i> 'я пахну'
<i>k-op</i> 'твой отец'	<i>k-u:t</i> 'ты пахнешь'
<i>bu-da</i> 'его' (родит. п. личного местоимения 3-го лица ед. числа)	
<i>bu-di</i> 'ее'	
<i>da-op</i> 'его отец'	<i>da-i:t</i> 'он пахнет'
<i>op-da</i> 'отца' (родит. п. имени существительного)	<i>am-di</i> 'матери'
<i>di-op</i> 'ее отец'	<i>d-i:t</i> 'она пахнет'

Показатели 1-го и 2-го лица: *b* и *k/g* восходят к генитиву соответствующих личных местоимений: *a-b*, *ii-k*.

Эти факты, а также отсутствие вещного показателя в группе *B* позволило считать, что аффиксы этой группы оформляли глаголы активной семантики.

Показатели группы *D* восходят к предикативным показателям. В енисейских языках, как было установлено, в роли сказуемого могло выступать любое слово (имя, глагол, другие части речи), получая при этом специальные предикатные или сказуемостные показатели (см. (Поленова 2002: 9-13). Ср.:

axiadi 'я хороший'	di:fun 'я стою'
axiayu 'ты хороший'	ku:fun 'ты стоишь'
axiadu 'он хороший'	du:fun 'он стоит'
axinda 'она хорошая'	da:fun 'она стоит'

Перейдя из постпозиции в препозицию, показатели группы *D* стали служить субъектными показателями стативных, инактивных глаголов, выражающих состояние субъекта.

Категория версии относится к активному строю (Климов 1977: 131).

В кетском языке среди других реликтов активного строя отмечена центростремительная версия – показатели ряда *ba-/ -a-* (по 1-му и 3-му лицу ед. числа) и центробежная - показатели ряда *bo-/ -o-* (см. таблицы №1). Ср.:

<i>boyain</i> 'я пойду, иду'	<i>boyabda</i> 'я слышу'
<i>kyrain</i> 'ты пойдёшь, идёшь'	<i>kyrabda</i> 'ты слышишь'
<i>oryain</i> 'он пойдёт, идёт'	<i>oryabda</i> 'он слышит'
<i>iyain</i> 'она пойдёт, идёт'	<i>iyabda</i> 'она слышит'

По нашим данным, категория версии выражается в кетском языке выражалась не только вокалическими дейксисами *ai* и *uo* (соответственно центростремительная и центробежная версии), но и с помощью согласных элементов *b-v-m* и *q-y-k-g-y* (соответственно центростремительная и центробежная версии); *s'* (нейтральная версия). Доказательством сказанного служат следующие языковые факты: кетские указательные местоимения: *ki* 'этот' (ближайший), *iu* 'этот, тот' (подалеже) и *qa* 'тот' (далёкий); появление *g* вместо *b* в прошедшем времени и в формах императива; показатель 2-го лица *-ku*; корневая морфема глагола «дать, давать» *-q-*; послелог местного падежа *-ka- ga*; лексема *qa-ya-ga* 'прочь, ввысь'; частица *qan* 'пусть!' и др.

Категория нейтральной версии (морфема *-s'*), возникла из нейтрального показателя предикативности *-s'*, исконное значение которого «быть, стать». Первичной функцией *-s'* было указание на состояние агенса и на предикативность той словоформы, к которой присоединяется этот аффикс. С оформлением глагола как части речи морфема *s'* приобретает характер нейтральной версии, обозначая состояния или действия, процесса как такового без подчёркивания роли агенса или пациенса ср.: *d'an 's'on 'ijuks'a* 'трава зеленеет'.

Версионные показатели не проходят через всю парадигму того или иного глагола.

у

В современном кетском языке представлены не только все приведенные средства выражения значения субъекта и объекта, но и есть также глаголы, которые дважды выражают субъект, например: *di-ba-nsuRo* 'я смотрю' (*di-ba-* оба аффикса выражают субъект). Такие примеры свидетельствуют о том, что язык отражает стадию перехода к номинативно-аккузативному строю, и глагольные формы уже не делятся четко на группы *B* и *D*, а показатели *D* (таблица 2) становятся грамматическими субъектными аффиксами, занимая начальную позицию в глагольной словоформе, как в приведенном примере. Префиксация субъектных аффиксов *D* распространяется также на глаголы, в которых выражается бенефактивность, т.е. на глагольные формы с указанием 'для себя' (формы субъектной версии, выражающие действие в интересах субъекта) или 'для другого' (формы объектной версии, выражающие действие, соотносённое с объектом). Последние переосмысливаются вследствие возникшей субъектно-объектной интенции как транзитивные

формы. Инновативная актантная модель с приведённым рядом префиксов *D* в функции субъективных показателей распространяется дальше и касается уже также глагольных форм с аффиксами *B*. При этом возникает особенно продуктивная модель с объективными аффиксами *B*, которые тоже развились из аффиксов объектной версии в глагольных формах с бенефактивным значением 'для другого' в показатели объекта.

С появлением показателей группы *D* в препозиции в роли субъективных формантов внутри глагола возникает субъективная версия, выражаемая морфемой «*d*», ср.: *didog* 'лечу, летаю', прошедшее время *dil'dog* 'я летел', императив *indog!* 'лети!'. Характерно, что этот показатель сохраняется и в форме императива, в отличие от версии «*b*» (центростремительной)..

Центростремительная версия «*b*» при номинативном строе превратилась в объектную с функцией подчёркивания, выделения объекта, представленного в глаголе показателями группы *B*,

#### Литერატურა:

- Чикобава А.С. (1983): Общее языкознание. Т. II. Основные проблемы. Издательство ТГУ. Тбилиси.  
Тестелец Я.Г. (1990): Версия. // Лингвистический энциклопедический словарь. Москва. С 83.  
Климов Г.А. (1977): Типология языков активного строя. Издательство «Наука». Москва.

### ნინო პოპიაშვილი ოვჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი იდენტობა და ქართული ლიტერატურა

იდენტობა ლათინური სიტყვაა და გაიგივებას ნიშნავს. იდენტობის მრავალგვარი განმარტება არსებობს. მათ შორის, იდენტობას უწოდებენ იგივეობას, რომელიც საკუთარი თავის გაიგივებას, თვითიდენტიფიკაციას ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ გაიგივება, ანუ თვითიდენტიფიკაცია შეიძლება იყოს ცობიერი ან არაცნობიერი, არსებობს ორმაგი იდენტობა, დაკარგული იდენტობა, უარყოფილი ან შექმნილი იდენტობა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრულ ლიტერატურას იდენტობის განვითარებაში საკმაოდ დიდი როლი აქვს. შეიძლება ვისაუბროთ ეროვნული იდენტობის, ასევე რელიგიური, ფემინისტური და სხვა იდენტობების განვითარებაზე მხატვრული ლიტერატურის საშუალებით.

ეროვნული იდენტობა იდენტობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეროვნული იდენტობა ერთიანდება სახელმწიფო და ენობრივ, ზოგ შემთხვევაში, რელიგიურ იდენტობასთან. ქართულ კონტექსტში ეროვნული იდენტობა სახელმწიფოებრივ და ენობრივ იდენტობასაც მოიცავდა. ეროვნული იდეოლოგია იგივე სახელმწიფოებრივი იდეოლოგია იყო, რაც სახელმწიფო ენის შენარჩუნებასა და დაცვასაც ნიშნავდა.

კულტურის იდენტობის პრობლემის კვლევა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება დასავლეთევროპულ მეცნიერებაში. ჰანს-პეტერ ფრეის, კარლ ჰაუსერის, ჯორჯ მიდის, ერიკსონისა და ჰაბერმანის ნაშრომებში კულტურის იდენტობა სხვა კრიტერიუმებთან ერთად: სქესი, ენა, ეროვნება და ს. შ. დიდი

ადგილი უჭირავს ეროვნულ, ანუ ნაციონალურ ლიტერატურას, როგორც მსოფლიო ლიტერატურის, ისე გლობალურ კონტექსტში, ვინაიდან გლობალური კომუნიკაციის პირობებში კულტურული იდენტობა სწორედ მშობლიურ ენასთან ერთად ეროვნული ლიტერატურის კონტექსტშია მოსაზრებელი.

დღეისათვის ლიტერატურის დისკურსში კულტურული იდენტობის კვლევას უკვე საკმაოდ ფართო ხასიათი აქვს დასავლურ მეცნიერებაში. ამ მხრივ მეცნიერთა კვლევის საგანია კულტურული ურთიერთობები და ეროვნული მახასიათებლები, კულტურული ექსპანსია, კულტურათა შეჯახებები და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ცნობილია, მხატვრული ლიტერატურა ესაა სუბიექტური წარმოდგენა, აღქმა და გარდასახვა, სადაც ავტორიმ ერთი მხრივ, სრულიად დამოუკიდებელი შემოქმედია თავისი მხატვრული სამყაროსი, ხოლო მეორე მხრივ, სრულიად დამოკიდებულაა საკუთარ გარემოზე.

ცნობილია, რომ იდენტობის ცნება იცნობს რამდენიმე კატეგორიას: სქესი, ეროვნება, რელიგია, სახელმწიფო, ენა, ოჯახი, განათლება (ზმირად, სკოლა და უმაღლესი სასწავლებელიც კი), აღზრდის გარემო (სახლი, ქუჩა, უბანი, სოფელი, ქალაქი, უცხოეთში მოგზაურობა) და ა. შ. არსებობს ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობა. აღნიშნულია, რომ იდენტობა ეს არის ადამიანის, ან გარკვეული ჯგუფის წარმოდგენა საკუთარ თავზე.

ეროვნული ანუ ნაციონალური იდენტობა ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში გამოიკვეთა. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა თავისი პუნებით ზეეროვნულია. როგორც წესი, ჰაგიოგრაფიული, ანუ ქრისტიანული მწერლობის ასახვის ობიექტი, – წმინდანი ეროვნული იდეალებისათვის, ეროვნული იდენტობისათვის არ იღწვის, თუმცა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება ამკარად დასტურდება (იოანე საბანისძის “აბოს წამება”, გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება” და სხვ).

ეროვნული იდეალები ასაზრდოებსდა ქართული ლიტერატურის განვითარების ყველა ეტაპზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს. მათ შორის “ვეფხისტყაოსანს”, რომელიც გვიანი შუასაუკუნეების ძეგლია და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურულ ტენდენციებს ასახავს. მიჩნეულია, რომ “ვეფხისტყაოსნის ეპოქალური და ეროვნული ხასიათი აქსიომატურია” [სათიანი].

ეროვნული იდენტობის საკითხი განსაკუთრებით მძაფრად XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში გამოიხატა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით იყო გამოწვეული. ბატონიშვილების, რომანტიკოსების, ხოლო შემდგომ თერგდალეულთა შემოქმედებაში ეროვნული თემატიკა უმთავრეს მოტივს ქმნის.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ლიტერატურა, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები საბჭოთა იდეოლოგიის მკვეთრ ზეწოლას განიცდიდა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა მხოლოდ ერთი საერთო საბჭოური კულტურა თავისი საერთო და ყველა რესპუბლიკისათვის მსგავსი იდენტობით, სადაც თითქმის ყველა საბჭოთა დიდ ქალაქში ერთნაირი იყო ადმინისტრაციული თუ კულტურული შენობები (თეატრი, ოპერა, ფილარმონია), ერთნაირი იყო ბეგლების შინაარსი და თემატიკაც (სამამულო ომი, საბჭოთა გმირები) თვით ეროვნულ თემაზე შესრულებული ძეგლების სულისკვეთება და გამომსახველობითი სამუალებებიც მსგავსი იყო ერთმანეთისა (თავდაჯერებული გმირი, აუცილებლად ძლიერი ფიგურა, რომელიც მოგვიწოდებს შრომისა და ზრდო-

ლისათვის). საბჭოური ლიტერატურა ძირითადად მსგავსი თემატიკით იყო შემო-  
ფარგლული ისევე, როგორც საბჭოთა კინო. მსგავსი იყო ქალაქების ცენტრალური  
ქუჩების სახელწოდებებიც, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს სააერთო, საბჭოურ  
მენტალობას და რითიც იგნორირებული იყო ეროვნული, ნაციონალური იდენტობა.

თუმცა საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებშიც კი სწორედ ლიტერატურა  
შეიძლებოდა ყოფილიყო ეროვნული იდენტობის გამომხატველი. ქართული საბ-  
ჭოთა ლიტერატურა ასახავს და წარმოაჩენს იმ ტენდენციებს, რომლითაც ერო-  
ნული იდენტობა განსაკუთრებით ხაზგასმულად და ფასეულადაა წარმოდგენილი.

ეროვნული იდენტობის ახალი ხაზი ქართულ ლიტერატურაში XX საუკუნის  
80-90-იან წლებში დასტურდება, რაც საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში  
განსაკუთრებული რადიკალიზმით (პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი) ხასიათდება,  
ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში ეროვნული იდენტობის თემა ლიბერალურ ნიშნებს  
აშუქავს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ახალი რეალობის წინაშე  
არმოჩნდა. საჭირო იყო სრულიად ახალი, მანამდე უცხო და არაერთხელ უარ-  
ყოფილი, ე. წ. კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილების მიღება, დემოკრატიული  
ღირებულებების გათავისება და დანერგვა, რასაც მრავალი სიმძნელე ეხლდა თან.  
ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ახალი კულტურული გარემო  
აღმოცენდა.

დამოუკიდებელი რესპუბლიკები საკუთარი კულტურული იდენტობის  
შენიშვნისა და გამოვლენის გზას დაადგინეს, სადაც, ერთი მხრივ, მთელი აქცენტი  
იმ განსხვავებებზე კეთდებოდა, რაც არსებობდა და არსებობს ყოფილ საბჭოთა  
ხალხებს შორის. განსაკუთრებული წვლილი კულტურულ იდენტობაში ხალხების  
ისტორიამ, რელიგიამ, ეროვნულმა ლიტერატურამ და კულტურულმა  
მრავალფეროვნებამ შეიტანა.

მეორე მხრივ, დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა, ახალი ქვეყნის  
შენებლობა გლობალიზაციის კონტექსტში გახდა აუცილებელი.

ბრძოლა ვიწრო ნაციონალიზმსა და დემოკრატიულ ღირებულებებს შორის  
პოსტსაბჭოთა პროცესის თანამდევი ასპექტი ხდება.

ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა მრავალი ასპექტით ხასიათდება. ერთი  
მხრივ, იგი არის ნაციონალური, ეროვნული მწერლობა, რომელიც ქართველი  
ხალხის კულტურულ და ეროვნულ იდენტობას ასახავს და გამოხატავს, თუმცა  
მეორე მხრივ, ნაწილია მსოფლიო ლიტერატურული პროცესისა და, შესაბამისად,  
ასახავს მსოფლიო ლიტერატურის თანამედროვე ტენდენციებს, მიმართულებებს.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე კულტურული კვლევის აქტუალობას ნაციონალურ  
ლიტერატურაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში სხვა გარემოებებთან  
ერთად ხელი შეუწყო იმანაც, რომ მსოფლიო გლობალიზაციის წინაშე დადგა. ხო-  
ლო ასეთ პირობებში ყველა ერი მეტნაკლები სიმძიმით დადგა საკუთარი კულტუ-  
რის დეკარგვის საფრთხის წინაშე.

ბუნებრივია, რომ გლობალიზაციის, როგორც უალტერნატივო გამოწვევის  
პირობებში იზადება კითხვა მცირე ერებისა და მათი კულტურის არსებობა-  
შენარჩუნების შესახებ. თუ ერთი მხრივ, ამ პერიოდის ლიტერატურა  
განსაკუთრებული ღიაობით ხასიათდება, მეორე მხრივ, გლობალიზაციის წინაშე  
კულტურის იდენტიფიკაციის თავისებურ პასუხს ნაციონალური ლიტერატურა  
საკუთარ, ნაციონალურ კულტურაში ეძებს.

### ლიტერატურა:

1. <http://publish.dif.ge/vaxtanevi/aleksandrecirekidze/images/publicistika.htm>
  - a. ლეონ სებასტიანე ბუხის მოლოდინი
  - b. <http://www.litsakhelebi.ge/index.php?page=14&lang=geo&author=50&composition=81>
2. <http://www.sneqali.isu.ge/index.php/ge/article/viewArticle/111>
3. ნაღარსე ჯ. ლიტერატურული ნარკვევები, თბ., გამომც. "ნეკერი", 1997;
4. ვახტანგისძე ჯ. კრიტიკა, I, თბ., "საქ. ხსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა", 1956

Nino Popiashvili

### Identity for Georgian literature

Etnic identity for Georgian literature from start in was an important subject. Still in 5. or in the 8th century written Georgian agio-graphic literature („curing of Schuschaniki“, from Jakob Tsuraveli, or „heal of subscription“, from Ioane Sabanisidze“ and other) erhillt ideology which shows etnische identity.

One is noted that etnic identity is one of important subjects for Georgian literature. But every period in the Georgian literature has shown all that united-like and has explained.

The Soviet literature was just influenced as philosophy, history and arts fields, very much by the Soviet ideology. There was only one single common homeland for all 15 countries, and every kind of art, mass culture had to play his role intended to him for this common brotherly living together. Music, film, theatre, everything should show how nicely one lives in the Soviet Union. Literary critics of the former USSR have tried to show everywhere popular authors living before the Soviet time, as a critic of the states at that time and therefore as a forerunner of the communist ideology to which merely the luck remained kept to live in the Soviet Union where her dreams and wishes became true.

### НАЗИЯ ЖАНПЕЙСОВА ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ, КАЗАХСТАН МЕТОД «ПАЛЕОНТОЛОГИИ РЕЧИ» В ИССЛЕДОВАНИЯХ ПРОФ. К. ЖУБАНОВА

Профессор Кудайберген Куанович Жубанов – основоположник современного казахского языкознания, полиглот, автор многочисленных теоретических трудов и практических руководств по казахской грамматике, а также учебников казахского языка, председатель Казахской терминологической комиссии, был расстрелян в 1937 году в возрасте 38-и лет по обвинению в шпионаже в пользу Японии, что в ту пору не было редкостью. Ученый отлично владел русским языком, который выучил самостоятельно, а позднее усовершенствовал, обучаясь в Оренбурге и Санкт-Петербурге. Однако большую часть своих статей и крупных научных трудов он написал на казахском языке, адресуя их казахскому читателю. В начале XX века в казахском языке использовались сначала арабская вязь, затем - с 1929г. по 1940г. - латиница, и только в 40-е годы была введена кириллица. Труды профессора К.Жубанова на родном языке написаны с использованием латинского шрифта. Позднее тексты были транслитерированы и изданы в 80-90х годах XX века в привычном для современного казахского читателя виде. Взгляды К.Жубанова на языковые явления поражают своей неординарностью и свидетельствуют об огромной научной эрудиции. Обучаясь в Институте востоковедения в Санкт-Петербурге, К.Жубанов активно посещал «Яфетический семинар» академика Н.Я.Марра, был его учеником. Именно под влиянием идей Н.Я.Марра написаны многие этимологические этюды К.Жубанова. Материалы показывают, что К.Жубанов увлекался исследованиями в области так называемой «палеонтологии речи». Анализируя труды ученого, приходишь к выводу, что в его исследованиях весьма последовательно реализуется принцип, который в современной лингвистике называется *антропоцентрическим*.



Обратимся с этих позиций к трудам профессора К.Жубанова. В одной из своих работ К.Жубанов приводит интересные сведения о казахском междометии *mah-mah*, с помощью которого призывают коня к кормушке: ученый связывает его с китайским названием лошади [4,С.126]. Факты, приводимые К.Жубановым, проливают свет на происхождение существующих в современном казахском языке исконно казахских слов *мама1* в значении «оженская грудь» и *мама2* - «стойл для привязи коней, коновязь», которые, по данным словарей, являются омонимичными более позднему заимствованию из русского языка *мама3* в значении «мать» (из «детского лепетного языка»). В казахском языке сочетанием *мама-бие* обозначают кобылу, а *мама-сыыр* - корову, которая дает много молока (букв: «с большим выменем»). Вместе с тем мы не исключаем и противоположного вектора развития: возможности образования имени женского божества от наименования женской груди, матери, так же, как и образования слова *мама* в значении «оженская грудь» на основе детского лепета путем удвоения слога ма- [6], что больше соответствует логике семантического развития языка.

С лингвокультурологической точки зрения для исследователя важен тот факт, что современные носители казахского языка почти не осознают указанной омонимии, и все три слова участвуют в формировании содержания казахского концепта *мама/ана*.

Статья «Қазақ музыкасында күй жанрының пайда болуы жайлы (тил мен тарих деректері) / О возникновении казахского музыкального жанра күй (историко-лингвистический очерк)» написана ученым в 1936 году, а в 1998 году была переведена нами на русский язык [2]. В этом труде ученый рассуждает по поводу целого ряда казахских музыкальных терминов. Происхождение каждого слова К.Жубанов рассматривает с учетом взаимодействия лингвистических и экстралингвистических факторов. К.Жубанов считал, что развитие словарного состава языка, а также единиц других языковых уровней обусловлено общественными явлениями, спецификой социокультурной жизни этноса. Достаточно обратиться к принципам формирования терминологических систем, которые были сформулированы ученым в 30-е годы применительно к казахскому языку и которые, как показало время, не утратили своей актуальности и сегодня, а также к специальным трудам профессора из области фонетики и грамматики казахского языка [4].

Ученик академика Н.Я.Марра, К.Жубанов анализирует материал в русле «яфетической теории» («нового учения о языке»), ядром которого является «палеонтологический метод», связанный с двумя теоретическими постулатами: «1) о единстве глоттогонического (языкотворческого) процесса и 2) о стадийном (ступенчатом) развитии языков (Чикобава)» [1,С.174]. Не углубляясь в детальное рассмотрение «яфетической теории», отметим лишь, что очерк К.Жубанова строго выдержан в идеологическом отношении, однако подход к изучению выдвинутой проблемы и методика анализа представляют несомненную научную ценность. Ученый опирается на следующие положения, которые явились основой для исследований многих ученых – членов «Яфетического кружка»: 1.Рассмотрение языковых фактов в непосредственной связи с историей общества, носителями языка. 2.Отказ от признания приоритета той или иной культуры (в противовес индоевропеистике). 3.Широкие языковые сопоставления.

Некоторые положения К.Жубанова перекликаются с точкой зрения представителей указанной школы. Так, например, Н.Я.Марр, критикуя однобокость евроцентристского подхода, писал: «генезис каждого из этих районных миров тюркских народов при единственном пока в академическо-научных кругах формальном методе разъясняется исключительно как результат действия той или иной господствующей культуры на тюркскую среду. Тюркская же среда лишь пассивно и как бы случайно приемлет то или иное влияние или переплет столкнувшихся влияний», на что А.Н.Самойлович, в свою очередь, замечает: «Признавая правильным это критическое замечание, тюрколог, само собою разумеется, вместе с тем не может отказаться совершенно от отнесения тех или

ных культурных явлений у отдельных тюркских народов к числу заимствований или внешних явлений (Самойлович)[7]. К.Жубанов анализирует структуру казахских лексем *кюй, толгау, жыр, баксы, кобыз, сыбызгы, домбыра* с привлечением широкого круга материалов из области этнографии, оперирует сравнительно-лингвистическими данными, приводит многочисленные факты из словарей, ставших библиографической редкостью. В частности, обращаясь к происхождению жанра *кюй* – чисто инструментального жанра народной музыки, близкого к современной симфонической музыке, ученый предлагает решение следующих задач: во-первых, изучение исторических фактов, содержащихся в письменных источниках Востока и Запада; во-вторых, анализ идеологической функции музыки в древности; в-третьих, анализ конкретных музыкальных терминов как средства распространения этой идеологии; в-четвертых, изучение внутренней структуры народных музыкальных произведений; в-пятых, сопоставление казахской музыки с музыкальной культурой других народов. Профессор подробно освещает проблему в пределах первых трех задач, подчеркивая, что все остальное – дело рук музыковедов и искусствоведов. Анализ письменных источников (Махмуд Кашгари (XIV в.), Абдыкадыр Мураги (XIV в.), Кизеветтер, Беляев, Успенский), сопоставление фактов узбекского, уйгурского, туркменского, азербайджанского языков, а также языка анатолийских турок дает ученому основание говорить о том, что праформой слова *кюй* было *кок*. Исследованный материал позволяет предположить, что появление жанра *кюй* относится к далекой древности, ибо уже в XIV веке были известны такие разновидности музыкальных жанров, как *кюй* – «музыка, исполняемая на инструменте», и *жыр, дола* – «музыка, исполняемая голосом». Указывая на синкретизм как важнейшую форму проявления архаического образа мышления, ученый приходит к выводу о достаточно высоком уровне развития казахской народной музыкальной культуры, уже в древности знавшей такое деление, и доказывает, что *кюй (кок)* первоначально выполнял магическую, культовую функцию, являясь посредником между древним человеком и космосом. (*кок* – «1. синий, голубой, зеленая грива; 2- небо»)[5 С.17]. Весьма важным является анализ ряда лексем, неясность происхождения которых привела к появлению в европейской науке различных гипотез о «вторичности» культуры «варваров-кочевников». К.Жубанов доказывает закономерность наблюдаемых фонетических чередований, сравнивая лексемы *кюй-кок, камыс-сыбыс-сыбызгы-абыз-кобыз* со словами других тюркских народов и обращаясь к глубокому историко-культуроведческому анализу. Так, анализируя распространенный у многих народов музыкальный термин *домбыра (каз), -тамбур (араб)- тамыр (бенг) – тамир (грек) – домри (рус)*, К.Жубанов считает, что это слово «в древности обозначало понятие, связанное с владением музыкой, источником музыки. По всей вероятности, это название тотема-покровителя музыки, равным образом почитаемого во всей Евразии» [3]. Этим покровителем музыки, по мнению К.Жубанова, является упоминаемый древними греками слепец Темерис. Попутно ученый анализирует и различные проявления народной этимологии, не подтвержденной научными фактами. Уточняя происхождение музыкального термина *кобыз* (ср.: кирг *камыс*; татар., башк. *кобыз*; укр. *кобза*), К.Жубанов посредством лингвэтимологического анализа устанавливает словообразовательные связи между словами *сыбыс* (камыш, звук, шорох) – *сыбызгы* (свирель) – *камыс* (камыш) – *абыз* (древн.: старейшина, шаман) – *кобыз*.

Таким образом, в современных лингвокультурологических исследованиях, выполненных в рамках антропоцентрического подхода, могут быть плодотворно использованы пути, методы и результаты анализа разнообразного материала в русле «палеонтологии речи», осуществленные в первой половине XX века представителями яфетического семинара.

#### ЛИТЕРАТУРА:

1. Горбаневский М.В. (1991): В начале было слово... (Малозвестные страницы истории советской лингвистики). Издательство УДН. Москва.

2. Жанпеисова Н.М. (1998): Перевод статьи проф. Х.Жубанова "О возникновении казахского музыкального жанра кий" (историко-лингвистический очерк) // Вестник Актобинского университета. №1. Актобе. С.5-19.
3. Жубанов К. (1936): Казах музыкасында куй жанрынын пайда болуу жайлы (тил мен тарих деректери). Кызылорда.
4. Жубанов К. (1999): Из истории порядка слов в казахском предложении // Жубанов К. Казах тили жониндеги зерттеулер. Алматы. С.418-419.
5. Махмудов Х., Мусабаяев Г. (1989): Казахско-русский словарь. Издательство КСЭ. Алматы.
6. Трубочев О.Н. (1959): История славянских терминов родства и некоторых древнейших терминов общественного строя. Издательство АН СССР. Москва.
7. Самойлович А.Н.(1935): Туркология я новое учение о языке // Яфетический сборник. Вып.XIV. Москва-Ленинград. С.116-117.

NAZIA JANPEISOVA

Professor Kudaibergen Kuanovich Zhubanov

Abstract

In the report deals with the scientific heritage of the most outstanding Kazakh scientist, Professor K. Zhubanov, who was arrested in 1937. Professor Kudaibergen Kuanovich Zhubanov - the founder of modern Kazakh linguistics, polyglot, the author of numerous theoretical works and practical guides on Kazakh grammar, as well as textbooks of the Kazakh language, the chairman of the Kazakh terminology committee. Trained at the 20-30-ies at the Institute of Oriental Studies in St. Petersburg, K. Zhubanov actively attended "aphetic workshop" of Marr, was his pupil. It was under the influence of Marr written many etudes etymological K. Zhubanov. K. Zhubanov enthusiastic research into the so-called "palaeontology speech."

In the study, researchers very consistently implemented the principle that in modern linguistics is antropolatricheskim.

სვეტლანა როდინაძე

ბათუმის საზღვაო აკადემია

### ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესი

ქართული ნაოსნობის ისტორია უძველესი დროიდან იწყება. ცნობილი აღქსანდრიელი პოეტი აღექსანდრე როდოსელი ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში თავის ცნობილ პოემაში „არგონავტები“ კოლხების შესახებ წერდა, რომ ისინი ინახავენ წინაპრების დაწერილ ხელნაწერებს, სადაც აღწერილია ყველა ზღვის და ხმელეთის საზღვრები მოგზაურობისათვის.

ძველი წელთაღრიცხვის II და I საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთი ცნობილი იყო თავისი მეზღვაურებით და გემთმშენებლობით. I პირველ საუკუნეში მდინარე ბათუსის შესართავთან უკვე არსებობდა პორტი ბათუსი (დღევანდელი ბათუმი). ჩვენი წელთაღრიცხვის I, II და შემდეგ საუკუნეებში ბათუმის პორტში შემოდოდა რომაელთა სამხედრო და სავაჭრო გემები.

XIX და XX სს ნაოსნობა საქართველოში განსაკუთრებით განვითარდა.

ამჟამადაც ნაოსნობას უდიდესი როლი აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. ნაოსნობისთვის აუცილებელია არსებობდეს და ჩამოყალიბდეს საზღვაო ტერმინოლოგია. ისე მოხდა, რომ ქართული საზღვაო ტერმინოლოგია მიიფიქს და უმეტესად შეიცვალა რუსულენოვანი ტერმინოლოგიით.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ნაწილი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღწერილი აქვს სულხან საბა ორბელიანს თავის ცნობილ ლექსიკონში „ლექსიკონი ქართული“. სულხან საბა აღნიშნავდა, რომ ქართული ლექსიკონი არსებობდა წინა საუკუნეებში, მაგრამ ქართველებს ის დაუკარგავთ. სულხან საბა გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ქართული ენა მეტად სავალალო მდგომარეობაშია.

სულხან საბას ეს ლექსიკონი, მართალია, განმარტებითი ლექსიკონია, მაგრამ ის ენციკლოპედიურს და თარგმნით ხასიათსაც ატარებს.

განსამარტავ სიტყვათა მრავალი სულხან საბა ორბელიანს უმთავრესად აღებული აქვს ქართული მწერლობიდან, როგორც მისთვის თანამედროვე, ასევე ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლებიდან, მაგალითად, სულხან საბას ლექსიკონში განმარტებულია შემდეგი საზღვაო ტერმინები:

*ზღუა* - შესაკრებელი წყალთა.

*მუნავე* - ესენი არიან ყოველნი ნავთა მუშაენი;

*სანდალი* - ნავთა მომცრო

*ღუზა* - ხომალდის კაცი. ხომალდის დასაყენებელი რკინა(ა). ხომალდის რკინა.

*ხომალდი* - დიდი ნავი. დიდი ნავთაგან

„სიტყვის კონაში“ განმარტებულ ცალკეულ სიტყვებს თანამედროვე ქართულ განმარტებით ლექსიკონში დამატებული აქვთ დამატებითი ტექნიკური მნიშვნელობებიც, მაგალითად, სულხან საბას შემდეგნაირად აქვს განმარტებული სიტყვები:

*მუბრუჭი* - ცხენთ ცხვირთ მოსკრებო.

*ლილევი* - მადის სქსოვი ჩხირი.

*ჯალამზარი* - დიდი ქვის მღლა ასატანი.

ხოლო თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვები შემდეგნაირად არის განმარტებული:

*მუბრუჭი* - ტექ. მოწყობილობა მანქანების ამოძრავებისთვის, მოძრაობის შესაძლებლად ან გასაჩერებლად.

*ლილევი* - ტექ. სხვადასხვა მანქანის ნაწილი - ცილინდრი, რომელიც ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო.

*ჯალამზარი* - დიდი ქვის მღლა ასატანი ბლოკის სახის მქონე საგანგებო მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ სიმძიმეთა ასაწვეად.

შემდეგი ქართული ლექსიკონი, რომელშიც ნახსენებია საზღვაო ტერმინები, არის თამარ და ისიდორე გვარჯალაძეების მიერ გამოცემული ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. ეს ლექსიკონი მართალია, არ არის საზღვაო დარგის სპეციფიკური ლექსიკონი, მაგრამ მასში შეტანილია ცალკეული საზღვაო ტერმინებიც, მაგალითად:

*galley*- ერთანბა ნავი, კარჭაპა, კამბუზი

*წაქ(ა)* - ვახტი, საგულშაგო (გემზე)

*ნაეიგატე* - გემით ცურვა

*მაინმასტ* - გროტანბა

1989 წელს გამოვიდა ტექნიკური ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონის შესაბამე შესწორებული გამოცემა რ. დვალისა და რ. ლამბაშიძის რედაქციით. ის შედგება 60,000 ტერმინისა და ტერმინოლოგიური გამოთქმისაგან და მოიცავს ტექნიკის სხვადასხვა დარგს. პირველი ცდა ქართულ ენაზე ტექნიკური ტერმინოლოგიის შემუშავებისა ეკუთვნის საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებას, რომელმაც 1920 და 1921 წლებში დაბეჭდა "ტექნიკური ტერმინოლოგია", მაგრამ ამ წიგნში მთლიანად არ იყო შესული ყველა ტექნიკური ტერმინი. ტერმინოლოგიის შედგენაზე მუშაობას სათავე დაუდო ივანე ჯავახიშვილმა.

ტექნიკის განვითარების შემდგომმა ეტაპმა დღის წესრიგში დააყენა ტექნიკურ ტერმინოლოგიაზე მუშაობის გაგრძელებისა და ახალი ტერმინოლოგიის გამოცემა.

ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია შედგება 60,000 ტერმინისა და ტერმინოლოგიური გამოთქმისაგან და მოიცავს ტექნიკის სხვადასხვა დარგს.

*судоверфь - გემთსაშენი, ვერფი*  
*кают-компания* კაიუტ-კომპანია  
*эхолот - ექოლოტი*

"რუსულ-ქართულ საზღვაო ტერმინთა ლექსიკონი" გამოიცა 1985 წელს შორეული ნაოსნობის კაპიტნის ვ. ბარათაშვილის მიერ. ამ ლექსიკონის გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანი იყო როგორც მეზღვაურებისთვის, ისე საზღვაო საქმით დაინტერესებული სხვა პირებისთვის. აქ დაზუსტებულია და უნიფიცირებულია ტერმინები და მათი შესატყვეები რუსულსა და ქართულ ენებზე. ეს იყო პირველი ცდა საზღვაო ქართული ლექსიკონის შექმნისა.

ლექსიკონზე მუშაობის დროს სირთულეს ქმნიდა საზღვაო ტერმინოლოგიაში შესული უცხოური წარმოშობის ლოკალური გამოყენების სიტყვები, ჟარგონული გამოთქმები, რომელთაც ქართული შესატყვისები არა გააჩნდა.

"რუსულ-ქართულ საზღვაო ტერმინთა ლექსიკონი" მოიცავს საზღვაო ტერმინოლოგიის მხოლოდ ნაწილს.

1995 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაიწყო დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამოცემის პროექტი. ეს ლექსიკონი გამოდის ნაკვეთებად, რამდენიმე ტომის სახით. მისი გამოცემა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

ამ ლექსიკონში შეტანილია სხვადასხვა დარგის, ძირითადად, სამეცნიერო, ტექნიკური, აგრეთვე ზიზნესის, ხელოვნების და სხვა დარგების ტერმინოლოგია. მართალია, ეს ლექსიკონი არ არის დარგობრივი, მაგრამ მასში შესულია საზღვაო ტერმინოლოგიის საკმაოდ დიდი ნაწილი, მაგალითად:

*coasting-vessel* საკაბოტაჟო გემი  
*drag-anchor* მტურაეი ლუზა  
*navigator* - მტურმანი, ნავიგატორი  
*boiler-room* - საქვაბე განყოფილება  
*cargo carrier* - სატვირთო გემი

2009 წელს საზღვაო ადმინისტრაციის მიერ გამოიცა ინგლისურ-რუსულ-ქართული საზღვაო ლექსიკონი. მასში შეტანილია თითქმის ყველა საზღვაო ტერმინი და ფრაზა. მისი დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს მეზღვაურებს, საზღვაო სასწავლებლების კურსანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ქართულენოვანი საზღვაო ტერმინების ათვისებაში. ეს ლექსიკონი მოიცავს 10,000-ზე მეტ ტერმინს და ტერმინოლოგიურ გამოთქმას თითოეულ ენაზე, მაგალითად:

*thruster* *подъёмная установка* მისაყენებელი მოწყობილობა  
*forecastle* *бак* ერდო  
*deck house* *палубная рубка* გემზანის ჯიხური

ამრიგად, ნაოსნობის განვითარებას საქართველოში ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ქართული საზღვაო-ტექნიკური ტერმინოლოგია ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ტერმინთა უმრავლესობა ინგლისურია, დიდი ადგილი უკირავს რუსულენოვან ტერმინებს, ზეერია კალკირებული და ხელოვნური ფორმაც. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ შეიქმნას უნიფიცირებული ტერმინოლოგიური სისტემა. ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნა და დამკვიდრება ეროვნული თვითდამკვიდრების ერთ-ერთი გამოხატულებაა.

### ლიტერატურა:

1. გვარჯალაძე თ., გვარჯალაძე ი. „ინგლისურ ქართული ლექსიკონი“ თბ., 1999
2. დვალი რ. და ღამბაშიძე რ. „ტექნიკური ტერმინოლოგია“. თბ., 1989.
3. ორბელიანი სულხან-საბა. „ლექსიკონი ქართული“. თბ., 1951.
4. სარდაქციო კოლეგია, მთავარი რედაქტორები თამარ ჯავახიძე და თამარ ჯამი. (1999-2001): „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ (მრავალტომეული რეკლამა). თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ.
5. რიკოვი რ., „ილუსტრირებული საზღვაო ტექნიკური ტერმინოლოგია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე“. ბათუმი., 2009.
6. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (რეკაომეული)(1950-1964): თბილისი.
7. Бараташвили В.В. (1985): «Морская терминология». Тбилиси.
8. Чантурия В.К. (1980): «Батумское мореходное училище имени маршала инженерных войск А.В. Геловани». Батуми.

Svetlana Rodinadze

## The Process of Formation of Georgian Marine Terminology

### Abstract

Georgian navigation has a long age history. The formation of marine terminology is necessary for our country. Georgian marine terminology was forgotten and mostly it was changed by Russian terminology.

Part of marine terminology was described in the XVIII century by Sulikhan-Saba Orbeliani in his dictionary "Georgian Dictionary".

The next Georgian Dictionary, where marine terms are mentioned is Georgian-English dictionary published by Tamar and Isidore Gvarjaladze. It is not specific, marine dictionary, but it includes part of marine terms.

In 1989 was published the third edition of "Technical terminology". It includes all technical fields.

"Georgian-Russian Marine Dictionary" was published in 1985 by the deepseavessel Captain V. Baratashvili. It was the first attempt to create Georgian Marine dictionary.

From 1995 publishing of great English-Georgian dictionary has been started. It includes part of marine terms.

Georgian-Russian-English dictionary was published in 2009 by Georgian Shipping Company. It includes almost all terms and phrases.

## იზოლდა რუსაძე, კახაბერ ქეზულაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი ქართული ენის დევნა-შევიწროება და ბრძოლა მისი დაგვისათვის გაზეთ „კოლხიდას“ მიხედვით

ქართულ სალიტერატურო ენას თავისი არსებობის მანძილზე მრავალი დაბრკოლება აქვს გადახდილი. ამ ენის წინსვლა-განვითარებაზე განსაკუთრებით შემაფერხებლად იმოქმედა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ძალდატანებითი ანექსია, გააუქმა მისი მრავალსაუკუნეობრივი სახელმწიფოებრიობა და შეუდგა თავისი დამპყრობლური პოლიტიკის გატარებას. ქართული ენა განიდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან. ჩვენი შშობლიური ენა სკოლებში მეორეხარისხოვანი საგანი გახდა. მას V-VI გაკვეთილები დაეთმო ან მთლიანად ამოიღეს. სემინარიებში ბერძნული და ლათინური ენების სწავლება შემოიღეს და ამათვის საჭირო სასწავლო საათები ჩამოაკლეს ქართული ენის გაკვეთილებს. ისე „აზუსტად აგდებული და პანდურ

ამოკრული“ რომელიმე სხვა ენა არ ყოფილა ამიერკავკასიაში, როგორც – ქართული ენა. „ის დაკნინების გზაზე იყო დამდგარი და სულს დაფავდა“ [ა. შაბიძე].

სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის მოთავე და აქტიური განმახორციელებელი იყო კავკასიის ოლქის მმართველი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომელიც 1878-1899 წლებში იყო აღნიშნულ პოსტზე და ამავდროულად საქართველოს სკოლებზედაც „ზრუნავდა“. ეყრდნობოდა რა რუსეთის წესდებებსა და დებულებებს, იანოვსკი ცდილობდა საქართველოში ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, სკოლებიდან დევნიდნენ ქართველ მასწავლებლებს და მათ ადგილზე წერა-კითხვის ნახევრადმცოდნე რუსებს ნიშნავდნენ. ასეთი რუსი მოხელეები არა მარტო მასწავლებლებად მუშაობდნენ, არამედ სკოლებსაც ედგნენ სათავეში.

ქუთაისის სკოლებსა და გიმნაზიებში, სადაც XX საუკუნის დასაწყისისათვის 40-ზე მეტი სასწავლო დაწესებულება იყო, რუსული ენის სწავლებას პირველი წლის პირველი სემესტრიდან იწყებდნენ. ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლათ, ქართული ენის სწავლება კი მხოლოდ პირველი წლით განისაზღვრებოდა.

მაშინ, როცა კავკასიაში ამა თუ იმ ერებს საღვთო სჯულს, საღვთო ისტორიას, საღვთო წერილს და კიდევ სხვა საგნებს თავის დედაენაზე ასწავლიდნენ, თვით დედაენისთვისაც გამოყოფილი ჰქონდათ ცალკე გაკვეთილები. ამასთანავე რუსული ენის სწავლების დროსაც დედაენას იშველიებდნენ, იმ დროს ქართველი ბავშვები იძულებული იყვნენ ზემოთ ჩამოთვლილი საგნები რუსულ ენაზე შეესწავლათ და რუსულადაც ისე სწავლობდნენ, რომ ნება არ ჰქონდათ ქართული მიემშველებინათ. „თვით რუსული ენა ისწავლებოდა მუნჯური მეთოდით, დედაენის დაუხმარებლივ... ყოველი სახალხო სკოლა ჩვენში წარმოადგენდა უკანასკნელს ეამს რუსიფიკაციისა და გადაგვარების ქარხანასა“ [ი. ფიჭვაშვილი].

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო ქართული ენის შესწავლის საქმე სამეგრელოში, სადაც 1881 წლიდან გაუქმდა ქართულ ენაზე სწავლება და მეგრული ენის საშუალებით დაიწყეს რუსულის გაძლიერებული შესწავლა. მოინდომეს ქართველებს შორის განხეთქილების ჩამოგდება, შეადგინეს მეგრული შრიფტი, რუსული ანბანის საფუძველზე დაიწყეს სვანური და აფხაზური ანბანების შემუშავება. სამხედრო მოხელემ, გენერალმა პ. უსლარმა რუსეთის ხელისუფლების დავალებით რუსული ალფაბიტით შეადგინა აფხაზური და სვანური ანბანები. დაწერეს მეგრულ, აფხაზურ და სვანურ ენებზე სამრევლო სკოლებისათვის პირველდაწყებითი სახელმძღვანელო წიგნები, რომლებიც ლოცვათა კრებულებს წარმოადგენდა.

მაშინდელი სწავლების მძიმე და აუტანელი მეთოდები და ქართული ენის უარყოფა აწუხებდა ქართველ საზოგადოებრიობას და მათ შორის ი. გოგებაშვილსაც. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა დიდი პედაგოგის წერილი „შევიწროება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“, საიდანაც ვკებულობთ, რომ ქართველ მოსწავლეებს ქართული წიგნების ტარების უფლება არ ჰქონდათ. და, თუ ასეთს აღმოჩენდნენ, დანაშაულად ჩათვლებოდათ: „ამას წინად თვით უფროსი სწავლა-განათლების საქმისა ბრძანდებოდა ერთს მეგრულს სკოლაში, სახელდობრ, ახალ სენაკისაში, საცა ქალები სწავლობენ. როცა სწავლება გათავდა, უფროსმა კეთილი ინება და ბრძანა, გამინჯეთ შევირდები, ქართული წიგნები ხომ არ აქეთო. აღმოჩნდა დამნაშავეცა. ერთს შევირდს – ქალს უპოვეს

ქართული წიგნი და დიდი შემოფოთებით მიართვეს დიდს ბატონს. უფროსმა ისეთი მრისხანებით გადახედა მთელს კლასს, რომ შეგირდებსაც და მასწავლებელ ქალსაც გული წაუვიდათ და ზოგს ქეითინი წასკდა. როცა მასწავლებელი ქალი ეახლა საღამოზედ ძლევამოსილს პედაგოგს, რათა შენდობა ეთხოვნა, საკმაო სიფხიზლით ვერ ვადვენე თვალ-ყური, ქართულის წიგნების კონტრაბანდა შემომეპარა და მაპატივეთო, დიდმა ბატონმა არც-კი მიიღო. საოცარი და სასაცილო ის არის უფრო, რომ ის ქართული წიგნი, ასეთის აზრით დაპატიმრებული, ქრესტომათია თურმე იყო, საერო განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული, როგორც მწვენიერი სახელმძღვანელო კლასში სახმარებლად ქართულის შესასწავლად" (ი. გოგებაშვილი).

ქართულ ენას დევნიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც. 1911 წლის 27 ივნისს გაზეთ „კოლხიდაში“ (გამოდიოდა ქუთაისში 1911-1913 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი არისტო ჭუმბაძე. გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების იყო და ყოველდღიურად იბეჭდებოდა. ამ გაზეთში სხვა ბევრ საინტერესო საკითხთან ერთად ვხვდებით სტატიებს, რომლებიც ქართული ენის მამინდელ დამამცირებელ ყოფაზე მოგვითხრობს) ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა წერილი „ფრიად მავნებელი მაგალითი (საპედაგოგო შენიშვნა)“, რომელშიც მკაცრად გაილაშქრა ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის სამთო-ტექნიკურ კლასებში ქართული ენის სწავლების უარყოფის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ შეცდომის გამოსწორება: „ჭიათურაში თურმე ხსნიან სატექნიკო კლასებს იმ სამოქალაქო სასწავლებელთან, რომელიც კაი ხანია არსებობს იქა და წარმოადგენს საუკეთესო სასწავლებელს თავის თანასწორთა შორის. სპეციალური კლასების დაარსება რომელსავე საზოგადო ტიპის სასწავლებელთან ფრიად სასარგებლო ნაბიჯია, და ჩვენც სიხარულის მეტს არას ვგრძნობდით, თუ რომ ამ ახალ კერას განათლებისას სიბნელე არ ეშუქებოდეს ერთი მხრით.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ დამატებით კლასებში თურმე ადგილი არ ექნება ქართულ ენას. შემუშავებული პროექტის ძალით ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ რუსულს ენაზე და რუსული ლიტერატურაც სავალდებულო საგანი უნდა იყოს. ქართულს ენაზე კი არამც თუ არც ერთი საგანი არ ისწავლება, არამედ თვითონ ქართული ენის და ქართული ლიტერატურის ჰაჰანებაც არ იქნება ამ ახალს კლასებში. ქართულ ენას თურმე არც ერთი გაკვეთილი არა აქვს ნაწილადები არც ერთს კლასში; სრული ექსორიით დაუსაჯავთ იგი. ამის გამო რამდენი-სამე წლის განმავლობაში ქართველი მოწაფენი - ტექნიკოსები - მოწყვეტილი იქნებიან მშობლიურს ენასა და მწერლობას და არამც თუ ახალს ვერას ისწავლიან, არამედ დაივიწყებენ იმასაც, რაც წინა საზოგადო კლასებში შეიძინეს.

საუბედუროთ ვენება ამ უკულმართობისა ჭიათურის სასწავლებლით როდი განისაზღვრება. ეს უკულმართობა გადალახავს ამ სასწავლებლის საზღვრებს და მოარული ჭირივით სხვა სპეციალურს სასწავლებლებსაც გადაედება“.

ი. გოგებაშვილის მოსაზრებით, ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში ქართული ენის ამოღებას მოჰყვება ის სავალალო შედეგი, რომ „ჩვენს საპედაგოგო ლიტერატურას, დანიშნულს უფროს კლასებისათვის, სრულათ გამოეცლება ფეხ-ქევიდან ნიადაგი და იგი არამც თუ აღარ გამდიდრდება ახალი თხზულებებით, არამედ გაუქმდება, მაგალითად, იმისთანა ნიუთებიც, როგორც ქრისტომატია ეპის-კოპოზი კირიონისა და ბ-ნი გრიგოლ ყიფშიძისა და „ქართველი მწერლები“ ბ. გომელაურისა და სხვანი.



ამ მოსაზრების ძალით ჩვენ უსაქიროესათ მიგვაჩნია, რომ ჭიათურის სატყეო-ნიკო კლავში უსათუოდ დაეთმოს ქართულ ლიტერატურას რამდენიმე გაკვეთილი კვირაში და იგი ძმურათ გვერდში ამოუდგეს რუსულს ლიტერატურასა“.

„კოლხიდას“ უპასუხოდ არ დაუტოვებია ი. გოგებაშვილის გამოხვლა და იმავე წლის 29 ივლისს დაბეჭდა პასუხი, რომელშიც გარკვევით წერდა, რომ ჭიათურის სამთო-ტექნიკურ კლასებში რუსული ენაც არ ისწავლება, თორემ ქართული ენის სწავლების დაწესებას ი. გოგებაშვილი არ მოითხოვდა.

ი. გოგებაშვილმა „კოლხიდას“ ეს ბრალდება არ მიიღო და იმავე გაზეთის [1911 წ. № 109] საშუალებით მკითხველს ასეთი პასუხი გასცა: „ჩემთვის ცნობილია, რუსული ენა ტექნიკურ კლასებში ცალკე საგნად რომ არ ისწავლება, მაგრამ მის უფლებელყოფას არ ნიშნავს, რადგან იქ ქართველ ბავშვებს ყველა საგანს ამ ენაზე გადასცემენ, მშობლიური ენა კი მათ არცერთ გაკვეთილზე არ ესმით, მაშინ, როცა სხვა მსგავს სასწავლებლებში ქართული ენის კათედრები არსებობს და ზოგან ქართული ლიტერატურაც კი ისწავლებათ!“

უფრო მეტიც, გაზეთ „კოლხიდაში“ [1911წ. №102] ვინმე ნამოწაფარი გ. ვაჩაძე სტატიაში „სამოქალაქო სასწავლებელი და ქართული ენა“ უფრო დამამძიმებელ სიტუაციას აღწერს ქართული ენის უარყოფის შესახებ. დავიმოწმებთ მცირე ნაწყვეტს ამ წერილიდან:

„ბევრჯერ ყოფილა გაზეთ „კოლხიდა“-ში შენიშვნები ქართული ენის სწავლების შესახებ და სხვადასხვა სასწავლებელში ამ ენის აბურათ აგდებაზე. სამოქალაქო სასწავლებელზე – კი ერთი სიტყვაც არ თქმულა. როცა მოწაფეს დაბალ სასწავლებელში რომელიმე ენისადმი სიბუღილი დაებადება, იგი ძნელათ და იშვიათად განდევნის ამ სიბუღილს საშვალსა და უმაღლეს სასწავლებელში. სამოქალაქო სასწავლებელს ყურადღების ღირსათ არ სცნობენ, ალბათ იმიტომ, რომ მას საზოგადოების თვალში საპატიო და თვალსაჩინო ადგილი არ უჭირავს, როგორც მაგ. გიმნაზიებს.“

სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ ამ სასწავლებელში ქართული ენა არ არსებობს და თუ არსებობს, მხოლოდ ფორმალურათ არის შეტანილი სიაში და ნამდვილ საგალდებულო საგნათ არ ითვლება“.

ქართული ენის ინტერესების საკითხებს გაზეთმა „კოლხიდამ“ მიუძღვნა კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი სტატია, სადაც თვით გაზეთი იცავდა ეროვნულ ინტერესებს, აქტიურად იბრძოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის მშობლიურ ენაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის.

ქართული ენა კი დევნასა და შევიწროებას განიცდიდა მანამ, სანამ საქართველოში ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით არ დაარსდა ქართული უნივერსიტეტი, სანამ ქართული ენის პირველმა კათედრამ მთელი დატვირთვითა და მონდომებით არ დაიწყო ზრუნვა მშობლიური ენის განვითარებისა და წინსვლისათვის.

#### ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, შევიწროება ქართულისა ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში: რჩეული თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1990.
2. გოგებაშვილი იაკობ, ფრიად მკენებელი მაგალითი (საქედაგოგო შენიშვნა): გაზეთი „კოლხიდა“, 1911, 27 ივნისი, №97.
3. ვაჩაძე გ., სამოქალაქო სასწავლებელი და ქართული ენა: გაზეთი „კოლხიდა“, 1911, 2 აგვისტო, №102.
4. შანიძე აკაკი, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის: ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1939.

**Izolda Rusadze, Kakhaber Kebuladze**  
**The oppression of Georgian Language and fight for its defense according**  
**to newspaper „Kolkhida“**  
**Abstract**

Georgian literary language had many obstacles during its existence. Especially, Russian politic had an impeding influence on development and advancement of the language.

In the beginning of XIX century Georgian was banned from state institutions and became secondary subject at schools.

Georgian language experienced the biggest oppression in 1878-1899, when K.P.Yanovski was a chief in Caucasian region. From 1881 teaching on Georgian was abolished in Samegrelo.

In the beginning of XX century there were more than 40 education institutions in Kutaisi in which Georgian was fought only throughout the first year.

The newspaper „Kolkhida“ devoted many important articles to the interest of Georgian language (publishing in 1911-1913 years). „Kolkhida“ was defending national interests and was struggling to gain the rights for pupils to study on native language.

The progress of language started since the establishment of the Tbilisi State University.

**ირმა რუსაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
**სამყაროს ენობრივი სურათი როგორც ადამიანთა ცნობიერების**  
**ენობრივი ასახვა**

ენა წარმოადგენს კულტურის ტრანსლირების ძირითად საშუალებას. ადამიანმა, პიროვნებამ ამა თუ იმ ნაციონალური ლინგვოკულტუროლოგიური ერთობის წევრად ჩამოყალიბების გზაზე უნდა გაიაროს სოციალიზაციის პროცესი, ანუ „ეიკოლიზაციისთან შეზრდის გზა“ [A.A. Леонова, 2001: 32]. ამ პროცესის არსს შეადგენს კულტურის ტრანსლირება; ადამიანი ითვისებს იმ ერთეულებს, რომლებიც შედიან მოცემული სოციუმის კოგნიტურ ბაზაში, წარმოქმნიან კულტურული სივრცის „ბირთვის“, სამყაროს ენობრივ სურათს.

ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკაში „სამყაროს სურათის“ დამკვიდრებამ გამოკვეთა ენასთან ადამიანის მიმართების, ზემოქმედების ორი ტიპის არსებობა, ესენია: ადამიანის ფსიქოლოგიური და სხვა სახის თავისებურებათა ზემოქმედება ენის კონსტიტუციურ თვისებებზე და სამყაროს სხვადასხვა სურათების რელიგიურ-მითოლოგიურის, ფილოსოფიურის, მეცნიერულის, მხატვრულის ზემოქმედება ენაზე.

სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს ადამიანთა ცნობიერების ენობრივ ასახვას, ამიტომ მასში მოცემულია წარმოდგენები სამყაროს შესახებ, რომლებიც დამკვიდრებულია ადამიანთა კონკრეტულ ერთობაში. ენის მიერ სიტყვათა მეშვეობით სამყაროს კონცეპტუალიზაციის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია. რ. ლადო, კონტრასტული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი აღნიშნავს, რომ არსებობს ილუზია, თითქოს მნიშვნელობები ერთნაირია ყველა ენაში, თითქოს ენები მხოლოდ ამ მნიშვნელობათა გამოსატყვის ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რ. ლადოს აზრით, მნიშვნელობები კულტურულად დეტერმინირებულია [Ладо, 1989].

თანამედროვე ლინგვისტიკის სხვადასხვა მიმართულებები, აქტიურად შეისწავლის მიზეზებს, რომელთა გამოც კონკრეტულ ენათა სამყაროს სურათები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად სამი უმთავრესი ფაქტორი გამოიყოფა: ბუნება, კულტურა, შემეცნება. კულტურული სფეროს ნების-

მიერი თავისებურება ასახვას პოულობს ენაში. ენობრივი განსხვავებანი შეიძლება აგრეთვე განპირობებული იყოს წეს-ჩვეულებებით, რიტუალებით, ფოლკლორულ-მითოლოგიური წარმოდგენებით, სიმბოლიკით.

რაც შეეხება მესამე ფაქტორს-შემეცნებას, უნდა ითქვას, რომ რაციონალური, გრძნობითი და სულიერი თავისებურებები სამყაროს აღქმისა თითოეულ ადამიანს განსხვავებული აქვს. ენობრივ განსხვავებებზე შემეცნების გავლენის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს წარმოადგენს ის, რასაც ვ. ჰუმბოლდტი უწოდებდა „საგანთა ხედვის განსხვავებულ წესს“. სამყაროს ენობრივი სურათების შეფასებისას უნდა გვესმოდეს, რომ ეს სურათი წარმოადგენს არა სამყაროს ასახვას, არამედ მის ინტერპრეტაციას ადამიანის მიერ. ენა „სამყაროს სარკეა“, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სარკე არ არის იდეალური: იგი სამყაროს წარმოადგენს არა უშუალოდ, პირდაპირ, არამედ ადამიანთა ერთობის შემეცნებითი ინტერპრეტაციით.

კულტურაც და ენაც ხალხის მენტალობასთან, ანუ სამყაროს შერქმევასა და აღქმასთანაა დაკავშირებული, ამიტომ აუცილებელია მათი მენტალურ კატეგორიებთან მიმართების პრობლემის გაცნობიერება. ვ.ვ. კოლესოვის აზრით, მენტალობა წარმოადგენს სამყაროს ჭერეტას მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, რომელიც შემეცნების პროცესში აერთიანებს ნაციონალური ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ და ნებელობით თვისებებს [Колесов, 1999: 81].

სამყაროს სურათს, როგორც რეალური სამყაროს ასახვასა და სამყაროს ენობრივ სურათს, როგორც ამ ასახვის ფიქსაციას შორის რთული ურთიერთმიმართება არსებობს, სამყაროს სურათი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სივრცითი, დროითი, რაოდენობითი, ეთიკური და სხვა პარამეტრების მეშვეობით. მის ფორმირებაზე მოქმედებს ენა, ტრადიციები, ბუნება და ლანდშაფტი, აღზრდა, სწავლება და სხვა სოციალური ფაქტორები. სამყაროს სპეციალური (ფიზიკური, ქიმიური და სხვ.) სურათებისაგან, იგი წინ უძღვის და აყალიბებს მათ, რადგანაც ადამიანს სამყაროსა და თვით საკუთარი თავის გაგება სწორედ ენის მეშვეობით შეუძლია, რომელშიც ფიქსირებულია საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე ნაციონალური. სწორედ ნაციონალური საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება განსაზღვრავს ენის სპეციფიკურ თავისებურებებს მის ყველა დონეზე. ენის მატარებელთა ცნობიერებაში წარმოიქმნება სამყაროს გარკვეული ენობრივი სურათი, რომლის ჭრილშიც ხედავს ადამიანი სამყაროს.

ი. დ. აპრესიანი სამყაროს ენობრივ სურათს „მეამიტ“ სურათს უწოდებს. მისი აზრით, „სამყაროს ენობრივი სურათი თითქოს ავსებს ობიექტურ ცოდნას რეალობის შესახებ და ხშირად ამახინჯებს მას [Апресян, 2006:124]. ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობა არ არის თავისუფალი შეცდომებისგან, ამიტომ სამყაროს მისეული კონცეპტუალური სურათი მუდმივად იცვლება, „თავიდან იხატება“, იმ დროს, როდესაც სამყაროს ენობრივი სურათი კიდევ დიდხანს ინარჩუნებს ამ შეცდომების კვალს.

ვ. ბ. კასევიჩის აზრით, ენობრივი სემანტიკის საშუალებებით კოდირებული სამყაროს სურათი შეიძლება დროთა განმავლობაში რელიკტური აღმოჩნდეს და მხოლოდ ტრადიციულად ინარჩუნებდეს ძველ-პოზიციებს, სხვა ენობრივი ინსტრუმენტარიუმის ბუნებრივი მოუწევდომლობის გამო; წარმოიქმნება განსხვავებები ენის არქაულ სემანტიკურ სისტემასა და იმ აქტუალურ მენტალურ მოდელს შორის, რომელიც რეალურია მოცემული ენობრივი კოლექტივისთვის და ვლინდება მის მიერ შემქმნილ ტექსტებში და მისი ქცევის კანონზომიერებებში [Касевич, 2005: 216].

ს.გ. ტერ-მინასოვა განასხვავებს ადამიანის გარშემო მყოფი სამყაროს სამ ფორმას, ესენია: სამყაროს რეალური სურათი, სამყაროს კულტურული (ანუ ცნებითი)

სურათი და სამყაროს ენობრივი სურათი. სწორედ სამყაროს კულტურული სურათი არის ყველა ხალხში განსხვავებული, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, როგორცაა: გეოგრაფია, კლიმატი, სოციალური მოწყობა, რწმენა, ტრადიციები, ცხოვრების წესი [Тер-Минасова, 2002:41]. თავის მხრივ, სამყაროს ენობრივი სურათი ასახავს რეალობას კულტურული სურათის მეშვეობით.

ტერმინი „სამყაროს ენობრივი სურათი“ ერთგვარი მეტაფორაა. რეალურად ნაციონალური ენის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებშიც დაფიქსირებულია ადამიანთა გარკვეული ნაციონალური ერთობის უნიკალური საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება, წარმოქმნიან ამ ენის მატარებლებისათვის არა სამყაროს რაღაც განუმეორებელ სურათს, რომელიც განსხვავდება ობიექტურად არსებულისაგან, არამედ ამ სამყაროს სპეციფიკურ შეფერილობას, რაც განპირობებულია საგნების, მოვლენების, პროცესების ნაციონალური მნიშვნელობით არჩევითი დამოკიდებულებით მათ მიმართ, რასაც წარმოშობს მოცემული ხალხის საქმიანობის, ცხოვრების წესისა და ნაციონალური კულტურის სპეციფიკა.

ჯ. ლეიკოვის მიერ შემუშავდა ენობრივი გემტალტების თეორია, რომელიც შემდგომში სხვა მეცნიერებმაც აღიარეს. გემტალტები ენის სიღრმისეული შინაარსობრივი ერთეულებია. ისინი წარმართავენ შემეცნებით პროცესებს, განსაზღვრავენ მორტორული აქტების სპეციფიკას და ა.შ. გემტალტების სიღრმისეული ბუნების ენასთან მიმართებაში რამდენიმე ასპექტი გამოიხატება. მაგალითად, ზედაპირულ ენობრივ დონეზე ერთი და იგივე გემტალტი შეიძლება რეალიზებულ იქნას როგორც სხვადასხვა შინაარსები, მნიშვნელობები, და მხოლოდ სპეციალური კვლევებით შეიძლება დადგინდეს მათი ერთიანობა. ჯ. ლეიკოვმა უჩვენა, მაგალითად, რომ კამათი და ომი ერთი და იგივე ტერმინებით აღიწერება. გემტალტები წარმოადგენენ უნივერსალურ წარმოდგენებს, რომლებიც ადამიანის ფსიქიკის სიღრმეში, ბუნებრივი ენის კატეგორიულ ჩარჩოებს მიღმა ძვეს, ანუ ეს არის ტრანსცენდენტალური შინაარსობრივი სიდიდეები, რომლებიც უშუალოდ გამონათქვამის მიღმა იმყოფება და ორგანულად არის მასთან დაკავშირებული. რეალური ენობრივი მონაცემების საფუძველზე რეკონსტრუირებული გემტალტები თვითონ ექვეყიან უახლოესი ტრანსცენდენტურის შინაარსობრივ სიდიდეებად [Лякоф, 1985: 128].

ამრიგად, „სამყაროს ენობრივი სურათის“ ცნება უკავშირდება ხალხის, ეთნოსის, ერისა და პიროვნების ნაციონალური ხასიათის ცნებებს. რა აერთიანებს ადამიანებს ერთი „ხალხის“ ცნებაში? ხალხის როგორც ადამიანთა ერთობის გამაერთიანებელ, შემკერებელ ძალას წარმოადგენს მისი ისტორია, რომელსაც ინახავს სოციალური მეხსიერება, კულტურა. ისტორიული მიდგომა განსაზღვრავს „ხალხის“ ცნების გაგებას ორ კონტექსტში: 1) ხალხი როგორც ეთნიკური (ეთნოგენეტიკური) ერთობა; 2) ხალხი როგორც ეთნოსოციალური ერთობა. ეთნოსი წარმოადგენს სოციალურ ჯგუფს, რომელთა წევრებსაც აერთიანებს ეთნიკური თვითშეგნება, რომელიც ყალიბდება მისი წარმოდგენების საფუძველზე საკუთარი წარმოშობის, ამ ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან გენეტიკური კავშირის შესახებ.

#### ლიტერატურა:

1. Апресян Ю.Д., Образ человека по данным языка: попытка системного описания//Вопросы языкознания. 2006.
2. Гумбольдт В., Избранные труды по языкознанию. Москва.1984.
3. Касевич В.Б. Язык и культура. 2005.
4. Косецков В.В., жизнь происходит от слова. СПб: Злотуст. 81.1999.

5. Тер-Минасова С.Г., Изменение социальной роли русского языка в совр. условиях//Мир русского слова. №2, 2002.
6. Ладо Г. Лингвистика поверх границ Культур//новое в зарубежной лингвистике Вып. XXV: Контрастивная Лингвистика. Москва. 1989.
7. Ласофф Дж. Прогматика в естественной логике//Новое зарубежной лингвистике, Выпуск 16, М., 1986..
8. Леонтьев А.А., Психологические единицы и порождение речевого высказывания. М., 2001
9. Хайдеггер М. Новое в зарубежной лингвистике, Выпуск VIII, М., 1978.

Irma Rusadze

## Verbal Picture of the World - As language Expression of Human Consciousness

### Abstract

This paper deals with the discussion of verbal picture of the world, which is defined by the specific features of the language.

The conception "The World Picture" in anthropological linguistics has revealed two types of human influences on the language.

These are: the psychological influence on the constitutional features of the language and the influence on the language by the different pictures of the world: such as: religious-mythological, philosophical, scientific and fiction.

Language directly participates in two processes, which are connected to the world picture. On the one hand, the verbal picture of the world is formed and developed in the language itself and on the other hand, the language itself reveals the other world pictures of the man and makes them explicit.

If the world is an interrelation between a man and an environment, the world picture itself expresses the result of a relationship between man and the environment.

In conclusion, our conceptual system which is represented by the verbal picture of the world, depends on physical and cultural experience and is directly connected to it.

ნინო სამნიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

## აბსოლუტურ კონსტრუქციათა კოგნიტური ასპექტი და ტექსტისწარმომქმნელი თავისებურებები ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში

თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის ვანრობრიუსტილისტური ტიპობრიობის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს აბსოლუტური კონსტრუქციების უხვი გამოყენება, რაც თხრობას ექსპრესიულობასა და ემოციურობას სძენს. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მიკროტექსტს, რომელშიც თხრობა სწორედ ხსენებული კონსტრუქციებით არის განხორციელებული.

There are moments when Nature reveals the passion hidden beneath the careless calm of her ordinary moods – (1) violent spring flashing white on almond-blossom through the purple clouds, (2) a snowy, moonlit peak, with its single star, soaring up to the passionate blue, or (3) against the flames of sunset, an old yawtree standing dark guardian of some fiery secret [Galsworthy J., "The Man of Property," p. 196]

მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში აბსოლუტური კონსტრუქციების განხილვა შემოიფარგლება მხოლოდ მათი სინტაქსური ფუნქციების დადგენით წინადადებაში. ანგლისტიკაში დღემდე დაუდგენელია ამ კონსტრუქციათა ნიშნობრივი სტატუსი, რადგანაც, სპეციფიური აგებულების გამო, ზოგი შეცნობილი მათ განიხილავს როგორც სიტყვათშეთანხმებას, შესაბამისად კი წინადადების სინტაქსური სტრუქტურის ადვერბიალურ წევრს [Leech, 1989; Maclin, 1994], ზოგი - როგორც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებას [Greenbaum & Quirk 1991: 327], ხოლო ზოგი კი - როგორც დამოუკიდებელ წინადადებას [Tallerman, 1998].

ხუნებრივია იზადება კითხვა, თუ რითია განპირობებული აზრთა ასეთი სხვადასხვაობა. მიგვაჩნია, რომ ლინგვისტური თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია აბსოლუტური კონსტრუქციის გათანაბრება წინადადებასთან იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ მის სტრუქტურაში არ ფიგურირებს ზმნური შემასმენელი. ასევე დაუშვებელია აბსოლუტური კონსტრუქციის განხილვა სიტყვათმეთანხმების რანგში, რადგანაც ისინი მთელი რიგი ფორმალური და სემანტიკური ნიშნებით განსხვავდებიან.

ჩვენი აზრით, აბსოლუტური კონსტრუქციების ნიშნობრივი სტატუსის დადგენას ართულებს წინააღმდეგობა მათ სემანტიკურ-სინტაქსურ სტრუქტურებს შორის. ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით ჩვენ ვასაბუთებთ, რომ ისინი წარმოადგენენ ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტებს, რომლებშიც ზმნის პირიანი ფორმით გამოხატულ შემასმენელს დაკარგული აქვს კილოს და ტემპორალურობის კატეგორიები და მათთან ერთად პრედიკატულობის კომპონიციური ავტონომიურობა, თუმცა თავად კონსტრუქცია ინარჩუნებს პროპოზიციის სუბიექტურ-პრედიკატულ სტრუქტურას შესაბამისი ინტონაციური გაფორმებით. ამით აბსოლუტური კონსტრუქციები ერთი საფეხურით დაბლა იწევენ და შუალედურ ადგილს იკავებენ წინადადების და სიტყვათმეთანხმების დონეებს შორის. ჩვენ მათ განვიხილავთ წინადადების რთულ ადვერბიალურ წევრად, რომლის საშუალებითაც ხდება ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსგელობის საგნის თვისობრივი დახასიათება ან ამ ბირთვში მოცემული სიტუაციის/ხდომილების დაზუსტება მისი თანხმლელი სხვა სიტუაციით ან ხდომილებით.

აბსოლუტური კონსტრუქციების კოგნიტური ასპექტის კვლევისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პროპოზიციის და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური კონფიგურაციის ცნებების დაზუსტება. ჩვენ ვყვარდნობით პროპოზიციის იმ ცნებით შინაარსს, რომელიც შემუშავდა „სამეტყველო აქტების თეორიაში“ ოსტინისა და სერლის მიერ (Searle 1969). შესაბამისად, პროპოზიციას განვიხილავთ როგორც ექსტრა-ლინგვისტური რეფერენტული სიტუაციის ამსახველ აზრობრივ სტრუქტურას. ეს ის სემანტიკური კონსტანტაა, რომელიც დამოუკიდებელია როგორც მოდალური, ემოციური და შეფასებითი ასპექტებისაგან, ასევე წინადადების ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნისაგან, როგორსაც წარმოადგენს ნომინალიზაცია. პროპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის საფუძვლად კი აღებული გვაქვს სიმბოლური ლოგიკის პრედიკატულ-არგუმენტული მიდგომა. პროპოზიციის ცენტრალურ და მორგანიზებელ კომპონენტად მივიჩნევთ პრედიკატს, რომლის სემანტიკაც განაპირობებს მის არგუმენტულ კონფიგურაციას, რომელშიც პრედიკატსა და არგუმენტს / არგუმენტებს შორის არსებული ოთხი ტიპის ლოგიკური ურთიერთმიმართებები აისახება. ესენია მოქმედების ანუ აქციონალობის, პროცესუალობის, მდგომარეობის და თვისობრიობის მიმართებები. თითოეული არგუმენტი კი ხასიათდება მისი აზრობრივი, სემანტიკური როლით პრედიკატთან მიმართებაში, ანუ ფილმორის ტერმინოლოგიით, მისი „სიღრმისეული ბრუნვის“ მიხედვით [კოვალიბე, 2008: 81-86].

ენობრივი მასალის ნომინაციური ასპექტი მაინც ექვემდებარება განზოგადებას და სისტემატიზაციას. ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდოლოგია და კონცეპტუალური აპარატი შესაძლებელს ხდის მოვადინოთ აბსოლუტურ კონსტრუქციასთან პროპოზიციული სემანტიკის განზოგადება, რის საფუძველზეც ვახორციელებთ ამ კონსტრუქციასთან ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპოლოგიას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული ტიპის ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციები ასახვას ჰპოვენ აბსოლუტურ კონსტრუქციასთან გარკვეული ტიპის ლოგიკურ-სემანტიკურ კონსტრუქციებში. ემპირიული მასალის ანალიზმა ასევე

ცხადყო, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ეს კონსტრუქციები გამოიყენება, ერთი მხრივ, მახასიათებლური ანუ თვისობრივი სიტუაციების, ხოლო მეორე მხრივ, ხდომილებების აღსანიშნავად. შესაბამისად, გამოვყავით აბსოლუტურ კონსტრუქციათა ორი ლოგიკურ-სემანტიკური ტიპი: მახასიათებლური და ხდომილებრივი.

მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციები თავისი სემანტიკით ახდენენ წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის კვალიფიციერებას გარეგნული ნიშნებით ან მისი შინაგანი მდგომარეობის მიხედვით, რის გამოც გამოვყოფთ მათ ორ ტიპს: *ექსტენსიონალურს* და *ინტენსიონალურს*. ეს ორი ტერმინი ნასესხები გვაქვს ლოგიკიდან, სადაც ისინი ფიზიკური საგნობრივი სამყაროს და მისი შემეცნების ლოგიკით განპირობებულ ბინარულ ცნებით ოპოზიციას ქმნიან. მათგან „ექსტენსიონალის“ ცნება რეალურად არსებული საგნებისა და მოვლენების ასახვას გულისხმობს მათი გარეგნული მახასიათებლების მიხედვით; „ინტენსიონალის“ ცნება კი ამავე საგნების შინაგან მდგომარეობაზე მიუთითებს [Ковалов 1971: 127, 405]. ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება იგივე ტერმინები ენობრივი კონსტრუქციების სემანტიკური ასპექტის განხილვისას [Лингвистический Энциклопедический Словарь 1990: 175].

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში არსებობს *ექსტენსიონალურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა* შემდეგი ქვეტიპები:

ა) *ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები* სუბიექტის ლოკაციური დეტერმინაციით, რომელთა საშუალებითაც ხდება რეფერენტული საგნის დახასიათება მისი სივრცეში მდგომარეობის „გეომეტრიული დაზუსტებით“:

1. She saw Ashley sitting at the desk, *his chin on his hand*. [Mitchell, "Gone with the Wind", 315].

2. I liked sitting there, *with my head against the sofa back*. [Maurer D. D., "Rebecca", 411].

ბ) *ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები* სუბიექტის დესკრიფციული დეტერმინაციით, როდესაც ხდება მსჯელობის საგნის გარეგნობის აღწერა მისი იერსახის ან მისი ქცევის და ჩაცმის მანერაზე მინიშნებით. კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ამ ტიპის სემანტიკური ინფორმაციის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ორი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი: კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით (1) და კონსტრუქციები თვისობრივი პრედიკაციით (2):

1. She paced the floor in her bare feet, *her night-gown clinging to her* [Stone, "Immortal Wife", 290].

2. Melanie lay in the bed, *her figure under the counterpane shrunken and fl* [Mitchell M., "Gone with the Wind", 839].

*ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები* კი გამოიყენება ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული სუბიექტური წევრის, ე.წ. *ექსპერიენსერის*, სულოერი სამყაროს ან შინაგანი მდგომარეობის ("inner states") დასახასიათებლად. ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის კონსტრუქციებში, როგორც წესი, ფოკუსირებს ადამიანის შინაგანი მდგომარეობის აღმნიშვნელი ისეთი აბსტრაქტიზებული სახელები, როგორცაა *horror, courage, jealousy, pleasure, pride, rage, vitality, annoyance, relief, uncertainty, embarrassment, gentleness, incredulity, sadness, sympathy, panic, anger, hope, temper, excitement, anxiety, happiness* და ა.შ., რომლებიც პრედიკატულ წევრთან კომბინაციაში სუბიექტის ინტენსიონალობის ნიშანს ქმნიან. კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ ინგლისურ ენაში ინტენსიონალურ კონსტრუქციათა სამი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი გამოიყენება: ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით (1), ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისობრივი პრედიკაციით (2) და ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები ეგზისტენციონალური პრედიკაციით (3):

1. She tiptoed across the room toward the quiet figure, *panic clutching at her heart.*  
[Stone I, "Immortal Wife": 59]
2. She swept into the reception room of Miss English's Academy, *her hazel eyes bright with anger* [Stone I, "Immortal Wife":11]
3. The same look was on the faces of all the women as the song ended, *tears of pride on cheeks, plink or wrinkled, smiles on lips, a deep hot glow in eyes.*  
[Mitchell M., "Gone with the Wind", : 145]

მახასიათებლურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი განზოგადება, რომ ამ კონსტრუქციებში რეალიზებული პროპოზიციის როგორც გრამატიკულად, ისე სემანტიკურად დაქვემდებარებულია ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, რადგანაც მასში სემანტიკური სუბიექტი წარმოდგენილია მხოლოდ „ნაწილის“ სახით არგუმენტ-პარტიტივით, რომელიც ზედპირულ სტრუქტურაში ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ან ორგანოს აღმნიშვნელი სახელებით ექსპლიცირდება, ხოლო თავად სუბიექტი „მთელის“ სახით ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ფიგურირებს. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სემანტიკური სუბიექტის ე.წ. დანაწევრებული ანუ „გახლეჩილი“ აღნიშვნა (split subject), რომელიც „მთელის და ნაწილის“ ლოგიკურ ურთიერთობებს ეფუძნება [ლაიონზის ტერმინოლოგიით "part-whole relations" იხ.: Lyons 1977: 311-317]. სუბიექტის დანაწევრებული აღნიშვნის ლინგვისტურ თავისებურებას წარმოადგენს მისი ფუნქციურ-სემანტიკური სინკრეტულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ „მთელით“ წარმოდგენილი სემანტიკური სუბიექტი ყოველთვის არგუმენტ-აგენსის, ექსპერიენსერის და პაციენსის ფუნქციას ასრულებს; ხოლო „ნაწილი“ ანუ არგუმენტ-პარტიტივი, რომელიც აბსოლუტურ კონსტრუქციაში ფიგურირებს, სემანტიკურად სინკრეტულია, რადგანაც კონსტრუქციის სიონით იგი სემანტიკურ სუბიექტზე მოუთითებს, მაშინ როდესაც კონსტრუქციის გარეთ, არგუმენტაგენსთან მიმართებაში იგი უკვე ობიექტივად მოიაზრება. ყოველივე ამან კი შესაძლებლობა მოგვცა, რომ ამ ტიპის აბსოლუტური კონსტრუქციები თავისი პროპოზიციული კონფიგურაციით განგვებილა მახასიათებლურ კონსტრუქციებად.

ემპირიული მასალის კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ძრავლად მოიპოვება აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებიც უკვე ხდომილების ნომინაციისათვის გამოიყენება, რის გამოც მათ საკუთარი სემანტიკური სუბიექტი და პრედიკატი გააჩნიათ. აქედან გამომდინარე ჩვენ მათ ხდომილებრივი კონსტრუქციები ვუწოდეთ. ეს კონსტრუქციები მხოლოდ გრამატიკულად არიან დაქვემდებარებული წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, მაშინ როდესაც სემანტიკურად ისინი დამოუკიდებელი არიან.

ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა პროპოზიციული შინაარსის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ მათი შემდგომი ნომინაციური დიფერენცირება. დადგინდა, რომ აბსოლუტური კონსტრუქციები ძირითადად გამოიყენება ორი ტიპის ხდომილების აღსანიშნავად:

- ა) პირველი არის ხდომილება, რომლის მოქმედ სუბიექტს ადამიანი ან სხვა სულიერი არსება წარმოადგენს;
- ბ) მეორე ტიპის ხდომილებაში კი მოქმედების აქტიურ შემსრულებლად უკვე ბუნებრივი ძალა ან მოვლენა გვევლინება.

შესაბამისად პირველი ტიპის ხდომილებების აღმნიშვნელ კონსტრუქციებს ჩვენ ვუწოდებთ აბსოლუტურ კონსტრუქციებს აგენსური სუბიექტით, ხოლო მეორე ტიპის ხდომილებების მანომინირებულ კონსტრუქციებს კი ფონურ კონსტრუქციებად განვიხილავთ.



ხდომილებრივი აგენსური კონსტრუქციების თავისებურებას წარმოადგენს პროპოზიციის სუბიექტური წევრის ენობრივი გაფორმების მრავალფეროვნება, მაშინ როდესაც პრედიკატული წევრი ყოველთვის მოქმედების ან პროცესულობის გამომატველი მიმღებობის აწმყო ფორმით ექსპლიცირდება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მონოვალენტური, ასევე ბივალენტური (რა დროსაც მეორე ადგილი ყოველთვის იკვება არგუმენტ-პაციენსით ან ლოკატივით, რომლებიც სინტაქსურ სტრუქტურაში შესაბამისად დამატებად ან ადგილის გარემოებად მოიაზრება). ამ კონსტრუქციებში არგუმენტ-აგენსი შეიძლება ექსპლიცირებულ იქნეს

- საკუთარი სახელებით:

Before Archie could catch her, Melanie had fainted. Then a hubbub ensued, Archie picking her up, India running to the kitchen for water, Piny and Scarlett fanning her and slapping her wrists. [Mitchell, "Gone with the Wind": 671]

- ზოგადი არსებითი სახელებით:

There were crowds in front of every other counter but theirs, girls chattering, men buying. [Mitchell M., "Gone with the Wind": 152]  
 In the midst of cheering from the East India ships in the river, and the military on shore, the band playing "God save the King", the officers waving their hats, and the crews hurraing gallantly. the transports went down the river and proceeded to Ostend [Thackeray W.M., "Vanity Fair": 92].

- სუბსტანზირებული თვისობრივი ან ეროვნულობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებით:

The animals had been frightened, cold, ravenous, wild as forest creatures, the strong attacking the weak, the weak waiting for the weaker to die so they could eat them [Mitchell. "Gone with the Wind," : 399].

It sounded like St. Louis in the early days, soft Spanish intermingled with the French patios, Indians and Negroes talking their own dialects, the American and English swearing at everybody in their haste to arrange for transportation. [Stone I., "Immortal Wife": 249].

- კვანტორული ერთეულებით<sup>3</sup>, რომლებიც ტრადიციულად წარმოდგენილია განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით, და რომლებიც ადამიანის იდენტიფიცირებას ახდენენ ზოგადად, მისი ინდივიდუალიზაციის გარეშე:

There was little but alleys and a confusion of mean houses, for St. Louis had grown by accretion, everyone building how and where he pleased. [Stone I., "Immortal Wife" :98]

The devoted maiden friends came now from their rooms, each wearing a differently coloured frock. [Galsworthy J., "The Man of Property" : 189]

- მეტაფორული სახელადი ფრაზებით, რომლებშიც რეალიზებას პპოვეს ავტორის სუბიექტური მოდალობა მისი ასოციაციურ-აქსიოლოგიური კონცეიციით:

They had made short work of the snowshoe rabbit, these dogs that were ill-tamed wolves; and they were now drawn up in expectant circle, the two devils fighting more desperately. [London J., "The Call of the Wild" : 138]

ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა მეორე ტიპი, ე.წ. ფუნქციური კონსტრუქციები გამოიყენება სხვადასხვა სახის ზუნებრივი მოვლენების და

<sup>3</sup> ტერმინები „კვანტორი და „კვანტორული ერთეული“ ნასესხებია მათემატიკური ლოგიკიდან, სადაც ისინი განისაზღვრება როგორც ეგზისტენციალური და უნივერსალური კვანტიფიკაციის ოპერატორები, რომლებიც სიმრავლის ელემენტზე მიუთითებენ მისი ინდივიდუალიზაციის გარეშე. შესაბამისად, თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში კვანტორულ ლექსიკურ ერთეულებად განიხილება ის სიტყვები, რომლებიც ადამიანის ან საგნის იდენტიფიცირებას ახდენენ აბსტრაქტიზებულიად, როგორც ადამიანთა/საგანთა კლასის ერთ-ერთი წარმომადგენლობ. მისი ინდივიდუალიზაციის გარეშე (Evans G., Pronouns, quantifiers and relative clauses //Canadian journal of philosophy, №3, 1997, p.467-536).

ხდომილებების, გარემომცველი და ზოგადი ხასიათის იმ სიტუაციების აღსანიშნავად, რომელთა ფონზეც ნარატიული ტექსტის სიუჟეტი ვითარდება. აგენსურისგან განსხვავებით, ამ ტიპის კონსტრუქციებში მოქმედების აქტიურ შემსრულებლად მოიაზრება არა ადამიანი ან სხვა ცოცხალი არსება, არამედ ბუნების ძალები და მოვლენები, ან სამყაროს ისეთი ნაწილები და ციური სხეულები, როგორცაა შუბი, მთვარე, ცა, ვარსკვლავები, მდინარე, ოკეანე და ა.შ. აქედან გამომდინარე, სემანტიკური სტრუქტურის სუბიექტურ წევრად გვევლინება არგუმენტ-ელემენტი, რომელიც სუბიექტს ახასიათებს, ერთი მხრივ, როგორც რაიმე მოქმედების აქტიურ, მაგრამ უსულო შემსრულებელს; მეორე მხრივ კი, როგორც რაიმე მდგომარეობაში მყოფ უსულო საგანს. შესაბამისად გამოვეყოფთ მათ ორ ქვეტიპს:

ა) ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციებს აქციონალური პრედიკაციით, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი მოვლენებისა და სიტუაციების დინამიკაში აღსაწერად, რის გამოც მათში დაუშვებელია მიმღებობის აწმყო ფორმით გამოხატული პრედიკატული წევრის იმპლიციურება:

1. She walked with him along the cliff, *with the sun sparkling on the water.*  
[Stone I., "Immortal Wife", p. 417].
2. Rhett Butler stood in the doorway, *the wild wind whipping his cape about him in snapping folds.* [Mitchell M., "Gone with the Wind," p. 663].
3. As she travelled westward, Jessie found the earth more sandy, *with rain coming at night.* [Stone I., "Immortal Wife," p. 92].

ბ) ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციებს თვისობრივი პრედიკაციით, რომლებშიც მოცემულია ბუნების სხვადასხვა ძალებისა და მოვლენების, ციური სხეულებისა და სამყაროს ნაწილების, ფლორისა და მდინარეების თვისობრივი დახასიათება, რაც შესაბამის გაფორმებას ჰპოვებს ზედმართავ სახელებსა და მიმღებობის ნამყო ფორმაში, რომლებიც სხვადასხვა მდგომარეობას აღნიშნავენ:

1. She lay quietly in her high bed, *the air cold from the window above the garden.*  
[Stone I., "Immortal Wife," p. 70].
2. Up the dim street she fled, *the night air wet on her lips.* [Mitchell M., "Gone with the Wind," p. 849].

ემპირიული მასალა კიდევ ერთი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა. აბსოლუტური კონსტრუქციების უხვი გამოყენება წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის ვანრობრივ-სტილისტური ტიპობრიობის ერთ-ერთ ლინგვისტურ მახასიათებელს, რაც თხრობას ექსპრესიულობასა და ემოციურობას სძენს. კვლევა ასევე თვალნათლივ წარმოაჩენს ამ კონსტრუქციათა ტექსტისწარმომქმნელ თავისებურებებს, რდგანაც, სტრუქტურულ-სემანტიკური სპეციფიურობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათი თანმიმდევრული გამოყენება ერთი წინადადების ფარგლებში, რის შედეგადაც იქმნება თემატურად დახურული მსჯელობათა ჯაჭვი ანუ მიკროტექსტი, რომელიც სტილისტურად არის მარკირებული სინტაქსური პარალელიზმით.

მაგალითად:

But even at the first numb moment of joy Jessie perceived that her husband was not responding. This grey-haired and sunken-checked person before her stood awkwardly, (1) *his arms not seeming to fit into their sockets,* (2) *his torso twisted at an ugly angle,* (3) *his legs slumped within the discolored trousers,* (4) *his face at war with itself,* (5) *the mouth taut awry,* (6) *the features twisted.* This was only the shell of the man she love [Stone I., "Immortal Wife": 284].

ილუსტრირებულ მიკროტექსტში ექვსი აბსოლუტური კონსტრუქციაა ავტორის მიერ გამოყენებული, რომელთა საზღაულებითაც იგი ახორციელებს მსჯელობის საგნის -

ჯესი ფრემონტის მეუღლის, პოლკოვნიკ ჯონ ფრემონტის დახასიათებას სხვადასხვა წიშნით. აქ ერთმანეთს ენაცვლება ექსტენსიონალური და ინტენსიონალური მახასიათებლები კონსტრუქციები, რომლებიც ადამიანის გარეგნულ მონაცემებსა და სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც მახასიათებლები აბსოლუტური კონსტრუქციებით წარმოქმნილი ზეფრაზული ერთიანობა ტექსტში კომპოზიციურად აზვაციის სახით არის გაფორმებული:

Bosinney having expressed the wish to show them the house from the copse below, Swithin came to a stop.

He sat down by the oak tree, in the sun; square and upright, (1) with one hand stretched out resting on the knob of his cane, (2) the other planted on his knee, (3) his fur coat thrown open, (4) his hat, roofing with its flat top the pale square of his face, (5) his stare, very blank, fixed on the landsc [Galsworthy, "The Man of Property", 141]

თვისობრივი კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციები წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვის განავრცობენ მასში მოცემული ხდომილების სხვა, თანმხლები ხდომილებების საშუალებით. თუ მახასიათებლები კონსტრუქციებით წარმოქმნილი მიკროტექსტი მონოთემატურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგანაც როგორც კონსტრუქციებს, ასევე ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვის ერთი სემანტიკური სუბიექტი აქვთ, ხდომილებრივ კონსტრუქციებს უკვე თავისი საკუთარი სუბიექტი გააჩნიათ, რის გამოც მათი საშუალებით ფორმირებული მიკროტექსტი ზოგადი მინაარსისმქონე მაკროთემით ერთიანდება: They remembered how Washington had treated them when they left, (1) with few people calling. (2) the army wanting no part of their indicted brother. (3) the Cabinet officers remaining away for fear of embarrassing the administration, (4) the congressmen unwilling to take sides.

[Stone, L., "Immortal Wife", p. 300].

საილუსტრაციოდ მოყვანილი წინადადება-მიკროტექსტი განიცრობა ოთხი ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციით, რომელთა საშუალებითაც ხდება ნაწარმოების მთავარი გმირების გამგზავრების მომენტში ვაშინგტონში შექმნილი სიტუაციის აღწერა, რომ: 1) მხოლოდ ცოტა ხალხი თუ სტუმრობდა მათ, 2) არმის არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა დამნაშავედ აღიარებულ მის ოფიცერთან, 3) კაბინეტის მოხელეებიც თავს იკავებდნენ იმის შიშით, რომ ადმინისტრაცია უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინათ, 4) კონგრესმენტებს კი არ სურდათ რაიმე პოზიციის გამოხატვა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თითოეული კონსტრუქცია აზრობრივად სრულიად დამოუკიდებელია. მათ ყველას აერთიანებთ ერთი მაკროთემა, რომელიც ლოგიკურად გამოიყვანება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვიდან და ეს ერთიანობა ხაზგასმულია გრამატიკულადაც, რამდენადაც ყველა კონსტრუქცია სინტაქსურად არის დაქვემდებარებული ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე როგორც მისი თანმხლები გარემოების დამაზუსტებელი ადვერბიალური წევრი (adverbial modifier of attending circumstances).

რითია განპირობებული წინადადების ასეთი გაფართოება და მისი გადაქცევა მიკროტექსტად? ფსოქოლინგვისტებმა კვლევის შედეგად დაასაბუთეს, რომ უმეტეს შემთხვევაში წინადადების სტრუქტურულად გამართლებულ წევრთა რიცხვი არ აღემატება ადამიანის ოპერატიული მეხსიერების შესაძლებლობას, რომელიც ტოლფასია  $7 \pm 2$  მოკლე შეტყობინებისა [Hirae 1965; Миннер 1964]. ალბათ ამით აიხსნება, ჩვენ მიერ მოძიებული მიკროტექსტის წარმოქმნა სწორედ ხუთი ან შვიდი აბსოლუტური კონსტრუქციის ფარგლებში ხდება. თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მიკროტექსტები, რომლებშიც რეფერენტული სივრცე შექმნილია უფრო მეტი

ხდომილებების თანმიმდევრობით, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს აბსოლუტურ კონსტრუქციათა რიგებში. ბუნებრივია, რომ ამ ტიპის წინადადება-მიკროტექსტი ინფორმაციულად გადატვირთულია და მკითხველისათვის ძნელია მისი აღქმა. მაგალითად:

Scarlett sat in the window of her bedroom that midsummer morning watching the merry cavalcade, that streamed gaily out Peachtree road, (1) *girls cool in flowered cotton dresses, with light shawls, bonnets and mits to protect their skins and little parasols held over their heads*, (2) *elderly ladies placid and smiling amid the laughter and carriage-to-carriage calls and jokes*, (3) *convalescents from the hospitals wedged in between stout chaperons and slender girls who made great fuss and to-to over them*, (4) *officers on horseback idling at snail's pace beside the carriages - (5) wheels creaking, (6) spurs jingling, (7) gold braid gleaming, (8) parasols bobbing, (9) fans swishing, (10) negroes singing.*

[Mitchell M., "Gone with the Wind": 137].

ტექსტის გამაერთიანებელი მაკროთემა - „ქუჩაში მიმავალი მზიარული კავალკადა“ წინადადების ქეზმდებარულ-შემასმენლურ ბირთვითა მოცემული, ხოლო მისი დამაკონკრეტებელი, რეფერენტული სივრცის შექმნელი ათი ხდომილება კი გაფორმებულია ხდომილებრივი კონსტრუქციებით, რომელთა სტრუქტურული კონფიგურაციაც გრადუალურად მარტივდება და ზოლოს ბინარული ხდება, რითაც პროპორციულად იზრდება თხრობის ემოციურობა და დინამიზმი. მიგვაჩნია, რომ წინადადების გადაყვანა მიკროტექსტის რანგში ნომინალიზებული პარალელური კონსტრუქციებით წარმოადგენს ავტორის კომუნიკაციური ინტენციის, მისი სუბიექტური მოდუსის კოგნიტურ-ემოციური ასპექტის რეალიზების კომუნიკაციურ სტრატეგიას, რომლის საშუალებითაც იგი ტექსტს სინტაქსურ-სტილისტურად მარკირებულ და ინტონაციურად გაფორმებულ ექსპრესიულობას სძენს.

#### ლიტერატურა:

1. კორვალიძე ნ., გრამატიკის თანამედროვე თეორიები. ილიას სახ. უნივ. გამ-ა. თბ.2008.
2. Evans G., Pronouns, quantifiers and relative clauses//Canadian journal of philosophy, 1997, №3, pp. 467-536.
3. Greenbaum S. & Quirk R., A Student's Grammar of the English Language. Longman Group UK Limited. 1991
4. Leech G., An A-Z of English Grammar and Usage. 1989, London-Melbourne-Auckland.
5. Lyons J., Semantics. Volumes I-II. Cambridge University Press. 1977.
6. MacLis A. Reference Guide to English: A Handbook of English as a Second Language. Washington. 1994.
7. Searle J.R., Speech acts: an essay in the philosophy of language. London: "Cambridge University Press". 1969.
8. Tallerman M., Understanding Syntax. London: Arnold Publishers. 1998.
9. Ингве В. Гипотеза Глубины. // Новое в лингвистике, вып. 4. Москва: «Прогресс», 1965. с. 126-138.
10. Кондаков Н., Логический словарь, Москва: «Наука», 1971.
11. Лингвистический энциклопедический словарь, Москва: «Советская Энциклопедия».1990.
12. Миллер Дж. Магическое число семь плюс или минус два. О некоторых пределах нашей способности переработывать информацию. // Инженерная психология. Москва: «Наука», 1964.с. 94-118.

Nino Samidze

### Cognitive Aspect of Absolute Constructions and Their Text-Generating Peculiarities in the English Narrative Text

#### Abstract

One of the linguistic characteristics building up genre-stylistic typicality of the English literary text is the abundant use of so called absolute constructions that creates expressiveness and emotiveness of the narration.

The determination of the linguistic sign status of absolute constructions is made difficult by the asymmetry of their form and content, i.e. their semantic and syntactic aspects. On the basis of transformational analysis we prove that absolute constructions are language-in-use constructs created by the author with the help of nominalization due to which the verbal predicate loses the categories of mood and temporality as well as the communicative (i.e.

informational) autonomy of the predicativity, though the construction itself maintains its propositional structure, designating extralinguistic target situation through its predicate-argument configuration and intonation contour. The analysis of the language material showed that there is a certain interdependence between the logical-semantic types of absolute constructions proposed by us and the models of building microtexts. Our research proved that qualifying absolute constructions participate in building monothematic microtexts, while event-reflecting constructions serve to generate microtexts with the hypertheme which is derived from the constituent themes.

ინგა სანიკიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი  
სიტყვის ესთეტიკური და ემოციურ-ექსპრესიული  
ფუნქციებისათვის ქართულში

ენის უმთავრესი გამომსახველობითი ნიშანი სიტყვაა, რომლის სწორი გამოყენება, კონტექსტში სათანადო სელექცირება, მისი სემანტიკური გადამუშავება სიტყვას ესთეტიკურ ფუნქციას ანიჭებს. ნაწარმოები, ან, უბრალოდ, ტექსტი ენობრივ ნიშანთა განსაკუთრებულ შეერთებას გულისხმობს, რომელიც ობიექტურ სინამდვილეს მხოლოდ ზედაპირულად აღწერს, მკითხველს განსაზღვრული მიზნით წარუდგენს და ცნობიერებაში შეაქმნევენებს ამ სინამდვილის ახლებურ სახესა და მოდელს. სიტყვის ესთეტიკური ფუნქციის კვლევა თანამედროვე ფილოლოგიის (როგორც ენათმეცნიერების, ისე – ლიტერატურათმცოდნეობის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. უპირველესად არკვევენ სიტყვის ესთეტიკურ სახეცვლილებას. ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობათა ნიუანსური გააზრება ბაზისია იმ ზედნამენური ენობრივი სივრცისათვის (ვგულისხმობთ ძირითადად მხატვრულ ტექსტს), რომელშიაც სიტყვას ესთეტიკური დატვირთვა ეძლევა; ესთეტიკა კი, როგორც ფილოსოფიური დისციპლინა, არ იფარგლება ტრაქტატებით და არ არის მოწყვეტილი „ხელოვნებისა და ლიტერატურის ციხელ მდინარეებს. რამდენადაც ესთეტიკა წარმოიშვა და განვითარდა როგორც ხელოვნების ფილოსოფია, იმდენად ასეთი რამ შეუძლებელიცაა და უაზროც“; – წერს გ. ნადირაძე [ნადირაძე :10-11].

სიტყვის (ფართო მნიშვნელობით) ესთეტიკა პირდაპირ კავშირშია მის ემოციურ-ექსპრესიულ ფუნქციასთან, რადგან ამ უკანასკნელისაგან დაცილილი სიტყვა უბრალოდ აღმნიშვნელია ფაქტის, მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობის, ამიტომ მის ესთეტიკურობაზე საუბარიც არ შეიძლება. იგი არასდროს იფარგლება მხოლოდ სწორ-მეტყველებით, რომლის უძირითადეს საფუძველს ლიტერატურული ენისათვის მისაღები და შემდგომ ნორმებად ქცეული ფორმების მართებული გამოყენება შეადგენს; სიტყვის მართებულობას კი, ზოგადად, სამწერლობო ენისა და მეტყველების კულტურის გადაკვეთა არეგულირებს. სიტყვის ესთეტიკა, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია ენის ემოციურ-ექსპრესიულ ფუნქციასთან.

ემოცია ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანის გრძნობას, განცდას, სულიერ მღელვარებას (ქველ), რომლებიც შეიძლება იყოს შიში, სიხარული, განრისხება, სიყვარული, სიბუღვილი, წუხილი, დარდი და სხვ. იგი გრძნობის ერთ-ერთი სახეა და სუბიექტის (ან სუბიექტების) გრძნობით მდგომარეობას გადმოსცემს; ექსპრესია კი ლათინური სიტყვაა და რომელიმე განცდის გამომსახველობას გულისხმობს.

ემოციურ-ექსპრესიულობა სიტყვის ორი სხვადასხვა მხარეა. პირველი სემანტიკას უკავშირდება, ხოლო მეორე სიტყვის ადგილს, შესიტყვების ძალასა და მის მხატვრულ ფუნქციას.

რაც უფრო მოხდენილი ან მოულოდნელია კონტექსტი, მით მეტია სიტყვის ძალა, მისი ქმედითობა და შთაბეჭედაობა. მხატვრულ-ლიტერატურული სტილი ფრთხილად არჩევს სიტყვას ემოციური თვალსაზრისით, სხვაგვარად მხატვრული ტექსტი არ იარსებებს. ემოციური სიტყვები ის ძირითადი აქცენტებია, რომლითაც მწერალი თავის სათქმელს მეტ გამომსახველობას სძენს და მკითხველს საკუთარ სულიერ სამყაროსთან აზიარებს, მაგალითად: „გადარუგული დავით გარეჯა...

ამწეარ ტრამალზე ზინანეს ავშანი...

ამ ველს, ამ სივრცეს ვინც უდარაჯა,

ვინც შეიმსხვრია მკერდზე ჯაემანი”.

(გ. ლეონიძე...დავით-გარეჯა“).

მოცემულ სტროფში გ. ლეონიძე მკითხველის დაძაბვას რამდენიმე სიტყვითა და შესიტყვებებით ახერხებს (“გადარუგული დავით-გარეჯა”, “ამწეარ ტრამალზე”, “ზინანეს ავშანი”, “შეიმსხვრია ჯაემანი”), მაგრამ დაძაბულობის ემოციის ძირითადი ხაზი მაინც იმ უმთავრეს სიტყვებზე გადის, რომლებიც ერთმანეთთან ალიტერაციის ხაზით (“ჯ” ზგერით) არიან დაკავშირებულნი; მათ შორის უძირითადესი კი, რა თქმა უნდა, თავად ლექსის, როგორც განწყობილების, სუბიექტი დავით-გარეჯაა.

ემოცია, რომელსაც სიტყვა იწვევს მწერლის მიერ გააზრებული ემოციაა. აქ გრძნობა აზროვნებას ერწყმის, აკონტროლებს მას, მიმართულებას აძლევს და, შესაბამისად, მკითხველის განწყობილებასაც აყალიბებს. „ამგვარად, ყოველნაირი სიტყვა ემოციით სტიმულირდება” [Должн: გვ.232]. ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც ქვეყნის მწარე ისტორიით გამოწვეული ტკივილი ეფუძლება მკითხველს. მწერლის მიზანი მიღწეულია ვერც ერთი მათგანი სიტყვიერი მასალით გამოწვეულ ემოციას გვერდს ვერ აუვლის.

კონკრეტული სიტყვის ან შესიტყვებათა ემოციურობის მაღალი ხარისხი შეაპირობებს სიტყვის ესთეტიკურ განცდას, ყველაფერი ერთად კი ზოგადად ტექსტის საერთო მიზნის, მისი იდეის გამოხატვაში მონაწილეობს და უაღრესად მოძრავ და ცოცხალ სტილისტიკურ საშუალებას წარმოადგენს.

„ჩამიქრა სარკე, დაჯვარგე ჩრდილი, ჩემი მწე რითმა,

მელის წვალება,

თუ არ იწება შავმა ფიქრმა ხედისწერითმა

ფერიცვალება

ვიხილო მზე რით, ოდეს ზევით მზერით თვალებმა

ჰპოვეს უკუნი?!

ყოვლად უგონო განმინათე ეს საუკუნე,

ხედისცვალება!”

(რ. ამალობელი „ხედისცვალება“)

მოცემულ ლირიკულ ნაწარმოებში პოეტი შინაგანი განწყობილებისა და სამეტყველო საშუალებების სწორი შერჩევის გზით თანდათანობით ზრდის ემოციურობის ხარისხს. უპირველესად, აქ შიშის ემოცია იგრძნობა, რომელიც მომავალი ტანჯვის მოლოდინითაა გაჩენილი („მელის წვალება“); შიშს უიმედობაც სდევს („თვალები მხოლოდ უკუნს შზერს“) და დასასრულს ემოციამოძალებული ლირიკული გმირის ერთადერთ იმედად ხედისცვალება რჩება. თავისთავად ცხადია, რომ ემოციის გამომწვევი მიზეზები ობიექტურია, ავტორის მიერ ჯერ ნაგრძნობი, შემდეგ კი შემეცნებული და ენობრივი პროდუქტით გადმოცემული.

აერთოდ, მხატვრულ ტექსტში შემოქმედის მიზანს არასდროს წარმოადგენს ადრესატისათვის საგნობრივ-ლოგიკური ინფორმაციის გაგზავნა, მისთვის მთავარია საკუთარი სულიერი განცდების, ამ განცდათა ნიუანსების ჩვენებით მკითხველის განწყობილება შეცვალოს; ზემოქმედების ერთადერთ იარაღად კი მხატვრულ-ენობრივი საშუალებანი გამოიყენება. ნათელია, რომ ენის კომუნიკაციური ფუნქცია ამ დროს უკანა პოზიციას იკავებს, სამაგიეროდ, ენა ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციით მთელი მასშტაბით რეალიზდება.

ფსიქოლოგიასა და ნეიროფიზიოლოგიაში ემოციის განსხვავებული განმარტებანი არსებობს, მაგრამ იგი ძირითადად მაინც ფსიქოლოგიურ მდგომარეობადაა მიჩნეული. მთავარი ის არის, - წერდა ს. რუბენშტეინი, - რომ ემოცია მიმართულია ინდივიდის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისაკენ და მოქმედების სტიმულს წარმოადგენს [С.Л.Рубенштейн:459]. ამგვარად, პიროვნების ნებისმიერი ქმედება მოთხოვნილებითაა სტიმულირებული და ემოციით შეპირობებული. ცხადია, რომ არც მეტყველება (იგულისხმება წერილობითი და ზეპირი ფორმები), როგორც ადამიანის ერთ-ერთი უძირ-თადესი მოთხოვნილება, არ შეიძლება არსებობდეს ემოციის გარეშე. მას ემოციური მიმდინარეობა აქვს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დატვირთულია განცდით სიტყვა ან შესიტყვება, მით უფრო კარგავს საგნობრივ წარმოდგენას და, პირიქით, რაც უფრო ზუსტია ტექსტის შინაარსი, მით მეტადაა მოკლებული იგი ემოციებსა და ესთეტიკურ განცდას (ეს შემთხვევა ძირითადად სამეცნიერო და სამედიცინო-დოკუმენტურ ხტილშია შესაძლებელი და თითქმის გამორიცხულია მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში). სიტყვის მნიშვნელობის პოეტურ-ესთეტიკური გააზრება მუდმივად თან ახლავს მხატვრული ლიტერატურის ენას. ამ შემთხვევაში სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა რამდენადაც გაფერმკრთალებულია და დამატებითი მხატვრული ნიუანსებითაა შეცვებული. მაგალითად:

„სიცოცხლის სადგურში სიკვდილს ველოდები,  
დრო გადის სიცილსა და მასხრობაში,  
ლუდს დავლეე... გავივლი... მივდგები-მოვდგები...  
მატარებელიც ჩამოდგება აძსობაში“.

(მ. ქელოგიძე, უსათაურო)

ლექსიკური ერთეულის - სადგურის ძირითადი მნიშვნელობა მატარებლის ან სხვა ტრანსპორტის გაჩერების ადგილია, ხოლო მატარებელი - ტრანსპორტის სახეობა (ქველ), მაგრამ ტექსტის მხატვრული გააზრების აუცილებელ პირობად კონტექსტური შესიტყვებანი რჩება. დასახელებულ ლირიკულ ნაწარმოებში სიცოცხლის სადგური წუთისოფელია, ეს ქვეყანა, ადამიანთა ხორციელი არსებობის საყუდელი; მატარებელი კი კვდომის დრო, იმქვეყნად მიმავლობა.

ამგვარად, მხატვრულ ნაწარმოებში სიტყვის (შესიტყვების) ესთეტიკური განცდა პირდაპირ გამომდინარეობს მისივე ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციიდან. ზოგადად ესთეტიკასა და ხელოვნების თეორიაში ბევრს საუბრობენ მხატვრული სახეების თავისებურებათა შესახებ, თუმცა თითქმის დაუმწებელია, არაფერი ითქვას სიტყვის ხელოვნების როლზე, ამიტომაც წერს რ. სირაძე: „ენის ფუნქციაც ყოველთვის დროითა და გარემოებით განისაზღვრება, მაგრამ ენა ზედროულიცაა და არ შეიძლება იყოს ზედროული. ენაშიც თანაარსებობენ სხვადასხვა ეპოქის ესთეტიკური პლასტები, ხშირად ენის ძველი ფორმები ახლებური ესთეტიკური ფუნქციით გაცხოველებიან ხოლმე“ [რ. სირაძე, 1987:4].

მართლაც, განუსაზღვრელია როლი მოძველებული სიტყვებისა, რომლებიც სხვაგვარად არქაიზმებისა და ისტორიზმების სახელით არიან ცნობილნი და რომლებიც სა-

ერთო ენობრივი ქსოვილის შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ. ლინგვისტური თვალსაზრისით, ისინი არ განიხილებიან როგორც მხატვრული სახეები, მაგრამ ტექსტის სტილიზაციის მნიშვნელოვან საშუალებებს წარმოადგენენ. ისტორიზმებსა და არქაიზმებს მხატვრულ ნაწერში სათანადო ემოციური ზეგავლენის ძალა აქვს. ისინი მკითხველის ენობრივებაში ეპოქის ხასიათს აღადგენენ და ისტორიულ სახეს ქმნიან: „გოორგი მეფეს ბურღუხან მშვენიერისაგან რომ თამარი ჰყვანდა, ხარჭისაგან ქალი მისცემოდა. ჰყვანდა პირიმზუს; არცა ჰყვანდა. როგორ ემგავნებოდა?! პირის ყდა თითქო თამარისავე..“ [ვ. ხარჭოი, „პირიმზუ“].

ერთი მაგალითითაც ნათელი ხდება, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თითოეულ ენობრივ ინსტრუმენტს მხატვრული ტექსტის შექმნის პროცესში; საერთოდ, ენობრივი გამოხატულებისა და ზემოქმედების ძალის შეკავშირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლო კონკრეტულმა ავტორმა სწორად წარმართა თავისი შინაგანი ემოცია, ამასთან სწორადვე შეერჩია ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებანი და ადრესატი (მკითხველი ან მსმენელი) ფიქრისა და განსჯისაკენ მიემართა.

რამდენადაც სტილისტიკა ნებისმიერი ჯგუფს (ვგულისხმობთ სინონიმურ, ანტი-სინიმურ და სხვა ლექსიკურ ჯგუფებს) შერჩევითობის პრინციპიდან გამომდინარე განიხილავს, ცხადი ხდება, რა მნიშვნელობა აქვს ცოდნას ამ ნაწილთა შესახებ და როგორია მათი როლი სიტყვის ექსპრესიული და ესთეტიკური ძალის შექმნაში. სიტყვიერი სახეები უშუალოდ უკავშირდება ლიტერატურულ-ესთეტიკურ ობიექტებს – მხატვრულ სახეებს და ტექსტში ერთ-ერთ უმთავრეს მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენენ.

#### ლიტერატურა:

1. ნადირაძე გ., რუსთაველის ესთეტიკა. გამოგებლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1958.
2. სირაძე რ., ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები. გამოგებლობა „განათლება“, თბ., 1987.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რეატიონული. მე-3. 1953, ხმა გამ-ა, თბ.
4. Долны Х.А., Стилистика французского языка. Изд. Академия наук СССР. Ленинград. 1958.
5. Рухтенштен С.Л., Основы общей психологии. Изд. 2-е. Учпедгиз. Москва. 1968.

Inga Sanikidze

### On Aesthetic and Emotional-Expressional Functions of the Word in Georgian Language Abstract

The aesthetic function of the word is in direct relation with expressional-emotional function, and all kinds of book style are fed with the latter. The more elegant or unexpected is the unity of the words (context), the more is the force of the word, its charm and effectiveness; That is why an belles-literary style is distinguished among others by its expressiveness and emotional accents.

In the process of creation of artistic belles-lettres texts the creator is never limited by submission of logical and subject information to the addressee (reader), so as his purpose is through personal or personage spiritual feelings, demonstration of nuances of these feelings to change the inner attitude of the reader; And as the only tool of influence in this case there are used the artistic-linguistic means, that is why a communication function of the language moves to back plan, instead, the language is realized at full scale by emotional-expressive function.

Thus, it is clear that the aesthetic emotional expression is a direct consequence of his emotional-expressional function. All the more, one can't exist without other.



რუსუდან სალინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
ენობრივი ეთიკეტი და ქართული სინამდვილე

დიდი ხნის წინათ იქნა აღიარებული, რომ ენას უშუალო კავშირი აქვს ერის კულტურასთან. „ენა არის ერის სული და ერის სული არის ენა. შეუძლებელია სამყაროში იყოს უფრო იდენტური რამ, ვიდრე ეს ორი ცნება“, – წერდა გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი.

ენა მხოლოდ კომუნიკაციის მიზნით არ წარმოშობილა. ენის გარეშე შეუძლებელია მსოფლმხედველობის ფორმირება. ეს კი მაშინ მოხდება, როცა ადამიანი თავის აზროვნებას საზოგადოებრივ აზროვნებას დაუკავშირებს... „ენა არის საზოგადოების მოქცევის ფორმა“, – ასე განმარტავდნენ ენას ამერიკულ ენათმეცნიერებაში. ყოველი ადამიანი ბავშვობიდანვე ეუფლება ენის ფარულ კანონზომიერებებს. მისი ურთიერთობა სამყაროსთან ენის საშუალებით ხდება. რამდენადაც მშობლიური ენა არის სამყაროს ვერბალიზაციის პროცესი [ლ. ვაისერბერი], ყველა ხალხს აქვს უფლება, ჰქონდეს მშობლიური ენა, რომელიც მის ისტორიასთან დაკავშირებული კულტურული შენაძენია. ენაში არის ასახული ერის წარსული და აწმყო.

ყველაფერი ის, რაც ადამიანის არსებაში ჩნდება და რის გამოხატვასაც ვერ ვაზერხებთ ენით, რჩება ცხოველური ინსტიქტის დონეზე. აქ იგულისხმება ბიოლოგიური მექანიზმი, რომელიც ინსტიქტების საფუძველზე არსებობს. თვით გენიალურ ადამიანებსაც კი ყოველდღიურ ცხოვრებაში უჩნდებათ ისეთი ინსტიქტი, რომლის გამოხატვაც სიტყვით შეიძლება ვერ მოახერხონ. ამ პოზიციიდან, ბუნებრივია, ენა განიმარტება, როგორც ცივილიზაციის, კულტურის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პირობა, ე.ი. ენა არის კულტურის, ცივილიზაციის შემოქმედი.

მატერიალური სამყარო ერთი და იგივეა ყველა ენის წარმომადგენლისთვის, მაგრამ ყველა ენის წარმომადგენელი ნაირგვარად აღიქვამს და ასახავს მას. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ენა აქვთ სხვადასხვა. მაგალითად, ცას ისევე აღვნიშნობს ქართველი, როგორც ინგლისელი ან იაპონელი, ასევე სხვა საგნებსაც. ოღონდ ენაში განსხვავებულად აისახება ეს საგნები. საქმე იმაშია, რომ ენა დაკავშირებულია აზროვნებასთან. აზროვნება კი არის შემქმნელი კულტურისა და შექმნილი იმავე კულტურის მიერ, ე.ი. როგორც ენათმეცნიერები მიუთითებენ, იქმნება ერთგვარი წრე („მოჯადოებული წრე“).

ენა ასახავს სინამდვილეს, ე.ი. სინამდვილე ხელახლა იწარმოება ენის საშუალებით. ის, ვინც ლაპარაკობს, თავისი მეტყველებით ადადგენს ყოფას და მასთან დაკავშირებულ საკუთარ გამოცდილებას; ვინც ისმენს, თავიდან აღიქვამს საუბარს, შემდეგ კი კვლავწარმოებულ ვითარებას. ამ სახით სიტყუაია არის დიალოგის ცვლა და იგი მეტყველების აქტს ანიჭებს ორმაგ ფუნქციას: მოსაუბრისათვის მეტყველების ხელახლა წარმოადგენს სინამდვილეს, მსმენლისთვის კი იგი ხელახლა ექმნის ამ სინამდვილეს. აქედან ცხადია, რომ აზროვნება არ არსებობს ენის გარეშე და, შესაბამისად, სამყაროს შეცნობა შეპირობებულია შემცენების გამოხატულებით. ფრანგი ენათმეცნიერის ე. ბენვენისტის აზრით, ენა ახდენს სამყაროს კვლავწარმოებას. ის არის ლოგოსი – მეტყველება და გონება ერთიანობაში, როგორც ბეულ ბერძნებს მიაჩნდათ. სწორედ ენაში და ენის მეშვეობით განსაზღვრავენ ერთმანეთს ინდივიდი და საზოგადოება. ადამიანი ყოველთვის

გაძნობდა, ხოლო პოეტები ხშირად უძღვროდნენ ენის ძლევა-მოსილებას, რომელიც იძლევა წარმოსახვით რეალობას, ასულიერებს უსულოს... საზოგადოებისა და ინდივიდის არსებობა მხოლოდ ენის წყალობით არის შესაძლებელი. ბავშვის გონების გაღვივება ყოველთვის ემთხვევა ენის დაუფლებას, რასაც იგი შეჰყავს საზოგადოებაში, როგორც ინდივიდი [ბენენისტი, 1974: 27].

მამსადაძემ, ენისა და აზროვნების კავშირი იმავდროულად გულისხმობს ენისა და საზოგადოების ურთიერთობას. ყოველი ერის ლექსიკური ფონდი წარმოადგენს ერთგვარ საზომს მისი საზოგადოებრივი განვითარებისა. როგორც მეტყველებს საზოგადოება, ისეთია მისი კულტურა. გავიხსენოთ სახარების ფრაზა: „არა თუ პირით შემეავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამოშავალი შეაგინებს კაცს“ [მ. 15, 11: ოხოთაი 2008: 42]. სიტყვის ფასი კარგად ჩანს უფლის მიმართებაში: „იყავნ სიტყუაი თქუენი ჰჳ ჰჳ და არაი არა“ [მ. 5, 37: იქვე: 17] ან კიდევ: „სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ [მ. 12, 37: იქვე: 34].

საზოგადოების მოქცევის ეთიკეტს, რასაც დიდი ხანია განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, უკავშირდება ენობრივი ეთიკეტიც. ერთ-ერთი პირველი ქართული ენათმეცნიერი, რომელმაც შემოიტანა ეს ცნება, დასვა მისი გათვალისწინების აუცილებლობის საკითხი, გახლდათ ბ. ჯორბენაძე. მან შექმნა სალექციო კურსი „ენა და კულტურა“, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში უკითხავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს. ამ უღრესად საინტერესო საგანში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ენობრივი ეთიკეტის მეცნიერული გააზრების საკითხს.

ენობრივი ეთიკეტი გულისხმობს მეტყველების კულტურას, რაც შეიძლება, ფართო გაგებით. იგი განეკუთვნება ეთიკის სფეროს. ინდივიდის მიერ წარმოქმნილი ნებისმიერი სიტყვა, გამოთქმა, რასაც მოჰყვება მსმენელისთვის უსიამოვნო ემოცია, არაეთიკურად, ეთიკურ ნორმათა დარღვევად აღიქმება. ამდენად, ენობრივი ეთიკეტის დაცვას საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სიტყვის, ენის, მეტყველების განსაკუთრებულ ღირებულებაზე მიუთითებს ბ. ჯორბენაძე, როცა წერს: „სიტყვა როგორც შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის, სიტყვა როგორც ღვთიურობასთან ადამიანის მიახლების ერთადერთი გამოშხატველი, სიტყვა როგორც ღვთის ნების გამომხატველი ერთადერთი საშუალება“ [ჯორბენაძე 1997: 9].

ქართულ ენაში უბველესი დროიდან გაჩნდა ეთიკურად შეპირობებული სხვადასხვა ენობრივი ფორმა:

1. ევეფმიზმი. ენობრივი ეთიკეტის ნათელი გამოხატულებაა ევეფმიზმი და ტაბუ. მართალია, მათ ბ. ჯორბენაძე სტიქიურად გამოუმუშავებულ ფორმებად მიიჩნევს, მაგრამ მიუთითებს, რომ ორივე კულტურის უშუალო გამოვლენაა. „ევეფმიზმი გამოიყენება „სწორედ ენით დაკოდვის“ (შდრ., სულხან-საბა ორბელიანის „ენით დაკოდლი“) თავიდან ასაცილებლად“ [ჯორბენაძე 1997: 74].

ევეფმიზმი (კეთილმეტყველება) მიჩნეულია ტროპის სახედ, რაც ნიშნავს უხამსი, უხეში სიტყვის, გამოთქმის შეცვლას თავაზიანი, შერბილებული, საზოგადოებაში მიღებული, ემოციურად ნეიტრალური სიტყვით, გამოთქმით [ქართული ენა - ენციკლოპედია, 2008: 156]. ევეფმიზმის სხვადასხვა სახეობა არსებობს. ქართულ სინამდვილეში ევეფმისტური გამოთქმები დასტურდება:

ა) საკუთარ ჯანმრთელობაზე საუბრისას: „შენ ჯვარი გეწეროს“; „შენ ყველაფერი კარგი“; „შენ არ შემოგრივლებ“...

ბ) ცუდი აზრის ხსენებისას: „შორს იყოს“; „მტრისას“; „მტერს არ ვუსურვებ“; „ქვისკენ პირი მიქნია“; „ჯვარი აქაურობას“...

გ) მოზოდიშებისას: „უკაცრავად“; „მაპატიეთ“; „ბოდიშს გიხდით!“ „ბოდიში!“

დ) მადლიერების გამოხატვისას: „მადლობა“; „დიდი მადლობა“; „ულრმესი მადლობა“; „გმადლობ(თ)“; „მადლობა მომიხსენებია“; „მინდა მადლობა გითხრათ“; „მინდა გამოვხატო მადლიერება“...

ე) სტუმრობისას ან ოჯახში... პირველად შესვლისას: „აქა მშვიდობა“; „კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში (აქ...)“...

ვ) შენაძენის მილოცვისას: „ახალ-ახალ მშვიდობაში!“ „მშვიდობაში!“

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კახეთში შემორჩენილი ჩვეულება. ახლად შეძენის მილოცვას კახელები მზეს უკავშირებენ. „მზით გაცეთი!“ ან მოკლედ: „მზით!“ – ასე ულოცავენ მხოლოდ დღისით, მზისით. საღამოს მზეს არ ასხენებენ;

ზ) მოკითხვისას: „როგორ ბრძანდებით?“ „როგორ გიკითხოთ?“ „მოკითხვა ყველას!“ „მომოკითხეთ(თ) ყველა“...

თ) დამშვიდობებისას: „კარგად მენახე!“ „ბედნიერად!..“ ბილის წინ: „ღამე მშვიდობისა!“ „ძილი ნებისა!“ „ტკბილი ძილი!“ „ტკბილ სიზმრებს გისურვებ(თ)!“ „ანგელოზები გასიზმროთ!“ (უმფოთველი სიზმარი მოგეთ! [სახოკა, 1979: 22];

ი) გამგზავრებისას: „გზა მშვიდობისა!“ „მშვიდობით იმგზავრე!“ „მშვიდობით გველოს!..“ „ბედნიერი მგზავრობა!..“)

კ) მორჩილებისა და თანხმობის გამოხატველი: „ბატონი ბრძანდები“; „ბატონი ხარ“ (გემორჩილებით, თანახმა გახლავართ თქვენი ნათქვამისა, რასაც ბრძანებთ სწორია, მართალს ბრძანებთ, ძალიან კარგი, აგრე იყოს [სახოკა, 1979: 47]; „თქვენი ხმალი და ჩემი კისერი“; „კეთილი“; „კეთილი და პატიოსანი“

ლ) მოფერების, თხოვნისა და მუდარის გამოხატველი: გეთაყვანე (გაღმერთებ, დიდი პატივს გცემ, გემონები, გმორჩილობ... – თხოვნის, ხეწნის ერთგვარი ფორმულაა. იგივე შემოკლებითაა გეთაყვა [სახოკა, 1979: 89]; გენაცვალე (მზადა ვარ მენტვის ყველაფერი ვუნა, სიკვდილსაც კი პირისპირ დავუდგე; გთხოვ, გვედრები... – ზრდილობისა და ხეწნის ფორმულაა [იქვე]. თ. სახოკის მიხედვით, გენაცვალე მომდინარეობს სიკვდილის შესახებ რწმენისაგან. სახელდობრ: ხალხს ჰგონია, რომ გადადებული ავადმყოფის მორჩენა, როცა ყოველგვარი, ავადმყოფის პატრონისათვის ხელმისაწვდომი წამლობა გამოყენებულია და უშედეგოდ დარჩენილია, შესაძლებელია სიკვდილის ერთგვარი მომადლიერებით, მასთან ერთგვარი შეთანხმების დადებით, მოეწოდოს გაჭირვებას. მომაკვდავისათვის სიკვდილის თავიდან ასაცილებლად მისმა პატრონმა სიკვდილს უნდა შეძლოს მომაკვდავის სანაცვლოდ და სამაგიეროდ თავისი თავი, საჭონელი, ავეჯი და დაიმედებული უნდა იყოს, რომ ასეთი ანაზღაურების, ასეთი შენაცვლების შემდეგ სიკვდილი უშუალო სასიკვდილო ობიექტზე ხელს აიღებს და დასჯერდება მის სანაცვლოდ შეძლეულს. მამასადამე, თვითონ სიტყვა გენაცვალე ნიშნავს: სიკვდილს შენს მაგიერად, შენს ნაცვლად ჩაუვარდეო. აქედანაა ზმნა: მენაცვლა, გენაცვლა, გენაცვალე, ანაცვალა და სხვ. შეკვეცილი სახეა გენაცვა (კუთხ.). გენაცვალეს მსგავსია: გემაგიერე, შენი ჭირიბე, თავს შემოგველე, გეყურებანე [სახოკა, 1979: 89].

კაპადოკიელ მამათა საღვთისმეტყველო მოძღვრებაში გონითსაწყედობი სამყაროს აღწერილობაში არ დასტურდება სამყაროს მეტ-ნაკლებად დასრულებული ხატ-სახე, რაც იმითაა განპირობებული, რომ ადამიანის დასაზღვრული გონება ვერასოდეს



მეშვენიერებს ზეციურ რეალობას, ზეციურ სამყაროს, ზესთასოფელს, ზედროულობას, მარადიულობას, რომლის ბუნება, თვისება სამუდამოდ რჩება მისი ცოდნის მიღმა. წმ. გრიგოლ ნოსელის მოძღვრებით, ზესთასოფლური, ზენაკოსმიური განზომილება მოძრავია, რადგან „ანგელოზებრივ ძალთა მოძრაობა არსებითად აღმავალი მოძრაობაა, რომელსაც წმ. გრიგოლი ახასიათებს როგორც „წინსწრაფვას ზემთა სფეროებისაკენ, მიშველი მოუფარავი მეცნიერებითი ძალით“. სწორედ ზეციურ ძალთა უსხეულობამ განსაზღვრა მათი ადგილი კოსმიურ დიასტემაში“ [დოლოჟ, 2009:232].

არეომაგიტულ მოძღვრებაში ღმერთს „მრავალსახელიანად უგალობენ“, რომელთა შორისაა „საუკუნო“, როგორც არსი, საუკუნეთა მიზეზი, სიცოცხლის მზომებელი, სიტყვა, გონება, სიბრძნე, როგორც ბეელი დღეთა, როგორც უბერებელი და ა. შ. [წ. ლონისე არეომაგიტული 1995: 14-15], რასაც წმ. მაქსიმე აღმსარებელი შემდეგ კომენტარს უკეთებს: „საუკუნოდ ამზობენ საუკუნეთა შემოქმედსა და ჭემმარტად საუკუნეს (ωωνα), რამეთუ მარადის არსებულთა თავად... შემოქმედია საუკუნეებისა“ [წ. მაქსიმე აღმსარებელი 1995: 36]. რაც აჩვენებს, რომ დროს საფუძველი ედება შესაქმის პროექსიდან. მარადისობისა და დროის შესახებ გამოთქმული არეომაგიტული შეხედულებიდან ჩანს, რომ უფლის სახელი არსობრივად, თვისებრივად, რაოდენობრივად, ზოგადად ყოველი განზომილების მიხედვით შეუზღუდავია.

ადრეული ბიზანტიური რენესანსის წარმომადგენლის, მიქაელ ფსელოსის შეხედულებანი მარადისობისა და დროის, ზესიერცისა და სიერცის შესახებ დებულებები ჩამოაყალიბა მ. მკველიძემ; ჯერ სიერცისა და ზესიერცულის გააზრების შესახებ გამოთქმულ ინტერპრეტაციას დავიმოწმებ, თუმცა იგი მარადიულობა-დროითობის გარეშე მაინც ვერ წარმოიდგინება: „ღმერთი წარმოაარსებს ყოველივეს, შეგრძნებადნი არ არიან შეუქმნელნი (ტრაქტ. 3). // პირველი მიზეზიდან უშუალოდ გამოედინება გონიერი სამყარო, ამ უკანასკნელისაგან - შეგრძნებადი კოსმოსი (ტრაქტ. 6)... გონიერი კოსმოსი - ეს არის სამყარო, სადაც იმყოფებიან გონით-წედომადნი არსნი - პირველადნი, უბეზონი, რომლებიც არიან ცხოველნი (ტრაქტ. 3,6), მდგომნი, მარადიულნი. ზესთა კოსმოსშია შეურყვნიელი იდეები (ტრაქტ. 6). გონითწედომადი სამყარო ხატია პირველი საწყისისა და, ამავე დროს, არის ნიბუში შეგრძნებადი კოსმოსისა (ტრაქტ. 6). // ციური სფეროს მიღმა არსებულნიც სხეულებრივნი არიან (ტრაქტ.2). გონება-ნუსი - ეს არის გონითწედომადი არსი, მარადიული არსებითაც და ქმედებითაც (ტრაქტ. 4). ცის მიღმა არის მარადისობა, ცის ქვეშ - დრო. ცა და მთვარემდე არსებულები არსებით მარადიულნი არიან, ქმედებებით დროითნი. შეგრძნებადნი არიან დროითნი, მოძრავნი“ [მკველიძე, 2006: 141]. დროისა და მარადისობის შესახებ შემდეგი დებულებებია ჩამოყალიბებული: „მარადისობა გამონაბრწყინია გონითწედომადი კოსმოსისა (ტრაქტ. 3). დრო მარადისობიდან იხადება. მარადისობას მოსწყდება (ტრაქტ. 6). დროს წარმოაარსებს სული. დრო გაჩნდა ამ სამყაროსთან ერთად. დროის არსება წინამავლობასა და შემდგომობაშია“ [მკველიძე 2006: 142].

ყოველივე ეს მოწმობს, თუ როგორ განიხილება მარადისობისა და დროის, ზესიერცისა და სიერცის კატეგორიები ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ტრაქტატებში. დროისა და მარადისობის არსი და მიმართებები საღვთო სახელებშია წარმოარსებული, რაც იმას გულისხმობს, რომ საღვთო სახელი დროსიერცული სიმბოლიკისა და პოეტიკის კვალობაზე იქმნება ადამიანის დასაზღვრული გონების მიერ.

სწორედ ამგვარ სახელთა როგს განეკუთვნებიან „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებული ზემოსხენებული სახელები „მზიანი ღამე“ და „უეამო ჟამი“. ისინი, როგორც ოქსიმორონი, ერთი რიგისაა და როგორც საღვთო სახელი, არსობრივია და ჰიპოსტასურიც, - ისინი არსობრივად ღმერთის სახელებია, ხოლო ჰიპოსტასურად მამა ღმერთის სახე-

ლიცა და ძე ღმერთისაგ. „შზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“ და „უჟამო ჟამი“ ვ. ნოზაძემ ღმერთის სახელად მიიჩნია [ნოზაძე, 1963: 119, 127]. არეოპაგიტული კორპუსის რუსულ ენაზე მთარგმნელი და კომენტატორი, მამა გენადი ეიკალოვიჩი მიუთითებდა, რომ ესაა კატაფატიკა-აპოფატიკის ერთიანობა, რაც გაიზიარა ვიკტორ ნოზაძემ, რომელმაც კითხვა დაუსვა ეიკალოვიჩს „შზიანი ღამესთან“ დაკავშირებით [ნოზაძე, 1957: 194-195]. მათი ნაზრევის საფუძველზე ე. ხინთიბიძემ დაასკვნა, რომ „ღმერთის ჭეშმარიტი დასრულებული სახელი კატაფატიკური, დადებითი და შესატყვისი აპოფატიკური, უარყოფითი სახელების ერთობლიობაშია“ [ხინთიბიძე, 2009: 261]. მ. რაფაეა „უჟამო ჟამს“ გამოკვეთილად ძე ღმერთის ჰიპოსტასურ სახელად მიიჩნევს: „უჟამო ჟამი“, „უსახო სახე“ ქრისტიანული თეოლოგიიდან აღებული ცნებებია... ვეფხისტყაოსანში ასე მინიშნებით, არაპირდაპირ დასახელებულია ქრისტიანული ღმერთი ქრისტე. ქრისტიანული სამების გვერდით ნახსენებია ქრისტეც“ [რაფაეა, 1966: 117]. მ. გიგინეიშვილი კი „შზიან ღამეს“ მაცხოვრის ჰიპოსტასურ სახელად მიიჩნევს: „შუე არის ხატი „შზიანი ღამისა“ - ქრისტესი, შუე არის ხატი „ერთარსებისა ერთისა“ - წმიდა სამებისა აძღვანდ ქრისტესივ, შუე არის ხატი „უჟამო ჟამისა“ ქრისტესი“ [გიგინეიშვილი, 1968: 25-48]. ს. ცაიშვილის აზრით, საღვთო სახელებთან „შზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“ და „უჟამო ჟამი“ „საკამათო არ უნდა იყოს აღიარებული დებულება, რომ ყველა ამ გამოთქმაში ქრისტიანული ღმერთია ნაგულისხმები [ცაიშვილი, 1974: 314-315]. ე. ხინთიბიძის აზრით, „შზიანი ღამე“ არის უზენაესი არსების ერთი სახელი, რომელიც ემყარება ბიბლიის ძველ კომენტატორთა შრომებს და შექმნილია თეოლოგიაში ცნობილი მეთოდით კატაფატიკა-აპოფატიკის, ანუ ღვთაების დადებითი და უარყოფითი სახელების გაერთიანების გზით“ [ხინთიბიძე, 2009: 262]. ასევე მიიჩნევს „ერთარსება ერთსა“ და „უჟამო ჟამს“ უზენაესი არსების, ღმერთის კატაფატიკურ-აპოფატიკურ სახელად და არა მინცდამაინც სამების მეორე ჰიპოსტასის - ქრისტეს სახელად [ხინთიბიძე, 2009: 27-271; 287-288]. ზ. გამსახურდიას აზრით, „შზიანი ღამე“ აპოფატური ანტინომიაა, რომელიც მიუთითებს გამოუთქმელ სამება-ერთარსებაზე. ამავე დროს ამ გამოთქმაში იგულისხმება მისტიკური გამოცდილება საღვთო ბნელში ნათლის ჭერტისა, რომელსაც ასხენებს დიონისე არეოპაგელი და რომელიც უაღრესად კონკრეტული განცდა იყო ქრისტიანი მისტიკოსებისათვის, და არა ცარიელი, ზოგადი ცნება“ [გამსახურდა, 1984: 144-145].

ჩემი აზრით, „შზიანი ღამე“, როგორც ოქსიმორონული საღვთო სახელი, დროსივრცული თვალსაზრისით, ორ ურთიერთსაპირისპირო ცნებას მოიცავს, კერძოდ, „შზიანი“, რომელიც საგნის აღმნიშვნელი სიტყვიდან მომდინარეობს, თვისებას გამოხატავს, რაც იმას მიუთითებს, რომ იგი, თვისებრიობასთან ერთად, სივრცული კატეგორიის გამომხატველია. შესაქმის პროცესის დაწყებამდე იყო უდროურობა, მარადიულობა. ღამე და დღე დროითი კატეგორიებია, ისინი სრულიად გამოკვეთილად გულისხმობენ დროს, რომელიც, ბიბლიური კოსმოგონიით, ღვთისგან ქმნილია, ანუ ისინი დროით კატეგორიაში არიან მოქცეულნი; საღვთო სახელი „შზიანი ღამე“ გულისხმობს მარადისობას იმიტომ, რომ იგი ბიბლიურ კოსმოგონიამდე არსებულ დროსივრცულ არეალს მოიცავს, რის გამოც იგი ღმერთის სახელად მოიაზრება. დავით გურამიშვილის სიტყვები: „ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე ღამე შზიანი, იქელი კალოზედ ეყარა, განურჩეველი, ბზიანი“ - ადასტურებს, რომ იგი არის ჰიპოსტასური სახელი ორი ჰიპოსტასისა: მამა ღმერთისა და ძე ღმერთისა; ამიტომ იგი დროის კატეგორიას გულისხმობს; „შზიანი“ თავისთავად გულისხმობს დღეს, და ღამეც დროით კატეგორიაშია მოქცეული, რაც სიმბოლურად მიუთითებს „შზიანი ღამის“ ერთიანობას. იგი გულისხმობს მაცხოვრის განკაცებას და კაცობრიობისთვის მხსნელად მოვლინებას. ამ

საღვთო სახელის კატაფატიკურობა-აპოფატიკურობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის, რომ იგი არაა არც კატაფატიკური, არც აპოფატიკური, იგი მთლიანობაში ანტინომიური საღვთო სახელი, რადგან ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მქონე ცნებათა შესიტყვებით ერთი ახალი მთლიანობა იქმნება.

დავით გურამიშვილის სიტყვები მოწმობს, რომ მის მიერ დასახელებული „შზიანი ღამე“ ჰიპოსტასურად მამა ღმერთიცაა და ძე ღმერთიც, კერძოდ, დავით გურამიშვილის ლექსში დამოწმებული „ღამე შზიანი“ უშუალოდ მოსდევს „ძველ დღეს“, რომელიც მამა ღმერთია, რასაც ადასტურებენ ძველი ქართული და უცხოენოვანი საღვთისმეტყველო თხზულებები. აქ საუბარია „ძველი დღე ღამე შზიანის“ განახლებაზე, რაც უთუოდ გვაგულისხმებინებს იმას, რომ „ძველი დღე“ და „ღამე შზიანიც“ ქრისტიანული ღმერთია, კერძოდ, მამა ღმერთია, მაგრამ განახლებული „ღამე შზიანი“ მაცხოვარია, ძე ღმერთია [მოხა, 2005: 47-151]; საინტერესოა, რომ ორივე საღვთო სახელი ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას, რაც იმას მითითებს, რომ ისინი, როგორც წინადადების წევრები, ერთნაირადაა გასააზრებელი. ე. ი. საღვთო სახელი „შზიანი ღამე“ დავით გურამიშვილთან, ერთი მხრივ, არსობრივია და ღმერთს, სამებას ნიშნავს, მეორე მხრივ, ჰიპოსტასურია და ორ ჰიპოსტასს - მამა ღმერთსა და ძე ღმერთს აღნიშნავს.

პეტრე ლარაძის სიტყვები - „უფამო ჟამის“ მეტრფე და შზიანი ღამით სვიანი“ - ეხმარება მათა არუსთველის ნათქვამს როსტევან მეფის შესახებ: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“, რომელშიც ღმერთი ქრისტიანულია, იგი არის განუყოფელი სამება, ე. ი. ღმერთის არსობრივი სახელია. პეტრე ლარაძის მიერ წმ. მეფე დავით აღმაშენებლის შესახებ ნათქვამი აკონკრეტებს მეფის ღმერთთან მიმართებას. კერძოდ, მეფის „ტროფაზა“ „უფამო ჟამისადმი“ თავისთავად გვაგვარაუდებინებს „უფამო ჟამში“ ღმერთსაც და მაცხოვარსაც, იესო ქრისტეს; შესაბამისად, „შზიანი ღამე“ არის არსობრივად ღმერთი, სამება, ერთარება ღმერთი, ჰიპოსტასურად როგორც მამა ღმერთი, ისე ძე ღმერთი, რადგან მასში მოიაზრება ღმერთის სიმბოლური სახე რუსთველური ზემოხსენებული სტროფის მიხედვით, რომელშიც ღმერთი ზოგადად არის ქრისტიანული ღმერთი.

აღვნიშნავთ, რომ „შზიანი ღამე“, „ერთარება ერთი“ და „უფამო ჟამი“ ერთიან კონტექსტშია გასააზრებელი, ხოლო კონტექსტიდან გამომდინარე, რუსთველის „შზიანი ღამე“ ქრისტიანული ღმერთია, რომლის ხატია მაცხოვარი, ძე ღმერთი, იესო ქრისტე: „ვინ ხატად გთქვენს შზიანისა ღამისად“; „ვინ“ არის „შზიანი ღამის“, „ერთარება ერთის“ და „უფამო ჟამის“ ხატი, ხოლო „ვინ ხატად“ არის მაცხოვარი, რადგან ღვთის ხატია მაცხოვარი, ძე ღმერთი. აქედან გამომდინარე, „შზიანი ღამე“, „ერთარება ერთი“ და „უფამო ჟამი“ არის ზოგადად შემოქმედი ღმერთი. „შზიანი“ და „ღამე“ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მქონე ეს ორი სახელი არის დროის აღნიშვნელი, ისევე როგორც „უფამო“ და „ჟამია“ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მქონე ორი სახელი, რომლებიც კატაფატიკა-აპოფატიკის ერთიანობას ეყარება და რომლებიც მარადისობისა და დროის მიმართებებს გამოხატავენ. ამ მოსაზრებას განამტკიცებს მომდევნო სტროფში რუსთველისავე სიტყვები:

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,  
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჰენი მახიან, რკინანი;  
ბროლ-ზადახშისა მძებნულმან სათნი დაკარგენ, მინანი;  
მაშინ ვერ გავსძელ სიახლე, აწ სიზორესა ვინანი“ (838//837).

აქაც მიმართებითი ნაცვალსახელით გამოხატულია ძე ღმერთი, მაცხოვარი, რომელიც არის ხატი ღვთის არსისა, რაც მიუთითა ვახტანგ მეექვსეზე: „ღვთის ხატად წინასწარმეტყველნი და ფილასოფოსნი ქრისტეს იტყვიან“ [ვახტანგ მეექვსე 1975: ტბ].

„ხატისა“ და „ხატის ხატი“ საკითხი საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან მოხზობილი მდიდარი საილუსტრაციო მასალის გაანალიზების საფუძველზე სრულად შეისწავლა ე. კელიძემ და დაასკვნა, რომ ღვთის ხატია მაცხოვარი, ძე ღვთისა, ხოლო დანარჩენი კატობრიობა არის ხატის ხატი [ველიძე, 1993].

ამდენად, „შზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“ და „უჟამო ჟამი“ არსობრივი საღვთო სახელებია, არეოაგოტიულად - „შვერთებულისა ღმრთისმეტყველებისაა“, ხოლო ამატგან „შზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ დროსივრცული სიმბოლიკის მომცველი სახელებია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: 1. „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო სახელები „შზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“ და „უჟამო ჟამი“ საღვთისმეტყველო თვალსაზრისით ერთდროულად არის არსობრივიც და ჰიპოსტასურიც; პოეტური თვალსაზრისით სამივე არის ოქსიმორონი, რაც გულისხმობს ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის შემცველი სიტყვების, ანუ ორი ლექსიკური ერთეულის, შეგნებულად დაკავშირებას ერთმანეთთან, რომელთა გაერთიანების შედეგად შესიტყვების შემადგენელი სიტყვების შინაარსისაგან განსხვავებული მნიშვნელობის ახალი ცნება მიიღება და მთელი მისი მხატვრული ღირებულება სწორედ დაპირისპირებულობათა ერთიანობაშია ნაგულისხმები. სწორედ ამგვარია ზემოხსენებული ორი საღვთო სახელი „შზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო შინაარსის შემცველი სიტყვებისაგან შედგება, ანუ ისინი ანტიმომორია.

2. „შზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ჰიპოსტასურ სახელად გააზრება უდევს საფუძველად მათი დროსივრცული პოეტიკის თვალსაზრისით განხილვას; ამგვარი ინტერპრეტაციისათვის უმნიშვნელოვანესია დავით გურამიშვილის „ამიგანად იგავი, ასახსნელად ადვილი“, რომელშიც „შზიანი ღამის“ სიმბოლიური მნიშვნელობა იძლევა დროსივრცული თვალსაზრისით ახსნის საფუძველს და ერთდროულადაა არსობრივად ღმრთის ერთარსება სამების, ჰიპოსტასურად მამა ღმრთისა და ძე ღმრთის სიმბოლიური გამოხატულება.

3. „შზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ „ვეფხისტყაოსანში“ არსობრივი სახელებია ღმერთისა, რასაც მოუთითებს თვით რუსთველისავე სიტყვები: „ვინ ხატად გთქვეს შზიანისა ღამისად, ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“. „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“, რომელშიც „ვინ ხატად“ და „ვის ხატად“ მაცხოვარია, ხოლო „შზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“ და „უჟამო ჟამი“ - ღმერთი.

4. „შზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ ჰიპოსტასური სახელებია. ჰიპოსტასური სიმბოლიური სახელები - „უჟამო ჟამი“ და „შზიანი ღამე“ - აღნიშნავს ორ ჰიპოსტასს - მამა ღმერთსა და ძე ღმერთს, რასაც დავით გურამიშვილის სიტყვები მოწმობს: „ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე ღამე შზიანი, იფქლი კალოზზედ ეყარა, განურჩევლო, შზიანი“ (დავით გურამიშვილი); ხოლო პეტრე ლარაბის სიტყვებში: „უჟამო ჟამის მეტრფე და შზიანი ღამით სვიანი“ „უჟამო ჟამსა“ და „შზიან ღამეში“ ქრისტიანული ღმერთი უნდა მოვიპოვოთ. ამ სიმბოლიურ საღვთო სახელთა დროსივრცულად გააზრება ემყარება ზესთასამყაროსა და სამყაროს, მარადისობისა და დროის საღვთისმეტყველო არსს, რადგან მათში, ერთი მხრივ, თეიმურაზ ბაგრატიონის კვალობაზე, ღვთის დაუსაზამობა, დაუსრულებლობა, მარადიულობა, სივრცული დაუსაზღვრელობა იგულისხმება [ბაგრატიონი 1960: 123-124], ხოლო, მეორე მხრივ, მაცხოვრის, ძე ღმრთის ჟამში მოქცევა და, შესაბამისად, ამქვეყნიური დრო მოიპოვება.

## ლიტერატურა:

1. თ. ზაგრატიონი, პოემა ვეფხისტყაოსანისა. გაიოზ იმედაშვილის რედაქციით. გამოკლევითა და საძიებლით, თბ., 1960.
2. ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, თბ., 1984.
3. მ. ციციშვილი, „შანიან ღამე“ ვეფხისტყაოსანისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი, ძველი ქართული წერლობის საკითხები, 3, თბ., 1968.
4. დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, სარგის ცაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1980.
5. წმ. დიონისე არეოპაგელი, საღვთო სახელთა შესახებ, ე.: გზა სამეუფო, #1, 1995.
6. თ. დოლიძე, კოსმიური მოძრაობის თეორია გრიგოლ ნოსელთან, ზიზანტინოლოგია - 2, 1, თბ., 2009.
7. შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი (ვახტანგ VI რედაქცია), აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1975.
8. В. Лосский, Очерк мистического богословия Восточной церкви, в кн. Мистическое богословие. Киев. 1991.
9. А. Лосев, История античной эстетики, Падший Эликсир, Москва, 1980.
10. ვ. ლოსკი, დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2007.
11. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, სქოლიოები, ე.: გზა სამეუფო, #1, 1995.
12. ტ. მოხია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ., 2005.
13. მ. მჭედლიძე, მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიური პოზიცია, სააზროვნო და პედაგოგიური მეთოდი, თბ., 2006.
14. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის წინამეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957.
15. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963.
16. პლატონი, ტიმოსი, ძველბერძნულიდან თარგმნა, გამოკლევდა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ზრევაძემ, თბ., 1994.
17. მ. რაფაეა, ვეფხისტყაოსანის ზოგი ადგილის გაგებისათვის, კრებ.: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური მივხანი, თბ., 1966.
18. შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით. კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, 1, გამომც.: „მეცნიერება“, თბ., 1966.
19. Shota Rustaveli, The Man in the Panther's Skin, a Close Rendering from the Georgian Attempted by Marjory Scott Wardrop, Tbilisi, 2005.
20. ს. ციციშვილი, რუსთაველი და დავით გურამიშვილი, თბ., 1962
21. ს. ციციშვილი, შოთა რუსთაველი - დავით გურამიშვილი, თბ., 1974
22. ვ. ჯელოძე, ხატმეტყველება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, თბ., 1993.
23. ვ. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსანის იდეურ-მსოფლმხედველობითი საყარო, თბ., 2009.

Nestan Sulava

### The TimeSpace Poetry of “The Sunny Night” and “Time with no Time” in “The Knight in the Tiger’s Skin”

#### Abstract

The names of the God “the sunny night”, “one of ones spirit” and “time with no time” in “the knight in the tiger’s skin” (*Shot’ha Rustaveli* 2005:142) by theology are the spirit and hypostass. By meaning of poetry all of them are the joint two words which are against to each other by meaning. The different meaning of these words gives the sensation of new word. The value of these words are their meaning and form itself. Above mentioned words “the sunny night” and “time with no time” have the meaning against each other but the word “one of ones spirit” is not the same.

We considered the “the sunny night” and “time with no time” as a hypostass and because of this we review them also as timespace poetry. To have the perfect explanation of this it is very important to know Davit Guramishvili’s “sum allegory easy to explain” in which “the sunny night” is explained by the meaning of timespace and in the same time they are the symbol of the God, the sun of the God. Sargia Tsaishvili was the first who payed attention to this poetry and reviewed it by content of Rustveli.

“The sunny night” and “time with no time” are hypostass from which the “time with no time” is the symbol of the son of the God (M. Rafava, M. Giginishvili). “The sunny night” means both the God and the son of the God it is confirmed by Davit Guramishvili and Petre Laradze: “before the cold day would be update, the corn was on table without checking” (Davit Guramishvili); “the lover of time with no time and forwined by the sunny night” (Petre Laradze). To review these names as a timespace is based on heaven and world in which by Teimuraz Bagrationi we mean the endless, nonfinish God and time and space.

## ფრაზეოლოგიური ვარიანტებისა და ფრაზეოლოგიური სინონიმების კვლევა ფრანგულ და ქართულ ზოონიმებში

ვარიანტულობა თანამედროვე ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამოდრეზებისა და განახლების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ვარიანტულობის პრობლემის შესწავლას ფრაზეოლოგიის მასალაზე უკვე გარკვეული ტრადიციები აქვს. 50-იან წლებში, როდესაც ლინგვისტთა მთელი ყურადღება მიიპყრო ფორმის შესწავლამ, ენობრივი ერთეულის ვარიანტები გაიგებოდა როგორც ზედაპირულ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები აზრობრივი იგივეობის შენარჩუნების პირობით. ვარიანტის ცნება იხმარებოდა ერთეულის ფორმალურ მხარესთან მიმართებაში, ხოლო ინვარიანტი – აღსანიშნთან მიმართებაში. საერთო მიმართულების შეცვლამ ლინგვისტიკაში, მკვეთრმა მიბრუნებამ სემანტიკისაკენ საჭირო გახადა ვარიანტულობის კატეგორიის გადასინჯვა და აგრეთვე გამოიწვია ვარიანტულობის პრობლემის ტრადიციული განხილვის სამართლიანი კრიტიკა როგორც ლექსიკოლოგიაში, ასევე ფრაზეოლოგიაში.

ბ. არუთიუნოვა სტატიაში 'О минимальной единице грамматической системы' გამოთქვა აზრი იმ ლინგვისტების არათანმიმდევრულობის შესახებ, რომლებიც ვარიანტის ცნებას უკავშირებენ გამოხატვის პლანს, ვინაიდან ისინი ჰომოგენური ცნებებია და არ შეიძლება მათი ინტერპრეტაცია. ენის სხვადასხვა პლანის ტერმინებში ვარიანტების პრობლემაში მთავარი შესაბამის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა იდენტიფიკაციის პრინციპების განსაზღვრაა. ბ. კურჩატკინა და ა. სუპრუნი თვლიან, რომ მხოლოდ იდიომის ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები აწარმოებენ ლექსიკურ ვარიანტებს [Курчаткина Н.Н., Супрун А.В. Фразеология испанского языка. М., 1981].

იმიტავის, რომ სიზუსტე შევიტანოთ ფრაზეოლოგიური ვარიანტებისა და ფრაზეოლოგიური სინონიმების კვლევაში, განვიხილოთ ის მოსაზრებები, რომლებიც არსებობს ქართულ ენათმეცნიერებაში სინონიმის შესახებ. ალ. ღლონტი სინონიმებს განმარტავს როგორც სხვადასხვა ბგერობრივი მოდელით გადმოცემულ ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს [ღლონტი:37]. „ბგერითი სამოსელის სხვადასხვაობა, შინაარსის ერთობა, - აი, რა ნიშან-თვისება აქვთ მათ“ [იქვე].

სიტყვა, როგორც მნიშვნელობის მატარებელი ერთეული, უთუოდ ორ მხარეს გულისხმობს: აღსანიშნსა და აღმნიშვნელს. ყველაზე მარტივი იქნებოდა ისეთი ვითარება, სადაც აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის იარსებებდა „ცალსახა მიმართება“. ერთი აღსანიშნი ყოველთვის ერთი აღმნიშვნელით რომ გამოხატულიყო და, პირუკუ, ერთი აღმნიშვნელი ყოველთვის მხოლოდ ერთი აღსანიშნისათვის გამოეყენებინათ.

ენაში ამგვარი „იდეალური“ სიტყვების გვერდით ფაქტობრივ არაიშვიათად გვაქვს განსხვავებული შემთხვევებიც. ბგერათკომპლექსი „ყური“, მაგალითად, აღნიშნავს არა მხოლოდ „სმენის ორგანოს“. არამედ, კუთხოვანი საგნის (მაგ. თაფლის) წვერსაც, ჭურჭლის სახელურსაც და, პირიქით, ერთ აღსანიშნს, ერთ მნიშვნელობას ხშირად ბგერათკომპლექსი შეესიტყვება: „ფანჯარა და სარკმელი“ ერთსა

და იმავეს აღნიშნავს, სიტყვა კი ორია: „სიომ სარკმელს შექსისინა, გააციონა ფანჯრის მინა„ (ალ. აბაშელი), ასევე „პაპა და ბაბუა... „პაპაშენს ბაბუაჩემი სიტკმითი შემობიზვნია„ (რ. ერისთავი), „დროული და ხნიერი„: „არც ისე დროულადა ვარ, უცხოის ვგონივარ ხნიერი„ (ვაჟა) და სხვ. [ფოჩხუა, 1974: 29].

სრულიდ სხვა სურათი გვაქვს ფე-ის შემთხვევაში, როცა ჩვენთვის ამოსავალია თვით „ხატი„, მისი დენოტატურ-კონოტაციური შინაარსი. მოცემულ პარაგრაფში ჩვენი მიზანია სწორედ ფრაზეოლოგიური ვარიანტების ფრაზეოლოგიური სინონიმებისაგან გამოიკვანა.

ზოგიერთი ლინგვისტი, აღიარებს რა სემანტიკურ იგივეობას ძირითად კრიტერიუმად, არ უარყოფს სტილისტურ და სემანტიკურ ნიშან-თვისებათა არსებობასაც (ვარზანდელსკი, ნ. კამენეცკაიტი, გ. კრამორენკო, ე. პაულაუსკენე, ნ. შანსკი). ლინგვისტებს დასაშვებად მიაჩნიათ აღმნიშვნელის (ფორმის ვარიანტების) და აღსანიშნის (აზრობრივი ვარიანტების) ვარირების შესაძლებლობა და აგრეთვე ორმხრივი ვარირებაც იმ პირობით, თუ ცვლილებებს აღმნიშვნელში მოჰყვება ცვლილებები აღსანიშნში იდიომის იგივეობის დაურღვევლად [ვთლავა]. იდიომის დადგენა ხდება აღსანიშნის მიხედვით და განისაზღვრება არა როგორც ყველა სემათა ამსოლუტური დამთხვევა, არამედ როგორც მსგავსს ნიშან-თვისებათა სიკარბე განსხვავებულ ნიშან-თვისებებთან შეფარდებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანის ტ. ჩერდანცეკას აზრი, რომლის თანახმადაც ფრაზეოლოგიური ვარიანტები ისეთი სინონიმებია, რომლებსაც ყველა სხვა ნიშან-თვისებებთან ერთად აქვთ საერთო შინაგანი ფორმა (ხატი) და ზოგიერთი სხვა კომპონენტი, ე.ი. მათი აღმნიშვნელები, ნაწილობრივ, იდენტურები არიან.

არსებობს მრავალი მოსაზრება ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის პრობლემის შესახებ, რომელთაგანაც მისაღებია ჩვენთვის ა. ნაზარიანის [ნაზარიანი, 1987: 225] აზრი, რომელიც ფე-ის ვარიანტებს განიხილავს როგორც ამ ერთეულის ნორმით დაკანონებულ სახეცვლილებას, რომელიც არ არღვევს მის სემანტიკურ იდენტურობას. ასეთი მსჯელობის თანახმად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფრაზეოლოგიური ვარიანტებისათვის ნიშანდობლივია: 1. ხატის ერთიანობა; 2. საერთო დენოტატურ-სიგნიფიკატური შინაარსი; 3. ენაში შესრულებული ფუნქციისა და კატეგორიალური (ლექსიკურ-გრამატიკული) მნიშვნელობების დამთხვევა.

ხატის ერთიანობა ყველაზე მთავარია, რომელიც ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს განსხვავებებს ფრაზეოლოგიური სინონიმებისაგან. ამას გარდა, სწორედ ამ ნიშანს ენიჭება წამყვანი როლი ფე-ის იგივეობის შენარჩუნებაში ყველა მისი ლექსიკური თუ სტრუქტურულ-გრამატიკული მოდიფიკაციეკაციებისას.

მეორე ნიშანი დენოტატურ-სიგნიფიკატური (საკუთრივ აზრობრივი) შინაარსი გულისხმობს ფრაზეოლოგიური ვარიანტების სემანტიკურ ტოლფასს, თუმცა ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ექსპრესიულობითა და სტილისტური შეფერილობით. თუ ფრაზეოლოგიური ვარიანტები ერთი და იმავე ფრაზეოლოგიზმების სხვადასხვა ფორმებია, ფრაზეოლოგიური სინონიმები დამოუკიდებელი ერთეულებია.

მესამე ნიშანში იგულისხმება ფრაზეოლოგიური ვარიანტების მიერ ენაში შესარულებელი ფუნქციებისა და მათი კატეგორიალური მნიშვნელობების თანხედენილობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური ვარიანტები უნდა მივაკუთვნოთ ერთ რომელიმე კლასს /არაკომუნიკაციურ ან კომუნიკაციურ ფე-ს/, ქვეკლასს /ნომინატურ, დამხმარე, შორისდებულთა, მოდალურ ფე-ს/, ლექსიკურ-გრამატიკულ კლასს /სუბსტანტიურს, ადიექტურს, ადვერბიალურს, ზმნურს/.

ჩვენი მიზანია ფე-ზოონიზმის ლექსიკური ვარიანტების კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში. მათ წარმოქმნას საფუძვლად უდევს ცვლილებები ლექსიკურ შემადგენლობაში. ეს ვარიანტების ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპია, რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი ლექსიკურ-სემანტიკური კანონზომიერებები. ჩვენ მიერ მოპოებულმა მასალამ დაგვანახა, რომ სუბსტანტიური ფე-ზოონიზმის ვარიანტისადმი ლექსიკური კომპონენტებისათვის ნიშანდობლივია სემანტიკური თანაფარდობა, ანუ ვარიანტად, კომპონენტებს შორის სინონიმური მიმართება. სუბსტანტიური ფე-ზოონიზმის ფრაზეოლოგიური ვარიანტები ასახელებენ:

ა) როგორც სულიერ, ასევე უსულო სუბსტანციას: *il aimerait une chèvre (un chien) - ნებისმიერს გაეარშიყება; sirop de grenouille (du canard) - წყალწყალა (სასმელი);* (ქართულში ფრაზეოლოგიური ვარიანტის ეს ტიპი არ შეგვხვდებოდა).

ბ) სულიერი სუბსტანციის მორალურ თვისებას: *endormeur de mulots/de couleuvres, de serpents/ მატყუარა, ცრუბენტელა, ქართულ ენაში სულიერი სუბსტანციის გარეგნულ ნიშან-თვისებას: ძაღლის/კატის ნათრევი - უზნო, გაძვალტყავებული;*

გ) „ანიმალური სომეტიზმების“ ვარიანტები, რომლებიც მიუთითებენ არასასურველ შედეგზე: *queue de poisson (de rat) უშედეგო დასასრული; წერის მანერაზე: pattes de mouche (pied de mouche) - ნაჯღაზნი, ბატისფეხურად წაწერი; მდგომარეობაზე: la queue entre les jambes /entre les pattes/ შეშინებული, კუდამოტუებული; ტანსაცმლის სახეობაზე: habit à queue de morue /à queue de pie/ ფრაკი; როგორც ფრანგულში, ასევე ქართულშიც შეგვხვდა „ანიმალური სომეტიზმები“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი მიუთითებენ მოქმედებაზე: კუდით დაბმა/კლანჭის გამოკვრა ხელში ჩაგდება, დაპატრონება; ემოციურ (სულიერ) მდგომარეობაზე: ხალხის აშემა/ზეწვის აშლა; არასასიკეთო, ცუდის, ავის სომანსხვებელ ნიშანზე: ყვავის დაჩხავლება თავზე, ყორანმა თავზე დამაყრანტალა.*

ადიექტიური ფე-ზოონიზმის სისტემაში მრავლადაა კომპარატიული ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შემადგენელი ცხოველთა მანომინირებული ფრაზეოლოგიური ვარიანტები უმეტეს შემთხვევაში ასახელებენ მორალურ და ინტელექტუალურ ნიშან-თვისებებს: *bête comme un âne /carpe/ une grenouille/un hareng saur/une oie qui se laisse plumer sans crier/-ბატისტივანა; doux comme un agneau/comme un mouton/-ბატკანოვით უწყინარი.*

ქართულ ენაში გამოიყო ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების ერთი ჯგუფი (ლსჯ) შემდეგი ფე-ზოონიზმების სახით: ძაღლის ზედი აქეს/ძაღლი არ დაჰყეფს იმის ზედს; გველის ფხაში გაძრომა/გველის ქერქში გაძრომა-უკიდურესი გაჭირების გაძლება საწადლის მისაღწევად; კუდით დაჭერა/კუდით დაბმა-ხელში ჩაგდება; კლანჭის გამოკვრა/კლანჭის მოდება-მოტაცება, წართმევა, დაპატრონება; კატა ვერ გაძლება მის ოჯახში/კატა მოუკვდება ხელში-მეტისმეტად ღატაკია; ზუზუნის თვლა ქერძი/ზუზუნის ყლაპვა - სიზარმაცე.

ზმნურ იდიომათა სისტემაში შემაჯალი ცხოველთა მანომინირებული სუბსტანტივები შეადგენენ იდიოზმების ვარიანტებს, რომელთა ვარიანტადი სუბსტანტიური კომპონენტები ერთიანდებიან „მოქმედების“, „პროცესის“, „მოძრაობის“, „მდგომარეობის“, „ფრაზეოლოგიური ქმედებისა“ და „რელატიურობის“ (ურთიერთ-მიმართების) აღმნიშვნელ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებში (ლსჯ);

ა) მოქმედების აღმნიშვნელი (ლსჯ): *donner du bec et de l'aile/de l'ongle/-შუუპოვრად ბრძოლა;*

ბ) ფიზიოლოგიური ქმედების აღმნიშვნელი ლსჯ: *manger comme un loup/comme un ogre/comme un lièvre/-ხარბად ჭამა;*



- გ) მოძრაობის აღმნიშვნელი ლსჯ: *courir comme un lapin/un lièvre*-მოკურცხება;  
 დ) პროცესის აღმნიშვნელი ლსჯ: *gober son boeuf/ sa chèvre*-განრისხება, გააღმასება;  
 ე) ურთიერთმიმართების აღმნიშვნელი ლსჯ: *s'accorder/s'entendre, être/ vivre/comme (un) chien et (un) chat* - ცხოვრობენ, როგორც ძაღლი და კატა, ერთმანეთს ჭამენ.

ფრაზეოლოგიური ვარიანტებისაგან განსხვავებით ფრაზეოლოგიური სინონიმები აგებულია სხვადასხვა ხატის ბაზაზე, აქვთ საერთო კლასემები და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სპეციფიკური სემები. იმდენად, რამდენადაც ფრაზეოლოგიზების შემადგენელი კომპონენტებისაგან შენარჩუნებულია მხოლოდ კონოტაციური სემები, შესაძლოა ამ კომპონენტების შეცვლა იმ პირობით, თუ კონოტაციური სემები უცვლელი რჩება: *avoir un chien pour qqn – avoir qqn dans la peau – შეყვარება, გატაცება, ვინმეთი.*

როგორც მნიშვნელობის ყველაზე უფრო აბსტრაქტული ასპექტის მქონე, საყრდენი სიტყვა შეიძლება შეიცვალოს სინონიმით: *changer/troquer/son cheval borgne contre/pour/un aveugle – échanger un cheval borgne contre/pour un boiteux* – თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე.

ფრაზეოლოგიური სინონიმის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ლექსიკური სინონიმები, როგორც სრულად გაფორმებული ენობრივი ერთეულები გამოხატავენ უფრო აბსტრაქტიზმულსა და განზოგადებულ ცნებებს (თვისებებს, მოვლენებს და სხვ.), რის გამოც მათ შორის აზრობრივი კავშირი აღიქმება როგორც უფრო მჭიდრო და ახლო კავშირი.

ფრაზეოლოგიური სინონიმები კი, ლექსიკური სინონიმებისაგან განსხვავებით გამოხატავენ უფრო კონკრეტულსა და ტყვეად ცნებებს (თვისებებს, მოვლენებსა და ა.შ.), რასაც განაპირობებს ფრაზეოლოგიზების, როგორც ენის კომპლექციური, ცალკე გაფორმებული ერთეულების სპეციფიკა, რომელიც ემსახურება გარემომცველი სინამდვილის ხატოვან-ექსპრესიულ დახასიათებას. ხატი, რომელიც წარმოშობს კონოტაციურ სემებს, წარმოადგენს შუალედურ რგოლს ფრაზეოლოგიურ ერთეულსა და მის იდიოგრამას შორის.

ყველაზე ნაკლებად მჭიდრო აზრობრივი კავშირით ხასიათდებიან სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიური სინონიმები, რომლებიც განსხვავდებიან როგორც ლექსიკური შემადგენლობით, ასევე გრამატიკული სტრუქტურით: *coeur de poule – peureux comme un lièvre – მხდალი, შშიშარა; en peau de lapin – fréquenter le chien et le chat* – გულის მოგება, ყველასთან საერთო ენის გამოხატვა.

ჭრთულში ამ ტიპის ფრაზეოლოგიური სინონიმები: ქათმის თავის ნახარში/ყვავი ჩხიკვის მამიდა/თხა და ცხვარია ერთმანეთისათვის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ადამიანებს შორის არავითარი ნათესაური კავშირი არ არსებობს;

მწყერის შეწვა/თითზე შეწვა ქათმისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ყველა ღონეს ხმარობს, რათა ასიაზღვროს სხვას;

ქრისტეს ვირი/გაჰყვლეტილი ჭიაყველას მონა-მორჩილი, დაბალ ღობედ მოჩნეული;

კუდის აწევა/ვირის ტალახიდან ამოყვანა შევლა, მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა;

ვირის მყვერავი/კოდალას უსტვენს > ზარმაცია, უსაკმერია.

უფრო მჭიდრო აზრობრივი კავშირით ხასიათდებიან სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიური სინონიმები, რომლებიც განსხვავდებიან ლექსიკური შემადგენლობით, მაგრამ აქვთ სინტაქსური სტრუქტურა: *faire le paon – faire le lion* –

ცხვირის ანევა, მედიდურობა, quitter sa peau – faire peau neuve – ცხოვრების წესის შეცვლა.

ქართულში: კოდალას ენა სკამაო/კრუხის თავი უქამია > იტყვიან ადამიანზე, რომელიც უზომოდ ბევრს ლაპარაკობს, ყბედა; თავზე მამალ ბუზს არ ისევამს/კუდი ყავარზე აქვს გადებული > იხზორება, ამპარტავნობს, კუდაბზიკობს.

ჟოტი დაიჭირა! /ვეერნა დაიჭირა! დამარცხდა, დაზარალდა, საქმე ეუდად წაუვიდა.

ყველაზე მკიდრო აზრობრივი კავშირით ხასიათდებიან ფრაზეოლოგიური სინონიმები, რომლებსაც აქვთ საერთო კომპონენტი (ან კომპონენტები) და ანალოგიური სინტაქსური სტრუქტურა: aller comme une bague à un chat/aller comme un tablier à une vache – ისე უხდება, როგორც ვირს უნაგირი; aller un chat maigre/courir comme un chien déralé – თავქუდმოგლეჯილი გაქცევა.

ქართულში: ძალდადგე არ ვაგდებ/ვიან ტყემლადაც არ ვაგდებ არაფრად მიმაჩნია, არარაობაა ჩემს თვალში;

კაქკაქს დააჩხვლებს/ყვავეთან შეწყრაღად არის > ამბობენ ღვინოზე, რომ ის მყავდა და ამდენად აკნინებენ მის ხარისხს.

მოცემულ სტატიაში, შესწავლილი მასალის საფუძველზე დავადგინეთ, რომ სინონიმური ფე-ზონონიმების რიცხვი ფრანგულში უფრო მეტია, ვიდრე ქართულში: ფრანგულში 6%-ია, ქართულში კი – 3%.

#### ლიტერატურა:

1. Арутюнова М.Д. Аксиология в механизмах жизни и языка. Вкн Проблемы структурной лингвистики. М. «Наука»
2. Телия В.Н. Семантическая структура фразеологизмов-идиом и принципы их фразеологической разработки // Фразеологизм и его лексикографическая разработка. Минск.
3. Липшицен-Зилбушайте Э.И. Фразеологические синонимы французского языка. Л.1971.
4. Назарян А.Г. Фразеология современного французского языка. М.1976.
5. Французско-русский фразеологический словарь, под ред. Я.-И. Рещера. М.1963.
6. სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., „გერანი“, 1979.
7. ფოჩხუა 1974: ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ.,1974.
8. ბ. ქადვიშვილი. ე. ახვლედიანი, ნ. წულაძე-კალატოზიშვილი. ფრანგულ-ქართული ლექსიკონი. თბ.,1979.
9. Черданцева Т.З. Язык и его образы. М., 1977.
10. ღლონტი აღ. ქართული ლექსიკოლოგია. თბ.,1964.

Natalia Surguladze

### Research of Phraseological Variants and Phraseological Synonyms in French and Georgian Zoonyms

#### Abstract

The article deals with the study of lexical variants of PHU-zoonyms in Georgian and French languages. These variants stem from the changes in lexical composition. This is the most widespread type of variation characterized by a series of lexical and semantic regularity. The material found by us shows that there is a semantic balance between lexical components and modification of substantive PHU-zoonyms or modifying components bear synonymous relations with each other.

Phraseological variants are characterized by 1. unity of the image; 2. common denotation and signification content 3. coincidence of the performed function in the language and categorial (lexical and grammatical) meanings. The unity of the image is the most significant sign distinguishing phraseological variants from phraseological synonyms. In addition, this sign as semantic invariant plays a major role in maintaining the identity of PHU while making lexical, structural and grammatical modifications.

The second sign – denotation and signification content implies a semantic equivalent of phraseological variants, though the expressiveness and stylistic colouring of which differ from each other. While phraseological variants are

different forms of the same phraseologisms, phraseological synonyms are independent units. The third sign implies the coincidence of language functions to be performed by phraseological units and their categorial /lexical and grammatical/ meanings. This means that phraseological units should belong to one particular class /noncommunicative or communicative PHE/, subclass/ nominative, auxiliary, interjection, modal PHE/, / lexical and grammatical class/ substantive, adverbial, verbal, adjectival/.

The least close mental connections are characteristic of phraseological synonyms with different structures which differ from each other in lexical composition as well as in grammatical structure.

ნანა ტონია

### ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი გარდამავალ ეპოქათა ლიტერატურული ტენდენციები

მრავალი გამოკვლევა ეძღვნება „კულტურის“ არსის წვდომის საკითხს. გამოთქმულია მრავალი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება, მაგრამ არსებობს აზრთა თანხვედრა იმის თაობაზე, რომ „კულტურა“ შეიძლება განისაზღვროს როგორც პიროვნებისა და რასის სასიცოცხლო ძალთა ქმედობა არსებული სინამდვილის შემოქმედებით გარდაქმნაში [ ნაიში, 1994: 18-142]. აქედან გამომდინარე კულტურის საფუძველში ინდივიდუალობის პრიმატი ძვეს. შესაბამისად, კულტურა აღმატებულია იქ, სადაც შეინიშნება ინდივიდუალიზმის აღმავლობა. ფასეულობათა ინდივიდუალური აღქმა, შესაძლოა, მოგვიანებით კოლექტიურ აღქმად იქცეს. თუმცა მას არასოდეს ექნება დაკანონების პრეტენზია, რამეთუ ფასეულობანი მუდმივად იცვლებიან. ასე რომ, კულტურის ისტორია შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ფასეულობათა ისტორია: იგი ვყრდნობა შემოქმედებითი ძალების გამოვლინების სისტემატიზაციას ეპოქათა მიხედვით. ხოლო ეპოქებს, მსგავსად ცოცხალი ორგანიზმისა, გააჩნიათ აღმოცენების, აღმავლობისა და დაქვეითების სტადიები, ყოველ სტადიას - საკუთარი შემოქმედებითი კრედი, რომელიც არსებულ იდეოლოგიას მიესადაგება [Штаинер]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეპოქათა შორის გარდამავალი სტადიები, რომლის დროსაც მოღვაწე შემოქმედებითი სული გამოიშუშავებს ხოლმე საყრდენს იმ შემოქმედებითი კრედოსი, რომელსაც საფუძვლად უდევს გარდასულ საუკუნეთა გენიოსების ინდივიდუალური განაცხადები მხატვრული შემოქმედების თაობაზე. ეპოქათა ცვლის გარდამავალ სტადიებზე ხდება ამ განაცხადთა გაზრება, მიღება ან არმიღება და სწორედ იქ იწყება ახალ კრედოთა მიების პროცესი. ამ პროცესს ხშირად „ავენგარდიზმის“ სახელით მოიხსენიებენ, თუმცა იგი მხოლოდ კულტურის წინამავალ სტადიათა ნორმებისა და კრიტერიუმებისაგან რადიკალური განდგომის აღმნიშვნელ პირობით ტერმინად დარჩა, რადგანაც მას, არ გააჩნდა რა საკუთრივ მისთვის ნიშანდობლივი თვისებები, არც სკოლა და არც მიმართულება შეუქმნია. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით პრაქტიკაში „ავენგარდიზმი“ შეივცალა უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ცნებით - „მოდერნიზმით“, რომელმაც შეიმუშავა რა სპეციფიკური კრიტერიუმები, მრავალ მიმართულებას დაუდო დასახამი.

მოდერნიზმისათვის ნიშანდობლივია მხატვრული შემოქმედების სულიერ-ესთეტიკური ბაზის ახლებური მიებისაკენ სწრაფვა. აქედან გამომდინარე კი

ლიტერატურის ცენტრალურ პრობლემად მოდერნიზმმა მიიჩნია პიროვნების, ინდივიდუალური ცნობიერების ადგილის განსაზღვრა კოსმოურ სივრცეში. ამის შესაძლებლობას იძლეოდა აღორძინება მითის ქმნადობის პროცესისა, რომელიც უნდა დაპირისპირებოდა პიროვნების ე.წ. „ატომისტურ“, დანაწევრებულ აზროვნებას, რომელსაც დაკარგული ჰქონდა კავშირი დროსა და სივრცესთან.

„მითისქმნადობის კომპლექსთან“ შედარებით ახლოს იდგა მოდერნიზტული პოეზია, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობდნენ მხატვრული წარმოსახვის პირობითი მეთოდებითა და მეტაფორული აზროვნებით მიეგნოთ სამყაროს არსის სრულყოფილად შემეცნების ფორმებისათვის. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის ენთუზიაზმი, რომელსაც გამოხატავდნენ პოეტები კლასიკური მითოლოგიისადმი (პოლ ვალერი, თომას ელიოტი, ვიაჩესლავ ივანოვი), ზღაპრულ პერსონაჟთა ნაციონალური პანთეონისადმი (ვალერი ხლებნიკოვი, უილიამ იიტსი), ძველი ეზოთერული მოძღვრებისა და მისი თანამედროვე მოდიფიკაციის – თეოსოფიისა და ანთროპოსოფიისადმი (ანდრეი ბელი, იგივე იიტსი, რომელმაც შექმნა საკუთარი მისტიკური სისტემა და ხლებნიკოვი, თავისი რიცხვთა ჰარმონიის პითაგორასებური გაღვთაებრივებით). ეს პოეტები, მართალია, სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით ჰდაგებდნენ, რომ მათი შემოქმედება იყო იდუმალი ცოდნის გამოვლინება, ხოლო თავად წარმოადგენდნენ შუამავლებს კოსმიურსა და ადამიანურ სამყაროთა შორის და ფლობდნენ „სიტყვათა მავის გრძნეულ ძალას“ [Хлебников, 1933:188]. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი პოეზია, რომელიც იქნებოდა არა პირადი ფსიქოლოგიური მდგომარეობის, არამედ მითოლოგიზირებული ეპიკური ფორმებით განმსჭვალული უნივერსუმის გამომხატველი. თუმცა მოდერნიზტების უმეტესობამ (განსაკუთრებით პროზაიკოსებმა) რეკონსტრუირებული მითოსური წარმოდგენები საკუთარი შემოქმედების ბუნებრივ საფუძვლად კი არ აღიქვა, არამედ მიიღო როგორც ესთეტიკური კონსტრუქციები. მათთან სინამდვილის მითოსური აღქმა საკმაოდ სკეპტიკურია, შეიძლება ითქვას ირონიული და პარადოქსულიც კი და ესთეტიკურად განსხვავებული. აქ უნდა გავიხსენოთ ჯ. ჯოისი, რომელმაც „ულისეში“ შემოგვთავაზა სუბიექტურად შერჩეული და პედანტურად გამოშვიგნული მითოსური სქემა თავისებური ესთეტიზმით“ [Современные проблемы реализма и модернизма, 1965: 258].

მოდერნიზტების ყველაზე პოპულარული პოსტულატია ესთეტიზმის გამარჯვება მსოფლიო ქაოსზე. ეს აზრი საკმაოდ თანამიმდევრულად აქვთ განვითარებული იმ მოდერნიზტებს, რომლებისთვისაც ნიშანდობლივია მითოსური აზროვნება ნიჰილისტური მიმართულებით. ამ მწერალთა ამოსავალი წერტილია სამყაროსეული წესრიგის აბსურდულობისა და ადამიანური ზედის აბსოლუტური ტრაგიზმის აღიარება [კაპოუ, 1942]. მათი რწმენით, ამაოების პირისპირ ადამიანი მთელი თავისი ძალისხმევით კეთილ ზრახვათა აღსრულების გზაზე, განწირულია „დაუსრულებელი და უსამანო დამარცხებისთვის“. ყოფიერებაში გაბატონებული შემთხვევითობა, რომლის წინასწარ განჭვრეტა ან აცილება შეუძლებელია, პერსონიფიცირებულია ზედის თუ ზედისწერის სახით. მსგავსი ზერეალური ფუნქციით არის აღჭურვილი სახელმწიფო და ძალაუფლება (ფ. კაფკა „პროცესი“, „ციხე-სიმაგრე“). ასე რომ, მოდერნიზმმა ააღორძინა ანტიკური წარმოდგენები ყოფიერების კანონებზე, თუმცა მიანიჭა მათ უფრო უიმედო, ყოველგვარ კანონზომიერებასა და ესთეტიზმს მოკლებული თვისებები. უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი დამოკიდებულება ნიშანდობლივია ექსპერიმენტული შემოქმედებისათვის. ამ იდეოლოგიით აღჭურვილი ესთეტიკური აზრის უკიდურესი მოთხოვნილება არის სტილიზაცია, რომელიც ბოლოს მიდის ხელოვნების დერეალუზაციასა და დეკუმანიზაციამდე. მაგრამ ევროპის ისტორიის მოვლენებმა 30-

იან, 40-იან წლებში (ფაშიზმის აგრესია, II მსოფლიო ომი) მოდერნიზტებს კარგად დაანახა, რამდენად იუღლიურია არსებობის უნივერსალური ტრაგიზმიდან ის გამოსავალი, რომელიც მიიღწევა ხელოვნების გაფეტიშებით. გასული საუკუნის 50-იანი წლების ეგზისტენციალისტური დრამა და რომანი (ჟ. სარტრი, ა. კამიუ, ჟ. ანჟი) მოდერნიზმის ესთეტიკურ, მორალისტურ მიმართულებას უდებენ სათავეს. ამ ეგზისტენციალისტ-ლიტერატორთა მტკიცებით, სამყაროს არ აქვს აზრი, მაგრამ ადამიანს აქვს აზრი. „აპსურდის“ ადამიანი ანუ ადამიანი, რომელიც მოკლებულია სამყაროში თავისი ადგილის ძიების ილუზიას, ბედისწერას ამარცხებს სიბუღილით, ანუ იგი ემორჩილება უაზრო აუცილებლობას, თუმცა შინაგანად მას ვერ ურიცხვება. ა. კამიუ „სისიფოსის მითში“ იტყვის: „სიციფოსის უაზრობის სრული შეგნებით ცხოვრება - აი, ადამიანის მწარე ხედვრი და იმავდროულად მისი სიდიადის საწინდარი“. ამ სტოიკურ პესიმიზმში იკითხება „პატივი, რომელსაც მიაგებს ადამიანი საკუთარ ღრსებას“.

ანტიკური ტრაგიკული მსოფლადქმისაგან [ტონია,2010:172] განსხვავებით ფრანგი ეგზისტენციალისტები აღიარებენ ადამიანის უდანაშაულობას, მაგრამ უტოვებენ მას თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შეგრძნებას, როგორც მისი არსებობს უმთავრეს საწინდარს. ადამიანი მორალურ ნორმატივებს თავად ქმნის, როდესაც ახორციელებს თავისუფალი არჩევანის აქტს ამა თუ იმ სიტუაციაში, რითაც წარმოაჩენს საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებს იღებს რა პასუხისმგებლობას თავისივე არჩევანის შედეგებზე. ეგზისტენციალისტები აღიარებენ რა „პიროვნების კრიზისს“, პიროვნების აღორძინების შესაძლებლობებს თავად პიროვნებაშივე ეძიებენ. ჰეიზენბერგის არჩევანის აღსრულება ხდება „უკიდურეს სიტუაციაში“ სიკვდილის პირისპირ, რამეთუ ადამიანი, ვითარცა სრულყოფილი ქმნილება, მოწმდება მისი მზადყოფნით თავგანწირვის წინაშე - ასე მალუმს მას განამტკიცოს საკუთარი არჩევანი. აპსურდულობის თვითშეგნებით თავგანწირვა აღიქმება „უიმედო წარმატების“ პრინციპულ აქტად, ამაღლებულ, მაგრამ პირობით „ჰეროიკულ ჟესტად“. წმინდა ნონკონფორმიზმი უკანასკნელი სიამაყეა, რომელიც საკუთარ თავშივე მოიგვს ბოროტების დაუმარცხებლობის აღიარებას.

მოდერნიზტების საყვარელი პერსონაჟია „პატარა კაცი“ (მოხელე გრეგორ გაშუა კაფკას „გარდასახვაში“, მაკლერი ბლუმი ჯოისის „ულისეში“, კლერკი მერსო კამიუს „უცხოში“). იგი უკიდურესად იტანჯება, დათრგუნულია ინფორმაციული საშუალებებით, საზოგადოებრივი მორალით, უკანონობითა და უპერსპექტივობით. ის გაუცხოვებისა და თვითგანდგომის მსხვერპლია. „ეს არის ადამიანი ხასიათის გარეშე“ (რ. მუზილი). ის ანტიგირია. ლიტერატურული პერსონაჟისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ წარმოიშვა სრულიად ახალი, „ანტიკლასიკური“ მოთხოვნები საამბოებელი დროისადმი, ქრონიკულობის ეპიკური პრინციპის უგულვებლყოფა, მოვლენათა თანამიმდევრობის პრინციპის მოხსნა. მოდერნიზტებმა გააღრმავეს სხვაობა მითოსურსა და ისტორიულ დროთა შორის. მოდერნიზტების გმირი ცხოვრობს არა ისტორიულ დროში (რამეთუ ისტორია უაზროა და ვერ ხსნის არსებობის საიდუმლოებებს), არამედ მითოსურ დროში, რომელშიც წარსული და აწმყო თანარსებობენ და გადადიან მათგან განუყოფელ მომავალში, ყველაფერი რაც ხდება, ხდება მუდამ და არასოდეს, ყველგან და არსად. თანამედროვე მოდერნიზტულ ლიტერატურაში მოქმედება ფორმალურად მიმდინარეობს ერთი დღის ან რამდენიმე საათის განმავლობაში (ჯოისის „ულისე“), ხოლო ეს მოკლე დროითი მონაკვეთები, რომლებიც დატვირთულნი არიან ვალკული ასოციაციებითა და მოგონებებით, დროის გარეშე მდგომი ადამიანური არსებობის აბრევიატურებს წარმოადგენენ.

მოდერნისტთაგან ზოგიერთნი, უპირატესად სიურეალისტები და ექსპრესიონისტები უგულვებელყოფენ ქმნილების კომპოზიციური გაფორმებისა და დასრულებულობის, ჰარმონიული მთლიანობის პრინციპს. მათი აზრით, ქმნილების სრულყოფილების იდეაში ძვეს დამამშვიდებელი სიცრუე დისჰარმონიული სამყაროს შესახებ. ამ მიმართულებით ფიქრმა განაპირობა ისეთ მიმდინარეობათა აღმოცენება, როგორიც არის ე.წ. „ა-ლიტერატურა“, „ა-სტილი“, ფრაგმენტული „ნონფინიტი“. მოდერნისტებმა სცადეს გაცვეთილ ენობრივ ნორმათა მსხვერვა და ბოლოს, ტრადიციული პოეტიკის უგულვებელყოფა.

ასეთია მოკლედ XIX საუკუნის მოდერნისტული პროზის შინაარსი. რაც შეეხება პოეზიას, აქაც რამდენიმე მიმართულება გამოიყოფა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სიმბოლისტების სკოლა, რომელიც მდიდარია მაღალნიჭიერი ინდივიდუალობებით (პოლ ვალერი, თომას ელიოტი, უილიამ უიტსი). მან შეინარჩუნა რა კავშირი XIX საუკუნის ფრანგული დეკადანსის ტრადიციასთან, მნიშვნელოვანი სიახლეებიც შემოიტანა პოეტურ აზროვნებაში. კერძოდ: ა) წინა პლანზე წამოსწია მუსიკალობის არა იმპრესიონისტული პრინციპი, არამედ „სიტყვა-სახე“, დატვირთული ასოციაციებითა და მრავალაზროვნებით; ბ) აღორძინა ინტერესი შუა საუკუნეთა პოეზიისადმი, არა როგორც სპეციალური შესწავლისა და სტილიზაციის ობიექტისადმი, არამედ როგორც ცოცხალი პოეტური რეალობისადმი (ამ შრივ ნიშანდობლივია ელიოტის დამოკიდებულება დანტესადმი და ინგლისის „მეტაფიზიკური სკოლისადმი“; ეზრა პაუნდის დამოკიდებულება პროვანსალური ტრუბადურებისადმი); გ) დაამკვიდრა ეიზიონური (ეისიონ – წარმოსახვითი, არარეალური, მოჭვენებითი) ხასიათი (პოეტები მრავალჯერ განმეორებდნენ სახე-სიმბოლოებით ცდილობდნენ შეექმნათ თანაფარდი ცნებები ყოფიერების იმ იდუმალი პირველსაწყისებისა, რომელთა წარმოსახვა შეუძლებელი იყო. მათი ლექსები გართულებულია მითოსური, ისტორიული, ლიტერატურული ალუზიებით, რათა მიუახლოვდნენ მრავალსაუკუნოვანი პოეტური ტრადიციის საწყისებს); დ) მნიშვნელოვნად გააფართოვა პოეტური ტრადიციის გამოყენების საზღვრები არქაიზმების შერწყმით თანამედროვე მეტყველებასთან; ე) დაკანონა მეტრული სისტემის სრული თავისუფლება.

უფრო შორს წავიდნენ მოდერნისტული პოეზიის სხვა დაჯგუფებები (ფუტურისტები, ექსპრესიონისტები, სიურეალისტები). მათ გამოიხატეს პოეტური ტრადიციისაგან სრული განრიდების, სალექსო სიტყვის ყოველგვარი ნორმატივების უგულვებელყოფისა და ახალ „სიტყვათქმნადობის“ (ხშირად გაუგებარ სიტყვათა თხზვის) გზა. ეს იყო მოდერნისტთა „მემარცხენე ფრთა“ (ანუ „ქარიშხლისა და იერიშის“ დაჯგუფება), რომელმაც სამყაროს აჩუქა ზრწყინვალე პოეტები (გიომ პოლინერი, ვალერი ხლეშნიკოვი, ადრული პერიოდის ვლადიმერ მაიაკოვსკი, იმანული ზებერი, პოლ ელუარი, ლუი არაგონი და სხვები). სიმბოლისტებისაგან განსხვავებით მოდერნისტების მემამბოვე ფრთა ცდილობდა ირიბი მინიშნებებით წარმოესახა ობიექტური სინამდვილის „მიწერი ქაოსი“. ეს იყო არსებული საზოგადოების განსაზღვრულობის, კონსერვატიზმის წინააღმდეგ მიმართული. ამ სკოლისთვის ნიშანდობლივი იყო უკიდურესამამდე მისული შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი (იქამდეც კი, რომ ზოგი პოეტი უგულვებელყოფდა საყოველთაო სალაპარაკო ენას), აზრის გამოხატვის ფორმალურ სამუალებათა ახალი მიგნებების კულტი. ამას შედეგად მოჰყვა ექსპერიმენტული პოეტიკის ახალი სკოლის წარმოქმნა სახელწოდებით „პოეზია პოეტებისთვის“.

XIX საუკუნის დასასრულს მოდერნისტული გზა აზროვნებისა შეცვალა პოსტმოდერნმა, რომელმაც სიახლეთა ახალ ძიებას დაუდო დასაბამი.

თუკი გავიაზრებთ იმ მრავალსაუკუნოვან ზნას, რაც ევროპულმა შემოქმედებითმა აზრმა გააიარა, დავრწმუნდებით, რომ სინამდვილისა და მისი „მხატვრული გააზრების“ ნებისმიერი ახალი მოდელი იქმნებოდა გლობალური მსოფლმხედველობრივი კრიზისის სპეციფიკურ პირობებში, რომელშიც აღმოჩნდებოდა ხოლმე საზოგადოება ეპოქათა ცვლის პერიოდში.

თუ თვალს გავადევნებთ ევროპული ლიტერატურის ისტორიას, რომლის პირველ წერილობით ძეგლებად სიტყვაკაზმული მწერლობის სფეროში ჰომეროსის ქმნილებებია მიჩნეული, ადვილი შესამჩნევია, რომ გეომეტრიული რენესანსისთვის ნიშანდობლივი მონუმენტურობა და ქმნილებათა კომპოზიციური ორგანიზაციის განსაზღვრულობა უგულვებელყოფილი იყო კლასიკის ეპოქაში. თუმცა ამას წინ უძღოდა რენესანსიდან კლასიკაზე გარდამავალი ეპოქა, არქაიკა, რომელმაც ასპარეზი დაუთმო განსხვავებულ მსოფლალქმასა და ესთეტიკას, რაც ელინთა ფსიქოლოგიაში მომხდარი გარდატეხების შედეგად იყო. კერძოდ, ძვ.წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე საბერძნეთი მრავალ პოლისად და რეგიონად იყო დაქუცმაცებული, რამაც საზოგადოებაში ინდივიდუალიზაციის ტენდენციები წამოსწია წინა პლანზე. ჰომეროსის ეპოსის გმირთა ეპოქის ერთიანი საბერძნეთი კი თავისი ერთიანი სულითა და მისწრაფებებით წარსულს ჩაბარდა. შესაბამისად, ჰომეროსის პოემათა მონუმენტულობაში შეცვალა მცირე ფორმების პოეზიამ, რომელიც ახალი ეპოქის პიროვნული განცდებისა და მსოფლმხედველობის გადმოსაცემად უფრო შესაფერისი აღმოჩნდა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ეპიკური ქმნილებები არც არქაიკისა და არც კლასიკის ეპოქაში აღარ ყოფილა დომინირებული, უკვე იმ პერიოდის შემოქმედთა ავანგარდისტულ სულზე მიგვიჩივებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა წინამორბედი ლიტერატურული პროცესებისგან რადიკალური განდგომის სურვილი. კლასიკის ეპოქის მწერლობას თანამედროვე საზოგადოება საუკუნეთა განმავლობაში შედეგებად შერაცხული ქმნილებებით იცნობს. იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ავანგარდისტული ძიებები დაეიწყების საფარველს მიღმა დარჩა, რამეთუ მათ შესახებ თავად ელინურმა აზრმაღ დუმილი არჩია. თუმცა სხვადასხვა წყაროებით დაინტერესებული მკითხველისათვის ცნობილია, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეებში თავი იჩინა მეტად საინტერესო პროცესებმა, რომლის მსგავსად XX საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში დასტურდება. კერძოდ, ჩვენამდე მოაღწია ძველი საბერძნეთის მოდერნისტული ლირიკის უბრწყინველესმა ნიმუშმა საბერძნეთის „სპარსელები“, რომლის ავტორიც არის ნომოსების რეფორმატორის, ფრინოსის მოწაფე ტიმოთეოსი (ძვ.წ. 450-360 წწ.). მას მიიჩნევენ უდიდეს ნოვატორად ძველ ბერძნულ ჟიურიკაში. ტიმოთეოსი საკუთარ შემოქმედებას თავად აფასებს ერთ-ერთ ფრაგმენტში:

„ძველს მე არ ვმღერი,

ჩემი ახალი ჰანგები უმჯობესია!

მეუფე ჩვენი – ახალგაზრდა ზევისა მხოლოდ,

ხოლო კრონოსის მეუფება წარსულს ჩაბარდა,

შორს ძველო მუზავ!“

ნომოსი „სპარსელები“ 1902 წელს აღმოჩნდა ძვ.წ. I საუკუნის პაპირუსზე და იმთავითვე გააოცა მკვლევარები თავისი უჩვეულო სტილით. ძნელად ამოსაცნობი იყო ტიმოთეოსისეული მეტაფორები: „ფიჭვის ხელები“, „ფიჭვის თამასთა უღლეი რხევა“, „მთად გამოზრდილი ფეხები ხომალდებისა“, „პირთაგან გადმოცვენილი მარმარილოს თეთრი ბავშვები“ და სხვა. ამასთანავე აღფრთოვანებას იწვევდა ნომოსის პოეტურ სახეთა შთამბეჭდაობა („ზღვა იყო გვამებში, ვით ცა ვარსკვლავებში“. „ქვიმას სიმიშველ მიყინა“, „შემზარავეი მღვიმე ამთქნარებს“ და სხვა), დამაბული რიტმი, ტემპერამენტი და სხვა პოეტური ღირსებები, რაც სარწმუნოს ხდიდა პოლიმიოზის გადმოცემას იმის

თაობაზე, რომ ტიმოთეოსის ქმნილებებს ასწავლიდნენ სასწავლებლებში, რომ მისი მუსიკა საფუძვლად დაედო ელინიზმის ახალ მუსიკალურ ხელოვნებას.

ძველი საბერძნეთის მუსიკისა და პოეტური ხელოვნების მოდერნიზტებს ერთნაირი განწყობით როდი ხედებოდა საზოგადოება. ჩვენამდე მოაღწია ბერძენი კომედიოგრაფოსის, ფერეკრატესის კომედიის „ქეირონის“ ფრაგმენტმა, სადაც პერსონიფიცირებული მუსიკა ესაუბრება პერსონიფიცირებულ, როგორც ვარაუდობენ, სამართალს: „ვინ არის ტიმოთეოსი?“ (კითხულობს სამართალი). – „ის არის მილეტოსელი წითელთავა. რაც მან დამმართა, უარესია იმაზე, რაც ყველამ ერთად დამმართა. როდესაც თავისი მაცდური სიმშვიდით მიაღწია მიზანს და მხოლოდ მოსეირნე აღმომაჩინა, დამამახინჯა, დამარღვია თავისი თორმეტი სიმით: ექსპარმონიკული მაღალი ტონის უღმრთო კვილი (დამაწყებინა). კომპოსტოსავით მავსებდა ჰანგთა ხვეულებით“ (Kassel, Austin, 1983:155) მიუხედავად ამდაგვარი შეფასებებისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ მოდერნისტ შემსრულებლებს მუსიკალურ აგონებში მრავალგზის მოუპოვებიათ გამარჯვება. მათ თავიანთი მაღალი სამემსრულებლო ხელოვნებით, პროფესონალიზმით, სიახლეებისაკენ სწრაფვით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ძველი ელადის მხატვრულ კულტურაში (Mathiesen, 1999) თუმცა მაშინ, როდესაც ელინები გატაცებით ადგენდნენ ვირტუოზ შემოქმედთა ნუსხებს, რატომღაც უყურადღებოდ ტოვებდნენ „ახალი თაობის“ მუსიკოსებსა და პოეტებს. მათი სახელები იმ გენიოსებზე დარდილივს, რომლებმაც ტრადიციული შემოქმედებისაგან განდგომით კი არა, არამედ ტრადიციათა საფუძვარზე აღმოაჩენეს ის ლიტერატურა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მკითხველთა აღფრთოვანებას იმსახურებს.

ძველი საბერძნეთის ლიტერატურის შემდგომი პერიოდის სახელწოდებად თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა ტერმინი „ელინიზმი“. იგი ძეწ. IV-I საუკუნეებს მოიცავს და ალექსანდრე მაკედონელის სახელს უკავშირდება, რამეთუ უარესად მნიშვნელოვანია იმით, რომ სწორედ იმხანად განხორციელდა ორი უდიდესი კულტურის – აღმოსავლურისა და დასავლურის შერწყმა. ელინისტურ სახელმწიფოებში შემოქმედებით ცხოვრებას განსაზღვრავდა გაბატონებული კლასი, რომელიც ძირითადად ბერძენთაგან შედგებოდა და ამიტომ დომინანტური იყო ბერძნული ენა. ელინისტურ ფილოსოფიაში აისახა რა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი პოლისური სისტემის კრიზისი, უმთავრეს მიმართულებათა შორის გამოიყო სკეპტიციზმი, სტიოციზმი და ეპიკურიზმი. რელიგიის სფეროში შეინიშნებოდა გატაცება მატერიალური კულტებით, რომლებიც იმპეყნიური ცხოვრების უარესობას ქადაგებდნენ. ბერძნულ-მაკედონური დინასტიის მეფეთა კარის ბრწყინვალეობა სულ უფრო მეტად იზიდავდა ხელოვნების წარმომადგენელთ, რომლებიც მუშაობდნენ შეკვეთით და ამის გამო გამომსახველობითი ხელოვნება მანერისზის გზას დაადგა. რაც შეეხება ლიტერატურას, იგი გამდიდრდა აღმოსავლური ფორმებით, ლეგენდებით, აპოკალიფსური მოტივებით. ლიტერატურული პროცესები გარდასული ეპოქის უპირატესობის გაცნობიერებამ იმპტაციის გზით წარმართა, რამაც გამოიწვია კლასიციკლური სტილის მოზღვავება, ე.წ. „განსწავლული პოეტის“ (Poeta doctus) სახის დამკვიდრება. იმპტაციურ მიდრეკილებათა შედეგი იყო ის, რომ ელინისტურ სახელმწიფოებში დაარსდა ფილოლოგიური ცენტრები, რომლებიც ემსახურებოდნენ მთელი ბერძნული ლიტერატურის შესწავლისა და კრიტიკული გამოცემის საქმეს და ხელს უწყობდნენ ახალი ლიტერატურული პროცესების განვითარებას. ელინისტურმა ლიტერატურამ შეინარჩუნა რა ყველა ადრე არსებული ეანრი, პარალელურად წარმოქმნა ამ ტრადიციულ ეანრთა მოდიფიცირებული ლიტერატურული ფორმები (ეპილიონი, კატალოგიკური ეპოსი, იდილია, ახალი ატიკური დრამა, პარადრამატული პოეზია,



ეპოგრამა და სხვა). რამდენადაც ელინისტური ლიტერატურის ბევრ ნიმუშს ჩვენამდე არ მოუღწევია, ძნელია სრულყოფილად იმის წარმოდგენა, თუ რა ლიტერატურული პროცესები დომინირებდა იმხანად. თუმცა ერთი რამ ნათელია, ერთმანეთს კვლავ დაუპირისპირდა ორი ტენდენცია: 1. ტრადიციულის შენარჩუნებისა და მის ფარგლებში განვითარების ახალი გზების ძიების; 2. ტრადიციასთან დაპირისპირებით ახალი ფორმებისა და გამოსახვის ახალ საშუალებათა მიგნების.

ეს დაპირისპირება ძველი საბერძნეთის პირველ ლიტერატურულ პეკრობაში გადაიზარდა. ელინისტური ეპოქის შემოქმედებითი აზრის ორი დიდი წარმომადგენელი – კალიმაქოსი (ძვ.წ. 310-240 წწ.) და აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. 295-215 წწ.) საკუთარი შემოქმედების დემონსტრირებით ლამობდა საკუთარი მოსაზრებების დამტკიცებას: კალიმაქოსი ქადაგებდა, რომ ვრცელ ეპიკურ თხზულებათა დრო ისტორიას ჩაბარდა და რომ პოეტური ქმნილება თავისი ფორმითაც და შინაარსითაც ეპოქის სულისკვთების ამსახველი უნდა იყოს. აპოლონიოს როდოსელი (იგი, გადმოცემათა თანახმად, კალიმაქოსის მოწაფე იყო) ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებთა თხზვისკენ მოუწოდებდა მის თანამედროვე პოეტებს და თავადაც დაწერა პოემა სახელწოდებით „არგონავტიკა“. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, კალიმაქოსი და მისი წრე კრიტიკით შეხვდა ამ პოემას, რამაც აპოლონიოსი აიძულა, დაეტოვებინა ალექსანდრია (იგი ცნობილი ბიბლიოთეკის წინამძღვარი იყო) და როდოსზე გადასახლებულიყო, სადაც სრული კიდეც თავისი ნამოღვაწარი. რაც შეეხება კალიმაქოსს, ცნობილია მისი გამონათქვამი „დიდი წიგნი დიდი ბოროტება“. თუმცა რას გულისხმობდა ამ სიტყვებში ძნელი ასახსნელია. სავარაუდოა, ეს იყო წინამორბედი ლიტერატურული ფორმებისაგან განრიდებისა და ახალი ფორმების ძიების სურვილით ნათქვამი ფრაზა. ჩვენამდე მისი შემოქმედების გარკვეულმა ნაწილმა მოაღწია. მაგრამ მასში არ იგრძნობა ტიმოთეოსისმაგვარი მოდერნისტული გაქანება.

თუმცა კალიმაქოსის წრის პოეტთა ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია: ძვ.წ. I საუკუნეში რომაელ პოეტთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. მიკრე ლიტერატურული ფორმა (ეპოგრამა, ელეგია, ეპილიონი). ამ ფანრის წარმომადგენლებმა მისაბამ ნიმუშად სწორედ ალექსანდრიელი პოეზია მიიჩნიეს, ხოლო შემოქმედების უმთავრეს მიზნად „განსწავლელობა“ და მხატვრული ფორმის სრულყოფილება დაისახეს.

ძვ.წ. I საუკუნეში რომი ხმელთაშუაზღვისპირეთში ბატონობის სულ რაღაც ას წელს ითვლიდა, მაგრამ მას უკვე დიადი იმპერიის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. რომისკენ მოედინებოდა სიმდიდრე, რომელმაც ამ უზარმაზარი იმპერიის დედაქალაქში თავი მოუყარა ნიჭიერ ადამიანებსაც და მათ შემოქმედებითი ძალისხმევის წარმოსაჩენად მიანიჭა თავისუფალი დრო – ოტიუმი („otium“), ხოლო თავისუფალ დროს მუდამ თან სდევდა მცონარობა. თავისუფალი დრო ფიქრის საშუალებას იძლეოდა, ხოლო ფიქრი საკუთარ სულში ჩადრმავებისა. რა თქმა უნდა, იმ რომაელებს, რომლებსაც მთელი ცხოვრება საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიეძღვნათ, ტრიუმფარტისა და ოლეოუს კეისრის ერთპიროვნული მმართველობის ხანა „რესპუბლიკური რომის მიმწუნად“ (ციცერონი „ბრუტუსი“) ვერცნებოდათ, მაგრამ მომდევნო თაობას, რომელსაც აღარ აინტერესებდა ომები და ტრიუმფები, პრინციპატის ეპოქის დასაწყისი ახალ სარზიელს სთავაზობდა. ყურადღების ცენტრში ექცეოდა პიროვნება თავისი ვნებებითა და განიდებით, თავისი დამოკიდებულებით გარემოცველი სამყაროსადმი.

ისევე როგორც ყოველი მიჯნა ეპოქებისა, რომის რესპუბლიკიდან პრინციპატზე გარდამავალი პერიოდიც მეტისმეტად დაძაბული იყო და წინააღმდეგობებით აღსავსე.

რაც თავისთავად აისახა კიდევ ლიტერატურულ ცხოვრებაში. გამოჩნდნენ ახალი თაობის პოეტები, რომლებმაც გადაუხივეს მოქალაქეობრივი პათოსით განმსჭვალული ტრადიციული გზიდან და საკუთარ ემოციათა წარმოსახვა დაისახეს მიზნად. მათ თავი იგრძნეს ნოვატორებად, ხოლო ეს ნოვატორობა ეპოქით იყო განპირობებული. ერთი საუკუნის წინ რომაული საზოგადოების გემოვნება ერთფეროვანი იყო და კულტურაც ამ გემოვნების შესაბამისად ვითარდებოდა. პოეზიაში ბატონობდა სამოქალაქო ეპოსიცა და სახუმარო კომედია - ვანრები, რომლებიც ერთნაირად აღლუვებდა წარჩინებულებსაც და პლებსსაც. ახლა საზოგადოება ორად გაიყო: უბრალო ხალხად, რომელიც შრომობდა და რომელსაც არ ჰქონდა თავისუფალი დრო და ელიტად, რომელიც მოცალეობისაგან ამთქნარებდა. უბრალო ხალხის გასართობად დარჩა კომედია, ოღონდ უფრო გაუხეშებული, ხოლო მაღალმა საზოგადოებამ „ოტიუმის“ შესავსებად მოითხოვა დახვეწილი პოეზია, მიუწვედომელი დაბალი ფენებისათვის, ანუ „პოეზია პოეტებისათვის“. და აი, შემოქმედებით სარბიელზე გამოჩნდნენ პოეტები, რომელთა ქმნილებებიც მცონარე რომაული ელიტის მოწონებას იმსახურებდა. მათ, სახელოვანი ციცირონი ირონიულად ნეოატრიკოსებს (οι νεοατρείοι - ახალი მთხვევლები, „ატიკუსისადმი“, VII, 2), ანუ ჩვენი გაგებით მოდერნისტებს უწოდებდა. უფრო ირონიულად კი ეფფორიონის დამქაშებს“, იმ ანტიოქიელი ეფფორიონისა, რომელიც ალექსანდრიული ღვარჭნილი პოეზიის მიმბამველად იყო ცნობილი. სწორედ ამ დროს გამოჩნდება რომის ზოქემურ სალონებში სრულიად ახალგაზრდა პოეტი კატულუსი, რომელიც თავის ქმნილებათა საუკეთესო ნაწილს „უმშვენიერეს ლესბიას“ მიუძღვნის და ისეთ სიმბაფრეს მიაჩქებს საკუთარ განცდებს, რომ უმალ მის თანამედროვე მსმენელთა აღტაცებას დაიმსახურებს. ხოლო ეს აღტაცება საუკუნეებს გაუძლებს.

ნეოატრიკოსებს ანუ რომის რესპუბლიკიდან პრინციპატის ეპოქაზე გარდამავალი ხანის მოდერნისტებს დიდი წვლილი მიუძღვით არა მხოლოდ რომაული, არამედ მსოფლიო ლირიკული პოეზიის განვითარებაში. ისინი პირველები იყვნენ პოეტთა შორის, რომლებმაც გაიცნობიერეს პოეზია, როგორც ელიტარული ხელოვნება და მიაგნეს ინტიმურ განცდათა წარმოსახვის შესაბამის დახვეწილ ფორმებს. სრულყოფილად ფლობდნენ რა ენასა და პოეტურ ტექნიკას, მათ პოეტური ხელოვნების მაღალი კრიტერიუმები დაამკვიდრეს, რაც დაახლოებით ოცი საუკუნის შემდგომ კიდევ უფრო სრულყო და გამამდირა ევროპულმა მოდერნისტულმა პოეზიამ.

#### ლიტერატურა:

1. Аверинцев С. С., "Морфология культуры Освальда Шпенглера // Новые идеи в философии: Ежегодник Философского общества СССР, 1991. М., 19-91.
2. Белый А., Проблема культуры. В ян.: Символизм как миропонимание. Москва, 1994 г. стр. 18-142.
3. კამბუ ა., „სისიფოსის მითი“, 1942 წ.
4. Kassel R., Austin C., Poetae Comici Graeci, Berlin, New York 1983, ფრ. 155.
5. Mathiesen Th. J., Apollo's Lyre. Greek Music and Music Theory in Antiquity and Middle Ages, Lincoln and London 1999.
6. Современные проблемы реализма и модернизм, М., 1965, с. 258.
7. ტონია ნ., „ანტიკური ტრადიციები და თანამედროვე ევროპული ლიტერატურა“, (xcinaweri), გვ. 172.
8. Шпенглер О., Звук Европы. Очерки Морфологии Мировой истории. т. I. М., 1993; т. II. М., 1998.
9. Хелбинков В., 1914 г. Ст. сбр. проза., т. 5, 1933, с. 188.
10. Zimmermann В., Die griechische Komodie, Düsseldorf / Zürich, 1998, p.

ნინო ფხაკაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**კონტრასტული მხატვრული სახეების რეალიზების  
ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტებისათვის**

სამყაროს ხატოვანი აღქმა, სინამდვილის მხატვრული ტრანსფორმაცია განპირობებულია ადამიანთა ზოგადკულტურული და ეთნოკულტურული ცნობიერებით. აზროვნების მენტალური ნიშან-თვისებები, ეროვნული ფსიქოლოგიის ხასიათი, მსოფლხედვის თავისებურება განსაზღვრავს მხატვრული ინფორმაციის უნივერსალურ თუ სპეციფიკურ ბუნებას.

მხატვრული ტექსტი, როგორც მწერლისა და მკითხველის ურთიერთმარტოობის პროდუქტი (ზროდსკი 1987, 11), ყველაზე მეტად საჭიროებს მწერლისაგან ადრესატისადმი მიმართული იმპულსის ობიექტური ნიშნების დაცვას, ხოლო მკითხველისაგან მის ადეკვატურ მიღებას. იმპულსის სწორი აღქმის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ცოდნის ის მარაგია, რომელიც მწერალსა და მკითხველს აერთიანებს. ეს გამართიანებელი არის სწორედ ზოგადკულტურული და ეთნოკულტურული ცნობიერება, მენტალური ნიშან-თვისებები და სამყაროს ხედვის სპეციფიკა, აზროვნების სიღრმე.

ენის რეალიზება მართულია კულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური და ლინგვისტური კომპეტენციებით. იგი გადაჯაჭვულია ინდივიდთან, მის კულტურულ ღირებულებებთან და მსოფლმხედველობასთან (ჯ. ოსტინი, ჰ. გრასი, რ. ჰადსონი, ე. ლაბოვი...).

მხატვრული ტექსტი ენის შემოქმედებითი რეალიზების ასპარეზია. ენობრივი რესურსი აქ მხატვრული ეფექტის საჭიროების ადეკვატურად გამოიყენება. მხატვრული სახეების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს ხატოვანი ინფორმაციის ესთეტიკური ფუნქციის რეალიზებას. მრავალრიცხოვან საშუალებათაგან გამორჩეულია კონტრასტული მხატვრული სახეები. ისინი ორიენტირებული არიან სამყაროს ფილოსოფიური ხედვის სპეციფიკაზე (თეთრი და შავი, ნათელი და ბნელი, რწმენა და ურწმუნოება, სიკეთე და ბოროტება...), გამოხატავენ ადამიანური ყოფის გარკვეულ კანონზომიერებას (დაპირისპირებისა და არჩევანის აუცილებლობა) და უბიძგებენ მკითხველს გონითი აქტივობისაკენ მიღებული ინფორმაციის ადეკვატური აღქმისა და მისი კრიტიკული გადამუშავების შედეგად. კონტრასტი შეიცავს დაძაბულობის, მოულოდნელობის, მობილიზების, გადაწყვეტილების მიღების, გამოწვევის ნიშნებს და საუკეთესოდ წარმოაჩენს ავტორის მიზანმიმართული მხატვრული შემოქმედების განსაზღვრელი კულტურული ცნობიერების ზოგად და სპეციფიკურ მახასიათებლებს.

სანიშნოდ შეიძლება განვიხილოთ კონტრასტული მხატვრული სახეები პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებებიდან.

ფერთა სიმბოლიკა და მასთან დაკავშირებული მხატვრული ესთეტიკა, შეიძლება ითქვას, უნივერსალურია: თეთრი სიწმინდის, ოპტიმიზმის, სიკეთის, გამარჯვების სიმბოლოა, შავი კი უწმინდურობის, პესიმიზმის, ბოროტების, დამარცხებისა. გრძელისფილის "უსახელო უფლისციხეში" თეთრი (ნათელი) და შავი ერთ მხატვრულ სახეში ზოგადკულტურული ცნობიერების კონტექსტური სპეციფიკიერებით ერთიანდება. კონტექსტი, თავის მხრივ, ეთნოკულტურული იმპულსის შემცველია. რაც ქართული ისტორიული გამოცდილების მხატვრულ ტრანსფორმაციას გულისხმობს და მხატვრული ქვატექსტის შექმნის ეროვნულ ფაქტორს წარმოადგენს: "დილით მზე

ანათებს უფლისციხეს. მზე აშუქებს სალოცავს. სხივი სალოცავში სარკმლიდან შედის და ძირს ეცემა. მისი ფერია ნათელი და შავი" (გ. რჩულიშვილი, "უსახელო უფლისციხელი"). სხივი ნათელია, რადგან იგი მზის მოციქულია, მზე მანათობელია. იგი უფლისციხეს ანათებს. მზე აშუქებს სალოცავს, სხივი სარკმლიდან შედის სალოცავში, მაგრამ სხივი, ამავე დროს, შავიცაა, რადგან იგი ძირს ეცემა.

"სხივი" უფლისციხის //საქართველოს ისტორიული ხვედრი კონცენტრირდება. იგი მზის //ღვთის ხელდასხმულია (ნათელია), მაგრამ მტრისაგან ოტებულია (შავი).

კონტრასტი ერთგვარი თამაშია მთელ ტექსტში: მტრის შესახებ მეციხოვნეებს ამცნო მტრის სარდლის მზარეულმა, რომლისთვისაც სამშობლო უფლისციხეა, ამცნო, თუმცა ვერაფერი თქვა, იგი ხომ უენოა, ილოცა, მაგრამ სიტყვები არავის გაუგონია, იგი უენოა, "დღე წყნარია და მზე ანათებს მეციხოვნეებს უენო მხსნელი მოჰყავთ. მას ფეხები დაყინული აქვს და სიარული არ შეუძლია".

კონტრასტული ერთეულების სიმრავლე ერთგვარი ლოგიკური ფონია ტექსტის იდეოლოგიური კონცეპტისა უსახელო გმირისა, რომელიც, თავის მხრივ, ანტინომიურია. მწერლის დამოკიდებულება გმირის ცნებისადმი ეროვნული ტყვილის მხატვრული რეალიზებია, თუმცა გ. რჩულიშვილი მშვენივრად ახერხებს სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ფაქტისადმი აქციოს ადამიანური ყოფის ზოგადფილოსოფიურ პრობლემად.

მოთხრობის ფინალიც კონტრასტზეა აგებული: ძველი ნივთები და ახალი ორთავალა: "ჩემს გარშემო კი ყველაფერი ძველია და იდეშალი, ახალია მხოლოდ არქეოლოგთაგან დატოვებული მიწის გასატანი ორთავალები. ისინი დამტრეულია. ორთავალებისაგან მაგიდის მსგავსს ვაკეთებ: ერთმანეთზე ვდგამ საშს და ისე. ერთზე ვჯდები. მოვწყვე. განვაგრძობ წერას. ვერთობი. ჩემს გარშემო კი ტალანია დიდი, ცარიელი, საშიში. აქ მხოლოდ ქვის სკამები და მაგიდები დგას, ძველი, ძალიან ძველი. მე ვზივარ ერთი თვის წინათ გაკეთებულ რკინის ორთავალაზე და ეწერ. ეს ორთავალა უფრო მოხერხებულია ჩემთვის. აღმათ, ერთი დროის რომ ვართ ორივე, იმიტომ" (გ. რჩულიშვილი, "უსახელო უფლისციხელი"). მწერლის დამოკიდებულება ძველი ნივთებისადმი, ერთგვარი "გაუცხოება", "შეუგუებლობა" მემპტიანის მსოფლმხედველობრივი პოზიციია. ავტორი მოვლენებს გარედან უყურებს. ადამიანური არსის ფილოსოფიური კვრეტა ისეთივე ამოუცნობი და იდეშალია, როგორც უფლისციხის "დიდი, ცარიელი და საშიში ტალანი."

კონტრასტული სახეები პოეტურ მეტყველებაშიც გამოიყენება იდეოლოგიური კონცეპტის ზორგშესხმისათვის, ტექსტის მხატვრული კონცეპტუალიზაციისათვის. დ. რობაქიძე ლექსში "რას ნიშნავს ადამიანი?" ამგვარ მეტაფორას იყენებს: "მოზოლოლი თიხის ცომით კაცის ფორმის ყულაბას რომ გამოაცხოზ და როგორ გამოაცხვე ვერასოდეს აუხსნი ყველას" (დ. რობაქიძე, "რას ნიშნავს ადამიანი?"). ამ მეტაფორის ინფორმაციულობა დაკავშირებულია წინარე ფონურ ცოდნასთან, კერძოდ, ადამიანის შექმნის ბიბლიურ ისტორიასთან (თიხისაგან, მიწისაგან ადამიანის შექმნა) და სახარებისეულ კონტექსტთან ადამიანის სხულის სულის სამყოფად გააზრების შესახებ (ადამიანის სხული კურჭელი/ყულაბა). ვერბალიზებული ხატოვანი ინფორმაცია პარადოქსზეა აგებული და ავტორის ძირითად სათქმელს გამოხატავს: ადამიანი და მისი შინაგანი სულიერი სამყარო ამოუცნობია. პოეტური ტექსტის ძირითადი აზრის ადამიანის ამოუცნობი შინაგანი სამყაროს მეტაფორული კონცეპტუალიზაცია განპირობებულია ზოგადკულტურული ცნობიერებით, ავტორის მსოფლმხედველობრივი პოზიციით. მეტაფორული სახე ალუზირებულია და მისი

ინფერენცია (ამოკითხვა) მოითხოვს მკითხველის მიერ ალუზორებული წყაროს ცოდნას. ალუზორებულ სახეში კონტექსტური და ასოციაციური ასპექტები გაეკრებულა ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი ხატოვანი ინფორმაციით. მკითხველი ადევნატურად იღებს ავტორის მიერ მხატვრული ქვეტექსტით მიწოდებულ ინფორმაციას. ცნობილი ფაქტებია თიხისაგან/მიწისაგან ადამიანის შექმნა, სხეულისა და სულის სინთეზი (ქრისტიანული მსოფლმხედველობა), მაგრამ პარადოქსულობა ჩნდება სრულიად გასაგები "ფაქტების" "გაუგებრობად", "ამოუცნობად" ქვევით: "როგორ გამოაცხვე ვერასოდეს აუხსნი ყველას".

მთლიანად კონტრასტულია გალაკტიონისეული სტროფი:

"სინამდვილეს არ ვემდღური,

არ ყოფილა თითქმის,

არყოფილზე საყვედური

არასოდეს ითქმის" (გალაკტიონ ტაბიძე, უსათაურო).

რით არის განპირობებული ყოფიერების წინააღმდეგობრიობა? როგორ შეიძლება მხატვრული ქვეტექსტის ინფორმაციის მიღება? მხატვრული სახის შესაქმნელად საჭიროა პოეტური მსოფლადქმის თეოლოგიურ-ფილოსოფიური საფუძვლების გააზრება. ღმერთი ადამიანისათვის, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედია. ადამიანის დანიშნულებათა მიემსგავსოს უფალს. რაკი ღმერთი უპირველესად შემოქმედია, ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ ემსგავსება მას, როდესაც თავადაც ქმნის. ღვთიურ მადლთან ზიარების გამო შემოქმედი ადამიანი ყველაზე უკეთ შეიცნობს ციურ ჰარმონიას. იგი ზეციური მადლის დედამიწაზე ჩამომტანია, მაგრამ ამავდროულად, ყველაზე უკეთ შეიგრძნობს წუთისოფლის, დაკნინებული ადამიანური ზუნებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებასაც, რის გამოც სამინელ ტკივილს განიცდის. ეს ტკივილი ზოგჯერ მთელ სიცოცხლეს არარაობად განაცდევინებს, რაც, საზოგადოდ, შემოქმედებითობას უარყოფს და სწორედ ამ დროს ჩნდება გაორებულიობა და მწვევე კონტრასტის განცდა.

მხატვრულ ტექსტში შთამბეჭდაობას ამლიერებს ოქსიმორონის, როგორც პარადოქსის ერთ-ერთი სახის, გამოყენება. მისი მხატვრული ფუნქცია მოულოდნელობის ეფექტის შექმნაა. ოქსიმორონი ნათლად წარმოაჩენს სიტყვის უზუალური მნიშვნელობის "ნგრევას" და "უცნაურ სიტყვათშეხამებაში" "ზუნებრივ" ესთეტიკურ დატვირთვას იძენს. ამის წყალობით მხატვრულ ტექსტში შეთავსებადია დემილი და ხმაური, სინაზე და გიჟური ქროლვა, სიკვდილი და უკვდავება:

"თვალნო ლამაზნო, ვინ უძღს თქვენსა ძლიერს ბასრობას, თუ არა სჭერეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას" (ნიკოლოზ ბარათაშვილი);

"შენ, სილამაზის ნაზო გროგალო, შენგან აროდეს მომესვენება" (გიორგი ლუნინი);

"დუმილი რეკავს" (მუხრან მაჭავარიანი).

მხატვრული სახეები და მათი ვერბალიზაციის სპეციფიკა დაკავშირებულია ეპოქალურ ფაქტორებთან. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ლიტერატურული მიმართულების ბუნებას, რომლის ორიენტირიც საზოგადოებრივი ყოფის ფონზე იხსება.

ლიტერატურა ყოველთვის ინტერესდება ადამიანით, თუმცა შხერა ადამიანისაკენ სხვადასხვაგვარად არის მიმართული. მაგალითად, კლასიკური ეპოქის სახობტო ლირიკა "სოციალური ადამიანის" (მეფე, უფლისწული, რაინდი, ვასალი) სახე-იდებებს გვიხატავს. აქ მხატვრული სახეები შაბლონურია. ქვეტექსტები ადვილად ამოიკითხება კარგად ცნობილი სიმბოლოების ლოგიკურ სახისმეტყველებით სისტემაში. "ენობრივი მოულოდნელობებიც" მაქსიმალურად შეზღუდულია. "შინაგანი ადამიანის" (ე. მელეტინსკი) წარმომჩენი ლიტერატურა კი ინტერესდება პიროვნების რთული

წინათმდებლობრივი შინაგანი სამყაროთი, ამზივალუნტური გრძნობა-განცდებით, რის გამოხატვასაც თავისუფალი სიტყვათმემოქმედება, ენობრივი ექსპერიმენტი მიესადაგება, რისი რეალიზებაც კონტრასტულ მხატვრულ სახეში არის შესაძლებელი. დრამატული ხელოვნების ისტატი ალ. ყაზბეგი "ხევისბერ გოჩაში" ონისეს შინაგანი სამყაროს წინააღმდეგობრივ ხასიათს გმირის სულიერი განცდებით გადმოგვიქმს. მორალური კონცეპტი ადამიანის დანიშნულებისა: "კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი", ნაციონალური მენტალობით ნასაზრდოები იდეაა. იგი ერთგვარი კონტრასტია, რომელსაც გასაგებს ხდის ქართული ეთნოკულტურული ცნობიერებისათვის ჭეშმარიტებად ქვეული პოსტულატები: "გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ", "ისე მოკვდი, რომ ხეც შენი დამარხვა არ ესირცხვილებოდეს". რთული კოლიზიის სიტყვიერი შეფასება, ავტორისეული პოზიცია შეჯამდა მოულოდნელ სიტყვათმეზამებაში: "შეუწყალელებელი ჭეშმარიტება", რომელიც ტექსტის იდეის ყველაზე მორგებულ ლოგიკურ ფრაზად იქცა: ონისეს განცდა სიყვარულია, ეს სიყვარული რეალობაა, მაგრამ დაუმეგებელი.

აღორძინების ხანის პოეტი დ. გურამიშვილი თავის სულიერ სამყაროში ცოდვისა და მადლის, ბნელისა და ნათლის დაპირისპირებას გრძნობს და უფალს სიკეთის გამარჯვებას შესთხოვს. "დავითიანის" ლირიკული გმირის მძაფრი შინაგანი წიაღსვლები ნაწარმოების საერთო მიზანდასახულობას უკავშირდება. ეს უკანასკნელი კი ეპოქალური რეალობით არის განსაზღვრული: XVIII საუკუნის საქართველო, ქართველთა ცოდვილიანობა, "საწყაულის მოწყვა ღვთისაგან", კერძო პიროვნების ბედისა და ერის ისტორიული ხვედრის თანაზიარობა. გამოსავალი ადამიანის და ზოგადად ერის ზნეობრივ-მორალური ჰარმონიის აღდგენაა. ამ ფონზე სრულიად გასაგებია ამგვარი დაპირისპირება:

"ხორცსა აქვს დანაშაული, სულია არა ბრალა:  
სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყარალა:  
ხორცი ამა სოფლისა გემოთი ნებიერობით მთვრალა,  
სული იმ სოფელს დასჯისთვის შიშითა სულ გამქარალა"  
(დავით გურამიშვილი, "დავითიანი". 460).

მხატვრული სახეების ეპოქალური და ეროვნული ფაქტორებით განპირობებულობის, კულტურასთან, ეთნოკულტურასთან კავშირების ხაზგასასმელად შეიძლება მოვიშველიოთ ქართულ სიმბოლისტთა მაგალითიც. როგორც ცნობილია, სიმბოლიზში "ასახვის საგნად იხდის არა გარემო სინამდვილეს თავის ობიექტურ განფენილობაში, არამედ თავის მიერვე შექმნილ არარსებულ სამყაროს, ახდენს სინამდვილის მისტიფიკაციას. მისეული მხატვრული მოდელი ცხოვრებისა აგებულია სიზმარული ჩვენებების, ირეალური ქვეყნის და სანახევროდ პათოლოგიური წარმოდგენებისა თუ ასოციაციების საფუძველზე. სიმბოლოებით აზროვნება, რაც საერთოდ ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული მეთოდია, სიმბოლისტებმა უმთავრეს ფეტიშურ პრინციპად გაიხადეს და მხატვრულ აზროვნებაში მხოლოდ მას მიანიჭეს ჰეგემონია. ამის შედეგად მხატვრული სახეები მათს ნაწარმოებებში ხშირად მეტად რთულ და არცთუ ოოლად ამოსახსნელ ამოცანებად იქცენ" (ბერბეულიძე 1971, 71).

"ცისფერი ყანების" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მანიფესტში სიმბოლისტები აცხადებდნენ: "ჩვენ გვსურს შევექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიჟებს თქვენ მიძინებულ თვალთა ცქერას." ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი მხატვრული სახეები დადაისტური ელფერით არის შემოსილი. სიმბოლისტი პოეტები ერთმანეთს უკავშირებენ სრულიად საწინააღმდეგო ცნებებსა და სახეებს. ტიციან ტაბიძეს სჯერა:

'ეს სულ ერთია, მაინც გაუგებარია შეიძლება წერო იეროგლიფებით'. ამიტომ ლექსებშიც ჩნდება პარადოქსული სტრიქონები: "დასავლეთის დივანს დასწერდა ბაყალი", "მე თვითონ მაშინებს გომბეზოს ანეკსია", "შემიძლია დაეიჩემო, რომ სინამდვილის ნამდვილი ღმერთი ვარ. და თუ ამას დავმატებ, რომ ლოთობა ჩემი სტიქიაა - ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილა საქართველოში. კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, შალვა დადიანი და უმანგი ჩხვიძე ზიან ტანტების ცირკში - კულა გლდანელის ოუბილუზე... პაოლო იაშვილის მაგიერ სიტყვას ამბობს "არბიტარი": "შენ დაუკა, ვანუა" (ტიციან ტაბიძე). კონტრასტულ-პარადოქსული სახეები ლექსს უკარგავს მილიანობას და მას ფრაგმენტულს ხდის.

ამდენად, მხატვრული სახე ენობრივ-კულტურული ფენომენია და მისი შექმნა ტექსტში ზოგადკულტურული, ეთნოკულტურული, მსოფლმხედველობრივი და მენტალური ფაქტორებით არის განპირობებული. მრავალფეროვან მხატვრულ სახეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკირავს კონტრასტულ მხატვრულ სახეებს. მხატვრული სამყარო მარადიულ ღირებულებათა მხატვრული გარდათქმვა. ხატოვნად რომ ვთქვათ, "პოეტის მისია ესაა გამაარჩიოს მოვლენათაგან პოეტური ღირებულების მქონე, შეუცდომლად გაიგონოს მარადიულობის შრიალი პოეზია ექნის ახალ ღირებულებას, პოეტი დემიურგია. იგი შორსაა მარცვლების ერთი ზომით გადამთვლელობისაგან. მას გამოუთქმელის დანახვა ძალუძს" (სანდრო ცირციძე). გამოუთქმელის ამოცნობა, მასში შეღწევა, მისი განცდა დაძაბვით, მაქსიმალური აქცენტირებით შეიძლება, რამაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონტრასტულობა.

#### ლიტერატურა:

1. გურამიშვილი დ. (1990): დავითიანი. "ნაკადული". თბილისი.
2. რობაქიძე დ. რას ნიშნავს ადამიანი? www.lib.ge
3. რჩეულიშვილი გ. (2005): ქართული პროზის საგანბური, თბილისი.
4. ტაბიძე ტ. (1985): ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. "მერანი". თბილისი.
5. ყაზბეგი ა. (1986): ქართული პროზა, წიგნი XI. "საბჭოთა საქართველო". თბილისი.
6. ხურხუელაძე გ. (1971): "ეისფერი ყანწები" ოციან წლებში // "მაცნე". ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 69-73.
7. Austin J. (1962): How to do things with words. Oxford.
8. Grice H.D. (1975): Logic and Conversation. New York.
9. Hudson R.A. (1975): The meaning of Sociolinguistics. London.
10. Labov W. (1972): Sociolinguistic Patterns. Philadelphia University of Pennsylvania Press
11. Бродский И. (1987): Нобелевская лекция, стихотворения. Таганш.

Nino Pkhakadze

### Contrastive literal characters for lingvo cultural aspects

#### Abstract

Figurative perception of the universe, artistic transformation of reality is conditioned by intercultural and ethno cultural consciousness of human beings. Mental features of human perception, character of national psychology, originality of ideology defines universal or specific character of artistic information.

In work of arts language resource is used for gaining artistic effect. Variety of artistic characters provide realization of artistic information. Among numerous features the most essential are contrasting literal characters. They are oriented to the philosophical perception of the universe (white and black, light and dark, faith and disbelief, kindness and evil...) they all express natural phenomenon of the life (inevitability of opposing and making choice) and stimulate the reader to mental activity after adequate perception of gained information and critical analyzes. The contrast implies tension, suddenness, mobilization, making decision and shows the author's artistic thoughts about general and specific features of cultural perception.

In the article contrast artistic characters are analyzed from prosaic or poetic works.

## ПАМЯТНИК РУССКОГО СТАРООБРЯДЧЕСТВА В СТРУКТУРЕ ДИЛОГИИ П.И.МЕЛЬНИКОВА (А.ПЕЧЕРСКОГО)

Китежский Летописец – один из загадочных письменных источников, связанный с историей Нижегородского края легендой о невидимом граде Китеже и озере Светлом Яре. Еще в 30-е годы XX века начинается исследование источников Летописца [1], состава текста [2], несколько позднее ставится проблема взаимодействия фольклорной и письменной традиций в нем [3], времени возникновения памятника [4] и т.д. И только вопрос о том, как этот довольно сложный по составу несмотря на его небольшой объем источник взаимодействует с литературной традицией, вообще не поднимался в исследовательской литературе [5].

Диалогия П.И.Мельникова – первый опыт художественной интерпретации рукописи Китежского Летописца, многослойного текста, объединившего в себе три основных письменных источника. Это повествование с элементами жития и подвигах и убийстве благоверного князя Георгия Всеволодовича, апокриф «Повесть и зыскание о граде сокровенном Китеже» и опубликованное П.Мельниковым «Послание от сына к отцу из оного сокровенного града» [6]. Характеризуя функцию письменного источника в тексте романа, нельзя не учитывать факт устного бытования предания, напрямую не связанный с идеями древнего благочестия. Китежский летописец, оставаясь письменно зафиксированным текстом, рассчитанным на определенный тип восприятия, в народном сознании бытует как живое слово, о чем свидетельствует роман П.И.Мельникова «В лесах». Вторая часть диалогии «На горах» представляет собой своеобразное «разрешение» текста Летописца в судьбах героев повествования.

В первом романе диалогии чтение Летописца, происходящее на берегу Светлояра, пребывает в рассказах о «чудесах» и «видениях», призванных подтвердить истинность существования Китежа. Образ русской женщины и связанный с ней культ Богородицы, заступницы и покровительницы, проходит через весь текст Летописца, придавая повествованию особый лирический оттенок. Богородичная тема в заключительный строчках Летописца звучит как предостережение тому, кто «поругается... сему писанию... не нам поругается, но богу самому и пресвятей богородице».

Все три письменных составляющих Летописца включены Мельниковым в повествование. Цитирование текста начинается с исторической части, где рассказывается о благоверном князе Георгии Всеволодовиче, «положившем живот за Христову веру и за Русскую землю» на Большом Китеже. Создавая панораму богомолья, П.Мельников замечает, что «женщин гораздо больше мужчин» собралось у озера, а наиболее остро героическое предание переживается именно женщинами (...заплакала молодая женщина), «кохают и стонут старушки, слезы так и текут по морщинистым ланитам», «трепетно задрожала от сдерживаемых рыданий нарядно одетая молодая красивая женщина». Героическое предание о погибшем за Христову веру князе Георгии, ставившем соборы в память Богородицы, вызывает особое расположение слушательниц, в то время, как великий начетчик Василий Борисыч дает услышанному иную оценку: «Ох, искушение!... Вот чепухи-то нагородили!», «В старых книгах не то говорится...» [6,94-96]. Несмотря на то, что реальная хронология событий отличается от версии Летописца, и начетчик прав, Мельников, как бы следуя заповеданному апокрифом, за посмеяние его лишает Василия Борисыча авторитета среди сторонников старой веры и «наказывает» сластолюбца браком с Парашей.

Апокрифическое повествование о зыскании сокровенного града сопрягается Мельниковым с лирической темой весенних купальских обрядов, символизирующих праздник любви. «Повесть» начинается с поучения [7], однако П.Мельников по-своему



интерпретирует текст, показывая, что содержание этой части Летописца не сводимо только к стремлению «скитских старцев и келейных матерей» оградить жен и дев «от бесовских сходбищ», на которых «лужем и отрокам шатание, женам и девам падение!» [8]. Обещанный в «Повести» покой ушедшим от мира женам подвергается в романе сомнению: такова трагическая участь матери Манефы, воспитывающей рождную дочь как сироту, гибель Нasti, воспитанной в скиту, в Комарове происходит встреча Марьи Гавриловны с Алексеем, предателем и подлецом, здесь же рушится и надежда на счастье жизнелюбивой и гордой Фленушки, в этом же скиту выросла и Дуня Смолокурова. Не случайно Мельников отмечает, что сразу же по прибытии Комаровские поклонницы, «положив начал, стали петь утрею» перед иконой Владимирской богородицы – молитву о заступничестве и прощении, поэтому и пяти минут не прошло, «как Манефины окружены были густой толпой богомольцев». Фигуры многочисленных богомольцев поданы автором на фоне «чуждого озера, отражавшего розовые переливы догорающей вечерней зари...». Догорающая вечерняя заря воспринимается в этом контексте как символ уходящей невозвратно жизни, когда старая вера была оплотом надежды во всех испытаниях судьбы.

Скрытый от глаз людских град Китеж – место, где разворачивается действие другой составляющей Китежского Летописца. Центральный мотив – молчания, тайны, как условия обретения божьей благодати («Аще кто нераздрвоенным умом и несомненною верою обещается и пойдет к невидимому граду тому, не поведав ни отцу с матерью, ни сестрам с братьями, ни всему своему роду-племени, – таковому человеку откроет господь и град Китеж и святых, в нем пребывающих» [8,99]). Эту тайну-молчание переживают все женщины в дилогии Мельникова: и мать Манефа, и Фленушка, и Настя, и, конечно же, Дуня Смолокурова, которой суждено по воле автора в молчании и тайне искать и праведной земли, и истинной веры. Судьба Дуни – в центре повествования, именно этой героине Мельников доверяет пройти через искушение хлыстовства к обретению себя, к свободному выбору жизни и счастья, звучащего в описании любви Матери Сырой Земли и дальнего светлого Яра. Чтение старичком рассказа о молодом христианине, «не всхотевшем жениться, а с молодых лет господу трудиться», мотивирует ввод в текст романа «Послания» [6], которое можно рассматривать как своеобразное предварение истории духовных мытарств Дуни. Молчаливый отказ героини от мирского «предсказывает» ее увлечение хлыстовской легендой о «духовном женихе». Возвращая свою героиню к жизни, к любви, автор, отдавая дань уважения духовному подвигу подвижников веры, для которых «Послание» реальное подтверждение существования Китежа, все же завершает повествование апофеозом мирского счастья Дуни Смолокуровой.

В дилогии Мельников воспроизводит тот этап бытования образа невидимого града, когда предание о нем, связанное с определенным топосом, приобретает структурообразующий характер, формируя и «направляя» движение сквозной темы романа, посвященной раздумьям писателя о женской судьбе и воле.

## Литература:

1. *Комарович В.Л.* Китежская легенда. Опыт изучения местных легенд. М.-Л., 1936; *Лудатов Б.М.* О рукописной традиции «Китежского Летописца» // Град Китеж, озеро Светлояр в русской культуре. Литературно-исторические чтения. Н.Новгород, 1995. С.19-22; *Сыренов А.* Путь ко граду Китежу. СПб., 2002
2. *Дрожжина Е.* Китеж-град // Новая Акрополь, № 5, 2002.
3. *Савушкина И.Богданова Е.* Новые записи легенды о граде Китеже / Град Китеж. Изд.2. ВВКИ, 1989. С.219-229; *Морозов М.* У града Китежа / Шекспир. Берис, Шоу... М., 1967.
4. *Комлев В.* Тайный государь и Великий Раскол (недоказанная гипотеза или отвергнутая правда) <http://www.pravva.ru/2/118>; *Нестеров И.* Китежский летописец: проблема авторства, источников и времени составления. Городецкие чтения, 2004.
5. *Шешунова С.В.* Град Китеж в русской литературе: парадоксы и тенденции // Известия РАН ОЛЯ, 2005, № 7-8

6. *Мельников П.И.(А.Печерский)* Послание къ отцу отъ сына изъ онаго сокровенного монастыря, дѣи о немъ сокрушения не имели и въ мертвы не вменяли скрывшегося изъ мира. Въ лето 7209(1702) июня въ 20 день. Полн. собр. соч. СПб, изд-во А.Ф.Маркс,1909. Т.7.С.26-27
7. «Была некто отец, и обратил он одну блудницу от блуда. Блудница же пошла с ним в монастырь. И пришла ко вратам монастыря того, и умерла. И была спасена. И другая также отошла в пустыню с отцом, и умерла. И приняли ангелы душу ее, и возвели по лестнице на небо» Цит по: «Повесть и възсказаніе о граде сокровенномъ Китеже». С.1.
8. *Мельников П.И.(А.Печерский)*. Собр.соч.: В 8-и т. Т.3-4.М.,1976. В дальнейшем ссылки в тексте на это издание.

**ნათელა ფარტენაძე**  
**ზოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი**

**ფონეტიკურად სახეცვლილ სიტყვათა მნიშვნელობის ცვლილება**

სარკმელი. ძველი ქართული ენის ლექსიკონში ილ. აბულაძეს განმარტებული აქვს სიტყვა არმარი' „პატოჰანი“, სარკმელი: „მივიღებოვს ობოლთა და ქურციტაჲ და აღვივისეს პატოჰანი ( არმარი A – 1399, 166 r) მ. ცხ. 168 v.

ეს სიტყვა საბასთანაც გვხვდება ( არმარი, არმანა Cq) ესეცა სარკმელი არს Z.

სარკმელი(ცე)ა შესადგებელი AB.

სარკმელია ესეცა Cab. სარკმელი.

როცა საბა მიუთითებს, რომ „არმარი“ „სარკმელია ესეცა“ მას მხედველობაში აქვს „არმანა“, რომელიც, მისი განმარტებით, „სარკმელია შესადგებელი“.

სულხან-საბა ორბელიანს მართებულად აქვს ერთ სტრიქონზე მოტანილი არმარი', არმანა', რადგან ისინი იდენტური მნიშვნელობის სიტყვებია, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ არმარი', არმანი' ფონეტიკური ვარიანტებია ერთმანეთისა.

დავაზუსტოთ არმარის'(არმანის), პატოჰანისა' და სარკმლის' მნიშვნელობები ძველ ქართულში:

პატოჰანი' იგივეა, რაც „სარკმელი“, „არმარი“.

მოყვანილ ციტატაში „აღვივისეს პატოჰანი ეგე, რამეთუ იხილა სარკმელი, აღსავსე წიგნებითა“ სარკმელი აქ მთლად არ შეესატყვისება ფანჯრის მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ სარკმელი' სწორედ ფანჯარას' აღნიშნავს ძველ ქართულში: „გარდამოსუა იგი მელიქულ სარკმელით“ 0, მფ. 19,12; „სარკმელით სახლისა მისისაჲ უბანთა გარდმოიკურობნ“ 0, იგ. სოლ.7,6; „სარკმელნი მისნი იყვნეს განღებულ ქორსა მას მისსა წინაშე ისრაშლისა“ 0, დან. 6,10...

ილ. აბულაძეს სარკმლის' განმარტებისას აღარ მოჰყავს სიტყვა არმარი', არამედ პატოჰანი' და ფანჯარა'.

პატოჰანი' საბასთანაც არის მოტანილი. „პატოჰნი (პატოჰანი CD) (+ 7,20 მამათ. ცხ. ZAa) სარკმელი ZAB.

არმარი', სარკმელი CD.

უცხო შესატყვისობების განხილვისას იგი მიუთითებს, რომ სარკმელი' ლათინურად არის ვნესტრა B, თურქულად თაღა ZAaBCDE. ხ. პატუნქ BCD, პატუნქ E.

ქველში მითითებულია, რომ „თახჩა (თახჩისა) [არაბ.-სპარს. თავჩა „პატარა თარო“; „ნიში“] კედელში ჩატანებული, გამოჭრილი კარადა (ჩვეულებრივ უკარო და თაროებიანი, ჭურჭლის, სურათისა და სხვათა შესანახად).

თახჩის სინონიმია „განჯინა (განჯინისა) კედელში ჩატანებული კარადა. განჯინაში პურიაო, არა შენტვის, მურიაო (ხალხ.) (ქველ) და „ბუჯერი (ბუჯერისა) ჭურჭლის შესაწყობი თაღი (საბა); ჭურჭლის დასაწყობი თაროები (შდრ. ბურუჯი“.

არმანა' გვხვდება ქართული ენის დიალექტებში: (რკ.) საქმლის შესანახი (შ. ძიძ.).

მასასადამე, არმარი' (არმანა) არის კედელში ჩატანებული განჯინა გარკვეული საგნის (საქმელ-სასმელის და სხვა ნივთების) შესანახად. რადგანაც ის ისევე გამოჭრილი კედელში, როგორც სარკმელი, ამიტომ ამ მნიშვნელობით შეიძლება ეს უკანასკნელიც შეგვხვდეს. შეიძლება არმანა' იყოს ისეთი თაროც, როცა კედელი ბოლომდე იყოს გამოჭრილი და სარკმლის ფუნქციასაც ასრულებდეს.

დიალექტებში მოხდა მნიშვნელობის გადატანა და იგი აღნიშნავს როგორც კედელში გამოჭრილ თაროს (განჯინას), ასევე ამ ფუნქციის მქონე ყუთსაც. ე.ი. შეიძლება აღსანიშნავი, შეინარჩუნა ფუნქცია და სახელიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარკმლის განმარტებისას ძველი ქართული ენის ლექსიკონში არაა მოტანილი არმარი' (არმანა). ამას თავისი ახსნა აქვს. სარკმელი, გარკვეულ წილად, შეიძლება ასრულებდეს თაროს ფუნქციას, მაგრამ არმანა' არ შეიძლება იყოს სარკმლის სინონიმი. სპეციალურ ლიტერატურაში სარკმელი-ს (რ)კუმ' ფუძე კუამ-ლ-თანაა დაკავშირებული [არაბული, 2001, 219-222]. აღნიშნულია, რომ „კუამ-ლ ფუძის გვერდით გვაქვს ამავე კუამ- ძირიდან მომდინარე ფორმა სა-[რ]კმ-ელ-, რომელშიც კუამ- ძირის რედუცირება პრეფიქსს ვერ მიეწერება, ვინაიდან ის ფუძის უსუფიქსო ვარიანტში ამგვარ გავლენას ვერ ახდენს - სა-კუამ-ი. ამგვარად ერთმანეთს უპირისპირდება კუამ-ლ/კმ-ელ- ფუძეები“ [იქვე, 318]. სარკმელი უნდა მომდინარეობდეს რქუმა' სიტყვისაგან: რქუმა//რკუმა სარკმელი შდრ.: დარქუმა' დახურვა: „მოიღო დედაკაციმან ერთმან სარქუელი და დაარქუა ორმოსა მას“ 0, //მგ. 17.19; „აღიჯადა გვრგვნი იგი, რომელი თვთ ედგა დაარქუა მას თავსა“ მ.ცხ. 153 r.

სარქუელ-ი ხუფი: „მიღო დადაკაციმან ერთმან სარქუელი და დაარქუა ორმოსა“ 0, II, მგ. 17.19.

სარქუელი//სარკმელი, როგორც ამას ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური საბუთები ამტკიცებენ, წარმოადგენდა სწორედ ხუფს, რომელიც სახლის სახურავზე იმ ხერხის დასახურად გამოიყენებოდა, რომლიდანაც სახლში შუქი შემოდებოდა, ან კვამლი გადიოდა.

როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ჩანს, სარქმელი ზოგადად სახურავის, სარქულის აღმნიშვნელი სიტყვაა: „ვეფხის ტყაისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“, ხოლო მისი ფონეტიკური ვარიანტი, სარკმელი', მიემართება ფანჯარას. ამ უკანასკნელის ენაში გაბატონების შემდეგ სარკმელი' აღნიშნავს ან ფანჯრის ნაწილს, ან კედელში ჩატანებულ პატარა ფანჯარას

აბაზანა. ქველში აბაზანა' განმარტებულია როგორც დიდი, მოგრძო საბანაო ჭურჭელი. ამ სიტყვით შეიძლება აღნიშნოს სხვა დანიშნულების, მაგრამ მსგავსი ფორმის საგნები. კერძოდ, სამკურნალო აბაზანა, რომელიც აღნიშნავს არა მარტო ჭურჭელს, არამედ მიუთითებს გარკვეულ პროცედურებზეც. აბაზანის მიღება ნიშნავს სამკურნალო პროცედურის შესრულებას სწორედ აბაზანაში სითხის თანხლებით. ქველში მითითებულია იმაზეც, რომ აბაზანა შეიძლება არც იყოს მხოლოდ სითხისა. შდრ. მზის აბაზანა, ჰაერის აბაზანა. აბაზანის მიღება ამ ორ შემთხვევაში მიუთითებს სუბიექტის ყოფნაზე ისეთ გარემოში, როცა ის განიცდის მზისა და ჰაერის ზე-

მოქმედებას. ე.ი. პროცედურა თითქმის იდენტურია, მაგრამ ისინი მასალობრივად შეიძლება იყოს სხვადასხვა - წყლის (სითხის), მზის, ჰაერის, ტალახისა და ა.შ. აქედან გამომდინარე შედეგიც სხვადასხვა იქნება.

მამასადამე, გვაქვს ერთი ლექსემა, რომელთანაც რამდენიმე მნიშვნელობაა დაკავშირებული; ერთი კონკრეტული საგნის, ჭურჭლის აღნიშვნა; დანარჩენი მნიშვნელობები დაკავშირებულია შესიტყვებებთან; მესამე ისეთი პროცედურების აღნიშვნა, რომელიც ჭურჭელთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ფუნქცია (სამკურნალო) ისეთივე აქვს, როგორც სამკურნალო წყლის აბაზანებს. მაგრამ აბაზანა დამოუკიდებლად მხოლოდ (სითხის) პროცედურების აღსანიშნავად გვხვდება. ყველა სხვა შემთხვევაში მას უნდა ახლდეს მსაზღვრელი სიტყვა, იმისათვის, რომ მან ეს მნიშვნელობა გამოსცეს.

ილ. აბულაძის ლექსიკონში ავაზანი' განმარტებულია როგორც „სიავი“, ქვაბი; აუზი; ემბარი: „მობა, ავაზანი სასობისა ჩემისამ“ Z; „დადგეს ჯურღმულისა ზედა ავაზანისასა“ 0, IV მფ.18,17; „ავაზანი, რომელი სხუათა რწყავს და რცხის“ მ.ცხ.252.

ქვაბი' ძველ ქართულში ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. გამოქვაბული, ზუნაგი; 2. ქვაბი, ქვაბი. ავაზანის სინონიმად სწორედ მეორე მნიშვნელობა გვაქვს ქვაბისა: „არა მოვიღო მგებარი ქვაბთაგან“ 0,1 მფ.2,15; „შეადგ მუნ ქვაბი ეგ დიდი“ 0, IV, მფ.4,38.

ძველ ქართულშივე გვაქვს კომპოზიტი: სიავ-ქვაბი: „წარიღეს... სიავ-ქვაბნი იგი და ფუცხუნი და ავაზანნი და ყოველი წურჭერი სამსახურებელისამ“ წ, IV, მფ.25,14.

სულხან-საბა სიავს' განმარტავს, როგორც სპილენძის ქვაბს ZACDD; ავაზანს/ავზს, როგორც წყლის სადგურს ZA.

ავაზანი' ქართული ენის დიალექტებში (აჭარულში, მესხურში, იმერხეულში) არის „დიდი გეგა, ხის მოგრძო ვარცილი პირუტყვთათვის წყლის სასმელად.“ (დიალექტ; შ. ნიფარ., ი.მაისურ.). ქველში ავაზანი განმარტებულია როგორც სპეციალური პერმეტულად დახურული ჭურჭელი სითხეების სადღეუბლად ან გამოსახდელად.

ავაზანი, აბაზანა ფონეტიკური ვარიანტებია ერთმენეთისა და ნაწარმოებია ავზ-ფუძისაგან, ეს უკანასკნელი კი ქველში განმარტებულია შემდეგნაირად: ავზ-ი (ავზისა)[არაბ. ჰავზ.] 1. სპეც. სითხის საცავი დიდი დახურული ჭურჭელი ლითონისა - იგივეა, რაც ბაკი, ბენზინის ავზი; 2. ძვ. იგივეა, რაც აუზი.

მხელოვნურად გაკეთებული ტავლია წყალსაცავი; 2. გეოგრ. ტერიტორია, რომლიდანაც წყალი იკრიბება ამა თუ იმ მდინარეში, ტბასი, ზღვაში...

მამასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ ავზი//აუზი//ავაზანი//აბაზანა ლექსემები რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელი ერთეულებია: 1. ჭურჭელი (ღია-ქვაბი, სიავი, აუზი, ემბაზი, ავაზანი, აუზი); 2. ჭურჭელი (დახურული - ავაზანი სპეც., ავზი); 3. საბანელი - ავაზანი, აბაზანა. 4. პროცედურები - მზის, წყლის, ჰაერის, ტალახის...

ბურთი/ზირთვი. ძველ ქართულში ბურთის მნიშვნელობით დადასტურებულია ბურთუ' ფორმა: ბურთი, სფერო: „აღწერეს ხატთათვის ქუეყანისათა, ვითარმედ ბურთვს სახე არს იგი“ ზ. კეს. - ექუს. დღ. 123, 20. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ბირთუფ: გუნდა გორგალი, ბურთი.

სულხან - საბა ორბელიანის ლექსიკონში ნათქვამია: „ ბირთვ (ბირთვი ZBCabD) (+1 მფ. 19,13 ZA) შეკონვილი ZAB. კონა, გინა გრგვალიC. კონა D'". ხოლო ბურთის' შესახებ ავტორი ამბობს: ბურთი მრგვალი მემთაგან, გინა სხვაი რამ Z.

დ. ჩუბინაშვილი ბირთვს' განმარტავს როგორც „ ბურთისავით მრგვალი რამ, ან ზარბაზნის გულა, გამოსლვ. 25 - 35, 36. მასვე აქვს დადასტურებული ბირთუანი' ფორმაც „ბურთი, მრგვალი სხეული, გამოსლვ. 25-31“.

ქველის მიხედვით, ზურთი არის: 1. სათამაშო: დრეკადი მასალისაგან ( რეზინი, ტყვი...) გაკეთებული. მრგვალი საგანი, ჰაერით გაბერილი ანდა რბილი, მსუბუქი მასლით გამოტენილი; მაგარ რამეზე დახლა-მიხლოსას უკუ ხტის; 2. მაგარი, მკვრივი მასლისაგან ( ძვალი, პლასტმასი... გაკეთებული მრგვალი საგანი სათამაშო; 3. გეომეტრ. ოგევა, რაც სფერო.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი განმარტებები ემთხვევა ერთმანეთს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ზურთი ლექსიკონების მიხედვით არის „ ბირთვი შემისა სათამაშო სასასარეზო“, მაშინ, როცა ბირთვს ეს მნიშვნელობა არა აქვს.

ძველ ქართულში ბირთვ' და ზურთუ' ფუძეები ერთი მნიშვნელობისაა, მიუხედავად ფონეტიკური განსხვავებისა.

შემდეგში ხდება მნიშვნელობათა დიფერენციაცია. თუ ბირთვი' ბურთის ფორმის საგანს აღნიშნავს, ეს საგანი თავისი მახასიათებლით განსხვავდება ბურთისაგან. ის არის ლითონის, ან სხვა მძიმე ნივთიერებისაგან დამზადებული საგანი, მაშინ, როცა ზურთი' აღნიშნავს რა მრგვალი ფორმის სათამაშო ინსტრუმენტს, არის მსუბუქი, დრეკადი და თუ მძიმე და მკვრივი მასლისაგან არის დამზადებული, ოგი დიამეტრით შედარებით მცირეა. ამავე დროს, ზურთი' არ აღნიშნავს ორგანიზმის ან ნივთის ცენტრალურ ადგილს. ე.ი. გარდა ცნებითი განსხვავებისა, გვაქვს ფონეტიკური სხვაობაც.

ამოსავალი მნიშვნელობა ორივე სიტყვისა იდენტურია, ისევე, როგორც ოდენტური უნდა ყოფილიყო მათი ბგერითი შედგენილობა.

ზურთი-ბირთვი ლექსემების შესახებ საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა დ. ჩხუბიანიშვილმა, რომელშიც ოგი მოუთითებს, რომ ბირთუ ფორმა ძველ ქართულსა და მოგვიანო ხანის მწერლობაში იშვიათად გვხვდება.

მოულოდნელი არ არის, რომ ეს ორი სიტყვა მატერიალურადაც ერთმანეთს დაუკავშირდეს და ერთი და იმავე სიტყვის ვარიანტებად ჩაითვალოს" [ჩხუბიანიშვილი, 1974, 102].

საპირისპირო მოსაზრება აქვს გამოთქმული ილ. აბულაძეს, რომლის მიხედვით, ბირთვ' საკუთრივ ქართული და იშვიათად ხმარებული სიტყვაა [აბულაძე, 1950, XVIII-XX].

დ. ჩხუბიანიშვილი მოუთითებს ივ. იმნაიშვილის ნაშრომზეც [იმნაიშვილი, 1971, 114], რომელშიც ეს სიტყვები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ისინი (ბირთვ' და ზურთვ') მოყვანილია ხმოვანთა სუბსტიტუციის.

„როგორც დავინახეთ, ბირთუ' და ზურთუ' იმდენად ახლოს მდგომი სიტყვებია ძველ ქართულში, რომ ისინი ერთი სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტებად ( ივ. იმნაიშვილი), დიალექტურ ვარიანტებად ( ნ. მარი) მიიჩნიეს.

დ. ჩხუბიანიშვილის ამოსავალ ფორმად მიაჩნია ბირთუი', რომელმაც მოგვცა ბირთუი' და ზურთი' ფორმები. ჩვენთვის მისაღებია ახსნა, რომ ორივე ფორმისთვის ბირთვი', ზურთი' ამოსავალი ფუძე საერთო უნდა ყოფილიყო. მთავარი ამ შემთხვევაში ისიცაა, რომ სემანტიკურ ცვლილებას ახლავს ფონეტიკური ცვლილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით არა ორ სიტყვას ორი რეალის აღსანიშნავად, არამედ გვექნებოდა ერთი, პოლისემიური სიტყვა. ფონეტიკური ცვლილება სიტყვის მნიშვნელობის განვითარების ერთ-ერთი გზაა.

ასევე, ფონეტიკურად სახეცვლილი ლექსემებია: ბუდი/ზური რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია: 1. ჰაერის მონისლული ვარვარი, დიდი სიციხით გამოწვეული; 2. მტვერი...

ბეწვი/ზეწვა/ზეწო ბეწვი, ბეწვის ოდენა - სულ მცირე; ბეწვა (ბეწვასი)/ზეწო-მალიან პატარა, ერთი ციციანა...

ფონეტიკურად სახემეცვლო სიტყვებთან და მათ მნიშვნელობებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ფონეტიკური პროცესი, ერთ-ერთი ენობრივი საშუალებაა სიტყვაში ახალი მნიშვნელობის დამკვიდრებისა. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი შეგნებელი, მიზანდასახული შემოქმედების შედეგია. ენაში ამა თუ იმ მოვლენას თავისი კანონზომიერება აქვს. ასევე შეიძლება ითქვას ფონეტიკურ პროცესებზე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვის ბგერითი შედგენილობის შეცვლით ენამ, არა მიზანდასახულად, მაგრამ მაინც აირიდა რიგი სიტყვების მრავალმნიშვნელოვანობა და ახალი დენოტატის აღსანიშნავად სიტყვის ახალი ფორმა გამოიყენა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ფონეტიკურად სახემეცვლილმა სიტყვებმა ახალი პოლისემია შექმნან.

ფონეტიკურად სახემეცვლილი სიტყვები შეიძლება ძირითადი მნიშვნელობით არა, მაგრამ მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგიერთ კონტექსტში ეს განსხვავება საკმაოდ საგრძნობია, თუმცა ძირითადი მიმართებები მაინც შენარჩუნებულია.

#### ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1959 - ი. აბულაძე, ძველი ქართლის ლექსიკიდან: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.
2. აბულაძე, 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
3. არაბული, 2001 - ა. არაბული, ზნური და სახელური ფუძემდებლობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.
4. დიალექტ, 1989 - დიალექტოლოგიური კრებული, თბ., მეცნიერება, 1989.
5. იმნაიშვილი, 1971 - ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, წგ. II, თბ., 1971.
6. ქეღ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1990.
7. ქეღ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, თბ., 2008.
8. სულხან - საბა - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, II, თბ., 1991.
9. სულხან - საბა - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1993.
10. ჩხუბანიშვილი, 1974 - დ. ჩხუბანიშვილი, ძველი ქართლის ლექსიკიდან, მანგე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1974.

Natela Phartenadze

### Changing the Meaning of Phonetically Modified Words

#### Abstract

1. sarqmeli > sarkmeli; 2. betsvi > betsva, betso; 3. bugi > buri; 4. auzi > avzi; 5. burthi > bitrvi.

sarqmeli // sarkmeli, as it is proved according to the ethnological and archaeological documents, the word stood for a lid, which was used for covering a hole on a roof, which itself let the sunlight into, or the smoke out of the house.

According to the "Knight in the Panther's Skin" it is obvious that – sarqmeli – stands for a cover: "vefikhs tkavisa qdive iko sarqmeli tkavisa" (the cap was made from the panther's skin as well for covering the head), and its phonetic variant - sarkmeli - leads to the meaning of a window. After the frequent usage of this word, nowadays its meaning stands for a part of a window or for a tinny gap in a wall.

betsvi, betsva odna –(the least, betsva (betsvai), betso – very small, tinny.

bugi // buri has several meanings: 1. hot foggy air caused by a hot weather; 2. dust ...

auzi // avzi are the units that also have several meanings: 1. container; 2. place for bathing .... The meaning as a basin of a river or a sea is comparatively new one which is not related to the meaning of a container any more for its phonetic modification.

burthi // bitrvi. According to the dictionary "ball" stands for "a nucleus for playing games" while a nucleus has not the similar meaning. Nucleus is defined as a ball shape thing. For the both forms 'burthi' and 'bitrvi' ('ball' and 'nucleus') must have the one common initial forma. In this case, it is also significant that semantic modification is followed by its phonetic one as well.

ნათია ქათამაძე, მადონა მეგრელიშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
შოთ რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

## სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა

ლექსიკური მნიშვნელობის გამოყოფას საფუძვლად უდევს სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულებს შორის განსხვავება. ერთი და იმავე ენების გამომხატველი ერთეულები შეიძლება ენის სხვადასხვა დონეს განეკუთვნებოდეს.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის დახასიათებისას გასათვალისწინებელია სამი ასპექტი: სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული. სინტაქსური თვალსაზრისით, მოცემული ლექსიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია სხვა ენობრივი ერთეულების მნიშვნელობებთან –სინტაგმატურად (შესიტყვებასა და წინადადებაში) და პარადიგმატულად (ენობრივ სისტემაში). სემანტიკური თვალსაზრისით, ლექსიკური მნიშვნელობა, ვლინდება სიგნიფიკატური ან დენოტატური მნიშვნელობის სახით. პრაგმატიკული თვალსაზრისით, სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში გამოიყოფა პრაგმატიკული კომპონენტი ანუ კონოტაცია (connotation “დამატებითი მნიშვნელობა”), რომელიც ემატება კოგნიტურ კომპონენტს და სიტყვას ექსპრესიულობას ანიჭებს. ექსპრესიულობა (ლათ. expressio “გამოხატულება”) არის საუბრის თემისა და მსმენელისადმი მოლაპარაკის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა. კონოტაციები ხატოვანი წარმოდგენებია, რომლებიც მოლაპარაკეთა და მსმენელთა ენობრივებაში დენოტატს უკავშირდება. რეალურ ობიექტთან კავშირი აქ გამოხატულია ამ ობიექტის ენობრივი გამოხატულებით. მაგალითად, მანდილოსანი და ძაღლი სიტყვების დენოტატი ერთნაირია, მაგრამ პირველ მათგანს აქვს კონოტაცია, რომელიც მოიცავს დადებით შეფასებას (პატივისცემას), ხატოვანებას, “ამაღლებული სტილის ნიშნებს”.

ახლა კი განვიხილოთ სემიოტიკის სამი სფერო: სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკას შორის ურთიერთმომხმარებება ქ. მორისის და რ. ქარნაფის იდეებზე დაყრდნობით [Morris, Carnap].

მოცემულ კლასიფიკაციას უდავოდ ს. პირსთან მივყავართ, მაგრამ პირველი შენიერი, რომელმაც საკითხს ასეარად ნათელი მოჭინა გახლდათ ქ. მორისი; რ. ქარნაფმა კი მისი მოსაზრება ნიშანდობლოვად განავრცო. ქ. მორისმა აღნიშნა, რომ პრაგმატიკა და სინტაქტიკა საკმაოდ ბუნდოვანი ცნებებია. [C. Morris].

ადრეულ შრომებში ქ. მორისი პრაგმატიკას განმარტავდა როგორც სწავლებას ნიშანსა და მისი მომხმარებლის ურთიერთმომხმარებების შესახებ, სემანტიკას ნიშანსა და საგანს შორის ურთიერთმომხმარებების შესახებ სწავლებას, ხოლო სინტაქსი მიხით, გახლდათ სწავლება „ნიშანთა ურთიერთმომხმარებების ერთმანეთთან“ (ibid). შემდეგში მან უფრო დახვეწილი ფორმულირება წარმოადგინა, რომელიც ითვალისწინებდა „გავრცელებული კლასიფიკაციის შტრიხების შენარჩუნებას და მის თავისუფლებას ყოველგვარი შეზღუდვებისა და ბუნდოვანებისაგან და ტერმინების თავისუფალ ინტერპრეტირებას სემიოტიკის ფარგლებში“ (ibid). განახლებული განსაზღვრა შემდეგში მდგომარეობს: პრაგმატიკა სემიოტიკის ნაწილია, რომელიც უკავშირდება ნიშანთა წარმოებას, გამოყენებასა და ეფექტს ქმედებათა იმ ნორმის ფარგლებში, რომელსაც მოიცავს. სემანტიკა უკავშირდება იმ ნიშანდების პროცესს აღნიშვნის ყოველ ასპექტში; სინტაქტიკა კი ნიშანთა კომბინაციასთან ასოცირდება

ისე, რომ მხედველობაში არ მიიღება სპეციფიური სიგნიფიკაცია ან მათი დამოკიდებულება შესაბამის ქვეყნის ნორმებთან.

რ. ქარნაფის დეფინიცია ახლოსაა ქ. მორისის ადრეულ ფორმულირებასთან, მიუხედავად იმისა, რომ რ. ქარნაფს ყოველივე ლოგიკურობამდე დაჰყავს: თუკი კვლევისას ექსპლიციტური პოზიცია უკავია მთქმელს ან უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ენის მომხმარებელს, საქმე გვაქვს პრაგმატიკასთან, თუ მთქმელს გამოვეყოფით და ცალკეულ წინადადებებს და მათი აღნიშვნის ობიექტებს გავაანალიზებთ, ამ შემთხვევაში სემანტიკის სფეროში ვიმყოფებით, და თუკი საბოლოოდ ამ პოზიციიდანაც გამოვალთ და წინადადებებს შორის ურთიერთმიმართების ანალიზს მოვახდენთ, საქმე გვაქვს (ლოგიკურ) სინტაქსთან [Carnap].

ამ განსაზღვრაში "მომხმარებელი" ჩანაცვლებულია უფრო ზოგადი ტერმინით "მთქმელი", მაგრამ ბუნდოვანია რამ გამოიწვია ამ ტერმინის ზოგადი ხასიათი: მისმა კავშირმა წერილობითი სიტყვის ავტორთან, მთქმელთან, მსმენელთან, მკითხველთან თუ მის მომხმარებელთან. ერთადერთი რაც აშკარაა არის ის, რომ პრაგმატიკაში რ.ქარნაფი უპირატესობას ანიჭებს ნიშნის შწარმოებელს და არა მიმღებს. მაშინ, როცა ქ. მორისი ადრეულ ნაშრომებში პრაგმატიკას განიხილავს იმ თვალსაზრისით, როგორ ეფექტს ახდენს ნიშნები მომხმარებელზე, ერთ-ერთ გამომცემლობაში გამოქვეყნდა სტატიები, სადაც უამრავი ავტორი გამოთქვამდა თავიანთ მოსაზრებას ზემოთ განხილულ საკითხზე. აღსანიშნავია ერთი ფრაზა "პრაგმატიკა სწავლობს ნიშანთა მიმართებას ხალხთან"

რ.ქარნაფის თვალსაზრისით სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის განსხვავება უახლოვდება ენასა და ლოგიკას შორის დიფერენციაციას. სემანტიკა და პრაგმატიკა მნიშვნელობის ანალიზის ფუნდამენტალურად განსხვავებულ ფორმებს წარმოადგენენ. პრაგმატიკა შეესაბამება ისტორიულად არსებული ბუნებრივი ენის ემპირიულ კვლევას მაშინ, როცა წმინდა სემანტიკა სწავლობს კონსტრიქციულ ენას როგორც სისტემას. დესკრიფციული სემანტიკა კი მისი თქმით, შეიძლება ჩაითვალოს პრაგმატიკის ნაწილად [Carnap]. თავის ნაშრომში რ.ქარნაფის ფილოსოფიის შესახებ ქ.მორისი წერდა, რომ ეს უკანასკნელი პრაგმატიკას ემპირიულ დისციპლინად მიიჩნევდა და გამორიცხავდა მის იდენტურობას წმინდა სემანტიკისა და წმინდა სინტაქტიკასთან [Morris], არ არსებობს მიზეზი, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინები "წმინდა" და "აღწერილობითი" იმ ურთიერთობის ანალიზისას, რომელიც არსებობს ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის, ტერმინი "ლოგიკური" შეიძლება გამოგვეყენებინა სემიოტიკასთან მიმართებაში, რ.ქარნაფი ამ მოსაზრებას დაეთანხმა.

ქ.მორისი და რ.ქარნაფი შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ბუნებრივ ენაში მნიშვნელობის ანალიზისას ყველაფერი დაიყვანება პრაგმატულ ასპექტამდე. რ.ქარნაფი თავის უახლოეს ნაშრომში მიიჩნევს, რომ "ენას გააჩნია პრაგმატული ხასიათი" [Carnap]. ჯ.ლაიონზი ასკენის, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის სრულფასოვანი განსხვავების პოვნა შეუძლებელია [J. Lyons].

ორიოდე სიტყვით შევხვით სინტაქსის ურთიერთმიმართებას სემანტიკასთან. ლონგვისტები და ფილოსოფოსები გამოყოფენ ორი სახის იდეალური ფორმულის პრინციპებს, რომლებიც უკავშირდებიან წინადადებისა და ფრაზის კონცენტრაციას, პირველი განისაზღვრება მათი გრამატიკული ხასიათით, მეორე კი - მათი მნიშვნელობით. თუ სემანტიკა მნიშვნელობას შეისწავლის, მაშინ კომბინაციური ასპექტი ვრცელდება როგორც სემანტიკაზე, ისე სინტაქსზე. მაგრამ რ.ქარნაფისა და



ქმორისის დეფინიციას ეს მოსაზრება არ ესადაგება, სინტაქსის განსაზღვრების კრიტიკის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მასში არ არის მოცემული განსხვავება ფორმას, ლექსემასა და გამოთქმას შორის. აქედან გამომდინარე, არ არის დადგენილი, რა პრინციპით უნდა გამოვყოთ სინტაქსი ისეთი დისციპლინებიდან როგორცაა ენა და მორფოლოგია.

ამდენად, პრაგმატიკას ზევრი ლინგვისტი განიხილავს, როგორც სემანტიკის კონტრასტულ მეცნიერებას, მაგრამ ავიწყდება ერთი რამ, რომ ლინგვისტიკა სემოტიკის ნაწილს წარმოადგენს.

#### ლიტერატურა:

1. Carnap R. Introduction to Semantics. 1942, Cambridge, Mass MIT. Press
2. Carnap R. The Methodological character of theoretical concepts" 1956. In H feigl & M Scriven.
3. Morris Ch. Writings on general theory of signs. 1971. Paris.

Natia Katamadze, Madona Megrelishvili

### Syntactics, Semantic, Pragmatics

#### Abstract

Syntactics, or syntax, is concerned with the way sentences are constructed from smaller parts, such as words and phrases. Two steps can be distinguished in the study of syntactics. The first step is to identify different types of units in the stream of speech and writing. In natural languages, such units include sentences, phrases, and words. In artificial languages, lexemes, tokens, and formulas are usually found among the basic units. The second step is to analyse how these units build up larger patterns, and in particular to find general rules that govern the construction of sentences.

Pragmatics describes the effect a particular signal has on the behaviour of the receiver, thus the "relation of signs to (human) interpreters". If the effect is different from the senders initial intention a pragmatic disturbance occurs.

Pragmatics relate to some extend to usability. How will a user (receiver) act or react to a given condition. situation or signal (sender). It's become best practice to avoid underlining regular text in documents (emphasis), and reserve this practice exclusively for hyperlinks. Abstracting from context, syntax not semantics forbid the above mentioned practice.

Нана Каджая

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

### О воссоздании временной структуры текста в переводе

Выявление в тексте особенностей моделирования художественного времени, рассмотрение концепции времени позволяет постичь тайны творческой личности писателя, приближает к пониманию авторской модели мира. Следовательно, адекватное воссоздание пространственно-временных параметров произведений в инонациональных вариантах приобретает весьма важное значение. Анализ русского перевода романа Н.Думбадзе «Не бойся, мама!» позволяет утверждать, что в результате переводческих преобразований в русском варианте несколько меняется временная структура романа, в результате чего трансформируется авторская мысль.

Отношение персонажа к происходящему, к окружающей среде, к людям у Н.Думбадзе является своеобразным оценочным критерием. Оценивая персонаж в таком плане, автор выявляет и своё понимание вечных нравственных категорий. В художественном мире произведений Н.Думбадзе трагическое и комическое, светлое и тёмное, радость и горе неразрывны, они представляют собой два полюса, между которыми должен пройти человек, чтобы возродиться, очиститься. Каждой жизненной ситуацией писатель испытывает своего

персонажа, проверяет его человеческую сущность. Если трагедия потревожила человека, взбудоражила ему душу, значит ещё жив человек.

Для героев Нодара Думбадзе, да и для самого писателя, страдание и покой – вещи несомбастимы. Страдание кипит, горит в человеке, горе не забывается и не приглушается. Думбадзевский персонаж страдает, борется, терпит неудачу, теряет близких, всё случившееся переживает с детской непосредственностью, одновременно возрождается, вернётся, мужает и других влечёт за собой. Автандил Джакели знает, что значит терять, с детства жизнь даёт ему жестокие уроки. После гибели друга он не хочет, да и не может отдыхать, спать спокойно, развлекаться. Он хочет выстрадать смерть Щербинки.

Страдание для него море, из которого сухим не вылезешь: «Я только что вышел из моря! Да, да! Вот так – в зелёной фуражке, с зелёными погонами и с чёрным чемоданчиком в руках! Волной выбросило! А как вы думали? Разве из воды вылезешь сухим?..» (1,591). Это часть внутреннего монолога Авто, приехавшего в отпуск домой. Значение монолога становится ясным лишь в контексте всей проблематики произведения, так как всякая локализация сузит, даже исказит семантику отрывка. Лишь при рассмотрении всего произведения можно говорить о метафоре, которая возникает в монологе – это море страданий, так назвали бы мы эту метафору. Её Н.Думбадзе нагружает оценочно-прикладной функцией. Так он испытывает любого персонажа: кто же он? Как подействует на него жизнь? Чуткий человек из воды (т.е. на уровне подтекста – из жизни, из моря страдания) «сухим не вылезет».

Из монолога Авто можно предположить, что автор склонен к такому ответу, такой путь очищения и мужания готовит он своим любимым героям. Но существует и другой вариант ответа, который можно выразить известным выражением – «как с гуся вода...» Таких «счастливичков», которые вышли «сухими из воды (из «моря страдания»), которых жизнь не коснулась своими острыми углами, не заставила задуматься, в произведении довольно много.

После гибели друга Автандилу дали отпуск. Вернувшийся в Тбилиси Авто встречается с любимой девушкой – Дадуней. В отрывке писатель как бы сопоставляет, что же значили эти полтора года для Дадунь и для Авто? В ответе Дадуня преобладает количественный план – полтора года Дадуня живёт «по-старому»: учится, красит глаза и волосы, ходит в кино, летом была в Польше, танцует, поёт, пьёт немножко... Слово «по-старому» можно воспринять как ключевое, оно связывает данный отрывок с последующей вечеринкой.

Истинное значение опорного слова «по-старому» автор раскрывает именно на вечеринке. Следует отметить, что в русском тексте эта связь сохранилась, слово «по-старому» оказалось на своём месте. Ответ Дадуня невольно подчёркивает контрастность разных отношений к жизни. Акцентирование временного отрезка и мысленное сопоставление ответа Дадуня, её жизни «по-старому» и всей армейской жизни Авто указывает на отчуждённость, отсутствие душевной связи между ними. Полтора года в армии для Авто стали целой жизнью. Он уснул многое: познакомиться с новыми людьми, понять их боль и радость, приобрести и потерять друга, возмужать и в то же время остаться так же детски чистым и наивным.

Авто чувствует, что у Дадуня и её друзей другая жизнь, другие идеалы. Хоть и суетятся, спорят, читают стихи, обсуждают статьи, всё же Авто видит в их жизни фальшь, в общении с ними его никогда не покидает ощущение суррогата, нет подлинной жизни, есть только внешний лоск – стихи желательно модные, роаяль, коньяк, модное для тех времён упоминание Ремарка. В этой полубогемной обстановке всё красиво, блестяще, но стоит только не согласиться с общепринятым в среде мнением, попытаться поспорить, высказать своё мнение, то взамен можно получить в лучшем случае ироническую улыбку, но можно получить и оплеуху.

Истинное положение Авто уже понимает, но всё-таки идёт с подругой на вечеринку. Он хочет окончательно определиться, нащупать свой путь. И здесь автор раскрывает смысл скользя брошенной Дадуней в предыдущем эпизоде слова «по-старому». Слово

наполняется более острым, не во всём положительным смыслом.

На вечеринке собрались молодые люди. Изменились ли они за эти полтора года или «вышли сухими из воды»? – это интересует не только Авто, а ещё больше именно автора. Разумеется, вопрос не ставится прямо, он постоянно чувствуется в подтексте.

Действие на вечеринке разворачивается, казалось бы, безо всякой указки автора. Но ещё до начала беседы персонажей писатель как бы нечаянно бросает слово “ისევ”: “ჩემს პირდაპირ გელა იჯდა, გვერდით ისევ მკლავებდაპერილი მუტრუკი ანზორი ეჯდა” [დუმბაძე, 1989:203]. Слово “ისევ” должно насторожить читателя – оно означает: ничего не изменилось, жизнь течёт «по-старому».

Отмеченная важная деталь в русском тексте представлена в несколько ином виде. В нём появляется совершенно новая фраза, она автором русского текста добавлена «от себя». В переводе этого эпизода подчёркивается статичность, неподвижность в жизни молодых людей, собравшихся на вечеринке: «Всё здесь было так же, как тогда, полтора года назад, у Дадуну» [Думбадзе, 1986: 597]. В русском варианте психологически всё верно, уловлены авторское намерение и общая семантическая настроенность, однако думбадзевские полутона проявились слишком резко. Русская фраза лишена той многозначности, которая наличествовала в грузинском тексте, так как за ней сразу же следует описание комнаты (чего, кстати, нет в оригинале): «Полумрак. Удобные кресла. Стол с фруктами...» [Думбадзе 1986: 597]. В результате таких преобразований в русском варианте преимущественно подчёркивается статичность обстановки, интерьера. Тогда как думбадзевское “ისევ” можно понять шире, многозначно – нет динамики ни в физическом, ни в духовном плане, за это время ничего не изменилось у гостей ни внешне, и, как читатель убеждается дальше, ни внутренне.

Отмеченную мысль писатель усугубляет и тем, что акцентирует некоторую резкость перехода от описания комнаты к данной мысли. Автор безо всякой подготовки, несколько неожиданно, можно сказать, «в лоб» констатирует, что „გვერდით ისევ ანზორი ეჯდა“. Этим автор как бы уже в начале подчёркивает, что для друзей Дадуну словно и не прошли те полтора года. Автор не акцентирует время, так как жизнь, прошедшая за это время, ничего не прибавила присутствующим на вечеринке, ничему их не научила. Поэтому писатель намеренно обезличивает временной план. К сожалению, эта художественная тонкость в русском тексте не чувствуется, наоборот, подчёркивается временной интервал между событиями. А это несколько меняет повествовательную структуру произведения: если в оригинале достаточно сильно чувствовался динамично-повествовательный характер, то в русском тексте он заменяется описанием.

Нами сравнивался не только русский перевод с оригиналом, но и разные редакции переводного варианта. Так, русский вариант романа «Не бойся, мама!» 1972 года существенно отличается от окончательной редакции 1986 года. Опущение некоторых моментов нарушает обусловленность действий персонажей. Например, «Как дела во Вьетнаме, генерал?» - съязвил Гела. Автандил, желая нанести контрудар и напомнить ему первую вечеринку, просит прочитать стихи. В оригинале ирония ясна. А в русском тексте без этой предварительной сценки непонятно, почему Авто просит Гелу прочитать стихи, ведь между ними явная неприязнь. Конечно, подобного характера пропуски заметно не нарушали течение авторской мысли, от этого всё-таки, прежде всего, страдает думбадзевский язык, который лишается характерной сочности, гурийского юмора. В русской редакции 1986 года видны попытки восстановить пропуски отмеченных подробностей.

Заключительный монолог Автандила в оригинале длиннее, объёмнее и эмоциональнее, чем на русском языке. Описывая избиение персонажа, писатель вновь пользуется словом “ისევ” („უცებ ისევ დარეკა საფეთქელში უზარმაზარი ზარმა“) [დუმბაძე, 1989: 214], а в русском тексте уточняется: «Потом вдруг зазвонил огромный колокол... точно так, как тогда, полтора года тому назад у Дадуну» [Думбадзе, 1986: 605]. Хотя здесь слово “isev” не столь многозначно, как в предыдущем отрезке, но всё же лучше сохранить его, чтобы обеспечить динамичность, «сиюминутность» повествования (т. е. повествование в момент речи от лица персонажа). Уточнения временных подробностей в русском тексте усиливают

описательность, что вообще свойственно авторской речи. Кроме того, в данном эпизоде самовольно восстанавливаются подробности первого избиения (слова о фарфоровых слониках), чего нет в оригинале.

Столкновение Автандила с друзьями Дадуны критик Джансуг Гвинджилия сравнивает с дуэлью: «Эта дуэль чистоты и грязи, нравственной цельности и праздноности, легкомыслия...» (ღვიბეჯილია, 1982: 557). Думаем, что здесь нет преувеличения. Однако дуэль эта своеобразна тем, что она протекает по законам оптимистического мира Нодара Думбадзе. Баланс между противоборствующими силами должен измениться в пользу Автандила, его внутренняя чистота и глубокая нравственность должна повлиять на кого-нибудь из друзей Дадуны. Иначе картина останется неполной, нравственная чистота и добрые порывы Автандила окажутся «невостребованными». И писатель-гуманист в концовке этого отрывка показывает, как тает лёд. Этот необтёсанный, иногда вызывающе действующий парень всё-таки заставил друзей Дадуны «заглянуть в себя», задуматься. Н. Думбадзе со свойственным мастерством рисует внутреннее состояние Автандила после разрыва с кругом Дадуны. Обессиленный, опустошённый персонаж присел на тротуар. Чувствует он себя побеждённым, так как не смог донести до друзей свою выстраданную любовь к родной земле, не нашёл среди них понимания, сочувствия, связь с молодыми людьми оборвалась, осталась пустота. Из оцепенения Автандила выводит прикосновение чьей-то руки. Это Гиви, который просит его подарить письмо Щербины. Баланс изменился, и он проявился в этой просьбе. В душе Гиви происходит какое-то движение, горячие, даже злобные слова Авто, сказанные им на вечеринке, заделали его. Может быть, Гиви потому и хочет сохранить письмо незнакомому, простого украинского парня Щербины как напоминание о главном, как поддержка на пути к душевному перелому.

Это чисто думбадзевский финал, предопределённый активным гуманизмом писателя. Весьма важно, что на русском языке он звучит так же сильно и многопланово, как и на грузинском. Самое главное, русский читатель ощущает, что за Автандилом стоит автор, он высказывается посредством мнения персонажа. Однако трансформация временных подробностей текста приводит в ряде случаев к нивелировке некоторых моментов авторского идиостиля.

#### Литература:

1. ღვიბეჯილია გ. (1989): რჩეული თხზულებანი 4 ტომად. თბილისი, "მერანი".
2. ღვიბეჯილია გ. (1982): გზა სიხათლისაკენ. თბილისი, "მერანი".
3. Думбадзе Н.В. (1986): Собрание сочинений в 2-х т. Тбилиси, «Мерани».

Nana Kajaia

### On Reproduction Time Frame of Texts in Translation

#### Abstract

Modeling of fictional time in literature and revealing their peculiarities in the text, speculation of the conceptions of time usher to the art secrets of writers and make easier understanding of the author's model of the world. Therefore, adequate reproduction of spatial and time-related parameters in the translated fiction assumes much significance. The analysis of the Russian translation of the Georgian novel "Don't Be Afraid Mother" by Nodar Dumbadze leads to major outcomes, that the Russian version, due to the translational transformations offers an altered perception of the timeframe of the novel. The author, depicting Daduna and his careless friends while having fun, intentionally blurs the timeline, removing the focus from the time interval between various events. This intention points out the blankness of the time, which added nothing to the lives of those who we met spending their time at the party. We can figure out, that the passed time didn't serve them a lesson. The comparative analysis of the SL and TL texts give ground to stipulate that translation leaves abstruse the author's intention, since it gives priority to highlighting the static environment. The outcome of the timeline transformations in the Russian translation is that it intensifies depictive moments, what is mostly characteristic to the author's speech. In difference, the original work embeds extensive feeling of dynamism and "live talk" of the narration.

ელისო ქორიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ენათა შეპირისპირების პრობლემებისათვის

თანამედროვე ენათმეცნიერების განსაკუთრებით აქტუალური დარგი კონტრასტიული ლინგვისტიკა, „საერთო მახასიათებლის“ დადგენის საფუძველზე ახორციელებს ენათა ურთიერთშედარებას. ხდება ენათა ფაქტობრივი გამოკვლევა, ხოლო შეპირისპირების შედეგები და დასკვნები ასევე მეთოდურ-დიდაქტიკური მიზნებით გამოყენება. კვლევა ეყრდნობა ორი ენის სტრუქტურის, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაციას და კლასიფიკაციას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ ენობრივ დონეზე გადმოცემული მნიშვნელობა შესაპირისპირებელ ენაში სხვა დონის ერთეულებითაა წარმოდგენილი, მხოლოდ ენობრივ დონეზე აღწერითი კვლევები სასურველ შედეგს ვერ იძლევა. აუცილებელი ხდება ენობრივი გამოხატულების საშუალებების კოგნიტიური მინარსების თავისებურებების წინ წამოწევა, რაც განაპირობებს ორი ენის შეპირისპირებით ქაღალდში შესწავლისას როგორც კულტურული, ასევე - მენტალურ-ფსიქოლოგიური დონეების შესწავლას.

აღიარებული მოსაზრებების მიხედვით, ყოველ ენობრივ სისტემას თავისი განსაკუთრებული სემანტიკური სტრუქტურა გააჩნია, რომელიც მოიცავს როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ განზომილებებს. ყოველი ენა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოდელით წარმოდგენს რეალობას. მაგალითად, ერთი ენის ლექსემას მეორე ენაში შეიძლება რამდენიმე ეკვივალენტი ჰქონდეს, მაგრამ განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის საკომუნიკაციო სიტუატიიდან გამომდინარე მისი გამოყენება - უნდა შეირჩეს მხოლოდ ერთი. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ხშირად ხდება ლუი იელმსლევის კლასიკური მაგალითის გამოყენება, რომლის მიხედვითაც ფრანგულენოვანი მოლაპარაკისათვის სიტყვას - *Glas* შეიძლება გამოყენების სფეროდან გამომდინარე, ჰქონდეს მრავალი მნიშვნელობა: *vert, bleu, gris*. ლინგვისტები ამ დროს მიუთითებენ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა „პოლისემია“, „ეკვივალენტი“ და სხვ. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოება, რომ ენობრივ სივრცეში არ არსებობს აბსოლუტური ეკვივალენტები. მაგალითად, გერმანულ *Taate* - ს ქართულში შეესაბამება როგორც დეიდა, ასევე - მამიდა და ხიცოლა.

ენების შეპირისპირებისას ყურადღება უნდა მიექცეს ე.წ. ენათაშორის ომონიმას, რომელიც ლექსიკის დონეზე ვლინდება. მაგალითად ინგლისური *genial* ლექსიკონში განმარტებულია როგორც:

1. გულკეთილი, გულითადი, კეთილმოსურნი; მხიარული, ლაღი... 2. რბილი (ითქმის ჰავის და ა.შ. შესახებ)...3. იშვ. საქორწინო... 4. მოძვ. ნაყოფიერი; 5. მოძვ. სადღესასწაულო, საზეიმო; 6. იშვ. გენიალური [ინგლისურ-ქართული ლექსიკონი 1998, 31].

გერმანული ლექსიკონების მიხედვით *genial* ნიშნავს გენიალურს, ძალიან ჰკვიანურს (ჰკვიანურს), რაც ასევე ქართულის მნიშვნელობას უახლოვდება. წარმოდგენილი ლექსემების შეპირისპირება ამ ენებში უჭვენებს ფორმისა და მეტყველების ნაწილთა სისტემაში ადგილის მსგავსებაზე, მაგრამ მნიშვნელობის მხრივ განსხვავებაზე. ამგვარად, თვით მონათესავე ენებშიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასეთ მოვლენებს, რაც არამონათესავე ენების შეპირისპირებისას უფრო მკვეთრად ვლინდება.

ასევე ძალიან საინტერესოა ორი ან რამდენიმე ენის ბგერით სისტემებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა და შესწავლა. ცნობილია, რომ ყოველი ენის ბგერით სისტემას ახასიათებს საწარმოთქმო ორგანოების მიერ შესრულებული მოძრაობების თავისებურება. საკმაოდ რთულ და ძნელ საქმეს წარმოადგენს უცხო ენის საარტიკულაციო ბაზის ათვისება, რაც დასტურდება იმით, რომ უცხოელი, მიუხედავად ენის უზადო ცოდნისა, „უცხოური აქცენტით,“ ანუ ბგერების არტიკულაციით შეიგნობა. ყოველი ენა ფლობს განსაკუთრებულ საწარმოთქმო თავისებურებებს. მაგალითად, ტუჩების მეტ-ნაკლები აქტიურობა, ენის მდგომარეობა, რბილი და მაგარი სასის მდგომარეობა და ა.შ. [ქორიძე, 2009:7].

კიდევ უფრო თვალსაჩინოა განსხვავებები ორ ენას შორის სინტაქსის დონეზე, რაც ხშირად ენობრივი ინტერფერენციის წყაროა. ერთი ენის სიტყვათაწყობა და ენობრივი სტრუქტურები ენობრივ კომუნიკაციაში ზეგავლენას ახდენს მეორე ენის სიტყვათაწყობაზე და სტრუქტურებზე. ასეთ შემთხვევაში კომუნიკაციური სიტუაცია ამ ენისათვის უჩვეულო ხელოვნური ფრაზებითაა შედგენილი, რამაც შეიძლება თვით აზრის დამახინჯებამდე მიგვიყვანოს.

მსგავსი განსხვავებები არსებობენ ენებში მორფოლოგიის დონეზეც. მაგალითად, სქესის კატეგორია, გერმანულში განსხვავებენ სამ გრამატიკულ სქესს, ფრანგულში ორს, ქართულში არც ერთს. უნდა აღინიშნოს, რომ გრამატიკული კატეგორიები უშუალოდ არ აირეკლავენ რეალობას. სქესის კატეგორიის ნამდვილი შინაარსი და მნიშვნელობა სხვადასხვა აბსტრაქტულ ფენებზეა განლაგებული. ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ახსნას სქესის კატეგორიის შინაარსობრივი სიღრმეები და მოუთითებს, რომ მამრობით სქესს შეესაბამება „აქტიური,“ მდედრობით სქესს „პასიური“ შინაარსი, ამის საპირისპიროდ, საშუალო სქესს უფრო „ნეიტრალური“ ხასიათი შეესატყვისება. და ა.შ. „Das Maskulinum scheint das frühere, gröÙere, festere, sprödere, raschere, das tätige, bewegliche, zeugende.. Das Femininum das spätere, kleinere, weichere, stilere, das leidende, empfangende. Das Neutrum das erzeugte, gewirkte, stoffartige, generell unterentwickelte, collective.“ [Grimm J. 1890. 14]

ი.ალბრეხტის მიხედვით, დროის კატეგორიაც, კერძოდ, წარსული დროითი ფორმა, ერთმანეთისაგან არცთუ ძალიან დამორებულ გერმანულსა და ფრანგულში შინაარსობრივ განსხვავებებს ექვემდებარება: „Es genügt ein vergleichender Blick in die klassischen Paradigmata einer beliebigen deutschen und französischen Schulgrammatik um sich darüber klar werden, dass die beiden Sprachen ziemlich unterschiedliche Tempussysteme haben und dass man somit vernünftigerweise von vorneherein nicht erwarten darf, genaue Äquivalente zu finden. Problematisiert werden dergleichen inhaltliche Inkongruenzen allerdings meistens nur in den Fällen, wo sie besonders klar zutage treten...“ [Albrecht J. 1998, 11].

მოსაზრება ცალკეული ენების სემანტიკურ სტრუქტურებზე დაკავშირებულია ენის ფილოსოფიასთან და სუპირის, ჟორჯის, ჰუმბოლდტის და ვაისგერბერის სახელებთან. როგორც მ.ვეენცაძე თავის წიგნში „ლინგვისტური გერმანიისტიკა“ აღნიშნავს: „...სამყაროს ეროვნულ-ენობრივი სურათები ათასწლეულობით ყალიბდება - მათ ქმნიან თაობები, რომლებიც ენაში დებენ საკუთარ აზრსა და გრძობას, განასხეულებენ მასში თავისი მსოფლგაგების განუმეორებლობას; ამის შედეგია ის, რომ ენა გაჯერებულია წინა თაობათა განცდებით და ცოცხლად ინახავს მათ სუნთქვას. ენათა შეპირისპირებითი შესწავლა სამყაროს ენობრივ სურათზე ორინტირებით საშუალებას გვაძლევს „ჩაწვდეთ ხალხის სულს ენათა აგებულების მიხედვით,“ დავუკავშიროთ ხალხის სულიერი თავისთავადობა ენის შინაგან წყობას, ენის მემკვიდრით განპყრობით ეროვნული სულის თვითმყოფადობა.“ (ვ.ჰუმბოლდტი) [ვეენცაძე მ. 2009: 229].

ამგვარად, ორი ენის კონტრასტიულ პლანში გამოკვლევისას მხედველობაშია მისაღები სამი უმთავრესი დონე: სოციოლინგვისტური -გარკვეულ ენობრივ სიტუაციაში ორი სხვადასხვა ენოვანი სოციუმის კონტაქტი, ფსიქოლინგვისტური - კომუნიკაციის მონაწილეების ინდივიდუალური ორენოვნება, ლინგვისტური - ორი დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის ურთიერთქმედება. ეს უკანასკნელი განისაზღვრება ვერბალური კომუნიკაციის სოციალური ფონით. ენას, რაღაც აუხსნელი ძალის მიხედვით, აქვს უნარი გადალახოს ყველა სახის ძალმომრეობა, რაც ასევე ამ ენის მატარებელთა ფანატიკური, მებრძოლი და კულტურული თვისებებითაც განისაზღვრება [Albrecht J. 1998: 15]. ინგლისი ნორმანდიელთა შემოსევის შემდეგ არ გახდა ფრანგულენოვანი პროვინცია. რუსეთის ექსპანსიამ საქართველოში ვერ გააბატონა რუსული ენა. მიუხედავად იმისა, რომ მმართველ წრესთან დაახლოებული მაღალი საზოგადოება ხშირად თავს მოხვეულ უცხო ენაზე უარს არ ამზობდა. ამგვარად, ქვეყნის დაპყრობა არ ნიშნავს ენის დაპყრობას, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ენა და მისი მატარებელი საზოგადოება, მით უფრო ძნელია მისი დამორჩილება.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ ენათა კონტაქტი შეიძლება ემყარებოდეს არა საერთო სისტემურ-სტრუქტურულ თავისებურებებს, არამედ საერთო გეო-პოლიტიკურ არეალს. მაგალითად, აღნიშნულის საილუსტრაციოდ ხშირად ასახელებენ ბალკანურ ენებს, რომლებიც წარმოადგენენ ენობრივ გაერთიანებას, თუმცა გენეალოგიურად შორს არიან ერთმანეთისაგან.

ენათა გაერთიანებები ყალიბდება ხანგძლივი და საყოველთაო მრავალროვნების ფარგლებში. ენობრივი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ალბათ ძნელი იქნებოდა იმის გაგება, რომ უზრალო ხალხი ფლობდა რამდენიმე ენას, მაგრამ ალბათ ამას განაპირობებდა ის გარემოება, რომ ამ ენებს ნაწილობრივ მაინც ჰქონდათ რაღაც საერთო. უკვირიაჰის მიხედვით, ზოგჯერ ხდება ენათა კავშირების ფართო პლანით წარმოდგენა, კერძოდ, როგორც ენათა არეალური გაერთიანებებისა. მათ აქვთ საერთო გადაკვეთის ხაზები რომელიმე დონეზე, მაგალითად, ფონოლოგიურ ან გრამატიკულ დონეებზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მკვლევარი ასახელებს ბერძნულს, რომანულ და გერმანიკულ ენებს, სადაც წარსული დროის წარმოებას აქვს იდენტური სტრუქტურა - დამხმარე ზმნა+მიმღეობა [Weinreich U. 1970: 123].

რაც შეეხება ფსიქოლინგვისტურ კვლევას, მისი სფეროა თუ როგორ თანაარსებობს ადამიანის ენობრივებაში ორი ენობრივი სამყარო. ფსიქოლინგვისტური ასპექტი შეისწავლის ურინარს და სიღრმეში მიმალულს, თუმცა წარმატებული ენათაშორისი კონტაქტებისათვის უმნიშვნელოვანესს და განმსაზღვრელს.

#### ლიტერატურა:

1. გვენცაძე მ. ლინგვისტური გერმანისტიკა. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2009.
2. ლუბანიძე ვ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ენა და კულტურა. 2004.
3. რამიშვილი გ. ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები. თბილისი. 1978.
4. ქორიძე ე. გერმანული და ქართული ენობრივი სამყარო -terium comparationis. გამომცემლობა „მბმ-პოლოგრაფი“ ქუთაისი. 2009
5. Albrecht J. Linguistik und Übersetzung. Niemeyer.1989.
6. Grimm J. Die deutsche Sprache. Berlin. 1890.
7. Weinreich U. Erkundungen zur Theorie der Semantik. Tübingen.Niemeyer.1970.

Eliso Koridze

#### Religious Parameters in Sociolinguistics

#### Abstract

The existence of the nation and the language features were defined by the religion during the centuries.

The outer world is revealed in the language and religion and forms its model, religion – with its religious system, language – with its lexical and grammatical system.

It is worth noting that philology managed to save religious texts on the formation of its first stage.

ეკა ქრისტიანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

**რიტორიკა და ინტერკულტურული დიალოგის დისკურსული  
დამუშავება უცხო ენის სწავლებაში**

სასწავლო პროცესის არსის განმსაზღვრელი ოდითგანვე იყო გრამატიკა ენის შესწავლის, დაუფლების საშუალება, რიტორიკა - წერითი და ზეპირი მეტყველების განმსაზღვრელი სტილი და დიალექტიკა - აზროვნების წერტილის საშუალება. თუ ადამიანი სიტყვიერების ამ სამ ელემენტს შეისწავლიდა, მას თავისუფლად შეეძლო ენობრივი, სტილისტიკური და ლოგიკური მსჯელობა, შესაბამისად, აზრის სასურველი განვითარება, ჩამოყალიბება.

რიტორიკა ანტიკურ ხანაში პოლიტიკურად და ეთიკურად ჩამოყალიბებული სამჭევრმეტყველო სასწავლო სისტემას ნიშნავდა (Redekunst), რომელიც მეტყველების ხელოვნების შემდეგ ფაზებს მოიცავდა: 1) მასალის მოძებნა - შერჩევა ( inventio), 2) მისი დაყოფა და ენობრივი სტილიზირება ( dispositio, elocutio) და 3) წარმოთქმა, საუბარი, მოხსენება (actio). მას თან ერთვოდა სტილის სახეობები (უბრალო, შუალედური და ამაღლებული), სტილური ხარისხი ( სწორი - latinitas, გასაგები - perspicuitas, მართებული - aptum, კაზმული - ornatus). ანტიკური რიტორიკა ითვლისწინებდა სტილისტიკისა და პრაგმატიკის დღევანდელი გაგებით აღიარებულ სისტემას. ამიტომ მრავალი ანტიკური კლასიკური რიტორიკული წესი ციკერონიდან დაწყებული, ინტერნეტით დამთავრებული, დღესაც ძალაშია და პედაგოგისაგან ითხოვს რიტორიკულ ცოდნასა და რიტორიკულ განსწავლულობას.

გერმანულენოვან სამეცნიერო-პედაგოგიურ ლიტერატურაში მდიდარი მასალა მოიპოვება სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა რიტორიკული მომზადების პრობლემებზე. ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული უმაღლესი სკოლის პედაგოგებზე, მათ კვალიფიკაციასა და, შესაბამისად, სტუდენტთა რიტორიკულ მომზადებაზე. საქმე ისაა, რომ სასწავლო რიტორიკამ, როგორც ენობრივი ქმედების თეორიამ შუა საუკუნეებიდან დღემდე ცვალებადობა განიცადა. იგი დღეს არა მარტო სიტყვაკაზმული მეტყველების ხელოვნებაა - იგივე კლასიკური რიტორიკაა თავისი რიტორიკული ფიგურებითა და ტროპებით [ქრისტიანაშვილი, 2006], დღევანდელი „თანამედროვე რიტორიკა“ ანტიკურ ტრადიციებზე დაყრდნობით სხვადასხვა მიზნებს ემსახურება, კერძოდ:

სოციალურად და ფსიქოლოგიურად განპირობებულ კომუნიკაციას (ამერიკელი მეცნიერის [Hovland, 1953]. ეს ე.წ. ახალი რიტორიკაა (new rhetorics). გაგებინების კვლევისა და მისი გამოყენების სფეროებს. ე.წ. გამოყენებითი რიტორიკა (angewandte Rhetorik).

არგუმენტაციის თეორიას [Perelman, 1977].

როგორც საჯარო ინსტრუმენტი ემსახურება დემოკრატიულ საზოგადოებას [Gadamer, Habermas, Kopperschmidt].



რიტორიკა ენათმეცნიერების კუთვნილებაა. იგი პრაგმატიკულად ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკით განისაზღვრება. თავისი პრაგმატიკული ასპექტით რიტორიკა გამიზნულ და მიზეზობრივ ზემოქმედებას – პერლოკუციას ახდენს. მას აქვს სიტუაციის შესაბამისი ცვლადი ტექსტშიდა არგუმენტაციული და სტილისტიკური სტრუქტურა. ლინგვისტიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლინგვისტიკის ინტერდისციპლინარულ კვებაში მყოფი რიტორიკა ძირითად საკითხად წინ წამოსწევს დისკურსული საუბრის შესაძლებლობებსა და მანიპულირების საზღვრებს. დამუშავებულია რიტორიკული წერტილის მრავალმხრივი შესაძლებლობები, შემუშავებულია საკვანძო საკითხები, დასმულია აქცენტები. რიტორიკა არა მარტო ფონეტიკური თვალსაზრისით გაგებული საუბრის ხელოვნებაა, არამედ სასწავლო პროცესის კოპერენტული სახეა. ვერ დავასახელებთ ქართულ უნივერსიტეტს, რომ რიტორიკა იკითხებოდეს. ზოგიერთ უნივერსიტეტში იკითხება საგანი „მეტყველების კულტურა“, რომელიც ძირითადად პრესკრიფციული (ნორმატიული) ხასიათისაა არადა, რიტორიკული დისკურსის ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება ლექტორს სასწავლო-მეცნიერული მასალის მიწოდებელსა და სტუდენტის რიტორიკულ მწვრთელს. შემდეგ კი მოეთხოვება სტუდენტს. მის მიერ დამუშავებული თუ დასამუშავებელი მასალის შესწავლისათვის.

თანამედროვე რიტორიკა ითვალისწინებს საზოგადოების დინამიკით განპირობებულ კულტურათათმორის კომუნიკაციებსა და სხვა კულტურებთან კონტაქტებს, საკუთარი და უცხო სურათებისა და წარმოდგენების აღქმასა და განვითარებას. ცნობილია, რომ ადამიანის ჭეშმარიტი სახე ისე კარგად არსად ჩანს, როგორც სხვისი განსაჯის, განკითხვის, სხვაზე მსჯელობის დროს. გერმანულ სასკოლო პედაგოგიაში კარგადაა დამუშავებული ინტერკულტურული სწავლებისა და სწავლის საკითხები. უმაღლეს სკოლაში მოღვაწე პროფესიონალის მიერ საკუთარისა და უცხოს შეცნობა-გაგება ისეთ დიდაქტიკურ დისკურსთანაა დაკავშირებული, რომელშიც გათვალისწინებულია ნებისმიერი თეორიული დისციპლინის კონსტრუქციული პერსპექტივები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა თანამედროვე უნივერსიტეტის აუდიტორიაში, რადგან პედაგოგი დღეს არა მონოლოგის წამყვანია, არამედ დისკურსული დიალოგის მოდერატორი.

1) რა უნდა მოეთხოვებოდეს რიტორიკულად მოზადებულ პედაგოგს?

სიტყვიერება და მეტყველება ნებისმიერი საგნის სწავლებისას პედაგოგის ლოგოსფეროა, რომელიც მეცნიერთა თაობების მიერ შექმნილი და პედაგოგის მიერ შემოქმედებითად დამუშავებული ტექსტისაგან შედგება. ამ ტექსტებში რიტორიკა წარმართავს აზრის მიმართებას სიტყვასთან, ჩანაფიქრის სიტყვიერ განხორციელებას. ამ პროცესს თავისი უნივერსალური ალგორითმი აქვს: ჩანაფიქრი, პედაგოგის მიერ მისაწოდებელი მასალის შინაარსის შემოქმედებითად ჩამოყალიბება, და ხოლმე, ყოველივეს სიტყვით გამოხატვა.

რიტორიკული მეთოდი ითვალისწინებს შემდეგს: პედაგოგს, სამეტყველო სიტუაციას, სალექციო თემატიკას, მის სტრუქტურას და ენობრივ გამოხატვას, სიტყვიერ სტილს. პედაგოგი სიტყვის საშუალებით ახდენს მასალის დისკურსულ დამუშავებას, ოპერირებს ენით (ენობრივი მასალით), იძლევა მასალის მსოფლმხედველობრივ ჭკერებას, მისი ემოციურ-შემფასებლური დამოკიდებულებით. პედაგოგის სიტყვიერება პოლილოგია, რომელშიც სხვადასხვა დროს ენათმეცნიერთა აზრობრივი და კულტურული სახეა თავმოყრილი. აუდიტორიასთან, სტუდენტებთან დიალოგში, პრაგმატიკულ ურთიერთობებში, აუდიტორიის კულტურულ გარემოში ხდება მისი რეალიზება [Сашева, 2001]. ამრიგად უმაღლესი

სკოლის პედაგოგის მონოლოგიური ტრადიციები განვლილი ეტაპია. რიტორიკული პროგრამა საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს დისკურსული დიალოგის დონეზე, პედაგოგისა და სტუდენტთა აქტიურობით, დარგობრივი დისკურსის დესკრიფციული (ემპირიული და ჰერმენევტიკული ანალიზი) და პრესკრიფციული (ნორმატიული, აღქმა, შეფასება) დიდაქტიკური დამუშავებით.

რასაკვირველია, საჭიროა რიტორიკული წესების ცოდნა: 1) ყოველგვარი მეტყველება, საუბარი, ინფორმაცია, საქმის ვითარების აღწერა - გადმოიცემა სიტყვით, ხმით და სხეულის ენით. ამას სამი V-ს პრეზენტაცია ჰქვია: verbal (საუბარი), para-verbal (არტიკულაცია, მახვილი, ტონალობის სიძლიერე, საუბრის ტემპი, პაუზა) და non-verbal (აუდიტორიაში გამოჩენა, წარდგომა, მზერა, მიმიკა, დგომა, ექსტიკა, მოძრაობა).

2) რიტორიკის ერთერთი მნიშვნელოვანი მეთოდია: ინფორმაციის გაცემა-მიღების აქტიური პროცესი, ე.წ. Feedback-Methode.<sup>7</sup> სასწავლო პროცესის ოპტიმალიზაცია იწყება, უპირველესად, საკუთარი თავისა და სხვისი აღქმით, საკომუნიკაციო არეალისა და ზეგავლენის გაგნობიერებით.

აუდიტორიაში ფეხმდგომულ პედაგოგს, მართალია, გერ სიტყვაც არ უთქვამს, მაგრამ მისი სხეული უკვე ლაპარაკობს. არავერბალური სიგნალები გვაძინობს პედაგოგის უსიტყვო შეტყობინებას: თქვენთან კონტაქტი მიზარია და მინდა საჭირო ცოდნა გადმოგეთ. ასევე უსიტყვოდ ჩანს, სტუდენტები პატივისცემით განწყვენენ თუ არა, აუდიტორია ღია კონტაქტის მოსურნეა თუ კონტაქტისათვის დახურულია [Apeltauer, 1997]. ამისდა მიხედვით ამერიკელმა სოციოფსიქოლოგებმა Joseph Luft-მა და Harry Yingham-მა შექმნეს აზროვნების გაგნობიერებელი თუ გაუგნობიერებელი ქმედების სქემა ე.წ. Yohari-Fenster<sup>8</sup>?

კარგმა პედაგოგმა/მოსაუბრემ იცის:

ნათქვამი არ ნიშნავს მოსმენილს. თქვი, მაგრამ მოგისმინეს კი?

მოსმენილი არ ნიშნავს გაგებულს. მოგისმინეს, მაგრამ გაიგეს?

გაგებულს არ ნიშნავს თანხმობას. გაიგეს, მაგრამ შენს აზრს ეთანხმებიან?

თანხმობა არ ნიშნავს გამოყენებას. გეთანხმებიან, მაგრამ გამოიყენებენ კი?

დიალოგის პროცესი არავერბალურთან ერთად პარავერბალურსაც ითვალისწინებს. ყოველივე ეს ერთობლივ ზემოქმედებას ახდენს კომუნიკაციის ეფექტებზე, სასაუბრო თემატიკის შინაარსზე.

<sup>7</sup> Feedback-ის ცნება, ტერმინი შემოვიდა კიბერნეტიკიდან და ნიშნავს „უკუშეპირაპირებას (Rückkopplung). ეს ცოდნის გაცემა-მიღების პროცესია, სწავლა სწავლებით (Lernen durch Lehren), ამავე დროს კარგი დამხმარე საშუალებაა, სხვის მიმართ წაყენებული მოთხოვნებით თუ მითითებებით შეაფასო საკუთარი შემოქმედებითი დონე და ქცევა (Enders, W/Küffner, M. 2002)

<sup>8</sup> გაგნობიერებელია: 1) მოსაუბრისა და მსმენელის/თანამონაწილის საჯარო გარემო; 2) მონაწილეთა პირადული განწყობა, რასაც ისინი საჯაროდ არ აცხადებენ.

გაუგნობიერებელია: 1) დიალოგის ყოველ მონაწილეში თვლებს დიდი პოტენციალი, თვით მონაწილეთათვის შეუცნობი, მაგრამ შემოქმედებით პროცესში გამოვლენილი. 2) უცხო, გუგნობული სფერო, რაც ადამიანის ქვეცნობიერებაში დევს, მაგრამ მისთვის მიუწვდომელია, მაგ. საჯაროდ სიტყვით გამოხვდის ან შეკითხვის დასმის მიზი, მიზი ფაქტების წაკლებობისა და ხანგრძლივი პაუზებისა, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, საკითხზე წარმოდგენა არ აქვს.

Feedback-ის საკითხი პედაგოგთა შორის მტკივნეული თემაა. პედაგოგის განვითარება, სრულყოფას ხშირად აფერხებს მიზი იმოციის შელაპარაკება (ისევ გაუგნობიერებელი სფერო). რომელი პედაგოგი გაბედავს, მეორეს თხოვოს დაესწროს ლექციაზე, რომ Feedback-ი მიიღოს. საკუთარი თავისადმი რჩენა იქ აღმოენდება, სადაც არცოდნას ცოდნა ჩაენაცვლება. (Enders/Küffner, S.28)

3) Feedback-ის წესებში შედის ასევე რეფლექსურობა: საკუთარი და სხვისი რეფლექსია

(ა) რეფლექსური უკუგებითი ქმედება; ბ) აზროვნებაში ჩაღრმავება, დაფიქრება, საკუთარ თავსა და სხვაზე დაკვირვება).

მოქმედებათა რეფლექსია ცოდნის, სასწავლო მასალის კოგნიტიურ შეგენებასთან ერთად მოიცავს ემოციებსაც: აღქმა, აზროვნება, შეგრძნება და მოქმედება სასწავლო პროცესის შემქმნელ-განმაპირობებელია: ლექტორმა vs. სტუდენტმა საკუთარი და სხვისი ქმედების ხარჯზე უნდა შეძლოს მთელი სასწავლო პროცესის რეფლექსია ამ ქვეყანაში სხვაობის გააზრებითა და აკუმულირებული გამოცდილებით. ლექცია-სემინარის წამყვანმა პედაგოგმა ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს: სიახლეების წარმოჩენით, საკითხის ახალი კუთხით გამოქუცბით, ჩაღრმავებით, მსჯელობით და სხვ. რა შესაძლებლობები აქვს ამ მხრივ ადამიანს?

იტალიელმა სოციოლოგმა და ეკონომისტმა Vilfredo Pareto-მ (1848-1923) იტალიელი ხალხის მონაცემები გამოიკვლია და საინტერესო რამ დაადგინა:

იტალიელთა მხოლოდ 20%-ს შეუძლია თავისი საკომპონიკაციო პოტენციალისა და ქმედების გამოვლენა 80%-ით, ანუ იტალიელთა ოჯახების 20%-ს აქვს ამ ხალხის შესაძლებლობების 80%-ით გამოვლენის უნარი. პარეტოს ეს შედეგები გარკვეულ საზომად გამოადგება ლექტორისა და სტუდენტის შესაძლებლობების განჭვრეტისათვის

მოქმედებათა რეფლექსიას განაპირობებს მისი შემადგენელი ნაწილები:

საგნობრივი კომპეტენცია/ცოდნა (Fachkompetenz): საგნის, დარგის ცოდნა.

მეთოდთა კომპეტენცია (Methodenkompetenz) გადაცემა-გამოხატვის მეთოდები, დაგეგმვა, პრობლემის გადაჭრა, მედია-საშუალებების/ტექნიკის გამოყენება.

სოციალური კომპეტენცია (Sozialkompetenz): ჯგუფის მუშაობის პოტენციალი, კომუნიკაციის უნარი, პასუხისმგებლობა, სხვისადმი კეთილმოსურნეობა-სხვისი მიღება, აღიარება და ა.შ

პიროვნული/ინდივიდუალური კომპეტენცია (Personale Kompetenz): შემოქმედებითი მოტივირება, საკუთარი გამოცდილება, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნა, უნარი, მიზნები, პასუხისმგებლობა, საჭიროებები...

კულტურათამორისი კომპეტენცია (Interkulturelle Kompetenz): უცხო ენის ცოდნა, სხვა კულტურის მიმართ ღიაობა, უცხოისთან შეგუების უნარი, არაერთგვაროვნობის მიმართ ტოლერანტობა და სხვ.

ლექცია-სემინარის მსვლელობის აღიარებულ 5 ფაზაზე ჩვენ არ შევჩედებით (Vorbereitungsphase, Einstiegsphase, Kernphase, Abschlussphase, Nachbereitungsphase ( und als Zusatz - Projektpphase), მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ზემოდასახელებული კომპეტენციებიდან მეხუთე პუნქტი-ინტერკულტურული კომპეტენცია - სასწავლო პროცესში კულტურათამორისი კომუნიკაციის წარმმართველია.

3) სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კულტურათამორის კომუნიკაციას, კონტაქტებს, კულტურათა გაცვლას. მას თან ახლავს გარკვეული გაუგებრობები, კონფლიქტები. სწავლის ინტერკულტურული შესაძლებლობები საკუთარისა და სხვისი შემეცნების, შეფასების საშუალებას იძლევა. ინტერკულტურულ სასწავლო პროცესს გარკვეული წესების ცოდნა მოეთხოვება. ყოველი ადამიანი მოქმედებს საკუთარი კულტურის წესებიდან გამომდინარე. თანამონაწილის უცხო კულტურა სხვაგვარობის დამაბრკოლებელ შეგრძნებას იწვევს. როგორც ლექტორთა ასევე სტუდენტთა ქმედებები უცხო კულტურასთან შეხების დროს წარმოშობს

პრობლემებს, რომლის ახსნა ან დაძლევა იმავდროულად ჭირს; თანამონაწილე მერყეობს, არასწორ ინტერპრეტაციას ან ორიენტაციას აკეთებს, იქმნება გაუგებრობა, ელინდება კომუნიკაციის უზუნარობა, კომუნიკაციის ჩაშლა.

ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს, პირველ რიგში, აღმოაჩენ რაც ჩვეული, თავისთავადი, აქამდე საყოველთაოდ მიღებული ქმედება იყო, ის საკუთარი კულტურის სპეციფიკური სახე აღმოჩნდება, სხვისთვის ზოგჯერ მიუღებელი და გასაკვირვებელი. მის დაძლევაში დიდ როლს თამაშობს:

სხვა კულტურის შესახებ ცოდნის შეძენა (კულტუროლოგია, ქვეყანათმცოდნეობა);

ძირითადი კულტურული სტანდარტების ათვისება (ნორმები, ღირებულებები, შეხედულებები);

კულტურათა გადაკვეთის დროს კომუნიკაციისათვის თავის გართმევა და წარმატებით ქმედება.

საკუთარისა და უცხოს აღქმა და დაპირისპირება.

ცალკეული ქვეყნის/ხალხის კულტურული ღირებულებების არა ახსნა, არა-მედ კულტურული განზომილებების შეცნობა-გააზრება [Bildungsziel: Bürger, 109].

პედაგოგის სტუდენტებთან და სტუდენტთა შორის ურთიერთობების დროს გადაწყვეტია არა უცხო ქმედებების ცოდნა, არამედ კულტურათა სხვაობის განსაზღვრა. ეს კომუნიკაციის, ურთიერთგაგების წინაპირობაა, თორემ კონფლიქტი გარდაუვალაა. აზრთა სხვადასხვაობით ან ქმედებით უნებურად მოხდება შეურაცხყოფა, რასაც მოჰყვება ცხარე (ემოციებით ღიად გამოხატული) ან ცივი (გაბერილ-დანობილი, მაგრამ გამოუხატავი) რეაგირება.

სასწავლო პროცესში რამ შეიძლება წარმოშვას ინტერკულტურული კონფლიქტი?

სხვისი ღირებულებების, განსხვავებული ფასეულობების არცოდნამ, გაუთვალისწინებლობამ;

ენობრივმა დომინანტობამ: დედაენის მცოდნე თავდაჯერებულაა, უცხო კულტურის წამომადგენელი ენობრივად სუსტაა;

რესურსების სიმცირემ (ენობრივი, მატერიალური, დროის და სხვ. რესურსების სიმცირემ);

განსხვავებულმა მიზნებმა, მოთხოვნებმა, ინტერესებმა და სხვ.

განსხვავებულმა განცდებმა, შეგრძნებებმა, დისტანციისა და სიახლოვის სხვადასხვაგვარმა აღქმამ და სხვ.

ინტერპერსონალურმა პრობლემებმა: ფსიქიკურმა დარღვევებმა, ცუდმა დღის რეჟიმმა, შეცვლილ გარემოში ყოფნამ და სხვ.

დარგობრივი კომპეტენციის სხვადასხვა დონემ ან სხვაგვარი ფაქტებისა და ინფორმაციის ცოდნამ და ა.შ.

სასწავლო პროცესში კონფლიქტის ესკალაციას არეგულირებს პედაგოგი - მოდერატორი. მოვიყვანთ ინტერკულტურულ კომუნიკაციაში შექმნილი გაუგებრობის ერთ დისკურსულ ნიმუშს:

გერმანიში პროფესორ მიულერს ამერიკიდან ურეკავს ქალბატონი. პროფ. მიულერი იღებს ყურმილს და ასეთი დიალოგი იმართება:

Prof. M: Müller

Frau: Professor Müller?

Prof. M: Am Apparat

Frau: Bitte?

Prof. M: Am Apparat.

Frau: Wo ist er? Ich verstehe nicht.

Prof. M (lächelnd): Er spricht selbst zu Ihnen.

Frau: Bitte?

Prof. M. (lauter): Er selbst spricht zu Ihnen.

Frau: Sprechen Sie Englisch?

Prof. M: Yes.

შემდეგ საუბარი გრძელდება ინგლისურად [Rehbein, 1999, 1].

რამ დააზნია ამერიკელი ქალი? რატომ ვერ შედგა კომუნიკაცია?

პირველ რიგში აღქმის განსხვავებულმა პრობლემებმა, კონვენციონალიზირებული ენობრივი და საზოგადოებრივი ნორმების არცოდნამ:

გერმანული როდესაც ყურმილს იღებს, მოკლედ ასახელებს თავის გვარს: Müller. ზედმეტია ქალის შეკითხვა: პროფ. „მიულერი ხრძნადებით?“, რაზეც მიულერი ისევ მოკლედ პასუხობს: „აპარატთან“- იგულისხმება: სატელეფონო აპარატთან თვითონ მიულერია, გასაუბობთ თვითონ მიულერი. პროფესორს შეეძლო სხვაგვარი პასუხი გაეცა: Ja, richtig; Ja, ich bin's - „დიახ, მე ვარ“. მაგრამ მან აირჩია გერმანულ ენაში მიღებული სატელეფონო საუბრის კლიშე: „Am Apparat“ (ამას ეწოდება ენაში მიღებული „სიმბოლური ველის პროცედურა“ – Symbolfeldprozedur). ქალმა ვერ შეძლო პასუხის იდენტიფიცირება და გარკვევისათვის პირველ სვლას აკეთებს შეკითხვით – Bitte? მაგრამ უშედეგოდ, იმავე პასუხმა იგი კვლავ გაუგებრობაში დატოვა. უფრო მეტიც, სიტყვა „აპარატთან“ მან შინაარსობრივად ვერაირად ვერ დაუკავშირა სიტუაციას და ეს დადასტურა კიდევ წინადადებით: „ვერ გაეიგე“. პროფესორი ძაბავს ყურადღებას, ცელის ლექსიკური ქმედების ველს და პასუხობს მესამე პირში: Er spricht selbst zu Ihnen – ეს გლავაპარაკებათ თვითონ.

იმის ნაცვლად, რომ პროფესორს გამოეყენებინა პირველი პირი „მე გლავაპარაკებით“, როგორც ენობრივი დეიქსისი, მან გამოიყენა გერმანულ ოფიციალურ საუბრებში მიღებული კრიპტოდეიქსური (ფარული მითითება) er – ი, რამაც ქალი კიდევ უფრო დააზნია. მან ვერ მოახდინა ტელეფონზე მოპასუხე პირისა და მისთვის სასურველი პირის იდენტიფიცირება. შეიქმნა გაუგებრობა, ვერ შედგა კომუნიკაცია.

ეს მარტივი მაგალითი, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ვერ შეგვიქმნის ლექცია-სემინარზე მიმდინარე საკითხთა მეცნიერულ დამუშავებისა და განმარტებების თეორიულ თუ პრაქტიკულ პროცესებზე. მაგრამ თვალსაჩინოს ხდის, რომ საუბრის სტილის დისკურსულ ფორმებსა და კონსტელაციებში გამოხატულმა კულტურის სულ მცირე დეტალმა შეიძლება გაუგებრობები შექმნას.

რიტორიკული კომპტენციისა და მეთოდების ჩვენ მიერ ზემოგანხილული მასალა შეგიძლია ექსტრა- და ინტრალინგვისტიკური რეგისტრის სახით ასე განვაზოგადოთ:

შესავალი ნაწილი: შერჩეულ თემატიკაზე მსმენელთა ინტერესების კონცენტრირება, თემატიკის სტრუქტურის ნათელყოფა.

სხულის ენა (Körpersprache): პედაგოგი თავისი გარეგნობით, დახვეწილობით, სიმშვიდით და არა მოუსვენრობით, მზერით, გადაუქარბებელი ექსტიკულაციით;

პრეზენტაცია სხვადასხვა მედიასაშუალებებით: დაფა, ფოლიოები, ფოტოები, პლაკატები, ზიმიერები , კომპიუტერი და სხვ.

საუბროს ტექნიკა: პარავერბალური მხარე-პაუზები, ტემპი, ტონალობის სიძლიერე;

მთავარი ნაწილი: მასალის სტრუქტურა, საკვანძო საკითხები, ნათელი ფორმულირება, დროის მენეჯმენტი და დისკურსული გაძლიერება;

რა მასალა სადისკუსიო, დისკუსიის გაძლიერება;

დასასრული: შემეცნებითი მასალა გააზრებულა, შეჯამებულა, მისი პერსპექტივები მოცემულა.

ამ ჩამონათვალში გადაწყვეტია „მთავარი ნაწილი“: მასალის მიწოდების თანამედროვე დისკურსული ხერხები, ანუ პედაგოგის საგნობრივი და მეთოდური კომპეტენცია და აუდიტორიის დისკურსული გამოწვევის უნარი. გაგებ-გაგებინების ეს რთული ჰეტეროგენული პროცესი ამავე დროს უნდა ითვალისწინებდეს ინტერკულტურული კომუნიკაციის სპეციფიკას, რომელსაც წინასწარ დაგეგმილ ჩარჩოში ვერ ჩასვამ. ანდა მოხდეს საგანში აკუმულირებული ცოდნის, ურთიერთდამოკიდებულებების ინტერაქცია კულტურათაშორის კომუნიკაციურ მიზნების შესაბამისი ემპირიული სადისკუსიო ტექსტებით. ეს უცხო ენის დიდაქტიკის სფეროა.

თანამედროვე უმაღლეს სკოლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები არ ითვალისწინებს პედაგოგისათვის კულტურათაშორისი კომუნიკაციის ჩამოყალიბება-განვითარებას. ეს აქტუალური საკითხი არც გერმანიის პედაგოგთა განათლების სისტემაშია გადაჭრილი (თუ არ ჩავთვლით გერმანიის ორ სამ ქალაქს: ესენს, ფრაიბურგის რეგიონს, გელზენკირხენს და სხვ). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს განათლების სამინისტრო მუშაობს ქართულის, როგორც მეორე ენის, პროგრამებზე სომხური და აზრებაიკანული სკოლებისათვის. პედაგოგთა ინტერკულტურულ საკვლიფიკაციო განათლებაზე, პედაგოგზე, როგორც მოდერატორზე ან რიტორიკაზე, როგორც დასმული პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო დისციპლინაზე, ჯერ-ჯერობით არ არის საუბარი. განათლების დიდაქტიკით დასაქმებულ პირს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი სწავლება/სწავლის ობიექტური მხარეები, სოციალური გარემოს შესატყვისი მოთხოვნები. პედაგოგმა უნდა იცოდეს, იგი არ არის სიტუაციის ბატონ-პატრონი, მზრძანებელი, იგი წარმართველია [Meyer, Meinen 1998, 185].

ენობრივად და კულტურულად პლურალისტური ევროპა ახლებურად აზრავინებს. ახლა აქტუალურია დარგობრივ-მეცნიერული და მეთოდურ-დიდაქტიკური განათლების ენობრივ-კულტურული ჰეტეროგენულობა, ახალი სტრუქტურები. პირველი ნაბიჯები გადადგმულია: ფოკუსში მოქცეულია „სუბიექტი, რომელმაც უნდა ისწავლოს“ (Lernendes Subjekt). ყოველი საგნის (და არა მარტო უცხო ენის) პედაგოგმა სოციალური და პიროვნული კომპეტენციის გადაუდებელ ცოდნასთან ერთად აუცილებელი განათლება უნდა მიიღოს ენაში (როგორც მეორე ენის- Zweitsprache- სასწავლო პროგრამით). საგნობრივი კომპეტენცია უნდა იყოს გათვლილი ჰეტეროგენულობაზე და არა ჰომოგენულობაზე, უნდა იყოს მულტიპერსპექტივული (Multiperspektivität im Fachunterricht). საჭიროა განისაზღვროს, რომელ საგანში უნდა შედიოდეს ინტერკულტურული თემატიკა, პედაგოგთა მოტივაცია უნდა შეიქმნას ინტერკულტურული პრობლემების გათვალისწინებით [Holzbrecher, 2004:169-174]. ცხოვრების სოციალური და კულტურული მრავალფეროვნება მოითხოვს ახლებურ დიდაქტიკურ მოტივაციებს და მიზნებს, პედაგოგთა და სტუდენტთა განათლების, სწავლება-სწავლის არა მარტო კონვენციურ ცოდნას, არამედ ახლებურ ხედვას. მეთოდთა გაფართოებას.

## ლიტერატურა:

1. Apeltauer, E. 1997: Zur Bedeutung der Körpersprache für die interkulturelle Kommunikation// Knapp-Ponhoff, A./Liedke, M. (Hg): Aspekte interkultureller Kommunikationsfähigkeit. B.3. München, S. 17-39.
2. Bildungsziel: Bürger. Methodenhandbuch für multinationale Seminare. 2004. Berlin.
3. Enders, W./ Küffner, M. 2008: Methodenmagazin. Rhetorik und Präsentation in der Sekundarstufe 1. Beltz Verlag. Weinheim und Basel. S. 35 u.a.
4. Hovland, C. J. u.a. 1953: Kommunikation and persuasion. New Haven.
5. Holzbrecher, A. 2004: Interkulturelle Pädagogik. Cornelsen Verlag, Berlin.
6. Meyer, Meinert A. 1998: Bildungsgangdialektik Denkansätze für pädagogische Forschung und schulische Praxis. Opladen.
7. Perelman, Ch. 1977: Aus dem Französischen ins Deutsche übersetzt: „Das Reich der Rhetorik. Phonetik und Argumentation. München. 1980.
8. Rehbein, J. 1999: Der kulturelle Apparat. Universität Hamburg.
9. Салеева, Л. К. 2001: Риторика и анализ художественного текста.. Вестник МГУ, серия 19. Лингвистика и межкультурная коммуникация.
10. ქრისტინაშვილი, ე. 2006: „რიტორიკული ტროპების ლინგვოკულტურული და ეთნოსმანტიკური პარამეტრები. ირონია. გერმენული და ქართული ენობრივი მსასაღის მიხედვით. თბილისი

## მანანა ღარიბაშვილი, მაია აბდელანი ი.გოგებაშვილის სახელწიფო უნივერსიტეტი, თელავი პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობა პედაგოგიურ კრილში

(პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობის განსაზღვრული ფაქტორები სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის დონეზე)

პედაგოგიური ზემოქმედება იმის და მიხედვით ხორციელდება, იგი სასწავლო იქნება თუ აღმზრდელობითი. შესაბამისად შერჩეული სტილი ადვილდებს პედაგოგის ჩანაფიქრს, ან პირიქით, არაადეკვატური ურთიერთობა, რომელიც კომუნიკაციას ვერ უზრუნველყოფს, ართულდებს პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტას [Dellinger, 2008:753]. პედაგოგიური საქმიანობისთვის ამა თუ იმ ვარისიანობას მის მიერ მოსწავლის სიყვარულს უკავშირდებენ. ეს მართლაც აუცილებელია, თუმცა საკმარისი არ არის. შეიძლება ზაეში გიყვარდეს, მაგრამ მასთან ურთიერთობას ვერ ამყარებდე; შეიძლება ღრმად ფლობდე საგანს, მაგრამ გადაეცემა არ გიყვაროდეს. საბოლოო ანგარიშით პედაგოგის წარმატება მოსწავლესთან ურთიერთობის აგების უნარზე დამოკიდებული.

ურთიერთობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც ცალკეულ გაკვეთილზე, ასევე მთელი პედაგოგიური პროცესის მასტაბით, რადგანაც ყოველივე ცალკეული მასალა სათანადო განწყობასა და გარემოების შექმნას მოითხოვს [მალაზონია,2001:69].

მასწავლებელი ეწევა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ყველა ტიპის სასწავლო-ლუბელში. მას ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან და მათ შშობლებთან. ურთიერთობა მთლიანად დამოკიდებულია პედაგოგსა და მის მიდგომაზე სხვების მიმართ. ამიტომაც პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობის დროს დიდი მნიშვნელობა ექვეა პედაგოგის ტიპებს (ავტორიტარი, დემოკრატი და ლიბერალი). ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მოსწავლეებთან საურთიერთობო ფორმებით. ერთნი ახერხებენ მსმენელის დაინტერესებას და სამუშაო პროცესში ჩართვას (დემოკრატი), ზოგი

კი მიმართავს მკაცრ ზომებს: მუქარას, დასჯას (ავტორიტარი). დანარჩენი პედაგოგები კი მოქმედების თავისუფლებას აძლევენ მოსწავლეებს, რის შედეგადაც გაკვეთილზე იქმნება ქაოსური სიტუაცია (ლიბერალი).

სწავლება რომ შედეგიანი იყოს, მოსწავლეს უნდა შევეუქმნათ სასწავლო გარემო-პირობები, რათა მას სწავლის ინტერესი და სურვილი გაუჩნდეს, გააცნობიეროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, დასკვნების ჩამოყალიბების ლოგიკა და შეძლოს როგორც საკუთარი პიროვნული მუხ-ს, ასევე სხვისი ქმედების შეფასება-დაფასება. ამიტომაც, პედაგოგური ტაქტი სწავლა-აღზრდის პროცესში აუცილებელი პირობაა [Bonig,2001,2008:23-24;191-217]. პედაგოგიური ტაქტის ცნებაში მოიაზრება მოსწავლეების მიმართ თბილი დამოკიდებულება, თავაზიანობა, კულტურული მიმართვა, სწორი ტონი, მოსწავლეების ღირსებებისადმი პატივისცემა და ა.შ. პედაგოგმა უნდა შეძლოს მოსწავლეებზე პედაგოგურად გამართლებული ზეგავლენა. პედაგოგს ეს ფუნქცია იმ დროიდან დაეკისრა, რაც ცაცობრიობის ისტორიაში აღზრდა გამოიკვეთა როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის განსაკუთრებული სახე [ხერბეილი,1995:238].

პედაგოგი კლასში მრავალ ფუნქციას ასრულებს, რომელთაგან კლასის მართვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. განათლების სფეროში ჩატარებული თანამედროვე კვლევების მიხედვით მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს მასწავლებელი. საგაკვეთილო პროცესში პედაგოგი მართავს კლასს შემდეგი ასპექტების საშუალებით: წესები და პროცედურები, დისციპლინის გაუმჯობესება და მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან.

წესები და პროცედურები: ეფექტური ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საკლასო წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბება. ყველა კლასში განსხვავებული წესები მოქმედებს. ეს წესები შეიძლება თვით მასწავლებელმა შეიმუშაოს (ავტორიტარი მასწავლებელი) ან მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს აღნიშნული წესები (დემოკრატი მასწავლებელი). მნიშვნელოვანია მოსწავლემ იცოდეს, როდის შეიძლება/არ შეიძლება კლასში თავისუფლად გადაადგილება, მასწავლებლისათვის ან თანატოლისათვის სიტყვის ჩამორთმევა და ა.შ. ადექვატური მარეგულირებელი წესების არ არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეთა ყურადღება იფანტება და შესაბამისად რთულდება მათი ინტერესის კონცენტრაცია სასწავლო პროცესზე. ადექვატურ საქმიანობაში იგულისხმება მასწავლებლის მიერ საურთიერთობო წესების დაცვა და ყურადღებით თვალყურის დევნება იმაზე, თუ რაოდენ შესრულდება ეს რეგულაციები მოსწავლეთა მიერ. აღნიშნული რეგულაციების/წესების ჩარჩოებში მოიაზრება პედაგოგისა და მოსწავლეების პირდაპირი თანამშრომლობა, რომლის მიხედვითაც ერთის მხრიდან (მოსწავლეები) წესების დარღვევა გამოიწვევს მეორეს მხრიდან (მასწავლებელი) იდენტურ ქმედებას, ანუ წესების დაცვა და განხორციელება დამოკიდებული იქნება უშუალოდ მოსწავლეების ქმედებაზე. მასწავლებელი კი ყურადღებით იქნება და დარღვევის შემთხვევაში კლასს მოუწოდებს მათ მიერ შემუშავებული წესების დაცვისკენ. რაც უფრო ხშირად მოხდება წესებზე ყურადღების გამახვილება, მით უფრო რეგულირებადი გახდება ეს წესები.

დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები ყველა მასწავლებელს ადევნებს, რადგანაც ისინი სკოლის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად აღიქმება. მასწავლებელთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ისინი მზად არ არიან გაუმკლავდნენ დისციპლინის დარღვევას. უდისციპლინობა კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს სწავლისა და სწავლების პროცესზე, მეორე ნახევარი კი უდისციპლინობის თავიდან ასარიდებლად სათანადო გზებსა და ხერხებს ეძებენ. შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტია მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობა საგაკვეთილო პროცესში. თუ მასწავ-



ლებელს კარგი ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან, ეს უკანასკნელნი უფრო ადვილად ასრულებენ მასწავლებლის მიერ შემოტანილ წესებსა და აქტივობებს. ამავე დროს, მათთვის უფრო მისაღები ხდება მასწავლებლის მხრიდან რეაგირება დისციპლინის დარღვევის შემთხვევაზე. თუ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არ არის კარგი ურთიერთობა, მოსწავლეები ეწინააღმდეგებიან წესებსა და პროცედურებს, აპროტესტებენ მასწავლებლის რეაგირებას დისციპლინის დარღვევაზე. გასაგებია, რომ მათ შორის ურთიერთობა მნიშვნელოვანია ორივესთვის, და გაელენას ახდენს მოსწავლეთა ქცევაზე.

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენისა და გამოვლენის მიზნით ჩვენ ჩავატარეთ კვლევა ოთხ საჯარო სკოლასა (თელავის საჯარო სკოლები) და ერთ უმაღლეს სასწავლებელში (თელავის იგოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ექსპერიმენტში მონაწილეობდა 45 მოსწავლე და 63 სტუდენტი. სულ 108 რესპოდენტი.

კვლევის ძირითად ფორმატს წარმოადგენდა ჩვენს მიერ შემუშავებული კითხვარი: **მოსწავლეთა თვითშეფასების სკემა**

სკოლა/უნივერსიტეტი:

მასწავლებელი/ლექტორი:

რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ინგლისური ენის სწავლის დონით:

- ძალიან
- საკმაოდ
- მეტ-ნაკლებად
- არ ვარ კმაყოფილი

ჩამონათვალიდან რომელი უწყობდა ხელს თქვენს სწავლასა და რომელი იყო ხელის შემშლელი?

ხელს უწყობდა	აფერხებდა მუშაობას

მასწავლებელი/ლექტორი გეკითხებათ თუ რა სიტუაციებზე ააგოთ დიალოგი:

1. თემატკას მასწავლებელი/ლექტორი გთავაზობთ;
2. წასაკითხ მასალის რაოდენობას მასწავლებელი/ლექტორი გეუბნებათ;
3. წასაკითხ მასალას გთავაზობთ მასწავლებელი/ლექტორი;
4. შეფასებას მასწავლებელი/ლექტორი აკეთებს;
5. გაკვეთილზე იყენებს თვითშეფასებას;
6. გაკვეთილზე მუშაობის ხერხებს გთავაზობთ მასწავლებელი/ლექტორი;
7. გაკვეთილზე მუშაობის ხერხებს მასწავლებელი/ლექტორი გეუბნებათ;
8. თქვენთვის ხაინტერესო მასალას თქვენ მოიძიებთ;
9. მასალას მასწავლებელი/ლექტორი გთავაზობთ;
10. კლასში მუშაობის დროს მასწავლებელი/ლექტორი გაკვირდებათ;
11. კლასში მუშაობის დროს მასწავლებელი/ლექტორი მონაწილეობას იღებს;
12. მასწავლებელი/ლექტორი ხშირად ცვლის ხერხებს;
13. მასწავლებელი/ლექტორი მუდმივად იყენებს ერთსა და იმავე ხერხს.

კვლევის შედეგები:

კვლევამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. კითხვარის პირველი პუნქტი მოიცავდა იმის გარკვევას, თუ რამდენად კმაყოფილები არიან უნივერსიტეტისა და სკოლის მოსწავლეები ინგლისური ენის სწავლების დონით. სტუდენტების უმრავლესობა (70%) საკმაოდ კმაყოფილია ინგლისური ენის სწავლის დონით უნივერსიტეტში, ხოლო სკოლებში მხოლოდ მოსწავლეთა 31% აღმოჩნდა საკმაოდ კმაყოფილი.

კითხვარის მეორე პუნქტის მიხედვით შევეცადეთ დაგვედგინა სწავლის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები სხვადასხვა ტიპის მასწავლებლებთან/ლექტორებთან (ავტორიტარი, დემოკრატი, ლიბერალი) აქტივობების მიხედვით. ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას (70%) უცხო ენის დაუფლების პროცესში ხელშემწყობ ფაქტორად მიაჩნიათ პირველი პუნქტი, ხოლო ხელის შემშლელ ფაქტორად წარმოჩინდა მე-10 პუნქტი. ამ მოსაზრებას ეთანხმება გამოკითხულთა 30%. პირველი პუნქტი დამახასიათებელია დემოკრატი პედაგოგისათვის, ხოლო მე-10 პუნქტი ავტორიტარი პედაგოგისათვის.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ენის შემსწავლელთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს დემოკრატი პედაგოგის მიერ ჩატარებულ ენის გაკვეთილს/ლექციას, რომელიც მსმენელზეა ორიენტირებული. აღნიშნული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სწავლების პროცესში განსაკუთრებით პროდუქტიული და შედეგის მომტანია დემოკრატი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი/ლექცია.

**ლიტერატურა:**

1. Bong, M (2001) Between-and within-domain relations of academic motivation among middle and high school students: self- efficacy, task value, and achievement goals. *Journal of Educational Psychology*, 93 (1), 23-34.
- Bong, M (2008) Effects of parent-child relationships and classroom goal structure on motivation, help-seeking avoidance, and cheating. *Journal of Experimental Education*, 76(2), 191-217.
3. Dellinger, A. B. Bobbett, J, J.Oliver, D. F.&Ellen,C. D.(2008) Measuring teachers' self-efficacy beliefs: Development and use of the TEBS-Self. *Teaching and teacher Education*, 24(3),pp751-766.
4. ბეროშვილი, ჯ. (რედ.) (1995). პედაგოგიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
5. მალოჯანია, მ. (2001). პედაგოგიკა. თბილისი

**თამარ ღვინია ნიძე**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
გლობალიზაციის ეპოქა და ქართული ენის პრობლემები**

ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე საგულისხმო ფაქტორი-ენა- ნიშნებისაგან შედგება. ენობრივი ნიშანი მატერიალურ-გრძნობადი ობიექტი, სიტყვაა, რომელიც გარკვეულ აზრს შეიცავს საგნის, მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობის შესახებ. ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის შერჩევასა და სწორად გამოყენებას.

მიზიდიდელი, ცოცხალი, დამაჯერებელი საუბარი იპყრობს მსმენლის ყურადღებას. მარტივად გამოთქმული აზრი უფრო გასაგებია, ვიდრე ნაირნაირი უცხოური სამკაულებით მორთული წინადადებები, ამიტომ, რაგინდ რთულ საკითხებზეც არ უნდა ვმსჯელობდეთ, უნდა ვცდილობდეთ, რომ ჩვენი მეტყველება იყოს დახეწილი, მკაფიო, ხატოვანი და ბუნებრივი; ამასთან, ლოგიკური და დასაბუთებული.

ენამ რომ უკეთ შეასრულოს თავისი ფუნქცია, როგორც ურთიერთობისა და სოციალური განვითარების იარაღმა, საჭიროა მას კარგად ფლობდეს საზოგადოების ყველა წევრი. მეტყველების კულტურის ამაღლება თანამედროვე ეპოქაში არამარტო

ენათმეცნიერთა მოვალეობაა, არამედ მასზე უნდა ზრუნავდეს თითოეული ჩვენთაგანი, განსაკუთრებით ისინი, ვინც ხშირად გამოდის საჯაროდ, პრესით, რადიოთი, ტელევიზიით...

ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკური ფონდი, ბოლო დროს, საზოგადოების ფართო ფენისათვის გაუგებარი სიტყვებით შეივსო. დღეს მოდაა, საუბრისას, რაც შეიძლება მეტი უცხო სიტყვის გამოყენება, რაც ენისათვის სახიფათოა. გამომდინარე აქედან, ნეოლოგიზმები, უცხო ენიდან შემოსული სიტყვები, არამარტო ამდიდრებს ენას, არამედ აზინბურებს კიდევ. თანამედროვე ქართულში დამკვიდრებას ცდილობს სიტყვები: შარაქაჩინი, შენაქაჩინი, შენაქარი, აპაქანტაშია, ინდაპურაშია, ღაიქაში, სტაბაში, ჟორაში, სეპანაში, სილაპაში, ანაქაქაში, რანაბარი, კარაბა, შოზია და სხვ., მაშინ, როცა გვაქვს მათი ქართული შესატყვისები: ადრისხა, ნარმოხის აკათა, შ

აკათალი, ნარგინება, აკათხაა, შოქა შიშინილა, ვდგოშაკოვა, აჭირო რაოღონება, შენაქაჩა-შეშოქაჩა, სანაქაქო არგოგამა, სანაქაქო გეგმა, სიანსხა-ღაქაქარი, ღადგინილი ნილი, აქიანაპაქალი შიში...

უცხო სიტყვების გამოყენება დამამცირებელია მშობლიური ენისათვის და სულაც არ ლაპარაკობს მოსაუბრის განათლებასა და ინტელექტზე.

ენას ამდაბლებს და აზრს გაუგებარს ხდის სიტყვების უადგილო ხმარებაც. სინონიმების არადანიშნულებისამებრ გამოყენება აზრობრივ ელფერს უცულოს წინადადებას, ამიტომ აუცილებელია შევარჩიოთ შესატყვისი ფორმები, ნათლად გამოვხატოთ სათქმელი.

მაგ.: **ღაქაქია, აპოსა, ღაქაქია** სინონიმებია. ისინი წინადადებაში შეიძლება ერთმანეთს შეენაცვლოს, რაც ნაირფეროვნებას ქმნის. მაგ.: „მტერმა ციხე-ქალაქები დაანგრა, სოფლები ააოხრა და დააქცია“

სინონიმების არასაკუროებისამებრ გამოყენება ტავტოლოგიაა. მაგ.: „გიორგი თვალდია და თვალგახელილი იწვა“. „სამშობლოს ტრფობა და სიყვარული გულში მქონდა“.

სინონიმების მონაცვლეობას განსაზღვრავს კონტექსტი. ისინი ყოველთვის ვერ შეენაცვლება ერთმანეთს. მაგ. სინონიმებია **მაქა, მაქაშა, მაგრამ ვერ ვიტყვი**: „მასწავლებელმა ცხოვრების გზა მაქიჭა.“ უნდა ვთქვათ -**მაქიჭა**.

სინონიმებია **მაგაქალი თაქაქი, შენაქაქარი, გულაქი**. ვერ ვიტყვი: „მომხსენებელმა მაგაქი, შენაქაქარი ან გულაქი აზრი გამოთქვა“ მართებულია; მომხსენებელმა **მაგაქალი ან თაქაქი** აზრი გამოთქვა.“ არ შესაბამეა ქართულ მეტყველებას **მაგაქი ან ღაგალი მოსაქალი**. სწორია -**უხი, ბარაქინი ან გიქი, საქი მოსაქალი**.

**მინდა** შეიძლება იყოს **ქაქი, ადგილი ანა, სანთალი, მაქარი, წეარქ**; მაგრამ **საშთა აქო, ზანარი, ქადალი, ქაქალი** და სხვ.

სტილისტურ შედგომებად ითვლება **მისი ღა თაქისი** ნაცვალსახელების მნიშვნელობათა ერთმანეთში არევა. მაგ. „გიორგი **მის** საყვარელ საქმეს აკეთებს“. „**თაქისი** საყვარელი საქმეა ხატვა“. უნდა იყოს „გიორგი **თაქის** საყვარელ საქმეს აკეთებს“. „**მისი** საყვარელი საქმეა ხატვა.“

**თაქისი** მაშინ იხმარება, როცა სუბიექტის მოქმედება სუბიექტისავე კუთვნილ საგანზე ვრცელდება; **მისი**, როცა სუბიექტის კუთვნილ საგანზე(ობიექტზე). სუბიექტის მოქმედება არ ვრცელდება. არასწორია - „**მათმა** მდინარე გადაცურეს“, რადგან **მათ** მე-3 პირის ნაცვალსახელია და ისედაც დგას მოთხრობით ზრუნვაში. მართებულია „**მათ** მდინარე გადაცურეს“. თუ **მათი** კუთვნილებითი ნაცვალსახელია

და მსაზღვრელადაა გამოყენებული, მაშინ იგი საზღვრულს ეთანხმება მოთხრობითი ბრუნვაში - „შეთმა ნამუშრევრებმა გაგვაოცა“.

რომელსაც კავშირი აუცილებლად მოითხოვს იმ წევრთან სიახლოვეს, რომელსაც განსაზღვრავს. მაგ.: „პარკამენაჟი სახალხო რამეჟალი სიჟჟით გაჟოჟია, რომელჟამ პაჟიჟარტა უჟლაჟაჟაჟა ისაჟარა“. წესით ეს წინადადება ამგვარად უნდა ჩამოყალიბდეს - „პარკამენაჟი სიჟჟით გაჟოჟია სახალხო რამეჟალი, რომელჟამ პაჟიჟარტა უჟლაჟაჟაჟა ისაჟარა“.

ენობრივი შედომები გამოწვეულია მოსაუბრის ლექსიკური მარაგის სიღარიბით, გრამატიკის არასაფუძვლოანი ცოდნით, ენის კანონებისადმი დაუდევარი მოპყრობით. ამის საუკეთესო ნიმუშია დამახინჯებული ქართული, რომელიც ისმის რადიოებისა და ტელევიზიების ეთერიდან, შეცდომებითაა სავსე საგაზეთო სტატიები. კრიკიტიკას ვერ უძლებს წარწერები აბრეშზე, ტრაფარეტებზე და ა.შ.

მე-19 საუკუნის ქართველები კარგ ტონად მიიჩნევდნენ ფრანგულად საუბარს, მე-20 საუკუნისა რუსულად. 21-ე საუკუნემ ინგლისურ ენას მიანიჭა უპირატესობა, საშუხაროდ, ზომა-წონის გარეშე.

საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდების, პოლიტიკოსების, პარლამენტარების... მეტყველების გასაგებად ხშირად უცხო სიტყვათა ლექსიკონის მოშველიებაა საჭირო, რაც მშობლიური ენის უპატივცემულობის კიდევ ერთი ნიშანია.

თურქეთთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებამ შედეგად თურქულენოვანი წარწერებით აკრელებული გზები და ობიექტები მოგვიმრავლა მაშინ, როცა მთელს თურქეთში ვერსად ნახავთ სხვაენოვან წარწერას.

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, უდავო უპატივცემულობაა ჩვენი ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეების მხრიდან ენის არცოდნა, რისი მოგონებაც სახელმწიფოს უპირატესი საზრუნავი უნდა იყოს.

ენის სიწმინდისათვის ზრბოლა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, კი უკვე მისი გადარჩენისათვის ზრბოლაა საშური.

### ლია ყავლაშვილი, ციური ახვლედიანი ოჯნე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი ნასესხობები ბელგიურ ფრანგულში

გეოგრაფიულ და ისტორიულ მიზეზთა გამო, ბელგიისა და საფრანგეთის ფრანგულ ენებში უხვად გვხვდება ლექსიკური განსხვავებანი მეზობელ ენათაგან ნასესხები სიტყვების სფეროში. ბელგიურ ფრანგულში გაცილებით მეტი ნასესხობაა გერმანულიდან და განსაკუთრებით ფლამანდიული დიალექტიდან, ვიდრე საფრანგეთის ფრანგულში. ბელგიურმა ფრანგულმა რეგიონალური ენებიდანაც არაერთი სიტყვა და გამოთქმა ისესხა, ბევრი მათგანი გამოიყენება ბელგიის ფრანკოფონი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ. მაგ. არსებითი სახელები: archelle რომელსაც სტანდარტულ ფრანგულში შეესამაბება (étagère) – თარო, cacaille – (objet sans valeur) – საგანი ღირებულების გარეშე, cumulet – (culbute) – ყირაზე გადასვლა, escabelle – (échelle double) – ორმაგი კიბე, gosette – (chausson aux fruits) – ხილის ნამცხვარი, place – (pièce d’habitation) – საცხოვრებელი ოთახი; ზმნები: ravoir – (prendre sa revanche sur qqn)

ვინმეზე შურისძიება. ისეთ მაგალითებს შორის, რომელთა გამოყენება გეოგრაფიულად შეზღუდულია, შეიძლება დავასახელოთ: raccuser - (cafarder) - ჯაშუშობა, ცილისწამება, ne pas faire de bien - (être inquiet) - მოწყენა, მარტოსული ყოფნა, avoir bien le temps - (être dans l'aisance) - უზრუნველად ყოფნა, aller se faire enrager - (aller au diable) - ჯანდაბამდე გზა გქონიათ.

ბელგიურ ფრანგულში ვხვდებით ლათინურიდან ნასესხებ ისეთ სიტყვებს, რომლებიც არ ფიქსირდება სტანდარტულ ფრანგულში, ასე მაგ.: culpoux (délictuel) - დამნაშავე.

ბელგიის ტერიტორიაზე გამოყენებულ ფრანგულში ესპანურიდან ნასესხები სიტყვები XVII-XVIII საუკუნეებში დამკვიდრდა. ბელგიელები ისეთ ესპანურ ნასესხობებს იყენებენ, რომლებსაც ფრანგები არც კი იცნობენ, მაგ.: caracole (escargot) - ლოკოკინა, შედარებით გვიანდელ ნაცესხობას მიეკუთვნება სიტყვა bodega - (débit de boissons) - დუქანი, მარანი, სადაც ღვინო იყიდება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბელგიურ ფრანგულში ესპანურიდან ნასესხები სიტყვების როლი დღითიდღე მცირდება და ხშირად არ გამოიყენება.

გერმანული ენის გავლენა ბელგიურ ფრანგულში ლიმიტირებულია, თუმცა მაინც ვხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: froebel (école maternelle) - საბავშვო ბაღი, რომელიც გერმანელი პედაგოგის, Froebel-ის გვარადანაა ნაწარმოები.

ფრანკოფონებისა და ნეერლანდოფონების ხშირი ურთიერთობა და ქვეყნის მოსახლეობის ბილინგვიზში ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რათა ამ ენებში ერთმანეთისგან ნასესხები სიტყვები დამკვიდრდეს. ფლამანდიური დიალექტისგან ნასესხებ სიტყვებში შეიძლება გამოვყოთ ის გამონათქვამები, რომლებიც მიჩნეულია ბრიუსელიზმებად და თავიანთი ფორმით ახლოს არიან ფლამანდიურთან. ისინი ადვილად მკვიდრდება ბელგიურ ფრანგულში და გამოიყენება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, ასე მაგ.: koekebak (crêpe) - ბლინი, boestring (hareng fumé) - ქაშაყი, brol (désordre) - არეულობა, platekees (fromage blanc) - თეთრი ყველი, snul (imbécile) - გონებაშეზღუდული, sukkeleer (pauvre type) - საბრალო ტიპი, zvanze (type d'humour propre à Bruxelles) - ტიპური ბრიუსელიური ხუმრობა, dringuelle (pourboire, argent de poche) - ჯიბის ფული ოფიციალურად არ არსებობს.

ბელგიური ფრანგული, ისევე როგორც სტანდარტული ფრანგული, განიცდის ინგლისურის გავლენას, თუმცა ბელგიელები ფრანგებზე ნაკლებად ხასიათდებიან ლინგვისტური პატრიოტიზმით და ამიტომაც ანგლოფონია და ამერიკული კულტურის წინააღმდეგ ჯანყი ნაკლებადაა იქ განვითარებული. ამ მიზეზთა გამო, ანგლიციზმების წინააღმდეგ ბრძოლა ბელგიაში ნაკლებ შესაძრველია, ვიდრე საფრანგეთში. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ბელგია, განსხვავებით საფრანგეთისაგან, არაერთნოვანი ქვეყანაა და იქ არსებული ორი ძირითადი ლინგვისტური საზოგადოება ფაქტობრივად არ ერთიანდება ინგლისურის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, ინგლისური ენა მოკავშირე უფროა ფრანგული ენის წინააღმდეგ ბრძოლაში ფლანდრიის ტერიტორიაზე და ფლამანდიურის წინააღმდეგ - ვალონიაში. აგრეთვე არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ინგლისური ენა ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდის როლს ასრულებს ფრანკოფონებსა და ნეერლანდოფონებს შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებში, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობისთვის ინგლისურ ენას იყენებენ.

საფრანგეთსა და ბელგიაში ანგლიციზმების გამოყენების სიხშირითაც საგრძობლად განსაკუთრებული სიტუაციაა. ფეხბურთელების აღსანიშნად ფრანგები იყენებენ ფრანგულ ტერმინებს: gardien - მცარე, arrière - მცველი, milieu - ცენტრი

მოთამაშე, და მათი ინგლისური ტერმინების—keeper, back, halt გამოყენება მინიმუმამდე დაყვანილი, მაშინ როცა ბელგიელები უპირატესობას ანგლიციზმებს ანიჭებენ. ამ ორ ქვეყანაში გამოყენებული ანგლიციზმები ხშირად წარმოთქმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სიტყვაში "iceberg" ბელგიელები წარმოთქვამენ [ai]-ს, მაშინ როცა იგივე სიტყვა საფრანგეთის ტერიტორიაზე წარმოითქმება [i]-ს მეშვეობით. სიტყვა steward-ს ბელგიელები წარმოთქვამენ ისევე, როგორც ინგლისელები, ხოლო ფრანგები მას წარმოთქვამენ შემდგენარად: [stiwart]. საფრანგეთისაგან განსხვავებით, ბელგიაში ანგლიციზმების გამოყენება ნაკლებლიმიტირებულია ადმინისტრაციულ სფეროშიც. ბელგიაში ხშირად გამოყენებულ ანგლიციზმებს შორის, შეგვიძლია დავასახელოთ: home – (residence) სახლი, მუდმივი საცხოვრებელი, full time – (temps complet) - სრული განაკვეთი, part time – (mi-temps) ნახევარი განაკვეთი, caddie – (chariot) - ურიკა. ასევე ვხვდებით ისეთ ანგლიციზმებს, რომლებიც მხოლოდ ბელგიის ტერიტორიაზე გამოიყენება, ასე მაგ.: jobsite – (étudiant qui fait un travail rémunéré, généralement occasionnel) - სტუდენტი, რომელიც ასრულებს შემთხვევით საშუაოს, studio – (petit appartement) - პატარა ბინა; ვხვდებით რამდენიმე ფსევდოანგლიციზმსაც, რომლებიც, ერთი შეხედვით, ინგლისური ენიდან ნასესხები სიტყვების შთაბეჭდილებას ტოვებენ, თუმცა არ ფიქსირდება ინგლისურენოვან ქვეყნებში, ასე მაგ.: fancy-fair – მოდური, თანამედროვე ტანსაცმლის ბაზრობა, tramway-man ტრამვაის მძღოლი, ვატმანი, taxi-man - ტაქსის მძღოლი.

ანგლიციზმების გამოყენებაში მნიშვნელოვნად განსხვავებული სიტუაციაა ვალონიასა და ბრიუსელში, სადაც ფრანგულსა და ინგლისურ ენებს შორის კონტაქტი გაცილებით ხშირია და ეს უკანასკნელი ნეიტრალური ენის როლს თამაშობს იმ შემთხვევაში, როცა არჩევანის გაკეთებაა საჭირო ფრანგულ და ნიდერლანდურ ენებს შორის. ბრიუსელი, რომელიც ევროპის მულტიკულტურულ ცენტრადაა მიჩნეული, იდეალური ადგილია ინგლისურის გასავრცელებლად.

ბელგიურ და სტანდარტულ ფრანგულში მსგავსებასთან ერთად ბევრი განსხვავებაც შეიმჩნევა. ბელგიური ფრანგულის ლექსიკა განიცდის ვალონური დიალექტის და ვალონიის ტერიტორიაზე არსებული ლოკალური კილოების გავლენას, ხოლო ბრიუსელის ბილინგვურ ზონაში - ნიდერლანდურის გავლენას. ისევე როგორც საფრანგეთის საზღვრებს გარეთ გამოყენებულ ფრანგული ენის სხვადასხვა ვარიანტს, ბელგიურ ფრანგულსაც ახასიათებს არქაიზმების და დიალექტიზმების სიმრავლე. ბელგიელებს ფრანგებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ანგლიციზმების მიმართაც.

#### ლიტერატურა:

1. Bal Willy, Doppagne Albert, Goosse André, Hanse Joseph, Lenoble-Pinson Michèle, Pohl Jacques, Warnant Léon (1997) : *Belgicisms, inventaire des particularités lexicales du français en Belgique*, Louvain-la-Neuve, Duculot.
2. Blampain Daniel, Goosse andré, Klinkenberg Jean-Marie, Wilmet Marc, (1999) : *Le français en Belgique*, Bruxelles, Duculot.
3. Goosse André (1984) : *Influences de l'anglais sur le français de Belgique*, Cahiers de l'Institut linguistique de Louvain 9.
4. Lenoble-Pinson Michèle (1991) : *Anglicismes et substituts français*, Louvain-la-Neuve, Duculot.

#### Résumé

Pour des raisons géographiques et historiques, il existe assez de différences entre le français de Belgique et le français standard dans le domaine des emprunts. Le français de Belgique a emprunté plus de mots à l'allemand et

surtout au flamand que le français standard. Dans le français de Belgique il existe aussi des emprunts au latin non attestés dans le français standard. Le français de Belgique subit, comme le français standard, l'influence de l'anglais. Le patriotisme belge est moins fort que le patriotisme français et l'anglophobie et la révolte contre la culture américaine n'y sont pas très développées. Il y a une grande différence dans l'emploi des anglicismes entre la Wallonie et Bruxelles où les contacts entre le français et l'anglais sont beaucoup plus fréquents et le dernier y joue le rôle d'une langue neutre dans les situations quand il faut choisir entre le français et néerlandais.

ირმა ყიფიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**ქალი – ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი**

ქალი და ქალის თემატიკა მეცნიერების სხვადასხვა დარგის გარდამავალი ინტერესის საგანს წარმოადგენს. ქალი ყველა ეპოქაში სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და კულტურის აქტუალური პრობლემატიკის არეალშია. არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ქალის როგორც მენტალური, სოციალური, კულტურული, ლიტერატურული ფენომენის კვლევას, თუმცა იშვიათია სისტემური გამოკვლევები. უდაოდ საინტერესოა მხატვრულ, სოციალურ, კულტუროლოგიურ და ვერბალურ, ლინგვისტურ კონცეპტთა ურთიერთმიმართებების შესწავლა როგორც ზოგადად, ასევე ბინარულ ოპოზიციათა ჭრილში, რაც ერთმნიშვნელოვნად განაერთიებს ცნებას „ქალის კონცეპტია“, და აღწერს ქალს როგორც „ლინგვოკულტურულ“ მოდელს. სწორედ აღიშნული ტიპის ურთიერთმიმართებების კვლევას და ქალის ვერბალურ-მენტალური კონცეპტუალიზაციის განვითარების მცდელობას წარმოადგენს ჩვენი ნაშრომი, რომელიც ემპირიული მასალად ზოგადთეორიულ მსჯელობასთან შეთანხმების პირობებში მიმართავს მედიას სახეს მითოლოგიასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

თანამედროვე მეცნიერულ სამყაროში გაბატონებულია შეხედულება კონცეპტზე როგორც რთულ მენტალურ კომპლექსზე, რომელიც აზრობრივი შინაარსის გარდა მოიცავს ასევე შეფასებას, ადამიანის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ობიექტისადმი, რეალისადმი ან სხვა ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა უნივერსალური, ნაციონალურ-კულტურული, სოციალური, ჯგუფური, ინდივიდუალურ-პიროვნული.

კონცეპტის შინაარსის/შემადგენლის სრულად ასახვა შეუძლებელია. მას არ აქვს საზღვრები, რამეთუ აზრთა სამყარო დინამიურია, „ნაციონალურ-საეციოლოგიური ენობრივი შემეცნება ექვემდებარება ცვლილებებს, ენა ადამიანის შემოქმედების შედეგია, ენის მემუეობით იღებს ადამიანი ინფორმაციას გარემომცველი სამყაროს, საზოგადოების, კულტურის შესახებ“.

ენის და კულტურის ურთიერთმიმართებების პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ლინგვოკულტუროლოგიასა და კოგნიტივისტიკაში წარმოებულ კვლევებში. ამ ახალი მიმართულებების ძიებამ გამოიწვია ნაციონალური მენტალიზაციის ლინგვისტური ანალიზის აუცილებლობა, რომლის დროსაც კონტრასტულ შეპირისპირებაში ენობრივი ერთეულების კონცეპტუალური შინაარსი ვლინდება, რომელიც თავის მხრივ გარემომცველი რეალობის და ნაციონალური კულტურის, ტრადიციების ასახვის საშუალებაა. ენის როგორც სუბიექტის ცნობიერებასა და არსებულ რეალობას შორის ე.წ. შუალედურ სამყაროდ გაგება წარმოადგენს ენის როგორც ამა თუ იმ ენოსის ისტორიულ ემპირიკაში კონკრეტული შემეცნებითი აქტივობის შედეგების კონცეპტუალურად განხილვის შესაძლებლობას.

ბევლ კულტურათა უმრავლესობაში ქალი ბუნების პასიური საწყისის განსახიერებაა. როგორც ცნობილია, ქალის სამ ტიპს განასხვავებენ. კერძოდ, პირველი – ქალი როგორც ჯადოსანი არსება, რომელიც ხიბლავს, აჯადოებს, სწორი გზიდან ააცდენს და აცდუნებს კაცებს, მეორე – დიდი (საერთო) დედა, დედამიწა, დედა-ბუნება და ა. შ., რომელიც შეთანადებულია შეუცნობელთან, მესამე – უცნობი ასული, მიჯნური, ანიმა. ხოლო იუნგი თავის ნაშრომში „ტრანსფორმაციის სიმბოლოები“ წერს, რომ ბევლად ქალი აღიქმებოდა როგორც ევა, ელენა, სოფია და მარია, რაც შესაბამებოდა იმპულსურ, ემოციონალურ, ინტელექტუალურ და მორალურ ასპექტებს. ყველა ალუგორია კი, ზოგადად, ეფუძნება პერსონიფიკაციას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის სიმბოლოები, რომლებშიც ქალი ცხოველის ფიგურით (ან ფიგურაში). სიმბოლური ასპექტების მიხედვით ქალის უმთავრესი მნიშვნელობებია სოფია (სიბრძნე) და მარია (ღვთისმშობელი). ამ მნიშვნელობების ჭრილში ქალი მეცნიერების (ცოდნის, სიბრძნის) და სიკეთის (კეთილშობილების) განსახიერებაა.

კონცეპტი „ქალი“ წარმოადგენს ქალზე სტერეოტიპული წარმოდგენების პროექციას, ქალზე როგორც სოციალურ არსებაზე, რომლის მახასიათებლებიც ყალიბდება სქესობრივი, ოჯახური, საზოგადოებრივი, ეთნიკური, ესთეტიკური ფუნქციების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ კონცეპტს შეუძლია გამოვიდეს როგორც ზოგადსაკაცობრიო კატეგორია, რამეთუ ის არის ყველა ენაში, მაგრამ ამავდროულად, იმდენად რამდენადაც ის ყალიბდება ყველა კონკრეტული ენის და კულტურის წიაღში, მას აქვს ნაციონალური სპეციფიკა. კონცეპტის „ქალი“ შეფასებითი სტრუქტურა განისაზღვრება სხვადასხვა პარამეტრებით, რომელთა შორის გამოიყოფა ველისათვის „ადამიანი“ დომინანტური მახასიათებლები – „გარეგნული ადამიანი“ და „შინაგანი ადამიანი“. პირველი ოჯახში მოიცავს ისეთ უნივერსალურ მახასიათებლებს, როგორებიცაა „გარეგნობა“, „მანერები“, „ქცევა“ და ა. შ., მეორე კი „პიროვნების თვისებები“, მაგ. „კუკუა“, „სული“, და ა. შ. ასევე გამოიყოფა უფრო კერძო თვისებებიც. ქალის გარეგნობის შეფასებითი კლასიფიკაციის დომინანტური სფეროებია: სახე, ფიგურა, სიარული, ტანსაცმელი, ემოციური ზემოქმედება. ასევე აქტუალურია პარამეტრული მონაცემები: სიმაღლე, წონა, პროპორციულობა, აღნაგობის თავისებურებები და ა. შ. ამასთანავე, ქალის როგორც კონცეპტის ასოციაციური ველში ყველაზე აქტიურ მახასიათებლად შეიძლება გამოიყოს – დედა, ლამაზი, ახალგაზრდა, სიყვარული, ცოლი, კეთილი ... ქალის ყველაზე ხშირ ზოგად და კერძო მახასიათებლებად გამოპყოფენ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. საკუთრივ ასოციაციების კლასიფიკაცია შესაძლებელია ასაკის, პროფესიის, გარეგნობის, ხასიათის მიხედვით. ასე მაგ.:

ნათესაობა – დედა, და, ცოლი, დეიდა, მამიდა, ბებია, ბიძაშვილი/დეიდაშვილი/მამიდაშვილი (მღ. სქესის), დედამთილი, სიდედრი, ცოლისდა, რძალი, შვილიშვილი, ქალიშვილი ...ოჯახი...ქორწილი...ჯვრისწერა პროფესია, საქმიანობა – ექიმი, სამხედრო, გინეკოლოგი, არქეოლოგი, გამომომიებელი, პოეტი, მსახიობი, მკურავი, მზარეული, დოქტორი, პროფესორი, დირექტორი, ბიზნესმენი/მენარმე...ბორტგამცილებელი...დიასახლისი...წარმატებული...საქმიანი...კარიერა...კვიციანი...უნარიანი...განათლებული...

ასაკი – გოგონა, ქალი, მოხუცი, დედაბერი, ბებერი, მოწიფული, მოზრდილი, შუახნის გარეგნობა – სილამაზე, ფიგურა, სხეული/ტანი, სახის მიმიკა, ნაკეთები ხასიათი – სიკეთე, შრომისმოყვარე, ანჩხლი, სისასტიკე, ეშმაკობა, ალურსიანი, იდეალური, მამაცი, გაბედული, საქმიანი, მოკრძალებული, მაგდური, მიშხიდველი, მოხერხებული, გამჭრიახი





ითვალისწინებს კულტუროლოგიური ცოდნის ისეთ სფეროებთან შეხებას, როგორებიცაა ჰერმენევტიკა და რეცეფციული ესთეტიკა. ავტორი მთელ სამყაროს განიხილავს როგორც „ტექსტს“. როგორც მთლიან წიგნს, რომელიც უნდა წაიკითხო, უნდა გამოიფრო.

ვოლფთან მედეას სახე შეიძლება განხილულ იქნას როგორც ნიშანი ისტორიის განვითარებად მოძრაობაში. ის ამ სახის ფილოსოფიური განსაზღვრებიდან გამორიცხავს ისეთ ცნებებს როგორებიცაა ადამიანი, პიროვნება, ინდივიდუალურობა. ქალს წაართვის ცოცხალი მეხსიერება და შეაჩერეს ისეთი სახე, რომელიც სხვებმა შეადგინეს მასზე. ვოლფისთვის მედეა არის აჩრდილი, ხმა მაგიური სახელით. აჩრდილი, რომელსაც ხედავენ, აკვირდებიან და ცდილობენ ადეკვატურად აღქმას და ხმა, რომელიც ესმით, რომელსაც უსმენენ და ცდილობენ გაიგონ.

მრავალ ლაიტმოტივს შორის, ერთ-ერთი უმთავრესი ლაიტმოტივი ვოლფის მედეაში არის მისი გაუცხოება, გაუცხოება საკუთარი თავისა და სხვებისაგან. კონცეპტუალური თვალსაზრისით აქ მედეა პირველ რიგში ქალია, რომელსაც სინდრიდო ქენჯნის, სენტიმენტალურიცაა და პროგრესულიც. მედეა განტყვევის ვაცია. ავტორი მის რეაბილიტაციას ისახავს მიზნად, მინიმუმ კი მის გაგებას ცდილობს, ცილისწამების ნაცვლად.

მედეა კონცეპტუალურად მითოლოგიაში (უპ. ყოვლისა ევრიპიდესთან) წინააღმდეგობრივი, შვილების მკვლელი, უჩვეულო და დროთაშორისი არსებაა, ქრისტა ვოლთან ის პირველ რიგში კოლხი მეფის ასული, აღმოსავლური ცივილიზაციის წარმომადგენელი, ლტოლვილი, განტყვევის ვაცია. ეს სახეებით შეესაბამება ანტიკურის შემდგომ პერიოდში მედეას სახის ტრანსფორმაციას – მკურნალი, ნიჭიერი, ეკვიანი, მოღალატე.

მხატვრული ტექსტის კონცეპტი (ინდივიდუალურ-პიროვნული) ერთმნიშვნელოვნად განსხვავდება ლინგვოკულტუროლოგიურისაგან (ერთობლივ-პიროვნული) შინაარსით და ცნების სიშრავლით. ეს არის ცნებების, წარმოდგენების, გრძნობების, ემოციების კომპლექსი, მხატვრული ასოციაციურობის გამოვლინება.

ზოგადად, ნაციონალურ კონცეპტოსფეროში ასახვას ჰპოვებს ნაციონალური მენტალიტეტი, კულტურა, მეცნიერება. ენა კი ჩართულია კულტურის კონცეპტოსფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ მითი თავად არის სამყაროს კონცეპტუალიზაციის საშუალება. მონომითი მედეაზე კი არის ასტერეოტიპიზირებული ძველბერძნული მითოლოგემა. მედეა ქალის სიმბოლოა, რომლის ირგვლივაც შექნილია მითი. უმნიშვნელოვანსია ამ მიმართებით საბაზისო კონცეპტები – დედა, ოჯახი, ჯადოქარი, მკურნალი. ცნება „ქალის კონცეფცია“ კულტურული მოდელია და ეპოქის კულტურული სტერეოტიპი, კულტურული კლიშე.

ნაციონალურ-კულტურული მთლიანობის სპეციფიკა განისაზღვრება სამყაროსადმი, ღმერთთან, ბუნებასთან და მათ შორის ქალთან სხვადასხვა სახის ურთიერთმიმართებებით. ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ საზოგადოებაში ქალისადმი დამოკიდებულება, რომელიც ენაში ვერბალიზდება, მთლიანობაში არის ნაციის კულტურის დონის მახასიათებელი.

### ლიტერატურა:

1. Маслова, В. А. Лингвокультурология. 1. учеб. пособие для студентов высш. учеб. заведений. М. Академия, 2001.
2. Маслова В.А. Введение в когнитивную лингвистику: Учебное пособие / В.А.Маслова. М.: Флинта: Наука, 2004.
3. Шаховский В.И. Эмоциональные культурные концепты: параллели и контрасты. Сб.: Языковая личность: культурные концепты. - Волгоград: Волг. гос. пед. ун-т, 1996.

Концепт - мир женщины

Представление о концепте как сложном ментальном комплексе, который включает помимо смыслового содержания еще и оценку, отношении человека к тому или иному отражаемому объекту и другие такие компоненты, как универсальный, национально-культурный, социальный, групповой, индивидуально-личностный.

Концептуальная и языковая картины мира тесно взаимосвязаны, находятся в состоянии непрерывного взаимодействия и восходят к реальной картине мира или, просто, к реальному миру, окружающему человека. «Концепт – это ступень культуры в сознании человека; то, в выше чего культура входит в ментальный мир человека. И, с другой стороны, концепт – это то, посредством чего человек – рядовой, обычный человек, не “творец культурных ценностей” – сам входит в культуру, а в некоторых случаях и влияет на нее» (Ю. С. Степанов).

Содержание концептов полностью представить невозможно, у концептов нет границ, т.к. мир мыслей динамичен, национально-специфичное языковое сознание подвержено изменению, язык является производным от человека, через язык человек получает информацию об окружающем его мире, обществе, культуре.

სოფიო ყიფიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
ვარაუდის გამომხატველი მოდალობა ინგლისურსა და ქართულში

ენაში მოდალური მნიშვნელობის ხასიათისა და რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მოუხედავად, ლინგვისტების უმრავლესობა აღიარებს მოდალობის რამდენიმე ტიპის არსებობას, რომელიც გამოიხატება მოსაუბრის მიერ გამოთქმული შინაარსის დამოკიდებულებით რეალობასთან, მის ჭეშმარიტებასთან.

ვარაუდის გამომხატველი მოდალური მნიშვნელობა გამოხატავს რეალობის ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშანს შორის კავშირის ეპისტემურ შეფასებას, დაფუძნებულს მოსაუბრის ვარაუდზე, რომ არსებობს კონკრეტული კავშირის შესაძლებლობა. ლოგიკური აუცილებლობის მნიშვნელობისაგან განსხვავებით, ალბათობის შეფასება არაა დაფუძნებული აშკარა ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, არამედ იგი ეყრდნობა რეალობის არასრულ ცოდნას. გამოთქმის სემანტიკური ინვარიანტი ვარაუდის მოდალური მნიშვნელობებით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: „იქედან გამომდინარე, რაც ვიცით, შეიძლება წარმოვიდგინოთ რომ...“.

წამროშში განვიხილავთ ვარაუდის გამომხატველ ეპისტემურ მოდალურ საშუალებებს ინგლისურ ენაში და მათ ქართულ ექვივალენტებს.

ვარაუდის გამომხატვისას ინგლისურ ენაში გრამატიკულ დონეზე დომინანტურ ელემენტად ითვლება მოდალური ზმნა *may*, ლექსიკურ დონეზე ხშირია როგორც მოდალური სიტყვები, ასევე მოდალური ფრაზები. მოცემული მიკროველის ყველაზე ხშირი ერთეულებია მოდალური სიტყვები *perhaps*, *probably* და მოდალური ფრაზები *I think*, *I suppose*.

მოდალური ზმნა *may* გამოხატავს „ფაქტობრივ შესაძლებლობას“ *factual possibility* რეალობის ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის განხორციელების ალბათობას [ლოში 1974: 75]:

The road may be blocked=  
It is possible that the road is blocked=

Perhaps the road is blocked. (ლორი 1974: 76).

შეიძლება გზა გადაღობილია.

მოდალური ზმნა can გამოხატავს მოქმედების ზოგად ალბათობას, რეალობის ობიექტსა და ნიშნის შორის კავშირის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც დამოკიდებულია ობიექტის თვისებებზე და ხასიათზე (ზოგიერთ ავტორს, მაგალითად, პალმერს მოცემული მნიშვნელობა შინაგან ან დინამიურ მოდალობად მიაჩნია).

The road can be blocked=

It is possible for the road to be blocked=

It is possible to block the road.

შეიძლება გზა გადაღობილია.

Can-ით გამოხატული ფრაზა გამოხატავს ალბათობას კავშირის განხორციელების საერთო ობიექტსა და ნიშნის შორის. May-ით გამოხატული ფრაზები უფრო კონკრეტულად ჟღერს და ეხება ზოგიერთ კონკრეტულ სიტუაციას [პალმერი 1976: 43].

ეპისტემური can და may შეიძლება შეუერთდეს სხვადასხვა სახის ინფინიტის, მაგალითად: განგრძობითი (Continuous), სრული (Perfect), ენებითი (Passive), რაც არ არის დამახასიათებელი მოდალურ ზმნათა სხვა მნიშვნელობებისათვის, მაგალითად, ნებართვისა და ობიექტური შესაძლებლობის მნიშვნელობებისათვის. ასეთი სახის ინფინიტის შეთანხმება ინფინიტის სრულ დროსთან შეიძლება გამოიყენებოდეს მოდალური ზმნის ეპისტემური მნიშვნელობით

I have some washing here- not very much \_ but you are welcome to it. Next week there may be more. (Th. Dreiser)

აქ ცოტაოდენი თეთრეული დაგროვილა და წაიღეთ, იქითა კვირას, ალბათ, უფრო მეტი იქნება.

could და might გამოიყენება ჰიპოთეტურ გამოთქმათა გამოსახატავად, როგორც კავშირებითი კილოს ფორმა არარეალურ პირობებში:

If I could have offered marriage and a settlement everything would have been easy. ( G. Green)

რომ შემძლებოდა მისი ხელის თხოვნა, მაშინ ყველაფერი იოლად ჩაივლიდა.

აწმყო დროის კონტექსტში ეს ფორმები გამოხატავენ ალბათობას, მოსაუბრის დარწმუნებულობის ხარისხს ობიექტსა და განსაზღვრულ ნიშნის შორის კავშირისას. "You might have been killed" He said. "It wouldn't have been honourable."(G. Green)

იქნებ მოეკალით, - მაშინ ჩემი მხრით უსინდისობა იქნებოდა.

can და may-ის უარყოფითი ფორმები გამოხატავენ სხვადასხვა მნიშვნელობებს, პირველი გამოხატავს შემთხვევის უარყოფით ალბათობას, მეორე უარყოფით მოვლენათა ალბათობას. სხვა სიტყვებით may not შემთხვევაში უარყოფილია მოდალური მნიშვნელობის ალბათობა, can not შემთხვევაში - მოვლენები, რომლის შესახებაც გამოითქმება ვარაუდი:

He can't be working at this time=It is impossible that he is working;

He may not be working=It is possible that he is not working.

I may not be as strong as I think. (E. Hemingway)

იქნებ ძალა იმდენი აღარ შემწევდეს, რამდენადაც გული მერჩის.

I can't afford to take the care of myself that he does. (J. Galsworthy)

მე კი არ შემიძლია საკუთარ თავზე ასე ზრუნვა.

კითხვით წინადადებაში მოდალური ზმნა can გამოიყენება ნებისმიერი სახით ინფინიტისთან შეთანხმებაში. უარყოფით წინადადებას can მოდალური ზმნით შე-

იძლება ჰქონდეს დამატებით ემოციური ელემენტი იმისა, რომ სჯეროდეს ვარაუდის:

I can call you Tom, can't I? (G. Green)

ხომ შემძლია თომასი დაგიძახოთ?

მოდალური ზმნის can და may - ს შეთანხმება პერფექტულ ინფინიტითან გამოხატავს ობიექტსა და ნიშანს შორის კავშირის ალბათობას წარსულში, ე.ი. აფასებს მოვლენათა ალბათობას და არა ალბათობის ხარისხს, რომელიც უსწრებს გამოთქმის მომენტს. აქ უფრო ხშირად გვხვდება მოდალური ზმნა may.

You mean you think she might have laid a trap for us? (R. Bradbury)

ფიქრობ მახეს დაგვიგებდა?

I think he was a postmaster, but he may have been the Mayer. (G. Green)

ფიქრობ, ფოსტმასისტერი იყო, მაგრამ შეეძლო მერიც ყოფილიყო.

It couldn't have been the case of poisoning for instance? (A. Christie)

ეს მოწამვლის შემთხვევა ვერ იქნებოდა.

ალბათობის ეპისტემური მოდლობის გამოხატვა არის მოდალური ზმნა may-ის მთავარი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც can-თვის ის მეორეხარისხოვანია. როგორც მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, მეტყველებაში may-ს გამოყენების სიხშირე 6-ჯერ აღემატება ეპისტემური can-ის სიხშირეს, მიუხედავად იმისა, რომ may-ის გამოყენება თხრობით წინადადებებში შეზღუდულია. ორივე მოდალური ზმნა ვრცელდება კომუნიკაციის სხვადასხვა სისტემაში ყველა ტიპის ურთიერთობისას, თუმცა შესამჩნევია ამ ზმნათა სიჭარბე უფროსი თაობის მეტყველებაში ვარაუდის გამოხატვისას. ახალგაზრდებისა და ბავშვების მეტყველებაში ეს ზმნები თითქმის არ გამოიყენება, ვარაუდი გადმოიყვამ მოდალური სიტყვებით (!ზღაიაფა 1985: 135).

მოდალური სიტყვები სასაუბრო მეტყველებაში ეპისტემური მოდლობის ვარაუდის (ალბათობის) გამოხატვის გავრცელებული საშუალებაა. ხშირია ინგლისური მოდალური სიტყვების probably, perhaps გამოყენება, რომელიც მეტყველებაში 5-6-ჯერ აღემატება ერთად აღებულ maybe, possibly, presumably ინგლისურ მოდალურ სიტყვებს.

Probably უფრო ხშირად გვხვდება მედიალურ პოზიციაში: აზრობრივ ზმნათა წინ, დამხმარე ან მოდალურ ზმნათა შორის, დამაკავშირებელი ზმნის შემდეგ. სახელობითი ნაწილის წინ. შეიძლება ასევე მისი აბსოლუტური გამოყენება:

You figured most of them would probably marry dopey guys. (J. Salinger)

მეტი წილი ალბათ ვიღაც შტერებს მისთხოვდება.

The salesman probably just thought she was a regular girl when she bought it. (J. Salinger)

ნოქარმა ალბათ იფიქრა, ჩვეულებრივი გოგაო.

Perhaps ძირითადად გვხვდება საწყის პოზიციაზე და მთელ პრეპოზიციას ანიჭებს სავარაუდო და არარეალურ კვალიფიკაციას. ხშირად კონტექსტში გვხვდება სხვა ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორები.

მოდალური სიტყვა perhaps იშვიათად გვხვდება ზოლო ან მედიალურ პოზიციაზე: From some far source, perhaps some old German ancestors, she has inherited an understanding and appreciation of all this. (Th. Dreiser)

არავინ უწყის, საიდან, იქნებ, თავისი გერმანელი წინაპრებიდან დაჰყვა ჯენის ყოველივე ამის გაგებისა და შეფასების უნარი.

Opium makes you quick-witted perhaps only because it calms the nerves and stills the emotions. (G. Green)

ოპიუმის მოწყვის შემდეგ საზრიანი ხდება კაცი, **აღმაღ** იმიტომ, რომ იგი ნერვებს ამშვიდებს და ვნებას აყურებს.

უფრო დამახასიათებელია მათი გამოყენება თავისუფალ რეგისტრში კომუნიკანტებს შორის თანასწორი ურთიერთობისას.

მოდალური სიტყვები perhaps და probably სემანტიკურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუმცა მათ აქვთ დისტრიბუციის სხვადასხვა მოდელები. ჩვენს მიერ მოძიებულ მაგალითებში perhaps-ის გამოყენების 90% გვხვდება წინადადების დასაწყისში, probably - წინადადების შუაში.

Maybe მსგავსია perhaps-ის მნიშვნელობისა, მაგრამ, ჩვენს მიერ საკვლევ მასალაზე დაკვირვების შედეგად მასთან შედარებით, ის 5-ჯერ ნაკლებად გამოიყენება:

Maybe he has been hooked before and he remembers something of it. (E. Hemingway)

იქნებ სხვა დროსაც წამოვეო ანეკსს და ახლაც ახსოვს.

როგორც მოდალური სიტყვა, possibly გამოიყენება მედიალურ და საწყის პოზიციებზე, ხოლო მოდალური ნაწილაკის ფუნქციით can და may-ისთან ერთად წინადადებაში აძლიერებს დაურწმუნებლობის მნიშვნელობას:

Possibly your friends wouldn't appreciate the fact. (A. Cronin)

შესაძლოა შენმა მეგობრებმა არც დააფასოს ყოველივე ეს.

ვარაუდი გადმოიციმა მოდალური კონსტრუქციებით to be/not to be likely, რომელიც ნაწილია Nominative+Infinitive Construction. ამ მოდალურ კონსტრუქციათა გამოყენება ოფიციალურ რეგისტრში შეზღუდულია.

The parish is not likely to quarrel with him for the right to keep the child. (P. Benchly)

მრევლი ვერ შეედავებოდა მას ბავშვის რჩენის გამო.

"We will dismiss the theory /.../ and consider what is likely to have become of it". (A. Christie)

ის უარყოფს თეორიას და აწონ-დაწონის, თუ რა გამოვიდოდა მისგან.

ვარაუდის გამომხატველი მოდალური ფრაზები ეპისტემური მოდალური მოდიფიკატორების მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს და მასში შედის ორწევრიანი კონსტრუქციები "I suppose" - ტიპისა, ზმნა სახელობითი სიტყვათმეთანხმებები როგორცაა to be possible, შეთანხმება in my opinion ტიპისა, და ასევე მთელი რიგი არსებითი სახელისა და გერუნდივის შეთანხმებები: it looks like+Gerund, there is a possibility, supposing that...

მოდალური ფრაზები მნიშვნელოვნად განსხვავდება მეტყველების რეგისტრებსა და კომუნიკანტებს შორის ნებისმიერი ურთიერთობებისას. ამათგან ნაწილი სტილისტურადაა მარკირებული. ასე რომ, მოდალური ფრაზები I assume, I presume, I gather და სხვანი დამახასიათებელია კომუნიკაციის ოფიციალური რეგისტრისათვის. ხელიაევა თელის, რომ ეს ფრაზები გვხვდება თანამედროზრივად და ასაკობრივად უფროს პირთა მეტყველებაში [ხელიაევა 1985: 140].

ზოგიერთი მოდალური ფრაზა მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და იხმარება ფამილარულ რეგისტრში. მაგალითად, მოდალური ფრაზა I reckon How are you, Benah? - Oh, I'm all right, I reckon. (J. Cooper)

როგორ ხარ? - ვიმედოვნებ კარგად.

უფრო ხშირია მოდალური ფრაზების გამოყენება ორწევრა წინადადებებში, რომელნიც ძირითადად ეხება პროპოზიციის მთავარ წინადადებაში. ყველაზე ხშირად გამოყენებული მოდალური ფრაზებია: I think, I suppose, I guess.

I think შეიძლება გამოვიყენოთ თხრობით წინადადებაში როგორც საწყის, ასევე ბოლო პოზიციასზე:

I suppose he thought she could find that out for herself. (S. Maugham)

აღბათ იფიქრა, ამას თვითონაც გაიგებდაო და აღარ მოსწერა.

ზმნა think-ის წარსული ფორმა აღნიშნავს მოსაუბრის დიდ ეჭვს გამოთქმულ ვარაუდში:

I thought maybe he might know about the ducks. (I. Salinger)

ფიქრზე, თქნებ ამან მაინც იცოდეს იმ იხვეზის ამბავი - მეთქი.

ფრაზა I suppose თანაბრად გამოიყენება როგორც საწყის, ასევე ბოლო პოზიციებზე თხრობით და ზოგჯერ კითხვით წინადადებებში, რომლებსაც წინადადება მტკიცების ფორმა აქვთ. ასევე შესაძლებელია ასევე ზმნის უარყოფითი ფორმაც.

He'll stay with me too, I suppose, the old man thought and he waited for it to be light. (E. Hemingway)

„ვფიქრობ არც თვეზი მომეშვება“. - გაიფიქრა მოხუცმა და გათენების ლოდინს შეუდგა.

I guess გამოიყენება საწყის და ბოლო პოზიციებში, რაც გამონათქვამს აძლევს ეპისტემურ შეფასებას. იგი დამახასიათებელია თავისუფალი რეგისტრის კომუნიკაციისათვის იდენტური სტატუსის მქონე კომუნიკანტებს შორის და ამის შედეგად მას აქვს ზუსტი სტილისტური და სოციალურ-ლინგვისტური მარკირება.

They are all right, I guess - but it doesn't appeal to me. (J. Salinger)

ვფიქრობ ყველანი კარგად არიან მაგრამ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს.

მოდალობის პრობლემა ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი კვლევის საგნად იქცა. მისი მრავალმხრივობის გამო სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების წარმომადგენლები (პალმერი, ფონ ვრაიტი, ლაიონზი, ლიჩი და სხვანი) არაერთგვაროვნად განსაზღვრავენ მოდალობის ცნებას. ჩვენი მიზანია გადმოვცეთ ორივე (ქართულ და ინგლისურ) საკვლევ ენას თუ როგორ შესწევს უნარი სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით გადმოსცეს მოდალური ნიუანსი და შეფერილობა.

თითოეულ ტიპში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სახეობა. მაგალითად, ბრძანებითი წინადადება გამოხატავს არა მარტო საკუთრივ ბრძანებას, არამედ თხოვნას, რჩევას, გაფრთხილებას, მიწყევას

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია ნაშრომში თვალნათლივ წარმოვაჩინოთ მოდალობის კატეგორია მისი კონსტიტუენტებითურთ ორივე ენაში. კვლევის შემდგომ საფეხურზე აუცილებლად მიგვაჩნია გამოვავლინო ინგლისურ და ქართულ ენაში მოდალობის გამომხატველი საშუალებები. ამ მიზნით, განვიხილეთ ინგლისურ და ამერიკულ მწერალთა შემოქმედებაში მოდალობის შემტველ წინადადებათა ქართული თარგმანები.

ინგლისური მოდალური ზმნის may-ის ძირითადი მნიშვნელობაა ვარაუდის გამოხატვა. მაგ:

You may be wanting an exit visa. (G. Green)

საერთოდ შეიძლება დავსკვნათ, რომ ვარაუდის გამოხატვისას ინგლისურ ენაში გრამატიკულ დონეზე დომინანტურ ელემენტად ითვლება მოდალური ზმნა may, ლექსიკურ დონეზე ხშირია როგორც მოდალური სიტყვები, ასევე მოდალური ფრაზები. მოცემული მიკროველის ყველაზე ხშირი ერთეულებია მოდალური სიტყვები perhaps, probably და მოდალური ფრაზები I think, I suppose.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რომელი ქართული მოდალური ელემენტები რა დოზით შეესაბამება თითოეულ ინგლისურ მოდალობის გამოხატველ საშუალებას.

მაგალითად: განხილული ასი მაგალითიდან may -ს ქართულ თარგმანებში მთარგმნელთა 40% იყენებს "შეიძლება"-ს, 40% - მოდალურ ელემენს "იქნებ" და 20% მოდალურ ნაწილას "აღბათ".

Might (მოძიებული 60 მაგალითის საფუძველზე) ქართულ თარგმანებში 50% გვხვდება "იქნებ", 30% - "შეიძლება" და 20% - "ვფიქრობ".

Can (could) (მოძიებული 94 მაგალითის საფუძველზე) თარგმანის 80% გამოყენებულია ზმნა "შეძლება", ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კავშირებითი კილოს ფორმები გამოიყენება.

Probably (35 მაგალითის საფუძველზე) გადმოიცემა როგორც "აღბათ", perhaps (38 მაგალითის საფუძველზე) თანაბრად გვხვდება "იქნებ" და "აღბათ" ნაწილაკები, maybe "იქნებ" (25 მაგალითის საფუძველზე) და possibly (18 მაგალითის საფუძველზე) -ის ნაცვლად "შესაძლოა".

კვლევის საფუძველზე ვასკენით, რომ ინგლისურ ენაში გარდა კილოს კატეგორიისა შესწავლილი ენობრივი ფენომენს გამოხატავს მოდალური მოდიფიკატორები: მოდალური სიტყვები, მოდალური ნაწილაკები, მოდალური ფრაზები. მოდალური ზმნები და სინტაქსური კონსტრუქციები მოდალური მნიშვნელობებით. ხოლო ქართულ ენაში გარდა კილოს მორფოლოგიური კატეგორიისა მოდალობის გამოხატავს ემსახურება ბივერბალური სინტაქსური კონსტრუქციები, მოდალური ზმნები, მოდალური ნაწილაკები: უნდა, ლამის, თითქოს, ვაითუ, ეგებ, იქნებ, ვინძლო და ა. შ. ჩვენს მიერ განხილული აღბათობის მოდალობის გამოხატვის საშუალებებს ცხადყოფს წარმოდგენილი სქემა:

ვარაუდის მოდალური საშუალებები  
ინგლისურ და ქართულ ენებში

მოდალური საშუალებები მოდალური ზმნები	ინგლისური ენა may can could might	ქართული ენა
მოდალური ნაწილაკები		აღბათ
მოდალური სიტყვები	probably perhaps maybe possibly presumably	იქნებ შემიძლია/შემეძლო შეიძლება შეუძლია შესაძლოა ეტყობა ეგონებ ვფიქრობ
მოდალური ფრაზები	I suppose to be possible I guess I assume	მე მგონია(ა) ხომ შეიძლებაოდა ჩემი აზრით

**ლიტერატურა:**

1. ჯორბენაძე ხ., ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, კრებ: ქართული სიტყვის კულტურის საკ



2 ითხები, წიგნი X, თბ., 1993.

3. Ермолаева Л. С. *К вопросу о различении модальных слов и частиц*, В кн. *Иностранные языки в высшей школе*, Москва, 1964.

4. Панфилов В. З. 1977, *Категория модальности и ее роль в конструировании структуры предложения и суждения*, *Вопросы Языкознания*, № 4

5. Leech G. N. 1974, *Meaning and the English verb*, London: Longman

6. Palmer F. R. 1976, *Modality and the English modal*, London - New York: Longman

Sopio Kipiani

## Modality of probability in English and Georgian Languages

The article deals with the vital problem of modern linguistics kinds of modality. Besides the disputes about the number and nature of modality, linguists assume the existence of some kinds of modality.

Modality of probability is the kind of modality that is mostly clearly distinct from the others and has the greatest degree of internal regularity and completeness. Epistemic modals are normally subjective, i.e. that the epistemic judgment rests with the speaker. The function of epistemic modality is to make judgments about the position rather than of actions, states, events, etc.

მალვინა შანიძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებანი მოსწავლეთა ესთეტიკური  
აღზრდის საკითხებზე

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საშუალებებია: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, პლასტიკური ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, კინო, თეატრი, ქორეოგრაფია, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ფოტოხელოვნება ... საგნის სწავლებისას ინტეგრირებული მეთოდის გამოყენებაც, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა.

ესთეტიკური განათლებისა და დახვეწილი გემოვნების განვითარებაში გამორჩეულ როლს თამაშობს მხატვრული ლიტერატურა. დიდი ქართველი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მშობლიურ ენას ანიჭებდა. მიუთითებდა რა „მარჯვედ დაწერილი“ ლიტერატურული ნაწარმოების საგანმანათლებლო და აღზრდელობით მნიშვნელობაზე, ქართველ მწერლებს მოუწოდებდა ნიჭი, ძალა და ენერჯია არ დაემუდრებინათ მომავალი თაობის ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარებისათვის.

დ. უზნაძემ მონოგრაფიაში „სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია“, ერთი თავი, „ესთეტიკური განცდა და შემოქმედება“, მოზარდის ემოციური ბუნების კვლევას დაუთმო. აღნიშნული საკითხი ავტორმა პედაგოგიკის მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნია და შუქი მოჰფინა ბავშვთა ესთეტიკურ აღქმას.

დ. უზნაძის მიხედვით, სასკოლო ასაკის დაბალ საფეხურზე ლიტერატურული ნაწარმოების აღქმას შინაარსის გაგების ინტერესი განსაზღვრავს, რაც აფერხებს ესთეტიკური შეფასების შესაძლებლობებს. შინაარსეული მხარის შეცნობა მუსიკალურ ნაწარმოებში, მისი აზრით, თითქმის შეუძლებელია. ასევე ნაკლებად აძწენ-

ვენ ამ ასაკის მოსწავლეები სურათის მხატვრულ ღირსებას. ისინი მხოლოდ საგნობრივ-შინაარსულ მხარეს აკვირდებიან.

მეცნიერის აზრით, უკეთესი მდგომარეობა შეინიშნება მხატვრული ნაწარმოების აღქმისას. მიუხედავად შინაარსული მხარის დიდი პოტენციალისა, ბავშვები უმეტესად ახერხებენ პოეტურად სრულყოფილი ნაწარმოები მდარესაგან გამოარჩიონ. ამ ასაკში მწერლობა ხელოვნების დანარჩენ დარგებზე მეტად უწყობს ხელს ესთეტიკური განვითარების გაძლიერებას. ბავშვი სიამოვნებით ისმენს სხვის მიერ წაკითხულ ლექსს თუ მოთხრობას და თვითონაც უწინდება მხატვრული ნაწარმოების კითხვის სურვილი. აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში ბავშვები ძირითადად არიან გატაცებულნი. შემდეგ ეს ინტერესი ნელდება და შედარებით მოზრდილ ასაკში სათავგადასავალო, მოულოდნელობებით სავსე ნაწარმოებებს ეტანებიან. სასკოლო ასაკში მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ განვითარებას ერთგვარად აფერხებს ხელოვნების ამ დარგის მთავარი ნიშანი, რომ იგი სიტყვის ხელოვნებაა. „სიტყვა ყოველთვის რაიმე აზრს გამოხატავს და ძნელია სასკოლო ასაკის ბავშვისათვის საგნობრივ-შინაარსობრივი, წმინდა ინტელექტუალური ინტერესების შეფერხება და ესთეტიკური თვალსაზრისით მომარჯვება“ [10].

აკადემიკოსი დ. უზნაძე აღნიშნავს: „მოზარდი ძირითადად სიუჟეტის მსვლელობას მიჰყვება და ხშირად სწორედ ... ისეთ ადგილებს სტოვებს წაუკითხველს, რომელთაც დიდი მხატვრული ღირებულება აქვთ; ბუნების აღწერას, ფსიქოლოგიურ ანალიზს. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს სასკოლო ასაკის მოზარდის შესახებ, რომელსაც გარდა ესთეტიკური განვითარების დაბალი დონისა, სწორედ საგნობრივ-შინაარსული ინტერესის მძლავრი იმპულსი ახასიათებს“ [10]. მკვლევარი მოითხოვს, რომ ერთმანეთში არ ავრიოთ გართობა და ესთეტიკური ტკბობა. მისი აზრით, წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისი, ამა თუ იმ ნაწარმოების არჩევისას, მხოლოდ 13 წლიდან იჩენს თავს. მაშასადამე, პირველ სასკოლო საფეხურზე ლიტერატურულ ნაწარმოებთა კითხვას სხვა ინტერესი უფრო განსაზღვრავს, ვიდრე ესთეტიკური ტკბობის ინტერესი.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მხატვრული ნაწარმოების სწავლების ადრეულ საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის ელემენტები უნდა გამოირიცხოს? რა თქმა უნდა, არა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ასაკის ბავშვს „ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტი იტაცებს, კითხვის პროცესში მასზე არა მარტო სიუჟეტი მოქმედებს და მის საგნობრივ ინტერესს აკმაყოფილებს, არამედ ის ესთეტიკური მომენტებიც, რომელსაც ეს ნაწარმოები შეიცავს და რომლის განვითარების შესაძლებლობაც მას ასე თუ ისე მომწიფებული აქვს. უცვლელია ამ შესაძლებლობათა აქტივაცია და, მაშასადამე, მათი თანმიმდევრობითი განვითარება“ [10].

უმცროს კლასებში ესთეტიკური აღქმა შინაარსიდან გამომდინარეობს. განვითარების შემდგომ საფეხურზე ბავშვის ლიტერატურულ-ესთეტიკური აღქმის საგანს შეადგენს სიტყვა. მიუხედავად ამისა, ისიც დასაბუთებულია, რომ დაწყებითი სკოლის საფეხურზე „მოწაფეებს შეუძლიათ არა თუ ესთეტიკურად განიცადონ ლექსის ან მხატვრული შრომის სილამაზე, არამედ ხშირად სჯობნიან კიდევ მოზრდილებს, მაგალითად, სხვადასხვა მწერლის პოეტური მანერის სწორად წვდომას“ [9].

აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა მშობლიური ენის სწავლებისას შემდეგ ძირითად ამოცანას ისახავს: *ესა მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარება.*

დაწყებითი კლასების მოსწავლეებში ესთეტიკური აღზრდის ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, **განაპირობებს:**

1. კლასიკოსი და საბავშვო მწერლების საუკეთესო, მაღალმხატვრული ნაწარმოებების, ხალხური შემოქმედების ნიმუშების სწავლება (პოეზია, პროზა, მოთხრობები, ზღაპრები, იგავ-არაკები, გამოცანები, ანდაზები);

2. ბუნებისადმი ბავშვის ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ტექსტებზე მუშაობის, ბუნებაში გასეირნებისა და სასწავლო ექსკურსიების მეშვეობით;

3. თვალსაჩინო მასალების (ციცხალი და საგნობრივი თვალსაჩინოება, ფოტო, ვიდეომასალები, ვებ.საიტები), მდიდარი დამხმარე შემეცნებით-შემოქმედებითი ვიზუალური ინფორმაციის ეფექტური გამოყენება;

4. მშობლიური ენის გაკვეთილების ჩატარებისას ინტეგრირებული მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება, სადაც, მდიდარი შინაარსობრივი პოტენციალის გარდა, საგაკვეთილო ტექსტების საფუძველზე, თემატურად მისადაგებული მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება, ფერწერული ნახატების განხილვა და მინი-სპექტაკლების დადგმა მოიაზრება;

5. ცნობილი მსახიობების მიერ წაკითხული პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშების მოსმენა;

6. მოსწავლეთა გამომეტყველებითი კითხვის ჩვევათა ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

ეფიქრობ, მხოლოდ ამ საშუალებათა ერთობლიობა უზრუნველყოფს ესთეტიკური აღზრდის ამოცანათა განხორციელებას. ყურადღების გამახვილება ერთ-ერთ მათგანზე, ან სწავლების რომელიმე მხარეზე, სასურველ ეფექტს ვერ მოგვცემს.

სკოლაში ისე უნდა მოხდეს ლიტერატურული ტექსტების შესწავლა, ათვისება, მისი ანალიზი, გადმოცემა და თხრობა, რომ ნაწარმოებს არ დაეკარგოს ემოციური შემოქმედების ძალა. ნაწარმოების უკეთ გაგებასა და შესწავლაში, მოსწავლეს გამომეტყველებითი კითხვის უნარი დაეხმარება. გამომეტყველებითი კითხვა ათვალსაჩინოებს ნაწარმოებში წარმოდგენილ მხატვრულ სახეებს, ხელს უწყობს შინაარსისა და ფორმის მთლიანობაში აღქმას, ავითარებს მხატვრულ გემოვნებას, მეტყველების კულტურას. სწორედ გამომეტყველებითი კითხვის მეშვეობით ჩასწვდება მოსწავლე ნაწარმოების შინაარსს, დედააზრს, მოქმედი პირების ხასიათებს, გამოსახვის მხატვრულ საშუალებებს; გაუღვივდება სიყვარული მხატვრული ლიტერატურისადმი, მშობლიური ენისა და მისი შესწავლისადმი; განუვითარდება ესთეტიკური გემოვნება და მშვენიერების შეცნობის უნარი.

ენის ესთეტიკურ-აღზრდელით შესაძლებლობათა რეალიზების საუკეთესო გზა ხალხური პოეზია, პროზა, ფოლკლორული ნიმუშებია. ი. გოგებაშვილის აზრით, პოეტური მეტყველება სხვაზე უკეთ და მარჯვედ წარმოაჩენს ერის შემოქმედებით შესაძლებლობებს. იგი საჭიროდ თვლის ბავშვის აღზრდას მშობლიურ ენაზე შექმნილი პოეტური ნიმუშების შეთვისებით, რადგან „მეტყველებას თავისი მუსიკა აქვს, თავისი ჰარმონია და ამ მუსიკის საიდუმლოს ენა უზიარებს მხოლოდ ღვიძლს თავისიანებს, მხოლოდ სამშობლოს ძეთა და ასულთა“ [3].

მხატვრული ლიტერატურის გაგნობით მოსწავლეს შეიძლება მეტი ინტერესი გაუჩნდეს ხელოვნების სხვა დარგების მიმართაც. მაგ., ლადო ასათიანის ლექსის „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“ (მე-3 კლასის „ქართული ენა“) ინტეგრირებული მეთოდით შესწავლის შემდეგ, შესაძლოა ინტერესი გაიზარდოს თეითანასწავლი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ფანოზბრივად მრავალფეროვანი შემოქმედებისადმი. სიტყვის

ბელოვენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამდაგვარი დაინტერესებისა. სწორედ ასეთ მნიშვნელობაზე წერდა ჯერ კიდევ საუკუნით ადრე მ. რუბინშტიინი: „საოცარია, ჩვენს დროში როცა მსკელობენ ესთეტიკურ აღზრდაზე, ძირითადად ლაპარაკობენ პლასტიკურსა თუ სახვით ბელოვენებაზე, მაშინ, როცა აღზრდის უდიდეს, თითქმის ყველაზე მთავარ ფაქტორს წარმოადგენს პოეზია, ე. წ. სიტყვის ბელოვენება“ [12].

დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოებში ი. გოგებაშვილს შეჰქონდა ისეთი პოეზიის ნიმუშები, რომელთა ენა იყო „ხალხური, მარტივი (მსუბუქი), კეთილბოვანი და მდიდარი“. მისი აზრით, ბავშვმა რომ ნაწარმოების დედააზრი კარგად გაიგოს და შემდეგ აითვისოს, აუცილებელია ისეთი ენობრივი ფორმების გამოყენება, რომლითაც ხალხი მეტყველებს; ამავე დროს, *ლოტრანტურული ნაწარმოები კეთილბოვანების, მუსიკალობის, რიტმისა და რითმულობის გარეშე ვერს გონებას გაწვრთნის და ვერც გულს.*

ი. გოგებაშვილი ესთეტიკური მოსაზრების საფუძველზე საგანგებოდ ცელოდა და აზუსტებდა ლექსებს. იგი წერდა: „დიდი წილი ჩვენს მიერ შეკრებილი ლექსებისა და ზღაპრებისა დაბეჭდეთ სწორედ ისე, როგორც გავიგონეთ ხალხისაგან, ზოგში კი ცვლილება შევიტანეთ. ეს ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგს ლექსს, ფორმით მშვენიერს, შუესაბამო და მავნე შერევენება აფუჭებს და უვარკისად ჰხდის ბავშვებისათვის. ჩვენ ეს შემედგნებანი პედაგოგიური მოსაზრებით გამოვტოვეთ და მათ მაგიერ ჩავურთეთ შესაბამისი და *სასარგებლო შერევენებანი*, ხოლო აგებულია ლექსისა, მისი კალაპოტი, ენაზურა და რითმა ხელუხლებელი დავტოვეთ“ [4]. კერძოდ, ეხებოდა რა „დედაენაში“ დაბეჭდილ აკაკის ლექსებს, იაკობი მიუთითებდა, რომ მან პოეტის ნებართვით ზოგიერთი რამ შეცვალა *პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო*: „ჩვენ იმდენად კარგად გვაქვს შესწავლილი ჩვენის სახელოვანი პოეტის თხზულებანი, რომ როცა ვცვლით ლექსსა, ისევ აკაკისებურ ლექსსა ვებმარობთ და ჰარმონიას არ ვარღვევთ“ [5]. სწორედ ასეთ შეცვლილ ვარიანტს წარმოადგენს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში შეტანილი აკაკი *წერეთლის* ლექსი *„ყმაწვილი და პაქელა“*. იგი ძალიან მოსწონდა იაკობს, როგორც „ყოველი ღირსებით შემკული“ პოეზიის ნიმუში, რომელიც „ადვილად შესათვისებელია ბავშვებისათვის როგორც შინაარსით, ისე ფორმით“, რადგანაც „... ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზრდოს აძლევს *გონებასაც ... და გულსაც*“ [2].

მესამე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ გამოცემაში დაბეჭდილია ი. გოგებაშვილის მიერ გადამამუშავებული ხალხური ზღაპარი *„რწყილი და ჭიანჭველა“*. ნაწარმოების წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით მომხდარა ზღაპარში მიერეოდენი ცვლილება. „სახალხო რედაქციაში მას ასეთი სათაური აქვს: ტილი და რწყილი. ტილი ისეთი საზიზღარი სულდგმულია, რომ ამ სიმპატიურს ზღაპარს ანტიპატიურ ელფერსა სდებს, და სწორედ ამის გამო ტილი შევეცალეთ ჭიანჭველაზე, თუმცა კარგად გვესმოდა, რომ რეალიზმის მხრივ ტილს უაღრესობა აქვს ჭიანჭველასთანა“ [4] – წერდა იაკობი.

იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებანი, დღეისათვის გამოცემული მრავალფეროვანი და მრავალგვარი ქართული ენის სახელმძღვანელოებისა და მასში შეტანილი მხატვრული ტექსტების ფონზე, საუკუნის შემდგომაც აქტუალური და მნიშვნელოვანია. აუცილებელია სახელმძღვანელოების ავტორებმა, ტექსტების შერჩევისას, გაითვალისწინონ იაკობის მარად უპკნობი შეგონება ისეთი მხატვრული მასალა შეარჩიონ გამოცემისათვის, რომლებიც „როგორც შინაარსით,

ისე ენით, მისცემენ მასწავლებელს ხელში მძლავრ ღონისძიებას, რომ მან, ერთი მხრივ, ყმაწვილების გონებაში დაწეროს *სამოვლასიო* გახსნის თესლი; შეიტანოს მათ აღზრდაში *ესთეტიკური* და *ზნეობრივი ელემენტი*, შეიყვანოს მათი გონება მაღალ ჰაზრების სფეროში და მათ გულს გააენოს ღრმა კაცური გრძნობანი და კეთილშობილი ლტოლვილებანი, – მორე მხრით, გადასცეს მათ ცოცხალი ცოდნა *ქართული ენის ბასათისა, თვისებისა, მისი სულისა, სიმდიდრისა* [6].

იაკობ გოგებაშვილს ახალი თაობის საუკეთესო აღზრდელად ადრეული ასაკიდანვე სწორედ მაღალმატერული საბავშვო მოთხოვნები მიაჩნდა. „თუ თქვენს შვილს, – წერდა იგი, – პატარაობისასვე მარჯვედ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებანი მიიზიდავენ თავისაკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ და *კითხვის მოთხოვნილებას უღვივებენ* და უმტკიცებენ, იგიღეთ, რომ თქვენ გზრდებთ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაულალავ გონებითს მოქმედებას, რომლისათვისაც *კულის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნის კითხვა, აზროვნება, მსჯელობა* იქნება ისეთივე მოუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის“ [2]. დიდი პედაგოგი მუდმივად ცდილობდა განეახლებინა რჩეული ნაწარმოებებით „*დედაენა*“ და „*ბუნების კარი*“ და თვითოვე კრებდა ისეთ ტექსტებს, რომლებიც „თავისი *ესთეტიკური ღირსებებითა და ემოციური სიძლიერით* ღრმად სწედებინა ჰამუკის სულს, რაღაც ინტიმური სითბო შეაქვთ მის განცდებში და აკეთილშობილებენ მის გრძნობებს“ [7].

აღნიშნული საკითხების დასასაბუთებლად იაკობი გამოდის კლასიკურ პედაგოგიკაში კარგად ცნობილი *ბუნებათმეცამისობის პრინციპიდან*. ამ პრინციპზე დაფუძნება, მისი აზრით, სრულიად აუცილებელია სწორედ ბავშვის ესთეტიკური განვითარების თვალსაზრისით, რადგან „*ბუნებრიობა, ბუნებასთან, სინამდვილესთან შეთანხმებულება* – სილამაზისა და სიკოხტავის უმთავრესი არსებობა“ [5].

*ბუნების შევნობის პროცესში*, სახელმძღვანელოში შეტანილი შესაბამისი თემატიკის ნამუშევრის შესწავლა იქნება ეს (ხალხური „ხეებს ნუ კაფავ“, ვაჟა ფშაველას „ტყე“, „ია“, „მთის წყარო“, „შელის ნუკრის ნაამბობი“, „ხმელი წიფელი“, ირ. ევდოშვილის „უბედური ქორბუდა“, გივი ძნელაძის „ტყის ჩივილი“, ნინო ნაკაშიძის „გვიყვარს მშვენიერი გაზაფხული“, იაკობის „ორავულის ცხოვრება“ და მრავალი სხვა), თუ ბუნებაში მიზნობრივი გასვლა, *ბავშვს უყალიბდება ბუნების სილამაზის აღქმის, მისით ტკბობისა და გაფრთხილების უნარი*. ამიტომ სკოლის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ბუნებასთან მოზარდის სწორ დამოკიდებულებას.

„რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს? ჩვენს წინ კაცმა გამოიარა, ცალ მხარზე ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიადგა ერთს მშვენიერს ტრატგადართხმულ წიფელს, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა...“ (ვაჟას „ია“).

ხალხური ლექსიდან – „ტყეებს ნუ კაფავ“ – ჩანს, თუ რა უბედურება შეიძლება მოჰყვეს ტყეების გაჩეხვას: დამრება წყაროები, დაჰკნება ყვავილები, ყანებს კალია გეჰამს და დარჩება მხოლოდ სალი კლდეები. ხეების გაჩეხვა სხვა, უფრო დიდი უბედურების მომასწავლებელიცაა. პედაგოგი ბავშვებს აუხსნის და ვიდეომასალებით დაუსაბუთებს, რომ ხის ფოთლებს აქვს სხვადასხვა სახის მოწამვლელი გამონაბოლქვი აირების შთანთქმის უნარი, ე. ი. მათ ატმოსფეროს გაჯანსაღების უდიდესი ფუნქცია აკისრიათ. ტყეების მასიური მოკრით,

ეკოლოგიური პრობლემის უგულვებელყოფით, ადამიანი არა მარტო საკუთარ თავს იგდებს საფრთხეში, არამედ კაცობრიობის მომავალსაც ანადგურებს.

ამიტომ, მუდმივად უნდა ვიფიქროთ ბუნების დაცვაზე, დავრგოთ ხეები; ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში გავუზანტროლოთ არსებობა მდინარეებს, წყაროებს, ზღვებს, მათში მცხოვრებ არსებებს...

ბავშვის ესთეტიკურ აღზრდაში, ქართული ენის სწავლების პროცესში, ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი *თვალსაჩინოებას* უჭირავს.

ბავშვზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს სურათის კომპოზიციის, სიუჟეტის, ფერის, ფორმის, ლადის მობრახობები, საინტერესო სიტუაციები. ნახატი ბავშვის ცნობიერებაში აცოცხლებს თავის დროზე ხილულ, რეალურ ფაქტებს. სურათის აღწერა, ნახატის მიხედვით თხზულებებზე მუშაობა, მოსწავლეებში ამაღლებულ გრძნობებს იწვევს; ბავშვის ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად უვითარებს სწორი მეტყველების, დაკვირვების, აღქმისა და წარმოსახვის უნარს, უწყალობებს დამოუკიდებელ, კრიტიკულ, ლოგიკურ, ანალიტიკურ და შემოქმედებით აზროვნებასა და თხრობის უნარს.

იმისათვის, რომ აღნიშნული პროცესი ყოველდღიური საგაკვეთილო მუშაობის ნაწილად ექცია, იაკობმა „დედაენის“ სხვადასხვა გამოცემები ეტაპობრივად გამდიდრა რეალისტური ილუსტრაციებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამოვარჩევდი „დედაენის“ მე-12 გამოცემას. „წერა-კითხვის სწავლა ჩვენს წიგნში დაკავშირებულია სურათებთან. ამ სურათების შემწეობით ჯერ საგანი უნდა გაიცნოს ბავშვებმა, მერე მისი სახელი“[5] მიუთითებდა იაკობი. მას თვალსაჩინოება სწავლების ერთ-ერთ უპირველეს საშუალებად მიაჩნდა. გამოარჩევდა თვალსაჩინოების ორ სახეს: *საგნობრივსა და სურათოვანს*. საგნობრივი თვალსაჩინოება გასაცნობი ობიექტის „ეოცხალი და უბრალო წედომის“ საშუალებად წარმოედგინა, ხოლო სურათოვანი თვალსაჩინოება, მოკლებული იყო „ამ თვისებას“. მიუხედავად იმისა, რომ, იაკობის აზრით, „საგნობრივ თვალსაჩინოებას ისეთივე უპირატესობა აქვს სურათოვან თვალსაჩინოებასთან, როგორც ცოცხალ ორიგინალს მკვდარ ასლთან“[1], მაინც აღიარებდა: „უჩვევე ყმაწვილს ის საგანი, რაზეც ელაპარაკები ან მისი სურათი მაინც, თუ გასურს, რომ იმან ჭეშმარიტი წარმოდგენა გამოიხატოს გონებაში“[1]. დიდი მასწავლებელი დარწმუნებული იყო, რომ „სურათი თვალსაჩინოდ ჰხდის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლეს და ხალისსა“[1]. ამიტომ, ათი წლის განმავლობაში გრიგოლ ტატიშვილთან ერთად (მხატვარ-ქსილოგრაფი, რომელმაც გააფორმა „დედაენის“ პირველი გამოცემები მხატვრული შრიფტითა და ილუსტრაციებით) ეძებდა შესაფერის მხატვრებს, რომლებიც დაასურათებდნენ ქართულ საბავშვო გამოცემებს.

სასიამოვნოა, რომ პირველი კლასის მრავალ სახელმძღვანელოთა შორის გამორჩეულია ი. გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარის, მღვდელ კონსტანტინე გიორგაძის ძალისხმევით გამოცემული იაკობ გოგებაშვილისეული პირველი კლასის მეთოდურად განახლებული „დედაენა“.

ბავშვის ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი ფაქტორი, *მინი-სპექტაკლების* დადგმა.

ტექსტების როლებად დაყოფა და მინი-სპექტაკლების ჩატარება ყველაზე საინტერესო, სასიამოვნო და ხალისიანი საბუნაო საგვეთილის პროცესში. ყველა საგაკვეთილო მასალა ამ მეთოდის გამოყენებას ნამდვილად არ საჭიროებს. მინი-სპექტაკლების ჩატარება დასავლური მეთოდოლოგიის, ინტეგრირებული მეთოდის, ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. თუმცა მასზე მუშაობა ათეული წლებია რაც

დამკვიდრებულია ქართველ პედაგოგთა პრაქტიკაში. მინი-სპექტაკლები შეიძლება გაიმართოს, როცა ტექსტი უკვე დასწავლილი და გააზრებულია მოსწავლეთა მიერ. მაგ.: აკაკი წერეთლის მიერ ნათარგმნი, კრილოვის „კრიჰინა და ჰინანველასა“ და „მგელი და კრავისათვის“ შეირჩევა სამ-სამი მონაწილე, ბალხური ზღაპრის, „რწყილი და ჰინანველასათვის“ - ცხრა, ესოპეს „კურდღელი და კუსათვის“ - სამი მოსწავლე და ა. შ.

მინი-სპექტაკლების წარმოდგენის პროცესში მოსწავლეებს უყალიბდებათ:

- სწორი, გამართული, გამომსახველი მეტყველება;
- ნაწარმოების გმირების მხატვრულად, სახასიათოდ წარმოდგენის ჩვევა;
- ტექსტის დედააზრში უკეთ წვდომის უნარი;
- ხმის სახასიათო ტემბრი (იმის მიხედვით, თუ რას, ან ვის განასახიერებენ);
- მოსმენისა და შეფასების კულტურა.

ამავე დროს ეხსნებათ კომპლექსები, ხდებიან უფრო დახვეწილები, აქტიურები, ფაქიზები; შემოქმედებითი და მხატვრული თვალსაზრისით - ესთეტიკურად ამაღლებულები.

როგორც ვხედავთ, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, ესთეტიკური განათლებისა და გემოვნების განვითარებას, სხვა მნიშვნელოვან საადმინისტრაციო ელემენტებთან და მთელ სასწავლო პროცესთან ერთად, უნდა ემსახურებოდეს მხატვრული ლიტერატურა ანუ „სიტყვის ბელოვენება“.

#### ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი. (1947 წ.). თხზ. ტ. I. პედ. ინსტ. გამოცე. თბილისი.
2. გოგებაშვილი ი. (1940 წ.). რჩული ნაწერები. პედ. ინსტ. გამოცე. თბილისი.
3. გოგებაშვილი ი. (1952 წ.). თხზ. ტ. III. პედ. ინსტიტუტის გამოცემლობა. თბილისი.
4. გოგებაშვილი ი. (1955 წ.). თხზ. ტ. IV. პედ. ინსტ. გამოცე. თბილისი.
5. გოგებაშვილი ი. (1957 წ.). თხზ. ტ. V. პედ. ინსტ. გამოცე. თბილისი.
6. გოგებაშვილი ი. (1958 წ.). თხზ. ტ. VI. პედ. ინსტ. გამოცე. თბილისი.
7. თავზიშვილი გ. (1949 წ.). „იაკობ გოგებაშვილი“, ტ. II. თბილისი.
8. ნათაძე რ. (1968 წ.). აზროვნების განვითარება საკოლო ასაკში, „მავშის ფსიქოლოგია“, თბილისი.
9. რამიშვილი დ. (1963 წ.). მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ხუნებისათვის. თბილისი.
10. უზნაძე დ. (1967 წ.). შრომები. ტ. V. თბილისი.
11. შანიძე მ. (2006 წ.). ქართული ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით კლასებში მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნებთან კავშირში. აკწერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი.
12. Рувинштейн М. М. (1916). Очерки педагогической психологии. Москва.

Malvina Shanidze

### **Iakob Gogebashvili's conceptions on issues of pupils' aesthetical upbringing"**

#### **Abstract**

" The work covers the ways of psychological training for children of primary education, how mature they are to perceive aesthetically and estimate a literary work; a special method is worked out for conducting lessons in the native language. Accordingly, children will be able to develop the ability of aesthetical perceiving of a work of art.

The work focuses on Iakob Gogebashvili's conceptions dealing with issues of children's aesthetical upbringing. Some samples given in the book of "Deda Ena" as well as other publications by I. Gogebashvili are analyzed in the given work.

თამარ შარაბიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
ქრისტიანული სიყვარულის თემა ვაჟა-ფშაველას ლირიკაში

ყველა პოეტი უმღერის სიყვარულს, გამონაკლისი არც ვაჟა, მაგრამ ყველას შემოქმედებაში როდი მოიაზრება ეს გრძნობა ქრისტიანული სიყვარულის გამოვლინებად. ვაჟას ლექსი „სიყვარულის სამეფო“, ჩვენი აზრით, სწორედ ქრისტიანული სიყვარულის მხატვრულ-ალეგორიული წარმოჩენაა. სიყვარულის სამეფო მშვენიერი მდელია და „ცოდვაა მისი მშვენიერება ადამიანმა ფეხითა სთელოს“. ის უპირისპირდება „ნალაკ“ ადგილს, როგორც „ულაკი“, როგორც მთა ადამიანთა საცხოვრებელს [კიკნაძე: 65]. ის იგივე ტრფობის მთაა, სადაც მხოლოდ სული მიაღწევს. ეს ღვთიური კუთხე საშობებს ჰვავს: ჰვავის უკვდავების ხე, დიან უკვდავების წყარონი; მაგრამ საშობებზე უკეთესია, რადგან აქ უკვე ვეღარ შეაცდენს გველი ვვას, ვეღარც ბოროტი სული გახედავს „ცოდვის საქმნელად გულის რწევასა“ აქ სამეფო ტახტზე სიყვარული დაბრძანებულია და ის მეფობს „კაცთა და პირუტყვეთ გრძნობა-ვენებზე“. მის გამო „ვეფხვნი და ლომნი წყნარად, უენებლად ირემთ და შველთ შორის“ დადიან, „ქორ-შავარდენნი კაკაბთ, გნოლთ გვერდით“ ზიან, არჩიესაც ხმალი ჩაუგია ქარქაშში და კლანჭებზე სისხლი აღარ სცხია, „შვის დამტკბარიყო მისი ზუნება, რა სიყვარული გულსა ჰხლებოდა. ვისაც გუშინა გულ-ცივად ჰკლავდა, დღეს იგი მის მტერს შეაკვდებოდა“ [ვაჟა-ფშაველა, 188].

ცხოველთა ზუნების შეცვლა შეიძლება ორგვარად გავიაზროთ. სინამდინდე და მისგან გამომდინარე სიყვარული ზუნებას უცვლის მტაცებელ ცხოველს. მოციქულის სიტყვებით, „ყოველივე ზუნებაჲ მკვებთა და მფრინველთაჲ და ქუეყნარმავალთაჲ და მღურვალთაჲ დაიძწყების და დამწყსილ არს ზუნებასა ქუეშე კაცთასა“ [იაკობ 3, 7]. ცხოველის მრისხანების დათრგუნვა ეს არის ნიშანი, რომლითაც შეიგნობა მორწმუნე. ეს მოტივი უცხოა წარმართობისთვის და მხოლოდ ქრისტიანული დიდაქტიკისთვისაა ნიშანდობლივი. მეორეს მხრივ, ცხოველთა ზუნების შეცვლა შეიძლება გავიაზროთ, როგორც ადამიანის ნეგატიური მხარეების დაძლევა – „დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი“ [ესა. 90, 13]. იგივე მოტივი იჩენს თავს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანიშვიც“, სადაც დაგმობილია ლომობის ამპარტაყნული მხარეები. თუ ანტიკურობის ეპოქაში იგავურ ცხოველს, რომელშიაც ადამიანი თავის თავს ხედავდა, არ ჰქონდა გარდასახვის უნარი, ქრისტიანობამ ცხოველს ეს უნარიც მიანიჭა, რათა ადამიანსაც ეფიქრა გარდაქმნაზე, გამოეყენებინა თავისუფალი ნება, რომელიც სინანულის შესაძლებლობას მისცემდა.

თუ შევადარებთ „სამეფო სიყვარულისას“ იოანეს გამოცხადებაში მოთხრობილს, უმაღ ვიპოვით მსგავსებას მათ შორის: „შეყსულად ვიქმენ სულითა და აჰა დგა საყდარი ცათა შინა და საყდარსა მას ზედა მჯდომარე იყო...“ [გამოცხ. 4: 2-3]. სიყვარული ადამიანის სულის გამოვლინებაა. ამიტომაცაა, რომ ვაჟას სიყვარულის სამეფო მოიაზრება, როგორც არამიწიერი ადგილი, სულიერი ბაღი, სადაც აგრეთვე დგას სამეფო ტახტი, რომელზედაც სიყვარული დაბრძანებულია. „გამოცხადებაშიც“ ტახტიდან მოედინება სიცოცხლის წყლის მდინარე და ხარობს „ძელი სიცოცხლისაჲ“. მდინარე განასახიერებს საღვთო მადლს, რომელიც ამქვეყნიურ სამყაროში სულიერი სამყაროდან შემოდის და აცოცხლებს მას. წყალი ნიშანია სულიერი საზრდოსი, ხოლო ძელი ცხოვრებისა – მარადიული სიცოცხლის. ასეთივე სამკვი-



დროა ვაყას სიყვარულის სამეფოც, რომლის აუცილებელი ატრიბუტია წყალი. მისი მემკვიდრეობითაც აყვავდება ბაღი, სადაც ხარობს უკვდავების ხე.

სხვადასხვა უბედურებებით ილუპეზიან ცოდვილნი „იოანეს გამოცხადებაში“ და ველარ აღწევენ უფლის ტახტამდე. ასევე სიყვარულის სამეფოშიც ცოდვილი ვერ ზედება. აქ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები, როგორც ღვიძლი ძმები, ჰკოცნიან ერთმანეთს: „ველარა ჰღებენ კაცის სისხლითა

მათ შემადგერალს ტურფა მხარესა.

ერთურთს შესტრფიან თვალ-დამშუღლნი.

ვით ცა გადმოსულს მასზედ მთავრესა“ [ვაჟა-ფშაველა, 188]. (შდრ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ“, სადაც სიყვარულის მაგალითს პოეტს მთავრე და მასზედ გამოიხსენებელი ვარსკვლავი აძლევს.)

პოეტის კითხვას – „სატრფოვ, სადა ხარ?“ – ტახტზე მუდომარე პასუხობს: „მე თვით გახლავარ ის შენი სატრფო!“ მაშასადამე, პოეტის სატრფო მაღალ ტახტზე მუდომი სიყვარულია; იგი ისაა, ვისაც ხანგრძლივად ეძებდა, ვისთვისაც მრავალი გაჭირვება გადაიტანა და ზოლოს მიაგნო მას, სამოთხისსადარ მდგლოს. ვაჟა-ფშაველასამოთხე პოეტური რეალობაა (შეიძლება – ირეალობაც). ვაჟა მიჰყვება ბიბლიურ-ქრისტიანულ სახისმეტყველებას და თუ რამ სხვაობანია, ეს არცაა მოულოდნელი, რადგან სამოთხის წარმოდგენას და „განამდვილებას“, თუნდაც პოეტურს, აპოკრიფული სათავეები აქვს (ისევე, როგორც ჯოჯოხეთისას). მთავარია, რომ სამოთხე ვაჟასთვის სიყვარულის სამეფოა. აქაა მისი სატრფო და კონკრეტულად რომ იყოს მისი წარმოდგენა, ეს იქნება, ასე ვთქვათ, ბეატრიქსეზური სახეობა, აქ სიყვარული ასულიერებს ყველაფერს და ამიტომ აქაური ნეტარება წმინდად სულიერია. პოეტის სულის კათარზისი სიმბოლოურად წარმოდგენილია სატრფოს ძებნით, რაც ცოდვების გამოსყიდვის გზაა, ხოლო უფალთან მისტიკური შერთვა – სატრფოს პოენით. ალეგორიის ახსნას თვითონ ვაჟა იძლევა:

„მე თვით გახლავარ ის შენი სატრფო!

ტრფობის ქვეყანა ერთხმად ჰკიოდა!“ [ვაჟა-ფშაველა, 188]

თუ სოლომონის „ქებათა-ქებაში“ სიყვარული სიძესა და სძალს შორის ალეგორიულად საღვთო სიყვარულისა; თუ დანტესთვის ბეატრიქსე განსახიერებდა ქრისტიანული სიბრძნისა; ტრუზადურულ ლირიკასა და სუფისტურ პოეზიაში მიწიერი ტრფობა ღვთაებრივი სიყვარულის სიმბოლოურ გამოხატულებად მოიაზრება, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ მიწიერი, ადამიანური სიყვარული – „ხელობანი ქვენანი“ – სწორედ სიყვარულის უმაღლეს სახეობას, საზეო მიჯნურობას „ჰბაძავს“ გრძობათა სიღიადებში, სიწმინდეში და აღმაფრენასაც მისგან იღებს [ელაქიძე მ., 62]. ასევე დავით გურამიშვილის ცნობილ ჰიმნში „ოდეს დატყობულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ველარ ნახა, იმის მოთქმა დავითისაგან“ საყვარელი ოგივე ღმერთია, მაშინ არც ქრისტიანულად მოაზროვნე ვაჟასთვის უნდა იყოს უცხო სატრფოს სახეში უფლის წარმოდგენა და საღვთო სიყვარულის მოაოცება ამქვეყნიური ვნებების ძლევიტ: („ყოველი ფიქრი საამქვეყნიო, მაშინ ქარწყლდება, გულში მიქრება“). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სულიერ სიახლოვეს ვაჟა სწორედ რუსთაველთან და გურამიშვილთან გრძნობდა.

ღმერთთან მისვლის სულიერი გზა მწერლობაში მხოლოდ და მხოლოდ ალეგორიული მეთოდის გამოყენებით, სახე-სიმბოლოებით გამოიხატება. ეს გზა საიდუმლოა, ადამიანისათვის გამოუთქმელი, ამდენად მის შესახებ საუბარი სატოყანების გარეშე შეუძლებელიცაა.

საყოველთაო გადარჩენა ასახული იოანეს აპოკალიპსში ქვეყნის დასასრულისას, მეორედ მოსვლის ეპოს, რაც საკრალური ქორწინებით გამოიხატება. ამ ქორწინების სახისმეტყველებას ანდრია კესარიელი განმარტავს: „სერი ქრისტეს ცხოვრებულთა მათ დღესასწაული და სიხარული არს, რომლისა მკვიდრნი ნეტარ არიან და შევიდნენ სასძლოსა მას საუკუნესა, წმინდასა მას სულთა სიძესა თანა, ხოლო ვინაითგან მრავალნი არიან მის საუკუნოსა კეთილნი, ამისთვის მრავალნიცა სახელნი ეწოდებიან მათსა მიღებასა, რამეთუ ეწოდების სასუფეველ დიდებისათვის მისისა და სამოთხე კეთილთათვის მისთა და წილ აბრაჰამისა დამაშვრალთა მათ შინა განსვენებისათვის და კუალად“ [ანდრია კესარიელი, 99]. ვაჟასთან იგი მშენიერ მდელიად აღიქმება. სერის მკვიდრთა „შესვლა სასძლოსთან“ იდენტურია მდელის მკვიდრთა დამკვიდრებისა სიყვარულის სამეფოში. თუ „გამოცხადებაში“ საუბარია მხოლოდ საბოლოო და საყოველთაო ინიციაციზზე, ვაჟასთან ინდივიდუალური ინიციაციაც ხორციელდება, როგორც პოეტის სულის ღმერთთან მიახლება. ვაჟა ღმერთთან მიახლების არსს წმინდა ქრისტიანული თვალსაზრისით აფასებს. წარმართული ეპოქის ინიციაციებს ადამიანის სული ვერ მიჰყავთ საბოლოო ხსნამდე, რასაც ახერხებს ქრისტიანობა მეორედ მოსვლის ეპოს მარადიული ცხოვრების მიინკებით. ლექსის მიხედვით, ვაჟასთვის უპირველესია უფლის სიყვარული, საიდანაც ლოგიკურად გამოძინარეობს მოყვასის სიყვარულიც. მდელის მკვიდრთა, ერთმანეთის დაუძინებელ მტერთა, სიყვარული მოძინარეობს „ტახტზე დაბრძანებულის“ სიყვარულიდან. არწივის მტაცებლური ბუნება სიყვარულის „ხლევისას“ ტკბება და გადასხვაფერდება. სიყვარული ის ძალაა, რომელიც არწივს ამ სამეფოში უმკვიდრებს ზინას. ამრიგად, ლექსი „სიყვარულის სამეფო“ უმთავრეს და უპირველეს ქრისტიანულ მოტივზე აგებული მისტიკურ-ალეგორიული შინაარსის ლექსია. ალეგორიული მხატვრული სახეები ქრისტიანულ სახისმეტყველებას ეფუძნება.

ქრისტიანული სიყვარულის მოტივზეა შექმნილი ვაჟას ლექსიც „მოგონება“, რომელშიაც ნათლად გამოიკვეთება ანალოგია პავლე მოციქულის სიტყვებისა – თუ კაცს სიყვარულის გრძობა არ გააჩნია, მისი სიცოცხლე არარაობაა (1 კორ. 13, 1-3):

„სიციოცხლე სიყვარულითა  
და სიყვარული სიციოცხლით,  
უერთუროთისოდ ვერც ერთსა  
ვერ ვიციბთ, ვერც რის ვიციბოდით,  
ერთუროთი სწყურან ერთავე;  
ერთუროთან დაილევიან;  
უერთუროთისოდ ვერ სძლებენ,  
მალედვე დაილევიან“ [ვაჟა-ფშაველა, 88]

ჩვენი აზრით, ქრისტიანულ სიყვარულს ეძღვნება ლექსი „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, სადაც გაზაფხულის მოსვლა, „სიკვდილის სიციოცხლედ“ ქიკვა „სულის გაზაფხულობას“, „ზნეობის აყვავებას“ უკავშირდება. „იგი ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას. უპირველეს ყოვლისა სული უნდა გრძობდეს ზედნიერებას, იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვავობდეს, უნდა მწეანობდეს...“ – წერს ვაჟა თავის წერილში „საგაზაფხულო ფიქრები“ [ვაჟა-ფშაველა, 385]. ლექსში გაზაფხულის აყვავებული ბუნება, განოყიერებული მიწა, ადიდებული მდინარეები, აბიზინებული მთა-ბარი სიმართლის გამარჯვების მაწყებელია. სიმართლის გამარჯვება კი სპობს ქვეყნად ტანჯვასა და შიშნისს. არწივი, რომელიც გამარჯვებას ამცნობს ქვეყანას, სიმბოლოა

სულიერი აღმაფრენისა და შემეცნების. ზოროტების სიმბოლო – გველი – მუცლით დალოდავს მიწაზე, „არჩობს ბოდმა და ბრაზია“, რადგან სიმართლეს – ნაზსა და ტურფა იას – ველარ ანთხევს შხაშსა და გესლს. ადარე „ჩვენი სიკვდილის მსურველნი ყორნები“ ჩხავიან; სიციცხლის სიო ძალას ჰმატებს მომკვდავ არემარეს. მზესა და მთვარესაც გაუათასებიათ სინათლე, რათა უხვად მოჰფინონ წყალობა ჩვენს დაჩაგრულ მხარეს. ვაჟს არა მხოლოდ მოსწონს ზუნების სილამაზე, არამედ უყვარს იგი სულიერი სიყვარულით, ვითარცა ღვთაებრივი რაობა, ვითარცა ღვთაებრივი გამოვლინება. აქ აშკარად სამოთხის ხილვის სურათი ვლინდება და არა ოდენ „ბუნების აღწერა“. ამას ისიც ადასტურებს, რომ ზუნების ყვავილობის, ზნეობრივი სიწმინდისა და სამშობლოს კეთილდღეობის ფონზე ლექსში იხატება სანატრული სახე მკვდრეთით აღმდგარისა, ე.ი. იესო ქრისტესი. მას გვერდს უმშვენებენ მისი „ზვარაკნი,“ „მეტისმეტი ტრფიალებით თავდადებული“ ვაჟაკები, „ერთგული მამულიშვილები“, ისინი, ვინც რჯულსა და სამშობლოს თავი შესწირეს. სიტყვა „ზვარაკი“ ქრისტესათვის თავდადებულთა სიმბოლიკას ეფუძნება. სწორედ ამის გამო გახდნენ გმირები ცათა სასუფეველის ღირსნი, რაც ანგელოზების მიერ დაფნის გვირგვინით შემკობაში გამოიხატება:

„ანგელოზები დაფნისას

გვირგვინს ადგამდენ გმირებსა“ [ვაჟა-ფშაველა, 39].

ვაჟას სწამს, რომ ვისაც „მეტის-მეტი ტრფიალება“ უღვივის გულში, ვინც სიმართლეს ემსახურება და თავს სწირავს ქრისტეს სახელს, აუცილებლად დაიმკვიდრებს სასუფეველს. ქვეყნისთვის თავდადებულის სული უკვდავია:

„მრწამს, მარად მიწამება

მუდმივ სიციცხლე სულისა

კარგისა, ქვეყნის მოყვარის,

ქვეყნის ბედისგან წყლულისა“ [ვაჟა-ფშაველა, 51].

სულის უკვდავებას ვაჟა უკავშირებს სიყვარულს, რომლის ასპარეზიც ადამიანის გულია. გულის უკვდავება სულის უკვდავების მიმანიშნებელია (მდრ. ბარათაშვილის „ვხოვე ტამართან“, სადაც რწმენა და სიყვარული ერთმანეთისგან განუყოფელად მოიაზრება: ქრება ლამპარი, ინგრევა ტამარი და ადამიანი რჩება უდაბნოში). ვაჟასთვის ადამიანის ცხოვრება მისი გულის შესაბამისია. ვინც სიყვარულით ცხოვრობს და სიკეთეს ემსახურება, მისი გული უკვდავია:

„მრწამს, ფერფლნი კარგის გულისა

ქარმ რო გაფანტოს ხმელადა,

თვითოში მაინც ენთება

ტიალ-სურვილი ცხელადა, –

ავის მჩაგვრელად, კეთილის

მუდამ იქნება მცველადა;

ბეჩავეის, გაჭირვებულის

მომხმარედ, მეშვლად, მხსნელადა,

კარგ გულს არა ჰკლავს ზუნება

თან დააქვს ბველის-ბველად“ [ვაჟა-ფშაველა, 51].

„ავის ჩაგვრამი“ არ უნდა ვიგულისხმობთ მაინცდამაინც ზოროტების ზოროტე-ბით გადახდა, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სიყვარულს. კეთილის დაცვით ავი თავისთავად იჩაგრება. ქრისტიანული ეთიკით ზოროტება არის სიკეთის მოკლება, ასევე სიკეთე ზოროტების მოკლებაა. ამაზე დაფუძნებული ფსევდო დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური მოძღვრება. „სიკეთის ნაკლებობა ანუ სიკეთის მთლიანობის ნაკლებობა შესაძლებელს ხდის ზოროტების გამოყვადებას.

აქედან გამომდინარე, შევსება სიკეთისა აბსოლუტამდე არის ზოროტების დაძლევა და მოსპობა. ვინც მიაღწევს აბსოლუტურ სიკეთეს, ეზიარება უმანკოებას და შეერწყმება ყველაფრის სათავეს – ღმერთს, რომელიც, როგორც აბსოლუტური სიკეთე, არის საწყისი ყოველივესი“ [წიგნებიძე შ, 95].

ქრისტიანული თვალთახედვით სიკვდილ-სიცოცხლის ცნება სიყვარულით და რწმენით განისაზღვრება. მკვდარია ურწმუნო, ის, ვისაც არ უყვარს. ცოდვილი მუდმივად კვდება, სიყვარული კი ფარავს ცოდვათა სიმრავლეს (1 პეტრე 4, 8); ვაჟს სიტყვებით რომ ვთქვათ, გული უკვდება იმას, ვისაც არ უყვარს, ვინც ქედმაღალია და თავის ცოდვებს ვერ მიმხვდარა („ასახად -ს“, ტ. I, 16, 219).

ქრისტიანული სიყვარულის გამოხატულებმა ვაჟს შემდეგი ლექსებიც: „გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა“, „ადამიანი“, „ადარ მწადიან ეიმღერო“, „არავის არ გემდურით“, „სოფლისა წესი ასეა“, „ლევ ტოლსტოის გარდაცვალებაზედ“ და ა.შ. ამ ლექსებში სიყვარული გააზრებულია, როგორც სრულყოფილებისაკენ სწრაფვა პირადულის დათრგუნვით, მტრის დანდობით და სხვისთვის (უცხოისათვის) თავგანწირვით.

აღსანიშნავია, რომ ვაჟა სიყვარულს ბედნიერებით სავსე ზადეს ადარებს, რომელსაც სვაშს და არ იღვევს. აუვსებელი ზადის სახე მოდის სახარების ერთ-ერთი ეპიზოდთან სასწაულებრივი თევზჭერის შესახებ [იოანე 21, 1-11]. პოეტი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს ბედნიერად, როცა სხვისთვის იტანჯება, რაც ტიპიური ქრისტიანული მოტივია:

„ბედნიერი მაშინ ვარ,

როს ვიტანჯვი სხვისთვისა“ [ვაჟა-ფშაველა, 304].

ამრიგად, ვაჟას ლირიკაში გამოხატული სიყვარულის აღქმა თავისი არსით ქრისტიანულია. იგი წარმოადგენს ღმერთთან მისვლის სულიერ გზას, რომელიც პოეტის შემოქმედებაში ალეგორიული მეთოდის გამოყენებით და სახე-სიმბოლოებით გამოიხატება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ღმერთთან მისვლის გზა ადამიანისათვის გამოუთქმელია, ამდენად, თუნდაც ზოგადად მის შესახებ საუბარი ხატოვანების გარეშე შეუძლებელია, მით უმეტეს, გენიოსი პოეტისათვის, რომელიც ხატოვანების დიდოსტატია.

#### ლიტერატურა:

1. ანდრია კესარიელი, თარგმანებში იოვანეს გამოცხადებისაი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თსუ გამომცემლობა, 1961.;
2. ელმაქიბე მაკა ვეფხისტყაოსნის პოეტის ზოგიერთი საკითხი შუა საუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 1983.
3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964;
4. კიკნაძე ზურაბ, შუამდინარული მითოლოგია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979.
5. წიგნებიძე მალაქა (1958) რუსთაველის შემოქმედება, გამომცემლობა „ზარია ეოსტოკა“, თბ., 1958.

ენის გრამატიკული, სინტაქსური და სემანტიკური  
ურთიერთობების გამოხატვა ქართულ და ინგლისური ენებში

გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მორფოლოგიური და სინტაქსური. მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე, ასეთებია სახელებში: ბრუნვა, რიცხვი, ზმნაში-პირი, რიცხვი, ქცევა თითოეული საპირისპირო ფორმა თავისთავად კატეგორიაა. ბრუნვის აღმნიშვნელი მორფემები ბრუნვის კატეგორიაში გაერთიანდება: კაც-ი სახელობითია, რადგან მის საპირისპიროდ არის კაც-მა, კაც-ს და ა.შ.

სინტაქსური კატეგორია ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს ხიტყვას წინადადებაში (ქვემდებარე-სუბიექტი, დამატება-ობიექტი...) ისიც შეპირისპირების ნიადაგზეა შექმნილი.

სახელის ბრუნვა გრამატიკული კატეგორიაა, რომლითაც სახელი ამყარებს მიმართებას სხვა სახელთან ან ზმნასთან; თუ ენას არ გააჩნია ბრუნვის კატეგორია, მაშინ აღნიშნულ მიმართებას წინადადებაში სიტყვათა რიგი ამყარებს. ბრუნვათა მორფოლოგიურ სტრუქტურასა და სინტაქსურ ფუნქციებს ხშირად განიხილავდნენ, მაგრამ ბრუნვათა სემანტიკური მხარე მეტწილად მაინც ყურადღების მიღმა რჩებოდა. ასე რომ აუცილებელია განსხვავდეს ბრუნვათა მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები. მაგალითად, მიცემითი ბრუნვა ფორმის მიხედვით გულისხმობს ფუძისა და „ს“ ნიშნის ერთიანობას (ქალაქ-ს), სინტაქსურად იგი შეიძლება იყოს ირიბი ობიექტი, პირდაპირი ობიექტი, გარემოება, სემანტიკურად კი მოუთითებს ადრესატზე (აშხანაგ-ს მისწერს), გამოხატავს თანაობას (აშხანაგ-ს მიაწერს), ინტერესს (აშხანაგ-ს დაუწერს), სამოქმედო საგანს (სახლ-ს აშენებს), მოქმედების იარაღს (ჩაქუჩს ურტყამს), მიმართულებას (ქალაქ-ს მიემგზავრება) მიწვევითობას (ქალაქ-ს ჩავიდა).

ინგლისური ენა ძირითადად სახელის სხვა სახელთან ან ზმნასთან მიმართებას ან სიტყვათა რიგით გადმოსცემს, ან წინდებულების მეშვეობით. ინგლისური ენის წინდებულებს შეუძლიათ გამოხატონ ურთიერთობის ისეთი სახეები როგორცაა ლოკალობა, ტემპორალობა, კომიტატურობა, გარდაქცევითობა, დისტრინგუიციონობა, კუთვნილება, ინსტრუმენტალობა და ბევრი სხვა.

ბრუნვის პარადიგმაში ბაზისური ფორმაა სახელობითი (ლათ. Nominativus) რომლის ტრანსფორმებს წარმოადგენს ყველა სხვა ბრუნვა. სახელობითის ძირითადი ფუნქციაა ნომინაცია, საგნის ან მოვლენის სახელდება, მაგრამ ესაა სახელობითის სემანტიკური ფუნქცია. სახელობითის ძირითადი გრამატიკული ფუნქციაა სუბიექტის გამოხატვა. სახელობით ბრუნვას უპირისპირდება ბრალდებითი ბრუნვა (ლათ. Accusativus), რომლის ძირითადი გრამატიკული ფუნქციაა პირდაპირი ობიექტის გამოხატვა. იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიხატება მოცემული იერარქიული მიმართება სხვადასხვა ენაში, ჩვენ ვეძებთ ორი სხვადასხვა სისტემა, რომელთაგან ერთს ნომინატური სისტემა ეწოდება, ხოლო მეორეს ერგატიული. თუკი ენაში როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო პირდაპირი ობიექტი კი სპეციალური ბრუნვით (აკუსატივი) გადმოიცემა, მაშინ სისტემა ნომინატურ-აკუსატიურია ან უბრალოდ ნომინატიური. თუ პირდაპირი ობიექტი გამოიხატება იმავე ბრუნვით, რა ბრუნვა-

შიც წარმოდგენილია გარდაუვალი ზმნის ობიექტი, მაშინ ან სიტყვათა რიგი იქნება ფიქსირებული, ანდა გარდამავალი ზმნის სუბიექტი დადგება ისეთ ბრუნვაში, რომელშიც არ იქნება წარმოდგენილი არც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და არც მით უმეტეს, პირდაპირი ობიექტი. ამგვარ სპეციალურ ბრუნვას, რომელშიც გარდამავალი ზმნის სუბიექტი დაისმის, ეწოდება ერგატივი (ბერძ. ergates - „მოქმედი პირი“), ხოლო თვითონ სისტემას ერგატიული. ადვილი გასარჩევია ის, რომ ქართული ენის სისტემას ერგატიული სისტემით თვლიან, ხოლო ინგლისური ენის სისტემას ნომინატიურად [2: 181].

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ბრუნვა ასე განიმარტება:

ანტონ კათალიკოსი: „ბრუნვა არის ცვალება მიმოხრითი სხვისა და სხვისა მიმართ მდგმურისა ერთისა და მისივე სახელისა“. ა. შანიძე: ბრუნვა არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც აერთიანებს ზგერთი შედგენილობისა და ფუნქციის მიხედვით განსხვავებულ სახელურ ფორმებს. არნ. ჩიქობავა: ბრუნვა გაბმულ მეტყველებაში სახელს აკავშირებს სახელთან ან ზმნასთან (სათანადო შინაარსის გადმოსაცემად). ვ. თაფურია: ბრუნვა არის სახელის ფორმა, რომელიც მიიღება მისი სხვა სიტყვებთან სინტაქსური ურთიერთობის შედეგად.

უცხოელი მეცნიერები ბრუნვას მიიჩნევენ როგორც სიტყვათწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას და სხვა გრამატიკულ კატეგორიებს (სქესი, რიცხვი, დრო, პირი) უფრო უკავშირებდნენ სემანტიკური კლასიფიკაციის პრინციპს. შემდგომ ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითქოს ყოველი ბრუნვა სახელის ერთ რომელიმე სემანტიკურ ფუნქციას ასრულებს.

თანამედროვე ინგლისელი და ამერიკელი მეცნიერების განმარტებით ბრუნვა არის სისტემა დამოკიდებული სახელეზის მარკირებისა იმ ურთიერთობის ტიპების გადმოსაცემად, რასაც ისინი ემსახურებიან. ბრუნვები უნდა განვასხვავოთ თემატური როლებით, როგორცაა აგენტი და პაციენტი. აღნიშნული თემატიური როლები შესაბამის ბრუნვასთან ასოცირდებიან.

ჯონ ლაიონზის „თეორიული ლინგვისტიკის შესავალში“ ვკითხულობთ, რომ ბრუნვის ნებისმიერმა თეორიამ უნდა ცნოს ორი ფაქტი: 1. ერთი და იმავე ბრუნვას შეუძლია ერთზე მეტი სინტაქსური ფუნქციის რეალიზება; 2. კონკრეტული სინტაქსური ფუნქცია შეიძლება რეალიზებული იქნეს სხვადასხვა საშუალებით ერთსა და იმავე ენაში კერძოდ, არსებობს უფრო „ღრმა“ კავშირი ბრუნვებსა და წინდებულთან შეთანხმებებთან ლათინურ ენაში, ვიდრე ეს სიტყვათწარმოების ტრადიციულმა ანალიზმა გვიჩვენა. აღნიშნული ფაქტები არსებითია ბევრი სხვა ენის დახასიათებისას, როგორც ინდო-ევროპულ ენებში, ისე სხვებშიც [8: 309].

ზოგ ენას ძალიან ბევრი ბრუნვა აქვს, მაგ.: ფინურს - 15 ბრუნვა აქვს ტრადიციული გაგებით (ან 30-მდე, რაც მის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული), უნგრულს - 18, ჩებურს 126. ჯონ ქუიჯადას მიერ შედგენილ ენას ითკვილს 81 ბრუნვა გააჩნია და იგივე წარმომავლობის ენას ილაკშს მთლიანობაში აქვს სახელის 96 ბრუნვა. ამ ბრუნვებიდან არის ისეთები, რომელთაც თავისივე ბრუნვის ნიშნები გააჩნიათ და ისეთებიც, რომლებსაც არავითარი ფლექსია არ მოჰყვებათ.

უკეთ რომ გავაანალიზოთ ქართული ენის ბრუნვათა შესაძლებლობები გამოხატოს მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები, რაც თანამედროვე ინგლისური ენის წინდებულების მეშვეობითაც ხერხდება, საჭირო და აუცილებელია ძველი ქართული ენისა და ძველი ინგლისური ენის ბრუნვათა შეპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართულის ბრუნვები დიდად განსხვავდებოდა ძველი ინგლისური ენის ბრუნვათა სისტემისაგან როგორც

რაოდენობის, ასევე სახელწოდებისა და სინტაქსური ფუნქციითაც კი. მაინც ვხვდებით იმ საერთოს, რამაც შემდგომში მოგვცა იმის თქმის საშუალება, რომ თანამედროვე ინგლისური ენის წინდებულების მიერ გადმოცემული ურთიერთობები სწორედ ძველი ინგლისური ენის ბრუნვების ფორმებიდან იღებს სათავეს.

წრფელობითი ბრუნვა ახასიათებდა ძველ ქართულს, ტერმინი „წრფელობითი“ არის თარგმანი ბერძნული სიტყვისა „ორთე“ (სწორი, სუფთა, პირდაპირი) ამ ბრუნვაში დასმული სახელი ფუძის სახით იყო წარმოდგენილი; ძველი გრამატიკოსები წრფელობითს ხმარობდნენ სახელობითის მნიშვნელობით. ნ. მარმა პირველმა გამოყო წრფელობითი ბრუნვა იმ გაგებით, როგორც დაღეს ჯენ გვესმის და მას გაუფორმებელი ბრუნვა უწოდა, რადგან ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის. ივ. იშნაიშვილს ტერმინი „გაუფორმებელი ბრუნვა“ არ მიაჩნია მართებულად - მისი აზრით სწორედ უნიშნობაა ამ ბრუნვის ნიშანი.

სახელობითი ბრუნვა შედარებით ახალი წარმოშობისაა. ტერმინი „სახელობითი“ არის ბერძნული „ნომინატივის“ ლათინური „ნომინატივისის“ და რუსული именительный-ის თარგმანი.

მოთხრობითი ბრუნვა ტრადიციული შეხედულებით სპეციფიკურია ქართულურსა და საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, იგი ბასკურ ენაშიც (ქართულის მსგავსად) დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობად გვევლინება, მოთხრობითი ბრუნვის ქონა შეპირობებულია გარდამავალი ზმნის თავისებურებებით. თავისი წარმოშობით მოთხრობითი ბრუნვა სხვა ძირითად ბრუნვებთან შედარებით ახალია. იგი ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა ანტონ კათალიკოსმა.

მიცემითი ბრუნვა უძველესი წარმოშობისაა. ტერმინი „მიცემითი“ არის ბერძნული „დატივის“ ლათინური „დატივისისა“ და რუსული дателный-ის თარგმანი.

ნათესაობითი ბრუნვა უძველესია. ტერმინი „ნათესაობითი“ არის ბერძნული „გენიკის“, ლათინური „გენეტიკისისა“ და რუსული родительный-ის თარგმანი. მისი თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ნივთის კლასის გამოხატვა [4: 41].

დასახელებული ბრუნვებიდან სახელობითი (ნომინატივი), ნათესაობითი (გენეტივი) და მიცემითი (დატივი) ცნობილია ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან, აგრეთვე იმ ცოცხალი ინდო-ევროპული ენებიდან, რომელთაც ბრუნვა, როგორც მორფოლოგიური პროცესი, შემორჩა (ასეთია მაგ.: რუსული, გერმანული...), რაც შეეხება ძველ ინგლისურ ენას ძირითადი ბრუნვებიდან გააჩნდა მოცემული 3 ბრუნვა, რომელსაც ემატებოდა აკუსატივი (ზრალდებითი).

ეს ბრუნვები ინდო-ევროპულ ენებსა და იბერიულ-კავკასიურ ენებში იდენტურ ოდენობას წარმოადგენდნენ; ასე მაგალითად, სახელობითი ბრუნვა ამოსავალია ბრუნვებისათვის როგორც ინდო-ევროპული, ისე იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, მაგრამ ინდო-ევროპული ენებისათვის. სახელობითი ოდენ სუბიექტის ბრუნვაა (ე.წ. პირდაპირი ბრუნვა) და მას უპირისპირდება ოდენ ობიექტის ბრუნვა, აკუსატივი (ზრალდებითი) ე.წ. პირდაპირი ობიექტის ბრუნვა. იბერიულ-კავკასიური ენებისათვის უცხოა აკუსატივი, ოდენ ობიექტის ბრუნვა და სახელობითიც არ წარმოადგენს ოდენ სუბიექტის ბრუნვას. გარდამავალ ზმნებთან სახელობითი ე.წ. პირდაპირ ობიექტს აღნიშნავს; ამრიგად სახელობითი იბერიულ-კავკასიურ ენებში არ წარმოადგენს პირდაპირ ბრუნვას ინდო-ევროპულ ენათა გაგებით. ქართულში სახელობითის გარდა მიცემითშიც იხმარება უახლოესი ობიექტის ბრუნვა. „კატამ თავი დაიჭირა“, მაგრამ „კატა თავს იჭერს“. როცა უახლესი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია, გარდამავალი ზმნა ქართულში ქმნის ნომინატიურ, ერგატიულ და დატიურ კონსტრუქციებს.

ქართულში მოქმედებითი და გარდაქცევითი (ვითარებითი) ჩანს ნათესაობითისა და მიცემითის წინამორბედად, ე.ი. ყველაზე ძველი ფორმაციის ერთეულებია ბრუნვებში (მოთხრობითი და სახელობითი ყველაზე ახალი წარმონაქმნია). ამის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ მოქმედებითი და გარდაქცევითი ყველაზე ახლოსაა სიტყვათწარმოებასთან და ყველაზე შორსაა წმინდა სინტაქსური ფუნქციის მქონე ერთეულებისაგან, როგორცაა მიცემითი და ნათესაობითი.

წოდებითი ბრუნვა შედარებით ახალია. ზოგი მკვლევარი მას ბრუნვად არ მიიჩნევს.

ისტორიულად ინდო-ევროპულ ენებს ჰქონდათ რვა მორფოლოგიური ბრუნვა, თუმცა თანამედროვე ინგლისურს მხოლოდ ორი ბრუნვაა აქვს: საერთო (common case) და კუთვნილებითი (possessive case). ეს ენა ამჟამად იყენებს წინდებულებასა და სიტყვათა წყობას, რომ გადმოსცეს ის ინფორმაცია, რასაც სახელის გარკვეული ფორმები (ბრუნვები) გადმოსცემდა. ინგლისურში ისტორიულად შემდეგი ბრუნვები არსებობდა:

ნომინატივი (nominative case), რომელიც ახლა შეესატყვისება ინგლისურის სუბიექტურ ბრუნვას (subjective case) და გვიჩვენებს პირიანი ზმნის სუბიექტს.

I went to the store - I went to the store.

აკუსატივის (ბრალდებითი) ბრუნვა, რომელიც დატოვან და აბლატივთან ერთად შეესატყვისებოდა ინგლისურის ობიექტურ ბრუნვას, ზმნის პირდაპირ ობიექტს. The clerk remembered us - the clerk remembered students

დატივი (მიცემითი) აღნიშნავს ზმნის ირბ ობიექტს:

The clerk gave a discount to us (to students)

აბლატივის ბრუნვა აღნიშნავს მოძრაობას რადაციისგან ან მიზეზს

The victim went from us to see the doctor

He was unhappy because of depression

გენეტივი (ნათესაობითი), რომელიც შეესატყვისება ინგლისურის კუთვნილებით ბრუნვას, აღნიშნავს სხვა სახელის მფლობელს.

John's book was on the table.

ლოკატივის (ლოკატივი) ბრუნვა აღნიშნავს მდებარეობას

We live in China.

ინსტრუმენტალისის ბრუნვა აღნიშნავს ობიექტს, რომელიც მოქმედების შესრულებისათვის გამოიყენება

We wiped the floor with a mop

ზოგ ბრუნვას უფრო მეტი დატვირთვა აქვს ვიდრე მისი სინტაქსური ფუნქციაა წინადადებაში.

მაგ.: ნომინატივი სუბიექტსაც აღნიშნავს და კომპლიმენტსაც (The sun is very broad) ადრესატსაც (See, king, what kind of teaching this is)

გენეტივი, რომელსაც სახელის განსაზღვრების ფუნქცია აქვს ძირითადად ამ სამი კატეგორიიდან შეიძლება ერთ-ერთს აღნიშნავდეს: კუთვნილება (მისი უპირველესი ნიშანი), პარტიტივი (მთელის ნაწილის გამოხატვა, რომელიც თანამედროვე ინგლისურში „of“ წინდებულთ გადმოიცემა). იგი ნებისმიერ იმ სიტყვასთან გამოიყენება, რომელიც გამოხატავს რიცხვს, რაოდენობას და წილობას. აღწერითი გენეტივი საგნის თვისებასაც აღწერს (The lamb must be of a white colour). შეიძლება იყოს, რომ ასეთი ფორმა ახალ ინგლისურშიც არის, მაგრამ ახალში მას უფრო იდიომატური დატვირთვა აქვს "White in Color", ზოგჯერ გენეტივის კონსტრუქციები შეიძლება გამოყენებული იქნეს დროის ზმნიზებადაც.



დატივის ბრუნვა გერმანიკულ ენებში წარმოადგენს ერთგვარ ნარევს ძველი ბრუნვებისას, რომელიც იყოფა დატივად, ლოკატივად, აბლატივად და ინსტრუმენტალისად. ძველ ინგლისურში ბრუნვა ინსტრუმენტალისი უმეტესად დატოვთან ერთად გვხვდება.

დატივი წინდებულის გარეშე შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ თანამედროვე მკითხველი უნდა მიხვდეს მის შესაძლებელ მნიშვნელობას. აქ „დატივი“ აღნიშნავს იმას, ვინც დაინტერესებულია მოქმედების შედეგით. ეს კი მოიცავს ირიბ ობიექტს.

(Give him his sword) მაგრამ ინტერესის დატივი ისეთ სიტუაციებზე მოიცავს, როცა რაიმე მიაქვთ (He took his bishopric away from him) „დატივი“ ზოგჯერ ირიბ ობიექტს გამოხატავს, ზოგჯერ პირდაპირს (მაგ.: obeyed him - მას დაემორჩილა) (was obedient to him იყო მისი მორჩილი) „დატივი“ გამოხატავს კუთვნილებას. (Their was a sad mind - Their minds were sad). „დატივის“ შეუძლია გამოხატოს შედარება (მსგავსება და თანაბარობა) (And you will then be like the angels), იგი გადმოგვიცემს ინსტრუმენტს, საშუალებას, ვითარებას, თანამედროვე ინგლისურში ეს ფორმები გადმოიცემა წინდებულებით "with" და "by" (He struck him with his sword, He was wounded by a spear, We sing the mass with joy) თანამედროვე ინგლისურში დატივი უმეტესწილად წინდებულებით გვხვდება.

ინსტრუმენტალისი - ინსტრუმენტს, საშუალებას და ვითარებას გვიჩვენებს.

1. He concluded his life with a beautiful end

2. And then he learned of the King with a little force (აკოპანიმენტი - თანხლება)

3. In the same year - დროის გამოხატვა.

თანდებულებიანი ბრუნვათა ხვედრითი წონა ენათა ბრუნვაში ძალზე დიდია. ჩვეულებრივ მას ლოკალურ ბრუნვებს (ლოკატივებს ე.ი. ადგილობრივს) უწოდებენ. ეს ბრუნვები ძველ ქართულში ქმნის სამ ბრუნვას: 1) ადგილობრივი Locative (სად?); 2) მიმართულებითი Ablativus (საითკენ?); 3) დაშორებითს Elativus (საიდან?). თითოეული ეს ბრუნვა კიდევ შეიძლება დაეყოთ ორ ქვეკატეგორიად. ერთია მდგომარეობითი (პ. უსლარის ტერმინოლოგიით: покоих სად?) გამომხატველი ბრუნვები (ანუ სტატიკური ბრუნვები) და მეორე - მოძრაობითი (საითკენ? საიდან?) გამომხატველი ბრუნვები (ანუ დინამიკური ბრუნვები).

ზოგადი ლოკალური მნიშვნელობები, რომლებსაც ენებში გამოყოფენ, დაახლოებით შემდეგია: ინესივი, ადესივი, სუპერესივი, ალატივი, აბლატივი, ელატივი, ილატივი, პარტიტივი, კომიტატივი და სხვ. ინესივი აღნიშნავს შიგნით ყოფნას (სახლში, ტყეში in the forest) ადესივი ახლოს ყოფნას (სახლთან ახლოს - at the house), სუპერესივი გამოხატავს ზედაპირზე ყოფნას (მიწაზე on the ground), ალატივის ფუნქცია გადმოიცემა „კენ“ თანდებულებით (სახლისკენ to the house), აბლატივი და ელატივი ორივე გამოსვლითობას აღნიშნავს, ელატივი აღნიშნავს შიგნიდან გარეთ (out of the house), ხოლო აბლატივი გარედან გამოსვლას (From London to ...) ილატივით გამოიხატება რაღაცის შიგნით შესვლა (სახლში შესვლა come into the house) ილატივსა და ინესივის განსხვავებას ქართულში არ ენიჭება მნიშვნელობა (ქალაქში წავიდა - ქალაქში ცხოვრობს), ხოლო ინგლისურში კი (He went to the city და He lives in the city), პარტიტივი აღნიშნავს მთელის ნაწილს (წყლის წვეთი - a drop of the water), ხოლო კომიტატივი - თანაობას (თავის მშესთან ერთად - with his brother) [2: 185].

ქართულში თანდებული ხუთ ბრუნვას დაერთვის: სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი

ბირითადად თანდებულთან ბრუნვებად ასახელებს ოთხს“ მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს.

მორფემების არსებული კლასიფიკაციის წესებით, ბრუნვის ნიშანს შერწყმული-თანდებულები ვერ განიხილება ვერც ლექსიკურ მორფემებად და ვერც ნაწილაკთა მსგავსად დამაზუსტებელ მორფემებად. „ბრუნვის ნიშანი“+„თანდებული“-ერთიანად ამყარებენ სინტაქსურ თუ სემანტიკურ მიმართებებს, ამიტომაც მათ შორის რთული, შერწყმული მორფემების ადგილი ისევ და ისევ მიმართებით აფიქსებშია.

თანდებულთან ბრუნვა იხეროულ-კავკასიურ ენებში, ეფარდება წინდებულთან ბრუნვას რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში. მეგობრისათვის for a friend, მეგობართან at a friend's, with a friend, მეგობრისაკენ to the friend, მეგობრისაგან from a friend, სოფლიდან from a village, სოფელზე about a village, upon a village, სოფლამდე - till the village.

თანდებული სხვადასხვა სახელთან ერთსა და იმავე მნიშვნელობის ვერ იქნება. მაგ.: მეგობარში, სოფელში. თვით ერთ სიტყვასთან სხვაობა შეიძინევა: მეგობარში არ გავცელი, მეგობარში მოვტყუედი, სოფელში წავიდა და ა.შ. სემანტიკური სხვაობის სათავე ზნაშია, ზნის მნიშვნელობაში [5: 157].

ყველა ენაში მარტივი ბრუნვები იქნება ის თუ რთული (თანდებულთან) ბრუნვების სახელწოდებაში ბირითადად სემანტიკური მოტივებიდან მომდინარეობს და არა სინტაქსურიდან; ე.ი. ფაქტობრივად, ბრუნვა ყველა შემთხვევაში მიჩნეულია სინტაქსურ-სემანტიკურ მონაცემად [3: ].

ტრადიციულად ბრუნვის კატეგორია სიტყვათწარმოებას უკავშირდება, ფაქტია, რომ მათი როგორც „გრამატიკული“, ისე „ლოკალური ფუნქციები“ ლოგიკურად არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში მათი რეალიზაციის საშუალებებთან. ერთსა და იმავე ენაშიც კი შესაძლებელია ორივე ფუნქცია გამოიხატოს ნაწილობრივ ბრუნვათა დაბოლოებით, ნაწილობრივ კი სხვა საშუალებებით, უფრო ხშირად კი წინდებულებით ან სიტყვათა რიგით.

ინგლისური წინდებულები ასრულებენ ისეთივე ფორმალურ-ორგანიზაციულ როლს, როგორც ფლექსიები ბრუნვის ფორმათა შემადგენლობაში. მაგ.: ინგლისური ენის შეთანხმებაში the book of a student წინდებული of ამყარებს კავშირს ორ არსებით სახელთან, უქვემდებარებს ერთს მეორეს, აკავშირებს მათ როგორც მსაზღვრელს საზღვრულთან და გამოხატავს ატრიბუტულ მნიშვნელობას. ბრუნვის ფორმების მსგავსად, წინდებულებიც არა მარტო აკავშირებს სახელს სხვა სიტყვასთან, არამედ გამოხატავს ტიპიურ ურთიერთობებს არსებულ საგნებს შორის: სივრცითი, დროითი, მიზეზობრივი, მიზნობრივი, ობიექტური, ინსტრუმენტალური და სხვა. ეს მნიშვნელობები წინდებულების მნიშვნელობებია. მაგ.: ინგლისური ენის წინდებული „of“ გამოხატავს ატრიბუტილობას, „to“ გვიჩვენებს ადრესატს, „by“ - მოქმედების შემსრულებელს; უფრო თუ დავკონკრეტლებით მსგავსად ბრუნვებისა, წინდებულებული არა მარტო მოქმედების ადგილს, არამედ მოქმედების მიმართულებასაც აზუსტებს. აქედან იქეთ ან იქედან აქეთ - from - to [7: 242].

ვერ დავეთანხმებით იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ინგლისურ ენაში წინდებულთან სახელი ან სიტყვათა რიგი ბრუნვას ჩაანაცვლებს. ასე რომ იყოს ამ ენაში ორი ბრუნვის ნაცვლად გვექნებოდა განუსაზღვრელი რაოდენობის ბრუნვა. სახელზე დართული წინდებულები ინგლისურ ენას ეხმარება გამოხატოს ის მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ურთიერთობები, რასაც ქართული ენის ბრუნვის ფორმები გადმოსცემენ.

### ლიტერატურა:

1. ი. იმნაიშვილი - სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ბველ ქართულში, თბილისი, 1957.
2. გ. ნებეიროძე ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1999.
3. ტ. ფუტყარაძე - ბრუნება, როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი - სმა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერებისა და ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ერთობლივი (ვიორჯი როგავასადმი მიძღვნილი) საიუბილეო კრებული, თბილისი, 1997 (მოკლე ვარიანტი).
4. ა. შანიძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1953.
5. არნ. ჩიქობავა - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979.
6. ბ. გორბენაძე ქართული ენის ფაკულტატური გრამატიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.
7. В. Кодухов - Введение в языкознание, Москва "Просвещение", 1979.
8. Дж. Лаинз - Введение в теоретическую лингвистику - Москва, "Прогресс", 1978.
9. Е. Рейман - Английские предлоги. Знания и функции. Ленинград "Наука", 1982.

#### ინტერნეტის მასალები:

1. Top of Chapter Contents  
4/1 What is case?  
4/2 Using of cases
2. /edit/ Simplified Illustrations of some common case categories.

N. Charkviani

### Grammatical, Syntactic and Semantic relations of Georgian and English languages Abstract

Analyzing grammatical, syntactic and semantic relations of a language gave us opportunity to prove that case forms of the Georgian language and English prepositions have much in common in this respect.

In spite of being the languages of different structure the case forms of the old Georgian and the old English express similarity in the names of cases and their syntactic and semantic functions. The main function of Sakhelobiti (in Georgian) and Nominative (in English) is nomination - their semantic function. The grammatical function of both cases is expressing the subject of the sentence.

From eight cases of the old English only two ones are remained in Modern English nowadays (common and possessive) and different prepositions are used to convey the following relations: locality, temporal, commutative, distributive, possessive, instrumental and others. The old Nominative case corresponds Subjective Case and expresses the subject of a finite verb. The Accusative case represents Objective Case and expresses the direct object of the verb. These two cases are well demonstrated in the pronouns (We - us, he - him...). As for the rest cases - Dative, Ablative, Genitive, locative and instrumental - they are now represented with different prepositions: to, from, of, in, on, with and others. Locative case is a general case for many locative notions such as: locative, adessive, superessive, Alauve, commutative and others that denote different directions or locations of the action.

### ზინაიდა ჩაჩანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

### ფურნალისტურ ტექსტთა პრაგმალინგვისტური ხედვიდან მათ ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვაზე გადასვლა

ჩვენი სტატიის მიზანია, მოვახდინოთ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის პრაგმალინგვისტური რეკონსტრუქციის რეტროსპექტული ასპექტის რეალიზაცია. რეტროსპექტია გულისხმობს პროსპექციას და განუყოფელია მისგან.

საინფორმაციო ცნობის როგორც თანრის პრაგმალინგვისტური ხედვის ყველაზე უფრო სრული ვარიანტი წარმოდგენილია მ. გვენცაძის მონოგრაფიაში "კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ტიპოლოგია". ამავე დროს, აღსანიშნავია შემდეგიც: მოუბ-

დავად ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ორიენტაციის სრული სახით რეალიზაციისა, ამ მონოგრაფიაში არ არის დასმული ჟანრისა და ტექსტის ურთიერთმიმართების პრობლემა.

რეკონსტრუქციული ხედვა სათავეს უნდა იღებდეს კომუნიკაციური აქტის იმ მოდელის ხედვაში, რომელიც თვით მ. გვენცაძის მიხედვით საფუძვლად უდევს არა მხოლოდ საინფორმაციო ცნობის, არამედ საინფორმაციო ჟანრთა მთელი სპექტრის ტექსტობრივი განზომილების პრაგმალინგვისტურ გააზრებას. აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია მოვახდინოთ იმ თეორიული კომენტარის ციტირება, რომელსაც იძლევა ავტორი, რადგან, ჩვენის აზრით, ეს სწორედ ის კომენტარია, რომელიც ასახავს ჩვენთვის რელევანტური კონტექსტის პრაგმალინგვისტურ ხედვას. ავტორის მიხედვით, "კომუნიკაციური აქტის მის მიერ წარმოდგენილი მოდელი ასახავს ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთმიმართებათა სისტემას. ორივე ეს კომპონენტი ერთნაირადაა აუცილებელი სამეტყველო აქტის განსახორციელებლად, მაგრამ თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერება მაინც ხედავს მათ შორის გარკვეულ იერარქიას: ნებისმიერი სამეტყველო ურთიერთობის თავდაპირველ ცენტრად ითვლება მეტყველი სუბიექტი... ხოლო მსმენელი კი არის გამონათქვამის ობიექტი და მიზანი და არა მისი შემქმნელი, ის არის სამეტყველო აქტის პასიური მხარე, მისი აუცილებელი, თუმცა არც თუ იშვიათად პოტენციური მონაწილე. ნათქვამის შესაბამისად სამეტყველო აქტის მოდელში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ადრესანტის სფეროს, რომლის მნიშვნელოვან კომპონენტად მკვლევარები მიიჩნევენ კომუნიკაციური მიზანდასახულობის ფაქტორს" [2, 100-101].

მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციის ეს გვენცაძისეული კომენტარი საკიროებს რეკონსტრუქციის ეტაპობრივ განხორციელებას. პირველ ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია შევხედოთ ამ მოდელს რეკონსტრუქციულად პრაგმალინგვისტური პარადიგმის გათვალისწინებით.

უნდა ითქვას, რომ ადრესატის როგორც სამეტყველო აქტის პასიურად აღმქმელის მხარის გააზრება არ პასუხობს არა მარტო ლინგვისტური აზროვნების ლინგვოკულტუროლოგიურ ეტაპს - იგი არ პასუხობს თვით პრაგმალინგვისტური პარადიგმის განვითარების იმ ფაზასაც, რომლის ფარგლებში მოხდა „ეგოცენტრისტული“ პრაგმალინგვისტიკის ინტერსუბიექტურად ორიენტირებული პრაგმალინგვისტიკით ჩანაცვლება: "თუ დასაწყისში პრაგმატიკა ნიშნავდა კავშირს სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს კი აუცილებელია ვიგულისხმოდ უკვე მინიმუმ ორი სუბიექტი, ე.ი. გვაქვს უკვე არა მარტო სუბიექტურობა, არამედ ინტერსუბიექტურობა. ეს თვისობრივი ცვლილებაა - ორი სუბიექტი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს არა მარტო მიმართება ორ სუბიექტს შორის, რომელიც აისახება გამონათქვამში. უფრო მეტიც, არის მიმართება მეტყველ სუბიექტს და გამონათქვამში ასახულ სიტუაციას შორის, ასევე მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის. თუ პრაგმატიკის ბირთვად მივიჩნევთ სუბიექტს, მაშინ სუბიექტისა და სუბიექტურობის შინაარსი ბევრად უფრო რთული ხდება და საქმე გვაქვს მთელ სტრუქტურასთან: ორმაგი მიმართება სუბიექტებს შორის, მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის" [1, 253-254].

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, თუ რა წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს მოცემული სტატიის ფარგლებში: უნდა განხორციელდეს საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების პრაგმალინგვისტური ინტერპრეტაციის რეკონსტრუქციული ხედვა. ხსენებული რეკონსტრუქციის ანალიტიკურ-პრაქტიკული რეალიზაცია ვერ იქნება ერთგვარი აქტი - იგი, პირიქით, წარმოადგენს ისეთ ანალიტიკურ გზას, რომელიც დაიწყოს საკომუნიკაციო აქტის ზოგადი მოდელის რეკონსტრუქციით.

სწორედ ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ხსენებული გზის ყველა რელევანტური "მონაკვეთი". მონაკვეთს, რომელიც უმუალოდ უნდა მოსდევდეს კომუნიკაციის ზოგად მოდელს, წარმოადგენს, ჩვენი აზრით, ჟურნალისტურ განრთა გვენცადისეული კლასიფიკაცია [2,107].

ჯანრთა საინფორმაციო ჯგუფი	ჯანრთა ანალიტიკური ჯგუფი	ჯანრთა მზატერულ- პუბლიცისტური ჯგუფი
ცნობა	კორესპონდენცია	ნარკვევი
რეპორტაჟი	სტატია	ჩანახატი
ანგარიში	მიმობილვა	ფელიეტონი
ინტერვიუ	რეცენზია	კამფლუტი
	პრესის მიმობილვა	ეპიგრამა
	წერილი	

მაგრამ ჩვენთვის, რ თქმა უნდა, მთავარი იყო არა ჟურნალისტურ ჯანრთა ამ გვენცადისეული კლასიფიკაციის სრული სახით წარმოდგენა, არამედ ჟურნალისტურ კატეგორიათა იმ მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა შემაჯამებელი სურათი, რომელიც მოჰყვება ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციას. როგორც ავტორი ამბობს, "ჯანრობრივი ჯგუფების გამოყოფის საფუძვლად იდება შემდეგი მახასიათებლები" (იქვე):

ჯანრთა საინფორმაციო ჯგუფი	ჯანრთა ანალიტიკური ჯგუფი	ჯანრთა მზატერულ- პუბლიცისტური ჯგუფი
ობერატოული, მეკუმ- შული ცნობა ცალ- კული ფაქტის, მოვ- ლენის, ამბის შესახებ; აქდან: დროითი პარამეტრის მონომო- ელენისობისა და რეგლამენტირებელი ხის ნიშანი	ფაქტთა ურთიერთდამო- კიდებულების გამოვლენა და მათ შორის კეპირის ხარისხის ანალიზი და გან- ზოგადება; აქდან: ანალი- ზის შესაძლო მასშტაბუ- რობა და სიღრმე, არგუმენ- ტაციის მრავალმხრივობა, დროითი პარამეტრის შედარებითი არა- რეგლამენტირებულობა	მიმართუა მზატერუ- ლი ტიპიზაციის საშუალეუებისადმი, ობერირება როგორც ცნებითი, ისე ხატოვან-გამომზატ- ველობითი საშუალეუებით

ავტორი შემდეგ კომენტარს უკეთებს ჟურნალისტურ ჯანრთა ზემოთ მოცემულ მოდელურ დახასიათებას: "ჩამოთვლილი ნიშან-თვისებებით ერთიანდებთან საგაზეთო ჯანრები, რომლებიც მიეკუთვნებიან შესაბამის ჯგუფებს. მათი დახარისხება ჯგუფის ფარგლებში ხდება კერძო ნიშან-თვისებათა საფუძველზე. ასე, ჯანრები, რომლებიც საინფორმაციო ჯგუფში შედიან ზემოთ ხსენებული განზოგადებული ისეთი ნიშან-თვისებების საფუძველზე. როგორცაა "გვაუწყოს ცალკეული ფაქტის შესახებ", განსხვავდება შემდეგი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით: გვაუწყოს ახალი ფაქტის, მოვლენის შესახებ - ცნობა; გვაუწყოს მოცემული მოვლენის დეტალების ასახვით - ანგარიში; გვაუწყოს მოვლენის განვითარების შესახებ პირის - მონაწილის ან თვითმხილველის - სახელით - რეპორტაჟი; გვაუწყოს მოვლენის შესახებ მესამე პირთა მიერ კომენტირებასთან ერთად - ინტერვიუ" (იქვე).

როგორც ავტორისეული კომენტარი გვიჩვენებს, ინფორმაციულ ჯანრთა მთელ სისტემას აქვს ერთი მაინტეგრირებელი ნიშან-თვისება - ყოველი მათგანი წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის შეტყობინებას და ამიტომ მოვლენასთან ინფორმაციული

ბიძარტება შეიძლება მივიჩნიოთ მთელი ამ ჟანრობრივი კატეგორიის მაკონსტიტუირებელ ნიშნად. რაც შეეხება იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია ყოველი მათგანისათვის ცალ-ცალკე, ისინი შეიძლება ჩაეთვალოთ ჟანრთა დიფერენციალურ ნიშნებად.

იმის შემდეგ, რაც მოგვცა ჟურნალისტურ ჟანრთა დიფერენციალური ნიშნების სისტემურ-პანორამული სურათი, ავტორი მსჯელობს ჟანრთა კლასიფიკაციის ინტენციონალურ პრინციპზე. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: "ჟანრთა კლასიფიკაციური სისტემა ინტენციონალურია თავისი შინაარსით – ინტენციონალური პრინციპი საფუძვლად უდევს როგორც საგაზეთო ჟანრების (ფუნქცია, ჟანრის დანიშნულება), ისე ჟანრობრივი გვარულების (ინფორმირება, არგუმენტირება-შეფასება, მხატვრული ზემოქმედება) გამოყოფას" [2, 110]. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა ინტენციონალური დახასიათება-კლასიფიკაციის საფუძვლად ავტორი მიიჩნევს "ექსტრატექსტუალური მაკოკონტექსტუალურობის" პრინციპს.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ კომუნიკაციის წარმოადგენილი მოდელი იმპლიციტურად (ქვეტექსტურად) უკვე შეიცავს შინაარსობრივ სტრუქტურულ ასპექტებს, რომლებიც ხასიათდებიან იმით, რასაც ჩვენ „ლინგვოკულტუროლოგიური იმპერატივები" ვუწოდეთ: ისინი მოითხოვენ ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას. ამიტომ დავსვათ კითხვები, რომელთა ერთობლიობა შექმნის ჩვენთვის აუცილებელ რეკონსტრუქციულ კონტექსტს:

- ა) ეპოქის რომელ კულტურულ-ცივილიზაციურ განზომილებას წარმოადგენენ ადრესანტი და ადრესატი როგორც კომუნიკაციის სუბიექტები?
- ბ) რამდენად განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კომუნიკაციურ ინტენციას?
- გ) რამდენად განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კომუნიკაციის საგანს (შინაარსს)?
- დ) რამდენად განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება ადრესანტსა და ადრესატს შორის ბიძარტებას?
- ე) რამდენად განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კომუნიკანტთა ფორმურ ცოდნას?
- ვ) რამდენად განსაზღვრავს ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციური განზომილება კავშირის არხს?

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტური კომუნიკაცია ერთდროულად ხასიათდება ორი ურთიერთდაპირისპირებული ნიშნით – იგი პრინციპულად მასობრივია და, ამავე დროს, მისთვის არსებითია ინდივიდუალური ადრესაცია.

რეკონსტრუქციული თვალსაზრისით არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, რაც გვენ-ცაძის ნაშრომში ნათქვამია საგაზეთო კომუნიკაციის შინაარსობრივ ასპექტზე. ეს ასპექტი დახასიათებულია შემდეგნაირად:

- 1) „ფაქტოლოგიურობა, დოკუმენტურობა – ნიშნებია, რომლებიც ახასიათებს არამხატვრულ ტექსტებს და ამ ნიშანთა რეალიზაცია ხდება საგაზეთო კომუნიკაციის სფეროში ძირითადად მოვლენით – კონკრეტული სინამდვილის ფაქტებით...
- 2) საგაზეთო კომუნიკაციის საგანი სტერეოტიპულია: ეს, ძირითადად, ტიპური მოვლენებია, რომლებიც მყორდება სოციუმის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში" [2,120].

თუ წინა შემთხვევებში მუდმივად ერთმანეთს ვუკავშირებდით ხედვის პრაგმატიკულ და კულტუროლოგიურ ასპექტებს, ამ შემთხვევაში მოგვიხდება ერთმანეთს დავეკავშიროთ ტექსტოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტები. იმისთვის, რომ ბოლომდე გასაგები გახდეს ნათქვამი, დავყვარდნობით ტექსტის

ლინგვისტიკის ორ წარმომადგენელს: ა. პაპინას და ლ. ნოზდრინას. ტექსტის შინაარსობრივი ასპექტის კონცეპტუალიზაციისას ა. პაპინა იყენებს "გლობალური კატეგორიის ცნებას" და როგორც კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა, ისე ხდომილებათა და სიტუაციათა მონაწილეთა ერთობლივად დასახელების მიზნით ხმარობს ტერმინს "ტექსტის პირველი გლობალური კატეგორია" [3, 93]. როგორც ვხედავთ, ავტორს ძალიან ფართოდ ესმის ტექსტის შინაარსი. ავტორის სიტყვით, „სიტუაციათა ის ობიექტები, რომლებზეც ავსებენ მეტყველი სუბიექტის გარეგან და შინაგან სამყაროს, გამოიხატება კონკრეტული და აბსტრაქტული არსებითი სახელებით, ნაცვალსახელითი არსებითი სახელებით, ზედსართავ სახელთა სუბსტანტივირებული ფორმებით და მიმღეობებით. ტექსტის ამგვარი ობიექტის ფორმალურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ პირითი, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების მესამე პირის ფორმა, ანუ ის ფორმები, რომლებზეც წარმოადგენენ არსებით სახელთა ექვივალენტებს...“ [3, 94].

რაც შეეხება ლ. ნოზდრინას, მისი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გვიჩვენოს "გრამატიკულ კატეგორიათა როლი ტექსტის სტრუქტურაში ისე, რომ ამავე დროს გათვალისწინებული იქნას გრამატიკული ასპექტის ფუნქციური კავშირი ლექსიკურ სიტუაციონარობებით და ფონეტიკურ ასპექტებთან" [4, 6]. ავტორის ყურადღების ცენტრში იმყოფება ოთხი ისეთი კატეგორია, როგორცაა "დროის, კილოს, პირისა და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიები". ყოველი ამ კატეგორიათაგანი გაიმიილება როგორც ტექსტის შესაბამისი სტრუქტურის შექმნის საშუალება: გრამატიკული დრო ქმნის ტემპორალურ სტრუქტურას, კილო – მოდალურს, პირი – პერსონალურს, განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა და არტიკლი – ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურას.

ჩვენ შევეცდებით გამოვიყენოთ ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის ნოზდრინას მიერ შემოთავაზებული ცნება – რა თქმა უნდა, საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვის რეალიზაციისთვის. მაგრამ ერთი ჩვენთვის მნიშვნელოვანი კორექტივის შეტანით: ჩვენ გავაკეთებთ აქცენტს მის იმ ასპექტზე, რომელიც იმყოფება გარკვეულ კავშირში ზემოთ ხსენებულ პაპინასულ "გლობალურ კატეგორიასთან" და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ენარის ტექსტთა დახასიათებისას, როგორცაა საინფორმაციო ცნობის აშახველი ტექსტები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის ანალიზისას ჩვენთვის ამოსავალი და გადამწყვეტი იქნება ზოგადლინგვისტური მნიშვნელობის ის ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს რეფერენტულ სტრუქტურას როგორც ტექსტოლოგიურ კატეგორიას, ანუ რეფერენციის ცნებას.

ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურაზე ამგვარი მსჯელობით ჩვენ შევექმნით ეურნალისტურ ტექსტთა (ვერძოდ კი საინფორმაციო ენარის ტექსტობრივი სივრცის) პრაგმალინგვისტური ანალიზიდან ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზზე გადასვლის მეთოდოლოგიური საფუძველი.

#### ლიტერატურა:

1. ლეზანიძე გ. (2004), კომუნიკაციური ლინგვისტიკა, "უნა და კულტურა", თბილისი
2. Гвенцадзе М. А., (1986), Коммуникативная лингвистика и типология текста, Издательство "Ганатლება", Тбилиси
3. Папина А. Ф., (2002), Текст: его единицы и глобальные категории, УРСС, Москва
4. Ноздрин Л. А., (2004), Поэтика грамматических категорий, Москва, Тезаурус

## Transition of Journalistic Texts from Pragmalinguistic to their Linguoculturological View

### Abstract

The aim of the article is to realize the retrospective aspect of the pragmalinguistic reconstruction of textual dimension of informational note. Retrospection means prospection and is indivisible from it.

The most complete version of pragmalinguistic view of the informational note as a genre is presented in M. Gvencadze's monograph "Communicative linguistics and typology of the text". Despite its completeness the monograph doesn't deal with the problem of interrelation between the text and the genre. The Gvencadze model needs reconstructional implementation.

The main goal of the article is to give the complete picture of the differential features of journalistic categories.

Further the article comments on the specific features of different journalistic genres. For example, the note – inform us about a new fact or event, a report – inform about the development of the event in the name of a participant or a witness, an interview – inform us about an event with the comments by third persons.

Discussing the referential structure of the text we created the methodological basis of transition from pragmalinguistic to linguoculturological analysis of journalistic texts.

### მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

### ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში

ენას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ჯგუფის (და საზოგადოდ ადამიანთა კოლექტივების) ჩამოყალიბებაში: ენა ყველა სხვა ფაქტორზე მეტად უზრუნველყოფს სოციალური შეჭიდულობის სიმყარეს.

შიდა-ჯგუფურ კოპეზიას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ენის კომუნიკაციური ფუნქცია. ენა, როგორც ასეთი, იძლევა არა მარტო კულტურის მონაპოვრების, არამედ სოლიდარობის სენტიმენტების და იდეოლოგიების ცირკულაციის საშუალებას. ამგვარად, ენა ხელშეწყობს ვითარებას ქმნის ჯგუფის ჰომოგენურობისა და ექსკლუზიურობისათვის.

ამასთან ერთად ენას აქვს სიმბოლური მნიშვნელობაც, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრების თვითაღქმებს, მათ მიერ იმის განცდას და რწმენას, რომ მშობლიური ენა განსაკუთრებულია, საღვრთოა, კურთხეულია, და ა.შ.

ორივე ეს ფუნქცია ხშირად თანაარსებობს, თუმც ერთი და იგივე რომ არაა, კარგად ჩნდება მაშინ, როცა ენას საკომუნიკაციოდ აღარ იყენებენ (ან იყენებენ ძალიან შეზღუდულად), მაგრამ იგი მაინც გვევლინება შიდა-ჯგუფური კონსოლიდაციის ფაქტორად, როგორც საერთო ფასეულობა ამ ჯგუფისათვის [ედვარდსი 1996: 227].

ენა წარმოადგენს ეთნიკური და ნაციონალური (ანუ კოლექტიური კულტურული იდენტობის მქონე ერთობების) მარკერების უმთავრეს საშუალებას. ვ. ჰუმბოლტი ნაცვას განიხილავდა როგორც კაცობრიობის სულიერ ფორმას, რომელსაც აქვს ენობრივი განსაზღვრულობა. მისი აზრით, სხვადასხვა ენა არის არა სხვადასხვა ბგერითი ნიშნით ერთი და იმავე საგნების სახელდება, არამედ ერთი და იმავე საგნების განსხვავებული ხედვა [რაშივილი. 1984: 9].

ენის სოციალური არსი და მისი ბმა იდენტობასთან კარგად არის გაანალიზებული თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში [ჰაუგენი 2000: 1347-1348].



ენის, როგორც იდენტობრივი მარკერის, ორგანიზაციული ფუნქცია, ანუ ორგანიზაციის შიგნით მართალი კოორდინაციის ხელშეწყობის, ხოლო ორგანიზაციის გარეთ, პირიქით, მკაფიო დასაზღვრისა, კარგად ჰქონდათ გაგნობიერებული ქართველ ინტელექტუალებს, მათ, ვინც უშუალოდ ქართული მოდერნული ნაციის პროცესში იყვნენ ჩართულნი. ასე მაგალითად, 1914 წელს "სახალხო ფურცელში" დაიბეჭდა გ. ქიქოძის ჩვენი გამოკვლევებისათვის გამორჩევი საინტერესო სტატია „ენა და ეროვნული ენერჯია“, რომელშიც, ერთი მხრივ, მოცემულია ენის ფუნქციის დახასიათება რომანტიკული ნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენილია მსჯელობა, რომელიც არსებით დამთხვევას აჩვენებს თანამედროვე სამეცნიერო დისკურსთან [ქიქოძე 1985: 156-157].

ენისა და კოლექტიური კულტურული იდენტობის მქონე ორგანიზაციის ასეთი ურთიერთკავშირი უკვე ძველ დროში იყო გაგნობიერებული: წმინდა წერილში ენა და ხალხი გამოიყენება როგორც სინონიმები [გამსახურია 1991: 3-6].

ქართული იდენტობის ლინგვისტური განზომილების განხილვა სრულიად რეზონანსული ამოცანაა. სხვა იდენტობრივ ინდიკატორებს შორის (თვითსახელწოდება, ტერიტორია, რელიგია, საერთო წარმომავლობა და ა.შ.) ქართული ერთობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით ენობრივი მარკერი გამოირჩევა მნიშვნელოვანად. ქართველოლოგიაში ამ პრობლემას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა და წყაროების გამოწვლილეთი შესწავლით ბევრი საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ გვინდა რამდენიმე ახალი შტრიხი შევიძინოთ უკვე არსებულ სურათს.

ვიდრე წყაროების ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, განვმარტოთ თუ რას ვგულისხმობთ ქართული ერთობაში. ამ ტერმინით ჩვენ აღვნიშნავთ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ჩვენ-გვლეს, რომელიც ნაციონალურ ერთობად ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში და რომელიც, როგორც ასეთი, დღემდე განაგრძობს არსებობას. მე-19 საუკუნეში ფორმირებული ქართული ნაციონალური ერთობა ეფუძნებოდა ქართულ ეთნიკს ანუ იყო ეთნოპროექტი. ასეთად დარჩა იგი თითქმის მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ აღნიშნული ჩვენ-გვლეს თანდათან იძენს სამოქალაქო ერთობის ნიშნებსაც.

ქართული ეთნიკური ერთობის (ეთნიკს) ფესვები ძალიან ღრმაა. არტეფაქტები პრეეთნიკური ხანის შესახებ, ბუნებრივია, არ მოგვეპოვება. ამიტომ ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეთნიკური დადგინების ხანგრძლივი პროცესი. ძვ.წ. მე-14 - მე-13 სს-ში ეთნიკური ერთობა, რომელმაც შემდგომში ქართული ნაციონალური ერთობის ბირთვი შეადგინა, უკვე არსებობს სახელმწიფოებრივად. ამ დროს ერთობის პოლიტიკური ცენტრი დასავლეთ საქართველოშია. თუმცა თავად ერთობა განფენილი ჩანს ლიხის ქედის ორივე მხარეს. პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლებას აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი აქვს ძვ.წ. მე-4 - მე-3 სს-ში. ცენტრის წანაცვლება არც აღნიშნულ ეპოქაში და არც მომდევნო საუკუნეებში არავითარ გავლენას არ ახდენს თავად ეთნიკურ ერთობაზე, რომელიც მყარ კულტურულ რეალობას წარმოადგენს. ანუ ქართული ნაციონალური ერთობის ეთნიკური პრეფიგურაცია არის კულტურული რეალობა, რომელიც სხვადასხვა დროს არსებობს სხვადასხვა პოლიტიკური ჩარჩოს ფარგლებში [ჩხარტიშვილი 2009: 126-128].

მეორე ტერმინი, რომლის ჩვენეული ხედვის შესახებ გვინდა თავიდანვე ვამცნოთ მკითხველს, არის ქართული ენა. ამ ტერმინის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ლინგვისტურ კოდს, რომელსაც იყენებდა და იყენებს ქართული ერთობა: ქართულ ენობრივ

სტანდარტს მისი არსებობის ყველა ეტაპზე და, აგრეთვე, მასთან დაკავშირებულ ყველა რეგიონალურ თუ სოციალურ ენობრივ ინვარიანტს.

აქვე ზედმეტი არ იქნება გვაკეთოთ მენიშენა ტერმინის ნაციონალიზმის შესახებაც. ნაციონალიზმი ზოგჯერ ესმით უარყოფითი კონოტაციით. ეს განსაკუთრებით გავრცელებულია პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიულ სივრცეში საბჭოური ისტორიოგრაფიული პრაქტიკის ინერციით, რომლის შეფასებითაც ნაციონალიზმი განიხილებოდა ზურჯუაზიულ იდეოლოგიად, ყველაფერი ზურჯუაზიული კი ცალსახად უარყოფით მოვლენად ხასიათდებოდა. ბევრ მკვლევარს დღემდე ასე, ანუ უარყოფითი აზრით ესმის ეს სიტყვა და ზოგი მას კიდევაც უპირისპირებს *ეროვნულს*. ეს არაა სწორი. *ნაციონალიზმი* (ქართულად მისი ფარდი სიტყვა ალბათ არის ილიასეული *ეროვნობა*) სამეცნიერო ტერმინია, რომელიც გამოიყენება გარკვეული სოციალური ფენომენის აღსანიშნავად. როგორც კვლევის ობიექტი იგი განხილულ უნდა იქნეს ყოველგვარი შეფასებითი მომენტის გარეშე. *ქართული ლინგვისტური ნაციონალიზმი* არის იდეოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ერთობის მარკირებას და კონსოლიდებას ქართული ენის მეშვეობით.

საკითხზე მსჯელობას დავიწყებთ თანამედროვე ვითარების ანალიზით. დღეს ქართული ერთობისათვის დამახასიათებელია გამოკვეთილი ლინგვისტური ნაციონალიზმი. ამის გამოხატულებაა თუნდ ემოციური დისკურსები ქართული ენის სხვადასხვა მოდუსის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რომელშიც ლინგვისტებთან, ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა დარგების წარმომადგენელ მკვლევრებთან ერთად ჩართულნი არიან საზოგადოების უფართოესი ფენები. ამავე ტენდენციის მაჩვენებელია მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიც ქართული ანბანის, „ქება და დიდება ქართულისა ენისასმ“ შესახებ, რომელთა ავტორებად გვევლინებიან როგორც პროფესიონალები, ასევე არაპროფესიონალები (*არაპროფესიონალი ამ ტერმინში ჩვენ არავითარ უარყოფთ აზრს არ ვდებთ, მხოლოდ და მხოლოდ იმას ვგულისხმობთ, რომ კვლევას აწარმოებს პირი, რომელიც არ მუშაობს სპეციალურ კვლევით დაწესებულებაში ან არა აქვს სამეცნიერო ხარისხი ჰუმანიტარიაში, რაც ცხადია, სულაც არ ნიშნავს მის მიერ საზოგადოდ პროფესიის არქონას*).

ენის, როგორც კოლექტიური ფასულობის, მნიშვნელობა მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, დღეს განპირობებულია ქართული ისტორიოგრაფიული დისკურსითაც: საქმე ისაა, რომ ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემას მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირებს ქართული ენის ისტორიას. ეთნოგენეზისის თემა, როგორც ცნობილია, არ არის მხოლოდ სამეცნიერო პრობლემა. ის წარმოადგენს *ეროვნული ისტორიოგრაფიული ნარატივის* უმთავრეს „სამშენებლო ბლოკს“, ანუ მოცემული ჩვენ-ჯგუფის ისტორიული მახსოვრობის ქვაკუთხედს. ისტორიული მახსოვრობა კი კოლექტიურ კულტურულ იდენტობის უმნიშვნელოვანესი მარკერია, იმდენად არსებითი, რომ ზოგი მეცნიერი (ჩვენს აზრით, სავსებით მართებულად) ეთნიკებს, ნაციებს მნიშვნელოვან კოლექტივებსაც კი უწოდებს [ზერუბაველი 2004: 4].

ქართული ერთობისათვის ენის მაკონსოლიდებელ იმპულსს კარგად აჩვენებს უახლოესი წარსული: 1978 წელს საბჭოთა იმპერიის ფარგლებში მყოფი ქართველობის მძლავრი საპროტესტო გამოსვლა უკავშირდება სწორედ ენას და მის სახელმწიფოებრივ სტატუსს. ქართული ენა იქცა ქართული ერთობის უმთავრეს შემაკავშირებელ ფაქტორად. ქართული ლინგვისტური ნაციონალიზმის თვალსაჩინოებად დასავლელი მკვლევრები აფიქსირებენ არაერთ ფაქტს და მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართველებს ახასიათებთ სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება ენისადმი [სმიით და სხვები 2000: 167-196].

გასული საუკუნის 90-იან წლებშიც ქართული იდენტობის გამოკვეთა მნიშვნელოვანწილად ხდებოდა დედაენის მეშვეობით. ძალიან ნიშანდობლივია და კარგად აჩვენებს დედაენის, როგორც საერთო ფასეულობის, წონას ქართული ერთობისათვის ის გარემოება, რომ ამ პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ზ. გამსახურდია, ექსტრემალური ვითარების მოუხედავად, საჭიროდ მიიჩნევდა გამოკვლევები და საჯარო ლექციები მიემძღვნა „ქება და დიდება ქართულისა ენისათვის“, ხოლო გაუსაძლის ეკონომიკურ პირობებში მყოფი ადამიანები დროს ნახულობდნენ ფართო განხლევის საგნად ექციათ ეს ძველი და მესიანური იდეოლოგია, რომელიც მას მოაქვს.

საქართველოში მე-20 ს. 90-ანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენდა ეთნიკურად მარკირებულ მოძრაობას. ეთნიკურობის მარკერთა შორის კი ერთ-ერთი ფუნდამენტური მარკერი, როგორც ითქვა, ენაა.

ლინგვისტური ნაციონალიზმის ფორმით ნაციონალური სენტიმენტების გამოხატვა, როგორც ცნობილია, ხდებოდა არა მარტო საზოგადოებრივ დონეზე: დღევანდელი ქართველობის უფროს და საშუალო თაობას, ვფიქრობთ, კარგად ახსოვს რამდენიმე ათეული წლის წინ ყოველ ქართულ ოჯახში წარმოებული „ზრძოლა“ რუსიზმების წინააღმდეგ ენობრივი პურიზმისათვის.

საიდან იღებს სათავეს ქართული ლინგვისტური ნაციონალიზმი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ მე-19 საუკუნეს ანუ ქართული მოდერნული ნაციის და ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბების ეპოქას.

საგულისხმო ფაქტია, რომ ეს ეპოქა ხასიათდება საგრამატიკო საკითხებისადმი დიდი ინტერესით. ქართული კულტურული ელიტა სრულად არის ჩართული ქართული ენის ნორმალიზაციისათვის მიმართულ ღონისძიებათა პროცესში. ამ პროცესის განცხადება, როგორც ცნობილია, მოხდა 1861 წელს ილიას მიერ „ციცქარში“ გამოქვეყნებული წერილით „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შემლოლის“ თარგმანზედა“, რომელიც ითვლება „ამათა“ და „შვილთა“ შორის ბრძოლის დასაწყისად. ენობრივი სტანდარტის შექმნის პროცესი შემდეგაც ილიას პროგრამით წარმართებოდა. პოლემიკა იყო ცხარე. ყოველ ენობრივ ნიუანსს განიხილავდნენ. ჩვენთვის მთავარი არ არის ის, თუ რას ეხებოდნენ ამ დებატებში ჩართული ადამიანები, ან როგორ გადაწყდა ამა თუ იმ ნორმის საკითხი, მთავარია ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც ეროვნული ენობრივი სტანდარტის ჩამოყალიბების მიმართ იჩენდა ქართული საზოგადოება. ჰუმანიტარული ინტელიჯენცია, როგორც ითქვა, სრულად იყო ჩართული ენის გარშემო დებატებში, ხოლო მთელი წერა-კითხვის მივოდნე საქართველო გაზეთების საშუალებით თვალყურს ადევნებდა ამ დისკუსიას. მამობრავებელი მოტივი ყველასათვის ნაციონალიზმი იყო: მათიც, ვინც ძველი ენობრივი ფორმების უცვლელად დანარჩუნებას მოითხოვდა და მათიც, ვინც ახლის დამკვიდრებაში ხედავდა ენის განვითარებას და ამის კვალობაზე ერის განვითარებასაც. საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, ნაციონალური კონსოლიდაციისათვის აუცილებელია, თვითიგიურობის რწმენა. ამიტომ ფიქრობდა ქართული ინტელიჯენციის ერთი ნაწილი, რომ მე-19 საუკუნის მეცხოვრებით, მათ, ვინც თავს ქართველად მიიჩნევდნენ, „ყოველთა ქართლოსიანთა“ მიერ ხმარებული ენა უცვლელად უნდა ჰქონოდათ. მეორე მხრივ, ნაციონალური კონსოლიდაცია შეუძლებელია ჯგუფის შიგნით სოციალური ტიხრების მოშლის, ელიტური კულტურის საჯარო კულტურად ქცევის გარეშე. ნაცია არის სწორედ საჯარო კულტურის ფორმა: „საერთო საჯარო კულტურა ნაციების უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს“ (სმიითი 2004: 37). ამაში მდგომარეობს მისი არსება და

მისი განსხვავებაც ეთნიკსაგან, რომლის დროს უმაღლეს კულტურას ქმნის და კიდევაც მოიხმარს ერთობის რაოდენობრივი მაჩვენებლის თვალსაზრისით უმნიშვნელო, მაგრამ სოციალურად პრივილეგირებული, ნაწილი. ენის დემოკრატიზაციის პროგრამა იყო ქართული ეთნიკურ ერთობაში ფართო მასების "მიწვევის" პროგრამა სოციალური კოპეზიის თვალსაზრისით უფრო მყარ ქართულ ნაციონალურ ერთობაში. საყოველთაოდ გამოყენებადი ნაციონალური ენის იდეას ეხმარება და განაპირობებს არა იმდენად ლინგვისტური არგუმენტები, არამედ ნაციონალიზმის იდეოლოგია.

მე-19 საუკუნის საქართველოში „საგრამატიკო“ ვნებათა-ღელვის ისტორია, დღეისათვის არსებული მრავალი გამოკვლევით კარგად არის ცნობილი. ჩვენ ამგვარად დაკმაყოფილებით მხოლოდ ორიოდ მაგალითის მოხმობით, იმისათვის, რათა ქართული ნაციონალიზმის ლინგვისტურ განზომილებას მეტი თვალსაზიროვნება მივიანიკოთ.

აეილოთ თუნდ წერილი „ფიქრები ახალწლის გამო“, რომელიც დაბეჭდილია 1878 წლის „ივერიის“ მეორე (12 იანვრის) ნომერში. ეს პუბლიკაცია საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, ემოციით, რომლითაც არის დაპუბტული და რომლის მეშვეობითაც იგი ქართველობის გრძნობებზე ზემოქმედებას განსაკუთრებული შთაბეჭდავობით გამოიჩინა ის ადგილი, რომელიც ქართველი ახალგაზრდებისაგან ქართული ენის აბურად ავადების ფაქტს შეეხება:

„დასტა-დასტა გახლავან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც თათქარიძეზედ ზევრით დაბლა სდგანან, რომლებიც კვებულობენ, რომ არას აკეთებენ, კვებულობენ რომ ქართული კითხვა არ იციან და მისი კითხვა სძაგთ, რომლებიც მონატრულნი არიან, რომ ქართული ენა არ იცოდნენ. შემხედრია ისეთი ახალ-გაზრდები, რომლებსაც შემოუკვებნიათ, რომ ქართული კითხვა რათ მიწდა, რომ ვიცოდეთ, ძალათ გამო-მანერინეს ქართული გაზეთით, ვჯიყინებ, ვჯიყინებ და ვერას ვიგებო. ისე ურცხვად ლაპარაკობენ ამ სიავაზაკეს, რომ ჟრუანტელი გამიელის ტანში, ეს სულით-გულით სრული მახინჯები, ეს არა კაცი!! რა კეთილს უნდა მოულოდეს ამათგან ადამიანი, ეს ავაზაკები პარპაშობენ კი, დამძრახვი არა ვინ ჰყავთ, ან ვის დასძრახავთ: ეს საქციელი ჩვენში „სწავლის ნიშანი“ გახლავსთ“ [გვ.14].

ამჟამად მისი ავტორი (წაკოლა-ც. ფსევდონიმით, რომ აწერს ხელს) ენის მეშვეობით შიდა-ჯგუფური სოლიდარობის გაღვივებას ესწრაფვის, ანუ აქ მოქმედებაშია ენის, როგორც სიმბოლოს, მაკონსოლიდებელი ფუნქცია.

როგორც ცნობილია, მშობლიური ენის განვითარება, მისი დაცვა "ივერიის" და მისი დამფუძნებლის - ილია ჭავჭავაძის სამოღვაწეო პროგრამაში იყო ძალიან მნიშვნელოვანი თემა.

ილია, როგორც ყველა სხვა ერის „მამა“ (ეს ეპითეტი გამოიყენებული სხვადასხვა ხალხის საუკეთესო შეილების მიმართ მართებული ჩანს ილიასთვისაც ქართული მოდერნული ნაციის ფორმირებაში მისი ღვაწლის გათვალისწინებით), მთელ თავის საქმიანობას წარმართავდა იმისაკენ, რომ მიეღწია ქართული ერთობის კონსოლიდირებისათვის, შიდა-სოციალური თუ კულტურული ტიხრების მოშლისათვის, ჯგუფური სოლიდარობის განმტკიცებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ენისადმი მისი ყურადღებაც არ არის შემთხვევითი და სწორედ ამ, ანუ ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალური რეპერტუარის, კონტექსტში ეწერება [ჩხარტიშვილი. 2007: 215-243]. ილიას მიერ ენის, როგორც იდენტობრივი მარკერის, პერცეფცია კარგად ჩანს თუნდ მისი საყოველთაოდ ცნობილი ფრაზით მამა-პაპათაგან დარჩენილი სამი უმთავრესი საუნჯის ("მამული, ენა, სარწმუნოება") შესახებ, რომელიც მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალიზმის დევიზად შეიძლება მივიჩნიოთ.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის მითითებული, ილიას მამული მოიკვამის ენასაც [კვიციანი, 2005: 47] და სულაც არ არის მარტო მშობლიური მიწა. მამული წარმოუდგენელია ენის გარეშე, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ფორმულაში, როგორც ვხედავთ, ენა ცალკეა გამოტანილი. ეს კარგად აჩვენებს ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიისათვის ლინგვისტური განზომილების მნიშვნელოვნებას და თავისთავადობას.

საგულისხმოა, რომ „მამათა“ და „შვილთა“ დაპირისპირება, რომელიც, სხვათა შორის, აგრეთვე ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალის წარმოდგენს, ქართულ სინამდვილეში იწყება ენის შესახებ პაექრობით. მართებულად არის შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში: „მამებსა და შვილებს შორის დაძაბულობა ენის ზღვარზე გადის“ [კვიციანი 2005: 47].

ცხადია, ეს არ იყო პაექრობა უბრალოდ გრამატიკულ ნორმებზე. ეს არის ენის უნიფიცირების სურვილის გამოვლენა, კულტურულად ერთგვაროვანი ერთობის ჩამოყალიბებისათვის.

ახლა შევეცადოთ გადავიხედოთ საუკუნეთა უფრო სიღრმეში.

ქართული ეთნიკის, როგორც ერთობის, სიმყარის და განგრძობადობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი ენაა. აღნიშნული ფაქტი კარგად ჩანს მრავალი წყაროს მონაცემებით. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა მე-18 საუკუნის მიწურულს შექმნილი ერთი დოკუმენტი. ესაა საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროს არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა – სამეფო-სამთავროებს შორის 1790 წელს დადებული ხელშეკრულება ურთიერთთავადაუსხებლობისა და საგარეო საფრთხის შემთხვევაში სოლიდარობის შესახებ: „ტრახტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოებისათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელს“ [დოლობე 1965: 501].

ჩვენს წინაშეა პოლიტიკური დოკუმენტი. საინტერესო ისაა, რომ პოლიტიკური ხელშეკრულების საფუძველად მითითებულია კოლექტიური კულტურული იდენტობა, კერძოდ, ჩამოთვლილია კონკრეტული მარკერები. ამ სიაში ენა დასახელებულია მეორე ადგილზე რელიგიის შემდეგ.

მე-17 ს. დასასრული და მე-18 ს. დასაწყისი, შუა ხანები ქართული ერთობის ცხოვრებაში ენობრივი მარკერის განმტკიცების თვალსაზრისით აღინიშნა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტი. ერთ-ერთი იყო სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართული „სიტყვის კონის“ შექმნა. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ლექსიკონის შექმნა არ იყო საბას კერძო ინიციატივა, რომ იმპულსი პოლიტიკური მოღვაწისაგან, კერძოდ, ვახტანგ მეექვსესაგან მომდინარეობდა [ხოლქვაძე 2005: 92].

თუ გავითვალისწინებთ კოლექტივის წარმოქმნისათვის ენის მნიშვნელობას და პოლიტიკისა და კულტურის დრმა კავშირს ეს საკითხით გასაგებია.

საბაგა და ვახტანგიც ლექსიკონს ანიჭებდნენ ქართულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ენობრივი არბიტრის ფუნქციას [ხოლქვაძე, 2005: 93].

ჩვენთვის საინტერესოა, როგორ ესმოდა საბას ამგვარი არბიტრობის არსი: ირკვევა, მისი თვალთახედვით ლექსიკონი უნდა დახმარებოდა ქართველებს აღედგინათ (sic!) თავდაპირველი ენა. ანუ საბა არ თვლიდა, რომ რაღაც ახალი შემოჰქონდა. იგი ცდილობდა „შერყვნილი“ ფენის ქვეშ აღმოეჩინა და დაეფიქსირებინა ავთენტური ფორმები. ცალკე საკითხია, რამდენად შეეძლო ან რამდენად შეეძლო ეს გაეკეთებინა. ჩვენთვის საინტერესოა, თავად საკითხის ასე დაყენება, იმის განცდა, რომ ენობრივი

ნორმა უკვე არსებობდა საბას დრომდე ბევრად ადრე, და საჭირო იყო მისი აღდგენა, შესაბამისად, თავდაპირველი ფორმების მოძიება.

აი, შესაბამისი ციტატი საბას „ანდერმანაგიდან“: „ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღწერე, რომელიმე არა მათებრ ღვარკნილად, არამედ მათივე წმიდათა მამათაგან საადვილო ვაჟვე და საადვილონი აღწერე, რათა ისწაონ ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ზრძინისა და გონიერისა, რომელი იყო მეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“ [ახულაძე 1991: 28].

საინტერესოა, რომ ზოგ ხელნაწერში ფარნავაზის ღვარკნის მაჩვენებელი სიტყვების სია შევსებულია სიტყვით „განრკვეული.“ ანუ გვაქვს „შესრულებული, განვრცელებული და განრკვეული.“

ფარნავაზს სრულყოფილი გაუხდია ქართული ენა, გაუვრცელებია ის, დაუდგენია კიდევ. ანუ საბას აზრით, ფარნავაზის შესახებ ცნობა არის ცნობა ქართული ენობრივი სტანდარტის შექმნის შესახებ მითითება. არ შეიძლება მას ამ ინტერპრეტაციაში არ დავეთანხმეთ. სწორედ ამ სტანდარტის აღდგენა პირვანდელი სახით სურს, რომ უზრუნველყოს თავისი ლექსიკონით საბამ.

ლექსიკოლოგიური აქტივობანი ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორია იმისა, რომ იწყება კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის კონსოლიდაციის ახალი ეტაპი. მართებული ჩანს იმ მკვლევართა თვალსაზრისი, რომლებიც ლექსიკონზე გაწეული ძალისხმევის გამო საბას ილიას წინამორბედად მიიჩნევენ [ფირალიშვილი 2009: 19].

ქართული ერთობის ენობრივად მარკირების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხადია, ბეჭდურ სიტყვას. მე-18 საუკუნის პირველი ათწლეულები ქართულ სინამდვილეში, როგორც ცნობილია, აღინიშნა ამ რიგის ფაქტებითაც. საქართველოში სასტამბო საქმიანობის დასაწყისად ჩვეულებრივ 1709 წელია მიჩნეული, თუმც ზოგი მკვლევარი აღნიშნულ ფაქტს რამდენიმე წლით ადრეც ვარაუდობს [იოსელიანი 1990: 164].

სპეციალურ თეორიულ ლიტერატურაში სათანადოდ არის დამუშავებული საკითხი ბეჭდური სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ კოლექტიური კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის კონსოლიდაციის პროცესში. ბეჭდური სიტყვა ვერნაკულური ენის ნაციონალურ ენად გარდაქმნის საქმეში მიაჩნიათ გადაწყვეტ ფაქტორად [ჰისტიინგსი 2004: 21], სოციალური კონსტრუქციონიზმის მიმდევარი მკვლევრები კი ნაციონალური ერთობის წარმოშობას საერთოდ უკავშირებენ ბეჭდურ მედიას [ანდერსონი 2005: 48-60].

ამ ეპოქის შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტია მე-18 საუკუნის შუა ხანებში ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა, მისი „ქართული ღრამმატიკა“. როგორც ეს უკვე მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, ანტონის ღვაწლი არ შეიძლება უზრალოდ ფილოლოგიური მიზნის სიბრტყეში იქნეს გახილული. ამ აქტივობას აქვს სახელმწიფოებრივი განზომილება [მახუაშვილი, უთურგაიძე 1991: 7-8].

ჩვენ ვფიქრობთ, ეს უფრო იდენტობის განვითარების ფაქტია, რადგან ანტონის მოღვაწეობის ეპოქაში ქართული ერთობა რამდენიმე პოლიტიკური ერთეულში იყო განაწილებული. ამ პოლიტიკური ერთეულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს შემკავშირებელს კი ენა წარმოადგენდა. ანტონის მოღვაწეობას ჰქონდა ზოგადქართული მნიშვნელობა, არა მარტო იმიტომ, რომ მის მიერ დადგენილ ნორმებს მთელ საქართველოში უწევდნენ ანგარიშს, არამედ იმიტომაც, რომ ანტონის ძალისხმევა ქართული

ერთობის წევრთა პერცეფციებში აბლიერებდა ყურადღებას ენისადმი, როგორც იდენტობრივი სიმბოლისადმი.

ზოგი მკვლევარი, მიიჩნევს, რომ უკვე ანტონის დროს იწყება ქართული ენის დემოკრატიზაციის პროცესი, ანტონი საკმაოდ გახედულად ცდილობდა ხალხური მეტყველების ფორმები გამოეყენებინა სათანადო პარადიგმებში (ბახუნაშვილი, უთურგაძე 1991: 78-79).

სულხან-საბა ორბელიანის წინარე პერიოდი ოქროს ხანაში, არის პოლიტიკურად ძალიან მძიმე დრო ქართული ერთობისათვის. ასევე მძიმეა იგი ქართული სალიტერატურო ენისათვის, რადგან მას მზრუველობა აკლდება ქართველ კოდიფიკატორთა მხრიდან. ეს არის ენის სტიქიური განვითარების ხანა (მელიქიშვილი 2007: 125-131). თუმცე, როგორც ქართული იდენტობის მარკერი, ქართული ენა თავის ფუნქციას ინარჩუნებს სრულად და ამჟამად მეტ ძალასაც იძენს, რადგან მან, როგორც შემეცანებირებელმა ფაქტორმა, უნდა მიახდინოს ქართული კულტურისათვის ერთიანი პოლიტიკური ჩარჩოს არარსებობით გამოწვეული ნაკლოვანებათა კომპენსირება.

გრამატიკული აზრის წინსვლას, ენის შინაგანი რესურსების მოძრაობაში მოყვანას და საბოლოო ჯამში ენობრივი ფორმების კოდიფიკაციას და მათი ფუნქციების დახვეწას განსაკუთრებით ხელს უწყობს თარგმანი. მთარგმნელობითი საქმიანობის გაინტესტირება ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქის კულტურული რენენსანსების თანმდევი მოვლენაა. მე-10 – მე-12 საუკუნეებში ამ მიმართულებით მოღვაწეობას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. ეს საქმიანობა მიმდინარეობდა უზუნაეს პოლიტიკურ ხელიშეწყობითა უშუალო მეთავალყურეობის ქვეშ. ნაშრომის შეზღუდული მოცულობა საშუალებას არ მოგვცემს თუნდაც ძალიან ზერელედ შევხებით ამ ვითარების გამომხატველ ფაქტებს. ამიტომ მხოლოდ ერთს მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას. კერძოდ, გიორგი მთაწმიდელს, რომელიც ამ ეპოქაში ქართული ერთობის კონსოლიდაციის პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს აქტორად გვევლინება (ჩხარტიშვილი 2006: 81-101). იგი, როგორც ცნობილია, საეკლესიო ლიტერატურას თარგმნიდა და, ერთი შეხედვით, ამით მხოლოდ ქართული იდენტობის რელიგიური მარკერის განმტკიცებას ემსახურებოდა, მაგრამ ამჟამად, რომ ამ პროცესში უადრესად დაიხვეწა თავად ენა. აქ საინტერესოა ისაა, რომ წმინდა მამის თანამედროვენი ამას სწორედ ენის განვითარებისათვის ძალისხმევად მიიჩნევენდნენ. ისე ჩანს, რომ ენა მათ ინტერესის საგანს შეადგენდა არა მხოლოდ როგორც მედიუმში რელიგიური იდეების გასავრცელებლად, არამედ ის თავად იყო ფასეულობა და საგანგებო ზრუნვის საგანი.

წმ. მამის ბიოგრაფის, მისივე მოწაფის აღფრთოვანებას ყველაზე მეტად წმინდანის მიერ სწორედ ენის განვითარებაში შეტანილი ღვაწლი იწვევს თავად წმინდა მამაც ასე განიხილავდა ამ საკითხს ეს კარგად ჩანს მთარგმნელობით სარბიელზე მისი წინამორბედის წმ. ექვთიმე ათონელის მისეულ დახასიათებითაც (ჩხარტიშვილი 2006).

ენა მიჩნეულია ქართული იდენტობის პერმანენტულ მარკერად. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია მე-12 ს. მოღვაწის წმ. ნინოს „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველები არიან ქართლიდან მოსულთა შთამომავლები არიან და მათი ენა იციან (ახლაძე 1971: 47).

როგორც ვხედავთ, მეტაფრასი ავტორის მიხედვით ქართული ერთობის თვითიგიფურებისა და განგრძობადობის საფუძველს სწორედ ენა წარმოადგენს.

განსაკუთრებულ წონა ენას, როგორც იდენტობრივ მარკერს, მოუპოვა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამ ქართლის სამეფოში. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერის ა. ჰეისტიუნგის დაკვირვებით, ქრისტიანობა წარმოადგენს განსაკუთრებულ იმპულსს კოლექტიური კულტურული იდენტობის მქონე ერთობათა ენის

მეშვეობით კონსოლიდაციისათვის, რამდენადაც ქრისტიანობა არის თარგმანთან დაკავშირებული რელიგია. რელიგიური წიგნების თარგმანი კი ვერსაკულური ენის განვითარებას უწყობს ხელს [პეტინგსი 2004: 194].

მართალია, ქართული ენობრივი სტანდარტის წარმოშობა, განსხვავებით ბევრი სხვა ხალხისაგან, ქრისტიანობას არ უკავშირდება (ეს ბევრად ადრე მოხდა მეფე ფარნავაზის მოღვაწეობის შედეგად), ქრისტიანობის იმპულსი ქართული ენის განვითარებაზე და მის ნაციონალურ მარკერად გადაქცევის საქმეში განუზომლად დიდია.

მე-4 ს. ავთენტური თხზულება „წმ. ნინოს ცხოვრება“ გვიჩვენებს, რომ ნინო განმანათლებლის ქართლში მოსვლის დროს „უცხო ნათესავის“ ანუ ქართული ერთობის ენა უკვე მკაფიო იდენტობრივ მარკერს წარმოადგენდა [ჩხარტიშვილი 2002:39] მისი, როგორც სოციალური საზღვრის, როლი განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო სწორედ რელიგიური ტრანსლოკალიზაციის ეპოქაში, როცა ისეთი მძლავრი ტრადიციული ეთნიკური მარკერი, როგორც იყო არმაზული რელიგია, ჩანაცვლდა ტრანსეთნიკური ქრისტიანობით. აღნიშნულმა ფაქტორმა განსაკუთრებული გახადა ენის სიმბოლური მნიშვნელობა. ნაწილობრივ ენის შესახებ დისკუსიის ფორმა მიიღო ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიამ, რომლის თავდაპირველი ვერსია, როგორც პასუხი ტრანსეთნიკური იდეოლოგიის გამოწვევაზე, ჩამოყალიბდა სწორედ მე-4 საუკუნის შუა ხანებში. ამ გამოწვევაზე პასუხს წარმოადგენდა ძეგლი, რომელიც ქართველთა რჩეულების იდეოლოგიას ენობრივი კუთხით წამბოძავენს.

ასე რომ, ქართული ლინგვისტური ნაციონალიზმის ფესვები ძალიან ღრმაა.

ქართული იდენტობისათვის ენის ამ განმსაზღვრელ როლს ასაჩინოებს სპეციალურ ლიტერატურაში გიორგი მერჩულის „ფორმულაც“: „ქართლად ფრიადი ქუეყანამ აღირაცხების, რმელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვამ ყოველი აღესრულების“.

როგორც ვხედავთ, ავტორი ქართლის, ანუ ქართული ერთობის განმარტებას ახდენს ენის მეშვეობით.

დაბოლოს, უნდა შევხებით ფაქტს, რომლითაც აღნიშნული თემის გაშუქებას დაიწყებდა ალბათ ბევრი მკვლევარი: ესაა ფარნავაზი და მისი მოღვაწეობა ქართულ ენასთან დაკავშირებით [ყუხიშვილი 1955: 26].

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს აღნიშნული ფაქტის სოციალურ-ლინგვისტური კონტექსტის ანალიზის ახარებით ცდა იხ. თუნდ ერთ-ერთი ყველაზე ბოლოდროინდელი [ხოლცაძე 2010: 53-60].

სრულიად აშკარაა, რომ ფარნავაზმა ქართულ ენას მიანიჭა სახელმწიფოებრივი სტატუსი, ამ აზრით (ე.ი. ფუნქციის თვალსაზრისით) მან განავრცო იგი და შეეცადა პოლიტიკური ერთობა, რომელიც მან შექმნა, ყოფილიყო ამავე დროს ენობრივი კოლექტივი. ქართული ანბანის გამოგონებამ ფაქტობრივად ჩართო ქართული ისტორიული მახსოვრობის „წაშობი“, რადგან ანბანი რელიგიური ტექსტების გარდა, უსათუოდ ახალი პოლიტიკური ორგანიზმისათვის ისტორიოგრაფიული ჩანაწერების გაკეთებასაც უნდა მომსახურებოდა.

ამ დროიდან, ქართული პოლიტიკური ელიტისათვის ქართული ენა იქცა მარკირების უმთავრეს საშუალებად. გავიხსენოთ: ეთნიკურად სპარსულ მირიანს ქართული იდენტობის მისაღებად მშობლიური ენის დავიწყებამ მოუწია ქართულის ხარჯზე [ყუხიშვილი 1955: 65].

ეს მაშინ, როცა მირიანმა „მამული სჯული“, ანუ ცეცხლისმსახურება არ დაივიწყა და ქართულ კერპებთან ერთად მასაც ერთგულებდა. როგორც ვხედავთ, შუა



საკულებრივი პერცეფციების მიხედვით ენა ქართული იდენტობის უფრო ფუნდამენტური მარკერია, ვიდრე რელიგია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: მთელი თავისი არსებობის მანძილზე ქართული ერთობა არის მკაფიოდ მარკირებული ენობრივი კოლექტივი; ენა წარმოადგენს ქართული იდენტობის მუდმივ მსაზღვრელს, კოლექტიურ ფასეულობათა შკალაზე დედაენას უკავია ყველაზე მაღალი პოზიცია.

„რაწამს ჩახედა თვალში მედეას, ცნო ჰელიოსის შთამომავალი/ რადგან შზის ღმერთის მემკვიდრეები აფრქვევდნენ ოქროს სხივებს შორიდან, /და ეს ნიშანი საგვარეულო იყო იოლი გამოსაცნობად/ კირკეს მშობლიურ ენაზე სურდა ესმინა სიტყვა სტუმრის პირიდან/ მედეამ თავის კოლხურ ენაზე მოუთხრო კირკეს წერილად ყველაფერი“ (გელოვანი 1975: 175-176).

ეს არის ნაწყვეტი აპოლონიოს როდოსელის, ძვ.წ. მე-3 საუკუნის ავტორის, "არგონავტიკიდან".

ეპიზოდი შეეხება დრამატულ ვითარებას, როცა მედეამ უნდა მოუთხროს მამიდამისს, ის, რაც ჩაიდინა. ზერძენი ავტორის აზრით, ეს ისტორია უნდა გამოითქვას და მოსმენილ იქნეს მშობლიურ ენაზე, რადგან ეხება ადამიანისათვის ყველაზე უფრო ინტიმურ ფაქტებს.

ჩვენ არ ვიცით, ეფუძნებოდა თუ არა რაიმე დოკუმენტურ მონაცემს ამ შემთხვევაში აპოლონიოს როდოსელი, თუ ეს სცენა შოლოდ მხატვრული წარმოსახვის ნაყოფია. ამიტომ, ცხადია, გვიჭირს, აღნიშნული ცნობა მეფე აიეტის დროინდელი არსებული ვითარების დასახასიათებლად გამოვიყენოთ, თუმც იგი მაინც ძალიან საინტერესოა, თუნდაც, შესაბამისი ეპოქის ზერძენთა მიერ ქართული იდენტობის პერცეფციის თვალსაზრისით: განსაკუთრებული თვალეზი ჰელიოსიანთა საგვარეულო ანუ კერძო ნიშანია, ენა კი – კოლექტიური ანუ ეთნიკური კუთვნილების მაჩვენებელი.<sup>9</sup>

#### ლიტერატურა:

1. ახულაძე 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი 3 (ბეტაფრსული რედაქციები 11-13 სს) ი. ახულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. მეცნიერება. თბილისი.
2. ახულაძე 1991: ხელხან-ხაბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული 1 აგიოგრაფიული წესების მიხედვით მოაზრდა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ი.ახულაძემ. მერანი. თბილისი.
3. ანდერსონი 2005: B.Anderson. Imagined Communiities. Nations and Nationalism. A reader. Edited by P. Spencer and H. Wollman. Rutgers University Press. New Brunswick, New Jersey. 48-60.
4. ბახუნაშვილი, უთურგაძე 1991: ე.ბახუნაშვილი, თ.უთურგაძე. ანტონ პირველის "ქართული ლამამატიკა" და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა. მეცნიერება. თბილისი. ზოლქვაძე 2005: თ.ზოლქვაძე. იდეოლოგიზებული ღირებულებები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
6. ზოლქვაძე 2010: სოციოლინგვისტური ხასიათის ცნობები „მეფეთა ცხოვრებაში“: ფარნავაზ მეფე. ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. 12. რედ. გალასანია და მ.ჩხარტიშვილი. უნივერსალი. თბილისი. 53-60.
7. გამსახურდია 1991: ზ.გამსახურდია წერილები, ესსეები, ხელოვნება. თბილისი.

<sup>9</sup> ნაშრომი ეფუძნება ავტორთა გამოკვლევებს ქართული იდენტობის ისტორიის შესახებ, რომელთა ერთი ნაწილი შესრულებულია რუსთაველის ფონდით დაფინანსებული პროექტის (G-12-02-08) ფარგლებში.

8. გელოვანი 1975: აპოლონიოს როდოსელი. არგონატიკა. თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებლები აკაკი ურუშაძისა. მეცნიერება. თბილისი.
9. დოლობე 1965: ი. დოლობე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.მე-2. მეცნიერება. თბილისი.
10. ედვარდსი 1996: J. Edwards. Symbolic Ethnicity and Language. Ethnicity. Edited by J. Hutchinson and A.D.Smith. Oxford. New York. Oxford University Press.
11. ზერუბაველი 2004: E.Zerubavel Time Maps. Collective Memory and Social Shape of the Past. The University of Chicago Press, Chicago and London.
12. იოსელიანი 1990: ა. იოსელიანი. ქართული წიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უბეღელის დროიდან მე-19 ს. 60-იან წლებამდე). მეცნიერება. თბილისი.
13. კიკნაძე 2005: ზ. კიკნაძე. ილიას მამული. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. მთავარი რედ. ზ. კიკნაძე. არტე თბილისი. 28-52.
14. მანია 2010: ქ. მანია. ქართული ერთობა „ოცერიის“ 1897 წლის ნორმების მიხედვით. ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. 12. რედ. გ.ალასანიძე და მ.ჩხარტიშვილი. უნივერსალი. თბილისი. 89-86.
15. მელიქიშვილი 2007: დ. მელიქიშვილი ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორიიდან. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. პირველი კრებული. რედ. თ.ხოლუაძე. თბილისი. 125-131.
16. რამიშვილი 1984: Г.В.Рамишвили. Вильгельм фон Гумбольдт – основоположник теоретического языкознания. Вильгельм фон Гумбольдт. Избранные труды по языкознанию. Перевод с немецкого языка под редакцией и с предисловием доктора филологических наук проф. Г.В.Рамишвили. Прогресс. Москва.
17. სმითი და სბეგი 2000: Language Myth and Nation Building in Georgia. Nation-building in the Post-Soviet Borderlands. The politics of National Identities. G.Smith, V.Law, A. Wilson, A.Buhr, E Allworth. Cambridge University Press.
18. სმითი 2004: ე.დ.სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურებიდან მ.ჩხარტიშვილისა. ქართული ტექსტის რედაქტორი რ.ამირეჯიბი-მალენი. ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
19. ფირალიშვილი 2009: ზ. ფირალიშვილი. საბა და ქართული კოსმოსი. სულხან-საბა ორბელიანი. საოუბილეო კრებული 350. რედ. ი.რატიანი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 10-29.
20. ქიქოძე 1985: გ. ქიქოძე. წერილები. ესეები, ნარკვევები. მერანი. თბილისი.
21. ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. სახელგამი. თბილისი.
22. ჩხარტიშვილი 1988: მ.ჩხარტიშვილი. „წიგნი პირველი.“ მნათობი. №5. 147-149.
23. ჩხარტიშვილი 1989: მ.ჩხარტიშვილი. ქართული ანბანის ისტორიიდან. მნათობი. №6. 169-173.
24. ჩხარტიშვილი 2002: მ.ჩხარტიშვილი. ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემეტიკის თვალთახედვით. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი. ტ.1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისი სემინარის მასალები. რედ.დ. მუსხელიშვილი და მ. ჩხარტიშვილი. ინტელექტი. თბილისი. 32-47.
25. ჩხარტიშვილი 2005: ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. არტე. თბილისი. 227-241.
26. ჩხარტიშვილი 2006: მ.ჩხარტიშვილი. წმიდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის საბანები მე-11 საუკუნეში. ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ.11. შებატიაძე. თბილისი. 87-101.
27. ჩხარტიშვილი 2007: მ.ჩხარტიშვილი ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში“. ილია ჭავჭავაძე 170. საოუბილეო კრებული. რედ. ი. რატიანი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი. 215-243.
28. ჩხარტიშვილი 2009: M.Chkhartishvili. On Georgian Identity and Culture International presentations by Professor Mariam Chkhartishvili, Universal, Tbilisi.
29. ჩხარტიშვილი 2009b: ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში. კავკასიური სახლი. თბილისი.
30. ჰაუგენი 2000: E.Haugen Dialect, Language, Nation – Nationalism Critical Concepts in Political Science. Edited with new introduction by J.Hutchinson and A.D. Smith. Vol. IV, London and New York, Routledge, 1347-1348.

**Chkhartishvili Mariam, Mania Ketevan**

**Linguistic Marker of Georgian Identity in Pre-modern Era and in Time of National Consolidation**

The investigation deals with history of Georgian identity. Linguistic aspect in its historical development represents the focal point of the research.

The paper begins with consideration general assertions in regards of inherit links between language and different stages in development of collective cultural identities.

After this the authors direct attention of a reader to the history of Georgian linguistic nationalism. Firstly they consider 19<sup>th</sup> c as most nationalistic ideas circulated currently within Georgian community are rooted in this century. However, the origin of linguistic marker of Georgian identity is far beyond this epoch.

Events that had taken place in 18<sup>th</sup> c (creation of dictionary of Georgian language and grammar of Georgian language, founding of printing house in Tbilisi) are placed in the context of Georgian identity development.

With special attention is elaborated the impact of Christianity on process of Georgian language standardization.

By analyzing the evidence provided by Leonti Mroveli (11<sup>th</sup> c) on invention of Georgian script and endowing Georgian with official status by King Parnavas in 4<sup>th</sup> – 3<sup>rd</sup> cc A.D. the paper is ended.

In conclusion the discourse on symbolic function of mother tongue for Georgian identity developments is provided.

**მარიამ ცისკარიშვილი**  
ი.გოგებაშვილის სახელწიფო უნივერსიტეტი, თელავი

**ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებისათვის  
წოვა-თუშური(ზაცბური) ენის მაგალითზე**

ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს. სამყაროს აღქმის ხერხი დამოკიდებულია ენაზე, რომლითაც აზროვნება ხორციელდება. ყოველი ხალხის მსოფლხედვისა და მსოფლგაგების საფუძველია საგნობრივ მნიშვნელობათა საკუთარი სისტემა: სოციალური სტერეოტიპები, კოგნიტური სქემები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ცნობიერება განპირობებულია ეთნიკურად [ჯუბრაიჯა 1997: 21]. ტერმინი აზროვნება ასახავს ცნობიერების ლოგიკურ რაციონალურ ნაწილს. ის ცნობიერების აბსტრაქტულ-ლოგიკური შემადგენელია, მაშინ როდესაც ცნობიერება მოიცავს არამარტო აზრის ლოგიკურ ფორმებს, არამედ ემოციურ-შემფასებლურ ნებელობითსა და გრძნობით-ხატოვან მენტალურ სფეროებსაც [სტერნინი 2005:140]. ენის მატარებელთა მსოფლადქმის სპეციფიკას ასახავს კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა ერთობლიობა, რომელიც ქმნის კონცეპტუალურ სფეროს [ოზიაძე, 2009:70]. სწორედ ეს სფერო შეესაბამება მენტალობას, როგორც სამყაროს ხედვის საშუალებას. რაც შეეხება მენტალიტეტს, რომელიც ერის კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით სტერეოტიპთა სიმრავლედ განიხილება, მის სფეროში შედის ეთნიკური სპეციფიკით ნიშნდებული კონცეპტები [მასლოვა, 2001:49]. ეს არის სამყაროს ხედვა ერის ენიდან გამომდინარე, როდესაც ენა გამოდის ეროვნული მენტალიტეტის გამომხატველის როლში.

გარესამყაროს მოვლენები და საგნები ადამიანში შინაგანი წარმოსახვის ფორმით არის წარმოდგენილი. ამ გზით შესაძლებელი ხდება ერთი და იგივე მოვლენა და საგანი აღქმული და გადმოცემული იქნას განსხვავებულად, რაც ხელს უწყობს ადამიანის წარმოსახვის, ფანტაზიის უნარისა და საერთო ცოდნის გაღრმავებას.

სამყაროს სურათს ქმნის ენა და ენის ეს მსოფლხედველური როლი შეჭრილია მთლიანად ადამიანის ცნობიერებაში. სამყაროს ენობრივი სურათი მთლიანობაში ეთანხმება ადამიანთა ცნობიერებაში არსებულ სამყაროს სურათის ლოგიკურ გამოსახვას. ყოველ ენას სამყაროს განსაკუთრებული სურათი აქვს, რომელშიც ვლინდება ენაში დაფიქსირებული სამყაროს სპეციფიკური, ადამიანური აღქმა. მატერიალურ სამყაროში არსებობს შვიდფერა რკალი, რომელიც ჩნდება მზის მოპირდაპირე მხარეს წვიმის წვეთებში მზის სხივების გარდატეხით. ქართული ენობრივი სინამდვილისათვის იგი ცის სარტყელია „ცისარტყელია“, ინგლისურისათვის „წვიმის შეილდი(rainbow)“ [ბესარიონ გორბენაძე 1997:196]. სულხან-საბა ორბელიანი ცისარტყელას განმარტავს, როგორც ცის, ზეცის მშვილდს [სულხან-საბა ორბელიანი, გვ.338] ხევსურებისათვის მშვილდ-ისარი არის „ცისარტყელა“. ამის შესახებ აკაკი შანიძე წერს: „ხევსური რომ ცისარტყელას მშვილდ-ისარს დაუმახებს ეს წოვა-თუმურის კალკია (წ.თ. ატყ-წაქი)“ [თედო უურჯაბიძე, გვ.75]. წოვა-თუმურ-რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით ატყ-წაქი „მშვილდ-ისარია“. მაგ.: ზადრივ ატყ-წაქი კუფსორ „ბავშვები მშვილდ-ისარს ისერიან“ [ავით ქადაგიძე,ნიკო ქადაგიძე,გვ.48], ხოლო ცისარტყელა- „დალენ ატყ-წაქი“, რაც განიმარტება როგორც „ღვთის მშვილდ-ისარი“ და არა მშვილდ-ისარი, დალენ „ღვთის“, დალ „ღმერთი“. მაგ.: ღაზნა ლიზალ ჰო დალე „სიკეთე მოგეც შენ ღმერთმა“ საინტერესოა გავიხსენოთ ეპიზოდი ბიბლიიდან, როდესაც ღმერთი ეუბნება ნოეს: „რაჟამს მოვავლინო ღრუბელი შორის ქუეყანასა, გამოჩნდეს მშვილდი იგი ღრუბელთა შინა“. „მშვილდსა ჩემსა დავსდებ ღრუბელთა შინა და იყოს სასწაულად აღთქუისა შორის ჩემსა და ქუეყანისა.“ „და იყოს რაჟამს მოვავლინო ღრუბელი შორის ქუეყანასა, გამოჩნდეს მშვილდი იგი ღრუბელთა შინა.“ „და იყოს მშვილდი იგი ღრუბელთა შინა და ვიხილო და მოვიხსენო აღთქუემაი საუკუნო შორის ჩემსა და შორის ყოვლისა ცხოველისა და ყოვლისა ხორციელისა, რომელ არს ქუეყანასა ზედა.“ (ძველი აღთქმა მცხეთური ხელნაწერის მიხედვით). წარმოდგენილი სემანტიკური ერთეულებიდან (ქართ.:ცის სარტყელი, ინგლ.:წვიმის მშვილდი, ბაცბ.: ღვთის მშვილდი) წოვა-თუმური ენის მიერ აღქმული ცისარტყელა უპირობოდ ემთხვევა ბიბლიისეულ ინტერპრეტაციას „მშვილდსა ჩემსა..“.საინტერესოა, რომ ბაცბურმა ენამ შემოგვინახა ცისარტყელის ის სემანტიკური ახსნა რაც ბიბლიაშია წარმოდგენილი. ეს არის სამყაროს ხედვა წოვა-თუმური(ბაცბური) ენიდან გამომდინარე, როდესაც ენა ინახავს სამყაროს აღქმის უძველეს ფორმას. სამყაროს ენობრივი სურათი წოვა-თუმებისთვის ღმერთთანაა დაკავშირებული. ასევე ინტერესს იწვევს ჭიამაიის ეკვივალენტი წოვა-თუმურში „დალენ ეთთ“, რომელიც სემანტიკურად ღმერთს უკავშირდება და ნიშნავს „ღვთის ძროხას“.მაგ.: „დალე ეთთ ტოტმაქ ალო „ჭიამაიას ხელზე დაისვამენ“ ინდოევროპულ ენებში ჭიამაიას შემდეგი ლექსიკური ერთეულებით აღნიშნავენ: ინგლ.ladybird, ladybug, ladybeetle, ამ სიტყვებს აერთიანებთ lady(მანდილოსანი) რომელიც ლინგვოკულტურული თვალსაზრისით დაკავშირებულია ღვთისმშობელთან. რუს. божья коровка, ბულგ. Божя кравица, პოლონ. bozia krówka, ლიტვ. dievo karvite, რუმინ. vaca domnului სერბ.-ხორვატ. божја бехица, ფრანგ. bête à bon Dieu (ღვთის ცხოველი). საყურადღებოა რომ წოვა-თუმური დალენ ეთთ, სემანტიკურად იდენტურია დასახელებულ ენებში გავრცელებული ლექსემებისა.წოვა-თუმური(ბაცბური) გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ენაა.

რომელიც გენეტიურად დაკავშირებულია ნახურ ენებთან(ჩეჩნური, ინგუშური). საინტერესოა ამ მწერისადმი დაცული მოაყრობის კულტურაც: როგორც ზემოთ აღნიშნულ ენათა კულტურებში ასევე ქართულისა და ბაცურის კონცეპტების მიხედვით ჩანს, რომ ქართ.კიამაიას /ღვთის ძროხას(ბაცე., რუს., ბულგ., ფრანგ.) განსაკუთრებული სიფრთხილით ეყრობიან. ხელზე ისვამენ, ეკითხებიან მომავალს ან თხოვნით მიმართავენ. წოვა-თუშური:„დალე მეთთ ტოტმაქ ალო ჟორი, ქორი ქორჰალო დატა ვოჰ ბილუ, ქორთაჰო დატა მოჰ ბილუ „კიამაიას ხელზე დაისვამენ, იტყვიან: აღმართ გაფრინდები ვაჟი გეყოლება, თავცქე გაფრინდები ქალი გეყოლება“; ქართ.: „კია, კია მარია ხვალ როგორი დარია.“*Вожья коровка, полети на небо, принеси мне хлеба.*“ წარმოდგენილი მასალა მიანიშნებს რომ კიამაია ღმერთთან დაკავშირებული მისტიკური მწერია, რომელსაც სიფრთხილით ეყრობიან. დამოკიდებულების ეს ფორმა ცხადად შემოგვინახა ბაცებურმა კონცეპტმა. სიტყვის ცხოვრების რთული მრავალპლანიაანი სურათი საზოგადოების, ხალხის ცხოვრებას ასახავს, რისი წედომაც, ჩვეულებრივ ამ ხალხის ენის წედომით იწყება (ზუდაგოვი 1971: 10). სამყაროს ენობრივი სურათი აყალიბებს ადამიანის სამყაროსთან დამოკიდებულების ტიპს (ბუნებასთან, ცხოველებთან, საკუთარ თავთან, როგორც სამყაროს ელემენტთან).ის იძლევა სამყაროში ადამიანის ქცევის ნორმებს, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას სამყაროსთან, განაპირობებს ადამიანთა ურთიერთობების შინაარსს და ერის განვითარების მიმართულებებსა და თავისებურებებს.

ენაში გამოვლენილი სხვადასხვა მსოფლხედვა აისახება არა მხოლოდ ენის ლექსიკური მარაგით, არამედ თვით გრამატიკული წყობაც, სტრუქტურაც გამოყენებულია როგორც სამყაროს ხედვის საშუალება. წოვა-თუშურისათვის სამყარო დაყოფილია ოთხ კლასად: მამაკაცი კლასის ნიშანია -ვ, ქალი, კლასის ნიშნით - მ, ნივთი - ბ, ნივთი-დ. იმის მიხედვით თუ ვის და რის შესახებაა საუბარი ზმნაში აღნიშნება შესაბამისი კლასის ნიშანი. მაგ.: სტაკო ვ-ალო(კაცი მოდის) ფსტუმნ მ-ალო(გოგო მოდის), ზადერ ბ-ალო(ბავშვი მოდის) მეთთ დ-ალო(ძროხა მოდის). ეს იერარქია მკაცრად დადგენილ ჯერ კიდევ შუენობელ კანონზომიერებას ემორჩილება, რომელიც ხალხის აზროვნების, მენტალობისა და სამყაროს აღქმის შედეგია. ენით გამოხატული იერარქია ასახულია ყოველდღიურ ყოფაში, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებში. საინტერესოა რომ წოვა-თუშურში მამაკაცი (სტაკ)და ღმერთი (დალ) საერთო კლასს მიეკუთვნება და - ვ მარკერით აღინიშნება ზმნაში. წარმოდგენილი სტრუქტურული თავისებურება გამოხატული კლას-კატეგორიებად დაყოფით ასახავს ეთნოსის მიერ სამყაროში საგანთა განლაგების კანონზომიერებას, რაც ახლოს დგას სახარებაში მოცემულ დაყოფასთან „ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი-ქმარი და ქრისტეს თავი-ღმერთი“ (ახალი აღთქმა, 11-3). წოვა-თუშურ ენით აღწერილი ლექსიკური თუ გრამატიკულ-სტრუქტურული მასალის როგორც ერის აზროვნებისა და გრძობების იარაღის განხილვა მრავალ დაფარულ საკითხს გამოავლენს წოვა-თუშური ენის წარმომობის შესახებ. ფსიქოლოგიურ-ემოციური მოვლენები გამოხატავენ რა ადამიანის მდგომარეობას, იძენენ ენობრივ განსაზღვრებას და აისახებიან ენაში. გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ენა გამოდის რა ეროვნული მენტალიტეტის გამოხატველის როლში, კაცობრიობის ენობიერების სემანტიკური მსოფლხედვის ნაწილია.

#### ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა. (1992): მიხლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი.
2. Будагов Р. А. (1971):История слов в истории общества. М.
3. Кубрикова Е. С. (1997):Части речи с когнитивной точки зрения. М.
4. Маслова В. А.(2001): Лингвокультурология. М.

5. ოშიაძე ს. (2009): ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა. თბილისი.
6. Стернин (2005): Язык и национальное сознание. //Логос. N4.
7. სულხან-საბა ორბელიანი. (1993): ლექსიკონი ქართული. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.
8. უთურგაძე ნ.(1966): ქართული ენის შთის კილოთა ზოგადი თავისებურებანი. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
9. ქადაგიძე დ. ქადაგიძე ნ. (1984): წოვა-თუმბურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
10. ბველი ალექსანდრე მცხეთური ხელნაწერის მიხედვით, წიგნი დაბადებისა, რომელსა ეწოდებოდა ებრაელთაგან ბერესით.

**Mariam Tsiskarishvili**

**Language and thought interrelation  
on the example of the Batsbian Language  
Abstract**

Every Language has its peculiar picture of the universe, where the specific perception of the universe by humans is manifested and which is transformed through the language. In the material universe there exists a seven-colour arc, which is interpreted in the Georgian reality as "girdle of the sky", in English reality- "rainbow", in Batsbian- "dalen atk-waki". In Georgian language "girdle of sky" is explained as "bow of the sky, the heaven", by Batsbian Language it is perceived as "God's bow" It is interesting to refer to the episode from the Bible, where finds the mention of "bow": "I do set my bow in the cloud..." As is seen from the example language picture of the universe for Batsbian people coincides with the Biblical interpretation. Here is another example which may provoke interest: the form of the word "lady-bird", which is in Batsbian "dalen-iat" - it is related to God and comes to stand as "God's cow". In Indo-European Languages the concept of the "lady-bird" was expressed the following words: "lady-bug" or "lady-beetle". All these words have one common stem and that is "lady", which is linguoculturally related to mother of God. In Slavic languages the semantic meaning of the "lady-bird" is "God's cow/God's animal". It should be noted that the Batsbian "Dalen iat" i.e. "God's cow" is semantically close to the above mentioned languages, existing in the forms specified. Various perceptions of the universe displayed in languages are reflected not only in the lexical stock, but also in the grammatical structure, the latter being utilized as a means for perceiving the universe. For Batsbian people the universe is divided into four classes v-(man, God), i-(women), b-(child), d-(dog). This hierarchy conforms to canonization which is the result of people's mentality, thoughts and perceptions of the universe. The endangered Batsbian language which demonstrates the mentality of its people, at the same time represents part of the semantic world outlook of human consciousness

**ლიანა ჭყონია, ცირა ჭყონია**

შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

**უნივერსალური ანდაზების მნიშვნელობა კულტურათა შორის  
კომუნიკაციებში**

ანდაზის განმარტება და მისი უნივერსალური თვისება პარეზიოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ჩვენი ნაშრომიც უნივერსალური ანდაზების თავისებურებას ეხება და დაფუძნებულია ანდაზების სემანტიკურ-პრაგმატიკულ კვლევაზე 4 ენაში (ქართულ, ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებში).

ანდაზას ყველა ენაში აქვს როგორც ეროვნული, ასევე უნივერსალური თვისებაც. ანდაზა მეტაფორულად გადმოსცემს ადამიანის სამყაროსადმი სულიერ დამოკიდებულებას. ანდაზები ადამიანის და მთელი სოციუმის სულიერი კულტურის, მისი ზნეობრივი, ეთიკური და ესთეტიკური ფასეულობების გამოვლინებაა. ანდაზების წარმოქმნაში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება სოციალურ ფაქტორებს.

ე. ზენკენისტის მიხედვით, ანდაზები არსებობენ როგორც გამზადებული მსჯელობა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ერთნაირ, სხვადასხვა დროს განმეორებად

სიტუაციებში. ასეთი კონსტრუქციებისთვის არ არსებობს „მე - აქ - ახლა“ კოორდინატებთან შეფარდება. მათში არსებობს თეზისი, რომლის შეუფერებელი შესრულება აუცილებელია (ან უარეს შემთხვევაში, სასურველია) ყველასთვის, ყველგან და ყოველთვის [Бенвенист, 1976: 147].

სამყაროს ენობრივი სურათი მთლიანობაში ეთანხმება ადამიანთა ენობიერებაში არსებულ სამყაროს სურათის ლოგიკურ გამოსახვას, მაგრამ ამასთანავე თითქოს ინახება სამყაროს ენობრივი სურათის ცალკეული განყოფილებები, რომელთაც განეკუთვნება ანდაზები და ზოგადად ფრაზეოლოგიური გამონათქვამები. სწორედ ასეთი სახის ერთეულებში არის ჩაქსოვილი ადამიანის ენობიერება და ემოციურ-ფსიქოლოგიური განწყობილება. ყოველი კონკრეტული ენა თავის თავში შეიცავს ნაციონალურ - თვითმყოფურს, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ენის მატარებელთა მსოფლმხედველობას და აყალიბებს მათ სამყაროს სურათს. ნაციონალურის გარდა ასევე ენა შეიცავს უნივერსალური აზროვნების შტრიხებს, რომლის მეშვეობითაც იქმნება უნივერსალური ენობრივი ერთეულები.

სწორედ ამიტომაც ვაწყდებით არამონათესავე ენებში უნივერსალურ ანდაზებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს გარკვეულ პირობებში შეიძლება ჰქონდეთ სამყაროს საერთო კონცეპტუალური სურათი.

ქართული, ინგლისური, თურქული და რუსული ენები არამონათესავე ენებია, მაგრამ კვლევების აღმოჩნდა, რომ ოთხივე ენაში შეიძლება არსებობდეს უნივერსალური ანდაზები, რომლებიც სრულიად იდენტურია როგორც სემანტიკური, ასევე პრაგმატიკული თვალსაზრისით, მაგალითად: ქართული ანდაზის „მეგობარი გაჭირვებაში იცნობაო“ ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობები ზუსტად ემთხვევა ინგლისურ „A friend in need is a friend indeed“, თურქულ „Dost kara günde belli olur“ და რუსულ „друг познаётся в беде“ ვარიანტებს. ამკარაა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ოთხი სხვადასხვა ერის ენობიერება უნივერსალურია და მათი დამოკიდებულება ცნების - მეგობრობა - მიმართ სრულიად იდენტურია.

რაც შეეხება შემდეგ ანდაზას: „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვრცხი სჯობიაო“ რა თქმა უნდა მოეპოვება შესატყვისი დანარჩენ ოთხ ენაში, მაგრამ მათი სემანტიკური სტრუქტურა ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ინგლისურ ენაში გვაქვს „One bird in hand is better than two in bush“ რაც შემდგენიარად გადითარგმნება - ორ ჩიტს ბუჩქზე ერთი ხელში სჯობიაო. თურქულში მისი შესატყვისი შემდგენიარად ელერს: „Bugünkü tavuk yarınki kazdan iyidir“ - დღევანდელი ქათამი ხვალინდელ ბატს სჯობიაო, ხოლო რუსულ ენაში აღნიშნულ ანდაზას მოეპოვება შემდეგი ექვივალენტი: «не сули журавля в небе, дай синицу в руки» რაც ქართულად ნიშნავს: „ღამი წეროს ხელში წიწვივა სჯობიაო“. მოცემული ანდაზები ოთხივე ენაში გამოხატავენ აბსოლიტურად ერთსა და იმავე შინაარსს და მოსაუბრეები მათ იყენებენ ერთნაირ სიტუაციებში. ე.ი. ანდაზების იმპლიციტური მნიშვნელობები ერთნაირია, თუმცა ექსპლიციტურად გამონათქვამები არ არის იდენტური და თითოეული გამოხატავს სპეციფიკურ, ეროვნულ თვისებას. აღნიშნული ანდაზის სემანტიკური სახეცვლილებების ნაგულისხმები მნიშვნელობა სწორედ ადამიანის უნივერსალური ენობიერების ამკარა გამოხატულებაა. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ანდაზაზე და მის ექვივალენტებზე: „ძალდი ძაღლის ტყავს არ დახვეს“ ინგლისურში - „dog does not eat dog“ (ძალდი ძაღლს არ ჭამს), თურქულში - „köpek köpeği yemez“ (ძალდი ძაღლს არ ჭამს), რუსულში - «ворон ворону глаз не выклюет.» (ყვავი ყვავს თვალს არ გამოთხრის).

ადამიანის აზროვნება არის მისი ინდივიდუალური, ეროვნული და უნივერსალური ენობიერების მიმართულებათა ერთიანობა. ეს მიმართულებები

ასახევა ენაში და შესაბამისად ჩნდება საში სახის ერთეულები: ინდივიდუალური, ეროვნული და უნივერსალური.

მიუხედავად იმისა, რომ ენის ათვისებისა და გამოყენების უნარი თანდაყოლილია და მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველი ადამიანი ენას ითვისებს, როგორც საზოგადოების წევრი თავისი სოციალური ჯგუფის კულტურის სხვა ასპექტებთან ერთად. ენა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე სოციალურ ჯგუფებში. ამავე დროს, ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავს დღემდე ცნობილ სოციალურ ფორმებს, შეიძლება შენარჩუნებული იქნეს მხოლოდ საერთო ენის მქონე ადამიანებს შორის [გაბრელიძე, კოჭაბე, შადური... 2005:462].

ადამიანის ცნობიერების უნივერსალობის ჩამომყალიბებელი უამრავი ფაქტორი არსებობს და ერთ-ერთი არის საერთო კულტურული სივრცის ფაქტორი. კულტურული ზეგავლენის ფაქტორმა განაპირობა უნივერსალური ცნობიერების ჩამოყალიბება, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ენობრივ ერთეულებში. ზოგიერთი მეცნიერის მიერ ფრაზეოლოგიზმები და მათ შორის ანდაზები განიხილება ისეთი სახის ენობრივ ერთეულებად, რომლებსაც შეუძლია ერის მენტალობისა და კულტურულად მარკირებული აზრების ტრანსლირება და მათი ასახვა ენობრივ ერთეულებში [თელია, 1999, 13-17].

როგორც ე. სეპირი განმარტავს „ენა არის სრულიად ადამიანური და არა ინსტიქტური მეთოდი იდეების, ემოციებისა და სურვილების კომუნიკაციისათვის, რომელიც ხორციელდება პირობითი სიმბოლოების საშუალებით“ [Crystal, 1989:395]. სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებს შორის წარმატებული კომუნიკაციის დამყარებას ხშირად ხელს უშლის ისეთი გამონათქვამები, რომლებიც მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული ენისთვისაა დამახასიათებელი. როგორცაა: იდიომები, ფრაზეოლოგიზმები, აფორიზმები, ანდაზები თუ სხვადასხვა ხატოვანი გამონათქვამები. მოსაუბრე ცდილობს თავი აარიდოს ისეთი გამონათქვამების გამოყენებას, რომელიც გამოიწვევს დახეულობასა და გაურკვევლობას.

რაც შეეხება უნივერსალურ ანდაზებს და საერთოდ მსგავს მეტაფორულ გამონათქვამებს, მათი გამოყენება საკომუნიკაციო აქტის რომელიმე მონაწილის მხრიდან არ იწვევს დაბრკოლებას, რადგანაც ანდაზის ექსპლიციტური თუ იმპლიციტური მნიშვნელობა სრულიად გასაგებია მოსაუბრეებისათვის. გარდა ამისა, ენის შემსწავლელი უფრო გაბედულად გამოიყენებს აღნიშნულ ენობრივ ერთეულს, რადგანაც მისი არა მარტო ნაგულისხმები მნიშვნელობა, არამედ დენოტაციური მნიშვნელობაც მსგავსი და ნაცნობი იქნება მისთვის. საკითხის სემანტიკურ-პრაგმატიკულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი ანდაზა ოთხივე ენაში იდენტურია, როგორც მნიშვნელობით, ასევე გამოყენების თვალსაზრისით. მისი ექსპლიციტური მნიშვნელობა ანუ სტრუქტურულ-სემანტიკური აგებულება და შინაარსი სრულიად ეთანხმება იმპლიციტურ, ანუ მის ეროვნულ და ინტრა-კულტურულ საწყისს. ზოგჯერ კი, ანდაზები ერთმანეთს მხოლოდ იმპლიციტური მნიშვნელობით ემთხვევა ე.ი. ისინი აგებულია განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებითა და სტრუქტურით, მაგრამ გამოხატავენ და გულისხმობენ აბსოლუტურად იდენტურ მნიშვნელობებს. გამონათქვამთა აღნიშნული თვისება გვაძლევს უფლებას ისინი მივიჩნიოთ უნივერსალურ ერთეულებად და აღვნიშნოთ მათი უდიდესი მნიშვნელობა კულტურათა შორის კომუნიკაციების დროს.



### ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
2. მარგალიტაძე თ. (1995): დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (მრავალტომეული რეკლამა). თსუ გამომცემლობა. თბილისი
3. Бенвенист Э. (1974): Обшая Лингвистика. Москва.
4. Жуков В.П. (1966): Словарь русских пословиц и поговорок. Издательство Советская энциклопедия. Москва.
5. Мюллер В.К. (1982): Англо-русский словарь. Издательство русский язык. Москва.
6. Телия В.Н. (1999): задачи и методологические проблемы исследования фразеологического состава языка в контексте культуры // В: Фразеологизмы в контексте культуры. Языки русской культуры. Москва.
7. Турецко-русский словарь (1977): Москва.
8. Crystal D. (1989): The Cambridge Encyclopedia of Language. Cambridge University press. Cambridge.

Liana Chkonia, Tsira Chkonia

### Semantic-pragmatic analyse of proverbs

#### Abstract

The presented work suggests semantic-pragmatic analysis of proverbs taken from four languages (Georgian, English, Turkish and Russian) and their important role in communication through different cultures. The work focuses on the lingual picture of the world that is partly universal, but partly national-specific. Proverbs are the national aspect of the lingual picture of the world, which vary from one language into another. National features and traits of human universal thinking are shown in proverbs and generally in metaphorical expressions. The use of mentioned expressions does not cause difficulties in communication through different cultures.

### ციცინო ხვედელიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
ზოომორფიზმების პრაგმატიკა

Golden rule: Treat others as  
you would have them treat you

ნებისმიერი სოციალური ინტერაქციის პროცესში არსებობს ურთიერთპატივისცემის, თავაზიანობის, კორექტული ქცევის ნორმები, რომლებიც გულისხმობს ურთიერთგაგებას საზოგადოების წევრებს შორის და რომელზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ადამიანთა ურთიერთ-თანამშრომლობა.

პ. ზრაუნსა და ს. ლევენსონს მიაჩნიათ, რომ სოციალური ურთიერთობების დასამყარებლად უნდა ვაღიაროთ და ვაჩვენოთ, რომ ვიცით რას ნიშნავს ცნება "სახე", "საკუთარი იმოუჯი", ისევე როგორც იმ ადამიანის იმოუჯი, ვისაც მივმართავთ, რომ საუბრის მონაწილეებმა ანგარიში უნდა გაუწიონ სხვათა გრძნობებს და თავი უნდა აარიდონ "სახის რღვევის" საშიშროებას [Brown-Levinson 1983].

საუბრის პროცესში მნიშვნელოვანი როლის გამო თავაზიანობა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ერვინგ ჰოფმანის მიერ 1967 წ. დამკვიდრებული ტერმინი "სახე" საფუძვლად დაედო პ. ზრაუნსა და ს. ლევენსონის თავაზიანობის თეორიას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ლინგვისტთა ყურადღების არეალში უკვე ექცევა მისი საპირისპირო ცნება – სიტყვიერი არათავაზიანობა. ამ მხრივ საინტერესოა ჯ. ლიჩის მოსაზრება. იგი აღნიშნავს, რომ

თეორიულ ასპექტში თავაზიანობა ეფუძნება თავაზიანობის ზოგად სტრატეგიას (General Strategy of politeness), (Leech 2007: 180-188).

ამ თეორიის მიხედვით, თავაზიანობის ზოგადი სტრატეგიის გატარების შემთხვევაში ადრესანტი გამოხატავს ან გულისხმობს შემფასებლურ მნიშვნელობას, სადაც მაღალი ღირებულება მიეწერება მეორე პირს (ჩვეულებრივ ადრესატს) და დაბალი ღირებულება მოსაუბრეს. არათავაზიანობად ამ თეორიის კონტექსტში ღიჩი მიიჩნევა ზოგადი სტრატეგიიდან გადახვევა, სადაც ღირებულებათა საპირისპირო მნიშვნელობა რეალიზდება, ანუ დაბალი ხარისხი მიეწერება ადრესატს და მაღალი ხარისხი მოსაუბრეს.

სიტყვიერ კონფლიქტში ჩართული ინდივიდები იყენებენ საკუთარ ლინგვისტურ რეპერტუარს, რათა მიზანმიმართული შეურაცხყოფა მიაყენონ ერთმანეთს. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ლექსიკური ერთეულების ერთი ჯგუფი - ზოონიმიები, რომელთა მოსაუბნის მიერ მეტაფორული გამოყენება მიზანმიმართულ, "სახის" შემლახველ, ანტისოციალურ სიტყვიერ ქმედებად აღიქმება, რაც ადრესატისათვის ემოციური ტკივილის მომტანია. ამგვარ ხმარებას ზოომორფიზმებს უწოდებენ. ტერმინი ზოომორფიზმი ფართო გაგებითაა ნახმარი - ცხოველების, ფრინველების, მწერების და ქვეწარმავალთა სახელების ხმარება ადამიანისათვის კონკრეტული დამახასიათებელი თვისების გამოსახატავად. მაგალითად ეშმაკი, ცხიერი ადამიანის დასახასიათებლად ხშირია ზოომორფიზმის "შელა" ხმარება: ბებერი მელა, ცხიერი მელა. კურდღელი შშიმარა და ლაჩარი ადამიანის მეტაფორაა. ქართულ სასაუბრო ენაში გავრცელებულია ზოომორფიზმი "ძალი და კატა" ორი მოჩუბმარი ადამიანის აღსანიშნავად. ბატი სულელი ქალის მეტაფორაა (ბატისტიცინა).

ინგლისურ ენაში pig (swine) ფართო სემანტიური მოცულობის ზოომორფიზმია. იგი აღნიშნავს არასასიამოვნო კაცს, ვინც შეურაცხყოფლად იქცევა და არად აგდებს სხვებს, ბინძურს ფიზიკურად და მორალურად. ინგლისურ ენაში ღორთან დაკავშირებულია ცუდი მანერები, სიხარბე, გაუმაძღრობა. მაგალითად, თუ ადამიანი უსუფთაოა, ინგლისელი მას უწოდებს pig. ვერთხა ინგლისურ ენაში არასანდო ადამიანს ნიშნავს, ვისაც ვერ დაეყრდნობი, ვინც გიღალატებს, ხოლო worm - არარაობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაგმატიკული მნიშვნელობა უფრო მეტია, ვიდრე სემანტიკური, რადგან იგი გამომდინარეობს ფართო პრაგმატიკული კონტექსტიდან. გრაისის მიხედვით ის, რაც გამონათქვამით გადმოიცა ორ ნაწილად იყოფა: რა ითქვა და რა იგულისხმება. იგი ტერმინით იმპლიკატურა აღნიშნავს ნაგულისხმებ მნიშვნელობას, ანუ what is conveyed minus what is said. (Grice 1975).

ზოომორფიზმები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სასაუბრო ენაში როგორც პირდაპირი მიმართვა ადრესატისადმი მოსაუბრის უკიდურესად უარყოფითი შეფასების გადმოსაცემად.

განვიხილავ ერთ-ერთ შემთხვევას მხატვრული ნაწარმოებიდან, სადაც სიტყვიერი აგრესია მიმართულია ადრესატის მიმართ. ს. მოემის რომანის "თეატრი" მთავარი მოქმედი პირი - Julia Lambert ცნობილი, საზოგადოებისაგან განებივრებული, ლამაზი ქალი. ჰყავს საქმრო Michael კარგი გარეგნობისა, თუმცა არც თუ დიდად ნიჭიერი მსახიობი. მოხდა ისე, რომ მაიკლმა გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ ამერიკულ თეატრთან და იგი ორი წლით უნდა წავიდეს ინგლისიდან. ეს ცნობა, რასაკვირველია, არასასიამოვნოა აქულისათვის. ის დარწმუნებულია, რომ მას დაეხმარა თეატრის ხელმძღვანელი ჯიმი ლენგტონი. გამძვინვარებული აქულისა გაუფრთხილებლად მიდის ჯიმთან სახლში. ავტორისეულ ტექსტში აღწერილია მისი ქმედება და სულიერი მდგომარეობა:

1) Her jaw was set and her eyes were frowning. You devil!  
With a swift gesture she went up to him, seized him by his loose shirt collar with both hands and shook him. He struggled to get free, but she was strong and violent.

- Stop it! Stop it!

- You devil, you swine, you filthy low-down cad.

- He took a swing and with his open hand gave her a great smack on her face. She instinctively loosened her grip on him, and put her hand up to her cheek, for he had hurt her. She burst out crying.

- You Brute. You rotten hound to hit a woman (Maugham 1979:)

ეს ნაწყვეტი კარგად აჩვენებს გულის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რაოდენ ძლიერია მისი მძინერება. მისი ქმედება ფიზიკური და სიტყვიერი აგრესიის ნაზავია. იგი არ არის სპონტანური აფეთქების შედეგი. იგი წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილია. ფიზიკურ თავდასხმას სიტყვიერი ემატება პირდაპირი მიმართვის ფორმით: devil, swine filthy low-down cad, brute, rotten hound.

გულის გამონათქვამები სამეტყველო აქტების თეორიის კონტექსტში ექსპრესივია ის სამეტყველო აქტი, რომელიც მოსაუბრის გრძნობების და ემოციური განწყობის, ფაქტისა, თუ მოვლენის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე ფაქტობრივი ინფორმაციის გადმოცემაზე.

ითვლება, რომ model person – სანიმუშო ადამიანი დაჯილდოებულია ორი განსაკუთრებული თვისებით: rationality გონიერება და face “სახის” ცნების ცოდნით და რომ ყველა “სანიმუშო ადამიანს” აქვს დადებითი და უარყოფითი “სახე” ამიტომ საუბრის მონაწილეთა ინტერესი უნდა იყოს შეინარჩუნონ ერთმანეთის “სახე” – ადამიანის ზოგადი იმიჯი, სოციალური აზრი საკუთარ თავზე. სოციალური საჭიროება მოახდინო “სახეზე” ორიენტაცია. ამდენად ინტერაქციის პროცესში “სახის” შელახვა ემუქრება ორივე მონაწილის როგორც დადებით (საკუთარი იმიჯი, სურვილი, რომ მოწონებული და დაფასებული იყო სხვების მიერ), ასევე უარყოფით (პიროვნული უფლება, არ შეიქრა სხვა ადამიანების უფლებებში) სახეს [Brown and Levinson 1983:61].

ლევინსონი იქვე შენიშნავს, რომ არსებობს აქტები, რომლებიც მინაგანად, თავიანთი ბუნებით “სახის” მუქარას წარმოადგენენ. ანუ ეწინააღმდეგებიან ადრესატის ან ადრესანტის „სახის სურვილებს“. გული იყენებს on-record სტრატეგიას – პირდაპირ, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატავს უარყოფით გრძნობებს და აგრესიას. ამ შემთხვევაში გულიას სიტყვიერი ქმედება ემუქრება ჯიმის ანუ ადრესატის უარყოფითი სახის სურვილებს. ძლიერი უარყოფითი ემოციების გამოხატვას ადრესატის მიმართ (ამ შემთხვევაში გაბრაზება) იმ მიზნით, რომ ზიანი მიაყენოს მას, ლევინსონი მიიჩნევს ადრესატისადმი მიმართულ უარყოფითი სახის შემლახველ აქტად. საფრთხეშია მისი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და იგი მორალური ზიანის მსხვერპლი ხდება.

ამავე დროს შელახვა ემუქრება ადრესატის – ჯიმის დადებით სახესაც, რადგან გულია არაფრად დაგიდევთ ჯიმის გრძნობებს, სურვილებს. გულია უარყოფით შეფასებას გამოხატავს ჯიმის დადებითი სახის ერთ-ერთი ასპექტის მიმართ (არასასიამოვნო პიროვნება) კერძოდ იგი აკრიტიკებს მას, ზრალს სდებს, შეურაცხყოფს; და ამით ცხადი ხდება, რომ გულია ანგარიშს არ უწევს ჯიმის დადებით სახეს თავისი ძლიერი უკონტროლო ემოციების გამოვლენით. ასეთ შემთხვევაში გულია საბაზს აბლევს ჯიმს მისი ეშინოდეს და თავი უხერხულად იგრძნოს.

ამგვარად, გულიას არ აინტერესებს ჯიმის არც დადებითი და არც უარყოფითი სახე – ეს მიიღწევა ძლიერი უარყოფითი ფონით. მას არ აქვს სურვილი შეუნარჩუნოს სახე ჯიმს. მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური სახის მუქარა, რომ ჯიმი ისევე

საპატივსაცემოა, როგორც თვითონ. რომ ისინი ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ერთნაირი უფლება-მოვალეობანი აქვთ.

რაც შეეხება ჯულისას, შეილახა მისი დადებითი სახეც, რაც გულისხმობს იმის სურვილს, რომ იყო სხვების მიერი მოწონებული, დაფასებული. შეურაცხყოფელი ლექსიკით იგი ზიანს აყენებს საკუთარ იმიჯს, ამტკიცებს, რომ უტაქტო, უკონტროლო, გაუნონასწორებელი, მოძალადე ადამიანია. მისი გახელბული, გამშაგებული (violent) ქმედება (ფიზიკური თუ სულიერი) კონტროლს არ ექვემდებარება და პოტენციურ შიშის განცდას აღბრავს თანამოსაუბრეში. მან შექმნა მტრული კონტექსტი, დაძაბული სიტუაცია, თანამშრომლობა ვერ შედგა რადგან არ გაუფრთხლდნენ ერთმანეთის იმიჯს და შედეგად ზიანი მიადგა როგორც ჯიმის, ასევე ჯულისას "სახეს"

რაციონალური ადამიანი – მოდელი" შეცდებოდა თავი აერიდებინა სახის შემლახველი ქმედებისათვის და გამოეყენებინა ერთგვარი სტრატეგია - "სახის" მუქარის მინიმუმამდე დასაყვანად,

სამეტყველო აქტების თეორიის კონტექსტის ფონზე სახეზეა პერლოკაციური ეფექტი. ჯულისას აგრესიული სიტყვიერი, თუ ფიზიკური ქმედება უპასუხოდ არ რჩება, რაც გამოიხატება ჯიმის საპასუხო ქმედებით: ჯიმი სილას გააწნავს ჯულისას რაც თავის მხრივ ქალის ფიზიკურ და სულიერ ტკივილს იწვევს.

მოძიებული მასალის ანალიზმა საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ ყველაზე დიდი სიძლიერით "სახის" შელახვის საშიშროება ვლინდება საუბრის უშუალო მონაწილისადმი მიმართვის შემთხვევაში. მორალური ზიანი ადგება ადრესატის როგორც დადებით, ისე უარყოფით "სახეს", მაგრამ უფრო მეტად ილახება მოსაუბრის იმიჯი. სიტყვიერ არათავაზიანობას, ხშირად ახლავს აგრესიული ფიზიკური ქმედება. ჩვენს მიერ განხილულ მაგალითებში ყველა არათავაზიანი სიტყვიერი ქმედების ავტორი ქალი აღმოჩნდა. სიტყვიერი აგრესია ბირთადად განპირობებულია ადრესანტის ფსიქოლოგიური მდგომარეობით. მსგავსი ლექსიკური ერთეულების გამოყენება ქმნის ადამიანის არა მხოლოდ სამეტყველო პორტრეტს, არამედ იძლევა პერსონაჟის პიროვნული დახასიათების საშუალებას. გაანალიზებული ნაწარმოების პერსონაჟები – ქალები ვლინდებიან როგორც უტაქტო, თავშეუკავებელი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ უმიზეზოდ მიაცნონ შეურაცხყოფა ყველას, ნაცნობსა და უცნობს, ოჯახის წევრსა თუ ერთგულ მეგობარს, ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

#### ლიტერატურა:

1. Brown, Levinson S. 1983. Politeness Cambridge. CUP.
2. Grice H. 1975. Logic and conversation . In: Cole P. Morgan G. N. (Eds) Syntax and Semantics. vol. 3. NY. Academic Press.
3. Leech: G. 2007. Politeness. In The Journal of Politeness Research #3.
4. Maugham S. 1979. Theatre. Москва. Международные отношения.

**КАТЕРИНА ХРИСОНОПУЛО**  
Государственный университет, Санкт-Петербург, Россия  
**СЕМИОТИКА СЛУЖЕБНОГО СЛОВА И ФУНКЦИОНИРОВАНИЕ**  
**СТИЛИСТИЧЕСКОГО ПРИЕМА**  
**(НА МАТЕРИАЛЕ АНГЛИЙСКОГО ЯЗЫКА)**

Служебные слова до настоящего времени не становились объектом специального исследования в лингвосомиотике. Главным образом это обусловлено тем, что данные слова занимают периферийный функциональный статус как знаки-символы (в понимании Ч.Пирса, см. Peirce 1992: 7) и, следовательно, лишь косвенно соотносятся с той или иной конкретной содержательной структурой. В свою очередь, невысокая степень реализации символической функции служебных слов связана с отмечаемой многими исследователями десемантизацией их значений.

Вместе с тем, тот факт, что служебные слова в процессе своего формирования и развития подверглись процессу десемантизации, не означает, что они одновременно утратили какие бы то ни было семиотические функции. Так, в грамматике высказывания, обоснованной в теории французского лингвиста А.Кюльоли [Culioli 1991], получает развитие мысль о том, что все грамматические единицы в той или иной мере указывают на конкретные мыслительные операции, обеспечивающие порождение высказывания в определенных условиях коммуникации. Собственно семиотическую направленность изучения грамматических единиц получает в теории английской грамматики Анри Адамчевского, основные положения которой изложены в совместной работе [Adamczewski et Delmas 1982]. В предположенной автором теории обосновывается, в частности, тезис о том, что грамматические морфемы и служебные слова (в том числе предлоги, союзы, частицы) служат в качестве поверхностных «следов», или «индексов» операций мыслительного и синтаксического структурирования высказывания. Среди важнейших операций подобного рода отмечаются мыслительные действия, реализующие указание на степень участия говорящего в представлении описываемого события и способствующие установлению смысловых взаимосвязей между отдельными структурными единицами в высказывании.

Тезис о функционировании служебных слов как индексальных (а не символических) знаков, предполагаемый теорией А.Адамчевского, в определенной мере согласуется с выводами американского семиотика Ч.Морриса [Morris 1946: 86 – 88, 153 – 186] о том, что в языке существуют знаки-форматоры (например, союзы типа «и», «или»), функционирующие в качестве единиц, которые задают определенные форматы, или мыслительные схемы, которые, в свою очередь, способствуют формированию и интерпретации сложных синтаксических и дискурсивных знаковых единств.

При опоре на тезис о том, что служебное слово функционирует как индексальный знак, в настоящем исследовании предпринимается попытка выявить индексальную значимость двух английских служебных слов – предлога *like* и союза *as* – в тех случаях, когда данные слова употребляются в составе конструкции, используемой в качестве стилистического приема сравнения. Следует отметить, что именно наличие служебных слов (либо других функционально соотносимых с ними языковых единиц) придает сравнению свойство эксплицитности в воссоздании художественного образа, а это, в свою очередь, отличает сравнение от многих других стилистических приемов, в первую очередь, метафоры [Israel, Harding, Tobin 2004]. Вместе с тем, в имеющихся исследованиях стилистического приема сравнения с маркерами *like* и *as* основное внимание уделяется не столько импликациям, передаваемым этими маркерами, сколько специфике функционирования того или иного оборота в целом либо текстовым функциям и структурной организации сравнения [Hanks 2005; Мосс 2008].

В свете вышесказанного обращение к относительно самостоятельной семиотической значимости служебных слов как маркеров сравнения представляет определенную

актуальность. Материалом для настоящего исследования послужили примеры сравнительных конструкций, употребляемых в сонетах У.Шекспира. В исследовании будут использоваться наиболее распространенные термины для обозначения референтов сравнительной конструкции: «предмет сравнения» - для указания на то, что сравнивается; «образ сравнения» - для обозначения того, с чем сравнивается описываемый предмет.

Наиболее яркими примерами семiotической противопоставленности предлога like и союза as служат те случаи использования данных слов, когда с их помощью устанавливается взаимосвязь идентичных либо сходных предметов и образов сравнения. В ряде сонетов У.Шекспира предметом сравнения является лирический герой (или авторское «я»), в то время как образ сравнения отсылает к человеку в той или иной социальной роли. Так, в сонете 57 лирический герой сравнивает себя с «печальным рабом» (sad slave): *Nor dare I question with my jealous thought / Where you may be, or your affairs suppose, / But like a sad slave stay and think of nought / Save where you are how happy you make those.* Сравнительная конструкция с предлогом like в приведенном фрагменте сонета способствует созданию визуального образа лирического героя, который может только ждать (stay) и ни о чем не думать (think of nought), кроме как о том, какими счастливыми делает его любимая тех людей, которые с ней находятся. Само по себе состояние ожидания и погруженности в мучительные мысли, описываемое инфинитивным сочетанием stay and think of nought, не апеллирует к визуальному воображению. Вместе с тем, предлог like, который непосредственно вводит образ охащенного этим состоянием печального раба, делает развернутый образ сравнения зримым и отчетливым. Импликации чувственного восприятия, передаваемые предлогом like, согласуются с перцептивными импликациями прилагательного sad. Так, по данным словаря Merriam Webster (1994: 1029), слово sad подразумевает выраженность и, следовательно, перцептивную доступность переживаемого человеком состояния: "sad – 1a: affected with or expressive of grief or unhappiness". Таким образом, употребление предлога like в составе анализируемого сравнительного оборота задает своего рода переход от описания визуально недоступного внутреннего состояния к воображимой картине задумавшегося печального раба.

На первый взгляд, сходную функцию выполняет и союз as при употреблении в составе сравнительного оборота в сонете 37: *As a decrepit father takes delight / To see his active child do deeds of youth, / So I, made lame by Fortune's dearest spite, / Take all my comfort of thy worth and truth.* В приведенных строках из сонета образ состарившегося отца (decrepit father), с радостью наблюдающего за своим наполненным жизненной энергией ребенком, задает картину, которая, как можно сначала предположить, мало чем отличается по степени выразительности от образа печального раба, воссозданного в сонете 57. Вместе с тем, степень обобщенности этих образов различна. Так, в сонете 57 выражение stay and think of nought, предсказуемое именной группе sad slave, не указывает на постоянную характеристику раба, а описывает его в тот момент, когда он задумчив и печален. Напротив, субъектно-предикатная группа из сонета 37, представленная, соответственно, сочетаниями decrepit father and takes delight to see his active child do deeds of youth имеет в своей основе устойчивую и обобщенную в опыте ассоциативную взаимосвязь. Таким образом, контрастивное употребление предлога like и союза as в рассматриваемых случаях можно интерпретировать как дифференцированную индексацию качественно различных мыслительных процессов, сопровождающих действие сравнения, а именно, - осмысления перцептивно недоступного в терминах чувственной данности (при использовании like) по контрасту с отнесенным индивидуального переживания к явлению, обобщенному в опыте (при использовании as).

Дифференциация служебных слов like и as происходит по сходному принципу, когда в качестве образа сравнения выступают природные объекты, как, например, океан, в сонете 56: *Let this sad int'rim like the ocean be / Which parts the shore, where the contracted new / Come daily to the banks [...].* В приведенном примере осуществляемое с помощью like сравнение переживаемого печального периода (sad int'rim) с океаном, разделяющим берега (the ocean

which parts the shore), устанавливает взаимосвязь между, с одной стороны, временным отрезком, по определению не обладающим визуальными характеристиками, и, с другой стороны, - природными пространствами и объектами (*ocean, shore, banks*), которые можно визуально представить. При этом предцизируемый океану признак - способность разделять берега - не является основной характеристикой океана как природного пространства.

Океан как образ сравнения представлен по-иному в сонете 80, где в состав сравнительного оборота входит союз *as*: [...] *your worth (wide as the ocean is) / The humble as the proudest sail doth bear*. В данном случае употребление союза *as* способствует не просто сравнению достоинств адресата (*your worth*) с обширным пространством океана (*wide as the ocean is*). Большая пространственная протяженность океана является отнюдь не периферийной или случайной его характеристикой (как, например, разделение берегов), а главным, определяющим признаком. Об этом свидетельствует наличие компонентов "large", "great", "unlimited space" в дефиниции слова "ocean", приводимой в словаре Merriam Webster (1994: 804): "any of the large bodies of water into which the great ocean is divided; a very large or unlimited space or quantity". Таким образом, в анализируемом контексте сравнение достоинства человека с ширию океана основано на мыслительной операции отнесения фактов, образующих содержание личного знания (эд. знаний о достоинствах адресата), к реальности, которая известна из обобщенного опытного знания (эд. представлений об океане как об огромном водном пространстве). Функция союза *as* в данном случае состоит в индексировании операции отнесения частного к общему.

Данные проведенного анализа языкового материала свидетельствуют о том, что служебные слова *like* и *as* образуют семиотическую оппозицию в связи с индексацией контрастных мыслительных процессов. В то время как предлог *like* указывает на то, что основу образного сравнения составляет интерпретация абстрактного в терминах конкретного и чувственно воспринимаемого, союз *as* имплицитно мыслительную категоризацию частного и индивидуального в терминах обобщенных понятий.

#### Литература:

1. Adamezewski H. et Delmas C. (1982): *Grammaire linguistique de l'anglais*. Armand Colin, Paris.
2. Culioli A. (1991): *Pour une linguistique de l'énonciation. Operation et representation*. Tome I. Ophrys, Gap.
3. Hanks P. (2005): *Similes and sets: The English preposition like*. // Blatina R. and Petkovic V. (eds.). *Jazyky a jazykoveda (Languages and Linguistics: Festschrift for Professor Fr. Cermak)*. Philosophy Faculty, Charles University, Prague. P. 1 - 15.
4. Israel M., Harding J., Tobin V. (2004): *On simile*. // Achard M. and Kemmer S. (eds.). *Language, Culture and Mind*. CSLI Publications, Stanford, CA. P. 123 - 136.
5. Merriam Webster's Collegiate Dictionary (1994): 10<sup>th</sup> edition. Merriam-Webster, Inc., Springfield, Massachusetts, USA.
